ჯ. კ. როულინგი

ჰარი ჰოფერი

და

სიკვდილის საჩუქრები

ინგლისურიდან თარგმნა

ციცო ხოცუაშვილმა

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

Scanned by CamScanner

ჯ. კ. როულინგი
ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი
2015

მთარგმნელი **ციცო ხოცუაშვილი**
რედაქტორები: **ნინო გოგალაძე, ლოლა ქადაგიშვილი, რუსუდან გორგაძე**
დიზაინერები: **ია მახათაძე, ლადო ლომსაძე**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008, 2015
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-360-9

J.K. Rowling
HARRY POTTER AND THE DEATHLY HALLOWS

First published in Great Britain in 2007
Copyright © Text J.K. Rowling 2007
The moral right of the author has been asserted.

Harry Potter characters, names and related indicia are
trademarks of and © Warner Bros. Entertainments Inc.
All rights reserved.

Cover illustration by Kazu Kibuishi © 2013 by Scholastic Inc.
Reprinted by permission

Translated by **Tsitso Khotsuashvili**

Georgian edition published by Bakur Sulakauri Publishing, 2008, 2015

www.sulakauri.ge

Scanned by CamScanner

ეს წიგნი
ეძღვნება
შვიდ ადამიანს:
ნილს,
ჯესიკას,
დევიდს,
კენზის,
დის,
ენის,
და შენ,
თუკი
მზადა ხარ,
ჰარისთან
ბოლომდე
დარჩე.

Scanned by CamScanner

თავი პირველი

ბნელი ბატონის აღზევება

მთვარით განათებულ ვიწრო ბილიკზე ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით უეცრად ორი კაცი გაჩნდა. თავიდან ორივემ ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და მოწინააღმდეგეს გულში დაუმიზნა, მაგრამ ერთმანეთი მალევე იცნეს, ჯოხები მაშინვე მანტიებში შემალეს და სწრაფად გაუყვნენ ბილიკს.

– ახალი ამბავია? – ჰკითხა მაღალმა.

– დიახ, თანაც – კარგი ამბავი, იაქსლი, – მიუგო სევერუს სნეიპმა.

ბილიკს მარცხნივ მაყვლის დაბალი ბუჩქები მიუყვებოდა, მარჯვნივ კი – მაღალი, ფაქიზად გაკრეჭილი ცოცხალი ღობე. მგზავრებს გრძელი მანტიები ფეხებში ებლანდებოდათ.

– მეგონა, დამაგვიანდებოდა, – თქვა იაქსლიმ. მის უხეშ ნაკვთებს დროდადრო ხის ტოტებიდან გამოღწეული მთვარის შუქი ანათებდა, – იმაზე მეტად გამიჭირდა, ვიდრე მეგონა, მაგრამ, ალბათ, კმაყოფილი დარჩება. მართლა ფიქრობ, რომ კარგად მიგვიღებს?

სნეიპმა თავი დაუქნია, თქმით კი არაფერი უთქვამს. მარჯვნივ შეუხვიეს და ბილიკიდან ფართო სამანქანო გზაზე გადავიდნენ. ცოცხალი ღობე მოსახვევში მგზავრების წინ ასვეტილ რკინის დიდ, ჭედურ ჭიშკართან შეწყდა. ნაბიჯი არც ერთს არ შეუნელებია, უხმოდ, თითქოს სალმის ნიშნად ასწიეს მარცხენა ხელი და ჭიშკარში ისე გაიარეს, თითქოს რკინა კი არა, კვამლი ყოფილიყო.

ურთხლის ღობეები ფეხის ხმას ახშობდა. სადღაც, მარჯვნივ, შარიშური გაისმა. იაქსლიმ სწრაფად ამოიღო ჯადოსნური ჯოხი და თანამგზავრის თავს ზემოთ შემოატარა, მაგრამ ურთხლის ღმობეზე მედიდურად მოსეირნე ქათქათა ფარშევანგი შერჩა ხელში.

– ყოველთვის თავის გემოზე მოიწყობს ხოლმე ცხოვრებას ეს ლუციუსი! ფარშავანგი მოუყვანია... – ჩაიფრუტუნა იაქსლიმ და ჯოხი კვლავ მანტიაში ჩამალა.

Scanned by CamScanner

გზის ბოლოს, სიბნელეში დიდი, მოხდენილი სახლი გამოჩნდა. პირველი სართულის რომბისებურ ფანჯრებში შუქი ჩანდა. ცოცხალი ღობის უკან, ბაღში, შადრევნის ჩუხჩუხი ისმოდა. ფეხქვეშ ხრეში ხრაშუნობდა. სნეიპი და იაქსლი სწრაფი ნაბიჯით გაემართნენ კარისკენ, რომელიც მათი მიახლოებისთანავე თითქოს თავისით გაიღო.

მკრთალი შუქით განათებული დიდი ფუფუნებით მორთული ვესტიბიულის ქვის იატაკს ლამის მთლიანად ფარავდა სქელი ხალიჩა. სნეიპსა და იაქსლის მზერით მიაცილებდნენ კედლებზე ჩარიგებულ ფერმკრთალ პორტრეტებზე გამოსახული ფერმკრთალი ადამიანები. ორივენი მეზობელ ოთახში შემავალი მუხის მძიმე კარის წინ ერთი წამით შეჩერდნენ და შემდეგ სნეიპმა ბრინჯაოს სახელური დასწია.

სასტუმრო ოთახში გრძელ, მოჩუქურთმებულ მაგიდასთან მდუმარედ ისხდა ხალხი. დანარჩენი ავეჯი დაუდევრად მიეწყოთ კედლებთან. იქაურობას მარმარილოს ბუხარში მოგუგუნე ცეცხლი ანათებდა. ბუხრის თავზე მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული სარკე ეკიდა. როცა სიბნელეს თვალი შეაჩვიეს, ახალმოსულების ყურადღება ყველაზე უცნაურმა დეტალმა მიიპყრო: მაგიდის ზემოთ თავდაღმა ეკიდა გონწასული ადამიანი, უხილავ თოკზე ჩამოკონწიალებულივით ნელ-ნელა ტრიალებდა და სარკეში და მაგიდის პრიალა ზედაპირზე ირეკლებოდა. ამ საკვირველ სანახაობას იქ მსხდომთაგან არავინ უყურებდა, გარდა ერთი ყმაწვილისა, რომელიც პირდაპირ სხეულის ქვეშ იჯდა და თავს ვერ იკავებდა, რომ წარამარა არ აეხედა.

– იაქსლი, სნეიპ, კინაღამ დაგაგვიანდათ, – გაისმა მაღალი, მკაფიო ხმა.

ამის მთქმელი მაგიდის თავში, ბუხრის წინ იჯდა და ახალმოსულებმა თავდაპირველად სილუეტის გარდა ვერაფერი დაინახეს. თუმცა, რომ მიუახლოვდნენ, თანდათან მისი უთმო და გველისებური სახეც გაარჩიეს; ნესტოების ნაცვლად ხვრელები მოუჩანდა, ვერტიკალურგუგებიანი თვალები კი წითლად უელვარებდა. სახეზე მარგალიტისფერი ედო.

– სევერუს, აქეთ, – თავის გვერდით, მარჯვნივ ანიშნა ვოლდემორმა, – იაქსლი, შენ დოლოხოვის გვერდით დაჯექი.

ორივენი იქ დასხდნენ, სადაც უბრძანეს. მაგიდასთან შეკრებილთა უმრავლესობა სნეიპს ადევნებდა თვალს და ვოლდემორმაც სწორედ მას მიმართა პირველად:

– აბა, რას იტყვი, სევერუს?

– მილორდ, ფენიქსის ორდენი შაბათ საღამოს აპირებს ჰარი პოტერის გადაყვანას ახლანდელი უსაფრთხო ადგილიდან.

Scanned by CamScanner

მაგიდის გარშემო მსხდომთა ინტერესი აშკარად გამძაფრდა: ზოგი დაიძაბა, ზოგიც აცქმუტდა. ყველანი სნეიპსა და ვოლდემორს მიაშტერდნენ.

– შაბათ საღამოს... – გაიმეორა ვოლდემორმა და წითელი თვალები ისეთი მძვინვარებით დაასო სნეიპის შავ თვალებს, რომ ზოგმა სიკვდილის მხვრელმა მზერა მოარიდა, ეტყობა შეეშინდათ, მისი სიძლიერისგან ფერფლად არ ვიქცეთო. თუმცა სნეიპმა მშვიდად გაუსწორა თვალი და ორიოდე წამში ვოლდემორს უტუჩო პირი ღიმილმა მოუღრიცა: – კარგი, ძალიან კარგი. ეს ცნობა ვინ მოგაწოდა?..

– იმან, ვისზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, – მიუგო სნეიპმა.

– მილორდ, – იაქსლი წინ გადაიხარა, რათა გრძელი მაგიდის თავში მსხდომი ვოლდემორი და სნეიპი დაენახა. ყველა მისკენ შებრუნდა.

– მილორდ, მე სხვა რამ შევიტყვე.

იაქსლიმ შეიცადა, მაგრამ ვოლდემორს ხმა არ ამოუღია, ამიტომ განაგრძო:

– აურორ დოულიშს წამოსცდა, პოტერს ოცდაათამდე არ წაიყვანენო: მეორე დღეს ხომ ჩვიდმეტისა ხდება.

სნეიპმა გაიღიმა:

– ჩემმა ინფორმატორმა მითხრა, კვალის ასარევად ცრუ ხმების გავრცელებას აპირებენო. ალბათ, ამას გულისხმობდა. ეტყობა, დოულიშს კონფუნდუსის ჯადო გაუკეთეს. პირველი შემთხვევა ხომ არაა! ხომ იცით, რა მგრძნობიარეა.

– გარწმუნებთ, მილორდ, დოულიშმა გარკვევით მითხრა, – არ ნებდებოდა იაქსლი.

– თუ კონფუნდუსის ჯადო გაუკეთეს, რა თქმა უნდა, გარკვევით იტყოდა, – შეეპასუხა სნეიპი, – მე კი გარწმუნებ, იაქსლი, რომ აურორთა დეპარტამენტს ჰარი პოტერის დასაცავად აღარავინ მიუშვებს. ორდენში ჰგონიათ, რომ სამინისტრო ჩვენი აგენტებითაა სავსე.

– ოჰო, ესე იგი, ეგ უბადრუკები რაღაცას მაინც ხვდებიან, არა? – ჩაიქირქილა იაქსლის მახლობლად მჯდარმა ჯირკივით კაცმა. მისი ხრინწიანი სიცილი მაგიდაზე ექოდ გაისმა.

ვოლდემორს არ გასცინებია. ნელა მოტრიალე სხეულს ააყოლა თვალი და თითქოს ფიქრებში ჩაიძირა.

– მილორდ, – განაგრძო იაქსლიმ, – დოულიში ამბობს, აურორთა მთელ გუნდს შეკრებენ ბიჭის გადასაყვანადო...

ვოლდემორმა დიდი თეთრი ხელი ასწია. იაქსლიმ ხმა გაკმინდა და ნაწყენმა შეხედა ვოლდემორს, რომელიც ისევ სნეიპს მიუბრუნდა:

– სად უნდა გადამალონ?

Scanned by CamScanner

– ორდენის რომელიღაც წევრის სახლში, – მიუგო სნეიპმა, – ჩემი ინფორმატორის თქმით, ორდენმა და სამინისტრომ თავი არ დაზოგეს და იქაურობა ერთობლივი დაცვით გაამაგრეს. მე მგონი, იქ მიყვანილს ვეღარც ჩავიგდებთ ხელში, მილორდ. თუმცა, თუ სამინისტრო შაბათამდე დაეცემა, რამდენიმე ჯადოს პოვნასა და მოხსნას მაინც მოვახერხებთ. დანარჩენ დაბრკოლებებსაც როგორმე გადავლახავთ.

– აბა, იაქსლი, – მაგიდის ბოლოსკენ გასძახა ვოლდემორმა და ბუხრის ალი უცნაურად აუელვარდა წითელ თვალებში, – დაეცემა სამინისტრო შაბათამდე?

ყველა იაქსლისკენ შებრუნდა. ის წელში გაიმართა.

– მილორდ, ამ საკითხზე კარგი ამბავი მოვიტანე. მე... ბევრს ვეცადე და ძალიანაც გამიჭირდა, მაგრამ... როგორც იქნა, შევძელი და პიუს თიკნესს იმპერიუსის წყევლა მოვუვლინე.

იაქსლის გარშემო მსხდომები გაოცდნენ; გვერდით მჯდარმა გრძელ და მოღრეცილსახიანმა დოლოხოვმა კი, მოწონების ნიშნად, მხარზე ხელი დაჰკრა.

– კარგად დაგიწყია, – თქვა ვოლდემორმა, – მაგრამ თიკნესი ერთია. სკრიმჯერი კი, სანამ ავმოქმედდები, უკვე ჩვენი ხალხით უნდა იყოს გარშემორტყმული. მინისტრზე ერთი წარუმატებელი თავდასხმაც კი დიდი ხნით შემაყოვნებს.

– დიახ... მილორდ, მართალს ბრძანებთ... მაგრამ მოგეხსენებათ, რომ თიკნესი ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების დეპარტამენტის უფროსია და არა მხოლოდ მინისტრთან, არამედ სამინისტროს ყველა სხვა დეპარტამენტის უფროსებთანაც აქვს კონტაქტი. ვფიქრობ, რაკი ასეთი მაღალჩინოსანი მოხელე ჩვენ გვემორჩილება, სხვებსაც მალე დავიმორჩილებთ და მერე ყველა ერთად შეუტევს სკრიმჯერს.

– ჰო, თუკი ჩვენი მეგობარი თიკნესი დანარჩენების გადმობირებამდე არ ამხილეს, – თქვა ვოლდემორმა, – ასეა თუ ისე, საეჭვოა, რომ შაბათამდე სამინისტრო ჩემი გახდეს. თუ ბიჭს ახალ თავშესაფარში ვერ მივწვდებით, გზაშივე უნდა ჩავიგდოთ ხელში.

– აქ კი კარგად გვაქვს საქმე, მილორდ, – იაქსლი თავს არ იზოგავდა, ოღონდ კი ქება დაემსახურებინა, – ჯადოსნური ტრანსპორტის დეპარტამენტში რამდენიმე კაცი გვყავს. თუ პოტერი აპარაციას გამოიყენებს ან ფლუ ქსელით ისარგებლებს, მაშინვე შეგვატყობინებენ.

– არც ერთს არ გამოიყენებს, – დაბეჯითებით თქვა სნეიპმა, – ორდენი თავს არიდებს ტრანსპორტის ნებისმიერ ფორმას, რომელსაც სამინისტრო აკონტროლებს ან არეგულირებს. ეგენი კარგა ხანია აღარ ენდობიან სამინისტროს.

Scanned by CamScanner

– ძალიანაც კარგი, – თქვა ვოლდემორმა, – მაშ, ღია ცის ქვეშ იმგზავრებს. ჰოდა, იოლად ჩავიგდებთ ხელში.

მერე ერთხელაც ახედა ნელა მოტრიალე სხეულს და განაგრძო:

– ბიჭს მე მივხედავ. ჰარი პოტერთან დაკავშირებით უამრავი შეცდომა დავუშვით. ზოგი რამ მე თვითონვე შემეშალა. ეგ პოტერი ჩემი შეცდომების წყალობით უფროა ცოცხალი, ვიდრე თავისი დამსახურების გამო.

მაგიდის გარშემო მსხდომები შიშით შეაცქერდნენ ვოლდემორს: ეტყობა, ეშინოდათ, ჩვენ არ დაგვაბრალოს, პოტერი ჯერაც რომ ცოცხალიაო. მაგრამ ვოლდემორს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა და კვლავ ჭერში ჩამოკიდებულ უგონო სხეულს ასცქეროდა.

– დაუდევრობას ვიჩენდი და ამიტომ საგულდგულოდ დაწყობილი გეგმები ხან შემთხვევამ ჩამიშალა და ხანაც – ბედმა. ახლა უფრო ფრთხილად ვიქნები. უკვე ვიცი ის, რაც წინათ არ ვიცოდი: ჰარი პოტერი მე უნდა მოვკლა და მოვკლავ კიდეც!

უცებ, თითქოს ამ სიტყვების პასუხად, ტანჯვითა და ტკივილით სავსე გაბმული კვნესა გაისმა. სიკვდილის მხვრელთა უმეტესობა შეკრთა და ძირს დაიხედა, რადგან ხმა თითქოს იატაკიდან ამოდიოდა.

– გრძელკუდავ, – ისევ იმ წყნარი, ფიქრიანი ხმით თქვა მოტრიალე სხეულსმიშტერებულმა ვოლდემორმა, – ხომ გითხარი, ჩვენი ტუსაღი გააჩუმე-მეთქი.

– დიახ, მი...მილორდ, – ამოიქოშინა სადღაც შუაში მჯდარმა პატარა კაცმა, რომელიც ისე ჩამძვრალიყო სავარძელში, რომ თითქმის არც კი ჩანდა. მერე სავარძლიდან გადმოძვრა, ოთახიდან გავარდა და უცნაური, ვერცხლისფერი ნათება დატოვა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, – განაგრძო ვოლდემორმა და გარშემომსხდომთა დაძაბული სახეები შეათვალიერა, – ახლა უფრო ფრთხილად ვიქნები-მეთქი. მაგალითად, სანამ პოტერის მოსაკლავად წავალ, რომელიმეს ჯოხი უნდა გთხოვოთ.

ყველა დაიზაფრა, თითქოს ჯოხი კი არა, მარჯვენა ხელი მოსთხოვესო.

– მსურველები არ არიან? – თქვა ვოლდემორმა, – აბა, ვნახოთ... ლუციუს, მე თუ მკითხავ, შენ ჯოხი აღარ დაგჭირდება.

ლუციუს მალფოიმ აიხედა. სახეზე სანთლისფერი ედო, თვალები ჩასცვენოდა და ჩაშავებოდა. ხრინწიანი ხმით ამოთქვა:

– მილორდ?

– ჯოხი, ლუციუს. ჯოხი მომეცი.

– მე...

Scanned by CamScanner

მალფოიმ ცოლს გადახედა. ქერათმიანმა და ქმარივით გადაფითრებულმა ნარცისამ, რომელსაც ერთ წერტილზე გაეშტერებინა მზერა, მაგიდის ქვეშ თხელი თითები სწრაფად მოუჭირა ქმარს მაჯაზე. მალფოიმ მაშინვე ხელი მანტიაში ჩაიყო, ჯოხი ამოიღო და ვოლდემორს გაუწოდა. ვოლდემორმა გამოართვა, წითელ თვალებთან მიიტანა და დაათვალიერა.

– რისაა?

– თელაა, მილორდ, – წაიჩურჩულა მალფოიმ.

– გული?

– დრაკონის გულის ძარღვია.

– კარგია, – თქვა ვოლდემორმა, თავისი ჯოხი ამოიღო და დაატოლა. ლუციუს მალფოი უნებურად შეირხა; ალბათ წამით გაიფიქრა, სანაცვლოდ თავის ჯოხს მაძლევსო. ვოლდემორს ეს მოძრაობა არ გამოჰპარვია და თვალები ავად გაუფართოვდა.

– ჩემი ჯოხი მოგცე, ლუციუს, ჩემი ჯოხი?

ზოგიერთს ჩაეცინა.

– თავისუფლება ხომ მოგეცი, ლუციუს, არ გყოფნის? თუმცა, ბოლო დროს შენ და შენს ოჯახს დიდ სიხარულს ვერ გატყობთ. შენს სახლში რომ ვარ, იქნებ გწყინს კიდეც, ლუციუს?

– არა... არა, რას ბრძანებთ, მილორდ!

– იტყუები, ლუციუს!..

პირმა მოძრაობა შეწყვიტა, ჩუმი ხმა კი კვლავ სისინებდა. სისინმა იმატა და ერთი-ორი ჯადოქარი შიშისაგან აცახცახდა. მაგიდის ქვეშ რაღაც მძიმე მისრიალებდა.

უზარმაზარი გველი ნელა აცურდა ვოლდემორის სავარძელზე და მბრძანებელს მხრებზე შემოეხვია. კისერი კაცის ბარძაყის სისხო ჰქონდა, ვერტიკალურგუგებიან თვალებს არც კი ახამხამებდა. ვოლდემორმა დაბნეულად გადაუსვა გრძელთითება ხელი, თან კვლავ ლუციუს მალფოის მისჩერებოდა დაჟინებული მზერით.

– მაინც, რატომ ემდურით მალფოები ბედს? განა ამდენი წელი ჩემს დაბრუნებასა და გაძლიერებას არ ნატრობდით?

– რა თქმა უნდა, მილორდ, – ლუციუს მალფოიმ ხელი ოფლით დაცვარულ ზედა ტუჩზე გადაისვა, – ვნატრობდით და... კიდევაც ვნატრობთ.

მალფოის მარცხნივ ნარცისამ ოდნავ დაიქნია თავი და ვოლდემორიდან მზერა გვერდზე გადაიტანა. მათმა ვაჟმა, დრაკომ, რომელიც კვლავ ჰაერში მოტრიალე უსიცოცხლო სხეულს აჰყურებდა, წამით გახედა ვოლდემორს და ისევ მოაშორა თვალი იმის შიშით, რომ მის მზერას არ წასწყდომოდა.

Scanned by CamScanner

– ჩემო ბატონო, – ხმა გაებზარა ნარცისას გვერდით მჯდომ შავგვრემან ქალს, – დიდი პატივია, ჩვენს ოჯახში რომ ბრძანდებით. ამაზე დიდი სიხარული რა უნდა იყოს!

შავგვრემანი და მძიმექუთუთოებიანი ბელატრისა დას არც გარეგნობით ჰგავდა და არც თავდაჭერითა და ქცევით; ნარცისა გახევებული იჯდა, ის კი ვოლდემორისაკენ წაიხარა, რადგან მასთან მიახლოების წყურვილის გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდა.

– დიდი სიხარული, – გაიმეორა ვოლდემორმა, თავი ოდნავ გადახარა და ბელატრისას დააკვირდა, – სასიამოვნოა ამის მოსმენა, ბელატრისა.

ბელატრისას ლოყები აუვარდისფრდა და თვალები სიხარულის ცრემლით აევსო.

– ჩემმა ბატონმა იცის, რომ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ!

– ჰო, მჯერა, დიდი სიხარული... მაგრამ ნუთუ იმაზე დიდია, რაც ამ კვირას მოხდა თქვენს ოჯახში?

ბელატრისამ პირი დააღო. სახეზე ეწერა, რომ ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ვოლდემორი.

– ვერ მივხვდი, მილორდ.

– შენი ნათესავი, ბელატრისა, და თქვენიც, ლუციუს, ნარცისა, განა მაქცია რემუს ლუპინს არ გაჰყვა ცოლად ამ რამდენიმე დღის წინ? საამაყოდ გაქვთ საქმე!

მაგიდასთან დამცინავმა ხარხარმა იფეთქა. ჩაბჟირებისგან ზოგმა მაგიდაზე მუშტის ბრაგუნი ატეხა. რამდენიმე ჯადოქარმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ერთმანეთს. გიგანტური გველი გააღიზიანა ამ ხმაურმა, ხახა დააღო და ბრაზით ასისინდა, მაგრამ სიკვდილის მხვრელები ისე ერთობოდნენ ბელატრისასა და მალფოების დამცირებით, რომ ეს არც კი შეუმჩნევიათ. ბელატრისას ცოტა ხნის წინ სიხარულით გაბრწყინებული სახე მუქწითლად აუფორაჯდა.

– ეგ ჩვენი დისშვილი არ არის, მილორდ, – წამოიძახა ყურისწამღებ ხარხარში, – მე და ნარცისას... თვალით აღარ გვინახავს ჩვენი და მას მერე, რაც მუქსისხლიანზე გათხოვდა. ჩვენ არც მის შვილთან გვაქვს საქმე და არც იმ ცხოველთან, ის უტვინო ნიმფადორა ცოლად რომ შეირთო.

– შენ რაღას იტყვი, დრაკო? – ჰკითხა ვოლდემორმა და, თუმცა ჩუმად ლაპარაკობდა, იმ სტვენა-სიცილში მაინც ყველას გააგონა, – მიეხმარები ლეკვების გაზრდაში?

მხიარულებამ იმატა. შეშინებულმა დრაკო მალფოიმ ჯერ თავდახრილ მამას შეხედა, მერე კი დედის მზერა დაიჭირა. დედამ

Scanned by CamScanner

თითქმის შეუმჩნევლად გაუქნია თავი და ისევ უგრძნობლად მიაშტერდა კედელს.

– გეყოფათ, – თქვა ვოლდემორმა და გაბრაზებულ გველს მიეფერა, – გეყოფათ.

სიცილი მაშინვე ჩაკვდა.

– დროთა განმავლობაში ბევრი ჩვენი უძველესი საგვარეულო დაავადდა, – თქვა ვოლდემორმა. სუნთქვაშეკრული ბელატრისა ვედრებით შეჰყურებდა, – არადა, ხემ რომ იხაროს, უნდა გასხლა და დაავადებული ტოტები წააჭრა.

– დიახ, მილორდ, – წაიჩურჩულა ბელატრისამ და თვალები კვლავ მადლიერების ცრემლებით აევსო, – როგორც კი შემთხვევა მოგვეცემა!

– მოგეცემათ, – მიუგო ვოლდემორმა, – ყველა დამპალ ტოტს მოვჭრით თქვენს ოჯახშიცა და მთელ მსოფლიოშიც, სანამ მხოლოდ წმინდასისხლიანები არ დავრჩებით...

ვოლდემორმა ლუციუს მალფოის ჯოხი ასწია, მაგიდის თავზე ნელა მოტრიალე სხეულს დაუმიზნა და ოდნავ აიქნია. სხეული კვნესით გამოცოცხლდა და უხილავ ხლართებს შეებრძოლა.

– იცანი ჩვენი სტუმარი, სევერუს? – ჰკითხა ვოლდემორმა სნეიპს.

სნეიპმა თავდაყირა ჩამოკიდებულის სახეს ახედა. ახლა ყველა სიკვდილის მხვრელი შეჰყურებდა ტყვეს, თითქოს ცნობისმოყვარეობის გამოვლენის ნება დართესო. როცა ქალის სახე ბუხარს გაუსწორდა, მან გაბზარული და შეშინებული ხმით წამოიძახა:

– სევერუს! მიშველე!

– აა, დიახ, – წყნარად თქვა სნეიპმა.

– შენ, დრაკო? – ჰკითხა ვოლდემორმა და გველს თავისუფალი ხელი გადაუსვა თავზე. დრაკომ გამწარებით გაიქნია თავი. მას შემდეგ, რაც ქალი გონს მოვიდა, თავჩაქინდრული იჯდა და ზევით ახედვას ვეღარ ბედავდა.

– თუმცა, შენ ხომ მის გაკვეთილებს არ ესწრებოდი, – თქვა ვოლდემორმა, – ვინც არ იცნობთ, მოგახსენებთ, რომ დღეს ჩვენი სტუმარია ჩერიტი ბარბიჯი, ბოლო დრომდე ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის პროფესორი.

მაგიდის გარშემო ჩურჩული გაისმა. ერთი ჩასხმული, მოხრილი და კბილებწანვეტებული ქალი კი ხმამაღლა აქირქილდა:

– დიახ, როგორ არ ვიცნობთ... პროფესორი ბარბიჯი ჯადოქარ ბავშვებს მაგლების ამბავს ასწავლიდა და ეუბნებოდა, ჩვენგან დიდად არ განსხვავდებიანო...

Scanned by CamScanner

რომელიღაცა სიკვდილის მხვრელმა იატაკზე დააფურთხა. ჩერიტი ბარბიჯის სახე ისევ სნეიპის სახისკენ შებრუნდა:

– სევერუს... გთხოვ... გთხოვ...

– ჩუმად! – თქვა ვოლდემორმა, ერთხელაც აიქნია მალფოის ჯოხი და ჩერიტს ხმა ჩააწყვეტინა, – პროფესორ ბარბიჯს ჯადოქართა ბავშვებისთვის ტვინის მოწამვლა არ ეყო. გასულ კვირას მუქსისხლიანთა დასაცავად მგზნებარე სტატია გამოაქვეყნა „დილის მისანში", ჯადოქრები უნდა შეურიგდნენ თავიანთი ცოდნისა და მაგიის ქურდებსო. პროფესორ ბარბიჯს თუ დავუჯერებთ, წმინდასისხლიანთა გადაჯიშებაზე სასურველი არაფერია... მისი ნება რომ იყოს, ყველას მაგლებთან ან მაქციებთან მაინც უსათუოდ დაგვაწყვილებდა...

ამჯერად არავის გასცინებია. ვოლდემორის ხმა დაუფარავი ბრაზითა და ზიზღით იყო სავსე. ჩერიტი ბარბიჯი მესამედ შებრუნდა სნეიპისაკენ. ცრემლები თვალებიდან თმაში ჩასდიოდა. სნეიპმა გულგრილად შეხედა. თავმა მალევე დაიწყო შებრუნება სხვა მხარეს.

– ავადა კედავრა.

გაიელვა მწვანე შუქმა და ოთახის ყველა კუნჭული გაანათა. ჩერიტი ბრაგუნით დაეცა მაგიდაზე. მაგიდა შეირყა და აჭრიალდა. რამდენიმე სიკვდილის მხვრელი სავარძლის საზურგეებს მიაწყდა. დრაკო იატაკზე გადავარდა.

– სადილი მიირთვი, ნაგინი, – ნაზად თქვა ვოლდემორმა. დიდი გველი შეირხა და ვოლდემორის ბეჭებიდან პრიალა მაგიდაზე გადასრიალდა.

Scanned by CamScanner

თავი მეორე

გახსენება

ჰარის თითიდან სისხლი თქრიალით წასკდა. მარცხენა ხელი მარჯვენას მოუჭირა, ხმადაბლა შეიგინა და თავისი ოთახის კარი მხრით გააღო. ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა, ფაიფურის მტვრევის ხმა გაისმა: იატაკზე, ზედ კართან დადგმულ ჩაის ფინჯანს დაადგა ფეხი.

– ეს რაღა ჯანდაბაა?..

პრივიტ დრაივის ოთხი ნომრის კიბეზე არავინ ჩანდა. იქნებ ჩაის ფინჯანი დადლიმ დაუდგა – ამაზე ჭკვიანური ხაფანგი მაინც ვერ მოაფიქრდებოდა! ჰარის გაჭრილი ხელი დაბლა არ დაუშვია, მეორე ხელით ისე მოაგროვა ფინჯნის ნამსხვრევები და თავის ოთახში მდგარ თავახდილ ნაგვის ურნაში ჩაუძახა. მერე სააბაზანოში შევიდა და თითი ონკანს შეუშვირა.

რა სულელური წესია, როგორ ეშლება ნერვები, რომ კიდევ ოთხ დღეს ვერ გამოიყენებს ჯადოქრობას... თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ჭრილობას მაინც ვერაფერს უშველიდა. ჭრილობების შეხორცება არ უსწავლია და ახლაღა დაფიქრდა, რომ მისი ჯადოქრული განათლება ამ მხრივ მართლაც მოიკოჭლებდა, მით უმეტეს, თუ უახლოეს გეგმებსაც გაითვალისწინებდა. თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა, თუ დამჭირდა, ჰერმიონს ვკითხავ, როგორ უნდა ჭრილობების შეხორცებაო. მერე ბლომად მოხია ტუალეტის ქაღალდი, დაღვრილი ჩაი შეძლებისდაგვარად მოწმინდა, თავის ოთახში შებრუნდა და კარი მიიჯახუნა.

მთელი დილა ექვსი წლის წინ ჩალაგებული სასკოლო ჩემოდნის დაცლას მოანდომა. წინა წლებში ასე, სამ მეოთხედს ამოყრიდა ხოლმე, ზოგს ახლით შეცვლიდა, ძირში კი მაინც მუდამ რჩებოდა ათასნაირი ნაგავი: ნახმარი ბატის ფრთები, ხოჭოს გამხმარი თვალები თუ გამოუსადეგარი ცალ-ცალი წინდა. რამდენიმე წუთის

Scanned by CamScanner

წინ სწორედ ამ გროვაში ქექვისას გაიჭრა მარჯვენა ხელის არათითი.

ახლა უფრო ფრთხილობდა. ჩემოდანთან ისევ ჩაიჩოქა, ფსკერი მიქექ-მოქექა და ყველაფერი ამოალაგა. აქ იყო ძველი სამკერდე ნიშანი, რომელზეც ხან „მხარს ვუჭერთ სედრიკ დიგორის" გაკრთებოდა, ხან კი – „პოტერი ჩაფლავდება"; გაბზარული მავნოსკოპი და ოქროს მედალიონი შიგ ჩამალული წერილით, რომელსაც რ.ა.ბ. აწერდა ხელს. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო იმ წვეტიან საგანს, თითი რითაც გაეჭრა. მაშინვე იცნო. ეს იმ ჯადოსნური სარკის ნატეხი იყო, გარდაცვლილმა ნათლიამ, სირიუსმა რომ აჩუქა. ნატეხი გვერდზე გადადო და დანარჩენი ნატეხების მოსაძებნად ფრთხილად მოსინჯა ჩემოდნის ფსკერი, მაგრამ ნათლიის უკანასკნელი საჩუქრიდან შუშის ნაფხვენებიღა დარჩენილიყო, რომელიც მოციმციმე ქვიშასავით მოსდებოდა ძირში ჩაყრილ ხარახურას.

წამოჯდა და უსწორმასწორო ნატეხს დახედა, მაგრამ სარკიდან მხოლოდ თავისივე კაშკაშა მწვანე თვალებმა შემოანათა. ნატეხი საწოლზე მიგდებულ „დილის მისნის" ბოლო, ჯერაც წაუკითხავ ნომერს დაადო და ჩემოდანში ჩარჩენილ ძველმანებს შეუტია, რათა უეცრად მოწოლილ მწარე მოგონებებს, სინდისის ქენჯნასა და სარკის გატეხის მიზეზის გაგების სურვილს გაჰქცეოდა.

კიდევ ერთი საათი დასჭირდა, სანამ ჩემოდანს მთლიანად დაცლიდა, უსარგებლო ნივთებს გადაყრიდა და დანარჩენებს იმის მიხედვით დაახარისხებდა, თუ რომელი გამოადგებოდა და რომელი – არა. სკოლის მანტიები და ქვიდიჩის ფორმა, ქვაბი, პერგამენტები, ფრთები და სახელმძღვანელოების უმეტესობა ერთ კუთხეში დაახვავა – ამ ყველაფერს იქვე ტოვებდა. გაიფიქრა, ალბათ, ამ ნივთებს დეიდაჩემი და ბიძაჩემი საშინელი დანაშაულის სამხილებივით უკუნეთ ღამეში დაწვავენო. მაგლური ტანსაცმელი, უჩინმაჩინის მოსასხამი, შხამწამლების დასამზადებელი კომპლექტი, ზოგიერთი წიგნი, ჰაგრიდის ნაჩუქარი ფოტოსურათების ალბომი, წერილების შეკვრა და ჯადოსნური ჯოხი ძველ ზურგჩანთაში ჩაალაგა. წინა ჯიბეში ონავართა რუკა და რ.ა.ბ.-ის წერილიანი მედალიონი მოათავსა. მედალიონს იმიტომ კი არ არგუნა საპატიო ადგილი, რომ ძვირფასი იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი მოპოვება ძვირად დაუჯდა.

მაგიდაზე თოვლივით ქათქათა ბუ ჰედვიგი და გაზეთების მოზრდილი გროვაღა დარჩა: თითო გაზეთი ამ ზაფხულს პრივიტ დრაივზე გატარებულ თითო დღეზე მიანიშნებდა.

წამოდგა, გაიზმორა და მაგიდასთან მივიდა. ჰედვიგი არ განძრეულა. ჰარი გაზეთების გადარჩევას შეუდგა. სათითაოდ იღებდა და ურნაში აგდებდა. ბუს ან ეძინა, ან თავს იმძინარებდა; პატრონს

Scanned by CamScanner

ემდუროდა, რადგან ამ ბოლო დროს გალიიდან ცოტა ხნით უშვებდა ხოლმე.

როცა გროვა შეცოტავდა, ჰარიმ იმ ნომრის ძებნა დაიწყო, რომელიც იმ ზაფხულს პრივიტ დრაივზე დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში მოვიდა. ახსოვდა, რომ პირველ გვერდზე შენიშვნა იყო ჰოგვორტსის მაგლთმცოდნეობის მასწავლებლის, ჩერიტი ბარბიჯის, სამსახურიდან წასვლის შესახებ. მალევე მიაგნო ამ ნომერს, სავარძელში ჩაჯდა, მეათე გვერდზე გადაშალა და სტატიის კითხვას შეუდგა:

ალბუს დამბლდორის ხსოვნას

ავტორი: ელფიას დოჭი

ალბუს დამბლდორი თერთმეტი წლისამ გავიცანი ჰოგვორტსში ჩასვლის პირველივე დღეს. შესაძლოა

ერთმანეთისაკენ იმიტომ გაგვიწია გულმა, რომ ორივენი უცხოდ ვგრძნობდით თავს. მე სწავლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დრაკონის ყვავილი გადავიტანე და, მიუხედავად იმისა, რომ ინფექციამ გამიარა, ჩემი მწვანე, დაკენკილი სახე მაინც არავის მოსდიოდა თვალში. რაც შეეხება ალბუსს, იგი ჰოგვორტსში ცუდი სახელით ჩამოვიდა, რის მიზეზიც ის იყო, რომ ერთი წლით ადრე მისი მამა, პერსივალი, სამი ყმაწვილი მაგლისადმი სასტიკად მოპყრობასა და მათზე აშკარა თავდასხმაში დაადანაშაულეს და აზკაბანში ჩასვეს. ალბუსს არც კი უცდია დაემალა, რომ მამამისმა (რომელსაც აზკაბანში სიკვდილი ელოდა) ეს დანაშაული ჩაიდინა; პირიქით, როცა გამბედაობა მოვიკრიბე და ვკითხე, დამიდასტურა, მართლაც ასე იყოო. ამის შემდეგ დამბლდორს კრინტი აღარ დაუძრავს ამ სამწუხარო ამბავზე, თუმცა კი ბევრი ცდილობდა მის ალაპარაკებას. ზოგი აქებდა კიდეც პერსივალის საქციელს და ირწმუნებოდა, ალბუსიც მამამისივით მაგლთმოძულეაო. როგორ ცდებოდნენ! ვისაც კი სცნობია ალბუსი, ყველა დაადასტურებს, რომ იოტისოდენადაც არ ერჩოდა მაგლებს; ის კი არა, მაგლებისთვის მხარდაჭერამ დროთა განმავლობაში ბევრი მტერი გაუჩინა.

გავიდა რამდენიმე თვე და ალბუსმა მამაზე მეტად გაითქვა სახელი. პირველი კურსის დასასრულს მაგლთმოძულის შვილად კი აღარ იცნობდნენ, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, ისეთ ბრწყინვალე სტუდენტად, როგორიც სკოლას დაარსების დღიდან არ ღირსებია. ჩვენ, ვისაც ალბუსის მეგობრობის პატივი გვხვდა წილად, ვცდილობდით, მისთვის მიგვებაძა, და ისიც, თავის მხრივ, დახმარებას არ იშურებდა ჩვენთვის. მოგვიანებით გამომიტყდა, აქ მოსვლის დღიდანვე მივხვდი, რომ მასწავლებლობაზე მეტად არაფერი მსიამოვნებსო.

Scanned by CamScanner

ალბუსი სკოლაში დანესებულ ყველა პრიზს იგებდა, ცოტა ხანში კი მიმონერა გააჩაღა ჩვენი დროის ყველაზე გამოჩენილ ჯადოქრებთან, მათ შორის, სახელგანთქმულ ალქიმიკოს ნიკოლას ფლამელთან, ცნობილ ისტორიკოს ბათილდა ბეგშოთთან და მაგიის თეორეტიკოს ადალბერტ უაფლინგთან. იმხანადვე აღიარება სვდა მის რამდენიმე ნაშრომს: „ტრანსფიგურაცია დღეს", „შელოცვის პრობლემები" და „პრაქტიკოსი მეშხამნამლე". დამბლდორის მომავალი კარიერა ელვისებურად უნდა განვითარებულიყო; ისღა რჩებოდა საკითხავი, როდის გახდებოდა მაგიის მინისტრი. მართალია, შემდგომ ნლებში ამას ხშირად ნინასნარ-მეტყველებდნენ, მაგრამ მინისტრობა არასოდეს დაუსახავს მიზნად.

ჰოგვორტსში სნავლის დანყებიდან სამი ნლის შემდეგ სკოლაში ალბუსის ძმა, აბერფორტი ჩამოვიდა. ძმები ერთმანეთს არ ჰგავდნენ: აბერფორტი ნიგნებს გაურბოდა, ხოლო კამათის დასრულება დუელით ერჩივნა და არა არგუმენტებით. თუმცა, ვერ იტყოდით, ძმები არ მეგობრობენო (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები სნორედ ამას ამტკიცებდნენ): მეტ-ნაკლებად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, რამდენადაც ესოდენ განსხვავებულ ბიჭებს შეეფერებოდათ. აბერფორტის გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ ალბუსის ჩრდილში ცხოვრება დიდად საამური ვერ იქნებოდა. ალბუსის მეგობრებს შუდამ მის ჩრდილში ყოფნა ენერათ და არც ძმას ერგებოდა უკეთესი ხვედრი. როცა მე და ალბუსმა სკოლა დავამთავრეთ, მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, სანამ ჩვენ-ჩვენს კარიერას შევუდგებოდით, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა და უცხოელი ჯადოქრების გაცნობა დავაპირეთ, მაგრამ მოხდა უბედურება: ჩვენი გამგზავრების ნინადღეს ალბუსის დედა, კენდრა გარდაიცვალა და ალბუსი გახდა ოჯახის უფროსიცა და მარჩენალიც. მე გამგზავრება გადავდე, კენდრას დაკრძალვას დავესნარი და მხოლოდ ამის შემდეგ მარტო შევუდექი მოგზაურობას. ალბუსს უმცროსი და-ძმისათვის უნდა მიეხედა, თან ფულიც უჭირდათ, ამიტომ მის ნამოსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ერთმანეთი კარგა ხანს არ გვინახავს. ალბუსს ნერილებს ვნერდი და, ალბათ, უტაქტობას ვიჩენდი, როცა იმ ნერილებში ჩემს თავგადასავლებს ვუყვებოდი: დანყებული იქიდან, თუ როგორ დავუძვერი საბერძნეთში ქიმერებს, დამთავრებული – ეგვიპტელი ალქიმიკოსების ექსპერიმენტებით. პასუხად ალბუსი მოკლედ მნერდა ყოველდღიურ ამბებს, რაც, ალბათ, გაუსაძლისი უნდა ყოფილიყო ასეთი ბრნყინვალე ჯადოქრისათვის. ერთი ნლის მოგზაურობის შემდეგ შემაძრნუნებელი ამბავი გავიგე: დამბლდორებს მეორე ტრაგედია დაატყდათ თავს: გარდაიცვალა ალბუსის და, არიანა.

მართალია, არიანა დიდხანს ავადმყოფობდა, მაგრამ დედის სიკვდილს ასე სნრაფად მოყოლებულმა მეორე დარტყმამ ორივე ძმაზე საშინლად იმოქმედა. ალბუსის ყველა ახლობელი – ბედნიერი ვარ, რომ მეც შემიძლია,

Scanned by CamScanner

მათ რიცხვს მივაკუთვნო თავი – მიიჩნევს, რომ არიანას სიკვდილი, რაშიც ალბუსი თავის თავს ადანაშაულებდა (თუმცა, იგი, რასაკვირველია, სრულიად უდანაშაულო იყო), სამუდამო დაღად დააჩნდა მის პიროვნებას.

მოგზაურობიდან დაბრუნებულს დამხვდა ჭაბუკი, რომელმაც ისეთი ტანჯვა გადაიტანა, როგორიც მოწიფულ ადამიანებსაც კი არ განუცდიათ. ალბუსი წინანდელზე გულჩახვეული და უხალისო გამხდარიყო. თანაც, თითქოს თავსდატეხილი უბედურება არ კმაროდა, არიანას დაკარგვამ ალბუსი და აბერფორტი, დაახლოების ნაცვლად, უფრო დააშორა ერთმანეთს (დროთა განმავლობაში ეს გაუცხოება გაქრა და თანდათან მეტ-ნაკლებად თბილი ურთიერთობის დამყარება მაინც შეძლეს). შემდეგში ალბუსი მშობლებსა და არიანას იშვიათად ახსენებდა ხოლმე. შეგობრებიც მიხვდნენ, რომ აღარც მათ ჰმართებდათ გარდაცვლილთა ხსენება.

ახლა მისი შემდგომი წლების წარმატებებზე მოგითხრობთ: დამბლდორის უზარმაზარი წვლილი ჯადოქრული ცოდნის საგანძურის გამდიდრების საქმეში (მათ შორისაა დრაკონის სისხლის გამოყენების თორმეტი ხერხის აღმოჩენა) მომავალ თაობებს წაადგება, ისევე, როგორც ის სიბრძნე, რომელიც მან შრავალ სასამართლო პროცესზე გამოავლინა ვიზენგამოტის მთავარი მსაჯულის თანამდებობაზე ყოფნისას. იმასაც ამბობენ, რომ ვერც ერთი ჯადოქრული დუელი ვერ შეედრება დამბლდორსა და გრინდელვალდს შორის 1945 წელს გამართულ დუელს. დამსწრენი აღნიშნავენ, თუ რა შიშმა და ძრწოლამ აიტანა ისინი ორი არაჩვეულებრივი ჯადოქრის დუელის ხილვისას. დამბლდორის გამარჯვება და მისი შედეგები ჯადოქრული სამყაროსათვის ისეთივე შემობრუნების წერტილად ითვლება მაგიის ისტორიაში, როგორც საიდუმლოების საერთაშორისო კანონი ან მისი დაცემა, ვისი სახელიც არ ითქმის.

ალბუს დამბლდორი არც პატივმოყვარე გახლდათ და არც თვით-კმაყოფილი; შეეძლო, ნებისმიერ ადამიანში ეპოვა თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ დასაფასებელი თვისება. ჩემი აზრით, ადრეულ ასაკში ახლობლების დაკარგვამ დიდი ჰუმანურობა და თანაგრძნობის უნარი შესძინა. ვერც კი გამოვთქვამ, ისე დამაკლდება მისი შეგობრობა, მაგრამ ჩემი დანაკარგი არაფერია ჯადოქართა სამყაროს დანაკარგთან შედარებით. იგი, უდავოდ, ჰოგვორტსის ყველაზე გამორჩეული და საყვარელი დირექტორი იყო, კეთილი, მამაცი და ყოველთვის მზადმყოფი, ხელი დაუფიქრებლად გაეწოდებინა დრაკონის ყვავილით სახედაკენკილი ბიჭუნასათვისაც კი ეს თვისება გააჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად შევხვდი მას.

ჰარიმ კითხვა დაამთავრა და ნეკროლოგის გვერდით დაბეჭდილ სურათს მიაშტერდა. დამბლდორი ნაცნობი, კეთილი ღიმილით იღიმებოდა, მაგრამ თან თითქოს თავისი ნახევარმთვარისებური სათვალის

Scanned by CamScanner

ზემოდან რენტგენივით გამჭოლად აშუქებდა მას. ამ მზერამ ჰარის სევდის გარდა უხერხულობაც აგრძნობინა.

ეგონა, კარგად იცნობდა დამბლდორს, მაგრამ ამ ნეკროლოგის წაკითხვის შემდეგ იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ თურმე სულაც არ სცნობია. არასოდეს დაფიქრებულა დამბლდორის ბავშვობასა თუ სიჭაბუკეზე; მის თვალში მისი უფროსი მეგობარი თავიდანვე ისეთი იყო, როგორიც გაიცნო – დარბაისელი, ჭაღარა მოხუცი. ჭაბუკი დამბლდორი კი ისევე ვერ წარმოედგინა, როგორც ჰერმიონი – ჩერჩეტად და ცეცხლაკუდა – უწყინარ ცხოველად.

ჰარის არასოდეს მოსვლია აზრად, დამბლდორისათვის წარსული გამოეკითხა. ეს დამბლდორს, უეჭველია, უცნაურ საქციელად, იქნებ თავხედობადაც კი მოსჩვენებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გრინდელვალდთან მისი ლეგენდარული დუელის ამბავი ხომ მაინც ყველამ იცოდა, ჰარის კი ფიქრადაც არ გაუვლია, დამბლდორისათვის ან იმ დუელის, ან რომელიმე სხვა ცნობილი მიღწევის შესახებ რამე ეკითხა. არა, ისინი მუდამ ჰარიზე საუბრობდნენ: ჰარის წარსულზე, ჰარის მომავალზე, გეგმებზე... და ახლა, ასეთი სახიფათო და გაურკვეველი მომავლის ფონზე, მოეჩვენა, რომ აუნაზღაურებელი რამ დაკარგა, რადგან დამბლდორს არაფერი გამოჰკითხა. თუმცა, ისიც გაახსენდა, რომ იმ ერთადერთ პირად შეკითხვაზეც კი, რომელიც დირექტორს დაუსვა, დამბლდორს გულახდილი პასუხი არ გაუცია:

„თქვენ რას ხედავთ, როცა სარკეში იცქირებით?“

„მე? ჩემს თავს ვხედავ, ხელში შალის თბილი წინდები მიჭირავს.“

ჰარი რამდენიმე წუთს ფიქრობდა, მერე ნეკროლოგი ამოხია, საგულდაგულოდ დაკეცა და „პრაქტიკული თავდაცვითი მაგიისა და ბნელი ძალების წინააღმდეგ მისი გამოყენების“ პირველ ტომში ჩადო. დანარჩენი გაზეთები ურნაში ჩაყარა და ოთახი მოათვალიერა. ახლა იქაურობა მილაგებული იყო. მხოლოდ ორი ნივთი იდო უადგილოდ: საწოლზე მიგდებული „დილის მისანი“ და ზედ – სარკის ნატეხი.

ჰარი მივიდა, სარკის ნატეხი გვერდით გადადო და გაზეთი გადაშალა. იმ დილით, როცა ფოსტის ბუს დახვეული გაზეთი გამოართვა, ერთი დახედა და, რაკი ვოლდემორზე არაფერი ეწერა, მოისროლა. დარწმუნებული იყო, რომ სამინისტრო „დილის მისანს“ ვოლდემორთან დაკავშირებულ ახალ ამბებს არ აბეჭდვინებდა, მაგრამ ახლაღა შეამჩნია, რომ რაღაც გამორჩენოდა.

პირველი გვერდის ქვედა ნახევარზე, სწრაფად მიმავალი დამბლდორის სურათის თავზე, მომცრო ასოებით ეწერა:

Scanned by CamScanner

დამბლდორი: ნუთუ გაირკვა სიმართლე?

მომავალ კვირას გამოქვეყნდება თავზარდამცემი ისტორია არც თუ უნაკლო გენიოსისა, რომელსაც ბევრი ჩვენი დროის უდიდეს ჯადოქრად მიიჩნევდა. რიტა სკიტერმა აუღელვებელი, თეთრწვერა ბრძენის ნიღაბი ჩამოხსნა ალბუს დამბლდორს და სააშკარაოზე გამოიტანა მისი მღელვარე ბავშვობა, თავაწყვეტილი სიჭაბუკე, გაუნელებელი მტრობა არა მარტო ერთი ადამიანისადმი და საშარცხვინო საიდუმლოებები, რომლებიც დამბლდორმა საფლავში ჩაიტანა. რატომ დასჯერდა მაგიის მინისტრობის ყველაზე შესაფერისი კანდიდატი უბრალო დირექტორობას? რა არის ნამდვილი მიზანი საიდუმლო ორგანიზაციისა, რომელსაც „ფენიქსის ორდენი“ ჰქვია? სინამდვილეში როგორ მოკვდა დამბლდორი?

ამ და ბევრ სხვა კითხვაზე პასუხი გელით რიტა სკიტერის მიერ დაწერილ ახალ, სენსაციურ ბიოგრაფიაში – „ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე“. ავტორთან ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელსაც მე-13 გვერდზე გთავაზობთ, ჩაწერა ბეტი ბრაითუაიტმა.

ჰარიმ ერთბაშად გადაფურცლა გაზეთი მეცამეტე გვერდზე. სტატიის ზემოთ კიდევ ერთი ნაცნობი სახე დაებეჭდათ: საგულ-დაგულოდ თმადაკულულებულ ქერა ქალს ძვირფასი თვლებით მოვარაყებული სათვალე ეკეთა, გამარჯვების ნიშნად ილიმებოდა, უფრო სწორად, კბილებს კრეჭდა და ცხვირწინ თითს ატრიალებდა. ჰარი შეეცადა, ამ გულისამრევი სახისათვის ყურადღება არ მიექცია და სასწრაფოდ კითხვა განაგრძო.

ცხოვრებაში რიტა სკიტერი იმაზე თბილი და ნაზია, ვიდრე მისი განთქმული, შეუბრალებელი კალმით შექმნილი სტატიების მკითხველს ჰგონია. იგი თავისი მყუდრო სახლის ნინკარში შემეგება და პირდაპირ სამზარეულოში შემიძღვა, სადაც ჩაით, ტორტითა და, რასაკვირველია, მთელი გუდა ახალ-ახალი ჭორებით გამიმასპინძლდა.

– რა თქმა უნდა, დამბლდორის წარსულის გაგება ნებისმიერი ბიოგრაფის ოცნებაა, – ამბობს სკიტერი, – ვის არ დააინტერესებს ასეთი ხანგრძლივი, საინტერესო მოვლენებით აღსავსე ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, ჩემს წიგნს ბევრი სხვა მოჰყვება.

სკიტერმა, მართლაც, ელვისებურად იმუშავა. მისი

Scanned by CamScanner

ცხრაასგვერდიანი წიგნი დამბლდორის იდუმალებით მოცული დაღუპვიდან სულ ოთხიოდე კვირაში დასრულდა. ვეკითხები, როგორ დაასრულა წიგნი ასე სწრაფად.

— ოჰ, ჩემხელა ჟურნალისტური გამოცდილების პატრონს სისწრაფე ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ვიცოდი, რომ ჯადოქართა სამყარო მოუთმენლად ელოდა ყველაფრის გაგებას და მინდოდა, პირველს დამეკმაყოფილებინა ეს ცნობისმოყვარეობა.

მე ვახსენებ ვიზენგამოტის საგანგებო მრჩევლისა და ალბუს დამბლდორის ძველი მეგობრის, ელფიას დოჯის ბოლოდროინდელ, ფართოდ გახმაურებულ შენიშვნას: „შოკოლადის ბაყაყის თანმხლებ ბარათებში გაცილებით მეტი ნამდვილი ფაქტია, ვიდრე სკიტერის წიგნში“.

(სკიტერი გულიანად იცინის)

— ჩვენი საყვარელი დოჯი! ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და, იმ დროს უკვე გამოშტერებული იყო. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ტრიტონთა უფლებების თაობაზე ჩამოვართვი ინტერვიუ. ეგონა, ვინდერმერის ტბის ფსკერზე ვისხედით და ნამდაუწუმ მიმეორებდა, კალმახებს უფრთხილდიო.

მიუხედავად ამისა, დოჯის შენიშვნას ბევრი ეთანხმება. ნუთუ სკიტერს მართლა ჰგონია, რომ ოთხიოდე კვირა კმარა დამბლდორის ხანგრძლივი და საოცარი ცხოვრების სრული სურათის შესაქმნელად?

— ჩემო კარგო (გაბრწყინებული სკიტერი გულითადად მითათუნებს ხელს კალთაზე), თქვენც ხომ კარგად იცით, რამდენ ინფორმაციას დაახვავებთ, თუ გალეონებით სავსე ქისიდან და ფრთიანი ფრაზების ფრთით შეიარაღდებით, ხოლო უარის შემთხვევაში უკან არ დაიხევთ! ხალხი რიგში მედგა, ოღონდ დამბლდორი ტალახში ამოესვარათ. ყველას როდი ჰგონია საოცარი კაცი! იცით, რამდენ ადამიანს აწყენინა? ჰოდა, ჩვენს ეშმაკუნა დოჯს ურჩევნია, ზემოდან აღარ გველაპარაკოს და სიმართლეს თვალი გაუსწოროს, რადგან ინფორმაცია ისეთმა ადამიანმა მომანოდა, ვისთან სასაუბროდაც ბევრი ჟურნალისტი ჯადოსნურ ჯოხს დათმობდა. იმ ჯადოქარს აქამდე საჯარო განცხადებები არასოდეს გაუკეთებია, არადა, დამბლდორის გვერდით იყო მისი სიჭაბუკის ყველაზე მღელვარე და ბობოქარ ხანაში.

Scanned by CamScanner

სკიტერის წიგნის წინასწარი რეკლამით თუ ვიმსჯელებთ, დიდი შოკი ელის ყველას, ვისაც ჰგონია, რომ დამბლდორმა უზადო ცხოვრებით იცხოვრა. მაინც, რა სიურპრიზებს უნდა მოველოდეთ?

— კარგი რა, ბეტი. ყველა დეტალს ხომ არ გავამხელ, ჯერ წიგნი იყიდონ! — ეცინება სკიტერს, — მაგრამ იმას კი გპირდებით, რომ თუ ვინმეს ჯერაც ჰგონია, დამბლდორი თავისი წვერივით სპეტაკი იყოო, დიდი იმედგაცრუება ელის. ვინ იფიქრებდა, რომ ის ჯადოქარი, რომელიც ასეთი შეუბრალებლობით ებრძოდა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, ახალგაზრდობაში თავადაც ერთობოდა ბნელი ძალებით?! ჯადოქარი, რომელიც მოწიფულობაში გამუდმებით შემწყნარებლობისკენ მოუწოდებდა ჯადოქართა მთელ სამყაროს, სიჭაბუკეში სულაც არ იყო ასეთი თვალთახედვის პატრონი! დიახ, ალბუს დამბლდორს ბნელი წარსული აქვს, რომ აღარაფერი ვთქვა მის საეჭვო ოჯახზე, რასაც, შეძლებისდაგვარად ჩქმალავდა.

ვეკითხები, დამბლდორის ძმას, აბერფორტს ხომ არ გულისხმობს, რომელიც თხუთმეტი წლის წინ ვიზენგამოტმა მაგიის არამიზნობრივ გამოყენებაში დაადანაშაულა და ამას მცირე სკანდალიც მოჰყვა.

— არა, აბერფორტი მხოლოდ ნეხვის გროვაა და შეტი არაფერი, — ეცინება სკიტერს, — თხებზე შელოცვების გამოცდის მოყვარული ძმისა თუ მაგლების დამსახიჩრებელი მამის ამბავი ხომ ისედაც ყველას სმენია — დამბლდორმა ეს დანაშაული ვერ მიაჩუმათა და მისი ძმაცა და მამაც ვიზენგამოტის წინაშე წარდგნენ. არა, მე მისმა დედამ და დამ დამაინტერესეს, ცოტა გავიკითხ-გამოვიკითხე და უწმინდურების დიდ ბუდეს მივაგენი. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, უნდა მოითმინოთ, რადგან დეტალები მეცხრე-მეთერთმეტე თავებშია აღწერილი. ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამის წაკითხვის შემდეგ აღარ გაგიკვირდებათ, რატომ არ ჰყვებოდა დამბლდორი თავისი ცხვირის გატეხის ამბავს.

ოჯახური საიდუმლო საიდუმლოდ დარჩეს, მაგრამ იმას მაინც ხომ არ უარყოფს სკიტერი, რომ დამბლდორი ბრნყინვალე ჭკუამ მიიყვანა ბევრ მაგიურ აღმოჩენამდე?

— ჭკუა მართლაც არ აკლდა, — აღიარებს სკიტერი, — თუმცა, ახლა ბევრს აინტერესებს, ნამდვილად მას ეკუთვნის ის მიღწევები თუ არა. მაგალითად, მეთექვსმეტე თავში აივორ დილონბი აცხადებს, მე უკვე აღმოჩენილი მქონდა დრაკონის სისხლის

Scanned by CamScanner

გამოყენების რვა ნესი, როცა დამბლდორმა ნაშრომი „მოხოვაო“.

— კი მაგრამ, დამბლდორის ზოგიერთ მიღწევაში ხომ ეჭვის შეტანა არ შეიძლება, — ვბედავ კითხვას, — მაგალითად, რას იტყვით მის განთქმულ დუელზე გრინდელვალდთან?

— კარგია, რომ გრინდელვალდი ახსენეთ, — მაცდურად იღიმება სკიტერი, — მას, ვისაც გულუბრყვილოდ სწამს დამბლდორის საოცარი გამარჯვების ამბავი, ნამდვილი ბომბი, უფრო მეტიც — ნეხვის ბომბი — ელის. მართლაც რომ, ბინძური საქმე იყო! მხოლოდ ერთს გეტყვით: არ გეგონოთ, რომ ეს ლეგენდარული დუელი სინამდვილეში გაიმართა. ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ ხალხი იძულებული გახდება, დაიჯეროს, რომ გრინდელვალდმა ჯადოსნური ჯოხის წვერიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოაფრიალა და თავის გზაზე წავიდა!

სკიტერი უარს ამბობს ამ ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი საკითხის შესახებ ცოტა მეტის თქმაზე, ამიტომ თემას ვცვლი და დამბლდორისა და იმ ადამიანის ურთიერთობის შესახებ ვეკითხები, რომელიც მკითხველს ყველაზე მეტად დააინტერესებს.

— დიახ, — ცქვიტად მიქნევს თავს სკიტერი, — მთელ თავს ვუძღვნი პოტერისა და დამბლდორის ურთიერთობას, რომელიც სრულიად არაჯანსაღი იყო; მე ვიტყოდი, საშინელიც კი. ამ ყველაფრის გასაგებად თქვენმა მკითხველებმა წიგნი უნდა იყიდონ. ერთს კი გეტყვით, რომ უეჭველია, დამბლდორს თავიდანვე არაბუნებრივი ინტერესი ჰქონდა პოტერისადმი. ბიჭის სასიკეთოდ ხდებოდა ეს თუ არა, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ პოტერს ძძიმე ბავშვობა ჰქონდა.

ვეკითხები, ახლაც აქვს თუ არა ურთიერთობა სკიტერს ჰარი პოტერთან, რომელსაც შარშან ჩამოართვა გახმაურებული ინტერვიუ: წარმატებული სტატია, რომელშიც პოტერი ამტკიცებდა, ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდაო.

— როგორ არა, ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდით კიდევაც, — ამბობს სკიტერი, — სანყალ პოტერს ორიოდე ნამდვილი მეგობარი თუ ეყოლება. მას ცხოვრების ერთ-ერთ დიდ გამოცდაზე — სამი ჯადოქრის ტურნირზე შევხვდი პირველად. ცოცხლად დარჩენილთა შორის მე, ალბათ, იმ მცირედთაგანი ვარ, ვისაც შეუძლია თქვას, რომ რეალურ ჰარი პოტერს იცნობს.

Scanned by CamScanner

ამას პირდაპირ მივყავართ იმ ჭორებამდე, რომლებიც დღემდე ვრცელდება დამბლდორის უკანასკნელი საათების შესახებ. სჯერა თუ არა სკიტერს, რომ პოტერი შეესნრო დამბლდორის სიკვდილს?

– ზედმეტს არაფერს ვიტყვი: ყველაფერი წიგნში წერია, მაგრამ ჰოგვორტსის ციხე-კოშკში მონმეებმა დაინახეს, რომ დამბლდორის გადმოვარდნიდან, გადმოხტომიდან თუ გადმოგდებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ პოტერი კოშკიდან გარბოდა. მოგვიანებით მან ჩვენება მისცა სევერუს სნეიპის წინააღმდეგ. არადა ფაქტია, და ეს ყველამ იცის, რომ პოტერს სნეიპი წარმოუდგენლად სძულს. ნუთუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩანს? ამის გადაწყვეტას ჯადოქრულ საზოგადოებას ვანდობ მას შემდეგ, რაც ჩემს წიგნს წაიკითხავენ.

ამ დამაინტრიგებელ ნოტზე ვემშვიდობები მასპინძელს. უეჭველია, სკიტერის ფრთიანი ფრაზების ფრთით ჩანიკნიკებული წიგნი ბესტსელერად იქცევა, მანამდე კი დამბლდორის თაყვანისმცემელთა ლეგიონი მართლაც შიშით უნდა თრთოდეს იმის მოლოდინში, თუ რა სიახლე ამოტივტივდება მათი გმირის შესახებ.

ჰარიმ სტატია ჩაიკითხა, მაგრამ კვლავ უაზროდ დასცქეროდა გადაშლილ ფურცელს. ზიზღისა და ბრაზისგან სუნთქვა ეკვროდა; გაზეთი დაჭმუჭნა და მთელი ძალით გაუქანა კედელს.

მერე ოთახში აწრიალდა – ხან ცარიელ უჯრებს აღებდა შეუგნებლად, ხან წიგნს დასტაცებდა ხელს და ისევ თავის ადგილზე ახეთქებდა. თავში სულ რიტას სტატიის ფრაზები უტრიალებდა: „მთელი თავი ეძღვნება პოტერისა და დამბლდორის ურთიერთობას, რომელიც სრულიად არაჯანსაღი იყო... საშინელიც კი... სიჭაბუკეში ბნელი ძალებით ერთობოდა... ინფორმაცია ისეთმა ადამიანმა მომაწოდა, ვისთან სასაუბროდაც ბევრი ჟურნალისტი ჯადოსნურ ჯოხს დათმობდა...“

– ტყუილია! – იღრიალა ბოლოს და ფანჯრიდან დაინახა, რომ მეზობელმა ბალახის საკრეჭი მანქანა შეაჩერა და ნერვიულად აიხედა ზევით.

ჰარი ლოგინზე დაეხეთქა. გვერდზე გადავარდნილი სარკის ნატეხი აიღო და თითებში შეატრიალა, თან დამბლდორზე ფიქრობდა, დამბლდორსა და რიტა სკიტერის მოგონილ ბინძურ სიცრუეზე...

უცებ სარკეში კაშკაშა ცისფერმა შუქმა გაიელვა. ჰარი გაშეშდა, გაჭრილი თითი ნატეხის უსწორმასწორო კიდეზე გაუსრიალდა.

Scanned by CamScanner

ალბათ, მოეჩვენა, ნამდვილად მოეჩვენა. უკან გაიხედა, მაგრამ მხოლოდ დეიდა პეტუნიას გემოვნებით შერჩეული გულისამრევი ვარდისფერი კედელი დახვდა. ცისფერი არაფერი ჩანდა, რომ სარკეს აერეკლა. კვლავ დახედა ნატეხს, მაგრამ იქიდან მხოლოდ თავისმა მწვანე თვალებმა შემოანათა.

არა, ნამდვილად მოეჩვენა, მაშ, სხვა რა იქნებოდა! მოეჩვენა, იმიტომ, რომ თავის გარდაცვლილ დირექტორზე ფიქრობდა. ერთდერთი რამ იყო ცხადზე უცხადესი – ალბუს დამბლდორის კაშკაშა ცისფერ თვალებს ვეღარასოდეს დაინახავდა.

Scanned by CamScanner

თავი მესამე

დერსლების გამგზავრება

სადარბაზო კარის ჯახუნის ექო კიბეზე აიჭრა და გაისმა ღრიალი:

– ეი, შენ!

თექვსმეტი წელია, ასე მიმართავდა ძია ვერნონი, ამიტომ ჰარი ახლაც მშვენივრად მიხვდა, რომ სალაპარაკოდ ეძახდა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ჯერაც სარკის ნატეხს დაჰყურებდა, რომელშიც წამით დამბლდორის თვალები მოეჩვენა. ერთხელაც რომ მოესმა ბღავილი, – ბიჭოო! – მერეღა წამოიზლაზნა საწოლიდან და კარისკენ წავიდა. გზად შეჩერდა და სარკის ნატეხი ზურგჩანთაში იმ ნივთებს მიამატა, რომლების წაღებასაც აპირებდა.

– მოდიხარ თუ არა?! – იბღავლა ვერნონ დერსლიმ, როცა ჰარი კიბის თავზე გამოჩნდა, – დროზე ჩამოდი, რაღაც უნდა გითხრა.

ჰარიმ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ტაატით ჩაუყვა კიბეს. სასტუმრო ოთახში ჩასულს სამივე დერსლი იქ დაუხვდა. სამგზავროდ ჩაცმულები ბარგს ალაგებდნენ. ძია ვერნონს ძველი, დავიწროებული პიჯაკი ტანზე ასკდებოდა, ჰარის ზორბა, ქერა, დაკუნთული დეიდაშვილი დადლი კი ტყავის ქურთუკში ჩაკვეხებულიყო.

– გისმენ!

– დაჯექი! – უბრძანა ძია ვერნონმა.

ჰარიმ წარბები ასწია.

– გთხოვ, – დაამატა ძია ვერნონმა და ისე შეკრთა, გეგონებოდა, ეს სიტყვა ყელში გაეჩხირაო.

ჰარი დაჯდა. იცოდა, რაც ელოდა. ძია ვერნონი აქეთ-იქით აწყდებოდა, დეიდა პეტუნია და დადლი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს. ბოლოს ვერნონმა დიდი, აჭარხლებული სახე დაძაბულმა მოჭმუხნა და ჰარის წინ გაჩერდა:

– გადავიფიქრე.

Scanned by CamScanner

– რა სიურპრიზია, – თქვა ჰარიმ.

– როგორ ბედავ ასეთი ტონით ლაპარაკს, – აწიწინდა დეიდა პატუნია, მაგრამ ვერნონ დერსლიმ ხელის აქნევით გააჩუმა.

– ეგ ყველაფერი სისულელეა, – თქვა ძია ვერნონმა და პატარა, ღორის თვალებით მიაშტერდა ჰარის, – შენი არც ერთი სიტყვისა არ მჯერა. ფეხს არ მოვიცვლით, არსადაც არ წავალთ.

ვერნონ დერსლი ბოლო ოთხი კვირაა, ყოველდღე იცვლიდა აზრს და ახალ-ახალი გადაწყვეტილებისამებრ ბარგს ხან ჩაალაგებდა მანქანაში, ხან – ამოალაგებდა. მის ასეთ საქციელზე ჰარი თან ბრაზდებოდა, თანაც ეცინებოდა. ყველაზე მეტად მაშინ იხალისა, როცა ძია ვერნონი საბარგულში დადლის ჩემოდანს დებდა, რომელშიც დადლის ჰანტელებიც ჩაეწყო, ჩემოდანი გაუსხლტა, ფეხზე დაეცა და ტკივილისაგან აჭყივლდა, თან გინებით აიკლო ყველა და ყველაფერი.

– შენ თუ დაგიჯერე, – თქვა ძია ვერნონმა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა, – ჩვენ – მე, პეტუნიას და დადლის, – ვიღაც გვემუქრება, ვიღაც... ვიღაც...

– „ჩემიანი", არა? – უთხრა ჰარიმ.

– ჰოდა, არ მჯერა! – გაიმეორა ძია ვერნონმა და ისევ ჰარის წინ დადგა, – მთელი ღამე თეთრად გავათენე და მივხვდი, რომ სახლის ხელში ჩაგდება გინდა.

– სახლის? – გაოცდა ჰარი, – რომელი სახლის?

– ამ სახლის! – დაიბღავლა ძია ვერნონმა და შუბლზე ძარღვმა ფეთქვა დაუწყო, – ჩვენი სახლის! ამ რაიონში ბინების ფასმა აიწია! გინდა, თავიდან მოგვიშორო, მერე ჯადო-მადო გააკეთო და, სანამ გონს მოვალთ, ყველაფერი შენს სახელზე გადაიფორმო...

– ხომ არ გაგიჟებულხართ? – აღშფოთება ვერ დამალა ჰარიმ, – ამ სახლის დაპატრონება მინდა? მართლა ასეთი სულელი ხართ თუ თავს ისულელებთ?

– არ გაბედო! – დაიწივლა დეიდა პეტუნიამ, მაგრამ ვერნონმა ისევ აუქნია ხელი. სახლის დაკარგვის საფრთხესთან შედარებით, უპატივცემულობის გამოვლენა აღარაფრად ეჩვენებოდა.

– ისე, თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ ჩემმა ნათლიამ უკვე დამიტოვა სახლი. ეს თქვენი სახლი რაღა ჯანდაბად მინდა? თქვენი აზრით, აქაურობასთან კარგი მოგონებები მაკავშირებს? – თქვა ჰარიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი მიხვდა, რომ ბიძაზე შთაბეჭდილება მოახდინა.

– მაშ, შენ ამტკიცებ, რომ ის ვიღაც ლორდი... – ისევ ბოლთა დასცა ძია ვერნონმა.

Scanned by CamScanner

– ვოლდემორი, – მოუთმენლად შეახსენა ჰარიმ, – ასჯერ გითხარით, რომ კი არ ვამტკიცებ, ეს ფაქტია. შარშან ხომ გითხრათ დამბლდორმა, მერე კი – კინგსლიმ და ბატონმა უისლიმაც...

ვერნონ დერსლიმ ბრაზით წამოსწია მხრები და ჰარი მიხვდა, რომ ბიძამისი ცდილობდა, გადაევიწყებინა, როგორ ესტუმრა ორი მონიფული ჯადოქარი ზაფხულის არდადეგების დაწყებიდან რამდენიმე დღეში, თანაც წინასწარი გაფრთხილების გარეშე. კინგსლი შეკლბოლტისა და არტურ უისლის აქ მოსვლა ნამდვილი ელდა იყო დერსლებისთვის. ისე კი, ერთხელ ბატონმა უისლიმ დერსლებს ისე დაურბია სასტუმრო ოთახი, რომ მისი გამოჩენა ძია ვერნონს ვერანაირად ვერ გაახარებდა.

– კინგსლიმ და ბატონმა უისლიმ აგიხსნეს, – განაგრძო ჰარიმ, – რომ როცა ჩვიდმეტისა გავხდები, ჩემი დამცავი შელოცვა ძალას დაკარგავს და თქვენც დაუცველები დარჩებით. ორდენი დარწმუნებულია, რომ ვოლდემორი ხელში ჩაგდებას გიპირებთ: ან ცაწამებთ, რომ ჩემი ადგილსამყოფელი გათქმევინოთ, ან მძევლებად ეყოლებით იმ იმედით, რომ თქვენს გამოსახსნელად მოვალ.

ძია ვერნონმა და ჰარიმ თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ იმ წუთში ორივეს ერთი აზრი მოუვიდა თავში. მერე ძია ვერნონმა ისევ განაახლა ბოლთის ცემა და ჰარიმაც განაგრძო:

– უნდა დაიმალოთ, ორდენი დაგეხმარებათ. შეძლებისდაგვარად სერიოზულად დაგიცავენ.

ძია ვერნონმა ხმა არ გასცა და ისევ გაიარ-გამოიარა. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ დაეშვა მზე მესრის თავზე. კარის მეზობელმა ისევ გააჩერა ბალახის საკრეჭი მანქანა.

– მე მეგონა, მაგიის სამინისტრო არსებობდა, – წამოისროლა ძია ვერნონმა.

– არსებობს კიდეც, – გაკვირვებით მიუგო ჰარიმ.

– მერე, ის ვერ დაგვიცავს? ჩვენნაირ უდანაშაულო ხალხს, ვისაც მხოლოდ ის შეეშალა, რომ ძებნილი ბიჭი შეიფარა, მთავრობისგან დაცვა ეკუთვნის!

ჰარიმ თავი ვერ შეიკავა და გაეცინა. ძია ვერნონს ასე სჩვეოდა – მუდამ მთავრობის იმედი ჰქონდა, იმ სამყაროშიც კი, რომელიც სძულდა და რომლისაც არ სჯეროდა.

– ხომ გაიგონეთ, რაც ბატონმა უისლიმ და კინგსლიმ გითხრეს, – უპასუხა ჰარიმ, – ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვოლდემორის ჯაშუშებმა სამინისტროშიც შეაღწიეს.

ძია ვერნონი ბუხართან მიქანდა და უკანვე გამოენთო. ისე ფშვი-

Scanned by CamScanner

ნავდა, რომ ფიქრისაგან ჯერაც აჭარხლებულ სახეზე ვეება ულვაში ექოჩრებოდა.

– კარგი, – თქვა და ისევ ჰარის წინ შეჩერდა, – ვთქვათ და, დავთანხმდით ამ დაცვას. მაინც ვერ მივხვდი, რატომ არ შეიძლება, რომ თვითონ იმ ტიპმა, კინგსლიმ, დაგვიცვას.

ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ წონასწორობა არ დაეკარგა. ამ კითხვაზე უკვე მეათედ უწევდა პასუხის გაცემა.

– ხომ გითხარით, – გამოცრა კბილებში, – კინგსლი მაგლ... თქვენს პრემიერ-მინისტრს იცავს.

– აი, მეც მანდა ვარ! გამოდის, რომ ის ყველას სჯობია! – თქვა ძია ვერნონმა და ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანზე მიუთითა. დერსლებმა ახალ ამბებში მოჰკრეს თვალი საავადმყოფოში ვიზიტად მისული პრემიერ-მინისტრის გვერდით მიმავალ კინგსლის. ამას ისიც დაემატა, რომ კინგსლის მაგლური ჩაცმა-დახურვა ეხერხებოდა და დინჯი, გამამხნევებელი ბოხი ხმით საუბრობდა, ჰოდა, დერსლებს ისე მოეწონათ, როგორც თავის დღეში არც ერთი ჯადოქარი არ მოსწონებიათ. თუმცა ეს კია, რომ კინგსლი საყურეგაყრილი არასოდეს ენახათ.

– რას ვიზამთ, არ სცალია, – უთხრა ჰარიმ, – მაგრამ არც ჰესტია ჯონსი და დედალუს დიგლი ჩამოუვარდებიან...

– მაგათი საბუთები რომ გვაჩვენა... – დაიწყო ძია ვერნონმა, მაგრამ ჰარის მოთმინება დაეკარგა, წამოდგა, ბიძას მიუახლოვდა და ახლა თვითონ მიუთითა ტელევიზორზე.

– ხომ არ გგონიათ, რომ მართლა უბედური შემთხვევები ხდება: ავარიები, აფეთქებები, რელსებიდან გადავარდნები და ყველაფერი, რასაც ახალ ამბებში ვუყურებთ. ხალხი ქრება და იღუპება, ამის უკან კი ვოლდემორი დგას. ათასჯერ გითხარით, მაგლებს გასართობად ხოცავს-მეთქი. ნისლიც კი დემენტორების ბრალია. და თუ არ გახსოვთ, ვინ არიან დემენტორები, თქვენს შვილს ჰკითხეთ!

დადლიმ პირზე ხელები აიფარა და მერე ხმაჩამწყდარმა ჩურჩულით იკითხა:

– იმათ გარდა... კიდევ არიან?

– კიდევ? – გაეცინა ჰარის, – შენ რომ თავს დაგესხნენ, იმ ორის გარდა? არიან რომელია! ასობით და, ალბათ, უკვე ათასობითაც; ისინი ხომ შიშითა და სასონარკვეთით იკვებებიან და მრავლდებიან...

– კარგი, კარგი, – დაიღრიალა ვერნონ დერსლიმ, – გავიგეთ, გავიგეთ!

– კარგია, თუ გაიგეთ, – მიუგო ჰარიმ, – იმიტომ, რომ როგორც კი ჩვიდმეტისა გავხდები, ყველანი: სიკვდილის მხვრელები, დემენ-

Scanned by CamScanner

ტორები, ალბათ, ინფერიუსებიც ანუ შავი მაგიის მორჩილი გვამები, მოგაგნებენ და შემოგიტევენ. და თუ გახსოვთ, წინათ როგორ ცდილობდით ჯადოქრებისგან თავის დაღწევას, ალბათ, დამეთანხმებით, რომ შველა გჭირდებათ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და ჰარის თითქოს წარსულიდან მოესმა ჰაგრიდისგან შემონგრეული ხის კარის შორეული ექო. დეიდა პეტუნია ძია ვერნონს უყურებდა, დადლი ჰარის მიშტერებოდა. ბოლოს ძია ვერნონმა ამოთქვა:

– ჰო, მაგრამ ჩემი სამსახური? დადლის სკოლას რაღა ვუყოთ? უსაქმურ ჯადოქრებს ეგ, ალბათ, არ ადარდებთ.

– ისევ თავიდან ინყებთ? – უყვირა ჰარიმ, – თქვენც ჩემი მშობლებივით გაწამებენ და დაგხოცავენ!

– მამი, – ხმამაღლა თქვა დადლიმ, – მამი, მე გავყვები იმ ორდენის ხალხს.

– ყოჩაღ, დადლი, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, – ცხოვრებაში პირველად ლაპარაკობ აზრიანად! – მიხვდა, რომ ბრძოლა მოიგო. თუ დადლი ისე დაფრთხა, რომ ორდენის დახმარებას არ უარობდა, მშობლებიც თან გაჰყვებოდნენ. აბა, დადლიკუნას მარტო ხომ არ გაუშვებდნენ? ჰარიმ ბუხრის თავზე დადგმულ ქანქარიან საათს ახედა.

– ხუთ წუთში აქ იქნებიან, – თქვა და როცა დერსლებმა ხმა არ გასცეს, ოთახიდან გავიდა. დეიდასთან, ბიძასა და დეიდაშვილთან დაშორება – ვინ იცის, სამუდამოდაც – ძალიანაც ახალისებდა, მაგრამ თან უხერხულობასაც გრძნობდა. რა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის თექვსმეტი წლის გაუნელებელი სიძულვილის შემდეგ?

თავის ოთახში დაბრუნებულმა ზურგჩანთა აიღო, უაზროდ გაიარ-გამოიარა და ჰედვიგს გალიაში ორიოდე ბუს კაკალი შეუგდო. კაკლები ყრუ ხმაურით დაცვივდა გალიის იატაკზე. ჰედვიგს ზედაც არ შეუხედავს.

– ცოტაც და, წავალთ, – უთხრა ჰარიმ, – მერე, რამდენიც გინდა, იმდენი იფრინე.

კარზე ზარმა დარეკა. ჰარი შეყოყმანდა, მერე ოთახიდან გავიდა და ქვემოთ ჩავიდა. იმის იმედად ხომ ვერ იქნებოდა, რომ ჰესტია და დედალუსი მარტონი მოუვლიდნენ დერსლებს.

– ჰარი პოტერ! – კარის გაღებისთანავე გაისმა მღელვარე წრიპინი; პატარა კაცმა ვარდისფერი, წონწოლა ქუდი მოუხადა და თავი მდაბლად დაუკრა, – დიდი პატივია, როგორც ყოველთვის!

– გმადლობ, დედალუს, – უთხრა ჰარიმ და შავთმიან ჰესტიას უხერხულად გაუღიმა, – რა კარგია, რომ მოხვედით... დეიდაჩემი, ბიძაჩემი და ჩემი დეიდაშვილი აქ არიან...

Scanned by CamScanner

– მოგესალმებით, ჰარი პოტერის ნათესავებო! – სიხარულით თქვა დედალუსმა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა. თუმცა, დერსლებს ეს მიმართვა სულაც არ ეპიტნავათ; ჰარის გული გადაუქანდა, წასვლა ისევ არ გადაიფიქრონო. ჯადოქრების დანახვაზე დადლი მოიბუზა და დედას მიეკრა.

– ვხედავ, ბარგი ჩაგილაგებიათ და მზად ხართ. ჩინებულია! ჩვენი გეგმა, როგორც ჰარიმ გითხრათ, მარტივია, – თქვა დედალუსმა, ჟილეტიდან ვეება ჯიბის საათი ამოიღო და დახედა, – ჩვენ ჰარის წასვლამდე უნდა გავიდეთ. თქვენს სახლში მაგიის გამოყენება სახიფათოა, ჰარი ჯერაც არასრულწლოვანია და სამინისტროს მისი დაპატიმრების საბაბი არ უნდა მივცეთ, ამიტომ ათიოდე კილომეტრს მანქანით გავივლით, მერე კი აპარაციას გამოვიყენებთ და თქვენთვის შერჩეულ უხიფათო ადგილას გადავალთ. მანქანის ტარება ხომ იცით? – თავაზიანად ჰკითხა ძია ვერნონს.

– მანქანის ტარებაო? ისე ვიცი, როგორც დაგიბარებია! – მიაყარა ძია ვერნონმა.

– რა ჭკვიანი ყოფილხართ, ბატონო. მე, პირადად, ამდენი ღილაკისა და სახელურის დანახვაზე სულ ავირ-დავირეოდი, – უთხრა დედალუსმა. ეტყობა ეგონა, ვაამებო, არადა ძია ვერნონს დედალუსის ყოველ სიტყვაზე უფრო და უფრო ეპარებოდა ეჭვი მათი გეგმის სანდოობაში.

– მანქანის ტარება რაღაა, რომ ეგეც არ იცის, – ჩაიდუდღუნა და ულვაში აღშფოთებით აექოჩრა, მაგრამ ბედად, ვერც დედალუსმა გაიგონა და ვერც ჰესტიამ.

– ჰარი, შენ აქ დაუცდი შენს დაცვას, – განაგრძო დედალუსმა, – გეგმა ცოტათი შეიცვალა...

– როგორ თუ შეიცვალა? – მაშინვე ჰკითხა ჰარიმ, – მე მეგონა, მრისხანეთვალა მოვიდოდა და თანააპარაციას გამოვიყენებდით.

– ვერა, – მოუჭრა ჰესტიამ, – მრისხანეთვალა აგიხსნის.

დერსლები სათითაოდ ათვალიერებდნენ სამივეს და სახეზე ეწერათ, რომ ვერაფერი გაეგოთ. მერე უცებ შეხტნენ, რადგან ვიღაცამ შესძახა: დაუჩქარეთო! ჰარიმ მიიხედ-მოიხედა და როგორც იქნა, მიხვდა, რომ დედალუსის ჯიბის საათი ყვიროდა.

– მართალია, დრო არ ითმენს, – თქვა დედალუსმა, საათს თავი დაუქნია და ისევ ჟილეტში ჩაიდო, – ვცდილობთ, ამ სახლიდან შენი გამგზავრება შენი ოჯახის აპარაციას დავამთხვიოთ, – და დერსლებს მიუბრუნდა, – აბა, მზად ხართ?

არც ერთმა არ უპასუხა. ძია ვერნონი კვლავ დედალუსის ჟილეტის გამობერილ ჯიბეს უყურებდა.

Scanned by CamScanner

– იქნებ დერეფანში მოვიცადოთ, დედალუს, – ჩაიდუდუნა ჰესტიამ. აშკარად ეუხერხულებოდა ოთახში დარჩენა, სანამ ჰარი და დერსლები ტკბილად და, იქნებ, ცრემლის ღვრითაც გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

– არ არის საჭირო, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ. ამ დროს ძია ვერნონმაც წამოისროლა, აბა, კარგად იყავი, ბიჭოო, და მარჯვენა ასწია, თითქოს ჰარისთვის უნდა ჩამოერთმია, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა, ხელი მომუჭა და ქანქარასავით გაიქნ-გამოიქნია.

– მზად ხარ, დადი? – ჰკითხა პეტუნიამ და ხელჩანთის საკეტს დაუწყო წვალება, რათა ჰარისთვის არ შეეხედა.

დადლიმ ხმა არ გასცა, გოლიათ გრაუპივით პირდაღებული იდგა და იატაკს დასჩერებოდა.

– მაშ, წავიდეთ, – თქვა ძია ვერნონმა.

თითქმის კართან იყვნენ მისულები, რომ დადლიმ ჩაიბუტბუტა:

– მაინც ვერ გავიგე!..

– რა ვერ გაიგე, გენაცვალე? – ჰკითხა პეტუნიამ.

დადლიმ დიდი, ბარძაყისოდენა ხელი ასწია და ჰარისკენ გაიშვირა:

– რატო არ მოდის?

ძია ვერნონი და დეიდა პეტუნია გაშეშდნენ და ისე მიაშტერდნენ დადლის, თითქოს გამოეცხადებინოს, ბალერინა უნდა გავხდეო.

– რაო? – ხმამაღლა თქვა ძია ვერნონმა.

– ის რატო არ მოდის? – ჰკითხა დადლიმ.

– იმიტომ, რომ... არ უნდა, – მიუგო ძია ვერნონმა, შებრუნდა, ჰარის მიაშტერდა და დაუმატა: – ხომ მართლა არ გინდა?

– არა, – უთხრა ჰარიმ.

– აი, ხომ ხედავ, – უთხრა ძია ვერნონმა დადლის, – ახლა კი წავიდეთ.

და ოთახიდან გავიდა. გაიგონეს, როგორ გაიღო სადარბაზო კარი, მაგრამ დადლი არ დაძრულა. დეიდა პეტუნიამ ორიოდე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და თვითონაც შეჩერდა.

– კიდევ რა? – დაიღრინა ძია ვერნონმა და ოთახში შემობრუნდა.

დადლის ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აზრის ჩამოყალიბება უჭირდა. რამდენიმე წუთს თავს ებრძოლა, მერე ძლივს ამოღერღა:

– ჰო, მაგრამ სად მიდის?

დეიდა პეტუნიამ და ძია ვერნონმა გულგახეთქილებმა შეხედეს. ჰესტია ჯონსმა სიჩუმე დაარღვია და გაოცებულმა იკითხა:

– მაგრამ... ნუთუ არ იცით, სადაც მიდის თქვენი ნათესავი?

– როგორ არ ვიცით, – მიუგო ძია ვერნონმა, – ვიღაც თქვენი-

Scanned by CamScanner

ანთან, არა? გეყოფა, დადლი, წამოდი, მანქანაში ჩავსხდეთ. ხომ გაიგონე, რა თქვა იმ კაცმა? გვეჩქარება.

ძია ვერნონი ერთხელაც წავიდა კარისკენ, მაგრამ დადლი არ გაჰყვა.

– ვიღაც ჩვენიანთანო? – აღშფოთდა ჰესტია. ჰარი წინათაც წასწყდომია ასეთ რეაქციას. ჯადოქრებს აცვიფრებდა ის ფაქტი, რომ ახლო ნათესავები არაფრად აგდებდნენ სახელგანთქმულ ჰარი პოტერს.

– არა უშავს, – უთხრა ჰარიმ, – ეგ არაფერი.

– არაფერი? – გაიმეორა ჰესტიამ და ხმას აუწია, – მაშ, ეს ხალხი ვერ ხვდება, რა გამოიარე? ან რა ხიფათი გელოდება მომავალში? არ იციან, რა ადგილი გიჭირავს ვოლდემორის მოწინააღმდეგეთა გულში?

– მმმ... არა, – მიუგო ჰარიმ, – ჰგონიათ, არაფერს წარმოვადგენ, მაგრამ მიჩვეული ვარ...

– მე ასე არ მგონია...

ჰარის თავისი თვალით რომ არ დაენახა, როგორ ამოძრავებდა დადლი ტუჩებს, ყურებს არ დაუჯერებდა. რამდენიმე წამს გაშტერებულმა უყურა და მხოლოდ მერე გაიაზრა, რომ მართლა მისი დეიდაშვილი ლაპარაკობდა. დადლი გაწითლდა. ჰარიც რატომღაც აილეწა:

– მმმ... ისა... გმადლობ, დადლი.

დადლიმ შუბლი შეიჭმუხნა და ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა:

– შენ სიკვდილს გადამარჩინე.

– მთლად ეგრეც არ იყო, – უთხრა ჰარიმ, – დემენტორი მხოლოდ სულის ნაწილს ამოგართმევდა... – და ინტერესით შეხედა დეიდაშვილს. ბოლო ორი ზაფხული იყო, ერთმანეთი რიგიანად არც ენახათ, რადგან ჰარი ცოტა ხნით მოდიოდა პრივიტ დრაივზე და თავისი ოთახიდან თითქმის არ გამოდიოდა. ახლაღა მიხვდა, რომ იმ დილით წაქცეული ჩაის ფინჯანი ბოროტი ხუმრობა სულაც არ ყოფილა. ცოტა არ იყოს, გული აუჩუყდა, მაგრამ თან გაუხარდა, რომ დადლიმ უკვე ამოწურა გრძნობების გამოთქმის შესაძლებლობა: ერთი-ორჯერაც გააღო პირი და დარცხვენილი გაჩუმდა.

დეიდა პეტუნია ცრემლად დაიღვარა. ჰესტია ჯონსმა მონონებით შეხედა მას, მაგრამ გაცეცხლდა, როცა პეტუნია გაექანა და ჰარის კი არა, დადლის მოეხვია:

– რა კარგია, დადლიკუნა, – ქვითინებდა მის ზორბა გულმკერდში თავჩარგული, – რა კარგი ბი-ბიჭი ხარ, მად...ლობა რომ უთხარი...

– მადლობაო? – აღშფოთდა ჰესტია, – მარტო ის უთხრა, მე არ მგონია, რომ არარაობა ხარო!

Scanned by CamScanner

– ჰო, მაგრამ დადლის ნათქვამი სიყვარულის ახსნას უდრის, – მიუგო ჰარიმ და სიცილი ძლივს შეიკავა, რადგან დეიდა პეტუნია ისე იხუტებდა დადლის, თითქოს მან ეს-ესაა, ცეცხლმოდებული შენობიდან გამოიყვანა ჰარიო.

– მივდივართ თუ არა? – ილრიალა ძია ვერნონმა და ერთხელაც გამოჩნდა კარში, – მგონი, ძალიან გვეჩქარებოდა!

– ჰო... ჰო, მივდივართ, – გამოეპასუხა დედალუს დიგლი, რომელიც განცვიფრებული უყურებდა ამ სცენას, მაგრამ მალევე მოიკრიბა გონი, – მართლაც წასვლის დროა. ჰარი... – ახლოს მივიდა, ორივე ხელით ჰარის ხელი ჩაბღუჯა და დაემშვიდობა, – კეთილი მგზავრობა. იმედია, კიდევ შევხვდებით. მთელი ჯადოქრული სამყარო შენს იმედადაა.

– გმადლობ, – შეიშმუშნა ჰარი.

– მშვიდობით, ჰარი, – უთხრა ჰესტიამ და მანაც ჩამოართვა ხელი, – შენზე ვიფიქრებთ.

– მგონი, ყველაფერზე შევთანხმდით, – ჰარიმ დეიდა პეტუნიასა და დადლის გახედა.

– ზუსტად ვიცი, რომ გზაში დავმეგობრდებით, – გულგრილად თქვა დიგლიმ, ქუდი დაუქნია და ოთახიდან გავიდა. ჰესტიაც მიჰყვა.

დადლიმ ფრთხილად გაითავისუფლა თავი დედისგან და ჰარისკენ გაემართა. ჰარის თავში გაუელვა, ჯადოსნური ჯოხით ხომ არ შევაშინოო, მაგრამ იმწამსვე გადაიფიქრა. დადლიმ ტორი გაუწოდა.

– რა ხდება, დადლი? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ, რომ დეიდა პეტუნიას ქვითინი ჩაეხშო, – დემენტორებმა სხვა ადამიანად ხომ არ გაქციეს?

– რა ვიცი, – წაიბუტბუტა დადლიმ, – კიდევ შევხვდებით, ჰარი...

– ჰოო... – გაიღიმა ჰარიმ, დადლის ხელზე ხელი მოუჭირა და შეანჯღრია, – შეიძლება. თავს გაუფრთხილდი, დიდო დი.

დადლისაც თითქოს გაეღიმა, მერე შეტრიალდა და ოთახიდან გაბაჯბაჯდა. მისი მძიმე ნაბიჯების ხმა ხრეშმოყრილ სამანქანო გზაზე გაისმა და მანქანის კარი გაჯახუნდა.

ამ ხმაზე ჯერაც ცხვირსახოცში სახეჩარგულმა დეიდა პეტუნიამ თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა. ეტყობა, არ ელოდა, რომ ჰარისთან მარტო დარჩებოდა. ცხვირსახოცი სწრაფად ჩაიჩურთა ჯიბეში, ნახვამდისო, წაილაპარაკა და უკანმოუხედავად წავიდა კარისკენ.

– ნახვამდის, – უთხრა ჰარიმ.

დეიდა პეტუნია შეჩერდა და დისშვილს მოხედა. წამით ჰარის უცნაური გრძნობა გაუჩნდა, რომ დეიდა რაღაცის თქმას აპირებდა: უჩვეულოდ, შიშით შეხედა ჰარის და შეყოყმანდა, მაგრამ მერე თავი გაიქნია და ოთახიდან გავარდა.

Scanned by CamScanner

თავი მეოთხე

შვიდი პოტერი

ჰარიმ ისევ კიბეზე აირბინა და თავისი ოთახის ფანჯრიდან სწორედ იმ დროს გაიხედა, როცა დერსლების მანქანამ შემოსასვლელიდან გადაუხვია და ქუჩაში გავიდა. უკანა სავარძელზე, დეიდა პეტუნიასა და დადლის შორის, დედალუსის წონოლა ქუდი მოჩანდა. პრივიტ დრაივის ბოლოში მანქანამ მარჯვნივ გაუხვია, ჩამავალი მზის შუქზე ფანჯრები აუელვარდა და მერე თვალს მიეფარა.

ჰარიმ ჰედვიგის გალია, „ელვა" და ზურგჩანთა აიღო, საბოლოოდ მოავლო თვალი უჩვეულოდ მილაგებულ ოთახს, დატვირთული ჩავიდა ჰოლში და ყველაფერი კიბესთან დააწყო. უკვე ბინდდებოდა, გარედან შემოსული ლამპიონების შუქი ჰოლს ჩრდილებით ავსებდა. უცნაური იყო, ჰარი სიჩუმეში იდგა და იცოდა, რომ ამ სახლიდან საბოლოოდ მიდიოდა. ოდესღაც, როცა დერსლები გასართობად წაბრძანდებოდნენ ხოლმე, მას კი შინ ტოვებდნენ, მარტოობის საათები სიხარულით ავსებდა. მაცივრიდან სასუსნავს იღებდა, მერე ზემოთ არბოდა და ან დადლის კომპიუტერზე თამაშობდა, ან ტელევიზორს რთავდა და თავისი სურვილისამებრ ჩამოივლიდა არხებს. იმ დროის გახსენებამ უცნაური სიცარიელით აავსო.

– გინდა, ბოლოჯერ გაინავარდო აქ? – ჰკითხა ჰედვიგს, რომელიც ჯერაც იბუტებოდა და თავი ფრთის ქვეშ ამოედო, – აქ აღარ დავბრუნდებით. არ გინდა, ძველი დრო გაიხსენო? ამ ქეჩას შეხედე: აქ დადლის გული აერია, როცა დემენტორებისგან ვიხსენი... თურმე მადლობელი ყოფილა, წარმოგიდგენია?... შარშან ზაფხულს კი ამ სადარბაზო კარიდან დამბლდორი შემოვიდა...

ჰედვიგი ისევ ფრთის ქვეშ მალავდა თავს და პატრონს ყურადღებას არ აქცევდა. ჰარიმ სცადა, შემოწოლილ სევდას შებრძოლებოდა და სადარბაზო კარს ზურგი შეაქცია.

Scanned by CamScanner

– აქ კი, – კიბის ქვეშ კარი გამოაღო, – აქ მე მეძინა, ჰედვიგ.მაშინ არ მიცნობდი. წარმოგიდგენია, რა პატარაა! აღარც კი მახსოვდა...

ფეხსაცმელებისა და ქოლგების გროვას შეხედა და გაახსენდა, ყოველ დილით ახლად გაღვიძებული როგორ ახედავდა ხოლმე კიბის ქვედა მხარეს, რომელსაც ხშირად რამდენიმე ობობა ამშვენებდა. ეს მანამ იყო, სანამ გაიგებდა, ვინ იყო სინამდვილეში, როგორ დაეღუპნენ მშობლები ან რატომ ემართებოდა ათასი უცნაურობა. ახლაც ახსოვდა მაშინდელი არეულ-დარეული სიზმრები, სადაც მწვანე შუქი გაიელვებდა ხოლმე. ერთხელ კი ძია ვერნონმა კინაღამ მანქანა დაამტვრია, როცა უკანა სავარძელზე მოკალათებული ჰარი მფრინავ მოტოციკლზე ნანახ სიზმარს ჰყვებოდა...

უცებ სადღაც იქვე გამაყრუებელი ღრიალი გაისმა. ჰარი სწრაფად გაიმართა და კარის დაბალ წირთხლს აარტყა თავი. წამით შეჩერდა, ძია ვერნონის მსგავსად შეიკურთხა, თავზე ხელმიჭერილი სამზარეულოში შებარბაცდა და ფანჯრიდან უკანა ეზოში გადაიხედა.

სიბნელე თითქოს ათრთოლდა, ჰაერი აცახცახდა. მერე ერთმანეთის მიყოლებით ტკაცუნით გამოჩნდნენ სილუეტები. ჯერ უზარმაზარ შავეტლიან მოტოციკლზე მჯდარი, ჩაფხუტითა და სათვალით დამშვენებული ჰაგრიდი შეამჩნია; მერე სხვებსაც გახედა. ზოგი ცოცხით მოფრენილიყო, ორნი კი – შავფრთება, გაძვალტყავებული ცხენებით.

ჰარიმ უკანა კარი სწრაფად გამოაღო და პირდაპირ სტუმრების შუაგულში აღმოჩნდა. ატყდა ჟრიამული: ჰერმიონი გადაეხვია, რონმა ბეჭებზე დაჰკრა ხელი, ჰაგრიდმა კი შესძახა:

– აბა, როგორა ხარ, ჰარი? ხო მზათა ხარ?

– ჰო, – უთხრა ჰარიმ და გაბრწყინებულმა მოავლო ყველას თვალი, – მაგრამ ამდენს რომ არ გელოდით!

– გეგმა შეიცვალა, – დაიბუხუნა ორ მოზრდილ ტომარააკიდებულმა მრისხანეთვალამ, რომლის ჯადოსნური თვალი თავბრუდამხვევი სისწრაფით ტრიალებდა და ცას, სახლსა და ბაღს ზვერავდა, – ოთახში შევიდეთ და აგიხსნით.

ჰარი სამზარეულოში შეუძღვა სტუმრებს. მათ სიცილითა და ყიჟინით აიკლეს იქაურობა, ზოგი სკამზე ჩამოჯდა, ზოგი დეიდა პეტუნიას გაპრიალებულ ავეჯზე მოკალათდა; ზოგი რას მიეყრდნო, ზოგი – რას. ჰარი სიყვარულით ათვალიერებდა თითოეულ სტუმარს: რონი აწოწილიყო და უფრო გამხდარიყო; ჰერმიონს ხშირი თმა გრძელ ნაწნავად დაეწნა; ფრედი და ჯორჯი ერთნაირად ილიმებოდნენ; სახედასახიჩრებულ ბილს ისევ გრძელი თმა ჰქონდა; შემელოტებულ, კეთილ ბატონ უისლის სათვალე გვერდზე მოჰქ-

Scanned by CamScanner

ცეოდა; ცალფეხა მრისხნეთვალას ჯადოსნური თვალი გაუჩერებლად უტრიალებდა; ტონქსს ისევ თავის საყვარელ ჭყეტელა ვარდისფრად შეეფერა თმა; ლუპინს ჭაღარაც მომატებოდა და ნაოჭებიც; ლამაზ და ნარნარ ფლერს გრძელი, მოვერცხლისფრო თმა გაეშალა; მელოტი და მხარბეჭიანი კინგსლიც აქ იყო; თმა-წვერგაბურძგნილი ჰაგრიდი მოხრილი იდგა, რათა ჭერისთვის არ აერტყა თავი; პატარა, ბინძური, თმაგაწეწილი მანდანგუს ფლეტჩერი კი მძივისოდენა თვალებს ვერ-აგულად აცეცებდა. ჰარი ისეთ განწყობაზე იყო, მანდანგუსის დანახ-ვაც კი სიამოვნებდა, არადა, ბოლო შეხვედრისას კინაღამ მიახრჩო.

– კინგსლი, მე მეგონა, მაგლების პრემიერ-მინისტრს იცავდი, – სიჩუმე დაარღვია ჰარიმ.

– ერთ ღამეს გაძლებს უჩემოდ, – მიუგო კინგსლიმ, – შენ უფრო მნიშვნელოვანი ხარ.

– ჰარი, ახალი ამბავი მაქვს! – თქვა სარეცხ მანქანაზე შემომჯდარმა ტონქსმა და მარცხენა ხელი თვალწინ აუთამაშა. ზედ ბეჭედი უბრწყინავდა.

– დაქორწინდით? – გახარებულმა ჰარიმ ლუპინს გადახედა.

– გული დაგვწყდა, რომ ვერ დაგპატიჟეთ, ჰარი. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

– მშვენიერია, მომილოც...

– ახლა ამის დრო არ არის, მილოცვა შემდეგისთვის გადავდოთ! – ხმაური გადაფარა მუდიმ. სამზრეულოში სიჩუმე ჩამოვარდა; – დედალუსი გეტყოდა, რომ გეგმა Ə-ზე უარი ვთქვით. პიუს თიკნესი იმათ გადაიბირეს, რამაც დიდ გასაჭირში ჩაგვყარა. დაპატიმრების შიშით თიკნესმა ამ სახლის ფლუ ქსელში ჩართვა და პორტაჟისა და აპარაციის გამოყენება აკრძალა. ეს, მისი თქმით, შენი დაცვის მიზეზით გაკეთდა, ვითომ, ჩვენ-რომ-ვიცით, ის ვერ მისწვდესო. არადა, ეს დიდი უაზრობაა: შენ ხომ დედაშენის შელოცვა ბიცავს. სინამდვილეში, თიკნესმა მხოლოდ აქედან უხიფათოდ წასვლაში შეგიშალა ხელი. თუმცა, არსებობს მეორე პრობლემაც: ჯერაც არას-რულწლოვანი ხარ, ამიტომ კვალის ჯადო გადევს.

– ვერ გავი...

– კვალისა-მეთქი, კვალის ჯადო! – მოუთმენლად თქვა მრისხ-ანეთვალამ, – ჩვიდმეტ წლამდე ჩადენილ ჯადოქრობას აფიქსირებს. მისი საშუალებით იგებს ხოლმე სამინისტრო არასრულწლოვანთა მიერ მაგიის გამოყენების ფაქტებს! თუ შენ ან სხვა ვინმე აქედან შენს გასაყვანად შელოცვას წარმოთქვამს, ამას თიკნესიც მაშ-ინვე შეიტყობს და სიკვდილის მხვრელებიც. არადა, კვალის ჯადოს გაქრობამდე ვერ მოვიცდით, იმიტომ, რომ ჩვიდმეტისა გახდები

Scanned by CamScanner

თუ არა, დედაშენის დანატოვარ დაცვას დაკარგავ. მოკლედ, პიუს თიკნესს ჰგონია, რომ მახეში მოგიმწყვდია.

ჰარი გულში დაეთანხმა უცნობ თიკნესს.

– მაშ, რაღა დაგვრჩა?

– რა და, ის ტრანსპორტი, რომელსაც კვალის ჯადო ვერ ამოიცნობს – ცოცხები, თესტრალები და ჰაგრიდის მოტოციკლი უნდა გამოვიყენოთ.

ჰარის ეს აზრი უსაფრთხო არ ეჩვენა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა – მრისხანეთვალა თვითონ მიხვდებაო.

– მოკლედ, დედაშენის დაცვა ორ შემთხვევაში გაქრება: როცა სრულწლოვანი გახდები ან, – მუდიმ ხელით მოხაზა კრიალა სამზარეულო, –როცა აქაურობას შენს სახლად აღარ მიიჩნევ. ამაღამ შენ და შენი ნათესავები თქვენ-თქვენი გზით მიდიხართ და იცით, რომ ერთად აღარასოდეს იცხოვრებთ, ხომ ასეა?

ჰარიმ თავი დაუქნია.

– ესე იგი, აქ აღარ დაბრუნდები. ჰოდა, როგორც კი ამ სახლს გასცდები, დაცვაც გაქრება. ჩვენ ვარჩიეთ, დროზე ადრე გაგვექრო დაცვა და არ დავლოდებოდით, როგორ მოვიდოდა ჩვენ-რომ-ვიცით, ის და, როგორც კი ჩვიდმეტისა შესრულდებოდი, მაშინვე ხელში ჩაგიგდებდა. ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ მან, ვისი სახელიც არ ითქმის, არ იცის, დღეს რომ მივდივართ. სამინისტროში ხმა დავაგდეთ: ვითომ, ოცდათერთმეტამდე აქ იქნები. თუმცა, რადგან საქმე მას ეხება, ვისი სახელიც არ ითქმის, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ამბავს, ალბათ, არ დაიჯერებდა, ყოველი შემთხვევისათვის ერთ-ორ სიკვდილის მხვრელს მაინც გაამწესებდა ცაში სადარაჯოდ. ჩვენ ათიოდე სახლს დამცავი ჯადო დავადეთ. ეს სახლები ორდენის წევრებს ან მათ ნათესავებს ეკუთვნით. შენს დამალვას ერთ-ერთ მათგანში ვაპირებთ. მათ შორისაა ჩემი სახლი, კინგსლის სახლი, მოლის მამიდა მიურიელის სახლი... ხომ მიხვდი, რაც ხდება?

– ჰო, – მიუგო ჰარიმ დაეჭვებით, რადგან ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყო ამ გეგმის უსაფრთხოობაში.

– შენ ტონქსის მშობლებთან წახვალ. როგორც კი იმ დამცავი შელოცვების არეში მოხვდები, რომელიც მათ სახლს მოვუვლინეთ, შეგეძლება, პორტაჟი გამოიყენო და „ბუნაგში" გადახვიდე. შეკითხვები გაქვს?

– მმმ... კი, – უთხრა ჰარიმ, – ვთქვათ, არ იციან, ათი უხიფათო სახლიდან ჯერ რომელში მივალ, მაგრამ განა ვერ დაგვინახავენ, – და ყველა სწრაფად გადათვალა, – რომ ტონქსის მშობლებთან თოთხმეტნი გავფრინდებით?

Scanned by CamScanner

– აა, მთავარი დამავიწყდა, – თქვა მუდიმ, – ტონქსის მშობლებთან თოთხმეტნი არ გავფრინდებით. ამაღამ ცაში შვიდი ჰარი პოტერი იფრენს. ყველას თავ-თავისი მეწყვილე ეყოლება და ყოველი წყვილი სხვადასხვა სახლისკენ აიღებს გეზს.

მუდიმ მოსასხამიდან მათარა გამოაძვრინა. შიგ ტალახისმაგვარი სითხე ესხა. ჰარი მაშინვე მიხვდა გეგმის არსს და შეშფოთებულმა მთელი ხმით იყვირა:

– არა! არავითარ შემთხვევაში!

– ხომ ვამბობდი, ზუსტად ასე იტყვის-მეთქი, – კმაყოფილება დაეტყო ჰერმიონს.

– გგონიათ, ექვსი კაცის სიცოცხლეს საფრთხეში ჩავაგდებ?

– პირველი შემთხვევაა თუ რა? – მხრები აიჩეჩა რონმა.

– ამ შემთხვევაში სულ სხვაა! ჩემი გარეგნობით...

– ჰო, ეგ ამბავი ნამდვილად არც ერთს არ მოგვწონს, – სერიოზული ტონით უთხრა ჯორჯმა, – წარმოიდგინე, რაღაც რომ შეგვეშალოს და სათვალიან, კნაჭა არამზადებად დავრჩეთ!

ჰარის არ გასცინებია.

– მე თუ არ დაგთანხმდით, არაფერიც არ გამოგივათ. ჩემი თმა ხომ გჭირდებათ!

– ეჰ, ეს გეგმაც ჩაგვეშალა, – თქვა ჯორჯმა, – აბა, როგორ ვიშოვით შენს თმას, თუ ნებას არ დაგვრთავ?

– მართლაც! ცამეტნი – ერთი ბიჭის წინააღმდეგ, რომელსაც ჯადოქრობის ნება არა აქვს. დავიღუპეთ, წასულია ჩვენი საქმე... – მხარი აუბა ძმას ფრედმა.

– რა სასაცილოა, – გამოაჯავრა გაღიზიანებულმა ჰარიმ, – როგორ გავმხიარულდი!

– ძალით წაგართმევთ და ეგ იქნება, – წაიღრინა მუდიმ. მისი ჯადოსნური თვალი ჰარის მიშტერებოდა და თრთოდა, – აქ ყველა სრულწლოვანია, პოტერ, და ყველა მზადაა რისკისათვის.

მანდანგუსმა მხრები აიჩეჩა და დაიჭყანა. მუდის ჯადოსნური თვალი მისკენ შეტრიალდა.

– ნუღარ ვიდავებთ. დრო აღარ იცდის. აბა, მოიტა თმა, ბიჭო!

– რა სიგიჟეა! რა საჭიროა...

– რა საჭიროაო? – წაიღრინა მუდიმ, – და ეს მაშინ, როცა ჩვენ-რომ-ვიცით, ის თავისუფალია და ნახევარი სამინისტრო მიიმხრო? პოტერ, თუ ბედი გვაქვს, იქნებ კიდეც ჭამა ჩვენი ტყუილი და ოცდაათში გიპირებს ჩასაფრებას, მაგრამ ბრიყვი იქნება, თუ ორიოდე სიკვდილის მხვრელი მაინც არ მოგიჩინა. მე ეგრე მოვიქცეოდი. სანამ დედაშენის დაცვა მოქმედებს, ვერც შენ მოგწვდებიან და ვერც

Scanned by CamScanner

ამ სახლს, მაგრამ დაცვა მალე გაქრება. ეს ამბავი მეტ-ნაკლებად იციან. ჩვენი ერთადერთი შანსი სატყუარაა. ჩვენ-რომ-ვიცით, ისიც კი ვერ გაიყოფა შვიდად.

ჰარიმ ჰერმიონის მზერა დაიჭირა და მაშინვე თვალი აარიდა.

– ერთი სიტყვით, პოტერ, აბა, გვიბოძე თმა.

ჰარიმ რონს გახედა და მანაც ანიშნა, რაღას უცდიო.

– ჩქარა! – დაიღრინა მუდიმ.

ყველა ჰარის მიშტერებოდა. ჰარიმ ქოჩორზე მოივლო ხელი და მოქაჩა.

– ყოჩაღ, – შეაქო მუდიმ, კოჭლობით წავიდა და მათარას თავი მოხადა, – აქ ჩაყარე, თუ შეიძლება.

ჰარიმ თმის ღერები ტალახივით სითხეში ჩაყარა. როგორც კი თმა ზედაპირზე დაეშვა, სასმელი აქაფდა, ორთქლი აუშვა და გამჭვირვალე, კაშკაშა ოქროსფერი გახდა.

– ოო, შენ უფრო გემრიელი ჩანხარ, ჰარი, ვიდრე კრაბი და გოილი, – თქვა ჰერმიონმა, მაგრამ რონის ანკეპილი წარბების დანახვაზე გაწითლდა და დაუმატა, – ხომ მიხვდი, რასაც ვგულისხმობ, გოილის სასმელი წვინტლს ჰგავდა.

– აბა, ცრუ პოტერებო, რიგში ჩადექით, – განკარგულება გასცა მუდიმ.

რონი, ჰერმიონი, ფრედი, ჯორჯი და ფლერი დეიდა პეტუნიას გაპრიალებული ნიჟარის წინ ჩამწკრივდნენ.

– ერთი გვაკლია, – თქვა ლუპინმა.

– აი, – ჰაგრიდმა მანდანგუსს ქეჩოში სტაცა ხელი, ასწია და ფლერის გვერდით დასვა. ფლერმა ცხვირი აიბზუა და ფრედსა და ჯორჯს შუა ჩადგა.

– მე... მე... არა ჯობია, დაცვაში ვიყო? – ამოღერღა მანდანგუსმა.

– ხმა ჩაიწყვიტე, – შეუღრინა მუდიმ, – ხომ გითხარი, შე ჭიაყელავ, რომ სიკვდილის მხვრელები პოტერის დაჭერას დააპირებენ და არა მოკვლას-მეთქი. დამბლდორი მუდამ ამბობდა, ჩვენ-რომ-ვიცით, ის თვითონ მოინდომებს პოტერის განადგურებასო. საფრთხე თუ ვინმეს ემუქრება, ისევ – მცველებს. სიკვდილის მხვრელები სწორედ მათზე ინადირებენ.

ამან მანდანგუსი დიდად ვერ გაამხნევა, მაგრამ მუდის ეს სულაც არ ანაღვლებდა, მოსასხამიდან უკვე გამოეძვრინა კვერცხის ჩასადები ფინჯნებისმაგვარი ჭურჭელი, ჩამოარიგა და მრავალწვნიანი სასმელი ჩამოასხა.

– აბა, ერთად...

რონმა, ჰერმიონმა, ფრედმა, ჯორჯმა, ფლერმა და მანდანგუსმა

Scanned by CamScanner

დალიეს. როგორც კი სასმელი ყელში ჩაუვიდათ, ყველას სუნთქვა შეეკრა; სახის ნაკვთები მაშინვე აუდუღდათ და დაუმახინჯდათ, გეგონება, ცვილისგან არიან ჩამოსხმულებიო. ჰერმიონი და მანდანგუსი გამაღლდნენ; რონი, ფრედი და ჯორჯი დაპატარავდნენ და თმაც გაუმუქდათ, ხოლო ჰერმიონს და ფლერს თმა თითქოს თავის ქალაში ჩაეზარდათ.

მუდი უდარდელად ხსნიდა ტომრებს თავს. როცა გასწორდა, მის წინ ექვსი ჰარი პოტერი ქოშინებდა.

ფრედი და ჯორჯი ერთმანეთისკენ შებრუნდნენ და ერთდროულად წამოიძახეს:

– ვაჰ! რა ერთნაირები ვართ!

– რა ვიცი, მგონი, მაინც მე გჯობივარ, – თქვა ფრედმა და ალუმინის ჩაიდანში შეათვალიერა თავი.

– უჰ! – ფლერმა მიკროტალღოვანი ღუმლის კარში ჩაიხედა, – ბილ, აღ შემომხედო, ღოგოღ დავმახინჟდი.

– ვისაც ტანსაცმელი აღარ გერგებათ, აქედან აიღეთ და ჩაიცვით, – მუდიმ პირველ ტომარაზე მიუთითა, – სათვალე არ დაგავიწყდეთ, გვერდითა ჯიბეში ექვსი ცალი დევს. მეორე ტომარაში თქვენი ბარგია.

ნამდვილი ჰარი ფიქრობდა, ასეთ საოცარ რამეს ჯერ არ შევსწრებივარო, არადა, ათასი საოცრება ჰქონდა ნანახი. იდგა და უყურებდა, როგორ იქექებოდა ტომრებში მისი ექვსი ორეული: ტანსაცმელს იღებდნენ, სათვალეს ირგებდნენ და თავიანთ ნივთებს გვერდზე აწყობდნენ. ლამის უთხრა, პატივი ეცით ჩემს პიროვნებასო, რადგან ყველანი უბოდიშოდ იხდიდნენ და იმაზე ადვილად ამზეურებდნენ მის სხეულს, ვიდრე თავისას გამოამზეურებდნენ.

– ვიცოდი, რომ ჯინიმ ტატუს ამბავი მოგვატყუა, – გულზე დაიხედა რონმა.

– ჰარი, სულ არ გივარგა მხედველობა, – ჰერმიონმა სათვალე მოირგო.

ყველა ცრუ ჰარიმ ჩაიცვა. მეორე ტომრიდან ზურგჩანთები და ბუს გალიები ამოიღეს, რომლებშიც პოლარული ბუების ფიტულები იდო.

– კარგია, – თქვა მუდიმ, როცა შვიდი ჩაცმული, სათვალიანი და ბარგიბარხანააკიდებული ჰარი გამოეცხადა, – ასე დავწყვილდებით: მანდანგუსი ჩემთან ერთად წამოვა ცოცხით...

– რაღა მე? – წაიბუზღუნა უკანა კართან ყველაზე ახლოს მდგარმა ჰარიმ.

– იმიტომ, რომ შენ კაცმა თვალი არ უნდა მოგაშოროს, – შეუღრინა მუდიმ და მისი ჯადოსნური თვალი მართლაც აღარ მოშორებია მანდანგუსს, თვითონ კი განაგრძო:

Scanned by CamScanner

– არტური და ფრედი...

– ჯორჯი ვარ, – ჩაურთო იმ ტყუპისცალმა, რომელზეც მუდი უთითებდა, – ახლაც ვერ მცნობ, როცა ჰარი გავხდი?

– ბოდიში, ჯორჯ...

– გეხუმრე, ფრედი ვარ...

– გეყოთ მაიმუნობა! – ნაიბუზღუნა მუდიმ, – ჯორჯი, ფრედი თუ ვინც არის, რემუსთან ერთად წავა. მის დელაკური...

– მე ფლერი თესტრალით მიმყავს, – თქვა ბილმა, – ცოცხს ვერ ეგუება.

ფლერი მიუახლოვდა და შეყვარებულს ისე მოწიწებით შეხედა, რომ ჰარიმ გაიფიქრა, ასეთი გამომეტყველება, იმედია, აღარასოდეს მექნებაო.

– მის გრეინჯერი – კინგსლისთან ერთად, ისინიც –თესტრალით...

ჰერმიონს გულზე მოეშვა და კინგსლის ღიმილზე ღიმილით უპასუხა; ჰარიმ იცოდა, რომ ვერც ჰერმიონი იჯდა ცოცხზე მყარად.

– მე და შენღა დავრჩით, რონ, – ხალისიანად მიმართა ტონქსმა, რონს ხელი დაუქნია და ყავის ჭიქებით აჩონჩხლილი სადგარი გადააყირავა.

რონი ჰერმიონივით კმაყოფილი არ ჩანდა.

– შენ კიდე – ჩემთან ერთად, ჰარი, – მიუბრუნდა ცოტა არ იყოს, შეწუხებული ჰაგრიდი, – მოტოციკლით წავალთ. აბა, მე რა ცოცხი და თესტრალი გამიძლებს! ვერც ჩემ უკან დაეტევი, ეტლში უნდა ჩაჯდე.

– მაგარია, – თქვა ჰარიმ არცთუ გულწრფელად.

– ვფიქრობთ, რომ სიკვდილის მხვრელები ცოცხზე მჯდარს მოგელიან, – თქვა მუდიმ. ეტყობა მიხვდა, რას განიცდიდა ჰარი, – სნეიპს ქვეყნის დრო ჰქონდა, რომ შენი ამბები დაწვრილებით მოეყოლა. ამიტომ, თუ სიკვდილის მხვრელებს წავაწყდებით, დარწმუნებული ვარ, ისინი იმ პოტერს აირჩევენ, რომელიც თავდაჯერებულად იჯდება ცოცხზე. მაშ ასე, – ცრუ პოტერების ტანსაცმლის ტომარას თავი მოუკრა და უკანა კარისკენ წავიდა, – სამ წუთში გავალთ. კარის დაკეტვას აზრი არა აქვს, სიკვდილის მხვრელებს ეგ ვერ შეაჩერებს. წავედით.

ჰარიმ ზურგჩანთა, „ელვა“ და ჰედვიგის გალია აკრიფა და ბნელ ბაღში გაჰყვა დანარჩენებს.

ყველამ თავისი ცოცხი მოიხმო; კინგსლის უკვე შეესვა ჰერმიონი დიდ, შავ თესტრალზე. მეორე თესტრალზე ბილს ფლერი შეესკუპებინა. ჰაგრიდი მოტოციკლთან იდგა და სათვალეს ირგებდა.

– ეს ის არის? სირიუსის მოტოციკლია?

– ის არი, ისა, – სახე გაუბრწყინდა ჰაგრიდს და ჰარის დახედა, –

Scanned by CamScanner

როცა ამ სახლში ამით მოგიყვანე, ჰარი, ხელისგულზე მეტეოდი, მაშ!

ჰარის ცოტა დამამცირებელი ეჩვენა ეტლში ჩაჯდომა. დანარჩენებზე დაბლა აღმოჩნდა. ისე იჯდა, როგორც ბავშვი – სათამაშო მანქანაში. ამის დანახვაზე რონი გაიღრიჭა. ჰარიმ ზურგჩანთა და ცოცხი ეტლის ძირში დააწყო, ჰედვიგის გალია კი ფეხებშუა ჩაიდგა. ძალიან უხერხულად იჯდა.

– არტურმა ცოტ-ცოტა უზეინკლა ამას, – თქვა ჰაგრიდმა, რომელიც ჰარის უხერხულობას ვერ ამჩნევდა და მოტოციკლს გადააჯდა. მოტოციკლმა დაიჭრიალა და რამდენიმე სანტიმეტრით ჩაეფლო მიწაში, – ხოდა, ერთი-ორი ოინი ასწავლა. ეს კიდე მე მომაფიქრდა, – და სპიდომეტრის გვერდით იისფერ ღილაკზე ანიშნა.

– ფრთხილად იყავი, ჰაგრიდ, – გააფრთხილა მათ გვერდით მდგომმა ცოცხმომარჯვებულმა ბატონმა უისლიმ, – არც კი ვიცი, ივარგებს თუ არა. ძალიან თუ არ გაგიჭირდა, არ გამოიყენო.

– აბა, – თქვა მუდიმ, – ყველანი მოემზადეთ. მინდა, ზუსტად ერთდროულად ავფრინდეთ, თორემ მთელი ეს ცრუ მანევრი ჩაგვეშლება.

– მაგრად მომეხვიე, რონ, – გაისმა ტონქსის ხმა. ჰარიმ შეამჩნია, რომ რონმა, სანამ ტონქსს წელზე მოეხვეოდა, დამნაშავესავით გახედა ლუპინს. ჰაგრიდმა მოტოციკლი დაქოქა. მოტოციკლი დრაკონივით აღრიალდა და ეტლმა ცახცახი დაიწყო.

– კეთილი მგზავრობა, – დაიყვირა მუდიმ, – ერთ საათში „ბუნაგში“ შევხვდებით. აბა, სამამდე ვითვლი. ერთი... ორი... სამი...

მოტოციკლმა მთელი ძალ-ღონით შეაყანყალა ეტლი და ჰაერში სწრაფად აიჭრა. ჰარის უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, თვალები აუწყლიანდა და თმა გაეწეწა. ცოცხებიც მოტოციკლს მიჰყვნენ; ერთმა თესტრალმა აფრენისას ჰარის ოდნავ გაჰკრა გრძელი კუდი. ჰედვიგის გალიითა და ზურგჩანთით მიჭეჭყილი ფეხები ასტკივდა და გაუშეშდა. ისე უხერხულად იჯდა, რომ ისიც კი დაავიწყდა, უკანასკნელად შეეხედა პრივიტ დრაივის ოთხი ნომრისათვის, ხოლო როცა ეტლიდან გადმოიხედა, ვეღარც გაარჩია, რომელი სახლი იყო.

და უცებ, საიდანღაც გაჩენილი, სულ ცოტა, ოცდაათი კაპიუშონიანი ფიგურა დაეკიდა ჰაერში და ორდენის დაბნეული წევრების გარშემო დიდი წრე შეკრა...

ყოველი მხრიდან ყვირილი მოისმა. გაიელვა მწვანე შუქმა... ჰაგრიდმა შებღავლა და მოტოციკლმა მალაყი გააკეთა. ჰარი ვეღარ ხვდებოდა, სად იყვნენ. ლამპიონები ზემოთ მოექცა. ეტლს მოეჭიდა, რომ არ ჩავარდნილიყო. ჰედვიგის გალია, „ელვა“ და ზურგჩანთა მუხლებიდან ჩაუცურდა...

– არა... ჰედვიგ!

Scanned by CamScanner

ზურგჩანთის თასმასა და გალიის სახელურს კი სტაცა ხელი, მაგრამ ცოცხი ბზრიალ-ტრიალით დაეშვა ქვევით. მოტოციკლი გასწორდა და ჰარიმ წამით ამოისუნთქა. მალე ისევ გაიელვა მწვანე შუქმა. ბუმ დაიჩხავლა და გალიის იატაკზე დაეცა.

– არა... არა!

მოტოციკლი წინ გაიჭრა; ჰარიმ თვალი მოჰკრა, როგორ გაიფანტნენ კაპიუშონჩამოფხატული სიკვდილის მხვრელები, როცა ჰაგრიდმა მათი წრე გაარღვია.

– ჰედვიგ... ჰედვიგ...

მაგრამ ბუ არ იძვროდა, სათამაშოსავით ეგდო გალიის ძირში. ჰარის ამის დაჯერება არ უნდოდა. დანარჩენების გამოც შიშმა აიტანა. უკან მიიხედა და დაინახა, როგორ ირეოდა ჰაერში ხალხი, როგორ ელავდა მწვანე შუქი და როგორ მოშორდა იქაურობას ცოცხებზე ამხედრებული ორი წყვილი, მაგრამ ვინ იყვნენ, ვერ გაარჩია...

– ჰაგრიდ, დავბრუნდეთ, დავბრუნდეთ! – დაუყვირა ძრავას ღრიალში, ჯოხი ამოიღო და ჰედვიგის გალია იატაკზე დადო. არ სჯეროდა, რომ მისი ბუ მკვდარი იყო.

– ჰაგრიდ, მოაბრუნე!

– მე საღ-სალამათი უნდა მიგიყვანო, ჰარი! – იღრიალა ჰაგრიდმაც და სიჩქარეს მოუმატა.

– გაჩერდი... გაჩერდი! – გაიბრძოლა ჰარიმ, მაგრამ როცა ისევ უკან მიიხედა, მარცხენა ყურთან ორმა მწვანე სხივმა ჩაუქროლა: ოთხი სიკვდილის მხვრელი წრიდან გამოსულიყო; მოსდევდნენ და ჰაგრიდის ფართო ზურგს უმიზნებდნენ. წყევლას წყევლაზე სტყორცნიდნენ. ჰარი ეტლში ჩაიმალა, რომ როგორმე აეცდინა. მერე უკან შეტრიალდა, – დაიყვირა, გაშეშდიო! და მისი ჯოხიდან გასროლილმა წითელმა ელვამ აქეთ-იქით მიყარ-მოყარა ოთხი სიკვდილის მხვრელი.

– მაგრა დაჯექი, ჰარი, მაგათ ვუჩვენებ სეირს! – დაიღრიალა ჰაგრიდმა და ვეება თითი ბენზინის ნიშნულის გვერდით მწვანე ღილაკს დააჭირა. ჰარიმ სწორედ იმ დროს აიხედა, როცა მაყუჩიდან კედელი – მყარი, შავი კედელი გამოვარდა და მოტოციკლის უკან აღიმართა. სამი სიკვდილის მხვრელი აერიდა, მეოთხეს კი ბედმა არ გაუღიმა: კედელს შეასკდა და მერე ქვასავით დაეშვა ძირს. მისი ცოცხი ნამსხვრევებად იყო ქცეული. ერთ-ერთმა სიკვდილის მხვრელმა სიჩქარე შეანელა, რომ დაშავებულს მიშველებოდა, მაგრამ ისინიცა და საჰაერო კედელიც სიბნელემ ჩანთქა, რადგან ჰაგრიდმა სიჩქარეს უმატა.

ჰარის ისევ ჩაუქროლა დარჩენილი სიკვდილის მხვრელების ნას-

Scanned by CamScanner

როლმა ორმა მომაკვდინებელმა წყევლამ; ისევ ჰაგრიდს უმიზნებდნენ. ჰარიმ ისევ გაშეშების შელოცვით უპასუხა: წითელი და მწვანე სხივები ჰაერში ერთმანეთს შეეჯახა და ფერად-ფერადი ნაპერწკლები გაყარა. ჰარის უცებ ფეიერვერკი გაახსენდა და გაიფიქრა, ალბათ, ქვემოთ მაგლებს აზრად არ მოსდით, რა ხდებაო...

– ერთხელაც, ჰარი, გამაგრდი! – დაუყვირა ჰაგრიდმა და მეორე ღილაკს დააწვა. ამჯერად მოტოციკლის მაყუჩიდან დიდი ბადე გამოიჭრა, მაგრამ სიკვდილის მხვრელები მზად დახვდნენ და აირიდეს. ამასობაში სიბნელიდან გულწასული ამხანაგის საშველად ჩამორჩენილი მესამე თანამზრახველიც გამოიჭრა. სამივენი მისდევდნენ მოტოციკლს და წყევლას წყევლაზე უშენდნენ.

– ეხლავე მოვუვლი მაგათ, ჰარი, ეხლავე! – ისევ იღრიალა ჰაგრიდმა და ჰარიმ დაინახა, როგორ დაჰკრა ტორი სპიდომეტრის გვერდით ამოშვერილ იისფერ ღილაკს.

გაისმა კარგად ნაცნობი ღრიალი და მაყუჩიდან დრაკონის გავარვარებული, ლურჯი ცეცხლი გამოიფრქვა. მოტოციკლი უეცრად ტყვიასავით გაიჭრა წინ. ჰარიმ დაინახა, რომ სიკვდილის მხვრელები მომაკვდინებელ ალს გაექცნენ, მაგრამ ამ დროს ეტლი სახიფათოდ შეყანყალდა: მისი კორპუსი ასეთ სიჩქარეს ვერ უძლებდა.

– არა უშავს, ჰარი! – იყვირა ჰაგრიდმა. სიჩქარეში თავი ველარ შეიმაგრა და უკან გადაქანდა; ახლა მოტოციკლს არავინ მართავდა, ეტლი კი უკვე ისე იყო მორყეული, სადაცაა, ნამსხვრევებად იქცეოდა.

– მე მივხედავ, ჰარი, ეგ არაფერი! – ჰაგრიდმა ჟილეტის ჯიბიდან ვარდისფერი, ყვავილებიანი ქოლგა დააძრო.

– ჰაგრიდ, არა! მე თვითონ!..

– რეპარო!

გაისმა გამაყრუებელი ჭახანი და ეტლი მთლიანად შოსწყდა მოტოციკლს. ერთხანს ინერციით ისევ წინ მიქროდა, მერე კი ვარდნა დაიწყო...

სასოწარკვეთილმა ჰარიმ ჯოხი ეტლს დაატაკა და იყვირა:

– ვინგარდიუმ ლევიოსა!

ეტლი საცობივით ავარდა. ირყეოდა, მაგრამ ჰაერში ლივლივებდა. ჰარიმ წამით სული მოითქვა, მაგრამ ისევ ჩაუქროლა წყევლამ, ის სამი სიკვდილის მხვრელი უახლოვდებოდა.

– მოვდივარ, ჰარი! – სიბნელიდან მოისმა ჰაგრიდის ყვირილი. ჰარი გრძნობდა, რომ ეტლი ისევ ვარდებოდა. შეძლებისდაგვარად ჩაიკუზა, მისკენ გამოქანებული ფიგურებიდან შუათანას ჯოხი დაუმიზნა და იყვირა:

Scanned by CamScanner

– იმპედიმენტა!

შელოცვა შიგ გულში მოხვდა შუა სიკვდილის მხვრელს და წამით ხელფეხგაშლილი გაჩერდა ჰაერში, თითქოს უხილავი ბარიერი დახვდაო. ერთი ამხანაგი კინაღამ დაეჯახა...

ეტლმა სწრაფად დაიწყო ვარდნა. მესამე სიკვდილის მხვრელისგან გამოტყორცნილმა წყევლამ ისე ახლოს ჩაუქროლა ეტლს, რომ ჰარიმ ძლივს აიცდინა: სწრაფად დაიხარა და სკამის კიდეზე კბილიც ამოიგდო...

– მოვდივარ, ჰარი, მოვდივარ!

უშველებელი ხელი ზურგში სწვდა და დაქანებული ეტლიდან აიტაცა; ჰარიმ მოასწრო, ზურგჩანთას დაავლო ხელი, მოტოციკლზე აფორთხდა და ჰაგრიდის ზურგს ზურგით მიეყრდნო. ზემოთ აიჭრნენ და დარჩენილ ორ სიკვდილის მხვრელს დაუსხლტნენ. ჰარიმ პირიდან სისხლი გადმოაფურთხა, ჯოხი მიწისკენ დაქანებულ ეტლს მიუშვირა და იყვირა:

– კონფრინგო!

ეტლი აფეთქდა; ჰედვიგიც... ჰარის დარდმა ხანჯალივით გაუსერა გული. ეტლის მახლობლად მყოფი სიკვდილის მხვრელი ცოცხიდან გადმოვარდა და სიბნელეში ჩაინთქა; მისი ამხანაგი ჩამორჩა და ისიც გაუჩინარდა.

– ჰარი, მაპატიე, მაპატიე, – აკვნესდა ჰაგრიდი, – ეტლისთვის მე არ უნდა შემელოცა, უკუღმა გამომივიდა... ეხლა ადგილი აღარა გვაქ...

– ეგ არაფერი, მიდი, წინ იყურე! – გასძახა ჰარიმ, რადგან სიბნელიდან კიდევ ორი სიკვდილის მხვრელი გამოჩნდა

ჰაგრიდმა წყევლის ახალი ნაკადის ასაცდენად ზიგზაგებით დაიწყო ფრენა. ჰარიმ იცოდა, რომ სანამ მყარად არ დაჯდებოდა, ჰაგრიდი ველარ გაბედავდა დრაკონის ცეცხლის ღილაკის ხმარებას. ჰარი გაშეშების შელოცვებს უშენდა მდევარს და ძლივს აკავებდა, რომ მეტისმეტად არ მოახლოებოდნენ. უფრო ახლოს მყოფ სიკვდილის მხვრელს კიდევ ერთი შელოცვა სტყორცნა. ის ასარიდებლად გადაიხარა, კაპიუშონი გადაუცურდა და წითელ შუქზე ჰარიმ სტენლი შანპაიკის უცნაურად ფერწასული სახე დაინახა... სტენი...

– ექსპელიარმუს! – იყვირა ჰარიმ.

– ეს არის, ეს არის ნამდვილი!

ჰარიმ მოტოციკლის ძრავას ღრიალშიც კი გაიგონა კაპიუშონიანი სიკვდილის მხვრელის ყვირილი. წამიც და, ორივე მდევარი ჩამორჩა და მხედველობის არიდან გაქრა.

– ჰარი, რა იყო? – გამოსძახა ჰაგრიდმა, – სად წავიდნენ?

Scanned by CamScanner

– არ ვიცი!

მაგრამ სინამდვილეში შიშმა აიტანა: კაპიუშონიანმა სიკვდილის მხვრელმა იყვირა, ეს არის ნამდვილიო. როგორ მიხვდა? ჰარიმ სიბნელეს მოავლო თვალი და საფრთხე იგრძნო. ნეტავ სად წავიდნენ?

შეტრიალდა, სწორად დაჯდა და ჰაგრიდის ჟილეტს ჩაეჭიდა.

– ჰაგრიდ, ერთხელაც გამოუშვი დრაკონის ცეცხლი, მოვშორდეთ აქაურობას!

– გამაგრდი, ჰარი!

ისევ გაისმა გამაყრუებელი ხმაური და მაყუჩიდან გავარვარებული ალი გამოიჭრა. ჰარი ისედაც ძლივს ეტეოდა სკამის კიდეზე და ახლა უფრო უკან ჩაცურდა. ჰაგრიდი ელვის სისწრაფით მოუბრუნდა. სახელურებზე ხელი ოდნავღა ეკიდა.

– გონი, ჩამოგვრჩნენ, ჰარი! გონი, გამოგვივიდა!

მაგრამ ჰარი ასე არ ფიქრობდა; შიშმა აიტანა. მიიხედ-მოიხედა, იცოდა, მდევრები უსათუოდ გამოჩნდებოდნენ... რატომ ჩამორჩნენ? ეს არის... ეს არის ნამდვილიო... ზუსტად მას შემდეგ წამოიძახეს, რაც სტენის განიარაღება სცადა...

– ცოტაც და, მივალთ, ჰარი! მივედით და ეგ არი! – დაიყვირა ჰაგრიდმა.

ჰარიმ იგრძნო, რომ მოტოციკლი ოდნავ დაეშვა, თუმცა ქვემოთ ლამპიონების შუქი ჯერ ისევ ვარსკვლავებივით შორს მოჩანდა.

უცებ შუბლზე ცეცხლივით აეწვა ნაიარევი. იმავე წამს ორი სიკვდილის მხვრელი მოტოციკლს აქეთ-იქიდან ამოუდგა, ხოლო უკნიდან გამოტყორცნილმა ორმა მომაკვდინებელმა წყევლამ მილიმეტრებში ჩაუქროლა მოტოციკლს...

და ჰარიმ დაინახა: ვოლდემორი ქარივით მოქროდა მისკენ; არც ცოცხზე იჯდა და არც თესტრალზე – უბრალოდ მოფრინავდა, ჰაერში მოლივლივებდა. სიბნელეში გველივით სახემ გაშოანათა და თეთრმა ხელმა ჯოხი აღმართა...

შეძრწუნებულმა ჰაგრიდმა ღრიალი ამოუშვა და ქვემოთ მიმართა მოტოციკლი. ჰარი ჰაგრიდს ჩაებღაუჭა და ალალბედზე სტყორცნა გაშეშების შელოცვები. ვიღაცის სხეულმა ჩაუქროლა და მიხვდა, რომ ერთ-ერთს მოახვედრა, მაგრამ ამ დროს გრუხუნი გაისმა და ძრავამ ნაპერწკლები გაყარა; მოტოციკლი სპირალურად, უმართავად მიექანებოდა ძირს...

კვლავ ჩაუქროლა მწვანე ელვამ. ჰარი ვეღარ ხვდებოდა, სად ცა იყო და სად – მიწა. ნაიარევი აუტანლად ეწვოდა; ყოველ წამს სიკვდილი ელოდა. ცოცხზე ამხედრებული კაპიუშონიანი ფიგურა ნახევარი მეტრის მანძილზე მოუახლოვდა და ხელი ასწია...

Scanned by CamScanner

– შეჩერდი, შე ოხერო შენა! – იღრიალა გამძვინვარებულმა ჰაგრიდმა, ღრიალით გადახტა მოტოციკლიდან და სიკვდილის მხვრელს ეძგერა. შეძრწუნებულმა ჰარიმ დაინახა, რომ ორივენი – ჰაგრიდიცა და სიკვდილის მხვრელიც – დაბლა დაეშვნენ, ცოცხმა ორივეს წონას ვერ გაუძლო.

ჰარი ძლივსღა იკავებდა თავს დაქანებულ მოტოციკლზე. უცებ ვოლდემორის კივილი გაიგონა:

– ჩემია!

ყველაფერი დამთავრდა: ვერც ხედავდა და არც ესმოდა, სად იყო ვოლდემორი.

– ავადა...

ნაიარევის ტკივილმა თვალები დაახუჭვინა, მაგრამ ჯოხი თავის ნებაზე ამოქმედდა და მაგნიტივით გაუქაჩა ხელი. ნახევრად თვალდახუჭულმა დაინახა, მისი ჯოხიდან როგორ გაიჭრა ოქროსფერი ცეცხლის ნაკადი, რასაც ჭახანი და ვოლდემორის მრისხანებით სავსე შეკივლება მოჰყვა:

– არაააა!

გადარჩენილი სიკვდილის მხვრელი შეშინებული აბღავლდა.ჰარიმ როგორღაც მოახერხა და დრაკონის ცეცხლისმფრქვეველ ღილაკს თავისუფალი ხელი დააჭირა. მოტოციკლმა ერთხელაც გატყორცნა ჰაერში ალი და მიწისკენ დაექანა.

– ჰაგრიდ! – იყვირა მოტოციკლს ჩაბღაუჭებულმა ჰარიმ, – ჰაგრიდ... აკციო ჰაგრიდი!

მოტოციკლი ისე აჩქარდა, თითქოს მიწა ჩანთქმას უპირებსო. ჰარი მხოლოდ იმას ხედავდა, როგორ იზრდებოდა შორეული სინათლეები. ცოტაც და, მიწას დაენარცხებოდა, დაიმტვრეოდა, საშველი არ იყო. უკნიდან ისევ მოესმა კივილი:

– ჯოხი, სელვინ, შენი ჯოხი მომეცი!

ვოლდემორის სიახლოვე ისევ შეიგრძნო, მალე მის წითელ თვალებსაც წააწყდა და იფიქრა, ეს არის უკანასკნელი, რასაც ვხედავო. ვოლდემორი ისევ წყევლის სასროლად მოემზადა...

და უცებ ვოლდემორი გაქრა. ჰარიმ დაიხედა და მიწაზე გართხმული ჰაგრიდი დაინახა. მთელი ძალ-ღონით მოსწია სახელურები, რომ არ დასჯახებოდა, და მუხრუჭს დააწვა, მაგრამ მაინც გამაყრუებელი გრუხუნით ჩაეფლო ტალახიან გუბურაში.

Scanned by CamScanner

თავი მეხუთე

დაცემული მეომარი

– ჰაგრიდ!..

ჰარი ცდილობდა, ლითონისა და ტყავის ნატეხ-ნაფლეთების გროვიდან გამომძვრალიყო. ადგომა რომ დააპირა, ხელებით წუმპეში ჩაეფლო. ვერ ხვდებოდა, სად გაქრა ვოლდემორი და სიბნელიდან წუთი წუთზე ელოდა მის თავდასხმას. ნიკაპიდან და შუბლიდან რაღაც ცხელი და სველი ჩამოსდიოდა. გუბურიდან რის ვაივაგლახით ამოფორთხდა და მიწაზე დახვავებული დიდი მასისაკენ ნაბარბაცდა. ეს ჰაგრიდი იყო.

– ჰაგრიდ! ჰაგრიდ, ხმა გამეცი...

მასა არ იძვროდა.

– ვინ არის? პოტერია? ჰარი პოტერი ხარ?

კაცის ხმა არ ეცნო. შემდეგ ქალმა იყვირა:

– დაიმტვრნენ, ტედ! ბაღში ჩამოცვივდნენ!

ჰარის თავბრუ დაეხვა.

– ჰაგრიდ, – გაიმეორა უაზროდ და მუხლები მოეკეცა.

თვალი რომ გაახილა, გულაღმა, ბალიშებს მიყრდნობილი იწვა. ნეკნები და მარჯვენა მკლავი ეწვოდა. ამოვარდნილი კბილი ისევ ამოსვლოდა. შუბლის ნაიარევი ჯერაც უფეთქავდა. იქვე ქერა, მსუქანი კაცი იდგა და შეშფოთებული დაჰყურებდა.

– ჰაგრიდი? – ამოილუღლუღა ჰარიმ.

– ჰაგრიდი კარგადაა, შვილო, – უთხრა კაცმა, – ჩემი ცოლი უვლის. შენ როგორა ხარ? კიდევ რაიმე ხომ არ გაქვს მოტეხილი? ნეკნები, კბილი და მკლავი გაგიმთელე. ჰო, მე ტედი ვარ, ტედ ტონქსი, დორას მამა.

ჰარის უცებ ყველაფერი გაახსენდა და ისე სწრაფად წამოჯდა, რომ თვალთ დაუბნელდა; ისევ სისუსტე და გულისრევა იგრძნო.

Scanned by CamScanner

– ვოლდემორი...

– დაწყნარდი, – უთხრა ტედ ტონქსმა, ხელი მხარზე დაადო და ისევ ბალიშებზე მიაწვინა, – საშინელი ავარია მოგივიდათ. მაინც, რა მოხდა? მოტოციკლს დაემართა რაიმე? არტურ უისლის ისევ მეტისმეტი მოუვიდა? ოჰ, ეგ და მაგისი მაგლური ოინები!

– არა, – მიუგო ჰარიმ და ნაიარევი ღია ჭრილობასავით აეწვა, – სიკვდილის მხვრელები იყვნენ, ბევრნი... მოგვდევდნენ...

– სიკვდილის მხვრელები? – მკვახედ ჰკითხა ტედმა, – როგორ თუ, სიკვდილის მხვრელები? მე მეგონა, არ იცოდნენ, დღეს თუ მოჰყავდით. მე მეგონა...

– სცოდნიათ, – უთხრა ჰარიმ.

ტედ ტონქსმა ჭერს ისე ახედა, თითქოს მის ზემოთ ცა უნდა დაინახოსო.

– მაშ, ჩვენი დამცავი ჯადო წესრიგში ყოფილა. სახლთან ას მეტრზე ახლოს ვერც ერთი მხრიდან ვერ მოვლენ.

ახლა კი მიხვდა ჰარი, რატომაც გაქრა ვოლდემორი. ეტყობა, ეს მაშინ მოხდა, როცა მოტოციკლმა ორდენის დამცავი ბარიერი გადალახა. იმედით გაიფიქრა, რომ ეს ჯადო კვლავაც წესრიგში იქნებოდა: წარმოიდგინა, რომ სანამ თვითონ ტედს ელაპარაკებოდა, ვოლდემორი ასი მეტრით მაღლა იყო და ცდილობდა, როგორმე შემოეღწია ბარიერში, რაც ჰარის ფანტაზიაში დიდ, გამჭვირვალე ბუშტს ჰგავდა.

დივანზე წამოჯდა. სანამ ჰაგრიდს თავისი თვალით არ ნახავდა, ვერ დაიჯერებდა, რომ ცოცხალი იყო. თუმცა, წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და შიგ ჰაგრიდი ძლივს შემოეტია. სახე ტალახითა და სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ცოტას კოჭლობდა, მაგრამ რაღაც სასნაულით გადარჩენილიყო.

– ჰარი!

ჰაგრიდმა გზად ორი მორყეულფეხებიანი მაგიდა და ქოთანში ჩარგული ფიკუსი გადააყირავა, ორი ნაბიჯით ჰარისთან გაჩნდა და ისე ჩაიკრა გულში, რომ ახლად გამთელებული ნეკნები კინაღამ ისევ გადაუმსხვრია:

– უყურე, შენ, ჰარი! როგორ გამოძვერი, ჰა? მე მეგონა, ჩვენი საქმე წასული იყო.

– მეც ეგრე მეგონა. არც კი მჯერა... – და გაჩერდა. ჰაგრიდის უკან ოთახში შემოსული ქალი დაინახა.

– თქვენა ხართ? – იყვირა და ხელი ჯიბეზე იტაცა, მაგრამ ცარიელი დახვდა.

– შენი ჯოხი აქ არის, შვილო, – ტედმა ჯოხი გაუწოდა, – გვერდით გეგდო და ავიღე... ეს კი, რომ უყვირი, ჩემი ცოლია.

Scanned by CamScanner

– აა... უი... ბოდიში.

ქალბატონი ტონქსი წინ წამოვიდა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ნაკლებად ჰგავდა დას – ბელატრისას. თმა ღია წაბლისფერი ჰქონდა, თვალები კი – ფართო და კეთილი. თუმცა, ჰარის წამოძახილის შემდეგ ცოტა მედიდურობა დაეტყო.

– ჩვენი ქალიშვილისა რა იცი? ჰაგრიდმა მითხრა, ხაფანგში გავებითო. სად არის ნიმფადორა?

– არ ვიცი, – მიუგო ჰარიმ, – წარმოდგენა არა მაქვს, ვის რა დაემართა.

ქალმა და ტედმა ერთმანეთს შეხედეს. მათი სახეების დანახვაზე ჰარის შიში და სინდისის ქენჯნა დაეუფლა. თუ ვინმე მოკვდა, მისი ბრალი იქნებოდა. რატომ დაეთანხმა ამ გეგმას! რატომ მისცა თმა!

– პორტაჟი, – გაახსენდა უცებ, – ახლავე „ბუნაგში" უნდა დავბრუნდეთ და გავიგოთ... მერე შეგატყობინებთ ან... ან თვითონ ტონქსი... როცა...

– დორას არაფერი მოუვა, დრომედა, – უთხრა ტედმა, – იცის თავისი საქმე. რამდენჯერ ნასულა სახიფათო საქმეებზე აურორებთან ერთად. პორტაჟი იქაა, – მიუბრუნდა ჰარის, – სამ წუთში უნდა ამუშავდეს, თუ ნასვლას აპირებთ.

– დიახ, წავალთ, – უთხრა ჰარიმ, საწოლთან მიგდებულ ზურგჩანთას ხელი სტაცა და მხრებზე მოიგდო, – მე...

ქალბატონ ტონქსს შეხედა, უნდოდა, ბოდიში მოეხადა, შეშინებულს გტოვებთო, რადგან ყველაფერს თავის თავს აბრალებდა, მაგრამ რა სიტყვებიც მოაფიქრდა, ყველა არაფრისმთქმელი ეჩვენა.

– ვეტყვი ტონქსს... დორას... ამბავი მოგაწვდინოთ, როცა... გმადლობთ, რომ გვიშველეთ, მე...

ოთახიდან გამოსულმა შვება იგრძნო. ტედ ტონქსს უკან გაჰყვა. მოკლე დერეფანი გაიარეს და საძინებელში გავიდნენ. ჰაგრიდიც მათ შეჰყვა, ოღონდ, რაც შეეძლო, მოიხარა, რომ კარის წირთხლისთვის თავი არ აერტყა.

– აი, შვილო. ეს არის პორტაჟი, – ბატონმა ტონქსმა სარკიან მაგიდაზე დადებულ მომცრო, ვერცხლისზურგა სავარცხელზე ანიშნა.

– გმადლობთ, – უთხრა ჰარიმ, გაიწია და სავარცხელს თითი შეახო.

– მოიცა, – მიიხედ-მოიხედა ჰაგრიდმა, – ჰარი, ჰედვიგი სადღაა?

– მოკვდა... წყევლა მოხვდა... – მიუგო ჰარიმ და უეცრად გააცნობიერა, რომ ჰედვიგი მართლა მოკვდა. თვალში ცრემლი მოაწვა და შერცხვა. ბუ მისი მეგობარი იყო, მისი დამაკავშირებელი ჯადოქრულ სამყაროსთან, როცა დერსლებთან ბრუნდებოდა ხოლმე.

Scanned by CamScanner

ჰაგრიდმა მხარზე მძიმედ მოუთათუნა ვეება ხელი.

– რას იზამ, – უთხრა მოღუშულმა, – რას იზამ. კიდევ დიდხანს იცოცხლა...

– ჰაგრიდ, იჩქარე! – გააფრთხილა ტედ ტონქსმა, რადგან სავარცხელი უკვე ლურჯად კაშკაშებდა. ჰაგრიდმა ძლივს მოასწრო საჩვენებელი თითის დადება.

ჰარიმ ზურგზე ბიძგი იგრძნო, თითქოს უხილავმა კაუჭმა და თოკმა გაქაჩაო, და პორტაჟზე მიწებებულმა თითმა ტრიალ-ტრიალით გააქროლა უსასრულობაში. ერთ წამში „ბუნაგის" ეზოში გაიშხლართა. ყვირილი მოესმა. ჩამქრალი სავარცხელი მოისროლა, ბარბაცით წამოდგა და დაინახა, რომ უკანა კარის კიბეზე ქალბატონი უისლი და ჯინი ჩამორბოდნენ, ჰაგრიდიც ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე.

– ჰარი! ნამდვილი ჰარი ხარ? რა მოხდა? დანარჩენები სად არიან? – დაუძახა ქალბატონმა უისლიმ.

– რას ამბობთ? არავინ არ დაბრუნებულა? – ამოიქოშინა ჰარიმ.

პასუხი ცხადად დაიწერა ქალბატონი უისლის ფერწასულ სახეზე.

– სიკვდილის მხვრელები ჩასაფრებულები გველოდნენ, – მიაყარა ჰარიმ, – აფრენა ვერ მოვასწარით, რომ ალყაში მოგვიმწყვდიეს... სცოდნიათ, რომ დღეს მივდიოდით... არ ვიცი, ვის რა დაემართა. ოთხნი დაგვედევნენ. ძლივს დავაღწიეთ თავი. მერე ვოლდემორი...

ჰარი თითქოს თავს იმართლებდა რონისა და ტყუპების დედის წინაშე იმის გამო, რომ არ იცოდა, მის ვაჟებს რა ბედი ეწიათ...

– მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოაღწიეთ, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ და გულში ჩაიკრა, თუმცა, ჰარი გრძნობდა, რომ ამ ჩახუტების ღირსი არ იყო.

– ცოტა ბრენდი გექნება, მოლი... – ხმის კანკალით უთხრა ჰაგრიდმა, – ისე, მოსაღონიერებლად...

ქალბატონ უისლის შეეძლო, შელოცვით მოეხმო ბრენდი, მაგრამ აჩქარებით გაემართა დაფერდებული სახლისკენ. ჰარის გული შეეკუმშა, მიხვდა, ცრემლების დამალვა უნდაო. გულდათუთქული ახლა ჯინის მიუბრუნდა ათასი შეკითხვით სავსე თვალებით. ჯინიმ ყველა გამოუთქმელ შეკითხვაზე ერთბაშად უპასუხა:

– პირველები რონი და ტონქსი უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ პორტაჟს ვერ მიუსწრეს, იმათ გარეშე მოფრინდა, – იქვე მიგდებულ ზეთის ჟანგიან ქილაზე მიუთითა ჯინიმ, – ამით კი, – ძველისძველ კედზე ანიშნა, – მამა და ფრედი უნდა მოსულიყვნენ. შენ და ჰაგრიდს მესამეებს გელოდით, – ჯინიმ საათს დახედა, – თუ გამოუვიდათ, ჯორჯი და ლუპინი წუთი წუთზე უნდა გამოჩნდნენ.

Scanned by CamScanner

ქალბატონმა უისლიმ ბრენდი მოიტანა და ბოთლი ჰაგრიდს მიანოდა. ჰაგრიდმა ბოთლი გახსნა და ერთი მოყუდებით დაცალა.

– დე, შეხედე! – ჯინიმ რამდენიმე მეტრით დაშორებულ ადგილზე მიუთითა.

ბნელში ლურჯი შუქი გამოჩნდა, თანდათან გაიზარდა, სიკაშკაშე მოემატა და ლუპინი და ჯორჯი ტრიალ-ტრიალით დაცვივდნენ მიწაზე. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც შეემთხვათ: ლუპინს გულწასული, სახედასისხლიანებული ჯორჯი ეჭირა.

ჰარი ჯორჯს ეცა და ფეხებში ჩასჭიდა ხელი. მან და ლუპინმა დაშავებული შინ შეიყვანეს, სამზარეულო გაიარეს და სასტუმრო ოთახში, დივანზე დაანვინეს. როცა ჯორჯის თავს ლამპის შუქი დაეცა, ჯინის სუნთქვა შეეკრა, ჰარის კი კინაღამ გულ-მუცელი ამოუტრიალდა: ჯორჯს ცალი ყური აკლდა და იმ მხარეზე თავ-კისერი სისხლში ამოლუმპვოდა.

ის იყო, ქალბატონი უისლი შვილის თავზე დაიხარა, რომ ლუპინმა ჰარის მკლავში სტაცა ხელი და უხეშად გაათრია სამზარეულოში, სადაც ჰაგრიდი ჯერაც ცდილობდა, უკანა კარში შემოტეულიყო.

– უჰ! – აღშფოთდა მათ დანახვაზე, – ხელი უშვი! ეხლავე გაუშვი ხელი ჰარის!

ლუპინმა ყურადღება არ მიაქცია.

– რა არსება იჯდა კუთხეში, როცა ჰარი პოტერი პირველად შემოვიდა ჩემს კაბინეტში, ჰოგვორტსში? – ჰკითხა და მსუბუქად შეანჯღრია, – მიპასუხე!

– რა და... მგონი, გრინდილოუ, აკვარიუმში.

ლუპინმა ხელი გაუშვა და ბუფეტს მიეყრდნო.

– რა... რა ამბავია აქა? – იღრიალა ჰაგრიდმა.

– მაპატიე, ჰარი, მაგრამ უნდა შემემოწმებინე, – თქვა ლუპინმა, – გვილალატეს. ვოლდემორმა იცოდა, რომ დღეს მოვდიოდით. ამ ამბავს მხოლოდ მისგან შეიტყობდა, ვინც ჩვენი გეგმა იცოდა. შეიძლება, თვითმარქვია ყოფილიყავი.

– და, მე რაღატომ არ მამოწმებ? – ამოიქშინა ჯერაც კარში გაჭედილმა ჰაგრიდმა.

– შენ ნახევრად გოლიათი ხარ, – მიუგო ლუპინმა და ახედა, – მრავალწვნიანი სასმელი კი მხოლოდ ადამიანზე მოქმედებს.

– ორდენიდან არავინ არ ეტყოდა ვოლდემორს, რომ დღეს მოვდიოდით, – ჩაილაპარაკა ჰარიმ. ამ აზრმა შეაძრწუნა. ასეთ ღალატს ვერავისგან წარმოიდგენდა, – ვოლდემორმა ბოლოს მოგვისწრო. თავიდან არც იცოდა, რომელი ვიყავი. გეგმა რომ სცოდნოდა, ისიც ხომ ეცოდინებოდა, რომ ჰაგრიდთან ერთად ვიქნებოდი?

Scanned by CamScanner

– ვოლდემორი დაგედევნა? – სუნთქვა შეეკრა ლუპინს, – მერე? როგორ დაუსხლტი?

ჰარი მოუყვა, როგორ მიხვდნენ სიკვდილის მხვრელები, რომ ეს იყო ნამდვილი ჰარი; როგორ შეწყვიტეს დევნა, სანამ ამ ამბავს ვოლდემორს შეატყობინებდნენ და როგორ გამოჩნდა ვოლდემორი სწორედ მაშინ, როცა ის და ჰაგრიდი თითქმის მისულები იყვნენ ტონქსის მშობლების სახლთან.

– გიცნეს? კი მაგრამ, როგორ? ისეთი რა ჩაიდინე?

– მე... – ჰარიმ ამ კოშმარული მგზავრობის დაწვრილებით გახსენება სცადა: – სტენ შანპაიკი დავინახე... აი, ის ბიჭი, „ღამის რაინდის" კონდუქტორი. ვცადე, განმეიარაღებინა... იმიტომ, რომ... ვერ ხვდება, რას აკეთებს. ალბათ, იმპერიუსის წყევლა მოუვლინეს.

ლუპინმა გაოცებისა და აღშფოთებისაგან პირი დააღო:

– ჰარი, განიარაღების დრო წავიდა! ეს ხალხი დაჭერასა და მოკვლას გიპირებს! თუ მოკვლა არ შეგიძლია, გააშეშე მაინც!

– ძალიან მაღლა ვიყავით! სტენი ჭკუაზე არ არის. რომ გამეშეშებინა და ჩამოვარდნილიყო, მაინც მოკვდებოდა. თანაც, ვოლდემორისგან ორი წლის წინ სწორედაც ექსპელიარმუსმა გადამარჩინა, – გამომწვევად დაამატა ჰარიმ. ლუპინი ახლა ჰაფლეპაფელ ზაქარია სმიტს აგონებდა, რომელმაც დასცინა, როცა ჰარიმ დააპირა, „დამბლდორის არმიისათვის" განიარაღების შელოცვა ესწავლებინა.

– ჰო, ჰარი, – ძლივს იკავებდა თავს ლუპინი, რომ არ აფეთქებულიყო, – და ამას უამრავი სიკვდილის მხვრელი შეესწრო! ამიტომაც დღეს ექსპელიარმუსის გამეორება იმ სიკვდილის მხვრელების თვალწინ, რომლებმაც მაშინ თვითონ გნახეს ან ის ამბავი სმენიათ, თვითმკვლელობას უდრიდა!

– მაშ, შენ ამბობ, რომ სტენ შანპაიკი უნდა მომეკლა? – გაბრაზდა ჰარი.

– არა, მაგას არ ვამბობ, – მიუგო ლუპინმა, – მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ სიკვდილის მხვრელები შენგან საპასუხო დარტყმას მოელიან! ექსპელიარმუსი სასარგებლო შელოცვაა, ჰარი, სიკვდილის მხვრელებს კი, ეტყობა, შენი ერთადერთი სვლა ჰგონიათ და გირჩევ, ეგ აღარ აფიქრებინო!

ლუპინის სიტყვებზე ჰარიმ თავი ბრიყვად იგრძნო, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა:

– მარტო იმიტომ ხომ არ უნდა ვხოცო ხალხი, რომ გზა გადამიღობეს?! ეგ ვოლდემორს სჩვევია.

ლუპინს პასუხის გაცემა არ დასცალდა. ჰაგრიდი, როგორც იქნა, კარში შემოეტია, სკამთან მივიდა და დაჯდა. სკამი ჩაიმტვრა. ჰარიმ

Scanned by CamScanner

ყურადღება არ მიაქცია დარცხვენილი ჰაგრიდის ბოდიშებს და ისევ ლუპინს მიუბრუნდა:

– ჯორჯი გამოკეთდება?

ამ შეკითხვამ ლუპინს გული მოულბო:

– ალბათ, ოღონდ, ყურს ვეღარ აღვუდგენთ, იმიტომ, რომ წყევლით მოაგლიჯეს...

გარედან ჩოჩქოლი მოისმა. ლუპინი უკანა კარიდან ეზოში გავარდა; ჰარიც ჰაგრიდის ფეხებს გადაახტა და უკან მიჰყვა.

ეზოში ორი ფიგურა გაჩნდა. ჰარი მათკენ გაიქცა და ჰერმიონი და კინგსლი დაინახა. ორივენი პალტოს გაღუნულ საკიდს ჩაჰბღაუჭებოდნენ. ჰერმიონი ჰარის მოეხვია, კინგსლის კი მათ დანახვაზე სიხარული არ დასტყობია, ჯოხი მოიმარჯვა და ლუპინს მკერდში დაუმიზნა:

– უკანასკნელად რა სიტყვები გვითხრა ალბუს დამბლდორმა ჩვენ ორს?

– ჰარია ჩვენი უდიდესი იმედი და ენდეთ, – წყნარად უპასუხა ლუპინმა.

კინგსლიმ ახლა ჰარისკენ მიმართა ჯოხი, მაგრამ ლუპინმა დაასწრო:

– ის არის, შევამოწმე.

– ძალიან კარგი, – კინგსლიმ ჯოხი ისევ მოსასხამში შეინახა, – ვიღაცამ გაგვცა. იცოდნენ, რომ დღეს მოვდიოდით.

– მეც ასე ვფიქრობ. თუმცა, ის ნამდვილად არ სცოდნიათ, რომ შვიდი ჰარი იქნებოდა, – მიუგო ლუპინმა.

– დიდი ნუგეშია... – ჩაიბურტყუნა კინგსლიმ, – სხვა ვინ დაბრუნდა?

– მარტო ჰარი, ჰაგრიდი, ჯორჯი და მე.

ჰერმიონმა სახეზე ხელები აიფარა და ამოიკვნესა.

– თქვენ რა შეგემთხვათ? – ჰკითხა ლუპინმა კინგსლის.

– ხუთნი დაგვედევნენ, ორი დავჭერით, ერთი, შეიძლება მოკვდა კიდეც, – სხაპასხუპით უამბო კინგსლიმ, – ჩვენ-რომ-ვიცით, ისიც ვნახეთ. ნახევარ გზაზე შემოუერთდა მდევრებს, მაგრამ მალევე გაქრა. რემუს, იცი, რა შეუძლია?

– ფრენა, – ჩაურთო ჰარიმ, – მეც ვნახე, მე და ჰაგრიდს მოგვდევდა.

– აი, თურმე რატომ დაგვანება თავი! შენ დაგედევნა! – თქვა კინგსლიმ, – ვერ მივხვდი, რატომ გაქრა. კი მაგრამ, როგორ მიხვდა, რომ ჰერმიონი ნამდვილი ჰარი არ იყო?

– ჰარი ზედმეტად გულმოწყალედ მოექცა სტენ შანპაიკს, – უთხრა ლუპინმა.

Scanned by CamScanner

– სტენს? – გაიმეორა ჰერმიონმა, – მე აზკაბანში მეგონა.

კინგსლის მწარედ გაეცინა:

– ჰერმიონ, იქიდან უამრავი პატიმარი გაიქცა, მაგრამ სამინისტრომ მიაჩუმათა. ჩვენ ტრავერსი მოგვდევდა: როცა წყევლა გავუგზავნე, კაპიუშონი გადასძვრა და ვიცანი, არადა ისიც აზკაბანში უნდა იჯდეს. თქვენ რაღა შეგემთხვათ, რემუს? ჯორჯი სადაა?

– ყური დაკარგა, – უთხრა ლუპინმა.

– რაო? – შეჰკივლა ჰერმიონმა.

– სნეიპის ნამუშევარია.

– სნეიპისა? – ხმა ჩაუწყდა ჰარის, – რომ არ გითქვამთ?..

– ფრენისას კაპიუშონი გადაუცურდა. სეკტუმსემპრა ყოველთვის ეხერხებოდა... სამაგიეროს გადახდა მინდოდა, მაგრამ იმასაც ძლივს ვახერხებდი, რომ დაჭრილი ჯორჯი ცოცხზე შემეკავებინა. ბევრი სისხლი დაკარგა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ოთხივენი ცას აჰყურებდნენ. მოძრავი არაფერი ჩანდა. ზემოდან ვარსკვლავები დაჰნათოდათ. სად იყო რონი? სად იყვნენ ფრედი და ბატონი უისლი? ბილი, ფლერი, ტონქსი, მრისხანეთვალა და მანდანგუსი?

– ჰარი, მომეხმარე, რა, – ჩახრინწული ხმით გამოსძახა კარში გაჭედილმა ჰაგრიდმა. ჰარის გაუხარდა, რომ საქმე გამოუჩნდა. ჰაგრიდს მიეშველა, მერე ცარიელი სამზარეულო გაიარა და ისევ სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც ქალბატონი უისლი და ჯინი ჯორჯს დასტრიალებდნენ. სისხლდენა შეეჩერებინათ. ლამპის შუქზე ჰარიმ ჯორჯის ყურის ადგილას პირდაღებული ხვრელი დაინახა.

– როგორ არის?

ქალბატონმა უისლიმ მიიხედ-მოიხედა და თქვა:

– ყურს ვერ დავუბრუნებ, შავი მაგიის ძალით მოაგლიჯეს, მაგრამ შეიძლება უარესიც მომხდარიყო... კიდევ კარგი, გადარჩა.

– ჰო, – თქვა ჰარიმ, – მადლობა ღმერთს.

– ეზოში კიდევ ვიღაცის ხმა მომესმა? – ჰკითხა ჯინიმ.

– ჰერმიონისა და კინგსლისა, – უთხრა ჰარიმ.

– ღმერთო, რა კარგია, – ნაიჩურჩულა ჯინიმ. ერთმანეთს შეხედეს. ჰარის საოცრად მოუნდა, მოჰხვეოდა და ჩაეხუტებინა, ქალბატონი უისლისაც კი არ მოერიდებოდა, მაგრამ ამ დროს სამზარეულოდან გამაყრუებელი ჭახანი მოისმა და ჰარიმ კარისკენ გაიხედა.

– ჯერ ჩემს შვილს ვნახავ და მერე დაგიმტკიცებ, ვინ ვარ, კინგსლი. ჩამომეცალე, თუ თავი არ მოგძულებია!

ჰარის თავის დღეში არ გაეგონა ბატონი უისლის ასეთი ყვირილი. სასტუმრო ოთახში შემოვარდა, მელოტი თავი ოფლით დასცვაროდა

Scanned by CamScanner

და ულაპლაპებდა, სათვალე გვერდზე მოჰქცეოდა. უკან ფრედი მოჰყვებოდა. ორივე გაფითრებული, მაგრამ უვნებელი იყო.

– არტურ, ცოცხლები ხართ? – აქვითინდა ქალბატონი უისლი, – მადლობა ღმერთს!

– როგორ არის?

ბატონმა უისლიმ ჯორჯის გვერდით ჩაიჩოქა. რაც ჰარიმ ტყუპები გაიცნო, მას შემდეგ პირველად ხედავდა ფრედს ასე დამუნჯებულს. გაფითრებული ატუზულიყო დივნის საზურგესთან და ისე მიშტერებოდა ტყუპისცალის ჭრილობას, თითქოს თვალს არ უჯერებსო.

ჯორჯი, ეტყობა, მამისა და ძმის ხმებმა გააღვიძა, თვალები აახამხამა და შეიშმუშნა.

– როგორა ხარ, ჯორჯ? – წაიჩურჩულა ბატონმა უისლიმ.

ჯორჯმა თითები ყურის ადგილას მიიდო და ღონემიხდილმა ამოილუღლუღა:

– ყმასავით.

– რა სჭირს? – ამოიხრიალა შეშინებულმა ფრედმა, – გონება დაუზიანდა?

– ყმასავით-მეთქი, – ჯორჯმა ძმას ახედა, – ყურმოჭრილი მონა ვარ, ფრედ, რა ვერ გაიგე?

ქალბატონი უისლი წინანდელზე მწარედ აქვითინდა. გაფითრებულ ფრედს კი ნელ-ნელა დაუბრუნდა ფერი.

– ხელიდან ხარ წასული, რა! – უთხრა ჯორჯს, – ყურზე ათასი ხუმრობა არსებობს და რაღა ყმა და მონა აგიტყდა?

– კარგი რა, რა გატირებს, – გაუღიმა ჯორჯმა გულამოსკვნით მტირალ დედას, – დიდი ამბავი! ყურია, მეტი ხომ არაფერი. სამაგიეროდ, ახლა იოლად გაგვარჩევ ერთმანეთისგან...დე, ჰარი როგორ არის? ვა, აქა ხარ, ჰარი? ხომ ჰარი ხარ?

– ჰო, მე ვარ, – ჰარი დივანს მიუახლოვდა.

– კიდევ კარგი, აქა ხარ და არაფერი გჭირს, – გაუხარდა ჯორჯს, – რონი და ბილი სად არიან? რატომ სნეულის სარეცელთან არ ტრიალებენ?

– ჯერ არ დაბრუნებულან, ჯორჯ, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ.

ჯორჯს ღიმილი სახეზე შეაცივდა. ჰარიმ ჯინის გადახედა და ანიშნა, გავიდეთო. სამზარეულოში ჯინიმ ხმადაბლა უთხრა:

– რონი და ტონქსი სადაცაა, უნდა გამოჩნდნენ. შორიდან არ არიან მოსასვლელები, მამიდა მიურიელი აქვე ცხოვრობს.

ჰარიმ ხმა არ გასცა. მას მერე, რაც „ბუნაგს" მოაღწია, ცდილობდა, შიში გულში ჩაეკლა, მაგრამ ახლა ისეთმა ძრწოლამ აიტანა, რომ კანი აებურძგლა, გული აუფანცქალდა და სუნთქვა შეეკრა.

Scanned by CamScanner

უკანა კიბით ბნელ ეზოში რომ ჩადიოდნენ, ჯინიმ ხელი ჩაჰკიდა.

კინგსლი ბოლთას სცემდა და ყოველ შემობრუნებაზე ცას შესცქეროდა. ჰარის ძია ვერნონი გაახსენდა, ისიც ასე წინ და უკან დადიოდა ხოლმე სასტუმრო ოთახში. ჰაგრიდი, ჰერმიონი და ლუპინი გვერდიგვერდ იდგნენ და უხმოდ იყურებოდნენ მაღლა. არც ერთს უკან არ მოუხედავს, როცა ჰარი და ჯინი მიუახლოვდნენ.

წუთები თითქოს წლებად იქცა. ნიავის მსუბუქ ქროლვაზეც კი კრთებოდნენ და მოშრიალე ბუჩქის ან ხისკენ ბრუნდებოდნენ იმ იმედით, რომ ფოთლებიდან ორდენის რომელიმე საღ-სალამათი წევრი ისკუპებდა...

უეცრად ზუსტად მათ თავს ზემოთ ცოცხი გაჩნდა და ქვემოთ დაეშვა.

– ისინი არიან! – იკივლა ჰერმიონმა.

ტონქსმა მოულოდნელად ისე დაამუხრუჭა, რომ მტვრის კორიანტელი დააყენა.

– რემუს, – შეჰყვირა მან, ცოცხიდან გადმობარბაცდა და ლუპინს მკლავებში ჩაუვარდა. ლუპინი გაფითრებული იდგა და ხმას ვერ იღებდა. რონი ჰარისა და ჰერმიონისკენ წაბარბაცდა. ჰერმიონი გაუბედავად ჩაეხუტა.

– ცოცხლები ხართ? – წაიბუტბუტა რონმა და გოგონა გულზე ფრთხილად მიიკრა.

– მე მეგონა... მე მეგონა... – სიტყვებს ვერ პოულობდა აცრემლებული ჰერმიონი.

– დაწყნარდი, არა მიშავს, – მხარზე ხელი მოუთათუნა რონმა, – კარგადა ვარ.

– რონმა ძალიან ივაჟკაცა, – თბილად თქვა ტონქსმა და ლუპინს ოდნავ შეუშვა ხელი, – ყოჩაღია. ერთი სიკვდილის მხვრელი დააყრუა, შელოცვა პირდაპირ თავში მოარტყა.არადა, ხომ იცით, რა ძნელია, როცა ცოცხიდან ესვრი მოძრავ სამიზნეს...

– მართლა? – ჰკითხა ჰერმიონმა. ხელები ჯერაც რონის კისერზე ჰქონდა შემოხვეული.

– სულ რატომ გიკვირს! – სახე მოექუფრა რონს და გოგონასგან თავი გაითავისუფლა, – ჩვენ ბოლოს მოვედით?

– არა, – მიუგო ჯინიმ, – ბილი და ფლერი ჯერ არ მოსულან, არც მრისხანეთვალა და მანდანგუსი. დედას ვეტყვი, რომ დაბრუნდი, რონ... – და შინ შეირბინა.

– რატომ დაგაგვიანდათ? რა მოხდა? – თითქმის ბრაზით ჰკითხა ლუპინმა ტონქსს.

– ბელატრისა გამოგვედევნა, – მიუგო ტონქსმა, – მეც ისე მერ-

Scanned by CamScanner

ჩის, როგორც ჰარის, რემუს. ჩემს მოსაკლავად თავს არ იზოგავდა. ნეტავ, მივწვდომოდი, ვალი მაქვს გადასახდელი. როდოლფუსი კი ნამდვილად დავჭერით... მამიდა მიურიელთან, როგორც იყო, მივაღწიეთ, მაგრამ პორტაჟმა გამოგვასწრო, ჰოდა, სანამ მამიდა ქოთქოთს მორჩა...

ლუპინს ყბაზე კუნთი აუთრთოლდა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო და მხოლოდ თავი დაუქნია.

– თქვენ რაღა შეგემთხვათ, ხალხო? – ჰარის, ჰერმიონსა და კინგსლის მიუბრუნდა ტონქსი.

ყველამ უამბო თავ-თავისი ამბავი. ერთმანეთის დანახვა ახარებდათ, მაგრამ ბილის, ფლერის, მრისხანეთვალასა და მანდანგუსის არყოფნა გულზე ლოდივით აწვათ.

– დაუნინგ-სტრიტზე უნდა დავბრუნდე, ერთი საათის წინ უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი, – თქვა ბოლოს კინგსლიმ და ერთხელაც მოავლო ცას თვალი, – შემატყობინეთ, როცა მოაღწევენ.

ლუპინმა თავი დაუქნია. კინგსლი ყველას დაემშვიდობა და ბნელში ჭიშკრისკენ წავიდა. მოისმა სუსტი ტკაცანი და კინგსლი გაქრა.

კიბეზე ბატონმა და ქალბატონმა უისლებმა ჩამოირბინეს. უკან ჯინი მოსდევდათ. მშობლები ჯერ რონს გადაეხვივნენ, მერე ლუპინსა და ტონქსს მიუბრუნდნენ:

– გმადლობთ, რომ ბიჭები გადაგვირჩინეთ, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ.

– რას ამბობ, მოლი, – შეაწყვეტინა ტონქსმა.

– ჯორჯი როგორ არის? – ჰკითხა ლუპინმა.

– რა სჭირს? – ხმა ჩაუწყდა რონს.

– ყუ...

მაგრამ ქალბატონი უისლის ხმა ყურთასმენის წამღებ ხმაურში ჩაინთქა. ცაში თესტრალი გამოჩნდა და მათგან რამდენიმე ფუტის დაშორებით დაეშვა. თესტრალის ზურგიდან ბილი და ფლერი ჩამოსრიალდნენ, ორივე გათოშილი იყო, მაგრამ უვნებელი ჩანდა.

– ბილ... მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს...

ქალბატონი უისლი შვილს მიეჭრა, მაგრამ ბილი უგულოდ მოეხვია, მერე მამას შეხედა და თქვა:

– მრისხანეთვალა დაიღუპა.

კრინტი არავის დაუძრავს, არავინ განძრეულა. ჰარის გულმუცელში თითქოს რაღაც ჩასწყდა, მიწაში ჩაინთქა და სამუდამოდ დაეკარგა.

– ჩვენ თვალწინ, – განაგრძო ბილმა; ფლერმა თავი დააქნია, სამზარეულოს ფანჯრიდან გამოჭრილი შუქი ლოყებზე შერჩენილ

Scanned by CamScanner

ცრემლის ნაკვალევს უბრწყინებდა, – ალყა გავარღვიეთ თუ არა, მაშინვე... მრისხანეთვალა და მანდანგუსი ჩვენს ახლოს იყვნენ, მათაც ჩრდილოეთით აიღეს გეზი. ვოლდემორი... იცით, დაფრინავდა... პირდაპირ მათკენ წავიდა. მანდანგუსი დაფეთდა და აქვითინდა. მრისხანეთვალამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ იმ გარეწარმა აპარაცია გამოიყენა. ვოლდემორის წყევლა მრისხნეთვალას პირდაპირ სახეში მოხვდა, ცოცხიდან გულაღმა გადაეშვა და... ჩვენ ვერაფრით ვუშველიდით, ხუთი სიკვდილის მხვრელი მოგვდევდა...

ბილი გაჩუმდა.

– რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, მაინც ვერაფერს უშველიდით, – თქვა ლუპინმა.

ყველანი უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს. ჰარის ამის დაჯერება არ შეეძლო. მრისხანეთვალა დაიღუპა; შეუძლებელია... მრისხანეთვალა – მამაცი, თავის დაძვრენის დიდოსტატი.

არავის უთქვამს, მაგრამ ბოლოს ეტყობა, ყველა მიხვდა, რომ ეზოში ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა და ხმის ამოუღებლად შევიდნენ სასტუმრო ოთახში, სადაც გუნებაგამოკეთებული ფრედი და ჯორჯი რაღაცაზე ხითხითებდნენ.

– რა მოხდა? – სათითაოდ შეაცქერდა ფრედი ოთახში შესულებს.

– მრისხანეთვალა დაიღუპა, – უთხრა ბატონმა უისლიმ.

ტყუპებს ელდა ეცათ. ტონქსმა ცხვირსახოცი აიფარა და ატირდა. მრისხანეთვალა მისი მეგობარი იყო და ყოველთვის მფარველობდა მაგიის სამინისტროში. ჰაგრიდს კუთხეში, იატაკზე ეპოვა შედარებით ფართო ადგილი, იჯდა და თვალებზე სუფრისოდენა ცხვირსახოცი აეფარებინა.

ბილმა ბუფეტიდან ცეცხლოვანი ვისკი და ჭიქები გამოიღო, ჯადოსნური ჯოხის გაქნევით თორმეტი ჭიქა შეავსო და ყველას ხელში მიუფრინა. მეცამეტე თვითონ ასწია:

– მრისხანეთვალას ხსოვნა იყოს.

– ხსოვნა იყოს, – გაიმეორეს სხვებმაც.

– ხსოვ-ოვნა იყოს, – სლოკინით თქვა ჰაგრიდმა ცოტა ხნის შემდეგ. ცეცხლოვანმა ვისკიმ ჰარის ყელი ჩასწვა და თითქოს რეალობაში დააბრუნა. ამავე დროს, გულში რაღაც აუგიზგიზა, ალბათ, სიმამაცე.

– მაშ, მანდანგუსი გაიქცა? – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ლუპინმა.

ატმოსფერო მაშინვე დაიძაბა. ყველა გაშეშებული მიაჩერდა ლუპინს. ჰარის მოეჩვენა, რომ თითქოს თან უნდოდათ, ლუპინს ლაპარაკი განეგრძო, თან იმისაც ეშინოდათ, რასაც გაიგონებდნენ.

Scanned by CamScanner

– ვიცი, რასაც გულისხმობ, – მიუგო ბილმა, – გზაში მეც მაგაზე ვფიქრობდი. ცხადია, რომ გველოდნენ, არა? თუმცა, მანდანგუსი ვერ გაგვცემდა. არ იცოდნენ, რომ შვიდი ჰარი იქნებოდა. სიკვდილის მხვრელები ჩვენი გამოჩენისას სწორედ ამან დააბნია. ხომ არ დაგავიწყდა, რომ სწორედ მანდანგუსმა შემოგვთავაზა ეს ხრიკი? თუ თქმა იყო, მთავარს არ ეტყოდა? მე მგონი, დანგი უბრალოდ დაფრთხა, ეგ იყო და ეგ. ჯერ ერთი, არც უნდოდა ამ საქმეში გარევა, მაგრამ მრისხანეთვალამ აიძულა; მეორე კიდევ – ჩვენ-რომ-ვიცით, ის პირდაპირ მათკენ გაფრინდა და ეს ვის არ დააფრთხობდა!

– ჩვენ-რომ-ვიცით, ის ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მრისხანეთვალა ფიქრობდა, – ამოისლუკუნა ტონქსმა, – ხომ თქვა, მოელის, რომ ჰარი ყველაზე ძლიერ და დახელოვნებულ აურორთან ერთად იქნებაო. ჰოდა, ჯერ მრისხანეთვალას შეუტია და როცა მანდანგუსი გაქრა, კინგსლის დაედევნა...

– დიაღ, ეგ კველაფელი ზალიან კაღგი, – გაღიზიანდა ფლერი, – მაგღამ მაინც ღა იცოდნენ, ღომ აღი დღეს მოგვკვავდა? ალბატ, ვინმემ დაუდეველობა გამოიჩინა და გაღეშე პიღთან ცამოსცდა თაღიღი. სხვა ღოგოღ ავხსნატ, ღომ ცამოსვლის დღე იცოდნენ, გეგმა კი აღა?

მერე სათითაოდ ყველას გაუსწორა თვალი. თითქოს უსიტყვოდ აქეზებდა, შემეწინააღმდეგეთო. არავინ შეპასუხებია. სიჩუმეს მხოლოდ ცხვირსახოცში სახეჩარგული ჰაგრიდის სლუკუნი არღვევდა. ჰარიმ გახედა ჰაგრიდს, რომელიც ეს-ესაა, თავს სწირავდა მის გადასარჩენად; რომელიც უყვარდა და ენდობოდა; რომელიც ერთხელ მოტყუვდა და ვოლდემორს მნიშვნელოვანი ცნობა მიანოდა დრაკონის კვერცხის ფასად...

– არა, შეუძლებელია, – თქვა ხმამაღლა ჰარიმ. ყველამ გაკვირვებით შეხედა, – თუ ვინმეს შეცდომა მოუვიდა და რაიმე წამოსცდა, ალბათ, მხოლოდ შემთხვევით, განზრახ არავინ იზამდა. ერთმანეთს უნდა ვენდობოდეთ. მე ყველას გენდობით და არა მგონია, თქვენგან რომელიმემ ვოლდემორს მიმყიდოს.

ხმა არც ახლა ამოუღია ვინმეს. ჰარიმ გასამხნევებლად კიდევ მოსვა ვისკი. მოსვა და გაახსენდა, როგორ ამტყუნებდა დამბლდორს მრისხანეთვალა, ზედმეტად ენდობა ყველასო.

– კარგი ნათქვამია, ჰარი, – მოულოდნელად თქვა ჯორჯმა.

– რახან შენ მოინონე, ესე იგი, მართლა კარგი ნათქვამია, ყურმახვილო, – თქვა ფრედმა და ჯორჯს ცალი თვალით გადახედა. ჯორჯს ტუჩის კუთხე შეერხა.

ლუპინმა უცნაურად, თითქოს სიბრალულით შეხედა ჰარის.

– რაო, სულელივით ვიქცევი? – გამომწვევად ჰკითხა ჰარიმ.

Scanned by CamScanner

– არა, ჯეიმსივით, – მიუგო ლუპინმა, – მამაშენს სწამდა, რომ მეგობარში ეჭვის შეტანა სირცხვილია.

ჰარი მიხვდა, რასაც გულისხმობდა ლუპინი: მამამისი ხომ სწორედ მისმა მეგობარმა, პიტერ პეტიგრიუმ გასცა. გაუგებარი ბრაზი მოერია. უნდოდა, შეჰკამათებოდა, მაგრამ ლუპინმა ზურგი აქცია, ჭიქა კუთხეში მიდგმულ მაგიდაზე დადგა და ბილს მიუბრუნდა:

– ერთი საქმეა გასაკეთებელი. კინგსლის ვთხოვ, თუ შენ...

– არა, – შეაწყვეტინა ბილმა, – მე წამოვალ.

– სად მიდიხართ? – ერთად ჰკითხეს ტონქსმა და ფლერმა.

– მრისხანეთვალას ცხედარია წამოსაღები, – მიუგო ლუპინმა.

– და ვერ... – მუდარით შეხედა შვილს ქალბატონმა უისლიმ, მაგრამ სანამ სათქმელს დაასრულებდა, ბილმა შეაწყვეტინა:

– ვერ გადავდებთ. იქნებ გირჩევნიათ, რომ სიკვდილის მხვრელებს დავუტოვოთ?

ხმა არავის ამოუღია. ლუპინი და ბილი დაემშვიდობნენ და გავიდნენ.

ჰარის გარდა, ყველა დაჯდა. ჰარიმ თვალი მოავლო საყვარელ ადამიანებს, ღრმად ამოისუნთქა და ხმადაბლა თქვა:

– მეც უნდა წავიდე.

ათმა წყვილმა თვალმა შეშფოთებით შეხედა.

– რა სისულელეა, ჰარი, – უთხრა ქალატონმა უისლიმ, – რას ამბობ?

– აქ ვერ დავრჩები.

შუბლი მოისრისა. ნაიარევი ისევ წიწკნიდა. წელიწადზე მეტი იყო, ასე არ შეუწუხებია.

– სანამ აქ ვარ, ყველანი საფრთხეში იქნებით და არ მინდა...

– აბა, რაებს იგონებ! – შეჰყვირა აღშფოთებულმა ქალბატონმა უისლიმ, – ეს ყველაფერი იმისთვის მოეწყო, რომ აქამდე უვნებლად მოგვეყვანე და, მადლობა ღმერთს, გამოგვივიდა კიდეც. თანაც, ფლერი დაგვთანხმდა, რომ ქორწილი საფრანგეთში კი არა, აქ გადავიხადოთ. ყველაფერი მზად გვაქვს, ჰოდა, შეგვიძლია ერთად ვიყოთ...

– თუ ვოლდემორი გაიგებს, რომ აქ ვარ... – თავისას არ იშლიდა ჰარი.

– როგორ გაიგებს? – კითხვა შეუბრუნა ქალბატონმა უისლიმ.

– ათას ადგილას შეიძლება იყო, ჰარი, – უთხრა არტურმა, – ვერანაირად ვერ გაიგებს, რომელ სახლში შეაფარე თავი.

– ჩემი თავი არ მადარდებს! – თქვა ჰარიმ.

– ვიცით, – წყნარად მიუგო ბატონმა უისლიმ, – მაგრამ შენი წასვლა დღევანდელ შრომას წყალში ჩაგვიყრის.

Scanned by CamScanner

– არსადაც არ წახვალ, – წაიბუზღუნა ჰაგრიდმა, – რაც დღეს გადავიტანეთ, იმის მერე მიდიხარ, ჰარი?

– დიახაც! და ჩემი სისხლმდინარი ყური? – თქვა ჯორჯმა და ბალიშებზე წამოიწია.

– ვიცი...

– არც მრისხანეთვალას ენდომებოდა...

– ვიცი-მეთქი! – იყვირა ჰარიმ.

თითქოს კუთხეში მიიმწყვდიეს: ნუთუ ჰგონიათ, რომ ვერ ხვდება მათ სიკეთეს? იმიტომაც უნდა წასვლა, რომ მისი გულისთვის კიდევ რაიმე არ დაუშავდეთ. ხანგრძლივი და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ნაიარევი ისევ ჩხვლეტდა და აწუხებდა. ბოლოს ისევ ქალბატონმა უისლიმ დაარღვია სიჩუმე:

– ჰედვიგი სად არის, ჰარი? – ჰკითხა ტკბილად, – მოდი, პიგვიჯენთან ერთად ჩავსვათ და ვაჭამოთ.

ჰარის გული მოეწურა. სიმართლე ვერ უთხრა. პასუხისთვის თავის ასარიდებლად ჭიქა მოიყუდა და ცეცხლოვანი ვისკი გამოცალა.

– ცოტაც და, გაგივლის. ისე, ეხლაც ხო მოახერხე, ჰარი, – უთხრა ჰაგრიდმა, – ყველა გაიგებს, რაც გააკეთე!

– ეგ მე კი არა, ჩემმა ჯოხმა გააკეთა, – გულახდილად უთხრა ჰარიმ, – თვითონ იჯადოქრა.

ჰერმიონმა წყნარად შენიშნა:

– ეგ შეუძლებელია, ჰარი. ჯოხს თვითნებურად ჯადოქრობა არ შეუძლია. ალბათ, შენ ესროლე შელოცვა, ინსტინქტურად.

– არა, – იუარა ჰარიმ, – მოტოციკლი ვარდებოდა და ვერ ვხედავდი, ვოლდემორი სად იყო. ჯოხმა თვითონ გამიწია ხელი, იპოვა და რაღაც შელოცვა ესროლა. ვერც კი მივხვდი, რა შელოცვა იყო. აქამდე ოქროსფერი ალი არ გამიტყორცნია.

– ხშირად დაძაბულობამ წარმოუდგენელი ჯადოქრობაც კი შეიძლება ჩაგადენინოს. ბავშვებს ემართებათ ხოლმე, სანამ სკოლაში წავლენ... – თქვა ბატონმა უისლიმ.

– ეს სულ სხვა იყო, – ძლივს ამოთქვა ჰარიმ. ნაიარევი ისევ ეწვოდა. ბრაზსა და იმედგაცრუებას გრძნობდა; რატომ ჰგონია ყველას, რომ ვოლდემორის გამკლავების ძალა შესწევს?

ხმა აღარავის ამოუღია. ჰარი მიხვდა, რომ არ დაუჯერეს. ახლაღა გააცნობიერა, რომ არასოდეს სმენოდა, ჯოხს თვითონ ეჯადოქროს.

ნაიარევი ცეცხლივით აეწვა, ცოტაც და, გმინვას დაიწყებდა. წაიდუდუნა, ჰაერს ჩავისუნთქავო, ჭიქა დადგა და ოთახიდან გავიდა.

ეზოში გამოსულს დიდმა, გაძვალტყავებულმა თესტრალმა შეხედა, ვეება აპკიანი ფრთები ააფართხუნა და ბალახის ძოვა განა-

Scanned by CamScanner

გრძო. ჰარი ბაღში გამავალ ჭიშკართან შეჩერდა, გაბარდულ ბუჩქებს გახედა, გასკდომამდე ატკივებული შუბლი მოისრისა და დამბლდორი გაახსენდა.

დამბლდორი დაუჯერებდა, უსათუოდ დაუჯერებდა. დამბლ-დორს ეცოდინებოდა, როგორ და რატომ ამოქმედდა ჰარის ჯოხი დამოუკიდებლად, მას ხომ მუდამ მზად ჰქონდა პასუხი; ჯადოსნური ჯოხების ამბავი კარგად იცოდა და ისიც აუხსნა ჰარის, რა უცნაური კავშირი არსებობდა მისა და ვოლდემორის ჯოხებს შორის... მაგრამ ახლა დამბლდორიც იქაა, სადაც მრისხანეთვალა, სირიუსი, მისი დედ-მამა და საწყალი ჰედვიგი; იქ, სადაც ჰარი ხმას ვერ მიაწვდენს. ყელი აეწვა, ოღონდ, ეს ცეცხლოვანი ვისკის ბრალი არ იყო...

და უცებ ნაიარევის ტკივილმა იმდენად მძაფრად შეუტია, კინაღამ გონება დაუბნელდა. როგორც კი შუბლზე ხელები შემოიჭირა და თვალები დახუჭა, ვიღაცის შორეული კივილი ჩაესმა:

– ხომ მითხარი, სხვა ჯოხს თუ იხმარ, ეგ აღარ მოხდებაო!

და ჰარიმ დაძონძილ-დაჩაჩანაკებული ბერიკაცი დაინახა, ქვის იატაკზე ეგდო და საშინელი, გაბმული, გაუსაძლისი ტანჯვით სავსე ხმით ბღაოდა...

– არა! არა! გემუდარებით!...

– ლორდი ვოლდემორი როგორ მოატყუე, ოლივანდერ!

– არა... გეფიცებით, არა...

– გინდოდა, პოტერი ხელიდან წამსვლოდა?

– გეფიცებით, არა... მეგონა, სხვა ჯოხი გამოგადგებოდათ...

– მაშ, ამიხსენი, რა მოხდა. ლუციუსის ჯოხი დაიმსხვრა!

– არ ვიცი... კავშირი მხოლოდ თქვენ ორის ჯოხებს აქვთ...

– მატყუებ!

– გეხვეწებით... გემუდარებით...

ჰარიმ დაინახა, როგორ აღმართა თეთრმა ხელმა ჯოხი, იგრძნო, როგორ მოაწვა ვოლდემორს მრისხანება და როგორ დაიკრუნჩხა სუსტი ბერიკაცი...

– ჰარი!

ხილვა ისევე უეცრად გაუქრა, როგორც დაეწყო. ბნელში იდგა, ბაღის ჭიშკარს ჩასჭიდებოდა და კანკალებდა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, ნაიარევი ჩხვლეტდა. რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ გამორკვეულიყო. გვერდით რონი და ჰერმიონი ედგნენ.

– ჰარი, შემოდი შინ, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, – წასვლაზე ხომ აღარ ფიქრობ?

– უნდა დარჩე, ძმაო, არსად არ გაგიშვებთ, – უთხრა რონმა და ზურგზე ხელი დაუტყაპუნა.

Scanned by CamScanner

– რა გჭირს? – შეშფოთებულმა ჰერმიონმა სახე მოუთვალიერა.

– რა ვიცი, – ცახცახით უთხრა ჰარიმ, – ალბათ, ოლივანდერზე უკეთესად...

როცა ხილვის შესახებ უამბო, რონი შეძრწუნდა, ჰერმიონს კი შეეშინდა.

– კი მაგრამ, თითქოს შეძელი... აღარ უნდა დაგმართნოდა, ეგ კავშირი აღარ უნდა აღდგეს! დამბლდორს ხომ უნდოდა, რომ გონება დაგეხშო!

ჰარიმ ხმა არ გასცა. ჰერმიონმა მკლავში სტაცა ხელი:

– ჰარი, სამინისტრო, გაზეთები და ჯადოქართა ნახევარი სამყარო მის ხელშია! შენს გონებას მაინც ნუ დაანებებ!

Scanned by CamScanner

თავი მეექვსე

პიჟამაგადაცმული ქინკა

მომდევნო რამდენიმე დღეს ყველას მრისხანეთვალას დაღუპვის ამბავი აწვა გულზე. ჰარი ამას ვერაფრით ეგუებოდა, ელოდა, ან ახლა შემოვა უკანა კარში ხის ფეხის რაკუნით და ან ახლაო, როგორც ორდენის სხვა წევრები, რომლებსაც ხშირად მიჰქონდათ და მოჰქონ-დათ ახალი ამბები. გრძნობდა, რომ სინდისის ქენჯნა და სევდა მხოლოდ მაშინ გაუნელდებოდა, როცა საქმეს შეუდგებოდა, ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა გასდგომოდა გზას და მისია შეესრულებინა – ჰორკრუქსები ეპოვა და გაენადგურებინა.

– სანამ ჩვიდმეტისა არ გახდები, ხომ ვერაფერს უზამ მაგ... – რონმა „ჰორკრუქსები" ვერ გამოთქვა, – ჯერ კვალის ჯადოთი ხარ შეკრული. დაგეგმვით კი აქ დავგეგმოთ ყველაფერი. იქნებ უკვე გაიგე, სადაც არის ჩვენ-რომ-ვიცით, იმის „რაღაცეები"?

– არა, – აღიარა ჰარიმ.

– მგონი, ჰერმიონი რაღაც კვლევა-ძიებაში იყო, – განაგრძო რონმა, – მაგრამ თქვა, ჯერ ჰარი მოვიდეს და მერე გეტყვითო.

სამზარეულოს მაგიდასთან ისხდნენ; ბატონი უისლი და ბილი ის-ის იყო წავიდნენ სამსახურებში. ქალბატონი უისლი ჰერმიონისა და ჯინის გასაღვიძებლად ავიდა ზემოთ, ფლერი კი აბაზანის მის-აღებად განარნარდა.

– კვალი ოცდათერთმეტში მომშორდება, – თქვა ჰარიმ, – ოთხი დღეღა დარჩა. მერე...

– ოთხი კი არა, ხუთი, – შეუსწორა რონმა, – ქორწილში უნდა დავრჩეთ, თორემ დაგვხოცავენ.

ჰარი მიხვდა, რომ რონი ფლერსა და დედამისს გულისხმობდა.

– ერთი დღე ემატება, მეტი ხომ არა, – თქვა რონმა, როცა შეატყო, რომ ჰარი შეპასუხებას აპირებდა.

Scanned by CamScanner

– ნუთუ ვერ ხვდებიან, რა მნიშვნელოვანი საქმეა?

– რა თქმა უნდა, ვერა, – მიუგო რონმა, – იმათ ხომ არაფერი იციან. ამ გახსენებაზე, შენთან სალაპარაკო გვაქვს.

მერე დერეფანში გამავალ კარს გახედა, ქალბატონი უისლი ხომ არ ბრუნდებაო და ჰარისკენ გადაიხარა:

– დედამ ჩემი და ჰერმიონის გამოტეხა სცადა. აინტერესებს, რას ვაპირებთ. ახლა შენც მოგდგება და იცოდე, მაგრად დაუდექი. მამა და ლუპინიც ჩაგვაცივდნენ, მაგრამ როცა ვუთხარი, დამბლდორმა ჰარის დაუბარა, ჩემსა და ჰერმიონის გარდა, არავისთან არაფერი წამოგცდენოდა, თავი დაგვანებეს. ისინი კი შეგვეშვნენ, მაგრამ დედას რას მოუხერხებ!

არ გასულა ორიოდე საათი, რომ რონის წინასწარმეტყველება ახდა და სამხრის წინ ჰარი ქალბატონმა უისლიმ დაიმარტოხელა: სარეცხში ცალი წინდა შემხვდა და ნახე, იქნებ შენ გადმოგივარდა ზურგჩანთიდანო. მერე სამზარეულოში, ციცქნა საუთოო კუთხეში მიიმწყვდია და დაიწყო:

– რონი და ჰერმიონი, მგონი, შენთან ერთად ჰოგვორტსიდან წამოსვლას აპირებენ, – ხალისიანად, თითქოს სხვათა შორის ჰკითხა მან.

– აა... დიახ, ვაპირებთ.

საუთოო ფიცარი რაღაცას, ალბათ, მისი უისლის ჟილეტს გამოედო და გადმოვარდა.

– შეიძლება გკითხო, რატომ ანებებთ სწავლას თავს?

– რატომ და, დამბლდორმა რაღაც... საქმე დამიტოვა, – წაიბუტბუტა ჰარიმ, – რონმა და ჰერმიონმა იციან და უნდათ, წამომყვნენ.

– მაინც, რა „საქმე"?

– უკაცრავად, მაგრამ ვერ...

– სხვათა შორის, მე და არტურს უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რა ხდება. დარწმუნებული ვარ, ჰერმიონის მშობლებიც დამეთანხმებიან! – შეუტია ქალბატონმა უისლიმ. ჰარი „აღელვებული მშობლის" შემოტევამ დააფრთხო. თვალი ძლივს გაუსწორა და დიასახლისის თაფლისფერ თვალებში ზუსტად ისეთი ელფერი დაიჭირა, როგორიც ჯინის თვალებს ჰქონდა, მაგრამ ამან ვერ უშველა.

– დამბლორს არ უნდოდა, ამის შესახებ კიდევ ვინმეს გაეგო რამე, ქალბატონო უისლი, მაპატიეთ. რონს და ჰერმიონს არავინ ავალდებულებს, თვითონ გადაწყვიტეს...

– მე თუ მკითხავ, არც შენ გავალდებულებს ვინმე! – იფეთქა ქალბატონმა უისლიმ და მოჩვენებითი ხალისი გაუქრა, – ჯერ მხოლოდ ახლა ხდები სრულწლოვანი! არც ისინი არიან დიდები!

Scanned by CamScanner

რა სისულელეა! თუ დამბლდორს საქმე ჰქონდა გასაკეთებელი, მთელი ორდენი იქ არ ჰყავდა?! ჰარი, ალბათ, ვერ გაუგე. იტყოდა, რომ რაღაც მისია იყო, შენ კი იფიქრე, რომ ეს მაინცდამაინც შენ უნდა შეგესრულებინა...

– სწორად გავუგე, – გადაჭრით მიუგო ჰარიმ, – ეს საქმე სწორედ ჩემი გასაკეთებელია, – და ის ცალი, ოქროსფერ ლერწმებამოქარგული წინდა გადასცა.

– ეს ჩემი არ არის. მე „პადლმერ იუნაიტედს" არ ვგულშემატკივრობ.

– უი, მართლა, – უცებ ისევ წეღანდელი არხეინი ტონი დაიბრუნა ქალბატონმა უისლიმ, – როგორ გამომრჩა! კარგი, ჰარი. ისე, სანამ აქ ხარ, საქმეზე ხელს ხომ წამიკრავ? ამ ქორწილს იმდენი რამ სჭირდება!

– დიახ, როგორ არა, – მიუგო თემის უცაბედი შეცვლით შეცბუნებულმა ჰარიმ.

– ძალიან კარგი, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ და ღიმილით გაეცალა საუთოო კუთხეს.

ის იყო და ის: ქალბატონმა უისლიმ საქორწილო სამზადისით ისე დატვირთა ჰარი, რონი და ჰერმიონი, რომ ფიქრის დროც აღარ დაუტოვა. ერთი შეხედვით, ასე იმიტომ იქცეოდა, რომ მრისხანეთვალა და ის საშინელი მგზავრობა გადავიწყებოდათ. თუმცა, მას მერე, რაც ორი დღე ხან დანები წმინდეს, ხან ბაფთა-ლენტებისა და ყვავილების ფერი არჩიეს, ხან ბაღის გნომებისგან გაწმენდას, ხან კიდევ უთვალავი კანაპეს მომზადებას მოუნდნენ, ხოლო საქმე არა და არ დაილია, ჰარის ეჭვი შეეპარა, სხვა განზრახვა ხომ არ აქვსო. ამ წვრილმანი საქმეების კეთება მას, რონსა და ჰერმიონს ერთმანეთისგან ისე აცალკევებდა, რომ ჰარიმ ვერც ერთხელ ვერ დაიმარტოხელა მეგობრები სალაპარაკოდ იმ პირველი საღამოს შემდეგ, როცა უამბო, როგორ აწამებდა ვოლდემორი ოლივანდერს.

– დედას, ალბათ, ჰგონია, რომ თუ დალაპარაკებისა და გეგმის დაწყობის საშუალებას არ მოგცემთ, თქვენი წასვლაც გადაიდება, – წაულაპარაკა ჯინიმ ჰარის, როცა მესამე საღამოს სადილისთვის სუფრას შლიდნენ.

– ვითომ ეგ რამეს შეცვლის? – წაიბუტბუტა ჰარიმ, – სანამ ჩვენ აქ ქადებს ვაცხობთ, ვოლდემორის მოსაკლავად სხვა წავა?

ეს დაუფიქრებლად წამოსცდა და ჯინის მაშინვე დაეკარგა ფერი:

– მაშ, მართალია? მაგას აპირებ?

– არა, არა... ვიხუმრე, – პასუხს თავი აარიდა ჰარიმ.

ერთმანეთს თვალებში ჩააცქერდნენ. ჯინის მზერაში ელდაც ჩანდა და რაღაც ამოუცნობიც. ჰარიმ უცებ გააცნობიერა, რომ ჰოგ-

Scanned by CamScanner

ვორტსის მიყრუებულ კუთხეებში მოპარული საათების შემდეგ პირველად იყვნენ ერთად. დარწმუნებული იყო, ჯინისაც ეს გაახსენდა. უცებ ორივე შეხტა: კარი გაიღო და ბატონი უისლი, კინგსლი და ბილი შემოვიდნენ.

ორდენის წევრები ახლა ხშირად მოდიონენ სადილად, რადგან შტაბ-ბინამ გრიმოს მოედნის თორმეტი ნომრიდან „ბუნაგში" გადმოინაცვლა. ბატონმა უისლიმ აუხსნა, რომ დამბლდორის, – შტაბ-ბინის მისამართის ერთადერთი მესაიდუმლის, – სიკვდილის შემდეგ მესაიდუმლედ იქცა ყველა, ვისაც მან გრიმოს მოედნის ადგილსამყოფელი გაუმხილაო.

– ჰოდა, რაკი დაახლოებით ოცნი ვართ, ფიდელიუსის შელოცვას ძალა მოაკლდა, სიკვდილის მხვრელებს კი ოცჯერ მეტი შესაძლებლობა აქვთ, მისამართი წამოაცდენინონ ვინმეს. ეს საიდუმლო დიდხანს ვეღარ შეინახება.

– ჰო, მაგრამ სნეიპი ხომ უკვე მიასწავლიდა მისამართს? – ჰკითხა ჰარიმ.

– თუ სნეიპი იქ გამოჩნდა, მრისხანეთვალას დატოვებული ორი წყევლა დახვდება. იმედი გვაქვს, ის წყევლა შიგნით არ შეუშვებს და როცა იქაურობაზე ხმის ამოღებას დააპირებს, ენასაც დაუბამს, მაგრამ მშვიდად მაინც ვერ ვიქნებით. სიგიჟე იქნება იქაურობის შტაბად გამოყენება, როცა დაცვა ასე შესუსტდა.

– მრისხანეთვალაზე არაფერი გაგიგიათ? – ჰარი ახლა ბილს მიუბრუნდა.

– არა, – თავი გააქნია ბილმა.

მუდის დაკრძალვა არ ყოფილა, რადგან ბილმა და ლუპინმა გვამს ვერ მიაგნეს. არ იცოდნენ, იმ სიბნელესა და ბრძოლის ქარცეცხლში ზუსტად სად ჩამოვარდა.

– „დილის მისანს" არც მისი სიკვდილი უხსენებია და არც გვამის პოვნაზე უთქვამს რამე, – განაგრძო ბილმა, – მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. დღეს „მისანი" ბევრ რამეზე დუმს.

– არც სამინისტროში ყოფილა მოსმენა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანმა სიკვდილის მხვრელებთან ბრძოლაში ჯადოქრობა გამოვიყენე? – გასძახა ჰარიმ მაგიდის საპირისპირო მხარეს მჯდომ ბატონ უისლის. მან თავი გაიქნია.

– რატომ? იცოდნენ, რომ სხვა გზა არ მქონდა, თუ იმის ეშინიათ, ვოლდემორის თავდასხმის ამბავი არ მოვყვე?

– ალბათ, უფრო მეორეა. სკრიმჯერს არც იმის აღიარება უნდა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის გაძლიერდა და არც იმისა, რომ აზკაბანიდან მასობრივად გაიქცნენ პატიმრები.

Scanned by CamScanner

– მართლაც, რა საჭიროა სიმართლე? – თქვა ჰარიმ და დანას ხელი ისე მოუჭირა, რომ ხელის ზურგზე თეთრად გამოუჩნდა მკრთალი ნაიარევი: „მე არ უნდა ვიცრუო“.

– მერე, სამინისტროში სხვა აზრის მქონე არავინ ჭაჭანებს? – ბრაზით იკითხა რონმა.

– როგორ არა, რონ, მაგრამ ხალხი დამფრთხალია, – მიუგო ბატონმა უისლიმ, – ყველას ეშინია, ან მე გამაქრობენ და ან ჩემს შვილებს დაესხმიან თავსო! საზიზღარი ჭორები დადის; პირადად მე არ მჯერა, რომ ჰოგვორტსის მაგლთმცოდნეობის პროფესორმა, ჩერიტი ბარბიჯმა მართლაც დაანება თავი მუშაობას. რამდენიმე კვირაა, თვალით არავის უნახავს. სკრიმჯერი მთელ დღეს კაბინეტშია ჩაკეტილი. ერთადერთი იმედი ის არის, რომ მოქმედების გეგმას ადგენს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონმა უისლიმ მაგიდაზე ცარიელი თეფშები ჩაამწკრივა და ვაშლის ნამცხვარი ჩამოარიგა.

– გადასაცკვეტი გვაკვს, ვისი გაღეგნობიტ იკნები, აღი, – მიმართა ფლერმა მას შემდეგ, რაც ყველამ მიირთვა ნამცხვარი, – კოლ-ცილში, – დააყოლა მაშინვე, როგორც კი ჰარის შეცბუნებულ სახეს მოჰკრა თვალი, – ღა ტკმა უნდა, სიკვდილის მკვლელებს აღ ვეპატიჟებით, მაგღამ ღა იცი, შამპანულის შემდეგ, ღომელ სტუმაღს ღა ცამოსცდება.

ჰარი მიხვდა, რომ ფლერი ჯერაც ეჭვობდა ჰაგრიდზე.

– ჰო, კარგი აზრია, – გამოეპასუხა მაგიდის თავში მჯდომი ქალბატონი უისლი. ცხვირის წვერზე სათვალეწამოსკუპებული უგრძეს პერგამენტზე ჩაწიკწიკებულ მოსაგვარებელი საქმეების სიას ჩაჰყურებდა, – აბა, რონ, მიალაგე შენი ოთახი თუ არა?

– რატომ? – წამოიყვირა რონმა, კოვზი მაგიდაზე დააგდო და დედას მიაშტერდა, – რა მილაგება უნდა? მე და ჰარის ასეთიც მოგვწონს!

– ამ დღეებში შენი ძმის ქორწილია, ყმაწვილო და...

– მერე? ჩემს ოთახში უნდა გადაიხადონ? – აღშფოთდა რონი, – არა! ჰოდა, რატომ, მერლინის საცვალს...

– დედას წესიერად ელაპარაკე, – მკაცრად შეაწყვეტინა ბატონმა უისლიმ, – და რასაც გეუბნება, გააკეთე.

რონმა დედა-მამას შეუბღვირა, კოვზი აიღო და ვაშლის ნამცხვრის ბოლო ლუკმას მიუბრუნდა.

– მოგეხმარები, იქაურობა მეც კარგად ავურ-დავურიე, – უთხრა ჰარიმ, მაგრამ ქალბატონი უისლი ჩაერია:

– არა, ჰარი, შენ ჯობია არტურს წაჰყვე და ქათმებს მიხედოთ, შენ

Scanned by CamScanner

კი, ჰერმიონ, კარგს იზამ, თუ მუსიე და მადამ დელაკურების ლოგინის თეთრეულს გამოცვლი. ხვალ დილით ჩამოდიან, თერთმეტზე.

თუმცა, როგორც გაირკვა, ქათმებს არანაირი მიხედვა არ სჭირდებოდა.

– მოლის ნუ ეტყვი, – უთხრა ბატონმა უისლიმ და საქათმის შესასვლელში გადაელობა, – მაგრამ... მმმ... ტედ ტონქსმა სირიუსის მოტოციკლის ნამტვრევები გამომიგზავნა და აქ ვმალავ... ვინახავ. საკვირველი რამეებია: გამონაბოლქვის შუასადები (მგონი, ეგრე ჰქვია) და სრულიად გასაოცარი ბატარეა. მშვენიერი შესაძლებლობა მომეცა, გავიგო, როგორ მუშაობს მუხრუჭები. უნდა ვცადო, იქნებ ისევ ავაწყო, როცა მოლი არ... უფრო სწორად, როცა მეცლება.

შინ რომ შებრუნდნენ, ქალბატონი უისლი არ ჩანდა. ჰარიმ დრო იხელთა და სხვენში, რონის ოთახში აიპარა.

– ვალაგებ, ჰო, ვალაგებ!... უფ, შენა ხარ? – შვებით ამოისუნთქა რონმა ჰარის დანახვაზე და ლოგინზე გაიშხლართა. ოთახში ისეთივე არეულობა იყო, როგორც მთელი ის კვირა. მხოლოდ ის შეცვლილიყო, რომ ჰერმიონი ბოსთან ერთად კუთხეში მოკალათებულიყო და წიგნებს ახარისხებდა. ჰარიმ ორ სვეტად აკოკოლავებულ წიგნებში თავისებიც იცნო.

– მოხვედი, ჰარი? – ჰკითხა ჰერმიონმა. ჰარი თავის გასაშლელ საწოლზე ჩამოჯდა.

– ჰო. შენ როგორ დაუძვერი?

– როგორ და, ქალბატონ უისლის დაავიწყდა, რომ მე და ჯინის გუშინ გამოგვაცვლევინა თეთრეული, – მიუგო ჰერმიონმა და „ნუმეროლოგია" და „გრამატიკა" ერთ სვეტს მიუმატა, ხოლო „ბნელი ძალების აღზევება და დაცემა" – მეორეს.

– მრისხანეთვალაზე ვლაპარაკობდით, – უთხრა ჰარის რონმა, – მე ვფიქრობ, შეიძლება გადარჩა.

– ჰო, მაგრამ ბილმა ხომ დაინახა, რომ მომაკვდინებელი წყევლა მოხვდა, – უთხრა ჰარიმ.

– მაგ დროს ბილიც თავდასხმას იგერიებდა, – არ დანებდა რონი, – საიდან ეცოდინება, რა მოხდა?

– ის წყევლა კიდეც რომ ასცდენოდა, ხუთასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, – თქვა ჰერმიონმა და ხელში „ბრიტანეთისა და ირლანდიის ქვიდიჩის გუნდები" აწონა.

– ფარის შელოცვას გამოიყენებდა...

– ფლერმა თქვა, ჯოხი ხელიდან გაუვარდაო, – შეახსენა ჰარიმ.

– კარგი, ბატონო, თუ გინდათ, რომ მკვდარი იყოს... – პირქუშად თქვა რონმა და ბალიში უფრო მოხერხებულად ამოიდო.

Scanned by CamScanner

– როგორ თუ გვინდა! – თვალები დაუბრიალა ჰერმიონმა, – საშინელებაა, რომ ის ჩვენ გვერდით აღარაა, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ!

ჰარიმ პირველად წარმოიდგინა დამბლდორივით დამტვრეული მრისხანეთვალა, ოღონდ ცალი თვალი კვლავ ბუდეში უტრიალებდა. კინაღამ გაეცინა.

– სიკვდილის მხვრელებმა, ალბათ, ისე მოასუფთავეს იქაურობა, რომ ვერავინ ვერაფერი იპოვა, – ბრძნულად თქვა რონმა.

– ალბათ, – დაამატა ჰარიმ, – ბარტი კრაუჩის ძვლად ქცევისა და ჰაგრიდის ბოსტანში ჩამარხვისა არ იყოს. ალბათ, რამედ გადააქციეს და სადმე შეტენეს...

– გაჩუმდი! – იყვირა ჰერმიონმა. ჰარიმ დაინახა, როგორ დაეცა მისი ცრემლები „შელოცვის საფუძვლებს“.

– კარგი, რა, – თქვა ჰარიმ და თავისი გასაშლელი საწოლიდან ადგომას შეეცადა, – ჰერმიონ, არ მინდოდა...

დაჟანგულმა ზამბარებმა ჭრაჭუნი ატეხა, რონი საწოლიდან წამოფრინდა და ჰერმიონთან ჰარის მიასწრო. მერე ჯინსის ჯიბიდან ძალიან ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოაძრო, რომლითაც წეღან ღუმელს წმენდდა, ჯოხი მიუშვირა და თქვა:

– ტერგეო.

ჯოხმა თითქმის მთელი ჭუჭყი შეიწოვა. კმაყოფილმა რონმა ცხვირსახოცი ჰერმიონს მიაწოდა.

– ოჰ... გმადლობ, რონ... უკაცრავად... – ცხვირი მოიხოცა და ამოისლუკუნა გოგონამ, – რა სა-სა-ში-ნელებაა, არა? პირდაპირ დამბლ-დორის შემდეგ... ვე-ვერ წარმომედგინა მრისხანეთვალას სიკვდილი. რა მამაცი იყო!

– ჰო, ვიცი, – უთხრა რონმა და მხარზე ხელი მოუჭირა, – მაგრამ ხომ იცი, რასაც გვეტყოდა?

– მუ-მუდმივი სიფხიზლეო, – უპასუხა ჰერმიონმა და თვალები მოიწმინდა.

– ეგრეა, – თავი დაუქნია რონმა, – გვეტყოდა, ჩემი სიკვდილი თქვენთვის გაკვეთილი იყოს, ჭკუა ისწავლეთო. მე პირადად, ის ვისწავლე, რომ დაგვაჯულ ლაჩარ მანდანგუსს არ უნდა ენდო.

ჰერმიონს ხმის კანკალით გაეცინა, დაიხარა და კიდევ ორი წიგნი აიღო. უცებ „მონსტრწიგნი მონსტრების შესახებ“ ხელიდან გაუსხ-ლტა და რონს ფეხზე დაეცა. წიგნმა შემოჭერილი ქამრიდან თავი გაითავისულა და რონს მძვინვარედ ჩააფრინდა კოჭში.

– ბოდიში, ბოდიში! – წამოიძახა ჰერმიონმა, ჰარიმ კი ძლივს გამოჰგლიჯა წიგნს რონის ფეხი და ისევ ქამრით შეკოჭა.

Scanned by CamScanner

– მაინც, რად გინდა ეგ წიგნები? – ჰკითხა რონმა და კოჭლობით მივიდა საწოლთან.

– ვარჩევ, ჰორკრუქსების მოსაძებნად რომ წავალთ, რომელი წავიღოთ და რომელი – არა.

– ჰო, მართლა, – თქვა რონმა და ხელი შუბლზე იტკიცა, – სულ დამავიწყდა, რომ ვოლდემორზე ნადირობისას სამგზავრო ბიბლიოთეკა დაგვჭირდება.

ჰერმიონს გაეცინა და „შელოცვის საფუძვლებს" დახედა, – ნეტავ, რუნების გადმოთარგმნა თუ დაგვჭირდება? ვინ იცის... მგონი, ყოველი შემთხვევისათვის ჯობია, მაინც წავიღოთ.

„საფუძვლები" მაღალ სვეტს დაადო და „ჰოგვორტსის ისტორიას" დასწვდა.

– მისმინეთ, – ჰარი წამოდგა და გასწორდა. რონმა და ჰერმიონმა მორჩილად, თან გამომწვევად შეხედეს, – დამბლდორის დაკრძალვის შემდეგ რომ მითხარით, უნდა წამოგყვეთო...

– დაიწყო, – უთხრა რონმა ჰერმიონს და თვალები ჭერში ააპყრო.

– ხომ ვიცოდით, რომ დაიწყებდა, – ამოიოხრა ჰერმიონმა და წიგნებს მიუბრუნდა, – მოდი, მაინც წამოვიღებ „ჰოგვორტსის ისტორიას". სკოლაში რომც არ დავბრუნდეთ, უამისოდ მაინც ვერ გავძლებ...

– მისმინეთ! – განაგრძო ჰარიმ.

– არა, შენ გვისმინე, – უთხრა ჰერმიონმა, – ორივენი მოგყვებით. ეს რამდენიმე თვის წინ გადაწყდა, უფრო სწორად, – რამდენიმე წლის წინ.

– მაგრამ...

– მოკეტე რა, ჰარი, – ურჩია რონმა.

– დარწმუნებულები ხართ, რომ ყველაფერი კარგად გაიაზრეთ? – უკან არ დაიხია ჰარიმ.

– ნახე! – უთხრა ჰერმიონმა და „ორომტრიალი ტროლებთან" მრისხანე მზერით დაახეთქა დაწუნებული წიგნების გროვაზე, – რამდენიმე დღეა, ვალაგებ, რომ წასვლისათვის ნებისმიერ წუთში მზად ვიყოთ. ამას, სხვათა შორის, რთული ჯადოქრობა დასჭირდა. მათ შორის, მრისხანეთვალას მრავალწვნიანი სასმელის მარაგის აწაპვნა! თანაც, ქალბატონი უისლის ცხვირწინ. გარდა ამისა, დედაჩემს და მამაჩემს მეხსიერება შევუცვალე. ახლა დარწმუნებულები არიან, რომ ვენდელ და მონიკა ვილკინსები ჰქვიათ და მუდამ ავსტრალიაში ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, ჰოდა, კიდეც აიხდინეს ოცნება. ვოლდემორს ასე უფრო გაუჭირდება, მიაკვლიოს და ჩემი ან შენი ადგილსამყოფელი გამოჰკითხოს. თუ ჰორკრუქსებზე ნადირობას

Scanned by CamScanner

მშვიდობით გადავურჩი, დედას და მამას ვიპოვი და ჯადოს ავხსნი, და თუ არა... მე მგონი, კარგად შევულოცე და არაფერი გაუჭირდებათ. ვენდელ და მონიკა ვილკინსებმა არ იციან, რომ ქალიშვილი ჰყავთ...

ჰერმიონს ისევ ცრემლი მოადგა თვალზე. რონი ისევ წამოდგა, ერთხელაც გადახვია ხელი და ჰარის ისე შეუბღვირა, თითქოს უტაქტობას საყვედურობსო. ჰარის ენა ჩაუვარდა; საკვირველი ამბავი იყო: რონი ტაქტისკენ მოუწოდებდა!

– მე... ჰერმიონ, ბოდიში... არ მინდოდა...

– ვერ ხვდები, რომ მე და რონმა მშვენივრად ვიცით, რაც შეიძლება მოხდეს, თუ წამოგყევით? ძალიან კარგად ვიცით. რონ, აჩვენე, რაც გააკეთე.

– არა, ახალი ნასადილებია, – შეყოყმანდა რონი.

– მიდი, ხომ უნდა იცოდეს.

– ჰო, კარგი. წამო, ჰარი.

რონმა მეორედ გაუშვა ჰერმიონს ხელი და ფეხათრევით წავიდა კარისკენ.

– წამო.

– რატომ? – ჰკითხა ჰარიმ და პატარა კიბის ბაქანზე გავიდა.

– დესენდო, – წაიბუტბუტა რონმა და ჯოხი დაბალ ჭერს მიუშვირა. მათ თავს ზემოთ სხვენის კარი აიხსნა, ფეხებთან კი კიბე დაეშვა. ოთხკუთხა ხვრელიდან საშინელი წრუპუნი და გოდება გადმოიფრქვა და საკანალიზაციო მილის სიმყრალე დატრიალდა.

– მანდ ხომ თქვენი ჭინკაა? – ჰკითხა ჰარიმ. ის სულიერი, რომელიც ღამღამობით ძილს უფრთხობდათ ხოლმე, ჯერ არ ენახა.

– ჰო, ის არის, – თქვა რონმა და კიბეზე ავიდა, – ამო, შეხედე.

ჰარიმ რამდენიმე საფეხური აიარა და მოცუცქნულ სხვენში აიხედა. ბინდბუნდში, რამდენიმე მეტრის დაშორებით, ვიღაც მოკრუნჩხულიყო, პირი დაეღო და ეძინა.

– მოიცა, ეს რა არის... ჭინკებს პიჟამა აცვიათ?

– არა, – მიუგო რონმა, – არც წითელი თმა აქვთ და არც ასეთი გამონაყარი.

ჰარი ზიზღით დააკვირდა ჭინკას, რომელსაც ფორმა და ზომა ადამიანისა ჰქონდა, ხოლო ტანზე რონის ძველი პიჟამა ეცვა. ჰარიმ იცოდა, რომ ჭინკა, ჩვეულებრივ, გალეული და მოტვლეპილია და არა – თმიანი და წითელი მუწუკებით დაფარული.

– ეს მე ვარ, გაიგე? – ჰკითხა რონმა.

– ვერა, – უპასუხა დაბნეულმა ჰარიმ.

– ჩავიდეთ და იქ გიამბობ, ეს სუნი ცუდად მხდის, – თქვა რონმა.

Scanned by CamScanner

კიბეზე დაეშვნენ, რონმა კიბე ჭერში ააბრუნა და ჰარისთან ერთად ოთახში შევიდა. ჰერმიონი ისევ წიგნებს ახარისხებდა.

– ჩვენ რომ წავალთ, ჭინკა ჩამოვა და ჩემს ოთახში დასახლდება, – თქვა რონმა, – ამ მომენტს დიდი ამბით ელოდება... თუმცა, რას გაიგებ: ყმუილ-დუდღუნის მეტი არაფერი იცის, მაგრამ როცა აქ გადმოსახლებას უხსენებ, სულ თავს იქნევს. მოკლედ, ეგ ჭინკა მე ვარ, ოღონდ, ჩუტყვავილათი დაავადებული. მაგარია, არა?

ჰარი სულ გამოშტერდა.

– როგორ ვერ გაიგე! – რონს შეეტყო, ეწყინა, ჰარი აქამდე რომ ვერ ჩასწვდა მისი გეგმის მთელ ბრწყინვალებას, – როცა ჰოგვორტს-ში არც ერთი არ დავბრუნდებით, რასაკვირველია, იეჭვებენ, რომ მე და ჰერმიონი შენ ნამოგყევით, მიხვდი? ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიკვდილის მხვრელები პირდაპირ ჩვენს ოჯახებს მიადგებიან და ჩვენი ადგილსამყოფლის გაგებას შეეცდებიან.

– მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩემზე ეგონებათ, დედ-მამას წაჰყვაო. ახლა მაგლური წარმოშობის ბევრი ჯადოქარი ფიქრობს, რომ აჯობებს, დაიმალოს, – თქვა ჰერმიონმა.

– ჩვენი ოჯახი კი, აბა, როგორ დაიმალება: ჯერ ერთი, საეჭვოდ მოეჩვენებათ, მეორეც, სამსახურს ვერ მიატოვებენ, – განაგრძო რონმა, – ჰოდა, ხმას დააგდებენ, რომ ჩუტყვავილა შემეყარა და ისე მძიმედ ვარ, სკოლაშიც ვერ გამიშვეს. თუ ვინმე გამოსაძიებლად მოვა, დედა ან მამა ჩემს საწოლში მოკალათებულ, მუწუკებით სახედა-ფარულ ჭინკას აჩვენებს. ჩუტყვავილა გადამდებია, ამიტომ ახლოს არავინ მიეკარება. ჭინკა რომ ხმას ვერ ამოიღებს, არც ეგაა საეჭვო – როცა ჩუტყვავილა ენაზე გადადის, ლაპარაკი შეუძლებელია.

– დედამ და მამამ იციან, რასაც აპირებ? – ჰკითხა ჰარიმ.

– მამამ იცის. ფრედსა და ჯორჯს ჭინკას გარდასახვაში მიეხმარა კიდეც. რაც შეეხება დედას, შენც ხომ ნახე, რა დღეშია. სანამ არ წავალთ, მანამდე ჩვენს წასვლას ვერ შეეგუება.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც დროდადრო მხოლოდ ყრუ ბრაგუნი არღვევდა, როცა ჰერმიონი რომელიმე სვეტზე დაახეთქებ-და წიგნს. რონი იჯდა და თვალს ადევნებდა, ჰარი კი ხმის ამოუღე-ბლად ხან ერთს შეხედავდა და ხან – მეორეს. ოჯახების დასაცავად მიღებულმა ზომებმა ყველაზე მეტად დააჯერა, რომ მისი მეგობრები დანამდვილებით აპირებდნენ გაყოლას, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდნენ, რა ხიფათს შეიძლებოდა გადაჰყროდნენ. მადლობის თქმა მოუნდა, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ იპოვა.

სიჩუმეში ყრუდ შემოიჭრა ოთხი სართულით ქვემოთ აყვირებული ქალბატონი უისლის ხმა.

Scanned by CamScanner

– ეტყობა, ჯინის დარჩა ლაქა ხელსახოცების ჩასაწყობ რგოლზე; და საერთოდ, ვერ გავიგე, დელაკურებს რა მოარბენინებთ ქორწილამდე ორი დღით ადრე? – ჩაიდუდღუნა რონმა.

– ფლერის და მეჯვარეა და ქორწილამდე უნდა ჩამოვიდეს. მარტო კი ვერ ჩამოვა, ჯერ პატარაა, – თქვა ჰერმიონმა. ხელში „ხეტიალი ალებთან" ეჭირა და ყოყმანით დასცქეროდა.

– სტუმრიანობა დედას ნამდვილად ვერ დაამშვიდებს, – ამოიოხრა რონმა.

– ახლა ის გვაქვს გადასაწყვეტი, ჯერ სად წავიდეთ, – ისევ თავიანთი გამგზავრების თემას მიუბრუნდა ჰერმიონი და „თავდაცვითი მაგიის თეორია" უყოყმანოდ მოისროლა ნაგავში, მერე „მაგიური განათლების ცნობარი ევროპაში" აიღო და ჰარის მიუბრუნდა, – ვიცი, რომ გოდრიკ ჰოლოუსკენ მიგიწევს გული, ჰარი, და მესმის კიდეც შენი, მაგრამ... მგონი, ჯერ ჰორკრუქსებს უნდა მივხედოთ.

– მართალი ხარ, ოღონდ, ამისთვის ერთი ჰორკრუქსის ადგილსამყოფელი მაინც უნდა ვიცოდეთ, – უთხრა ჰარიმ, თუმცა, არ სჯეროდა, რომ ჰერმიონს მართლაც ესმოდა, რატომ მიიწევდა ჰარი გოდრიკ ჰოლოუსკენ. მას მხოლოდ დედ-მამის საფლავის მონახულება როდი უნდოდა, მთელი არსებით გრძნობდა, რომ სწორედ იმ მიყრუებულ სოფელში იპოვიდა თავის კითხვებზე პასუხს. იქნებ იმიტომ, რომ სწორედ იქ გადაურჩა ვოლდემორის მომაკვდინებელ წყევლას. ახლა, როცა ეს გმირობა ერთხელაც უნდა ჩაედინა, ის ადგილი იზიდავდა, იქნებ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

– არ გიფიქრია, რომ ვოლდემორი შეიძლება გოდრიკ ჰოლოუს უთვალთვალებდეს? – ჰკითხა ჰერმიონმა, – იქნებ მოელის, რომ მას მერე, რაც თავისუფლად წასვლა-მოსვლის საშუალება მოგეცემა, შენი მშობლების საფლავის მოსანახულებლად დაბრუნდები?

ჰარის ეს აზრად არ მოსვლია. სანამ საწინააღმდეგო არგუმენტების მოძებნას ცდილობდა, რონიმ ამოიღო ხმა; ეტყობა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა:

– ვერ დავადგინეთ, ვინ არის ეს რ.ა.ბ. ვინც ნამდვილი მედალიონი მოიპარა?

ჰერმიონმა თავი გააქნია.

– იმ წერილში ამბობს, უნდა გავანადგუროო, არა?

ჰარიმ ზურგჩანთა მოაჩოჩა და ყალბი ჰორკრუქსი ამოიღო, რომელშიც ჯერაც იდო რ.ა.ბ.-ის დაკეცილი ბარათი.

– „ნამდვილი ჰორკრუქსი მოვიპარე და მის განადგურებას პირველი შესაძლებლობისთანავე ვაპირებ", – ამოიკითხა ჰარიმ.

Scanned by CamScanner

– და თუ იმ კაცმა ჰორკრუქსი მართლაც გაანადგურა? – იკითხა რონმა.

– ან იმ ქალმა, – ჩაურთო ჰერმიონმა.

– სულერთია, ჩვენ საქმე მოგვაკლდებოდა, – თქვა რონმა.

– ჰო, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ ნამდვილი მედალიონის პოვნა და გავიგოთ, მართლა განადგურებულია თუ არა, – მიუგო ჰერმიონმა.

– და თუ ვიპოვით, როგორ უნდა გავანადგუროთ? – ჰკითხა რონმა.

– ოო, ეგ საკითხი უკვე შევისწავლე, – ამაყად უპასუხა ჰერმიონმა.

– როგორ? – გაუკვირდა ჰარის, – ბიბლიოთეკაში ხომ არც ერთი წიგნი არ იყო ჰორკრუქსებზე?

– არ იყო, – დაუდასტურა ჰერმიონმა და ლოყები აელეწა, – დამბლდორმა გაიტანა ყველა, მაგრამ არ გაუნადგურებია.

რონმა თვალები ჭყიტა და წამოჯდა.

– მერლინის საცვალს გაფიცებ, როგორ ჩაიგდე ხელში ჰორკრუქსების წიგნი?

– არ მომიპარავს... – ცოტა შეცბუნებული ჰერმიონი ხან ჰარის შეხედავდა, ხან – რონს, – ისინი მაინც ბიბილიოთეკის წიგნებია, მიუხედავად იმისა, რომ დამბლდორმა წამოიღო. თანაც, მას რომ მართლა ნდომოდა, წიგნებს არავინ მიჰკარებოდა, უკეთესად დამალავდა...

– საქმეზე გადადი! – ველარ ითმენდა რონი.

– მოკლედ... ადვილი იყო, – ხმადაბლა თქვა ჰერმიონმა, – გამოძახების შელოცვით მოვიხმე. „აკციო" – და წიგნები დამბლდორის კაბინეტის ფანჯრიდან პირდაპირ გოგონების საძინებელში შემოფრინდნენ.

– ჰო, მაგრამ ეგ როდის მოახერხე? – ჰარის ხმაში ერთდროულად იგრძნობოდა ეჭვიც და აღტაცებაც.

– მაშინვე... დაკრძალვისთანავე, – უფრო დაუწია ხმას ჰერმიონმა, – როგორც კი შევთანხმდით, რომ სკოლაში აღარ დავბრუნდებოდით და ჰორკრუქსების ძებნას დავიწყებდით, ზემოთ ავედი ჩასაბარგებლად... და უცებ ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა, მეტი გვცოდნოდა ჰორკრუქსებზე. მარტო ვიყავი, ვცადე... გამომივიდა. პირდაპირ ღია ფანჯარაში შემოფრინდნენ და... ჩავალაგე.

სული მოითქვა და იმედიანად დაასრულა:

– დამბლდორი, ალბათ, არ გაბრაზდებოდა. ეს წიგნები ჰორკრუქსების შესაქმნელად ხომ არ გვინდა!

– მერე, ვინ რას გეუბნება? – აღფრთოვანებული იყო რონი, – სად არის წიგნები?

ჰერმიონმა აკოკოლავებული წიგნების სვეტიდან წამში გამო-

Scanned by CamScanner

აძვრინა დიდი, შავ, გახუნებულ ტყავგადაკრული წიგნი და ისეთი ზიზღით დააცქერდა, თითქოს ლეშიაო.

– აქ დაწვრილებით წერია, როგორ უნდა შექმნა ჰორკრუქსი. „შავი მაგიის საიდუმლოებანი“ საშინელი წიგნია, საშიში, ბოროტი ჯადოქრობით სავსე. ნეტავ, როდის წამოიღო დამბლდორმა ბიბლიოთეკიდან... იქნებ მას მერე, რაც დირექტორი გახდა... დაგენაძლევებით, რომ ვოლდემორი სწორედ აქედან გაიგებდა, რაც სჭირდებოდა.

– თუ უკვე წაკითხული ჰქონდა, მაშ, სლაგჰორნს რაღას ეკითხებოდა, ჰორკრუქსებს როგორ ამზადებენო? – ჰკითხა რონმა.

– სლაგჰორნისგან მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, რა მოსდის ადამიანს, თუ სულს შვიდ ნაწილად გაყოფს, – ჰერმიონის ნაცვლად უპასუხა ჰარიმ, – დამბლდორი დარწმუნებული იყო, რომ როცა რიდლი სლაგჰორნს ჰორკრუქსების ამბავს ეკითხებოდა, უკვე იცოდა, როგორც მზადდება. მგონი, მართალი ხარ, ჰერმიონ, ალბათ, აქ წაიკითხა.

– და რაც უფრო მეტს კითხულობ, მით უფრო საშინელი გეჩვენება და უფრო ნაკლებად გჯერა, რომ მართლაც ექვსი ჰორკრუქსი შექმნა, – განაგრძო ჰერმიონმა, – ამ წიგნში გვაფრთხილებენ, სულის გახლეჩით მისი დარჩენილი ნაწილი ძალზე მყიფე ხდებაო. თანაც, აქ მხოლოდ ერთი ჰორკრუქსის შექმნაზეა ლაპარაკი!

ჰარის გაახსენდა, როგორ ამბობდა დამბლდორი, ვოლდემორის ბოროტება ყოველგვარ ზღვარს გასცდაო.

– შეიძლება, რომ სული ისევ გაიერთიანო? – ჰკითხა რონმა.

– ჰო, – უპასუხა ჰერმიონმა, – ოღონდ, საშინლად მტკივნეულია.

– რატომ? ეს როგორ ხდება? – დაინტერესდა ჰარი.

– მონანიებით, – მიუგო ჰერმიონმა, – გულით უნდა ინანო, რაც ჩაიდინე. ქვემოთ შენიშვნაა: შეიძლება ამ დროს გამანადგურებელი ტკივილი იგრძნოო. თუმცა, რაღაც არ ეტყობა, ვოლდემორი მონანიებას ცდილობდეს, არა?

– ცხადია, – დაასწრო რონმა ჰარის, – შენ ის გვითხარი, ის თუ წერია მაგ წიგნში, ჰორკრუქსები როგორ უნდა გაანადგურო?

– კი, – ჰერმიონმა ისე გადაშალა თხელი ფურცლები, გეგონება, აყროლებულ შიგნეულს სინჯავსო, – რადგან ბნელ ჯადოქრებს აფრთხილებენ, რომ უაღრესად ძლიერი დაცვა დაგჭირდებათო. რაც ჰარიმ უქნა რიდლის დღიურს, ჰორკრუქსის განადგურების ერთერთი ყველაზე საიმედო ხერხი ყოფილა.

– რა, ბასილისკოს ეშვის ჩარჭობა? – ჰკითხა ჰარიმ.

– უჰ, კიდევ კარგი, ბასილისკოს ეშვები მაინც ბლომად გვაქვს,

Scanned by CamScanner

– მწარედ ჩაეცინა რონს, – სულ ვფიქრობდი, რაში გამოვიყენოთ-მეთქი.

– მაინცდამაინც ბასილისკოს ეშვი კი არ არის აუცილებელი, – მოთმინებით აუხსნა ჰერმიონმა, – მთავარია, გამანადგურებელი ძალა ჰქონდეს, რომ ჰორკრუქსმა აღდგენა ვეღარ მოახერხოს. ბასილისკოს შხამს კი მხოლოდ ერთი რამ შველის და ისიც ძალიან ძნელი საშოვნელია...

– ფენიქსის ცრემლები, – თავი დაუქნია ჰარიმ.

– მართალი ხარ, – თქვა ჰერმიონმა, – ძნელი ისაა, რომ ბასილისკოს შხამივით გამანადგურებელი ნივთიერებები ძალზე ცოტაა და ვერც თან წავიღებთ, სახიფათოა. ეს პრობლემა გადასაჭრელი გვაქვს, რადგან ჰორკრუქსის გაჭრა, გაჭყლეტა თუ დაგლეჯა ვერაფერს მოგვიტანს. ისე უნდა გაანადგურო, რომ ჯადოქრობამ ვეღარ აღადგინოს.

– ვთქვათ და, გავაცამტვერეთ ის, რაშიც ჰორკრუქსი დევს, სულის ნაწილი ვერ წავა და სხვაგან ვერ ჩასახლდება? – იკითხა რონმა.

– ვერა, იმიტომ, რომ ჰორკრუქსს ადამიანის საპირისპირო ბუნება აქვს.

ჰარისა და რონს ისეთი განცვიფრებული სახეები ჰქონდათ, ჰერმიონი მიხვდა, ვერაფერი გაიგესო და სწრაფად განაგრძო:

– მისმინეთ, ახლა რომ ხმალი ავიღო და გაგფატრო, რონ, შენს სულს ვერაფერს დავაკლებ.

– როგორ გამახარე! – თქვა რონმა. ჰარის გაეცინა.

– იმას ვგულისხმობ, რომ შენს სხეულს რაც უნდა დაემართოს, სული მაინც გადარჩება. ჰორკრუქსის შემთხვევაში პირიქითაა. შიგ მომწყვდეული სულის ნაწილი მანამ არსებობს, სანამ ჭურჭელში, მოჯადოებულ სხეულშია მოთავსებული. უიმისოდ ვერ ძლებს.

– ჰო, ის დღიური ცოცხალ არსებასავით მოკვდა, როცა ეშვი გავუყარე, – თქვა ჰარიმ და გაახსენდა, როგორ სისხლივით ამოასხა მელანმა გახვრეტილი ფურცლებიდან და როგორი კივილით გაქრა ვოლდემორის სულის ნაწილი.

– და როგორც კი დღიური ისე განადგურდა, როგორც საჭირო იყო, შიგ მომწყვდეული სულიც გაქრა. შენამდე ჯინიმ დააპირა დღიურის თავიდან მოშორება, მაგრამ ვერაფერი დააკლო და დღიურმა შენამდე ხელუხლებელივით მოაღწია.

– მოიცა... – შუბლი შეიჭმუხნა რონმა, – იმ დღიურში მოქცეული სულის ნაწილი ხომ ჯინის დაეუფლა? ეგ როგორღა ხდება?

– სანამ ჯადოსნური ჭურჭელი ხელუხლებელია, სულის ნაფ-

Scanned by CamScanner

ლეთს შეუძლია, ამ ჭურჭლის სიახლოვეს მყოფი ადამიანის სხეულში შევიდეს. ეს მაშინ კი არ ხდება, როცა ჰორკრუქსი დიდხანს გაქვს ან, უბრალოდ, ეხები, – დაუმატა, რადგან შეამჩნია, რომ რონი რაღაცის თქმას აპირებდა, – არამედ იმ დროს, როცა ემოციური სიახლოვე ჩნდება. ჯინიმ დღიურს გული გადაუშალა და ამიტომ მთლად დაუცველი გახდა. საქმე მაშინ არის ცუდად, თუ ჰორკრუქსი შეგიყვარდა და მიეჯაჭვე.

– ნეტავ დამბლდორმა როგორღა გაანადგურა ის ბეჭედი? – ჩაფიქრდა ჰარი, – რატომ არ ვკითხე? რას ვიფიქრებდი...

ხმა ჩაუწყდა, გაახსენდა, რამდენი რამ დარჩა დამბლდორისთვის უკითხავი. ახლა ეჩვენებოდა, რომ დირექტორის სიცოცხლეში უამრავი პასუხის მიღება შეეძლო და რატომღაც ეს შანსი დაკარგა.

უცებ ოთახის კარი ერთბაშად გაიღო და კედელს მიეხეთქა. ჰერმიონმა შეჰკივლა და „შავი მაგიის საიდუმლოებანი" ხელიდან გაუვარდა. ბო საწოლის ქვეშ შეძვრა და გაბრაზებული აიჯაგრა, რონი საწოლიდან წამოხტა, შოკოლადის ბაყაყის ქაღალდზე ფეხი გაუსრიალდა და მოპირდაპირე კედელს შეასკდა თავით; ჰარიმ ინსტინქტურად იტაცა ხელი ჯიბეში ჯოხის ამოსაღებად, და მერეღა მიხვდა, რომ თმაგაწეწილ და ბრაზით დამანჭულ ქალბატონ უისლის აჰყურებდა.

– უკაცრავად, რომ მყუდრო საუბარი შეგაწყვეტინეთ, – მრისხანებისგან აკანკალებული ხმით დაიწყო ქალბატონმა უისლიმ, – რა თქმა უნდა, დასვენება გჭირდებათ. მაგრამ ჩემს ოთახში საჩუქრებია დახვავებული, დასახარისხებელია და ვიფიქრე, იქნებ მომეხმარონ-მეთქი.

– როგორ არა, – ჰერმიონი შეშინებული წამოფრინდა და წიგნები მიეფანტ-მოეფანტა, – ახლავე... უკაცრავად...

მერე ჰარისა და რონს ტანჯული მზერა ესროლა და ქალბატონ უისლის გაჰყვა.

– რაღა ჩვენ და რაღა შინაური ელფები, – ხმადაბლა დაიჩივლა ჰარისთან ერთად მიმავალმა რონმა და მტკივანი შუბლი მოისრისა, – ოღონდ, ჩვენ მუშაობა არ გვიხარია. ერთი მორჩეს ეს ქორწილი და მოვისვენოთ!

– ჰო, – უთხრა ჰარიმ, – მერე ჰორკრუქსებიღა დაგვრჩება საძებარი... ნამდვილი არდადეგები იქნება, არა?

რონს სიცილი აუტყდა, მაგრამ ოთახში შესულებს საჩუქრების იმხელა გროვა დაუხვდათ, რომ თოფნაკრავივით გაშეშდა.

დელაკურები მეორე დილით, თერთმეტ საათზე ჩამოვიდნენ. ჰარის, რონს, ჰერმიონსა და ჯინის უკვე ყელში ჰქონდათ ამოსული ფლერის

Scanned by CamScanner

ოჯახის დასახვედრად სამზადისი. რონმა ბუზლუნით ჩაიცვა ერთი ფერის წინდები, ჰარიმ კი აჩეჩილი თმის მორჯულება სცადა. ბოლოს, როცა იფიქრეს, რომ მზადება დაასრულეს, ყველანი მზით განათებულ უკანა ეზოში გავიდნენ და სტუმრების დასახვედრად გაიჯგიმნენ.

ჰარის არასოდეს ენახა იქაურობა ასეთი დაწკრიალებული. უკანა კარის კიბეზე მიყრილ-მოყრილი დაჟანგული ქვაბები და ძველი ბათინკები პირწმინდად გამქრალიყო და მათ ადგილას დიდ ქოთნებში ჩარგული ორი ბუჩქი იწონებდა თავს. ნიავი არ უბერავდა, მაგრამ ფოთლები ნელა, სასიამოვნოდ შრიალებდა. ქათმები დაემწყვდიათ, ეზო დაეგავათ. ბაღიც გასხლულ-გამარგლული იყო, თუმცა, ჰარის იქაურობა გადაბარდული უფრო უყვარდა და გაიფიქრა, ცუდია, რომ გნომები მაინც არ დახტიანო.

ორდენმა უსაფრთხოების მიზნით „ბუნაგს" იმდენნაირად შეულოცა, რომ ჰარის სათვალავი აერია. აქ ჯადოქრობით ველარავინ მოხვდებოდა. ამიტომ ბატონი უისლი მახლობელ გორაკზე ავიდა დელაკურების დასახვედრად. სტუმრები პორტაჟით უნდა მოსულიყვნენ. მათი მოახლოება ხმამაღალმა სიცილმა ამცნოთ – ბატონი უისლი იცინოდა. ორიოდე წამში ის ბარგით დატვირთული მოადგა ჭიშკარს, თან გრძელ, ფოთლისფერ მანტიაში გამოწყობილ ქერა ქალს მოაცილებდა, რომელიც ფლერის დედა უნდა ყოფილიყო.

– Maman! Papa! – შესძახა ფლერმა და მშობლებს მიეგება.

მუსიე დელაკური გარეგნობით ცოლთან ვერ მოვიდოდა; მასზე მთელი თავით დაბალსა და ჩასუქებულს ნიკაპს წაწვეტებული შავი წვერი უმშვენებდა. ისე, კეთილი კაცი ჩანდა. ქუსლიან ბათინკებზე შემდგარი ერთი ნახტომით გაჩნდა ქალბატონ უისლისთან, ორივე ლოყაზე ორ-ორჯერ აკოცა და ამით ძალიანაც ააფორიაქა.

– ღამდენი საკმე დაგაცვატ, – თქვა ბოხი ხმით, – ფლეღი გვეუბნებოდა, ზალიან შეცუკდნენო.

– რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, – ჩაარაკრაკა ქალბატონმა უისლიმ, – რა შეწუხებაა!

რონმა გულის ჯავრი იყარა და ფარფატა ბუჩქის უკნიდან გამოჭყეტილ გნომს წიხლი ამოსცხო.

– ზვიღფასო კალბატონო! – თქვა გაბრწყინებულმა მუსიე დელაკურმა, რომელსაც ორივე ფუმფულა ხელით ჯერაც ჩაებღუჯა ქალბატონი უისლის ხელი, – ჩვენთვის დიდი პატივია, ჩვენი ოჯახების მოახლოებული კავშილი! ნება მომეციტ, ცაღმოგიდგინოტ ჩემი ცოლი აპოლინი.

მადამ დელაკური მიგოგმანდა, დაიხარა და ქალბატონ უისლის აკოცა.

Scanned by CamScanner

– Enchantee, ტკვენი კმაღი ისეტ სასაცილო ისტოღიებს გკიკვე-ბოდა!

ბატონ უისლის გიჟივით გაეცინა, მაგრამ ცოლმა ისე შეხედა, რომ მაშინვე ჩაჩუმდა და ისეთი შეწუხებული იერი მიიღო, გეგონება, მომაკვდავი მეგობრის სარეცელთან დგასო.

– ჩემს უმცღოს კალიშვილს, გაბღიელს, ღა ტკმა უნდა, იცნობტ! – თქვა მუსიე დელაკურმა. გაბრიელი დაპატარავებული ფლერი გეგონ-ებოდათ. თერთმეტი წლისას მოვერცხლისფრო ქერა თმა წელამდე სწვდებოდა. ქალბატონ უისლის თვალისმომჭრელად გაუღიმა და ჩაეხუტა, ჰარის კი მხურვალე მზერა ესროლა და თვალები ააფახურა. ჯინიმ ხმამაღლა ჩაახველა.

– მობრძანდით, გთხოვთ! – მხიარულად მიიპატიჟა სტუმარი ქალ-ბატონმა უისლიმ და დელაკურებს შინ შეუძღვა, თან გზაში სულ „რას ბრძანებთ!" და „როგორ გეკადრებათ!"-ს გაიძახოდა.

დელაკურები სასიამოვნო სტუმრები გამოდგნენ. ყველაფერი მოსწონდათ და საქორწილო სამზადისშიც ხალისით ჩაერთვნენ. მუსიე დელაკური ყველაფერზე „Charmant!" იძახდა – სტუმრების განანილების გეგმით დაწყებული და მეჯვარეების ფეხსაცმელებით დამთავრებული. მადამ დელაკური საოჯახო შელოცვების ოსტატი აღმოჩნდა და წამში გააკრიალა ღუმელი, გაბრიელი კი დას გვერდი-დან არ შორდებოდა და ცდილობდა, ყველანაირად მიხმარებდა, თან ფრანგულად ეჟღურტულებოდა.

„ბუნაგი" ამდენ ხალხს როგორ დაიტევდა! მადამ და მუსიე დელაკურების პროტესტის მიუხედავად, ქალბატონი და ბატონი უისლები სასტუმრო ოთახში გადაბარგდნენ, თავიანთი საძინებელი კი დროებით მათ დაუთმეს. გაბრიელი ფლერს შეუსახლეს პერსის ძველ ოთახში, ბილი კი თავის მეჯვარესთან, ჩარლისთან ერთად დაიძინებდა, რომელიც რუმინეთიდან უნდა ჩამოსულიყო. ამ არეუ-ლობაში ჰარი, რონი და ჰერმიონი თავიანთ გეგმას საერთოდ ვეღარ აწყობდნენ და სასოწარკვეთილებმა ქათმების დაპურება ითავეს, ოღონდ კი გადაჭედილ სახლს გარიდებოდნენ.

– როგორ ცდილობს, რომ მარტონი არ დაგვტოვოს! – ამოიკვნესა რონმა, როცა ეზოში გასულებს მოთათბირების მეორე ცდა სარეცხის დიდ კალათააკიდებული დედის გამოჩენამ ჩაუშალა.

– კიდევ კარგი, ქათმები დააპურეთ, – მიუახლოვდა ქალბატონი უისლი, – ჯობია, ისევ ჩავკეტოთ, სანამ დამხმარეები მოვლენ... ქორ-წილისთვის კარავი უნდა დავდგათ, – აუხსნა და საქათმეს მიეყრდნო. დაქანცული ჩანდა, – მილამანტის მაგიური კარვები... ძალიან კარგი რამეა. სანამ აქ იქნებიან, შენ, ჯობია, შიგნით იყო, ჰარი. ეს უსა-

Scanned by CamScanner

ფრთხოების შელოცვები ძალიან გვირთულებს ქორწილის სამზადისს.

– მაპატიეთ, – შერცხვა ჰარის.

– არა, ჩემო კარგო, – მიუალერსა ქალბატონმა უისლიმ, – მაგიტომ კი არ მითქვამს. შენი უსაფრთხოება გაცილებით მნიშვნელოვანია. სინამდვილეში, იმის საკითხავად მოვედი, როგორი დაბადების დღე გადაგიხადოთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ჩვიდმეტისა ხდები, ხუმრობა ხომ არ არის.

– წყნარად მირჩევნია, – სწრაფად მიუგო ჰარიმ. მაშინვე წარმოიდგინა, რამდენ საზრუნავს გაუჩენდა ყველას, – მართლა გეუბნებით, ქალბატონო უისლი, ჩვეულებრივი სადილიც საკმარისია... მეორე დღეს ხომ ქორწილია...

– კარგი, როგორც გინდა, ჩემო კარგო. რემუსსა და ტონქსს დავპატიჟებ, კარგი? და ჰაგრიდსაც.

– შესანიშნავია, – მიუგო ჰარიმ, – ოღონდ, გთხოვთ, ძალიან ნუ შეწუხდებით.

– რას ამბობ, რა შეწუხებაა...

და ჰარის გამომცდელად შეაცქერდა, მერე, ცოტა არ იყოს, სევდიანად გაიღიმა და წავიდა. ჰარი უყურებდა, როგორ გაიქნია ჯადოსნური ჯოხი სარეცხის თოკებთან, როგორ აფრინდა სველი სარეცხი და როგორ დაეკიდა თოკებზე. უცებ საშინლად შერცხვა იმის გამო, რომ ქალბატონი უისლისთვის ახალი სადარდელი უნდა გაეჩინა.

Scanned by CamScanner

თავი მეშვიდე

ალბუს დამბლდორის ანდერძი

ბინდბუნდში მთის ბილიკს მიუყვებოდა. შორს, დაბლა, ნისლში გახვეულიყო პატარა ქალაქის ჩრდილი. ნეტავ, იქ არის ის კაცი, ვისაც დაეძებს? კაცი, რომელიც ახლა ისე სჭირდება, რომ სხვაზე ველარაფერზე ფიქრობს? კაცი, რომელმაც იცის, რით უშველოს მის გასაჭირს?..

– ჰარი, გაიღვიძე.

ჰარიმ თვალი გაახილა. ისევ გასაშლელ საწოლზე იწვა რონის არეულ-დარეულ ოთახში. მზე არ ამოსულიყო და ოთახში ჯერ ისევ ბნელოდა. პიგვიჯენს ციცქნა ფრთის ქვეშ ამოედო თავი და ეძინა. ჰარის ნაიარევი წიწკნიდა.

– ძილში ბუტბუტებდი.

– მართლა?

– ჰო. გრეგოროვიჩს ახსენებდი.

ჰარის სათვალე არ ეკეთა და რონის სახეს ბუნდოვნად ხედავდა.

– გრეგოროვიჩი ვინღაა?

– შენ ახსენებდი და მე მეკითხები?

ჰარიმ შუბლი მოისრისა და დაფიქრდა. თითქოს წინათაც გაეგონა ეს სახელი, მაგრამ ვერ იხსენებდა, როდის და სად.

– მე მგონი, ვოლდემორი ეძებს მაგ კაცს.

– საწყალი! – გულით შეეცოდა რონს.

ჰარი შუბლის სრესით წამოჯდა, უკვე მთლად გამოფხიზლდა. შეეცადა, გაეხსენებინა, კერძოდ, რა ნახა სიზმარში, მაგრამ მხოლოდ მთიანი ჰორიზონტი და დაბლობში ჩაკარგული პატარა ქალაქის სილუეტი დაუდგა თვალწინ.

– მე მგონი, უცხოეთშია.

– ვინ, გრეგოროვიჩი?

Scanned by CamScanner

– ვოლდემორი. სადღაც უცხოეთშია და გრეგორივიჩს დაეძებს. ინგლისს არ ჰგავდა.

– ისევ მის გონებაში შეაღწიე? – შეწუხდა რონი.

– თუ ღმერთი გწამს, ჰერმიონს ნუ ეტყვი, – სთხოვა ჰარიმ, – ისე მიბრაზდება, თითქოს შემიძლია, რომ სიზმრები აღარ ვნახო!

დაფიქრებულმა ახედა პიგის გალიას... საიდან ეცნობოდა გვარი გრეგოროვიჩი?

– მე მგონი, ქვიდიჩთანაა დაკავშირებული, – თქვა წყნარად, – მაგრამ რით – ვერ ვხვდები.

– ქვიდიჩთან? – ჰკითხა რონმა, – გორგოვიჩზე ხომ არ ამბობ?

– ვისზე?

– დრაგომირ გორგოვიჩზე. ჩეიზერია. ორი წლის წინ „ჩადლი ქენონზმა“ შეიძინა რეკორდულ ფასად. სეზონის განმავლობაში ქუაფლის მოგერიების რეკორდსმენია.

– არა, გორგოვიჩზე არა, – მიუგო ჰარიმ.

– არა და ნუ, – უთხრა რონმა და გაუღიმა, – მოკლედ, დაბადების დღეს გილოცავ, ჰარი.

– უჰ, მართლა. სულ დამავიწყდა... ჩვიდმეტისა ვარ!

გასაშლელი საწოლის გვერდით დადებულ ჯოხს დაავლო ხელი, აყრილ-დაყრილ მაგიდას მიუშვირა, სადაც სათვალე ედო და თქვა:

– აკციო სათვალე!

მართალია, სათვალე მხოლოდ ნახევარი მეტრის დაშორებით იდო, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო იმის ყურება, როგორ მოფრინავდა, სანამ თვალში არ ეტაკა.

– მაგარია, – ჩაიფრუტუნა რონმა.

კვალის ჯადოს მოშორებით გახარებული ჰარი რონის ნივთებს აქეთ-იქით დააფარფატებდა. პიგს გაეღვიძა და გალიაში აფრთხიალდა. ჰარიმ სცადა, კედების თასმებიც ჯადოქრობით შეეკრა (რის შემდეგაც კვანძს რამდენიმე წუთს ხსნიდა) და ხუმრობით რონის პლაკატებზე „ჩადლი ქენონზის“ ნარინჯისფერი ფორმები ჭახჭახა ლურჯად აქცია.

– შენს ადგილზე, შარვალს მაინც შევიკრავდი ხელით, – ურჩია რონმა და ახითხითდა, – აი, საჩუქარი. აქ გახსენი, არ მინდა, დედამ ნახოს.

– წიგნია? – ჰკითხა ჰარიმ და მართკუთხა შეკვრა აიღო, – ტრადიციას უღალატე?

– უბრალო არ გეგონოს, – უთხრა რონმა, – თავისი წონა ოქრო ღირს: „ჯადოქარ ქალთა მოხიბვლის თორმეტი უტყუარი ხერხი“. ყველაფერი წერია, რაც გოგოებზე უნდა იცოდე. შარშან რომ მქონოდა,

Scanned by CamScanner

ზუსტად მეცოდინებოდა, როგორ მომეშორებინა თავიდან ლევენ-დერი და როგორ მოვპყრობოდი... მოკლედ, მე ფრედმა და ჯორჯმა მათხოვეს და ბევრი რამეც ვისწავლე. მოგეწონება. მარტო ჯადო-ქრობაზე კი არ არის!

სამზარეულოში ჩასულებს მაგიდაზე საჩუქრების გროვა დახვ-დათ. ბილი და მუსიე დელაკური საუზმეს ამთავრებდნენ. ქალბატონი უისლი მათ ემასლაათებოდა და თან ტაფას დასტრიალებდა.

– არტურმა დამაბარა, მიულოცეო, – სახე გაუბრწყინდა ჰარის დანახვისას, – დილაადრიან წავიდა სამსახურში, მაგრამ სადილად დაბრუნდება. ზემოდან რომ დევს, ჩვენი საჩუქარია.

ჰარი დაჯდა, ქალბატონ უისლის ნაჩვენები კვადრატული შეკვრა აიღო და გახსნა. შიგ ისეთივე ოქროს საათი იდო, როგორიც რონს აჩუქეს, როცა ჩვიდმეტისა გახდა; ისრების ნაცვლად, ვარსკვლავები ჰქონდა.

– როცა ჯადოქარი სრულწლოვანი ხდება, საათს აჩუქებენ ხოლმე, – ქალბატონმა უისლიმ აღელვებით გადმოხედა ქურის უკნიდან, – რონის საათივით ახალი არ არის. ჩემი ძმის, ფაბიანის ნაქონია. ის კაი ფეთხუმი ვინმე იყო და... ნახე, უკანა მხარეს ერთგან, მგონი, ჩაჭყლეტილია, მაგრამ...

ჰარიმ აღარ გააგრძელებინა, წამოხტა და მოეხვია. სცადა, ამ მოხვევაში მადლიერება უსიტყვოდ გამოეხატა და, ალბათ, გამოუ-ვიდა კიდეც, რადგან როცა ჰარიმ ხელი გაუშვა, ქალბატონი უისლი უხერხულად მიეფერა ლოყაზე და ჯოხი ისე დაუფიქრებლად აიქნია, რომ ნახევარი ბეკონი ტაფიდან ახტა და იატაკზე დაებერტყა.

– დაბადების დღეს გილოცავ, ჰარი! – სამზარეულოში შემოირბინა ჰერმიონმა და თავისი საჩუქარი გროვას ზემოდან დაადო, – ბევრი არაფერია, მაგრამ იქნებ მოგეწონოს. შენ რა აჩუქე? – ჰკითხა რონს, მაგრამ რონმა ყური მოიყრუა და ჰარის მიუბრუნდა:

– მიდი, ჰერმიონის საჩუქარი გახსენი!

ჰერმიონს ახალი მავნოსკოპი ეყიდა. ბილმა და ფლერმა ჯადოს-ნური საპარსი აჩუქეს („ზალიან სუპტად გაგპაღსავს, – დაარ-წმუნა მუსიე დელაკურმა, – მაგრამ გაღკვევიტ უნდა უტხღა, ღა გინდა... ტოღეეეემ შეიზლება აღასცოღი ადგილი გაგპაღსოს...“), დელაკურებმა – შოკოლადი, ფრედმა და ჯორჯმა კი – უისლების ჯადოსნური იონების მაღაზიის უახლესი საქონლით გამოტენილი უზარმაზარი კოლოფი.

ჰარი, რონი და ჰერმიონი სუფრასთან დიდხანს არ დარჩენილან, რადგან მადამ დელაკურის, ფლერისა და გაბრიელის შემომატების შემდეგ სამზარეულოში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩა.

Scanned by CamScanner

– ამას მე წამოვიღებ, – მხიარულად თქვა ჰერმიონმა, საჩუქრები გამოართვა და სამივენი ზევით გაემართნენ, – თითქმის მოვრჩი. შენი ტრუსების გარეცხვასღა ველოდები, რონ...

მეორე სართულზე კარი გაიღო და ჯინის ხმამ რონს ბუზღუნი შეაწყვეტინა:

– ჰარი, ერთი წუთით შემოდი, რა!

რონი მოწყვეტით შეჩერდა, მაგრამ ჰერმიონმა იდაყვში ხელი წაავლო და კიბეზე აათრია. აფორიაქებული ჰარი ჯინის შეჰყვა ოთახში.

ჯინის ოთახში მანამდე არასოდეს ყოფილა. პატარა, ნათელი ოთახი იყო. ერთ კედელზე „ალქაჯი დების" დიდი პლაკატი იყო გაკრული, მეორეზე კი – ქვიდიჩის ქალთა გუნდის „ჰოლიჰედ ჰარ-პიების" კაპიტნის, გვენოგ ჯონსის სურათი. მაგიდა ბაღში გამავალ ღია ფანჯარასთან იდგა. ბაღს, სადაც ერთხელ ის და ჯინი რონსა და ჰერმიონს შეეჯიბრნენ ქვიდიჩში, ახლა დიდი, მარგალიტისფერი კარავი ამშვენებდა. მის წვერზე მოფრიალე ოქროს ალამი ჯინის ფანჯარას უსწორდებოდა.

ჯინიმ ჰარის თვალი გაუსწორა, ღრმად ამოისუნთქა და უთხრა:

– დაბადების დღე მინდოდა მომელოცა...

– ჰო... გმადლობ.

ჯინი თვალს არ აშორებდა. ჰარის ისე უჭირდა მისი შეხედვა, გეგონება, კაშკაშა შუქს უყურებსო.

– კარგი ხედია, – თქვა ჩაწყვეტილი ხმით და ფანჯარაზე ანიშნა.

ჯინის ვითომ არ გაუგონია.

– ვერ მოვიფიქრე, რა მეჩუქებინა, – უთხრა გოგონამ.

– არც არაფერი.

ჯინიმ თითქოს ვერც ეს გაიგონა.

– არ ვიცოდი, რა გამოგადგებოდა. დიდი რომ ყოფილიყო, თან ვერ წაიღებდი.

ჰარიმ გაბედა და შეხედა. ჯინი არ ტიროდა. ეს ჯინის ერთ-ერთი ღირსება იყო: იშვიათად ტიროდა. ჰარის აზრით, ჯინი ექვსი ძმის ხელში გამოიწრთო.

ჯინი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

– მერე ვიფიქრე, რაღაც ისეთია საჭირო, რაც ჩემს თავს გაახსენებს, თუკი თავის საქმეზე წასული რომელიმე ვიილას გადაეყარა-მეთქი.

– არა მგონია, პაემნებზე სიარული მოვახერხო, – გახუმრება სცადა ჰარიმ.

– სწორედ მაგის გაგონება მინდოდა, – წაიჩურჩულა ჯინიმ და

Scanned by CamScanner

მერე ისე აკოცა, როგორც არასოდეს უკოცნია. ჰარიმაც კოცნით უპასუხა. ეს თავდავიწყება ცეცხლოვან ვისკის სჯობდა; თითქოს ყველაფერი გაქრა, ამქვეყნად მხოლოდ ჯინი და მასთან შეხება იყო რეალური. ჰარიმ ცალი ხელი ზურგზე მოჰხვია გოგონას, მეორე კი გრძელ, სურნელოვან თმაში შეუცურა...

უცებ კარი გაჯახუნდა.

– ოჰ, უკაცრავად!!! – მრავალმნიშვნელოვნად თქვა რონმა.

– რონ! – აქოშინებული ჰერმიონი ფეხდაფეხ მოსდევდა. დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ჯინიმ დაბალი ხმით თქვა:

– მოკლედ, დაბადების დღეს გილოცავ, ჰარი.

რონს ყურები გაუწითლდა. ჰარიმ იფიქრა, ახლა ავდგები და კარს ცხვირწინ მივუჯახუნებო, მაგრამ ოთახში თითქოს უკვე შემოიჭრა ცივი ნაკადი და დიდებული წამი საპნის ბუშტივით გასკდა. ჯინისთან ურთიერთობის გაწყვეტისა და დაშორების ყველა მიზეზი რონს შემოჰყვა და წუთის წინანდელი თავდავიწყება დაუნდობლად დაამსხვრია.

ჯინის შეხედა. უნდოდა, რაღაც ეთქვა, ოღონდ, რა – ვერ ხვდებოდა. ჯინიმ ზურგი შეაქცია. ჰარის გაუელვა, შეიძლება ახლა მაინც ვერ მოერია თავს და ცრემლებს მალავსო, მაგრამ რონის თვალწინ ხომ მაინც ვერ დააწყნარებდა. მერე გნახავო, ესღა წაიბუტბუტა და ოთახიდან გავიდა.

რონი დაბლა ჩავიდა, ჯერაც ხალხით გაჭედილი სამზარეულო გაიარა და ეზოში გავიდა. ჰარი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ცოტა არ იყოს, შეშინებული ჰერმიონი კი ორივეს უკან მისდევდა.

როცა ახლად გაკრეჭილ მდელოზე, მოფარებულში გავიდნენ, რონი ჰარის მიუბრუნდა და შეულრინა:

– ხომ მიატოვე. ახლა რაღას ეთამაშები?

– არ ვეთამაშები, – შეეპასუხა ჰარი. ამ დროს ჰერმიონიც წამოეწიათ და რონს მუდარით შეხედა:

– რონ...

მაგრამ რონმა ხელი აუქნია, გაჩუმდიო.

– ბევრი იდარდა, როცა მიატოვე...

– მეც ვიდარდე, მაგრამ შენ ხომ იცი, ასე რატომაც მოვიქეცი; იმიტომ კი არა, რომ ასე მინდოდა!

– ვიცი, მაგრამ თუ ხვევნა-კოცნას დაუწყებ და ისევ იმედს მისცემ...

– სულელი ხომ არ არის! ხომ იცის, რომ ვერაფერიც ვერ მოხდება ჩვენ შორის, ხომ იცის, რომ... ცოლად ვერ გამომყვება... თუ რა ვიცი...

და ამის თქმისთანავე თვალწინ დაუდგა, როგორ მიჰყვებოდა

Scanned by CamScanner

თეთრ კაბაში გამოწყობილი ჯინი ვიღაც მაღალ, უშნო და უსიამოვნო უცნობს. გულდათუთქულმა გაიფიქრა, ჯინის მომავალი თავისუფალი და შეუზღუდავია, მე კი... მე მხოლოდ ვოლდემორი მელისო.

– თუ არ მოასვენებ...

– ეგ აღარ მოხდება, – მტკიცედ უთხრა ჰარიმ. ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ მზე ჩავიდა, – გჯერა ჩემი?

რონი თან ნაწყენი ჩანდა, თან – დარცხვენილი; ერთი-ორჯერ ქუსლებზე გადაქანდ-გადმოქანდა და მიუგო:

– კარგი, რახან ეგრეა... მჯერა.

იმ დღეს ჯინის აღარც შეხვედრა უცდია და არც მზერითა თუ ჟესტით უგრძნობინებია, რომ მის ოთახში ზრდილ საუბარზე მეტი რაღაც მოხდა. მერე ჩარლი ჩამოვიდა და ჰარის გულზე მოეშვა. ცოტათი გახალისდა, როცა ქალბატონმა უისლიმ ჩარლი ძალით დასვა სკამზე, ჯოხი აღმართა და დაემუქრა, ახლავე გაჩვენებ, რა სიგრძის თმა უნდა გქონდესო.

ჰარის დაბადების დღის სუფრა „ბუნაგის" სამზარეულოში რომ გაშლილიყო, იქაურობა ჩარლის, ლუპინის, ტონქსისა და ჰაგრიდის მოსვლამდევე ხალხით გაივსებოდა, ამიტომ ბაღში რამდენიმე მაგიდა მიადგეს ერთმანეთს. ფრედმა და ჯორჯმა მოჯადოებული მეწამული ფარნები გამოკიდეს ჰაერში, რომლებშიც უშველებელი ციფრი – 17 – ციმციმებდა. ქალბატონი უისლის დიდი მონდომებით ჯორჯს ნაჭრილობევი მთლად მოუშუშდა და მოუსუფთავდა. ჰარის ჯერაც ეხამუშებოდა ყურის ადგილას მუქი ხვრელის დანახვა, სამაგიეროდ, ტყუპებს ეს ამბავი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ.

ჰერმიონმა ჯადოსნური ჯოხიდან იისფერი და ოქროსფერი ლენტები ამოისროლა და ჯოხის ერთი გაქნევით მოხდენილად შემოახვია ხეებსა და ბუჩქებს.

– მაგარია, – აღტაცება ვერ დამალა რონმა, როცა ჰერმიონმა უკანასკნელად გაიქნია ჯოხი და მაჟალოს ხის ფოთლები ოქროსფრად შეაფერადა, – ასეთები არ გეშლება!

– გმადლობ, რონ! – ჰერმიონს თან ესიამოვნა და თან შერცხვა.

ჰარი შებრუნდა, თავისთვის ჩაიღიმა და გაიფიქრა, როცა დროს გამოვნახავ და „ჯადოქარ ქალთა მოხიბვლის თორმეტ უტყუარ ხერხს" ჩავუჯდები, აუცილებლად ყურადღებას მივაქცევ ქათინაურებისადმი მიძღვნილ თავსო. ამ დროს ჯინის მზერას წააწყდა, გაუღიმა და მერეღა გაახსენდა რონისთვის მიცემული პირობა. სასწრაფოდ თვალი აარიდა და მუსიე დელაკურს გაუბა საუბარი.

– მომეცალეთ, მომეცალეთ! – წაიმღერა ჭიშკარში შემოსულმა

Scanned by CamScanner

ქალბატონმა უისლიმ. მის წინ, პაერში, უზარმაზარი, ფრენბურთის ბურთისოდენა სნიჩი მოლიელივებდა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისი დაბადების დღის ტორტი იყო და დიასახლისი ჯოხით მოალივ-ლივებდა; ეტყობა, ხელით არ წამოიღო, ვაითუ ოკრობოკრო ბაღში ფეხი დამიცდესო. როცა ტორტი მშვიდობიანად დაეშვა მაგიდის შუაში, ჰარიმ უთხრა:

– საოცარია, დიდი მადლობა...

– ბევრი არაფერი, ჩემო კარგო, – თბილად მიუგო ქალბატონმა უისლიმ. მის უკან მდგარმა რონმა ორივე ხელის ცერის აწევით მოუ-ნონა საქციელი ჰარის.

შვიდი საათისთვის ყველა სტუმარი მოვიდა. ფრედი და ჯორჯი ყველას ეგუბებოდნენ და სახლისკენ მოუძღოდნენ. ჰაგრიდს ამ დღის აღსანიშნავად თავისი საუკეთესო ყავისფერი, ბანჯგვლიანი კოს-ტიუმი ჩაეცვა. ლუპინმა ღიმილით ჩამოართვა იუბილარს ხელი, მაგრამ ჰარის ის ძალიან გაუბედურებული ეჩვენა. თუმცა, მისგან განსხვავებით, ტონქსი ბედნიერებისგან ბრწყინავდა.

– დაბადების დღეს გილოცავ, ჰარი, – მიულოცა ტონქსმა და მაგრად ჩაეხუტა.

– მაშ, ჩვიდმეტისა ხარ უკვე, არა? – მიმართა ჰაგრიდმა და ფრედს ვედროსოდენა ღვინის ჭიქა ჩამოართვა, – ექვსი ნელინადი გავიდა ჩვენი შეხვედრიდან, ჰარი, გახსოვს?

– ბუნდოვნად, – აპღიმა ჰარიმ, – კარი რომ შემოამტვრიე, დადლის გოჭის კუდი გამოაბი და მითხარი, ჯადოქარი ხარო.

– ხო, წვრილმანები დამავიწყდა, – ჩაიხითხითა ჰაგრიდმა, – აბა, როგორა ხართ, რონ, ჰერმიონ?

– კარგად, – მიუგო ჰერმიონმა, – შენ?

– რა მიშავს, რაღაც საქმეები მქონდა, ცალრქიანი კვიცები გვყავს და... მოხვალთ სკოლაში და გაჩვენებთ, – ჰარიმ რონსა და ჰერმიონს თვალი აარიდა. ჰაგრიდმა ჯიბე მოიჩხრიკა, – ჰარი, ვერაფრით ვერ მოვიფიქრე, რა მეჩუქებინა, მაგრამ მერე უცბად მომაგონდა, – და გრძელ თასმაზე დაკიდებული მომცრო ქისა ამოიღო, – ვირის ტყავია. შიგ რასაც ჩადებ, შენ გარდა ვერავინ ამოიღებს. ძნელი საშოვნელია.

– გმადლობ, ჰაგრიდ!

– არაფრის, – უთხრა ჰაგრიდმა და ნაგვის ურნის თავსახუ-რისოდენა ტორი გაიქნია, – ვაჰ, ჩარლიც აქ ყოფილა! ჩარლი!

ჩარლი მიუახლოვდა, თან ხელს დანანებით ისვამდა შუბრა-ლებლად შეკრეჭილ თმაზე. რონზე დაბალი იყო და ძმებში ყველაზე სრული, დაკუნთულ მკლავებზე ზოგან დამწვრობა აჩნდა, ზოგან – ნაიარევები.

Scanned by CamScanner

– ჰაგრიდს გაუმარჯოს. როგორ მიდის საქმეები?

– სულ მინდოდა, წერილი მომეწერა. ნორბერტი როგორ არი?

– რომელი ნორბერტი? – გაეცინა ჩარლის, – რქაკუდა? ჩვენ ნორ-ბერტას ვეძახით.

– როგორ, ნორბერტი გოგოა?

– მაშ! – მიუგო ჩარლიმ.

– როგორ ხვდებით ხოლმე? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– უფრო ავები არიან, – მიუგო ჩარლიმ. მერე უკან გაიხედა და ხმას დაუწია, – ნეტავ, მამა მალე მაინც მოვიდოდეს, დედა ნერვიულობს.

ყველამ ქალბატონ უისლის გახედა, რომელიც მადამ დელაკურს ესაუბრებოდა და თან ჭიშკრისკენ ეჭირა თვალი.

– მე მგონი, აჯობებს, არტურს აღარ დაველოდოთ, – გასძახა ბაღში მყოფებს ორიოდ წამში, – ეტყობა, სამსახურში შეყოვნდა... უი!

უცებ ყველას თვალწინ ეზოში ციმციმა სინათლის ზოლი შემოფრინდა, მაგიდის თავზე გაჩერდა და კაშკაშა ვერცხლისფერ ყარყუმად გადაიქცა, რომელიც უკანა ფეხებზე შედგა და ბატონი უისლის ხმით წარმოთქვა:

– მაგიის მინისტრი მახლავს.

პატრონუსი ჰაერში გაქრა. ფლერის ოჯახი განცვიფრებით უყურებდა გაქრობის ადგილს.

– ჩვენ არ უნდა გვნახოს, – მაშინვე თქვა ლუპინმა, – ჰარი, მაპატიე, მერე აგიხსნი...

ტონქსს მაჯაში ჩაავლო ხელი და წაიყოლა; მესერთან მივიდნენ, გადაძვრნენ და გაქრნენ. ქალბატონი უისლი აფორიაქდა:

– მინისტრი... რატომ? ნეტავ, რა ხდება?

მაგრამ ამაზე ფიქრის დრო არ იყო, წამიც და, ჭიშკართან ბატონი უისლი განსხეულდა, თან შეჭაღარავებული ფაფრით დამშვენებული რუფუს სკრიმჯერი ახლდა.

მოსულებმა ეზო გადმოჭრეს და ბაღში, ფარნებით განათებული მაგიდისაკენ წამოვიდნენ. ყველა ჩუმად იჯდა და თვალს ადევნებდა. სკრიმჯერი მობერებული, გამხდარი და მოღუშული ეჩვენა ჰარის.

– მაპატიეთ, შემოგეჭერით, – თქვა მაგიდასთან მისულმა სკრიმ-ჯერმა, – თანაც დაუპატიჟებლად გესტუმრეთ.

წამით გიგანტურ სნიჩ-ტორტზე შეაჩერა მზერა.

– დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ.

– გმადლობთ, – მიუგო ჰარიმ.

– ცალკე უნდა გაგესაუბროთ, – განაგრძო სკრიმჯერმა, – შენ, რონალდ უისლისა და ჰერმიონ გრეინჯერს.

– ჩვენ? – გაუკვირდა რონს, – ჩვენ რატომღა?

Scanned by CamScanner

– გეტყვით, როცა ცალკე გავალთ, – უთხრა სკრიმჯერმა, – გაქვთ ასეთი ადგილი? – მიუბრუნდა ბატონ უისლის.

– როგორ არა, – ბატონ უისლის ეტყობოდა, ნერვიულობდა, – მმმ... სასტუმრო ოთახი არ გამოდგება?

– გაგვიძეხი, – რონს მიუბრუნდა სკრიმჯერი, – შენ ნუ გამოგ-ვყვები, არტურ.

ჰარიმ შეამჩნია, რომ რონის დედ-მამამ შეშფოთებით შეხედა ერთმანეთს, როცა ის, რონი და ჰერმიონი წამოდგნენ და სახლისკენ უჩუმრად წავიდნენ. ჰარი მიხვდა, რომ მისი მეგობრებიც იმასვე ფიქრობდნენ, რასაც თვითონ: ეტყობა, სკრიმჯერმა როგორღაც გაიგო, ჰოგვორტსში დაბრუნებას რომ აღარ ვაპირებთო.

სანამ ბრეული სამზარეულო არ გაიარეს და სასტუმრო ოთახში არ შევიდნენ, სკრიმჯერს ხმა არ ამოუღია. ბაღი ჯერაც დაისის რბილი, ოქროსფერი შუქით იყო სავსე, აქ კი უკვე ბნელოდა; ჰარიმ ნავთის ლამპებისკენ გაიქნია ჯოხი და ღარიბული, მაგრამ მყუდრო ოთახი განათდა. სკრიმჯერი ბატონი უისლის მორყეულ სავარძელში ჩაჯდა, ხოლო ჰარი, რონი და ჰერმიონი დივანზე მიიჭუჭკნენ. დასხდნენ თუ არა, სკრიმჯერმა დაიბუბუნა:

– რამდენიმე შეკითხვა მაქვს სამივესთან. მგონი, აჯობებს, თუ ცალ-ცალკე გამოგკითხავთ. თუ თქვენ ორნი... – ჰარისა და ჰერმიონს მიუშვირა ხელი, – ზემოთ მოიცდით, მე ჯერ რონალდს გავესაუბრები.

– არსად არ წავალთ, – უთხრა ჰარიმ, ჰერმიონმაც ცხარედ გაიქნია თავი, – ან ერთად გველაპარაკეთ, ან საერთოდ არა.

სკრიმჯერმა ცივი, გამომცდელი მზერით შეათვალიერა სამივე. ჰარის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მინისტრი ჭოჭმანობდა, ადრე ხომ არ არის მტრობის გამომჟღავნებაო.

– კარგი, ერთად იყოს, – თქვა და მხრები აიჩეჩა, – დარწმუნებული ვარ, იცით, რომ აქ ალბუს დამბლდორის ანდერძის გამო ვარ.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს შეხედეს.

– ნუთუ არ იცოდით, რომ დამბლდორმა რაღაც დაგიტოვათ?

– სამივეს? – ჰკითხა რონმა, – მე და ჰერმიონსაც?

– დიახ, სამივეს...

მაგრამ ჰარიმ შეაწყვეტინა:

– დამბლდორი ერთი თვის წინ დაიღუპა. დანატოვარის გადმოცე-მას ამდენი ხანი სჭირდებოდა?

– რა თქმა უნდა, სჭირდებოდა, – სკრიმჯერს დაასწრო ჰერმი-ონმა, – სინჯავდნენ, რა დაგვიტოვა. მაგისი უფლება არ გქონდათ! – მიუბრუნდა სკრიმჯერს და ხმა ოდნავ აუკანკალდა.

– სწორედაც რომ მქონდა, – წარბი არ შეუხრია სკრიმჯერს, –

Scanned by CamScanner

ნებადართული კონფისკაციის დეკრეტი ანდერძის შემადგენლობის კონფისკაციის უფლებას აძლევს სამინისტროს...

– ეგ კანონი იმისთვის შეიქმნა, რომ ჯადოქრებს ბნელ ძალებთან დაკავშირებული ნივთების ერთმანეთისთვის გადაცემა შეეწყვიტათ, – შეეპასუხა ჰერმიონი, – თანაც, სამინისტროს დასაბუთებული მტკიცებულება უნდა ჰქონდეს, რომ მიცვალებულის ნივთები უკანონოა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მისი კონფისკაცია! ნუთუ გეგონათ, რომ დამბლდორი დაწყევლილი ნივთის გადმოცემას ეცდებოდა?

– ჯადოქრულ იურისპრუდენციაში აპირებთ მუშაობას, მის გრეინჯერ? – ჰკითხა სკრიმჯერმა.

– სულაც არა, – მიუგო ჰერმიონმა, – იმედი მაქვს, უფრო სასარგებლო საქმეს მოვნახავ.

რონს გაეცინა. სკრიმჯერმა ცივად შეხედა და როცა ჰარიმ ამოიღო ხმა, მასზე გადაიტანა მზერა.

– ახლა რაღამ გადაგაწყვეტინათ ნაანდერძევის გადმოცემა? დატოვების საბაბი აღარ გაქვთ?

– არა, – სასწრაფოდ ჩამოართვა სიტყვა ჰერმიონმა, – იმიტომ, რომ ოცდათერთმეტი დღე გავიდა, მეტხანს ვერ დაიტოვებდნენ, თუკი არ დამტკიცდებოდა, რომ ის ნივთები სახიფათოა. ხომ ასეა?

– ახლოს იყავით თუ არა დამბლდორთან, რონალდ? – ჰკითხა სკრიმჯერმა ისე, რომ ჰერმიონის სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. რონი შეკრთა:

– მე? არა.. მე... მხოლოდ ჰარი...

მერე დაბნეულმა შეხედა ჰარის და ჰერმიონს. ჰერმიონი მზერით ანიშნებდა, გაჩუმდიო, მაგრამ დასაშავებელი უკვე დაშავდა: სკრიმჯერს შეეტყო, რომ სწორედ ის გაიგონა, რისი გაგონებაც უნდოდა და ძერასავით ჩააფრინდა რონის პასუხს:

– თუ დამბლდორთან ახლოს არ იყავით, მაშ, ანდერძში რატომ მოგიხსენიათ? კერძო პირებს სულ რამდენიმე ნივთი დაუტოვა. მისი საკუთრება – პირადი ბიბლიოთეკა, ჯადოსნური ხელსაწყოები და სხვა ნივთები, – თითქმის მთლიანად ჰოგვორტსს გადასცა. როგორ გგონიათ, რატომ გამოგარჩიათ?

– აბა, რა ვიცი... – თქვა რონმა, – მე... მართალია, ვთქვი, ახლოს არ ვიყავით-მეთქი... მაგრამ, მგონი, მოვწონდი...

– რა თავმდაბალი ხარ, რონ, – მიუბრუნდა ჰერმიონი, – მოსწონდი კი არა, ძალიანაც უყვარდი.

ეს განცხადება, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა; რამდენადაც ჰარიმ იცოდა, რონი და დამბლდორი მარტონი არა-

Scanned by CamScanner

სოდეს ყოფილან, ხოლო მათი უშუალო კონტაქტი სათვალავში ჩასაგდებიც არ იყო. თუმცა, სკრიმჯერი რონსა და ჰერმიონს აღარ უსმენდა. ხელი მოსასხამში ჩაიყო და ჰაგრიდის ნაჩუქარ ქისაზე ბევრად დიდი ტომსიკა ამოიღო. იქიდან პერგამენტის გრაგნილი ამოაძვრინა, გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

– „ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდორის ანდერძი"... აი, აქ გარკვევით წერია: „რონალდ ბილიუს უისლის ვუტოვებ ჩემს საქრობელას. ვიმედოვნებ, მოიხმარს და გამიხსენებს".

სკრიმჯერმა ტომრიდან ამოიღო ნივთი, რომელიც ჰარის ადრეც ჰქონდა ნანახი: ვერცხლის სანთებელას ჰგავდა, მაგრამ შეეძლო, ერთი ჩამოკვრით ნებისმიერი შენობიდან მთელი სინათლე შეესრუტა, მერე კი კვლავ ადგილზე დაებრუნებინა. სკრიმჯერმა საქრობელა რონს გადასცა. რონმა გამოართვა და გაოგნებულმა შეატრიალა ხელში.

– ძვირფასი ნივთია, – სკრიმჯერი რონს მისჩერებოდა, – შეიძლება, ერთადერთიც. რასაკვირველია, დამბლდორის ნახელავია. თუ იცით, რატომ დაგიტოვათ ასეთი ძვირფასი ნივთი მაინცდამაინც თქვენ?

შეცბუნებულმა რონმა თავი გაიქნია.

– დამბლდორს, ალბათ, ათასობით სტუდენტისთვის უსწავლებია, – თავისას აგრძელებდა სკრიმჯერი, – ანდერძში კი მხოლოდ თქვენ სამნი მოგიხსენიათ. ეს რას ნიშნავს? რა იფიქრა, რაში გამოიყენებდით მაგ საქრობელას, რონალდ უისლი?

– ალბათ, სინათლის ჩასაქრობად, – წაიბუტბუტა რონმა, – სხვა რაში?

სკრიმჯერსაც ეტყობოდა, სხვა არაფერი მოსდიოდა აზრად. ორიოდე წამს ცერად უყურა რონს, მერე კი დამბლდორის ანდერძს მიუბრუნდა:

– „მის ჰერმიონ ჯინ გრეინჯერს ვუტოვებ „მგოსანი ბიდლის ზღაპრების" წიგნს. ვიმედოვნებ, სახალისო და საყურადღებო საკითხავად ჩათვლის".

სკრიმჯერმა ახლა მომცრო წიგნი ამოიღო, რომელიც რონის ოთახში ნანახ „შავი მაგიის საიდუმლოებებს" ჰგავდა. ყდა დალაქავებული და ალაგ-ალაგ აქერცლილი ჰქონდა. ჰერმიონმა უხმოდ გამოართვა, კალთაში ჩაიდო და დააცქერდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ რუნულად ამოტვიფრულ სათაურს ცრემლი დაეცა.

– როგორ გგონიათ, რატომ დაგიტოვათ დამბლდორმა ეს წიგნი, მის გრეინჯერ? – ჰკითხა სკრიმჯერმა.

– იცოდა... იცოდა, რომ წიგნები მიყვარს, – ჩახლეჩილი ხმით მიუგო ჰერმიონმა და ცრემლები სახელოთი მოიწმინდა.

Scanned by CamScanner

– მაგრამ რაღა მაინცდამაინც ეს წიგნი?

– არ ვიცი. ეტყობა, იფიქრა, მოეწონებაო.

– დამბლდორთან ოდესმე გისაუბრიათ კოდებზე ან საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის სხვა ხერხებზე?

– არა, – უპასუხა ჰერმიონმა და სახელო ერთხელაც ამოისვა თვალში, – და თუ სამინისტრომ ოცდათერთმეტ დღეში ვერ მიაგნო ამ წიგნში დაფარულ კოდებს, ალბათ, ვერც მე მოვახერხებ, – და ქვითინი შეიკავა. ისე მიჭუჭყულები ისხდნენ, რომ რონმა ძლივს გაითავისუფლა ხელი და ჰერმიონს გადახვია. სკრიმჯერი კვლავ ანდერძს მიუბრუნდა:

– „ჰარი ჯეიმს პოტერს, – ამოიკითხა თუ არა, უცაბედმა მღელვარებამ ჰარის გულ-მუცელი შეუკუმშა, – ვუტოვებ იმ სნიჩს, რომელიც ჰოგვორტსში, ქვიდიჩის პირველ მატჩზე დაიჭირა, რათა ახსოვდეს, რომ გულმოდგინებასა და ოსტატობას მუდამ ელის ჯილდო"...

სკრიმჯერმა პატარა, კაკლისოდენა ოქროს ბურთი ამოიღო. ბურთმა ვერცხლის ფრთები სუსტად ააფარფატა.

– რატომ დაგიტოვა დამბლდორმა სნიჩი? – ჰკითხა სკრიმჯერმა.

– ვერ ვხვდები, – მიუგო ჰარიმ, – ალბათ, იმ მიზეზით, რაც ახლა წაიკითხეთ... რათა მახსოვდეს, რას მივიღებ, თუ... გულმოდგინებას და რაც იქ ეწერა, იმას გამოვიჩენ.

– მაშ, შენი აზრით, მხოლოდ სიმბოლური სახსოვარია?

– ალბათ, – დაეთანხმა ჰარი, – სხვა რა უნდა იყოს?

– მე გეკითხები, შენ მიპასუხე, – სკრიმჯერმა სკამი დივანთან მიაჩოჩა. გარეთაც დაბინდდა; ცოცხალი ღობის თავზე მოჩვენებასავით აღმართულიყო კარავი.

– შევამჩნიე, რომ შენი დაბადების დღის ტორტს სნიჩის ფორმა აქვს, რატომ? – ჰკითხა ჰარის.

ჰერმიონს ირონიულად გაეცინა:

– რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ჰარი ჩინებული სიკერია. სინამდვილეში მინანქრის ქვეშ დამბლდორის საიდუმლო წერილია ჩამალული!

– ტორტში, რა თქმა უნდა, არაფერი არ იქნება ჩამალული, – სკრიმჯერი შეეცადა, გაბრაზება დაეფარა, – სამაგიეროდ, სნიჩი მშვენიერი სამალავია პატარა ნივთისთვის. ალბათ, გეცოდინებათ, რატომაც ვფიქრობ ასე!

ჰარიმ მხრები აიჩეჩა, სამაგიეროდ ჰერმიონმა მაშინვე უპასუხა (ჰარიმ გაიფიქრა, სწორი პასუხების გაცემა ისე აქვს გამჯდარი ძვალრბილში, რომ თავს ვერ იკავებსო):

– იმიტომ, რომ სნიჩს კონტაქტური მეხსიერება აქვს.

Scanned by CamScanner

– რაო? – ერთად იკითხეს ჰარიმ და რონმა; ქვიდიჩში ჰერმიონის განათლებას ანგარიშში ჩასაგდებად არ თვლიდნენ.

– სწორია, – თქვა სკრიმჯერმა, – გაშვებამდე სნიჩს შიშველი ხელით არავინ ეხება, ხელოსანიც კი ხელთათმანებით მუშაობს. სნიჩი ისეა შელოცვილი, რომ თუ საკამათო გახდა, რომელი გუნდის სიკერმა დაიჭირა, იგი იმ ადამიანს იცნობს, რომელმაც პირველმა შეახო ხელი. ამ სნიჩს, – და პანია ოქროს ბურთი ასწია, – შენი შეხება ახსოვს, პოტერ. ჩემი აზრით, დამბლდორი, მრავალი ნაკლის მიუხედავად, უზარმაზარი ჯადოქრული ძალის პატრონი იყო, ამიტომ შეეძლო ისე მოეჯადოებინა ეს სნიჩი, რომ მხოლოდ შენი ხელის შეხებაზე გახსნილიყო.

ჰარის ფული ბაგაბუგით უცემდა. დარწმუნებული იყო, სკრიმჯერი მართალს ამბობდა. როგორ მოახერხოს, რომ მინისტრის თვალწინ სნიჩს შიშველი ხელით არ შეეხოს?

– რას გაჩუმდი? – ჰკითხა მინისტრმა, – იქნებ ისედაც იცი, რა დევს სნიჩში?

– არა, – მიუგო ჰარიმ, თან გამალებით ფიქრობდა, რა მოვიმოქმედო, რომ ეგონოს, ვითომ სნიჩს ვეხებიო. ლეგილიმენცია მაინც იცოდეს, რომ ჰერმიონის აზრები წაიკითხოს.

– გამომართვი, – მშვიდად უთხრა სკრიმჯერმა.

ჰარიმ ყვითელ თვალებში შეხედა, მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და ხელი გაუწოდა. სკრიმჯერმა ნელა, აუჩქარებლად ჩაუდო სნიჩი ხელში.

არაფერიც არ მომხდარა. როცა ჰარიმ სნიჩს თითები შემოაჭდო, სნიჩმა დაღლილი ფრთები ააფარფატა და გაიტრუნა. სკრიმჯერი, რონი და ჰერმიონი ხარბად დაჰყურებდნენ მუჭში ნახევრად ჩამალულ ბურთს, თითქოს ჯერაც იმედი აქვთ, როგორღაც გადასხვაფერდებაო.

– რა საინტერესო იყო, – ცივად შენიშნა ჰარიმ. რონსა და ჰერმიონს გაეცინათ.

– სულ ესაა? – იკითხა ჰერმიონმა და დივნიდან წამოიწია.

– ჯერ არა, – მიუგო სკრიმჯერმა, გაღიზიანებული ჩანდა, – დამბლდორმა ერთი ნივთიც დაგიტოვა, პოტერ.

– რა? – ჰკითხა ჰარიმ და ისევ მოაწვა მღელვარება.

ამჯერად სკრიმჯერმა ანდერძის კითხვით თავი აღარ შეიწუხა.

– გოდრიკ გრიფინდორის ხმალი, – უთხრა ჰარის. ჰერმიონი და რონი გახევდნენ. ჰარიმ მიიხედ-მოიხედა, იქნებ სადმე ლალებით მოოჭვილი ვადა ჩანსო, მაგრამ სკრიმჯერს ტყავის ტომრიდან ხმალი არ ამოუღია, თუმცა შიგ ხმალი ვერც ჩაეტეოდა.

Scanned by CamScanner

– მერედა, სად არის? – ეჭვით ჰკითხა ჰარიმ.

– სამწუხაროდ, ის ხმალი დამბლდორისა არ იყო და ვერც გააჩუქებდა, – მიუგო სკრიმჯერმა, – გოდრიკ გრიფინდორის ხმალი მნიშვნელოვანი ისტორიული ნივთია და...

– ეგ ხმალი ჰარის ეკუთვნის, – გაცხარდა ჰერმიონი, – თვითონ აირჩია ჰარი. ჰარიმ გამანაწილებელი ქუდიდან ამოიღო...

– სარწმუნო ისტორიული წყაროების მიხედვით, ხმალი შეიძლება ნებისმიერ ღირსეულ გრიფინდორელს მიეცეს ხელში, – თქვა სკრიმ-ჯერმა, – მაგრამ ამით მისტერ პოტერის პირად საკუთრებაში ვერ გადავა, თუნდაც დამბლდორს ასე გადაეწყვიტა, – სკრიმჯერმა გაუპარსავი ლოყა მოიფხანა და ყურადღებით შეხედა ჰარის, – შენი აზრით, რისთვის...

– ...მოინდომა დამბლდორმა ამ ხმლის ჩემთვის ჩუქება? – ჰარიმ კინაღამ იფეთქა, – ალბათ, იფიქრა, კედელზე დაკიდებს და თვალს დაატკბობსო.

– სახუმარო არაფერია, პოტერ! – დაიღმუვლა სკრიმჯერმა, – იქნებ დამბლდორს ეგონა, მხოლოდ გოდრიკ გრიფინდორის ხმალი დაამარცხებს სლიზერინის მემკვიდრესო? ან იქნებ იმიტომ უნდოდა ხმლის შენთვის მოცემა, რომ სჯეროდა, ისე როგორც ბევრს სჯერა, რომ შენ გიწერია მისი განადგურება, ვისი სახელიც არ ითქმის?

– საინტერესო თეორიაა, – მიუგო ჰარიმ, – ნეტავ, ვინმეს თუ უცდია ვოლდემორის ხმლით აკუწვა? იქნებ სამინისტრომ ვინმე გაამწესოს მაგ საქმეზე და აღარც საქრობელას დაშლაზე დაკარგოს დრო და აღარც აზკაბანიდან პატიმრების გაქცევის მიჩუმათებაზე? მაშ, იმიტომ იყავით კაბინეტში ჩაკეტილი, ბატონო მინისტრო, რომ სნიჩის გახსნას ცდილობდით? ხალხი იხოცება! მეც კინაღამ მოვკვდი: ვოლდემორმა ცაში მდია და მრისხანეთვალა მუდი მოკლა, მაგრამ სამინისტროს კრინტი არ დაუძრავს! იქნებ ვცდები? და ამის შემდეგ გინდათ, თქვენთან ვითანამშრომლო?

– ზედმეტი მოგდის! – შეჰყვირა სკრიმჯერმა და წამოდგა. ჰარიც წამოხტა. სკრიმჯერი კოჭლობით მიუახლოვდა ჰარის და ჯადოსნური ჯოხის წვერით მკერდზე უჩხვლიტა; ჰარის მაისური სიგარეტით ამომწვარივით გაიხვრიტა.

– ოჰო! – წამოიძახა რონმა, წამოხტა და ჯოხი შემართა, მაგრამ ჰარიმ შეაჩერა:

– გაჩერდი, რონ! დაპატიმრების საბაბს ხომ არ მივცემთ?!

– სკოლაში ნუ გგონია თავი! – მძიმედ თქვა სკრიმჯერმა, – და ნურც მე გგონივარ დამბლდორი, რომ თავგასულობა და უდისციპლ-ინობა გაპატიო! ეგ ნაიარევი გვირგვინივითაც რომ გამშვენებდეს,

Scanned by CamScanner

პოტერ, ჩვიდმეტი წლის ლაწირაკისგან ჭკუის სწავლებას ვერ ავიტან! პატივისცემა უნდა იცოდე!

– პატივისცემა უნდა დაიმსახუროთ! – მიუგო ჰარიმ.

იატაკი აზანზარდა; ვიღაც მორბოდა. მერე სასტუმრო ოთახის კარი ზათქით გაიღო და ბატონი და ქალბატონი უისლები შემოქანდნენ.

– ჩვენ... მგონი... – დაიწყო ბატონმა უისლიმ, მაგრამ ერთმანეთზე ლამის ცხვირმიდებული ჰარისა და მინისტრის დანახვაზე სიტყვა პირზე შეაშრა.

– თითქოს ხმას აუწიეთ და... – ამოიქოშინა ქალბატონმა უისლიმ.

სკრიმჯერი ორი ნაბიჯით მოშორდა ჰარის და მაისურზე ამომწვარ ნახვრეტს შეხედა. ეტყობა, ნანობდა, რომ მოთმინებიდან გამოვიდა.

– არაფერია... არაფერი, – წაიღრინა, – გული მწყდება, რომ ცუდი თვალით გვიყურებ, – და ერთხელაც შეხედა ჰარის სახეში, – ალბათ, ფიქრობ, რომ სამინისტროსაც იგივე არ უნდა, რაც შენ... რაც დამბლდორს უნდოდა... ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, პოტერ.

– მე თქვენი მეთოდები არ მომწონს, ბატონო მინისტრო, – მიუგო ჰარიმ, – ეს გახსოვთ?

მეორედ ასწია მომუჭული მარჯვენა და სკრიმჯერს ხელის ზურგზე ჯერაც თეთრად დამჩნეული ნაიარევი დაანახვა: „მე არ უნდა ვიცრუო“. სკრიმჯერს სახე გაუქვავდა, სიტყვის უთქმელად შებრუნდა და კოჭლობით გავიდა. ქალბატონი უისლი დაედევნა. ჰარის მოესმა, როგორ შედგა უკანა კართან და წამის შემდეგ დაიძახა, წავიდაო.

– რა უნდოდა? – იკითხა ბატონმა უისლიმ მას შემდეგ, რაც მოლი სწრაფად შემობრუნდა და ჰარის, რონსა და ჰერმიონს მოავლო თვალი.

– დამბლდორის დანატოვარი დაგვირიგა, – მიუგო ჰარიმ, – ანდერძი ახლახან წაუკითხავთ.

ბაღში, სუფრასთან, სკრიმჯერის მოცემული სამი ნივთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველანი გაკვირვებულები ათვალიერებდნენ საქრობელასა და „მგოსანი ბიდლის ზღაპრებს“ და იქვე დასძენდნენ, ცუდია, რომ სკრიმჯერმა ხმლის მოცემაზე უარი თქვაო. მაგრამ იმას კი ვერავინ ხვდებოდა, რატომ დაუტოვა დამბლდორმა ჰარის ძველი სნიჩი. როცა ბატონმა უისლიმ მესამედ თუ მეოთხედ დაათვალიერა საქრობელა, ქალბატონმა უისლიმ ფრთხილად იკითხა:

– ჰარი, ჩემო კარგო, ყველა დაიმშა, მაგრამ უშენოდ არ დავიწყეთ. მოგართვათ სადილი?

ჩქარ-ჩქარა ისადილეს, მერე „რა ლამაზი დღეა“ ჩაიმღერეს,

Scanned by CamScanner

ტორტი გადასანსლეს და დაიშალნენ. ჰაგრიდი მეორე დღეს ქორწილშიც იყო დაპატიჟებული და დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ „ბუნაგი" უკვე ისედაც გატენილი იყო და ზორბა ჰაგრიდის შემომატებას ველარ გაუძლებდა, ამიტომ მან იქვე, მინდორში გაშალა კარავი.

– ზემოთ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ, – წასჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს, როცა დიასახლისთან ერთად ბაღის მილაგებას შეუდგნენ, – ყველას რომ დაეძინება, მერე.

სხვენში რონი თავის საქრობელას უკირკიტებდა, ჰარიმ კი ჰაგრიდის ნაჩუქარი ვირის ტყავის ქისა აავსო, ოღონდ, ოქროს ნაცვლად ის ნივთები ჩაალაგა, რომლებიც ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა. თუმცა, ზოგი შეიძლება არც გამოსდგომოდა: ონავართა რუკა, სირიუსის მოჯადოებული სარკის ნატეხი და რ.ა.ბ.-ის მედალიონი. მერე ზონარი მოუჭირა, ქისა კისერზე ჩამოიკიდა, ძველი სნიჩი აიღო, დაჯდა და ულონოდ მოფარფატე ფრთებს დააცქერდა. როგორც იქნა, ჰერმიონმაც მოაკაკუნა და ფეხაკრეფით შემოვიდა.

– მუფლიატო! – წაჩურჩულა და ჯოხი კიბისკენ გაიქნია.

– ეგ ის შელოცვა არ არის, რომ იწუნებდი? – ჰკითხა რონმა.

– ახლა სხვა დროა, – მიუგო ჰერმიონმა, – აბა, გვაჩვენე საქრობელა.

რონი მაშინვე დაემორჩილა. საქრობელა გაიშვირა და დააჩხაკუნა. ოთახში ანთებული ერთადერთი ლამპა მაშინვე ჩაქრა.

– საქმე ის არის, რომ ამას პერუდან ჩამოტანილი „ნამში დაბნელების ფხვნილითაც" მოვახერხებდით, – სიბნელეში წაჩურჩულა ჰერმიონმა.

გაისმა ჩხაკუნი, ლამპის მრგვალი შუქი კვლავ ჭერზე აფარფატდა და ყველაფერი გაანათა.

– მაინც მაგარია, – დაიცვა რონმა, – თანაც, დამბლდორს თვითონ გამოუგონია!

– ვიცი, მაგრამ ანდერძში იმიტომ ხომ არ მოგიხსენია, რომ შუქის ჩაქრობაში დაგხმარებოდა!

– ნეტავ, იცოდა, რომ მინისტრი ანდერძის კონფისკაციას მოახდენდა და, რაც დაგვიტოვა, ყველაფერს გასინჯავდა? – დაინტერესდა ჰარი.

– რასაკვირველია, – მიუგო ჰერმიონმა, – ამიტომ ანდერძში ვერ ჩაწერდა, რა რისთვის დაგვიტოვა, მაგრამ ეგ ხომ იმას არ ნიშნავს...

– სიცოცხლეში რატომ არ მიგვანიშნა? – იკითხა რონმა.

– მართლაც, – დაეთანხმა ჰერმიონი და „მგოსანი ბიდლის ზღაპრები" გადაფურცლა, – თუ ეს ნივთები ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ცხვირწინ უნდა გადმოგვცემოდა, ბარემ

Scanned by CamScanner

ისიც უნდა ეთქვა, რითაა მნიშვნელოვანი... ალბათ, იფიქრა, რომ ადვილად მივხვდებოდით!

– ჰოდა, შეშლია, – თქვა რონმა, – ხომ ვამბობდი, გიჟია-მეთქი. უჭკვიანესი, მაგრამ გარეკილი. ჰარის რაღა ჯანდაბად უნდა ის ძველი სნიჩი?

– ვერ ვხვდები. როცა სკრიმჯერმა მოგაწოდა, ჰარი, დარწმუნებული ვიყავი, რაღაც მოხდებოდა! – თქვა ჰერმიონმა.

– ჰოო. ოღონდ, იცი, საქმე რა არის? – ჰარიმ სნიჩი ასწია და გული აუჩქარდა, – სკრიმჯერის თვალწინ თავი მაინცდამაინც არ გამომიდვია.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– სულ პირველ მატჩზე დაჭერილი სნიჩია, – მოაგონა ჰარიმ, – არ გახსოვს?

ჰერმიონი გაოგნებული უყურებდა, რონი კი მიხვდა, რასაც გულისხმობდა, და გიჟივით ჯერ ჰარის მიაჩერდა, მერე – სნიჩს. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

– ეგ იყო, კინაღამ რომ გადაყლაპე!

– ჰო, – უთხრა ჰარიმ და გულის ბაგაბუგით სნიჩი პირზე მიიდო.

სნიჩი არ გახსნილა. ჰარი მწარე იმედგაცრუებამ შეიპყრო და ოქროს სფერო დაუშვა, მაგრამ ჰერმიონმა შეჰყვირა:

– წარწერა! რაღაც წარწერა გაჩნდა, ჩქარა, შეხედე!

ჰარის მღელვარებისა და გაკვირვებისაგან სნიჩი კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ჰერმიონი მართალი იყო. ოქროს გლუვ ზედაპირზე, სადაც წამის წინ არაფერი ჩანდა, ახლა სამი სიტყვა ეწერა წვრილი, გაკრული ხელით. ჰარიმ დამბლდორის ხელი იცნო:

„მე მიჯნაზე გავიხსნები“

ამოკითხვა ძლივს მოასწრო, რომ სიტყვები გაქრა.

– „მე მიჯნაზე გავიხსნები “... რას უნდა ნიშნავდეს?

ჰერმიონმა და რონმა თავი გაიქნიეს.

– მე მიჯნაზე გავიხსნები... მიჯნაზე... მე მიჯნაზე გავიხსნები...

მაგრამ რამდენჯერაც უნდა გაემეორებინათ, თუნდაც სულ სხვადასხვა ინტონაციით, მაინც არანაირი აზრი არ მოსდიოდათ თავში.

– ხმალი? – იკითხა ბოლოს რონმა, როცა სნიჩის წარწერის ამოცნობაზე ხელი ჩაიქნიეს, – იმ ხმალს რატომ უტოვებდა ჰარის?

– ეთქვა, რა იქნებოდა! – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ჰარიმ, – მეც იქ ვყავდი და ის ხმალიც კაბინეტში ეკიდა იმ ბოლო წელს, როცა ხშირად მესაუბრებოდა ხოლმე. თუ უნდოდა, რომ მე მქონოდა, რატომ

Scanned by CamScanner

მაშინვე არ მომცა?

ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ გამოცდაზე იჯდა და შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, მაგრამ გონება დახშოდა და ვერაფერი მოეფიქრებინა. რაიმე ხომ არ გამორჩა დამბლდორთან შარშანდელი გრძელი საუბრებისას? იქნებ უნდა იცოდეს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ნუთუ დამბლდორი მოელოდა, რომ მიხვდებოდა?

– ეს წიგნიც კაი თავსატეხია, – თქვა ჰერმიონმა, – „მგოსანი ბიდლის ზღაპრები" ჩემს დღეში არ მსმენია!

– რა არ გსმენია? „მგოსანი ბიდლის ზღაპრები"? – არ დაიჯერა რონმა, – რას დაგვცინი!

– არ დაგცინით, – გაკვირვებით მიუგო ჰერმიონმა, – შენ იცი?

– როგორ არ ვიცი!

ჰარი გახალისდა. დაუჯერებელი იყო: არსებობდა წიგნი, რომელიც რონს წაკითხული ჰქონდა, ჰერმიონს კი – არა. თავის მხრივ რონიც გაოგნდა, რატომ უკვირთო.

– კარგი რა, საბავშვო ზღაპრები სულ ბიდლის დაწერილია: „ილბლის შადრევანი", „ჯადოქარი და ხტუნია ქოთანი", „ფეხხითხითა ბაჭო-პრანჭო"...

– უკაცრავად, ბოლოს რა თქვი? – ჩაიკისკისა ჰერმიონმა.

– გეყოფათ! – რონი ეჭვით უყურებდა ხან ჰარისა და ხან ჰერმიონს, – „ბაჭო-პრანჭო" არ გაგიგიათ?

– რონ, მშვენივრად იცი, რომ მე და ჰარი მაგლებთან გავიზარდეთ! – უთხრა ჰერმიონმა, – და ბავშვობაში მაგ ზღაპრებს არ გვიამბობდნენ. ჩვენ „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" და „კონკია" ვიცით...

– ეგ რა არის, დაავადებაა? – ჰკითხა რონმა.

– მაშ, ამ წიგნში ზღაპრებია? – ჰერმიონმა რუნებს დახედა.

– ჰო, – შეყოყმანდა რონი, – როგორც გითხარით, ეგრეა. ჩვენ ბავშვობაში ყოველ საღამოს ბიდლის ძველ ზღაპრებს გვიამბობდნენ. ორიგინალში როგორია, არ ვიცი.

– ჰო, მაგრამ ნეტავ დამბლდორს რად უნდოდა, რომ წამეკითხა?

ქვემოთ რაღაც გაბრახუნდა.

– ჩარლი იქნება. ეტყობა, სანამ დედას სძინავს, თმის გაზრდას ცდილობს, – ანერვიულდა რონი.

– აჯობებს, დავიძინოთ, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– ჰო, – დაეთანხმა რონი, – თორემ სასიძოს დედამ რომ სამივენი მხეცურად დაგვხოცოს, ქორწილს ლაზათი მოაკლდება. შუქს ჩავაქრობ.

როცა ჰერმიონი გავიდა, რონმა ერთხელაც დააჩხაკუნა საქრობელა.

Scanned by CamScanner

თავი მერვე

ქორწილი

მეორე დღის სამ საათზე ჰარი, რონი, ფრედი და ჯორჯი ბაღში, დიდი მარგალიტისფერი კარვის წინ იდგნენ და სტუმრებს ელოდნენ. ჰარის ბლომად დაელია მრავალწვნიანი სასმელი და ახლა იმ სოფლის, ოტერი-სენტ-კეჩპოულის, მცხოვრებ თავნითელა მაგლ ბიჭს ჰგავდა, რომლის თმაც ფრედმა გამოძახების შელოცვით მოიპოვა. გადაწყვიტეს, ჰარი თავიანთ ბიძაშვილ ბარნიდ გაეცნოთ ყველასთვის და იმ იმედით ყოფილიყვნენ, რომ უისლების მრავალრიცხოვანი საგვარეულოს წარმომადგენლებში კარგად დაიმალებოდა.

ოთხივენი სტუმრების განლაგების სქემით იყვნენ შეიარაღებულები, რათა ხალხი თავ-თავის ადგილზე დაესხათ. თეთრმანტიიანი ოფიციანტების გუნდი ერთი საათის წინ მოვიდა ოქროსფერკოსტიუმებიან ორკესტრის მუსიკოსებთან ერთად. ახლა ყველანი ცოტა მოშორებით, ხის ქვეშ ისხდნენ და ჩიბუხებიდან ცისფერ კვამლს უშვებდნენ. ჰარის უკან, კარვის შესასვლელში, გრძელი, იისფერი ნოხის აქეთ-იქით ნატიფი, ოქროსფერი სკამების რიგები მოჩანდა. კარვის სვეტებს თეთრი და ოქროსფერი ყვავილები ამშვენებდა. იმ ადგილის თავზე, სადაც ბილი და ფლერი მალე ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენ, ფრედსა და ჯორჯს ოქროსფერი ბუშტების ვეება მტევანი დაემაგრებინათ. გარეთ პეპლები და ფუტკრები ზანტად დაჰფარფატებდნენ ბალახსა და ცოცხალ ღობეს. ჰარი უხერხულად გრძნობდა თავს. ის მაგლი ბიჭი, ვისი გარეგნობაც მიიღო, მასზე ცოტა სრული იყო და ზაფხულის ამ ცხელ დღეს საზეიმო მანტია სულს უხუთავდა.

– მე რომ ცოლს მოვიყვან, – მანტიის საყელო დაქაჩა ფრედმა, – ამ სისულელეებით თავს არ შევიწუხებ. რაც გინდათ, ის ჩაიცვით; დედას კი, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, გაშეშების შელოცვით გავაჩერებ.

Scanned by CamScanner

– კაცმა რომ თქვას, ამ დილით მშვენივრად იყო, – თქვა ჯორჯმა, – წაიტირა კიდეც, რატომ პერსიც აქ არ არისო, გეგონება, ვინმეს სჭირდებოდეს! აბა, გამაგრდით, მოდიან!

ეზოს ბოლოში ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ კაშკაშა ფერის სამოსში გამოწყობილი ფიგურები, ჩამწკრივდნენ და კარვისკენ გამოემართნენ. ქალებს ეგზოტიკური ყვავილები და მოჯადოებული ჩიტები უმშვენებდათ შლაპებს, მამაკაცების უმეტესობას ჰალსტუხზე ძვირფასი ქვები უელავდა; რაც მეტად მიუახლოვდნენ კარავს, ხალისიანი საუბარი უფრო მკაფიოდ გაისმა და ფუტკრების ზუზუნი გადაფარა.

– მშვენიერია. მგონი, ვიილა ნათესავებიც გვესტუმრნენ, – კისერი წაიგრძელა ჯორჯმა, რომ უკეთესად შეევლო თვალი, – უნდა მივეხმარო, თორემ ჩვენს ინგლისურ წესებს ვერ გაიგებენ. წავალ, მივხედავ...

– ნუ ჩქარობთ, თქვენო უყურესობავ, – ფრედმა ნახტომით აუარა გვერდი პროცესიის თავში მომავალ შუახნის ქალების გუნდს და ორ კოხტა ფრანგ გოგონას მიადგა:

– ისა... permettez-moi რომ assister vous, – გოგონები ახითხითდნენ და კარავში შეჰყვნენ. ჯორჯს შუახნის ქალები შერჩა ხელში, რონს – პერკინსი – მამის კოლეგა სამინისტროდან; ჰარის კი მოხუცი, გადაყრუებული წყვილი ერგო.

– გამარჯობა, – მოესმა ნაცნობი ხმა კარვიდან გამოსულ ჰარის და რიგის თავში ტონქსი და ლუპინი დაინახა. ტონქსს ამჯერად ქერა თმა ამშვენებდა, – არტურმა გვითხრა, აი, ის ხუჭუჭაო. გვაპატიე, გუშინ რომ გავიქეცით, – დაამატა ჩურჩულით, სანამ ჰარი რიგებს შორის მიუძღოდა, – სამინისტრო მაქციების წინააღმდეგაა განწყობილი და ვიფიქრეთ, ჩვენი იქ ყოფნით არაფერი დავუშავოთო.

– ეგ არაფერი. მესმის, – ლუპინს უფრო მიმართა ჰარიმ, ვიდრე ტონქსს. ლუპინმა გაულიმა, მაგრამ როცა შებრუნდნენ, სახე კვლავ ტანჯვით დაელარა. ჰარი ვერ მიხვდა, რატომ იყო ლუპინი უგუნებოდ, მაგრამ დაფიქრების დროც აღარ ჰქონდა. უკან ლანალუწი ატყდა. თურმე ჰაგრიდი ვერ მიხვდა, რომელ ადგილზე მიუთითა ფრედმა და მისთვის ბოლო რიგში ჯადოქრობით გაფართოებულ-გამაგრებული სავარძლის ნაცვლად, ხუთ ჩვეულებრივ სკამზე დაებერტყა, რომლებიც ახლა ოქროსფერი ნაფოტების გროვად ქცეულიყო.

სანამ ბატონი უისლი სკამებს ამთელებდა, ხოლო ჰაგრიდი ყვირილით ებოდიშებოდა ყველას, ჰარი ისევ კარვის შესასვლელისკენ გაბრუნდა და რონის გვერდით უაღრესად ექსცენტრული გარეგნობის ჯადოქარი დაინახა. ოდნავ ელამს ჭაღარა, ბამბის ნაყინივით

Scanned by CamScanner

აბურდული თმა მხრებამდე ჩამოზრდოდა, ჩაჩის ფოჩი ცხვირთან დასთამაშებდა და თვალისმომჭრელი, კვერცხის გულისფერი მანტია ეცვა. ყელზე ოქროსფერი წვრილი ჯაჭვი ეკიდა, რომელზეც უცნაური, სამკუთხა თვალისმაგვარი სიმბოლო კონწიალობდა.

– ქსენოფილიუს ლავგუდი, – წარუდგინა თავი ჰარის და ხელი გაუწოდა, – მე და ჩემი გოგონა გორაკის გადაღმა ვცხოვრობთ. უისლებმა დიდი პატივი დაგვდეს, რომ მოგვიპატიჟეს. თუმცა, შენ ხომ იცნობ ჩემს ლუნას? – ჰკითხა რონს.

– დიახ, – მიუგო რონმა, – არ მოსულა?

– თქვენს მშვენიერ პანია ბაღში შეყოვნდა, გნომებს ესალმება. რამდენი ჩინებული პარაზიტი გყოლიათ! ცოტა ჯადოქარმა თუ იცის, რამდენი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ პატარა, ბრძენი გნომებისგან ან, თუ სწორად მოვიხსენიებთ, ბაღის გერნუმბლუმებისაგან.

– ჩვენს გნომებს გინება ეხერხებათ, – თქვა რონმა, – მაგრამ მგონი, ფრედმა და ჯორჯმა ასწავლეს.

ის იყო, ჯადოქრების ჯგუფს შეუძღვა კარავში, რომ ლუნამაც მოირბინა და შესძახა:

– გამარჯობა, ჰარი!

– მმ... მე ბარნი მქვია, – შეცბუნდა ჰარი.

– სახელიც შეიცვალე? – ხალისიანად ჰკითხა ლუნამ.

– როგორ მიცანი?

– გამომეტყველებით.

ლუნასაც მამამისივით ბრდღვიალა ყვითელი მანტია ეცვა, თმაში მზესუმზირას ყვავილი გაერჭო. როცა თვალს შეაჩვევდი, ძალიანაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყოველ შემთხვევაში, ყურებზე ბოლოკები მაინც არ უქანავებდა.

ქსენოფილიუსი ნაცნობთან საუბარში იყო გართული და ჰარისა და ლუნას დიალოგი არ გაუგონია. მერე იმ ჯადოქარს დაემშვიდობა და ქალიშვილს მიუბრუნდა. ლუნამ თითი გაუშვირა:

– მამიკო, შეხედე, ერთმა გნომმა მიკბინა.

– მაგას რა სჯობს! გნომის ნერწყვი ძალიან მარგებელია, – ბატონმა ლავგუდმა ხელი სტაცა ლუნას თითებს და გასისხლიანებულ ნაკბენს დააცქერდა, – ლუნა, საყვარელო, თუ დღეს შენში უცებ რაიმე ნიჭს აღმოაჩენ – ვთქვათ, საოპერო არიის სიმღერა მოგინდება ან სირინოზების ენაზე ლექსების კითხვა, არ გაგიკვირდეს: შეიძლება, გერნუმბლუმებმა დაგასაჩუქრეს!

რონმა ხმამაღლა ჩაიფრუტუნა.

– რამდენიც უნდა, იმდენი იცინოს, – აუღელვებლად უთხრა ლუნამ, როცა ჰარი მას და ქსენოფილიუსს თავიანთი ადგილები-

Scanned by CamScanner

საკენ მიუძღოდა, – მამა დიდხანს იკვლევდა გერნუმბლუმების მაგიას.

– მართლა? – ჰარის, რა ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა, ლუნას და მამამისის უცნაურ თვალსაზრისზე აღარ ეკამათა, – ისე, მაგ ნაკბენზე არაფერს დაიდებ?

– არა, მალე გამივლის, – უთხრა ლუნამ და ჰარი აათვალიერ-ჩაათვალიერა, – მშვენივრად გამოიყურები. მამას ვუთხარი, ალბათ ყველა საზეიმო მანტიით იქნება-მეთქი, მაგრამ მიპასუხა, ქორწილში მზისფერი უნდა გეცვას, იღბალი მოაქვსო.

ლუნა მამას გაჰყვა. რონი ისევ გამოჩნდა, მკლავში ვიღაც დედაბერი ჩაბღაუჭებოდა. მოკაუჭებული ცხვირი, ჩაწითლებული თვალები და ტყავის ვარდისფერი შლაპა გაავებულ ფლამინგოს ამსგავსებდა. ქალი გაუჩერებლად ქოთქოთებდა:

– ეგ თმა იმსიგრძე გაქვს, რონალდ, უცბად ჯინევრა მეგონე. მერლინის წვერს გაფიცებ, ეს რა აცვია ქსენოფილიუს ლავგუდს? რაღა ეგ და, რაღა ერბოკვერცხი. შენ ვინღა ხარ? – შეუღრინა ჰარის.

– უი, ჰო, პაპიდა მიურიელ, ეს ჩვენი ბიძაშვილია, ბარნი.

– კიდევ ერთი უისლი? გნომებივით მრავლდებით, რა უბედრებაა! ჰარი პოტერი სადღაა? იმედი მქონდა, გავიცნობდი. მეგონა, შენი მეგობარი იყო, რონალდ. თუ მხოლოდ გვეტრაბახებოდი?

– არა, ვერ მოვიდა...

– ჰმ! ბოდიში შემოთვალა, არა? მაშ, არც ისეთი ბრიყვი ყოფილა, როგორიც სურათებზე ჩანს. პატარძალს, ეს-ესაა, ვასწავლე, დიადემა როგორ დაიდგას თავზე, – ყვირილით მიმართა ჰარის, – გობლინების ნახელავია; საუკუნეებია, რაც ჩემს ოჯახში ინახება. კოხტა გოგო კია, მაგრამ მაინც... ფრანგია. კარგი, რაც არის, არის. ახლა ერთი კარგი ადგილი მომინახე, რონალდ, თორემ ას შვიდი წლისა ვარ და დიდხანს ფეხზე დგომა არ მარგებს.

რონმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა ჰარის, ჩაიარა და კარგა ხანს არ მობრუნებულა. როცა შესასვლელთან ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ჰარის უკვე ათიოდე კაცი მიეცილებინა თავიანთ ადგ-ილებზე. კარავი თითქმის აივსო ხალხით, გარეთ კი, პირველად იყო, რომ რიგი არ დაუხვდა.

– აუტანელია ეს მიურიელი, – რონმა შუბლი სახელოთი შეიმშრალა, – ყოველ წელს ჩვენთან ხვდებოდა შობას. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ერთ მშვენიერ დღეს სადილობისას ფრედმა და ჯორჯმა სკამის ქვეშ ნეხვის ბომბი აუფეთქეს და იწყინა. მამა ირწ-მუნება, ორივეს სახელს ამოშლის ანდერძიდანო, მაგრამ ეს დიდად არ ადარდებთ. იმდენ ფულს შოულობენ, ოჯახში მაგათზე მდიდარი

Scanned by CamScanner

არავინ იქნება... ოჰო! – და მათკენ სწრაფად მომავალი ჰერმიონის დანახვაზე თვალები ააფახურა: – რა კარგად გამოიყურები!

– სულ რატომ უნდა გიკვირდეს, – გაეღიმა ჰერმიონს. მსუბუქი, იასამნისფერი კაბა და იასამნისფერივე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა; სწორად დავარცხნილი თმა უბზინავდა, – ისე, რომ იცოდე, შენი პაპიდა მიურიელი ასე არ ფიქრობს. ზემოთ შევხვდი, როცა ფლერს დიადემა გადასცა და იცი, რა თქვა? უი, ეს ხომ მაგლების გოგოაო? არც მიხრა-მოხრა უვარგა და არც კოჭებიო.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, ყველას ეგრე უხეშად ელაპარაკება, – მოუბოდიშა რონმა.

– მიურიელზე ამბობ? – ჰკითხა კარვიდან ფრედთან ერთად გამოსულმა ჯორჯმა, – ეს წუთია, მითხრა, რა აცაბაცა გაქვს ყურებიო. ეგ ბებერი ღამურა, ეგა! ისე, ძია ბილიუსი რომ ცოცხალი იყოს, კარგი იქნებოდა. მაგარი მხიარული ვინმე იყო.

– ეგ ის არ არის, გრიმს რომ შეხვდა და მეორე დღეს მოკვდა? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– ჰო. ბოლო ხანებში ცოტა უცნაურობები დასჩემდა, – აღიარა ჯორჯმა.

– მაგრამ სანამ აურევდა, ქეიფის სული და გული იყო, – თქვა ფრედმა, – ჯერ ხომ მთელ ბოთლ ცეცხლოვან ვისკის დაცლიდა, მერე საცეკვაო მოედანზე გადახტებოდა, მანტიას აინევდა და შარვლის უბიდან სულ კონა-კონა ყვავილები ამოჰქონდა...

– ჭეშმარიტი ჯადოქარი ყოფილა, – აღიარა ჰერმიონმა, ჰარი სიცილით ჩაბჟირდა.

– რატომღაც, ცოლი არ შეურთავს, – დანანებით აღნიშნა რონმა.

– საკვირველია, ნეტავი რატომ? – ვითომ გაიკვირვა ჰერმიონმა.

ისე იცინოდნენ, რომ ვერც ერთმა შენიშნა ახალმოსული, მუქთმიანი, ცხვირკაუჭა და შავ, გაბუჩქულწარბებიანი ახალგაზრდა, სანამ მან თავისი მოსაწვევი რონს არ გაუწოდა და ჰერმიონს მიშტერებულმა არ თქვა:

– შვენიერად გამოიკურები.

– ვიქტორ! – შეხტა ჰერმიონი და მძივებით დაქარგული ერთი ციდა ხელჩანთა დაუვარდა, რომელიც მისი ზომისთვის შეუფერებული ხმამაღალი ბრახუნით დაეცა. ალეწილი ჰერმიონი სწრაფად დაიხარა, ჩანთა აიღო და მიმართა:

– არ ვიცოდი, რომ... ღმერთო ჩემო... რა კარგია... როგორა ხარ?

რონს ყურები ალისფრად აენთო. კრამის მოსაწვევს ისე დახედა, თითქოს ერთი სიტყვაც არ სჯერა იმისა, რაც შიგ წერიაო და ზედმეტად ხმამაღლა თქვა:

Scanned by CamScanner

– აქ როგორ მოხვდი?

– პლერმა მომიპატიჯა, – მიუგო კრამმა და წარბები ასწია.

ჰარი კრამს არაფერს ერჩოდა, ამიტომ ხელი ჩამოართვა. მერე იფიქრა, კარგი იქნება, თუ კრამს რონის სიახლოვეს არ დავტოვებო და ადგილამდე მიცილება შესთავაზა.

– შენს მეგობარს ჩემი დანაჰვა არ გაუჰარდა, – უთხრა კრამმა, როცა ხალხით სავსე კარავში შევიდნენ, – ტუ ნატესავია? – დაუმატა და ჰარის ყლალ, ხუჭუჭა თმას შეავლო თვალი.

– ბიძაშვილია, – წაიბუტბუტა ჰარიმ, მაგრამ კრამი არ უსმენდა. მისმა გამოჩენამ ალიაქოთი გამოიწვია, განსაკუთრებით, ფლერის ვიილა ნათესავებს შორის. კრამი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ქვიდიჩის განთქმული მოთამაშე იყო. ხალხი მის შესათვალიერებლად ჯერაც კისერს იგრძელებდა, როცა რონი, ჰერმიონი, ფრედი და ჯორჯი შემოცვივდნენ.

– დროა, დავსხდეთ, პატარძალი მოდის.

ჰარი, რონი და ჰერმიონი მეორე რიგში დასხდნენ, ფრედისა და ჯორჯის უკან. ჰერმიონი ალენილი იყო, რონსაც ყურები ჯერ კიდევ წითლად უელვარებდა. რამდენიმე წამში ჰარის წასჩურჩულა:

– შეამჩნიე, ის სულელური ნვერიც რომ დაუყენებია?

ჰარიმ გაუგებრად ჩაიდუდუნა რაღაცა.

თბილი კარავი მღელვარე მოლოდინით აივსო, ბუტბუტს ზოგჯერ სიცილი ერთვოდა. ბატონმა და ქალბატონმა უისლებმა რიგებს შორის ჩამოიარეს და ნათესავებს ღიმილითა და თავის დაკვრით მიესალმნენ; ქალბატონ უისლის ახალთახალი ამეთვისტოსფერი მანტია ეცვა და შესაფერისი შლაპა ეხურა.

წამიც და, კარვის შესასვლელში ბილი და ჩარლი გამოჩნდნენ. საღილეებში ორივეს დიდი თეთრი ვარდი ეკეთა; ფრედმა აღტაცებით დაუსტვინა, ვიილებს კი ხითხითი აუტყდათ. მერე ოქროსფერი ბუშტებიდან მუსიკა გადმოიღვარა და ყველა მიჩუმდა. ჰერმიონი სკამზე შეტრიალდა და შემოსასვლელს მიაშტერდა.

ჯადოქართა კრებულს ერთიანი ოხვრა აღმოხდა, როცა ნოხზე მუსიე დელაკურმა და ფლერმა შემოაბიჯეს. ფლერი მონარნარებდა, გაბრწყინებული მუსიე დელაკური კი ლამის ცეკვა-ცეკვით მოდიოდა. ფლერს უბრალო თეთრი კაბა ეცვა და ძლიერ ვერცხლისფერ ნათებას ასხივებდა. სხვა დროს მისი ელვარება ყველას ჩრდილავდა, დღეს კი ვინც მის სხივებში მოხვდებოდა, ყველა მშვენდებოდა. ოქროსფერ კაბებში გამოწყობილი ჯინი და გაბრიელი ჩვეულებრივზე ლამაზები ჩანდნენ. როცა ფლერი ბილს მიუახლოვდა, ბილზე ვეღარავინ იფიქრებდა, რომ იგი ოდესღაც მაქცია ფენრირ გრეიბექს გადაეყარა.

Scanned by CamScanner

– ქალბატონებო და ბატონებო, – გაისმა ოდნავ წამღერებით და ჰარი, ცოტა არ იყოს, შეცბა: ბილისა და ფლერის წინ ის პატარა, მეჩხერთმიანი ჯადოქარი იდგა, რომელიც დამბლდორის დაკრძალვას უძღვებოდა, – ჩვენ დღეს შევიკრიბეთ, რათა ვიზეიმოთ ორი ერთგული გულის შეკავშირება...

– ჩემი დიადემა, ვისაც გინდა, იმას დაამშვენებს, – აღნიშნა მამიდა მიურიელმა კარგა ხმამაღალი ჩურჩულით, – ჯინევრას კაბა ძალიან მოღეღილია!

ჯინიმ ღიმილით მოიხედა, ჰარის თვალი ჩაუკრა და ისევ სწრაფად მიაბრუნა თავი. ჰარის ფიქრი კარვიდან შორს გაფრინდა და იმ დღეებს დაუბრუნდა, როცა ის და ჯინი სკოლის მიყრუებულ ადგილებში განმარტოვდებოდნენ ხოლმე. ახლა ის დღეები ძალზე შორეული ეჩვენა; ისედაც ბოლომდე არასდროს სჯეროდა ასეთი ბედნიერებისა. თითქოს იმ წუთებს ვიღაც ნორმალურ ადამიანს ჰპარავდა – ადამიანს, ვისაც შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი არ აჩნდა...

– უილიამ არტურ, თანახმა ხართ თუ არა, შეირთოთ ფლერ იზაბელი...

პირველ რიგში მსხდომი ქალბატონი უისლი და მადამ დელაკური ჩუმად სლუკუნებდნენ და მაქმანიანი ცხვირსახოცებით იმშრალებდნენ თვალებს. კარვის ბოლოდან ბუკის ხმა მოისმა და ყველა მიხვდა, რომ ჰაგრიდმაც ამოიღო სუფრისოდენა ცხვირსახოცი. ჰერმიონი ჰარის მიუბრუნდა და გაბრწყინებულმა გაუღიმა. მასაც ცრემლით ავსებოდა თვალები.

– ამიერიდან შეუღლებულად გაცხადებთ.

მეჩხერთმიანმა ჯადოქარმა ბილისა და ფლერის თავებს ზემოთ გაიქნია ხელი. წამოვიდა ვერცხლის ვარსკვლავების წვიმა და ჩახუტებული წყვილის გარშემო დაბზრიალდა. როცა დამსწრეთა ტაშს ფრედი და ჯორჯიც აჰყვნენ, ოქროსფერი ბუშტების მტევანი გასკდა, საიდანაც სამოთხის ჩიტები და პაწაწინა ოქროსფერი ზანზალაკები გამოფრინდნენ, ჰაერში აფარფატდნენ და საერთო გუგუნს ჭიკჭიკ-წკრიალით შეუერთდნენ.

– ქალბატონებო და ბატონებო! – ისევ დაიძახა მეჩხერთმიანმა ჯადოქარმა, – გთხოვთ, აბრძანდეთ!

ყველანი წამოდგნენ, პაპიდა მიურიელი ხმამაღლა აბუზღუნდა. ჯადოქარმა ერთხელაც გაიქნია ჯოხი. ჩარიგებული სკამები ნარნარად აფრინდა ჰაერში. ტილოს კედლები გაქრა და ყველანი ოქროსფერსვეტებიანი ჩარდახის ქვეშ აღმოჩნდნენ, საიდანაც მზით განათებული ბაღი და შემოგარენი მოჩანდა. ჩარდახის ცენტრიდან

Scanned by CamScanner

მდნარი ოქროს ტბა ჩამოიღვარა და მოელვარე საცეკვაო მოედნად გადაიქცა; ჰაერში მოლივლივე სკამები მიწაზე დაეშვა და მოედნის გარშემო შემორიგებულ პატარა, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდებს შემოუმწკრივდა. ოქროსფერ კოსტიუმებში გამოწყობილი ორკესტრის მუსიკოსები ესტრადისაკენ გაემართნენ.

– მაგარია, – მოეწონა რონს, როცა აქეთ-იქიდან მოულოდნელად გაჩნდნენ ოფიციანტები; ზოგს გოგრის წვენით, ბურბურახითა და ცეცხლოვანი ვისკით დატვირთული ლანგრები მოჰქონდა, ზოგი კი კექსუნებითა და ბუტერბროდებით დაზვინულ თეფშებს მოარბენინებდა.

– წავიდეთ, მივულოცოთ, – ჰერმიონმა იქით გაიხედა, სადაც ფლერსა და ბილს სტუმრები დახვეოდნენ.

– მერეც მოვასწრებთ, – მხრები აიჩეჩა რონმა, გვერდით ჩავლილი ლანგრიდან სამი ჭიქა ბურბურახი აიტაცა და ერთი ჰარის მიაწოდა, – ჰერმიონ, დროზე, მაგიდა დავიკავოთ. ოღონდ, იქ არა! მიურიელისგან შორს!..

რონმა ცარიელი საცეკვაო მოედანი გადაიარა, თან აქეთ-იქით იხედებოდა; ჰარი მიხვდა, კრამს ეძებსო. როცა ჩარდახის ბოლოში გავიდნენ, თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული დაუხვდათ. ერთიღა იყო თავისუფალი და მასაც ლუნა უჯდა.

– დავსხდებით, კარგი? – მიმართა რონმა.

– როგორ არა, – ხალისიანად მიუგო ლუნამ, – მამა ამ წუთში ადგა, ბილსა და ფლერს საჩუქარი უნდა გადასცეს.

– რა არის, გურდის ფესვის ულევი მარაგი?

ჰერმიონმა მაგიდის ქვეშ რონისთვის ფეხის წაკვრა დააპირა, მაგრამ ჰარის ფეხზე მოუხვდა. ჰარი კი ისე გამწარდა, რომ რამდენიმე წამით საუბრის სურვილი დაეკარგა.

ორკესტრი დაკვრას შეუდგა. მოედანზე ტაშის თანხლებით პირველები ბილი და ფლერი გამოვიდნენ. ცოტა ხანში ბატონმა უისლიმ მადამ დელაკური გაიწვია საცეკვაოდ, მათ ქალბატონი უისლი და ფლერის მამა მიჰყვნენ.

– მომწონს ეს სიმღერა, – ვალსის ტაქტს აჰყვა ლუნა, მერე წამოდგა და საცეკვაო მოედანზე გაგოგმანდა, იქ მარტო დატრიალდა ადგილზე, თვალები დახუჭა და ხელები ტალღისებურად აიქნია.

– ლუნა მაგარია, არა? – აღტაცებით თქვა რონმა, – ან როდის არ იყო მაგარი.

მაგრამ ღიმილი მაშინვე გაუქრა, რადგან ლუნას ადგილი ვიქტორ კრამმა დაიკავა. ჰერმიონს მღელვარება დაეტყო, მაგრამ ამჯერად კრამს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მოღუშულმა იკითხა:

Scanned by CamScanner

– ვინ არის ის კვითელმანტიიანი კაცი?

– ქსენოფილიუს ლავგუდი, ჩვენი მეგობრის მამა, – მიუგო რონმა და ბრაზიანი ტონით მიანიშნა, რომ გამომწვევი ჩაცმულობის მიუხედავად, ქსენოფილიუსის დაცინვა არავის ეპატიებოდა, – წამო, ვიცეკვოთ, – მიუბრუნდა უცებ ჰერმიონს.

გაოცებულ-ნასიამოვნები ჰერმიონი წამოდგა და საცეკვაო მოედანზე ორივენი ხალხში ჩაიკარგნენ.

– ერთად არიან? – გუნება წაუხდა კრამს.

– მმ... ჰო, რა, – დაიბნა ჰარი.

– შენ ვინა ჰარ? – ჰკითხა კრამმა.

– ბარნი უისლი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– ბარნი, კარგად იცნობ მაგ კაცს, ლავგუდს?

– არა, დღეს პირველად ვნახე. რა იყო?

კრამმა ჭიქა აიღო და მოღუშული მიაცქერდა ქსენოფილიუსს, რომელიც საცეკვაო მოედნის ბოლოში რამდენიმე ჯადოქარს ემუსაიფებოდა.

– რა და, პლერის სტუმარი რომ არ ვიკო, აჰლავე ვაჩვენებდი სეირს. ის საზიზღარი ნიშანი როგორ ჰკიდია გულზე!

– ნიშანი? – ჰარიმაც გახედა ქსენოფილიუსის გულზე მოელვარე უცნაურ, სამკუთხა თვალს, – რატომ? რა სჭირს მაგ ნიშანს?

– გრინდელვალდისაა. ეგ გრინდელვალდის ნიშანია.

– გრინდელვალდი... ეგ ის ბოროტი ჯადოქარია, დამბლდორმა რომ დაამარცხა?

– სცორედ.

კრამმა ყბის კუნთები აამოძრავა და კბილები გააკრაჭუნა:

– გრინდელვალდმა ბევრი ჰალჰი დაჰოცა. პაპაჩემიც მოკლა. ტქვენ ქვეკანაში ზალა არ ჰქონდა, ამბობენ, დამბლდორისა ეშინოდაო. სცორადაც ეშინოდა. როგორც უკვე ტკვი, სცორედ დამბლდორმა დაამარცჰა. აი, ეს, – ქსენოფილიუსისკენ გაიშვირა თითი, – მაგის ნიშანია, იმ ცუტშივე ვიცანი. გრინდელვალდმა დურმსტრანგში კედელზე ამოკაცრა, როცა იქ სცავლობდა. ზოგი ბრიკვი ციგნებზე და ტანსაცმელზე იჰატავდა – ვითომ სჰვებს შევაშინებტო. მერე ადგნენ სჰვები, ვისაც გრინდელვალდმა ოჯაჰები ამოუცკვიტა და ჩკუა ასცავლეს.

კრამმა მუქარით გაატკაცუნა თითები და ქსენოფილიუსს დაუბღვირა. ჰარი გაოგნდა. დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ ლუნას მამა შავი მაგიის მიმდევარი იყო, ხოლო გარშემო ვერავინ ცნობდა სამკუთხა, ლაყუჩისმაგვარ ნიშანს.

Scanned by CamScanner

– და... ზუსტად იცი, მმ... რომ გრინდელვალდისაა?

– როგორ შემეშლება, – ცივად მიუგო კრამმა, – რამდენიმე ცელი კოველდღე მაგ ნიშანს ვუკურებდი და კარგად ვცნობ.

– შეიძლება ქსენოფილიუსმა არც იცის, ეგ რისი ნიშანია, – თქვა ჰარიმ, – ლავგუდები ცოტა უჩვეულო ხალხია. შეიძლება სადმე იპოვა და რქაგრეხილი ციკლოპის ქვედა ყბა ან რაიმე ასეთი ეგონა.

– რისი კვედა კბა?

– არ ვიცი, რა ცხოველია, მაგრამ თვითონ და მისი ქალიშვილი არდადეგებზე დაეძებდნენ... – და იმწამსვე მიხვდა, რომ არ ღირდა ლუნას და მამამისის ამბების მოყოლა, – აი, მისი ქალიშვილიც, – ლუნაზე ანიშნა, რომელიც ისევ მარტო ცეკვავდა და ხელებს ისე ასავსავებდა, გეგონება, ქინქლებს იგერიებსო.

– რას აკეტებს? – ჰკითხა კრამმა.

– შეიძლება რაქსპურტებს აფრთხობს, – მიუგო ჰარიმ.

კრამი ვერ მიმხვდარიყო, ჰარი ეხუმრებოდა თუ სერიოზულად ელაპარაკებოდა. მანტიიდან ჯოხი ამოიღო და მუქარით დაიტყაპუნა ბარძაყზე. ჯოხის წვერიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა.

– გრეგოროვიჩი! – უცებ წამოიყვირა ჰარიმ. კრამი შეკრთა, მაგრამ ჰარი ისე აღელდა, რომ ყურადღება არ მიუქცევია; კრამის ჯოხის დანახვაზე გაახსენდა, როგორ გამოართვა სამი ჯადოქრის ტურნირის წინ ოლივანდერმა კრამს ჯოხი და რა ყურადღებით გასინჯა.

– რატომ აჰსენე? – ეჭვით ჰკითხა კრამმა.

– ჯოხების დამამზადებელია.

– ვიცი, – მიუგო კრამმა.

– შენი ჯოხიც ხომ მისი ნახელავია! მაგიტომაც მეგონა, რომ ქვიდიჩთან იყო დაკავშირ...

კრამი უფრო დაეჭვდა.

– რა იცი, რომ ჩემი ჯოჰი გრეგოროვიჩის ნამუშევარია?

– მე... მგონი, სადღაც წავიკითხე, – შეცბა ჰარი, – სპორტულ ჟურნალში, – დასძინა სწრაფად და კრამი ცოტა დამშვიდდა.

– არ მაგონდება, რომ კორესპონდენტებტან ჩემს ჯოჰზე მელაპარაკოს, – აღნიშნა მან.

– და... ისა... ახლა სად არის გრეგოროვიჩი?

კრამი განცვიფრდა.

– რამდენიმე ცელია, რაც აღარ მუშაობს. მე ლამის კველაზე ბოლო მკიდველი ვიკავი. გრეგორივიჩი კველაზე კარგი ოსტატია, ტუმცა ინგლისელებს ოლივანდერი გირჩევნიატ.

ჰარიმ პასუხი არ გასცა და კრამივით თვითონაც მოცეკვავეებს

Scanned by CamScanner

მიაცქერდა, თუმცა, მისი ფიქრი სულ სხვაგან დაქროდა. ესე იგი, ვოლდემორი ჯადოსნური ჯოხების განთქმულ დამამზადებელს დაეძებს. მიზეზი იოლი მისახვედრია: უთუოდ მას მერე შეუდგა ძებნას, რაც ჰარის ჯოხმა დამოუკიდებლად იჯადოქრა პრივიტ დრაივიდან წამოსვლის ღამეს. ვოლდემორის ნათხოვარ ჯოხს ბაძგმა და ფენიქსის ბუმბულმა აჯობა: გააკეთა ის, რასაც ოლივანდერი არც ელოდა და ვერც ხსნიდა. ვითომ გრეგოროვიჩს ეცოდინება? ნუთუ მართლა ოლივანდერზე გაწაფული ოსტატია და ჯოხების ისეთი საიდუმლოებები იცის, რაც ოლივანდერს არ გაეგება?

– შვენიერი გოგოა, – კრამის ამ სიტყვებზე ჰარი გამოფხიზლდა. ჯინიზე ანიშნებდა, რომელიც ის იყო, ლუნასთან მივიდა, – ისიც შენი ნატესავია?

– ჰო, – მიუგო ჰარიმ და უცებ გაღიზიანდა, – მგონი, ეგეც ვიღაცას ხვდება, დიდი მუტრუკი და ეჭვიანი ვინმეა. მე რომ შენი ვიყო, წინ არ გადავუდგებოდი.

კრამი აბუზღუნდა:

– მაშ, მიტჰარი, რაღა ჯანდაბად მინდა ქვიდიჩის საერტაშორისო კლასის მოტამაშეობა, თუ კველა ლამაზ გოგოს სჰვები ამაცლიან? – მერე წამოდგა, ჭიქა დაცალა და ჰარის მაგიდას მოშორდა.

ჰარიმ იქვე ჩავლილ ოფიციანტს ბუტერბროდი გამოართვა და გადავსებულ საცეკვაო მოედანზე გაიკვლია გზა. უნდოდა, რონი ეპოვა და გრეგოროვიჩის ამბავი ეთქვა, მაგრამ რონი შუა მოედანზე ეცეკვებოდა ჰერმიონს. ჰარი ოქროსფერ სვეტს მიეყრდნო და ჯინის მიაცქერდა, რომელიც ახლა ფრედისა და ჯორჯის მეგობართან, ლი ჯორდანთან ცეკვავდა. უყურებდა და რონისთვის მიცემულ პირობაზე ფიქრობდა.

მანამდე ქორწილში არ ყოფილა, ამიტომ ვერ იტყოდა, რამდენად განსხვავდებოდა ჯადოქრული ქორწილი მაგლურისაგან. თუმცა ის კი ზუსტად იცოდა, რომ მაგლურ ქორწილში არც საპატარძლო ტორტი იქნებოდა შემკული ორი პაწაწინა ფენიქსით, რომლებიც ტორტის გაჭრისთანავე გაფრინდებოდნენ და არც შამპანურის ბოთლები ილივლივებდნენ ჰაერში. ჩამოღამდა.ჩარდახის ქვეშ ქინქლები მოგროვდნენ. ქეიფი ზღვარს გადადიოდა. ფრედი და ჯორჯი კარგა ხნით გაქრნენ ბნელში ფლერის ორ ნათესავ ვიილასთან ერთად; ჩარლი, ჰაგრიდი და ერთი ჩაფსკვნილი, ძველებურ იისფერ, ფარფლებაგრეხილშლაპიანი ჯადოქარი კუთხეში „გმირ ოდოს“ მღეროდნენ.

ჰარიმ ფრთხილად გაიარა ხალხში. თვალებს აცეცებდა, ცდილობდა, რონის მთვრალ ბიძას არ გადაჰყროდა, რომელსაც, ეტყობა, თავისი შვილი ეგონა. უცებ მაგიდასთან მარტო მჯდომი მოხუცი

Scanned by CamScanner

ჯადოქარი დაინახა. ჭაღარა თმის ღრუბელი ბაბუაწვერას ამგვანებდა. კინკრიხოზე ჩრჩილისგან ამოჭმული წოპნოპა ქუდი ეხურა. თითქოს ეცნო. გონება დაძაბა და უცებ მიხვდა, რომ ელფიას დოჯი იყო, ფენიქსის ორდენის წევრი და დამბლდორის ნეკროლოგის ავტორი.

ჰარი მიუახლოვდა და ხმადაბლა ჰკითხა:

– შეიძლება, ჩამოვჯდე?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – დაუდასტურა დოჯმა მაღალი, ხრინწიანი ხმით.

ჰარი დაიხარა:

– ბატონო დოჯ, მე ჰარი პოტერი ვარ.

დოჯმა გაკვირვებით დააღო პირი:

– ჩემო ბიჭუნა! არტური მეუბნებოდა, აქ არის, ოღონდ სხვისი გარეგნობითო... როგორ მიხარია, რა პატივია!

სიხარულით აფორიაქებულმა დოჯმა ჰარის შამპანური დაუსხა.

– შენთვის მოწერას ვაპირებდი, დამბლდორის მერე... რა ელდა იყო... ალბათ, შენთვისაც... – წაიჩურჩულა დოჯმა და თვალები აუცრემლიანდა.

– თქვენი ნეკროლოგი წავიკითხე „დილის მისანში", – უთხრა ჰარიმ, – არ მეგონა, თუ პროფესორ დამბლდორს ასე კარგად იცნობდით.

– როგორც ყველა, – დოჯმა თვალები ხელსახოცით მოიწმინდა, – თუმცა, ალბათ, სხვებზე მეტხანს მქონდა ურთიერთობა... თუ აბერფორტს არ ჩავთვლით... ისე, მგონი, აბერფორტს არც არასოდეს თვლიდნენ რამედ.

– ჰო, მართლა, „დილის მისანზე" გამახსენდა... წაიკითხეთ, ბატონო დოჯ?

– ელფიასი დამიძახე, ჩემო ბიჭუნავ.

– ელფიას, არ ვიცი, წაიკითხეთ თუ არა ის ინტერვიუ, რიტა სკიტერს რომ ჩამოართვეს დამბლდორის შესახებ?

დოჯი აილეწა.

– ჰო, ჰარი, წავიკითხე. ის ქალი, თუმცა სვავი უფრო შეეფერება, ჩამაცივდა, ინტერვიუ მომეციო და ისე შემალონა, რომ, ჩემდა სამარცხვინოდ, ქოფაკი ვუწოდე. როგორც ნახე, სამაგიერო იმით გადამიხადა, რომ ჩემი გონების სისაღეში შეიტანა ეჭვი.

– ჰოდა, იმ ინტერვიუში, – განაგრძო ჰარიმ, – რიტა სკიტერმა გადაკვრით თქვა, ახალგაზრდობაში პროფესორი დამბლდორი შავი მაგიით იყო გატაცებულიო.

– ერთი სიტყვაც არ დაიჯერო! – მაშინვე უთხრა დოჯმა, – არც

Scanned by CamScanner

ერთი სიტყვა, ჰარი! არაფერს არ დააჩრდილინო ალბუს დამბლდორის ხსოვნა!

ჰარიმ გულწრფელ, სევდიან სახეში ჩახედა დოჯს და გამხნევების ნაცვლად, გული გაუტყდა. ნუთუ დოჯს მართლა ასე იოლი ჰგონია: ნუ დაიჯერებს და მორჩა! ნუთუ ვერ გრძნობს, რომ ჰარი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველაფერი იცის!

ეტყობა, დოჯი მიხვდა, რა დღეშიც იყო ჰარი, რადგან შეწუხდა და სწრაფად განაგრძო:

– ჰარი, რიტა სკიტერი საშინელი...

მაგრამ სიტყვა გამკივანმა კაკანმა შეაწყვეტინა:

– რიტა სკიტერი? ვგიჟდები მაგ ჟურნალისტზე! ყოველთვის ვკითხულობ მის სტატიებს!

ჰარიმ და დოჯმა აიხედეს. თავს პაპიდა მიურიელი წამოსდგომოდათ, ქუდზე ბუმბულები უფრიალებდა, ხელში შამპანურით სავსე ჭიქა ეჭირა:

– იცი, რომ დამბლდორზე წიგნი დაწერა?

– გამარჯობა, მიურიელ, – მიესალმა დოჯი, – ჰო, სწორედ ახლა ვლაპარაკობდით...

– აბა, ახლავე წამოხტი და სკამი დამითმე, ბიჭო! მე ას შვიდი წლისა ვარ!

უისლების რომელიღაც თავწითელა ბიძაშვილი უხერხულად წამოხტა. პაპიდა მიურიელმა სკამი ღონივრად გამოსწია და დოჯსა და ჰარის შორის დაებერტყა.

– კიდევ გამარჯობა, ბარი ხარ თუ ვინცა ხარ, – უთხრა ჰარის, – აბა, რას ამბობდი რიტა სკიტერზე, ელფიას? იცი, რომ დამბლდორის ბიოგრაფია დაწერა? ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ. არ დამავიწყდეს, „ფლორიშ ენდ ბლოტსს“ უნდა შევუკვეთო!

დოჯმა მკაცრი და პირქუში მზერით უპასუხა, მაგრამ პაპიდა მიურიელმა ჭიქა დაცალა და იქვე ჩავლილ ოფიციანტს თითების გატკაცუნებით ანიშნა, შემივსეო. მერე დაასლოკინა და თქვა:

– რა ბაყაყების ფიტულებივით მომშტერებიხართ! სანამ ალბუსი დიდად პატივსაცემი, პატივცემული და მისთანა გახდებოდა, სწორედაც რომ სასაცილო ჭორები დადიოდა მასზე!

– ბოროტი ლაყბობაა, – ბოლოკივით გაწითლდა დოჯი.

– მაგას შენ ამბობ, ელფიას? – ჩაიკაკანა პაპიდა მიურიელმა, – შენ არ იყავი, შენს ნეკროლოგში უსიამოვნო ადგილები რომ მიაფუჩეჩე?!

– ძალიან ცუდია, თუ ასე გგონია, – უფრო ცივად უთხრა დოჯმა, – გარწმუნებ, სულითა და გულით დავწერე.

– დამბლდორზე რომ გიჟდები, ვინ არ იცის! ალბათ, მაშინაც

Scanned by CamScanner

წმინდანი გეგონება, თუკი გაირკვა, რომ თავის სქვიბ დას სული გააფრთხობინა!

– მიურიელ! – დოჯს ფერი დაეკარგა.

ჰარის გულში სიცივე შეეპარა, რაც ყინულიანი შამპანურის ბრალი ნამდვილად არ იყო.

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა მიურიელს, – სქვიბი და ჰყავდა? მე მეგონა, ავადმყოფი იყო.

– ჰოდა, არასწორად გცოდნია, ბარი! – თქვა თავისი სიტყვების ეფექტით კმაყოფილმა მიურიელმა, – ანდა, საიდან უნდა გცოდნოდა! შენ დაბადებულიც არ იყავი, ეგ ამბავი რომ მოხდა, ჩემო კარგო. შენ კი არა, ჩვენც, იმდროინდელებმაც არ ვიცოდით, სინამდვილეში რა მოხდა. ჰოდა, ახლა მაინტერესებს, რა გამოჩხრიკა სკიტერმა! დამბლდორს კრინტი არასოდეს დაუძრავს თავის დაზე!

– სიცრუეა! – დაიხრიალა დოჯმა, – სრული სიცრუეა!

– ჩემთან არ უთქვამს, რომ სქვიბი და ჰყავდა, – წამოსცდა ჰარის. ჯერაც სიცივე უვლიდა ტანში.

– ვითომ, შენთან რატომ უნდა ეთქვა? – დაიწიკვინა მიურიელმა, სკამზე ოდნავ შემობრუნდა და შეეცადა, ჰარის დაჰკვირვებოდა.

– მე მგონი, თავისთავად ცხადია, რატომაც არ ახსენებდა ალბუსი არიანას, – დაიწყო ელფიასმა და გრძნობამორეულს ხმა გაებზარა, – ისე გაანადგურა მისმა სიკვდილმა, რომ...

– და რატომ არავის არ უნახავს ის გოგონა, ელფიას? – არ ცხრებოდა მიურიელი, – ჯადოქართა ნახევარს მისი არსებობის შესახებაც კი რატომ არ გვსმენოდა მანამ, სანამ სახლიდან კუბოთი არ გამოასვენეს და არ დაასაფლავეს? მაშინ სად იყო ნეტარი ალბუსი, როცა არიანა სარდაფში ჰყავდათ ჩაკეტილი? სად იყო და – ჰოგვორტსში, ბრწყინვალე სტუდენტი ბრძანდებოდა და არ აინტერესებდა, მის საკუთარ სახლში რა ხდებოდა!

– როგორ თუ სარდაფში? – ჰკითხა ჰარიმ, – ეგ რას ნიშნავს?

სასოწარკვეთილი დოჯი უკვე ადგილს ვერ პოულობდა და სკამზე წრიალებდა. პაპიდა მიურიელმა ერთხელაც ჩაიკაკანა და ჰარის უპასუხა:

– დამბლდორის დედა საშინელი ქალი იყო, საზარელი; მაგლური წარმოშობისა. თუმცა, ყური მომიკრავს, წმინდასისხლიანად მოჰქონდა თავიო...

– სულაც არ მოჰქონდა თავი. კენდრა მშვენიერი ქალი იყო, – საცოდავად წაიდუდუნა დოჯმა, მაგრამ პაპიდა მიურიელმა ყური არ ათხოვა.

– ამპარტავანი და დესპოტი. სქვიბის გაჩენას სიკვდილი ერჩივნა...

Scanned by CamScanner

– არიანა სქვიბი არ იყო! – ისევ გაიბრძოლა დოჯმა.

– კარგი, ვთქვათ, დაგიჯერე, ელფიას. მაშ, ამიხსენი, ჰოგვორტსში რატომ არ სწავლობდა? – ჰკითხა პაპიდა მიურიელმა და ისევ ჰარის მიუბრუნდა: – ჩვენს დროში სქვიბებს ხშირად არც კი ახსენებდნენ ხოლმე, მაგრამ იქამდე არავინ მისულა, რომ პატარა გოგო შინ გამოეკეტათ, ვითომც არ ჰყოლიათ...

– გეუბნები, ასე არ იყო-მეთქი! – თქვა დოჯმა, მაგრამ პაპიდა მიურიელი თავისას აგრძელებდა:

– სქვიბებს მაგლურ სკოლებში გზავნიდნენ და ხელს უწყობდნენ მაგლებთან დაფუძნებაში... ასე ჯობდა: ჯადოქართა შორის მუდამ დაჩაგრულები იქნებოდნენ. თუმცა, კენდრა დამბლდორს როგორ ეკადრებოდა, რომ ქალიშვილი მაგლურ სკოლაში გაეშვა...

– არიანა ავადმყოფობდა! – სასოწარკვეთით შეეპასუხა დოჯი, – ისეთი სუსტი იყო, რომ...

– რომ სკოლაში ვერ გაუშვებდნენ? – გაკაპასდა მიურიელი, – მაშ, რატომ არც წმინდა მუნგოს კლინიკაში წაუყვანიათ ოდესმე და არც მკურნალი მოუწვევიათ?

– მურიელ, აბა, საიდან იცი...

– სხვათა შორის, ელფიას, იმ ხანებში ჩემი ბიძაშვილი ლანსელოტი წმინდა მუნგოს კლინიკის მკურნალი იყო და საიდუმლოდ მითხრა, არიანა ჩვენთან არასოდეს მოუყვანიათო. და, სხვათა შორის, ეს ძალიან საეჭვოდაც ეჩვენებოდა!

დოჯს ეტყობოდა, ტირილს ძლივს იკავებდა. დიდად კმაყოფილმა პაპიდა მიურიელმა ერთხელაც გაატკაცუნა თითები და შამპანური მოითხოვა. დამუნჯებულ ჰარის გაახსენდა, როგორ ჩაკეტეს ერთხელ დერსლებმა, არავის ნახვის უფლებას არ აძლევდნენ და ტუსაღივით ექცეოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯადოქარი იყო. ნუთუ დამბლდორის დაც ასე იტანჯებოდა, ოღონდ – პირიქით: ჩაკეტეს, რადგან ჯადოქრობის ნიჭი აკლდა? ნუთუ მართლა ბედის ანაბარად ჰყავდა დამბლდორს მიტოვებული, სანამ თვითონ ჰოგვორტსში სწავლობდა და თავისი ბრწყინვალებისა და ნიჭიერების დამტკიცებას ცდილობდა?

– ისე, ჯერ რომ კენდრა არ მომკვდარიყო, – განაგრძო მიურიელმა, – ვიფიქრებდი, მან გააფრთხობინა სული არიანას-მეთქი...

– მაგას როგორ ამბობ, მიურიელ! – ამოიგმინა დოჯმა, – დედა საკუთარ შვილს მოკლავდა? დაფიქრდი, რას ამბობ!

– თუ დედას ის შეეძლო, რომ შვილი წლობით დატუსაღებული ჰყოლოდა, რატომაც არა? – მხრები აიჩეჩა პაპიდა მიურიელმა, – მაგრამ ხომ ვამბობ, არ გამოდის-მეთქი, იმიტომ რომ კენდრა

Scanned by CamScanner

არიანაზე ადრე მოკვდა, ოღონდ რისგან – დანამდვილებით არავინ იცის...

მიურიელი წამით ჩაფიქრდა და მერე ბრძნული იერით განაგრძო:

– ისე, შეიძლება, არიანამ ტყვეობიდან გათავისუფლება სცადა და ჩხუბში კენდრა შემოაკვდა... რამდენიც გინდა, იმდენი იქნიე თავი, ელფიას. არიანას დაკრძალვაზე ხომ იყავი?

– ვიყავი, – თქვა ტუჩებაკანკალებულმა დოჯმა, – და ამაზე სევდიანი მოვლენა არც მახსოვს. ალბუსი გულგატეხილი იყო...

– მარტო გულგატეხილი? შუა დაკრძალვაში აბერფორტმა ცხვირიც ხომ გაუტეხა?

დოჯი აქამდეც ხომ შეძრწუნებული იყო და ახლა სულ წახდა. მიურიელმა მთლად მოუღო ბოლო, თვითონ კი ხმამაღლა ჩაიკრუხუნა და შამპანურის იმხელა ყლუპი მოსვა, რომ ნიკაპზე ჩამოეწუწა.

– შენ საიდან... – ამოიკვნესა დოჯმა.

– დედაჩემი და ბებრუხანა ბათილდა ბეგშოთი მეგობრობდნენ, – მხიარულად მიუგო პაპიდა მიურიელმა, – როცა ბათილდა ამ ამბავს დედაჩემს უამბობდა, მე კარზე ვაყურადებდი. მოკლედ, კუბოსთან სკანდალი გამართულა. აბერფორტმა თურმე ალბუსს უყვირა, არიანას სიკვდილი შენი ბრალიაო და სახეში სთხლიშა. ბათილდას თუ დავუჯერებთ, ალბუსს თავი არ დაუცავს. ეს კი ძალიან უცნაურია, იმიტომ, რომ ალბუსი ზურგზე ხელებგაკრულიც კი გააცამტვერებდა აბერფორტს.

მიურიელმა ისევ მოსვა დიდი ყლუპი შამპანური. ძველ სკანდალებზე საუბარი მას იმდენად ახალისებდა, რამდენადაც დოჯს აძრწუნებდა. ჰარიმ აღარ იცოდა, რომელი დაეჯერებინა. სიმართლის გაგება უნდოდა, დოჯი კი იმასლა კიკინებდა საცოდავად, არიანა ავად იყოო. ჰარის არ სჯეროდა, რომ დამბლდორი არ ჩაერეოდა, თუკი მის ოჯახში ასეთი სისასტიკე ხდებოდა. არა, ამ ამბავში უეჭველად იყო რაღაც უცნაური.

– იცი, რას ვფიქრობ? – მიურიელმა ჭიქა დაცალა და დაასლოკინა, – მე მგონი, რიტა სკიტერთან სწორედ ბათილდამ წამოაყრანტალა ეს ამბავი. სკიტერი ინტერვიუში ამბობს, დამბლდორებთან დაახლოებულ მნიშვნელოვან ინფორმატორს მივაგენიო. ჰოდა, ბათილდა სულ იქ არ იყო, როცა არიანას ამბავი ხდებოდა? მაშ, სხვას ვის უნდა გულისხმობდეს!

– ბათილდა არასოდეს მისცემდა ინტერვიუს რიტა სკიტერს! – წაიჩურჩულა დოჯმა.

– ბათილდა ბეგშოთი? – იკითხა ჰარიმ, – „მაგიის ისტორიის" ავტორი?

Scanned by CamScanner

ეს ის სახელმძღვანელო იყო, რომლის კითხვითაც ჰარის მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი.

– დიახ, – მიუგო დოჯმა და ისე ჩაებღაუჭა ჰარის შეკითხვას, როგორც წყალწაღებული – ხავსს, – უაღრესად ნიჭიერი მაგიის ისტორიკოსია, ალბუსის ძველი მეგობარი.

– ყური მოვკარი, მთლად გამოჩერჩეტდაო, – მხიარულად თქვა მიურიელმა.

– თუ ეგრეა, სირცხვილი სკიტერს, რომ მაგით უსარგებლია, – თქვა დოჯმა, – მაშ, ბათილდას ნათქვამი არ დაიჯერება!

– რას ამბობ! მოგონებების დაბრუნების საშუალებებიც ხომ არსებობს, რაც, დარწმუნებული ვარ, რიტას მშვენივრად ეცოდინება, – არ შეეპუა პაპიდა მიურიელი, – ბათილდა მთლადაც რომ გამოსულელებულიყო, ძველი სურათები ხომ მაინც ექნება. შეიძლება, წერილებიც ჰქონდეს შენახული. დამბლდორებს წლების მანძილზე იცნობდა... ისე, ურიგო არ იქნებოდა გოდრიკ ჰოლოუში წასვლა...

ჰარის ბურბურახი გადასცდა და ხველა აუტყდა. დოჯმა მხარზე დაჰკრა ხელი. ჰარი ხველისგან აცრემლებული თვალებით მიაჩერდა პაპიდა მიურიელს. როცა ხმის ამოღება შეძლო, ჰკითხა:

– ბათილდა ბეგშოთი გოდრიკ ჰოლოუში ცხოვრობს?

– ჰო, ასი წელია. დამბლდორები იქ პერსივალის დაპატიმრების შემდეგ გადავიდნენ და მის მეზობლად დასახლდნენ.

– დამბლდორებიც გოდრიკ ჰოლოუში ცხოვრობდნენ?

– ჰო, ბარი, რა გაგიკვირდა? – გაღიზიანდა პაპიდა მიურიელი.

ჰარი გამოფიტულ-გამოცარიელებული იჯდა. ექვსი წლის მანძილზე დამბლდორს სიტყვა არ დასცდენია, რომ თურმე ისიც გოდრიკ ჰოლოუში გაიზარდა. რატომ? ნუთუ ლილი და ჯეიმსი დამბლდორის დედისა და დის ახლოს არიან დაკრძალულები? ნუთუ როცა დამბლდორი მათ საფლავზე გადიოდა ხოლმე, ლილისა და ჯეიმსის საფლავებსაც ჩაუვლიდა? არადა, ერთხელაც არ უხსენებია... ერთხელაც არ შეუწუხებია თავი...

ჰარის ვერ გაეგო, რატომ ანიჭებდა ამას მნიშვნელობას. მხოლოდ ერთს გრძნობდა: ტყუილის ტოლფასი იყო იმის უთქმელობა, რომ თურმე ერთ სოფელში ცხოვრობდნენ და ერთნაირი გასაჭირი გადაიტანეს. გაშტერებული იჯდა და ვერ ამჩნევდა, რა ხდებოდა გარშემო. ვერც ის შეამჩნია, როგორ გაარღვია ხალხის ტალღა ჰერმიონმა, მივიდა, სკამი გამოსწია და გვერდით მიუჯდა.

– სად შემიძლია ამდენი ცეკვა! – ამოიქოშინა გულამოვარდნილმა, ცალი ფეხსაცმელი წაიძრო და ფეხისგულზე ხელი მოისვა, – რონი ბურბურახის მოსატანად წავიდა. უცნაურია. ამ წუთში დავინახე, რა

Scanned by CamScanner

გაცეცხლებული გაეცალა ვიქტორი ლუნას მამას. მგონი, რაღაცაზე შელაპარაკდნენ... – უცებ გაჩუმდა და ჰარის მიაშტერდა, – ჰარი, რა მოხდა?

ჰარიმ არ იცოდა, საიდან დაეწყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: საცეკვაო მოედანზე განცვიფრებული მოცეკვავეების შუაგულში მოხდენილი, დიდი, ვერცხლისფრად მოელვარე ფოცხვერი დაეშვა. ყველა მისკენ შეტრიალდა. პატრონუსმა ფართოდ დააღო პირი და კინგსლი შეკლბოლტის მჭექარე, ბოხი ხმით წარმოთქვა:

– სამინისტრო დაეცა. სკრიმჯერი მოკლეს. აქეთ მოდიან.

Scanned by CamScanner

თავი მეცხრე

თავშესაფარი

თითქოს ყველაფერი შენელდა და ბურუსმა მოიცვა. ჰარი და ჰერმიონი წამოხტნენ და ჯოხები მოიმარჯვეს. ბევრი ახლაღა მიხვდა, რომ უცნაური რამ მოხდა და ჯერაც იქით იყურებოდნენ, სადაც ვერცხლისფერი ფოცხვერი გაქრა. პატრონუსის დაშვების ადგილიდან ცივ ტალღებად გაიშალა სიჩუმე. მერე ვიღაცამ იკივლა.

ჰარი და ჰერმიონი შეძრწუნებულ ხალხს შეერივნენ. სტუმრები აქეთ-იქით გარბოდნენ, ზოგი აპარაციას იყენებდა; „ბუნაგის" გარშემო დამცავი შელოცვების გავლენა შესუსტდა.

– რონ! – ყვიროდა ჰერმიონი, – რონ, სადა ხარ?

სანამ საცეკვაო მოედანზე გზას მიიკვლევდნენ, ჰარიმ შეამჩნია, როგორ შეერივნენ ხალხს მოსასხამში გახვეული ნიღბოსნები; მერე ჯოხებმომარჯვებული ლუპინი და ტონქსი დაინახა, ორივემ ერთად იყვირა: „პროტეგო!" და ამ ძახილს ყველა მხრიდან გამოეხმაურა ექო.

– რონ! რონ! – თითქმის ქვითინებდა ჰერმიონი. ის და ჰარი დამფრთხალ სტუმრებს შორის მიიკვლევდნენ გზას. ჰარიმ ხელი ჩაავლო, რომ არ დაჰკარგვოდა. მათ ზემოთ სინათლის ზოლმა გადაიქროლა, ჰარი ვერც მიხვდა, დამცავი შელოცვა იყო თუ რაიმე უფრო საშინელი.

რონიც გამოჩნდა, ჰერმიონს მეორე ხელში ჩაავლო ხელი და ჰარიმ იგრძნო, როგორ დატრიალდა ჰერმიონი ადგილზე; გამოსახულება და ხმა სიბნელეში ჩაინთქა. ჰარი მარტო ჰერმიონის ხელს გრძნობდა; სივრცე და დრო ისრუტავდა და ელვისებურად აშორებდა „ბუნაგს", ციდან დაშვებულ სიკვდილის მხვრელებს და, ვინ იცის, ვოლდემორსაც.

– სადა ვართ? – გაისმა რონის ხმა.

ჰარიმ თვალი გაახილა. წამით იფიქრა, ისევ ქორწილში ვარო, რადგან გარშემო კვლავ ხალხი ირეოდა.

Scanned by CamScanner

– ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე, – ამოიქოშინა ჰერმიონმა, – იარეთ, სადმე უნდა გადაიცვათ.

ჰარი დაემორჩილა და სამივენი თითქმის სირბილით გაუყვნენ ღამის მოქეიფეებით სავსე ფართო ქუჩას, რომლის ორივე მხარეს დაკეტილი მაღაზიები ჩარიგებულიყო. თავზე ვარსკვლავები დასციმციმებდათ. გვერდით ორსართულიანმა ავტობუსმა ჩაიგრუხუნა. მხიარულმა ლოთებმა სამივეს თვალი გააყოლეს; ჰარისა და რონს ჯერაც საზეიმო მანტიები ეცვათ.

– ჰერმიონ, კი მაგრამ, რა ჩავიცვათ? – ჰკითხა რონმა, როცა მის დანახვაზე ვიღაც ახალგაზრდა ქალი სიცილით კინაღამ დაიხრჩო.

– უჩინმაჩინის მოსასხამი მაინც მქონდეს, – დანანებით თქვა ჰარიმ, თან გულში თავის სიბრიყვეს სწყევლიდა, – შარშან სულ თან დამქონდა და...

– დაწყნარდი, მოსასხამიც აქ მაქვს და თქვენი ტანსაცმელიც, – უთხრა ჰერმიონმა, – თქვენ მხოლოდ ბუნებრივად მოიქეცით, სანამ... აი, აქ შევიდეთ.

მეგობრებმა ჩაბნელებულ შესახვევს შეაფარეს თავი.

– ამბობ, მოსასხამი და ტანსაცმელი აქა მაქვსო... – შუბლშეჭმუხნილმა ჰარიმ მძივებით გაწყობილი ხელჩანთის ამარა მომავალ ჰერმიონს შეხედა. ჰერმიონი ახლა სწორედ ამ ჩანთაში იქექებოდა.

– ჰო, აქა მაქვს, – ჰერმიონმა პირდაღებული ჰარისა და რონის თვალწინ ჯერ ორი ჯინსი და მოყავისფრო წინდები, მერე კი ვერცხლისფერი უჩინმაჩინის მოსასხამიც ამოაძვრინა ხელჩანთიდან.

– ეს რა ჯანდაბაა?

– უხილავი გაწელვის შელოცვაა, ჯ– თქვა ჰერმიონმა, – ძნელია, მაგრამ მგონი სწორად გავაკეთე; ყოველ შემთხვევაში, რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი ჩავტიე, – მერე პატარა ჩანთა ოდნავ შეარხია და იქიდან ისეთი ბრაგვანი გაისმა, თითქოს შიგ მძიმე საგნები ყრიაო, – წიგნები იქნება, ეტყობა აირია, – ჩაიჭყიტა ჰერმიონმა, – არადა, თემების მიხედვით მქონდა დალაგებული... არა უშავს... ჰარი, გამომართვი უჩინმაჩინის მოსასხამი. რონ, ცოტა სწრაფად გამოიცვალე...

– როდის მოასწარი? – ჰკითხა ჰარიმ, სანამ რონი მანტიას იხდიდა.

– „ბუნაგში“ ხომ გითხარი, რამდენიმე დღეა, ბარგი ჩალაგებული მაქვს-მეთქი. ვაი და, უცებ დაგვჭირვებოდა წამოსვლა! შენი ზურგჩანთა ამ დილით ჩავალაგე, ჰარი, მას მერე, რაც ტანსაცმელი გამოიცვალე. ისიც აქ მაქვს. ვიფიქრე...

– მართლა საოცარი ხარ, – უთხრა რონმა და დახვეული მანტია მიაწოდა.

Scanned by CamScanner

– გმადლობ, – ღიმილი მოერია ჰერმიონს და რონის მანტია ჩანთაში ჩატენა, – მალე, ჰარი, მოისხი მოსასხამი!

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხა და გაუჩინარდა. ახლაღა გააცნობიერა, რაც მოხდა.

– დანარჩენები... ყველანი ქორწილში არიან...

– მაგაზე ახლა ვერ ვიდარდებთ, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, – ისინი ხომ შენ გეძებენ, ჰარი, და უკან რომ დავბრუნდეთ, ყველას დიდ ხიფათში გავხვევთ.

– მართალს ამბობს, – თქვა რონმა, რადგან თითქოს სახის დაუნახავადაც მიხვდა, რომ ჰარი შეპასუხებას აპირებდა, – ლამის მთელი ორდენი იქ იყო, ყველას მოუვლიან.

ჰარიმ თავი დაუქნია, მერე გაახსენდა, რომ ვერ ხედავდნენ და, – ჰოო, – წაიბუტბუტა, მაგრამ უცებ ჯინი მოაგონდა და შიშისგან მუცელი აუბუყბუყდა.

– მგონი, ჯობია, წავიდეთ, – თქვა ჰერმიონმა.

მთავარ ქუჩაზე დაბრუნდნენ. მოპირდაპირე ტროტუარზე მთვრალები მღეროდნენ და აქეთ-იქით ირწეოდნენ.

– ისე, რაღა მაინცდამაინც ტოტენჰემ-ქორთ-როუდი? – ჰკითხა რონმა ჰერმიონს.

– წარმოდგენა არა მაქვს. უბრალოდ, პირველი ეგ მომივიდა თავში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაგლებს შორის ნაკლებ სახიფათოა, აქ ხომ არ დაგვიწყებენ ძებნას.

– მართალია, – თქვა რონმა და მიიხედ-მოიხედა, – მაგრამ ცოტა გამომწვევად ხომ არ გამოვიყურებით?

– მაშ, სად წავიდეთ? – ჰკითხა ჰერმიონმა და მოიბუზა, რადგან ქუჩის მეორე მხარეს ვიღაც კაცმა მის დანახვაზე დაუსტვინა, – „გახვრეტილ კარდალაში“ ხომ ვერ ვიქირავებთ ნომრებს? გრიმოს მოედანიც გამორიცხულია, რადგან სნეიპს იქ მისვლა შეუძლია... იქნებ ჩემს სახლში მივსულიყავით, თუმცა შეიძლება იქაურობაც შეამოწმონ... ოჰ, გაჩუმდნენ მაინც!

– ლამაზო! – უყვიროდა მთვრალი მოპირდაპირე ტროტუარიდან, – წამო, დავლიოთ! მოიშორე ეგ თავწითელა და გადავკრათ!

– სადმე დავსხდეთ, – სწრაფად თქვა ჰერმიონმა, როცა რონმა პირი დააღო და პასუხის გაცემა დააპირა, – აი, აქ შევიდეთ!

პატარა, ბინძური სადღეღამისო კაფე იყო. პლასტიკატგადაკრულ მაგიდებს ცხიმის თხელი ფენა გადაგლესოდა, სამაგიეროდ, იქაურობა ცარიელი იყო. ჰარი პირველი შეძვრა და მაგიდას მიუჯდა, რონი მის გვერდით დაჯდა, ჰერმიონის პირდაპირ, რომელიც კართან ზურგით მოხვდა და ძალიან წუხდა: წარამარა უკან იხედებოდა. ჰარი

Scanned by CamScanner

ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ერჩივნა, უგზო-უკვლოდ ეხეტიალათ, ასე თითქოს რაღაც მიზანი ექნებოდათ. მოსასხამის ქვეშ გრძნობდა, რომ მრავალწვნიანი სასმელის ზემოქმედება საბოლოოდ შესუსტდა და ხელები ჩვეულებრივი ზომისა და ფორმისა გაუხდა. ჯიბიდან სათვალე ამოაძვრინა და გაიკეთა.

ორიოდე წუთში რონმა თქვა:

– იცით, რა? „გახვრეტილი კარდალიდან" შორს არა ვართ. ჩარინგ ქროსამდე რომ მიგვიყვანა...

– ვერა, რონ, – მაშინვე უთხრა ჰერმიონმა.

– იქ კი ნუ დავრჩებით, გავიგოთ, რა ხდება!

– ხომ ვიცით, რაც ხდება. ვოლდემორმა სამინისტრო ხელში ჩაიგდო, სხვას რას გავიგებთ?

– კარგი, კარგი, ისე ვთქვი.

კვლავ დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ოფიციანტი საღეჭი რეზინის ღრაჭუნით მოფრატუნდა და ჰერმიონმა ორი კაპუჩინო შეუკვეთა. ჰარი უჩინარი იყო, ამიტომ მესამე ყავის შეკვეთა უცნაური იქნებოდა. კაფეში ორი ზორბა მუშა შემოვიდა და მეზობელ მაგიდას მიუჯდა. ჰერმიონი ჩურჩულზე გადავიდა:

– მოდი, წყნარი ადგილი ვიპოვოთ, აპარაცია მოვახდინოთ და ქალაქგარეთ გავიდეთ. იქიდან უკვე შეგვეძლება, ორდენს მივაწვდინოთ ხმა.

– მოლაპარაკე პატრონუსის შექმნა შეგიძლია? – ჰკითხა რონმა.

– ვივარჯიშე და, მგონი, კი, – მიუგო ჰერმიონმა.

– კარგი, თუ მაგით არაფერს დავუშავებთ; თუმცა, შეიძლება უკვე დაპატიმრებულებიც არიან, – მერე ქაფიანი, მონაცრისფრო ყავა მოსვა და დაიჭყანა: – ფუ, რა საზიზღრობაა!

ოფიციანტმა გაიგონა, რონს შეუბღვირა და ახალმოსულებთან მიფრატუნდა შეკვეთის მისაღებად. იმ ორი მუშიდან უფრო ზორბამ, ქერა მუტრუკმა, ხელი აუქნია. ოფიციანტი წყენით მიაშტერდა.

– წავიდეთ, აღარ მინდა ამ ნარეცხის სმა, – თქვა რონმა, – ჰერმიონ, მაგლური ფული გაქვს, რომ გადავიხადოთ?

– ჰო, „ბუნაგში" წამოსვლამდე ჩემი მარაგიდან მთლიანად გამოვიტანე ფული. აუ, ხურდას რა იპოვის, დაგენაძლევებით, ფსკერზე იქნება ჩაცვენილი, – ამოიოხრა ჰერმიონმა და მძივებით დაქარგულ ჩანთაში ჩაყო ხელი.

უეცრად ორივე მუშამ ერთნაირი ჟესტი გააკეთა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რასაც აპირებდნენ და თვითონაც ინსტინქტურად ჯოხი დააძრო. რონიც უცებ მოეგო გონს, მაგიდაზე გადაწვა და ჰერმიონი სკამიდან მაგიდის ქვეშ შეაგდო თუ არა, სიკვდილის მხვრელების

Scanned by CamScanner

ნასროლმა წყევლამ ფილებით დაფარული კედელი ზუსტად იქ გაანგრია, სადაც წამის წინ რონის თავი იყო. იმავე წამს ჯერაც უხილავმა ჰარიმ შეჰყვირა:

– გაშეშდი!

ზორბა, ქერა სიკვდილის მხვრელს წითელი შუქი სახეში ეტაკა და გააშეშა. მისი თანამგზავრი ვერ მიხვდა, ვინ სტყორცნა შელოცვა და ერთხელაც ესროლა რონს. მისი ჯოხის წვერიდან მოელვარე შავი თოკები გამოფრინდა და რონი თავიდან ფეხამდე შებოჭა. ოფიციანტმა შეჰკივლა და კარისკენ გაიქცა. ჰარიმ გაშეშების კიდევ ერთი შელოცვა სტყორცნა რონის შემბოჭავ მრუდესახიან სიკვდილის მხვრელსაც, მაგრამ შელოცვა ასცდა, ფანჯრის მინამ აისხლიტა და ოფიციანტს მოხვდა. ოფიციანტი კართან დაეხეთქა.

– ექსპულსო! – დაიღრიალა სიკვდილის მხვრელმა და ის მაგიდა, რომლის უკანაც ჰარი იდგა, აფეთქდა. აფეთქების ძალამ ჰარი კედელს მიახეთქა. ჯოხი ხელიდან გაუვარდა. მოსასხამი გადაუცურდა.

– პეტრიფიკუს ტოტალუს! – იკივლა ჰერმიონმა მაგიდის ქვემოდან. სიკვდილის მხვრელი ქანდაკებასავით გადაქანდა და ბრახუნით დაეცა დამსხვრეული ფაიფურის, მაგიდისა და ყავის ნარევში. ჰერმიონი გამოძვრა და თმიდან მინის საფერფლის ნამსხვრევები ჩამოიბერტყა.

– დდ-დიფინდო! – თქვა ერთიანად აკანკალებულმა და ჯოხი რონს მიუშვირა. რონმა ტკივილისაგან იბღავლა, რადგან ჰერმიონმა თოკების ნაცვლად ჯინსი გადაუხსნა და მუხლზე ღრმა ჭრილობა მიაყენა, – უი, ბოდიში, რონ, ხელი ამიკანკალდა. დიფინდო!

თოკები დაიჭრა და დაცვივდა. რონი წამოდგა და დაბუჟებული ხელები დაიქნია. ჰარიმ ჯოხი აიღო, ნამსხვრევებზე გადაიარა და გრძელ სკამთან მივიდა, სადაც ზორბა, ქერა სიკვდილის მხვრელი გაშხლართულიყო.

– როგორ ვერ ვიცანი! დამბლდორის სიკვდილის ღამეს იქ იყო, – თქვა და შავგვრემანი სიკვდილის მხვრელი ფეხის წვერით გადააბრუნა; იგი თვალებს აცეცებდა და ხან ჰარის უყურებდა, ხან – რონსა და ხან – ჰერმიონს.

– დოლოხოვია, – თქვა რონმა, – ძველი პლაკატებიდან ვიცანი, როცა აზკაბანიდან გაქცეულს დაეძებდნენ. ის დიდი, მგონი, თორფინ როულია.

– რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვიათ! – ისტერიკულად თქვა ჰერმიონმა, – როგორ გვიპოვეს? რა ვქნათ?

მისმა პანიკამ ჰარის როგორღაც გონება გაუნათა.

Scanned by CamScanner

– კარი ჩაკეტე, – უთხრა გოგონას, – შენ კი სინათლე ჩააქრე, რონ.

დადამბლავებულ დოლოხოვს დააცქერდა და სანამ კარის საკეტი დაიჩხაკუნებდა, ხოლო რონი საქრობელათი კაფეს ჩააბნელებდა, შეეცადა, აზრი მოეკრიბა. შორიდან იმ ლოთების ხმა ისმოდა, წეღან რომ ჰერმიონს ეხუმრებოდნენ; ახლა სხვა გოგოს გასძახოდნენ.

– ამათ რა ვუყოთ? – სიბნელეში წასჩურჩულა რონმა, – დავხოცოთ? თვითონ უყოყმანოდ დაგვხოცავდნენ. ცდა არ დაუკლიათ.

ჰერმიონს გააკანკალა და უკან დაიხია. ჰარიმ თავი გაიქნია:

– მეხსიერება შევუცვალოთ და ეგ იქნება, – თქვა, – ასე სჯობს, კვალს დაკარგავენ. თუ მოვკლავთ, ყველა მიხვდება, რომ აქ ვიყავით.

– როგორც იტყვი, – გულზე მოეშვა რონს, – მაგრამ მეხსიერების შეცვლის შელოცვა არასოდეს მიცდია. შენ, ჰერმიონ?

– არც მე, – თქვა ჰერმიონმა, – მაგრამ თეორიულად ვიცი. ვცდი...

ჰერმიონმა ღრმად ამოისუნთქა, ჯოხი დოლოხოვის შუბლს დაუმიზნა და თქვა:

– ობლივიატე.

დოლოხოვს მაშინვე თვალები დაებინდა და უაზრო გამომეტყველება მიიღო.

– მშვენიერია! – თქვა ჰარიმ და ზურგზე დაჰკრა ხელი, – მეორესა და ოფიციანტსაც მიხედე. ამასობაში მე და რონი აქაურობას მივალაგებთ.

– მივალაგებთო? – რონმა ნახევრად დანგრეული კაფე მოათვალიერა, – რატომ?

– შენი აზრით, რას იფიქრებენ, როცა გაიღვიძებენ და აქაურობა დაბომბილს ემსგავსება?

– ჰო, მართალი ხარ...

რონმა ძლივს ამოაძვრინა ჯოხი ჯიბიდან და დაიწუწუნა:

– ჰერმიონ, ძველი ჯინსი ჩაგიდია, ძალიან ვიწრო მაქვს.

– ოჰ, ეს რა მომსვლია! – წაისისინა ჰერმიონმა და ჰარის მოესმა, ჩურჩულით როგორ ურჩია რონს, სად აჯობებდა ჯოხის გარჭობა.

როცა კაფეს პირვანდელი იერი დაუბრუნეს, სიკვდილის მხვრელები ისევ თავიანთ მაგიდასთან მიათრიეს და ერთმანეთის პირისპირ დასვეს.

– კი მაგრამ, როგორ მოგვაგნეს? – ვერ ისვენებდა ჰერმიონი და ხან ერთ სიკვდილის მხვრელს უყურებდა, ხან – მეორეს, – როგორ მიხვდნენ, რომ აქ ვიყავით?

მერე ჰარის მიუბრუნდა:

– ნეტავ, ისევ ხომ არ გადევს კვალის ჯადო, ჰარი?

– არა მგონია, – თქვა რონმა, – მაგ ჯადოს მოქმედება მაშინვე

Scanned by CamScanner

ქრება, როგორც კი ჩვიდმეტი წლისა შესრულდები. ეს კანონია. ზრდასრულ ჯადოქარს კვალის ჯადოს ვერ დაადებ.

– ჰო, ვიცი, – მიუგო ჰერმიონმა, – მაგრამ იქნებ სიკვდილის მხვრელებმა ეს მაინც მოახერხეს?

– მაგრამ ჰარი ხომ ბოლო დღე-ღამეა, სიკვდილის მხვრელის ახლოს არ ყოფილა, ვის უნდა დაედო ჯადო?

ჰერმიონმა ხმა არ გასცა. ჰარის საზიზღარი შეგრძნება გაუჩნდა, ნუთუ მართლა ისევ ადევს კვალის ჯადო და სწორედ ამიტომ მოაგნეს სიკვდილის მხვრელებმა?

– თუ მე ვერ ვიჯადოქრებ, ჩემ გვერდით ვერც თქვენ მოახერხებთ ამას ისე, რომ ვერ გაიგონ, სადაც ვართ, – დაიწყო მან.

– არ დავიშლებით! – მტკიცედ თქვა ჰერმიონმა.

– უხიფათო ადგილას უნდა წავიდეთ, – თქვა რონმა, – დრო გვჭირდება, რომ მოვიფიქროთ, რა ვიღონოთ.

– გრიმოს მოედანი, – თქვა ჰარიმ.

ორივემ პირი დააღო.

– რა სისულელეა, ჰარი! სნეიპი რომ მოვიდეს?

– ბატონმა უისლიმ თქვა, მუდიმ წყევლა დაუტოვაო. იმ წყევლამ რომც არ იმოქმედოს, – განაგრძო, რადგან ჰერმიონმა შეპასუხება დააპირა, – ეგეც არაფერი. მერლინის წვერს ვფიცავ, სნეიპთან შეხვედრაზე მეტად არაფერი მინდა!

– მაგრამ...

– ჰერმიონ, მაშ, სად წავიდეთ? მაგაზე უკეთესი ადგილი გეგულება სადმე? სნეიპს რა უშავს, ერთია! ჰოდა, თუ კვალი არ მომშორებია, სადაც გინდა წავიდეთ, ხროვა-ხროვად დაგვესხმიან თავს.

ჰერმიონს ძალიან უნდოდა, შეპასუხებოდა, მაგრამ გაჩუმება არჩია და კაფეს კარი გააღო. რონმა საქრობელა დააჩხაკუნა და იქაურობას სინათლე დაუბრუნა. მერე გონებადაბინდულ ოფიციანტსა და სიკვდილის მხვრელებს შელოცვა მოუვლინეს და სანამ ისინი გამოფხიზლდებოდნენ, თვითონ ადგილზე დატრიალდნენ და კიდევ ერთხელ გაქრნენ სიბნელეში.

რამდენიმე წამში ჰარიმ თავისუფლად ამოისუნთქა და თვალი გაახილა: ნაცნობი პატარა, უკაცრიელი მოედნის შუაში იდგნენ. ყოველი მხრიდან მაღალი, ნახევრად დანგრეული სახლები დაჰყურებდათ. თორმეტი ნომერი სახლი სამივემ დაინახა, რადგან მესაიდუმლე დამბლდორს მათთვის მისამართი გამხელილი ჰქონდა. სახლისკენ დაიძრნენ, თან ყოველ ნაბიჯზე ამოწმებდნენ, ვინმე ხომ არ მოგვდევს ან ხომ არ გვხედავსო. ქვის საფეხურები აირბინეს და ჰარიმ ჯადოსნური ჯოხით კარზე ერთხელ დააკაკუნა. გაისმა ლითონის

Scanned by CamScanner

ჩხაკუნი, რასაც ჯაჭვის წკარუნი მოჰყვა და კარი ჭრიალით გაიღო. მეგობრებმა ზღურბლს სწრაფად გადააბიჯეს.

როცა ჰარიმ კარი მიხურა, ძველებური გაზის ლამპები გამოცოცხლდა და დერეფანს მთელ სიგრძეზე მოციმციმე შუქი მოჰფინა. იქაურობა ისეთივე იყო, როგორიც ახსოვდა – ჩაჟამებული და აბლაბუდებით დაქსელილი. კედელზე დაკიდებული შინაური ელფების თავები უცნაურ ჩრდილებს ჰფენდა კიბეს. გრძელი, მუქი ფარდა სირიუსის დედის პორტრეტს ფარავდა. მხოლოდ ერთი ნივთი არ იდგა თავის ადგილზე: ტროლის ფეხის ფორმის ქოლგების ჩასაყუდებელი იატაკზე ეგდო, თითქოს ისევ ტონქსმა გადააყირავაო.

– მე მგონი, ვიღაც იყო, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა და ქოლგების ჩასაყუდებელზე ანიშნა.

– შეიძლება მაშინ გადაყირავდა, როცა ორდენის წევრები მიდიოდნენ, – ჩურჩულითვე მიუგო რონმა.

– ის წყევლა სადღაა, სნეიპის წინააღმდეგ რომ დატოვეს? – დაინტერესდა ჰარი.

– იქნებ მხოლოდ სნეიპის გამოჩენისას ამოქმედდება? – ივარაუდა რონმა.

ჯერაც ერთად იდგნენ კარისკენ ზურგშექცეულები და წინ წასვლას ვერ ბედავდნენ.

– სულ აქ ხომ არ ვიდგებით, – თქვა ბოლოს ჰარიმ და ნაბიჯი გადადგა.

– სევერუს სნეიპ? – გაისმა სიბნელიდან მრისხანეთვალა მუდის ჩურჩული და სამივე შიშით შეხტა.

– სნეიპი არა ვართ! – დაიხრიალა ჰარიმ, მაგრამ ცივი ჰაერივით რაღაცამ გადაიზუზუნა და ენა აუკეცა, ისე, რომ ლაპარაკს ვერ ახერხებდა. თუმცა, სანამ პირის ღრუს მოისინჯავდა, ენა კვლავ გაუსწორდა.

ეტყობოდა, დანარჩენებსაც ასეთივე უსიამოვნო განცდა ჰქონდათ. რონმა კინაღამ აღებინა; ჰერმიონმა ენის ბორძიკით წაილულღლულა:

– ესსს... ეტყობა... ის ჯადოა, მრისხანე...თთვალამ სსსნეიპისთვის რომ დატოვა!

ჰარიმ ერთხელაც ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. დერეფნის ბოლოს ჩრდილში რაღაც ამოძრავდა და სანამ რომელიმე ხმას ამოიღებდა, ნოხიდან მტვრისფერი, საშინელი ფიგურა ამოიზარდა; ჰერმიონმა შიშით წამოიკივლა, რასაც ფარდაგადახდილი ქალბატონი ბლექის სისხლისგამყინავი კივილი შეუერთდა. სამივე შეძრწუნებული უყურებდა, როგორ მოსრიალებდა მათკენ ნაცრისფერი ფიგურა და

Scanned by CamScanner

თანდათან სიჩქარეს უმატებდა, წელამდე ჩამოზრდილი თმა-წვერი უფრიალებდა, უხორცო სახე ჩავარდნოდა, თვალის ბუდეები ამოსცარიელებოდა. ნაცნობმა და შემზარავად შეცვლილმა ფიგურამ გაძვალტყავებული მარჯვენა ასწია და ჰარისკენ გაიშვირა.

– არა! – შეჰყვირა ჰარიმ და თუმცა ჯოხი აღმართა, ვერც ერთი შელოცვა ვერ გაიხსენა: – არა! ჩვენ არა! ჩვენ არა ვართ თქვენი მკვლელები...

„მკვლელების" ხსენებაზე ფიგურა აფეთქდა და მტვრის ღრუბელი დააყენა. ჰარიმ ხველებითა და თვალების სრესით მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ჰერმიონი კარის წინ იატაკზე მოკრუნჩხულიყო და თავზე ხელები წაევლო, ხოლო თავით ფეხამდე აკანკალებული რონი მხარზე მოუხეშავად უთათუნებდა ხელს და მის დამშვიდებას ცდილობდა:

– და-დაწყნარდი...წა-წავიდა...

მტვრის კორიანტელი ჰარის გარშემო ტრიალებდა და გაზის იისფერ სინათლეს ბურავდა, ქალბატონი ბლექი კი ისევ კიოდა:

– მუქსისხლიანებო! არამზადებო! უნამუსოებო! ბინძურო ღორებო! ჩემი წინაპრების სახლის წამბილწველებო...

– ხმა ჩაიწყვიტე! – დაუღრიალა ჰარიმ და ჯოხი მიუშვირა. ფარდა გრუხუნით დაიხურა და ქალბატონი ბლექიც გაჩუმდა.

– ეს... ეს... ის იყო... – დაიკრუსუნა ჰერმიონმა, როცა რონმა ფეხზე წამოაყენა.

– ნუ გეშინია, ნამდვილი არ იყო. სნეიპის შესაშინებლად გააკეთეს, – უთხრა ჰარიმ.

და გაიფიქრა, ნეტავი მართლა გააკეთა ამ საზარელმა ფიგურამ თავისი საქმე თუ სნეიპმა ისიც ისევე იოლად მოისროლა გვერდზე, როგორც ნამდვილი დამბლდორიო? ჯერაც ნერვებდაჭიმული წაუძღვა რონსა და ჰერმიონს დერეფანში და თან ელოდა, ან ახლა გამოჩნდება ახალი საშინელება და ან ახლაო, მაგრამ არაფერი იძვროდა, მხოლოდ თაგვი მიცუნცულებდა კედლის გასწვრივ.

– სანამ წინ წავალთ, კარგად შევამოწმოთ, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, ჯოხი ასწია და თქვა:

– ჰომენუმ რეველიო.

არაფერი მომხდარა.

– შიშის ბრალია, – მეგობრულად უთხრა რონმა, – რა უნდა მომხდარიყო?

– რაც მოხდა, ის! – მკაცრად უთხრა ჰერმიონმა, – ადამიანის გამოჩენის შელოცვა ვთქვი. რაკი არავინ გამოჩნდა, გამოდის, რომ აქ მარტო ჩვენ ვართ.

Scanned by CamScanner

– და ჩვენი ძმა მტვრიანა, – თქვა რონმა და ნოხის ნაგლეჯს დახედა, საიდანაც წელან ის ფიგურა წამოიმართა.

– ავიდეთ, – თქვა ჰერმიონმა, ისევ შიშით გახედა იმ ადგილს და მეორე სართულზე, სასტუმრო ოთახში ამავალ ჭრიალა საფეხურებს აუყვა.

ოთახში შესულმა ჯოხი გაიქნია და გაზის ძველი ლამპები აანთო. ოთახი გაყინული იყო. ჰერმიონს გააკანკალა, დივანზე მოიკეცა და ხელები მჭიდროდ შემოიხვია. რონი ფანჯარასთან მივიდა და ხავერდის მძიმე ფარდები ოდნავ გადასწია.

– არავინ არ ჩანს, – აცნობა დანარჩენებს, – ჰარის რომ ჯერაც კვალის ჯადო ედოს, აქაც გამოგვყვებოდნენ. არა, სახლში ვერ შემოვლენ, მაგრამ... რა მოხდა, ჰარი?

ჰარიმ ტკივილისაგან შეჰყვირა. გონებაში ელვასავით დაეცა რაღაც და ნაიარევი აუწვა. დიდი ჩრდილი დაინახა და იგრძნო, როგორ დაუარა მისთვის გაუგებარმა მრისხანებამ მთელ სხეულში, თითქოს დენმა დაარტყაო.

– რა დაინახე? – მისკენ წამოვიდა რონი, – ჩემ ადგილას ხომ არ იდგა?

– არა, მხოლოდ ბრაზი ვიგრძენი. გაცეცხლებულია.

– ეგ ბრაზი შეიძლება „ბუნაგს“ ეხებოდეს, – აფორიაქდა რონი, – სხვა? სხვა არაფერი დაგინახავს? ვინმე ხომ არ მოკლა?

– არა, მხოლოდ ბრაზი ვიგრძენი...

ჰარის ნაიარევის ტკივილმა ძალა მთლიანად გამოაცალა და თითქოს ეს არ ეყოფოდა, ჰერმიონმაც შიშით ჰკითხა:

– ისევ ნაიარევია? რა ხდება? მე მეგონა, ეგ კავშირი გაწყდა!

– გაწყდა, ოღონდ, ცოტა ხნით, – ჩაიდუდუნა ჰარიმ; ნაიარევი ჯერაც სწინკნიდა და აზრი ვერ მოეკრიბა, – მე მგონი, მაშინ აღდგება ხოლმე, როცა თავს ველარ ერევა, აი, როცა...

– მაგ დროს გონება უნდა გათიშო! – ცხარედ შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ჰარი, დამბლდორს სურდა, ოკლუმენციის საშუალებით კავშირი გაგეწყვიტა, თორემ ვოლდემორს შეუძლია ცრუ ხილვები მოგივლინოს. ნუთუ დაგავიწყდა...

– ჰერმიონ, მახსოვს, გმადლობ შეხსენებისთვის, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ; რა თქმა უნდა, მშვენივრად ახსოვდა, რომ ვოლდემორმა სწორედ ამ კავშირის გამოყენებით შეიტყუა ხაფანგში და სწორედ ამას ემსხვერპლა სირიუსი. იფიქრა, ნეტავ არ მეთქვა, რასაც ვხედავდი და ვგრძნობდიო. ვოლდემორი თითქოს უფრო სახიფათო გახდა, თითქოს აქ იყო და გარედან აწვებოდა ფანჯრის მინას. ნაიარევის ტკივილმა უმატა, მაგრამ უძალიანდებოდა, თითქოს ავადმყოფობას არ უტყდებაო.

Scanned by CamScanner

რონსა და ჰერმიონს ზურგი შეაქცია და ვითომ გობელენზე ამოქარგულ ბლექების ოჯახის საგვარეული ხის თვალიერებას შეუდგა. უცებ სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ვერცხლისფერი პატრონუსი შემოფრინდა, მათ წინ, იატაკზე დაეშვა, ყარყუმის ფორმა მიიღო და რონის მამის ხმით თქვა:

– ყველანი კარგად ვართ. ნუ გვიპასუხებთ, გვითვალთვალებენ.

პატრონუსი გაქრა. რონი ოხვრა-კვნესით დაენარცხა დივანზე. ჰერმიონი მიუჯდა და მკლავში ჩაეჭიდა:

– კარგად არიან, კარგად! – წასჩურჩულა და მიეფერა. რონიც მოეხვია.

– ჰარი, – გამოელაპარაკა ჰერმიონის მხარს ზემოდან, – მე...

– რას მიხსნი? – უთხრა ჰარიმ, თან ტკივილისაგან გული ერეოდა, – შენიანები არიან და, ცხადია, ღელავდი. მეც ვინერვიულებდი, – უცებ ჯინი გაახსენდა და დაამატა, – და კიდევაც ვნერვიულობ.

ნაიარევი უკვე ისე ეწვოდა, როგორც ამას წინათ – „ბუნაგის" ბაღში. ბუნდოვნად ჩაესმა ჰერმიონის ნათქვამი:

– მარტო ყოფნა არ მინდა. საძილე ტომრები მაქვს წამოღებული. ამაღამ აქ ხომ არ დავიძინოთ?

რონი დაეთანხმა. ჰარი ტკივილს ველარ უძლებდა, უნდა დანებებოდა. სააბაზანოში გავალო, წაიბუტბუტა და შეეცადა, როგორმე ნელა წასულიყო.

აკანკალებული ხელით კარი ჩაკეტა თუ არა, გასკდომამდე ატკივებულ თავზე ხელები მოიჭირა და იატაკზე დავარდა.აგონიაში მყოფმა იგრძნო, როგორ დაეუფლა მის სულს სხვისი რისხვა და მხოლოდ ბუხრის ალით განათებული გრძელი ოთახი დაინახა, სადაც ქერა, გოლიათი სიკვდილის მხვრელი იატაკზე იკლაკნებოდა და ბღაოდა. ჰარი ცივი, მაღალი, ულმობელი ხმით ალაპარაკდა:

– კიდევ გინდა, როული, თუ მოვრჩეთ და ნაგინის მივუგდო შენი თავი? ლორდ ვოლდემორს ვერ გადაუწყვეტია, ამჯერადაც გაპატიოს თუ არა... იმისთვის გამომიძახე, რომ გეთქვა, პოტერი ახლაც გამექცაო? დრაკო, ერთხელაც გააგებინე როულის, რომ მისი საქციელით უკმაყოფილო ვარ! დროზე, თორემ შენ თვითონ იგემებ ჩემს რისხვას!

შეშის ნაპობს ცეცხლი მოედო, ალი ავარდა და თეთრ, წაწვეტებულ, შეშინებულ სახეს შუქი მოეფინა. ჰარიმ თითქოს წყლის სიღრმიდან ამოყვინთა, ღრმად ამოისუნთქა და თვალი გაახილა.

შავი მარმარილოს იატაკზე იყო გართხმული და ვერცხლის დიდი აბაზანის გველის კუდის ფორმის ფეხზე მიეჭეჭყა ცხვირი. აკანკალებული წამოჯდა. მალფოის ჩამომხმარი, გაქვავებული სახე ისევ

Scanned by CamScanner

თვალწინ ედგა. გულს ურევდა ნანახი. აი, თურმე, რისთვის იყენებს დრაკოს ვოლდემორი!

კარზე ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა. ჰერმიონის ხმამ დაიწკრიალა და ჰარი შეხტა:

– ჰარი, კბილის ჯაგრისი ხომ არ გინდა? წამოღებული მაქვს.

– კი. რა კარგია, გმადლობ, – თავს ძალა დაატანა, რომ ჩვეულებრივი ხმით ელაპარაკა. მერე წამოდგა და გოგონას კარი გაუღო.

Scanned by CamScanner

თავი მეათე

კრეჩერის ნაამბობი

ჰარის მეორე დილით გამთენიისას გაეღვიძა. სასტუმრო ოთახის იატაკზე, საძილე ტომარაში იწვა. სქელი ფარდების ღრიჭოში წყალში გაზავებული მელნისფერი ცა მოჩანდა. მალე ირიჟრაჟებდა. სიჩუმეს მხოლოდ რონისა და ჰერმიონის ნელი, ღრმა სუნთქვა არღვევდა. მათი ჩრდილი იქვე, იატაკზე ეფინებოდა. რონმა თავი გამოიდო და ჰერმიონს ჩააცივდა, დივანზე დაიგე საძილე ტომარაო, ამიტომ ახლა ჰერმიონი რონზე მაღლა იწვა, ხელი იატაკზე ჰქონდა გადმოშვებული, მისი თითები კი ორიოდე სანტიმეტრით დაშორებოდა რონის თითებს. ჰარიმ იფიქრა, ალბათ, ხელიხელჩაკიდებულებს ჩაეძინათო, და უცნაური მარტოობა იგრძნო.

ჩაბნელებულ ჭერს და აბლაბუდებში გახვეულ ჭაღს ახედა. ჯერ ერთი დღეც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც მზის გულზე, კარვის შესასვლელში იდგა და ქორწილში მოსულ სტუმრებს ეგებებოდა. არადა, გუშინდელი დღის მერე თითქოს მთელი სიცოცხლე გავიდა. ახლა რაღა მოხდება? ჰორკრუქსებზე ფიქრი თავს არ ანებებდა. წინ სახიფათო დავალება ელოდა, რომელიც დამბლდორმა დაუტოვა... დამბლდორმა...

სევდა, რომელიც დამბლდორის სიკვდილის შემდეგ თან სდევდა, თითქოს შეიცვალა. ქორწილში პაპიდა მიურიელისაგან გაგონილი ბრალდებები ჰარის სნეულებასავით ჩაუსახლდა გონებაში და სათაყვანებელი ადამიანის ხსოვნას უწამლავდა. ნუთუ დამბლდორი ჩაიდენდა ასეთ რამეს? ნუთუ სხვისადმი გამოჩენილ უყურადღებობასა და სისასტიკეს დადლივით კმაყოფილებით შეხვდებოდა, თუკი თვითონ არაფერი დაუშავდებოდა? ნუთუ ზურგს შეაქცევდა დატუსაღებულ და გადამალულ დას?

გოდრიკ ჰოლოუ და ის საფლავები გაახსენდა, რომლებიც დამ-

Scanned by CamScanner

ბლდორს არასოდეს უხსენებია, მერე კი – ის საიდუმლოებით მოცული ნივთები, ახსნა-განმარტების გარეშე რომ უანდერძა მასა და მის მეგობრებს. ჰარის თანდათან წყენა მოეძალა. რატომ არაფერი უთხრა? რატომ არ აუხსნა? ან ნეტავ, საერთოდაც უყვარდა კი დამბლდორს? თუ ჰარი მხოლოდ იარაღი იყო, რომელიც გულმოდგინედ ლესა და აპრიალა, მაგრამ არ ენდო და არც არაფერი გაუმხილა?

ამ მწარე ფიქრებმა გული მოუწურა. წოლა აღარ შეეძლო. გულის გადასაყოლებლად სახლის დათვალიერება გადაწყვიტა. საძილე ტომრიდან გამოძვრა, ჯოხი აიღო და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. კიბესთან წაიჩურჩულა: „ლუმოს!" და ჯადოსნური ჯოხის შუქზე საფეხურებს აუყვა.

მეორე სართულზე იმ საძინებელში შეიხედა, სადაც აქ უკანასკნელი სტუმრობისას ეძინათ მასა და რონს. გარდერობის კარი ღია იყო, ლოგინი – გაფატრული. ჰოლში წაქცეული ტროლის ფეხი გაახსენდა. ალბათ, ორდენის წასვლის შემდეგ სახლი ვიღაცამ გაჩხრიკა. ნეტავ ვინ? სნეიპმა? თუ მანდანგუსმა, რომელმაც სირიუსის სიკვდილამდეც და შემდეგაც ათასი რამ გაზიდა ამ სახლიდან? მერე იმ პორტრეტზე გადაიტანა მზერა, სადაც დროდადრო სირიუსის პაპის პაპა – ფინეას ნაიჯელუს ბლექი გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ჩარჩოში მრუმე ფონის მეტი არაფერი დახვდა. ფინეას ნაიჯელუსი, ეტყობა, ჰოგვორტსში, დირექტორის კაბინეტში ათევდა ღამეს.

კიდევ აუყვა კიბეს და სულ ზემო ბაქანზე ავიდა, სადაც მხოლოდ ორი კარი იყო. ერთ-ერთი ოთახის კარს აბრა ეკრა და ზედ სირიუსის სახელი ეწერა. ჰარი მანამდე არასოდეს შესულა ნათლიის ოთახში. ახლა კარს ხელი ჰკრა და ჯოხი მაღლა ასწია, რათა რაც შეიძლება მეტი სივრცე გაენათებინა. მოზრდილი ოთახი ოდესღაც ლამაზი უნდა ყოფილიყო. ხის დიდ საწოლს მოჩუქურთმებული თავი ამშვენებდა, მაღალ ფანჯარაზე ხავერდის გრძელი ფარდები ეფარა, მტვრის სქელი ფენით დაფარული ჭაღის შანდლებში ჯერაც შემორჩენილიყო სანთლის ნამწვები, ნაღვენთი კი ლოლუებივით ჩამოკიდებულიყო. კედლებზე დაკიდებულ სურათებსა და საწოლის თავს მტვრის ფენა ედო, ჭაღიდან ხის დიდ გარდერობამდე აბლაბუდები გაჭიმულიყო და როცა ჰარი ოთახში შევიდა, დამფრთხალი თაგვების ფხაჭაფხუჭიც გაისმა.

ყმაწვილ სირიუსს უამრავი პლაკატი და სურათი გაეკრა კედლებზე. ჰარიმ იფიქრა, ალბათ, სირიუსის დედ-მამამ სამუდამო მიწებების ჯადოთი მიკრული სურათების აგლეჯა ვერ მოახერხესო, თორემ დარწმუნებული იყო, რომ უფროსი ვაჟის დეკორატიული გემოვნება არ მოეწონებოდათ. ეტყობა, სირიუსი თავს არ იზოგავდა, ოღონდ

Scanned by CamScanner

მშობლები გაელიზიანებინა. კედლებზე რამდენიმე დიდი, ფერგადასული, გრიფინდორის წითელ-ოქროსფერი დროშა ეკიდა იმის ხაზგასასმელად, თუ რა სხვაობა იყო მასა და სლიზერინში აღზრდილ ოჯახის დანარჩენ წევრებს შორის. სირიუსს მათ გვერდით გაეკრა მაგლური მოტოციკლების უამრავი სურათი და (ჰარი აღტაცებული დარჩა ნათლიის თავხედობით) ბიკინისამარა მაგლი გოგონების რამდენიმე პლაკატი. მაგლები რომ იყვნენ, ჰარი იმით მიხვდა, რომ ჩარჩოებში უძრავად იდგნენ, ღიმილჩამქრალები და მზერაგაყინულები. მთელ ოთახში ერთადერთი ჯადოსნური ფოტო ეკიდა: ჰოგვორტსის ოთხ სტუდენტს ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდა და კამერას უცინოდა.

მამა მაშინვე იცნო – კინკრიხოზე მასაც ჰარივით აჰბურძგნოდა თმა და სათვალეც ეკეთა. გვერდით სირიუსი ედგა, ლამაზი, ოდნავ ქედმაღალი და იმაზე გაცილებით ახალგაზრდა და ბედნიერი, ვიდრე ჰარის ოდესმე ენახა. სირიუსის მარჯვნივ მთელი თავით დაბალი და ჩაპუტკუნებული პეტიგრიუ იდგა, თვალაწყლიანებულსა და სიხარულით გაბრწყინებულს სახეზე ეწერა, რომ ბედნიერი იყო, რაკი უმაგრეს ბიჭებთან – ყველასგან სათაყვანებელ მეამბოხეებთან – ჯეიმსთან და სირიუსთან მეგობრობდა. ჯეიმსს მარცხნივ ლუპინი ამოსდგომოდა, მაშინაც ცოტა ფერმკრთალი ყოფილა, მაგრამ მაინც აღტაცებული იცინოდა და ეტყობა, განცვიფრებული იყო იმით, რომ ვიღაცეებს მოსწონდათ და თავიანთ მარაქაში რევდნენ. იქნებ ჰარი ამას მხოლოდ იმიტომ ამჩნევდა, რომ იცოდა, სინამდვილეში საქმე როგორც იყო? შეეცადა, სურათი კედლიდან ჩამოეხსნა: ბოლოს და ბოლოს, ესეც ხომ მისი იყო, ისევე, როგორც ყველაფერი, რაც ნათლიამ დაუტოვა, მაგრამ ტყუილად იჯახირა, სურათს ადგილიდან ძვრა ვერ უყო. როგორც ჩანდა, სირიუსს მშობლებისთვის ოთახის დეკორაციის შეცვლის არანაირი შესაძლებლობა არ დაეტოვებინა.

გარეთ ცა ფერმკრთალდებოდა. ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლის ზოლზე ჰარიმ ხალიჩაზე გაბნეული ფურცლები, წიგნები და წვრილ-წვრილი ნივთები შეამჩნია. ცხადი იყო, სირიუსის ოთახი საგულდაგულოდ გაეჩხრიკათ, თუმცა, ეტყობა, აქაური ნივთები, თუ მთლიანად არა, მეტწილად მაინც უსარგებლოდ ჩაეთვალათ. რამდენიმე წიგნი ისე ენჯღრიათ, რომ ყდებიდან ამოცვენილიყო და იატაკზე ფურცელ-ფურცელ დაშლილი ეყარა.

ჰარი დაიხარა, რამდენიმე ფურცელი აიღო და დაათვალიერა. ერთი ბათილდა ბეგშოთის „მაგიის ისტორიის“ ძველი გამოცემიდან ამოვარდნილიყო, მეორე – მოტოციკლის ტექმომსახურების ცნობარიდან, მესამე კი დაჭმუჭნილი ხელნაწერი იყო. ჰარიმ ფურცელი გაასწორა და ლამაზად გამოყვანილ ასოებს თვალი გაადევნა:

Scanned by CamScanner

„ძვირფასო მასწავლებელ,

ლილი მადლობა ჰარის დაბადების დღის საჩუქრისთვის. გაკვირვება, სათამაშო ცოცხი ისე მიეწოდა. ჯერ ერთი წლისაა და უკვე თავისუფლად დაქრის ოთახში, თან, რომ იცოდე, რა ამაყოფილია! სურათს გიგზავნი და ნახე. იაწყეს ნახევარი მეწვიოთ თუ სცილდება, მაგრამ ჯერ კარგად ყაფა შემოიკვლა, მერე საშიბაოდ ჰეწუნიასგან გამოგზავნილი საშინელი ლარნაკი დაამსხვრია (რაზეც არავის უნალვლია). ამ კვირაფერზე ჯერამი სიცილით კვდება და ამბობს, ჰარი ქვიდიჩის დიდი მოთამაშე დადგებაო. ჯერჯერობით კი, რაც გასაწვესი გვქონდა, კვირაფერი გადავმალეთ და, რიცა ცოცხს მოაკლება სიდმე, თვალს არ ვაშორებთ.

რაც შეეხება დაბადების დღეს, წყნარად აღვნიშნეთ. მსოლოდ მისუცი ბათილდა გვყავდა სწუმრად და ჩა დავლიეთ ბათილდა თავს გვევლება, ჰარიზე ჭყეას კარგავს. გვეწყინა, რომ ვერ მოხვედი, მაგრამ ორდენის საქმე უმთავრესია, თანაც ჰარი ჯერ ჰაწარაა და ვერც კი მახვდა, რომ მისი დაბადების დღე იყო. ყველმს, ცოწა არ იყოს, აღიბანების შინ გამოეწვა. ცდილობს, არ შეიმჩნიოს, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ... თანაც, დამბლდორს ჯერ არ დაუბრუნებია უჩინმაჩინის მისასსამ, ამიტომ ასლიმასლოც კი ვერსაც გადის. შენ რომ ჩამოსულიყავი, ძალიან გაიხარებდა. წინა შაბათ-კვირას გრძელეკედა გვესწუმრა. ყურებჩამიყრილი მეჩვენა – აღბათ, მაკკინონების გამო მათი ამბავი რომ გავიგე, მთელი საღამო ვწარიდი.

ბათილდა თოთქმის ყოველდღე მოდის ჩვენთან. მშვენიერი ბებია და ათას საკვირველ ამბავს გვიყვება დამბლდორზე. თუმცა, არა მგონია, დამბლდორს მიეწინოს, თუ გაიგო. არც კი ვიცი, რა დავიჯერო და რა – არა. წარმოუდგენელია, რომ დამბლდორს...“

ჰარის ხელ-ფეხი გაუშეშდა. მოდუნებულ თითებში ძვირფასი ქაღალდი ეჭირა, ხოლო ძარღვებში ერთნაირი ძალით სცემდა სიხარული და სევდა. ფეხარეული მივიდა სანოლთან და ჩამოჯდა.

წერილი კიდევ გადაიკითხა, მაგრამ იმაზე მეტ აზრს ვერ ჩასწვდა, ვიდრე პირველი წაკითხვისას, და იმასღა დასჯერდა, რომ ხელნაწერს დააკვირდა. დედა ზუსტად მისნაირ „გ“-ებს წერდა. მთელ წერილში დაძებნა ეს ასო: ყოველი „გ“ თითქოს ახლობელივით უქნევდა ხელს. ეს წერილი საკვირველი განძი იყო – იმის დასტური, რომ ლილი

Scanned by CamScanner

პოტერი ნამდვილად არსებობდა, ამ პერგამენტზე ოდესღაც მისი თბილი ხელი მოძრაობდა და მელნით ეს ასოები, ეს სიტყვები გამოჰყავდა თავისი შვილის, ჰარის შესახებ.

ჰარიმ სწრაფად მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი, წერილს ერთხელაც გადაავლო თვალი და ახლა შინაარსზე გაამახვილა ყურადღება. თითქოს წერილიდან ნახევრად მივიწყებული ხმა ესმოდა.

კატა ჰყოლიათ... იქნებ ისიც თავისი პატრონებივით გაქრა გოდრიკ ჰოლოუში... ან გაიქცა, როცა აღარავინ დარჩა, ვინც მასზე იზრუნებდა... სირიუსმა პირველი ცოცხი აჩუქა... დედა და მამა ბათილდა ბეგშოთს იცნობდნენ; ვითომ, დამბლდორი გააცნობდა? „უჩინმაჩინის მოსასხამი ჯერაც დამბლდორს აქვს“... ეს კი უცნაური ეჩვენებოდა...

ამ სიტყვებმა დააფიქრა. რად უნდოდა დამბლდორს ჯეიმსის უჩინმაჩინის მოსასხამი? კარგად ახსოვდა, რამდენიმე წლის წინ რომ უთხრა დირექტორმა: „მე მოსასხამი არ მჭირდება, რომ უჩინარი გავხდე“. იქნებ ორდენის რომელიმე წევრს დასჭირდა და დამბლდორმა წაუღო? ჰარიმ კითხვა განაგრძო...

„გრძელკუდა გვესტუმრა“... მაშ, გამცემი პეტიგრიუ ყურებჩამოყრილი ჩანდა? იცოდა, რომ უკანასკნელად ხედავდა ჯეიმსსა და ლილის?

და ბოლოს, კვლავ ბათილდა, რომელიც საკვირველ ამბებს ჰყვებოდა დამბლდორზე. „წარმოუდგენელია, რომ დამბლდორს“...

რომ დამბლდორს – რა? დამბლდორის შესახებ ათასი რამ შეიძლებოდა გეფიქრა: ვთქვათ, რომ ერთხელ ცუდი ნიშანი მიიღო ტრანსფიგურაციაში; ან აბერფორტივით აჯადოებდა თხებს...

ჰარი წამოდგა და იატაკს მოავლო თვალი, იქნებ წერილის დანარჩენი ნაწილიც აქვე ეგდოსო. ფურცლები აიღო, გადაათვალიერა და წინა მაძიებელზე არანაკლებ დაუდევრად დაყარა; შემდეგ უჯრები გამოაღო, წიგნები დაბერტყა, სკამზე შედგა და გარდერობის თავს ხელი გადაუსვა, საწოლისა და სავარძლის ქვემოთაც შეცოცდა.

ბოლოს, იატაკზე პირქვე გაწოლილმა, გარდერობის ქვეშ ქაღალდის ნაგლეჯი დაინახა. გამოიღო. ის ფოტოსურათი აღმოჩნდა, რომელსაც ლილი ახსენებდა წერილში. პატარა ცოცხზე გადამჯდარი შავთმიანი ბიჭუნა სურათიდან ხან გაზუზუნდებოდა, ხან ისევ შემოზუზუნდებოდა და თან სიცილით იგუდებოდა; უკან ორი ფეხი დასდევდა, ალბათ, ჯეიმსისა. ფოტოსურათი ლილის წერილთან ერთად ჩაიდო ჯიბეში და წერილის მეორე ნაწილის ძებნა განაგრძო.

თუმცა, ათიოდე წუთში იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ დედამისის წერილის ბოლო ნაწილი გაქრა. ნეტავ, სირიუსმა მია-

Scanned by CamScanner

კარგა სადმე თუ იმან წაიღო, ვინც ოთახი გაჩხრიკა? ჯიბიდან ისევ ამოიღო წერილი და ხელახლა გადაიკითხა. იმ მიზეზს ეძებდა, რასაც შეიძლებოდა ფასი დაედო მეორე ფურცლისთვის. სიკვდლის მხვრელებს მისი სათამაშო ცოცხი, ალბათ, არ დააინტერესებდათ... ერთადერთი, რაც შეიძლება ვინმეს გამოსდგომოდა, დამბლდორთან დაკავშირებული ინფორმაცია თუ იქნებოდა. „წარმოუდგენელია, რომ დამბლდორს...“ რა?

– ჰარი! ჰარი!

– აქა ვარ, – გამოეპასუხა ჰარი, – რა იყო?

კიბეზე ფეხსაცმელების ბრაგუნი გაისმა და ოთახში ჰერმიონი შემოვარდა:

– გაგვეღვიძა და ვერ გიპოვეთ, – თქვა გულამოვარდნილმა, მერე შებრუნდა და გარეთ გასძახა, – რონ, აქ ყოფილა.

რამდენიმე სართულით ქვემოდან რონის გაღიზიანებული ხმა მოისმა:

– უთხარი, გარეწარი ხარ-თქო.

– ჰარი, გეხვეწები, ნულარ გაქრები, რა, ძალიან შეგვეშინდა.აქ რა ხდება? – ჰერმიონმა ოთახი მოათვალიერა, – რას აკეთებდი?

– ნახე, რა ვიპოვე.

ჰარიმ დედის წერილი გაუწოდა. ჰერმიონმა გამოართვა და ნაიკითხა. ჰარი გოგონას თვალს არ აშორებდა:

– ოჰ, ჰარი... – სიტყვები ვერ იპოვა ჰერმიონმა.

– და, აი, ესეც.

ჰარიმ ახლა ფოტოსურათის ნახევი მიაწოდა. ჰერმიონი ღიმილით დაჰყურებდა, როგორ დაზუზუნებდა სათამაშო ცოცხზე ამხედრებული პატარა ჰარი.

– წერილის დასასრულს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე, – უთხრა ჰარიმ.

ჰერმიონმა მიიხედ-მოიხედა:

– აქაურობა შენ აურ-დაურიე თუ ასე დაგიხვდა?

– ჩემამდე ვიღაცას გაუჩხრეკია.

– მეც ასე ვიფიქრე. გზად სადაც შევიხედე, ყველგან არეულობა იყო. როგორ ფიქრობ, რას დაეძებდნენ?

– თუ სნეიპი იყო, ალბათ, ორდენთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

– ეგ ხომ ისედაც ეცოდინებოდა. თვითონაც ორდენში არ იყო?!

– რა ვიცი, – თქვა ჰარიმ. მერე თავისი ვარაუდი გაუმხილა, – დამბლდორზე რაღას იტყვი? ვინ იცის, რა ეწერა წერილის მეორე გვერდზე. იცი, ვინ არის ეს ბათილდა, დედაჩემი რომ ახსენებს?

Scanned by CamScanner

– ვინ?

– ბათილდა ბეგშოთი, ვინც...

– „მაგიის ისტორია“ დაწერა, – ჰერმიონს ინტერესი დაეტყო, – ესე იგი, შენი მშობლები იცნობდნენ? დიდებული ისტორიკოსი იყო.

– ახლაც ცოცხალია, – მიუგო ჰარიმ, – და გოდრიკ ჰოლოუში ცხოვრობს. ქორწილში ახსენა რონის პაპიდა მიურიელმა. თურმე, დამბლდორის ოჯახსაც იცნობდა. საინტერესო იქნება მასთან დალაპარაკება, არა?

ჰერმიონის ღიმილმა მიახვედრა, რომ ზუსტად გაიგო, რასაც ჰარი ფიქრობდა. ჰარიმ წერილი და ფოტო გამოართვა და გულზე დაკიდებულ ქისაში ჩაიდო.

– მესმის, რატომაც გინდა, რომ ბათილდას დედ-მამასა და დამბლდორზე დაელაპარაკო, მაგრამ ეგ ხომ ჰორკრუქსების მოძებნაში ვერ დაგვეხმარება? – უთხრა ჰერმიონმა, და ჰარიმ ხმა რომ არ გასცა, განაგრძო, – ჰარი, ვიცი, რომ ძალიან გინდა გოდრიკ ჰოლოუში წასვლა, მაგრამ დამიჯერე, საშიშია. გუშინდელის მერე, რაც სიკვდილის მხვრელებმა ასე იოლად მოგვაგნეს, ძალიან ვნერვიულობ. ამიტომ მგონია, რომ უნდა ვერიდოთ იმ ადგილს, სადაც შენი მშობლები არიან დასაფლავებულები. დარწმუნებული ვარ, ჩვენ რომ ვიცით, ისიც ფიქრობს, რომ იქ მიხვალ.

– ჰო, ალბათ, მართალი ხარ, – ჰარიმ თავი ჩაქინდრა, – მაგრამ მიურიელმა ქორწილში ისეთი რაღაცეები ილაპარაკა დამბლდორზე, რომ მინდა, სიმართლე გავიგო...

და ჰერმიონს ყველაფერი უამბო, რაც მიურიელმა თქვა. როცა დაამთავრა, ჰერმიონმა უთხრა:

– მესმის, რატომაც გწყინს, ჰარი...

– არ მწყინს, – იცრუა ჰარიმ, – მარტო იმის გაგება მინდა, სიმართლეა თუ არა...

– ჰარი, ნუთუ გგონია, რომ მიურიელისნაირი ავი დედაბერი ან ის ქოფაკი რიტა სკიტერი სიმართლეს გეტყვიან? მაგათ როგორ უჯერებ? დამბლდორს ხომ იცნობდი!

– მეგონა, ვიცნობდი, – წაიბუტბუტა ჰარიმ.

– ის ხომ მაინც იცი, შენზე დაწერილ სტატიებში რამდენი სიმართლე ჩაწერა რიტამ! დოჯი მართალს ამბობს, მაგ ხალხს დამბლდორის ხსოვნა არ უნდა შეაბღალინო!

ჰარიმ თვალი აარიდა და შეეცადა, ბრაზი არ შესტყობოდა. ისევ იმას უჩიჩინებენ, აირჩიე, რისა გჯეროდესო. არადა, სიმართლე სჭირდება. რატომ ცდილობს ყველა, რომ სიმართლე არ დაადგინოს?

Scanned by CamScanner

– სამზარეულოში ხომ არ ჩავიდეთ? – შესთავაზა ჰერმიონმა მცირე პაუზის შემდეგ, – იქნებ საუზმისთვის რამეს მივაგნოთ?

ჰარი უხალისოდ დაეთანხმა და ოთახიდან გასულ ჰერმიონს უკან გაჰყვა. კიბის ბაქანზე გასულმა მეორე ოთახის კარს შეავლო თვალი. კარზე გაკრული იყო პატარა ფურცელი, რომელიც წელან სიბნელეში ვერ შეამჩნია. ჰარი ახლოს მივიდა, რომ წაეკითხა. ფურცელზე მაღალფარდოვანი ენითა და ფაქიზი ხელით იყო რაღაცა წარწერილი. ასეთ წარწერას, ალბათ, პერსი უისლი თუ მიაკრავდა თავისი ოთახის კარზე. ფურცელზე ეწერა:

შესვლა აკრძალულია
რეგულუს არქტურუს ბლექის
ოფიციალური ნებართვის გარეშე!

ჰარი უნებურად აღელდა, მაგრამ მაშინვე ვერ მიხვდა, რატომ. მეორედაც წაიკითხა. ამასობაში ჰერმიონს უკვე ერთი სართული ჩაერბინა.

– ჰერმიონ, – დაუძახა ჰარიმ და თვითონვე გაუკვირდა თავისი ხმის სიმშვიდე, – ერთი წუთით ამოდი.

– რა იყო?

– მე მგონი, რ.ა.ბ. ვიპოვე.

ჰერმიონს აღტაცების შეძახილი აღმოხდა და კიბე ამოირბინა.

– დედაშენის წერილში? მე რომ ვერაფერი ვნახე...

ჰარიმ თავი გააქნია და რეგულუსის კარზე მიკრულ ფურცელზე მიუთითა. ჰერმიონმა წაიკითხა და ჰარის ისე მოუჭირა მკლავზე ხელი, რომ ბიჭი ტკივილისაგან შეიჭმუხნა.

– სირიუსის ძმა? – წაიჩურჩულა.

– სიკვდილის მხვრელი იყო, – უთხრა ჰარიმ, – სირიუსმა მიამბო. ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა მათ შეუერთდა, მაგრამ მერე შეშინდა და სცადა, თავი დაენებებინა. ჰოდა, მოკლეს.

– მგონი, მართლა ის უნდა იყოს, ჰარი, დაუკვირდი, – მღელვარებისგან ხმა დაკარგა ჰერმიონმა, – თუ სიკვდილის მხვრელი იყო, ესე იგი, ვოლდემორთან კავშირი ექნებოდა და როცა განუდგა, მისი დამხობაც მოუნდებოდა!

ჰარის ხელი გაუშვა, მოაჯირს გადაეყუდა და დაიძახა:

– რონ, რონ! ჩქარა ამოდი!

ჯოხმომარჯვებულმა რონმა კიბე წამში ამოირბინა.

– რა ხდება? თუ ისევ გიგანტური ობობებია, ჯერ ვისაუზმებ და...

უცებ შუბლი შეიჭმუხნა და რეგულუსის კარის წარწერას დააკვირდა, რომელზეც ჰერმიონი ანიშნებდა.

Scanned by CamScanner

– რა? ეგ ხომ სირიუსის ძმა იყო? რეგულუს არქტურუს... რეგულუს... რ.ა.ბ.! მედალიონი! მაშ, თქვენ გგონიათ...

– ახლავე გავიგებთ, – ჰარიმ სახელური დაქაჩა, მაგრამ კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ჰერმიონმა საკეტს ჯოხი მიუშვირა და თქვა: „ალოჰომორა". გაისმა ჩხაკუნი და კარი ფართოდ გაიღო.

ზღურბლს ერთად გადააბიჯეს, თან აქეთ-იქით იხედებოდნენ. რეგულუსის ოთახი სირიუსისაზე მომცრო იყო, მაგრამ ძველი დიდებულება აქაც იგრძნობოდა. თუ სირიუსი ცდილობდა, ოჯახისგან თავისი განსხვავებულობისათვის გაესვა ხაზი, რეგულუსს ცდა არ დაეკლო, ოღონდ კი საწინააღმდეგო დაემტკიცებინა: ყველაფერი სლიზერინის ფერებისა იყო – მწვანე და ვერცხლისფერი. საწოლის თავზე დიდი მონდომებით დაეხატათ ბლექების საგვარეულო გერბი და დევიზი: „სისხლის მარადიული სიწმინდე". მის ქვეშ მიკრული გაზეთების გაყვითლებული ამონაჭრების კოლექცია უჩვეულო კოლაჟს ქმნიდა. ჰერმიონმა ოთახი გადაჭრა და ამონაჭრებს გადახედა:

– ყველა სტატია ვოლდემორზეა, ეტყობა, რეგულუსი მანამდეც ეთაყვანებოდა, სანამ სიკვდილის მხვრელი გახდებოდა...

ჰერმიონი ამონაჭრების წასაკითხად საწოლზე ჩამოჯდა. გადასაფარებლიდან მტვრის ბუღი ავარდა და ოთახში კორიანტელი დააყენა. ჰარიმ კედელი მოათვალიერა და კიდევ ერთი ფოტოსურათი შეამჩნია: ჩარჩოდან ჰოგვორტსის ქვიდიჩის გუნდი იღიმებოდა და ხელს იქნევდა. ყველა მოთამაშეს მკერდზე გველი ჰქონდა ამოქარგული. ესე იგი, სლიზერინელების გუნდი იყო. წინა რიგის შუაში რეგულუსი იჯდა. მასაც ძმასავით შავი თმა და ქედმაღალი გამომეტყველება ჰქონდა, ოღონდ, უფრო პატარა ტანისა, გამხდარი და სირიუსზე ნაკლებ მიმზიდველი იყო.

– სიკერი ყოფილა, – თქვა ჰარიმ.

– რა? – დაბნეულად ჰკითხა ჰერმიონმა; ისევ ვოლდემორზე დაწერილ სტატიებს კითხულობდა.

– წინა რიგის შუაში ზის, ეგ სიკერის ადგილია... არა, არაფერი, – დაუმატა, როცა მიხვდა, რომ არც ერთი არ უსმენდა. ოთხზე მდგარი რონი გარდერობის ქვეშ იყურებოდა. ჰარიმ სამალავის აღმოჩენის მიზნით ოთახი მოათვალიერა და საწერ მაგიდას მიუახლოვდა. ისიც გაეჩხრიკათ. უჯრები ამოექექათ და იქაურობა აემტვერებინათ, მაგიდაზე მხოლოდ ნახმარი ფრთები და გაქუცული სახელმძღვანელოები ეყარა, იქვე ეგდო გატეხილი სამელნე, მელანი კი უჯრაში ჩაღვრილიყო.

– უფრო იოლადაც შეიძლება, – ჰერმიონმა ჯოხი ასწია და სანამ ჰარი მელნით დასვრილ თითებს ჯინსზე იწმენდდა, წარმოთქვა:

Scanned by CamScanner

– აკციო მედალიონი!

არაფერი მომხდარა. რონს, რომელიც ახლა გახუნებული ფარდების ნაკეცებში იქექებოდა, გუნება წაუხდა:

– მორჩა? ესე იგი, აქ არ არის?

– შეიძლება არის კიდეც, მაგრამ თუ კონტრშელოცვა იცავს, ნივთის ჯადოსნურად მოხმობის საშუალებას არ მოგვცემს, – მიუგო ჰერმიონმა.

– ისეთი, როგორიც ვოლდემორმა დაადო გამოქვაბულში ქვის ჯამს, – ჩაილაპარაკა ჰარიმ და გაახსენდა, როგორ ვერ მოახერხა ყალბი მედალიონის მოხმობა.

– მაშ, როგორ ვეძებოთ? – იკითხა რონმა.

– ჩვეულებრივ, ჯადოქრობის გარეშე, – უთხრა ჰერმიონმა.

– კარგი აზრია, – თვალები აატრიალა რონმა და ფარდების თვალიერება განაგრძო.

საათზე მეტხანს ჩხრიკეს ოთახის ყოველი სანტიმეტრი, მაგრამ ბოლოს იძულებულები გახდნენ დაესკვნათ, რომ მედალიონი იქ არ იყო.

მზე ამოვიდა და კიბის ბაქნის მტვრიანი ფანჯრებიდანაც კი თვალს ჭრიდა.

– შეიძლება სადმე სხვაგან იყოს, – თქვა ჰერმიონმა გამამხნევებელი ტონით, როცა უშედეგო ძებნის შემდეგ კიბეს ჩაუყვნენ. ჰარისა და რონს იმედი გადაენურათ, ჰერმიონს კი უფრო და უფრო ემატებოდა შემართება: – რომც არ გაენადგურებინა, მაინც ხომ მოუნდებოდა, რომ ვოლდემორისთვის დაემალა. ხომ გახსოვთ ის საშინელი რაღაცეები, ყოველ ნაბიჯზე რომ გველობებოდა, როცა აქ ბოლოს ვიყავით? ჭანჭიკების მსროლელი საათი და ძველი მანტია, რონი რომ კინაღამ დაახრჩო; შეიძლება, ეს ნივთები რეგულუსმა იმიტომ დატოვა, რომ მედალიონის სამალავი დაეცვა, თუმცა, ჩვენ მაშინ ვერ... ვერ...

ჰარიმ და რონმა ჰერმიონს შეხედეს. გოგონას საფეხურზე ჩასადგმელად მომზადებული ფეხი ჰაერში გაუშეშდა და ისე ერთბაშად დამუნჯდა, თითქოს დავინყების შელოცვა სტყორცნესო; მზერაც კი დაებინდა.

– ...ვხვდებოდით, – დაასრულა ჩურჩულით.

– რა მოგივიდა? – ჰკითხა რონმა.

– მედალიონი აქ იყო!

– რა?

– აქ იყო! სასტუმრო ოთახის ბუფეტში. ვერც ერთმა ვერ გავხსენით და მერე... მერე...

Scanned by CamScanner

ჰარის თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. მასაც გაახსენდა ის მედალიონი, ხელშიც კი ეჭირა. მაშინ ყველა რიგრიგობით ცდილობდა მის გახსნას, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ნაგვის ტომარაში ჩაუძახეს მეჭეჭისფხვნილიან სათუთუნესა და მუსიკალურ ყუთთან ერთად, რომელიც ყველას ძილს ჰგვრიდა...

– კრეჩერმა ხომ ათასი რამე აგვნაპნა, – იმედი გაუჩნდა ჰარის, – მთელი სამალავი ჰქონდა სამზარეულოს გვერდით, თავის საკუჭნაოში. წავედით.

ჰარი კიბეზე დაეშვა, ორ-ორ საფეხურს ახტებოდა, რონი და ჰერმიონიც ფეხდაფეხ მისდევდნენ. ისე ხმაურობდნენ, რომ ჰოლში სირიუსის დედის პორტრეტი გააღვიძეს.

– ბინძურებო! მუქსისხლიანებო! არარაობებო! – კიოდა ქალბატონი ბლექი, სანამ ქვედა სართულზე, სამზარეულოში არ ჩავიდნენ და კარი არ მიიხურეს. ჰარიმ ოთახი გაირბინა და კრეჩერის საკუჭნაოს კარი გამოგლიჯა. იქ ძველი, ჭუჭყიანი საბნებისაგან მოწყობილი ბუდე დახვდა, სადაც ოდესღაც შინაურ ელფს ეძინა, ოღონდ, ახლა ამ ბუდეში კრეჩერის გადარჩენილი სამშვენისები აღარ ციმციმებდა. მხოლოდ ძველი წიგნი, „ჭეშმარიტი დიდგვაროვანნი. ჯადოქართა გენეალოგია“ ეგდო. გაკვირვებულმა ჰარიმ საბნებს ხელი სტაცა და შეანჯღრია. იქიდან მკვდარი თაგვი გადმოვარდა და უსიცოცხლოდ დაეცა იატაკზე. რონი ოხვრით დაეხეთქა სამზარეულოს სკამზე. ჰერმიონმა თვალები დახუჭა.

– მოიცა, სულ ეს კი არაა, – თქვა ჰარიმ და უცებ მთელი ხმით დაიძახა: – კრეჩერ!

გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და ცივი და ცარიელი ბუხრის წინ შინაური ელფი გაჩნდა, რომელიც ჰარიმ ასე უხალისოდ მიიღო სირიუსისაგან მემკვიდრეობით. ნახევარი ადამიანის სიმაღლის შინაურ ელფს უფერული კანი ნაკეცებად დასთრევდა, ღამურასებური ყურებიდან ბღუჯად ამოსჩროდა ჭაღარა თმა. თეძოებზე ისევ ძველისძველი ბინძური ჩვარი ეხვია, ხოლო ზიზღნარევი გამომეტყველება, რომლითაც ჰარის წინაშე დაიხარა, იმის მანიშნებელი იყო, რომ ახალი ბატონის მიმართ დამოკიდებულებაც ისეთივე უცვლელი ჰქონდა, როგორიც გარეგნობა.

– გისმენ, ბატონო, – გომბეშოს ხმით დაიყიყინა კრეჩერმა და ჰარის თავი დაუკრა, თან თავის მუხლებს ჩაულაპარაკა: – ჩემი ქალბატონის სახლში დაბრუნებულა სისხლის შემარცხვენელ უისლისა და მუქსისხლიან...

– გიკრძალავ, ვინმეს „სისხლის შემარცხვენელი“ და „მუქსისხლიანი“ უწოდო, – დაუღრინა ჰარიმ. თვალებჩაწითლებული და

Scanned by CamScanner

გრძელცხვირა კრეჩერი, სირიუსი ვოლდემორთან რომც არ გაეცა, კეთილგანწყობას მაინც არ იმსახურებდა.

– რაღაც უნდა გკითხო, – გულის ფანცქალით შეხედა ელფს ჰარიმ, – და გიბრძანებ, სიმართლე მითხრა. გაიგე?

– დიახ, ბატონო, – მიუგო კრეჩერმა და კვლავ დაუკრა თავი. ჰარიმ დაინახა, რომ ტუჩებს ამოძრავებდა: ეტყობოდა, უხმოდ აგრძელებდა იმ ლანძღვა-გინებას, რომლის წარმოთქმაც აუკრძალეს.

– ორი წლის წინ, – ჰარის გული ლამის ნეკნებიდან გამოხტომოდა, – ზემოთ, სასტუმრო ოთახში, ერთი დიდი, ოქროს მედალიონი იყო. ჩვენ გადავაგდეთ. შენ მოიპარე?

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, კრეჩერი გაიმართა და ჰარის მიაცქერდა. მერე თქვა:

– დიახ.

– ახლა სად არის? – ჰკითხა აღტაცებულმა ჰარიმ. რონი და ჰერმიონიც გახარებულები ჩანდნენ.

კერჩერმა თვალები დახუჭა, თითქოს თავის მომდევნო სიტყვებზე მათი რეაქციის დანახვას ვეღარ აიტანდა.

– დაიკარგა.

– დაიკარგა? – ჰარის წამსვე გაუქრა სიხარული, – როგორ თუ დაიკარგა?

ელფი აცახცახდა და ნაბორძიკდა.

– კრეჩერ, – მრისხანედ უთხრა ჰარიმ, – გიბრძანებ...

– მანდანგუს ფლეტჩერი, – დაიყიყინა ელფმა და თვალები ისევ მაგრად დახუჭა, – ყველაფერი მანდანგუს ფლეტჩერმა მოიპარა; მის ბელასა და მის სისის სურათები, ჩემი ქალბატონის ხელთათმანები, მერლინის პირველი ხარისხის ორდენი, საგვარეულო გერბიანი თასები და... და...

კრეჩერს სუნთქვა შეეკრა: ვიწრო გულმკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა, მერე თვალები ფართოდ გაახილა და საშინელი კივილი გააბა:

– და მედალიონი! ახალგაზრდა ბატონის, რეგულუსის მედალიონი. კრეჩერს შეეშალა, კრეჩერმა ბატონის ბრძანება ვერ შეასრულა!

და როგორც კი ელფმა ბუხრის ცხაურზე მიყუდებული ცეცხლის საჩხრეკისკენ გაიწია, ჰარიმ ინსტინქტურად ისკუპა, ზემოდან დაახტა და კრეჩერი იატაკზე დასცა. ჰერმიონის კივილი ელფისას შეერია, მაგრამ ჰარიმ ორივეზე ხმამაღლა იღრიალა:

– კრეჩერ, გიბრძანებ, გაჩერდი!

ჰარიმ იგრძნო, როგორ გაშეშდა ელფი.

– ჰარი, ადგეს, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

Scanned by CamScanner

– და ცეცხლსაჩხრეკით თავი გაიტეხოს? – ამოთქვა ელფის გვერდით ჩაჩოქილმა ჰარიმ, – არა, არ გაინძრე, კრეჩერ. ახლა სიმართლე მითხარი: რა იცი, რომ მედალიონი მანდანგუს ფლეტჩერმა მოიპარა?

– კრეჩერმა დაინახა! – ამოიკრუსუნა ელფმა. ცრემლები ხორთუმივით ცხვირზე ჩამოსდიოდა და ნაცრისფერკბილებიან პირში ეღვრებოდა, – კრეჩერმა დაინახა, როგორ გამოვიდა კრეჩერის საკუჭნაოდან, ხელები კრეჩერის განძეულით ჰქონდა სავსე. კრეჩერმა იმ გარეწარ ქურდს უთხრა, გაჩერდიო, მაგრამ მანდანგუს ფლეტჩერს გაეცინა და გა-გაიქცა...

– იმ მედალიონზე თქვი, ახალგაზრდა ბატონის, რეგულუსისა იყოო, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – საიდან გაჩნდა? რა ესაქმებოდა რეგულუსს იმ მედალიონთან? კრეჩერ, დაჯექი და ყველაფერი მიამბე, რაც იმ მედალიონზე და ახალგაზრდა ბატონზე იცი!

ელფი წამოჯდა, მოიკუნტა, სველი სახე მუხლებში ჩარგო და წინ და უკან ქანაობა დაიწყო. მერე ყრუ, მაგრამ მკაფიო ხმით ალაპარაკდა. მიჩუმებულ სამზარეულოში მისი ხმის ექო გაისმა.

– ბატონი სირიუსი გაიქცა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. ის ძალიან ცუდი ბიჭი იყო და თავისი უთავბოლობით ჩემს ქალბატონს გულს უხეთქავდა. ბატონი რეგულუსი კი წესიერად იქცეოდა, იცოდა, რას ავალებდა ბლექის გვარი და რას ნიშნავდა წმინდასისხლიანობა. წლების განმავლობაში ლაპარაკობდა ბნელ ბატონზე, რომელსაც ჯადოქრები სამალავიდან უნდა გამოეყვანა და მაგლებისა და მაგლთა ნაშობი ჯადოქრების ბატონებად ექცია... როცა თექვსმეტისა შესრულდა, ბნელი ბატონის მომხრეებს შეუერთდა. ძალიან ეამაყებოდა, ძალიან ბედნიერი იყო, რომ მასთან უნდა ემსახურა... ერთხელაც, ბნელ ბატონთან ყოფნის ერთი წლისთავზე, ახალგაზრდა ბატონი სამზარეულოში ჩამოვიდა კრეჩერის სანახავად. ახალგაზრდა ბატონს მუდამ მოსწონდა კრეჩერი. და ახალგაზრდა ბატონმა უთხრა... უთხრა...

ბებერი ელფი უფრო სწრაფად აქანავდა:

– უთხრა, ბნელ ბატონს ელფი სჭირდებაო.

– ვოლდემორს ელფი დასჭირდა? – გაიმეორა ჰარიმ და რონსა და ჰერმიონს გახედა, რომლებიც მასავით გაოგნებულები იყურებოდნენ.

– დიახ, – დაიკვნესა კრეჩერმა, – და ახალგაზრდა ბატონმა კრეჩერი შესთავაზა. ეს პატივიაო, თქვა ახალგაზრდა ბატონმა, პატივია ჩემთვისაც და კრეჩერისთვისაც, რომელმაც უთუოდ უნდა შეასრულოს, რასაც ბნელი ბატონი უბრძანებსო... და მერე შინ დ-დ-დაბრუნდესო.

კრეჩერმა ქანაობას უმატა და ასლუკუნდა.

Scanned by CamScanner

– და კრეჩერი ბნელ ბატონთან მივიდა. ბნელ ბატონს კრეჩერისთვის არ უთქვამს, რას აპირებდა. წაიყვანა და ზღვისპირას, გამოქვაბულში მიიყვანა. გამოქვაბულის იქით მღვიმე იყო, მღვიმეში კი – დიდი შავი ტბა...

ჰარის დაბურძგლა. კრეჩერის ყიყინა ხმა თითქოს იმ შავი წყლის მეორე მხრიდან მოისმოდა. ისე ცხადად ხედავდა, რაც მოხდა, თითქოს თვითონაც იქ ყოფილიყო.

– იქ ნავი იყო...

რა თქმა უნდა, იყო; ჰარის ახსოვდა ის ნავი – ლანდისებრი, მწვანე, პატარა, ისე მოჯადოებული, რომ შუაგულში მდებარე კუნძულზე მხოლოდ ერთი ჯადოქარი და ერთი მსხვერპლი გადაეყვანა. აი, თურმე როგორ შეამოწმა ვოლდემორმა ჰორკრუქსის დამცავი ჯადო – ერთჯერადი მოხმარებისათვის შინაური ელფი ინათხოვრა.

– კუნძულზე შხამით სავსე ჯა-ჯა-ჯამი იყო. ბნელმა ბატონმა კრეჩერს დაალევინა...

ელფი თავით ფეხამდე კანკალებდა.

– კრეჩერი სანამ სვამდა, საშინელებებს ხედავდა... კრეჩერს გულმუცელი ეწვოდა... კრეჩერი ახალგაზრდა ბატონს ეძახდა, მიშველეო. მერე თავის ქალბატონს ეძახდა, მაგრამ ბნელი ბატონი მხოლოდ იცინოდა... და კრეჩერს ბოლომდე დაალევინა შხამი... მერე მედალიონი ცარიელ ჯამში ჩააგდო... და ჯამი ისევ აავსო შხამით. მერე ბნელმა ბატონმა გაცურა, კრეჩერი კი კუნძულზე დატოვა...

ჰარი თითქოს ცხადად ხედავდა, როგორ ქრებოდა სიბნელეში ვოლდემორის თეთრი, გველისებური სახე, რა შეუბრალებლად მიშტერებოდა წითელი თვალები მოცახცახე ელფს, რომელიც წუთი წუთზე მოკვდებოდა, როგორც კი იმ საშინელი წყურვილის მოკვლას მოინდომებდა, რომელსაც მწველი შხამი აღუძრავდა... მაგრამ აქ წარმოსახვა ამოეწურა, რადგან ვერ ხვდებოდა, როგორ გადარჩა კრეჩერი.

– კრეჩერს სწყუროდა, კუნძულის კიდემდე მიხოხდა და შავი ტბის წყალი დალია... წყლიდან ხელები, მკვდარი ხელები ამოვიდნენ და კრეჩერი წყალში ჩაათრიეს...

– როგორ გადარჩი? – ჰკითხა ჰარიმ და თავისი ჩურჩული არ გაჰკვირვებია.

კრეჩერმა მახინჯი თავი ასწია და ჰარის დიდი, ჩასისხლიანებული თვალებით შეხედა:

– ახალგაზრდა ბატონმა კრეჩერს უბრძანა, შინ დაბრუნდიო.

– ვიცი... მაგრამ ინფერიუსებს როგორ გამოექეცი?

კრეჩერმა, ეტყობა, ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ და გაიმეორა:

Scanned by CamScanner

– ახალგაზრდა ბატონმა კრეჩერს უბრძანა, შინ დაბრუნდიო.

– ჰო, მაგრამ...

– ჰარი, როგორ ვერ ხვდები, – თქვა რონმა, – უბრალოდ, აპარაციია გამოიყენა.

– მაგრამ... აპარაციით იმ მღვიმეში ვერც შეხვალ და ვერც გამოხვალ... – დაიბნა ჰარი, – თორემ დამბლდორი...

– ელფების მაგია სხვაა და ჯადოქრებისა – სხვა, – უთხრა რონმა, – ელფები ხომ ჰოგვორტსშიც იყენებენ აპარაციას, ჩვენ კი – ვერა.

სანამ ჰარი ამას გაიაზრებდა, სიჩუმე ჩამოწვა. როგორ მოუვიდა ვოლდემორს ასეთი შეცდომა? მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ჰერმიონმა ყინულივით ცივი ხმით დაილაპარაკა:

– რა თქმა უნდა. როგორ ეკადრებოდა ვოლდემორს შინაური ელფების თავისებურებებზე დაფიქრება!.. აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ელფებმა შეიძლება ისეთი ჯადოქრობა იცოდნენ, რისიც თვითონ არაფერი გაეგება.

– შინაური ელფის უზენაესი კანონი ბატონის მორჩილებაა, – წაიმღერა კრეჩერმა, – კრეჩერს შინ დაბრუნება უბრძანეს და კრეჩერიც დაბრუნდა...

– ის გააკეთე, რაც გითხრეს, – რბილად უთხრა ჰერმიონმა, – ბრძანება არ დაგირღვევია!

კრეჩერმა თავი დაიქნია და კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო ქანაობა.

– მერე რაღა მოხდა, როცა შინ დაბრუნდი? – ჰკითხა ჰარიმ, – რა გითხრა რეგულუსმა, როცა უამბე, რაც დაგემართა?

– ახალგაზრდა ბატონი ძალიან შეწუხდა, – დაიჩხავლა კრეჩერმა, – ახალგაზრდა ბატონმა კრეჩერს უთხრა, დაიმალე და შინიდან არ გახვიდეო. და მერე... ცოტა ხანში... ახალგაზრდა ბატონი ჩამოვიდა კრეჩერთან საკუჭნაოში. ახალგაზრდა ბატონს რაღაც უჭირდა, თავის თავს არ ჰგავდა, აფორიაქებული იყო. კრეჩერმა ეს იგრძნო... და ბატონმა კრეჩერს სთხოვა, გამოქვაბულში წამიყვანეო, იმ გამოქვაბულში, სადაც კრეჩერი ბნელ ბატონთან ერთად იყო...

ჰარი ცხადად ხედავდა შეშინებულ ბებერ ელფსა და თხელ, შავგვრემან სიკერს, რომელიც ასე ჰგავდა სირიუსს... კრეჩერმა იცოდა, როგორ გაელო მიწისქვეშა მღვიმის შენიღბული შესასვლელი; იცოდა, როგორ ამოეყვანა ნავი. ამჯერად თავის საყვარელ რეგულუსთან ერთად მიცურავდა კუნძულზე, სადაც შხამით სავსე ჯამი იდგა...

– და შხამი დაგალევინა? – ზიზღით ჰკითხა ჰარიმ.

კრეჩერმა თავი დაიქნია და აქვითინდა. ჰერმიონმა ხელი პირზე აიფარა, ეტყობა, რაღაცას მიხვდა.

Scanned by CamScanner

– ბა-ბატონმა ჯიბიდან ისეთივე მედალიონი ამოიღო, როგორიც ბნელ ბატონს ჰქონდა, – თქვა კრეჩერმა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ხორთუმივით ცხვირის ორივე მხარეს, – და კრეჩერს უთხრა, გამომართვი და როცა ჯამი დაიცლება, მედალიონები შეცვალეო...

კრეჩერის ქვითინი გაბმულ კივილად გადაიქცა; ჰარი დაიძაბა, რომ მისი სიტყვები კარგად გაეგონა.

– და... კრეჩერს მარტო წა-წასვლა უბრძანა. უთხრა... შინ წადი და ქალბატონს არ უთხრა, რაც... ჩა-ჩავიდინეო... ოღონდ, ის პირველი მედალიონი უნდა მოსპოო. და დალია... მთელი შხამი... კრეჩერმა მედალიონები შეცვალა... და უყურებდა... ახალგაზრდა ბა-ბატონი... როგორ ჩაათრიეს წყალში... და...

– ოჰ, საბრალო კრეჩერ! – ამოიქვითინა ჰერმიონმა, მუხლებზე დაეცა და სცადა, ელფს მოხვეოდა. კრეჩერი მაშინვე ფეხზე წამოხტა, მოიკუნტა და გაეცალა:

– მუქსისხლიანი კრეჩერს შეეხო, კრეჩერი ნებას არ დართავს. რას იტყოდა მისი ქალბატონი?

– ხომ გითხარი, „მუქსისხლიანი" არ უწოდო-მეთქი! – დაუღრიალა ჰარიმ, მაგრამ ელფი უკვე თავს ისჯიდა: იატაკს შუბლს ურტყამდა.

– გააჩერე... გააჩერე! – დაიყვირა ჰერმიონმა, – ვერ ხედავ, რა საზიზღრობაა ასეთი მორჩილება?

– კრეჩერ... გაჩერდი! გეყოფა! – იყვირა ჰარიმ.

ელფი იატაკზე იწვა სუნთქვაშეკრული და აკანკალებული, იატაკზე ნარტყამი ფერწასული შუბლი გალურჯებოდა, ცხვირის გარშემო კი მწვანე ლორწოს გუბე დაეყენებინა. შეშუპებული და უარესად ჩასისხლიანებული თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ჰარის ასეთი საცოდავი არაფერი ენახა.

– მაშ, მედალიონი შინ მოიტანე, – განაგრძო შეუბრალებლად, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლომდე გაეგო, რა მოხდა, – და ეცადე, გაგენადგურებინა?

– რა არ იღონა კრეჩერმა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, – დაიკვნესა ელფმა, – არაფერი გამოუვიდა... საკეტზე იმდენი ძლიერი ჯადო ედო, რომ კრეჩერმა რაც იცოდა, ყველაფერი სცადა, მაგრამ ვერა და ვერ გააღო... არადა, იცოდა, რომ თუ ვერ გახსნიდა, ვერც გაანადგურებდა. კრეჩერი თავს ისჯიდა, ისევ ცდილობდა, ისევ ისჯიდა თავს და ისევ ცდილობდა. კრეჩერმა ბრძანება ვერ შეასრულა, კრეჩერმა ვერ გაანადგურა მედალიონი! თან, მისი ქალბატონი დარდით კინაღამ გაგიჟდა, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ბატონი გაქრა, კრეჩერი კი ვერ ეუბნებოდა, რაც მოხდა: ახალგაზრდა ბატონმა ხომ

Scanned by CamScanner

უბრძანა, ოჯახის არც ერთ წევრს არ გაუმხილო, რაც გამოქვაბულში მო-მოხდაო...

კრეჩერს ქვითინისაგან სიტყვები უწყდებოდა. გულამოსკვნილი ჰერმიონი ელფს თვალს არ აშორებდა, მაგრამ მიკარება ველარ გაებედა. რონიც კი, მიუხედავად იმისა, რომ კრეჩერი გულზე არ ეხატა, შეწუხებული ჩანდა. ჰარი ჩაცუცქდა და აზრების მოსაკრებად თავი ძლიერად გაიქნია.

– არ მესმის, კრეჩერ, – უთხრა ბოლოს, – ვოლდემორმა მოკვლა დაგიპირა, რეგულუსიც ბნელი ბატონის დამხობის ცდისას მოკვდა, შენ კი სირიუსი მაინც სიხარულით ჩაუგდე ვოლდემორს ხელში? ხალისით წახვედი ნარცისასა და ბელატრისასთან და ვოლდემორს ის გააგებინე, რაც აინტერესებდა...

– ჰარი, კრეჩერი ვერაფერს აგიხსნის, – თვალი ხელის ზურგით მოიწმინდა ჰერმიონმა, – ის ხომ მონაა; შინაური ელფები შეჩვეულები არიან ცუდ, სასტიკ მოპყრობასაც კი. ის, რაც კრეჩერს ვოლდემორმა დამართა, დიდად არ განსხვავდება იმისაგან, როგორც საერთოდ ექცევიან. მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ჯადოქრები ერთმანეთს ებრძვიან. ის მისი ერთგულია, ვინც კარგად ექცევა. ქალბატონი ბლექი, ალბათ, კარგად ექცეოდა; ცხადია – რეგულუსიც, ჰოდა, ისიც ხალისით ემსახურებოდა ორივეს და მათ მოსაზრებებს იმეორებდა. ვიცი, რასაც მეტყვი, – განაგრძო, როცა ჰარიმ შეპასუხება დააპირა, – რომ რეგულუსმა სხვანაირად დაიწყო ფიქრი... მაგრამ ეტყობა, კრეჩერს არ აუხსნა და, მე მგონი, ვიცი, რატომაც. კრეჩერი და რეგულუსის ოჯახი უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ, თუ ისევ წმინდა სისხლის იდეის ერთგულები დარჩებოდნენ. რეგულუსმა ყველას დაცვა სცადა.

– სირიუსი...

– სირიუსი საშინლად ექცეოდა კრეჩერს, ჰარი. კარგად იცი, რომ ასე იყო. როცა სირიუსი აქ გადმოსახლდა, კრეჩერი უკვე რა ხანია, მარტო იყო და ალბათ, ცოტა სიყვარული სჭირდებოდა. დარწმუნებული ვარ, „მის სისი“ და „მის ბელა“ მშვენივრად შეხვდნენ, როცა მათთან გამოჩნდა. ჰოდა, მანაც სამსახური გაუწია და ყველაფერი უთხრა, რაც აინტერესებდათ. სულ ვამბობდი, ჯადოქრები დაისჯებიან შინაური ელფების ჩაგვრისთვის-მეთქი. აი, ვოლდემორი დაისაჯა... და სირიუსიც.

ჰარიმ ვერაფერი უპასუხა. იატაკზე მოქვითინე კრეჩერის შემყურეს გაახსენდა, რა უთხრა დამბლდორმა სირიუსის სიკვდილიდან რამდენიმე საათის შემდეგ: „ის არასოდეს მიიჩნევდა კრეჩერს მგრძნობიარე არსებად...“

Scanned by CamScanner

– კრეჩერ, – უთხრა ცოტა ხანში, – როცა ღონეს მოიკრებ, მმმ... გთხოვ, წამოდექი.

კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ კრეჩერი სლუკუნს შეწყვეტდა და გაჩუმდებოდა. მერე წამოჯდა და თვალები ბავშვივით მუშტებით მოიფშვნიტა.

– კრეჩერ, რაღაც უნდა გთხოვო, – ჰარიმ საშველად ჰერმიონს გადახედა. უნდოდა, რბილად ებრძანებინა, მაგრამ ვერც თავს მოიკატუნებდა, თითქოს ბრძანება არ იყო. თუმცა, ჰერმიონს, ეტყობა, მოეწონა მისი ინტონაციის ცვლილება და გამამხნევებლად გაუღიმა.

– კრეჩერ, გთხოვ, მინდა წახვიდე და მანდანგუს ფლეტჩერი იპოვო. უნდა გავიგოთ, სად არის მედალიონი... ახალგაზრდა ბატონის, რეგულუსის მედალიონი. მართლა ძალიან გვჭირდება. გვინდა, მისი დაწყებული საქმე დავასრულოთ, გვინდა... მმმ... დარწმუნებულები ვიყოთ, რომ რეგულუსი ტყუილად არ მოკვდა.

კრეჩერმა მუშტები დაუშვა და ჰარის ახედა.

– მანდანგუს ფლეტჩერი ვიპოვო? – დაიჩხავლა.

– ჰო, და აქ მოიყვანე, გრიმოს მოედანზე, – უთხრა ჰარიმ, – შეასრულებ?

კრეჩერმა თავი დაუქნია და წამოდგა. უცებ ჰარის იდეა გაუჩნდა: ჰაგრიდის ქისა გახსნა და ყალბი მედალიონი ამოიღო – შეცვლილი მედალიონი, რომელშიც რეგულუსმა ვოლდემორისადმი მიწერილი ბარათი ჩადო.

– კრეჩერ, მინდა, რომ შენ გქონდეს, – ჰარიმ მედალიონი ხელში ჩაუდო ელფს, – ეს რეგულუსს ეკუთვნოდა და დარწმუნებული ვარ, შენთვის მოცემა ენდომებოდა, მადლობის ნიშნად, იმისათვის, რაც...

– მეტისმეტი მოგვივიდა, ჰარი, – უთხრა რონმა, როცა ელფმა მედალიონს დახედა, ელდითა და დარდით სავსე კივილი ამოუშვა და ისევ იატაკზე დაემხო.

კრეჩერს ლამის ნახევარ საათს აწყნარებდნენ. შინაური ელფი ისე შეძრა ბლექების ოჯახის საგვარეულო ნივთის ჩუქებამ, რომ მუხლები უკანკალებდა და ფეხზე ძლივს დგებოდა. ბოლოს, როცა მოახერხა და რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით გადადგა, ყველანი გაჰყვნენ, საკუჭნაომდე მიაცილეს, უყურეს, რა საიმედოდ ჩამალა მედალიონი ჭუჭყიან საბნებში და დაარწმუნეს, რომ მისი არყოფნისას მედალიონს საგულდაგულოდ დაიცავდნენ. მერე კრეჩერმა ჰარისა და რონს სათითაოდ დაუკრა თავი, ხოლო ჰერმიონის შეხედვისას უცნაურად დაიკრუნჩხა (შეიძლება უნდოდა, თავაზიანად დამშვიდობებოდა, მაგრამ არ გამოუვიდა) და ჩვეული ხმამაღალი ტკაცანით გაქრა.

Scanned by CamScanner

თავი მეთერთმეტე

ქრთამი

ჰარი დარწმუნებული იყო, თუ კრეჩერმა ინფერიუსებით სავსე ტბიდან ამოსვლა მოახერხა, მანდანგუსის დაჭერას, ბევრი-ბევრი, რამდენიმე საათი მოანდომოსო. ამიტომ მთელ დილას სახლში დაბორიალებდა და ელფის დაბრუნებას ელოდა. თუმცა, კრეჩერი დილითვე კი არა, დღისითაც არ დაბრუნებულა. შებინდებისას ჰარის გული დაუმძიმდა და აფორიაქდა, ვახშამმა კი, რომელიც, ძირითადად, დაობებული პურისაგან შედგებოდა და ჰერმიონმა მის გასაახლებლად უშედეგოდ სცადა ათასნაირი ტრანსფიგურაცია, სულ წაუხდინა გუნება.

კრეჩერი არც მეორე დღეს დაბრუნებულა და არც მესამე დღეს. სამაგიეროდ, გრიმოს თორმეტი ნომრის წინ, მოედანზე, მოსასხამში გახვეული ორი კაცი გამოჩნდა; დაღამების შემდეგაც იქ იდგნენ და პირდაპირ სახლისკენ იყურებოდნენ, თუმცა შენობას ვერ ხედავდნენ.

– ნამდვილად სიკვდილის მხვრელები არიან, – დაასკვნა რონმა. ის, ჰარი და ჰერმიონი სასტუმრო ოთახის ფანჯრებიდან იყურებოდნენ, – როგორ ფიქრობთ, იციან, რომ აქ ვართ?

– არა მგონია, – დაეჭვდა ჰერმიონი, თუმცა, შეშინებული ჩანდა, – თორემ სნეიპს შემოგზავნიდნენ, არა?

– იქნებ იყო და მუდის ჯადომ ენა დაუბა? – ივარაუდა რონმა.

– შეიძლება, – მიუგო ჰერმიონმა, – თორემ ეტყოდა, როგორც უნდა შემოსულიყვნენ, არა? ალბათ, გვითვალთვალებენ, როდის გამოვჩნდებით. ბოლოს და ბოლოს, ხომ იციან, რომ ეს სახლი ჰარის ეკუთვნის.

– საიდან?.. – გაუკვირდა ჰარის.

– ჯადოქართა ანდერძებს სამინისტრო ამოწმებს, არ გახსოვთ? ეცოდინებათ, რომ სირიუსმა აქაურობა შენ დაგიტოვა.

Scanned by CamScanner

გარეთ დადარაჯებული სიკვდილის მხვრელები თორმეტ ნომერ სახლში ავბედით განწყობას ამძაფრებდნენ. გარესამყაროდან ერთი სიტყვაც არ გაეგონათ მას მერე, რაც რონის მამამ პატრონუსი გამოგზავნა. დაძაბულობამ იმატა. რონი ვერ ისვენებდა და ჯიბეში საქრობელას აჩხაკუნებდა; ეს კი ჰერმიონს აცოფებდა, რადგან კრეჩერის მოლოდინში დროის მოსაკლავად „მგოსან ბიდლის ზღაპრებს" კითხულობდა და ნამდვილად არ სიამოვნებდა შუქის ყოველ წამში ანთება-ჩაქრობა.

– გაჩერდები თუ არა, ბოლოს და ბოლოს?! – დაუყვირა რონს კრეჩერის არყოფნის მესამე საღამოს, როცა სასტუმრო ოთახში კიდევ ერთხელ ჩაქრა სინათლე.

– მაპატიე, – რონმა საქრობელა დააჩხაკუნა და სინათლე დააბრუნა, – უნებურად მომდის.

– სხვა საქმე ვერ გიპოვია?

– მაგალითად, რა, საბავშვო ზღაპრების კითხვა?

– ეს წიგნი დამბლდორმა დამიტოვა, სხვათა შორის...

– მე კი საქრობელა დამიტოვა. ჰოდა, კიდევაც უნდა გამოვიყენო!

ჰარიმ მეგობრების კინკლაობას თავი აარიდა და ოთახიდან ისე გაიპარა, არც ერთს არ შეუმჩნევია. სამზარეულოსკენ დაეშვა. ქვემოთ ხშირად ჩადიოდა, რადგან დარწმუნებული იყო, კრეჩერი სწორედ აქ მოახდენს აპარაციასო. ჰოლში ჩამავალი კიბის შუამდეც არ მიეღწია, რომ სადარბაზო კარზე ჯერ კაკუნი გაისმა, მერე – ლითონის ჩხაკუნი და ჯაჭვის წკრიალი.

ჰარის ყველა ნერვი დაეჭიმა: ჯოხი ამოიღო, ელფების მოკვეთილი თავების ქვეშ ჩრდილში დაიმალა და დაელოდა. კარი გაიღო, წამით გამოჩნდა ლამპიონით განათებული მოედანი, მერე მოსასხამში გახვეული ფიგურა შემოსხლტა ჰოლში და კარი მიხურა. შემოსულმა ნაბიჯი გადმოდგა თუ არა, მუდის ხმამ იკითხა:

– სევერუს სნეიპ?

მერე ჰოლის ბოლოდან მტვრის ფიგურა წამოიმართა, შემოსულისკენ გაექანა და უსიცოცხლო ხელი აღმართა.

– მე ის არა ვარ, ვინც თქვენ მოგკლათ, ალბუს, – გაისმა წყნარი ხმა.

ჯადო გაქრა: მტვრის ფიგურა ისევ აფეთქდა და ახალმოსული მისგან ავარდნილ მტვრის სქელ ღრუბელში დაინთქა.

ჰარიმ დაუპატიჟებელ სტუმარს ჯოხი გულში დაუმიზნა და უბრძანა:

– არ გაინძრე!

მის ყვირილზე პორტრეტზე ჩამოფარებული ფარდები გადაიწია და ქალბატონი ბლექი აკივლდა:

Scanned by CamScanner

– მუქსისხლიანებმა! არარაობებმა! ბინძურმა ღორებმა სახლი წამიბილწეს...

ჰარის ზურგს უკან, კიბეზე, რონმა და ჰერმიონმა ჩამოირბინეს და ჯოხები დაუმიზნეს უცნობს, რომელიც ახლა ხელებაწეული იდგა ჰოლში.

– დაწყნარდით, მე ვარ, რემუსი!

– მადლობა ღმერთს, – თქვა ჰერმიონმა მისუსტებული ხმით და ჯოხი ქალბატონ ბლექს მიუშვირა; ფარდები ერთი მოქნევით დაიხურა და სიჩუმე ჩამოვარდა. რონმაც დაუშვა ჯოხი, ჰარის კი ისევ მომარჯვებული ჰქონდა.

– დაგვენახვე! – გასძახა პასუხად.

ლუპინი წინ გამოვიდა, ლამპის შუქზე, დანებების ნიშნად ჯერაც ხელებაწეული.

– მე ვარ, რემუს ჯონ ლუპინი, მაქცია, მეტსახელად მთვარეულა, ონავრების რუკის ოთხ ავტორთაგან ერთ-ერთი, ნიმფადორა ტონქსის ქმარი. მე გასწავლე პატრონუსის შექმნა, ჰარი, რომელიც ხარირმის ფორმას იღებს.

– კარგი, – ჰარიმ ჯოხი დაუშვა, – მაგრამ ხომ უნდა შემემოწმებინე?

– როგორც ბნელი ძალებისაგან თავდაცვის ყოფილი მასწავლებელი, გეთანხმები, რომ უნდა შეგემოწმებინე. თქვენ კი, რონ, ჰერმიონ, ასე სწრაფად არ უნდა დაგეშვათ ჯოხები.

მათ კიბე ჩაირბინეს და ლუპინთან მივიდნენ. სქელ, შავ სამგზავრო მოსასხამში გახვეული ლუპინი ქანცგაწყვეტილი, მაგრამ მათი ნახვით გახარებული ჩანდა.

– მაშ, სევერუსი არ გამოჩენილა?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – როგორ არის საქმე, ყველანი კარგად არიან?

– ჰო, – მიუგო ლუპინმა, – მაგრამ გვითვალთვალებენ. გარეთ, მოედანზე ორი სიკვდილის მხვრელია...

– ვიცით...

– ზუსტად კარის წინ, ზღურბლზე მოვახდინე აპარაცია, თორემ დამინახავდნენ. ალბათ არ იციან, რომ აქ ხარ, თორემ დარწმუნებული ვარ, გარეთ მეტი ხალხი ეყოლებოდათ; ყველა ადგილს სდარაჯობენ, სადაც შეიძლება იყო, ჰარი. დაბლა ჩავიდეთ, ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, თან ისიც მინდა გავიგო, რა მოხდა მას მერე, რაც „ბუნაგიდან“ წამოხვედით.

სამზარეულოში ჩავიდნენ, ჰერმიონმა ჯოხი ბუხრის ცხაურს მიუშვირა. მაშინვე ცეცხლი აგიზგიზდა, ქვის შიშველ კედლებს თითქოს სიმყუდროვე მიანიჭა და ხის გრძელ მაგიდას სინათლე მოჰფინა.

Scanned by CamScanner

ლუპინმა სამგზავრო მოსასხამიდან რამდენიმე ბოთლი ბურბურახი ამოიღო და ჭიქებში ჩამოასხა.

– სამი დღის წინაც მოვიდოდი, მაგრამ სიკვდილის მხვრელებს ვერ დავუძვერი, – თქვა ლუპინმა, – მაშ, ქორნილიდან პირდაპირ აქ მოხვედით?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – ჯერ ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე ვიყავით, სადაც ორი სიკვდილის მხვრელი გადაგვეყარა.

ლუპინმა ბურბურახი ლამის მთლიანად ზედ გადაისხა.

– რაო?

აუხსნეს, რაც მოხდა; ლუპინი გაოგნებული ჩანდა.

– ჰო, მაგრამ ასე სწრაფად როგორ გიპოვეს? როცა ადამიანი აპარაციას იყენებს, თუ ხელი არ მოჰკიდე და ერთად არ გაქრით, კვალში ვერ ჩაუდგები.

– ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე სასეირნოდ გამოსულებსაც რომ არ ჰგავდნენ? – თქვა ჰარიმ.

– ჩვენც გაგვიკვირდა, – ეჭვით განაგრძო ჰერმიონმა, – ვიფიქრე, იქნებ ჰარის ისევ კვალის ჯადო ადევს-მეთქი.

– შეუძლებელია, – თქვა ლუპინმა. ჰარის თითქოს ლოდი მოეხსნა გულიდან, – კვალის ჯადო რომ ედოს, მაშინ ახლაც ზუსტად ეცოდინებოდათ, რომ ჰარი აქ არის. თუმცა, მაინც ვერ ვხვდები, ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე როგორ გიპოვეს. ძალიან შემაშფოთებელია, ძალიან.

ლუპინი აფორიაქებული ჩანდა, მაგრამ ჰარის აზრით, ამ საკითხის განხილვა საჩქარო არ იყო:

– გვიამბე, რა მოხდა ჩვენი ნასვლის შემდეგ? ერთი სიტყვაც არ გაგვიგია მას მერე, რაც ბატონმა უისლიმ შემოგვითვალა, ცოცხლები ვართო.

– კინგსლიმ გადაგვარჩინა, – თქვა ლუპინმა, – კიდევ კარგი, გაგვაფრთხილა. სანამ ისინი მოვიდოდნენ, თითქმის ყველა სტუმარმა მოასწრო აპარაცია.

– სიკვდილის მხვრელები იყვნენ თუ სამინისტროს თანამშრომლები? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– ორივე. ახლა უკვე სულერთი არ არის?! – მიუგო ლუპინმა, – ათნი იქნებოდნენ, მაგრამ შენ თუ იქ იყავი, არ იცოდნენ, ჰარი. არტურმა ჭორად გაიგო, რომ თურმე შენი ადგილსამყოფელის გაგების მიზნით მოკვლამდე სკრიმჯერი აწამეს. თუ ეს მართალია, გამოდის, რომ სკრიმჯერმა არ გაგცა.

ჰარიმ რონსა და ჰერმიონს შეხედა. მათ სახეებზე ისეთივე განცვიფრება და მადლიერება ეწერათ, როგორსაც თვითონ გრძნობდა. მას სკრიმჯერი გულზე არასოდეს ეხატებოდა, მაგრამ თუ ლუპინის

Scanned by CamScanner

ნათქვამი სიმართლე იყო, გამოდის, რომ სიკვდილის წინ მინისტრს ჰარის დაცვა უცდია.

– სიკვდილის მხვრელებმა „ბუნაგი“ თავიდან ბოლომდე გაჩხრიკეს, – განაგრძო ლუპინმა, – ჭინკა იპოვეს, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გაბედეს. მერე, ვინც იქ დავხვდით, ყველას რამდენიმე-საათიანი დაკითხვა მოგვიწყვეს. ცდილობდნენ, შენი ამბავი გაეგოთ, ჰარი, მაგრამ ორდენის ნევრების გარდა, რასაკვირველია, არავინ იცოდა, რომ იქ იყავი.

ლუპინმა ერთი ყლუპი ბურბურახი მოსვა და განაგრძო:

– როცა ისინი შუა ქორწილში მოგვიცვივდნენ, დანარჩენი სიკვდ-ილის მხვრელები მთელ ქვეყანას მოედვნენ და ორდენთან დაკავ-შირებულ ყველა სახლში შეიჭრნენ. არავინ მოუკლავთ, თუმცა, ბოდიშებითაც არ შეუწუხებიათ თავი. დედალუს დიგლის სახლი დაუწვეს, მაგრამ შინ არ იყო. ტონქსის ოჯახს კრუციატუსის წყევლა მოუვლინეს. ცდილობდნენ, ეთქმევინებინათ, სად წახვედი მათი სახლიდან. კარგად აწვალეს, მაგრამ ახლა უკეთ არიან, არა უშავთ.

– სიკვდილის მხვრელებმა დამცავი შელოცვები გაარღვიეს? – ჰარის გაახსენდა, როგორ გამოადგა ეს შელოცვები იმ ღამეს, როცა ტონქსის მშობლების ბაღში ჩავარდა.

– ჰარი, ახლა ხომ სიკვდილის მხვრელებს სამინისტრო უდგას გვერდით, – აღნიშნა ლუპინმა, – თუ მოისურვებენ, მომაკვდინებელ წყევლასაც გამოიყენებენ და არც იმის შიში ექნებათ, რომ ვინმე გაიგებს ან დააპატიმრებს. ჩვენი ყველა თავდაცვითი შელოცვა გაარ-ღვიეს და როცა შემოვიდნენ, აღარც დაუმალავთ, რისთვის იყვნენ მოსულები.

– როგორ, ჰარის ადგილსამყოფლის გასაგებად ხალხი აწამეს და ბოდიშიც არ მოიხადეს?! – აღშფოთებას ვერ მალავდა ჰერმიონი.

ლუპინმა მანტიის ჯიბიდან ყოყმანით ამოიღო „დილის მისნის“ გაკეცილი ნომერი.

– აჰა, – გაზეთი ჰარის გადააწოდა, – ადრე თუ გვიან, მაინც გაიგებდი. აი, რით იმართლებენ თავს შენი დევნისთვის.

ჰარიმ გაზეთი გაასწორა. პირველ გვერდს მისი უზარმაზარი ფოტოსურათი ავსებდა. ზემოთ ასეთი სათაური ეწერა:

ი ძ ე ბ ნ ე ბ ა

ალბუს დამბლდორის

სიკვდილის თაობაზე დასაკითხად

რონმა და ჰერმიონმა აღშფოთებულებმა შეჰყვირეს, ხოლო ჰარიმ

Scanned by CamScanner

უსიტყვოდ გასწია გაზეთი; დანარჩენის წაკითხვა აღარ უნდოდა, იცოდა, რაც ეწერებოდა. ვინც კოშკის თავზე დამბლდორის სიკვდილს შეესწრო, მათ გარდა, არავინ იცოდა, ვინ იყო მკვლელი, ხოლო ჰარი, როგორც რიტა სკიტერმა უკვე მოახსენა ჯადოქართა სამყაროს, დამბლდორის ჩამოვარდნიდან რამდენიმე წუთში კოშკიდან გაქცეული დაინახეს.

– ძალიან ვწუხვარ, ჰარი, – უთხრა ლუპინმა.

– მაშ, სიკვდილის მხვრელები „დილის მისანსაც" დაეპატრონნენ? – განრისხდა ჰერმიონი.

ლუპინმა თავი დაუქნია.

– ჰო, მაგრამ, ნუთუ ხალხი ვერაფერს ხვდება?

– გადატრიალება წყნარად და, ფაქტობრივად, უხმაუროდ მოხდა, – უპასუხა ლუპინმა, – სკრიმჯერის მკვლელობის ოფიციალური ვერსია ის არის, რომ გადადგა; მის ადგილზე ახლა პიუს თიკნესია, რომელიც იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშაა.

– კი მაგრამ, მაგიის მინისტრად ვოლდემორმა რატომ არ გამოაცხადა თავი? – გაოცდა რონი.

ლუპინს გაეცინა:

– რაში სჭირდება? სინამდვილეში არის კიდეც მაგიის მინისტრი, მაგრამ რა აუცილებელია, რომ სამინისტროში მაგიდას მიუჯდეს? ყოველდღიურ საქმეებს მისი მარიონეტი თიკნესი აგვარებს, თვითონ კი შეუძლია სამინისტროს გარეთ განავრცოს ძალაუფლება. ცხადია, ბევრი მიხვდა, რაც მოხდა: ბოლო რამდენიმე დღეა, სამინისტროს პოლიტიკა ისე რადიკალურად შეიცვალა, რომ ხალხი ჩურჩულებს, ამის უკან ვოლდემორი უნდა იდგესო. თუმცა, საქმეც ეგ არის, რომ მხოლოდ ჩურჩულებენ. ხმამაღლა თქმას ვერ ბედავენ, არ იციან, ვის ენდონ და ვის – არა; ხმის ამოღებისა ეშინიათ: ვაითუ, რასაც ეჭვობენ, გამართლდეს და ოჯახები საფრთხეში ჩაყარონ. ვოლდემორი ძალიან ჭკვიანურად თამაშობს. თავი რომ მინისტრად გამოეცხადებინა, შეიძლებოდა აჯანყება მომხდარიყო, ასე კი, შენიღბულმა, ეჭვი, შიში და გაურკვევლობა დათესა.

– სამინისტროს პოლიტიკის მკვეთრი შეცვლა იმას გულისხმობს, რომ ჯადოქართა სამყარო არა ვოლდემორის, არამედ ჩემ წინააღმდეგ აამხედროს? – იკითხა ჰარიმ.

– ნაწილობრივ, – მიუგო ლუპინმა, – შენ წარმოიდგინე, ეს მოახერხეს კიდეც. დამბლდორის სიკვდილის შემდეგ შენ უნდა ყოფილიყავი ვოლდემორის წინააღმდეგ გაერთიანებისა და ბრძოლის სიმბოლო; შენ – ბიჭი, რომელიც გადარჩა. მაგრამ იმის განცხადებით, რომ შენ შეიძლება დიდებული ჯადოქრის სიკვდილში გირევია ხელი, ვოლდე-

Scanned by CamScanner

მორმა ეჭვი და შიშიც ჩაუნერგა ბევრ იმ ადამიანს, ვინც დაგიცავდა. ახლა შენი დაჭერისთვის დიდი ჯილდოა დანესებული. თანაც, სამინისტრომ მაგლური წარმოშობის ჯადოქრებსაც შეუტია, – ლუპინმა „დილის მისანზე" მიუთითა, – მეორე გვერდზე ნახე.

ჰერმიონმა ისეთივე ზიზღნარევი გამომეტყველებით გადაშალა გაზეთი, როგორითაც „შავი მაგიის საიდუმლოებანს" ფურცლავდა ხოლმე და ხმამაღლა წაიკითხა:

„მაგლური წარმოშობის ჯადოქართა რეგისტრაცია

მაგიის სამინისტრო აწარმოებს ეგრეთ წოდებული „მაგლთა ნაშობი" ჯადოქრების აღრიცხვას, რათა გაარკვიოს, თუ ვინ რიგორ იყდო ხელთ ჯადოქრული საიდუმლოებანი.

საიდუმლოებათა დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოავლინა, რომ ჯადოქრობა მხოლოდ მაშინ გადადის მემკვიდრეობით, როცა ბავშვი ჯადოქართა ოჯახში იბადება. ამიტომ, თუ არ არსებობს ჯადოქრული წარმოშობის მტკიცებულება, ცხადია, რომ ეგრეთ წოდებული მაგლური წარმოშობის პიროვნება ქურდობის ან ძალის გამოყენებით შეიძენდა ჯადოქრობის უნარს.

მაგიის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, აამოძირკვოს მაგიური ძალის ასეთი უზურპატორები და ამ მიზნით მოწვევა გაუგზავნა ეგრეთ წოდებულ „მაგლთა ნაშობ" თითოეულ ჯადოქარს, რათა მათ გასაუბრება გაიარონ მაგლური წარმოშობის ჯადოქართა რეგისტრაციის ახლად შექმნილ კომისიაში."

– ხალხი ამას არ დაუშვებს, – გაოგნდა რონი.

– ცდები, რონ, – მიუგო ლუპინმა, – სანამ ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგლური წარმოშობის ჯადოქრებს უკვე ნახირივით ერეკებიან სამინისტროში.

– ჰო, მაგრამ რას ნიშნავს „ჯადოქრობის მოპარვა"? – იკითხა რონმა, – რა სიგიჟეა! ჯადოქრობის უნარის მოპარვა რომ შეიძლებოდეს, სქვიბებიც ხომ აღარ იარსებებდნენ?

– ვიცი, – უთხრა ლუპინმა, – მაგრამ თუ ვერ დაამტკიცე, რომ ერთი ჯადოქარი მაინც გყავს ახლო ნათესაობაში, ჩაითვლება, რომ ჯადოქრული ძალა უკანონოდ მოგიპოვებია და სასჯელის ღირსი ხარ.

რონმა ჰერმიონს გადახედა:

– და თუ წმინდასისხლიანები და შერეულსისხლიანები დაიფიცე-

Scanned by CamScanner

ბენ, რომ მაგლური წარმოშობის ჯადოქარი მათი ნათესავია? მე ყველას ვეტყვი, ჰერმიონი ჩემი ბიძაშვილია-მეთქი...

ჰერმიონმა რონს ხელზე ხელი მოუჭირა.

– გმადლობ, რონ, მაგრამ მაგის ნებას არ მოგცემ...

– სხვა რა გზა გაქვს, – შეაწყვეტინა რონმა და თვითონაც მოუჭირა ხელი, – ჩვენს გენეალოგიურ ხეს შეგასწავლი და სამინისტროში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ გაგიჭირდება.

ჰერმიონმა სიმწრით გაიცინა:

– რონ, მაშინ, როცა ჰარი პოტერთან, ანუ იმ ადამიანთან ერთად ვართ გაქცეულები, რომელიც ყველაზე დიდი ძებნილია ქვეყანაში, წარმოშობას მნიშვნელობა აღარ აქვს. ისევ სკოლაში რომ ვბრუნდებოდეთ, კიდევ – ჰო. ჰოგვორტსს რაღას უპირებს ვოლდემორი? – მიუბრუნდა ლუპინს.

– სკოლაში ყველა ახალგაზრდა ჯადოქარმა უნდა იაროს, – მიუგო ლუპინმა, – ეს გუშინ გამოაცხადეს. წინათ სავალდებულო არ იყო. რასაკვირველია, ბრიტანეთში თითქმის ყველა ჯადოქარს ჰოგვორტსი აქვს დამთავრებული, მაგრამ მშობლებს უფლება ჰქონდათ, შვილისთვის შინ მიეცათ განათლება ან, სურვილისამებრ, უცხოეთში გაეგზავნათ. ახლა კი ვოლდემორს ჯადოქარი მოსახლეობა ბავშვობიდანვე თვალწინ ეყოლება. თან მაგლური წარმოშობის ჯადოქრების განდევნაც გაადვილდება, იმიტომ, რომ სანამ სტუდენტს სკოლაში სწავლის ნებას დართავენ, სისხლის სტატუსი უნდა მიენიჭოს, ანუ მაგიის სამინისტროს უნდა დაუმტკიცოს, რომ ჯადოქრული წარმოშობისაა.

ჰარი ზიზღითა და ბრაზით აივსო. ვინ იცის, ამ წუთში რამდენი მაგლური წარმოშობისა და შერეულსისხლიანი თერთმეტი წლის ჯადოქარი მღელვარებით დაჰყურებს ახლად ნაყიდი სახელმძღვანელოების გროვას და არ იცის, რომ ვერც ჰოგვორტსს ნახავს თვალით და, ვინ იცის, ვერც მშობლებს.

– ეს... ეს... – წაიბუტბუტა. ცდილობდა, ისეთი სიტყვები მოენახა, რომლებიც მის საშინელ ფიქრებს გამოხატავდა, მაგრამ ლუპინმა წყნარად უთხრა:

– ვიცი, რასაც ფიქრობ, ჰარი, – შემდეგ შეყოყმანდა და განაგრძო, – იცი, თუ არ გამიმხელ, გაგიგებ, მაგრამ ორდენში ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ დამბლდორმა რაღაც მისია დაგიტოვა.

– კი, დამიტოვა, – მიუგო ჰარიმ, – რონი და ჰერმიონიც მონაწილეობენ და მომყვებიან.

– ვერ გამიმხელ, რა დაგავალა?

ჰარიმ შეხედა ლუპინის ნაადრევად დაღარულ, სქელი,

Scanned by CamScanner

ჭაღარაშერეული თმით შემორკალულ სახეს და იფიქრა, ნეტავ შემეძლოს, სხვა პასუხი გავცეო.

– არ შემიძლია, რემუს, მაპატიე. თუ დამბლდორს არ უთქვამს, ვერც მე გეტყვი.

– ვიცოდი, რომ ასე მიპასუხებდი, – უთხრა იმედგაცრუებულმა ლუპინმა, – მაგრამ იქნებ მაინც გამოგადგე. ხომ იცი, ვინც ვარ და რაც შემიძლია. წამოგყვებით და თქვენი მცველი ვიქნები. თუ გინდა, ზუსტად ნურც მეტყვი, რას აპირებთ.

ჰარი შეყოყმანდა. ძალიან მაცდური წინადადება იყო, თუმცა, ვერ წარმოიდგინა, დავალებას ლუპინისაგან საიდუმლოდ როგორღა შეინახავდნენ, თუკი ისიც მუდამ მათთან იქნებოდა.

ამ დროს ჰერმიონმა იკითხა:

– მერე, ტონქსი?

– რა შუაშია ტონქსი? – მიუბრუნდა ლუპინი.

– რა და... – შეყოყმანდა ჰერმიონი, – ახლახან დაქორწინდით. რას ფიქრობს ტონქსი შენს წამოსვლაზე?

– ტონქსი უხიფათოდ იქნება, – მშრალად თქვა ლუპინმა, – მშობლების სახლში დარჩება.

ლუპინის ხმაში რაღაც უცნაური სიცივე იგრძნობოდა. ისიც უცნაური იყო, რომ ტონქსი მშობლების სახლში უნდა დამალულიყო; ბოლოს და ბოლოს, აურორი იყო და, რამდენადაც ჰარიმ იცოდა, ბრძოლას სულაც არ გაურბოდა.

– რემუს, – ფრთხილად დაიწყო ჰერმიონმა, – ყველაფერი კარგად არის... ტონქსსა და...

– ყველაფერი მშვენივრადაა, გმადლობ, – შეაწყვეტინა ლუპინმა.

ჰერმიონი გაწითლდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ლუპინმა თავს ძალა დაატანა, თითქოს რაღაც უსიამოვნო უნდა გაამხილოსო და როგორც იქნა, ამოთქვა:

– ტონქსი ბავშვს ელოდება.

– რა კარგია! – სახე გაებადრა ჰერმიონს.

– გადასარევია! – აღტაცებით თქვა რონმა.

– გილოცავ! – უთხრა ჰარიმაც.

ლუპინმა ძალდატანებით გაიღიმა, უფრო სწორად, დაიჭყანა:

– მაშ... თანახმა ხართ? გავხდეთ ოთხნი? არა მგონია, დამბლდორი წინააღმდეგი ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, ბნელი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებლად დამნიშნა. იმასაც გეტყვით, რომ ისეთ მაგიასთან გვაქვს საქმე, როგორსაც ბევრი ჩვენგანი არასოდეს შეჯახებია და ვერ წარმოუდგენია.

რონმა და ჰერმიონმა ჰარის შეხედეს.

Scanned by CamScanner

– გულახდილად მითხარი, ტონქსი მშობლების სახლში გინდა დატოვო და ჩვენ წამოგვყვე? – ჰკითხა ჰარიმ.

– მათთან არაფერი გაუჭირდება, მიხედავენ! – კატეგორიულად, ლამის გულგრილად თქვა ლუპინმა, – ჰარი, დარწმუნებული ვარ, ჯეიმსს ენდომებოდა, რომ შენთან ერთად ვყოფილიყავი.

– ჰო? – მშვიდად იკითხა ჰარიმ, – მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მამაჩემს იმის გაგება ენდომებოდა, შენს შვილთან ერთად რატომ არ უნდა იყო.

ლუპინს ფერი დაეკარგა. სამზარეულოში თითქოს ტემპერატურა 10 გრადუსით დაეცა. რონმა ისეთი ყურადღებით დაიწყო ოთახის თვალიერება, გეგონება, უბრძანეს, აქაურობა კარგად დაიმახსოვრეო. ჰერმიონი ხან ჰარის შესცქეროდა, ხან – ლუპინს.

– შენ ვერ გამიგე, – თქვა ბოლოს ლუპინმა.

– ჰოდა, გამაგებინე, – უთხრა ჰარიმ.

ლუპინმა ნერწყვი გადაყლაპა.

– მე... ძალიან შევცდი, ტონქსი რომ შევირთე. ჩემი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მოვიქეცი და მას მერე ძალიან ვნანობ.

– მესმის, – უთხრა ჰარიმ, – ჰოდა, ახლა თავიდან უნდა მოიშორო ისიცა და ბავშვიც და ჩვენთან ერთად გაიქცე?

ლუპინი ისე სწრაფად წამოხტა, რომ სკამი გადაყირავდა. მძვინვარედ შეხედა სამივეს და ჰარიმ მის სახეზე პირველად შეამჩნია მგლის იერი.

– ნუთუ ვერ ხვდები, რა ვუქენი ჩემს ცოლსა და ჯერაც დაუბადებელ ბავშვს? არ უნდა შემერთო! ჩემ გამო საზოგადოებისგან გარიყულებად იქცნენ!

ლუპინმა გადაყირავებულ სკამს წიხლი ჰკრა.

– შენ მხოლოდ ორდენში ან ჰოგვორტსში გინახივარ, სადაც დამბლდორი მიცავდა და არ იცი, რა თვალით უყურებს ჩემნაირებს თითქმის მთელი ჯადოქრული საზოგადოება. ჩემი სენის შესახებ რომ გაიგებენ, ხმის გაცემასაც აღარ კადრულობენ. ვერ ხვდები, რაც ჩავიდინე? არც ტონქსის დედ-მამას ეხატება გულზე ჩვენი ცოლქმრობა. რომელ მშობელს უნდა, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი მაქციას გაჰყვეს? და ბავშვი...

ლუპინმა ორივე ხელი თმაზე იტაცა; გიჟს ჰგავდა.

– ჩემნაირებს ნორმალური შვილები არ ჰყავთ! ზუსტად ვიცი, ბავშვიც მე დამემგვანება. როგორ ვაპატიო თავს, რომ განზრახ წავედი რისკზე და ჩემი უბედურება მემკვიდრეობით გადავეცი უცოდველ ბავშვს? და თუ სასწაული მოხდა და არ დამემგვანა, ათასჯერ უკეთესი იქნება, მამა არ ჰყავდეს. ისეთი მამა, რომლისაც მუდამ შერცხვება!

Scanned by CamScanner

– რემუს, – ნაიჩურჩულა თვალზე ცრემლმომდგარმა ჰერმიონმა, – მაგას ნუ ამბობ. შენი მამობისა რომელ ბავშვს შერცხვება?

– არ გეთანხმები, ჰერმიონ, მე ნამდვილად შემრცხვებოდა, – ცივად თქვა ჰარიმ.

ჰარიმ არ იცოდა, რატომ, მაგრამ მრისხანებამ ფეხზე წამოაგდო. ლუპინი ისე უყურებდა, თითქოს სილა გააწნესო.

– თუ ახალ რეჟიმს მაგლური წარმოშობის ჯადოქრები უვარგისები ჰგონია, რაღას უზამენ ნახევარმაქციას, რომლის მამაც ფენიქსის ორდენის წევრია? მამაჩემი ჩემი და დედაჩემის დაცვისას მოკვდა. როგორ ფიქრობ, გეტყოდა, შვილი მიატოვე და თავგადასავლის საძიებლად წადიო? – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

– როგორ... როგორ მიბედავ? – გაოგნდა ლუპინი, – მე არც... ხიფათს ვეძებ და არც სახელს... როგორ ბედავ ასეთ...

– მე მგონი, ცოტა გართობა მოგინდა, – განაგრძო ჰარიმ, – სირიუსს ბაძავ...

– ჰარი, გაჩუმდი, – შეევედრა ჰერმიონი. ჰარიმ თვალი თვალში გაუყარა გაფითრებულ ლუპინს.

– როგორ ვიფიქრებდი, რომ ის კაცი, ვინც დემენტორებთან ბრძოლა მასწავლა, ლაჩარი იქნებოდა!

ლუპინმა ისე სწრაფად ამოიღო ჯოხი, რომ ჰარი თავისას ვერც კი მისწვდა; გაისმა ხმამაღალი ბრახუნი და ჰარი გაფრინდა, თითქოს მუშტი უთავაზესო, სამზარეულოს კედელს მიასკდა, იატაკზე ჩამოცურდა და მხოლოდ იმასღა მოჰკრა თვალი, როგორ გაქრა კარში ლუპინის მოსასხამის ბოლო.

– რემუს, რემუს, დაბრუნდი! – ყვიროდა ჰერმიონი, მაგრამ ლუპინმა ხმა არ გასცა. წამის შემდეგ სადარბაზო კარის ჯახუნი მოესმათ.

– ჰარი... – ატირდა ჰერმიონი, – ეს როგორ ჩაიდინე?

– ძალიან ადვილად, – მიუგო ჰარიმ. იგრძნო, რომ იმ ადგილას, სადაც თავი კედელს მიარტყა, კოპი ამოსდიოდა. ჯერაც ბრაზით ცახცახებდა.

– ეგრე ნუ მიყურებ! – შეუბღვირა ახლა რონს.

– რას დაეტაკე?

– არა, არა, არ უნდა ვიჩხუბოთ! – შუაში ჩადგა ჰერმიონი.

– ლუპინთან ეგრე არ უნდა გელაპარაკა, – ჩაილაპარაკა რონმა.

– ღირსია, – უთხრა ჰარიმ. გონებაში ერთმანეთის მიყოლებით გაურბინა სურათებმა: როგორ გადაეშვა სირიუსი ფარდის მიღმა, როგორ დაეკიდა ჰაერში კოშკიდან გადავარდნილი დამბლდორი; როგორ გაიელვა მწვანე შუქმა და როგორ ითხოვდა შეწყალებას დედის ხმა...

Scanned by CamScanner

– მშობლებმა ბავშვები არ უნდა მიატოვონ, – ცახცახებდა ჰარი, – იმ შემთხვევის გარდა, თუ სხვა გზა არა აქვთ.

ჰერმიონმა ხელი გაუწოდა, რომ ენუგეშებინა, მაგრამ ჰარიმ მხარი აუკრა და გვერდზე გადგა, თან ბუხარში გაჩაღებულ ცეცხლს მიაშტერდა. ამ ბუხრიდან ელაპარაკა ერთხელ ლუპინს. უნდოდა, ჯეიმსის თაობაზე ვინმესთვის რამე ეკითხა და მაშინ სწორედ ლუპინმა გაუფანტა მტანჯველი ეჭვები. მისი ტანჯული, უფერული სახე ახლაც თვალწინ ედგა. სინდისის საშინელი ქენჯნა ტალღასავით მოაწვა. არც რონი ამბობდა რამეს და არც ჰერმიონი, მაგრამ გრძნობდა, რომ მის ზურგს უკან ერთმანეთს უყურებდნენ და თვალებით საუბრობდნენ.

მოტრიალდა და შემცბარმა ჩაილაპარაკა:

– ვიცი, რომ ლაჩარი არ უნდა მეწოდებინა.

– არ უნდა გეწოდებინა, – დაუდასტურა რონმა.

– მაგრამ ლაჩარივით იქცევა.

– მაინც არ... – დაიწყო ჰერმიონმა.

– ვიცი, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – მაგრამ თუ ეს სიტყვები ტონქსთან დააბრუნებს, ესე იგი, კარგად მოვქცეულვარ.

ხმაში მაინც შეეპარა თავის მართლების სურვილი. ჰერმიონი თანაგრძნობით უყურებდა, რონი ჯერ ისევ თვალებით ბურღავდა. ჰარიმ თავი ჩაღუნა და მამა გაახსენდა. ნეტავ, გაამართლებდა ჯეიმსი იმაში, რაც ლუპინს უთხრა, თუ ეწყინებოდა, ჩემს ძველ მეგობარს როგორ აკადრეო?

მიჩუმებულ სამზარეულოში თითქოს ცოტა ხნის წინანდელი სცენის ექო და რონისა და ჰერმიონის უთქმელი საყვედურები გუგუნებდა. ლუპინის მოტანილი „დილის მისანი“ ისევ მაგიდაზე იდო. პირველ გვერდზე დაბეჭდილი ჰარის სურათი ჭერს აჰყურებდა. ჰარი მივიდა, დაჯდა, გაზეთი ალალბედზე გაშალა და ვითომ კითხვა დაიწყო. სიტყვებიდან აზრი ვერ გამოჰქონდა. მისი გონება ჯერაც ლუპინთან ჩხუბს დასტრიალებდა. დარწმუნებული იყო, რონმა და ჰერმიონმა გაზეთის მეორე მხარეს თავიანთი უხმო საუბარი განაახლეს. „მისანი“ ხმაურით გადაფურცლა და უცებ დამბლდორის გვარი შემოეფეთა. ორიოდე წამი დასჭირდა, სანამ ფოტოსურათს კარგად გაარჩევდა. ოჯახის ფოტო იყო. ქვეშ ეწერა: „დამბლდორების ოჯახი, მარცხნიდან მარჯვნივ: ალბუსი, პერსივალი ჩვილ არიანასთან ერთად, კენდრა და აბერფორტი.“

სურათმა დააინტერესა და დააკვირდა. დამბლდორის მამა, პერსივალი, მიმზიდველი კაცი იყო, თვალები თითქოს ამ ძველ, გახუნებულ ფოტოზეც კი უციმციმებდა. პაწაწინა, არაფრით გამორჩეული არიანა მოგრძო პურზე დიდი არ იქნებოდა. დედას, კენდრას,

Scanned by CamScanner

ყორნისფერი თმა მაღლა აევარცხნა და ცხენის კუდივით შეეკრა. გამოკვეთილი სახე ჰქონდა. შავი თვალებით, მაღალი ყვრიმალებით, სნორი ცხვირითა და თავდაჭერილობით ინდიელს წააგავდა. ყელდახურული აბრეშუმის კაბა ეცვა. ალბუსი და აბერფორტი ერთნაირ, მაქმანისსაყელოიან მანტიებში იყვნენ გამოწყობილები და ერთნაირი, მხრებამდე ჩამოზრდილი თმა ჰქონდათ. ალბუსი რამდენიმე წლით უფროსი ჩანდა. სხვაფრივ ბიჭები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, რადგან ამ ფოტოზე ალბუსს ჯერ ცხვირი გატეხილი არ ჰქონდა და არც სათვალე ეკეთა.

ბედნიერი, სრულიად ნორმალური ოჯახი ჩანდა. გაზეთიდან მშვიდად იღიმებოდნენ. არიანას პლედიდან ხელი გამოეყო და ანგარიშმიუცემლად იქნევდა. ჰარიმ სურათის ზემოთ სათაური წაიკითხა:

ექსკლუზიური ნაწყვეტი წიგნიდან

ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე

წიგნი სულ ძალე გაჩნდება წიგნის მაღაზიებში

ავტორი: **ჩიტა სკიტერი**

ჰარიმ იფიქრა, როგორც ვარ, იმაზე უარესად ხომ არ გავხდებიო, და კითხვა დაიწყო:

„ამპარტავანმა და ქედმაღალმა კენდრა დამბლდორმა ქმრის, პერსივალის გახმაურებული დაპატიმრებისა და აზკაბანში ჩასმის შემდეგ მაულდ-ონ-ზე-ვაულდში დარჩენა ვეღარ აიტანა და გადაწყვიტა, გოდრიკ ჰოლოუში გადასახლებულიყო – სოფელში, რომელიც ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჰარი პოტერი უცნაურად გადაურჩა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას.

გოდრიკ ჰოლოუში, ისევე, როგორც მაულდ-ონ-ზე-ვაულდში, ბევრი ჯადოქრული ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ კენდრა არავის იცნობდა, ამიტომ მისი ქმრის დანაშაულის შესახებ იმდენ ცნობისმოყვარობას არ გამოიჩენდნენ, რამდენსაც იმ სოფელში, სადაც წინათ ცხოვრობდა. მან სტუმრად მისული ახალი მეზობლები იმდენჯერ გააბრუნა უკან, რომ ძალე თავისას მიაღწია და მათ ოჯახს თავი დაანებეს.

„კარდალა-ნაშცხვრებით ხელდამშვენებული მივადექი, მაგრამ კარი ცხვირწინ მომიჯახუნა, – იხსენებს ბათილდა ბეგშოთი, – მთელი ერთი წელი ბიჭების შეტი არავინ დამინახავს. არც მეცოდინებოდა,

Scanned by CamScanner

რომ გოგოც ჰყავდათ, დამბლდორების გადმოსვლის მეორე ზამთარს მთვარის შუქზე პლანგენტინიას მოსაკრეფად რომ არ გამოვსულიყავი და არ დამენახა, როგორ გამოიყვანა კენდრამ არიანა უკანა ეზოში. მთელი ეზო შემოატარა ისე, რომ ხელი არ გაუშვია და ისევ შინ შეიყვანა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა."

ეტყობა, კენდრამ იფიქრა, რომ გოდრიკ ჰოლოუში გადასახლებით მშვენიერი შესაძლებლობა ეძლეოდა, ერთხელ და სამუდამოდ გადაემალა არიანა, რასაც, ალბათ, წლების მანძილზე გეგმავდა. დროც ემთხვევა: არიანა შვიდი წლისა ძლივს იყო, როცა მხედველობის არიდან გაქრა. შვიდი წელი კი ის ასაკია, როცა, სპეციალისტების აზრით, ჯადოქრობის უნარმა თავი უნდა იჩინოს. ცოცხალთაგან არავის ახსოვს, რომ არიანას ერთხელ მაინც გამოევლინოს ჯადოქრობის ნიჭის უმცირესი ნაშანიც კი. ამიტომ ცხადია, კენდრამ ამჯობინა, დაემალა ქალიშვილი, ვიდრე ეღიარებინა, რომ სქვიბი ეყოლა და სირცხვილით დამწვარიყო. ნათესავ-მეგობრებისაგან მოშორებით გადასახლება, რასაკვირველია, გააიოლებდა უმნეო გოგონას სახლში გამოკეტვას. ის რამდენიმე ადამიანი კი, რომლებმაც იცოდნენ არიანას არსებობის შესახებ, სანდო ხალხი იყო და საიდუმლოს არ გასცემდნენ. ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა კენდრას ორივე ვაჟი, რომლებიც, თუ ვინმე უხერხულ შეკითხვას დაუსვამდა დაზე, ისე უპასუხებდნენ, როგორც დედამ დაარიგა: „ჩემს დას ჯანმრთელობა არ უნყობს ხელს და სკოლაში ვერ დადის"...

მომდევნო კვირას:

ალბუს დამბლდორი ჰოგვორტსში – წარმატება და თვალთმაქცობა

ჰარი შეცდა: წაკითხულმა უარესად გახადა. ისევ დახედა ბედნიერი ოჯახის ფოტოს. ნუთუ ეს მართალია? როგორ დაადგინოს სიმართლე? გოდრიკ ჰოლოუში უნდა წასვლა, თუნდაც ბათილდას ვერ შეხვდეს, იმ ადგილს მაინც ნახავს, სადაც მან და დამბლდორმა ახლობლები დაკარგეს. ის იყო, გაზეთი დადო და დააპირა, რონსა და ჰერმიონს ვკითხავ, რას ფიქრობენო, რომ სამზრეულოში გამაყრუებელი ტკაცანი გაისმა.

ბოლო სამი დღის განმავლობაში კრეჩერი პირველად გადაავიწყდა. ჯერ ეგონა, ისევ ლუპინი შემოვარდაო და დაბნეულმა ძლივს გაარჩია, რომ მისი სკამის გვერდით ერთმანეთში გადახლართული

Scanned by CamScanner

ხელ-ფეხი გაჩნდა. ჰარი წამოხტა. კრეჩერიც გაჭირვებით წამოდგა, ჰარის თავი დაუკრა და დაიჩხავლა:

– კრეჩერი დაბრუნდა და ქურდი მანდანგუს ფლეტჩერიც მოიყვანა, ბატონო.

მანდანგუსიც წამოდგა და ჯოხი მოიმარჯვა, მაგრამ ჰერმიონმა დაასწრო:

– ექსპელიარმუს! – და მანდანგუსის ჰაერში აფრენილი ჯოხი დაიჭირა. მანდანგუსმა თვალები დააცეცა და კიბისკენ გაიქცა. რონმა გამოცდილი რაგბისტივით სტაცა ხელი ფეხებში და ბრაგვანით დასცა იატაკზე.

– რა მოხდა? – ყვიროდა მანდანგუსი და იკლაკნებოდა, რომ როგორმე რონს გასხლტომოდა, – რა დავაშავე? ეს ოხერი ელფი რატომ დამადევნეთ, რა გინდათ? გამიშვით, გამიშვით...

– შენ ადგილზე მაგდენს არ ვიყვირებდი, – ჰარიმ გაზეთი მოისროლა, რამდენიმე ნაბიჯით გადაჭრა სამზარეულო და მანდანგუსის გვერდით ჩაიმუხლა. მანდანგუსმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და შიში დაეტყო. აქოშინებული რონი ადგა და უყურებდა, როგორ დაუმიზნა ჰარიმ ჯოხი მანდანგუსის ცხვირს. მანდანგუსი ოფლისა და თამბაქოს სუნად ყარდა, თმა გასჩეჩოდა და მანტია დალაქავებოდა.

– კრეჩერი პატიებას ითხოვს, რომ ქურდის მოყვანა დააგვიანა, ბატონო, – დაიჩხავლა ელფმა, – ფლეტჩერმა იცის, როგორ გაექცეს მდევარს, არც სოროები აკლია და არც დამქაშები. მაგრამ კრეჩერმა ბოლოს მაინც მიიმწყვდია ქურდი.

– ძალიან იყოჩაღე, კრეჩერ, – მოუწონა ჰარიმ. ელფმა თავი დაუკრა.

– აბა, ახლა რაღაც უნდა გკითხოთ, – მიუბრუნდა ჰარი მანდანგუსს. ის კი მაშინვე აყვირდა:

– შემეშინდა, მერე რა! წამოსვლა არც მინდოდა. ჩემო ძმაო, არ გეწყინოს და, როდის გითხარი, შენ მაგივრად მოვკვდები-მეთქი? თან, ჩვენ-რომ-ვიცით, ის ოხერიც ჩემკენ მოფრინავდა. ვინ არ გაიქცეოდა! ხომ გთხოვდით, მაგ საქმეში ნუ გამრევთ-მეთქი...

– ისე, რომ იცოდე, დანარჩენებს არც ერთს არ გამოგვიყენებია აპარაცია, – უთხრა ჰერმიონმა.

– ჰოდა, გმირებიც თქვენ ყოფილხართ. მაგრამ მე როდის ვამბობდი, გმირი ვარ და თავის მოკვლა მინდა-მეთქი?

– არ გვაინტერესებს, რატომ მიატოვე მრისხანეთვალა, – ჰარიმ ჯოხი მანდანგუსის ქუთუთოგასიებულ თვალებს მიუახლოვა, – ისედაც ვიცოდით, რომ შენნაირი ნაგვის ნდობა არ შეიძლებოდა.

Scanned by CamScanner

– მაშ, ელფები რაღა ჯანდაბად მომისიეთ? ისევ იმ თასების გულისთვის? ერთიც აღარ დამრჩა, თორემ მოგცემდი...

– არც თასები გვაინტერესებს, თუმცა, ცოტა ახლოს ხარ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – ენა ჩაიგდე და მისმინე.

მშვენიერი იყო, საქმე რომ გაუჩნდა და ვილაცისგან მაინც მოითხოვდა ცოტაოდენ სიმართლეს. ჰარის ჯოხი ახლა ისე ახლოს იყო მანდანგუსის ცხვირთან, რომ მანდანგუსმა თვალები დააელმა, რათა ჯოხი მხედველობის არეში მოექცია.

– როცა ამ სახლიდან ყველაფერი გაზიდე, რასაც ფასი ჰქონდა... – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ მანდანგუსმა ისევ შეაწყვეტინა.

– რაში სჭირდებოდა სირიუსს ეს ხარახურა...

გაისმა ბუტბუტი და რაღაცამ გაიელვა. ამას ბრაგვანი და ტკივილით სავსე ბღავილი მოჰყვა: კრეჩერმა მანდანგუსს თავში სპილენძის ქვაბი ჩასცხო.

– გააჩერე! ჩაკეტე ეს წყეული, ესა! – აბღავლდა მანდანგუსი და მოიკუნტა, რადგან კრეჩერმა ისევ ასწია მძიმე ქვაბი.

– კრეჩერ, გაჩერდი! – დაუყვირა ჰარიმ.

კრეჩერს წვრილი მკლავები ქვაბის სიმძიმით უკანკალებდა, მაგრამ ძირს მაინც არ უშვებდა.

– ერთსაც ჩავარტყამ, ბატონო ჰარი და მაშინვე ალაპარაკდება.

რონს გაეცინა.

– გონდაკარგული არ გამოგვადგება, კრეჩერ, მაგრამ თუ დარწმუნება დასჭირდება, გპირდები, მაშინვე მოგცემ ჩარტყმის უფლებას, – უთხრა ჰარიმ.

– მადლობელი ვარ, ბატონო, – თავი დაუკრა კრეჩერმა, გვერდზე გადგა და დიდი, უფერული თვალებით ისევ ზიზღით მიაშტერდა მანდანგუსს.

ჰარიმ ისევ დაიწყო:

– როცა ამ სახლიდან ყველაფერი გაზიდე, რაც კი ფასეული იპოვე, საკუჭნაოდანაც მთელი გროვა რამერუმეები წააყოლე. იქ ერთი მედალიონი იყო, – ჰარის უცებ პირი გაუშრა. რონისა და ჰერმიონის დაძაბულობაც შეიგრძნო, – რა უყავი?

– რა, ძვირფასია? – ჰკითხა მანდანგუსმა.

– ისევ შენ გაქვს?! – იყვირა ჰერმიონმა.

– არაფერიც არა აქვს! – მიხვდა რონი, – უბრალოდ, აინტერესებს, უფრო ძვირად ხომ არ უნდა გაეყიდა.

– ძვირად? – თქვა მანდანგუსმა, – ძვირად არა, ისა! გავაჩუქე!.. სხვა გზა არ მქონდა...

– რას ამბობ?

Scanned by CamScanner

– მრუმე ქუჩაზე რაღაცეებს ვყიდდი. ის ქალი მოვიდა და მკითხა, ლიცენზია გაქვს, მაგიური რელიკვიებით რომ ვაჭრობო? ოხერი ჯაშუში! უნდა დავეჯარიმებინე, მაგრამ მერე ის მედალიონი თვალში მოუვიდა და მითხრა, ამას წავიღებ და დღეს გაგიშვებ, ბედი გქონიაო.

– ვინ იყო ის ქალი? – ჰკითხა ჰარიმ.

– რა ვიცი, ვიღაც სამინისტროელი კუდიანი.

მანდანგუსი წამით დაფიქრდა და შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა.

– ლოტოს კოჭივით იყო, თავზე ბაფთა ეკეთა... გომბეშოს ჰგავდა.

ჰარის ჯოხი გაუვარდა, მანდანგუსს ცხვირზე დაეცა, წითელი ნაპერწკლები შეაყარა და წარბებზე ცეცხლი წაუკიდა.

– აგუამენტი! – შეჰკივლა ჰერმიონმა. მისი ჯოხიდან წყალმა იფეთქა, მანდანგუსს გადაესხა და კინაღამ დაახრჩო.

შეშფოთებულმა ჰარიმ მეგობრებს ახედა. ორივენი გაშეშებულები იდგნენ. ჰარის მარჯვენა ხელის ზურგზე თითქოს ნაიარევი ისევ აეწვა.

Scanned by CamScanner

თავი მეთორმეტე

მაგიპ ყოვლისშემძლეპ

აგვისტო იწურებოდა. გრიმოს მოედნის ცენტრში მობიბინე ბალ-ახი მზემ გაახმო და გააყვითლა. მეზობელი სახლების ბინადრებს არც თორმეტი ნომერი სახლის მცხოვრებლები ენახათ ოდესმე და არც თვითონ თორმეტი ნომერი სახლი. იქაური მაგლები დიდი ხანია შეურიგდნენ დანომრვისას დაშვებულ სასაცილო შეცდომას, რომლის შედეგადაც თერთმეტი ნომერი სახლის გვერდით ცამეტი ნომერი სახლი იდგა.

ჰოდა, გასაოცარი ის იყო, რომ სკვერი ახლა განუწყვეტლივ იზიდავდა მნახველებს, რომლებსაც თითქოსდა ეს ანომალია აინ-ტერესებდათ. დღე არ გავიდოდა, რომ გრიმოს მოედანზე ერთი-ორი კაცი მაინც არ მოსულიყო, რომლებსაც სხვა მიზანი არ ჰქონდათ (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა), გარდა იმისა, რომ თერთმეტი და ცამეტი ნომერი სახლების ღობეების გადაკვეთას მისჩერებოდნენ. არც ერთი მზვერავი ზედიზედ ორჯერ არ მოსულა, თუმცა, ყველა მათგანს გამორჩეულად ეცვა. ლონდონელები შეჩვეულები იყვნენ უცნაურად გამოწყობილ ხალხს და ამიტომ მოედანზე მოყურყუტე ხალხსაც თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ შიგადაშიგ რომელიმე გამვლელი მაინც გაოცებული შეათვალიერებდა ხოლმე, ნეტავი ამ პაპანაქებაში მოსასხამი რად უნდათო.

მოთვალთვალეებს, ეტყობა, დიდად არ სიამოვნებდათ მორიგეობა. დროდადრო რომელიმე მზვერავი კისერს წაიგრძელებდა, თითქოს ეღირსა და საინტერესო რამ დაინახაო, მაგრამ ისევ იმედგაცრუებული იხევდა უკან.

პირველ სექტემბერს მოედანზე სათვალთვალოდ წინანდელზე მეტი ხალხი მოგროვდა. ხუთიოდე გრძელმოსასხამიანი კაცი ჩუმად იდგა და თერთმეტ და ცამეტ ნომერ სახლებს სდარაჯობდა, მაგრამ

Scanned by CamScanner

მათ ლოდინს შედეგი არ მოჰყოლია. საღამოს, როცა მრავალკვირიანი გვალვის შემდეგ მოულოდნელად წამოვიდა გრილი წვიმა, თითქოს ისევ შეამჩნიეს რაღაც საინტერესო. მრუდესახიანმა კაცმა ხელი გაიშვირა, მის გვერდით მდგომი ფერმკრთალი, ჩაფსკვნილი კაცი კი წინ გაიჭრა, მაგრამ წამის შემდეგ ორივე ისევ ნირწამხდარი და იმედგაცრუებული წინანდელ უმოძრაო მდგომარეობას დაუბრუნდა.

ზუსტად ამ დროს თორმეტი ნომერი სახლის ჰოლში ჰარი შევიდა. ზედ სადარბაზო კარის წინ, ზღურბლზე მოახდინა დისაპარაცია. დაშვებისას წაიბორძიკა, უჩინმაჩინის მოსასხამიდან წამით იდაყვი გამოუჩნდა და გაიფიქრა, ალბათ, სიკვდილის მხვრელებმა კიდეც მოჰკრეს თვალიო. ჰოლში შესულმა სადარბაზო კარი ფრთხილად მიხურა, მოსასხამი გადაიძრო, აჩქარებით გაუყვა პირქუშ დერეფანს და სარდაფში ჩამავალი კარისკენ გაემართა. ხელში მოპარული „დილის მისანი“ ეჭირა.

მისალმებასავით გაისმა ნაცნობი ჩურჩული: „სევერუს სნეიპ?“ დაუბერა ცივმა ქარმა და წამით ენა სასაზე აეკრა.

– მე არ ვარ თქვენი მკვლელი, – თქვა ჰარიმ, როგორც კი ენა გაუსწორდა და სუნთქვა შეიკრა, როცა მტვრის მოჩვენება აფეთქდა. სანამ მტვრის ბუღში გაივლიდა და სამზარეულომდე მიაღწევდა (აქ უკვე ქალბატონ ბლექს მისი ხმა ვერ მისწვდებოდა), ჩუმად იყო, მერე კი ხმამაღლა დაიძახა:

– ახალი ამბავია, ოღონდ, არ გაგიხარდებათ.

სამზარეულო მთლად შეცვლილიყო. ყველაფერი კრიალებდა. სპილენძის ქვაბები და ტაფები ისე გაეხეხათ, რომ ბრწყინავდა; მაგიდის ხის ზედაპირი პრიალებდა; სავახშმოდ გაშლილ სუფრაზე თეფშები და მათლაფები მხიარულად მოგიზგიზე ცეცხლის შუქზე ციმციმებდა. ცეცხლზე კი ქვაბი თუხთუხებდა. თუმცა, ამ ოთახში არაფერი ისე საოცრად არ შეცვლილიყო, როგორც შინაური ელფი, რომელიც ახლა ჰარისკენ მიიჩქაროდა. ტანზე ქათქათა ჩაის ტილო შემოეხვია, ყურებში ამოსული თმა სუფთა და ბამბასავით ფუმფულა ჰქონდა, გამხდარ მკერდზე კი რეგულუსის მედალიონი ჩამოეკონწიალებინა.

– ფეხზე გაიხადეთ, გთხოვთ, ბატონო ჰარი და ვახშმის წინ ხელები დაიბანეთ, – დაიყიყინა კრეჩერმა, ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამი ჩამოართვა და კედელზე მიჭედებულ საკიდზე ჩამოკიდა ძველმოდური, ახლად გარეცხილი მანტიების გვერდით.

– რა მოხდა? – შიშით ჰკითხა რონმა. ის და ჰერმიონი სამზარეულოს გრძელი მაგიდის ბოლოში დახვავებულ ნაჯღაბნ შენიშვნებსა და ხელით ნახატ რუკებს დაჰყურებდნენ, მაგრამ ახლა მათკენ წამოსულ

Scanned by CamScanner

ჰარის მიაშტერდნენ, რომელმაც მიყრილ-მოყრილი პერგამენტების თავზე გაზეთი დაუგდო.

სამივეს ნაცნობი, ცხვირკაუჭა, შავთმიანი კაცის დიდი ფოტო-სურათი შემოაცქერდა. სურათის ზემოთ ეწერა:

ჰოგვორტსის დირექტორად დაინიშნა
სევერუს სნეიპი

– შეუძლებელია! – წამოიძახეს რონმა და ჰერმიონმა.

ჰერმიონმა დაასწრო, გაზეთს ხელი სტაცა და ხმამაღლა დაიწყო სტატიის კითხვა:

„სევერუს სნეიპი, რომელსაც დიდხანს ეკავა ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის შხამ-წამლების მასწავლებლის თანამდებობა, დღეს დირექტორად დაინიშნა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა იმ საკადრო ცვლილებათაგან, რომლებიც ამ უძველეს სკოლაში გატარდა. მაგლთმცოდნეობის ნინანდელი მასწავლებლის გადადგომის შემდეგ მის ადგილზე დაინიშნა ალექტო კეროუ, ხოლო მისი ძმა, ამიკუსი ბნელი ძალებისაგან თავდაცვის პროფესორის თანამდებობას დაიკავებს."

– „მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მეძლევა, დავიცვა ჩვენი საუკეთესო ჯადოქრული ტრადიციები და ფასეულობანი, – განაცხადა სკოლის ახალმა დირექტორმა..." რაო? ტრადიციები? ალბათ, ხალხის ხოცვა და ყურების დაჭრა, არა? სნეიპი – დირექტორად! სნეიპი – დამბლდორის კაბინეტში! მერლინის საცვალს ვფიცავ! – ისე იკივლა ჰერმიონმა, რომ ჰარისა და რონს გული გადაუტრიალდათ. მერე ისკუპა, ოთახიდან გავარდა და მოაძახა: – ამ წუთში მოვალ!

– მერლინის საცვალსო? – გაიმეორა გამხიარულებულმა რონმა, – ეტყობა, მართლა განერვიულდა, – მერე გაზეთი თავისკენ მისწია და სნეიპზე დაწერილი სტატია ჩაიკითხა, – დანარჩენი მასწავლებლები ამას არ შეეგუებიან. მაკგონაგელმა, ფლიტვიკმა და სპრაუტმა ხომ იციან სიმართლე! ხომ იციან, როგორც მოკვდა დამბლდორი. სნეიპს დირექტორად არ მიიღებენ. ეს კეროუები ვინღა არიან?

– სიკვდილის მხვრელები, – მიუგო ჰარიმ, – მათი სურათებიცაა დაბეჭდილი. ისინიც კოშკზე იყვნენ, როცა სნეიპმა დამბლდორი მოკლა. მოკლედ, მეგობრები ერთად შეიყარნენ, რა... იცი, – ჰარიმ სკამი გამოსწია და მაგიდას მიუჯდა, – არა მგონია, სხვა მასწავლებლებს იქ დარჩენის გარდა სხვა არჩევანი ჰქონდეთ. თუ სნეიპის უკან სამინისტრო და ვოლდემორი დგანან, ან უნდა შეეგუონ ამ ამბავს, ან

Scanned by CamScanner

რამდენიმე მშვენიერი წელი აზკაბანში გაატარონ, ისიც, საუკეთესო შემთხვევაში. ჩემი აზრით, დარჩებიან და სტუდენტების დაცვას შეეცდებიან.

კრეჩერი დიდი საწვნით ხელში მიფუსფუსდა სუფრასთან და კრიალა მათლაფებზე წვნიანი დაასხა.

– გმადლობ, კრეჩერ, – უთხრა ჰარიმ და „მისანი" გადაფურცლა, რათა სნეიპის სახე აღარ დაენახა, – ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ზუსტად ვიცით, სად არის სნეიპი.

ჰარიმ წვნიანი შეხვრიპა. კრეჩერის კულინარიული ხელოვნება საოცრად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც რეგულუსის მედალიონი აჩუქეს: დღევანდელივით გემრიელი ფრანგული ხახვის წვნიანი ჰარის არასოდეს არ ეჭამა.

– სიკვდილის მხვრელები ისევ უთვალთვალებენ აქაურობას, – განაგრძო ჰარიმ, – დღეს უფრო მეტნი არიან. ეტყობა, იმედი აქვთ, რომ სკოლის ჩემოდნებით გავალთ აქედან და ჰოგვორტსის ექსპრესში ჩავბარგდებით.

რონმა საათს დახედა:

– დილიდან მაგაზე ვფიქრობ. მატარებელი ექვსი საათის წინ გავიდა...

ჰარის თვალწინ დაუდგა ალისფერი ორთქლმავალი, რომელიც მინდორ-მინდორ და გორაკ-გორაკ მიაცოცებს მბზინავ ვაგონებს. ერთ-ერთში თვითონ და რონი სხედან... დარწმუნებული იყო, რომ ჯინი, ნევილი და ლუნა ერთად ისხდნენ და ან ჰარიზე, რონსა და ჰერმიონზე ლაპარაკობდნენ, ან გეგმავდნენ, როგორ გამოეთხარათ ძირი სნეიპის ახალი რეჟიმისათვის.

– აქ დაბრუნებისას კინაღამ დამინახეს, – თქვა ჰარიმ, – ზღურბლზე ცუდად დავეშვი და მოსასხამი გადამიცურდა.

– მეც სულ ეგრე მემართება. აი, დაბრუნდა, – სამზარეულოში შემოსული ჰერმიონისკენ შეტრიალდა, – მერლინის ყველაზე მაგარ ნიფხავს გაფიცებ, სად გავარდი?

– აი, ეს გამახსენდა, – ამოიქოშინა ჰერმიონმა და დიდი, ჩარჩოში ჩასმული სურათი იატაკზე დადო. მერე სამზარეულოს ბუფეტზე დადებულ პაწაწინა, მძივებით ნაქარგ ხელჩანთას დაავლო ხელი, გახსნა და სურათი შიგ ჩატენა.

– ფინეას ნაიჯელუსი, – თქვა ჰერმიონმა და ჩანთა მაგიდაზე მოისროლა. ჩანთა ჩვეული ყრუ ბრახუნით დაეცა.

– ბატონო? – გაკვირვებული შესცქეროდა რონი, მაგრამ ჰარი მიხვდა. ფინეას ნაიჯელუს ბლექის გამოსახულებას შეეძლო, პორტრეტიდან პორტრეტში გადასულიყო, რომელთაგან ერთი გრიმოს

Scanned by CamScanner

მოედანზე იყო, მეორე კი – ჰოგვორტსში, დირექტორის კაბინეტში ეკიდა – იმ მრგვალ, გუმბათიან ოთახში, სადაც ახლა სნეიპი იჯდა – დამბლდორის ფაქიზი, ვერცხლის ჯადოსნური ხელსაწყოების, ქვის საფიქრელას, გამანაწილებელი ქუდისა და, თუკი არსად წაუღიათ, გრიფინდორის ხმლის გამარჯვებული მეპატრონე.

– სნეიპს შეეძლო ფინეასი გამოეგზვნა და ამ სახლის დათვალიერება ეთხოვა, – აუხსნა ჰერმიონმა რონს და ისევ თავის ადგილზე დაჯდა, – მაგრამ, აბა, ახლა სცადოს: ფინეას ნაიჯელუსი ვერაფერსაც ვერ დაინახავს იმის გარდა, რაც ჩანთაში მიწყვია.

– რა ჭკვიანი ხარ! – აღფრთოვანდა რონი.

– გმადლობ, – გაუღიმა ჰერმიონმა და წვნიანი მიიწია, – აბა, ჰარი, სხვა რა მოხდა დღეს?

– არაფერი. შვიდი საათი ვუთვალთვალე სამინისტროს შესასვლელს. არ გამოჩენილა. თუმცა, მამაშენი დავინახე, რონ, ყოჩაღადაა.

რონმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია. შეთანხმდნენ, რომ სამინისტროში შესვლა-გამოსვლისას ბატონ უისლისთან დალაპარაკება სახიფათო იყო, რადგან მუდამ თანამშრომლები ეხვია გარს. თუმცა, მისი დანახვა მაინც გაამხნევებდათ ხოლმე, თუნდაც დაძაბული და აფორიაქებული ყოფილიყო.

– მამა გვეუბნებოდა, სამინისტროში თითქმის ყველანი ფლუფხვნილს იყენებენ სამსახურში მისასვლელადო, – თქვა რონმა, – ალბათ, ამიტომ ვერ ვხედავთ ამბრიჯს. ფეხით სიარულს როგორ იკადრებს, თავი დიდი ვინმე ჰგონია.

– იმ სასაცილო დედაბერსა და პატარა, ლურჯმანტიიან კაცზე რას იტყვი? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– აა, ჰო, ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომელი, – თქვა რონმა.

– რა იცი, რომ ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტში მუშაობს? – ჰერმიონს კოვზი ჰაერში გაუშეშდა.

– მამა ამბობდა, ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებს ლურჯი მანტიები აცვიათო.

– რომ არ გითქვამს?!

ჰერმიონმა კოვზი დააგდო და იმ ჩანაწერებსა და რუკებს დაავლო ხელი, რომლებსაც ის და რონი ჰარის შემოსვლამდე ათვალიერებდნენ.

– აქ ლურჯი მანტიები ნახსენებიც არ არის! – ციებცხელებიანივით შლიდა ფურცლებს.

– მერე რა, რა მნიშვნელობა აქვს?

Scanned by CamScanner

– რონ, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა! თუ სამინისტროში შეპარვას ისე ვაპირებთ, რომ არავინ შეგვამჩნიოს და თანაც მაშინ, როცა ისინი, ალბათ, ყველაფერს აკეთებენ, ოღონდაც არავინ შეეპაროთ, ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა! რაღა ფასი აქვს ჩვენს დაზვერვებს და ამდენი დროის ხარჯვას, თუ იმითაც არ შეიწუხებ თავს, რომ გვითხრა...

– კარგი, რა, ჰერმიონ, ერთი ბენო რაღაც დამავიწყდა!

– გაიგე, რომ ახლა დედამიწის ზურგზე ჩვენთვის მაგიის სამინისტროზე საშიში ადგილი არ...

– მე მგონი, ჯობია, ხვალ წავიდეთ, – უცებ თქვა ჰარიმ.

რონს წვნიანი გადასცდა და ხველა აუტყდა.

– სუ? – გაიმეორა ჰერმიონმა, – სერიოზულად ამბობ?

– ჰო, – მიუგო ჰარიმ, – არა მგონია, ახლანდელზე უკეთესად მოვემზადოთ. ერთი თვეა, სამინისტროსთან ვართ ჩასაფრებულები. რაც მეტხანს გადავდებთ, მით უფრო მეტად შეიძლება გაგვირთულდეს საქმე. ვინ იცის, ამბრიჯმა უკვე მოისროლა ის მედალიონი! მაინც ვერ გახსნიდა.

– ან გახსნა მოახერხა და ახლა მის გავლენას განიცდის.

– რა განსხვავებაა? ბოროტება აკლდა თუ რა! – მხრები აიჩეჩა ჰარიმ.

ღრმად ჩაფიქრებული ჰერმიონი ტუჩს იკვნეტდა.

– რაც მნიშვნელოვანია, ყველაფერი ვიცით, – ისევ ჰერმიონს მიმართა ჰარიმ, – ვიცით, რომ სამინისტროში შესვლა-გამოსვლისას აპარაციის გამოყენება აკრძალეს; ვიცით, რომ ახლა მხოლოდ სამინისტროს ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებს შეუძლიათ თავიანთი სახლების ჩართვა ბუხრების ქსელში, რონმა ხომ მოისმინა, ამის შესახებ რომ შესჩიოდნენ ერთმანეთს თანამშრომლები. და დაახლოებით ისიც ვიცით, სად არის ამბრიჯის კაბინეტი. ეს კი შენ გაიგონე, როცა ის წვეროსანი თავის ამხანაგს ეუბნებოდა...

– „ზემოთ ვიქნები, პირველ დონეზე, დოლორესს ჩემი ნახვა უნდა“, – მაშინვე ჩაარაკრაკა ჰერმიონმა.

– ჰო, – განაგრძო ჰარიმ, – და ისიც ვიცით, რომ იქ შესასვლელად იმ სასაცილო მონეტებს თუ ჟეტონებს იყენებენ: მე დავინახე, როგორ დაესესხა ერთი თანამშრომელი მეორეს...

– ჰო, მაგრამ ჩვენ რომ არ გვაქვს?!

– თუ ჩვენმა გეგმამ ივარგა, გვექნება, – მშვიდად განაგრძო ჰარიმ.

– არ ვიცი, ჰარი, ათასი რამ შეიძლება შეგვეშალოს. იღბალზე ვართ დამოკიდებული...

Scanned by CamScanner

– სამ თვესაც რომ ვემზადოთ, მაინც ასე ვიქნებით, – შეეპასუხა ჰარი, – უნდა ვიმოქმედოთ.

გასული ოთხი კვირის განმავლობაში რიგრიგობით მოისხამდნენ ხოლმე უჩინმაჩინის მოსასხამს და სამინისტროს ოფიციალურ შესასვლელთან მორიგეობდნენ, რომლის ადგილმდებარეობა რონმა, მამამისის წყალობით, ბავშვობიდან იცოდა. ჩუმად უთვალთვალებდნენ სამსახურში მიმავალ სამინისტროს თანამშრომლებს, უკან მიჰყვებოდნენ, აყურადებდნენ მათ საუბრებს, რის შედეგადაც დაადგინეს, რომელი თანამშრომლები მიდიოდნენ ყოველდღე მარტოები, თანაც, ერთსა და იმავე დროს. ხანდახან ვინმეს ჩანთიდან „დილის მისნის“ აწაპნასაც ახერხებდნენ. ნელ-ნელა შექმნეს ის ფრაგმენტული რუკები და შენიშვნები, რომლებიც ახლა ჰერმიონის წინ იყო დახვავებული.

– კარგი, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო რონმა, – ვთქვათ, ხვალ მივდივართ... მგონი, ჯობია, მარტო მე და ჰარი წავიდეთ.

– ისევ ნუ დაიწყე! – ამოიოხრა ჰერმიონმა, – მე მეგონა, ეგ უკვე გადავწყვიტეთ.

– სამინისტროსთან უჩინმაჩინის მოსასხამით დგომა ერთია და იქ შესვლა – მეორე, ჰერმიონ, – რონმა ათი დღის წინანდელ „დილის მისანს“ ატაკა თითი, – შენ მაგლური წარმოშობის ჯადოქრების სიაში ხარ, რომლებიც დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ!

– შენ კი ჩუტყვავილათი უნდა კვდებოდე „ბუნაგში“! თუ ვინმე არ უნდა წავიდეს, ისევ – ჰარი: მისი თავი ათი ათას გალეონად არის შეფასებული...

– კი, ბატონო, დავრჩები, ოღონდ ვოლდემორს რომ დაამარცხებთ, გამაგებინეთ, კარგი? – თქვა ჰარიმ.

რონსა და ჰერმიონს გაეცინათ, ჰარის კი უცებ ტკივილმა ისე აუწვა ნაიარევი, რომ ინსტინქტურად ხელი შუბლზე იტაცა. მაშინვე შეამჩნია, რომ ჰერმიონმა ეჭვით მონკურა თვალები, ამიტომ შეეცადა, ეს მოძრაობა ისე გაესაღებინა, თითქოს თვალზე ჩამოვარდნილ თმას ისწორებდა.

– კარგი. თუ ყველანი წავალთ, აპარაცია ცალ-ცალკე უნდა გამოვიყენოთ, – ამბობდა რონი, – მოსასხამი სამივეს ვერ გადაგვწვდება.

ჰარის ნაიარევის ტკივილმა უმატა. წამომდგარი არ იყო, რომ კრეჩერი მისკენ გაექანა.

– ბატონს წვნიანი არ გაუთავებია. იქნებ ქონდრით შეკმაზული ჩაშუშული ხორცი ან თავისი საყვარელი ბადაგმოსხმული ნამცხვარი ინებოს?

– გმადლობ, კრეჩერ, ახლავე დავბრუნდები... მე... სააბაზანოში შევალ.

Scanned by CamScanner

ჰერმიონმა თვალი გააყოლა. ჰარი ჰოლში ავიდა, მერე სააბაზანოში შევარდა და კარი ურდულით ჩარაზა. ტკივილით აკვნესებული შავ, პირდაღებული გველის ფორმის ონკანებიან აბაზანაში გადაეყუდა და თვალები დახუჭა...

შეუმჩნევლად მიუყვებოდა დაბინდულ ქუჩას. ქუჩის ორივე მხარეს ხის მაღალი ფრონტონებით შემკული შენობები ჩამწკრივებულიყო. ერთ სახლს მიუახლოვდა. მისი გრძელთითება ხელი კარის ფონზე თეთრად გამოიკვეთა. დააკაკუნა. იგრძნო, როგორ ემატებოდა მღელვარება...

კარი გაიღო. ზღურბლზე მოცინარი ქალი იდგა. სტუმარს შეხედა თუ არა, ხალისი მაშინვე გაუქრა და შიშისგან სახე დაუგრძელდა.

– გრეგოროვიჩი სად არის? – იკითხა ჰარიმ მაღალი, ცივი ხმით.

ქალმა თავი გააქნია და კარის დახურვა სცადა. თეთრი ხელი კარს ჩაეჭიდა და დაკეტვის საშუალება არ მისცა...

– გრეგოროვიჩი მინდა.

– Er wohnt hier nicht mehr! – თავი გააქნია ქალმა, – აქ არა იცხოვროს! აქ არა იცხოვროს! არა იცნობს!

მერე კარს ხალი გაუშვა და უკან, ბნელ დერეფანში დაიხია, ჰარი მისკენ გასრიალდა და გრძელთითება ხელით ჯოხი ამოიღო.

– სად არის?

– Das weiss ich nicht! წავიდეს. არა იცის, არა იცის!

ჯოხიანი ხელი ასწია. ქალმა შეჰკივლა. დერეფანში ორი ბავშვი გამოვიდა. ქალი შეეცადა, ბავშვებს გადაჰფარებოდა. მერე მწვანე შუქმა გაიელვა...

– ჰარი! ჰარი!

ჰარიმ თვალი გაახილა; იატაკზე ჩაცურებულიყო. ჰერმიონი კარზე აბრახუნებდა.

– ჰარი, გააღე კარი!

ეტყობა, ყვიროდა. ადგა და ურდული გასწია; ჰერმიონი ისე შემოვარდა, კინალამ წაიქცა. მერე გასწორდა და ჰარი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. რონიც მაშინვე იქ გაჩნდა და ჯოხი გრილი სააბაზანოს კუთხეებს მოატარა.

– რას აკეთებდი? – მკაცრად ჰკითხა ჰერმიონმა.

– რა უნდა მექნა? – ვითომ ყოჩაღად ჰკითხა ჰარიმ.

– დაკოდილივით ღრიალებდი! – უთხრა რონმა.

– აა, ჰო... ეტყობა, ჩამთვლიმა ან...

– ჰარი, გეხვეწები, ნუ გვასულელებ, – ჰერმიონმა რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა, – ვიცით, რომ სამზარეულოში ნაიარევი აგტკივდა, ახლაც ქაღალდისფერი გადევს სახეზე.

Scanned by CamScanner

ჰარი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა.

– კარგი, გეტყვით. დავინახე, როგორ მოკლა ვოლდემორმა ვილაც ქალი. ალბათ, უკვე მთელ ოჯახს ამოუწყვეტდა. თან, მათი დახოცვა არაფერში სჭირდებოდა. უბრალოდ, სედრიკივით უადგილო ადგილას დახვდნენ...

– ჰარი, ეს აღარ უნდა დაგემართოს! – სააბაზანოში ექოდ გაისმა ჰერმიონის ყვირილი, – დამბლდორს უნდოდა, რომ ოკლუმენცია გამოგეყენებინა. ეს კავშირი სახიფათოდ მიაჩნდა. ვოლდემორს ხომ შეუძლია, ისევ გამოიყენოს. რაში გვარგია იმის ყურება, როგორ ხოცავს და აწამებს ხალხს? ეგ რას გვიშველის?

– არაფერს, უბრალოდ, გვეცოდინება, რასაც აკეთებს, – უპასუხა ჰარიმ.

– ესე იგი, არც კი გინდა ეცადო, რომ გონებაში არ შემოუშვა?

– ჰერმიონ, ვერ ვახერხებ. ხომ იცი, რომ არ გამომდის ეს ოხერი ოკლუმენცია. ვერაფერი ვერ გავუგე.

– წესიერად არც კი გიცდია! – გაცხარდა ჰერმიონი, – არ მესმის... მოგწონს ეს განსაკუთრებული კავშირი თუ ურთიერთობა თუ რაც... რაც არის?...

ჰარი წამოდგა და გოგონას ისე შეხედა, რომ ჰერმიონს ენა დაება.

– მომწონს? – ჰკითხა წყნარად, – შენ მოგეწონებოდა?

– არა, მაპატიე, ჰარი. მაგიტომ კი არ მითქვამს...

– მეზიზღება ის, რომ ჩემს გონებაში შემოსვლა შეუძლია, თან მაინცდამაინც მაშინ, როცა ყველაზე სახიფათოა. მაგრამ ეს უნდა გამოვიყენო.

– დამბლდორი...

– დაივიწყე დამბლდორი. ეს ჩემი საქმეა და სხვისი არავისი. ვიცი, რატომაც დაეძებს გრეგოროვიჩს.

– ვის?

– ჯოხების უცხოელ დამამზადებელს, – თქვა ჰარიმ, – კრამის ჯოხიც მისი ნახელავია. კრამი ამბობს, მშვენიერი ოსტატიაო.

– ჰო, მაგრამ ხომ ამბობდი, ვოლდემორს ოლივანდერი სადღაც ჰყავს ჩაკეტილიო. თუ ჯოხების ოსტატი უკვე ჰყავს, მეორე რაღად უნდა?

– შეიძლება, კრამის მსგავსად, მასაც გრეგოროვიჩი უკეთესი ჰგონია... ანდა ფიქრობს, რომ გრეგოროვიჩი აუხსნის ჩემი ჯოხის უცნაურ ქცევას, რაც ოლივანდერმა ვერ აუხსნა.

ჰარიმ გაბზარულ, დამტვერილ სარკეში დაინახა, რომ მის ზურგს უკან რონმა და ჰერმიონმა სკეპტიკურად გადახედეს ერთმანეთს.

– ჰარი, ისევ იმას ამბობ, ჩემმა ჯოხმა დამოუკიდებლად იჯადო-

Scanned by CamScanner

ქრაო, – უთხრა ჰერმიონმა, – ჯოხმა კი არა, შენ თვითონ იჯადოქრე! რატომ ხარ დარწმუნებული, რომ საკმარისი ძალა არ გაგაჩნია?

– იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი – მე არ მიჯადოქრია. ვოლდემორმაც იცის ეს. ორივემ ვიცით, რაც სინამდვილეში მოხდა.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ჰარიმ იცოდა, რომ ჰერმიონმა არ დაუჯერა და ახლა კონტრარგუმენტებს ეძებდა ჯოხთან დაკავშირებული თეორიისა და ასევე, იმის საწინააღმდეგოდ, რომ ჰარი თავს ნებას აძლევდა, ვოლდემორის გონებაში შეეღწია. ჰარის სასიხარულოდ, რონი ჩაერია:

– დაანებე თავი, – ურჩია ჰერმიონს, – თავისი საქმისა თვითონ იცის. ახლა, თუ ხვალ დილით სამინისტროში წასვლას ვაპირებთ, არ ჯობია, გეგმას გადავხედოთ?

ჰერმიონს სხვა გზა არ ჰქონდა და ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ჰარი დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, მაშინვე ეძგერებოდა. ისევ სამზარეულოში ჩავიდნენ და კრეჩერის მორთმეულ ჩაშუშულ ხორცსა და ბადაგმოსხმულ ნამცხვარს შეექცნენ.

იმ ღამით გვიანობამდე არ დაწოლილან, საათობით იმეორეს და იმეორეს გეგმა, სანამ არ დაიზეპირეს და სიტყვასიტყვით არ ჩაურაკრაკეს ერთმანეთს. ჰარიმ ამჯერად სირიუსის ოთახში არჩია დაძინება. დაწვა, ჯოხი აანთო, მამის, სირიუსის, ლუპინისა და პეტიგრიუს ძველ სურათს მიანათა და კიდევ ათ წუთს იმეორებდა გეგმას. თუმცა, როცა ჯოხი ჩააქრო, მრავალწვნიან სასმელზე, ღებინების გამომწვევ აბებსა თუ ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის ლურჯ მანტიებზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე, თუ რამდენ ხანს მოახერხებდა დამალვას ჯოხების ოსტატი გრეგოროვიჩი, მაშინ როცა ვოლდემორი ასე თავგამოდებით დაეძებდა.

შუაღამეს უსინდისოდ მალე მოჰყვა განთიადი.

– საშინლად გამოიყურები! – მიესალმა მის გასაღვიძებლად დილაადრიან შემოსული რონი.

– მალე მოვსულიერდები, – მთქნარებით მიუგო ჰარიმ.

ჰერმიონი სამზარეულოში დახვდათ, კრეჩერის მირთმეულ ყავასა და ცხელ-ცხელ ფუნთუშებს შეექცეოდა. ზუსტად ისეთი, ოდნავ დაფეთებული გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც გამოცდისთვის მასალის გამეორების დროს.

– მანტიები, – წაილაპარაკა, ჰარისა და რონს ნერვიულად დაუქნია თავი და მძივებით დაქარგულ ჩანთაში ქექვა განაგრძო, – მრავალწვნიანი სასმელი, უჩინმაჩინის მოსასხამი, სატყუარა დეტონატორები

Scanned by CamScanner

– ყოველი შემთხვევისთვის, ორ-ორი აიღეთ; ღებინების გამომწვევი აბები, სისხლმდენი ნუგა, ყურების დამაგრძელებელი.

საუზმე გადასანსლეს და სანამ ზემოთ ავიდოდნენ, კრეჩერმა თავი დაუკრა და დაჰპირდა, შემწვარ ხორცსა და თირკმლების ღვეზელს დაგახვედრებთო.

– მაგან გაიხაროს, – დალოცა რონმა, – არადა, როგორ ვოცნებობდი, თავს მოვაჭრი და კედელზე მივაჭედებ-მეთქი!

ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯეს. ნისლიანი მოედნიდან სახლს ორი თვალებდასივებული სიკვდილის მხვრელი შეჰყურებდა.

ჰერმიონმა ჯერ რონთან ერთად გამოიყენა აპარაცია, მერე ჰარის წასაყვანად მობრუნდა.

ჩვეული ხანმოკლე სიბნელისა და უსიამოვნო შეგრძნების შემდეგ ჰარი პატარა შესახვევში აღმოჩნდა, სადაც გეგმის პირველი ნაწილისთვის უნდა შეესხათ ხორცი. შესახვევი ჯერაც ცარიელი იყო, მხოლოდ ორი დიდი ნაგვის ბუნკერი იდგა. სამინისტროს თანამშრომლები რვამდე არ გამოჩნდებოდნენ.

– აბა, – ჰერმიონმა საათს დახედა, – დაახლოებით, ხუთ წუთში აქ იქნება. როცა გავთიშავ...

– ჰერმიონ, ვიცით, – შეაწყვეტინა რონმა, – მე მგონი, მის მოსვლამდე კარი უნდა გაგველო.

ჰერმიონმა შეჰკივლა:

– კინაღამ დამავიწყდა! უკან დაიწიე...

ჯადოსნური ჯოხი ბოქლომდადებულ და წარწერებითა და ნახატებით უხვად შემკულ კარს მიუშვირა. კარი გრუხუნით გაიღო. მის უკან ბნელი დერეფანი, როგორც თვალთვალისას შეიტყვეს, ცარიელ დარბაზში შედიოდა. ჰერმიონმა კარი ისევ გამოხურა, რათა უცხო თვალს ჩაკეტილი ჰგონებოდა.

– ახლა კი, – ისევ ბიჭებს მოუბრუნდა, – ისევ მოვიხუროთ მოსასხამი...

– და დაველოდოთ, – დაამთავრა რონმა, ჰერმიონს თავზე მოსასხამი ისე გადააფარა, როგორც ჩიტის გალიას და ჰარის გულშელონებულმა გადახედა.

წუთზე ცოტა მეტი იყო გასული, რომ გაისმა მსუბუქი ტკაცანი, მათ წინ ჭაღარა თმის ფრიალით გაჩნდა სამინისტროს თანამშრომელი, მოცუცქნული ჯადოქარი ქალი და წამის წინ ღრუბლიდან გამოჭყეტილი მზის კაშკაშა სინათლეზე თვალები აახამხამა. თუმცა, დილის მზის სხივის სითბოთი ტკბობა არ დასცალდა: ჰერმიონის უსიტყვოდ ნატყორცნი გამთიშველი შელოცვა პირდაპირ გულმკერდში მოხვდა და გულაღმა დაეცა.

Scanned by CamScanner

– კარგად გამოგივიდა, ჰერმიონ, – დარბაზის კარის გვერდით მდგარი ბუნკერის უკნიდან გამოძვრა რონი. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო. ჰერმიონმა ჯადოქარს რამდენიმე ღერი თმა ამოაძრო და მძივებით დაქარგული ჩანთიდან ამოღებულ, ტალახისფერი მრავალწვნიანი სასმელით სავსე მათარაში ჩაყარა. რონი მოცუცქნული ჯადოქრის ხელჩანთას ჩხრეკდა.

– მაფალდა ჰოფკირკია, – წაიკითხა პატარა ბარათზე, რომლის მიხედვითაც მაფალდა ჯადოქრობის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტში თანაშემწედ მუშაობდა, – გამომართვი, ჰერმიონ. ესეც, ჟეტონები, – და ჯადოქარი ქალის ჩანთიდან ამოღებული ოქროს რამდენიმე პატარა მონეტა გაუწოდა, რომლებზეც „**მ.ს**." იყო ამოტვიფრული.

ჰერმიონმა დალია მრავალწვნიანი სასმელი, რომელსაც სასიამოვნო იასამნისფერი მიეღო და რამდენიმე წამში მათ წინ მაფალდა ჰოფკირკის ორეული იდგა. მაფალდას სათვალე მოხსნა და თვითონ გაიკეთა. ჰარიმ საათს დახედა.

– უნდა ვიჩქაროთ. ის კაცი, ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომელი, წამში აქ იქნება.

ნამდვილი მაფალდა ბნელ დერეფანში შეათრიეს და კარი მიუხურეს; ჰარიმ და რონმა უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიფარეს, ჰერმიონი კი შესახვევში დადგა და შეიცადა. ორიოდე წამში ისევ გაისმა ტკაცანი და მათ წინ პატარა, ქრცვინისსახა ჯადოქარი გაჩნდა.

– ოჰ, გამარჯობა, მაფალდა.

– გაგიმარჯოს, – ხმის კანკალით მიუგო ჰერმიონმა, – როგორა ხარ?

– აბა, რა გითხრა, – ღრმად დამწუხრებული ჩანდა პატარა ჯადოქარი.

ჰერმიონი და ჯადოქარი მთავარი გზისკენ გაემართნენ, ჰარი და რონი კი ფეხაკრეფით გაჰყვნენ.

– ძალიან მწყინს, რომ გასაჭირში ხართ, – ჰერმიონმა საუბრის გაბმა სცადა და კაცს სანუგეშებლად მხარზე ხელი მოუთათუნა. ახლა ყველაფერი უნდა ეღონა, რომ როგორმე ქუჩამდე მისვლა არ ეცლია, – აი, კანფეტი მიირთვით.

– ბატონო? არა, გმადლობთ...

– ძალიან გთხოვთ! – ლამის უბრძანა ჰერმიონმა და კანფეტებიანი პაკეტი ცხვირწინ გაუქნია. გაოცებულმა ჯადოქარმა ერთი კანფეტი აიღო.

კანფეტმა მაშინვე იმოქმედა: ენა დააკარა თუ არა, ისეთი ღებინება აუტყდა, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ ამოაგლიჯა ჰერმიონმა კინკრიხოდან მთელი ბღუჯა თმა.

Scanned by CamScanner

– ეტყობა, ავად ხართ, ჩემო კარგო, – მიმართა ჰერმიონმა, როცა ჯადოქარმა მთელი ის შესახვევი ნარწყევით დასვარა, – იქნებ დღეს დაგესვენათ?

– არა, არა! – კინაღამ დაიხრჩო ჯადოქარი. წარამარა აღებინებდა და თუმცა წელში ვერ გასწორებულიყო, მაინც ცდილობდა, გზა გაეგრძელებინა, – დღეს... უნდა... მივიდე...

– რა სისულელეა, – შეშფოთდა ჰერმიონი, – სამსახურში ასე ხომ ვერ გამოჩნდებით... მე მგონი, უმჯობესია, წმინდა მუნგოს კლინიკაში მიხვიდეთ. იქ რამეს გიშველიან.

ჯადოქარს ძალა გამოელია, უკვე ოთხზე იდგა, მაგრამ მაინც ცდილობდა მთავარი გზისკენ გახოხებას.

– სამსახურში ასე ვერ მიხვალთ! – შეუტია ჰერმიონმა.

როგორც იქნა, ჯადოქარი მიხვდა, რომ ჰერმიონისთვის უნდა დაეჯერებინა. წონასწორობის დასაცავად მის ხელს ჩაეჭიდა, როგორც იქნა, წამოდგა, ადგილზე დატრიალდა და გაქრა. რონმა დრო იხელთა და აპარაციის დაწყების წამს ჩანთა გამოაცალა ხელიდან. ჯადოქრის ადგილზე ნარწყევის გუბეღა დარჩა.

– უჰ, – ამოისუნთქა ჰერმიონმა და მანტიის კალთა აიწია, რათა ნარწყევის პატარ-პატარა გუბეებს არიდებოდა, – ესეც რომ გაგვეთიშა, ამდენი წვალება აღარ დაგვჭირდებოდა.

– ჰო, – ხელში ჯადოქრის ჩანთა შეატრიალა რონმა, – მაგრამ უგონო სხეულების გროვა, ალბათ, მეტ ყურადღებას მიიქცევდა. ისე, რა გაგიჟებული ყოფილა მუშაობისთვის, არა? მოიტა თმა და სასმელი.

ორ წუთში რონი ქრცვინისსახიან პატარა ჯადოქრად გარდაისახა. იმ კაცის ჩანთიდან ლურჯი მანტია ამოიღო და ჩაიცვა.

– უცნაურია, რომ უმანტიოდ იყო, არადა, როგორ მიიჩქაროდა სამსახურში! მოკლედ, თუ მანტიის სარჩულზე ამოქარგულ წარწერას დავუჯერებთ, რეჯ კატერმოლი ვარ.

– აქ დაგვიცადე, – უთხრა ჰერმიონმა ჰარის, რომელიც ისევ უჩინმაჩინის მოსასხამით იდგა, – ვინმეს თმას მოგიტანთ.

ჰარიმ ათ წუთს იცადა, მაგრამ მოეჩვენა, რომ გაცილებით მეტხანს იმალებოდა ნარწყევით მორთულ შესახვევში. ბოლოს, როგორც იქნა, რონი და ჰერმიონიც გამოჩნდნენ.

– ვინ არის, არ ვიცით, – ჰერმიონმა რამდენიმე შავი, ხვეული თმის ღერი მიაწოდა, – ცხვირიდან სისხლდენა ვერ შეიჩერა და შინ წავიდა. ოღონდ საკმაოდ მაღალია და უფრო დიდი მანტია დაგჭირდება...

ჰერმიონმა კრეჩერის გარეცხილი ძველი მანტია ამოიღო. ჰარი გვერდზე გადგა სასმელის დასალევად და ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

Scanned by CamScanner

მტკივნეული გარდასახვის შემდეგ ჰარი მაღალ და, თუ დაკუნთული მკლავებით იმსჯელებდა, ათლეტური აღნაგობის მამაკაცად გადაიქცა. წვერიც მოეზარდა. უჩინმაჩინის მოსასხამი და სათვალე ახალ მანტიაში შეინახა და რონსა და ჰერმიონს შეუერთდა.

– ვაჰ, რა საშიში ვინმე ხარ, – რონმა ჰარის ახედა, რომელიც ახლა ორივე თანამგზავრს ზემოდან დაჰყურებდა.

– მაფალდას ჟეტონი გამომართვი, – უთხრა ჰერმიონმა ჰარის, – წავიდეთ, ცხრა ხდება.

შესახვევიდან ერთად გამოვიდნენ. ორმოცდაათი იარდის დაშორებით, ხალხით სავსე ტროტუარზე, შავი, წვეტიანი გისოსების აქეთ-იქით ორი კიბე ჩადიოდა, ერთზე „მამაკაცები" ეწერა, მეორეზე – „ქალები".

– აბა, დროებით, – ნერვიულად თქვა ჰერმიონმა და ფეხარეული ჩაუყვა ქალებისთვის განკუთვნილ კიბეს. ჰარი და რონი უცნაურად ჩაცმულ კაცებს მიჰყვნენ და მიწისქვეშა, ჭუჭყისფერი და თეთრი კაფელით მოპირკეთებულ სრულიად ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ტუალეტში აღმოჩნდნენ.

– სალამი, რეჯ! – მიესალმა რონს ლურჯმანტიიანი ჯადოქარი, მერე ოქროს მონეტა ჭრილში ჩააგდო და კაბინაში შევიდა, – ეს რა ჯანდაბის ორღობეა? ამ გზით როდემდე უნდა გვატარონ სამსახურში? ჰარი პოტერს ელოდებიან თუ რა?

ჯადოქარს თავისსავე ხუმრობაზე გულიანად გაეცინა. რონმა ძალისძალად ჩაიცინა:

– ჰო, რა სისულელეა, არა?!

ის და ჰარი გვერდიგვერდ მდგარ კაბინებში შევიდნენ.

ჰარის მარცხნიდან და მარჯვნიდან უნიტაზის ჩარეცხვის ხმა მოესმა. დაიხარა და სწორედ დროულად გაიხედა კაბინის კედლის ქვეშ დარჩენილ ღრიჭოში – დაინახა, რომ უნიტაზში ვიღაცამ ბათინკიანი ფეხი ჩადგა. მარცხნივ მიიხედა. რონმა თვალი ჩაუკრა და დაიჩურჩულა:

– უნიტაზებში უნდა ჩავირეცხოთ?

– ეგრე გამოდის, – ჩურჩულითვე უპასუხა ჰარიმ.

ორივენი ადგნენ. ჰარი ძალიან სულელურად გრძნობდა თავს, როცა უნიტაზში ფეხს დგამდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სწორად იქცეოდა. თითქოს წყალში იდგა, მაგრამ ფეხსაცმელი, ფეხები და მანტია მშრალი ჰქონდა. ჯაჭვი ჩამოქაჩა; წამიც და, მილში ჩასრიალდა და მაგიის სამინისტროს ბუხრიდან გადმოვარდა.

ამხელა სხეულს შეუჩვეული უხერხულად წამოდგა. ატრიუმი იმაზე ბნელი იყო, ვიდრე ახსოვდა. წინათ დარბაზის შუაგულში

Scanned by CamScanner

ოქროს შადრევანი იდგა და ციმციმა ათინათებს ესროდა ხის პრიალა იატაკსა და კედლებს. ახლა აქ შავი ქვის უზარმაზარი, შიშის მომგვრელი ქანდაკება აღმართულიყო. ქვაში გამოკვეთილი ჯადოქარი ქალი და მამაკაცი მოჩუქურთმებულ ტახტზე ისხდნენ და მათ ფერხთით ბუხრებიდან გამოცვენილ სამინისტროს თანამშრომლებს დაჰყურებდნენ. ქანდაკების კვარცხლბეკზე დიდი ასოებით ეწერა: „მაგია ყოვლისშემძლეა".

ჰარიმ უკნიდან ფეხებში დარტყმა იგრძნო და ბუხრიდან კიდევ ერთი ჯადოქარი გამოვარდა.

– რას დაყუდებულხარ, ვერა ხედავ?... ოჰ, მაპატიეთ, რანკორნ.

აშკარად დამფრთხალი, შემელოტებული ჯადოქარი სწრაფად გაეცალა ჰარის. რანკორნი, ვისი სახეც ჰარის მიეღო, ეტყობა, საშიში ვინმე იყო.

– სსს! – მოესმა, მიიხედა და პატარა ჯადოქარი ქალი და ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის ქრცვინისსახიანი თანამშრომელი დაინახა, რომლებიც ქანდაკების უკნიდან ხელს უქნევდნენ. სწრაფად მივიდა მათთან.

– კარგად შემოხვედი? – წასჩურჩულა ჰერმიონმა.

– არა, ისევ მილშია გაჭედილი, – თქვა რონმა.

– როგორ გამეცინა... – გაჯავრდა ჰერმიონი, – რა საზარელია, არა? – მიუბრუნდა ჰარის, რომელიც ქანდაკებას აჰყურებდა, – ხედავ, რაზე სხედან?

ჰარი დააკვირდა და მიხვდა, რომ ის, რაც მოჩუქურთმებული ტახტი ეგონა, სინამდვილეში მიგრეხილ-მოგრეხილი სხეულების გროვა იყო. ქალების, კაცებისა და ბავშვების ბრიყვული, მახინჯი სახეებისა და ერთმანეთში არეული და დაწნეხილი ასობით შიშველი სხეულის გორაზე მოხდენილ მანტიებში გამოწყობილი ჯადოქრები დაბრძანებულიყვნენ.

– მაგლები, – ნაიჩურჩულა ჰერმიონმა, – სწორედ იქ, სადაც უნდა იყვნენ. წავიდეთ.

დარბაზის ბოლოში არსებული ოქროს ჭიშკრისკენ მიმავალი ჯადოქრების ნაკადს შეუერთდნენ. თან მალულად იხედებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ დოლორეს ამბრიჯის ფიგურა არსად ჩანდა. ჭიშკარი გაიარეს და მომცრო დარბაზში შევიდნენ, სადაც ოცი ლიფტის ოქროს ცხაურებთან რიგები იდგა. ის იყო, უახლოეს რიგში ჩადგნენ, რომ ვილაცის ხმა გაისმა:

– კატერმოლ!

ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა. მათკენ ერთ-ერთი ის სიკვდილის მხვრელი მოდიოდა, რომელიც დამბლდორის მკვლელობას ესწრე-

Scanned by CamScanner

ბოდა. მათ გარშემო მდგომი სამინისტროს თანამშრომლები გაჩუმ-დნენ და თავები დახარეს; ჰარიმ იგრძნო, ყველას როგორ გადაუარა შიშმა. ამ კაცის შეჭმუხნილი, მკაცრი სახე, როგორლაც არ ეხამებოდა დიდებულ, ფუშფუშა, ოქრომკედით უხვად ნაქარგ მანტიას. ლიფტის გარშემო შეგროვილი ხალხიდან ვიღაცა მლიქვნელურად მიესალმა:

– დილა მშვიდობისა, იაქსლი!

იაქსლიმ იმ კაცს ზედაც არ შეხედა და რონს დაასო თვალები:

– ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტიდან კაცი გამოვი-ძახე კაბინეტის მოსაწესრიგებლად, კატერმოლ. ისევ წვიმს.

რონმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს იმედი ჰქონდა, იქნებ აქ სხვა ვინმეცაა კატერმოლიო, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

– წვიმს... თქვენს კაბინეტში? ცუდია... ცუდია, არა?

რონმა ნერვიულად გაიცინა. იაქსლის თვალები გაუფართოვდა და ბრაზისგან ყბა მოეღრიცა:

– ეს სასაცილოა, კატერმოლ?

ორი ჯადოქარი ქალი ლიფტის რიგიდან გაძვრა და მოცოცხა.

– არა, – შეცბა რონი, – რას ბრძანებთ...

– იცი თუ არა, რომ ახლა შენი ცოლის დასაკითხად ჩავდივარ, კატერმოლ? და, საერთოდაც, მიკვირს, რატომ დაბლა არ ხარ და არ ამხნევებ, სანამ რიგში დგას? თუ უკვე ცუდი სამსახურივით მია-ტოვე? ჭკვიანურად მოქცეულხარ. იმედია, ამის შემდეგ კარგად დაფიქრდები და სუფთა სისხლის ქალს შეირთავ.

ჰერმიონმა შიშით ხმადაბლა შეჰკივლა. იაქსლიმ შეხედა. ჰერმი-ონმა ჩუმად ჩაახველა და შებრუნდა.

– მე... მე... – ენა დაება რონს.

– მაგრამ ჩემს ცოლს მუქსისხლიანობაში რომც ადანაშაულებდ-ნენ, – განაგრძო იაქსლიმ, – თუმცა მე, ცხადია, მსგავს არარაობას არასდროს გავეკარებოდი, და ამ დროს ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების დეპარტამენტის უფროსს რაღაც საქმე ჰქონდეს გასაკეთებელი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ საქმეს მივხედავდი, კატერმოლ. გესმის?

– დიახ, – წაიჩურჩულა რონმა.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი! და თუ ერთ საათში ჩემი კაბინეტი მთლიანად არ გაშრა, შენი ცოლის სისხლის სტატუსი ახლანდელზე საეჭვო გახდება.

ამ დროს ლიფტის ოქროს ცხაური გაიხსნა. იაქსლიმ ჰარის თავი დაუკრა, უსიამოვნოდ გაუღიმა (როგორც ჩანს, ჰარის უნდა მოსწონე-ბოდა მისი კატერმოლისადმი დამოკიდებულება) და მეორე ლიფტ-ისკენ გაეშურა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ლიფტში შევიდნენ, მაგრამ

Scanned by CamScanner

არავინ შეჰყოლია, გეგონება, გადამდები სენი სჭირთო. ცხაური ჯახუნით დაიხურა და ლიფტი ზემოთ წავიდა.

– რა უნდა ვქნა? – მაშინვე ჰკითხა რონმა ორივეს; გაოგნებული ჩანდა, – თუ არ მივედი, ჩემი ცოლი... ანუ კატერმოლის ცოლი...

– ჩვენც წამოგყვებით, ერთად უნდა ვიყოთ, – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ რონმა ცხარედ გააქნია თავი, – სიგიჟეა, ვერ მოვასწრებთ. თქვენ ამბრიჯი იპოვეთ, მე კი იაქსლის კაბინეტს მივხედავ... მაგრამ წვიმა როგორ შევაჩერო?

– „ფინიტე ინკანტატემ" სცადე, – მაშინვე ურჩია ჰერმიონმა, – თუ გათვალვის ან წყევლის ბრალია, უნდა უშველოს. თუ არ გადაიღო, გამოდის, რომ ატმოსფერულ ჯადოს დამართნია რაღაც. ეს უფრო ძნელი იქნება, ამიტომ იმპერვიუსის შელოცვა გამოიყენე, ნივთები მაინც გადაურჩება...

– ნელა გაიმეორე, რა... – ის, იყო, რონმა ფრთის საპოვნელად ჯიბეები მოიქექა, რომ ლიფტი შეყანყალდა და გაჩერდა. ქალის გულგრილმა ხმამ გამოაცხადა: – მეოთხე დონე: „ჯადოსნური პოპულაციის რეგულირებისა და მასაზე კონტროლის დეპარტამენტი, მხეცების, არსებებისა და სულების განყოფილება, გობლინებთან კავშირის სამმართველო და მავნებლებთან ბრძოლის საკონსულტაციო ბიურო". ცხაური ისევ გაიღო, ორი ჯადოქარი შემოვიდა და მათთან ერთად მკრთალი იისფერი ქაღალდის რამდენიმე ჩიტი შემოფრინდა. ჩიტები ლიფტის ჭერზე, ლამპის გარშემო დატრიალდნენ.

– დილა მშვიდობისა, ალბერტ, – ბაკენბარდებიანმა ჯადოქარმა ჰარის მისალმების ნიშნად გაუღიმა. მერე, როცა ლიფტი ისევ ზემოთ დაიძრა ჭრიჭინით, რონსა და ჰერმიონს შეხედა; ჰერმიონი რონს ცხარედ ჩასჩურჩულებდა რჩევებს. ჯადოქარი ცბიერი მზერით გადაიხარა ჰარისკენ და წაიბუტბუტა: – დირკ კრესველი, არა? გობლინებთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან? კარგია. ალბერტ, როგორც იქნა, მეღირსება მისი თანამდებობა!

და თვალი ჩაუკრა. ჰარიმაც გაუღიმა იმ იმედით, რომ ეს იკმარებდა. ლიფტი გაჩერდა. ცხაური ერთხელაც გაიღო.

– მეორე დონე: ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების დეპარტამენტი, მაგიის არამიზნობრივი გამოყენების განყოფილება, აურორთა შტაბი და ვიზენგამოტის ადმინისტრაციული სამსახურები, – ისევ გამოაცხადა ქალის გულგრილმა ხმამ.

ჰარიმ შეამჩნია, როგორ ჰკრა მუჯლუგუნი ჰერმიონმა რონს. რონი ლიფტიდან გავიდა, სხვა ჯადოქრებიც გაჰყვნენ და ჰარი და ჰერმიონი მარტონი დარჩნენ. როგორც კი ოქროს კარი დაიხურა, ჰერმიონმა სხაპასხუპით უთხრა:

Scanned by CamScanner

– ალბათ, აჯობებს, წავყვე. მე მგონი, ძალიან დაბნეულია და თუ დაიჭირეს, ყველაფერი...

– პირველი დონე: მაგიის მინისტრი და დამხმარე პერსონალი.

ოქროს ცხაური ისევ გაიხსნა და ჰერმიონს სიტყვა პირზე შეაშრა. მათ წინ ოთხი ადამიანი იდგა. ორი მათგანი საუბარში იყო გართული: გრძელთმიანი, დიდებულ შავ-ოქროსფერ მანტიაში გამოწყობილი ჯადოქარი კაცი და დაბალი, გომბეშოს მსგავსი ქალი, რომელსაც მოკლე ხუჭუჭა თმაზე ხავერდის ბაფთა ეკეთა, გულზე კი საქაღალდე ჰქონდა მიკრული.

Scanned by CamScanner

თავი მეცამეტე

მაგლური წარმოშობის ჯადოქართა სარეგისტრაციო კომისია

– აჰ, მაფალდა, – მიმართა ამბრიჯმა ჰერმიონს, – ტრავერსმა გამოგაგზავნათ, არა?

– დი-დი-ახ, – დაიწრიპინა ჰერმიონმა.

– კარგი, იმედია, თავს გაართმევთ, – ამბრიჯი შავ-ოქროსფერ მანტიაში გამოწყობილ ჯადოქარს მიუბრუნდა, – ეს საკითხიც მოგვარდა, ბატონო მინისტრო, თუ მაფალდა ოქმს დაწერს, საქმეს ახლავე შევუდგებით, – საქაღალდეს ჩახედა, – დღეს ათი კაცი გვყავს, მათ შორის, სამინისტროს თანამშრომლის ცოლი. რა სამარცხვინოა! აქაც კი, სამინისტროს გულში! – ამბრიჯმა ლიფტში შეაბიჯა და ჰერმიონს გვერდით ამოუდგა, ის ორი ჯადოქარიც მიჰყვა, რომლებიც მისა და მინისტრის საუბარს უსმენდნენ, – ახლავე ჩავიდეთ, მაფალდა. რაც გჭირდებათ, სასამართლო დარბაზში დაგხვდებათ. დილა მშვიდობისა, ალბერტ, არ ჩადიხართ?

– როგორ არა, – მიუგო ჰარიმ რანკორნის ბოხი ხმით და ლიფტიდან გავიდა. მის უკან ოქროს ცხაურის ჩხარუნი გაისმა. მიიხედა და დაინახა, როგორ თანდათან გაქრა ჰერმიონის შეშფოთებული სახე, რომელსაც აქეთ-იქიდან მაღალი ჯადოქრები ამოსდგომოდნენ, მისი მხრის სიმაღლეზე კი ამბრიჯის ხავერდის ბაფთა მოჩანდა.

– აქ რამ მოგიყვანა, რანკორნ? – ჰკითხა მაგიის ახალმა მინისტრმა. გრძელ, შავ თმა-წვერში ვერცხლისფერი შერეოდა, დიდი, გამობურცული შუბლითა და მოელვარე თვალებით კი კიბორჩხალას ჰგავდა.

– საქმე მაქვს არტურ უისლისთან, – ჰარი წამით შეყოყმანდა, – მითხრეს, პირველ დონეზეაო.

Scanned by CamScanner

– გასაგებია, – თქვა პიუს თიკნესმა, – რაო, არასასურველ პირთან კონტაქტისას ხომ არ წაასწრეს?

– არა, – ყელი გაუშრა ჰარის.

– დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაასწრებენ, – აღნიშნა თიკნესმა, – მე თუ მკითხავ, სისხლის შემარცხვენლები მუქსისხლიანებს არ ჩამოუვარდებიან. აბა, კარგად, რანკორნ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო მინისტრო.

ჰარიმ თვალი გააყოლა სქელი ნოხით დაფარულ დერეფანში მიმავალ თიკნესს. როგორც კი მინისტრი თვალს მიეფარა, ჰარიმ სქელი, შავი მანტიიდან უჩინმაჩინის მოსასხამი გამოაძვრინა, მოიხურა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაუყვა დერეფანს. რანკორნი იმსიმაღლე იყო, რომ ჰარი მოხრილი მიდიოდა, რათა დიდი ტერფები არ გამოსჩენოდა.

ჰარი დაძაბულობისგან კანკალებდა და ხის პრიალა კარებზე მიჭედებულ პატარა ფირფიტებს აკვირდებოდა, რომლებზეც კაბინეტის მფლობელის გვარი და თანამდებობა ეწერა; თანდათან სამინისტროს ძლიერება, სირთულე და შეუღწევადობა გააცნობიერა და ერთბაშად დაიბნა, ხოლო ის გეგმა, რომელსაც ოთხი კვირის განმავლობაში გულდასმით აწყობდა რონთან და ჰერმიონთან ერთად, სასაცილოდ ბავშვური ეჩვენა. მთელი ძალ-ღონე იმას შეალიეს, რომ აქ შეუმჩნევლად შემოეღწიათ და ფიქრადაც არ გაუვლიათ, რა უნდა ეღონათ, თუ ერთმანეთთან დაშორება მოუწევდათ. ახლა ჰერმიონი იძულებული იყო, სასამართლო ოქმები შეედგინა და შეიძლება ამ საქმეს საათობით მოეცდინა. რონი ცდილობდა, ისეთი ჯადოქრობა ჩაედინა, რომელსაც, ჰარის აზრით, ვერაფრით შეძლებდა, თვითონ ჰარი კი ზედა სართულზე დაბორიალობდა, თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ მისი სამიზნე ეს-ესაა, ლიფტით დაბლა ჩავიდა.

შეჩერდა, კედელს მიეყრდნო და სცადა, რამე გადაწყვეტილება მიეღო. დამთრგუნველი სიჩუმე იდგა, არც ფუსფუსი ისმოდა, არც ლაპარაკი და არც აჩქარებული ფეხის ხმა. იისფერი ნოხებით დაფარულ დერეფანში ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს იქაურობისთვის მუფლიატოს შელოცვა მოევლინათ.

ამბრიჯის კაბინეტი სადღაც აქ უნდა ყოფილიყო.

მართალია, ნაკლებად წარმოსადგენი იყო, რომ ამბრიჯი ძვირფასეულობას კაბინეტში შეინახავდა, მაგრამ ისიც სისულელე იქნებოდა, რომ ჰარის მისი კაბინეტი არ გაეჩხრიკა და ამაში არ დარწმუნებულიყო, ამიტომ ისევ გაუყვა დერეფანს. გზად არავინ შეხვედრია, გარდა ერთი ფიქრებში გართული ჯადოქრისა, რომელიც

Scanned by CamScanner

თავის წინ მოლივლივე ბატის ფრთას რაღაცას ჰკარნახობდა, ფრთა კი ნაკარნახევს პერგამენტზე ჩხაპნიდა.

ჰარიმ კაბინეტებზე მიკრული გვარების კითხვა-კითხვით შეუხვია კუთხეში. მეორე დერეფანი ნახევრამდეც არ გაევლო, რომ ფართო, გაშლილ ადგილას აღმოჩნდა. იქ ათობით ჯადოქარი ქალი და მამაკაცი მისჯდომოდა სკოლის მერხის მსგავს მომცრო მაგიდებს, ოღონდ ეს მაგიდები უფრო პრიალა იყო და არც ნაჩხაპნები აჩნდა. ჰარი შეჩერდა და ამ მართლაც შთამბეჭდავ სანახაობას ინტერესით დაუწყო ცქერა. ჯადოქრები ჯოხებს შეთანხმებულად იქნევდნენ და ატრიალებდნენ, კვადრატული ფერადი ფურცლები კი პატარა, ვარდისფერი ფრანებივით მიფრინავდა ყველა მიმართულებით. ორიოდე წამში მიხვდა, რომ მათ მოქმედებას თავისი რიტმი ჰქონდა, ყველა ფურცელზე ერთი და იგივე ნახატი ჩნდებოდა; სულ ცოტა ხანში იმასაც მიხვდა, რომ მის თვალწინ პამფლეტები იქმნებოდა. ვარდისფერი კვადრატული ქაღალდები თავს იყრიდა, იკინძებოდა და თითოეული ჯადოქრის გვერდით კოხტა სვეტად ლაგდებოდა.

ჰარი ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თუმცა მეპამფლეტეები ისე ჩაფლულიყვნენ საქმეში, რომ ნოხზე დაბიჯებული ფეხის ხმას, ალბათ, ვერც გაიგონებდნენ. ახალგაზრდა ქალის გვერდით დაწყობილი გროვიდან ჰარიმ ერთი მზა პამფლეტი აწაპნა და უჩინმაჩინის მოსასხასმის ქვეშ დაათვალიერა. ვარდისფერ ყდაზე ოქროსფერი წარწერა ბრწყინავდა:

მუქსისხლიანები

Ra საფრთხეს უქმნიან ისინი
Შშვიდობიან წშინდასისხლიან მოსახლეობას

სათაურის ქვეშ წითელი ვარდი ეხატა, რომლის ფურცლებიდან გაპრანჭული სახე მოჩანდა. მას მხეცისსახიანი, ღოჯებიანი სარეველა ახრჩობდა. პამფლეტზე ავტორის გვარი არ ეწერა, მაგრამ როცა გადაფურცლა, მარჯვენა ხელის ზურგზე ნაიარევები აეწვა. ახალგაზრდა ქალმა მისი ეჭვი დაადასტურა – ჯოხი ერთხელაც აიქნია, დაატრიალა და თქვა:

– ნეტავ, ის ბებერი კუდიანი მთელ დღეს აპირებს მუქსისხლიანების დაკითხვას?

– ფრთხილად, – უთხრა გვერდით მჯდომმა ჯადოქარმა და ნერვიულად მიიხედ-მოიხედა; ერთი ფურცელი გაუცურდა და იატაკზე დაუვარდა.

– რატომ? ჯადოსნური თვალი არ ჰყოფნის და ჯადოსნური ყურიც აქვს?

Scanned by CamScanner

ქალმა მეპამფლეტეებით სავსე ოთახის პირდაპირ წითელი ხის პრიალა კარს შეხედა. ჰარიმაც იქით გაიხედა და ბრაზისგან აცახცახდა: კარზე იმ ადგილას, სადაც მაგლებს სათვალთვალო აქვთ ხოლმე, დიდი, მრგვალი, კაშკაშა ცისფერი თვალი იყო ჩასმული – თვალი, რომელიც მტკივნეულად ნაცნობი იყო ყველასთვის, ვინც ალასტორ მუდის იცნობდა.

წამით დაავიწყდა, სად იყო და რას აკეთებდა. ისიც კი დაავიწყდა, რომ უჩინარი იყო და თვალის შესახედად პირდაპირ კარისკენ გააბიჯა. თვალი არ იძვროდა. გაშეშებული ბრმად იყურებოდა ზემოთ. მის ქვემოთ ფირფიტაზე ეწერა:

დოლორეს ამბრიჯი

მინისტრის უფროსი თანაშემწე

ქვემოთ უფრო პრიალა ფირფიტა იყო გაკრული:

მაგლური წარმოშობის ჯადოქართა
სარეგისტრაციო კომისიის თავმჯდომარე

ჰარიმ ისევ გახედა მეპამფლეტეებს. მართალია, საქმეში იყვნენ ჩაფლულები, მაგრამ თუ მათ წინ ცარიელი კაბინეტის კარი გაიღებოდა, ნამდვილად შეამჩნევდნენ. ამიტომ მანტიის ჯიბიდან უცნაური, მოსხმარტალე საგანი ამოიღო, რომელსაც ტანის ნაცვლად რეზინის რქა ჰქონდა. მერე მოსასხამის ქვეშ დაიხარა და სატყუარა დეტონატორი იატაკზე დადო.

დეტონატორი მაშინვე გაიქცა და ჯადოქრებს ფეხებში გაუძვრა. ორიოდე წამში, სანამ ჰარი კარის სახელურზე ჯოხდამიზნებული იცდიდა, გაისმა ხმამაღალი აფეთქება და კუთხეში სქლად ავარდა მყრალი კვამლი. წინა რიგში ახალგაზრდა ქალმა შეჰკივლა. ვარდისფერი ფურცლები აქეთ-იქით გაიფანტა. სანამ ის და მისი ამხანაგები წამოხტნენ და აქეთ-იქით დაიწყეს ყურება იმის გასაგებად, რა მოხდა, ჰარიმ სახელური გადაატრიალა, ამბრიჯის კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

ეს კაბინეტი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ამბრიჯის კაბინეტი ჰოგვორტსში. ყველაფერს მაქმანის სუფრები, ხელსახოცები და გამხმარი ყვავილები ფარავდა. კედლებზეც ისევ ის დეკორატიული თეფშები ეკიდა, რომლებშიც გამაღიზიანებლად ხტოდნენ და ცელქობდნენ ჭრელაჭრელა, ბაფთაშებმული კნუტები. მაგიდას არშიაშემოვლებული, ყვავილებიანი სუფრა ეფარა. მრისხანეთვა-

Scanned by CamScanner

ლას თვალის უკან მიდგმული დურბინდით ამბრიჯი ალბათ კარს მილმა მყოფ თანამშრომლებს უთვალთვალებდა. ჰარიმ დურბინდში გაიხედა და დაინახა, რომ მეპამფლეტეები ისევ სატყუარა დეტონატორს შემოჰხვეოდნენ. ჰარიმ დურბინდი კარს მოაძრო, მის ადგილას დარჩენილი ხვრელიდან ჯადოსნური თვალი ამოგლიჯა და ჯიბეში ჩაიდო. მერე კარს ზურგი შეაქცია, ჯოხი ასწია და წაილაპარაკა:

– აკციო მედალიონი.

არაფერი მომხდარა, თუმცა, ეს არც იყო გასაკვირი; ცხადია, ამბრიჯსაც ეცოდინებოდა უცხო დამცავი ჯადო-შელოცვები. ჰარი სწრაფად მივიდა მის მაგიდასთან და უჯრები გამოსწია. ისინი გამოტენილი იყო ფრთებით, ბლოკნოტებითა და ჯადოსკოჩებით; უჯრიდან გველივით ამოიგრაგნენ ფურცლების მოჯადოებული სამაგრები, რომლებიც ჰარიმ ძალით ჩატენა უკან; აქვე იყო თმის სარჭებით სავსე მომცრო, უგემოვნო, მაქმანგადაკრული კოლოფი; მედალიონი არსად ჩანდა.

მაგიდის უკან კარტოთეკა იდგა და ჰარი ახლა იმას მიადგა. ფილჩის კარტოთეკასავით ესეც საქაღალდეებით იყო სავსე. ყოველ საქაღალდეს გვარი ეწერა. ქვედა უჯრამდე ისე მივიდა, მისი ყურადღება არაფერს მიუქცევია, იქ კი ბატონი უისლის პირადი საქმე დახვდა.

საქაღალდე ამოაძვრინა და გადაშალა.

პრუნერ უისლი

სისხლის სტატუსი	წმინდასისხლიანი, მაგრამ მიუღებელი პრომაგლური მიდრეკილებების მქონე; ფენიქსის ორდენის წევრი
ოჯახი	ცოლი (წმინდასისხლიანი) და შვიდი შვილი, ორი უმცროსი – ჰოგვორტსის სტუდენტი (შენიშვნა: უმცროსი ვაჟი მძიმე ავადმყოფობის გამო ამჟამად შინ იმყოფება. დადასტურებულია სამინისტროს ინსპექტორების მიერ)
უსაფრთხოების სტატუსი	მიმდინარეობს თვალთვალი. კონტროლდება ყოველი ნაბიჯი. დიდია ალბათობა, რომ მასთან კონტაქტს დაამყარებს არასასურველი პიროვნება №1 (ნამყოფია უისლების ოჯახში).

Scanned by CamScanner

– „არასასურველი პიროვნება ნომერი პირველი“, – ჩაიდუდუნა ჰარიმ, არტურ უისლის პირადი საქმე ადგილზე დააბრუნა და უჯრა შესწია. ხვდებოდა, ვინც იყო ეს პიროვნება. როცა წელში გაიმართა და სხვა სამალავების აღმოჩენის მიზნით კაბინეტი მოათვალიერა, კედელზე თავისი პლაკატი დაინახა, რომელსაც მკერდზე ეწერა: „არასასურველი პიროვნება №1“. ზედ პატარა, ვარდისფერი წებოვანი ფურცელი მიეკრათ, რომელზეც კუთხეში კნუტი ეხატა. მიუახლოვდა და ამბრიჯის ნაწერი იცნო: „დაისაჯოს“.

გაცეცხლებულმა ჰარიმ გამხმარი ყვავილებით სავსე ლარნაკებისა და კალათების ფსკერები მოსინჯა და სულაც არ გაჰკვირვებია, რომ მედალიონი არ დაუხვდა. ერთხელაც მოავლო თვალი კაბინეტს და გული შეუხტა: მაგიდის გვერდით, წიგნების კარადის თაროზე მიყუდებული პატარა, მართკუთხა სარკიდან დამბლდორი უყურებდა.

ჰარიმ ოთახი გადაირბინა და ხელი სტაცა, მაგრამ როგორც კი შეეხო, მაშინვე მიხვდა, რომ სარკე არ იყო. დამბლდორი ფიქრიანად უღიმოდა წიგნის პრიალა ყდიდან. ახლაღა შეამჩნია დამბლდორის ქუდზე მიწერილი ჩახუჭუჭებული, მწვანე ასოები: „ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე“, და ქვემოთ ოდნავ მომცრო ასოები: „რიტა სკიტერი. შეიძინეთ მისი მეორე ბესტსელერიც – „არმანდო დიპეტი: მაგისტრი თუ ჭკუასუსტი?!“

ჰარიმ ალალბედზე გადაშალა წიგნი და ორი ყმაწვილის ფოტო დაინახა, რომელიც მთელ გვერდს ავსებდა. ხელიხელგადახვეულები იდგნენ და გულიანად იცინოდნენ. დამბლდორს თმა წელამდე ჩამოზრდოდა და მოკლე, თხელი წვერი მოეშვა. კრამის ნიკაპზე ამოსულ წვერს ჰგავდა, რომელმაც ასე გააღიზიანა რონი. დამბლდორის გვერდით მოხარხარე მხიარულ ბიჭს ოქროსფერი თმა მხრებზე კულულებად ეყარა. გაიფიქრა, ნეტავი ახალგაზრდა დოჯი ხომ არ არისო, მაგრამ სანამ წარწერას წაიკითხავდა, კაბინეტის კარი გაიღო.

კაბინეტში შემოსვლისას თიკნესს გვერდზე რომ არ გაეხედა, ჰარი უჩინმაჩინის მოსასხამის მოხურვას ვერც მოასწრებდა. მოეჩვენა, რომ თიკნესმა მაინც შეასწრო თვალი მის ელვისებურ მოძრაობას, რადგან ორიოდე წამით შეჩერდა და ინტერესით მიაშტერდა იმ ადგილს, სადაც ის-ის იყო, ჰარი გაქრა. მერე, ალბათ, იფიქრა, წიგნის ყდაზე გამოსახულმა დამბლდორმა ცხვირი მოიფხანაო, რადგან ჰარიმ წიგნი სასწრაფოდ დააბრუნა თაროზე. თიკნესი საწერ მაგიდასთან მივიდა და ჯადოსნური ჯოხი სამელნეში ჩაყუდებულ ფრთას მიუშვირა. ფრთა ამოფრინდა და ამბრიჯისათვის განკუთვნილი წერილის წერა დაიწყო. სუნთქვაშეკრულმა ჰარიმ ნელ-ნელა დაიხია უკან და კაბინეტიდან გავიდა.

Scanned by CamScanner

მეპამფლეტეები კვლავ სატყუარა დეტონატორის ნარჩენებს დასტრიალებდნენ, რომელიც ჯერაც სუსტად გუგუნებდა და ბოლავდა. დერეფნისკენ სწრაფად მიმავალ ჰარის ახალგაზრდა ქალის ხმა მოესმა:

– დაგენაძლევებით, ექსპერიმენტული შელოცვების განყოფილებიდან გამოეპარებოდათ. რა გაუფრთხილებლად იქცევიან! გახსოვთ ის შხამიანი იხვი?

ჰარი ლიფტებისკენ გაეშურა, თან გამალებით ფიქრობდა, ახლა როგორ მოვიქცეო. მედალიონი, ალბათ, აქ, სამინისტროში არ იქნებოდა და არც იმის იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ხალხით სავსე სასამართლოში მჯდარ ამბრიჯს ჯადოქრობით დასტყუებდნენ მის ადგილსამყოფელს. ახლა მთავარი იყო, სამინისტროდან მანამ გასულიყვნენ, სანამ ვინმე შეამჩნევდა და ბედი სხვა დროს ეცადათ. ჯერ რონი უნდა ეპოვა, მერე კი სასამართლო დარბაზიდან ჰერმიონის გამოპარებაზე ეფიქრა.

ლიფტი ცარიელი მოვიდა. ჰარი შევიდა და როცა კაბინა დაბლა დაეშვა, უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო. მეორე დონეზე ლიფტში გალუმპული და გიჟივით თვალებდაცეცებული რონი შემოვიდა.

– დდ-დილა მშვიდობისა, – ბლუკუნით მიესალმა ჰარის.

– რონ, მე ვარ, – ჰარიმ შვებით ამოისუნთქა.

– ჰარი, გეფიცები, დამავიწყდა, სხვანაირი რომ ხარ... ჰერმიონი სად არის?

– სასამართლოში ჩაჰყვა ამბრიჯს, უარი ვერ უთხრა და...

მაგრამ სანამ დაამთავრებდა, ლიფტი ისევ შეჩერდა. კარი გაიღო და ბატონმა უისლიმ შემოაბიჯა ხნიერ ქალთან ერთად. ქალს ქერა თმა იმსიმაღლეზე აევარცხნა, ტერმიტების ბუდე გეგონებოდა.

– ...მესმის, რასაც ამბობ, ვაკანდა, მაგრამ, მე მგონი, მაგ საქმეში...

უცებ ბატონმა უისლიმ ლიფტში მყოფები შეამჩნია, გაჩუმდა და ჰარი სიძულვილით სავსე მზერით შეათვალიერა. კარი დაიხურა და ლიფტი ქვემოთ დაიძრა.

– გამარჯობა, რეჯ, – რონის მანტიიდან წვეთების წკაპანკუპის გაგონებაზე ბატონი უისლი მას მიუბრუნდა, – დღეს შენი ცოლი ხომ დაკითხვაზეა? მმ... რა მოგივიდა? ასე რამ დაგასველა?

– იაქსლის კაბინეტში წვიმს, – მიუგო რონმა და მის მხარს მიაშტერდა. ჰარი მიხვდა, რომ რონს შეეშინდა, თვალს თუ გავუსწორებ, მამა მიცნობსო, – ვერაფერი მოვუხერხე და გამომგზავნეს, რომ ბერნი... პილსვორთი მოვნახო, მგონი ეგრე მითხრეს...

– ჰო, ბოლო დროს ბევრ კაბინეტში წვიმს, – თქვა ბატონმა უისლიმ, - „მეტეოლოჯინქს რეკანტო" არ გიცდია? ბლეჩლისთან უშველა.

Scanned by CamScanner

– „მეტეოლოჯინქს რეკანტო“? – წაიჩურჩულა რონმა, – არა, არ მიცდია. გმადლობ, მა... გმადლობ, არტურ.

ლიფტის კარი გაიღო; ტერმიტისბუდა ქალი გავიდა. რონიც გავარდა და მხედველობის არიდან გაქრა. ჰარიმაც დააპირა გასვლა, მაგრამ გზა გადაუღობეს – ლიფტში საბუთებში ცხვირჩარგული პერსი უისლი შემოვიდა.

სანამ კარი არ მიიხურა, პერსი ვერც კი მიხვდა, რომ ლიფტში მამასთან ერთად იყო. მერე აიხედა, მამის დანახვაზე ჭარხალივით განითლდა და როგორც კი კარი კვლავ გაიღო, მაშინვე გავიდა. ჰარიმ ერთხელაც სცადა გასვლა, მაგრამ ამჯერად ბატონმა უისლიმ ხელით გადაუღობა გზა.

– ერდი ნუთით, რანკორნ.

ლიფტის კარი დაიხურა და როცა კიდევ ერთი სართულით ქვევით ჩარახრახდნენ, ბატონმა უისლიმ უთხრა:

– გავიგე, ინფორმაცია გქონია დირკ კრესველზე.

ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ უისლი შვილთან შეხვედრის გამო იყო გაცეცხლებული და გადაწყვიტა, ყველაფერს აჯობებს, თუ თავს მოვისულელებო.

– რას ბრძანებთ?

– თავს ნუ იკატუნებ, რანკორნ, – ლამის იყვირა ბატონმა უისლიმ, – საგვარეულო ხის გადაკეთებაზე წაასწარი ჯადოქარს, არა?

– მე... ვთქვათ, ასეა, მერე რა? – ჰკითხა ჰარიმ.

– ის, რომ დირკ კრესველი ათ შენისთანას ჩაისვამს ჯიბეში, – ხმას დაუწია ბატონმა უისლიმ, როცა ლიფტი უფრო დაბლა ჩაეშვა, – და თუ აზკაბანს გადაურჩა, მისთვის, მისი ცოლის, ვაჟებისა და მეგობრებისთვის პასუხის გაცემა მოგიწევს...

– არტურ, – შეანყვეტინა ჰარიმ, – იცი, რომ გითვალთვალებენ?

– მემუქრები, რანკორნ? – ხმა ჩაუწყდა ბატონ უისლის.

– არა, – მშვიდად უპასუხა ჰარიმ, – სიმართლეა! შენს ყოველ ნაბიჯს ზვერავენ...

ლიფტის კარი გაიღო. ატრიუმში იყვნენ. ბატონმა უისლიმ გამანადგურებელი მზერა ესროლა და ლიფტიდან გავარდა. ჰარი გაოგნებული იდგა. ინატრა, ნეტავ რანკორნს კი არა, ვინმე სხვას ვასახიერებდეო... ლიფტის კარი ისევ დაიხურა.

უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო და გადაიხურა. გადაწყვიტა, სანამ რონი კაბინეტში წვიმას ებრძოდა, თვითონ ეცადა ჰერმიონის დახსნა. კარი გაიღო და ჰარი ჩირაღდნებით განათებულ ქვის დერეფანში გავიდა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ზემო სართულების ხისპანელებიანი და ნოხებით მოფენილი დერეფნებისაგან.

Scanned by CamScanner

ლიფტი წარახრახდა. მოშორებით, საიდუმლოებათა დეპარტამენტში შემავალი შავი კარის დანახვაზე ჰარის გააჟრჟოლა.

როგორც ახსოვდა, სასამართლო დარბაზებში ჩამავალი კიბე მარცხენა გასასვლელიდან იწყებოდა. ჰარიმ იქითკენ აიღო გეზი. კიბეზე მიიპარებოდა და გამალებული ფიქრობდა, რა ეღონა. ორიოდე სატყუარა დეტონატორი კიდევ ჰქონდა, მაგრამ იქნებ ჯობდა, უბრალოდ დაეკაკუნებინა სასამართლო დარბაზის კარზე, შესულიყო, როგორც რანკორნი, და მაფალდა სალაპარაკოდ გამოეყვანა? რასაკვირველია, არ იცოდა, იყო თუ არა რანკორნი იმდენად მნიშვნელოვანი თანამშრომელი, რომ ეს საქმე გამოსვლოდა. გამოყვანა რომც მოეხერხებინა, ჰერმიონი დარბაზში რომ აღარ შებრუნდებოდა, შეიძლება მისი ძებნა მანამ დაეწყოთ, სანამ ჰარი, რონი და ჰერმიონი სამინისტროდან გააღწევდნენ...

ფიქრებში ჩაფლულმა ჰარიმ უცებ ვერც იგრძნო, როგორ შეეპარა არაბუნებრივი სიცივე, თითქოს ნისლში იძირებაო. ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ციოდა; სიცივემ ყელში მოუჭირა და ლამის ფილტვები დაუფლითა. თანდათან სასონარკვეთა და უიმედობა დაეუფლა და შეშინებულმა გაიფიქრა: „დემენტორები".

კიბე ჩაიარა, მარჯვნივ შეუხვია და საშინელი სცენა დაინახა: სასამართლო დარბაზებიდან გამომავალი დერეფანი შავკაპიუშონიანი ფიგურებით იყო სავსე. სახე არ უჩანდათ, მხოლოდ ხრიალივით სუნთქვა ისმოდა. დასაკითხად მოყვანილი მაგლური წარმოშობის ჯადოქრები ერთად მიკუნჭულიყვნენ, ხის მაგარ, გრძელ სკამებზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და მთელი ტანით კანკალებდნენ. უმრავლესობას სახე ხელებში ჩაერგო, შეიძლება უნებურად ცდილობდნენ, რომ დემენტორების ხარბ პირს არიდებოდნენ. ზოგიერთს ოჯახი ახლდა, ზოგიც მარტო მოსულიყო. დემენტორები მათ წინ დასრიალებდნენ; იქ გაჰეფებულმა უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ ჰარიზე წყევლასავით იმოქმედა...

– არ დანებდე, – გაიმხნევა თავი. იცოდა, რომ უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეული პატრონუსს ვერ შექმნიდა. ასე ხომ იმწამსვე გასცემდა თავს. ამიტომ რაც შეეძლო, უხმაუროდ განაგრძო გზა; გონება თითქოს ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ებინდებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და რონსა და ჰერმიონზე ფიქრობდა, რომელთაც ახლა ჰარი ძალიან სჭირდებოდათ.

ყოველი მაღალი შავი ფიგურა, რომლის გვერდითაც კი გაივლიდა, შიშით ზფრავდა. კაპიუშონებში შემალული უთვალო სახეები მისკენ ბრუნდებოდნენ. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ მისი იქ ყოფნა იგრ-

Scanned by CamScanner

ძნეს; იგრძნეს, რომ გვერდით ჩაუარა ადამიანმა, რომელსაც ცოტა იმედი და წინააღმდეგობის უნარი შერჩენოდა...

უცებ, სამარისებურ სიჩუმეში, დერეფნის მარცხენა მხარეს ხმაურით გაიღო ერთი-ერთი ჯურღმულის კარი და იქიდან ყვირილი გამოიჭრა:

– არა, არა, შერეულსისხლიანი ვარ, შერეულსისხლიანი-მეთქი! მამაჩემი ჯადოქარი იყო. ნახეთ, არკი ალდერტონი, ცოცხების ცნობილი ოსტატი, ნახეთ-მეთქი... ხელი გამიშვით, ხელი მომაშორეთ...

– უკანასკნელად გაფრთხილებთ, – ამბრიჯის დამტკბარმა, ჯადოქრობით გაძლიერებულმა ხმამ მამაკაცის სასოწარკვეთილი ბღავილი გადაფარა, – თუ შეგვეწინააღმდეგებით, დემენტორის კოცნას შოგისჯით.

კაცის ბღავილი მიჩუმდა, მაგრამ დერეფანში ახლა შეკავებული ქვითინი გაისმა.

– წაიყვანეთ, – თქვა ამბრიჯმა.

სასამართლო დარბაზის კარში ორი დემენტორი გამოჩნდა. ისინი სიდამპლეშერეული, ქერცლიანი ხელებით მკლავებში ჩაჰფრენოდნენ თითქმის გულწასულ ჯადოქარს. მასთან ერთად დერეფანში გასრიალდნენ და მალე მთლიანად ჩაიკარგნენ სიბნელეში, რომელიც კვალივით დატოვეს უკან.

– შემდეგი! მერი კატერმოლი, – ისევ მოისმა ამბრიჯის ყიყინა ხმა.

ერთიანად აცახცახებული პატარა ქალი წამოდგა. მუქი თმა უკან შეეკრა, გრძელი, სადა მანტია ეცვა. სახეზე ფერი არ ედო. დემენტორებს რომ ჩაუარა, ჰარიმ დაინახა, რომ გააჟრჟოლა.

ის იყო, კარი უნდა მოეხურათ, რომ ჰარი ინსტინქტურად, ყოველგვარი გეგმის გარეშე შესხლტა სასამართლო დარბაზში მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ჯურღმულში ქალის მარტო შესვლა ვერ აიტანა.

ეს ის დარბაზი არ იყო, სადაც ერთხელ ჯადოქრობის უნებართვოდ გამოყენებისათვის დაჰკითხეს. აქაურობა გაცილებით პატარა იყო, ოღონდ, იმსიმაღლე ჭერი ჰქონდა, თავი ღრმა ჭის ფსკერზე გეგონებოდა.

დარბაზი დემენტორებით იყო სავსე და ამის გამო საშინლად ყინავდა; ეს უსახო გუშაგები მაღალი სცენიდან ყველაზე მოშორებულ კუთხეებში იდგნენ. მოაჯირის იქით ამბრიჯი დაბრძანებულიყო, ცალ მხარეს იაქსლი ეჯდა, მეორე მხარეს კი – ლამის მერი კატერმოლივით ფერწასული ჰერმიონი. ტრიბუნის ძირას კაშკაშა ვერცხლისფერი, გრძელბეწვიანი კატა დააბიჯებდა; ჰარი მიხვდა, ბრალმდებლებს დემენტორებისეული სასოწარკვეთისაგან იცავსო. სასოწარკვეთა ბრალდებულებს უნდა ეგრძნოთ და არა – ბრალმდებლებს.

Scanned by CamScanner

– დაბრძანდით, – მიმართა ქალს ამბრიჯმა ნაზი, დაშაქრული ხმით.

ქალბატონი კატერმოლი ამაღლებული ტრიბუნის ქვემოთ, ოთახის შუაგულში მდგარ ერთადერთ სავარძელთან მიბორძიკდა. როგორც კი დაჯდა, სახელურებიდან ჯაჭვები გამოჩხრიალდა და სავარძელს მიაბა.

– მერი ელიზაბეთ კატერმოლი ბრძანდებით? – ჰკითხა ამბრიჯმა.

ქალბატონმა კატერმოლმა ერთადერთხელ, კანკალით დაუქნია თავი.

– ჯადოქრული მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლის, რეჯინალდ კატერმოლის მეუღლე?

ბრალდებულს ცრემლები წამოსცვივდა:

– არ ვიცი, სად არის, აქ უნდა დამხვედროდა!

ამბრიჯმა ყურადღება არ მიაქცია:

– მეიზი, ელი და ალფრედ კატერმოლების დედა?

ქალბატონი კატერმოლი მწარედ აქვითინდა:

– ეშინიათ, ჰგონიათ, შინ აღარ დავბრუნდები...

– ტირილი საჭირო არაა, – ჩაიფრუტუნა იაქსლიმ, – მუქსისხლიანის ნაშიერებს ვერ შევიცოდებთ.

ბრალდებულის ქვითინმა ტრიბუნისკენ მიმავალი ჰარის ნაბიჯების ხმა გადაფარა. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც პატრონუსი კატა მიმოდიოდა, ჰარიმ ტემპერატურის ცვლილება იგრძნო. ტრიბუნასთან თბილოდა. პატრონუსი, ალბათ, ამბრიჯს ეკუთვნოდა, ხოლო ასე იმიტომ ბრწყინავდა, რომ მისი პატრონი აქ თავს ძალიან კარგად გრძნობდა, თავისივე ინიციატივით შექმნილი უკულმართი კანონების დაცვით ხარობდა. ჰარი ნელა, დიდი სიფრთხილით ავიდა ტრიბუნაზე. ამბრიჯსა და იაქსლის გასცდა და ჰერმიონს უკან მიუჯდა. ხმას ვერ იღებდა, ეშინოდა, ჰერმიონი მოულოდნელობისგან არ შემწტარიყო. ერთ წამს ისიც კი იფიქრა, ამბრიჯისა და იაქსლისათვის მუფლიატო ხომ არ შევულოცოო, მაგრამ ჰერმიონი შეიძლება დაჩურჩულებასაც კი შეეკრთო. ამ დროს ამბრიჯმა კატერმოლს ხმამაღლა მიმართა და ჰარიმ ამით ისარგებლა:

– მე აქა ვარ, – ყურში ჩასჩურჩულა ჰერმიონს.

ჰერმიონი მართლაც ისე შეხტა, რომ კინაღამ სამელნე გადააყირავა, რომელსაც ოქმის წერისას იყენებდა, მაგრამ ამბრიჯი და იაქსლიც ისე იყვნენ გართული საბრალო ქალის დაკითხვით, რომ მისი შეკრთომა არც კი შეუმჩნევიათ.

– დღეს სამინისტროში შემოსვლისას ჯოხი ჩამოგართვეს, ქალბატონო კატერმოლ, – ამბობდა ამბრიჯი, – რვა და სამი მეოთხედი

Scanned by CamScanner

დუიმი, ალუბლის ხე, გული – ცალრქიანი ცხენის ძუა. გეცნობათ ეს აღწერილობა?

ქალბატონმა კატერმოლმა თავი დაუქნია და თვალები სახელოთი შეიმშრალა.

– გთხოვთ, გვითხრათ, რომელ ჯადოქარს წაართვით ეს ჯოხი?

– წავართვი? – ამოიქვითინა ქალბატონმა კატერმოლმა, – არავისთვის არ წა-წამირთმევია. ვი-ვიყიდე, როცა თერთმეტი წლისა გავხდი. ჯოხმა თვი-თვი-თვითონ ამირჩია, – და წინანდელზე მწარედ აქვითინდა.

ამბრიჯმა ისე ნაზად, პატარა გოგოსავით გადაიკისკისა, რომ ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, იქვე არ მიეხრჩო. სახეგაბადრული ამბრიჯი მოაჯირზე გადაიხარა, რათა მსხვერპლი უკეთესად შეეთვალიერებინა და ამ დროს მკერდზე ოქროს რაღაც ნივთი აუბრწყინდა. მედალიონი! ჰარის კინაღამ გული გაუჩერდა.

მედალიონი ჰერმიონმაც დაინახა და უცნაურად დაიწრიპინა, მაგრამ ამბრიჯი და იაქსლი ისევ მსხვერპლს აკვირდებოდნენ და არაფერი გაუგიათ.

– არა, – განაგრძო ამბრიჯმა, – მე ასე არა მგონია, მერი კატერმოლ. ჯოხი მხოლოდ ჯადოქარს ირჩევს, თქვენ კი ჯადოქარი არ ხართ. აი, თქვენი პასუხები იმ ანკეტაზე, რომელიც გამოგვიგზავნეთ. მაფალდა, მომაწოდე.

ამბრიჯმა პატარა ხელი გაუშვირა ჰერმიონს. ამ მომენტში ისე ჰგავდა გომბეშოს, რომ ჰარის გაუკვირდა კიდეც, კოტიტა თითებშუა აპკი რატომ არა აქვსო. დაზაფრულმა ჰერმიონმა აკანკალებული ხელები ზურგს უკან, სკამზე აკოკოლავებულ საბუთებში ააფათურა და როგორც იქნა, ქალბატონი კატერმოლის გვარმიწერილი პერგამენტის გრაგნილი ამოაძრო.

– რა... რა ლამაზია, დოლორეს, – ჰერმიონმა ამბრიჯის კოფთის არშიებში მოელვარე მედალიონზე მიუთითა.

– რაა? – გაღიზიანებით ჰკითხა ამბრიჯმა, მაგრამ უცებ გამოერკვა და პირი საზიზღარი ღიმილით გაეფლაშა, – ჰოო, ეს... ძველი ოჯახური რელიკვიაა, „**S**“ სელვინს ნიშნავს... სელვინებს ვენათესავები... ალბათ, ორიოდე წმინდასისხლიანი ოჯახი თუ იქნება, რომლებსაც ნათესავად არ ვერგები... სამწუხაროა, – აუწია ხმას და ქალბატონი კატერმოლის ანკეტას გადახედა, – რომ თქვენზე ამასვე ვერ ვიტყვით. „მშობლების პროფესია: მემწვანილეები“.

იაქსლიმ გესლიანად ჩაიცინა. ქვემოთ ფუმფულა, ვერცხლისფერი კატა მიდი-მოდიოდა, დემენტორები კუთხეში იცდიდნენ.

ამბრიჯის სიცრუემ – ქურდბაცაცა მანდანგუსისგან ქრთამად

Scanned by CamScanner

აღებულ მედალიონს საკუთარი წმინდასისხლიანობის საბუთად რომ ასაღებდა, – ჰარი ისე გაამწარა, რომ სისხლმა თავში აასხა და სიფრთხილე დაავიწყდა, მაშინვე ჯოხი მოიმარჯვა (თავიც არ შეუწუხებია, რომ უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ დაემალა) და წარმოთქვა:

– გაშეშდი!

წითელმა შუქმა იფეთქა. ამბრიჯი მოიხარა და შუბლი მოაჯირს დაჰკრა. კატერმოლის საბუთები კალთიდან იატაკზე ჩაუსრიალდა, ტრიბუნის ძირას მოსეირნე ვერცხლისფერი კატა კი გაქრა და ტრიბუნაზე მსხდომთ ყინულივით ცივი ჰაერი დაეძგერა. გაოგნებულმა იაქსლიმ მიიხედ-მოიხედა და ჰარის ხელი და მისკენ დამიზნებული ჯოხი დაინახა. თვითონაც სცადა ჯოხის ამოღება, მაგრამ გვიან იყო:

– გაშეშდი!

იაქსლი ჩაცურდა და მოკუნტული დაეცა იატაკზე.

– ჰარი!

– ჰერმიონ, თუ გეგონა, რომ მშვიდად ვიჯდებოდი და ამათ ზღაპრებს მოვუსმენდი, ძალიან შემცდარხარ.

– ჰარი, ქალბატონი კატერმოლი...

ჰარი შებრუნდა და უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო; მანამდე კუთხეებში მდგარი დემენტორები სავარძელზე მიჯაჭვული ქალისკენ დაიძრნენ. შეძრწუნებულმა ქალბატონმა კატერმოლმა შეჰკივლა, ამ დროს საზიზღარი ხელი ნიკაპში ჩაეჭიდა და თავი გადაუწია.

– ექსპექტო პატრონუმ!

ჰარის ჯოხიდან ვერცხლისფერი ხარირემი გამოიჭრა და დემენტორებისკენ ისკუპა. დემენტორებმა უკან დაიხიეს და ისევ ბნელ კუთხეებში მიიკუნჭნენ. ხარირემმა ოთახი შემოირბინა და მისმა შუქმა, რომელიც ვერცხლისფერ კატაზე უფრო მძლავრი და მეტი სითბოთი იყო სავსე, მთელი ჯურღმული აავსო.

– ჰორკრუქსი აიღე, – უთხრა ჰარიმ ჰერმიონს.

თვითონ კიბეზე დაეშვა, უჩინმაჩინის მოსასხამი ჩანთაში ჩაიკუჭა და სავარძელზე მიჯაჭვულ ქალს მიუახლოვდა.

– თქვენ? – წაიჩურჩულა ქალბატონმა კატერმოლმა და სახეში შეაცქერდა, – მაგრამ... რეჯმა მითხრა, შენი სახელი რანკორნმა წარადგინა დაკითხვისთვისო!

– მართლა? – წაიბუტბუტა ჰარიმ და ქალის ხელებზე შემოხვეულ ჯაჭვებს დაეჯაჯგურა, – აზრი შევიცვალე. დიფინდო! – ჯაჭვები არ გაიხსნა, – ჰერმიონ, როგორ მოვაშორო ეს ჯაჭვები?

– ერთი წამით მოიცადე...

– მოვიცადო? დემენტორებით ვართ გარშემორტყმულები!

Scanned by CamScanner

– ვიცი, მაგრამ გამოფხიზლებულმა თუ მედალიონი ვერ ნახა... ასლი უნდა შევქმნა... გემინიო! აი, ამით, ალბათ, მოტყუვდება...

ჰერმიონმა კიბეზე ჩამოირბინა.

– ვნახოთ... რელაშიო!

ჯაჭვებმა დაიჩხარუნა და სავარძლის სახელურებში ჩაიმალა. ქალბატონი კატერმოლი წინანდელივით შეშინებული ჩანდა.

– ჩვენ უნდა წამოგვყვეთ, – ფეხზე წამოაყენა ჰარიმ, – შინ დაბრუნდით, ბავშვებს ხელი დაავლეთ და თუ შეძლებთ, უცხოეთში წადით. შეინიღბეთ და გაიქეცით. ხომ ნახეთ, რაც ხდება: აქ სამართლის იმედი ნუ გექნებათ.

– ახლა რა ვქნათ, – შეშფოთებული იყო ჰერმიონი, – აქედან როგორ გავიდეთ? გარეთ დემენტორების ტევა არ არის...

– პატრონუსები უნდა შევქმნათ, – უთხრა ჰარიმ და ჯოხი თავისი პატრონუსისკენ მიმართა. ხარირემმა ნაბიჯი შეანელა და, წინანდებურად გაბრწყინებული, კარისკენ დაიძრა, – რამდენიც შეგვიძლია. მიდი, სცადე.

– ექსპექ... ექსპექტო პატრონუმ, – წარმოთქვა ჰერმიონმა. არაფერი მომხდარა.

– ეს ერთადერთი შელოცვა უჭირს, – გადაულაპარაკა ჰარიმ საბოლოოდ გაოგნებულ ქალბატონ კატერმოლს, – ვერ გამოუვიდა... მიდი, კიდევ ერთხელ...

– ექსპექტო პატრონუმ!

ჰერმიონის ჯოხიდან ვერცხლისფერი წავი გამოიჭრა, ჰაერში მოხდენილად გასრიალდა და ხარირემს დაეწია.

– წავედით, – ჰარი ჰერმიონსა და ქალბატონ კატერმოლს კარისკენ გაუძღვა.

ჯურღმულიდან გალივლივებული პატრონუსების დანახვისას გარეთ მომლოდინე ხალხს გაოცების შეძახილები აღმოხდა. ჰარიმ მიიხედ-მოიხედა; დემენტორები პატრონუსების აქეთ-იქით ცვიოდნენ და ბნელში იკარგებოდნენ.

– გადაწყდა, რომ ყველანი შინ უნდა წახვიდეთ და ოჯახებთან ერთად დაიმალოთ, – მიმართა ჰარიმ მაგლური წარმოშობის ჯადოქრებს, რომლებიც პატრონუსების შუქისგან თვალებდაბრმავებულები და დემენტორების შიშით ჯერაც მოკუნტულები ისხდნენ, – თუ შეგიძლიათ, უცხოეთში წადით. ოღონდ სამინისტროს მოშორდით. ეს.. მმ... ახალი ოფიციალური განცხადებაა. ახლა, თუ პატრონუსებს გაჰყვებით, შეგიძლიათ ატრიუმიდან გახვიდეთ.

ქვის კიბე ისე აიარეს, არავის შეუჩერებია, მაგრამ როცა ლიფტს მიუახლოვდნენ, ჰარის გულმა რეჩხი უყო: თუ ატრიუმში მაგლური

Scanned by CamScanner

წარმოშობის ჯადოქრებს ვერცხლისფერი ხარირემი და წავი გაუძ-ღვებოდათ, ალბათ, არასასურველ ყურადღებას მიიქცევდნენ. ის იყო, ეს უსიამოვნო დასკვნა გამოიტანა, რომ მათ წინ ულარუნით შედგა ლიფტი.

– რეჯ! – შეჰკივლა ქალბატონმა კატერმოლმა და რონს გულში ჩაეკრა, – რანკორნმა გამომიშვა, ამბრიჯსა და იაქსლის დაესხა თავს და ყველას გვითხრა, უცხოეთში დაიმალეთო. მოდი, მართლაც ასე მოვიქცეთ, რეჯ, შინ გავიქცეთ და ბავშვები წავიყვანოთ. ასე რამ დაგასველა?

– წყალმა, – წაიბუტბუტა რონმა და თავი გაითავისუფლა, – იცით, უკვე გაიგეს, რომ სამინისტროში უცხო პირები არიან, ამბრიჯის კაბინეტის კარის ნახვრეტს ახსენებდნენ. ბევრი-ბევრი, ხუთი წუთი გვქონდეს, თუ ეს...

ჰერმიონი შეძრწუნებული მიუბრუნდა ჰარის. მისი პატრონუსი იმწამსვე ტკაცანით გაქრა:

– ვაიმე, აქ რომ ჩავრჩეთ!...

– ვიჩქაროთ და არ ჩავრჩებით, – ჰარი მათ უკან მდგომ მდუმარე ხალხს მიუბრუნდა, რომლებიც ისევ თვალებგაფართოებულები უყურებდნენ.

– ჯოხები ვის გაქვთ?

დაახლოებით ნახევარმა ასწია ხელი.

– კარგი, უჯოხოები ჯოხიანებს მიეკედლეთ. უნდა ვიჩქაროთ, სანამ დაგვიჭერენ. წამოდით.

როგორც იქნა, ორ ლიფტში შეიჭყუნენ. ჰარის პატრონუსი ოქროს ცხაურის წინ დარაჯად იდგა, სანამ ცხაური არ დაიკეტა და ლიფტები ზემოთ არ დაიძრა.

– მერვე დონე, – თქვა ქალის ცივმა ხმამ, – ატრიუმი.

ჰარი წამსვე მიხვდა, რომ გაებნენ. ატრიუმი ხალხით იყო სავსე. ბუხრებს ლუქავდნენ.

– რა ვქნათ?.. – ამოიკვნესა ჰერმიონმა.

– შეჩერდით! – დაიქუხა ჰარიმ რანკორნის მძლავრი ხმით. ბუხრე-ბის დამლუქავი ჯადოქრები გაშეშდნენ, – მომყევით, – წასჩურჩულა შეშინებულ მაგლური წარმოშობის ჯადოქრებს, რომლებიც სწრაფად მიჰყვნენ რონსა და ჰერმიონს.

– რა ხდება, ალბერტ? – თქვა იმ შემელოტებულმა ჯადოქარმა, რომელიც რამდენიმე საათის წინ ჰარის გამოჰყვა ბუხრიდან. ანერვი-ულებული ჩანდა.

– სანამ გასასვლელებს დალუქავთ, ეს ხალხი უნდა გავიდეს, – განაცხადა ჰარიმ რაც შეეძლო მბრძანებლურად.

Scanned by CamScanner

მის წინ მდგარმა ჯადოქრებმა ერთმანეთს გადახედეს:

– ჩვენ გვითხრეს, გასასვლელები დალუქეთო და არავინ...

– მე მეწინააღმდეგები? – დაიღრიალა ჰარიმ, – ხომ არ გინდა, შენი საგვარეულო ხეც დირკ კრესველის ხესავით შევამოწმო?

– უკაცრავად! – შემელოტებულმა ჯადოქარმა უკან დაიხია, – მე არაფერი მინდა, ალბერტ, უბრალოდ, ვიფიქრე... ვიფიქრე, ეს ხალხი დაკითხვაზე მოიყვანეს-მეთქი და...

– წმინდა სისხლი აქვთ, – ჰარის ბოხი ხმა შთამბეჭდავად გაისმა დარბაზში, – და მე თუ მკითხავთ, იმაზე წმინდა, ვიდრე ბევრ თქვენგანს... წადით, – უღრიალა მაგლური წარმოშობის ჯადოქრებს, რომლებიც ბუხრებისკენ გაექანნენ და წყვილ-წყვილად გაქრნენ. სამინისტროს თანამშრომლებმა უკან დაიხიეს. ზოგი დაიბნა, ზოგიც შეშინებული და გაოგნებული ჩანდა. უცებ გაისმა:

– მერი!

ქალბატონმა კატერმოლმა თავი მიაბრუნა. ლიფტიდან სირბილით გამოვარდა ნამდვილი რეჯ კატერმოლი, რომელსაც აღარ აღებინებდა, მაგრამ მაინც ფერწასული და ქანცგაწყვეტილი ჩანდა.

– რრ-რეჯ?

ქალბატონმა კატერმოლმა ჯერ ქმარს შეხედა, მერე – რონს. რონმა ხმამაღლა შეიგინა.

შემელოტებულმა ჯადოქარმა თვალები ჭყიტა, ხან ერთ რეჯ კატერმოლს უყურებდა გაოგნებული და ხან – მეორეს.

– ეე... რა ხდება? რა ამბავია?

– გასასვლელები დალუქეთ! დალუქეთ!

მეორე ლიფტიდან იაქსლი გამოვარდა და ბუხრებთან მდგომებისკენ გაიქცა. ბუხრებში უკვე ქალბატონი კატერმოლის გარდა ყველა მაგლური წარმოშობის ჯადოქარი გამქრალიყო. შემელოტებულმა ჯადოქარმა ჯოხი აღმართა, ამ დროს ჰარიმ ვეებერთელა მუშტი ასწია, ხეთქა და იატაკზე გააგორა.

– მუქსისხლიანებს გაქცევაში ეხმარებოდა, იაქსლი! – იყვირა ჰარიმ.

შემელოტებული ჯადოქრის კოლეგები აყვირდნენ, რონმა დრო იხელთა, ქალბატონ კატერმოლს ხელი სტაცა, ჯერაც ღია ბუხარში შეათრია და გაქრა. გაოგნებულმა იაქსლიმ ჰარიდან შემელოტებულ ჯადოქარზე გადაიტანა მზერა, ნამდვილმა რეჯ კატერმოლმა კი შეჰყვირა:

– ჩემი ცოლი! ვინ იყო ჩემს ცოლთან ერთად? რა ხდება?

ჰარიმ დაინახა, როგორ შემობრუნდა იაქსლი და ბრიყვ სახეზე შეატყო, რომ თანდათან ყველაფერს ხვდებოდა.

Scanned by CamScanner

– წამოდი! – უყვირა ჰარიმ ჰერმიონს, ხელი სტაცა და ერთად შეხტნენ ბუხარში; იაქსლის წყევლამ თავზე გადაუქროლა. რამდენიმე წამი ტრიალებდნენ და უნიტაზიდან კაბინაში ამოხტნენ. ჰარიმ კარი გამოგლიჯა. რონი ქალბატონ კატერმოლს ეჯაჯგურებოდა და მისი ხელებიდან თავის დახსნას ცდილობდა.

– რეჯ, რა გემართება...

– გამიშვით, თქვენი ქმარი არა ვარ, შინ უნდა წახვიდეთ!

მათ უკან, კაბინაში ხმაური გაისმა და იაქსლი გამოჩნდა.

– ჩქარა! – იღრიალა ჰარიმ. ჰერმიონს ხელში სტაცა ხელი, რონს – მკლავში და ადგილზე დატრიალდა.

სამივე სიბნელემ ჩაყლაპა. ჰარი ორივეს მთელი ძალ-ღონით უჭერდა ხელებს, მაგრამ რაღაცა რიგზე არ იყო... ჰერმიონის ხელი თითქოს უსხლტებოდა...

ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ, დავიხრჩობიო. ვერც სუნთქავდა და ველარც ხედავდა. მყარად მხოლოდ რონის მკლავსა და ჰერმიონის თითებს გრძნობდა, თუმცა, ისიც ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან...

მერე გრიმოს მოედნის თორმეტი ნომერი სახლი დაინახა თავისი გველისებური კარის ჩაქუჩით, მაგრამ სანამ ამოისუნთქავდა, გაის-მა ყვირილი, გაიელვა მეწამულმა შუქმა, ჰერმიონმა ხელი მაგრად ჩასჭიდა და კვლავ ყველაფერი დაბნელდა.

Scanned by CamScanner

თავი მეთოთხმეტე

ქურდი

ჰარიმ თვალი გაახილა და ოქროსფერმა შუქმა დააბრმავა; წარძოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა; მხოლოდ იმას მიხვდა, რომ მიწაზე იწვა. ფილტვები მიწებებულივით ჰქონდა, ამიტომ ჰაერი ძლივს ჩაისუნთქა, მერე თვალი დაახამხამა და მიხვდა, რომ ჭახჭახა სინათლე ფოთლებიდან შემომავალი მზის შუქი იყო. ზედ მის სახესთან რაღაც შეირხა. ჰარი წამოიწია და რომელიღაც მძვინვარე არსებასთან შესაბმელად მოემზადა, მაგრამ ეს „არსება" რონის ტერფი აღმოჩნდა. მიიხედ-მოიხედა და ხეების ძირში გაშხლართული ჰერმიონი დაინახა. ჯერ იფიქრა, აკრძალულ ტყეში ვართ სრულიად მარტონიო და გული აუჩქროლდა იმის გაფიქრებაზე, ხეებში ხომ არ გავძვრე და ჰაგრიდის ქოხში მივიდეო. თუმცა იცოდა, რა სულელური და სახიფათო იქნებოდა მათი გამოჩენა ჰოგვორტსის მიდამოებში. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ცდებოდა, აკრძალულ ტყეში არ იყვნენ, ერთმანეთისგან შორიშორს მდგარი ხეები უფრო ახალგაზრდა ჩანდა და იქაურობა აკრძალულ ტყეზე ბევრად ნათელი იყო. ამ დროს რონმა ხმადაბლა დაიგმინა და ჰარი მისკენ გაცოცდა.

იმავე წამს ჰერმიონიც მოხოხდა და რონის თავთან ჩაცუცქდა. როგორც კი რონს დახედა, ჰარის სხვა ფიქრები გაეფანტა, რადგან რონს მთელი მარცხენა მხარე სისხლში ჰქონდა მოთხვრილი და ფოთლებით მოფენილ მიწაზე მისი მონაცრისფრო-მოთეთრო სახე მკვეთრად მოჩანდა. მრავალწვნიანი სასმელის ზემოქმედება ნელ-ნელა სუსტდებოდა: რონი კატერმოლსაც ჰგავდა და თავის თავსაც; თმა ნელ-ნელა უწითლდებოდა, სახეზე კი ფერი მისდიოდა და მისდიოდა.

– რა მოუვიდა?

– გადაიყო, – ჰერმიონმა რონის სახელოს დაუწყო სინჯვა, რომელიც სისხლით ყველაზე მეტად დასველებულიყო.

Scanned by CamScanner

ჰარი შეძრწუნებული უყურებდა, როგორ ხევდა ჰერმიონი რონის პერანგს. გადაყოფა ყოველთვის სასაცილოდ ეჩვენებოდა, მაგრამ ეს... გულ-მუცელი უსიამოვნოდ შეეკუმშა, როცა ჰერმიონმა რონს მკლავი გაუშიშვლა. ხორცის დიდი ნაწილი თითქოს დანით ჩამოეთალათ.

– ჰარი, ჩემს ჩანთაში პატარა ბოთლია, „იფნურას ესენცია" აწერია...

– ჩანთაში... ახლავე...

ჰარი იქით გაიქცა, სადაც წეღან ჰერმიონი იწვა, პატარა, მძივებით დაქარგული ჩანთა აიღო და შიგ ხელი მოაფათურა. ხელში რიგრიგობით ხვდებოდა ნაირ-ნაირი საგნები: წიგნების ტყავის ყდები, ჯემპრების შალის სახელოები, ფეხსაცმელის ქუსლები...

– ცოტა დროზე, ჰარი!

ჰარიმ მიწიდან ჯოხი აიტაცა და ჯადოსნური ჩანთას შიგნით დაუმიზნა:

– აკციო იფნურა!

ჩანთიდან ყავისფერი ბოთლი ამოფრინდა; ჰარიმ დაიჭირა და ჰერმიონისა და რონისკენ გაიქცა. რონმა ნახევრად დახუჭული თვალები აახამხამა.

– გული წაუვიდა, – რონივით ფერწასული ჰერმიონი მაფალდას აღარ ჰგავდა, ოღონდ ალაგ-ალაგ ისევ შემორჩენოდა ჭაღარა თმა, – გამიხსენი, რა, მე ხელები მიკანკალებს.

ჰარიმ ციცქნა ბოთლს თავსახური მოხადა. ჰერმიონმა გამოართვა და სისხლმდენ ჭრილობას სამი წვეთი დააპკურა. ავარდა მომწვანო კვამლი და როცა გაიფანტა, ჰარიმ დაინახა, რომ რონს სისხლდენა შესჩერებოდა. ჭრილობა რამდენიმე დღის წინანდელს დამსგავსებოდა: იმ ადგილს, სადაც ეს-ესაა, შიშველი ხორცი მოჩანდა, ახალი კანი გადაჰკვროდა.

– ყოჩაღ! – მოწონებით წამოიძახა ჰარიმ.

– სულ ესაა, რითაც დავეხმარები, – ხმა უკანკალებდა ჰერმიონს, – არის შელოცვები, რომლებიც სულ გამოაკეთებდა, მაგრამ მეშინია, არ შემეშალოს და რაიმე არ დავუშავო... ისედაც რამდენი სისხლი დაკარგა...

– როგორ დაშავდა? – ჰარიმ თავი გაიქნია, რომ აზრი მოეკრიბა და გაეხსენებინა, რა მოხდა ცოტა ხნის წინ, – აქ რატომ ვართ? მეგონა, გრიმოს მოედანზე ვბრუნდებოდით.

ჰერმიონმა ღრმად ამოიოხრა, ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდი, საცაა ატირდებაო.

– ჰარი, იქ, ალბათ, ველარ დავბრუნდებით.

– რატომ?

Scanned by CamScanner

– აპარაციის გამოყენებისას იაქსლიმ ხელი ჩამავლო და ვერ მოვიშორე, ძალიან ღონიერია; გრიმოს მოედნამდე ჩემზე იყო ჩაფრენილი და მერე... მე მგონი, კარი რომ დაინახა, იფიქრა, აქ გაჩერდებიანო და ხელი შემიშვა, მეც თავი გავითავისუფლე თუ არა, აქ წამოგიყვანეთ.

– თვითონ სადღაა? მოიცა... გრიმოს მოედანზეა? იქ ხომ ვერ შევა?

თვალცრემლიანმა ჰერმიონმა თავი გააქნია:

– მე მგონი, შევა. განდევნის შელოცვით მოვიშორე, მაგრამ ამასობაში ფიდელიუსის შელოცვის დაცვაში შემოვუშვი. დამბლდორის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვართ მესაიდუმლეები. ჩემდა უნებურად საიდუმლო გავუმხილე, მიხვდი?

თავის მოტყუებას აზრი არ ჰქონდა, ჰერმიონი მართალს ამბობდა. ეს სერიოზული დარტყმა იყო. თუ იაქსლი სახლში შესვლას შეძლებდა, თვითონ იქ ველარ დაბრუნდებოდნენ. შეიძლება აპარაციით უკვე სხვა სიკვდილის მხვრელებიც შეჰყავდა. რაგინდ პირქუში და დამთრგუნველიც უნდა ყოფილიყო იქაურობა, მაინც ერთადერთი უსაფრთხო თავშესაფარი იყო; ბოლო დროს კი, რაც კრეჩერი გახალისდა და გული მოულბა, ჰარი იმ სახლს ლამის მშობლიურ სახლად თვლიდა. გულდაწყვეტილმა წარმოიდგინა (თუმცა, საჭმელზე გული დიდად არ სწყდებოდა), როგორ ფუსფუსებდა შინაური ელფი, როგორ წვავდა ხორცსა და აცხობდა თირკმლის ღვეზელს, რომლის ჭამა უკვე არც ერთს აღარ ეწერა.

– მაპატიეთ, ძალიან ვწუხვარ, ძალიან!..

– რას ამბობ, შენ რა შუაში ხარ. თუ ვინმეა დამნაშავე, ისევ მე...

ჰარიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო და მრისხანეთვალას ჯადოსნური თვალი ამოიღო. შეშინებული ჰერმიონი უკან გახტა.

– ამბრიჯს კაბინეტის კარზე მიეკრა და სათვალთვალოდ იყენებდა. იქ ვერ დავტოვებდი... სწორედ ამით მიხვდნენ, რომ სამინისტროში უცხო პირი შევიდა.

სანამ ჰერმიონი უპასუხებდა, რონმა დაიგმინა და თვალი გაახილა. სახეზე ისევ ნაცრისფერი ედო, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა.

– როგორა ხარ? – ჩურჩულით ჰკითხა ჰერმიონმა.

– საზიზღრად, – ამოიხავლა რონმა, ნატკენ ხელზე ხელი წაივლო და შეაჟრჟოლა, – სადა ვართ?

– იმ ტყეში, სადაც ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, – უთხრა ჰერმიონმა, – შედარებით დაცული, საიდუმლო ადგილია და...

– თანაც, სიჩქარეში მხოლოდ ეს გაგახსენდა, – დაამთავრა ჰარიმ და ცარიელი ტყე მოათვალიერა. უნებურად გაახსენდა, რა შედეგი მოჰყვა ერთხელ იმ ადგილას აპარაციას, რომელიც ჰერმიონს პირველად მოაფიქრდა. ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე სიკვდილის მხვრელ-

Scanned by CamScanner

ებმა მათ რამდენიმე წუთში მიაგნეს. ნუთუ ეს ლეგილიმენციის ბრალი იყო? ახლაც ხომ არ იციან ვოლდემორმა და მისმა მიმდევრებმა, სად წამოიყვანა ჰერმიონმა?

– რას იტყვით, ავიბარგოთ? – იკითხა რონმა ისეთი გამომეტყველებით, რომ ჰარი მიხვდა, რონიც იმას ფიქრობდა, რასაც თვითონ.

– რა ვიცი.

რონი ჯერაც უფერული და ღონემიხდილი ჩანდა. წამოჯდომა არ უცდია; ეტყობოდა, ძალიან სუსტად იყო. ჰარი მისი წაყვანის აზრმა შეაშინა.

– ჯერჯერობით აქ ვიყოთ.

ჰერმიონს გულზე მოეშვა და წამოხტა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა რონმა.

– თუ ვრჩებით, აქაურობას დამცავი შელოცვები დასჭირდება, – ჰერმიონმა ჯოხი მოიმარჯვა და გამალებული ბუტბუტით ჰარისა და რონის გარშემო დიდი წრე დაარტყა. ჰაერი ოდნავ ალივლივდა, თითქოს ჰერმიონი ჯოხიდან ცხელ ორთქლს უშვებსო.

– სალვიო ჰექსია... პროტეგო ტოტალუმ... რეპელო მაგლეტუმ... მუფლიატო... შეგიძლია კარავი ამოიღო, ჰარი?

– კარავი?

– ჩანთიდან!

– რა?.. ა, კი ბატონო.

ჰარის ამჯერად ჩანთაში ქექვით თავი აღარ შეუწუხებია და ისევ გამოძახების შელოცვა გამოიყენა. ჩანთიდან ბრეზენტის, თოკებისა და პალოების გროვა ამოფრინდა. ის კარავი იყო, რომელშიც ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატის ღამეს ეძინათ. ჰარი ამას კატების სუნით მიხვდა, რომელიც კარავს მაშინაც ასდიოდა.

– ეს ხომ იმ ტიპისაა, სამინისტროელი პერკინსის? – ჰკითხა და პალოების გამოხსნა დაიწყო.

– ეტყობა, წელი ისე სტკივა, შინ წაღება გადაიფიქრა, – უპასუხა ჰერმიონმა და რთული, რვა მოძრაობისაგან შემდგარი ფიგურა მოხაზა, – ჰოდა, ბატონმა უისლიმ მითხრა, თუ გინდა, წაიღეო. ერექტო! – დაუმატა და ჯოხი უფორმო ბრეზენტს დაუმიზნა, რომელიც ნარნარი მოძრაობით წამოიმართა ჰაერში და უკვე ანყობილი დაეშვა ჰარის წინ. ჰარის აცახცახებული ხელებიდან პალოები გაექცა, ღრმად ჩაერჭო მიწაში და თოკი დაჭიმა.

– ინიმიკუმ კარავი, – ჯოხის გრაციოზული აქნევით დაამთავრა ჰერმიონმა, – ამაზე მეტი არ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, როცა გამოჩნდებიან, მალევე მაინც მივხვდებით. იმის გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ეს დაგვიცავს ვოლ...

Scanned by CamScanner

– სახელი არ თქვა! – უხეშად შეაწყვეტინა რონმა.

ჰარიმ და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– მაპატიეთ, – რონმა კვნესით წამოიწია და ორივეს შეხედა, – მაგრამ, მგონი, სახელს ჯადოსავით რაღაცა ადევს. ხომ შეიძლება, ჩვენ-რომ-ვიცით, ის დავუძახოთ?

– დამბლდორი ამბობდა, სახელის შიში... – დაიწყო ჰარიმ.

– შეიძლება ვერ შეამჩნიე, ძმაო, მაგრამ დამბლდორმა ჩვენ-რომ-ვიცით, იმის სახელის ძახილით ბევრი ვერაფერი მოიგო, – შეეპასუხა რონი, – ასე რომ, ჯობია, ცოტა პატივი ვცეთ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას...

– პატივიო? – გაიმეორა ჰარიმ, მაგრამ ჰერმიონმა მზერით ანიშნა, გაჩუმდიო, ალბათ, იფიქრა, რომ არ ღირდა მისუსტებულ რონთან კამათი.

ჰარიმ და ჰერმიონმა რონი თრევა-თრევით მიიყვანეს კარვის შესასვლელთან. კარავი შიგნით ისევე იყო მოწყობილი, როგორც ახსოვდა; პატარა ოთახს თავისი სააბაზანო და ციცქნა სამზარეულო ჰქონდა. ჰარიმ ძველი სავარძელი ფეხით გასწია და რონი ფრთხილად დაუშვა ორსართულიანი საწოლის ქვედა სართულზე. რონს ამ ხანმოკლე მგზავრობამაც კი უფრო მეტად დაუკარგა ფერი. როგორც კი ლეიბზე დააწვინეს, თვალი დახუჭა და კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია.

– ჩაის მოვამზადებ, – ჰერმიონმა ჩანთიდან ჩაიდანი და ჭიქები ამოალაგა და სამზარეულოში გავიდა.

ჰარის ცხელი სასმელი ისე ეამა, როგორც ცეცხლოვანი ვისკი მრისხანეთვალას სიკვდილის ღამეს; მის გულში დაბუდებული შიში თითქოს ნაწილობრივ გაქრა. ორიოდე წუთში რონმა სიჩუმე დაარღვია:

– როგორ ფიქრობთ, კატერმოლებს რა ბედი ეწეოდათ?

– თუ ბედი გაუღიმებთ, გადარჩებიან, – თქვა ჰერმიონმა და ჭიქა ჩაბღუჯა, – თუ ის საწყალი რეჯ კატერმოლი აზრზე მოვიდა, ცოლს თანააპარაციით წაიყვანდა და ახლა, ალბათ, ბავშვებთან ერთად საზღვარგარეთ გარბიან. ჰარიმაც ურჩია, ასე მოქცეულიყვნენ.

– ღმერთმანი, კარგი იქნება, თუ გადარჩნენ, – ბალიშებს მიეყრდნო რონი. ეტყობოდა, ჩაი მოუხდა: თანდათან ფერი დაუბრუნდა, – თუმცა როცა კატერმოლი ვიყავი, ისე მელაპარაკებოდნენ, რომ დიდი საზრიანი ვინმე არ უნდა იყოს. ნეტავ გადარჩებოდნენ... თუ ჩვენი მიზეზით ორივე აზკაბანში მოხვდა...

ჰარიმ ჰერმიონს გადახედა და შეკითხვა, რომლის დასმასაც აპირებდა, ქალბატონ კატერმოლს უჯოხობა ხომ არ შეუშლიდა ხელს ქმართან ერთად აპარაციაშიო, ყელში გაეჩხირა. ჰერმიონი კატერ-

Scanned by CamScanner

მოლების ბედით შეწუხებულ რონს ისეთი სინაზით დაჰყურებდა, რომ ჰარიმ უხერხულად იგრძნო თავი, თითქოს მასა და რონს კოცნისას წაასწროო.

– შენ გაქვს? – ჰკითხა ჰარიმ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავისი იქ ყოფნა შეეხსენებინა.

– მაქვს? რა მაქვს? – შეკრთა ჰერმიონი.

– რისთვისაც ეს ორომტრიალი გამოვიარეთ – მედალიონი.სად არის?

– მედალიონი ჩვენ გვაქვს? – შეჰყვირა რონმა და ბალიშებზე წამოიწია, – რატომ არც ერთმა არ მითხარით? რა უსინდისობაა? გაკვრით მაინც გეთქვათ!

– როდის მოგვესწრო? სიკვდილის მხვრელებს გამოვურბოდით! – მიუგო ჰერმიონმა, – აი.

მანტიის ჯიბიდან მედალიონი ამოიღო და რონს მიაწოდა.

მედალიონი დიდი იყო, ქათმის კვერცხისოდენა. პატარ-პატარა თვლებით გამოყვანილი ასო „S" სუსტად ციალებდა კარვის ჭერიდან შემოსულ შუქზე.

– იქნებ კრეჩერის შემდეგ ვინმემ სცადა და გაანადგურა? – იმედიანად იკითხა რონმა, – დარწმუნებულები ვართ, რომ ისევ ჰორკრუქსია?

– მე მგონი, კი, – ჰერმიონმა ისევ გამოართვა მედალიონი, ყურადღებით დაათვალიერა და მერე ჰარის გაუწოდა, – ჯადოქრობით რომ გაენადგურებინათ, ზიანის კვალი დაემჩნეოდა.

ჰარიმ ჰორკრუქსი თითებში შეატრიალა. მედალიონი ძალიან ლამაზი იყო, ხელშეუხებელი. დასახიჩრებული დღიური და დამბლდორისგან განადგურებული ბეჭედ-ჰორკრუქსის გაბზარული ქვა გაახსენდა.

– მე მგონი, კრეჩერი მართალია, – თქვა ჰარიმ, – სანამ გაანადგურებთ, ჯერ უნდა მოვიფიქროთ, როგორ გავხსნათ.

უცებ, შუა ლაპარაკში გააცნობიერა, თუ რა ეჭირა ხელში, რა ცოცხლობდა მედალიონის ოქროს კარს მიღმა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი იწვალეს მის მოსაპოვებლად, მაინც ძალიან მოუნდა, სადმე მოესროლა. თავი ძლივს შეიკავა. სცადა, ჯერ ხელით გაეხსნა მედალიონი, მერე კი ის შელოცვა მოიშველია, რომლითაც ჰერმიონმა რეგულუსის ოთახის კარი გააღო. ვერც ერთმა ვერ უშველა. მედალიონი ისევ რონსა და ჰერმიონს დაუბრუნა. ცდა მათაც არ დაუკლიათ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს.

– ისე, თუ გრძნობ მაინც? – ჩუმად ჰკითხა მუჭში მედალიონმომწყვდეულმა რონმა.

Scanned by CamScanner

– რას გულისხმობ?

რონმა ჰორკრუქსი მიაწოდა. ჰარიმ გამოართვა და მაშინვე მიხვდა, რასაც გულისხმობდა რონი. ოღონდ, ის ვერ გაეგო, თავისივე სისხლის ფეთქვას გრძნობდა ვენებში თუ მედალიონში სცემდა ლითონის პაწაწინა გულის მსგავსი რამ.

– რა მოვუხერხოთ? – იკითხა ჰერმიონმა.

– შევინახოთ, სანამ არ მოვიფიქრებთ, როგორ გავანადგუროთ, – მიუგო ჰარიმ და თუმცა ძალიანაც არ ეპიტნავებოდა, ჯაჭვი მაინც ჩამოიკიდა კისერზე, მედალიონი კი მანტიაში ჩამალა, ჰაგრიდის ნაჩუქარი ქისის გვერდით.

– ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ რიგრიგობით ვიმორიგეებთ, – ჰერმიონი წამოდგა და გასასვლელისკენ წავიდა, – საჭმელზეც უნდა ვიფიქროთ. შენ აქ დარჩი, – სასწრაფოდ დაუმატა, როცა რონმა წამოჯდომა დააპირა და საზიზღარი მომწვანო ფერი დაედო.

კარავში მაგიდაზე ჰერმიონის ნაჩუქარი მავნოსკოპი მოათავსეს. რონს მალე ჩასთვლიმა, ჰარი და ჰერმიონი კი მთელი დღის განმავლობაში რიგრიგობით სდარაჯობდნენ შესასვლელს. მავნოსკოპი უძრავად იდო თავის ადგილზე. ვერ ხვდებოდნენ, ჰერმიონის შესრულებული დამცავი და მაგლების განსადევნი შელოცვა მოქმედებდა თუ ხალხი მართლა იშვიათად ბედავდა ამ გზით სიარულს. იქაურობა უკაცური იყო, თუ შემთხვევით გამოჩენილ ჩიტებსა და ციყვებს არ ჩათვლიდით. საღამოსაც არაფერი შეცვლილა; ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი აანთო, ღამის ათ საათზე ჰერმიონს შეენაცვლა და უკაცრიელ მიდამოს გახედა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის იმ ერთადერთ ნაგლეჯზე, რომელიც მათი თავშესაფრის ზემოთ მოჩანდა, მხოლოდ ღამურები იქნევდნენ ფრთებს.

მალე მოშივდა და თავბრუ დაეხვა. ჰერმიონს ჯადოსნურ ჩანთაში საჭმელი არ ჩაუდია, რადგან ეგონა, იმ საღამოს გრიმოს მოედანზე დაბრუნდებოდნენ. ამიტომ საჭმელი არაფერი ჰქონდათ, გარდა ცოტაოდენი სოკოსი, რომელიც ჰერმიონმა მახლობელი ხეების ძირას მოაგროვა და სალაშქრო ქვაბში მოთუშა. ერთი-ორი ლუკმის შემდეგ რონმა თავისი წილი ზიზღით გასწია გვერდზე; ჰარიმ კი მხოლოდ იმიტომ ჭამა, რომ ჰერმიონს არ სწყენოდა.

სიჩუმეს უცნაური შრიალი არღვევდა, თითქოს რტოები ტკაცუნებსო: ჰარი ფიქრობდა, ცხოველი იქნებაო, მაგრამ ჯოხი მაინც მომზადებული ეჭირა ხელში. რეზინივით სოკოს მწირმა ულუფამ კუჭი დაუმძიმა, ახლა კი მღელვარებისგან ასტკივდა კიდეც.

ეგონა, გაუხარდებოდათ, თუ ჰორკრუქსის მოპარვას მოახერხებდნენ, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. ჰარი იჯდა, გაჰყუ-

Scanned by CamScanner

რებდა სიბნელეს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილს აშუქებდა მისი ჯოხი, და მომავალზე ფიქრობდა. თითქოს კვირების, თვეებისა და, ვინ იცის, წლების მანძილზე მოისწრაფვოდა აქეთ, ახლა კი უცებ შეჩერდა, თითქოს გზას ასცდა.

სადღაც სხვა ჰორკრუქსებიც იყო, მაგრამ ბუნდოვნადაც კი ვერ ხვდებოდა – სად. არც ის იცოდა, რა ნივთები უნდა ეძებნა. ის კი არა, იმასაც ვერ მიმხვდარიყო, ერთადერთი ძლივს მოპოვებული, გულზე ჩამოკიდებული ჰორკრუქსი როგორ გაენადგურებინა. უცნაური იყო, რომ მედალიონმა სხეულის სითბო არ მიიკარა, ისევ ცივად ეხებოდა კანზე, თითქოს ყინულოვანი წყლიდან იყო ამოღებული. დროდადრო ეჩვენებოდა, რომ თავის გულისცემასთან ერთად სხვა, სუსტი, არათანაბარი ფეთქვაც ესმოდა. მალე გაურკვეველი წინათგრძნობა შეეპარა. ჰარი შეეცადა, შეწინააღმდეგებოდა და მოეშორებინა, მაგრამ ის განუწყვეტლივ უტევდა. „ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალია მეორე", – ჩაესმა წინასწარმეტყველება. რონსა და ჰერმიონს, რომლებიც ახლა წყნარად საუბრობდნენ კარავში, შეეძლოთ, თუ მოუნდებოდათ, თავი დაენებებინათ ამ საქმისთვის, მას კი – არა. სანამ იჯდა და თავის შიშსა და უღონობას ებრძოდა, ეჩვენებოდა, რომ მკერდზე დაკიდებული ჰორკრუქსი იმ დროს ითვლიდა, რაც ჰარის დარჩენოდა...

– რა სისულელეა, – უთხრა თავის თავს, – მაგაზე ნუ იფიქრებ...

ნაიარევმა ისევ დაუწყო ჩხვლეტა. შეშინდა, ამ ფიქრების ბრალი ხომ არ არისო და შეეცადა, სხვა რამეზე ეფიქრა. გაახსენდა საბრალო კრეჩერი, რომელიც მათ დაბრუნებას ელოდა და უცებ იაქსლი გამოეცხადა. ნეტავ ჩუმად იქნება ელფი თუ, რაც იცის, ყველაფერს ეტყვის სიკვდილის მხვრელებს? უნდოდა დაეჯერებინა, რომ ბოლო თვეში კრეჩერს გული მოუბრუნდა და ახლა თავისი ახალი ბატონის ერთგული იქნებოდა, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება? იქნებ სიკვდილის მხვრელებმა აწამონ კიდეც? საშინელი სურათები წარმოუდგა თვალწინ და შეეცადა, ისინიც მოეშორებინა, რადგან კრეჩერს ვერაფერს უშველიდა: მან და ჰერმიონმა უკვე გადაწყვიტეს, ელფი არ მოეხმოთ; ვაითუ სამინისტროს რომელიმე თანამშრომელიც მოჰყოლოდა. იმის იმედად ვერ იქნებოდნენ, რომ ელფების აპარაცია დაზღვეული იყო იმ ხარვეზისაგან, რომელმაც ჰერმიონის სახელოს კიდეზე ჩაჭიდებული იაქსლი გრიმოს მოედანზე მიიყვანა.

ჰარის ნაიარევი ისევ ეწვოდა. ფიქრობდა, კიდევ რამდენი რამ არ იცოდნენ; ლუპინი მართალს ამბობდა, ისეთ მაგიასთან გვაქვს საქმე, როგორსაც ბევრი ჩვენგანი არასოდეს შესჯახებია და ვერც წარმოუდგენიაო. უკეთესად რატომ არ აუხსნა დამბლდორმა? იქნებ

Scanned by CamScanner

ეგონა, საკმარისი დრო ექნებოდა ყველაფრის სათქმელად; რომ წლობით, ეგებ საუკუნეობითაც კი იცოცხლებდა, როგორც მისი მეგობარი, ნიკოლას ფლამელი? თუ ასეა, მწარედ შემცდარა... ამაზე სნეიპმა იზრუნა... სნეიპმა, მძინარე გველმა, რომელმაც კოშკის თავზე ბოლო მოუღო მას...

და დამბლდორი დაეცა...

– მომეცი, გრეგოროვიჩ.

ჰარიმ უცებ მაღალი, მკვეთრი, ცივი ხმით დაილაპარაკა. გრძელთითება, თეთრ ხელში ჯოხი მოიმარჯვა. ჯოხდამიზნებული კაცი ჰაერში თავდაყირა კონწიალებდა, თუმცა თოკზე არ იყო ჩამოკიდებული; ტრიალებდა, უხილავად და საზარლად შებოჭილი, ტანზე ხელფეხმიკრული. ჰარისკენ მიქცეული მისი შეძრწუნებული სახე მოწოლილ სისხლს აეწითლებინა. ქათქათა თმითა და სქელი, ღუნღულა წვერით ნამდვილ თოვლის პაპას ჰგავდა.

– არა აქვს, არა! მე აღარა აქვს! რამდენი წელია, მომპარეს!..

– ნუ ცრუობ, გრეგოროვიჩ. ლორდმა ვოლდემორმა ყველაფერი იცის.

ყირამალა დაკიდებული კაცის შიშისგან გაფართოებული გუგები თითქოს უფრო ფართოვდებოდა, იზრდებოდა და იზრდებოდა, სანამ ჰარი მთლიანად არ ჩაიძირა მათ სიშავეში.

უცებ ბნელ დერეფანში აღმოჩნდა. მის წინ დაბალი გრეგოროვიჩი მიდიოდა, მაღლა აწეულ ხელში ფარანი ეჭირა: დერეფნის ბოლოს გრეგოროვიჩი ოთახში შევიდა და მისმა ფარანმა სახელოსნო გაანათა; სინათლის მოქანავე წრეში ხის ბურბუშელებმა და ოქრომ გაიციალა. ფანჯრის რაფაზე ოქროსფერთმიანი ყმაწვილი დასკუპებულიყო გიგანტური ფრინველივით. ფარნის შუქმა მისი სიხარულით გაბრწყინებული სახე გაანათა. უცებ გონს მოეგო, თავისი ჯოხიდან გაშეშების შელოცვა ისროლა და ახარხარებული ზურგით გადახტა ფანჯრიდან.

ჰარი ისევ გადმოეშვა იმ დიდი, გვირაბივით გუგებიდან და გრეგოროვიჩის შეძრწუნებული სახე დაინახა.

– ვინ იყო ეს ქურდი, გრეგოროვიჩ? – იკითხა მაღალი, ცივი ხმით.

– არ ვიცი, არ ვიცოდი... ახალგაზრდა კაცი... არა... გემუდარებით... გევედრებით!

ბღავილი მწვანე შუქის გაელვებამ შეწყვიტა...

– ჰარი!

ჰარიმ თვალი გაახილა. მძიმედ სუნთქავდა, შუბლი უფეთქავდა. კარვის კედელთან წასვლოდა გული, ბრეზენტზე ჩაცურებულიყო და მიწაზე გაშხლართულიყო. ჰერმიონს ახედა; მისი ხშირი თმა მუქ ტოტებს შორის გამოჩენილ ცის პაწია ნაგლეჯს ჩრდილავდა.

Scanned by CamScanner

– სიზმარი იყო, – სწრაფად წამოჯდა ჰარი და შეეცადა, ჰერმიონის ბრაზიანი მზერისთვის მიამიტი გამოხედვა შეეგებებინა, – ეტყობა, წამთვლიმა, მაპატიე.

– წაგთვლიმა კი არა, ისევ ნაიარევი იყო, სახეზე გაწერია. ისევ ვოლ...

– სახელს ნუ ამბობთ! – გაისმა კარვის სიღრმიდან რონის ბრაზიანი ხმა.

– კარგი, – მიუგო ჰერმიონმა, – ჩვენ-რომ-ვიცით, იმის გონებაში იხედებოდი!

– ძალით ხომ არ ჩამიხედავს, – თავი იმართლა ჰარიმ, – სიზმარი იყო. შენ სიზმრებს შენს ნებაზე ნახულობ, ჰერმიონ?

– ოკლუმენცია რომ გესწავლა...

– გრეგოროვიჩი იპოვა, ჰერმიონ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, რადგან საყვედურების მოსმენაზე მეტად წუთის წინ ნანახის მოყოლა უნდოდა, – და მე მგონი, მოკლა. მაგრამ სანამ მოკლავდა, მის გონებაში შევიდა და მეც მასთან ერთად დავინახე, რომ...

– თუ ისე დაიღალე, რომ გეძინება, ჯობია, მე შეგცვალო, – ცივად უთხრა ჰემიონმა.

– ვიჯდები, სანამ ჩემი მორიგეობა დამთავრდება!

– არა, დაქანცული ჩანხარ. წადი და დაწექი, – გაჯიუტდა ჰერმიონი და კარვის შესასვლელში ჩამოჯდა. ჰარი გაბრაზდა, მაგრამ ჩხუბი არ უნდოდა, ამიტომ წამოდგა და კარავში შევიდა.

ჯერაც გაფითრებულ რონს ქვედა საწოლიდან გადმოეყო თავი; ჰარი ზედა სართულზე აძვრა და კარვის ჩაბნელებულ ჭერს მიაშტერდა. ორიოდე წამში რონმა ჩუმად დაილაპარაკა, რომ შესასვლელთან მოკუნტულ ჰერმიონს არ გაეგონა:

– რა ჩაიდინა ჩვენ-რომ-ვიცით, იმან?

ჰარიმ თვალები მოჭუტა, ცდილობდა, ყველა წვრილმანი გაეხსენებინა და მერე წაიჩურჩულა:

– გრეგოროვიჩს მიაგნო. აწამა და, მგონი, მოკლა კიდეც.

– კი მაგრამ, თუ მოკლა, ჯოხს როგორღა დაუმზადებს?

– რა ვიცი... უცნაურია, არა?

თვალები დახუჭა და ნანახსა და მოსმენილზე დაიწყო ფიქრი. რაც უფრო დაწვრილებით იხსენებდა, მით ნაკლები აზრი გამოჰქონდა... ვოლდემორს არც ჰარის ჯოხი უხსენებია და არც ტყუპი ჯოხები; არც ის, რომ ჰარის დასამარცხებლად ახალი და ძლიერი ჯოხის დამზადებას ითხოვდა...

– გრეოგროვიჩისგან რაღაც ნივთი უნდოდა, – თქვა ჯერაც

Scanned by CamScanner

მაგრად თვალდახუჭულმა, – მაგრამ იმან უთხრა, მომპარესო... და მერე... მერე...

გაახსენდა, როგორ ჩაძვრა ვოლდემორი გრეგოროვიჩის თვალებში და მის მოგონებებში შეიჭრა.

– გრეგოროვიჩის აზრებს კითხულობდა. ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ბიჭი დავინახე, გრეგოროვიჩს შელოცვა ესროლა და გადახტა. ის ნივთი მოიპარა, რასაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაეძებს. თან, მე... მგონი, ის ბიჭი სადღაც მინახავს...

ინატრა, ნეტავ, ის მოღიმარი ბიჭი ერთხელაც დამანახვაო. გრეგოროვიჩის თქმით, ქურდობა დიდი ხნის წინ მოხდა. მაშ, რატომ ეცნობა ის ყმაწვილი ქურდი?

კარაეი ტყის ხმაურს ახშობდა; მხოლოდ რონის სუნთქვა ისმოდა. ცოტა ხანში რონმა დაიჩურჩულა:

– ვერ დაინახე, რა ეჭირა იმ ქურდს?

– ვერა... ეტყობა, პატარა იყო.

რონი გადმობრუნდა; ხის საწოლი აჭრიალდა:

– ჰარი, იქნებ ჩვენ-რომ-ვიცით, ის კიდევ რამეს ეძებს, რომ ჰორკრუქსად აქციოს?

– რა ვიცი, – დაფიქრდა ჰარი, – შეიძლება. მაგრამ კიდევ ერთი ჰორკრუქსის შექმნა ხომ ავნებს?! ჰერმიონმა თქვა, სული უკვე დაშ-ვებულ ზღვრამდე აქვს დახლეჩილიო.

– ჰო, მაგრამ იქნებ თვითონ არ იცის.

– შეიძლება.

დარწმუნებული იყო, ვოლდემორი ტყუპი ჯოხის პრობლემაზე ფიქრობდა და მოხუც ოსტატთან ეძებდა მისი გადაწყვეტის გზას... მაგრამ მივიდა და მოკლა, თანაც ისე, რომ ჯოხების ამბავი არ უკითხ-ავს.

რის პოვნას ცდილობს ვოლდემორი? მაგიის სამინისტრო და ჯადოქართა მთელი სამყარო ხელში ჰყავს, თვითონ კი გადაკარ-გულა და რაღაც ნივთს დაეძებს, რომელიც ოდესღაც გრეგოროვიჩს ეკუთვნოდა და უცნობმა ქურდმა მოჰპარა.

ჯერაც ხედავდა იმ ქერა ყმაწვილის მხიარულსა და ანც სახეს; ფრედისა და ჯორჯივით ეშმაკური, გამარჯვებული იერი ჰქონდა. ფანჯრიდან ჩიტივით გადაფრინდა. ნამდვილად უნახავს, მაგრამ ვერ იხსენებს, სად...

რაკი გრეგოროვიჩი მოკვდა, ახლა მხიარული ქურდი იყო საფრთხ-ეში. ჰარი ჯერ ისევ მასზე ფიქრობდა, როცა ქვედა სართულიდან რონის ხვრინვა მოესმა და თვითონაც წავიდა ძილში.

Scanned by CamScanner

თავი მეთხუთმეტე

გობლინის შურისძიება

მეორე დილით, ადრე, სანამ რონსა და ჰერმიონს გაეღვიძებოდათ, ჰარი კარვიდან გავიდა და ტყეში ყველაზე ბებერი, დაკოჟრილი ხე იპოვა. მის ძირში ჩამარხა მრისხანეთვალას თვალი და იმ ადგილის მოსანიშნად ხის ქერქზე ჯადოსნური ჯოხით ჯვარი ამოტვიფრა. ბევრი არაფერი იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ მრისხანეთვალა ნამდვილად ამჯობინებდა, მისი თვალი ტყეში ყოფილიყო დამარხული, ვიდრე დოლორეს ამბრიჯის კარზე მიკრული. მერე კარავში დაბრუნდა და დანარჩენების გაღვიძებას დაელოდა, რომ მომავალი მოქმედებების გეგმა მოეფიქრებინა.

ჰარიმ და ჰერმიონმა გადაწყვიტეს, რომ აჯობებდა, დიდი ხნით არსად დარჩენილიყვნენ. რონიც დაეთანხმა, ოღონდ, ერთი პირობით: ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ლორიანი სენდვიჩების შოვნას მოვახერხებთო, ამიტომ ჰერმიონმა ტყისპირას შესრულებული შელოცვა მოხსნა, ჰარიმ და რონმა კი მათი იქ დაბანაკების ყველა ნიშანი და ნაკვალევი გააქრეს. მერე პატარა ქალაქის გარეუბანში მოახდინეს აპარაცია. როგორც კი მომცრო კორომში კარავი დადგეს და დამცავი შელოცვები შემოავლეს, ჰარიმ უჩინმაჩინის მომსასხამი მოისხა და საკვების საშოვნელად წავიდა. თუმცა, საქმე ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდნენ. ის იყო, ჰარი ქალაქში შევიდა, რომ არაბუნებრივმა სიცივემ, ჩამოწოლილმა ნისლმა და უეცრად ჩამობნელებულმა ცამ ადგილზე გააშეშა.

– ჰო, მაგრამ შენ ხომ მშვენიერ პატრონუსს ქმნი! – შესძახა რონმა კარავში სირბილით დაბრუნებული ხელცარიელი ჰარის დანახვისას. ჰარი მძიმედ სუნთქავდა და ერთადერთ სიტყვას: – „დემენტორებს“ – გაიძახოდა.

– ვერ... მოვახერხე, – ამოიქშინა ჰარიმ და ატკივებულ ფერდზე იტაცა ხელი, – არ... გამომივიდა.

Scanned by CamScanner

რონმა და ჰერმიონმა ისე გაოგნებულებმა და იმედგაცრუებულებმა შეხედეს, რომ ჰარის შერცხვა. კოშმარი იყო ნისლიდან გამოცურებული დემენტორების დანახვა; ფილტვები საშინელი სიცივით აევსო და ყურში შორეული კივილი ჩაესმა. მიხვდა, თავს ვერ დაიცავდა. იმაზეც კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ადგილიდან მომწყდარიყო და მაგლებს შორის მოსრიალე დემენტორებს გამოჰქცეოდა. მაგლები მათ ვერ ხედავდნენ, მაგრამ იმ სასონარკვეთას კი უსათუოდ იგრძნობდნენ, რომელიც დემენტორებს ყველგან თან სდევდა.

– მაშ, ისევ ულუკმაპუროდ ვართ.

– გაჩუმდი, რონ, – დაუცაცხანა ჰერმიონმა, – ჰარი, რა მოხდა? რატომ-გგონია, რომ პატრონუსს ვერ შექმნიდი? გუშინ ხომ მშვენივრად მოახერხე!

– არ ვიცი.

ჰარი ძველ სავარძელში ჩაეხეთქა და თავი დამცირებულად იგრძნო. შიშით გაიფიქრა, რომ რაღაც სჭირდა. გუშინდელი დღე თითქოს დიდი ხნის წინ იყო. ახლა ისევ ისე გრძნობდა თავს, როგორც ცამეტი წლისა, როცა ჰოგვორტსის ექსპრესში დემენტორის დანახვისას გული წაუვიდა.

რონმა სკამის ფეხს წიხლი ჰკრა.

– რა იყო? – შეუღრინა ჰერმიონს, – მშია. იმდენი სისხლი დავკარგე, კინაღამ მოვკვდი და მას მერე ორი გაფშიკული სოკოს მეტი პირში არაფერი ჩამსვლია!

– მაშ, წადი და ბრძოლით შენ თვითონ გაიკვლიე გზა დემენტორებს შორის, – უკბინა ჰარიმ.

– წავიდოდი, მაგრამ ხელი მტკივა, ეტყობა, ვერ შეამჩნიე!

– კარგი საბაბია.

– ვითომ რას...

– მივხვდი! რა თქმა უნდა! – წამოიძახა ჰერმიონმა და შუბლზე ხელი იტკიცა. ჰარი და რონი შეკრთნენ და კამათი შეწყვიტეს, – ჰარი, მედალიონი მომეცი! ჩქარა, – მოუთმენლად გაატკაცუნა თითები, რადგან ჰარი არ ინძრეოდა, – ჰორკრუქსი, ჰარი, ისევ გულზე გკიდია!

ჰერმიონმა ხელები გაუწოდა. ჰარიმ ოქროს ჯაჭვი თავზე გადაიძრო. როგორც კი ჰორკრუქსი კანიდან მოშორდა, მაშინვე თავისუფლება და უცნაური სიმსუბუქე იგრძნო. მანამდე ვერც კი ხვდებოდა, რა მოთენთილი იყო და რამხელა სიმძიმე აწვა გულზე.

– უკეთესად ხარ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– გაცილებით!

– ჰარი, – ჰერმიონი დაიხარა. ისეთი შეწუხებული ხმა ჰქონდა,

Scanned by CamScanner

როგორითაც, ჰარის წარმოდგენით, მძიმე ავადმყოფს ელაპარაკებიან, – ხომ არ გგონია, რომ დაგეუფლა?

– რა? არა! – წამოიძახა ჰარიმ, – ყველაფერი მახსოვს, რასაც ვაკეთებდით მას მერე, რაც კისერზე ჩამოვიკიდე. ჩემში რომ ჩასახლებულიყო, ხომ არ მეხსომებოდა? ჯინი ამბობდა, ხანდახან არაფერი მახსოვდაო.

– ჰმ... – ჰერმიონმა მძიმე მედალიონს დახედა, – იქნებ ჯობია, არ გვეკეთოს?.. შეგვიძლია, კარავში შევინახოთ.

– ჰორკრუქსს არსად არ დავტოვებთ, – გადაჭრით თქვა ჰარიმ, – რომ დაგვეკარგოს ან მოგვპარონ...

– ჰო, კარგი, კარგი, – ჰერმიონმა მედალიონი თვითონ ჩამოიკიდა და პერანგში ჩამალა, – მაგრამ რიგრიგობით ვატაროთ და დიდხანს არც ერთმა არ გავიჩეროთ.

– მშვენიერია, – ხმა ამოიღო გაღიზიანებულმა რონმა, – ეს საქმე მოვაგვარეთ. შეიძლება, ახლა კვების საკითხს მივხედოთ?

– კი, ბატონო, ოღონდ სადმე სხვაგან, – ჰერმიონმა ცალი თვალით ჰარის გადახედა, – რა აზრი აქვს იქ დარჩენას, სადაც დემენტორები ფუთფუთებენ?!

იქიდანაც აიბარგნენ და მინდორში განმარტოებული ფერმის სიახლოვეს დაბანაკდნენ. იქ კვერცხები და პური იშოვეს.

– ქურდობად არ ითვლება, ხომ? – იკითხა შეწუხებულმა ჰერმიონმა „ყიყლიყოების" ჭამისას, – ქანდარის ქვეშ ფული დავტოვე.

რონმა თვალები ააპყრო და პირგამოტენილმა ძლივს ამოილულლულა:

– მააზე ნუ დადობ, ემიონ, დამდიდი!

დანაყრებულზე დამშვიდება გაცილებით იოლი იყო. დემენტორებთან დაკავშირებულ კამათზე ბევრი იცინეს და ჰარი მხნედ, იმედიანადაც კი შეუდგა იმ ღამის სამი მორიგეობიდან პირველს.

პირველად აღმოჩნდნენ იმ ფაქტის წინაშე, რომ სავსე კუჭი კარგი გუნების საწინდარია, ცარიელი კი – კინკლაობისა და უიმედობისა. ეს ჰარის ყველაზე ნაკლებად უკვირდა, რადგან დერსლები დროდადრო ლამის აშიმშილებდნენ ხოლმე. ჰერმიონსაც მხნედ ეჭირა თავი იმ დღეებშიც კი, როცა კენკრისა თუ გამხმარი გალეტის მეტს ვერაფერს მოიპოვებდნენ ხოლმე, ოღონდ, ჩვეულებრივზე მეტად ფიცხი იყო და ნაკლებს ლაპარაკობდა. სამაგიეროდ რონს, რომელიც დღეში სამ უხვ ულუფას იყო მიჩვეული – დედისა თუ ჰოგვორტსის შინაური ელფების წყალობით, – შიმშილი თავშეკავებას აკარგვინებდა და ყველაფერზე ბუზღუნებდა; ხოლო თუ საკვები მაშინ შემოაკლდებოდათ, როცა ჰორკრუქსი მას ეკიდა, საერთოდ აუტანელი ხდებოდა.

Scanned by CamScanner

– აბა, ახლა სად წავიდეთ? – იძახდა გამუდმებით. ეტყობა, არაფერი მოსდიოდა აზრად და სულ ელოდა, რომ ჰარი და ჰერმიონი მოიფიქრებდნენ რამეს, სანამ თვითონ იჯდებოდა და საკვების ნაკლებობაზე იდარდებდა. ამ დროს ჰარი და ჰერმიონი საათობით მსჯელობდნენ და უშედეგოდ ცდილობდნენ, მოეფიქრებინათ, სად ეძებნათ დანარჩენი ჰორკრუქსები და როგორ გაენადგურებინათ ის, რომელიც უკვე ჩაიგდეს ხელში. თუმცა, შეამჩიეს, რომ მხოლოდ ერთსა და იმავეს ტკეპნიდნენ და ახალ ინფორმაციას ვერსაიდან ვერ იღებდნენ.

რადგან დამბლდორს ჰარისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ვოლდემორი, ალბათ, იმ ადგილებში დამალავდა ჰორკრუქსებს, რომელთაც მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო, ესენიც მხოლოდ მოსაწყენ ლოცვასავით იმეორებდნენ იმ ადგილების სახელებს, სადაც ეცხოვრა ან ყოფილიყო ვოლდემორი: ობოლთა თავშესაფარი, სადაც დაიბადა და გაიზარდა; ჰოგვორტსი, სადაც სწავლობდა; „ბორჯინ ენდ ბერკსი", სადაც სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა და, ბოლოს, ალბანეთი, სადაც განდევნის წლები გაატარა. ამ ადგილებზე აგებდნენ ვარაუდებს.

– ჰოდა, ჩვენც ალბანეთში წავიდეთ. მთელი ქვეყნის გაჩხრეკას ნახევარი დღე უნდა, მეტი ხომ არა! – დამცინავად თქვა რონმა.

– იქ არაფერი იქნება. ხუთი ჰორკრუქსი განდევნამდეე შექმნა; მეექვსე, დამბლდორის აზრით, გველია, – მიუგო ჰერმიონმა, – გველი კი, როგორც ვიცით, ალბანეთში არ არის, იმიტომ, რომ მუდამ ვოლ...

– ხომ გთხოვეთ, ნულარ ახსენებთ-მეთქი!

– კი, ბატონო, გველი მუდამ ჩვენ-რომ-ვიცით, იმასთანაა. კმაყოფილი ხარ?

– ისე, რა.

– მე მგონი, არც „ბორჯინ ენდ ბერკსში" დამალავდა, – ჰარის ეს უკვე ათასჯერ ჰქონდა ნათქვამი და ახლა იმიტომღა გაიმეორა, რომ უსიამოვნო სიჩუმე დაერღვია, – ბორჯინი და ბერკსი ბნელი ძალების ოსტატები იყვნენ და ჰორკრუქსს მაშინვე იცნობდნენ.

რონმა გამომწვევად დაამთქნარა. ჰარიმ, ლამის იყო, რაღაც ესროლა, მაგრამ თავი შეიკავა და მძიმედ განაგრძო:

– მაინც მგონია, რომ შეიძლება ჰოგვორტსში დამალა რამე.

ჰერმიონმა ამოიოხრა:

– ასე რომ იყოს, დამბლდორი ხომ იპოვიდა, ჰარი.

ჰარიმ ისევ ის არგუმენტი გაიმეორა, რომელიც ამ თეორიის დასაცავად მოჰყავდა ხოლმე:

– დამბლდორს ჩემი თანდასწრებით უთქვამს, თავს ვერ დაედებ,

Scanned by CamScanner

რომ ჰოგვორტსის ყველა საიდუმლო ვიციო. ჰოდა, იმას გეუბნები, რომ თუ რომელიმე ადგილი რაღაცას ნიშნავს ვოლ...

– ეეე!

– ჩვენ-რომ-ვიცით, იმისთვის! – მოთმინება დაეკარგა ჰარის, – თუ იმისთვის რომელიმე ადგილია მნიშვნელოვანი, ისევ – ჰოგვორტსი.

– მოიცა, რა, – სიცილად არ ეყო რონს, – სკოლა?

– სწორედაც, რომ სკოლა. ეს ადგილი ნამდვილი სახლი გახდა მისთვის – ადგილი, სადაც აღმოაჩინა, რომ განსაკუთრებულია. სკოლა ყველაფერი იყო მისთვის და როცა დაამთავრა...

– ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე ვლაპარაკობთ? თუ შენზე? – ჩაეკითხა რონი და კისერზე დაკიდებული ჰორკრუქსი დაქაჩა; გაბრაზებულმა ჰარიმ იფიქრა, ერთი ისე მომაქაჩვინა ეს ჯაჭვი, რომ რონი მომახრ-ჩობინაო.

– ხომ გვითხარი, ჩვენ-რომ-ვიცით, იმან, სკოლის დამთავრების შემდეგ დამბლდორს სამსახურში მიღება სთხოვაო?

– ჰო, – მიუგო ჰარიმ.

– ...და დამბლდორმა იფიქრა, დაბრუნება მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ ახალი ჰორკრუქსის შესაქმნელად რამე მონახოს, მაგალითად, რომელიმე დამფუძნებლის ნივთიო.

– ჰო, – ისევ დაუდასტურა ჰარიმ.

– კი, მაგრამ სამსახურში ხომ არ მიიღო? – ჰკითხა ჰერმიონმა, – ამიტომ სკოლაში რომელიმე დამფუძნებლის ნივთს ვერც იპოვიდა და ვერც დამალავდა!

– კარგი, – დანებდა ჰარი, – დავივიწყოთ ჰოგვორტსი.

რახან სხვა მინიშნება არ ჰქონდათ, ლონდონში წასვლა გად-აწყვიტეს. იქ უჩინმაჩინის მოსასხამგადაფარებულებმა ობოლთა თავშესაფრის ძებნა დაიწყეს, სადაც ვოლდემორი გაიზარდა, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ბოლოს ჰერმიონი ბიბლიოთეკაში შეიპარა და არქივ-ში აღმოაჩინა, რომ შენობა დიდი ხნის წინ დაენგრიათ. აღნიშნულ მისამართზე მივიდნენ და თავშესაფრის ადგილას მრავალსართუ-ლიანი დაწესებულება დახვდათ.

– საძირკველში ხომ არ გვეძებნა? – გაუბედავად იკითხა ჰერმი-ონმა.

– ჰორკრუქსს აქ არ დამალავდა, – მიუგო ჰარიმ. ვოლდემორს ობოლთა თავშესაფრიდან ყოველთვის სურდა გაქცევა და თავისი სულის ნაწილს იქ როგორ დამალავდა?! დამბლდორის თქმით, ვოლდემორს დიადი ან იდუმალი სამალავები იზიდავდა, ლონდონის ეს პირქუში, არაფრით გამორჩეული კუთხე კი ვერანაირად ვერ შეედრებოდა ჰოგვორტსს, სამინისტროს ან ჯადოქართა ბანკს –

Scanned by CamScanner

მოოქრულკარიან და მარმარილოთი მოპირკეთებულ გრინგოტსს.

ამის მერე ახალი ვეღარაფერი მოიფიქრეს. მთელ ქვეყანაში მოგზაურობდნენ, უსაფრთხოებისათვის ყოველ ღამით სხვადასხვა ადგილას ბანაკდებოდნენ. ყოველ დილით ამოწმებდნენ, თავიანთი იქ ყოფნის ყველა ნიშანი წაშალეს თუ არა, და მერე სხვა მყუდრო და მიყრუებული ადგილის საძებნელად მიდიოდნენ. აპარაციით ხან ტყეში აღმოჩნდებოდნენ, ხან – კლდეებს შორის ნაპრალში, ხან – ხავსით დაფარულ ფერდობებზე, ერთხელ კი მყუდრო, კენჭებით მოფენილ ყურეში დასცეს კარავი. თორმეტ საათში ერთხელ ერთ-მანეთს ჰორკრუქსს გადასცემდნენ ხოლმე. ეს არც ერთს არ მოს-ნონდა და შიშით შეჰყურებდნენ მედალიონს, რადგან მისი გულზე დაკიდება თითოეულს თორმეტსაათიან შიშსა და მოუსვენრობას უქადდა.

– რა? რა დაინახე? – ჩაეკითხებოდა ხოლმე რონი, როგორც კი ჰარის შეკრთომას შენიშნავდა.

– სახე, – წასჩურჩულებდა ჰარი, – ისევ ის სახე. გრეგოროვიჩის ქურდი.

ამ დროს რონი ისე შეაქცევდა ხოლმე ზურგს, არც კი ცდილობდა, იმედგაცრუება დაემალა. ჰარი ხვდებოდა – რონს იმედი ჰქონდა, რომ თავისიანების ან ფენიქსის ორდენის სხვა წევრების ამბავს გაიგებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჰარი სატელევიზიო ეთერი ხომ არ იყო; მხოლოდ იმას ხედავდა, რასაც იმ წუთში ფიქრობდა ვოლდემორი და რონის შეკვეთით სხვა არხზე ვერ გადაერთვებოდა. ვოლდემორი გამუდმებით იმ მხიარულ ჭაბუკზე ფიქრობდა და ჰარი დარწმუნებუ-ლი იყო, რომ არც მისი ვინაობა იცოდა და არც – ადგილსამყოფელი. ნაიარევი ეწვოდა და ეწვოდა, მხიარული, ქერა ბიჭიც მაცდუნებლად დაქროდა მის მოგონებებში, მაგრამ ჰარიმ როგორლაც ისწავლა, ტკივილი ან ცუდად ყოფნის ნიშანი არ გამოევლინა, რადგან ქურდის ხსენებაზე რონიცა და ჰერმიონიც მხოლოდ ღიზიანდებოდნენ. ვერც ამტყუნებდა: ორივე ჰორკრუქსების პოვნის გზებზე ფიქრობდა გამალებით.

დღეები კვირებად გადაიქცა. ჰარის ნელ-ნელა ეჭვი გაუჩნდა, რომ, როგორც კი მოშორებით დაიგულებდნენ, რონი და ჰერმიონი მასზე ლაპარაკობდნენ. რამდენჯერმე კარავში წაასწრო, ხოლო ორჯერ შემთხვევით მოშორებით მიყუჟულებს წააწყდა, ერთმანეთზე თავმიდებულები რომ ჩურჩულებდნენ; მისი დანახვისას ყოველთვის ჩუმდებოდნენ და თავს ისე იჭერდნენ, თითქოს შეშას აგროვებდნენ, ან წყალს იღებდნენ.

ჰარი ფიქრობდა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ დათანხმდნენ ამ,

Scanned by CamScanner

ჯერჯერობით უაზრო ხეტიალს, რომ ეგონათ, საიდუმლო გეგმა მქონდა და თავის დროზე გავუმხელდიო. რონი თავსაც არ იწუხებდა უგუნებობის დასამალად და ჰარი უკვე შიშობდა, ვაითუ ჩემმა არაორგანიზებულობამ ჰერმიონსაც გაუცრუა იმედიო. სასოწარკვეთილი ცდილობდა მოეფიქრებინა, კიდევ სად შეიძლებოდა ყოფილიყო ჰორკრუქსები, მაგრამ ჰოგვორტსის გარდა, ფიქრად არაფერი მოსდიოდა. არადა, ამ ვარაუდს არც ერთი არ ეთანხმებოდა. ამიტომ ჰარი ჰოგვორტსზე ხმას აღარ იღებდა.

შემოდგომა დადგა, ისინი კი კვლავ აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ და კარავს ჩამოცვენილ, სისველისაგან დამპალ ფოთლებზე შლიდნენ ხოლმე. დემენტორებისეულ ნისლს ბუნებრივი ნისლიც ემატებოდა, ქარი და წვიმა კი უფრო ართულებდა საქმეს. მართალია ჰერმიონი სოკოს ცნობაში გაიწაფა და ახლა შიმშილით აღარ უხმებოდათ კუჭი, მაგრამ ეს ვერ ანაზღაურებდა იმას, რომ ყველაფერს მოწყვეტილები იყვნენ, ადამიანებთან ურთიერთობა აკლდათ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ მიმდინარეობდა ვოლდემორის წინააღმდეგ ომი.

– დედაჩემი არაფრისგანაც მშვენიერ საჭმელებს აკეთებს, – თქვა რონმა ერთ საღამოს, როცა კარავი უელსში, მდინარის ნაპირას გაშალეს, და თეფშზე დადებულ დანახშირებულ თევზს ჯინიანად ჩაარჭო ჩანგალი.

ჰარიმ მაშინვე შეხედა რონს კისერზე და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰორკრუქსის ოქროს ჯაჭვი მოხვდა თვალში. ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გაელანძღა, თუმცა, იმედი ჰქონდა, რომ როცა მედალიონის მოხსნის დრო მოუვიდოდა, რონს გუნება ცოტა გამოუკეთდებოდა.

– დედაშენი საჭმელს არაფრისგან ვერ გააკეთებს, – მიუგო ჰერმიონმა, – საერთოდ, ამას ვერავინაც ვერ მოახერხებს. გამფის ძირითადი ტრანსფიგურაციის კანონის მიხედვით, საკვები პირველია იმ ხუთიდან, რომელიც...

– გასაგებად ილაპარაკე, კარგი? – რონმა წინა კბილებიდან ფარგას ნარჩენები გამოიჩიჩქნა.

– წესიერ საჭმელს არაფრისგან ვერ გააკეთებ! შეგიძლია გამოიძახო საჭმელი, თუ იცი, სად არის; შეგიძლია გარდაქმნა; შეგიძლია გაამრავლო, თუკი უკვე გაქვს...

– ამის გამრავლებით ნუ შენუხდები, საზიზღრობაა, – შეაწყვეტინა რონმა.

– ეს თევზი ჰარიმ დაიჭირა და მე, როგორც მოვახერხე, ისე მოვამზადე. სხვათა შორის, ვამჩნევ, რომ საჭმლის კეთება ყოველთვის მე მიწევს. ალბათ, იმიტომ, რომ გოგო ვარ.

Scanned by CamScanner

– არა, იმიტომ, რომ შენ ორივეს გვჯობიხარ მაგიაში! – უყვირა რონმა.

ჰერმიონი წამოხტა და შემწვარი თევზის ნაჭერი თეფშიდან იატაკზე გადმოუვარდა.

– მაშინ, ხვალ საჭმელი შენ მოამზადე, რონ. პროდუქტები იშოვე და ისე მოაჯადოვე, რომ ჭამა შეიძლებოდეს. მე კი დავჯდები, ცხვირს ავიბზუებ, ვიწუწუნებ და ნახავ...

– გაჩუმდი! – წამოხტა ჰარი და ორივე ხელი ასწია, – ახლავე გაჩუმდი!

ჰერმიონი განრისხდა:

– მაგას როგორ ემხრობი, თავის დღეში არანაირი საჭმელი არ...

– ჰერმიონ, გაჩუმდი, ვიღაცის ხმა მესმის!

ჰარი დაძაბული აყურადებდა, ჯერაც ხელებაწეული იდგა და ანიშნებდა, ხმა არ ამოიღოთო. კარვის გვერდით მოჩხრიალე მდინარის ხმაურში ისევ მოესმა ხმები. მავნოსკოპს დახედა. არ იძვროდა.

– მუფლიატოს შელოცვა ხომ არ დაგვიწყებია? – წასჩურჩულა ჰერმიონს.

– არაფერი არ დამვიწყებია, – ჩურჩულითვე მიუგო მან, – არც მუფლიატო, არც მაგლების უკუგდების შელოცვა და არც შენიღბვის ჯადო. ვინც გინდა იყვნენ, ვერც დაგვინახავენ და ვერც ჩვენს ხმას გაიგონებენ.

გარედან მიწაზე ჩამოსრიალების, დაგორებული ქვებისა და მოტეხილი ტოტების ხმა მოისმა. თითქოს ციცაბო ტყიან ფერდობზე რამდენიმე კაცი ეშვებოდა. ფერდობი მდინარის იმ ვიწრო ნაპირთან ჩამოდიოდა, სადაც კარავი ედგათ. სამივემ ჯოხები მოიმარჯვა. ბანაკის გარშემო წარმოთქმული შელოცვები საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ამ უკუნეთში მათი ადგილსამყოფელი ვერც მაგლებს შეემჩნიათ და ვერც ჩვეულებრივ ჯადოქრებს. ხოლო თუ სიკვდილის მხვრელები იყვნენ, მათ დაცვას, ალბათ, პირველი გამოცდა ელოდა ბნელ ძალებთან შეჯახებისას.

ადამიანების ჯგუფმა, ეტყობოდა, ფერდობი ჩამოათავა.ხმები მოახლოვდა, მაგრამ გარკვევით მაინც არ ისმოდა. ჰარიმ იფიქრა, ათიოდე მეტრზე იქნებიანო, თუმცა, მდინარის ხმაურის გამო ამას დაბეჯითებით ვერ იტყოდა. ჰერმიონმა მძივებით დაქარგული ჩანთა აიტაცა და შიგ ქექვა დაიწყო. წამში სამი ყურების დამაგრძელებელი ამოაძვრინა და თითო-თითო ჰარისა და რონს გადაუგდო. ბიჭებმა სწრაფად ჩაიდეს ყურებში კანისფერი ზონრების ცალი ბოლო, ხოლო მეორე ბოლო კარვის შესასვლელში გააძვრინეს.

ორიოდე წამში ჰარის კაცის დაქანცული ხმა მოესმა:

Scanned by CamScanner

– აქ მგონი, ორაგული იცის, თუ ჯერ არაა მისი სეზონი? აკციო ორაგული!

გაისმა ტყაპუნი და ადამიანის ხელისგულზე თევზის დაცემის ხმა. ვიღაცამ მადლობა ჩაიბურტყუნა. ჰარიმ ყურების დამაგრძელებელი უფრო ღრმად ჩაიტენა ყურში: მდინარის ბუტბუტში სხვანაირი ხმებიც მოესმა, რომელიც არც ერთ ნაცნობ ენას არ ჰგავდა. უხეში და არამელოდიური მეტყველება იყო, ხიხინა, ხორხისმიერი ბგერები ისმოდა. ამ უცხო ენაზე, სავარაუდოდ, ორნი ლაპარაკობდნენ, აქედან ერთი ნელა და დაბალი ხმით მეტყველებდა.

გარეთ ცეცხლი აციმციმდა. კარავსა და ცეცხლის ენებს შორის ჩრდილები ამოძრავდნენ. ჰარის, რონსა და ჰერმიონს ცხვირში მაცდუნებლად ეცათ შემწვარი ორაგულის სასიამოვნო სუნი. შემდეგ თეფშებზე დანის გასმის ხმა გაისმა და ისევ იმ კაცმა დაილაპარაკა, ვისი ხმაც პირველად მოესმათ:

– აი, გრიპჰუკ, გორნუკ, ინებეთ!..

– გობლინები! – ტუჩების მოძრაობით ანიშნა ჰერმიონმა ჰარის. ჰარიმ თავი დაუქნია.

– გმადლობთ, – ერთდროულად მიუგეს გობლინებმა.

– ესე იგი, სამივენი გამოიქეცით? რამდენი ხანია? – იკითხა ახალმა, წყნარმა და სასიამოვნო ხმამ; ეს ხმა ჰარის ბუნდოვნად ეცნო და თვალწინ ჩამრგვალებული, ხალისიანი კაცი წარმოუდგა.

– ექვსი კვირაა... თუ შვიდი... დამავიწყდა, – თქვა დაღლილხმიანმა კაცმა, – ერთ-ორ დღეში გრიპჰუკი შემხვდა, ცოტა ხანში გორნუკიც შემოგვიერთდა. მაინც ერთად ყოფნა სჯობს, – ამას სიჩუმე მოჰყვა, თეფშებზე დანები აღრჭიალდა და კალის ფინჯნებმა გაიწკრიალა, – რატომ გამოიქეცი, ტედ? – განაგრძო კაცმა.

– ვიცოდი, მომაკითხავდნენ, – მიუგო წყნარხმიანმა ტედმა და ჰარიმ უცებ იცნო ტონქსის მამა, – გავიგე, რომ სიკვდილის მხვრელები ერთი კვირის წინ ჩვენს მიდამოებში გამოჩენილან და ვიფიქრე, გაქცევა აჯობებს-მეთქი. მაგლთა ნაშობი ჯადოქრების რეგისტრაციაზე პრინციპულად არ გამოვცხადდი, ამიტომ ადრე თუ გვიან მაინც მომიწევდა გაქცევა. ჩემს ცოლს არაფერი დაუშავდება, წმინდასისხლიანია. მერე დინსაც შევხვდი. რამდენიმე დღეა, შვილო, არა?

– ჰო, – მიუგო დინმა და ჰარი, რონი და ჰერმიონი ერთმანეთს აღელვებულები და გაოგნებულები მიაშტერდნენ. რასაკვირველია, იცნეს გრიფინდორელი ამხანაგის, დინ ტომასის ხმა.

– მაშ, შენც მაგლური წარმოშობისა ხარ? – ჰკითხა პირველმა კაცმა.

– ზუსტად არ ვიცი, – უპასუხა დინმა, – როცა მამაჩემმა დედაჩე-

Scanned by CamScanner

მი მიატოვა, სულ პატარა ვიყავი, მაგრამ საბუთი არა მაქვს, რომ მამაჩემი ჯადოქარი იყო.

ერთხანს სიჩუმე იდგა და მხოლოდ თეფშებისა და ჩანგლების წკრიალი ისმოდა. მერე ისევ ტედი ალაპარაკდა:

– დირკ, ისე, ძალიან გამიკვირდა შენი ნახვა. გამიხარდა და გამიკვირდა. ამბობდნენ, დაიჭირესო.

– დამიჭირეს, – მიუგო დირკმა, – მაგრამ აზკაბანის გზიდან გამოვექეცი. დოულიში გავაშეშე და მისი ცოცხით გამოვფრინდი. არც ისე ძნელი გამოდგა; მე მგონი, იმ წუთში მთლად თავის ჭკუაზე არ იყო. შეიძლება ვიღაცამ კუნფუნდუსი შეულოცა. თუ ეს მართალია, სიხარულით ჩამოვართმევდი ხელს იმ ჯადოქარს, ვინც, ალბათ, სიკვდილს გადამარჩინა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი და მდინარის ჩქაფუნი ისმოდა. ტედმა თქვა:

– თქვენ ვის მხარეს ხართ? მე მეგონა, გობლინები, ძირითადად, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მიემხრნენ.

– შემცდარხართ, – თქვა შედარებით მაღალხმიანმა გობლინმა, – ჩვენ არავის მხარეს არ ვიჭერთ. ეს ჯადოქართა ომია.

– მაშ, რატომ იმალებით?

– უფრო კეთილგონივრული მგონია, – მიუგო დაბალხმიანმა გობლინმა, – იმიტომ, რომ უარი ვთქვი იმაზე, რაც შეურაცხმყოფელ თხოვნად მეჩვენა. ვხვდები, ამის გამო თავი საფრთხეში ჩავიგდე.

– რა გთხოვეს? – ჰკითხა ტედმა.

– ისეთი რამ, რაც ჩვენი მოდგმის ღირსებას არ შეეფერება, – მიუგო გობლინმა უფრო უხეშად. მისი ხმა ახლა ნაკლებად ჰგავდა ადამიანის ხმას, – შინაური ელფი ხომ არა ვარ!

– შენ, გრიპჰუკ?

– მეც მაგიტომ, – მიუგო მაღალხმიანმა გობლინმა, – ახლა გრინგოტსს ჩემიანებთან ერთად სხვებიც მართავენ, მე კი ჯადოქრებს უფროსებად არ ვცნობ, – და გობლინურად რაღაც წაიჩურჩულა. გორნუკს გაეცინა.

– რაზე ხუმრობთ? – იკითხა დინმა.

– თქვა, არსებობს ისეთი რამეებიც, რაზეც ჯადოქრებს წარმოდგენაც არა აქვთო, – მიუგო დირკმა.

ამას მოკლე პაუზა მოჰყვა.

– ვერ მივხვდი, – თქვა დინმა.

– წამოსვლამდე ცოტათი მაინც ვიძიე შური, – გასაგებად ჩაილაპარაკა გრიპჰუკმა.

Scanned by CamScanner

– ყოჩაღ, – სწრაფად ჩაურთო ტედმა, – ვინმე სიკვდილის მხვრელი ხომ არ ჩაკეტე რომელიმე ძველ, ზესაიმედო საცავში?

– რომც ჩამეკეტა, გამოსვლაში ხმალი ვერ უშველიდა, – მიუგო გრიპჰუკმა. გორნუკმა ისევ ჩაიხითხითა. დირკმაც კი ჩაიცინა.

– მე და დინმა მაინც ვერაფერი გავიგეთ, – დაბნეული ჩანდა ტედი.

– ვერც სევერუს სნეიპმა, მაგრამ ამას ვერ ხვდება, – მიუგო გრიპჰუკმა და ორივე გობლინი ახარხარდა. კარავში ჰარის მღელვარებისგან სუნთქვა შეეკრა: ის და ჰერმიონი ერთმანეთს მიშტერებოდნენ და ყურდაცქვეტილები უსმენდნენ.

– იმ ბავშვებზე არაფერი გაგიგია, ტედ? – ჰკითხა დირკმა, – იმათზე, ჰოგვორტსში სნეიპის კაბინეტიდან გრიფინდორის ხმალს რომ იპარავდნენ?

ჰარის თითქოს დენმა დაარტა, ადგილზე გაშეშდა.

– სიტყვაც არ მსმენია, – თქვა ტედმა, – „მისანში“ არ ყოფილა, არა?

– ალბათ, არა, – უპასუხა დირკმა, – მე გრიპჰუკმა მითხრა, იმან კი ბილი უისლისგან გაიგო. ბილი ხომ ბანკში მუშაობს. იმ ბავშვებში, ვინც ხმლის მოპარვას ცდილობდა, ბილის უმცროსი დაც ერია.

ჰარიმ ჰერმიონსა და რონს გახედა. ორივენი ისე ჩაფრენოდნენ ყურების დამაგრძელებლებს, როგორც წყალში საშველად გადაგდებულ თოკს.

– ის და მისი ორი მეგობარი სნეიპის კაბინეტში შეიპარნენ და ის მინის ყუთი გატეხეს, სადაც ხმალი ინახებოდა. სნეიპმა იმ დროს დაიჭირა, როცა კიბეზე ხმლიანად მიიპარებოდნენ.

– საწყალი ბავშვები, – შეწუხდა ტედი, – რა ჯანდაბად უნდოდათ ხმალი? ჩვენ-რომ-ვიცით, იმისთვის უნდა დაერტყათ თუ თვითონ სნეიპისთვის?

– რა მოგახსენო. ეს კია, სნეიპმა გადაწყვიტა, რომ ხმალი ძველ ადგილას უსაფრთხოდ ვეღარ იქნებოდა, – მიუგო დირკმა, – და ორი დღის შემდეგ, ალბათ, მას მერე, რაც ჩვენ-რომ-ვიცით, იმისგან განკარგულება მიიღო, ადგა და ლონდონში გაგზავნა. გრინგოტსის ბანკში შესანახად.

გობლინებს ისევ სიცილი აუტყდათ.

– მაინც ვერ გავიგე, რაზე იცინით, – თქვა ტედმა.

– ყალბია, – გაიღრიჭა გრიპჰუკი.

– გრიფინდორის ხმალი?

– დიახ, ბატონო. ასლია. მართალია, მშვენიერი ასლია, მაგრამ ჯადოქრის ნაკეთები. ორიგინალი საუკუნეების წინ გამოჭედეს გობლინებმა და ისეთი თვისებები აქვს, რომლებიც მხოლოდ გობლინების

Scanned by CamScanner

ნახელავს ახასიათებს. არ ვიცი, სადაა გრიფინდორის ნამდვილი ხმალი, მაგრამ გრინგოტსის ბანკის საცავში ნამდვილად არ დევს.

– აი, თურმე რა მომხდარა, – ჩაურთო ტედმა, – და, ალბათ, თავიც არ შეინუხეთ, რომ ეს ამბავი სიკვდილის მხვრელებისთვის მოგეხსენებინათ.

– ასეთი წვრილმანებით როგორ შეგვეწუხებინა? ისედაც თავსაყრელად აქვთ საქმე, – კმაყოფილი ხმით თქვა გრიპჰუკმა. გორნუკისა და დირკის სიცილს ტედი და დინიც აჰყვნენ.

კარავში ჰარიმ თვალები დახუჭა და ინატრა, ვინმეს ისიც ეკითხა, რის პასუხიც თვითონ ახლა ყველაფერზე მეტად იანტერესებდა. ერთი წუთის შემდეგ, თუმცა თვითონ ეს ერთი წუთი ათად მოეჩვენა, დინმა ნატვრა აუსრულა (ჰარის უსიამოვნოდ გაკენწლა იმის გახსენებამ, რომ დინი ჯინის ყოფილი შეყვარებული იყო):

– ჯინისა და დანარჩენებს რა დაემართათ? იმათ, ვინც ხმლის ᲫᲝᲞᲐᲠᲕᲐᲡ ცდილობდა?

– აა, ისინი სასტიკად დაისაჯნენ, – გულგრილად მიუგო გრიპჰუკმა.

– ხომ კარგად არიან? – ჩუმად ჰკითხა ტედმა, – უისლებს კიდევ ერთი ბავშვის დასახიჩრება უნდათ?!

– რამდენადაც ვიცი, სერიოზულად არავინ დაშავებულა, – თქვა გრიპჰუკმა.

– კიდევ კარგი, – თქვა ტედმა, – სნეიპის ბოროტების გათვალისწინებით, ისიც კარგია, რომ ცოცხლები გადარჩნენ.

– მაშ, შენც გჯერა ეგ ამბავი, ტედ? – ჰკითხა დირკმა, – გჯერა, რომ სნეიპმა მოკლა დამბლდორი?

– რა თქმა უნდა, მჯერა, – მიუგო ტედმა, – იმედია, იმის თქმას არ აპირებ, რომ ამ საქმეში პოტერის ხელი ურევია.

– არ ვიცი, ჩვენს დროში რისა უნდა გჯეროდეს, – ჩაიბუტბუტა დირკმა.

– მე ვიცნობ ჰარი პოტერს, – თქვა დინმა, – და მჯერა, რომ მართლა რჩეულია, თუ რაც გინდათ, ის უწოდეთ.

– ჰო, ბევრს უნდა, რომ სწამდეს მისი რჩეულობა, შვილო, – მიუბრუნდა დირკი, – ჩემი ჩათვლით. მაგრამ, თუ ასეა, ახლა სად არის? ეტყობა, გაიქცა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. რამე ისეთი რომ იცოდეს ან შეეძლოს, რაც ჩვენ არ ვიცით და არ შეგვიძლია, სადღაც კი არ დაიმალებოდა, ადგებოდა და წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში. თანაც, „დილის მისანში“ ისეთი ფაქტები მოჰყავთ მის წინააღმდეგ...

– „მისანშიო?“ – დასცინა ტედმა, – თუ ჯერაც მაგას კითხულობ,

Scanned by CamScanner

დირკ, ღირსი ყოფილხარ, რომ ტყუილებით გამოგიტენონ თავი. თუ ნამდვილი ფაქტები გინდა, „ქარაგმები" წაიკითხე.

უცებ გარეთ ვილაცას ხველება აუტყდა, მერე ზურგზე ტყაპუნის ხმა გაისმა: ეტყობა, დირკს თევზის ფხა გადასცდა. მოსულიერებულმა ძლივს ამოთქვა:

– „ქარაგმები"? ქსენო ლავგუდის გიჟური ჟურნალი?

– ახლა გიჟური აღარ არის, – მიუგო ტედმა, – ერთი განახა, ქსენო ყველაფერს ბეჭდავს, რაზეც „მისანი" უარს ამბობს. ბოლო ნომერში რქაგრეხილი ციკლოპებიც კი არ უხსენებია. რამდენ ხანს მისცემენ ამის ნებას, არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით ქსენო ყოველი ნომრის პირველ გვერდზე აცხადებს, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მოწინააღმდეგე ყველა ჯადოქარი თავის უპირველეს მოვალეობად ჰარი პოტერის დახმარებას უნდა თვლიდესო.

– ძნელია, დაეხმარო ბიჭს, რომელიც სადღაც გაქრა, – ჩაილაპარაკა დირკმა.

– ჰო, მაგრამ ისიც ხომ ბევრს ნიშნავს, რომ ჯერ ვერ მიაგნეს? – თქვა ტედმა, – სიხარულით დავუდგებოდი გვერდით, მაგრამ ჩვენც ხომ მასავით ვიქცევით? ვცდილობთ, როგორმე არ დაგვიჭირონ.

– ჰო, მაგაში მართალი ხარ, – მძიმედ თქვა დირკმა, – მთელი სამინისტრო და ჯაშუშები ჰარი პოტერს დაეძებენ. მეგონა, აქამდე დაიჭერდნენ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ დაიჭირეს და მოკლეს კიდეც, მაგრამ არ ამხელენ?

– მაგას ნუ იტყვი, დირკ, – წაიბუტბუტა ტედმა.

ამ საუბარს დიდი პაუზა და დანა-ჩანგლის წკრიალი მოჰყვა. როცა ისევ ალაპარაკდნენ, იმაზელა მსჯელობდნენ, მდინარის პირას დავიძინოთ თუ ისევ ტყეში შევიდეთო. ბოლოს გადაწყვიტეს, ხეები უკეთესად დაგვფარავსო, კოცონი ჩააქრეს, ფერდობზე აფორთხდნენ და ხმებიც მიწყდა.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ყურების დამაგრძელებლები შეინახეს. როცა აყურადებდნენ, ჰარი თავს ძლივს იკავებდა, რომ არ დაელაპარაკა, ახლა კი ორი სიტყვაღა ამოღერღა:

– ჯინი... ხმალი...

– ვიცი, – თქვა ჰერმიონმა. მერე მძივებით დაქარგულ ჩანთას მისწვდა და ამჯერად თითქმის იღლიამდე ჩაყო ხელი.

– აი.. აი... აქ არის... – გამოსცრა კბილებში და ჩანთის სიღრმიდან რაღაც ამოსწია. ნელ-ნელა მოოქრული ჩარჩოს კუთხე გამოჩნდა. ჰარიც მიეხმარა და როგორც კი ფინეას ნაიჯელუსის ცარიელი პორტრეტი ამოიღეს, ჰერმიონმა ჯოხი დაუმიზნა.

– თუ ვინმემ ნამდვილი ხმალი დამბლდორის კაბინეტში შეცვალა,

Scanned by CamScanner

ფინეას ნაიჯელუსი დაინახავდა. მისი ჩარჩო პირდაპირ მინის ყუთის გვერდით კიდია, – თქვა ჰერმიონმა, როცა პორტრეტი კარვის კედელზე მიაყუდეს.

– თუ, რა თქმა უნდა, არ ეძინა, – თქვა ჰარიმ და სუნთქვაშეკრული შეაცქერდა ჰერმიონს, რომელმაც ცარიელი ტილოს წინ დაიჩოქა, ჩაახველა და პირდაპირ შუაგულს მიმართა:

– ეე... აქა ხართ, ფინეას? ფინეას ნაიჯელუს?

არაფერი მომხდარა.

– ფინეას ნაიჯელუს, – ისევ გაიმეორა ჰერმიონმა, – პროფესორო ბლექ, შეიძლება გაგესაუბროთ? ძალიან გთხოვთ!

– „გთხოვთ" ჯადოსნური სიტყვაა, – გაისმა ცივი, გესლიანი ხმა და ფინეას ნაიჯელუსი თავის პორტრეტში შემოსრიალდა. ჰერმიონმა იმწამსვე იყვირა:

– დაბნელდი!

ფინეას ნაიჯელუსის ჭკვიან, მუქ თვალებს შავი სახვევი გადაეკრა. ფინეასი ჩარჩოს შეასკდა და ტკივილისგან შეჰყვირა:

– ეს რა არის... როგორ ბედავთ... ვინა ხართ?

– მაპატიეთ, პროფესორო ბლექ, – უთხრა ჰერმიონმა, – მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

– ახლავე მომხსენით ეს სულელური სახვევი! მომხსენით-მეთქი! ხელოვნების შედევრს აფუჭებთ! სადა ვარ? რა ხდება?

– მნიშვნელობა არა აქვს, სადა ხართ, – უთხრა ჰარიმ.

ფინეას ნაიჯელუსი გაშეშდა და დახატულ სახვევს თავი დაანება.

– ნუთუ მოუხელთებელი ჰარი პოტერის ხმა მესმის?

– შეიძლება, – უთხრა ჰარიმ, რათა ფინეას ნაიჯელუსს ინტერესი არ განელებოდა, – ორიოდე შეკითხვა გვაქვს თქვენთან გრიფინდორის ხმლის თაობაზე.

– აა, – ფინეას ნაიჯელუსმა თავი აქეთ-იქით მიაბრუნ-მოაბრუნა, რომ როგორმე ჰარისთვის მოეკრა თვალი: – დიახ. ის სულელი გოგო ისე უგუნურად მოიქცა...

– ჩემს დას სულელს ნუ უწოდებთ! – უხეშად შეაწყვეტინა რონმა. ფინეას ნაიჯელუსმა ქედმაღლურად აწკიპა წარბები:

– კიდევ ვინ არის აქ? – იკითხა და ისევ მიაბრუნ-მოაბრუნა თავი, – ასეთი შეურაცხმყოფელი ტონით როგორ მელაპარაკებით! ის გოგო და მისი მეგობრები ძალიან სულელურად მოიქცნენ. სად გაგონილა დირექტორის გაქურდვა!

– არაფერიც არ გაუქურდავთ, – გაჯავრდა ჰარი, – ის ხმალი სნეიპს არ ეკუთვნის.

– პროფესორ სნეიპის სკოლას ხომ ეკუთვნის! – თქვა ფინეას ნაი-

Scanned by CamScanner

ჯელუსმა, – უისლების გოგოს რა ესაქმება იმ ხმალთან? სწორედაც რომ, დასასჯელი იყო. ისიც, ის გამოთაყვანებული ლონგბოტომიცა და ის ახირებული ლავგუდიც.

– არც ნევილია გამოთაყვანებული და არც ლუნა – ახირებული, – შეეპასუხა ჰერმიონი.

– სადა ვარ? – გაიმეორა ფინეას ნაიჯელუსმა და ისევ შეებრძოლა სახვევს, – სად მომიყვანეთ? რატომ წამომიყვანეთ ჩემი წინაპრების სახლიდან?

– ეგ სულერთია. გვითხარით, როგორ დასაჯა სნეიპმა ჯინი, ნევილი და ლუნა? – ჩაეძია ჰარი.

– პროფესორმა სნეიპმა აკრძალულ ტყეში გაგზავნა და იმ გაუთლელი ჰაგრიდისთვის რაღაცის გაკეთება დაავალა.

– ჰაგრიდი გაუთლელი არ არის! – გაცხარდა ჰერმიონი.

– სნეიპს შეიძლება ეს სასჯელი ეგონოს, – ამოისუნთქა ჰარიმ, – მაგრამ ჯინი, ნევილი და ლუნა, ალბათ, მშვენივრად გაერთნენ ჰაგრიდთან ერთად. აკრძალული ტყე... დიდი ამბავი. მაგაზე უარესიც უნახავთ.

ჰარის გულზე მოეშვა. მანამდე ეგონა, რაღაც საშინელებას გაიგონებდა, მინიმუმ, კრუციატუსის წყევლას.

– სინამდვილეში, პროფესორო ბლეკ, სხვა ვინმეს... მმმ... ხომ არ აუღია ის ხმალი? იქნებ გასაწმენდად წაიღეს ან... რა ვიცი. – შეაპარა ჰერმიონმა.

ფინეას ნაიჯელუსმა სახვევს თავი ანება და სიცილისგან ჩაბჟირდა:

– უჰ, ეს მაგლთა ნაშობები!.. გობლინთა იარაღს გაწმენდა არ სჭირდება, შე ჩერჩეტო გოგო. გობლინთა ვერცხლი მიწიერ ჭუჭყს არ იკარებს; მხოლოდ იმას შეიწოვს, რაც გააძლიერებს.

– ჰერმიონს ჩერჩეტს ნუ უწოდებთ, – აღშფოთდა ჰარი.

– დამღალა ამდენმა შეპასუხებამ, – გაბრაზდა ფინეას ნაიჯელუსი, – დროა, დირექტორის კაბინეტში დავბრუნდე.

ჯერაც სახვევაფარებული, ხელის ცეცებით წავიდა ჩარჩოსკენ, რათა სურათიდან გასულიყო და ჰოგვორტსის პორტრეტში დაბრუნებულიყო. ჰარის უცებ შესანიშნავი იდეა დაებადა:

– შეგიძლიათ, დამბლდორი მოგვიყვანოთ?

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა გაოცებულმა ფინეას ნაიჯელუსმა.

– პროფესორ დამბლოდრის პორტრეტი... შეგიძლიათ, აქ, თქვენს პორტრეტში მოიყვანოთ?

ფინეას ნაიჯელუსმა ჰარის ხმისკენ შეაბრუნა სახე:

– მხოლოდ მაგლების გოგო როდია უვიცი, პოტერ. ჰოგვორტსის

Scanned by CamScanner

პორტრეტებს ერთმანეთთან საუბარი და პორტრეტიდან პორტრეტში სტუმრობა შეუძლიათ, მაგრამ ციხე-კოშკიდან თუ გავლენ, მხოლოდ საკუთარ ტილოებს ეწვევიან სხვა ადგილას. დამბლდორი მე ვერ წამომყვება, თქვენ კი ისე მომეპყარით, რომ გარწმუნებთ, აქ მეც აღარ დავადგამ ფეხს!

ჰარი გულდამძიმებული უყურებდა, როგორ ცდილობდა ფინეას ნაიჯელუსი ჩარჩოდან გასვლას.

– პროფესორო ბლექ, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, გვითხარით, ბოლო დროს როდის ამოიღეს ხმალი თავისი ყუთიდან? ანუ მანამ, სანამ ჯინი აიღებდა? – ჰკითხა ჰერმიონმა.

ფინეასმა მოუთმენლად ჩაიფრუტუნა:

– ჩემი აზრით, ბოლოს გრიფინდორის ხმალი ყუთიდან მაშინ ამოიღეს, როცა პროფესორმა დამბლდორმა ბეჭდის გასახსნელად გამოიყენა.

ჰერმიონი უმალ შემობზრიალდა და ჰარის შეხედა. არც ერთს სიტყვა აღარ დაუძრავს ფინეას ნაიჯელუსის წინაშე, რომელმაც, როგორც იქნა, გასასვლელი იპოვა.

– აბა, ტკბილ ძილს გისურვებთ, – დაემშვიდობა ცოტა გესლიანად და პორტრეტიდან გავიდა. შლაპის კიდეღა უჩანდა, რომ ჰარიმ უეცრად მიაძახა:

– მოიცადეთ, სნეიპს უთხარით, რაც ნახეთ?

ფინეას ნაიჯელუსმა ისევ სურათში შემოყო სახვევიანი თავი:

– პროფესორ სნეიპს ათასი საფიქრალი აქვს და ალბუს დამბლდორის უცნაურობებით გონებას ვერ გადაიღლის. კარგად მენახეთ, პოტერ.

ამ სიტყვებით საბოლოდ გაქრა და სურათზე პირქუში ფონიღა დატოვა.

– გაიგონე, ჰარი? – შესძახა ჰერმიონმა.

– ჰო! – იყვირა ჰარიმ. აღტაცებისგან თავი ვეღარ შეიკავა და ჰაერში მუშტი მოიქნია; იმაზე მეტი გაიგო, ვიდრე იმედოვნებდა. აღელვებულმა კარავში ბოლთის ცემა დაიწყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ შეუსვენებლად მთელი კილომეტრის გარბენას შეძლებდა. საერთოდ აღარ შიოდა. ამასობაში ჰერმიონმა ფინეას ნაიჯელუსის პორტრეტი მძივებით მოქარგულ ჩანთაში ჩაჩურთა. საკეტი შეკრა, ჩანთა გვერდზე მოისროლა და სახეგაბრწყინებულმა ახედა ჰარის.

– ხმალს ჰორკრუქსების განადგურება შეუძლია! გობლინების ნაჭედი ხმლის პირი მხოლოდ იმას ისრუტავს, რაც გააძლიერებს! ჰარი, ის ხმალი ბასილისკოს შხამითაა გაჟღენთილი!

– დამბლდორმა სიცოცხლეშივე იმიტომ არ გადმომცა, რომ

Scanned by CamScanner

თვითონ სჭირდებოდა. უნდოდა, მედალიონი იმით გაენადგურებინა...

– და, ალბათ, ხვდებოდა, რომ ანდერძით რომც დაეტოვებინა, მაინც არ მოგვცემდნენ...

– ამიტომ ასლი გააკეთა...

– და ყალბი ხმალი მინის ყუთში მოათავსა...

– ნამდვილი?.. ნეტავ სად შეინახა?

ერთმანეთს მიაშტერდნენ.

ჰარი გრძნობდა, რომ პასუხი სადღაც აქვე, ჰაერში ეკიდა, მათ გვერდით, სულ ახლოს. რატომ არ უთხრა დამბლდორმა? ან იქნებ უთხრა კიდეც, მაგრამ ჰარი ვერ მიხვდა?

– იფიქრე, – ნაუჩურჩულა ჰერმიონმა, – იფიქრე! სად დატოვებდა?

– ჰოგვორტსში არა, – ბოლთის ცემა განაახლა ჰარიმ.

– სადმე ჰოგსმიდში? – ივარაუდა ჰერმიონმა.

– ქოთქოთა ქოხში? – განაგრძო ჰარიმ, – იქ ფეხს არავინ ადგამს...

– მაგრამ სნეიპმა იცის, იქ როგორც უნდა შევიდეს. ცოტა სარისკო ხომ არ იქნებოდა?

– დამბლდორი ენდობოდა სნეიპს, – შეახსენა ჰარიმ.

– არც იმდენად, რომ ეთქვა, ხმლები შევცვალეო, – მიუგო ჰერმიონმა.

– ჰო, ჰართალი ხარ, – ჰარი უფრო გაამხნევა იმის გაფიქრებამ, რომ დამბლდორი ბოლომდე არ ენდობოდა სნეიპს, – მაშ, ხმალი ჰოგსმიდიდან კარგა შორს უნდა გადაემალა. შენ რას იტყვი, რონ? რონ!

ჰარიმ მიიხედ-მოიხედა. დაბნეულმა წამით გაიფიქრა, კარვიდან ხომ არ გავიდაო, მაგრამ შეამჩნია, რომ რონი გაქვავებული ინვა ქვედა საწოლზე.

– გაგახსენდით, როგორც იქნა? – თქვა ჩუმად.

– რა?

რონმა ჩაიფრუტუნა და ზედა საწოლის ძირს მიაშტერდა.

– გააგრძელეთ. ხელს არ შეგიშლით.

დაბნეულმა ჰარიმ დასახმარებლად ჰერმიონს შეხედა, მაგრამ გაოგნებულმა ჰერმიონმა მხრები აიჩეჩა.

– რა გჭირს? – ჰკითხა ჰარიმ.

– რა უნდა მჭირდეს? არაფერი! – ჰარისკენ არც გაუხედავს, ისე თქვა რონმა, – ყოველ შემთხვევაში, თქვენი აზრით, არაფერი.

ბრეზენტზე ნკაპანკუპი გაისმა. წვიმას იწყებდა.

– მართლა რაღაც გჭირს, – უთხრა ჰარიმ, – მიდი, გადმოალაგე.

რონმა გრძელი ფეხები საწოლიდან გადმოყო და წამოჯდა. უსიამოვნო შესახედავი იყო, თავის თავს არ ჰგავდა.

Scanned by CamScanner

– კარგი, გადმოვალაგებ. ხომ არ გგონიათ, რომ ამ კარავში სიხარულით ჩამოვუვლი, რაკი კიდევ ერთი ჯანდაბა გაგვიჩნდა საპოვნელი? ადექი და ეგეც იმ ხარახურის სიას მიუმატე, რისი პოვნის აზრზეც არა ხარ.

– აზრზე არა ვარ? – გაიმეორა ჰარიმ, – რის აზრზე?

წვიმამ უმატა და უმატა; ფოთლებით მოფენილ ნაპირზე და მოჩქაფუნე მდინარეში ახმაურდა. ჰარის აღმაფრენა საშინელმა წინათგრძნობამ გაუქრო: რონი ზუსტად იმას ამბობდა, რისი ეჭვი და შიშიც, კარგა ხანია, თვითონაც ჰქონდა.

– აქ მაინცდამაინც კარგ დროს ვერ ვატარებ, – განაგრძო რონმა, – ჯერ იყო და, ხელი დავისახიჩრე, ახლა შიმშილით ვკვდები და თან ყოველღამე უკანალი მეყინება. იცი, იმედი მქონდა, ამდენი კვირის აქეთ-იქით სირბილის შემდეგ რამეს მაინც მივაღწევდით.

– რონ, გაჩუმდი, – შეევედრა ჰერმიონი, მაგრამ ისე წყნარად, რომ რონს შეეძლო თავი მოეკატუნებინა, თითქოს კარვის სახურავზე მონკაპუნე წვიმის ხმაურში ვერ გაიგონა.

– მე მეგონა, იცოდი, რა საქმეზეც მოდიოდი, – უთხრა ჰარიმ.

– ჰო, მეც ეგრე მეგონა.

– მაშ, რაში გაგიცრუვდა მოლოდინი? – ბრაზი შემოაწვა ჰარის, – გეგონა, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ვიცხოვრებდით? დღეგამოშვებით ჰორკრუქსებს ვიპოვიდით? და საშობაოდ დედიკოსთან დაბრუნდებოდი?

– გვეგონა, იცოდი, რასაც აპირებდი! – ყვირილით წამოხტა რონი. მისი სიტყვები ჰარის თითქოს დანებივით ესობოდა, – გვეგონა, დამბლდორმა გითხრა, რაც უნდა გექნა! გვეგონა, გეგმა გქონდა!

– რონ! – გაიმეორა ჰერმიონმა, ამჯერად ისე ხმამაღლა, რომ კარვის სახურავზე მოხათქუნე წვიმაშიც გასაგები იყო, მაგრამ რონმა ისევ მოიყრუა ყური.

– მაშ, ბოდიშს გიხდით, რომ იმედები ვერ გაგიმართლეთ, – თქვა ჰარიმ წყნარად, თუმცა, დაცარიელებულად გრძნობდა თავს, – მე თავიდანვე სიმართლეს ვამბობდი, ყველაფერი მოგიყევით, რაც დამბლდორმა მითხრა. და თუ არ შეგიმჩნევია, იმასაც გეტყვი, რომ ერთი ჰორკრუქსი ვიპოვეთ...

– ჰო, აბა რა! მაგის თავიდან მოშორებას რაღა უნდა? ისეთივე ადვილია, როგორც დანარჩენების პოვნა. არაფერიც არ შეგვიძლია!

– მედალიონი მოიხსენი, რონ, – უჩვეულოდ გამკივანი ხმა ჰქონდა ჰერმიონს, – გთხოვ, მოიხსენი. მთელდღეს რომ არ გეტარებინა, ასე არ ილაპარაკებდი.

– როგორ არა! – გაცეცხლდა ჰარი. სულაც არ უნდოდა, რონისთ-

Scanned by CamScanner

ვის ნამუსი მოეწმინდათ, – გგონია, ვერ ვამჩნევდი, ჩემ ზურგს უკან როგორ ჩურჩულებდით? გგონიათ, ვერ მივხვდი, რასაც ფიქრობდით?

– ჰარი, ჩვენ არ... – ამოიკნავლა ჰერმიონმა.

– ნუ ატყუებ! – ეცა რონი, – შენც ამას ამბობდი: იმედი გამიცრუ-ვდაო, მეგონა, იმაზე ცოტა მეტი შეეძლო, ვიდრე...

– ასე არ მითქვამს... ჰარი, არ მითქვამს, – ატირდა ჰერმიონი.

წვიმა კარავს უხათქუნებდა, ჰერმიონს ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. რამდენიმე წუთის წინანდელი ხალისი ისე გაქრა, თითქოს ხანმოკლე ფეიერვერკმა იფეთქა და ჩაქრაო. დარჩა მხოლოდ სიბ-ნელე, სისველე და სიცივე. არ იცოდნენ, სად იყო დამალული გრიფინ-დორის ხმალი. კარავში მყოფი სამი მოზარდის ერთადერთი მიღწევა ის იყო, რომ ჯერაც ცოცხლები იყვნენ.

– თუ ასეა, აქ რაღატომ ხარ? – ჰკითხა ჰარიმ რონს.

– აბა, რა ვიცი?

– ჰოდა, წადი!

– წავალ კიდევაც! – იყვირა რონმა და ჰარისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ჰარის უკან არ დაუხევია, – ვერ გაიგონე, რა თქვეს ჩემს დაზე? თუმცა, შენ ხომ ფეხებზე გკიდია! აკრძალული ტყე იყო, სხვა ხომ არაფერიო. ჰარი პოტერს „მაგაზე უარესიც უნახავს“ და არ ადარდებს, რა დაემართა იმ ტყეში ჩემს დას. აი, მე კი ძალიანაც მადარდებს გოლიათი ობებები და სხვა შეშლილი არსებები...

– მე მარტო ის ვთქვი... დანარჩენებიც იქ იყვნენ და ჰაგრიდიც-მეთქი...

– ძალიან კარგად გავიგე, რაც თქვი, დარდი ნუ გაქვს! მაგრამ შენ თუ გაიგონე, ჩვენებზე რა თქვეს: „უისლებს კიდევ ერთი ბავშვის დასახიჩრება უნდათო?“ გაიგონე?

– ჰო, გავიგონე...

– მაგრამ არც დაფიქრებულხარ, ეს რას ნიშნავს, არა?

– რონ, მისმინე, – მოჩხუბრებს შორის ჩადგა ჰერმიონი, – არა მგო-ნია, ისეთი რამე ეგულისხმათ, რაც ჩვენ არ ვიცით. აბა, დაფიქრდი: ბილი მაქციამ დაკბინა; ალბათ, ყურდაკარგული ჯორჯიც ბევრმა ნახა; შენ კი, ყველამ იცის, თითქოს ჩუტყვავილა გჭირს და სიკვდილის პირას ხარ. ნამდვილად ამას იგულისხმებდნენ...

– ნამდვილად? კარგი, თუ ასეა, აღარ ვიდარდებ. შენ რა გიჭირს, შენი მშობლები სამშვიდობოს გაიყვანე...

– სამაგიეროდ, ჩემები დაიხოცნენ! – დაუღრიალა ჰარიმ.

– ჩემებსაც ბევრი აღარ უკლიათ! – იბღავლა რონმა.

– მაშინ, წადი! – იყვირა ჰარიმ, – თბილად ჩაწექი ლოგინში, ვითომ ჩუტყვავილა გაქვს. დედიკო გაჭმევს კიდეც და...

Scanned by CamScanner

რონი უცებ შეირხა, ჰარიმაც მსგავსი მოძრაობა გააკეთა, მაგრამ სანამ ჯიბეებიდან ჯოხებს ამოიღებდნენ, ჰერმიონმა დაასწრო:

– პროტეგო! – დაიძახა და წამიერად უხილავი ფარი აღიმართა, რომლის ერთ მხარეს თვითონ და ჰარი მოხვდნენ, მეორე მხარეს კი – რონი; შელოცვის ძალით სამივე იძულებული გახდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაეხია. ჰარი და რონი ერთმანეთს ამ გამჭვირვალე ბარიერის აქეთ-იქიდან ისე უყურებდნენ, თითქოს პირველად ხედავ-ენო. ჰარი მძაფრ სიძულვილს გრძნობდა, მეგობრებს შორის რაღაც გატყდა.

– ჰორკრუქსი დატოვე, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

რონმა მედალიონი მოიხსნა და იქვე მდგარი სკამისკენ მოისროლა. მერე ჰერმიონს მიუბრუნდა:

– შენ რას აპირებ?

– რას გულისხმობ?

– რჩები?

– მე... – ჰერმიონს, ეტყობოდა, იტანჯებოდა, – ჰო, ვრჩები. რონ, ხომ ვთქვით, ჰარის წავყვეთო. ხომ ვთქვით, მივეხმაროთო...

– გავიგე. ჰარის ამჯობინებ!..

– რონ, არა.. გეხვეწები... დაბრუნდი, დაბრუნდი! – ჰერმიონს თავისივე ფარის შელოცვა გადაეღობა. როცა ჯადო მოხსნა, რონი უკვე წყვდიადში გავარდნილიყო. გაშეშებული ჰარი ჩუმად იდგა და უსმენდა, როგორ ქვითინებდა ჰერმიონი და როგორ ამაოდ ეძახდა რონს.

ჰერმიონი რამდენიმე წუთში შემობრუნდა, განწუწული თმა სახეზე ეკვროდა.

– ნნნა-ვი-და! აპარაციით! – ამოისლუკუნა, მერე სავარძელში ჩაეხეთქა, მოიკუნტა და ატირდა.

ჰარის ხმა არ ამოუღია, დაიხარა, ჰორკრუქსი აიღო და კისერზე ჩამოიკიდა. მერე რონის საწოლიდან საბნები წამოკრიფა და ჰერ-მიონს გადააფარა. თვითონაც თავის საწოლზე წამოწვა, კარვის ჩაბნელებულ ჭერს მიაშტერდა და წვიმის ხმაურს მიუგდო ყური.

Scanned by CamScanner

თავი მეთექვსმეტე

გოდრიკ ჰოლოუ

დილით გაღვიძებულ ჰარის რამდენიმე წამი დასჭირდა იმის გასახსენებლად, რაც მოხდა. ბავშვურად ინატრა, ხომ შეიძლება, სიზმარი იყო და რონი აქ არისო, მაგრამ ბალიშზე თავი რომ მიაბრუნა, რონის საწოლი ცარიელი დახვდა. რამდენიმე წუთს ცარიელ საწოლს თვალს ვერ აშორებდა. მერე, როგორც იქნა, თავს მოერია და საწოლიდან ჩამოხტა. ჰერმიონი უკვე სამზარეულოში ტრიალებდა, მაგრამ არ მისალმებია და როცა ჰარიმ გვერდით გაუარა, სწრაფად შეტრიალდა.

„რონი წავიდა და აღარ დაბრუნდება", უთხრა თავის თავს ჰარიმ. სანამ იბანდა და იცვამდა, სულ ამას იმეორებდა, თითქოს გამეორება ელდას გაუქარვებდა. რონი მართლაც ვერ დაბრუნდებოდა, რადგან მათი დამცავი შელოცვები ისეთი იყო, რომ როცა აქედან წავიდოდნენ, რონი მათ კვალს ველარსად ვერ მიაგნებდა. ჰარიმ და ჰერმიონმა უხმოდ ისაუზმეს. ჰერმიონს თვალები დასივებოდა და გასწითლებოდა, ეტყობოდა, საერთოდ არ უძინია. საუზმის შემდეგ ბარგის ჩალაგება დაიწყეს. ჰერმიონი ზოზინებდა. ჰარი ხვდებოდა, რომ გოგონას უნდოდა, დრო გაეყვანა და მეტხანს დარჩენილიყვნენ მდინარის პირას; რამდენჯერმე დაძაბულმა აიხედა და რაღაცას მიაყურადა კიდეც. ჰარი დარწმუნებული იყო, ჰერმიონი თავს იტყუებდა, თითქოს კოკისპირულ წვიმაში ფეხის ხმა მოესმა, მაგრამ ხეებში თავწითელა ფიგურა არ გამოჩენილა. რამდენჯერმე ჰარიმაც მიიხედ-მოიხედა (სულ პატარა იმედი მასაც შერჩენოდა) და როცა წვიმით ჩამორეცხილი ხეების გარდა, ვერაფერი დაინახა, ისევ გამწარდა. გონებაში რონის ხმა ჩაესმა: „გვეგონა, იცოდი, რასაც აკეთებდი!" და გულმოკლულმა განაგრძო ჩალაგება.

ატალახებული მდინარე სწრაფად იწევდა ზემოთ, მალე ალბათ,

Scanned by CamScanner

ნაპირს დატბორავდა. ჩვეულებრივზე მთელი ერთი საათით მეტხანს მოუნდნენ ჩაბარგებას. ბოლოს, მას მერე, რაც ჰერმიონმა სამჯერ ჩაალაგა და ამოალაგა მძივებით დაქარგული ჩანთა და დაყოვნების მეტი საბაბი ველარ იპოვა, მან და ჰარიმ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს, აპარაცია გამოიყენეს და მანანით დაფარულ ქარიან ფერდობზე გაჩნდნენ. როგორც კი დაეშვნენ, ჰერმიონმა ხელი გაუშვა, იქვე, ლოდზე ჩამოჯდა, თავი მუხლებში ჩარგო და აქვითინდა. ჰარი უყურებდა და ფიქრობდა, ალბათ, უნდა მივიდე და ვანუგეშოო, მაგრამ რაღაცამ ადგილზე მიაჯაჭვა. ერთიანად გაცივდა და გახევდა, თვალწინ ისევ რონის ზიზღნარევი გამომეტყველება დაუდგა. მერე მანანებიან მინდორში ჰერმიონის გარშემო დიდი წრე დაარტყა და ის შელოცვები წარმოთქვა, რომლებსაც, როგორც წესი, ჰერმიონი წარმოთქვამდა ხოლმე.

რამდენიმე დღე ისე გავიდა, რონი არ უხსენებიათ. ჰარიმ გადაწყვიტა, აღარც არასოდეს ეხსენებინა. ჰერმიონმა კი ეტყობა იცოდა, რომ ამ საკითხზე საუბრის დაწყებას აზრი არ ექნებოდა. თუმცა ზოგჯერ, ღამღამობით, როცა ალბათ, ეგონა, ჰარის სძინავსო, ჩუმად ტიროდა. ხანდახან ჰარი ონავრების რუკას ამოიღებდა ხოლმე და ჯადოსნური ჯოხის შუქზე ათვალიერებდა. ელოდა, რომ ჰოგვორტსის დერეფნებში რონის სახელმიწერილი წერტილი გამოჩნდებოდა იმის ნიშნად, რომ რონი უსაფრთხო ციხე-კოშკს დაუბრუნდა, სადაც წმინდასისხლიანის სტატუსი დაიცავდა. თუმცა, წერტილი რუკაზე არ გამოჩენილა. ახლა ჰარი რუკას იმიტომღა დასცქეროდა ხოლმე, რომ გოგონების საძინებელ ოთახში ჯინის სახელისთვის დაეხედა და ეოცნება, ბევრი რომ ვუყურო, იქნებ ჩემი მონატრება მის ძილში შეიჭრას და როგორღაც გააგებინოს, რომ მასზე ვფიქრობ და იმედი მაქვს, არაფერი უჭირსო.

მთელ დღეებს მარტო გრიფინდორის ხმლის ადგილსამყოფელზე ფიქრში ატარებდნენ, მაგრამ რაც მეტს ლაპარაკობდნენ იმ ადგილებზე, სადაც დამბლდორს ხმლის დამალვა შეეძლო, მით უფრო უიმედო და ნაძალადევი ჩანდა მათი მსჯელობა. ბევრიც რომ ემტვრია თავი ჰარის, მაინც არ ახსენდებოდა, რომ დამბლდორს ერთხელ მაინც ეხსენებინოს ისეთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა რაიმე დაემალა. იყო წუთები, როცა არ იცოდა, რონზე უფრო ბრაზობდა თუ დამბლდორზე. „გვეგონა, იცოდი, რასაც აკეთებდი... გვეგონა, დამბლდორმა გითხრა... გვეგონა, გეგმა გქონდა!" – ისევ და ისევ ჩაესმოდა რონის ხმა.

თავის თავს მაინც ვერ დაუმალავდა: რონი მართალი იყო. დამბლდორმა, სინამდვილეში, ხელცარიელი დატოვა. ერთი ჰორკრუქსი

Scanned by CamScanner

კი იპოვეს, მაგრამ მისი განადგურების საშუალება არ ჰქონდათ, დანარჩენი ჰორკრუქსები კი წინანდელივით მიუწვდომელი იყო. ჰარი ლამის სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. უკვე იმაზე წუხდა, რატომ ჩარია მეგობრები ამ უაზრო ხეტიალში. არაფერი იცოდა, არც არანაირი აზრი მოსდიოდა თავში და ელოდა, რომ ჰერმიონი სადაცაა ეტყოდა, მეტი აღარ შემიძლია და მეც მივდივარო.

დღეები ისე გადიოდა, ერთ-ორ სიტყვას თუ ამოღერღავდნენ. ჰერმიონი ფინეას ნაიჯელუსის პორტრეტს ამოიღებდა ხოლმე და სავარძლის საზურგეს მიაყუდებდა, თითქოს ცარიელი ჩარჩო ნაწილობრივ მაინც შეუვსებდათ რონის წასვლით გაჩენილ სიცარიელეს. ფინეას ნაიჯელუსმა დიდი ამბით კი დაიბარა, აქ ფეხს აღარ მოვადგამო, მაგრამ ეტყობა, ცდუნებას ვერ გაუძლო, უნდოდა გაეგო, რისი მაქნისი იყო ჰარი და რამდენიმე დღეში ერთხელ სურათში თვალახვეული გამოჩნდებოდა ხოლმე. ჰარის ლამის უხაროდა კიდეც მისი დანახვა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ფინეასმა გესლიანი და დამცინავი ლაპარაკი იცოდა, ხმის გამცემი მაინც ჰყავდათ.

ჰოგვორტსის ყოფილ დირექტორს ზოგჯერ ახალი ამბავი მოჰქონდა. როგორც ჩანდა, სნეიპს სტუდენტების ძირითადმა ნაწილმა ერთგვარი ამბოხება მოუწყო. ჯინის ჰოგსმიდში სიარული აეკრძალა. სნეიპმა აღადგინა ამბრიჯის ძველი დეკრეტი, რომელიც სამზე მეტი სტუდენტის შეკრებას ან ნებისმიერი არაოფიციალური საზოგადოების საქმიანობას კრძალავდა. ყოველივე აქედან ჰარიმ დაასკვნა, რომ ჯინი და შეიძლება, ნევილი და ლუნაც, თავს არ ზოგავდნენ, ოღონდ **და**-ს შეკრებები გაგრძელებულიყო. ამ მწირმა ცნობებმაც კი ისე მოანდომა ჯინის ნახვა, რომ თავს ვეღარ იკავებდა. რონსა და დამბლდორზეც ისევ დაიწყო ფიქრი, ჰოგვორტსი კი თითქმის ისევე ენატრებოდა, როგორც ყოფილი შეყვარებული. ერთხელ, როცა ფინეას ნაიჯელუსი სნეიპის დამსჯელობით ღონისძიებებზე ლაპარაკობდა, ჰარის წამით გიჟურმა აზრმა წამოუარა და წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა უბრალოდ დაბრუნებულიყო სკოლაში და სნეიპის რეჟიმის დესტაბილიზაციაში მიეღო მონაწილეობა. თუ აჭმევდნენ, რბილ ლოგინში დააძინებდნენ და აღარც გაურკვეველი საქმეების ხელმძღვანელობას აიძულებდნენ, ამ წუთში დედამიწის ზურგზე ამაზე მეტი არაფერი ენდომებოდა. მაგრამ მერე გაახსენდა, რომ „არასასურველი პიროვნება №1 " იყო, მისი თავი ათი ათას გალეონად იყო შეფასებული და ამჟამად ჰოგვორტსში მისვლა მაგიის სამინისტროში მისვლას უდრიდა. ამას ფინეას ნაიჯელუსიც შეახსენებდა ხოლმე, როცა ჰარისა და ჰერმიონის ადგილსამყოფელზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. მაგრამ რამდენჯერაც ეს წამოსცდა,

Scanned by CamScanner

ჰერმიონმა იმდენჯერ მძივებიან ჩანთაში უკრა თავი. ასეთი უცერემონიო დამშვიდობების შემდეგ ფინეას ნაიჯელუსი რამდენიმე დღეს აღარ მოდიოდა.

სიცივემ იმატა. დიდხანს ვერსად ბედავდნენ გაჩერებას და მთელ ქვეყანაში დაეხეტებოდნენ. ხან მთის ფერდობზე იდებდნენ ბინას და კარავს თოვლჭყაპი უსველებდათ, ხანაც – გაშლილ ჭანჭრობში, სადაც ცივი წყლით დატბორილ კარავში ათევდნენ ღამეს. ერთხელ შოტლანდიის ტბის შუაგულში მდებარე პატარა კუნძულზე დაბანაკდნენ, სადაც ღამით მოსულმა თოვლმა ნახევრამდე დაფარა კარვის კალთები.

სახლების ფანჯრებში უკვე მოციმციმე ნაძვის ხეები შეამჩნიეს და ჰარიმ რატომღაც გადაწყვიტა, ჰერმიონისთვის ერთხელაც შეეთავაზებინა ერთადერთი გეგმა, რომელიც ჯერ არ ეცადათ. იმ საღამოს უჩვეულოდ კარგად ივახშმეს: (ჰერმიონი უჩინმაჩინის ფოსასხამით შევიდა სუპერმარკეტში, გამოსვლისას კი სალაროს ღია უჯრაში კეთილსინდისიერად ჩადო ფული) და ჰარიმ იფიქრა, ბოლონიური სპაგეტითა და მსხლის კონსერვით დანაყრებული იქნებ ჩვეულებრივზე იოლად დავიყოლიოო.

სადილამდე ჰარიმ გონიერება გამოიჩინა და შესთავაზა, ორიოდე საათით ჰორკრუქსის ტარებისგან დაესვენათ. მედალიონი ახლა საწოლის საზურგეზე ეკიდა.

– ჰერმიონ, – ხმა ამოიღო ჰარიმ.

– გისმენ, – ჰერმიონი ერთ-ერთ სავარძელში მოკალათებულიყო და „მგოსან ბიდლის ზღაპრებს" კითხულობდა. ჰარის ვერ წარმოედგინა, კიდევ რა შეიძლებოდა გაეგო წიგნიდან, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, არც ისე დიდი იყო, მაგრამ ეტყობა, ჰერმიონი რაღაცის გაშიფვრას გაეტაცებინა, რადგან სავარძლის სახელურზე „შელოცვის საფუძვლები" გადაეშალა.

ჰარიმ ჩაახველა. ზუსტად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც რამდენიმე წლის წინ, პროფესორ მაკგონაგელს ჰოგსმიდში წასვლის ნებართვა რომ სთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ დერსლებმა საბუთზე ხელი არ მოუწერეს.

– ჰერმიონ, იცი, რას ვფიქრობდი?

– ჰარი, დამეხმარე, რა.

ჰერმიონი ეტყობა. არ უსმენდა. გადმოიხარა და „მგოსან ბიდლის ზღაპრები" გაუწოდა.

– ამ სიმბოლოს შეხედე, – გვერდის დასაწყისზე მიუთითა ჰერმიონმა. მოთხრობის სათაურის ზემოთ (თუმცა, ჰარი დარწმუნებით ვერ იტყოდა, სათაური იყო თუ არა, რადგან რუნული დამწერლობა

Scanned by CamScanner

არ იცოდა), სამკუთხა თვალივით რაღაც ეხატა, რომლის გუგასაც ვერტიკალური ხაზი კვეთდა.

– მე ხომ რუნული არ მისწავლია, ჰერმიონ.

– ვიცი, მაგრამ ეს რუნა არ არის. არც „შელოცვის საფუძვლებშია“ ნახსენები. აქამდე სულ თვალი მეგონა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. თავიდანვე არ ყოფილა, მერე მიუხატავთ მელნით. დაფიქრდი, სადმე ხომ არ გინახავს?

– არა... მოიცა, – დააკვირდა ჰარი და უცებ შესძახა, – ეს ის სიმბოლო არ არის, ლუნას მამას რომ ეკიდა ყელზე?

– მეც ეგ ვიფიქრე!

– მაშ, გრინდელვალდის ნიშანი ყოფილა.

ჰერმიონმა პირი დააღო:

– რა?

– კრამმა მითხრა.

და დაწვრილებით მოუყვა, რაც ქორწილში კრამმა უამბო.

– გრინდელვალდის ნიშანი? – განცვიფრებული ჰერმიონი ხან ჰარის უყურებდა და ხან – სიმბოლოს, – არ გამიგია, რომ გრინდელვალდს რაიმე ნიშანი ჰქონოდეს. რაც წამიკითხავს, არსად არ არის ნახსენები.

– ხომ გითხარი, კრამმა თქვა, გრინდელვალდმა თავისი ხელით ამოტვიფრა დურმსტრანგის კედელზეო.

ჰერმიონი ძველ სავარძელში ჩაეშვა და შუბლი შეიჭმუხნა.

– რა უცნაურია. თუ შავი მაგიის სიმბოლოა, საბავშვო წიგნში რა უნდა?

– ჰო, უცნაურია, – მიუგო ჰარიმ, – თანაც, სკრიმჯერსაც ხომ უნდა ეცნო. მინისტრი იყო და ბნელ ძალებში გარკვეული იქნებოდა.

– რა ვიცი... იქნებ იმასაც ჩემსავით თვალი ეგონა. სხვა ზღაპრების სათაურების ზემოთაც ხომ არის პატარ-პატარა ნახატები.

ჰერმიონი გაჩუმდა და ისევ იმ უცნაურ ნიშანს დააკვირდა. ჰარი თავის სათქმელს დაუბრუნდა:

– ჰერმიონ, იცი, რას ვფიქრობდი? გოდრიკ ჰოლოუში მინდა ნასვლა.

ჰერმიონმა დაბინდული მზერით ახედა, ალბათ, ისევ იმ იდუმალ ნიშანზე ფიქრობდა.

– ჰო, მეც ვფიქრობდი. მგონი, მართლა ვართ იქ წასასვლელები.

– ხომ ხვდები, რატომაც მინდა?

– როგორ არა... და თანახმა ვარ. მეც მგონია, რომ უნდა მოვინახულოთ. არ მაფიქრდება, სხვაგან სად შეიძლება იყოს. იქ წასვლა ძალიან სახიფათო იქნება, მაგრამ რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო მგონია, რომ იქ არის.

Scanned by CamScanner

– რა? – გაოცდა ჰარი.

ჰერმიონმა ასევე გაოგნებული სახით ახედა:

– რა და, ხმალი, ჰარი! დამბლდორმა იცოდა, რომ იქ წასვლას მოინდომებდი, თანაც, გოდრიკ გრიფინდორიც გოდრიკ ჰოლოუში დაიბადა...

– მართლა? გრიფონდორი გოდრიკ ჰოლოუელი იყო?

– ჰარი, „მაგიის ისტორია" ერთხელ მაინც არ გადაგიშლია?

რამდენიმე თვის შემდეგ ჰარის პირველად გაელიმა:

– კი გადავშალე, როცა ვიყიდე... მაგრამ მარტო იმ ერთხელ...

– რადგან სოფელს მისი სახელი ჰქვია, მეგონა, ერთმანეთთან დააკავშირებდი მაინც, – როგორც იქნა, წინანდებურად ალაპარაკდა ჰერმიონი. ჰარის ახლა ისიც არ გაუკვირდებოდა, რომ გამოეცხადებინა, ბიბლიოთეკაში მივდივარო, – „მაგიის ისტორიაში" წერია ამ სოფლის შესახებ, მოიცა...

ჰერმიონმა მძივებიანი ჩანთა გახსნა, შიგ ცოტა ხანს იქექა და ძველი სახელმძღვანელო, ბათილდა ბეგშოთის „მაგიის ისტორია" ამოაძვრინა. ერთხანს ფურცლა, სანამ იმ გვერდს არ მიაგნო, რომელსაც ეძებდა და წაიკითხა:

„...1689 წელს ხელმოწერილი საიდუმლოების საერთაშორისო კანონის გამოცემის შემდეგ ჯადოქრები საშუდამოდ მიიმალნენ. ალბათ ბუნებრივი იყო ის, რომ საზოგადოებაში პატარ-პატარა თემები შექმნეს. ბევრ პატარა სოფელში ჯადოქართა რამდენიმე ოჯახი დასახლდა, რომლებიც ერთმანეთის დასახმარებლად თუ დასაცავად ერთიანდებოდნენ. მაგალითად, სოფელი ტინვორთი – კორნუელსში, ზემო ფლაგლი – იორკშირში და ოტერი-სენტ-კეჩპოული – ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე, ბევრი ჯადოქრული ოჯახის საშობლო იყო. ისინი შემწყნარებელი და ზოგჯერ კონფუნდუსის ჯადოთი დაბნეული მაგლების გვერდით ცხოვრობდნენ. ასეთი ნახევრად ჯადოქრული საცხოვრებელი ადგილებიდან, ალბათ, ყველაზე განთქმულია გოდრიკ ჰოლოუ, სამხრეთ-დასავლეთ საგრაფოებში მდებარე სოფელი, სადაც დაიბადა დიდი ჯადოქარი გოდრიკ გრიფინდორი და სადაც ჯადოქარმა მჭედელმა, ბოუმენ რაიტმა გამოჭედა პირველი ოქროს სნიჩი. იქაური სასაფლაო სავსეა უძველესი ჯადოქრული საგვარეულოების სახელებით და, ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სასაფლაოს გვერდით მდებარე ეკლესიაში უკვე რამდენიმე საუკუნეა, მოჩვენებები სახლობენ."

Scanned by CamScanner

– შენ და შენი მშობლები ნახსენები არა ხართ, – ჰერმიონმა წიგნი დახურა, – იმიტომ, რომ პროფესორი ბეგშოთი XIX საუკუნის შემდგომ პერიოდს არ შეჰხებია. ხედავ? გოდრიკ ჰოლოუ, გოდრიკ გრიფინდორი, გრიფინდორის ხმალი; რას იტყვი, დამბლდორი არ იფიქრებდა, რომ ერთმანეთთან დააკავშირებდი?

– ჰო, ალბათ...

ჰარის არ უნდოდა იმის აღიარება, რომ როცა ჰერმიონს გოდრიკ ჰოლოუში წასვლას სთავაზობდა, ხმალზე არც უფიქრია. იქაურობაზე მხოლოდ ის იცოდა, რომ იმ სოფელში იყო მისი დედ-მამის საფლავები, სახლი, სადაც სიკვდილს გადაურჩა და ადამიანი, სახელად ბათილდა ბეგშოთი.

– გახსოვს, რას ამბობდა მიურიელი? – ჰკითხა ჰერმიონს.

– ვინ?

– ხომ იცნობ, – ჰარი შეყოყმანდა. რონის ხსენება არ უნდოდა, – ჯინის პაპიდა. ქორწილში იყო. აი, შენზე რომ თქვა, კოჭები არ უვარგაო.

– აა, გამახსენდა, – ჰერმიონი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.ჰარიმ იცოდა, რომ ჰერმიონმა იფიქრა, ცოტაც და, რონის სახელს ახსენებსო, ამიტომ სულმოუთქმელად განაგრძო:

– ამბობდა, ბათილდა ბეგშოთი ახლაც გოდრიკ ჰოლოუში ცხოვრობსო.

– ბათილდა ბეგშოთი, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა და საჩვენებელი თითი „მაგიის ისტორიის“ ყდაზე ამოტვიფრულ ბათილდას სახელს გაუსვა, – ჰოდა, მე მგონი...

უეცრად ჰერმიონი ისე შეკრთა, რომ ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა. მაშინვე ჯოხი ამოიღო და შემოსასვლელს გახედა იმის მოლოდინში, რომ კარვის კალთაზე მოფათურე ხელს დაინახავდა, მაგრამ არავინ ჩანდა.

– რატომ შეკრთი? – ჰკითხა ჰარიმ ბრაზით და თან შვებით ამოისუნთქა, – მეგონა, დაინახე, რომ რომელიღაც სიკვდილის მხვრელი კარვის შესასვლელს ხსნიდა ანდა...

– ჰარი, იქნებ ხმალი ბათილდას აქვს? ვთქვათ და, დამბლდორმა მას ჩააბარა?

ჰარი დაფიქრდა. ბათილდა ახლა ძალიან ბებერი და, თუ მიურიელს დაეჯერება, მთლად „გამოჩერჩეტებულიც“ უნდა იყოს. ვითომ დამბლდორი მას დაუტოვებდა გრიფინდორის ხმალს? თუ ასეა, ჰარის აზრით, ხმალი ბედის ანაბარა ყოფილა: დამბლდორს ხომ არც ხმლის შეცვლა უხსენებია და არც ბათილდა ბეგშოთთან მეგობრობა. თუმცა, რა დროს ჰერმიონის თეორიაში ეჭვის შეტანა იყო. მით

Scanned by CamScanner

უმეტეს, ეს თეორია საოცრად ეთანხმებოდა მის სანუკვარ სურვილს.

– შეიძლება. მაშ, წავიდეთ გოდრიკ ჰოლოუში?

– ჰო, ოღონდ ყველაფერი გულდასმით უნდა დავგეგმოთ, – ჰერმიონი წელში გაიმართა და ჰარიმ იგრძნო, რომ გეგმის შედგენის პერსპექტივამ გოგონასაც ისევე გამოუკეთა გუნება, როგორც თვითონ მას, – ჯერ თანააპარაციაში უნდა ვივარჯიშოთ ჯადოსნურ მოსასხამგადაფარებულებმა. შეიძლება დეილუზიონირების შელოცვაც ღირდეს. იქნებ უფრო საფუძვლიანად მივუდგეთ საქმეს და მრავალწვნიანი სასმელი გამოვიყენოთ? თუ ასე გადავწყვეტთ, ვინმეს თმა დაგვჭირდება. მე თუ მკითხავ, ჯობია, ასე მოვიქცეთ, ჰარი. რაც უფრო მეტად შევინიღბებით, მით უკეთესი...

ჰარიკარ აწყვეტინებდა და როცა ჰერმიონი გაჩერდებოდა, მაშინვე თავს უქნევდა, თუმცა, გონება შორს უქროდა. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ გრინგოტსში თურმე ყალბი ხმალი ინახებოდა, პირველად გაუჩნდა იმედი.

ცოტაც და, შინ იქნება. იმ ადგილას დაბრუნდება, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ვოლდემორი რომ არა, სწორედ გოდრიკ ჰოლოუში გაიზრდებოდა და არდადეგებზეც იქ ივლიდა. მეგობრებსაც დაპატიჟებდა... ვინ იცის, იქნებ და-ძმებიც ჰყოლოდა?! ჩვიდმეტისა რომ გახდებოდა, ტორტს დედა გამოუცხობდა... ერთი წლის ასაკში დაკარგული ცხოვრება არასოდეს მოსჩვენებია ისეთი რეალური, როგორც ახლა, როცა იცოდა, რომ ის ადგილი უნდა ენახა, სადაც ეს ცხოვრება წაართვეს. როცა ჰერმიონი დასაძინებლად დაწვა, თვითონ მძივებიანი ჩანთიდან უჩუმრად ამოიღო თავისი ზურგჩანთა, ზურგჩანთიდან კი ოდესღაც ჰაგრიდის ნაჩუქარი სურათების ალბომი. ბოლო თვეების განმავლობაში პირველად დაათვალიერა ყურადღებით დედ-მამის ძველი სურათები. ისინი ძველებურად უღიმოდნენ და ხელს უქნევდნენ; მხოლოდ ესღა დარჩა მათგან, მეტი არაფერი.

ჰარი მეორე დღესვე სიხარულით წავიდოდა გოდრიკ ჰოლოუში, მაგრამ ჰერმიონი სხვაგვარად ფიქრობდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ვოლდემორი ელოდა მშობლების სიკვდილის ადგილას ჰარის დაბრუნებას, ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ მას მერე გასდგომოდნენ გზას, როცა საუკეთესოდ შეინიღბებოდნენ. მზადებას კი მთელი კვირა დასჭირდა. როგორც იქნა, საშობაო საყიდლებზე გამოსული მაგლების თმაც მოიპოვეს და უჩინმაჩინის მოსასხამგადაფარებულებმა აპარაციაშიც ივარჯიშეს. და აი, ჰერმიონი, ბოლოს და ბოლოს, გამგზავრებაზე დათანხმდა.

სოფელში შეღამებულზე უნდა მისულიყვნენ. უკვე ბინდდებოდა, როცა მრავალწვნიანი სასმელი დალიეს და ჰარი შუახნის

Scanned by CamScanner

შემელოტებულ მაგლად გადაიქცა, ჰერმიონი კი – მის მოცუცქნულ, წრუწუნასსახიან ცოლად. მძივებიანი ჩანთა, სადაც მთელი ავლადიდება ეწყო (გარდა ჰორკრუქსისა – მედალიონი ჰარის ყელზე ეკიდა), ჰერმიონმა პალტოს შიდა ჯიბეში ჩამალა. უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიფარეს და კიდევ ერთხელ შეერივნენ სულის შემხუთავ წყვდიადს.

ყელში გულმობჯენილმა ჰარიმ თვალი გაახილა. ორივე ხელიხელჩაკიდებული იდგა თოვლიან გზაზე. მუქლურჯ ცაზე უკვე სუსტად ციმციმებდა ღამის პირველი ვარსკვლავები. ვიწრო გზის აქეთ-იქით სახლები იდგა, ფანჯრებში საშობაო მოსართავები ბრწყინავდა. მათ წინ ოქროსფერი ლამპიონებით განათებული მოკლე გზა სოფლის ცენტრისკენ მიდიოდა.

– თოვლიღა გვაკლდა! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა მოსასხამის ქვეშ, – რატომ არ გაგვახსენდა? რაში გვჭირდებოდა ამდენი სიფრთხილე, თუ ნაფეხურებს დავტოვებდით! უნდა ნავშალოთ. შენ წინ წადი და მე წავშლი...

ჰარის სულაც არ უნდოდა, სოფელში მოსასხამქვეშ დამალულები შესულიყვნენ და გზადაგზა ნაკვალევი წაეშალათ.

– მოვიხსნათ მოსასხამი, – თქვა უცებ და ჰერმიონის შეშინებული სახის დანახვისთანავე დაამატა, – რა მოხდა? ჩვენს თავებს არ ვგავართ და გარშემოც არავინ ჭაჭანებს.

ჰარიმ მოსასხამი ქურთუკის ქვეშ შემალა და ორივენი გზას გაუყვნენ. ნებისმიერი სახლი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომელიც ოდესღაც ლილისა და ჯეიმსს ეკუთვნოდა ან რომელშიც ახლაც ბათილდა ცხოვრობდა. ჰარი ყურადღებით ათვალიერებდა ჭიშკრებსა და დათოვლილ სახურავებს. ფიქრობდა, იქნებ რომელიმე მეცნოსო, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მხოლოდ ერთი წლისა იყო, როცა აქაურობა სამუდამოდ დაეტოვა. ახლა არც ის იყო გამორიცხული, საერთოდ ვერ ენახა თავისი სახლი; არ იცოდა, რა მოუვიდა შენობას, როცა ფიდელიუსის შელოცვის მონაწილენი დაიხოცნენ. პატარა გზამ, რომელსაც ჰარი და ჰერმიონი მიუყვებოდნენ, მარცხნივ შეუხვია და მათ თვალწინ სოფლის ცენტრი – მომცრო მოედანი გადაიშალა.

მოედნის გარშემო ფერადი ფარნები ეკიდა, შუაგულში ომის მემორიალი აღმართულიყო, რომელსაც ნაწილობრივ ფარავდა საშობაო ნაძვის ხე. აქვე იყო რამდენიმე მაღაზია, ფოსტა, ლუდხანა და პატარა ეკლესია. მისი ვიტრაჟები ძვირფასი ქვებივით ციმციმებდა.

მოედანს ხალხის ნაბიჯებისგან დატკეპნილ-გამაგრებული და სლიპინა თოვლი ფარავდა. ლუდხანის კარის გაღება-დახურვისას

Scanned by CamScanner

შიგნიდან სიცილისა და პოპ-მუსიკის ხმა ისმოდა; უცებ პატარა ეკლესიიდან საშობაო საგალობლის ხმა გამოიჭრა.

– ჰარი, მე მგონი, შობის საღამოა, – უჩურჩულა ჰერმიონმა.

– ვითომ?

ჰარის დღეები არეოდა. რამდენი კვირა იყო, გაზეთი თვალით არ ენახათ.

– ჰო, – ჰერმიონი ეკლესიას მიაჩერდა, – ისინი... შენი დედ-მამა იქ იქნებიან, არა? უკან სასაფლაოა.

ჰარის გააჟრჟოლა, ოღონდ, უფრო შიშით, ვიდრე მღელვარებით. ახლა, როცა საფლავები ასე ახლოს იყო, აღარც კი იცოდა, მართლა უნდოდა თუ არა ნახვა. ჰერმიონი, ალბათ, მიხვდა, რა დღეშიც იყო ჰარი, რადგან ხელი ჩაჰკიდა და წინ წავიდა. თუმცა, შუა მოედანზე მეხდაცემულივით გაშეშდა.

– ჰარი, შეხედე!

ომის მემორიალზე მიანიშნა. მემორიალი შეცვლილიყო – გვარებით დაფარული ობელისკის ნაცვლად, სამი ადამიანის ქანდაკება იდგა: ურჩთმიანი, სათვალიანი მამაკაცი, გრძელთმიანი და სანდომიანი, კეთილი სახის ქალი და მის მკლავებში მოკალათებული პატარა ბიჭუნა. თოვლი თეთრი, ფუმფულა ქუდივით ედოთ თავზე.

ჰარი ქანდაკებას მიუახლოვდა და მშობლებს სახეებში შეაცქერდა. რას იფიქრებდა, თუ მის ოჯახს ძეგლს დაუდგამდნენ... უცნაური იყო, რომ ქვაში გამოკვეთილ თავის თავს უყურებდა – ბედნიერ ჩვილს, რომელსაც შუბლზე ნაიარევი ჯერ არ ჰქონდა.

– წამოდი, – მიუბრუნდა ჰერმიონს, როცა ქანდაკების ცქერით დაიღალა. ისევ ეკლესიისაკენ გასწიეს. როგორც კი გზაზე გადავიდნენ, ჰარიმ უკან მიიხედა: ქანდაკება ისევ საომარ ობელისკად ქცეულიყო.

ეკლესიას მიუახლოვდნენ. გალობა უფრო ხმამაღლა გაისმა. ჰარის ყელში ბურთი გაეჩხირა. ამ გალობამ მტკივნეულად მოაგონა ჰოგვორტსი, რაინდის აბჯარში ჩამალული პივსის უწმაწურად ნამღერი საგალობლები, დიდი დარბაზის თორმეტი საშობაო ნაძვის ხე, სატკაცუნოში ამოსული შლაპაჩამოფხატული დამბლდორის მინიატურული ფიგურა და ხელით ნაქსოვ ჯემპრში გამოწყობილი რონი...

ჰერმიონი ფრთხილად მიაწვა სასაფლაოს ვიწრო ჭიშკარს და გააღო. ეკლესიის კარისაკენ მიმავალი გატკეპნილი გზის ორივე მხარეს ფაფუკი თოვლი იდო. ჰარიმ და ჰერმიონმა ფეხაკრეფით შემოუარეს გაბრწყინებულ შენობას, ცდილობდნენ, ფანჯრების ქვეშ ჩრდილში ევლოთ.

ეკლესიის უკან, თოვლის მკრთალი ცისფერი საბნის ქვემოდან

Scanned by CamScanner

საფლავის ქვების რიგები მოჩანდა. თოვლზე დაცემული ვიტრაჟების ანარეკლი წითელ, ოქროსფერ და მწვანე შუქს ჰფენდა საფლავებს. ჰარიმ ჯიბეში ხელი მაგრად მოუჭირა ჯადოსნურ ჯოხს და უახლოეს საფლავს მიუახლოვდა.

– შეხედე, ებოტია. იქნებ ჰანას წინაპარია!

– ცოტა ხმადაბლა, რა, – შეევედრა ჰერმიონი.

გაჭირვებით მიიწევდნენ წინ და თოვლში მუქ ნაკვალევს ტოვებდნენ. დროდადრო იხრებოდნენ, ძველი საფლავის ქვების წარწერებს კითხულობდნენ და წარამარა აქეთ-იქით იხედებოდნენ იმის შიშით, ხომ არავინ გვითვალთვალებსო.

– ჰარი, აქეთ!

ჰერმიონი ორი რიგით უკან იყო. ჰარის გული ისე აუჩქარდა, ეგონა, მის ბაგაბუგს მთელი სოფელი გაიგებდა.

– იპოვე?

– არა, მაგრამ შეხედე!

მუქ ქვაზე ანიშნა. ჰარი დაიხარა და გაყინულ, დალაქულ ფილაზე ამოიკითხა „კენდრა დამბლდორი", ცოტა ქვემოთ – დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და „მისი ქალიშვილი არიანა". იქვე იყო ციტატაც: „სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი".

მაშ, რიტა სკიტერსა და მიურიელს ზოგი რამ სწორად სცოდნიათ. დამბლდორების ოჯახს მართლაც უცხოვრია აქ და ზოგი მათგანი აქვე მომკვდარა.

საფლავის ნახვა ამბის მოსმენაზე უარესი იყო. ჰარის არ შეეძლო არ ეფიქრა, რომ მასაც და დამბლდორსაც ღრმა ფესვები ჰქონდათ ამ სასაფლაოზე და ეს დამბლდორმა რატომღაც არ უთხრა. ხომ შეიძლებოდა, ერთად მოსულიყვნენ აქ. წამით წარმოიდგინა, როგორ მოვიდოდა აქ დამბლდორთან ერთად და ეს როგორ შეაკავშირებდა ორივეს. თუმცა, ის ფაქტი, რომ მათი ოჯახები ერთ სასაფლაოზე, გვერდიგვერდ იყვნენ დაკრძალულები, დამბლდორისთვის ეტყობა მხოლოდ უმნიშვნელო დამთხვევა იყო, რომელსაც, ალბათ, არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმ საქმესთან, დამბლდორის სურვილით, ჰარის რომ უნდა შეესრულებინა.

ჰარის უხაროდა, რომ სახეზე ჩრდილი ეფინებოდა და ჰერმიონი მის განცდებს ვერ ამოიკითხავდა. ისევ შეხედა საფლავზე დაწერილ სიტყვებს: „სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი". ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ეპიტაფია. ალბათ, დამბლდორმა შეარჩია. დედის სიკვდილის შემდეგ ის ხომ ყველაზე უფროსი იყო ოჯახში.

– ნამდვილად არასოდეს უხსენებია? – დაიწყო ჰერმიონმა.

Scanned by CamScanner

– არა. მოდი, ვეძებოთ, – მოუჭრა ჰარიმ და ზურგი შეაქცია. ინატრა, ნეტავ ეს ქვა საერთოდ არ მენახაო.

– აი! – ორიოდე წამში სიბნელიდან ისევ დაიძახა ჰერმიონმა, – უი, მაპატიე, მეგონა, „პოტერი" ეწერა.

ჰერმიონი ხავსმოდებულ ქვას ხელით ასუფთავებდა და წარბშეკრული დაჰყურებდა:

– ჰარი, ერთი წუთით მოდი, რა.

ჰარის აღარ უნდოდა სხვა რამეზე ყურადღების გადატანა და უხალისოდ გაბრუნდა თოვლში.

– რა არის?

– შეხედე!

ძველთაძველ, ქარ-წვიმისგან დაშლილ საფლავზე სახელი ძლივს იკითხებოდა. ჰერმიონმა სახელის ქვეშ რაღაც სიმბოლოზე მიუთითა.

– ის ნიშანია, წიგნში რომ იყო.

ჰარიმ შეხედა: ძნელად გაირჩეოდა, რა იყო ქვაზე ამოტვიფრული, თუმცა, სამკუთხა ნიშანი მართლაც ჩანდა ლამის გაურკვეველი სახელის თავზე.

– ჰო... შეიძლება...

ჰერმიონმა ჯოხი აანთო და ქვაზე ამოკვეთილ სახელს მიუშვირა:

– მგონი... მგონი, იგნოტუსი წერია. იგნოტუს პერეველი...

– მე ჩემს მშობლებს მოვძებნი, კარგი? – უთხრა ჰარიმ ცოტა მოუთმენლად და ისევ წავიდა, ჰერმიონი კი ძველი საფლავის გვერდით დატოვა.

ჰარიმ საფლავის ქვებზე ჰოგვორტსში გაგონილი ბევრი გვარი ამოიკითხა. ზოგან ჯადოქართა საგვარეულოს რამდენიმე თაობა იყო დაკრძალული. თარიღების მიხედვით დაასკვნა, ან ამოწყდნენ ან გოდრიკ ჰოლოუდან გადასახლდნენო. ყოველი მორიგი საფლავის ქვასთან მიახლოებისას შიში და მოლოდინი იპყრობდა.

თითქოს უფრო ჩამობნელდა და ყველაფერი მიჩუმდა. ჰარიმ შეშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა, დემენტორები ხომ არ გამოჩნდნენო. ლაპარაკითა და ფაციფუცით მოედანზე გამოშლილი მრევლის დანახვისას მიხვდა, რომ გალობა დამთავრებულიყო და სიჩუმეც ამას გამოეწვია. ხალხის ხმა თანდათან მიჩუმდა. ეკლესიაში ვიღაცამ სინათლე გამორთო.

უეცრად სიბნელეში ორიოდე მეტრის დაშორებით უკვე მესამედ გაისმა ჰერმიონის აღელვებული ხმა:

– აქ არიან, აი, აქ. ვიპოვე.

ჰარი ჰერმიონისკენ გაემართა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორიც დამბლდორის სიკვდილისას – თითქოს გულზე მძიმე ლოდი ედო.

Scanned by CamScanner

საფლავის ქვა კენდრასა და არიანას საფლავიდან ორი რიგის დაშორებით იყო. თეთრი მარმარილოს ქვა სიბნელეში თითქოს ანათებდა და ზედ წარწერა იოლად იკითხებოდა. ჰარის არათუ ჩამუხვლა, ახლოს მისვლაც კი არ დასჭირდა ზედ ამოკვეთილი სიტყვების ამოსაკითხად:

ჯეიმს პოტერი

დაიბადა 1960 წლის 27 მარტს.
გარდაიცვალა 1981 წლის 31 ოქტომბერს.

ლილი პოტერი

დაიბადა 1960 წლის 30 იანვარს.
გარდაიცვალა 1981 წლის 31 ოქტომბერს.

სიკვდილი – უკანასკნელი მტერი,
რომელიც უნდა განადგურდეს!

ჰარიმ ბოლო სტრიქონი ხმამაღლა წაიკითხა.

„სიკვდილი – უკანასკნელი მტერი, რომელიც უნდა განადგურდეს!" – უცებ საშინელი აზრი მოუვიდა თავში და ელდა ეცა: – ეს ხომ სიკვდილის მხვრელების დევიზია? აქ რატომ წერია?

– არა, აქ სიკვდილის დამარცხება იმ აზრით არ წერია, როგორც სიკვდილის მხვრელებს ესმით, ჰარი, – წყნარად უთხრა ჰერმიონმა, – ეს საიქიო სიცოცხლეს ნიშნავს, გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლეს.

„...მაგრამ ცოცხლები მაინც არ არიან", – გაიფიქრა ჰარიმ და ცრემლები ველარ შეიკავა. ან კი რა აზრი ჰქონდა სხვანაირად თავის მოჩვენებას?! ტუჩებმოკუმული სქლად დადებულ თოვლს დაჰყურებდა, ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები და სახეზე ეყინებოდა. ამ თეთრი მარმარილოს ქვის ქვეშ ლილისა და ჯეიმსის ნეშტები ესვენა. ახლა მათგან მხოლოდ ძვლები ან მტვერიღა იქნებოდა დარჩენილი. არ იცოდნენ და არც ადარდებდათ, რომ მათი შვილი მათი თავგანწირვის წყალობით ცოცხალი იყო და ახლა ასე ახლოს იდგა; თუმცა, ლამის იმას ნატრობდა, ნეტავი მეც მათ გვერდით ვიწვეო.

ჰერმიონმა ხელზე ხელი მოჰკიდა და მაგრად მოუჭირა. ჰარი ღრმად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისუნთქავდა ცივ ჰაერს და ცდილობდა, დაწყნარებულიყო. ინანა, რომ ვერ მოაფიქრდა, მშობლებისთვის ყვავილები მოეტანა. სასაფლაოზე ყველა მცენარე გაშიშვლებულ-გაყინული იყო. უეცრად, თითქოს გულისნადებს მიუხვდაო, ჰერმი-

Scanned by CamScanner

ონმა ჯოხი ასნია, ჰაერში ნრე მოხაზა და მათ ნინ ხარისძირას თეთრი ყვავილები გაიფურჩქნა. ჰარიმ თაიგული საფლავზე დადო.

ჰარი მიხვდა, რომ აქ ნამითაც ველარ გაჩერდებოდა და ჰერმიონს ხელი გადახვია. გოგონაც მიეხუტა და ორივე ერთად გაემართა გასავლელისაკენ.

Scanned by CamScanner

თავი მეჩვიდმეტე

ბათილდას საიდუმლო

– ჰარი, მოიცა.

– რა იყო?

– იქით ვიღაცაა, – აცახცახებული ჰერმიონი ჰარის მიეკრა, – ვიღაც გვიყურებს. ნამდვილად. აი, იქ, ბუჩქებთან.

ჰარი გაშეშდა და სასაფლაოს ბნელ ღობეს მიაცქერდა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

– დარწმუნებული ხარ? – წასჩურჩულა ჰერმიონს.

– დავინახე, რაღაც გაინძრა. გეფიცები, დავინახე...

ჰერმიონი მოშორდა და ჯოხი ამოიღო.

– მაგლებს ვგავართ, – გაახსენა ჰარიმ.

– მაგლებს, რომლებმაც ეს წუთია, შენი მშობლების საფლავზე ყვავილები დააწყვეს. ჰარი, იქ ნამდვილად ვიღაცაა!

ჰარის „მაგიის ისტორია" გაახსენდა. იქნებ რომელიმე ამ სასაფლაოზე მცხოვრები მოჩვენება იყო?.. მაგრამ მერე შარიშური მასაც მოესმა და იმ ბუჩქიდან, რომელზეც ჰერმიონი ანიშნებდა, ბოვლი ჩამოცვივდა. მოჩვენება თოვლს ვერ გაფანტავდა.

– კატაა, – დაასკვნა ჰარიმ, – ან ჩიტი. სიკვდილის მხვრელი რომ იყოს, აქამდე არ გვაცოცხლებდა. მოდი, გავიდეთ და მერე მოსასხამიც გადავიხუროთ.

სასაფლაოს ჭიშკრისკენ წავიდნენ. თან უკან-უკან იყურებოდნენ. ჰარი სულაც არ იყო ისე გულმაგრად, როგორც ჰერმიონს აჩვენებდა თავს, ამიტომ შვებით ამოისუნთქა, როცა ჭიშკარი გაიარეს და გალიპულ ტროტუარზე გავიდნენ. ისევ გადაიხურეს უჩინმაჩინის მოსასხამი. ლუდხანაში წეღანდელზე მეტი ხალხი ირეოდა. შიგნითაც იმ საგალობელს მღეროდნენ, რომელიც ეკლესიასთან მიახლოებისას გაიგონეს. წამით ჰარიმ იფიქრა, იქნებ ჰერმიონს ვუთხრა, შევიდეთო,

Scanned by CamScanner

მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, ჰერმიონმა წაიდუდუნა, იქით წავიდეთო და ბნელ ქუჩაზე წაიყვანა, იმის საპირისპირო მხარეს, საიდანაც მოვიდნენ. რამდენადაც ბედავდნენ, სწრაფად მიდიოდნენ. ფანჯრებში ფერად-ფერადი ნათურები ციმციმებდა, ფარდების მიღმა მუქად ჩანდა საშობაო ნაძვის ხეების სილუეტები.

– ბათილდას სახლი როგორ ვიპოვოთ? – ჰკითხა აკანკალებულმა ჰერმიონმა. წარამარა უკან იყურებოდა, – ჰარი, რას იტყვი? ჰარი!

ჰერმიონმა მკლავში ხელი წაავლო და მოქაჩა. ჰარიმ ყურადღება არ მიაქცია. სახლების მწკრივის ბოლოში მდგარ შავ შენობას უყურებდა. იქით გაემართა და ჰერმიონიც წაიყოლა. ჰერმიონს ყინულზე ფეხი უცურავდა.

– ჰარი...

– შეხედე... შეხედე, ჰერმიონ!

– ვერ ვხედავ... ოჰ!

ჰარი კი ცხადად ხედავდა. ფიდელიუსის ჯადო, ალბათ, ჯეიმსთან და ლილისთან ერთად გაქრა. მას შემდეგ, რაც ჰაგრიდმა წელამდე ბალახში გაბნეული ქვებიდან ამოიყვანა, თექვსმეტი წელიწადი გასულიყო და ცოცხალი ღობე მთლად გაბარდულიყო. მუქმწვანე სუროთი და თოვლით დაფარული სახლის დიდი ნაწილი ჯერაც იდგა, ზემო სართულის მარჯვენა მხარე კი მთლიანად ჩამორღვეულიყო; ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ, აქ დაუბრუნდა ვოლდემორს თავისივე წყევლაო. ის და ჰერმიონი ჭიშკართან შედგნენ და ნანგრევებს ახედეს. ალბათ, ოდესღაც ისიც ჩვეულებრივი სახლი იყო.

– ნეტავ რატომ არ აღადგინეს? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– იქნებ შეუძლებელია? – მიუგო ჰარიმ, – შავი მაგიით მოყენებული ზიანის მსგავსად, იქნებ აღდგენა ვეღარ ხერხდება?

ჰარიმ მოსასხამიდან ხელი გამოაცურა და დათოვლილ, დაჟანგულ ჭიშკარს ჩაავლო, თუმცა, გაღება არ უფიქრია.

– შიგ შესვლას ხომ არ აპირებ? ვაითუ სახიფათოა... ოჰ, ჰარი, შეხედე!

ჭიშკარზე ხელის შევლებამ მათ წინ მიწიდან უცნაური, სწრაფად მზარდი ყვავილივით ამოზარდა დაფა. ზედ ოქროს ასოებით ეწერა:

> ამ ადგილას 1981 წლის 31 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმეს ლილი და ჯეიმს პოტერები. მათი ვაჟი, ჰარი, დღემდე ერთადერთი ჯადოქარია, რომელიც მომაკვდინებელ წყევლას გადაურჩა. მაგლთათვის უჩინარი ეს სახლი დანგრეული სახითაა შემორჩენილი, როგორც პოტერების ძეგლი და მოგონება იმ საშინელი ძალადობისა, რომელმაც მათი ოჯახი დაანგრია.

Scanned by CamScanner

ამ სიტყვების გარშემო იმ ჯადოქრების მინაწერები იყო, რომლებიც ეტყობა სახლს ესტუმრნენ, რათა ენახათ, სად ცხოვრობდა ბიჭი, რომელიც გადარჩა. ზოგს მხოლოდ სახელი მიეწერა წაუშლელი მელნით, სხვებს ხეზე ინიციალები ამოეჭრა, ზოგს კი წერილები დაეტოვებინა. ბოლოდროინდელი წარწერები კაშკაშებდა და თექვსმეტი წლის განმავლობაში დატოვებულ სხვა ჯადოსნურ წარწერებს ფარავდა. ყველგან ერთმანეთის მსგავსი სიტყვები ეწერა:

ბაბ, შენ იცი, ჰარი, წარმაფენებს გისურვებთ!

თუ ამას წაიკითხავ, ჰარი, იცოდე, რომ შენთან ვართ!

გაუმარჯოს ჰარი ჰოფერს!

– დაფაზე რამ დააწერინათ! – აღშფოთდა ჰერმიონი.

ჰარიმ კი გაბრწყინებულმა შეხედა:

– მშვენიერია. ძალიანაც კარგი.

უცებ გაჩუმდა. მათკენ შეფუთნული ფიგურა მოფრატუნებდა. საკმაოდ მოშორებული მოედნის ფარნებიდან წამოსულ სინათლეში მისი მკაფიო სილუეტი მკვეთრად მოჩანდა. ძნელი სათქმელი იყო, მაგრამ ჰარიმ მაინც იფიქრა, ქალი იქნებაო. ნელა მოდიოდა, ალბათ, თოვლზე მოცურებისა ეშინოდა. ყველაფრით ჩანდა, რომ ღრმად მოხუცებული, წელში მოხრილი და ზოზროხა დედაბერი იყო. ჰარი და ჰერმიონი ჩუმად უყურებდნენ, როგორ ახლოვდებოდა. ჰარი ელოდა, იქნებ რომელიმე სახლში შეუხვიოსო, მაგრამ ინტუიციით გრძნობდა, რომ ქალი სწორედ მათკენ მოდიოდა. ბოლოს დედაბერი რამდენიმე მეტრის დაშორებით შუა გზაზე გაჩერდა.

ჰერმიონის ჩქმეტა სულ ზედმეტი იყო. ჰარი თვითონაც მიხვდა, რომ ეს ქალი მაგლი არ იქნებოდა, რადგან იმ სახლს უყურებდა, რომელიც არაჯადოქრებისთვის უჩინარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ჯადოქარი რომც ყოფილიყო, ჰარის მაინც უცნაურად ეჩვენებოდა ასეთ სიცივეში ძველი ნანგრევების შესახედავად გარეთ გამოსვლა. ჩვეულებრივ ჯადოქარს, წესითა და კანონით, ჰარი და ჰერმიონი ვერ უნდა დაენახა, თუმცა, ჰარი როგორღაც გრძნობდა, რომ ქალმა მათი იქ ყოფნაც იცოდა და ვინაობაც. როგორც კი ამ შემაშფოთებელ დასკვნამდე მივიდა, ქალმა ხელთათმანიანი ხელი ასწია და დაუქნია.

ჰერმიონი უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ მიეკრა ჰარის.

– როგორ მიხვდა?

ჰარიმ თავი გაიქნია. ქალმა უფრო ენერგიულად დაუქნია ხელი. ჰარი ბევრი მიზეზის გამო არ უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ ამ

Scanned by CamScanner

უკაცრიელ ქუჩაში ერთმანეთის პირისპირ დგომისას ყოველ წამს უფრო უმძაფრდებოდა ეჭვი, რომ ეს ქალი შეიძლებოდა ბათილდა ბეგშოთი ყოფილიყო.

ნუთუ მთელი ეს დრო სულ ამათ ელოდა? იქნებ დამბლდორმა უთხრა, დაელოდე და როცა იქნება, მოვაო? იქნებ წელან სასაფლაოზე ეს მოძრაობდა და ახლა აქ გამოჰყვა? უჩინმაჩინის მოსასხამის მიუხედავად, მათ აქ ყოფნას რომ გრძნობდა, ესეც რაღაც დამბლდორისეულ ძალაზე მიანიშნებდა.

ბოლოს ჰარიმ ხმის ამოღება გაბედა და სუნთქვაშეკრულ ჰერმიონს კინაღამ გული გაუხეთქა.

– ბათილდა ხართ?

შეფუთულმა ფიგურამ თავი დააქინცირა და ერთხელაც დაუქნია ხელი.

ჰარიმ ჰერმიონს უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ შეხედა და წარბების ანევით ანიშნა, რა ვქნათო. ჰერმიონმა ოდნავ, ნერვიულად დაუქნია თავი.

ქალისკენ გაუბედავად გადადგეს ნაბიჯი. ისიც მაშინვე შებრუნდა და იმ გზაზე წაფრატუნდა, საიდანაც ჰარი და ჰერმიონი მოვიდნენ. როცა რამდენიმე სახლს გასცდნენ, ერთ ჭიშკარში შევიდნენ, გადაბარდული ბაღი გაიარეს და სახლის კარს მიუახლოვდნენ. ქალმა კარს გასაღები შეუჩხიკინა, გააღო, გვერდზე გადგა და სტუმრები გატარა.

ქალს მყრალი სუნი უდიოდა ან შეიძლება, სულაც, სახლი ყარდა; ჰარიმ და ჰერმიონმა მოსასხამი მოიხადეს და სულ ახლოს მდგარ ქალს დააკვირდნენ. მუჭისოდენა იყო; სიბერისგან ისე მოხრილიყო, მკერდამდე ძლივს სწვდებოდათ. დედაბერმა კარი მიხურა და მისი გაძვალტყავებული თითების მოლურჯო ფერი საღებავაქერცლილი კარის ფონზე მკვეთრად გამოიკვეთა. მერე ჰარის სახეში მიაჩერდა, ბიჭს უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა – ქალს ლიბრგადაკრული თვალები გამჭვირვალე კანის ნაკეცებში ძლივსღა უჩანდა. მთელ სახეზე კაპილარები დაბერვოდა და პიგმენტური ლაქები აჩნდა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ, თუ მხედავსო; ასე რომც ყოფილიყო, ბათილდა მხოლოდ იმ მელოტ მაგლს დაინახავდა, რომელსაც ჰარიმ გარეგნობა მოჰპარა.

ქალმა ჩრჩილისგან შეჭმული შალი მოიხსნა და ჭაღარა, მეჩხერთმიანი თავი გამოუჩნდა. მტვრის, ჭუჭყიანი ტანსაცმლისა და აყროლებული საჭმლის სუნი გამძაფრდა.

– ბათილდა ხართ? – გაიმეორა ჰარიმ.

ქალმა ისევ დაუქნია თავი. ჰარიმ იგრძნო, რომ იმან, რაც მის გულზე ჩამოკიდებული მედალიონის შიგნით იყო და ხანდახან წიკ-

Scanned by CamScanner

ნიკებდა თუ აკაკუნებდა, გაილვიძა. ფეთქვა დაიწყო. ნუთუ იგრძნო, რომ ის, რაც გაანადგურებდა, ახლოს იყო?

ბათილდამ ფლატუნით ჩაუარა. ჰერმიონი გვერდზე გასწია, თითქოს ვერც ხედავსო და შიგნით, ალბათ, სასტუმრო ოთახში გაქრა.

– ჰარი, ეს ამბავი არ მომწონს, – ამოილო ხმა ჰერმიონმა.

– შეხედე, რა პატარაა. თუ საქმე საქმეზე მიდგა, მოვერევით, – უთხრა ჰარიმ, – მისმინე, არ მითქვამს, რომ ჭკუაზე არ არის? მიურიელმა თქვა, გამოჩერჩეტდაო.

– შემოდი! – დაუძახა ბათილდამ მეორე ოთახიდან.

ჰერმიონი ჰარის მკლავში ჩაებღაუჭა.

– დაწყნარდი, – გაამხნევა ჰარიმ და სასტუმრო ოთახში შევიდნენ.

ბათილდა ოთახში დაბარბაცებდა და სანთლებს ანთებდა, მაგრამ ჯერაც ძალიან ბნელოდა. თანაც იქაურობა საშინლად ჭუჭყიანი იყო. ფეხქვეშ მტვრის სქელი ფენა რაღაც ხმას გამოსცემდა. ჰარიმ შმორისა და ობის სუნის გარდა, რაღაც უარესიც იგრძნო, თითქოს ხორცი აყროლდაო. ალბათ, ბოლოს ბათილდას სანახავად და მოსაკითხად საუკუნის წინ შემოიარეს. ეტყობოდა ბათილდას ისიც დავიწყებოდა, რომ ჯადოქრობა შეეძლო: სანთლებს ისე უხერხულად ანთებდა ასანთით, რომ მისი კოფთის სახელოზე შემოვლებული მაქმანი შეიძლებოდა ყოველ წუთს აალებულიყო.

– მე ავანთებ, – ჰარიმ ასანთი გამოართვა. ბათილდა იდგა და უყურებდა, როგორ ანთებდა ჰარი ოთხში აქა-იქ შემორჩენილ სანთლის ნამწვებს. ზოგი წიგნების გროვებზე მიეყუდებინათ, ზოგიც პატარა მაგიდებზე დამტვრეულ და ობმოკიდებულ ფინჯნებშუა ჩაჭეჭყილიყო.

ჰარიმ სულ ბოლოს მუცელგამობერილ განჯინაზე შემოდებული სანთელი აანთო. განჯინაზე ფოტოსურათები დაეხვავებინათ. ალი აცეკვდა და დამტვერილ მინებსა და ვერცხლის ჩარჩოებზე ათამაშდა. ჰარიმ სურათებზე რაღაც მოძრაობა შეამჩნია. სანამ ბათილდა ცეცხლის ასანთებად შეშასთან ფათურობდა, ჰარიმ წაიბუტბუტა:

– ტერგეო!

ფოტოსურათებიდან მტვერი გაქრა და ჰარიმ მაშინვე შეამჩნია, რომ ხუთ ყველაზე დიდ და მოჩუქურთმებულ ჩარჩოში სურათები აკლდა. საინტერესო იყო, ვინ აიღო, თვითონ ბათილდამ თუ ვინმე სხვამ. მერე კოლექციის თითქმის უკანა რიგში ერთმა ფოტოსურათმა მიიქცია ყურადღება და მაშინვე ხელი სტაცა.

ვერცხლის ჩარჩოდან ჰარის ზანტად უღიმოდა ოქროსთმიანი, მხიარული ქურდი – გრეგოროვიჩის ფანჯარაზე დასკუპებული ყმაწვილი. იმავე წამს გაახსენდა, სადაც ენახა წინათ ეს ბიჭი: „ალბუს

Scanned by CamScanner

დამბლდორის ცხოვრებასა და სიცრუეში", ყმაწვილ დამბლდორთან ხელიხელგადახვეული – რიტას წიგნში, სადაც, ცხადია, აქედან წაღებული სხვა სურათებიც მოხვდებოდა.

– მისის... მის... ბეგშოთ, ეს ვინ არის? – იკითხა ხმაგაბზარულმა.

ბათილდა შუა ოთახში იდგა და უყურებდა, როგორ უნთებდა ჰერმიონი ცეცხლს.

– მის ბეგშოთ, – გაიმეორა ჰარიმ და ბუხარში აცეკვებული ცეცხლის სინათლეზე გამოვიდა. ბათილდამ აიხედა; ჰარის მკერდზე ჩამოკიდებული ჰორკრუქსის ფეთქვამ იმატა.

– ვინ არის ეს კაცი? – სურათი დაანახვა ჰარიმ.

ბათილდა ჯერ სურათს მიაჩერდა პირქუშად, მერე – ჰარის.

– იცით, ვინ არის? – გაუმეორა ჩვეულებრივზე ხმამაღლა და ნელა, – ამ კაცს იცნობთ? რა ჰქვია?

ბათილდა დაბნეული უყურებდა. ჰარიმ საშინელი იმედგაცრუება იგრძნო. საოცარი იყო, რიტა სკიტერმა როგორღა გაუღვიძა მეხსიერება.

– ეს კაცი ვინ არის? – ხმამაღლა გაუმეორა.

– ჰარი, რას აკეთებ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– შეხედე ამ სურათს, ჰერმიონ, ეს ის ქურდია, გრეგოროვიჩის ქურდი! ძალიან გთხოვთ, – მიუბრუნდა ბათილდას, – მითხარით, ვინ არის?

მაგრამ ის მხოლოდ მიშტერებოდა.

– რატომ წამოგვიყვანეთ, მისის... მის... ბეგშოთ? – ჰერმიონმა თვითონაც აუწია ხმას, – რამე ხომ არ უნდა გეთქვათ?

ბათილდას არ შესტყობია, რომ ჰერმიონის ნათქვამი გაიგო და ჰარისთან მიფრატუნდა. თავი გაიქნია და შემოსასვლელისკენ გაიხედა.

– გინდათ, წავიდეთ? – ჰკითხა ჰარიმ.

ამჯერად ქალმა ჯერ ჰარის ატაკა თითი, მერე – თავის თავს და ბოლოს ჭერზე ანიშნა.

– ჰერმიონ, მე მგონი, უნდა, რომ ზემოთ ამიყვანოს.

– კარგი, – თქვა ჰერმიონმა, – ავიდეთ.

მაგრამ როცა ჰერმიონი დაიძრა, ბათილდამ საკვირველი ძალით გაიქნია თავი და ახლაც ჯერ ჰარიზე მიუთითა, მერე – თავის თავზე.

– უნდა, რომ მარტო მე ავყვე.

– რატომ? – ჰერმიონის ხმამ მკვეთრად და მკვახედ გაიჟღერა სანთლებით განათებულ ოთახში. დედაბერმა ხმაურზე თავი გააქნია.

– იქნებ დამბლდორმა დაავალა, სწორედ ჩემთვის მოეცა ხმალი და სხვა არავისთვის?

Scanned by CamScanner

– ვითომ იცის, ვინც ხარ?

– ჰო, – უთხრა ჰარიმ და დაბინდულ, მისკენ მოშტერებულ თვალებში ჩახედა მოხუცს, – მგონი, იცის.

– მაშ, კარგი, ოღონდ მალე დაბრუნდი, ჰარი.

– გამიძეხით, – მიუბრუნდა ჰარი ბათილდას.

იმან თითქოს გაიგო, რადგან გარს შემოუფრატუნა და კარისკენ წავიდა. ჰარიმ გამამხნევებელი ღიმილით მიიხედა უკან, მაგრამ ჰერმიონს არ დაუნახავს: სანთლით განათებულ ბინძურ ოთახში იდგა და კმაყოფილი უყურებდა წიგნების კარადას. ოთახიდან გავიდნენ თუ არა, ჰარიმ დრო იხელთა და ჰერმიონისა და ბათილდას მალულად უცნობი ქურდის ვერცხლისჩარჩოიანი ფოტოსურათი ქურთუკში ჩაიცურა.

კიბე ვიწრო და ციცაბო იყო. ჰარი ლამის მსუქან ზურგზე მიაწვა ბათილდას – შეეშინდა, არ გადმოვარდეს და ზედ არ დამეცესო. ქალი როგორც იქნა, ნელა, ქოშინით ავიდა ზემო ბაქანზე, მაშინვე მარჯვნივ შეუხვია და დაბალჭერიან საძინებელში შეუძღვა.

კუნაპეტი სიბნელე და საშინელი სიმყრალე იდგა. ჰარიმ ის იყო, საწოლის ქვეშიდან გამოწეულ ღამის ქოთანს მოჰკრა თვალი, რომ ბათილდამ კარი დახურა და ის ქოთანიც სიბნელემ ჩაყლაპა.

– ლუმოს, – ჯოხი აანთო ჰარიმ და მაშინვე შეკრთა: იმ ორიოდე წამში, სანამ ბნელოდა, ბათილდა მოახლოებოდა, მას კი არ გაუგონია.

– პოტერი ხარ? – წაიჩურჩულა.

– დიახ.

ბათილდამ ნელა და პირქუშად დაუქნია თავი. ჰორკრუქსი თითქოს უფრო სწრაფად აფართხალდა და ჰარის უსიამოვნო, შემაშფოთებელი შეგრძნება დაეუფლა.

– ჩემთვის რამე გაქვთ გადმოსაცემი? – ჰკითხა ჰარიმ, მაგრამ ქალის ყურადღებას ეტყობა, მისი ანთებული ჯოხის წვერი იზიდავდა.

– ჩემთვის რამე გაქვთ გადმოსაცემი? – გაუმეორა.

ქალმა თვალები დახუჭა და ერთდროულად რამდენიმე რამ მოხდა: ჰარის მტკივნეულად დაუწყო ნაიარევმა წიწკნა; ჰორკრუქსი ისე შეირხა, რომ ქურთუკის გულისპირიც კი ამოიბურცა, ხოლო ბნელი, მყრალი ოთახი გაქრა. ჰარის უეცრად გული სიხარულით აუჩქროლდა და მაღალი, ცივი ხმით წარმოთქვა:

– დააკავე!

უცებ სადაც იდგა, ისევ იქ დაბრუნდა. ბნელი, აყროლებული ოთახი თითქოს ისევ ირგვლივ შემოერტყა. ვერ მიხვდა, რაიმე თუ მოხდა.

– ჩემთვის რამე გაქვთ მოსაცემი? – ჰკითხა მესამედ, უფრო ხმამაღლა.

Scanned by CamScanner

– აი, იქ, – წაიჩურჩულა ქალმა და კუთხეში მიუთითა. ჰარიმ ჯოხი ასწია და ფარდაჩამოფარებული ფანჯრის ქვეშ ტუალეტის მაგიდა დაინახა, ზედ ათასი რამ დაეხვავებინათ.

ამჯერად ქალი აღარ გასძღოლია. ჰარიმ აულაგებელ ლოგინს გვერდით ისე ჩაუარა, ბათილდასთვის თვალი არ მოუშორებია.

– ეს რა არის? – ჰკითხა ტუალეტის მაგიდასთან მისულმა. მაგიდაზე დახვავებული მასა ჭუჭყიან თეთრეულს ჰგავდა და მქისე სუნი უდიოდა.

– მანდ, – ქალმა უფორმო მასაზე მიუთითა.

და იმ წამში, როგორც კი ჰარიმ ვადაში ლალჩასმული ხმლის დანახვის იმედით აქექა ბინძური გროვა, ცალი თვალით შეამჩნია, რომ ქალი არაბუნებრივად შეირხა. ჰარი დაფეთებული მოტრიალდა და გულგახეთქილი ადგილს მიეჯაჭვა – ბებერი სხეული თითქოს ჩამოიღვენთა და იქიდან, სადაც ქალის კისერი იყო, დიდი გველი ამოიჭრა.

როგორც კი ჯოხი აღმართა, გველმა მაშინვე შეუტია და მხარზე ისე უკბინა, რომ ჯოხი ხელიდან გაუსხლტა და ტრიალ-ტრიალით აფრინდა ჭერში; მისმა შუქმა ოთახი წამით გაანათა და ჩაქრა; ჰარის გულმკერდში ღონივრად მოხვდა კუდი, სუნთქვა შეეკრა და გულაღმა დავარდა ტუალეტის მაგიდაზე დახვავებულ მყრალი ტანსაცმლის გროვაში.

ჰარი გადაგორდა და ძლივს აიცილა მეორედ მოქნეული კუდი, რომელმაც სწორედ იქ დაჰკრა მაგიდას, სადაც წამის წინ ჰარი იყო. ჰარი იატაკს დაენარცხა და ზედ მაგიდის მინის ზედაპირის ნამსხვრევები დააცვივდა. ამ დროს ქვემოდან ჰერმიონის ხმა მოისმა:

– ჰარი!

ფილტვებში იმდენი ჰაერი ვერ ჩაუშვა, რომ ხმა გაეცა. მძიმე, გლუვმა მასამ იატაკს გააკრა და იგრძნო, როგორ გადაუსრიალა ღონიერმა სხეულმა...

– არა! – ამოიძახა იატაკს მილურსმულმა ჰარიმ.

– ჰჰჰჰო, – მოესმა ჩურჩული, – გაჩჩჩერდი... გაჩჩჩჩერდი...

– აკციო... აკციო ჯოხი...

მაგრამ არაფერი მომხდარა. ჰარი ორივე ხელით შეეცადა, გველი მოეშორებინა, მაგრამ ნაგინი სხეულზე ისე შემოეჭდო, კინაღამ გაგუდა. ყინულივით ცივი მედალიონი ცოცხალივით ფეთქავდა მისივე აფართხალებული გულიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით; ამ დროს გონება ცივი, თეთრი შუქით აევსო, ყველა აზრი წაეშალა, სუნთქვა მიუნელდა, შორიდან ნაბიჯების ხმა მოისმა...

მკერდზე რკინის გული უფეთქავდა, თვითონ კი მიფრინავდა სიხ-

Scanned by CamScanner

არულით სავსე; აღტაცებული მილივლივებდა ჰაერში, არც ცოცხი სჭირდებოდა და არც თესტრალი...

უცებ ისევ მყრალ სიბნელეში გაეღვიძა; ნაგინი მოსცილებოდა. წამოხტა და ბაქნიდან შემოსულ შუქზე გველის სილუეტი დაინახა, რომელიც ახლა ჰერმიონისკენ გასრიალდა. გოგონამ კივილით ისკუპა გვერდზე; მისგან ნატყორცნი წყევლა ფანჯარას მოხვდა და ნამსხვრევებად აქცია. ოთახი გაყინული ჰაერით აივსო. ჰარი ნამსხვრევების ახალი ნაკადის ასაცდენად დაიხარა და ფეხი რაღაცაზე გაუცურდა.ჯოხი იყო...

მთელი ოთახი გველს ეკავა, მისი კუდი აქეთ-იქით სხმარტალებდა და რასაც კი მოხვდეოდა, ყველაფერს ლეწავდა. კედელზე ჩარიგებული თაროები დაიმტვრა და იატაკი ფაიფურის ნამსხვრევებით დაიფარა. ჰერმიონი არსად ჩანდა. ჰარიმ წამით გაიფიქრა, ყველაზე უარესი რამ მოხდაო, მაგრამ უეცრად გაისმა ხმამაღალი ბრახუნი, გაიელვა წითელმა შუქმა და გველი ჰაერში აფრინდა, ჰარის სახეში დაეტაკა და რგოლებად დახვეული ჭერში ჩამოეკიდა. ჰარიმ ჯოხი აღმართა, მაგრამ შელოცვის წარმოთქმა ვერ მოახერხა, რადგან ამ დროს ნაიარევი საზარლად ასტკივდა, ყველაზე საშინლად, ვიდრე ოდესმე.

– მოდის! ჰერმიონ, მოდის! – იღრიალა განწირულმა.

მის ყვირილზე გველი ძირს დაეცა და მრისხანედ ასისინდა. ჰარიმ დრო იხელთა, საწოლს გადაახტა, მუქ სილუეტს, სავარაუდოდ ჰერმიონს სტაცა ხელი და საწოლზე გადაათრია. ჰერმიონმა ტკივილით შეჰკივლა. გველი ისევ წამოიმართა. ჰარის ტკივილით თავი უსკდებოდა და იცოდა, რომ გველზე უარესი რამ მოდიოდა, შეიძლება უკვე კართანაც კი იყო...

ჰერმიონს ხელი მაგრად ჩასჭიდა და გასაქცევად მოემზადა. ამ დროს გველი ისევ ეცა. ჰერმიონმა შეჰყვირა:

– კონფრინგო!

შელოცვამ მთელი ოთახი ელვის სისწრაფით შემოიფრინა და გარდერობის სარკე ააფეთქა. ჰარიმ იგრძნო, რომ ხელის ზურგი გაესერა, ხოლო მინამ ლოყა გაუჭრა. მერე ძალა მოიკრიბა, ჰერმიონთან ერთად საწოლიდან დამტვრეული ტუალეტის მაგიდისკენ ისკუპა და ჩამსხვრეული ფანჯრიდან პირდაპირ სიცარიელეში გადახტა. სიბნელეში ჰერმიონის კივილი გაისმა...

ჰარის თითქოს ნაიარევი გაეხსნა. ახლა ვოლდემორი იყო. მყრალი საძინებელი გაირბინა, გრძელი, თეთრი ხელებით რაფას ჩაეჭიდა და თვალი მოჰკრა, როგორ გადატრიალდნენ და ჰაერში გაქრნენ მელოტი კაცი და პატარა ქალი. მრისხანებისგან ხმამაღლა შეჰყვირა.

Scanned by CamScanner

მისი ყვირილი გოგოს კივილს შეერია, ბნელ ბაღებს გადაუარა და ეკლესიის საშობაო ზარების ხმა გადაფარა...

მერე მისი ბღავილი ჰარის ბღავილი იყო, მისი ტკივილი – ჰარის ტკივილი... ეს აქ უნდა მომხდარიყო, იქვე, სადაც წინათ მოხდა... აქ, იმ სახლის გვერდით, სადაც ასე ცხადად გაიგო, თუ რას ნიშნავს სიკვდილი... ტკივილი საშინელი გახდა... სხეულს უფლეთდა... მაგრამ თუ სხეული არა აქვს, თავი რატომ სტკივა ასე? თუ მკვდარია, ასე ცუდად რატომ გრძნობს თავს? რატომ არ შეწყდა ტკივილი სიკვდილის შემდეგ, რატომ არ მოეშვა...

სველი, ქარიანი ღამე იდგა, მოედანზე გოგრების კოსტიუმებში გამოწყობილი ორი ბავშვი მობაჯბაჯებდა, მაღაზიების ვიტრინები კი ქაღალდის ობობებს დაეფარა; ამ იაფფასიანი ატრიბუტებით აღნიშნავენ მაგლები იმ სამყაროს დღესასწაულს, რომლისაც არ სჯერათ... ის კი მისრიალებს მიზნის სიზუსტის, თავისი ძალისა და სამართლიანობის შეგრძნებით სავსე, როგორც ასეთ დროს სჩვევია ხოლმე... არ ღელავს... ეს სუსტთა ხვედრია... მხოლოდ ზეიმობს, დიახ... ამას ელოდა, ამისი იმედი ჰქონდა...

– რა მაგარი ფორმა გაცვიათ!

დაინახა, როგორ წაეშალა ღიმილი ბიჭუნას, როცა მოირბინა და მოსასხამის კაპიუშონქვეშ სახე დაუნახა; დაინახა, როგორ აღებეჭდა შიში გრიმით მოხატულ სახეზე, მერე კი შებრუნდა და გაიქცა... თვითონ მანტიის ქვეშ ჯოხს შეეხო... ერთი უბრალო მოძრაობა და ბავშვი დედას ვეღარ ნახავს... მაგრამ რა საჭიროა?!..

მეორე უფრო ბნელ ქუჩაზე გავიდა და როგორც იქნა, დაინახა თავისი სამიზნე. ფიდელიუსის შელოცვა გამქრალიყო, მაგრამ იმათ ჯერ არ იცოდნენ... ჩუმად განაგრძო გზა, ჩაშავებულ ცოცხალ ღობეს გაუსწორდა და გადააბიჯა...

ფარდები არ ჩამოეშვათ. ცხადად დაინახა, პატარა სასტუმრო ოთახში მაღალი, შავთმიანი, სათვალიანი კაცი ჯადოსნური ჯოხიდან კვამლის ფერად-ფერად ბოლქვებს უშვებდა და ცისფერპიჟამიან, შავთმიან ბიჭუნას ართობდა. ბავშვი ხითხითებდა და ცდილობდა, კვამლს სწვდომოდა და პაწია მუჭში მოექცია...

კარი გაიღო და ოთახში ქალი შემოვიდა, გრძელი, მუქწითელი თმა სახეზე ჩამოშლოდა. რაღაც თქვა, მაგრამ მან ვერ გაიგონა. მამამ ბავშვი აიყვანა და დედას მიაწოდა. მერე ჯოხი დივანზე მიაგდო და მთქნარებით გაიზმორა...

ჭიშკარმა ოდნავ დაიჭრაჭუნა და გაიღო, მაგრამ ჯეიმს პოტერს არ გაუგონია. მან თეთრი ხელით ამოიღო მოსასხამიდან ჯოხი და კარს დაუმიზნა. კარი ჯახუნით გაიღო...

Scanned by CamScanner

როცა ჯეიმსი შესასვლელში გამოვარდა, მან უკვე ზღურბლს გადააბიჯა. ყველაფერი რა კარგად აეწყო: ჯეიმსს ჯოხიც კი არ წამოუღია...

– ლილი, ჰარი წაიყვანე და წადი! ისაა! წადი! გაიქეცი! მე შევაჩერებ!

უჯოხოდ შეაჩერებდა? როგორ არა! ირონიულად გაეცინა და მერეღა ესროლა წყევლა...

– ავადა კედავრა!

მწვანე შუქმა პატარა შემოსასვლელი აავსო, კედელთან მიმდგარი საბავშვო ეტლი აალდა და ჯეიმს პოტერი ძაფებგადაჭრილი მარიონეტივით დაეცა...

ზედა სართულზე მომწყვდეული ქალის კივილი მოესმა, ისე, თუ ჭკუას მოუხმობდა, შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა... კიბეზე ადიოდა და ღიმილით უსმენდა, როგორ ცდილობდა ქალი, კარი ჩაეხერგა... არც მას ჰქონდა ჯოხი... რა სულელები იყვნენ და რა მიმნდობები, ეგონათ, მათი უსაფრთხოება მეგობრების ხელში იყო და წამით მაინც შეიძლებოდა იარაღის გვერდზე გადადება...

ჯოხის ერთი ზანტი გაქნევით კარზე ნაჩქარევად მიდგმული სკამი და ყუთები გადაყარა და კარი გააღო. აი, ისიც, ბავშვით ხელში. მის დანახვაზე შვილი რიკულებიან საწოლში ჩააგდო და მკლავები გაშალა, თითქოს ეს უშველიდა, თითქოს თუ შვილს თვალიდან მოაშორებდა, იქნებ მის ნაცვლად დედა აერჩია...

– ჰარი არა, ჰარი არა, გთხოვთ, ჰარი არა...

– მომეცალე, სულელო გოგო! ახლავე მომეცალე!

– ჰარი არა, გთხოვთ, მე მომკალით...

– უკანასკნელად გაფრთხილებ...

– ჰარი არა! გთხოვთ... შეიბრალეთ... შეიბრალეთ... ჰარი არა! ჰარი არა! გეხვეწებით... რასაც გინდათ, იმას გავაკეთებ...

– მომეცალე! მომეცალე-მეთქი, გოგო!

შეეძლო ძალით მოეშორებინა საწოლიდან, მაგრამ უფრო გონივრული იქნებოდა, რომ ყველანი მოესპო...

მწვანე შუქმა ოთახი გაანათა და ქალიც ქმარივით დაეცა. ბავშვს არ უტირია. საწოლის რიკულებს ჩაჭიდებული იდგა და დიდი ინტერესით აჰყურებდა მომხვდურის სახეს, ალბათ, ეგონა, მამა მოსასხამქვეშ დაიმალა და უფრო ლამაზ შუქს უშვებსო. ალბათ, რამდენიმე წამში დედაც სიცილით წამოხტებოდა...

ჯოხი ფრთხილად დაუმიზნა ბიჭის სახეს. უნდოდა დაენახა, როგორ განადგურდებოდა მისი ეს აუხსნელი ციცქნა ხიფათი. ბავშვმა დაინახა, რომ ეს კაცი ჯეიმსი არ იყო და ატირდა... არ მოეწონა

Scanned by CamScanner

ტირილი, ვერასოდეს იტანდა ობოლთა თავშესაფარში ბავშვების ღნავილს...

– ავადა კედავრა!

...და უცებ თვითონვე გატყდა. მისგან აღარაფერი დარჩა, აღარაფერი, გარდა ტკივილისა და შიშისა. უნდა დამალულიყო, ოღონდ აქ, ამ სახლის ნანგრევებში კი არა, სადაც მტირალი ბავშვი იყო მომნყვდეული... არამედ სადღაც შორს... შორს...

– არა! – დაიკვნესა.

გველი ბინძურ, არეულ-დარეულ იატაკზე დაშარიშურობდა. ბიჭი მოკლა და ახლა თვითონ იყო ეს ბიჭი...

– არა...

ახლა ბათილდას სახლის ჩამტვრეულ ფანჯარასთან იდგა და თავისი უდიდესი დანაკარგი ახსენდებოდა. მის ფერხთით, ფაიფურისა და მინის ნამსხვრევებში დიდი გველი დასრიალებდა... დაიხედა და რაღაც დაინახა... თვალებს არ დაუჯერა...

– არა...

– ჰარი, დამშვიდდი, როგორა ხარ?

...დაიხარა და მინაჩამსხვრეული ფოტოსურათი აიღო. ის არის, ის უცნობი ქურდი, ვისაც დაეძებს...

– დამივარდა... დამივარდა...

– ჰარი, გადავრჩით, გაიღვიძე, გაიღვიძე!

ისევ ჰარი იყო, ჰარი და არა ვოლდემორი... ჰარიმ თვალი გაახილა.

– ჰარი, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – მოსულიერდი?

– ჰო, – იცრუა ჰარიმ.

კარავში იყო, ქვედა საწოლზე იწვა და მთელი გროვა საბნები ეფარა. კარვის ჭერს მიღმა ცივი, თანაბარი შუქი ანათებდა. ჰარი მიხვდა, რომ მალე გათენდებოდა. ოფლში ცურავდა, ზეწარი და საბნებიც გასაწური იყო.

– გამოვექეცით.

– ჰო, – მიუგო ჰერმიონმა, – ლივლივის შელოცვით დაგაწვინე საწოლზე. ვერ აგწევდი. ძალიან... ძალიან...

ჰერმიონს ყავისფერი თვალების ქვემოთ უპეები დასივებოდა და ჩალურჯებოდა. ხელში პატარა ღრუბელი ეჭირა: ეტყობა, სახეს უმშრალებდა.

– ავად იყავი, – დაამთავრა, – ძალიან ავად.

– რამდენი ხანია, რაც წამოვედით?

– რამდენიმე საათია. ცოტაც და, გათენდება.

– და მე... უგონოდ ვიყავი?

– მთლად უგონოდაც არა, – უხერხულად შეიშმუშნა ჰერმიონი, –

Scanned by CamScanner

ყვიროდი, კვნესოდი და... ასე შემდეგ, – დაუმატა ისეთი ხმით, რომ ჰარიმ თავი უხერხულად იგრძნო. ნეტავ, რას აკეთებდა? ვოლდემორივით წყევლას წყევლაზე გაჰყვიროდა თუ რიკულებიან საწოლში მდგარი ბავშვივით ჩხაოდა?

– ჰორკრუქსი ვერ მოგაშორე, – უთხრა ჰერმიონმა, – ჰარი მიხვდა, რომ სიტყვის ბანზე აგდება უნდოდა, – პირდაპირ მკერდში გქონდა ჩაჭედილი. ნიშანი დაგრჩა. მაპატიე, გაჭრის შელოცვის თქმა მომიწია. გველმაც გიკბინა, მაგრამ ჭრილობა გაგიწმინდე და იფნურა დაგაწვეთე...

ჰარიმ ოფლიანი მაისური გადაიძრო და დაიხედა. მკერდზე, იქ, სადაც მედალიონმა დასწვა, მეწამული ოვალი აჩნდა. მხარზეც შეამჩნია ნახევრად მოშუშებული ნაჩხვლეტები.

– ჰორკრუქსი სად წაიღე?

– ჩანთაშია. მოდი, ცოტა ხანს არ გავიკაროთ.

ჰარი ბალიშებზე მიწვა და დაქანცულ, ფერწასულ ჰერმიონს შეხედა.

– არ უნდა წავსულიყავით გოდრიკ ჰოლოუში. ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია, ჰერმიონ, მაპატიე.

– რას ამბობ. მეც ხომ მინდოდა წასვლა. მართლა ვფიქრობდი, იქნებ იქ დატოვა დამბლდორმა ხმალი-მეთქი.

– შევცდით, არა?

– რა მოხდა, როცა ზევით აჰყევი, ჰარი? გველი სადმე იმალებოდა? ბათილდა მოკლა და მერე შენ შემოგიტია?

– არა, – უთხრა, – ბათილდა იყო გველი... ან გველი იყო ბათილდა... თავიდანვე.

– რაო?

ჰარიმ თვალები დახუჭა. ახლაც კი ცხადად გრძნობდა ბათილდას სახლის სუნს და განვლილი ამბის საშინელებას.

– ბათილდა, ალბათ, კარგა ხანია, მოკვდა. გველი... გველი მის სხეულში იყო. ჩვენ-რომ-ვიცით, მან დატოვა გოდრიკ ჰოლოუში, მე მელოდებოდა. მართალს ამბობდი. იცოდა, რომ დავბრუნდებოდი.

– გველი ბათილდაში იყო?

თვალი ისევ გაახილა. ჰერმიონს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მალე გული აერეოდა.

– ლუპინმა თქვა, შეიძლება ისეთ ჯადოქრობას ნავაწყდეთ, როგორსაც ვერც კი წარმოვიდგენთო, – თქვა ჰარიმ, – შენ წინაშე იმიტომ არ უნდოდა ხმის ამოღება, რომ პარსულად მელაპარაკებოდა და ვერ მივხვდი. რა თქმა უნდა, ყველაფერი გავიგე, რასაც მეუბნებოდა. როგორც კი ზემოთ ავედით, მაშინვე შეატყობინა ჩვენ-

Scanned by CamScanner

რომ-ვიცით, იმას. ამას მაშინვე მივხვდი; ვიგრძენი, როგორ აღელდა ვოლდემორი და უბრძანა, დააკავეო... მერე...

გაახსენდა, როგორ ამოვიდა გველი ბათილდას კისრიდან...

– ბათილდა გველად გადაიქცა და თავს დამესხა.

ნაკბენს დახედა.

– არ მომკლავდა, მხოლოდ უნდა დავეკავებინე, სანამ ჩვენ-რომ-ვიცით, ის მოვიდოდა.

ჰარის ერთად შემოანვა სიბრაზე და სასოწარკვეთა. გველის მოკვლა მაინც რომ მოხერხებინა, მაშინ გოდრიკ ჰოლოუში წასვლას უნაყოფოდ არ ჩათვლიდა. გულმოკლული წამოჯდა და საბნები გადაიხადა.

– არ ადგე, ჰარი, დაწექი. უნდა დაისვენო.

– ძალი ახლა შენ გჭირდება. არ გეწყინოს და იცი, რას ჰგავხარ?! მე არა მიშავს. ცოტა ხანს ვიმორიგეევებ. ჩემი ჯოხი სად არის?

ჰერმიონმა უხმოდ შეხედა.

– სად არის ჯოხი, ჰერმიონ?

ჰერმიონმა ტუჩი მოიკვნიტა და თვალები ცრემლით აევსო.

საშინელმა წინათგრძნობამ ტანში ელექტროდენივით დაუარა.

– ჯოხი რა იქნა?

ჰერმიონმა საწოლის გვერდით მოაფათურა ხელი და ჯოხი გაუწოდა.

ბაძგისა და ფენიქსის ბუმბულის ჯოხი ორად გადატეხილიყო. ორივე ნახევარს ფენიქსის ბუმბულის წვრილი ღერიღა აკავებდა. ხე მთლიანად გახლეჩილიყო. ჰარიმ ჯოხი ორივე ხელით აიღო, თითქოს მძიმედ დაშავებული ცოცხალი არსებაოო. შიშმა და პანიკამ მოიცვა. მერე ჯოხი ჰერმიონს გაუწოდა:

– გაამთელე, გეხვეწები.

– ჰარი, როცა ასეა გატეხილი, ალბათ ვერ...

– გეხვეწები, ჰერმიონ, სცადე.

– რ-რეპარო!

ჯოხის ჩამოკონწიალებული ნახევარი გასწორდა. ჰარიმ ასწია:

– ლუმოს!

ჯოხზე სუსტი ნაპერწკალი აინთო და ჩაქრა. ჰარიმ ახლა ჰერმიონს დაუმიზნა:

– ექსპელიარმუს!

ჰერმიონს ხელში ჯოხი შეუხტა, მაგრამ არ გავარდნია. ჯადოქრობის ეს უმცირესი ცდაც მეტი აღმოჩნდა ჰარის ჯოხისთვის და ისევ ორად გაიხლიჩა. ჰარი გაოგნებული დააცქერდა. ვერ იჯერებდა, რასაც ხედავდა... მისი ჯოხი, რომელმაც ამდენი რამ გადაიტანა, გატეხილი იყო.

Scanned by CamScanner

– ჰარი, – ძლივსგასაგონად წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – მაპატიე. ალბათ, ჩემი ბრალია. როცა გველი მოგვდევდა, ნგრევის ჯადო გამოვიყენე. ეტყობა, რაიმე მაგრად დაეჯახა...

– შემთხვევით მოხდა, – მექანიკურად უპასუხა დაცარიელებულმა და თავზარდაცემულმა ჰარიმ, – როგორმე... როგორმე შევაკეთებთ.

– ალბათ, ვერ მოვახერხებთ, – ჰერმიონს სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი, – გახსოვს... გახსოვს რონის ჯოხი, ავარიის დროს რომ გაუტყდა? იმის მერე ველარ ივარგა და ახალი დასჭირდა.

ჰარი სასოწარკვეთილი იყო. გაახსენდა, რომ ოლივანდერი ვოლდემორმა მოიტაცა და დატყვევებული ჰყავდა, გრეგოროვიჩიც მკვდარი იყო. ჯოხი სადღა იშოვოს?

– კარგი, – მიუბრუნდა ჰერმიონს, – სანამ ვიმორიგევებ, ჯერ-ჯერობით შენი მათხოვე.

ცრემლით სახეგალუმპულმა ჰერმიონმა ჯოხი გაუწოდა. ჰარი წამოდგა და გარეთ გავიდა. ყველაზე მეტად ახლა ის უნდოდა, რომ იქაურობას გასცლოდა.

Scanned by CamScanner

თავი მეთვრამეტე

„ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე“

მზე ამოდიოდა. კარავს თავზე კრიალა, უფერული ცა დაჰყურებდა. ჰარი კარვის შესასვლელთან ჩამოჯდა და სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ალბათ, ყველაზე დიდი ამქვეყნიური ჯილდო ის იყო, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობდა და ხედავდა, როგორ ამოდიოდა მზე დათოვლილი, აციმციმებული გორაკიდან, თუმცა ამ სილამაზეს ვერ აღიქვამდა; მხოლოდ ერთ უბედურებაზე, ჯოხის გატეხაზე ფიქრობდა. თოვლის საბანგადაფარებულ ველს გახედა. სიჩუმეს შორეული ეკლესიის ზარების გუგუნი არღვევდა.

ჰარიმ მთელი ძალით მოიჭირა თითები მკლავზე, თითქოს ფიზიკური ტკივილი სულიერ სასოწარკვეთას დაუამებდა. რამდენჯერ დაულვრია სისხლი; ერთხელ მარჯვენა მკლავზე ყველა ძვალი გაუქრა; გოდრიკ ჰოლოუში მოგზაურობამ კი ახალი ნაიარევები მიამატა მკერდსა და მხარზე, მაგრამ ჰარის მანამდე არასოდეს უგრძნია თავი ასე დასუსტებულად, დაუცველად და განიარაღებულად, თითქოს ჯადოსნური უნარის საუკეთესო ნაწილი მოაგლიჯეს. ზუსტად იცოდა, რასაც ეტყოდა ამ ფიქრების საპასუხოდ ჰერმიონი: როგორიც ჯადოქარია, ისეთია მისი ჯადოსნური ჯოხიო, მაგრამ ასე სულაც არ იყო. ჰერმიონს არ უნახავს, როგორ დატრიალდა ჯოხი კომპასის ისარივით და როგორ დაუშინა მტერს ოქროსფერი სხივები. ამის შემდეგ ველარც ტყუპი ჯოხების დაცვა უშველის. რაც ჯოხი გაუტყდა, მერეღა მიხვდა, რა იმედიანად იყო მასთან ერთად.

გატეხილი ჯოხის ნაწილები ჯიბიდან ამოიღო და არც დაუხედავს, ისე ჩატენა კისერზე ჩამოკიდებულ ჰაგრიდის ნაჩუქარ ქისაში. ახლა ქისა დამტვრეული და უსარგებლო ნივთებით აივსო. ტყავს ხელი

Scanned by CamScanner

გადაუსვა და თითები ძველ სნიჩზე მოუხვდა. კინაღამ ამოიღო და მოისროლა. ისიც გაუგებარი, გამოუსადეგარი და უსარგებლო იყო, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რაც დამბლდორმა დაუტოვა...

ჰარი გაცეცხლდა. მან და ჰერმიონმა სხვა გამოსავალი ვერ დაინახეს და მხოლოდ ამიტომ დაირწმუნეს თავი, რომ გოდრიკ ჰოლოუში იპოვიდნენ პასუხს მნიშვნელოვან კითხვებზე. იფიქრეს, რომ იქ დაბრუნება დამბლდორის მიერ მათთვის გაკვალული საიდუმლო გზის ნაწილი იქნებოდა. არადა, როგორ შეცდნენ. დამბლდორმა ისინი ბნელში ხელის ცეცებით სიარულისთვის, უცნობ და წარმოუდგენელ საშინელებებთან საბრძოლველად გაწირა. წესიერად არაფერი აუხსნა, არაფერი გაუმხილა. ხმალი ვერ მოიპოვეს, ჰარიმ კი ჯადოსნური ჯოხიც დაკარგა. ქურდის ფოტოსურათიც კი დაუვარდა და ახლა ვოლდემორს ნამდვილად აღარ გაუჭირდება მისი ვინაობის გაგება...

– ჰარი!

ჰერმიონი ისე უყურებდა, თითქოს ეშინოდა, ჩემივე ჯოხით არ შემილოცოსო. სახეზე ცრემლის ნაკვალევი აჩნდა. ჰარის გვერდით ჩაჯდა და მოიკუნტა. ხელებში ორი ჩაის ჭიქა უცახცახებდა, იღლიაში კი რაღაც ამოეჩარა.

– გმადლობ, – ჭიქა გამოართვა ჰარიმ.

– შეიძლება დაგელაპარაკო?

– კი, – უთხრა ჰარიმ, რადგან არ უნდოდა, ეწყენინებინა.

– ხომ გაინტერესებდა, ვინ იყო ის კაცი, ფოტოზე? მოკლედ... წიგნი მაქვს, – ჰერმიონმა კალთაში მორიდებით ჩაუდო ახალთახალი წიგნი: „ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე".

– საიდან?

– ბათილდას სასტუმრო ოთახში ვიპოვე. ზემოდან ეს წერილი ედო.

ჰერმიონმა ხმამაღლა წაიკითხა კაშკაშა მწვანე, წაწვეტებული ასოებით ნაწერი რამდენიმე სტრიქონი:

– „ჩემო ბეტი, გმადლობ დახმარებისათვის. გიგზავნი წიგნს. იმედია, მოგეწონება. შეიძლება არ გახსოვს, მაგრამ ნამდვილად ყველაფერი მიამბე. რიტა." ალბათ, ეს წიგნი მაშინ მიიღო, როცა ნამდვილი ბათილდა ჯერაც ცოცხალი იყო, მაგრამ წაკითხვის თავი აღარ ჰქონდა, არა?

– ალბათ.

ჰარიმ დამბლდორის სახეს დახედა და ბოროტი სიხარულით აივსო: ახლა კი გაიგებს ყველაფერს, რაც დამბლდორმა საჭიროდ არ ჩათვალა, ეთქვა; დიახ, გაიგებს, იმის მიუხედავად, უნდოდა ეს დამბლდორს თუ არა.

Scanned by CamScanner

– მაინც მიბრაზდები, არა? – თვალები აუწყლიანდა ჰერმიონს და ჰარი მიხვდა, ეტყობა, სახეზე ბრაზი მაწერიაო.

– არა, ჰერმიონ, – დაამშვიდა ჰარიმ, – ვიცი, რომ შემთხვევით მოხდა. ცდილობდი, ცოცხლებს გამოგვეღწია, დაუჯერებელი ამბები ჩაიდინე. შენ რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი.

სცადა, ჰერმიონის ცრემლნარევ ღიმილზე ღიმილით ეპასუხა, მერე კი წიგნს მიუბრუნდა. ყუაზე ეტყობოდა, რომ ერთხელაც არ გადაეშალათ. სწრაფად გადაფურცლა, სურათებს ეძებდა. მისთვის საინტერესო სურათს მაშინვე მიაგნო. ჭაბუკი დამბლდორი და მისი სანდომიანი ამხანაგი დიდი ხნის მივიწყებულ ხუმრობაზე ხარხარებდნენ. მინაწერს დახედა:

„ალბუს დამბლდორი დედის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ და მისი მეგობარი, გელერტ გრინდელვალდი“

ჰარი რამდენიმე გრძელი წამის განმავლობაში პირდაღებული მიშტერებოდა ამ სახელს: „მისი მეგობარი, გელერტ გრინდელვალდი“. ჰერმიონისკენ გააპარა მზერა. ჰერმიონიც ამ სახელს დაჰყურებდა, თითქოს თვალს არ უჯერებსო. მერე ფრთხილად ახედა ჰარის:

– გრინდელვალდი?

ჰარიმ დანარჩენი ფოტოების ძებნას თავი დაანება და ახლომახლო ფურცლებს გადახედა საბედისწერო სახელის კიდევ აღმოჩენის მიზნით. მალევე იპოვა და ხარბად დაიწყო კითხვა, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანა და დაიბნა. ცოტა უკან უნდა დაბრუნებულიყო, რომ მთლიანი ამბავი გაეგო. ბოლოს იპოვა სათაური – „დიდი სიკეთე“. მან და ჰერმიონმა ერთად დაიწყეს კითხვა:

„თვრამეტ წელს მიტანებულმა დამბლდორმა დიდი წარმატებით დაამთავრა ჰოგვორტსი. სწავლის პერიოდში ის იყო ჰედბოი, პრეფექტი, ბარნაბუს ფინკლის პრიზის მფლობელი შელოცვების ექსტრაორდინარულ გამოყენებაში, ბრიტანელი ახალგაზრდობის წარმომადგენელი ვიზენგამოტში, კაიროს საერთაშორისო ალქიმიური კონფერენციის ოქროს მედლის მფლობელი ნოვატორული ნაშრომისათვის. ახლა დამბლდორი ევროპაში მოგზაურობას აპირებდა თავის სკოლის მეგობართან, ბრიყვ, მაგრამ ერთგულ ელფიას დოჯთან, მეტსახელად „მყრალასთან“ ერთად.

ყმაწვილები ლონდონში, „გახვრეტილ კარდალაში“ დაბინავდნენ და მეორე დღეს საბერძნეთში აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ ბუმ დამბლდორს დედის სიკვდილის ამბავი

Scanned by CamScanner

მიუტანა. „მყრალა“ დოჯმა, რომელმაც უარი განაცხადა ამ წიგნისათვის ინტერვიუს მოცემაზე, საკუთარი სენტიმენტალური ვერსია გამოაქვეყნა იმ ამბისა, თუ რა მოხდა შემდეგ. იგი კენდრას სიკვდილს დამბლდორისთვის საშინელ დარტყმად წარმოგვიდგენს, ხოლო მეგობრის გადაწყვეტილებას – უარი ეთქვა გამგზავრებაზე – კეთილშობილურ თავგანწირვად.

დამბლდორი, რასაკვირველია, მაშინვე დაბრუნდა გოდრიკ ჰოლოუში. სავარაუდოდ, თავისი უმცროსი და-ძმის „მისახედად“. მაგრამ სინამდვილეში მიხედა კი მათ?

– ეს აბერფორტი დიდი გიჟმაჟი ვინმე იყო, ნამდვილი გადარეული, – იხსენებს ენიდ სმიკი, რომლის ოჯახიც იმხანად გოდრიკ ჰოლოუს განაპირას ცხოვრობდა, – დედისა და მამის სიკვდილის შემდეგ ნამდვილად შემეცოდებოდა, წარამარა თხის ცურცლი რომ არ დაეშინა ჩემთვის. მე მგონი, ალბუსი დიდად არ პატრონობდა; ერთად არც კი მინახავს.

მაშ, რას აკეთებდა ალბუსი, თუ თავის გადარეულ ძმას არ დასდევდა? ალბათ, თავისი დის, არიანას შინაპატიმრობას უზრუნველყოფდა. მართალია, არიანას პირველი დარაჯი, კენდრა მოკვდა, მაგრამ გოგონას შესაბრალისი მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა. მისი არსებობაც კი მხოლოდ იმ რამდენიმე პირმა იცოდა, ვისაც „მყრალა“ დოჯივით სჯეროდა, რომ არიანა, მართლაც, „სუსტი ჯანმრთელობის“ პატრონი იყო.

დამბლდორების ოჯახის მეგობარი გახლდათ ბათილდა ბეგშოთიც, მაგიის განთქმული ისტორიკოსი, რომელიც მრავალი წელია, გოდრიკ ჰოლოუში ცხოვრობს. სოფელში ჩამოსახლებული კენდრა მის ოჯახთან მისასალმებლად მისულ ბათილდას, ისევე როგორც სხვა სტუმრებს, გულღიად ნამდვილად არ დახვედრია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის შემდეგ მწერალმა ალბუსს ბუ გაუგზავნა ჰოგვორტსში და შეატყობინა, რომ მოხიბლა მისმა სტატიამ სახეობათაშორის გარდასახვაზე, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „ტრანსფიგურაცია დღეს“. ამას დამბლდორების მთელი ოჯახის გაცნობა მოჰყვა. კენდრას გარდაცვალებისას ბათილდა ერთადერთი ადამიანი იყო გოდრიკ ჰოლოუში, ვინც დამბლდორებთან მეზობლობდა.

სამწუხაროდ, ამჟამად ბათილდას ბრწყინვალე გონება მთლად დაბნელებული აქვს. „ცეცხლი ანთია, მაგრამ ზედ ცარიელი კარდალა დგას“, ამ მეტაფორით დაახასიათა ბეგშოთი აივორ დილონსბიმ, ენიდ სმიკმა კი უბრალოდ განაცხადა, რომ ბათილდა მთლად გამოშტერდა. თუმცა, პრაქტიკაში გამოცდი-

Scanned by CamScanner

ლი სარეპორტაჟო მეთოდების გამოყენებამ საშუალება მომცა, მარცვალ-მარცვალ გამეგო ჭეშმარიტი ფაქტები და შემდეგ სკანდალურ ისტორიად ამეკინძა.

მთელი ჯადოქრული სამყაროს მსგავსად, კენდრას მოულოდნელ სიკვდილს ბათილდაც არეკლილ შელოცვას აბრალებს. მოგვიანებით ამასვე აცხადებდნენ ალბუსი და აბერფორტი. ბათილდა არიანას შესახებაც თუთიყუშივით იმეორებს ოჯახისეულ ვერსიას და დამბლდორის დას „სუსტსა" და „ავადმყოფს" უწოდებს. თუმცა, ბათილდას მონათხრობი მართლაც ღირდა იმ შრომად, რაც ვერიტა ზერუმის შოვნას შევალიე, რადგან მხოლოდ მან იცის ალბუს დამბლდორის ცხოვრების საჟულდაგულოდ დაფარული საიდუმლო, რომელიც დღეს პირველად აყენებს ეჭვქვეშ ყველაფერს, რაც დამბლდორის შესახებ სჯეროდათ მის თაყვანისმცემლებს: მის სიძულვილს ბნელი ძალებისადმი, მის პროტესტს მაგლთა ჩაგვრის წინააღმდეგ და ოჯახისადმი მის სიყვარულსაც კი.

სწორედ იმ ზაფხულს, როცა დაობლებული დამბლდორი გოდრიკ ჰოლოუში ჩავიდა, ბათილდა ბეგშოთმა შინ შეიფარა თავისი ძმის შვილიშვილი, გელერტ გრინდელვალდი.

გრინდელვალდმა დამსახურებულად გაითქვა სახელი. ყველა დროის ყველაზე სახიფათო ბნელი ჯადოქრის ტიტული მან მხოლოდ იმიტომ დაკარგა, რომ ერთი თაობით მასზე უმცროსმა, აღზევებულმა ჩვენ-რომ-ვიცით, იმან წაართვა. ბრიტანეთი ასცდა გრინდელვალდის ტერორს, ამიტომ დეტალურად არ არის ცნობილი, თუ როგორ ჩაიგდო მან ხელში ძალაუფლება.

გრინდელვალდმა განათლება დურმსტრანგში მიიღო – სკოლაში, რომელიც მაშინაც კი ცნობილი იყო შავი მაგიისადმი შემწყნარებლობით – და ასაკისათვის უჩვეულო ისეთივე ნიჭი გამოავლინა, როგორიც დამბლდორმა. თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ თავისი უნარი ჯილდოებისა და პრიზების მიღებისათვის გამოეყენებინა, გელერტ გრინდელვალდმა სულ სხვა გზა აირჩია. როცა თექვსმეტისა შესრულდა, დურმსტრანგშიც კი ველარ დახუჭეს თვალი მის უზნეო ექსპერიმენტებზე და სკოლიდან გარიცხეს.

გრინდელვალდის შემდგომ ადგილსამყოფელზე აქამდე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ „რამდენიმე თვის განმავლობაში მოგზაურობდა". ახლა კი დადგინდა, რომ გრინდელვალდმა არჩია გოდრიკ ჰოლოუში ჩასულიყო პაპიდასთან, სადაც, რაგინდ ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს, ძალიან

Scanned by CamScanner

დაუახლოვდა, არც მეტი, არც ნაკლები, ალბუს დამბლდორს.

– ჩემი აზრით, გელერტი მშვენიერი ბიჭი იყო, – ტიტინებს ბათილდა, – მიუხედავად იმისა, რა ამბებიც მოგვიანებით დაატრიალა. რასაკვირველია, სანყალ ალბუსს გავაცანი, რადგან თავისი ასაკის ყმანვილებთან ურთიერთობა აკლდა. ბიჭებს მაშინვე თვალში მოუვიდათ ერთმანეთი.

თვალში მოუვიდათ და მერე როგორ! ბათილდა ერთ ძველ ნერილს მიჩვენებს, რომელიც ალბუს დამბლდორმა გელერტ გრინდელვალდს შუაღამით გაუგ ზავნა.

– მთელი დღეობით კამათობდნენ და კამათობდნენ, – ჰყვება ბათილდა, – ორივე ბრნყინვალე ბიჭი იყო. ისეთი შეხმატკბილებულები იყვნენ, როგორც ქვაბი და ცეცხლი. ზოგჯერ ღამღამობითაც მესმოდა, როგორ უკაკუნებდა ბუ გელერტის ოთახის ფანჯარას. ალბუსი შუაღამისას უგ ზავნიდა ხოლმე ნერილს. ახალი აზრი გაუელვებდა თუ არა, გელერტისთვისაც იმნამსვე უნდა გაეგებინებინა.

თანაც – რა აზრები! დამბლდორის თაყვანისმცემლებისათვის გულისგამგმირავი იქნება ის, რასაც მათი ჩვიდმეტი ნლის გმირი სწერდა თავის ახალ, საუკეთესო მეგობარს (წერილის ორიგინალის ფოტოასლი მოცემულია 463-ე გვერდზე):

„გელერტ,

შენი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ჯადოქართა მბრძანებლობა მაგლების სასიკეთოდ სდება, გადამწყვეტი მომენტია. დიახ, ჩვენ მართლაც მიგვეცა უნარი და ეს უნარი მართვის უფლებას გვანიჭებს, თუმცა, იმავდროულად ჰასუხიმგებლობასაც გვაკისრებს მათ წინაშე, ვინც უნდა ვმართოთ. ამ მომენტზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ. ეს იქნება ის ქვაკუთხედი, რაზეც ყველაფერი უნდა ავაგოთ. რიცა შეგვნისაღმდეგებიან (და, რასაკვირველია, ეს ასეც იქნება), სწორედ ეს იდეა უნდა იქცეს ჩვენი საჰასუხო საბუთების საფუძვლად. ჩვენ დიდი სიკეთისათვის ვიგდებთ სელში ძალაუფლებას და აქედან გამომდინარეობს ის, რომ სადაც წინ აღგვიდგებიან, მსიდოდ იმდენად უნდა ვისმართოთ ძალა, რამდენადაც აუცილებელი იქნება და არავითარ შემთხვევაში - მეწად (აი, ეს შეგეშალა დურმსწრანგში, მაგრამ ეგ არაფერი - რომ არ გამიერიცხეთ, ერთმანეთსაც სომ ვერ გავიცნობდით?).

ალბუსი"

Scanned by CamScanner

დამბლდორის თაყვანისმცემლების განცვიფრების მიუხედავად, სწორედ ეს წერილი უდევს საფუძვლად „საიდუმლოს დაცვისა და მაგლებზე ჯადოქრების ძალაუფლების დამკვიდრების შესახებ მიღებულ კანონს“. რა დარტყმაა მათთვის, ვინც მუდამ მაგლური წარმოშობის ჯადოქრების უდიდეს დამცველად ხატავდნენ დამბლდორს! რა ამაოა მაგლთა უფლებების დაცვისკენ მიმართული მისი სიტყვები ამ ახალი, აღმაშფოთებელი საბუთების შუქზე! რა ზიზღის მოგმვრელია ალბუს დამბლდორი, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს აწყობდა მაშინ, როცა დედა უნდა ეგლოვა და დაზე ეზრუნა!

უეჭველია, რომ ისინი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, თავის მორყეულ კვარცხლბეკზე დატოვოს დამბლდორი, მის დაცვას მაინც შეეცდებიან და არგუმენტად იმას მოიყვანენ, რომ ბოლოს და ბოლოს, მას თავისი გეგმები არ განუხორციელებია, ალბათ გონს მოეგო და გადაიფიქრაო. თუმცა, სინამდვილე კიდევ უფრო თავზარდამცემია.

ორი თვე ძლივს იყო გასული ამ ახალი, დიდი მეგობრობის დაწყებიდან, რომ დამბლდორი და გრინდელვალდი ერთმანეთს დაშორდნენ და აღარც არასოდეს შეხვედრიან იმ ლეგენდარულ დუელამდე (დაწვრილებით იხ. თავი 22). რამ გამოიწვია ეს უცაბედი განხეთქილება? ვითომ, მართლაც, გონს მოეგო დამბლდორი? მართლაც უთხრა გრინდელვალდს, შენს გეგმებთან არაფერი მესაქმებაო? სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა.

– მე მგონი, მიზეზად პატარა არიანას სიკვდილი იქცა, – ამბობს ბათილდა, – გელერტიც იქ იყო და შეესწრო გოგონას გარდაცვალებას. მთლად აკანკალებული მოვიდა ჩემთან და მითხრა, ხვალ შინ მინდა წასვლაო. ძალიან ნერვიულობდა. პორტაჟი მოვუმზადე და გავისტუმრე. ამის შემდეგ აღარც მინახავს. ალბუსი სულ გააგიჟა არიანას სიკვდილმა. ორივე ძმისთვის ეს ძნელად გადასატანი აღმოჩნდა. უახლოესი ადამიანები დაკარგეს, ერთმანეთიღა დარჩათ. არც ისაა გასაკვირი, რომ ძმებს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. აბერფორტი ალბუსს აბრალებდა არიანას სიკვდილს. რას იზამთ, ასეთი რამეებიც ხდება ხოლმე წარმოუდგენელი მწუხარების ჟამს. თუმცა, იმ საწყალმა აბერფორტმა ხშირად დაუფიქრებელად იცოდა ლაპარაკი. ასეა თუ ისე, ალბუსისთვის დაკრძალვაზე ცხვირი მაინც არ უნდა გაეტეხა. კენდრას რომ ქალიშვილის კუბოსთან მოჩხუბარი ვაჟები ენახა, ხელმეორედ მოკვდებო-

Scanned by CamScanner

და. სამწუხაროა, რომ გელერტი დაკრძალვაზე ვერ დარჩა... ცოტათი მაინც ანუგეშებდა ალბუსს...“

ძმების საშინელი ჩხუბი, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი, ვინც არიანა დამბლდორის დაკრძალვას დაესწრო, რამდენიმე კითხვას ბადებს: მაინც რატომ აბრალებდა აბერფორტ დამბლდორი დის სიკვდილს ალბუსს? ეს ვითომ, როგორც ბეტი ამბობს, მხოლოდ დარდის ამოხეთქვა იყო და სხვა არაფერი? დურმსტრანგიდან ამხანაგებზე ლამის სასიკვდილო თავდასხმებისათვის გამორიცხული გრინდელვალდი გოგონას სიკვდილიდან რამდენიმე საათში გაიქცა ქვეყნიდან და ალბუსი აღარასოდეს უნახავს (რცხვენოდა თუ ეშინოდა მისი?), სანამ იძულებული არ გახდა, ჯადოქრული სამყაროს მოთხოვნით შეხვედროდა დუელში.

როგორც ჩანს, ყმანვილკაცობაში ხანმოკლე მეგობრობას აღარც დამბლდორი ახსენებდა სადმე და აღარც გრინდელვალდი. ფაქტია, რომ დამბლდორი არეულობით, სიკვდილიანობითა და გაუჩინარებებით აღსავსე ხუთი წლის განმავლობაში გელერტ გრინდელვალდზე შეტევას არ ჩქარობდა. რატომ ყოყმანობდა იგი? ჯერაც უყვარდა გრინდელვალდი თუ ეშინოდა, რომ ერთ დროს საუკეთესო მეგობარი სახალხოდ შეარცხვენდა?

დაბოლოს, როგორ მოკვდა არიანა? შემთხვევით ემსხვერპლა რაიმე შავბნელ რიტუალს? ისეთ რამეს ხომ არ შეესწრო, რის ცოდნაც არ ჰმართებდა, როცა ორი ახალგაზრდა კაცი დიდებისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად შეთქმულებას ანყობდა? იქნებ არიანა დამბლდორი პირველი ადამიანი იყო, ვინც „დიდი სიკეთისათვის“ მოკვდა?

თავი დამთავრდა. ჰარიმ ჰერმიონს შეხედა, რომელსაც მასზე ადრე დაემთავრებინა კითხვა. ჰარის გამომეტყველებით შეშფოთებულმა ჰერმიონმა წიგნი ხელიდან გამოსტაცა და ისე დახურა, თითქოს რაღაც უხამსს მალავსო.

– ჰარი...

მაგრამ ჰარიმ თავი გააქნია. რაღაც შინაგანი თავდაჯერება გაუქრა; მაშინაც ასე იყო, როცა რონი წავიდა. დამბლდორისა სწამდა, სჯეროდა, სიკეთისა და სიბრძნის განსახიერებად მიაჩნდა. რონი, ჯოხი, დამბლდორი... კიდევ რა უნდა დაკარგოს?

– ჰარი, – ჰერმიონს თითქოს მისი ფიქრები ესმოდა, – მისმინე. ეს... დიდად სასიამოვნო საკითხავი არ არის...

Scanned by CamScanner

– მართლაც...

– მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მაგას რიტა სკიტერი წერს.

– გრინდელვალდს რაც მისწერა, ხომ წაიკითხე?

– ჰო, წავიკითხე, – შეყოყმანდა ჰერმიონი და შუბლი შეჭმუხნა, – ეგ ყველაზე უარესი ადგილია. ვიცი, „დიდი სიკეთისათვის" ბათილდას უბრალო სიტყვები ეგონა, მაგრამ ეს გრინდელვალდის დევიზი გახდა. სწორედ ამ სიტყვებით ამართლებდა ყველა იმ სისატიკეს, რაც მერე და მერე ჩაიდინა. აქედან... გამოდის, რომ ეს იდეა დამბლდორს მიუწოდებია. ამბობენ, „დიდი სიკეთისათვის" ნურმენგარდის შესასვლელშიც კი ამოტვიფრესო.

– ნურმენგარდი რაღაა?

– ციხე, რომელიც გრინდელვალდმა მოწინააღმდეგეებისათვის ააგო. ბოლოს თვითონაც იქ მოხვდა, როცა დამბლდორმა დაამარცხა. საშინელებაა, რომ დამბლდორის იდეები დაეხმარა ძალაუფლების მოპოვებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, რიტაც კი ვერ უარყოფს, რომ ისინი სულ რამდენიმე თვეს იცნობდნენ ერთმანეთს. თანაც მაშინ ორივენი სულ ახალგაზრდები იყვნენ და...

– ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდი, – ჰარის არ უნდოდა, ბრაზი ჰერმიონზე გადმოენთხია, მაგრამ ხმასაც ვერ იმორჩილებდა, – ვიცოდი, რომ იტყოდი, ახალგაზრდები იყვნენო. ზუსტად იმხელები, რამხელებიც ჩვენ ვართ და ჩვენ აქ ბნელ ძალებთან საბრძოლველად ვწირათ თავს. ის კი ახალ მეგობარს ეთათბირებოდა, მაგლებზე როგორ გავბატონდეთო.

ცოტაც და, თავს ველარ შეიკავებდა. წამოხტა და გაიარ-გამოიარა, რომ ოდნავ მაინც დაწყნარებულიყო.

– დამბლდორის დაცვას არ ვაპირებ, – უთხრა ჰერმიონმა, – ეს „მართვის უფლება" ისეთივე სისულელეა, როგორც „მაგია უძლეველია". მაგრამ ჰარი, ის იყო, დედა მოუკვდა, შინ იყო მარტო გამოკეტილი...

– მარტო? მარტო კი არა! ძმაც ჰყავდა და დატყვევებული სქვიბი დაც.

– არ მჯერა, – ჰერმიონი წამოდგა, – იმ გოგოს შეიძლება ათასი რამ სჭირდა, მაგრამ სქვიბი არ იქნებოდა. ის დამბლდორი, რომელსაც ვიცნობდით, არასოდეს დაუშვებდა ამას...

– ის დამბლდორი, რომელსაც თითქოს კარგად ვიცნობდით, ძალით აპირებდა მაგლების დამორჩილებას! – შეჰყვირა ჰარიმ და მისი ხმა უკაცრიელ გორაკს მისწვდა. რამდენიმე შაშვი ჭახჭახით აფრინდა მარგალიტისფერ ცაში.

– შეიცვალა, ჰარი, შეიცვალა. ნუთუ არ გესმის? შეიძლება,

Scanned by CamScanner

ჩვიდმეტი წლისას კიდეც სჯეროდა ეს, მაგრამ მთელი დანარჩენი ცხოვრება ხომ ბნელ ძალებთან ბრძოლას შეალია. დამბლდორმა შეაჩერა გრინდელვალდი. დამბლდორი გამოდიოდა მაგლების დასაცავად და იბრძოდა მაგლური წარმოშობის ჯადოქართა უფლებებისათვის. თავიდანვე ებრძოდა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას და მის დამხობას ცდილობდა!

რიტას წიგნი მიწაზე ეგდო და ალბუს დამბლდორის სახე ორივეს სევდიანად უღიმოდა.

– ჰარი, მაპატიე, მაგრამ, მე მგონი, სინამდვილეში იმიტომ ბრაზობ დამბლდორზე, რომ ეს ამბები თვითონვე არ გითხრა.

– შეიძლება, – ჰარიმ თავი ხელებში ჩარგო, – ხომ ხედავ, რაც მთხოვა, ჰერმიონ? თავი გასწირე, ჰარი. ოღონდ, ნუ მოელი, რომ ყველაფერს აგიხსნი. ბრმად მენდე, ვიცი, რასაც ვაკეთებ. მენდე, თუნდაც მე არ გენდობოდე. ბოლომდე მართალს არ ამბობდა! არასოდეს!

დაძაბულობისგან ხმა ჩაუწყდა. ის და ჰერმიონი იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

– უყვარდი, – ნაიჩურჩულა ჰერმიონმა, – ნამდვილად უყვარდი.

ჰარიმ ხელები დაუშვა.

– არ ვიცი, ვინ უყვარდა, ჰერმიონ, მაგრამ მე ნამდვილად არ ვყვარებივარ. რა სიყვარულია, ასეთ გაუგებრობაში რომ დამტოვა. რასაც მართლა ფიქრობდა, გელერტ გრინდელვალდს უფრო გაუმხილა, ვიდრე მე.

თოვლში დაგდებული ჰერმიონის ჯოხი აიღო და ისევ კარვის შესასვლელთან დაჯდა.

– გმადლობ, ჩაისათვის. ახლა მორიგეობას გავაგრძელებ, შენ შედი, გათბი.

ჰერმიონი შეყოყმანდა, მაგრამ მიხვდა, რომ ჰარი თავიდან იშორებდა. წიგნი აიღო და კარვისკენ წავიდა. ჰარის რომ ჩაუარა, თავზე ნაზად გადაუსვა ხელი. მის შეხებაზე ჰარიმ თვალები დახუჭა და ინატრა, ნეტავ ჰერმიონი მართალი იყოს და დამბლდორს მართლა ვყვარებოდიო. ამ ნატვრის გამო თავი შეზიზღდა.

Scanned by CamScanner

თავი მეცხრამეტე

ვერცხლისფერი ფურირემი

შუალამისას, როცა ჰერმიონის მორიგეობის ჯერი დადგა, თოვა დაიწყო. ჰარის მალევე ჩაეძინა და არეულ-დარეული, შფოთიანი სიზმრები ნახა, ყველგან ნაგინი დასრიალებდა. დროდადრო დაფეთებულს ელვიძებოდა, თითქოს შორიდან ვილაცამ დაუძახაო; კარვის გარეთ მოზუზუნე ქარში ხან ფეხის ხმა ელანდებოდა, ხანაც – ძახილი.

ბოლოს ადგა და ჰერმიონთან გავიდა. გოგონა შესასვლელში მოკუნტულიყო და ჯადოსნური ჯოხის შუქზე „მაგიის ისტორიას" კითხულობდა. ისე ბარდნიდა, რომ სიხარულით დათანხმდა ჰარის, ნივთები ადრიანად ჩაებარგებინათ და წასულიყვნენ.

– მოფარებული ადგილი ვიპოვოთ, – კანკალით გადაიცვა პიჟამაზე სვიტერი, – სულ მეჩვენებოდა, რომ გარეთ ვილაც დადიოდა. ერთი-ორჯერ თითქოს ვილაცას თვალიც მოვკარი.

ჰარიც ჯემპრს იცვამდა. ჰერმიონის ამ სიტყვებზე შეჩერდა და მაგიდაზე უჩუმრად და უძრავად მდგარ მავნოსკოპს გახედა.

– ალბათ, მომეჩვენა, – ანერვიულებული ჩანდა ჰერმიონი, – თოვლია, სიბნელე, თვალმა მომატყუა... მაგრამ იქნებ მაინც უჩინმაჩინის მოსასხამით მოვახდინოთ აპარაცია? ისე, ყოველი შემთხვევისთვის...

ნახევარ საათში კარავი აკეცეს და აპარაცია მოახდინეს. ჰარის კისერზე ჰორკრუქსი ეკიდა, ჰერმიონს კი ჩანთა ჩაებღუჯა. უკვე კარგად ნაცნობი სულის ხუთვა კიდევ ერთხელ იგრძნეს, მათი ფეხები თოვლის საფარს მოსწყდა და ფოთლებით მოფენილ, გაყინულ მიწას დაენარცხა.

– სადა ვართ? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს და ახალი კორომი მოათვალიერა. ამ დროს ჰერმიონი უკვე მძივებიან ჩანთას ხსნიდა და კარვის პალოები ამოჰქონდა.

Scanned by CamScanner

– ქალაქ ფორესტ-ოფ-დინთან, – მიუგო ჰერმიონმა, – ერთხელ აქ დედასთან და მამასთან ერთად ვიყავი საზაფხულო არდადეგებზე.

გარშემო აქაც თოვლი იდო და სასტიკად ციოდა, სამაგიეროდ, ქარი არ უბერავდა. ის დღე თითქმის სულ კარავში გაატარეს, ჰერმიონის გაჩაღებული კაშკაშა ლურჯი ცეცხლის გვერდით, რომელსაც, თუ მოგინდებოდა, მოაგროვებდი და ქილით წაიღებდი. ჰარი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. ჰერმიონიც ისე ექცეოდა, როგორც სნეულს. დღისითაც გადაუღებლად თოვდა და ფხვიერმა თოვლმა ლამის კარავშიც კი შეაღწია.

ორი ღამის უძილობამ ჰარის შეგრძნებები გაუმახვილა. გოდრიკ ჰოლოუში ბენვზე გადარჩენის შემდეგ ვოლდემორი წინანდელზე ახლოს და წინანდელზე სახიფათო ეჩვენებოდა. როცა ჩამობნელდა, ჰერმიონმა შესთავაზა, მე ვიმორიგეებო, მაგრამ ჰარიმ იუარა და დასაძინებლად გაუშვა.

კარვის შესასვლელში ძველი ბალიში დადო და დაჯდა. რაც კი თბილი გააჩნდა, ყველაფერი ეცვა, მაგრამ მაინც კანკალებდა. სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. მალე უკუნეთი ჩამოწვა. ჰარიმ ის იყო, ონავრების რუკის ამოღება დააპირა, ცოტა ხანს ჯინის წერტილს ვუყურებო, რომ გაახსენდა – ზამთრის არდადეგები იყო და ჯინი „ბუნაგში“ იქნებოდა.

დაბურულ ტყეში თითქოს მცირე მოძრაობაც კი შიშის მომგვრელი იყო. ჰარიმ იცოდა, რომ იქაურობა ცხოველებით იქნებოდა სავსე, მაგრამ ერჩივნა, არც ხმა გაეღოთ და არც ადგილიდან დაძრულიყვნენ, რათა მათი უწყინარი სირბილი იმ ხმაურში არ არეოდა, რომელიც შეიძლება სხვა, ავის მომასწავებელი მოძრაობის მანიშნებელი ყოფილიყო. გაახსენდა, როგორ შარიშურობდა ხმელ ფოთლებზე მოსასხამი და ახლაც მოეჩვენა, თითქოს მსგავსი ხმა მოესმა, მაგრამ ეს შიში მაშინვე თავიდან ამოიგდო. მათი დამცავი შელოცვები უკვე რამდენი კვირაა, კარგად მოქმედებდა; ახლა რაღა მოუვიდოდა? თუმცა, მაინც ვერა და ვერ მოეშორებინა წინათგრძნობა, რომ ამ ღამით რაღაც მოხდებოდა.

რამდენჯერმე თვლემა მოერია, კარვის კალთაზე ჩასრიალდა და კისრის ტკივილმა წამოახტუნა. ისეთი უკუნი იყო, რომ ჰარის ეგონა, დისაპარაციასა და აპარაციას შორის არსებულ საშინელ წყვდიადში ვარო. სახესთან ხელიც კი მიიტანა, ნეტავ ჩემს თითებს თუ დავინახავო, და ამ დროს პირდაპირ მის წინ, ხეებში მომავალი კაშკაშა ვერცხლისფერი ნათება დაინახა. ნათება უჩუმრად მოდიოდა, თითქოს მოცურავდა.

Scanned by CamScanner

ჰარი წამოხტა, ყვირილი ყელში გაეჩხირა და ჰერმიონის ჯოხი აღმართა. თვალები მოჭუტა, რადგან ვერცხლისფერი სინათლე უკვე აბრმავებდა. მის წინ ხეების სილუეტები კუპრივით შავად მოჩანდა; სინათლე კი მოიწევდა და მოიწევდა...

მალე უცხო ნათებამ მუხის უკნიდან გამოაბიჯა: მთვარესავით კაშკაშა ვერცხლისფერი ფურირემი იყო. ფრთხილად, უხმაუროდ მოდიოდა, ფაფუკ თოვლზე ნაფეხურებსაც კი არ ტოვებდა. ჰარისკენ გამოემართა; მშვენიერი თავი მაღლა აეწია და ფართო, გრძელწამწამება თვალებს აბრიალებდა.

განცვიფრებული ჰარი თვალს არ აშორებდა ფურირემს. ოღონდ, მისი დანახვა ისე არ აკვირვებდა, როგორც ის, რომ ეცნობოდა, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო, რატომ. გრძნობდა, რომ ფურირმის მოსვლას ელოდა, მაგრამ თითქოს ამ წუთამდე დავიწყებული ჰქონდა, რომ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. წამის წინ კინაღამ ჰერმიონს დაუძახა, მაგრამ ახლა უკვე გადაეფიქრებინა. დანამდვილებით იცოდა, რომ ფურირემი მასთან და მხოლოდ მასთან მოვიდა.

რამდენიმე გრძელი წამის განმავლობაში ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე ფურირემი შეტრიალდა და წავიდა.

– ნუ წახვალ! – დაუძახა ჰარიმ ჩახლეჩილი ხმით, – დაბრუნდი!

ფურირემი ნება-ნება მიდიოდა ხეებში და მალე მისი ნათება ნანილობრივ ხეებმა დაჩრდილა. ჰარი წამით შეყოყმანდა: სიფრთხილემ წასჩურჩულა, ვაითუ, რაღაც ხრიკი და ხაფანგიაო, მაგრამ სიფრთხილეს ალღომ აჯობა და უკარნახა, რომ შავი მაგია არ იქნებოდა. ჰარი ფურირემს დაედევნა.

ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნებდა, შუქისგან შექმნილი ფურირემი კი უხმოდ მიაბიჯებდა ხეებში და უფრო და უფრო ღრმად შედიოდა. ჰარი სწრაფად მიჰყვებოდა იმის იმედით, რომ ფურირემი შეჩერდებოდა, ახლოს მიუშვებდა, დაელაპარაკებოდა, რაღაც მნიშვნელოვანს გაუმხელდა და მისი ხმა ვიღაც ახლო ნაცნობისა აღმოჩნდებოდა.

ბოლოს ფურირემი შედგა და ერთხელაც მოაბრუნა ლამაზი თავი. ჰარი მისკენ გაექანა, თავში შეკითხვები უტრიალებდა, მაგრამ პირის გაღება ვერ მოასწრო, რომ ფურირემი გაქრა.

ფურირემი სიბნელემ მთლიანად შთანთქა, მაგრამ ჰარის მისი ხატება ჯერ ისევ თვალწინ ედგა, თითქოს თვალის ბადურაზე აღბეჭდოდა და მზერას უბინდავდა. თვალები რომ მოჭუტა, ხატება უფრო აკაშკაშდა. ფურირემთან ყოფნისას ჰარი უხიფათოდ გრძნობდა თავს, ახლა კი შიშმა მოიცვა.

– ლუმოს! – წაიჩურჩულა და ჯოხის წვერი აინთო.

ფურირმის ხატება თანდათან გაქრა, ჰარი კი მარტოდმარტო

Scanned by CamScanner

დარჩა და ტყის ჩურჩულს, რტოების შორეულ ტკაცანსა და თოვლის ნაზ ჭრაჭუნს გაფაციცებით მიუგდო ყური. ახლა დაესხმიან თავს? ფურირემმა მახეში შემოიტყუა? ვითომ, იმის იქით, სადამდეც ჯოხის სინათლე სწვდება, ვიღაც დგას და უთვალთვალებს?

ჰარიმ ჯოხი უფრო მაღლა ასწია. მისკენ არავინ გამოქცეულა, არც მწვანე შუქს უელვია ხის უკნიდან. მაშ, რისთვის მოიყვანა ფურირემმა აქ?

ჯოხის შუქზე რაღაცამ გაიელვა. ჰარი სწრაფად შეტრიალდა, მაგრამ მხოლოდ პატარა, გაყინული ტბა დაუხვდა. როცა დასათვალიერებლად ჯოხი ასწია, ტბორის დაბზარული ზედაპირი შავად აციმციმდა.

ჰარი ფრთხილად მიუახლოვდა ტბის ნაპირს და დახედა. ყინულმა მისი დამახინჯებული ჩრდილი და ჯოხის შუქი აირეკლა, მაგრამ წყლის სიღრმეში ყინულის სქელი, დაბურული ჯავშნის ქვეშ კიდევ რაღაც ვერცხლის დიდი ჯვრის მსგავსი ელავდა...

ჰარის გული შეუფრთხიალდა, გუბურის პირას დაიჩოქა და ჯადოსნური ჯოხი ისე დაიჭირა, რომ ფსკერი რაც შეიძლება მეტად გაენათებინა. რაღაცამ სისხლისფრად გაიბრწყინა – ხმალი იყო, ვადაზე ლალები უელავდა... ტყეში, ტბორის ფსკერზე გრიფინდორის ხმალი ესვენა.

სუნთქვაშეკრულმა ჰარიმ კიდევ ერთხელ ჩაიხედა. მაინც, როგორ, რანაირად აღმოჩნდა ხმალი ტყის პაწია ტბაში, ასე ახლოს იმ ადგილთან, სადაც დაბანაკდნენ? ჰერმიონი აქეთ რაიმე უცნობმა ჯადოქრობამ წამოიყვანა? იქნებ ის ფურირემი, რომელიც პატრონუსი ეგონა, სინამდვილეში ტბის დარაჯია? იქნებ ხმალი ჰარისა და ჰერმიონის მოსვლის შემდეგ ჩადეს ტბაში, სწორედ იმიტომ, რომ აქ დაიდეს ბინა? და თუ ასეა, სად არის ის, ვისაც მოუნდა, რომ ხმალი ჰარისთვის გადაეცა? ჰარიმ ჯოხი კვლავ გარშემო ხეებსა და ბუჩქებს მოატარა ადამიანის სილუეტის დასანახავად, მაგრამ ჯერავინ დალანდა. თუმცა, როცა გაყინული ტბის ფსკერზე დასვენებულ ხმალს მიუბრუნდა, მის სიხარულს მაინც შიში ერია.

ჯოხი ვერცხლის სილუეტს დაუმიზნა და წაიჩურჩულა:

– აკციო ხმალი!

ხმალი არ დაძრულა. არც ელოდა, რომ დაიძვრებოდა. ასეთი იოლი რომ ყოფილიყო, ხმალი გაყინული ტბის ფსკერზე კი არა, პირდაპირ მიწაზე იდებოდა. ჰარიმ ტბას შემოუარა, თან ცდილობდა, გაეხსენებინა, ბოლოს როდის გამოუგზავნეს ხმალი. მაშინ, საიდუმლო ოთახში გამოკეტილი, საშინელ საფრთხეში იყო და შველა ითხოვა.

– მიშველეთ! – წაიბუტბუტა ახლაც, მაგრამ ხმალი ტბორის ფსკერზე დარჩა უძრავად.

Scanned by CamScanner

ტბას კიდევ შემოუარა და თავის თავს ჰკითხა, რა უთხრა დამბლდორმა, როცა ქუდიდან ხმალი ამოიღო. „მხოლოდ ნამდვილ გრიფინდორელს შეეძლო ამ ქუდიდან ხმლის ამოღება," – გაახსენდა მისი სიტყვები. რა თვისებები ახასიათებს გრიფინდორელს? გონებაში გაუელვა: „გრიფინდორშია შენი ადგილი, თუ ხარ მამაცი, კეთილშობილი".

ჰარიმ აქეთ-იქით სიარული შეწყვიტა და ღრმად ამოიხვნეშა; ამონაორთქლი სწრაფად გაქრა გაყინულ ჰაერში. ფიქრს აზრი არ ჰქონდა: ჰარიმ თავიდანვე იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. ამას მაშინვე მიხვდა, რა წამსაც ყინულის ქვეშ ხმალი დალანდა.

ისევ მოათვალიერა მიდამო, თუმცა დარწმუნებული იყო, თავს არავინ დაესხმოდა. თავდასხმა მანამ შეეძლოთ, სანამ ტყე-ტყე მარტო მოდიოდა; არც მაშინ გაუჭირდებოდათ, როცა ტბას ათვალიერებდა. ჰარის მხოლოდ იმიტომ გაჰყავდა დრო აქეთ-იქით ცქერაში, რომ უაღრესად უსიამოვნო საქმე ელოდა.

სიცივისგან გაშეშებული თითებით დაიწყო ტანსაცმლის გახდა. ნეტავი „კეთილშობილება" რაღა შუაშიაო, გაიფიქრა. ალბათ, მხოლოდ იმაში, რომ ჰერმიონს არ დაუძახა და თავის ნაცვლად არ ჩაუშვა წყალში.

სანამ ჰარი იხდიდა, სადღაც ბუმ დაიკივლა; ჰედვიგი გაახსენდა. გააკანკალა, კბილები აუკაწკაწდა, მაგრამ მაინც იხდიდა. ბოლოს ფეხშიშველა და ტრუსის ამარა დარჩა თოვლში. ქისა, რომელშიც გატეხილი ჯადოსნური ჯოხი, დედის წერილი, სირიუსის სარკის ნატეხი და ძველი სნიჩი ეწყო, ტანსაცმელს დაადო, მერე კი ჰერმიონის ჯოხი ყინულს მიუშვირა:

– დიფინდო!

სიჩუმეში ტკაცანი ტყვიის გასროლასავით გაისმა და ყინული გატყდა. ტბის ზედაპირი დაიმსხვრა და ყინულის ნატეხები წყალზე ატივტივდა. რამდენადაც ჰარი ხვდებოდა, ტბა ღრმა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხმლის ამოსაღებად ჩაყვინთვა მაინც მოუწევდა.

ფიქრით ვერც საქმეს გაიიოლებდა და ვერც წყალს გაათბობდა, ამიტომ ტბის ნაპირს მიადგა და ჰერმიონის ჯერაც ანთებული ჯოხი მინაზე დადო. შეეცადა, არ ეფიქრა, რამდენად შესცივდებოდა და წყალში გადაეშვა.

ტბაში ჩახტომისთანავე ჰარის სხეულის ყოველი უჯრედი აღშფოთებით აკივლდა, ხოლო როცა ყინულოვანმა წყალმა მხრებამდე დაფარა, ფილტვებში თითქოს ჰაერი ჩაეყინა. ძლივსღა სუნთქავდა. მისმა კანკალმა წყალიც კი ააცახცახა. გაქვავებული ფეხის ცერით ჰარიმ ხმლის პირი მოძებნა. ერთი ჩაყვინთვაღა უნდოდა.

Scanned by CamScanner

ჩაყვინთვამდე წამით შეჩერდა. პირღია სუნთქავდა და კანკალებდა, მერე თავი გაიმხნევა, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოო, გამბედაობა მოიკრიბა და ჩაყვინთა.

სიცივე ცეცხლივით ეცა. ჰარი აგონიაში ჩავარდა, თითქოს ტვინიც კი გაეყინა. ბნელი წყალი უდიდესი გაჭირვებით გაარღვია და ხელი ფსკერზე მოაფათურა. თითები ხმლის ვადას შემოაჭდო და ამოსწია.

უცებ კისერზე რაღაც შემოეჭდო. იფიქრა, წყალმცენარეებიაო, თუმცა, ჩაყვინთვისას არაფერს მოსდებია. მის მოსაშორებლად ხელი ასწია, მაგრამ წყალმცენარის ნაცვლად, ჰორკრუქსის ჯაჭვი დაუხვდა: ნელ-ნელა ყელზე უჭერდა და ახრჩობდა.

ჰარიმ ფეხები მთელი ძალით დაჰკრა ფსკერს და ზედაპირზე ამოსვლას შეეცადა, მაგრამ მხოლოდ ადგილზე დატრიალდა და ტბის ქვიან ფსკერს მიაწყდა. ჰარი აფართხალდა. ყელზე შემოჭერილ ჯაჭვს სწვდა, მაგრამ გაყინული თითებით ვერ გაუძალიანდა. თვალებში პატარ-პატარა ნაპერწკლები აუციმციმდა. მიხვდა, რომ სულ ცოტაც და, დაიხრჩობოდა... უცებ გულმკერდზე ხელები შემოეჭდო; ეს, ალბათ, სიკვდილის ხელები იყო...

სუნთქვაშეკრული, ასლოკინებული, გალუმპული და თითქმის გაყინული ჰარი პირქვე ჩაემხო თოვლში. მის გვერდით ვიღაც ქოშინებდა, ახველებდა და ბორძიკობდა. ჰერმიონმა ახლაც ბოლო წუთს იხსნა, როგორც მაშინ, როცა გველი უტევდა. ოღონდ ეს ხველა და ფეხების ბრაგუნი ჰერმიონისა არ უნდა ყოფილიყო...

ჰარის იმის ღონეც არ შერჩენოდა, თავი აეწია და თავისი მხსნელი დაენახა. ისღა მოახერხა, რომ აკანკალებული ხელი ყელთან მიიტანა და ის ადგილი მოისინჯა, სადაც მედალიონს კანი ამოეწვა. მედალიონი აღარ ეკეთა. მის თავს ზემოთ ვიღაცამ ქოშინით ამოიხაკლა:

– შენ, რა... ვერა ხარ?

ამ ხმის გაგონებაზე ჰარის ისეთი ელდა ეცა, რომ აცახცახებული მაშინვე წამოდგა ფეხზე. მის წინ რონი იდგა, ჩაცმული, მაგრამ გალუმპული. თმა სახეზე მიჰკვროდა, ცალ ხელში გრიფინდორის ხმალი ეჭირა, მეორეში კი – გაწყვეტილი ჯაჭვი, რომელზეც მედალიონი ქანაობდა.

– ეს ჯანდაბა ჩაყვინთვამდე რატომ არ მოიხსენი?– ამოიქოშინა რონმა და ჰორკრუქსი ასწია.

ჰარიმ პასუხი ვერ გასცა. ვერცხლისფერი ფურირმის გამოჩენა რონის დანახვას რას შეედრებოდა! ჰარი თვალებს არ უჯერებდა. სიცივით აძაგძაგებულმა წყლის პირას დაწყობილ ტანსაცმელს დაავლო ხელი და ჩაცმა დაიწყო. გამალებით იცვამდა და თან რონს მიშტერებოდა. ეგონა, თვალს მოვაშორებ თუ არა, გაქრებაო, მაგრამ

Scanned by CamScanner

რონი მართლა აქ იყო; ნამდვილი რონი, რომელმაც ეს-ესაა, ტბაში ჩაყვინთა და ჰარის სიცოცხლე იხსნა.

– ششششენ იყავი? – ჰკითხა ჰარიმ კბილების კაწკაწით.

– ჰო, რა, – მიუგო რონმა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით.

– ის ფურირემი შენი იყო?

– რა? რას ამბობ! მე შენი მეგონა!

– ჩემი პატრონუსი ხარირემია.

– ჰო, მართლა. კი ვიფიქრე, ეს სხვანაირია-მეთქი. ურქო...

ჰარიმ ისევ ჩამოიკიდა ჰაგრიდის ქისა, ბოლო ჯემპრიც გადაიცვა, დაიხარა, ჰერმიონის ჯოხი აიღო და ისევ რონს შეხედა.

– აქ საიდან გაჩნდი?

რონი ისე აჭარხლდა, ეტყობა, იმედი ჰქონდა, ეს კითხვა იქნებ ან მერე დამისვას, ან საერთოდაც არაო.

– როგორ და... მოკლედ... დავბრუნდი. თუ – ჩაახველა, – თუ მიმიღებთ, რასაკვირველია.

სიჩუმე ჩამოვარდა და მათ შორის კედელივით აღიმართა. ჰარი თვალებს არ უჯერებდა: რონი დაბრუნდა! და ეს წუთია, ჰარი სიკვდილს გადაარჩინა.

რონი თავის ხელებს დაჰყურებდა. ეტყობოდა, ახლაღა გააცნობიერა, რა ეჭირა.

– აა, მივხვდი, ამის ამოღება გინდოდა! – წამოიძახა უადგილოდ და ხმალი ისე დაიჭირა, რომ ჰარის შეეხედა, – ამიტომ ჩახტი, არა?

– ჰო, – მიუგო ჰარიმ, – მაგრამ შენ როგორ გაჩნდი აქ? როგორ გვიპოვე?

– გრძელი ამბავია, – ამოიხვნეშა რონმა, – რამდენიმე საათია, გეძებთ. დიდი ტყეა, არა? ის იყო, ვიფიქრე, ხის ძირას მივწვები და დილამდე დავიცდი-მეთქი, რომ ირემი და შენ დაგინახეთ.

– სხვა არავინ დაგინახავს?

– არა, – შეყოყმანდა რონი, – მე... – რონმა რამდენიმე მეტრის იქით გვერდიგვერდ მდგარი ორი ხე შეათვალიერა, – მე მგონი, იქ რაღაც გაინძრა, მაგრამ რომ ჩაყვინთე და აღარ გამოჩნდი, პირდაპირ ტბისკენ გამოვიქეცი, გზა აღარ გავიგრძელე... მოიცა!

ჰარი უკვე იმ ადგილისკენ მიიჩქაროდა, რომელზეც რონმა ანიშნა. ორი მუხა ისე ახლო-ახლო იდგა, რომ ადამიანის თვალის სიმაღლეზე მხოლოდ რამდენიმესანტიმეტრიანი ღრიჭო იყო დარჩენილი. იქიდან თავისუფლად შეიძლებოდა ვინმეს ისე ეთვალთვალა, არავის დანახვებოდა. თუმცა, ფესვების გარშემო მიწაზე თოვლი არ იდო და ამიტომ არც ნაკვალევი ჩანდა. ჰარი იქით გაბრუნდა, სადაც რონი ელოდა ჯერ კიდევ ხმლითა და ჰორკრუქსით ხელში.

Scanned by CamScanner

– იყო რამე? – ჰკითხა ჰარის.

– არა.

– მაშ, ხმალი ტბაში როგორღა მოხვდა?

– ალბათ, ვინც პატრონუსი გამოუშვა, ხმალიც იმან ჩადო.

ორივემ დახედა ვერცხლისჩუქურთმებიან ხმალს; ჯოხის შუქზე ლალებით მოჭედილი ვადა ოდნავ ციმციმებდა.

– ვითომ ნამდვილია? – ჰკითხა რონმა.

– მაგის გასაგებად მხოლოდ ერთი ხერხი ვიცით, – მიუგო ჰარიმ.

ჰორკრუქსი ისევ რონის ხელში ქანაობდა. მედალიონი ოდნავ ფეთქავდა. ჰარი მიხვდა, რომ ის, რაც შიგნით იყო მომწყვდეული, ისევ აფორიაქდა. ხმლის სიახლოვე ადრევე იგრძნო და ჰარის მოკვლა სცადა, რომ ხმლამდე არ მიეშვა. „რა დროს ფიქრია: ერთხელ და სამუდამოდ უნდა განადგურდეს," – გაიფიქრა ჰარიმ. მიიხედ-მოიხედა, ჰერმიონის ჯოხი მაღლა ასწია და იქაურობა მოათვალიერა. ვერხვის ძირას ბრტყელი ქვა ეგდო.

– მოდი, – გაუძღვა რონს ჰარი, ქვიდან თოვლი გადაფერთხა და რონს ხელი გაუწოდა. თუმცა, როცა რონმა ხმალი მიაწოდა, ჰარიმ თავი გააქნია:

– არა, ჰორკრუქსი მომეცი. შენ უნდა გაანადგურო.

– მე? – გააჟრჟოლა რონს, – რატომ?

– იმიტომ, რომ წყლიდან ხმალი შენ ამოიღე. მე მგონი, ეს შენ უნდა გააკეთო.

ჰარი ამით დიდსულოვნებას როდი იჩენდა, როგორც წელან იცოდა ზუსტად, რომ ირემი საფრთხეს არ შეუქმნიდა, ისე იცოდა ახლაც, რომ ჰორკრუქსისთვის ხმალი რონს უნდა დაერტყა. დამბლდორმა ჯადოქრობის გარკვეულ სახეობებში რაღაც მაინც ასწავლა და გარკვეული შემთხვევების ინტუიციურად განსჯის უნარი მიანიჭა.

– მე გავხსნი, – უთხრა რონს, – შენ კი მაშინვე დაჰკარი, კარგი? დარწმუნებული ვარ, შიგ რაც დაგვხვდება, გაგვიძალიანდება. დღიურში დატოვებული რიდლი ხომ მოკვლას მიპირებდა.

– როგორ გახსნი? – შეშინებული ჩანდა რონი.

– პარსულად ვთხოვ, გაიღე-მეთქი, – ჰარის ეს პასუხიც ისე იოლად მოადგა ენაზე, თითქოს ყოველთვის იცოდა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო. შეიძლება, ნაგინისთან ამასწინანდელმა შეხვედრამ მიახვედრა. მოციმციმე მწვანე ქვებით მოჭედილ გველივით მოგრეხილ „S"-ს დახედა და სულ იოლად წარმოიდგინა ცივ ქვაზე დახვეულ პანაწინა გველად.

– არა! – შეეხვეწა რონი, – არ გახსნა!

Scanned by CamScanner

– რატომ? – ჰკითხა ჰარიმ, – მოვიშოროთ ეს საზიზღრობა, ამდენი თვეა...

– არ შემიძლია, ჰარი, მართლა არ შემიძლია... შენ თვითონ დაარტყი...

– კი მაგრამ, რატომ?

– იმიტომ, რომ ეგ რაღაცა ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს, – ქვაზე დადებულ მედალიონს მოშორდა რონი, – ვერაფერს დავაკლებ! განა თავს ვიმართლებ, მაგრამ ჩემზე უფრო მოქმედებს, ვიდრე შენზე და ჰერმიონზე. ყელზე რომ მეკიდა, საშინლად მთრგუნავდა, მაგ დროს საშინელ რაღაცეებზე ვფიქრობდი... როგორ გითხრა... ვერ აგიხსნი, რა... მოვიხსნიდი თუ არა, მაშინვე გონს მოვდიოდი, როცა ისევ ჩამოვიკიდებდი... – მოკლედ, არ შემიძლია, ჰარი!

რონმა თავი გააქნია, უკან დაიხია და თან ხმალი გაათრია.

– შეგიძლია, – გადაჭრით უთხრა ჰარიმ, – შეგიძლია! ახლა არ ამოიღე ხმალი? ვიცი, რომ შენ უნდა დაარტყა. გეხვეწები, მოვიშოროთ, რონ.

თავისი სახელის გაგონებამ თითქოს სტიმულატორივით იმოქმედა რონზე. ნერწყვი გადაყლაპა, მერე გრძელი ცხვირით მძიმედ ამოისუნთქა, ქვას მიუახლოვდა და ამოიხრიალა.

– მითხარი, როდის დავარტყა.

– სამ თვლაზე, – ჰარიმ ისევ მედალიონს დახედა, თვალები მოჭუტა, ასო „**S**"-ს დააკვირდა და გველი წარმოიდგინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მედალიონის შიგთავსი ისე განწირული წრიალებდა, ჰარის შეეცოდებოდა, ჰორკრუქსი რომ არ ყოფილიყო.

– ერთი... ორი... სამი... გაიღე.

ბოლო სიტყვა ჰარიმ სისინით ამოთქვა; მედალიონმა დაიჩხაკუნა და ოქროს ორი ნახევარი ფართოდ გადაიხსნა.

ორივე ნახევრის მინაში ცოცხალი თვალები ახამხამდა, ისეთივე მუქი და ლამაზი, როგორიც ტომ რიდლის ჰქონდა, სანამ გაუწითლდებოდა და დაუმახინჯდებოდა.

– დაარტყი, – ჰარიმ მედალიონი ქვას მაგრად დააჭირა.

რონმა აკანკალებული ხელებით ასწია ხმალი. ხმლის წვერი ჰორკრუქსის გიჟივით აცეცებული თვალების თავზე აქანავდა. ჰარის მაგრად ეჭირა მედალიონი და აკავებდა. უკვე წარმოიდგინა, როგორ გადმოასხამდა თვალებიდან სისხლი.

უცებ ჰორკრუქსიდან ხმა ასისინდა:

– მე შენს გულში ჩამიხედავს და ახლა ეგ გული მე მეკუთვნის.

– ნუ უსმენ! – კატეგორიულად უთხრა ჰარიმ, – დაარტყი!

– მე მინახავს შენი სიზმრები, რონალდ უისლი; შენი შიშიც მინა-

Scanned by CamScanner

ხავს. რასაც ნატრობ, შეიძლება ახდეს, მაგრამ ისიც შეიძლება ახდეს, რისაც გეშინია...

– დაარტყი! – იყვირა ჰარიმ, მისი ხმა ტყეში ექოდ გაისმა. ხმლის წვერი აცახცახდა და რონი რიდლის თვალებს დააშტერდა.

– შენ მუდამ ყველაზე ნაკლებად უყვარდი დედას, რადგან ქალიშვილს ნატრობდა. ყველაზე ნაკლებად უყვარხარ მაგ გოგოსაც; მას ხომ შენი მეგობარი ურჩევნია. ყოველთვის მეორე ხარ! და ყოველთვის ჩრდილში იდგები...

– რონ, ახლავე დაარტყი! – იბღავლა ჰარიმ. გრძნობდა, როგორ ცახცახებდა მის ხელში მოქცეული მედალიონი. რონმა უფრო მაღლა ასწია ხმალი და უცებ რიდლის თვალები წითლად აელვარდა.

იმავე წამს მედალიონის ორი მინიდან – რიდლის ორი თვალიდან – ორი ბუშტივით ამოფრინდა ჰარისა და ჰერმიონის უცნაურად დამახინჯებული თავები.

ელდანაცემმა რონმა იბღავლა და უკან დაიხია. მედალიონიდან ნელ-ნელა ამოიზარდა ჰარისა და ჰერმიონის ფიგურებიც. ისინი ერთ ძირზე ამოსულ ხეებს ჰგავდნენ და რონისა და ნამდვილი ჰარის წინ ირხეოდნენ. ჰარიმ მედალიონს თითები მოაშორა, რადგან ოქრო უცებ გავარვარდა და ხელი დასწვა.

– რონ! – იყვირა ჰარიმ. ამ დროს რიდლი-ჰარი ვოლდემორის ხმით ალაპარაკდა და რონი მას ისე მიაჩერდა, თითქოს ჰიპნოზი გაუკეთესო.

– რალატომ დაბრუნდი? უშენოდ გვერჩივნა, მშვენივრად ვიყავით, გვიხაროდა შენი წასვლა... დავცინოდით შენს სიბრიყვეს, სილაჩრეს და კუდაბზიკობას...

– ჰო, კუდაბზიკობას, – გაიმეორა რიდლმა-ჰერმიონმა და გულიანად გადაიკისკისა. რონი შეძრწუნებული იდგა, ხმალი ძირს დაეშვა და „ჰერმიონს" თვალს ვერ აშორებდა, – ვინ შემოგხედავს ჰარი პოტერის გვერდით? რა ხარ რჩეულთან შედარებით? სად შენ და სად – ბიჭი, რომელიც გადარჩა?

– რონ, დაარტყი, დაარტყი! – იყვირა ჰარიმ, მაგრამ რონი არ იძვროდა. მის გაფართოებულ თვალებში რიდლი-ჰარი და რიდლი-ჰერმიონი ირეკლებოდნენ – თმა ცეცხლის ენებივით ეკლაკნებოდათ, თვალები წითლად უელავდათ, ერთხმად ლაპარაკობდნენ.

– დედაშენი გამომიტყდა, – სიცილით განაგრძო რიდლმა-ჰარიმ და რიდლი-ჰერმიონიც აჰყვა, – რომ ერჩივნა, მე ვყოფილიყავი მისი შვილი, სიხარულით გაგცვლიდა ჩემში...

– ეგ ვის ენდომება! რომელ ქალს ენდომები?! სრული არარაობა

Scanned by CamScanner

ხარ ჰარის გვერდით! – წაიმღერა რიდლმა-ჰერმიონმა, გველივით დაიკლაკნა, რიდლ-ჰარის მაგრად შემოეხვია და აკოცა.

რონს სახეზე ენით აუწერელი ტანჯვა ეხატა. აკანკალებული ხელებით ხმალი ისევ აღმართა.

– მიდი, რონ! – უყვირა ჰარიმ.

რონმა ჰარის დახედა. ჰარის მოეჩვენა, რომ მის თვალებში წითელი ნაპერწკალი შეამჩნია.

– რონ, რას აპირებ?

უცებ ხმალმა გაიელვა და მედალიონისკენ ისეთი ძალით დაეშვა, რომ ჰარიმ გვერდზე გახტომა ძლივს მოასწრო. გაისმა ლითონის ღრჭიალი და გაბმული ბღავილი. ჰარი შეტრიალდა, სისწრაფისგან თავლზე ფეხი დაუცდა და კინაღამ დაეცა, ჯოხი მაშინვე თავდასაცავად მოიმარჯვა, მაგრამ მოწინააღმდეგე აღარსად იყო.

მისი და ჰერმიონის საზარელი ხატებები გაქრა. წინ მხოლოდ რონიღა იდგა, ხმალი მოდუნებულ ხელში ძლივსღა ეჭირა და ბრტყელ ქვაზე მედალიონის ნარჩენებს დაჰყურებდა.

ჰარი ნელა მიუახლოვდა. არც კი იცოდა, რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო. რონი მძიმედ სუნთქავდა, ცრემლით სავსე თვალები ძველებურად ცისფერი ჰქონდა – წითელი ნაპერწკალი აღარ უელავდა.

ჰარიმ რონის ცრემლები არ შეიმჩნია, დაიხარა და განადგურებული ჰორკრუქსი აიღო. რონს ორივე მინა გაეტეხა. რიდლის თვალები აღარ მოჩანდა. აბრეშუმის დალაქავებული სარჩული ოდნავ ბოლავდა. ის, რაც ჰორკრუქსში ცხოვრობდა, გაქრა; რონის ტანჯვა ჰორკრუქსის მიერ ჩადენილი უკანასკნელი ბოროტება გამოდგა. რონმა ხმალი წკრიალით დააგდო მიწაზე, მუხლებზე დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო. ცახცახებდა, მაგრამ ჰარი მიხვდა, რომ ეს ცახცახი სიცივის ბრალი სულაც არ იყო. ჰარიმ გატეხილი მედალიონი ჯიბეში ჩაიტენა, რონის გვერდით ჩაიჩოქა და ხელი ფრთხილად მოხვია მხარზე. რონმა არ მოიშორა.

– შენი წასვლის შემდეგ, – უჩურჩულა, თან უხაროდა, რომ რონს სახე ჩამალული ჰქონდა, – ერთი კვირა იტირა. იქნებ მეტიც, მაგრამ მიმალავდა. უამრავი დღე გავიდა ისე, რომ ერთმანეთისთვის ხმაც არ გაგვიცია. უშენოდ...

სიტყვა გაუწყდა. რონი მის გვერდით იყო და ახლაღა მიხვდა, რა ძვირად დაუჯდათ უიმისობა.

– დად მიმაჩნია, – განაგრძო ჰარიმ, – დასავით მიყვარს და ვიცი, რომ მასაც ძმასავით ვუყვარვარ. ყოველთვის ასე იყო. მეგონა, იცოდი.

Scanned by CamScanner

რონმა არ უპასუხა, სახე აარიდა და ცხვირი ხმაურით შეიწმინდა სახელოზე. ჰარი ადგა და რამდენიმე მეტრის დაშორებით მიწაზე დაგდებული რონის უშველებელი ზურგჩანთისაკენ გაემართა. ალბათ, რონმა ჩანთა მაშინ მოისროლა, როცა მის გადასარჩენად ტბისკენ მირბოდა. ჰარიმ ჩანთა ზურგზე მოიგდო და რონისკენ წავიდა. ისიც ადგა, თვალები ჩაწითლებული ჰქონდა, თუმცა უკვე დამშვიდებული ჩანდა.

– მაპატიე, – ამოილუღლუღა ხმაჩახლეჩილმა, – მაპატიე, რომ წავედი. ვიცი, რა... რა...

სიბნელეში მიიხედ-მოიხედა, თითქოს საკუთარი თავის დასახასიათებელი საკმარისად ცუდი სიტყვა უნდა ეპოვა.

– დღეს გამოისყიდე, – დაამშვიდა ჰარიმ, – ხმალი ამოიღე, ჰორკრუქსს ბოლო მოუღე. მე გადამარჩინე.

– სიტყვით უფრო მაგრად ჟღერს, ვიდრე სინამდვილეში იყო, – ჩაიბუტბუტა რონმა.

– მაგნაირი საქმეები ყოველთვის უფრო მაგრად ჟღერს, ვიდრე სინამდვილეშია ხოლმე, – მიუგო ჰარიმ, – რამდენი წელია, მაგას გეუბნები.

ორივემ ერთდროულად გადადგა ნაბიჯი და მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. რონს ქურთუკი ჯერაც გალუმპული ჰქონდა.

– ახლა კი ისღა დაგვრჩენია, კარავი ვიპოვოთ, – უთხრა ჰარიმ.

თუ ჰარის წეღან მოეჩვენა, რომ დიდხანს მისდევდა ფურირემს, ახლა რონის მხარდამხარ ისე სწრაფად დაბრუნდა, რომ გაუკვირდა. ჰარი კარავში აღელვებული, მაგრამ თან გახალისებული შევიდა. ერთი სული ჰქონდა, ჰერმიონი გაეღვიძებინა. საბნების ქვეშ მოკუნტულ გოგონას ღრმად ეძინა და არც განძრეულა, სანამ ჰარიმ რამდენჯერმე არ ჩასძახა:

– ჰერმიონ!

ჰერმიონი შეირხა, სწრაფად წამოჯდა და სახიდან თმა გადაიყარა.

– რა მოხდა, ჰარი? კარგად ხარ?

– მშვენივრად. მშვენივრად კი არა, გადასარევად. ნახე, ვინ მოვიდა.

– რას ამბობ? ვინ?

ჰერმიონმა გაქექილ ხალიჩაზე მდგარი რონი დაინახა, ხელში ისევ ხმალი ეჭირა. ჰარი კუთხეში მიიკუნჭა, რონის ზურგჩანთა მოიხსნა და სცადა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

ჰერმიონი საწოლიდან გადმოვიდა და მთვარეულივით ნაბარბაცდა რონისკენ, თან მის ფერწასულ სახეს თვალს არ აშორებდა. მიუახლოვდა და გაჩერდა. პირდაღებული და თვალებგაფართოებული შესცქეროდა. რონმა იმედიანად გაუღიმა და ხელები გაუწოდა.

Scanned by CamScanner

უცებ ჰერმიონი გაექანა და რონს მუშტები დაუშინა.

– ვაი.. დაიცა... რას აკეთებ... ჰერმიონ... ვაი!

– რონალდ უისლი! შე! არაკაცო! შენა!

ჰერმიონი ყოველ სიტყვას დარტყმას აყოლებდა. რონმა უკან დაიხია და თავზე ხელები წაიფარა, ჰერმიონი ისევ გამეტებით ურტყამდა:

– მობრძანდა! ამდენი კვირის შემდეგ! სად არის ჩემი ჯოხი?

გაცეცხლებული ჰერმიონი, ცოტაც და, ჰარის ხელიდან ჯოხს წაგლეჯდა, მაგრამ ჰარიმ მოასწრო და შესძახა:

– პროტეგო!

რონსა და ჰერმიონს შორის უხილავი ფარი აღიმართა. მისმა ძალამ ჰერმიონი ძირს დააგდო. გოგონამ სახეზე ჩამოშლილი თმა სწრაფად გადაიყარა და ისევ წამოხტა.

– ჰერმიონ! – შესძახა ჰარიმ, – დაწყნარდი...

– არ დავწყნარდები! – იკივლა ჰერმიონმა. ჰარის მანამდე არასოდეს ენახა ჰერმიონი ასე გადარეული, – ჯოხი მომეცი, მომეცი-მეთქი!

– ჰერმიონ, კარგი, რა...

– ჭკუას ნუ მასწავლი, ჰარი პოტერ! – იკივლა ჰემიონმა, – არ გაბედო! მომეცი! შენ კი, – რონისკენ ბრალმდებელივით გაიშვირა თითი. შეშინებულმა რონმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

– მოგდევდი! გეძახდი! გეხვეწებოდი, დაბრუნდი-მეთქი!

– ვიცი, – თქვა რონმა, – ჰერმიონ, ძალიან ვნანობ, მართლა...

– აა, ნანობ, არა?! – ნერვიულად გადაიკისკისა ჰერმიონმა. რონმა ჰარის შეხედა, მიშველეო, მაგრამ ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– რამდენი კვირა გავიდა! ახლა გგონია, თუ იტყვი, ვნანობო, ყველაფერი მოგვარდება?

– მაშ, რა ვთქვა? – იყვირა რონმა. ჰარის გაუხარდა, რომ, როგორც იქნა, რონმა გაიბრძოლა.

– მე რა ვიცი! – იკივლა ჰერმიონმა საშინელი, დამცინავი ხმით, – ტვინი მოიჩხრიკე, რონ, ამისთვის სულ ორი წამი დაგჭირდება...

– ჰერმიონ, – ჩაერია ჰარი, რადგან ეს ნათქვამი უსინდისობად მოეჩვენა, – ეს წუთია, გადამარჩი...

– არ მაინტერესებს! – არ ცხრებოდა ჰერმიონი, – რაში მენაღვლება, რა ჩაიდინა! ამდენი დრო გავიდა! იქნებ დავიხოცეთ...

– ვიცოდი, რომ არ დახოცილხართ! – დაიღრიალა რონმა, პირველად გადაფარა ჰერმიონის ხმა და იქამდე მიუახლოვდა, სადამდეც ფარის შელოცვამ მიუშვა, – გაზეთსა და რადიოს სულ ჰარი აკერია პირზე, ყველგან გეძებენ. უამრავი ჭორი დადის... რომ დახოცილიყავით, მაშინვე გავიგებდი. შენ რა იცი, რა გადავიტანე...

Scanned by CamScanner

– რა გადავიტანეო?

ჰერმიონს ბრაზისა და აღშფოთებისგან თითქმის ხმა ჩაუწყდა და რონმაც დრო იხელთა:

– იმწუთშივე მინდოდა დაბრუნება, როგორც კი აპარაცია გამოვიყენე, მაგრამ ტაციების ბანდას ჩავუვარდი ხელში და ვერსადაც ვერ წამოვედი.

– ვის ბანდასო? – ჰკითხა ჰარიმ, ჰერმიონი კი სავარძელში ჩაენარცხა და ისე მონდომებით შემოიჭდო ხელები ფეხებზე, თითქოს რამდენიმე წელიწადს ასე ჯდომას აპირებსო.

– ტაციების, – გაუმეორა რონმა, – ყველგან არიან... დადიან და ცდილობენ, ოქრო იშოვონ მაგლური წარმოშობის ჯადოქრებისა და სისხლის შემარცხვენლების დაჭერით. სამინისტრო ყოველი კაცის დაჭერაზე ფულად ჯილდოს იძლევა. სკოლის მოსწავლის ასაკის ბიჭი რომ დაინახეს, გაიხარეს, ეგონათ, მაგლური წარმოშობისაა და იმალებაო. სასწრაფოდ რამე უნდა მეღონა, თორემ სამინისტროში წამათრევდნენ.

– და რა უთხარი?

– სტენ შანპაიკი ვარ-მეთქი. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

– დაგიჯერეს?

– დიდი ჭკუით ვერ დაიკვეხნიდნენ. თავს მოვიჭრი, ერთი თუ ნახევრად ტროლი არ იყო, ისე ყარდა... – ამ სიტყვებზე რონმა ჰერმიონს გახედა. იმედი ჰქონდა, იქნებ ამ ხუმრობაზე მოლბესო, მაგრამ ფეხებზე ხელებშემოჭდობილი ჰერმიონი ისევ გაქვავებულივით იყურებოდა.

– მოკლედ, დაიწყეს გარჩევა, სტენია თუ არაო. ისე იმტვრევდნენ თავს, რომ მართალი გითხრათ, ლამის შემეცოდნენ. ისინი ხუთნი იყვნენ, მე კი – ერთი, ჯოხიც წამართვეს. მერე ორმა ერთმანეთს ცემა-ტყეპა დაუწყო და სანამ დანარჩენები იმათ უყურებდნენ, ერთს, რომელსაც გაკავებული ვყავდი, მუცელში ვხეთქე, ჯოხი გამოვგლიჯე, ის ტიპი განვაიარაღე, ვისაც ჩემი ჯოხი ეჭირა და აპარაცია გამოვიყენე. კარგად მაინც ვერ გამომივიდა. ისევ გადავიყავი, – რონმა მარჯვენა ხელი გაიშვირა: ორი ფრჩხილი აკლდა; ჰერმიონმა ცივად ასწია წარბები, – თქვენგან რამდენიმე მილის დაშორებით ამოვყავი თავი. ბევრი გეძებეთ. ბოლოს, როცა იმ ადგილას დავბრუნდი, სადაც დაბანაკებული ვიყავით... უკვე წასულები დამხვდით.

– რა საინტერესო ამბავია, – ხმა ამოიღო ჰერმიონმა. ისეთი ქედმაღლური ტონი ჰქონდა, როგორიც, საერთოდ, მაშინ ჰქონდა, როცა უნდოდა, ვინმე გაემწარებინა, – როგორ შეშინდებოდი! ამასობაში ჩვენ გოდრიკ ჰოლოუში ვიყავით. რა გადაგვხდა თავს, ჰარი? რა და,

Scanned by CamScanner

ჩვენ-რომ-ვიცით, იმისმა გველმა კინაღამ ორივე დაგვხოცა. მერე ჩვენ-რომ-ვიცით, ისიც მოვიდა და ბეწვზე გადავურჩით.

– რაო? – რონი ხან ჰარის მიაშტერებოდა, ხან ჰერმიონს, რომელმაც მისი განცვიფრება არ შეიმჩნია.

– წარმოგიდგენია, ფრჩხილები წასძვრა, ჰარი! ჩვენი ამბავი ამასთან რა მოსატანია!

– ჰერმიონ, ეს წუთია, სიკვდილს გადამარჩინა, – წყნარად უთხრა ჰარიმ.

ჰერმიონმა წაუყრუა.

– ისე კი, ერთი რამ მაინტერესებს, – რონის თავს ზემოთ რაღაც წერტილს გაუშტერა თვალი ჰერმიონმა, – დღეს როგორ გვიპოვე? ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ, რომ ისეთი აღარავინ მოგვადგეს, ვისი ნახვაც არ გვინდა.

რონმა წყენით შეხედა, მერე ჯინსის ჯიბიდან ვერცხლის პატარა ნივთი ამოიღო.

– აი, ამით გიპოვეთ.

ჰერმიონს სხვა გზა არ ჰქონდა, შეხედა, რომ დაენახა, რას უჩვენებდა.

– საქრობელა? – ისე გაუკვირდა ჰერმიონს, სულ დაავიწყდა, გაბრაზებული რომ იყო.

– თურმე მარტო შუქის ანთება-ჩაქრობა კი არ შეუძლია! – აუხსნა რონმა, – არ ვიცი, როგორ მუშაობს ან მაინცდამაინც მაშინ რატომ მოხდა და არა სხვა დროს... რაც წავედი, იმის მერე სულ მინდოდა დაბრუნება. მაგრამ შობა დილამდე არაფერი მომხდარა. ზუსტად ამ დღეს რადიოს ვუსმენდი და... და შენი ხმა გავიგონე, – ჰერმიონს შეაცქერდა რონი.

– რადიოში გაიგონე ჩემი ხმა? – დაეჭვებით ჰკითხა ჰერმიონმა.

– არა, ჯიბეში. შენი ხმა ჯიბიდან მომესმა, – საქრობელა ასწია, – აი, აქედან.

– მაინც, რა ვთქვი? – ჰკითხა ჰერმიონმა ეჭვნარევი ინტერესით.

– ჩემი სახელი და... კიდევ ჯოხზე ამბობდი რაღაცას...

ჰერმიონი აილეწა. ჰარის გაახსენდა, გოდრიკ ჰოლოუდან დაბრუნებულებმა მაშინ პირველად ახსენეს რონის სახელი, როცა ჰერმიონმა მისი ჯოხის გატეხის ამბავი გაიხსენა.

– მოკლედ, საქრობელა ჯიბიდან ამოვიღე, – რონმა საქრობელას დახედა, – არც შეცვლილიყო და არც არაფერი ეტყობოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ შენი ხმა იქიდან გავიგონე. ავდექი და დავაჩხაკუნე. დავაჩხაკუნე და ჩემს ოთახში შუქი ჩაქრა, სამაგიეროდ გარეთ, ფანჯარასთან, მეორე შუქი აინთო.

Scanned by CamScanner

რონმა მეორე ხელი ასწია და თავის წინ მიუთითა, თან თითქოს რაღაც ისეთს უყურებდა, რასაც ვერც ჰარი ხედავდა და ვერც ჰერმიონი.

– სინათლის ბურთი იყო, თითქოს ფეთქავდა; ცისფერი დაჰკრავდა, აი, როგორიც პორტაჟის შუქია, ხომ იცით?

– ჰო, – ერთხმად მიუგეს ჰარიმ და ჰერმიონმა.

– ვიგრძენი, რომ მიხმობდა, – განაგრძო რონმა, – ჩემი ნივთები ავიღე, ზურგჩანთაში ჩავყარე და ბაღში გავედი. სინათლის ბურთი ლივლივით მელოდებოდა და როცა გავედი, ხტუნვა-ხტუნვით წავიდა, მეც მივყევი, მოფარებულში შევედით და მერე... ჩემში შემოვიდა.

– ბატონო? – ჰარიმ იფიქრა, ხომ არ მომეყურაო.

– ჩემკენ წამოლივლივდა, – რონმა საჩვენებელი თითი მკერდზე მიიდო, – და მერე... პირდაპირ ჩემში შემოვიდა, აი, აქ, – გულთან ახლოს მიიდო ხელი, – ცხელი იყო. როგორც კი შემოვიდა, მაშინვე მივხვდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. ვიცოდი, იქ წამიყვანდა, სადაც მჭირდებოდა. ჰოდა, აპარაცია გამოვიყენე და ერთ თოვლიან ფერდობზე მოვხვდი...

– იქ ვიყავით, – უთხრა ჰარიმ, – ორი ღამე გავატარეთ. მეორე ღამეს სულ მეჩვენებოდა, რომ გარშემო ვიღაც დადიოდა და იძახდა.

– ჰო, მე ვიქნებოდი, – წამოიძახა რონმა, – დამცავი შელოცვები კარგად მოქმედებს: ვერც გხედავდით და არც თქვენი ხმა მესმოდა. არადა, ვიცოდი, ახლომახლო იქნებოდით. ბოლოს საძილე ტომარაში ჩავწექი და დაველოდე, სანამ რომელიმე გამოჩნდებოდით. ვიფიქრე, მაშინ მაინც დავინახავ, როცა კარავს აკეცავენ-მეთქი.

– არა, – თქვა ჰერმიონმა, – სიფრთხილისთვის უჩინმაჩინის მოსასხამით მოვახდინეთ აპარაცია. თანაც ადრიანად წავედით, რადგან ჰარი ამბობდა, ვიღაც დადისო და შევშინდით.

– მე კი მთელი დღე იმ გორაკზე დავრჩი, – სიტყვა ჩამოართვა რონმა, – იმედი მქონდა, გამოჩნდებოდით, მაგრამ როცა დაბნელდა, ვიფიქრე, ავცდი-მეთქი და ისევ დავაჩხაკუნე საქრობელა. ლურჯი შუქი ისევ გამოჩნდა. მაშინვე აპარაცია გამოვიყენე და აქ, ამ ტყეში აღმოვჩნდი. თქვენ მაინც ვერ გხედავდით. იმის იმედადღა ვიყავი, რომ როცა იქნებოდა, რომელიმე გამოჩნდებოდით... უცებ ჰარი გამოჩნდა... არა, ჯერ ფურირემი დავინახე.

– რა დაინახე? – მკვახედ ჰკითხა ჰერმიონმა.

ჰარი და რონი სხაპასხუპით მოუყვნენ ჰერმიონს, რაც მოხდა. ვერცხლისფერი ფურირმისა და ტბაში ჩადებული ხმლის ამბავს გოგონა შუბლშეჭმუხნილი უსმენდა. ხან ერთს შეხედავდა და ხან – მეორეს.

Scanned by CamScanner

ისეთი გაფაციცებული იყო, რომ მაგრად მოკეცილი ხელ-ფეხიც კი დაავიწყდა.

– პატრონუსი იქნებოდა! – წამოიძახა, – ვერ დაინახეთ, ვინ გამოუშვა? არავინ შეგინიშნავთ? თანაც, ხმალთან მიგიყვანათ! დაუჯერებელია! მერე რა მოხდა?

მოყოლა რონმა განაგრძო, უთხრა, როგორ დაინახა ტბაში გადამხტარი ჰარი, როგორ ელოდა მის გამოჩენას; როგორ მიხვდა, რომ რაღაც უჭირდა, მაშინვე ჩაყვინთა და გადაარჩინა, მერე კი როგორ ჩაბრუნდა ხმლისთვის. მედალიონის გახსნამდე რომ მივიდა, რონი შეყოყმანდა და ახლა ჰარიმ ჩამოართვა სიტყვა:

– და რონმა ჰორკრუქსს ხმალი დასცხო.

– და... განადგურდა? ასე იოლად? – ჩაიჩურჩულა გაოგნებულმა ჰერმიონმა.

– ისა... გვეწინააღმდეგებოდა, მთელი ხმით ყვიროდა, – ჰარიმ ცალი თვალით რონს გახედა, – ნახე.

და მედალიონი ჰერმიონს გადაუგდო. ჰერმიონმა ფრთხილად აიღო და გახვრეტილ მინებს დააკვირდა.

ჰარიმ ივარაუდა, ხიფათმა გადაიარაო, ჰერმიონის ჯოხი აიქნია, ფარის ჯადო მოხსნა და რონს მიუბრუნდა.

– წელან თქვი, რომ ტაციებისგან მეორე ჯოხიც წამოიღე, არა?

– რაა? – ანგარიშმიუცემლად ჰკითხა მედალიონის თვალიერებაში გართულ ჰერმიონზე მიშტერებულმა რონმა, – აა, ჰო, – რონმა ზურგჩანთის თასმა გახნა და ჯიბიდან მოკლე, მუქი ფერის ჯოხი ამოიღო.

– ვიფიქრე, ჯობია, სათადარიგოდ დავიტოვო-მეთქი.

– კარგად გიფიქრია, – ჰარიმ ხელი გაუწოდა, – ჩემი გატყდა.

– ხუმრობ? – გაოცდა რონი, მაგრამ ამ დროს ჰერმიონი წამოდგა და რონს ისევ შიშნარევი იერი დაედო.

ჰერმიონმა განადგურებული ჰორკრუქსი მძივებიან ჩანთაში ჩადო, მერე ისევ თავის საწოლზე ავიდა და უსიტყვოდ მიწვა.

რონმა ჰარის ახალი ჯოხი მიაწოდა.

– მე მგონი, უკეთესი დახვედრის იმედი არც უნდა გქონოდა, – ჩაიდუდუნა ჰარიმ.

– ჰო, რა, – უჩურჩულა რონმა, – უარესსაც ველოდი. გახსოვს, ჩიტები რომ მომისია?

– სხვათა შორის, ეგ ჯერ არ გადამიფიქრებია, – ყრუდ მოისმა ჰერმიონის ხმა საბნების ქვეშიდან. ჰარიმ შეამჩნია, რომ ამ სიტყვების მიუხედავად, რონმა ზურგჩანთიდან ღიმილით ამოაძვრინა წაბლისფერი პიჟამა.

Scanned by CamScanner

თავი მეოცე

ქსენოფილიუს ლავგუდი

ჰარი არ მოელოდა, რომ ჰერმიონს ბრაზი დილამდე დაუცხრებოდა, ამიტომ არც გაჰკვირვებია, გოგონა მეორე დღეს ორივეს რომ უბღვერდა და ჯიუტად დუმდა. ამის პასუხად, რონს მისი თანდასწრებით ისე ეჭირა თავი, ვითომ ჯერაც სინდისი მქენჯნისო. ერთი სიტყვით, როცა სამივე ერთად იყო, ჰარის თავი დაკრძალვაზე ეგონა, სადაც თვითონ იყო ერთადერთი, ვისაც არ ეტირებოდა. სამაგიეროდ იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, როცა ის და რონი მარტონი რჩებოდნენ (ან წყლის მოსატანად წავიდოდნენ, ან სოკოს საკრეფად), რონი უსინდისოდ მხიარულობდა:

– ვიღაც გვეხმარება, – იმეორებდა გაუთავებლად, – ის ფურირემი ვიღაცამ გამოგვიგზავნა, ჩვენს მხარეზეა. ერთი ჰორკრუქსი მოვინელეთ, ჰარი, მაგარია!

მედალიონის განადგურებით გამხნევებულები ახლა იმაზე მოჰყვნენ კამათს, სად შეიძლებოდა ყოფილიყო დანარჩენი ჰორკრუქსები, თუმცა, ამ საკითხზე წინათაც ბევრჯერ ემსჯელათ. ჰარი იმჭღიანად იყო, რაკი ნავსი გატყდა, საქმე წინ წავაო. ჰერმიონის მოღუშულობა მის სიხალისეს ვერაფერს აკლებდა. ბედმა ისე გაულიმათ, რომ იდუმალი ფურირემი გამოჩნდა, გრიფინდორის ხმალი იპოვეს და, რაც მთავარია, რონიც დაბრუნდა. ჰოდა, სიხარული როგორ უნდა დაემალა?!

ნაშუადღევს ჰარი და რონი ისევ გაექცნენ ჰერმიონს და არარსებული მაყვლის საძებნელად მიაშურეს გაშიშვლებულ ბუჩქებს, თან ერთმანეთს გადატანილ ამბებს უყვებოდნენ. ჰარიმ, როგორც იქნა, მოახერხა და თავისი და ჰერმიონის ხეტიალის ამბავს წვრილად მოუყვა; ახლა რონი უამბობდა, რა ხდებოდა ჯადოქართა სამყაროში.

– ტაბუს ამბავი როგორღა გაიგეთ? – ჰკითხა რონმა მას შემდეგ,

Scanned by CamScanner

რაც მოუყვა, სასოწარკვეთილი მაგლური წარმოშობის ჯადოქრები როგორ ემალებოდნენ სამინისტროს.

– რისი?

– შენ და ჰერმიონი ჩვენ-რომ-ვიცით, იმის სახელს აღარ ახსენებთ.

– ჰო, რატომღაც ეგრე დაგვჩემდა, – მიუგო ჰარიმ, – თუმცა, მე სულაც არ მიჭირს ვოლ...

– არა! – ისე იბღავლა რონმა, რომ შეშინებული ჰარი მაყვლის ბუჩქს შეასკდა, კარვის შესასვლელში მჯდარმა და წიგნში ცხვირ-ჩარგულმა ჰერმიონმა კი ბრაზით გამოიხედა.

– ბოდიში, – რონმა ჰარი მაყვლის ბარდებიდან გამოხსნა, – გაით-ვალისწინე, სახელს ჯადო დაადეს, ჰარი. და მისი საშუალებით პოუ-ლობენ ხალხს! თუ სახელი ახსენე, დამცავი ჯადო ქრება, რაღაც ირღვევა და... მოკლედ, ტოტენჰემ-ქორთ-როუდზეც მაგიტომ მოგ-ვაგნეს!

– იმიტომ, რომ სახელი ვახსენეთ?

– ზუსტად. კარგად მოუფიქრებიათ, არა? სახელის ხსენებას მარტო დამბლდორისნაირი ხალხი ბედავდა. ისინი, ვინც მართლა ნამდვილ წინააღმდეგობას უწევდა. ახლა სახელს ტაბუ დაადეს და თუ ვინმე ახსენებს, მაშინვე პოულობენ. ორდენის წევრების მიკვლევაც აღარ გაუჭირდებათ! კინაღამ კინგსლი დაიჭირეს...

– ხუმრობ?

– ჰო, თურმე სიკვდილის მხვრელების მთელმა ხროვამ მიიმ-წყვდია, მაგრამ ბილმა მითხრა, ალყა გაარღვიაო. ახლა ჩვენსავით ლტოლვილია, – რონმა ფიქრიანად მოიფხანა ნიკაპი, – ნეტავ იმ ფურირემს კინგსლი ხომ არ გამოგვიგზავნიდა?

– კინგსლის პატრონუსი ხომ ფოცხვერია, ქორწილში არ ვნახეთ?

– აა, ჰო...

ბუჩქნარს უფრო სწრაფად გაუყვნენ და კარავსა და ჰერმიონს მოშორდნენ.

– ჰარი... დამბლდორი ხომ არ იქნებოდა?

– სად?

დარცხვენილმა რონმა ხმადაბალა თქვა:

– დამბლდორი... ირემზე გეუბნები, – ცერად გახედა ჰარის, – ნამდვილი ხმალი ბოლოს მას არ ჰქონდა?

ჰარიმ რონს არ დასცინა, რადგან მშვენივრად მიხვდა, რა ნატვრაც იდგა ამ შეკითხვის უკან. ის აზრი, რომ დამბლდორმა დაბრუნება მოახერხა და მათ უჩუმრად მფარველობდა, ძალიანაც გამამხნევე-ბელი იქნებოდა. თავი გაიქნია:

– არა, რონ, დამბლდორი მკვდარია, ვნახე, როგორც მოკლეს,

Scanned by CamScanner

მკვდარიც ვნახე. ნამდვილად მკვდარია. თანაც, მისი პატრონუსი ფენიქსი იყო და არა – ფურირემი.

– ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, პატრონუსი შეიცვალოს? – არ დათმო რონმა, – ტონქსისა ხომ შეიცვალა.

– კარგი რა, რონ, ამიხსენი ერთი, დამბლდორი რომ ცოცხალი იყოს, რატომ არ გამოჩნდებოდა? პირდაპირ რატომ არ მოგვცემდა ხმალს?

– წარმოდგენა არა მაქვს, – მხრები აიჩეჩა რონმა, – იქნებ იმიტომ, რატომაც სიცოცხლეშივე არ მოგცა? რატომაც შენ – ძველი სნიჩი დაგიტოვა, ჰერმიონს კი – ზღაპრების წიგნი?

– შენი აზრით, რატომ? – ჰარი რონს სახეში შეაჩერდა, ერთი სული ჰქონდა, რას უპასუხებდა.

– რა ვიცი, – თქვა რონმა, – ხანდახან ვფიქრობდი... როცა გუნებაზე ვერ ვიყავი ხოლმე, ეტყობა, გვამასხარავებს ან... ან უნდა, საქმე გაგვიძნელოს-მეთქი, მაგრამ ახლა ასე აღარ მგონია. იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა საქრობელას მიტოვებდა. იცოდა... – რონს ყურები აუვარვარდა და იქვე ამოსულ ბალახს ფეხით დაუნყო სრესა, – იცოდა, რომ მიგატოვებდით.

– არა, – შეუსწორა ჰარიმ, – ეტყობა იცოდა, რომ დაბრუნება გენდომებოდა.

რონს ეამა, მაგრამ მაინც დარცხვენილი ჩანდა. ჰარიმ ნაწილობრივ სიტყვის ბანზე ასაგდებად უთხრა:

– ჰო, მართლა, დამბლდორზე გამახსენდა: სკიტერის წიგნზე რას ამბობენ?

– რას აღარ! – მაშინვე აჰყვა რონი, – სხვა დრო რომ იყოს, ერთი ამბავი ატყდებოდა: როგორ გაბედა იმის დაწერა, თითქოს დამბლდორი გრინდელვალდის ძმაკაცი იყოო; ახლა კი, ვისაც დამბლდორი არ მოსწონდა, დასცინის, ხოლო ვისაც უყვარდა, სილაგარტყმულივითაა. ისე, მე ეს მაინცდამაინც დიდ ამბად არ ეჩვენა. მაშინ სულ ახალგაზრდა იყო და...

– ჩვენი ხნისა, – უთხრა ჰარიმ ზუსტად ისე, როგორც – ჰერმიონს და, ეტყობა, ამ დროს ისეთი სახე ჰქონდა, რომ რონმა არჩია, ამ თემას აღარ ჩაღრმავებოდა.

მაყვლებში, გაყინული ქსელის შუაგულში დიდი ობობა იჯდა. ჰარიმ წინაღამეს რონისგან მიცემული ჯოხის გამოცდა მოინდომა, რომელსაც ჰერმიონმა პატივი დასდო, გასინჯა და განაცხადა, კვრინჩხისა უნდა იყოსო. ობობას დაუმიზნა და წარმოთქვა:

– ენგორჯიო.

ობობა აცახცახდა და ქსელში ახტა-დახტა. ჰარიმ ერთხელაც სცადა. ამჯერად ობობა ოდნავ გაიზარდა.

Scanned by CamScanner

– გეყოფა, – მკვახედ უთხრა რონმა, – კარგი, არ უნდა მეთქვა, დამბლდორი ახალგაზრდა იყო-მეთქი.

ჰარის სულ დაავიწყდა, როგორ ეშინოდა რონს ობობებისა.

– უკაცრავად... რედუციო.

ობობა არ დაპატარავდა. ჰარიმ კვრინჩხის ჯოხს დახედა. რა შელოცვაც სცადა, ყველაფერი უფრო სუსტად გამოსდიოდა, ვიდრე თავისი ფენიქსის ჯოხით. ახალი ჯოხი ეუცხოებოდა, თითქოს მკლავზე სხვისი მტევანი მიაკერესო.

– უნდა ივარჯიშო, – მოესმათ უკნიდან ჩუმად მიახლოებული ჰერმიონის ხმა. აღელვებული უყურებდა, როგორ ცდილობდა ჰარი ობობის გაზრდა-დაპატარავებას, – თავდაჯერების ამბავია, ჰარი.

ჰარიშ იცოდა, რატომაც უნდოდა ჰერმიონს, რომ ახალი ჯოხი გამოსდგომოდა: ჯერაც თავის თავს აბრალებდა ჰარის ჯოხის გატეხ-ას. ძლივს შეიკავა თავი, რომ არ მიეხალა, ეს კვრინჩხის ჯოხი შენ აიღე და შენი მე მექნებაო, მაგრამ გაჩუმდა. ისე უნდოდა, სამივენი კვლავაც მეგობრულად ყოფილიყვნენ, რომ დაეთანხმა; მაგრამ როცა რონმა ფრთხილად გაუღიმა ჰერმიონს, გოგონამ თავი ასწია, ზურგი აქცია და ისევ კარვისკენ წავიდა.

როცა დაბინდდა, ჰარი პირველი შეუდგა მორიგეობას. შესა-სვლელში ჩამომჯდარი ცდილობდა, კვრინჩხის ჯოხით იქვე მიმო-ფანტული კენჭები ჰაერში აეწია, მაგრამ ჯერაც ტლანქად და სუსტად გამოსდიოდა. საწოლზე წამოწოლილი ჰერმიონი ისევ კითხულობდა, რონი კი მას მისჩერებოდა, მაგრამ კარგა ხნის ცქერის შემდეგ ჰერ-მიონის ყურადღებას მაინც რომ ვერ ეღირსა, ზურგჩანთიდან ხის რადიო ამოიღო და ჩართო.

– ერთადერთი არხია, რომელშიც იმას ლაპარაკობენ, რაც სინამ-დვილეში ხდება, – უთხრა ჰარის ხმადაბლა, – სხვა ყველა არხი ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მხარესაა და სამინისტროს ბრძანებებს ემორ-ჩილება, ეს კი... მოიცა, მოგასმენინო, მართლა მაგარია. ოღონდ, ყოვ-ელთვის ვერ გადიან ეთერში, სიკვდილის მხვრელებს ემალებიან და ადგილსამყოფელს ხშირად იცვლიან. თანაც, პროგრამის დასაჭერად პაროლი გჭირდება... არადა, ბოლო პაროლი გამომრჩა... – რონმა რადიოს თავზე მსუბუქად დაჰკრა ჯადოსნური ჯოხი და ალალბედზე მოჰყვა სიტყვების ჩურჩულს. თან წარამარა ჰერმიონისკენ აპარებდა თვალს. ალბათ, ეშინოდა, არ აფეთქდესო, მაგრამ ჰერმიონი არა-ფრად აგდებდა. რონი დაახლოებით ათ წუთს უკაკუნებდა ჯოხს და ბუტბუტებდა. ჰერმიონმა ისევ წიგნის ფურცვლა განაგრძო, ჰარიმ კი – კვრინჩხის ჯოხით ვარჯიში.

Scanned by CamScanner

ბოლოს ჰერმიონი საწოლიდან წამოდგა. რონმა იმწამსვე შეწყვიტა კაკუნი.

– თუ გაწუხებს, გავჩერდები! – უთხრა დამფრთხალმა.

ჰერმიონმა რონი პასუხის ღირსი არ გახადა და ჰარისთან მივიდა:

– შენთან სალაპარაკო მაქვს.

ჰარიმ ჰერმიონის ხელში ჩაბღუჯულ წიგნს შეხედა. „ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე" იყო.

– ქსენოფილიუს ლავგუდის ნახვა მინდა.

ჰარი გაოცდა:

– ბატონო?

– მინდა ვნახო და ველაპარაკო ქსენოფილიუს ლავგუდს, ლუნას მამას.

– რატომ?

ჰერმიონმა ამოიხვნეშა, თითქოს თქმა ეძნელებაო:

– იმ ნიშანთან დაკავშირებით, მგოსანი ბიდლის წიგნში რომ იყო. შეხედე!

„ალბუს დამბლდორის ცხოვრება და სიცრუე" ჰარის პირდაპირ ცხვირთან მიუტანა. ჰარიმ გულგრილად ჩაიხედა და გრინდელვალდისადმი მიწერილი დამბლდორის წერილის ფოტოასლი დაინახა. კარგად ნაცნობი წვრილი, დახრილი ხელით იყო ნაწერი. ჰარის ყველაფერი ერჩია იმის უტყუარი საბუთის დანახვას, რომ დამბლდორმა მართლაც დაწერა ეს სიტყვები და რიტას არ გამოუგონია.

– ხელმოწერას შეხედე, ჰარი, – უთხრა ჰერმიონმა.

ჰარიმ ანთებული ჯოხი ფურცელთან მიიტანა, დააკვირდა და დაინახა, რომ დამბლდორს „ალბუსის" „ა"-ის ნაცვლად ისეთივე, ოღონდ პაწაწინა სამკუთხა ნიშანი ჩაეწერა, რომელიც „მგოსანი ბიდლის ზღაპრებში" შეხვდათ.

– ისა... რა არის? – ფრთხილად იკითხა რონმა, მაგრამ ჰერმიონმა მძვინვარე მზერა ესროლა და ისევ ჰარის მიუბრუნდა:

– ხან სად ჩნდება და ხან – სად. ვიცი, ვიქტორმა თქვა, გრინდელვალდის ნიშანიაო, მაგრამ ძველ საფლავზეც ხომ ვნახეთ, გოდრიკ ჰოლოუში? ის საფლავის ქვა კი უძველესია. გრინდელვალდი მაშინ დაბადებულიც არ იქნებოდა. ახლა კიდევ ეს. დამბლდორს ან გრინდელვალდს ვერ ვკითხავთ, რას ნიშნავს ეს გამოსახულება, არც კი ვიცით, გრინდელვალდი ცოცხალია თუ არა. ლუნას მამას კი შეგვიძლია ვკითხოთ. ეს სიმბოლო ქორწილში ეკეთა. დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვანია, ჰარი.

ჰარიმ მაშინვე არ უპასუხა. ჯერ ჰერმიონს შეხედა, მერე გარშე-

Scanned by CamScanner

მორტყმულ წყვდიადს გახედა და კარგა ხანს იფიქრა. დიდი პაუზის შემდეგ ხმა ამოიღო:

– ჰერმიონ, რად გვინდა მეორე გოდრიკ ჰოლოუ? ჯერ იქ ავიტეხეთ წასვლა და...

– ჰო, მაგრამ ყველგან რომ თვალში გვეჩხირება? იქნებ დამბლდორმა „მგოსან ბიდლის ზღაპრები" იმიტომ დამიტოვა, რომ იმ ნიშნის ამბავი უნდა გავარკვიოთ?

– ისევ თავიდან არ დაიწყო, რა! – გაღიზიანდა ჰარი, – სულ ვცდილობთ, თავი დავაჯეროთ, რომ დამბლდორმა საიდუმლო ნიშნები და გასაღებები დაგვიტოვა...

– საქრობელა ხომ მართლაც გამომადგა გასაჭირში, – ხმის ამოღება გაბედა რონმა, – მე მგონი, ჰერმიონი მართალია, უნდა წავიდეთ და ვნახოთ ლავგუდი.

ჰარიმ შეუბღვირა. მშვენივრად იცოდა, რომ რონი ჰერმიონს იმიტომ როდი მიემხრო, თითქოს სამკუთხა რუნის ამბის ინტერესი კლავდა.

– გოდრიკ ჰოლოუ არ გამეორდება, – დაამატა რონმა, – ლავგუდი ხომ შენკენაა, ჰარი. „ქარაგმები" ყოველთვის მხარს გიჭერდა და ახლაც ყველას მოუწოდებს, დაეხმარეთო!

– დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვანია! – დაიჟინა ჰერმიონმა.

– ჰო, მაგრამ, თუ ასეა, დამბლდორი სიკვდილამდე არ მეტყოდა?

– შეიძლება... მაგრამ იქნებ მაინცდამაინც შენ თვითონ უნდა მიხვდე? – ხავსს მოეჭიდა ჰერმიონი.

– რა თქმა უნდა, – მლიქვნელურად თქვა რონმა, – ზუსტად ამიტომ არ გეტყოდა.

– არაფერიც, – მიახალა ჰერმიონმა, – მაგრამ მაინც მგონია, რომ ბატონ ლავგუდს უნდა ველაპარაკოთ. ეს სიმბოლო დამბლდორს, გრინდელვალდსა და გოდრიკ ჰოლოუს რაღაცით ერთმანეთთან აკავშირებს. ჰარი, უნდა გავარკვიოთ!

– მოდი, კენჭი ვყაროთ, – თქვა რონმა, – აბა, ვინ არის ლავგუდთან წასვლის მომხრე? – და ჰერმიონს დასწრო ხელის აწევა. ჰერმიონმაც ცახცახით ასწია ხელი.

– უკაცრავად, მაგრამ უმცირესობაში ხარ, ჰარი, – რონმა მხარზე ხელი დაჰკრა.

– ძალიან კარგი, – თან გაღიზიანდა, თან მხიარულება შეეპარა ჰარის, – ოღონდ, ლავგუდს რომ ვინახულებთ, მოდი, მერე ჰორკრუქსებსაც მივხედოთ, კარგი? ისე, სად ცხოვრობენ ლავგუდები? იცით რომელიმემ?

– ჩვენთან ახლოს, – მიუგო რონმა, – ზუსტად არ ვიცი, სად,

Scanned by CamScanner

მაგრამ დედა და მამა მათ ხსენებაზე გორაკებისკენ იშვერენ ხელს. იოლად ვიპოვით.

როცა ჰერმიონი თავის საწოლზე დაბრუნდა, ჰარიმ ხმას დაუწია:

– მარტო იმიტომ დაეთანხმე, რომ მისი გული მოგეგო...

– სიყვარული და ომი ყველაფერს ამართლებს, ძმაო, – თვალები გაუბრწყინდა რონს, – ამ შემთხვევაში კი ერთიცაა და მეორეც. გამაგრდი, ჰარი. ზამთრის არდადეგებია, ლუნა შინ იქნება!

მეორე დილით აპარაცია მოახდინეს გორაკზე, საიდანაც სოფელ ოტერი-სენტ-კეჩპოულის მშვენიერი ხედი იშლებოდა. ამ მაღალი სათვალთვალო წერტილიდან სოფელი სათამაშო სახლების კოლექციას ჰგავდა და ღრუბლებში გამომკრთალი მზის დამრეცი სხივები ანათებდა. ორიოდე წუთს იდგნენ, თვალებს ხელით იჩრდილავდნენ და „ბუნაგისკენ" იყურებოდნენ, მაგრამ მხოლოდ ბაღჩის მაღალი ღობეები და ხეები გაარჩიეს, რომლებიც უისლების პატარა, გვერდზე გადახრილ სახლს მაგლების თვალისგან იფარავდა.

– რა საშინელებაა, რომ აქვე ვართ და მისვლა არ შეგვიძლია, – თქვა რონმა.

– ისე ამბობ, გეგონება დიდი ხანია არ ყოფილხარ. შობა იქ არ გაატარე? – ცივად უთხრა ჰერმიონმა.

– „ბუნაგში" რა მიმიყვანდა! – ჩაიხითხითა რონმა, – მივიდოდი და თქვენზე ვეტყოდი, მივატოვე-მეთქი? ფრედსა და ჯორჯს რა გაუძლებდა! ჯინი ხომ ქება-დიდებით ამავსებდა!

– მაშ, სად იყავი? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– ბილისა და ფლერის სახლში, „ნიჟარაში". ბილთან კიდევ შეიძლებოდა მისვლა. ჩემს საქციელზე სიხარულით არ გაგიჟებულა, მაგრამ არც გავულანძღივარ. მიხვდა, რომ მართლა ვნანობდი. სხვამ არავინ იცოდა, იქ თუ ვიყავი. ბილმა დედა გააფრთხილა, მე და ფლერი შობას შინ არ მოვალთ, მარტო ყოფნა გვირჩევნიაო. რაც დაქორწინდნენ, პირველი შვებულება ჰქონდა. ფლერი ამაზე სიამოვნებით დათანხმდა. შენც იცი, როგორ ვერ იტანს სელესტინა უორბეკს.

რონმა „ბუნაგს" ზურგი შეაქცია.

– მოდი, აქეთ წავიდეთ, – თქვა და გორაკის წვეროსკენ დაიძრა.

ჰარიმ, ჰერმიონის დაჟინებით, უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიფარა. რამდენიმე საათს იარეს. მათ წინ დაბალი გორაკები გადაიშალა. იქაურობა დაუსახლებელი ჩანდა. მხოლოდ ერთი პატარა სახლი იდგა და ისიც მიტოვებულს ჰგავდა.

– ვითომ, ლავგუდებისაა? საშობაოდ სადმე არიან წასულები? – იკითხა ჰერმიონმა და პატარა, კოპწია სამზარეულოს ფანჯარაში შეიჭყიტა; რაფაზე ნემსიწვერას ქოთანი იდგა.

Scanned by CamScanner

რონმა დაიქსუტუნა:

– მე მგონი, ლავგუდების ფანჯარაში რომ შეგვეხედა, მაშინვე მივხვდებოდით. მოდი, იმ გორაკებზე ვცადოთ.

აპარაცია გამოიყენეს და რამდენიმე მილის დაშორებით, უფრო ჩრდილოეთით დაეშვნენ.

– აი! – შეჰყვირა რონმა და ზევით მიუთითა, გორაკის თავზე. იქ დიდი, შავი ცილინდრის მსგავსი ყოვლად უცნაური სახლი აღმართულიყო. სახლის თავზე, დღისით, მზისით ლანდისებური მთვარე ეკიდა, – აი, ეს იქნება ლუნას სახლი. აქ სხვა ვინ იცხოვრებს? დიდი ეტლი გეგონება!

– ეტლს რა უგავს, – წარბშეკრულმა ახედა კოშკს ჰერმიონმა.

– ჭადრაკის ეტლს ვგულისხმობ, – დააზუსტა რონმა, – შენ რომ „ტურას" ეძახი.

რონი, როგორც ყველაზე გრძელი ფეხების პატრონი, პირველი ავიდა გორაკის თავზე. აქოშინებულ და ფერდზე ხელმიჭერილ ჰარისა და ჰერმიონს გაღიმებული დახვდა:

– მაგათია, შეხედეთ.

მორყეულ ჭიშკარზე სამი ხელნაწერი აბრა მიეკრათ. პირველზე ეწერა:

„ქარაბმები"

რედაქტორი ქ. ლავგუდი

მეორეზე:

მხოლოდ თქვენი ფითრი კრიფეთ!

მესამეზე კი:

დირიჟაბლა ქლიავს ფეხი არ დაადგათ!

ჭიშკარი ჭრიალით გაიღო. სახლისკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიკზე სხვადასხვა უცნაური მცენარე გაბარდულიყო, მათ შორის, ნარინჯისფერი ბოლოკის ფორმის ხილით დახუნძლული ბუჩქი. ამ ხილს ლუნა ზოგჯერ საყურედ იყენებდა. ჰარიმ ღრენია კუნძი იცნო და შორიდან მოუარა. კარს ორივე მხარეს დარაჯებივით ედგა ქარისგან გადახრილი ორი ბებერი, ფოთლებგაცვენილი, მაგრამ ჯერაც წითელი ნაყოფით დახუნძლული და თეთრწვერა ფითრით კენწეროებმორთული მაჟალოს ხე. მაჟალოს ტოტიდან პატარა, ბრტყელთავა ბუ ჩამოაშტერდა მოსულებს.

Scanned by CamScanner

– ჯობია, მოსასხამი მოიხსნა, ჰარი, – უთხრა ჰერმიონმა, – ბატონი ლავგუდი შენ უნდა დაგეხმაროს, ჩვენ კი არა.

ჰარიმ მოსასხამი მიაწოდა და ჰერმიონმა მძივებიან ჩანთაში ჩადო. მერე სამჯერ დააკაკუნა სქელ, ლურსმნებით მოჭედილ შავ კარზე, რომელსაც არწივის ფორმის ჩაქუჩი ეკიდა.

ათი წამიც არ იყო გასული, რომ კარი გაიღო და ფეხშიშველა ქსენოფილიუს ლავგუდი დაინახეს. ტანზე დალაქავებული ღამის პერანგივით რაღაც ეცვა. გრძელი, ჭაღარა, ბამბის ნაყინის მსგავსი თმა გასჭუჭყიანებოდა და გასწეწოდა. ბილისა და ფლერის ქორწილში უფრო მოწესრიგებული ჩანდა.

– რა? რა იყო? ვინა ხართ? რა გინდათ? – დაიყვირა წვრილი, შესაბრალისი ხმით და ჯერ ჰერმიონს შეხედა, მერე რონს და ბოლოს – ჰარის. მის დანახვაზე პირი დააღო.

– გამარჯობა, ბატონო ლავგუდ, – ხელი გაუწოდა ჰარიმ, – მე ჰარი ვარ, ჰარი პოტერი.

ქსენოფილიუსმა ხელი არ ჩამოართვა. ის თვალი, რომლითაც თავის ცხვირს არ დაჰყურებდა, ჰარის ნაიარევისკენ გაექცა.

– შეიძლება, შემოვიდეთ? – ჰკითხა ჰარიმ, – თქვენთან ერთი შეკითხვა გვაქვს.

– მე... არა მგონია, ჭკვიანური აზრი იყოს, – წაიჩურჩულა ქსენოფილიუსმა, ნერწყვი გადაყლაპა და თვალი სწრაფად მოავლო ბაღს, – ელდა მეცა... ღმერთმანი... მე მგონი, არ ღირს...

– დიდხანს არ შეგაწუხებთ, – უთხრა ამ არცთუ თბილი მიღებით ოდნავ იმედგაცრუებულმა ჰარიმ.

– აა... მაშ, კარგი. შემოდით, მალე, მალე!

ზღურბლზე გადაბიჯება ვერ მოასწრეს, რომ ქსენოფილიუსმა კარი მიაჯახუნა. ასეთი უცნაური სამზარეულო ჰარის თავის დღეში არ ენახა. ოთახი იდეალურად მრგვალი იყო და თავი გიგანტურ საპილპილეში გეგონებოდათ. ყველაფერი კედლების შესაფერისად მორკალული იყო: ქურა, ნიჟარა თუ კარადები. ავეჯი წითელ-ყვითელ-ლურჯი ყვავილებით, მწერებითა და ფრინველებით მოეხატათ. ლუნას სტილი იგრძნობოდა. დახურულ სივრცეში ეს ჭყეტელა მოხატულობა, ცოტა არ იყოს, დამთრგუნველი იყო.

ნაჭედი რკინის ხვეული კიბე შუა ოთახიდან ზედა სართულებზე ადიოდა. ზემოდან დიდი კაკუნ-ბრახუნი ისმოდა. ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ, ლუნა ზევითაა.

– ავიდეთ, – უხერხულად თქვა ქსენოფილიუსმა და სტუმრებს კიბეზე აუძღვა.

ზემოთა ოთახი სასტუმროსა და კაბინეტის ნარევს წააგავდა,

Scanned by CamScanner

ოღონდ, სამზარეულოზე უფრო არეულ-დარეული იყო. ეს ოთახი, მართალია, ბევრად პატარა და სრულიად მრგვალი იყო, მაგრამ მაინც საუკუნეთა მანძილზე დამალული ნივთებით სავსე გიგანტურ ლაბირინთად ქცეულ „მიშველე-ოთახს“ წააგავდა. ყველგან წიგნები და ფურცლები დაეხვავებინათ, ჭერში ჰარისთვის უცნობ სულიერთა მოდელები კონწიალობდა, ზოგი ფრთებს იქნევდა, ზოგიც – ყბებს აკაპუნებდა.

ლუნა შინ არ დაუხვდათ. საგანი, რომელიც ასეთ ხმაურს გამოსცემდა, ხისა იყო. ჯადოქრობით მოძრავი კბილანებითა და ბორბლებით დაფარული დიდი ზომის უცნობი ნივთი კომპიუტერის მაგიდისა და თაროების უცნაურ ნაერთს ჰგავდა, მაგრამ ჰარი მაშინვე მიხვდა, რაკი „ქარაგმებს“ ყრის, ძველებური საბეჭდი მანქანა იქნებაო.

– უკაცრავად, – ქსენოფილიუსი მანქანასთან მივიდა, წიგნებისა და ფურცლების უშველებელი გროვის ქვეშიდან ბინძური სუფრა გამოაძვრინა და საბეჭდ მანქანას გადააფარა. ხმამაღალი ბრახუნი და კაკუნი ცოტა მიჩუმდა. ლავგუდი ჰარის მიუბრუნდა:

– აქ რამ მოგიყვანათ? – თუმცა, სანამ ჰარი უპასუხებდა, ჰერმიონმა იკივლა:

– ბატონო ლავგუდ, ეს რა არის? – და კედელზე მიმაგრებულ უშველებელ რუხ, დაგრეხილ რქაზე მიუთითა, რომელიც ცალრქიანი ცხენის რქას წააგავდა.

– რქაგრეხილი ციკლოპის რქაა, – მიუგო ქსენოფილიუსმა.

– არაფერიც! – მოუჭრა ჰერმიონმა.

– ჰერმიონ, – წაიბუტბუტა შეცბუნებულმა ჰარიმ, – რა დროს ეგაა...

– ჰო, მაგრამ, ჰარი, ეს ფეთქნადირის რქაა. გასაყიდი მასალების „ბ“ ჯგუფში შედის და შინ გაჩერება ძალიან სახიფათოა!

– რა იცი, რომ ფეთქნადირის რქაა? – ჰკითხა რონმა და რამდენადაც არეულ-დარეული ოთახი საშუალებას აძლევდა, ფაცხაფუცხით გაერიდა რქას.

– ერთხელაც არ გადაგიშლია ხომ სახელმძღვანელო „ზღაპრული ცხოველები. სად ვიპოვოთ ისინი?“ იქ წერია. ბატონო ლავგუდ, ახლავე უნდა მოიშოროთ თავიდან. ნუთუ არ იცით, რომ ოდნავ მიკარებაზეც კი შეიძლება აფეთქდეს?

– რქაგრეხილი ციკლოპი, – ხაზგასმით და ჯიუტად გაიმეორა ქსენოფილიუსმა, – მორცხვი და დიდი ჯადოსნური ძალის მქონე არსებაა, ხოლო მისი რქა...

– ბატონო ლავგუდ. რქის ძირში არსებული შეფერილობით ვიცანი,

Scanned by CamScanner

ნამდვილად ფეთქნადირის რქაა და უზომოდ სახიფათო. არ ვიცი, სად იშოვეთ, მაგრამ...

– ორი კვირის წინ ვიყიდე, – კატეგორიულად შეაწყვეტინა ქსენოფილიუსმა, – ერთი მშვენიერი ყმაწვილი ჯადოქრისაგან, რომელმაც იცოდა, რარიგ მაინტერესებს მოხდენილი რქაგრეხილი ციკლოპები. საშობაო სიურპრიზია ჩემი ლუნასთვის. ახლა კი, – მიუბრუნდა ჰარის, – მაინც რისთვის მობრძანდით, ჰარი პოტერ?

– დახმარება გვჭირდება, – უთხრა ჰარიმ, სანამ ჰერმიონი ისევ თავისას დაიწყებდა.

– აა, – დაინტერესდა ქსენოფილიუსი, – დახმარება...

ჯანსაღი თვალით კვლავ ჰარის ნაიარევს მიაცქერდა. თან შეშინებული ჩანდა და თან – მონუსხული.

– ჰო... ჰარი პოტერის დახმარება... ძალიან სახიფათოა...

– განა თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველას არ ეუბნებოდით, თქვენი უმთავრესი მოვალეობა ჰარის დახმარებაა? – ჰკითხა რონმა.

ქსენოფილიუსმა სუფრაგადაფარებულ საბეჭდ მანქანას გახედა, რომელიც ჯერაც ბრახუნებდა და კაკუნებდა.

– ეე... დიახ, ეგ აზრი გამოვთქვი, თუმცა...

– ყველას ეხება, ოღონდ თქვენ არა? – ჩაეკითხა რონი.

ქსენოფილიუსმა ხმა არ გასცა. წარამარა ნერწყვს ყლაპავდა და თვალებს აცეცებდა. ჰარის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მოხუცი შინაგანად რაღაც მტკივნეულს ებრძოდა.

– ლუნა სად არის? – ჰკითხა ჰერმიონმა, – მას ვკითხოთ, რას ფიქრობს.

ქსენოფილიუსმა ისევ გადაყლაპა ნერწყვი. თითქოს თავს იმხნევებსო. ბოლოს, საბეჭდი მანქანის ხმაურში, ძლივს გაარჩიეს მისი აკანკალებული ხმა:

– ლუნა მდინარეზეა, მტკნარი წყლის პლიმპებს იჭერს. თქვენი... თქვენი ნახვა გაუხარდება. წავალ და დავუძახებ, მერე კი... ჰო, მერე ვეცდები, დაგეხმაროთ.

ლავგუდი ხვეულ კიბეზე დაეშვა და გაქრა; მერე კარის გაღებისა და დახურვის ხმა მოესმათ. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს შეხედეს.

– ლაჩარი ბებერი! – გაბრაზდა რონი, – ლუნა მაგაზე ათჯერ გამბედავია.

– ალბათ, ეშინია, რომ თუ სიკვდილის მხვრელები ჩემს აქ ყოფნას გაიგებენ, რამეს დაუშავებენ, – ივარაუდა ჰარიმ.

– მე რონს ვეთანხმები, – თქვა ჰერმიონმა, – ეგ ბებერი

Scanned by CamScanner

თვალთმაქცი, ეგა! ყველას მოუწოდებს, ჰარის დაეხმარეთო და თვითონ წყლიდან მშრალად უნდა ამოსვლა. თუ ღმერთი გწამთ, იმ რქას არ მიეკაროთ!

ჰარი ფანჯარასთან მივიდა. გორაკის ძირას გაჭიმული წვრილი, მოელვარე ლენტივით მოჩანდა ნაკადული. ფანჯარასთან ჩიტმა გაიფრთხიალა; ჰარიმ ამჯერად გორაკების მეორე რიგის მიღმა დარჩენილი „ბუნაგისკენ" გაიხედა. ალბათ, ჯინი „ბუნაგში" იყო. ბილისა და ფლერის ქორწილის შემდეგ ყველაზე ახლოს დღეს მივიდა მასთან, მაგრამ ჯინის აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ჰარი ახლა მისკენ იყურებოდა და მასზე ფიქრობდა. ჰარის თავში გაუელვა, ეს, ალბათ, უნდა მიხაროდესო, რადგან ვისთანაც კი ახლოს მივიდოდა, ყველას ხიფათში ხვევდა; ქსენოფილიუსის დახვედრა ამის მშვენიერი დასტური იყო.

ფანჯარას ზურგი შეაქცია და არეულ-დარეულ მაგიდაზე კიდევ ერთი უცნაური ნივთი დაინახა; ლამაზი, მაგრამ მკაცრი შესახედაობის ჯადოქარი ქალის ქვის ბიუსტს თავზე საკვირველი თავსაბურავი ეხურა: გვერდებიდან ოქროსფერი სასმენი მილებისმაგვარი საგნები გამოსჩროდა, ტყავის თასმაში წყვილი ცისფერი ფრთა იყო ჩარჭობილი, ხოლო ბიუსტის შუბლზე გადაჭერილ მეორე თასმაში ნარინჯისფერი ბოლოკი ჩაემაგრებინათ.

– ერთი, შეხედეთ, – მიუთითა ამ უცნაურობაზე ჰარიმ.

– გასაგიჟებელია, – ჩაიცინა რონმა, – ნეტავ ქორწილში რატომ არ დაიხურა?

უცებ კარის ჯახუნი გაიგონეს. წამის შემდეგ ქსენოფილიუსი ამოვიდა ხვეული კიბით. წვრილ ფეხებზე რეზინის ჩექმები ჩაეცვა და ლანგრით ნაირ-ნაირი ფინჯნები და ორთქლავარდნილი ჩაიდანი მოჰქონდა.

– აა, ჩემი საყვარელი გამოგონებისთვის მიგიგნიათ, – წამოიძახა და ლანგარი ჰერმიონს მიაჩეჩა ხელში, თვითონ კი ქანდაკებასთან მდგარ ჰარის მიუახლოვდა.

– ჭეშმარიტი გამონათქვამია: „კაცის ქონება – ჭკუა-გონება"! ჩემი გამოგონებაც ამ გამონათქვამის ავტორის – მშვენიერი როენა რეივენქლოს თავზეა მორგებული.

სასმენი მილაკების მსგავს საგნებზე მიუთითა:

– ეს ფანტიებია: მოაზროვნეს ყურადღების გამფანტავ მიზეზებს აშორებს. ეს, – ფრთებზე მიუთითა, – ბუზჟუვილას პროპელერია: ამაღლებულ გონება-განწყობილებას ქმნის, და ბოლოს, – ნარინჯისფერ ბოლოკზე მიუთითა, – დირიჟაბლა ქლიავი, რომელიც ექსტრაორდინარული მოვლენების აღქმის უნარს აძლიერებს.

Scanned by CamScanner

ქსენოფილიუსი ისევ ლანგართან მივიდა, რომელსაც ჰერმიონი ძლივს აკავებდა ხარახურით მოფენილ მაგიდაზე.

– ნება მიბოძეთ, გურდის ფესვის ნაყენით გაგიმასპინძლდეთ, – თქვა ქსენოფილიუსმა, – ჩვენი ნახელავია, – ჭარხლის წვენისფერი ნაყენი ჭიქებში ჩამოასხა და დაამატა: – ლუნა ქვედა ხიდის იქითაა, თქვენი მოსვლა ძალიან გაუხარდა. დიდხანს აღარ შეყოვნდება, უკვე იმდენი პლიმპი დაიჭირა, რომ წვნიანს ეყოფა. დასხედით და შაქარი ჩაიყარეთ.

– აბა, – სავარძლიდან ფურცლების სქელი დასტა აიღო ქსენოფილიუსმა, დაჯდა და ჩექმიანი ფეხი ფეხზე გადაიდო, – რით დაგეხმაროთ?

– მოგახსენებთ, – ჰარიმ ჰერმიონს გახედა. ჰერმიონმა გამამხნევებლად დაუქნია თავი, – იმ სიმბოლოზე გვინდოდა გვეკითხა, ბილისა და ფლერის ქორწილში რომ გეკეთათ, ბატონო ლავგუდ. გვაინტერესებს, რას ნიშნავს.

ქსენოფილიუსმა წარბები ასწია:

– სიკვდილის საჩუქრების ნიშანზე ბრძანებთ?

Scanned by CamScanner

თავი ოდამეერთე

სამი ძმის ამბავი

ჰარიმ რონსა და ჰერმიონს გადახედა. ეტყობოდათ, რომ ვერც ერთი ვერ მიხვდა ქსენოფილიუსის ნათქვამს.

– სიკვდილის საჩუქრები?

– დიახ, ბატონო, – თქვა ქსენოფილიუსმა, – არ გსმენიათ? არც მიკვირს. ათასში ერთ ჯადოქარს თუ სჯერა ამის. ხომ გახსოვთ, ის რეგვენი ყმაწვილი თქვენი ძმის ქორწილში, – მიმართა რონს, – ვითომ განთქმული ბნელი ჯადოქრის სიმბოლოს ტარებისთვის რომ დამაცხრა? რა უვიცობაა! სიკვდილის საჩუქრებში შავი მაგიის ნატამალიც არ ურევია, ყოველ შემთხვევაში, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა შავ მაგიას ნამდვილად არ უკავშირდებოდა. თუ ამ სიმბოლოს ატარებ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს, ვისაც შენსავით სწამს საჩუქრების არსებობისა, თავი გააცნო იმ იმედით, ეგებ ძიებაში დამეხმარონო.

ქსენოფილიუსმა თავის გურდის ფესვის ნაყენში რამდენიმე ნატეხი შაქარი ჩააგდო და მოსვა.

– უკაცრავად, – დაიბნა ჰარი, – მაინც ვერ გავიგე.

ზრდილობისთვის თვითონაც მოსვა ნაყენი და კინაღამ გული აერია. საზიზღარი სასმელი იყო, თითქოს ყველანაირი გემოს კანფეტებიდან წვინტლის გემოსი აარჩიეს და გაათხიერესო.

– საქმე ის გახლავთ, რომ ვისაც სწამს, ყველა დაეძებს სიკვდილის საჩუქრებს, – ქსენოფილიუსმა პირი სიამოვნებით ააწკლაპუნა, ეტყობა, გურდის ფესვის ნაყენი ეამა.

– და ეს სიკვდილის საჩუქრები რაღაა? – ჰკითხა ჰერმიონმა.

ქსენოფილიუსმა ცარიელი ფინჯანი გადადგა.

– ალბათ, „სამი ძმის ამბავი" გაგონილი გექნებათ, არა?

ჰარიმ მიუგო, არაო, რონმა და ჰერმიონმა კი თავი დაუქნიეს.

Scanned by CamScanner

– ჰოდა, მისტერ პოტერ, ყველაფერი „სამი ძმის ამბით“ დაიწყო... სადღაც წიგნი უნდა მქონდეს...

ლავგუდმა დაბნეულად მოავლო თვალი დახვავებულ პერგამენტებსა და წიგნებს, მაგრამ ჰერმიონმა დაასწრო:

– მეც მაქვს წიგნი, ბატონო ლავგუდ, აქვე მაქვს, – და პატარა, მძივებიანი ჩანთიდან „მგოსან ბიდლის ზღაპრები“ ამოიღო.

– ორიგინალია? – დაინტერესდა ქსენოფილიუსი, და როცა ჰერმიონმა თავი დაუქნია, თქვა, – კარგი, იქნებ ხმამაღლა წაგვიკითხოთ? ასე ყველანი გავიგებთ.

– კი, ბატონო, – ნერვიულად მიუგო ჰერმიონმა და წიგნი გადაშალა. ჰარიმ გვერდის დასაწყისში ის სიმბოლო დაინახა, რომლის ამბავსაც იკვლევდნენ. ჰერმიონმა ჩაახველა და დაიწყო:

– „იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. ერთხელაც ძმები უკაცრიელ, დაკლაკნილ გზას მიუყვებოდნენ. ბინდდებოდა...“

– შუაღამე იდგაო, დედა ყოველთვის ასე გვიყვებოდა, – ჩაურთო რონმა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და მოსასმენად მოემზადა. ჰერმიონმა გაღიზიანებული მზერა ესროლა.

– უკაცრავად, უბრალოდ ეს ამბავი, ალბათ, შუაღამისას უფრო საშინელი გამოჩნდებოდა, – თავი იმართლა რონმა.

– ჰო, ამ ცხოვრებაში ცოტა შიში არ გვაწყენდა, – უნებურად მიუგო ჰარიმ. ქსენოფილიუსი, ეტყობა, ყურს არ უგდებდა მათ – ფანჯრიდან ცას აჰყურებდა, – განაგრძე, ჰერმიონ.

– „ძმებს მდინარე გადაეღობათ: გასატოპად ღრმა და გადასაცურად საშიში. ჯადოქრობის ხელოვნებაში განსწავლულმა ძმებმა ჯოხები გაიქნიეს და საშიშ წყალზე ხიდი გაიდო. ნახევარი ხიდი რომ გადაიარეს, ვიღაც პირშებურული გადაეღობათ. ეს სიკვდილი იყო. სიკვდილი ძმებს გამოელაპარაკა...“

– უკაცრავად, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – სიკვდილი დაელაპარაკა?

– ეს ხომ ზღაპარია, ჰარი.

– ჰო, რა თქმა უნდა. ბოდიში, განაგრძე.

– „სიკვდილი ძმებს გამოელაპარაკა. ბოღმა ახრჩობდა, სამი მსხვერპლი როგორ დამისხლტაო (ამ მდინარეში, როგორც წესი, ყველა მგზავრი იხრჩობოდა), მაგრამ ცბიერი ღიმილით შეუქო მგზავრებს ჯადოქრობა და უთხრა, რადგან ჩემი თავიდან არიდება შეძელით, გამჭრიახობის გამო სამივეს ჯილდო გერგებათო.

უფროსი ძმა ჩხუბისთავი იყო და ისეთი ძლიერი ჯოხი სთხოვა, როგორიც არასოდეს არავის ჰქონია – ჯოხი, რომლის პატრონსაც ორთაბრძოლაში მუდამ გამარჯვება ეწერა და, როგორსაც სიკვდილის მძლეველი ჯადოქარი იმსახურებდა! სიკვდილი მდინარის ნაპირას

Scanned by CamScanner

მდგარ დიდგულას ხესთან მივიდა, ტოტი ჩამოატეხა, ჯადოსნური ჯოხი შექმნა და უფროს ძმას უბოძა.

შუათანა ძმა ქედმაღალი იყო. გადაწყვიტა, კიდევ უფრო დაემცირებინა სიკვდილი და გარდაცვლილთა გამოხმობის ძალა სთხოვა. სიკვდილმა მდინარის პირას დაგდებული ქვა აიღო, შუათანა ძმას უბოძა და უთხრა, ამ ქვას მიცვალებულთა დაბრუნების ძალა ექნებაო.

მერე სიკვდილი მესამე, უმცროს ძმას მიუბრუნდა, შენ რაღას ისურვებო. უმცროსი ძმა უფროსებზე თავმდაბალი და ბრძენი იყო, ამიტომაც არ ენდო სიკვდილს და სთხოვა, ისეთი რამ მიბოძე, რაც აქედან ისე წამიყვანს, რომ უკან ვერ გამომყვეო. სიკვდილმაც, თუმცა უხალისოდ და ყოყმანით, თავისი უჩინმაჩინის მოსასხამი მისცა".

– სიკვდილს უჩინმაჩინის მოსასხამი აქვს? – ისევ ვერ მოითმინა ჰარიმ.

– ჰო, ხალხს შეუმჩნევლად რომ მიეპაროს, – მიუგო რონმა, – როცა მათი დევნა, მხარზე ხელის ტყაპუნი და კივილი მობეზრდება... ბოდიში, ჰერმიონ.

– „მერე სიკვდილი განზე გადგა და ძმებს გზა დაუთმო. მათაც გზა განაგრძეს. გაოცებულები იყვნენ თავს გადამხდარი ამბით და სიკვდილის საოცარი საჩუქრებით.

მოვიდა დრო და თითოეული ძმა თავ-თავის გზაზე წავიდა.

უფროსმა ძმამ ერთი კვირა იარა და შორეულ სოფელს ესტუმრა, სადაც მისი ნაცნობი ჯადოქარი ცხოვრობდა. იმ ჯადოქართან ნაჩხუბარი იყო და ახლა ორთაბრძოლაში გამოიწვია. დიდგულას ჯოხის პატრონს რა დაამარცხებდა! მტერი უსულოდ დაგდებული დატოვა, თვითონ კი სასტუმროში გაჩერდა ღამის გასათევად. იქ ბაქიბუქს მოჰყვა, თვით სიკვდილს წავართვი უძლეველი ჯოხი და ჩემი მომრევი აღარავინაა.

იმ ღამითვე ღვინით გალეშილ მძინარე უფროს ძმას რომელიღაც ჯადოქარი მიეპარა, ჯოხი ააცალა და, თავი რომ დაეზღვია, ყელიც გამოსჭრა.

ასე დაისაკუთრა სიკვდილმა უფროსი ძმა.

ამასობაში შუათანა ძმა საკუთარ სახლში დაბრუნდა, ამოიღო მიცვალებულთა გამომხმობი ქვა და სამჯერ შეატრიალა ხელში. მისდა გასაოცრად და გასახარად მის წინ იმწამსვე გაჩნდა ქალიშვილი, რომლის ცოლად შერთვასაც აპირებდა, მაგრამ მისი თავი სიკვდილმა წაართვა.

თუმცა, საიქიოდან დაბრუნებული ქალიშვილი ცივი და სევდიანი იყო და შუათანა ძმისგან თითქოს საბურველი ჰყოფდა. მოკვდავთა

Scanned by CamScanner

სამყაროს კი დაუბრუნდა, მაგრამ ბოლომდე სააქაოსაც არ ეკუთვნოდა და იტანჯებოდა. ბოლოს შუათანა ძმა სიგიჟემდე მიიყვანა უიმედო სურვილმა, საცოლეს შეჰხებოდა, და თავი მოიკლა, რათა სატრფოსთან მიახლოება ასე მაინც შესძლებოდა.

ასე დაისაკუთრა სიკვდილმა შუათანა ძმაც.

უმცროსს კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ წელს ეძებდა, სიკვდილმა ვერსად მიაგნო. უმცროსმა ძმამ ღრმა სიბერეშიღა მოიხსნა უჩინმაჩინის მოსასხამი და თავის ვაჟს გადაულოცა. თვითონ კი ისე შეეგება სიკვდილს, როგორც თავის თანასწორ ძველ მეგობარს და სიხარულით წაჰყვა იმქვეყნად."

ჰერმიონმა წიგნი დახურა. ერთი-ორი წამი გავიდა, სანამ ქსენოფილიუსი მოისაზრებდა, რომ ჰერმიონმა კითხვა შეწყვიტა; მერე ფანჯარას თვალი მოაშორა და თქვა:

– ჰოდა, სწორედ ესენი გახლავთ.

– რა? – ჰკითხა გაოგნებულმა ჰერმიონმა.

– ესენი გახლავთ სიკვდილის საჩუქრები, – მიუგო ქსენოფილიუსმა, გვერდით მდგარი, ათასი ნივთით დახუნძლული მაგიდიდან ბატის ფრთა აიღო და წიგნებიდან პერგამენტის ნაგლეჯი გამოაძრო.

– უძლეველი ჯოხი, – თქვა და პერგამენტზე სწორი, ვერტიკალური ხაზი გაავლო, – სიცოცხლის ქვა, – ხაზს წრე შემოავლო, – და უჩინმაჩინის მოსასხამი, – ხაზიცა და წრეც სამკუთხედში მოაქცია და ის სიმბოლო გამოუვიდა, რომელმაც ასე დააინტერესა ჰერმიონი, – სამივე ერთად – სიკვდილის საჩუქრები.

– მაგრამ ამ ზღაპარში ეგ სიტყვები ნახსენები არ არის! – გაიოცა ჰერმიონმა.

– რატომ უნდა იყოს? – მოუჭრა ქსენოფილიუსმა, – ეს ხომ საბავშვო ზღაპარია და გასართობად უფროა ნაამბობი, ვიდრე ჭკუის სასწავლებლად. თუმცა, ვინც ამ ამბავში გათვითცნობიერებულია, ხვდება, რომ ეს ძველი ამბავი სწორედ იმ სამ ნივთზე ანუ საჩუქარზე მიგვანიშნებს, რომლებიც, თუკი გაერთიანდა, მფლობელს სიკვდილის მბრძანებლად აქცევს.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა, ქსენოფილიუსმა ფანჯარაში გაიხედა. მზე ჰორიზონტს მიახლოებოდა.

– ლუნა, ალბათ, მალე მორჩება პლიმპების ჭერას, – თქვა წყნარად.

– რომ ამბობთ, სიკვდილის მბრძანებელიო... – დაიწყო რონმა.

– სიკვდილის მბრძანებელი, – მიუგო ქსენოფილიუსმა და ხელი გაიქნია, – თუნდაც მძლეველი, მომრევი – რომელიც გენებოთ.

– მაგრამ მაშინ... ნუთუ... – ნელა განაგრძო ჰერმიონმა და ჰარიმ შეატყო, რომ ცდილობდა, ხმაში უნდობლობის ნატამალი არ

Scanned by CamScanner

შეჰპარვოდა, – ნუთუ მართლა გჯერათ ამ სამი ნივთის... ამ საჩუქრების... არსებობა?

ქსენოფილიუსმა ისევ ასწია წარბები.

– რაღა თქმა უნდა, მჯერა.

– მაგრამ, – ჰერმიონი უკვე ძლივს იკავებდა თავს გესლიანი შენიშვნისაგან, – ბატონო ლავგუდ, როგორ შეიძლება ამისი მართლა გჯეროდეთ...

– ლუნა მომიყვა თქვენ შესახებ, ქალიშვილო, – შეათვალიერა ქსენოფილიუსმა, – თქვენ, როგორც ვხედები, უჭკუო არ უნდა იყოთ, მაგრამ უკიდურესად შეზღუდული ბრძანდებით. ვიწროდ მოაზროვნე. გონებადახურული.

– ეჭებ ის მოგერგო, ჰერმიონ, – სიტყვის ბანზე აგდება სცადა რონმა და რეივენქლოს ბიუსტზე ჩამოცმული უაზრო თავსაბურავისკენ გაიქნია თავი. ცდილობდა, არ გასცინებოდა და ხმა დაძაბულობისგან აუთრთოლდა.

– ბატონო ლავგუდ, – ისევ დაიწყო ჰერმიონმა, – ყველამ ვიცით, რომ უჩინმაჩინის მოსასხამები მართლაც არსებობს. იშვიათობაა, მაგრამ მაინც არსებობს, ხოლო რაც შეეხება...

– ჰო, მაგრამ მესამე საჩუქარი ნამდვილი უჩინმაჩინის მოსასხამია, მის გრეინჯერ! ის არც დეილუზიონირების შელოცვით გაჟღენთილი სამგზავრო მოსასხამია, არც – დამაბრმავებელ ჯადოდადებული და არც ნახევრადხილვადი ძაფით ნაქსოვი, რომელიც თავიდან მართლაც მალავს პატრონს, მაგრამ დროთა განმავლობაში ხუნდება და ძალა ეკარგება. ჩვენ იმ მოსასხამზე ვლაპარაკობთ, რომელიც ნამდვილად, ჭეშმარიტად უხილავს ხდის მფლობელს და ეს ძალა მუდმივად აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა შელოცვას მოუვლენენ საწინააღმდეგოდ. რამდენი ასეთი მოსასხამი გინახავთ, მის გრეინჯერ?

ჰერმიონმა პასუხის გასაცემად პირი გააღო, მერე კი შეცბუნებულმა დამუწა. სამივემ ერთმანეთს გადახედა და ჰარი მიხვდა, რომ ისინიც იმასვე ფიქრობდნენ, რასაც თვითონ: ჩანთაში ზუსტად ისეთი მოსასხამი ედოთ, როგორიც ქსენოფილიუსმა აღწერა.

– დიახ, – გამარჯვებული ხმა ჰქონდა ქსენოფილიუსს, თითქოს მის არგუმენტებს წყალი არ გაუვიდოდა, – ასეთი რამ არც ერთს არ გინახავთ. მისი მფლობელი უსაზღვრო სიმდიდრის პატრონი შეიქნებოდა, არა? – ისევ ფანჯარაში გაიხედა. ცას ვარდისფერი გადაჰკრავდა.

– კეთილი, – თქვა დაბნეულმა ჰერმიონმა, – ვთქვათ, მოსასხამი არსებობს... ქვაზე რაღას იტყვით, ბატონო ლავგუდ, თქვენ რომ სიცოცხლის ქვა უწოდეთ?

Scanned by CamScanner

– რა უნდა ვთქვა?

– ასეთი ქვა როგორ იარსებებს?

– დაამტკიცეთ, რომ არ არსებობს, – მიუგო ქსენოფილიუსმა.

ჰერმიონმა აღშფოთებით შეხედა:

– კი, მაგრამ... უკაცრავად, ეს სასაცილოა! როგორ უნდა დავამტკიცო, რომ არ არსებობს? ნუთუ მსოფლიოში ყველა ქვა უნდა ავიღო და გავსინჯო? ასე ხომ ნებისმიერ რამეს გამოაცხადებთ არსებულად მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მისი არარსებობა არავის დაუმტკიცებია!

– რატომაც არა, – უთხრა ქსენოფილიუსმა, – მოხარული ვარ, რომ გონება ცოტათი მაინც გაგეხსნათ.

– და დიდგულას ჯოხი? – სწრაფად ჰკითხა ჰარიმ, სანამ ჰერმიონი შეეპასუხებოდა, – თქვენი აზრით, ეგეც არსებობს?

– ოჰ, მისი არსებობის დამამტკიცებელი უთვალავი საბუთი გვაქვს, – მიუგო ქსენოფილიუსმა, – დიდგულას ჯოხი ის საჩუქარია, რომლის კვალიც ყველაზე იოლად ჩანს, რადგან იგი განსაკუთრებული წესით გადადის ხელიდან ხელში.

– როგორ? – ვერ ითმენდა ჰარი.

– როგორ და, ჯოხის მფლობელმა წინა მფლობელს უნდა წაართვას, – აუხსნა ქსენოფილიუსმა, – დარწმუნებული ვარ, გსმენიათ, როგორ გადაეცა ემერიკ ავის ჯოხი ეგბერტ ხეპრეს? ან როგორ მოკვდა გოდელოტი თავის საკუთარ სარდაფში მას მერე, რაც მისმა ვაჟმა, ჰერევარდმა ჯოხი წაართვა? ანდა, საზარელი ლოქსიასი, რომელმაც ჯოხი ბარნაბა დევერილს წაართვა და მოკლა? დიდგულას ჯოხის სისხლიანი კვალი ჯადოქართა ისტორიის მრავალ გვერდს შემორჩა.

ჰარიმ ჰერმიონს გახედა. ჰერმიონი ქსენოფილიუსს უბღვერდა, მაგრამ აღარ ეკამათებოდა.

– თქვენი აზრით, სად უნდა იყოს დიდგულას ჯოხი? – ჰკითხა რონმა.

– სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, – ისევ ფანჯარაში გაიხედა ქსენოფილიუსმა, – ვინ იცის, სად გადამალეს... კვალი არკუსსა და ლივიუსთან წყდება. არავინ იცის, რომელმა მათგანმა დაამარცხა ლოქსიასი და რომელმა დაისაკუთრა ჯოხი. ვერავინ იტყვის, თვითონ ესენი ვინღა დაამარცხა. სამწუხაროდ, ისტორია ამ კითხვებზე პასუხს ვერ სცემს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ჰერმიონმა შემპარავად იკითხა:

– ბატონო ლავგუდ, სიკვდილის საჩუქრები პერეველთა ოჯახს რითიმე უკავშირდება?

Scanned by CamScanner

ქსენოფილიუსი გაოგნდა. ჰარის თითქოს რაღაც გაახსენდაო, მაგრამ რა – ზუსტად ვერ მიხვდა. პერეველი... ეს გვარი წინათაც სმენია...

– შეცდომაში შემიყვანეთ, ქალიშვილო? – ქსენოფილიუსი სკამზე გასწორდა და ჰერმიონს თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა, – მე მეგონა, ახალბედა მაძიებელი იყავით. საჩუქრების ბევრ მაძიებელს სჯერა, რომ ეს ამბავი სწორედ პერეველებს უკავშირდება!

– პერეველები ვინ არიან? – ჰკითხა რონმა.

– ეს გვარი გოდრიკ ჰოლოუში შეგვხვდა. იმ საფლავზე ეწერა, რომელზეც ეს ნიშანი იყო ამოკვეთილი, – აუხსნა ჰერმიონმა და ისევ ქსენოფილიუსს შეხედა, – იგნოტუს პერეველი.

– სნორედაც! – ქსენოფილიუსმა საჩვენებელი თითი საზეიმოდ ასწია, – იგნოტუსის საფლავზე სიკვდილის საჩუქრების სიმბოლო ერთობ დამაჯერებელი საბუთია!

– რისა? – ჰკითხა რონმა.

– იმისა, რომ ამ ზღაპრის გმირი სამი ძმა სინამდვილეში ძმები პერეველები იყვნენ: ანტიოქე, კადმუსი და იგნოტუსი! რომ ისინი იყვნენ საჩუქრების თავდაპირველი მფლობელები!

ლავგუდმა ერთხელაც გაიხედა ფანჯარაში, მერე წამოდგა, ლანგარი აიღო და ხვეული კიბისაკენ გაეშურა.

– სადილად ხომ დამეწვევით? – ამოსძახა კიბეზე ჩამავალმა, – ჩვენი მტკნარი წყლის პლიმპების წვნიანი განთქმულია. რეცეპტსაც კი გვთხოვენ ხოლმე.

– ალბათ, წმინდა მუნგოს კლინიკის მოწამვლის განყოფილებაში იყენებენ, – ჩაიდუდუნა რონმა.

ჰარიმ მოიცადა, სანამ ქსენოფილიუსი სამზარეულოში ჩავიდოდა და მერეღა ამოიღო ხმა:

– რას იტყვი? – ჰკითხა ჰერმიონს.

– კარგი, რა, ჰარი, – მიუგო დაქანცულმა ჰერმიონმა, – სისულელეა და მეტი არაფერი. ის ნიშანი ამას როგორ უნდა გამოხატავდეს! ეს, ალბათ, რაღაც ახირებული თვალსაზრისია. ქსენოფილიუსთან ლაპარაკით მხოლოდ დროს ვკარგავთ.

– ეს ის კაცია, ვისაც რქაგრეხილი ციკლოპის არსებობისა სჯერა, – შენიშნა რონმა.

– მაშ, არც შენ გჯერა? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, ეგ ისეთ ამბავს ჰგავს, ბავშვებს რომ ჭკუის სასწავლებლად უყვებიან ხოლმე: ნუ გაეხვევი ხიფათში, ნუ იჩხუბებ, ნუ დაიჭერ საქმეს ისეთ რამესთან, რასაც ჯობია, გვერდი აუარო! წესიერად მოიქეცი, საქმეს მიხედე და კარგად იქნები. აბა, დაფიქრდით, იქნებ

Scanned by CamScanner

ეგ ზღაპარი იმაზეა, რომ დიდგულას ჯოხებს უბედურება მოაქვს?

– რას ამბობ?

– რამე ცრურწმენა ხომ არაა? მაგალითად, ამის მსგავსი: „მაისში დაბადებული ჯადოქარი ქალი მაგლის ცოლი გახდება"; „შებინდებისას დადებული ჯადო შუაღამისას აიხსნება"; „ვაშლის ხის ჯოხის პატრონს სიმდიდრე არ უწერია". ალბათ, გსმენიათ. დედაჩემმა უთვალავი იცის.

– მე და ჰარი მაგლებთან გავიზარდეთ, – შეახსენა ჰერმიონმა, – და სხვა ცრურწმენები გვასწავლეს, – მერე ღრმად შეისუნთქა სამზარეულოდან ამომავალი მქისე სუნი. ქსენოფილიუსზე მის გაღიზიანებას ერთი სიკეთე მაინც მოჰყვა: როგორც ჩანდა, დაავიწყდა, რონზე რომ ბრაზობდა, – მე მგონი, მართალი ხარ, – დაეთანხმა რონს, – ჭკუის სასწავლი ზღაპარია და სხვა არაფერი. ხომ ისედაც ცხადია, რომელი საჩუქარი სჯობს ყველას და რომელსაც აირჩევდით?..

და უცებ სამივემ ერთდროულად თქვა: ჰერმიონმა – „მოსასხამს", რონმა – „ჯოხს", ჰარიმ კი – „ქვას".

მერე ამ უცნაურობით გახალისებულებმა და გაკვირვებულებმა ერთმანეთს შეხედეს.

– მოსასხამი კი თქვი, – უთხრა რონმა ჰერმიონს, – მაგრამ თუ ჯოხი გაქვს, უჩინარობა რაღად გინდა? უძლეველი ჯოხი ყველაფერს სჯობია, ჰერმიონ, დაფიქრდი!

– მით უმეტეს, რომ უჩინმაჩინის მოსასხამი უკვე გვაქვს, – დაამატა ჰარიმაც.

– და ბევრჯერაც გვიშველა, ვერ შეამჩნიე? – შეეპასუხა ჰერმიონი, – ჯოხი კი მხოლოდ უბედურებას იზიდავს.

– ეგ მაშინ, თუ ისეთი ბრიყვი ხარ, რომ ცეკვა-ცეკვით და ჯოხის ქნევით ივლი და იმღერებ: „უძლეველი ჯოხი მაქვს, აბა, ვინ გამეჯიბრება, რომელი ხართ მაგარიო", – ჩაურთო რონმა, – ხოლო თუ ჩუმად იქნები...

– ჰო, მაგრამ ჩუმად როგორღა იქნები? – ეჭვით ჰკითხა ჰერმიონმა, – ლავგუდმა ერთადერთი სწორი რამ გვითხრა: ასობით წელია, რაც დაუმარცხებელ ჯოხებზე ლაპარაკობენ.

– მართლა? – ჰკითხა ჰარიმ.

ჰერმიონმა ბრაზით შეხედა. ეს გამომეტყველება ისეთი ნაცნობი იყო, რომ ჰარიმ და რონმა ერთმანეთს შესცინეს.

– სიკვდილის ჯოხი, ილბლის ჯოხი: საუკუნეთა განმავლობაში ისტორიაში სხვადასხვა სახელით ჩნდება. ის, როგორც წესი, რომელიმე ბნელი ჯადოქრის საკუთრებაა, რომელიც ამ ჯოხით ტრაბახობს. პროფესორმა ბინსმა რამდენიმე მათგანი ახსენა, მაგრამ... ოჰ,

Scanned by CamScanner

სისულელეა. ჯოხს იმდენი ძალა აქვს, რამდენიც – პატრონს. ზოგიერთ ჯადოქარს უბრალოდ ტრაბახი უყვარს, ჩემი ჯოხი სხვებისაზე უკეთესიაო.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული? – არ დაუთმო ჰარიმ, – იქნებ ის ჯოხები, ანუ სიკვდილის ჯოხიცა და ილბლის ჯოხიც, სწორედ უძლეველი ჯოხია, ოლონდ, საუკუნეთა განმავლობაში სხვადახვა სახელით ამოტივტივდებოდა ხოლმე?

– ჰო, იქნებ სინამდვილეში ყველა ეს ჯოხი სწორედ სიკვდილის ნახელავი დიდგულას ჯოხია? – თქვა რონმაც.

ჰარის გაეცინა. ერთმა უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში, რაც მაშინვე სასაცილოდ მოეჩვენა: მისი ჯოხი ხომ ბაძგისა იყო და არა დიდგულასი, თანაც – ოლივანდერის ნახელავი. მიუხედავად იმისა, რომ თვითნებურად იჯადოქრა, როცა ვოლდემორი მოსდევდა, თუკი უძლეველი იყო, როგორღა გატყდა?

– ქვას რატომ აირჩევდი? – ჰკითხა ჰარის რონმა.

– იმიტომ, რომ თუ მიცვალებულების დაბრუნება შეგვეძლებოდა, სირიუსიც გვეყოლებოდა... მრისხანეთვალაც... დამბლდორიც... ჩემი მშობლებიც...

არც რონს გაჰღიმებია და არც ჰერმიონს.

– მაგრამ თუ მგოსან ბიდლის დავუჯერებთ, აქ დაბრუნება, ალბათ, არ ენდომებოდათ, – დაასკვნა ჰარიმ იმ ზღაპრიდან გამომდინარე, რომელიც ის იყო, მოისმინეს, – არა მგონია, ბევრი სხვა ზღაპარი იყოს საიქიოდან მიცვალებულების გამომხმობ ქვაზე, არა? – ჰკითხა ჰერმიონს.

– არა, – სევდიანად მიუგო ჰერმიონმა, – მე მგონი, ქსენო ლავგუდის გარდა, თავს არავინ მოიტყუებს და ამნაირ რამეს არ დაიჯერებს. ბიდლმა ეს იდეა, ალბათ, ფილოსოფიური ქვიდან ისესხა და უკვდავების მომნიჭებელი ქვა მკვდრების გამაცოცხლებელი ქვით შეცვალა.

სამზარეულოდან მომავალი სუნი უფრო და უფრო მძაფრდებოდა. კაცს ეგონებოდა, ძველმან ჩვრებს ტრუსავენო. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავი იმდენის შეჭმას მაინც თუ მოვახერხებ, რომ მოხუცს არ ვაწყენინოო.

– მოსასხამზე რაღას იტყვი? – წყნარად განაგრძო რონმა, – მაგაში ხომ მაინც მართალია? ჰარის მოსასხამს ისე მივეჩვიე, რომ არც კი მიფიქრია, რა კარგი რამეა. სხვა ასეთი მოსასხამის არსებობის ამბავი არც მსმენია. თავს დავდებ, მის ქვეშ თავის დღეში არავის დავუნახივართ...

Scanned by CamScanner

– რა თქმა უნდა, არ დავუნახივართ... მოსასხამქვეშ ხომ სრულიად უჩინრები ვართ, რონ.

– მაგრამ სხვა მოსასხამებიც ხომ არსებობს და არც ისინი ელირება ორი კნატი. ქსენოფილიუსმა მართალი თქვა. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ როცა მოსასხამი ძველდება, ჯადო გასდის ან შელოცვით იხევა და ნახვრეტები უჩნდება. ჰარის ეს მოსასხამი მამისგან ერგო, გამოდის, რომ ძველია, მაგრამ... უნაკლო!

– მართალია, რონ, მაგრამ ქვა...

სანამ ჰერმიონი და რონი ჩურჩულით დავობდნენ, ჰარიმ ოთახი კიდევ ერთხელ მოათვალიერა. ხვეულ კიბეს დაბნეულად ააყოლა თვალი ზედა სართულამდე და იქაურობამ მაშინვე მიიზიდა: ზედა სართულის ჭერიდან თავისი სახე დაჰყურებდა. წამით დაიბნა, მერე მიხვდა, რომ სარკე კი არა, პორტრეტი იყო. ცნობისმოყვარეობამორეული აუყვა კიბეს.

– ჰარი, რას აკეთებ? მასპინძლის ნებართვის გარეშე აქეთ-იქით რატომ დადიხარ? – მოესმა ჰარის, მაგრამ უკვე ზედა სართულზე იყო ასული. ლუნას ოთახის ჭერს ხუთი მშვენივრად დახატული პორტრეტი ამშვენებდა: ჰარი, რონი, ჰერმიონი, ჯინი და ნევილი. ჰოგვორტსის პორტრეტებივით არ მოძრაობდნენ, მაგრამ რაღაც ჯადოქრობა მაინც იგრძნობოდა. ჰარის ეგონა, პორტრეტები სუნთქავენო. ისიც შეამჩნია, რომ ის, რაც ოქროს წვრილი ჯაჭვივით შემოჰხვეოდა სურათებს და აერთებდა, სინამდვილეში ოქროსფერი მელნით ათასჯერ გამეორებული ერთი სიტყვა იყო: მეგობრები... მეგობრები... მეგობრები...

ჰარის გული სითბოთი აევსო. ოთახს თვალი მოავლო. სანოლთან დიდი ფოტოსურათი იდო – პატარა ლუნა ჩაეხუტებინა ქალს, რომელიც ძალიან ჰგავდა ლუნას. ამ სურათზე ლუნა გაცილებით უფრო მოვლილი ჩანდა, ვიდრე ჰარის ოდესმე ენახა. სურათი მტვრიანი იყო. ეუცნაურა. მიიხედ-მოიხედა. რაღაც რიგზე არ იყო. იატაკზე დაფენილ ცისფერ ხალიჩასაც მტვრის სქელი ფენა ედო. გარდერობიც ცარიელი იყო. საწოლს ეტყობოდა, რომ რამდენიმე კვირა შიგ არავის სძინებოდა. უახლოეს ფანჯარაზე, სისხლისფერი ცის ფონზე, აბლაბუდა გადაჭიმულიყო.

– რა ხდება? – ჰკითხა კიბეზე სირბილით ჩამავალ ჰარის ჰერმიონმა, მაგრამ სანამ ჰარი უპასუხებდა, ქსენოფილიუსი სამზარეულოდან ამოვიდა. ლანგარზე ახლა ფიალები დაელაგებინა.

– ბატონო ლავგუდ, ლუნა სად არის? – ჰკითხა ჰარიმ.

– რა ბრძანეთ?

– ლუნა სად არის?

Scanned by CamScanner

ქსენოფილიუსი ბოლო საფეხურზე შეჩერდა.

– ხომ... ხომ გითხარით, ხიდზეა და პლიმპებს იჭერს-მეთქი.

– კეთილი, მაგრამ წვნიანი ოთხი კაცისთვის რატომ ამოიტანეთ?

ქსენოფილიუსმა რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. საბეჭდი მანქანის რახრახი და ლანგრის ჩხარუნილა ისმოდა: ქსენოფილიუსს ხელები უკანკალებდა.

– მე მგონი, ლუნა რამდენიმე კვირაა, აქ არ ყოფილა, – მტკიცე ხმით განაგრძო ჰარიმ, – ტანსაცმელი არ არის, საწოლში რა ხანია, არავის სძინებია. სად არის? თან, სულ ფანჯარაში რატომ იყურებით?

ქსენოფილიუსმა ლანგარს ხელი გაუშვა. ფიალები დაცვივდა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ჯოხები მოიმარჯვეს. ქსენოფილიუსმა ჯიბისკენ წაიღო ხელი, მაგრამ შუა გზაზე გაუშეშდა. საბეჭდმა მანქანამ დაიგრუხუნა, სუფრის ქვემოდან იატაკზე უამრავი „ქარაგმები" გადმოყარა და როგორც იქნა, დადუმდა. ჰერმიონი დაიხარა და ერთი ჟურნალი აიღო, თან ჯოხს კვლავ ლავგუდს უმიზნებდა.

– ჰარი, შეხედე! – ჰარიმ ამ არეულობაში ძლივს მიაღწია ჰერმიონთან. „ქარაგმების" ყდაზე მისი სურათი იყო დაბეჭდილი. სურათის ქვემოთ კარგად ნაცნობი წარწერა მოჩანდა: „არასასურველი პიროვნება №1", ქვემოთ კი ჯილდოდ გამოცხადებული თანხა ეწერა.

– მაშ, „ქარაგმებმა" კურსი შეიცვალა? – ცივად ჰკითხა ჰარიმ, თან გამალებული ფიქრობდა, – მაშ, როცა ბაღში გახვედით, ბატონო ლავგუდ, სამინისტროში ბუ გაგზავნეთ?

ქსენოფილიუსმა ტუჩები მოილოკა:

– ჩემი ლუნა წაიყვანეს, – წაიჩურჩულა, – იმის გამო, რასაც ვწერდი. ჩემი ლუნა წაიყვანეს და არ ვიცი, სად არის ან რა უყვეს. მაგრამ შეიძლება დამიბრუნონ, თუ მე... თუ მე...

– ჰარის გასცემთ? – დაამთავრა ჰერმიონმა.

– არ გამოგივათ, – გადაჭრით თქვა რონმა, – გზა მოგვეცით, მივდივართ.

ქსენოფილიუსი საშინელი შესახედავი იყო – ასი წლის მოხუცს დაემსგავსა. ტუჩები საშინელმა ღიმილმა მოუგრიხა.

– წუთი წუთზე აქ იქნებიან. ლუნა უნდა გადავარჩინო. ლუნას ვერ დავკარგავ. ვერ გაგიშვებთ!

კიბის თავზე მდგომმა ქსენოფილიუსმა ხელები გაშალა და ჰარის უცებ დედა წარმოუდგა, რომელიც ასევე იდგა მისი საწოლის წინ.

– ნუ გვაიძულებთ, რამე დაგიშავოთ, – უთხრა ჰარიმ, – მოგვეცალეთ, ბატონო ლავგუდ.

– ჰარი, შეხედე! – იკივლა ჰერმიონმა.

ფანჯრებთან ცოცხებზე ამხედრებულმა ფიგურებმა ჩაიქროლეს.

Scanned by CamScanner

როგორც კი სამივემ თვალი მოაშორა, ქსენოფილიუსმა მაშინვე ჯოხი ამოიღო. ჰარი დროულად მიხვდა შეცდომას. გვერდზე გახტა, რონსა და ჰერმიონსაც ხელი ჰკრა და ქსენოფილიუსის გამოტყორცნილი გაშეშების შელოცვა ააცდინა. შელოცვამ გაიქროლა და ფეთქნადირის რქას მოხვდა.

გაისმა ყურისწამღები გრუხუნი – თითქოს ოთახი ჩამოინგრაო. ხის, ქაღალდისა და ქვების ნატეხ-ნაფლეთები ქვევით ცვიოდა. თეთრი მტვრის სქელი ღრუბელი ავარდა. ჰარი გადაფრინდა, მერე კი იატაკზე დაენარცხა. ვერაფერს ხედავდა, ნამსხვრევების წვიმისგან თავდასაცავად თავს ხელებით იფარავდა. მხოლოდ ჰერმიონის კივილი, რონის ბღავილი და საშინელი ბრაგაბრუგი ესმოდა. გაიფიქრა, ალბათ, ქსენოფილიუსს ფეხი დაუცდა და კიბეზე დაგორდაო. ნანგრევებში ნახევრად ჩაფლულმა ამოძრომა სცადა. ისეთი მტვერი იდგა, ძლივს სუნთქავდა. სანახევროდ ჩამოქცეულ ჭერში ლუნას მძივი ქანაობდა. იქვე როენა რეივენქლოს ბიუსტი ეგდო, ნახევარი სახე აღარ ჰქონდა; პერგამენტის ნაგლეჯები ჰაერში დაფარფატებდა, საბეჭდი მანქანა აყირავებულიყო და სამზარეულოში ჩამავალი კიბის თავს კეტავდა. უცებ ჰარის გვერდით თეთრი ფიგურა შეირხა: ქანდაკებასავით მტვერში გახვეულმა ჰერმიონმა ტუჩებზე თითი მიიდო, გაჩუმდითო. ქვემოთ კარი გაჯახუნდა.

– ხომ გეუბნებოდით, ნუ ვიჩქარებთ-მეთქი, ტრავერს? – გაისმა უხეში ხმა, – ხომ გეუბნებოდით, ეს გიჟი, ალბათ, ისევ ბოდავს-მეთქი? – გაისმა ლანანი და ქსენოფილიუსის ტკივილით სავსე ყვირილი:

– არა... არა... ზემოთ პოტერია!

– წინა კვირას ხომ გითხარი, ლავგუდ, თუ მნიშვნელოვანი არაფერი იცი, აღარ შეგვაწუხო-მეთქი! წინა კვირა გახსოვს? როცა გინდოდა, რომ შენი გოგო იმ სულელურ თავსაბურავში გაგეცვალა? იმის წინ... – ისევ დარტყმა, ისევ განწირული ყვირილი, – გეგონა, შვილს დაგიბრუნებდით, თუ დაგვიმტკიცებდი, რომ ის სულელური... – დარტყმა, – რქაგრეხილი... – დარტყმა, – ციკლოპები მართლა არსებობენ?!

– არა... არა... გემუდარებით! – ქვითინებდა ქსენოფილიუსი, – ზემოთ მართლა პოტერია, მართლა!

– და ახლაც იმიტომ დაგვიძახე, რომ აგვაფეთქო? – არ ცხრებოდა სიკვდილის მხვრელი. ამას დიდი ტყაპატყუპი და ქსენოფილიუსის თავზარდამცემი გოდება მოჰყვა.

– აქაურობა სადაცაა ჩამოიქცევა, სელვინ, – გაისმა მეორე, წყნარი ხმა და ექო ჩაქცეულ კიბეზე გახმიანდა, – კიბე ჩახერგილა. ვცადოთ, ასვლა? ვაითუ, მთლიანად ჩამოწვეს.

Scanned by CamScanner

– აი, შე ცრუპენტელა თაღლითო, შენა! – შეჰყვირა ჯადოქარმა, რომელსაც სელვინი ერქვა, – პოტერი, ალბათ, შენს დღეში არ გინახავს! ჩვენზე იფიქრე, შემოვიტყუებ და დავხოცავო, არა? გგონია, შენს გოგოს მაგით დაიბრუნებ?

– გეფიცებით... გეფიცებით... პოტერი ზემოთაა!

– ჰომენუმ რეველიო, – წარმოთქვა ხმამ კიბის ძირში. ჰარის ჰერმიონის ამოკვნესა მოესმა და თვითონ უცნაური შეგრძნება დაეუფლა.

– იქ მართლა ვიღაცაა, სელვინ, – სწრაფად თქვა მეორე ხმამ.

– პოტერია, გეუბნებით, პოტერია-მეთქი! – ქვითინებდა ქსენოფილიუსი, – გემუდარებით, გეხვეწებით, ლუნა დამიბრუნეთ, ოღონდ ლუნა დამიბრუნეთ...

– მიიღებ შენს პატარა გოგოს, ლავგუდ, – მიუგო სელვინმა, – თუ იმ კიბეზე ახვალ და ჰარი პოტერს ჩამომიყვან. მაგრამ თუ მახეა და ზევით დამქაში გყავს ჩასაფრებული, მაშინ გარწმუნებ, შეიძლება შენი გოგოს ერთი ნაგლეჯი მხოლოდ დასამარხად მოგიგდოთ.

ქსენოფილიუსმა შიშითა და სასოწარკვეთით დაიზმუვლა. გაისმა ჩქარი ნაბიჯების ხმა. შეშინებული მოხუცი ცდილობდა, ნანგრევებში გამოეღწია და კიბეზე ამოსულიყო.

– უნდა წავიდეთ, – დაიჩურჩულა ჰარიმ.

სცადა, კიბეზე ამომავალი ქსენოფილიუსის ხმაურით ესარგებლა და ნანგრევებიდან ამოსულიყო. რონი ყველაზე ღრმად იყო ჩაფლული. ჰარი და ჰერმიონი, შეძლებისდაგვარად ჩუმად გადაძვრნენ იმ ნანგრევებზე, სადაც რონი იწვა და შეეცადნენ, ფეხებიდან მძიმე კარადა მოეშორებინათ. სანამ ქსენოფილიუსის ფეხის ხმა ახლოვდებოდა, ჰერმიონმა კარადა ლივლივის შელოცვით ასწია და რონი გაათავისუფლა. მერე ჰარის მიუბრუნდა:

– ჰარი, მენდობი?

ჰარიმ თავი დაუქნია.

ამასობაში ქსენოფილიუსმა კიბე თითქმის ამოათავა.

– კარგი, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – მომეცი უჩინმაჩინის მოსასხამი. რონ, გადაიხურე...

– მე? კი მაგრამ, ჰარი?..

– გეხვეწები, რონ! ჰარი, მაგრად მომკიდე ხელი. რონ, მხარში ჩამეჭიდე.

ჰარიმ მარცხენა ხელი გაუწოდა. რონი მოსასხამის ქვეშ გაქრა. კიბეზე გაჩხერილი საბეჭდი მანქანა აყანყალდა. ქსენოფილიუსი ცდილობდა, ლივლივის შელოცვით მოეშორებინა გზიდან. ჰარი ვერ მიხვდა, რატომ აყოვნებდა აპარაციას ჰერმიონი.

Scanned by CamScanner

– მაგრად მომეჭიდეთ, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – მაგრად... ცოტაც, და...

ბუფეტის თავზე ქსენოფილიუსის ქაღალდივით გაფითრებული სახე გამოჩნდა.

– ობლივიატე! – იყვირა ჰერმიონმა და ჯოხი ჯერ ქსენოფილიუსს დაუმიზნა სახეში, მერე კი მათ ქვეშ, იატაკს:

– დეპრიმო!

სასტუმრო ოთახის იატაკი მრგვლად ჩაინგრა და სამივე ლოდებივით ჩაცვივდა პირველ სართულზე. ჰარი მთელი ძალ-ღონით ეჭიდებოდა ხელზე ჰერმიონს. ქვემოდან ბღავილი გაისმა და ჰარიმ დაინახა, როგორ გადაცვივდა ორი კაცი აქეთ-იქით, რათა ჩამონგრეული ჭერიდან წვიმასავით წამოსულ ქვებსა და ავეჯის ნამტვრევებს გარიდებოდნენ. ამასობაში ჰერმიონი ჰაერში დაბზრიალდა და ჩამოქცეული სახლის გრიალ-ზრიალით დაყრუებული ჰარი კიდევ ერთხელ წაიყოლა წყვდიადში.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეორე

სიკვდილის საჩუქრები

ჰარი აქოშინებული დაეცა ბალახზე და მაშინვე წამოდგა. მალევე გაარჩია, რომ რომელიღაც მინდორში იყვნენ; ჰერმიონი მათ უკვე სირბილით უვლიდა გარშემო და ჯოხს იქნევდა:

– პროტეგო ტოტალუმ... სალვიო ჰექსია...

– ის ბებერი გამყიდველი, ისა, – ამოიხავლა რონმა, უჩინმაჩინის მოსასხამი მოიძრო და ჰარის გადაუგდო, – ჰერმიონ, გენიოსი ხარ, გენიოსი. არ მჯერა, რომ დავუძვერით!

– ინიმიკუმ კარავი... ხომ ვუთხარი, ფეთქნადირის რქაა-მეთქი? ახლა უსახლკაროდ დარჩა!

– ღირსია, – რონი გახეულ ჯინსსა და ჩალურჯებულ წვივებს დააცქერდა, – ნეტავ, რას უზამენ?

– იმედია, არ მოკლავენ! – ამოიკვნესა ჰერმიონმა, – ამიტომ მინდოდა, სიკვდილის მხვრელებს ჰარისთვის მოეკრათ თვალი და გაეგოთ, რომ ქსენოფილიუსს ისინი არ მოუტყუებია!

– მე რატომღა დამმალე? – ჰკითხა რონმა.

– შენ ხომ ჩუტყვავილა გაქვს და ლოგინში წევხარ. ლუნა იმიტომ მოიტაცეს, რომ მამამისი ჰარის უჭერდა მხარს. შენიანებს რაღას უზამდნენ, თუ ნახავდნენ, რომ ჰარისთან ხარ?

– ჰო, მაგრამ დედაშენი და მამაშენი?

– ისინი ავსტრალიაში არიან, – გაახსენა ჰერმიონმა, – რა დაუშავდებათ. არაფერი არ იციან.

– გენიოსი ხარ, – მოწიწებით გაიმეორა რონმა.

– მართლაც, ჰერმონ, – აღტაცებული იყო ჰარიც, – უშენოდ რა გვეშველებოდა!

ჰერმიონს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მაშინვე დასერიოზულდა:

– ლუნას რა ეშველება?

Scanned by CamScanner

– რა ვიცი. თუ მართალს ამბობენ და ჯერ ცოცხალია... – დაიწყო რონმა.

– მაგას ნუ ამბობ! – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ცოცხალი იქნება, აბა, რა!

– მაშინ, ალბათ, აზკაბანში იქნება, – ივარაუდა რონმა, – იქ კი, აბა, რა გადაარჩენს... ბევრი ვერ უძლებს...

– გადარჩება, – თქვა ჰარიმ. სხვა რამეზე ფიქრიც არ უნდოდა, – ლუნა ყოჩაღია, თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ყოჩაღი. პატიმრებს, ალბათ, რაქსპურტებისა და კბენია მახათყლაპიების ამბებს უყვება.

– ნეტავ, მართალი იყო, – ჰერმიონმა თვალები მოიფშვნიტა, – ისე, ძალიან შემეცოდებოდა ქსენოფილიუსი, მას რომ...

– სიკვდილის მხვრელებისთვის არ ნდომოდა ჩვენი მიყიდვა, – დაამთავრა რონმა.

კარავი გაშალეს და შიგ შევიდნენ, რონმა ჩაი აადუღა. ბენვზე გადარჩენის შემდეგ ეს შმორიანი, ძველი კარავი ლამის სახლი ეგონათ: მყუდრო და უსაფრთხო.

– რამ წაგვიყვანა! – დაიკვნესა ჰერმიონმა რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ, – მართალს ამბობდი, ჰარი, მეორე გოდრიკ ჰოლოუ აღმოჩნდა, დრო ტყუილად დავკარგეთ. სიკვდილის საჩუქრები... რა სისულელეა... მემგონი... – ჰერმიონს, ეტყობა, უცებ რაღაც მოაფიქრდა, – ამ ამბავს იქვე, ჩვენ წინ იგონებდა. ალბათ, სულაც არ სჯერა სიკვდილის საჩუქრებისა, უბრალოდ უნდოდა, სიკვდილის მხვრელების მოსვლამდე დავეყოვნებინეთ!

– არა მგონია, – თქვა რონმა, – როცა გასაჭირში ხარ, რამის გამოგონება იმაზე ძნელია, ვიდრე თქვენ გგონიათ. ტაციებმა რომ დამიჭირეს, სტენად თავის გასაღება უფრო იოლი მეჩვენა, ვიდრე ახალი ვინმეს გამოგონება. ის ბებერი ლავგუდი სნორედაც რომ დიდ გასაჭირში იყო და ცდილობდა, როგორმე დავეკავებინეთ. ჩემი აზრით, ლაპარაკში შესაყოლიებლად ან სიმართლეს გვეუბნებოდა, ან იმას, რაც თვითონ სიმართლე ჰგონია.

– ისე, ამას, ალბათ, არცა აქვს მნიშვნელობა, – ამოიოხრა ჰერმიონმა, – სიმართლეც რომ ელაპარაკა, ასეთი სისულელე ჩემს დღეში არ მსმენია.

– მოიცა, მოიცა, – შეეპასუხა რონი, – საიდუმლო ოთახსაც ხომ ყველა მითად თვლიდა?

– ჰო, მაგრამ სიკვდილის საჩუქრები ვერ იარსებებს, რონ!

– ისევ შენსას ამბობ, მაგრამ ერთი საჩუქარი ხომ არსებობს: ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამი! – მიუგო რონმა.

– „სამი ძმის ამბავი" იმაზეა, თუ როგორ უფრთხის ადამიანი

Scanned by CamScanner

სიკვდილს. გადარჩენა რომ უჩინმაჩინის მოსასხამის მოხურვით შეიძლებოდეს, გამოვიდოდა, რომ რაც გვჭირდება, ისედაც გვქონია...

– რა ვიცი. უძლეველი ჯოხი ნამდვილად გამოგვადგებოდა, – თქვა ჰარიმ და თავის კვრინჩხის ჯოხს უხალისოდ შეხედა.

– მაგნაირი რამ არ არსებობს, ჰარი!

– შენ ხომ თქვი, ასეთი ჯოხი ბევრზე ბევრიაო: სიკვდილის ჯოხი თუ რაღაც...

– კარგი, თუ მაინცდამაინც გინდათ, მოიტყუეთ თავი, რომ უძლეველი ჯოხი არსებობს! სიცოცხლის ქვას რაღას უზამთ? – ჰერმიონმა თითით ეს სახელი ბრჭყალებში ჩასვა და ხმაში სარკაზმი შეერია: – მკვდარს ვერანაირი ჯადოქრობა ვერ გააცოცხლებს, მორჩა და გათავდა!

– როცა ჩემი ჯოხი ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ჯოხს დაუკავშირდა, ჩემი დედა და მამა გამოჩნდნენ... სედრიკიც...

– ჰო, მაგრამ სინამდვილეში ხომ არ გაცოცხლებულან? – არ შეეპუა ჰერმიონი, – ასეთი... უფერული იმიტაცია ადამიანის გაცოცხლებას არ ნიშნავს.

– ზღაპრის გმირი გოგონა ხომ მაინც დაბრუნდა? შუათანა ძმა ხომ ხედავდა და ელაპარაკებოდა? ცოტა ხანს კიდევაც ცხოვრობდნენ ერთად...

ჰარიმ ჰერმიონის გამოხედვაში ნუხილი და შიში შეამჩნია და მიხვდა, რომ გოგონა მკვდრებთან ერთად ცხოვრებაზე ლაპარაკით დააფრთხო. ამიტომ სასწრაფოდ თემის შეცვლა სცადა:

– ჰო, მართლა, იმ პერეველზე, გოდრიკ ჰოლოუში რომაა დასაფლავებული, მეტი აღარაფერი ვიცით?

– არა, – ჰერმიონმა შვებით ამოისუნთქა, რაკი მკვდრებზე არ აგრძელებდნენ ლაპარაკს, – ბევრი ვეძებე მას მერე, რაც საფლავზე ის ნიშანი ვნახე; სახელგათქმული ჯადოქარი რომ ყოფილიყო ან რაიმე დიდი საქმე ჩაედინა, ჩვენს წიგნებში იქნებოდა. ერთადერთი ადგილი, სადაც მის სახელს ნავაწყდი, „ჭეშმარიტი დიდგვაროვანნი. ჯადოქართა გენეალოგია" იყო. კრეჩერს ვთხოვე, სანამ იქ ვცხოვრობდით, – აუხსნა რონს, რადგან მან გაკვირვებით ასწია წარბები, – იმ წიგნში ის წმინდასისხლიანი ოჯახებია ჩამოთვლილი, რომელთა მამაკაცების ხაზიც გაქრა. როგორც ჩანს, პერეველების გვარი ერთ-ერთი პირველი დაიკარგა.

– მამაკაცების ხაზი გაქრა? – გაიმეორა რონმა.

– ანუ, გვარი გაქრა, – დააზუსტა ჰერმიონმა, – პერეველების შემთხვევაში ეს რამდენიმე საუკუნის წინ მოხდა. შთამომავლები, შეიძლება ახლაც ჰყავთ, მაგრამ სხვა გვარისანი არიან.

Scanned by CamScanner

და ჰარის უცებ ელვასავით დაჰკრა მოგონებამ. გაახსენდა, სადაც სმენოდა პერეველის გვარი: ბინძური ბერიკაცი სამინისტროს წარმომადგენელს ცხვირწინ უტრიალებდა უშნო ბეჭედს და გაჰყვიროდა.

– მერვოლო გონტი!

– რა? – ერთხმად წამოიძახეს რონმა და ჰერმიონმა.

– მერვოლო გონტი! ჩვენ-რომ-ვიცით, იმისი პაპა! საფიქრელაში! დამბლდორთან ერთად! მერვოლო გონტმა თქვა, პერეველების შთამომავლები ვართო!

რონი და ჰერმიონი შეცბუნდნენ.

– ბეჭედი, ის ბეჭედი, რომელიც ჰორკრუქსად იქცა! მერვოლო გონტი სიამაყით ამბობდა, ზედ პერეველების უძველესი გერბია ამოკვეთილიო! დავინახე, ისე უტრიალებდა ცხვირწინ იმ სამინისტროელ ტიპს, კინაღამ ცხვირში მიარტყა!

– პერეველების გერბი? – დაინტერესდა ჰერმიონი, – დაინახე, როგორი იყო?

– ვერა, – უთხრა ჰარიმ, თან ცდილობდა, გაეხსენებინა, – კარგად არ ჩანდა: შეიძლება, რაღაც ნაკაწრები ჰქონდა. ახლოს მაშინღა ვნახე, როცა ბეჭედში ჩასმული ქვა უკვე გაბზარული იყო.

უეცრად ჰერმიონს თვალები გაუფართოვდა. ჰარიმ იაზრა, რომ გოგონა რაღაცას მიხვდა. გაოცებული რონი ხან ერთს უყურებდა განცვიფრებით, ხან – მეორეს.

– მაშ, იქაც ეგ ნიშანი იყო? საჩუქრების სიმბოლო?

– რატომაც არა? – აღელვებით თქვა ჰარიმ, – მერვოლო გონტი ერთი უვიცი ბებერი კაცი იყო, საღორეში ცხოვრობდა და თავისი გვარტომობის გარდა არაფერი აინტერესებდა. თუ ის ბეჭედი საუკუნეების წინ ერგოთ, შეიძლება არც სცოდნოდა, რას წარმოადგენდა. იმ სახლში არც წიგნები იყო და დამიჯერეთ, არც თვითონ ჰგავდა ისეთ კაცს, ბავშვებს რომ ზღაპრებს უკითხავს. ერჩივნა ეფიქრა, რომ ის ნაკაწრები გერბი იყო, იმიტომ, რომ მისი აზრით, წმინდა სისხლი, პრაქტიკულად, მეფური სისხლია.

– ჰო... ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, – ფრთხილად თქვა ჰერმიონმა, – მაგრამ ჰარი, შენ თუ იმას ფიქრობ, რასაც მგონია, რომ ფიქრობ...

– დიახ! – ჰარიმ სიფრთხილე დაივიწყა, – სავსებით შესაძლებელია, რომ ბეჭდის ქვაზე სწორედ ეს სიმბოლო იყო ამოკაწრული. რა იცი, იქნებ ისაა სიცოცხლის ქვა?

რონმა პირი დააღო:

– ბიჭოს... მაგრამ ისევ ექნება ძალა? დამბლდორმა ხომ გატეხა?..

– ძალა? რა ძალა? რონ, ძალა არც არასოდეს ექნებოდა, იმიტომ,

Scanned by CamScanner

რომ სიცოცხლის ქვა არ არსებობს! – წამოხტა გაღიზიანებული და გაბრაზებული ჰერმიონი, – ჰარი, შენ ცდილობ, ყველაფერი იმ ზღაპარს დაუკავშირო...

– რას ნიშნავს, ვცდილობ? – გაიმეორა ჰარიმ, – ჰერმიონ, თავისთავად ასე გამოდის! დარწმუნებული ვარ, იმ ქვაზე სიკვდილის საჩუქრების ნიშანი იყო! გონტმა თქვა, პერეველების შთამომავალი ვარო!

– ნუთის წინ არ თქვი, ბეჭედი წესიერად არ დამინახავსო?

– ახლა სად იქნება ის ბეჭედი? – ჰკითხა რონმა ჰარის, – რა უყო დამბლდორმა მას მერე, რაც გატეხა?

მაგრამ ჰარის წარმოსახვა უფრო წინ მიქროდა, ვიდრე რონისა და ჰერმიონისა...

„...სწორედ იმ სამ ნივთზე ანუ საჩუქარზე მიგვანიშნებს, რომლებიც, თუკი გაერთიანდა, მფლობელს სიკვდილის მბრძანებლად აქცევს. მბრძანებელი, მძლეველი, მომრევი – რომელიც გენებოთ... სიკვდილი – უკანასკნელი მტერი, რომელიც უნდა განადგურდეს".

ჰარიმ წარმოიდგინა, როგორ გახდება საჩუქრების მფლობელი და როგორ შეერკინება ვოლდემორს: ჰორკრუქსები წინ ველარ დაუდგება... „ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე..." ესაა პასუხი? სიკვდილის საჩუქრები ჰორკრუქსების წინააღმდეგ? ნუთუ შეიძლება, ისე მოხდეს, რომ სწორედ თვითონ გაიმარჯვოს? თუ სიკვდილის საჩუქრების მფლობელი გახდა, გადარჩება?

– ჰარი!

მაგრამ ჰარის ჰერმიონის ხმა თითქმის არ გაუგონია: უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო და თითებში გაასრიალა: ნყალივით მოქნილი და ჰაერივით მსუბუქი იყო. მსგავსი არაფერი ენახა ჯადოქრულ სამყაროში ყოფნის თითქმის შვიდი წლის მანძილზე. ზუსტად ისეთია, როგორიც ქსენოფილიუსმა აღწერა:

„მოსასხამი, რომელიც ჭეშმარიტად უხილავს ხდის მფლობელს და ეს ძალა მუდმივად აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა შელოცვას მოუვლენენ საწინააღმდეგოდ..."

და მერე, სუნთქვაშეკრულს, კიდევ ერთი რამ გაახსენდა:

– იმ ღამეს, როცა ჩემი მშობლები დაიხოცნენ, მოსასხამი დამბლდორს ჰქონდა!

იგრძნო, რომ აილეწა და ხმა აუკანკალდა, მაგრამ არაფრად ჩააგდო:

– დედაჩემმა სირიუსს მისწერა, მოსასხამი დამბლდორმა გვთხოვაო. მაგიტომაც უნდოდა! უნდა შეემოწმებინა, იმიტომ, რომ

Scanned by CamScanner

ფიქრობდა, სწორედ ეს იყო მესამე საჩუქარი! იგნოტუს პერეველი გოდრიკ ჰოლოუშია დაკრძალული... – ჰარი ბრმასავით დაბორიალებდა კარავში და გრძნობდა, რამდენი ახალი ჭეშმარიტება იშლებოდა მის წინ, – ...ჩემი წინაპარია. მესამე ძმის შთამომავალი ვარ! ყველაფერი ემთხვევა!

საჩუქრების არსებობა დაიჯერა თუ არა, თითქოს კბილებამდე შეიარაღდა. მეგობრებს გახალისებული მიუბრუნდა.

– ჰარი, – გაიმეორა ჰერმიონმა, მაგრამ ჰარის არ ესმოდა. ხელის კანკალით იხსნიდა ყელზე დაკიდებულ ქისას.

– წაიკითხე, – დედის წერილი ხელში ჩასჩარა ჰერმიონს, – აქ წერია, რომ მოსასხამი დამბლდორს ჰქონდა, ჰერმიონ! მითხარი, რაში დასჭირდებოდა? მოსასხამი არაფერში გამოადგებოდა. ისეთი ძლიერი დეილუზიონირების შელოცვა შეეძლო, რომ უმოსასხამოდაც უჩინარი ხდებოდა!

იატაკზე რაღაც დავარდა და ციმციმით შეგორდა სკამის ქვეშ. როგორც ჩანს, ჰარი წერილს რომ იღებდა, სნიჩიც ამოჰყვა. ჰარიმ სნიჩი აიღო და ხელში შეატრიალა. უცებ მისმა გონებამ კიდევ ერთი საოცარი აღმოჩენა გააკეთა და ჰარი ისე განცვიფრდა, რომ ელდანაკრავივით გაშეშდა და მთელი ხმით იყვირა:

– აქ არის! ბეჭედი დამიტოვა! სნიჩში დევს!

– ვითომ... ვითომ მართლა?

ჰარი ვერ მიხვდა, რატომ გაოგნდა რონი. თვითონ ეს დღესავით ნათელი ეგონა. ყველაფერი ემთხვევა, ყველაფერი! მისი მოსასხამი მესამე საჩუქარია და როცა მიხვდება, სნიჩი როგორ გახსნას, მეორეც ექნება, მერე კი პირველი – უძლეველი ჯოხიღა ექნება საპოვნელი...

მაგრამ თითქოს სცენაზე ფარდა დაეშვაო, ჰარის მთელი მღელვარება, იმედი და სიხარული ერთი ხელის მოსმით ჩაუქრა; მოწყვეტით შეჩერდა და იმედგაცრუებულმა ჩაილაპარაკა:

– ისიც ამას ეძებს.

მისი ხმის ასეთმა შეცვლამ რონი და ჰერმიონი კიდევ უფრო შეაშინა.

– ჩვენ-რომ-ვიცით, ისიც უძლეველ ჯოხს დაეძებს.

ჰარიმ ზურგი შეაქცია მეგობრების დაძაბულ, ეჭვით სავსე სახეებს. დარწმუნებული იყო, სწორად მიხვდა. სწორედ ასეა: ვოლდემორი ახალს კი არა, ძველისძველ ჯოხს დაეძებს. ჰარი კარვის შესასვლელთან მივიდა, ღამეს გაუშტერა თვალი და ფიქრებში ჩაძირულს რონი და ჰერმიონი სულ გადაავიწყდა...

ვოლდემორი მაგლების ობოლთა თავშესაფარში გაიზარდა. ბავშვობაში, ჰარისა არ იყოს, მასაც არავინ უამბობდა მგოსან ბიდლის

Scanned by CamScanner

ზღაპრებს. სიკვდილის საჩუქრებისაც ათასში ერთ ჯადოქარს თუ სჯერა. ნეტავ ვოლდემორმა იცის ეს ამბავი?.. ვოლდემორს რომ სიკვდილის საჩუქრების ამბავი სცოდნოდა, თავიდანვე ყველა ღონეს იხმარდა, რათა დაპატრონებოდა იმ სამ ნივთს, რომლებიც მფლობელს სიკვდილის მბრძანებლად აქცევდა. ჰორკრუქსებზე აღარც იფიქრებდა. ნუთუ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი საჩუქარი ჰორკრუქსად აქცია, არ ადასტურებს, რომ ჯადოქართა ამ უკანასკნელი დიდი საიდუმლოსი არაფერი იცის?

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მართალია, ვოლდემორი გულმოდგინედ დაეძებს უძლეველ ჯოხს, მაგრამ მისი სრული ძალისა არაფერი გაეგება... უბრალოდ, იმიტომ ეძებს, რომ ჯოხი ერთადერთია სამი საჩუქრიდან, რომელიც ვერ დამალეს, რომლის არსებობაც ყველაზე მეტად იყო ცნობილი... „დიდგულას ჯოხის სისხლიანი კვალი ჯადოქართა ისტორიის მრავალ გვერდს შემორჩა...“

ჰარიმ ვერცხლისფერი ღრუბლებით მოფენილ ცას და შიგადაშიგ გამოჩენილ ქათქათა მთვარეს ახედა, თავისი აღმოჩენებით განცვიფრებული და გახალისებული შებრუნდა კარავში და ელდა ეცა: რონი და ჰერმიონი ისევ ისე იდგნენ, როგორც დატოვა – ჰერმიონს ლილის წერილი ეჭირა ხელში, გვერდით კი დამფრთხალი რონი ედგა. ნუთუ ვერ ხვდებიან, რამდენი საჭირო რამ შეიტყვეს ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში?

– რატომ მიყურებთ ასე გაოცებულები? – ჰარი შეეცადა, მეგობრებიც დაერწმუნებინა იმაში, რაშიც თვითონ რატომღაც ეჭვი ოდნავადაც არ ეპარებოდა, – ეს ყველაფერს ხსნის. სიკვდილის საჩუქრები მართლა არსებობს და ერთი მე მაქვს... იქნებ – ორიც... – და სნიჩი ასწია, – დაფიქრდით, ეს მართლა ასე გამოდის. მესამეს ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაეძებს, მაგრამ ვერ ხვდება, რომ სიკვდილის საჩუქარია... მხოლოდ დაუმარცხებელი ჯოხი ჰგონია...

– ჰარი, – ჰერმიონი მიუახლოვდა და ლილის წერილი დაუბრუნა, – ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე მემგონი, არასწორად გაიგე, აბსოლუტურად არასწორად.

– ყველაფერი ემთხვევა...

– არა, ჰარი, – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – სულაც არა. შენ უბრალოდ ოცნებამ გაგიტაცა. გეხვეწები, – ხმას აუმაღლა ჰერმიონმა, როცა ჰარიმ რაღაცის თქმა დააპირა, – ერთ რამეზე მიპასუხე: თუ სიკვდილის საჩუქრები მართლა არსებობდა და დამბლდორმა ეს იცოდა; თუ იცოდა, რომ მათი პატრონი სიკვდილის მბრძანებელი გახდებოდა... მაშ, რატომ არ გითხრა? რატომ?

ჰარის პასუხი მზად ჰქონდა:

Scanned by CamScanner

– ამის პასუხი შენ თვითონვე არ გქონდა, ჰერმიონ? ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გაგვეგო, ყველაფერს ჩვენ უნდა ჩავწვდომოდით!

– ეს იმიტომ გითხარი, რომ ლავგუდთან წასვლაზე დამეთანხმებინე! – იყვირა ჰერმიონმა, – სინამდვილეში ასე სულაც არ მგონია!

ჰარიმ ყურადღება არ მიაქცია.

– დამბლდორი ყოველთვის მაძლევდა საშუალებას, რომ მე თვითონ მივმხვდარიყავი, რა როგორ იყო. საკუთარი ძალ-ღონის გამოცდისა და გარისკვის საშუალებას მაძლევდა. ალბათ, ახლაც ასეა.

– ეს ხომ თამაში ან ვარჯიში არ არის. ეს რეალური საქმეა და დამბლდორმა ცხადზე უცხადესი მითითება დაგიტოვა: ჰორკრუქსების პოვნა და განადგურება! ეს სიმბოლო არაფერს არ ნიშნავს, დაივიწყე სიკვდილის საჩუქრები! გეზს ვერ შევიცვლით...

ჰარი თითქმის არ უსმენდა. სნიჩს ხელში ატრიალებდა თითქოს იმის იმედით, რომ გაიხსნებოდა და შიგ სიცოცხლის ქვას გამოაჩენდა, რათა ჰერმიონისთვის დაემტკიცებინა, რომ მართალი იყო და სიკვდილის საჩუქრები მართლაც არსებობდა.

ჰერმიონი რონს მიუბრუნდა:

– შენც გჯერა, რონ?

ჰარიმ რონს გახედა. რონი შეყოყმანდა:

– რა ვიცი... მე მგონი... თითქოს რაღაც-რაღაცეები ემთხვევა, – თქვა უხერხულად, – მაგრამ ერთიანად თუ შეხედავ... – ღრმად ამოისუნთქა, – ჩემი აზრით, ჰორკრუქსებს უნდა მივხედოთ, ჰარი. დამბლდორმა ეგ დაგვავალა. ალბათ... ალბათ, უნდა დავივიწყოთ იმ საჩუქრების ამბავი.

– გმადლობ, რონ, – თქვა ჰერმიონმა, – პირველი მე ვიმორიგეებ.

გოგონამ ჰარის ჩაუარა, კარვის შესასვლელში დაჯდა და ამ კამათს მკაცრად დაუსვა წერტილი.

თუმცა, ჰარის იმ ღამეს თითქმის არ უძინია. ვერ ისვენებდა, აგზნებული ფიქრები გონებაში დაუქროდა: ჯოხი, ქვა და მოსასხამი. სამივე რომ ჰქონდეს...

„მე მიჯნაზე გავიხსნები“... მაგრამ მიჯნა სადღაა? ახლავე რატომ არ შიძლება ქვის ამოღება? ქვა რომ ჰქონოდა, დამბლდორს პირადად დაუსვამდა ამ შეკითხვებს... სიბნელეში სნიჩს ჩასჩურჩულებდა, პარსულადაც კი სთხოვა, მაგრამ ოქროს ბურთი არ გაიხსნა.

ან ნეტავ დიდგულას ჯოხი რაღა იქნა? სად დაეძებს ვოლდემორი? ინატრა, ნეტავ ნაიარევი ამეწვას და ვოლდემორის ფიქრები მაჩვენოსო, რადგან პირველი შემთხვევა იყო, რომ მასა და ვოლდემორს ერთი და იგივე რაღაც უნდოდათ... ჰერმიონს, რასაკვირველია, ეს აზრი

Scanned by CamScanner

არ მოეწონება... მაგრამ მას ისედაც ხომ არ სჯერა... ქსენოფილიუსი ნაწილობრივ მართალი იყო, როდესაც გოგონას „უკიდურესად შეზღუდული, ვიწროდ მოაზროვნე, გონებადახურული“ უწოდა. სინამდვილეში საქმე ის იყო, რომ ჰერმიონს აშინებდა სიკვდილის საჩუქრები, განსაკუთრებით კი – სიცოცხლის ქვა... ჰარიმ ისევ მიადო ტუჩი სნიჩს, აკოცა, ლამის გადაყლაპა, მაგრამ ცივი ლითონი არ დანებდა...

გამთენიისას ჰარის აზკაბანის საკანში ჩაკეტილი, დემენტორებით გარშემორტყმული ლუნა გაახსენდა და შერცხვა. სიკვდილის საჩუქრებზე ისე გაცხარებით ფიქრობდა, რომ ლუნა სულ დაავიწყდა. ინატრა, ნეტავ გაათავისუფლონო... იმდენ დემენტორს რა მოიგერიებდა! და რაკი დემენტორებზე დაიწყო ფიქრი, გაახსენდა, რომ კვრინჩხის ჯოხით პატრონუსის შექმნა ჯერ არ ეცადა... ჰარიმ გადაწყვიტა, დილით ცოტა წაევარჯიშა...

ეჰ, უკეთესი ჯოხი რომ ეშოვა...

და ჰარი ისევ თავიდან ფეხამდე მოიცვა დიდგულას ჯოხის, სიკვდილის ჯოხის, უძლეველი, დაუმარცხებელი ჯოხის პოვნის სურვილმა...

დილით კარავი აკეცეს და უჟმურ თავსხმაში მოახდინეს აპარაცია. წვიმდა ზღვის სანაპიროზეც, სადაც იმ ღამით დასცეს კარავი. მთელი კვირა წვიმდა, ყველგან წყლით გაჟღენთილი ხვდებოდათ გარემო, წვიმამ თავი მოაბეზრათ. ჰარი სიკვდილის საჩუქრების გარდა, ვერაფერზე ფიქრობდა. მის გულში მოგიზგიზე ცეცხლს ვერც ჰერმიონის კატეგორიული ურწმუნობა აქრობდა და ვერც რონის გაუთავებელი ეჭვები. თუმცა, რაც უფრო მძაფრად სურდა საჩუქრების მოპოვება, მით მეტად იპყრობდა სევდა. ამას რონსა და ჰერმიონს აბრალებდა: მათი დაჟინებული გულგრილობა გაუთავებელ წვიმაზე არანაკლებ ულონებდა გულს ჰარის, მაგრამ რწმენას მაინც ვერ ურყევდა – წინანდელივით მტკიცედ იდგა თავის აზრზე. საჩუქრების არსებობა ისე სწამდა და ისე სურდა მათი მოპოვება, რომ ჰორკრუქსებაჩემებული რონისა და ჰერმიონისაგან გარიყულად გრძნობდა თავს.

– აჩემებულიო? – ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად ჰკითხა ჰერმიონმა, როცა ჰარის დაუფიქრებლად წამოსცდა ეს სიტყვა, იმიტომ, რომ გოგონა მთელდღეს გაუთავებლად საყვედურობდა, რატომ არ გაინტერესებს, სად არის დანარჩენი ჰორკრუქსებიო, – ჩვენ გვაქვს აჩემებული, ჰარი? ჩვენ იმის შესრულებას ვცდილობთ, რაც დამბლდორმა შენ დაგავალა!

მაგრამ ჰარის ამ კრიტიკისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სწორედ დამბლდორმა დაუტოვა ჰერმიონს გასაშიფრად საჩუქრების

Scanned by CamScanner

სიმბოლო და ჰარი დარწმუნებული იყო, ოქროს სნიჩში სიცოცხლის ქვა ჩამალა. „ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე...“ სიკვდილის მბრძანებელი... ყველაფერი რა მარტივადაა. მაინც რატომ ვერ ხვდება ამას ჰერმიონი?

– სიკვდილი – უკანასკნელი მტერი, რომელიც უნდა განადგურდეს, – წყნარად თქვა ჰარიმ.

– მაგრამ მე მგონი, ჩვენ-რომ ვიცით, იმასთან ვაპირებთ ბრძოლას, არა? – შეეპასუხა ჰერმიონი. ჰარიმ ხელი ჩაიქნია.

ვერცხლისფერი ფურირმის საიდუმლოც კი, რაზეც რონი და ჰერმიონი გაუთავებლად კამათობდნენ, ჰარის უინტერესოდ და უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. საჩუქრების გარდა, მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა: ნაიარევმა ისევ დაუწყო წინკნა, მაგრამ ჰარი ყველანაირად ცდილობდა, რონსა და ჰერმიონს არ შეემჩნიათ. ასეთ დროს როგორღაც ახერხებდა მარტო დარჩენას, მაგრამ ნანახით იმედგაცრუებული რჩებოდა. ხილვები, რასაც ჰარი და ვოლდემორი ერთად ხედავდნენ, ძალიან შეიცვალა, გაიდღაბნა. ჰარი მხოლოდ რაღაც საგნის გაურკვეველ მოხაზულობას ხედავდა, რომელსაც თავის ქალას ან რაღაც მთისმაგვარ ჩრდილს ამსგავსებდა. რეალისტურ, მკვეთრ ხილვებს შეჩვეული ჰარი ამ ცვლილებას მოთმინებიდან გამოჰყავდა. ვერაფრით ეგუებოდა, რომ მასა და ვოლდემორს შორის კავშირი გაუარესდა. ჰარიმ ეს ახალი, ბუნდოვანი გამოსახულებები რატომღაც თავისი ჯოხის გატეხას დაუკავშირა. თითქოს კვრინჩხის ჯოხის ბრალი იყო, რომ წინანდელივით ველარ ახერხებდა ვოლდემორის გონებაში შეღწევას.

კვირები მიიპარებოდა და თავის ახალ გატაცებზე ფიქრში გართულმა ჰარიმ უნებურად აღმოაჩინა, რომ თითქოს რონმა იკისრა მათი ხელმძღვანელობა. იქნებ იმიტომ, რომ წინანდელი გაქცევის გამოსყიდვას ცდილობდა, ანდა იმიტომ, რომ ჰარის უმოქმედობამ ხელმძღვანელობის მიძინებული უნარი გამოუღვიძა. ახლა სწორედ რონი ამხნევებდა და არწმუნებდა ორივეს, ვიმოქმედოთო.

– სამი ჰორკრუქსიღა დარჩა, – იმეორებდა გაუთავებლად, – მოქმედების გეგმა უნდა დავაწყოთ, აბა, მოდით. სად არ გვიძებნია? ერთხელაც ჩამოვთვალოთ. ობოლთა თავშესაფარი...

მრუდე ქუჩა, ჰოგვორტსი, რიდლების სახლი, „ბორჯინ ენდ ბერკსი“, ალბანეთი... რონი და ჰერმონი კიდევ და კიდევ განიხილავდნენ ყოველ ადგილს, სადაც, მათი ცნობით, ტომ რიდლს ოდესმე ეცხოვრა, ემუშავა, ემოგზაურა ან მკვლელობა ჩაედინა. ჰარი მსჯელობაში მხოლოდ იმიტომ ჩაერთვებოდა ხოლმე, რომ ჰერმიონი არ ჩასციებოდა. სინამდვილეში კი ერჩივნა, თავისთვის,

Scanned by CamScanner

ჩუმად მჯდარიყო და ვოლდემორის ფიქრების წაკითხვა ეცადა, რათა როგორმე მეტი გაეგო უძლეველ ჯოხზე. ზოგჯერ რონი სრულიად წარმოუდგენელ ადგილებში წასვლას დაიჟინებდა ხოლმე. ჰარის აზრით, ასე მხოლოდ იმიტომ იქცეოდა, რომ ერთ ადგილზე დიდხანს არ გაჩერებულიყვნენ.

– რა იცი? – იძახდა გამუდმებით, – ზემო ფლეგლი ჯადოქართა სოფელია, იქნებ იქაც უცხოვრია. მოდი, წავიდეთ და იქაურობა მივჩხრიკ-მოვჩხრიკოთ.

ჯადოქრულ ტერიტორიაზე მოგზაურობისას ზოგჯერ ტაციებს წააწყდებოდნენ ხოლმე.

– ზოგიერთები სიკვდილის მხვრელებს არ ჩამორჩებიან, – თქვა რონმა, – ის ტიპები, ვინც მე დამიჭირეს, ცოტათი შეგეცოდებოდნენ კიდეც, მაგრამ ბილი ამბობს, ზოგი მართლა საშიშიაო. „პოტერ-მზირში" მოვისმინე...

– რაში? – გაოცდა ჰარი.

– „პოტერმზირში". არ გითხარით, რომ ასე ჰქვია? ის არხია, რადიოში რომ ვიჭერდი: მარტო იქ ამბობენ, რაც სინამდვილეში ხდება! ამის გარდა, ყველა არხი ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ემორჩილება – ყველა, გარდა „პოტერმზირისა". ნეტავ, მოგვასმენინა, მაგრამ დაჭერა ძნელია...

რონი საღამოობით რადიოზე სხვადასხვა რიტმით უკაკუნებდა ჯოხს და ღილაკებს ატრიალებდა. ხანდახან ყურს მოჰკრავდნენ, როგორ ემკურნალათ დრაკონის ათაშანგისათვის, ხოლო ერთხელ „ცხელი, მწველი სიყვარულით სავსე კარდალას" რამდენიმე აკორდიც მოესმათ. რონი „პოტერმზირს" ეძებდა, თან სწორი პაროლის პოვნას ცდილობდა და ალალბედზე ბუტბუტებდა სიტყვებს.

– პაროლი, როგორც წესი, ორდენს უკავშირდება, – იმეორებდა რონი, – ბილს კარგად გამოსდის. ერთხელაც იქნება, მივხვდები...

მაგრამ ბედმა მარტამდე არ გაუღიმა. ჰარი კარვის შესასვლელში მორიგეობდა და გულგრილად უყურებდა ცივი მინიდან ამოწვერილ იას. ამ დროს რონმა კარავში აღელვებით შეჰყვირა:

– დავიჭირე, დავიჭირე! პაროლი „ალბუსი" ყოფილა! მოდი, ჰარი.

მთელი დღეობით სიკვდილის საჩუქრებზე ფიქრში ჩაფლული ჰარი პირველად გამოფხიზლდა და კარავში შევარდა. რონი და ჰერმიონი პატარა რადიოს გვერდით იატაკზე ჩაცუცქულიყვნენ. ჰერმიონი, რომელსაც მანამდე გრიფინდორის ხმლის წმენდა დაეწყო, რათა რამე საქმე ჰქონოდა, პირდაღებული იჯდა და პატარა რადიოს მის-ჩერებოდა, საიდანაც ხმამაღლა ისმოდა უაღრესად ნაცნობი ხმა:

„ბოდიშს გიხდით ეთერში დროებითი გაუსვლელობის გამო, რაც

Scanned by CamScanner

იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ცქრიალა სიკვდილის მხვრელები დაქროდნენ".

– ლი ჯორდანი არ არის? – წამოიძახა ჰერმიონმა.

– აბა რა! – სახე გაუბრწყინდა რონს, – მაგარია, არა?

„ახლა სხვა უსაფრთხო ადგილი ვიპოვეთ, – ამბობდა ლი, – მოხარული ვარ შეგატყობინოთ, რომ ამ საღამოს ჩვენთან გახლავთ ჩვენი ორი მუდმივი თანამშრომელი. საღამო მშვიდობისა, ბიჭებო!"

„გაუმარჯოს!"

„საღამო მშვიდობისა, რივერ."

– „რივერი" ლია, – აუხსნა რონმა, – ყველას დაშიფრული სახელები ჰქვიათ, მაგრამ, ვინც იცნობს, მიხვდება...

– სსს, მოგვასმენინე! – გააწყვეტინა ჰერმიონმა.

„მაგრამ სანამ როიალსა და რომულუსს მოვუსმენთ, – განაგრძო ლიმ, – ვისარგებლებთ შემთხვევით და მოგახსენებთ სამწუხარო ამბავს, რომელიც „ჯადოქრული რადიოს ახალ ამბებსა" და „დილის მისანს" აღნიშვნის ღირსად არ მიაჩნიათ. დიდი სინანულით ვაცნობებთ ჩვენს მსმენელებს, რომ მოკლეს ტედ ტონქსი და დირკ კრესველი."

ჰარის მუცელი შეეკუმშა. ის, რონი და ჰერმიონი თავზარდაცემულები მიაშტერდნენ ერთმანეთს.

„მოკლულია ასევე გობლინი, სახელად გორნუკი. ვარაუდობენ, რომ მაგლური წარმოშობის დინ ტომასი და მეორე გობლინი, რომლებიც, როგორც ამბობენ, ტონქსსა და კრესველთან ერთად მგზავრობდნენ, გადარჩნენ. თუ დინი გვისმენს, ან ვინმემ იცის მისი ადგილსამყოფელი, იცოდეთ, რომ მისი მშობლები და დები მოუთმენლად მოელიან მისი ამბის გაგებას.

...

კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი: გადლიში, საკუთარ სახლში, დახოცეს მაგლების ხუთსულიანი ოჯახი. მაგლთა ხელისუფლება მათ სიკვდილს გაზის გაჟონვას აბრალებს, მაგრამ „ფენიქსის ორდენის" წევრებმა გვაცნობეს, მიზეზი მომაკვდინებელი წყევლა იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს (თითქოს საამისო საჭიროება იყოს), რომ ახალი რეჟიმის პირობებში მაგლთა ჟლეტა გართობად იქცა.

...

დაბოლოს, ჩვენს მსმენელებს ვაცნობებთ, რომ გოდრიკ ჰოლოუში აღმოაჩინეს მაგიის დიდი ისტორიკოსის, ბათილდა ბეგშოთის ნეშტი. არსებობს ვარაუდი, რომ იგი რამდენიმე თვის გარდაცვლილია. „ფენიქსის ორდენი" გვატყობინებს, რომ ქალბატონი ბეგშოთის სხეულზე შეინიშნება შავი მაგიის მიერ მიყენებული ზიანის აშკარა

Scanned by CamScanner

კვალი. მსმენელებს ვთხოვ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ სიკვდილის მხვრელების მიერ დახოცილი ტედ ტონქსის, დირკ კრესველის, ბათილდა ბეგშოთის, გორნუკისა და იმ მაგლთა ხსოვნას, რომელთა სახელებიც ჩვენთვის უცნობია, მაგრამ არანაკლებ განვიცდით მათი ნათესავების მწუხარებას."

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ხმას არ იღებდნენ. ჰარის უნდოდა, კიდევ გაეგო ახალი ამბები, თანაც ეშინოდა, ცუდი აღარაფერი თქვანო.

„გმადლობთ, – დუმილი დაარღვია ლიმ, – ახლა კი ჩვენს მუდმივ თანამშრომელს, როიალს მივმართავ. ის მოგვითხრობს, თუ რა გავლენას ახდენს ახალი ჯადოქრული კანონები მაგლთა სამყაროზე."

„გმადლობ, რივერ," – გაისმა ბოხი, აუჩქარებელი, გამამხნევებელი ხმა, რომელიც ასეთი ნაცნობი იყო რადიოს მიყურადებული სამივე მეგობრისათვის.

– კინგსლი! – იყვირა რონმა.

– ვიცით! – ჩააჩუმა ჰერმიონმა.

„მაგლებმა კვლავაც არ იციან, რა არის მათი უბედურებების წყარო, მათ თავს დამტყდარი კატასტროფები კი გრძელდება და გრძელდება, – დაიწყო კინგსლიმ, – თუმცა კვლავაც გვესმის იმ ჯადოქართა ქმედებების შესახებ, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავენ მაგლ მეგობრებსა და მეზობლებს, ხშირად – ისე, რომ მაგლები ვერაფერს ხვდებიან. მინდა, მოვუწოდო ყველა ჩვენს მსმენელს, გადაიღონ მათი მაგალითი და დამცავი შელოცვა მაინც მოუვლინონ თავიანთ ქუჩაზე მცხოვრებ მაგლებს. თუნდაც ასეთი უბრალო ზომების მიღებით მრავალი სიცოცხლის გადარჩენა შეიძლება."

„როიალ, რას ეტყვით იმ მსმენელებს, რომლებიც ამბობენ, რომ ამ სახიფათო დროში სჯობს ვიმოქმედოთ პრინციპით: „ჯადოქრები – უპირველეს ყოვლისა"? – ჰკითხა ლიმ.

„ვეტყოდი, რომ აქედან ერთი ნაბიჯია პრინციპამდე „წმინდასისხლიანები – უპირველეს ყოვლისა", შემდეგ კი – სიკვდილის მხვრელობამდე, – მიუგო კინგსლიმ, – ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ? ყველა ადამიანის სიცოცხლეს ერთი ფასი აქვს და ყველა ღირსია, გადარჩეს."

„დიდებული ნათქვამია, როიალ, და თუ ოდესმე ამ არეულობიდან ამოვძვერით, მაგიის მინისტრის არჩევნებზე ხმას თქვენ მოგცემთ, – თქვა ლიმ, – ახლა კი, მივუბრუნდეთ რომულუსს. ვიწყებთ ჩვენი პროგრამის უმთავრეს რუბრიკას – „პოტერის მეგობრები".

„გმადლობ, რივერ," – თქვა კიდევ ერთმა ძალიან ნაცნობმა ხმამ.

Scanned by CamScanner

რონმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჰერმიონმა ჩურჩულით დაასწრო:

– ვიცით, ლუპინია!

„რომულუს, როგორც ჩვენს პროგრამაში ყოველი გამოსვლისას, ახლაც ამტკიცებ, რომ ჰარი პოტერი კვლავ ცოცხალია?"

„დიახ, – მტკიცედ თქვა ლუპინმა, – ეჭვიც არ მეპარება, რომ სიკვდილის მხვრელები მის სიკვდილს მაშინვე გააცხადებდნენ, რადგან ამით მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებდნენ ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მებრძოლ სულს. „ბიჭი, რომელიც გადარჩა" კვლავაც ყოველივე იმის სიმბოლოა, რისთვისაც ვიბრძვით. ჩვენ კი ვიბრძვით სიკეთის გამარჯვებისთვის, უდანაშაულოების სიძლიერისა თუ წინააღმდეგობის განევის აუცილებლობისთვის."

ჰარის ერთდროულად მოანვა მადლიერებისა და სირცხვილის გრძნობა. ნუთუ ლუპინმა ბოლო შეხვედრისას ნათქვამი საშინელი სიტყვები აპატია?

„რომ გვისმენდეს, რას ეტყოდი ჰარის, რომულუს?"

„ვეტყოდი, რომ სულითა და გულით მასთან ვართ, – თქვა ლუპინმა, წამით შეყოყმანდა და დაამატა, – და რომ დაუჯეროს თავის ინტუიციას, რომელიც თითქმის არასოდეს არ ატყუებს."

ჰარიმ თვალცრემლიან ჰერმიონს შეხედა.

– თითქმის არასოდეს არ ატყუებს, – გაიმეორა ჰერმიონმა.

– არ მითქვამს? – გაუკვირდა რონს, – ბილმა მითხრა, ლუპინი ისევ ტონქსთან ცხოვრობსო. ტონქსი კი, ალბათ, მრგვალდება და მრგვალდება...

„ახლა კი ახალი ამბები ჰარი პოტერის იმ მეგობრების თაობაზე, რომლებიც მისადმი ერთგულების გამო ისჯებიან", – განაგრძო ლიმ.

„ჩვენს მუდმივ მსმენელებს ეცოდინებათ, რომ ჰარი პოტერის აშკარა მომხრეებიდან ამჟამად დაპატიმრებულია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, ჟურნალ „ქარაგმების" რედაქტორი ქსენოფილიუს ლავგუდი," – თქვა ლუპინმა.

– კიდევ კარგი, ცოცხალია! – ჩაიბუტბუტა რონმა.

„უკანასკნელი რამდენიმე საათის განმავლობაში რუბეუს ჰაგრიდის ამბავიც შევიტყვეთ, – ამ სიტყვების გაგონებაზე სამივე შეკრთა და კინაღამ წინადადების ბოლო გამორჩათ, – ჰოგვორტსის განთქმული მეტყევე ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას. როგორც ამბობენ, ის თავის სახლში მართავდა შეკრებას „მხარი დაუჭირეთ ჰარი პოტერს". ჰაგრიდის დაპატიმრება ვერ მოახერხეს. ჩვენი აზრით, ის ამჟამად გაქცეულია."

„სიკვდილის მხვრელებს, ალბათ, იოლად გაექცევი, თუ ხუთმეტრიანი ნახევარძმა გყავს", – შენიშნა ლიმ.

Scanned by CamScanner

„ალბათ, – სერიოზულად დაეთანხმა ლუპინი, – იმასღა დავუმატებ, რომ „პოტერმზირი“ აღფრთოვანებულია ჰაგრიდის გამბედაობით, მაგრამ ჰარის ყველაზე ერთგულ მომხრეებს მაინც ვურჩევთ, მას არ მიჰბაძონ. დღევანდელ სიტუაციაში არაკეთილგონივრულია ჰარი პოტერის მხარდამჭერი შეკრებების გამართვა.“

„მართლაც, რომულუს. ამიტომ გირჩევთ, ძვირფასო მსმენელებო, ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევის მქონე ბიჭის მხარდაჭერა კვლავაც იმით გამოხატოთ, რომ „პოტერმზირს“ უსმინოთ. ახლა კი გაგაცნობთ ახალ ამბებს იმ ჯადოქრის შესახებ, რომელიც ჰარი პოტერზე არანაკლებ მოუხელთებელია. მართებული იქნება, თუ მას „მთავარ სიკვდილის მხვრელს“ ვუწოდებთ. მის თაობაზე მოარული ყველაზე დაუჯერებელი ჭორების შესახებ თავის შეხედულებას გაგვაცნობს ჩვენი ახალი კორესპონდენტი. გთხოვთ, როდენტ.“ – თქვა ლიმ.

„როდენტ“? – თქვა კიდევ ერთმა ნაცნობმა ხმამ და ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთად იყვირეს:

– ფრედი!

– არა... ჯორჯია!

– მე მგონი, ფრედია, – კარგად მიაყურადა რონმა. რომელიღაც ტყუპისცალმა თქვა:

„ არ მინდა, „როდენტი“ ვიყო. ხომ გთხოვე, „რაპირი“ ვიქნებიმეთქი!“

„კი, ბატონო. რაპირ, შეგიძლია გაგვიზიარო შენი აზრი იმ ისტორიებზე, რომლებსაც „მთავარ სიკვდილის მხვრელზე“ ჰყვებიან?“

„დიახ, რივერ, შემიძლია, – თქვა ფრედმა, – როგორც ჩვენმა მსმენელებმა იციან, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მიერ არჩეული სტრატეგია – იდგეს ჩრდილში – ხალხში პანიკურ შიშს თესავს. დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, რომ თუკი ყველა მართალს ამბობს, ვინც ამტკიცებს, ჩემი თვალით ვნახეო, ჩვენს ქვეყანაში ცხრამეტიოდე ჩვენ-რომ-ვიცით, ის მაინც უნდა დარბოდეს.“

„ეს ძალიანაც ხელს აძლევს ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, – ჩაერთო კინგსლი, – იდუმალება მეტ შიშს თესავს, ვიდრე ხილულად გამოჩენა.“

„გეთანხმებით, – თქვა ფრედმა, – ამიტომ, ხალხო, მოდით, ცოტა დაწყნარდით. საქმე ისედაც ცუდადაა და რაღაცეებს ნულარ გამოვიგონებთ. მაგალითად, ახალი ჭორია, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის თვალის ერთი შევლებით ხოცავს ხალხს. ეგ ბასილისკოა, ძვირფასო მსმენელებო. ერთ მარტივ ტესტს გასწავლით: შეამოწმეთ, აქვს თუ არა ფეხები მას, ვინც გიყურებთ. თუ აქვს, შეგიძლიათ თამამად გაუსწოროთ თვალი, თუმცა, ეს თუკი მართლაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღმოჩნდა, ამის შემდეგ, ალბათ, ვეღარაფერს დაინახავთ.“

Scanned by CamScanner

ჰარის რამდენიმე კვირის შემდეგ პირველად გაეცინა და თითქოს დიდი ლოდი მოეხსნა გულიდან.

„ამბობენ, თითქოს უცხოეთში უნახავთ", – თქვა ლიმ.

„ვის არ მოუნდება ხანმოკლე შვებულება ამდენი გულმოდგინე შრომის შემდეგ? – იკითხა ფრედმა, – ხალხნო, მთავარია, უსაფრთხოების ცრუ შეგრძნება არ გაგიჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლება ის უცხოეთშია. ან არის, ან – არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: იგი, როცა მოინდომებს, იმაზე სწრაფად გაქროლდება, ვიდრე სევერუს სნეიპი – შამპუნის დანახვისას, ასე რომ, თუ სარისკო საქმე გაქვთ დაგეგმილი, იმის იმედად ნუ იქნებით, რომ შორსაა. რას ვიფიქრებდი, ამის თქმა თუ მომინევდა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: უსაფრთხოება – უპირველეს ყოვლისა!"

„დიდი მადლობა ამ ბრძნული სიტყვებისათვის, რაპირ, – თქვა ლიმ, – ძვირფასო მსმენელებო, ამით ვამთავრებთ ჩვენს დღევანდელ პროგრამას. არ ვიცით, როდის მოვახერხებთ ეთერში გასვლას, მაგრამ დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, რომ დავბრუნდებით. ატრიალეთ ღილაკები. მომდევნო პაროლია „მრისხანეთვალა". გაუფრთხილდით ერთმანეთს. არ დაკარგოთ რწმენა. ღამე მშვიდობისა."

რადიოს ღილაკი გადატრიალდა და პანელზე ანთებული ციცქნა ნათურა ჩაქრა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ისევ სახეგაბრწყინებულები ისხდნენ. ნაცნობი, მეგობრული ხმების გაგონებამ ძალიან ანუგეშა სამივე. ჰარი ისე მიეჩვია განმარტოებით ყოფნას, ლამის დავიწყებული ჰქონდა, რომ ვოლდემორს სხვებიც უწევდნენ წინააღმდეგობას. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი ხნის ნამძინარევს გამოეღვიძაო.

– კარგია, არა? – სიხარულით თქვა რონმა.

– მშვენიერია, – დაეთანხმა ჰარი.

– რა გულადები არიან, – აღტაცებით თქვა ჰერმიონმა, – რომ მიაგნონ...

– ვერ მიაგნებენ, ადგილმდებარეობას მუდმივად იცვლიან, ჩვენსავით, – თქვა რონმა.

– გაიგონეთ, რა თქვა ფრედმა? – აღელვებული ხმით იკითხა ჰარიმ; გადაცემის დამთავრებისთანავე მისი ფიქრი ისევ სიკვდილის საჩუქრებს მიუბრუნდა, – უცხოეთშია. ისევ ჯოხს დაეძებს, ვიცი!

– ჰარი...

– კარგი რა, ჰერმიონ, რატომ არ გინდა, აღიარო, რომ ვოლ...

– ჰარი, არა!

– ... დემორი უძლეველ ჯოხს დაეძებს!

Scanned by CamScanner

– სახელს ტაბუ ადევს-მეთქი! – იბღავლა რონმა და კარვის გარეთ ხმამაღალი ტკაცანის გაგონებაზე წამოხტა, – ხომ გითხარი, ჰარი, ხომ გითხარი, აღარ უნდა ვახსენოთ-მეთქი... დაცვა ხელახლა უნდა შემოვივლოთ... სწრაფად!.. გვიპოვიან.

უცბად რონი გაჩუმდა და ჰარი მიხვდა, რატომაც – მაგიდაზე მდგარი მავნოსკოპი აინთო და აზუზუნდა; გარედან უხეში ხმები ახლოვდებოდა. რონმა ჯიბიდან საქრობელა ამოიღო და დააჩხაკუნა. ლამპები ჩაქრა.

– ხელები ასწიეთ და გამოდით! – მოესმათ ღრჭიალა ხმა სიბნელეში, – ვიცით, რომ მანდ ხართ! ექვს ჯოხს გიმიზნებთ და თუ არ დაგვემორჩილებით, უყოყმანოდ დაგწყევლით!

Scanned by CamScanner

თავი ოცდამესამე

მალფოების მამული

ჰარიმ სიბნელეში რონისა და ჰერმიონის სილუეტები გაარჩია. ჰერმიონმა ჯოხი მოიმარჯვა და კარვის გასასვლელს დაუმიზნა, მაგრამ ვერ დაინახა, რომ წინ ჰარის სახე ელობებოდა; გაისმა ბრაგუნი, იფეთქა თეთრმა შუქმა და ჰარი ტკივილით მოიხარა. ვერაფერს ხედავდა, გრძნობდა, რომ სახე სწრაფად უსივდებოდა. ამასობაში მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმა.

– ადე ზეზე, შე მავნებელო.

ვიღაცა ჰარის ქეჩოში დასწვდა და წამოაყენა, მერე ჯიბეები გაუჩხრიკა და კვრინჩხის ჯოხი ამოაცალა. ჰარი მტკივან სახეზე იფარებდა ხელებს, გრძნობდა, როგორ დაეჭიმა, გაუსივდა და აუფუვდა კანი, თითქოს საშინელი ალერგია აქვსო. თვალები ისე დაუვიწროვდა, რომ ძლივსღა ახელდა; სათვალე, კარვიდან რომ მიათრევდნენ, მაშინ დაუვარდა და ახლა ოთხი-ხუთი კაცის გადღაბნილ ფიგურებსღა ხედავდა – რონსა და ჰერმიონს ეჭიდავებოდნენ.

– თავი დაანებეთ! – ყვიროდა რონი. მუშტის დარტყმის ხმას რონის ღმუილი მოჰყვა. მერე ჰერმიონმა იკივლა:

– ხელი არ ახლოთ! გაუშვით! გაუშვით!

– შენს ბიჭს უარესი ელის, თუ ჩვენს სიაში აღმოჩნდა, – დაუღრინა ჰერმიონს საშინლად ნაცნობმა ღრჭიალა ხმამ, – იფ, ეს რა გემრიელი გოგო ჩანს... რა კანი აქვს! მე რომ მიყვარს, ზუსტად ისეთი...

ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა. მიხვდა, ვინც იყო –ფერნირ გრეიბექი, მაქცია, რომელსაც სისატიკის საფასურად სიკვდილის მხვრელის მანტიის ტარების ნება დართეს.

– კარავი გაჩხრიკეთ! – გაისმა მეორე ხმა.

ჰარი პირქვე დასცეს მიწაზე. ბრაგვანით მიხვდა, რომ რონიც მის

Scanned by CamScanner

გვერდით დააგდეს. ფეხის ხმა და ბრახაბრუხი ესმოდა; მომხვდურები კარავს ჩხრეკდნენ და სკამებს აქეთ-იქით ისროდნენ.

– აბა, ვნახოთ, ვინ მოვიგდეთ ხელში, – გაისმა გრეიბექის ავი ხმა. ჰარი გულაღმა გადააგორეს და სახე ჯადოსნური ჯოხის სხივით შეუთვალიერეს. გრეიბექს გაეცინა:

– ერთი შეხედეთ, რასა ჰგავს! ეს რა მოგსვლია, შე მახინჯო?

ჰარიმ მაშინვე არ უპასუხა.

– გეკითხები, – გაიმეორა გრეიბექმა და ჰარის ისე ჩასცხეს მუცელში, რომ ტკივილით ორად მოიკეცა, – რა მოგსვლია-მეთქი?

– დავინესტრე, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ.

– ჰო, ეგრე იქნება, – თქვა მეორე ხმამ.

– რა გვარი ხარ? – დაიღმუვლა გრეიბექმა.

– დადლი, – უთხრა ჰარიმ.

– სახელი?

– მე... ვერნონი. ვერნონ დადლი.

– სია შეამოწმე, სკაბიორ, – თქვა გრეიბექმა და გვერდზე გადგა რონის დასახედად, – შენ ვინღა ხარ, თავწითელავ?

– სტენ შანპაიკი, – უპასუხა რონმა.

– როგორ არა, დაგიჯერებთ! – თქვა კაცმა, ვისაც სკაბიორს ეძახდნენ, – ვიცნობთ შანპაიკს, რამდენჯერმე საქმე გამოგვიჩინა.

ისევ დარტყმის ხმა გაისმა.

– ბადნი ვად, – რონის დამახინჯებული ლაპარაკით ჰარი მიხვდა, ეტყობა პირი სისხლით აქვს სავსეო, – ბადნი უიდლი.

– უისლი? – დაიღმუვლა გრეიბექმა, – მაშ, მუქსისხლიანიც რომ არ იყო, სისხლის შემარცხვენლების ნათესავი ყოფილხარ. შენი კოხტა მეგობარი ვინღაა?.. – გრეიბექმა ჰერმიონისკენ გაიქნია თავი და ხმაში ისეთი სიამე გაერია, რომ ჰარის დაბურძგლა.

– მოიცა, გრეიბექ, – თქვა სკაბიორმა. სხვები იღრიჭებოდნენ.

– არა, კბენას ჯერ არ ვაპირებ. ვნახოთ, ბარნიზე სწრაფად გაახსენდება თუ არა სახელი. აბა, გაგვეცანი, გოგონა.

– პენელოპე ქლიარუოტერი ვარ, – შეშინებული, მაგრამ დამაჯერებელი ხმა ჰქონდა ჰერმიონს.

– სისხლის სტატუსი როგორი გაქვს?

– შერეული, – მიუგო ჰერმიონმა.

– შემოწმებას რა უნდა, – თქვა სკარბიორმა, – სუყველანი იმ ხნისას ჰგვანან, ჰოგვორტსში რომ უნდა სწავლობდნენ.

– დავამდავდეთ, – თქვა რონმა.

– მაშ, დაამთავრე, თავწითელავ? – მიუბრუნდა სკაბიორი, – და

Scanned by CamScanner

ლაშქრობას აწყობდით? და ისე, ხუმრობით ახსენეთ ბნელი ბატონის სახელი?

– ხუმდობიდ ადა, – თქვა რონმა, – სემდვევით.

– შემთხვევით? – ისევ დამცინავი ხითხითი ატყდა.

– იცი, სად უყვარდათ ბნელი ბატონის სახელის ხსენება, უისლი? – დაიღმუვლა გრეიბექმა, – ფენიქსის ორდენში. ვეცნობა ეგ სახელი?

– ადა.

– ბნელ ბატონს სათანადო პატივისცემით არ ექცევიან, ჰოდა, სახელს ტაბუ დავადეთ. ჭკვიანურად მოგვივიდა, ორდენის რამდენიმე წევრს ხელად მივაგენით. აბა, ეს თავხედები იმ ორ ტუსაღთან ერთად შეკარით!

ვიღაცამ ჰარის თმაში ჩაავლო ხელი, ცოტა ხანს მიათრევდა, მერე კი ზურგით გადააბა ვიღაცეებს. ჰარი ჯერაც ძლივს იყურებოდა ნახევრად დაბრმავებული, შეშუპებული თვალებით. როცა უკანასკნელი შემბოჭავიც მოშორდა, დანარჩენ ტყვეებს ნასჩურჩულა:

– ვინმეს ჯოხი გაქვთ?

– არა, – აქეთ-იქიდან მიუგეს რონმა და ჰერმიონმა.

– ჩემი ბრალია. მე ვთქვი სახელი. მაპატიეთ...

– ჰარი, შენ ხარ?

ახალი, მაგრამ ნაცნობი ხმა იყო, პირდაპირ ჰარის უკან, ჰერმიონის მარცხნივ მიბმული ადამიანისგან მოდიოდა.

– დინ!

– მაშ, შენა ხარ? თუ გაიგებენ, ვინ დაიჭირეს!.. ტაციები არიან, ლტოლვილ მოსწავლეებს ეძებენ, რომ ჩააბარონ და ოქრო იშოვონ...

– ერთი ღამისთვის ურიგო ნადავლი არ არის, – ამბობდა გრეიბექი. ლურსმნებით დაჭედილმა ორმა ბათინკმა ჰარის ჩაუარა და კარვიდან ისევ მტვრევის ხმა მოესმათ, – მუქსისხლიანი, ლტოლვილი გობლინი და ეს ლაწირაკები. სიაში გვარები უკვე ნახე, სკაბიორ?

– ვნახე. ვერნონ დადლი არ არის, გრეიბექ.

– საინტერესოა, ძალიან საინტერესო, – ჩაილაპარაკა გრეიბექმა და ჰარის გვერდით ჩაცუცქდა. ჰარიმ შეშუპებული ქუთუთოების ერთი ბეწო ნაპრალებში აბურძგნილი, რუხი თმა და ქილვაშებით დაფარული სახე, წვეტიანი, ჩაყვითლებული კბილები და ტუჩების კუთხეებში დამჩნეული ნაიარევები გაარჩია. გრეიბექი ახლაც ჭუჭყის, ოფლისა და სისხლის სუნად ისევე ყარდა, როგორც მაშინ, კოშკზე, დამბლდორის დაღუპვისას.

– მაშ, არ გეძებენ, ვერნონ? თუ ამ სიაში სხვა გვარითა ხარ? ჰოგვორტსში რომელ კლუბში იყავი?

– სლიზერინში, – ავტომატურად თქვა ჰარიმ.

Scanned by CamScanner

– რა სასაცილოა, ყველას ჰგონია, თუ სლიზერინს დაასახელებენ, ეგრევე გავუშვებთ, – მოისმა სკაბიორის სიცილი, – მაგრამ იმას ველარავინ გვეუბნება, საერთო ოთახი სადა აქვთ.

– ჯურღმულში, – გარკვევით უთხრა ჰარიმ, – კედლიდან შედიხარ. თავის ქალებით და ათასი რამითაა სავსე, ტბის ქვეშაა და მწვანე შუქითაა განათებული.

მოკლე პაუზა ჩამოვარდა.

– ოჰო, მგონი, მართლა პატარა სლიზერინელი დავიჭირეთ, – თქვა სკაბიორმა, – შენი ბედი, ვერნონ! სლიზერინში ბევრი მუქსისხლიანი არ სწავლობს. მამაშენი რა კაცია?

– სამინისტროში მუშაობს, ჯადოსნური შემთხვევებისა და კატასტროფების დეპარტამენტში, – იცრუა ჰარიმ. იცოდა, თუ გამოიძიებდნენ, ყველაფერს გაიგებდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, მანამ მაინც შეეძლო ეთამაშა, სანამ სახე დაუცხრებოდა.

– გრეიბექ, იქ მართლა უნდა იყოს ერთი დადლი, – თქვა სკაბიორმა.

ჰარის სუნთქვა შეეკრა და გულში იმედის ნაპარწკალი აუკიაფდა: ნუთუ ეშველებათ და თავს დააღწევენ?

– კარგი, კარგი, – თქვა გრეიბექმა. უხეში ხმა ოდნავ აუცახცახდა და ჰარი მიხვდა, გრეიბექს აინტერესებდა, მართლა სამინისტროს თანამშრომლის შვილი ჰყავდა გაკოჭილი თუ ვინმე სხვა. თოკებშემოჭერილ ჰარის გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, არ გაუკვირდებოდა, რომ გრეიბექს გაეგონა, – თუ მართალს ამბობ, მახინჯო, სამინისტროში მისვლა არ შეგაშინებს. მამაშენი, ალბათ, შენი პოვნისთვის დაგვაჯილდოებს კიდეც.

– მაგრამ... – ამოილუღლუღა პირგამშრალმა ჰარიმ, – თუ ნებას დაგვრთავთ...

– გრეიბექ! – მოისმა ყვირილი კარვიდან, – შეხედე, გრეიბექ!

კარვიდან დიდი ნაბიჯებით გამოვიდა მუქი ფიგურა, რომელსაც ხელში გრიფინდორის ხმალი ეჭირა.

– ძა-ა-ა-ლიან კარგი, – მოწონებით თქვა გრეიბექმა და ამხანაგს ხმალი გამოართვა, – მართლა მაგარია. გობლინების ნაკეთებსა ჰგავს. სად გიშოვიათ?

– მამაჩემისაა, – იცრუა ჰარიმ იმ იმედით, იქნებ ამ სიბნელეში გრეიბექმა ვადასთან ამოტვიფრული სახელი ვერ დაინახოსო, – შეშის მოსაჭრელად ვთხოვეთ...

– ერთი წუთით, გრეიბექ, ამას უყურე, „მისანშია!"

სკაბიორმა ეს თქვა თუ არა, ჰარის შუბლზე მაგრად გადაჭიმული ნაიარევი აეწვა, ვოლდემორის ფიქრები სამართებელივით ბასრად

Scanned by CamScanner

– ეგ არის! – დაიღრჭიალა გრეიბექმა, – პოტერი დავიჭირეთ!

ამ ახალი ამბით გაოგნებულმა ტაციებმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს. ჰარი ჯერაც იბრძოდა, რომ გახეთქვამდე მტკივანი თავიდან ფიქრები არ გაჰქცეოდა, პასუხად ვერაფერი მოეფიქრებინა. გონებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხილვები ისევ ამოუტივტივდა:

...შავი ციხესიმაგრის გალავნის მაღალ კედლებს მიეფარა...

...არა, ჰარია, გაკოჭილი, უჯოხოდ, დიდ საფრთხეში...

...ყველაზე მაღალი კოშკის ყველაზე მაღალ ფანჯარას აჰყურებს...

...ჰარია და ხმადაბლა წყვეტენ მის ბედს...

...აფრენის დროა...

– სამინისტროში?

– ჯანდაბას სამინისტრო, – დაიღრინა გრეიბექმა, – ფულს ისინი ჩაიჯიბავენ და ჩვენ არაფერს გვარგუნებენ. გეუბნებით, პირდაპირ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას წავუყვანოთ-მეთქი.

– შენ გამოიძახებ? აქ? – ელეთმელეთი მოუვიდა სკაბიორს.

– არა, – დაიღრჭიალა გრეიბექმა, – მე ხომ ის არა მაქვს... ამბობენ, რომ მალფოების სახლი აქვს შტაბად. ესენიც იქ წავიყვანოთ.

ჰარი მიხვდა, რატომაც ვერ იხმობდა გრეიბექი ვოლდემორს. მაქციას, როცა სჭირდებოდათ, ალბათ, სიკვდილის მხვრელის მანტიის ჩაცმის უფლებას კი აძლევდნენ, მაგრამ შავი ნიშანი მხოლოდ ვოლდემორის უახლოეს თანამოაზრეებს ჰქონდათ. გრეიბექს ეს უმაღლესი პატივი არ ერგო.

ისევ აეწვა ნაიარევი...

...და პირდაპირ კოშკის წვერზე, ყველაზე მაღალი ფანჯრისკენ აფრინდა...

– ზუსტად იცი, რომ ის არის? ხომ იცი, გრეიბექ, სხვა თუ გამოდგა, სიკვდილი არ აგვცდება.

– ვინ არის აქ მეთაური? – აღრიალდა გრეიბექი, – მე ვამბობ, პოტერია-მეთქი. პოტერი პლუს მისი ჯოხი ორი ათას გალეონს უდრის! მაგრამ თუ ისეთი ლაჩრები ხართ, რომ არ წამოხვალთ, ყველაფერი მე მერგება. და თუ ბედმა გამიღიმა, გოგოსაც გამოვკრავ ხელს!

...ფანჯარა ისეთი ვიწრო იყო, კაცი ვერ გაეტეოდა... შიგნით საბნის ქვეშ მოკრუნჩხული ჩონჩხივით ფიგურა მოჩანდა... მკვდარია თუ სძინავს?..

– კარგი, – თქვა სკაბიორმა, – კარგი, მოგყვებით! დანარჩენებს რაღა ვუყოთ, გრეიბექ?

– ეგენიც წავიყვანოთ. ორი მუქსისხლიანი გვყავს, ეგეც – ათი გალეონი. ხმალიც მომეცით. თუ ნამდვილი ლალებითაა მოჭედილი, ფულს ეგეც მოგვიტანს.

Scanned by CamScanner

ტუსაღები ფეხზე წამოყარეს. ჰარის ჰერმიონის აჩქარებული და შეშინებული სუნთქვა ესმოდა.

– ჩაეჭიდეთ, მაგრად გეჭიროთ. პოტერს მე მივხედავ! – იყვირა გრეიბექმა და ჰარის თმაში ჩაავლო ხელი და გრძელი, ყვითელი ფრჩხილებით თავის ქალა მოფხაჭნა, – სამ თვლაზე! ერთი... ორი... სამი...

აპარაცია მოახდინეს და პატიმრებიც გაიყოლეს. ჰარი იბრძოდა, ცდილობდა, გრეიბექის ხელი მოეშორებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: აქეთ-იქიდან რონი და ჰერმიონი ეკვროდნენ; ჯგუფს ვერ მოშორდებოდა. სუნთქვაშეკრულს ნაიარევიც უარესად ასტკივდა...

...ფანჯრის ღრიჭოში გველივით შეძვრა და კვამლივით მსუბუქად დაეშვა საკანივით ოთახში...

უცნობ გზაზე დაშვებისას პატიმრები ერთმანეთს მიაწყდნენ. ჰარიმ ჯერაც შეშუპებული თვალებით სახლამდე მისასვლელი გზის ბოლოში ნაჭედი რკინის ორფრთიანი ჭიშკარი დაინახა და გულზე ოდნავ მოეშვა. ყველაზე უარესი ჯერ არ მომხდარიყო – ვოლდემორი აქ არ იმყოფებოდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჰარიმ მაინც დაინახა, რომ რაღაც უცნობ, ციხესიმაგრის მსგავს ადგილას, კოშკისულ ზედა ოთახში იდგა. სხვა საქმეა, რამდენი ხანი დასჭირდება ვოლდემორს აქ მოსასვლელად მას მერე, რაც გაიგებს, რომ ჰარი დაიჭირეს...

ერთი ტაცია ჭიშკართან მივიდა და შეანჯღრია.

– როგორ შევიდეთ? დაკეტილია, გრეიბექ... უჰ, დალახვროს ეშმაკმა!

ტაციამ ხელები შიშით გამოჰგლიჯა. რკინა დაიგრიხა, დაიგრაგნა, აბსტრაქტული წრე-ხვეულები საშიშ სახედ გადაიქცა და ყღრიალა, ექოს გამომცემი ხმით იკითხა:

– თქვენი მიზანი?

– პოტერი მოგვყავს! – აღტაცებით ილრიალა გრეიბექმა, – ჰარი პოტერი დავიჭირეთ!

ჭიშკარი ფართოდ გაიღო.

– წავედით! – ბრძანა გრეიბექმა. ტუსაღები ჭიშკარში შეყარეს და მაღალი ცოცხალი ღობეებით შემოჯარულ გზას ჰარიმ ზემოთ ლანდივით თეთრი სილუეტი დაინახა და მიხვდა, ალბინოსი ფარშავანგი იქნებაო. წაიბორძიკა და გრეიბექს ფეხზე დაადგა ფეხი; ბორძიკ-ბორძიკით გვერდითი შესასვლელისკენ გაუხვიეს, ოთხ სხვა ტუსაღთან ზურგშექცევით გადაბმულმა ჰარიმ შეშუპებული თვალები დახუჭა და წამით ნაიარევის ტკივილს დანებდა: უნდა გაეგო, რას აკეთებდა ვოლდემორი, იცოდა თუ არა, რომ ჰარი დაიჭირეს...

...თხელ საბანში გახვეული გაძვალტყავებული ფიგურა გადმო-

Scanned by CamScanner

ბრუნდა, თავის ქალასავით გამხმარი სახე ჰქონდა. დიდი, ჩაცვენილი თვალები გაახილა და დაუპატიჟებელ სტუმარს მიაშტერდა. მერე წამოჯდა და გაეღიმა. თითო-ოროლა კბილიღა შერჩენოდა...

– მაშ, მოხვედი? ვიცოდი, მოხვიდოდი. მაგრამ სულ ტყუილად იარე. ჩემს დღეში არ მქონია.

– ცრუობ!

ვოლდემორს ბრაზი მოაწვა, ჰარის ნაიარევი ტკივილისგან ლამის გაუსკდა და ისევ თავის გონებაში დაბრუნდა, თან ცდილობდა, ვოლდემორის ფიქრები აღარ დაენახა. პატიმრებს ახლა ხრეშით მოფენილ ბილიკზე მიერეკებოდნენ.

უცებ შუქმა იფეთქა.

– რა ხდება? – გაისმა ქალის ცივი ხმა.

– ის უნდა ვნახოთ, ვისი სახელიც არ ითქმის! – დაიღრჭიალა გრეიბექმა.

– ვინა ხარ?

– მიცნობთ! – გრეიბექს მგლისებურ ხმაში აღშფოთება გაერია, – ფერნირ გრეიბექი! ჰარი პოტერი დავიჭირე!

გრეიბექმა ჰარის ხელი დაავლო და წინ გააგდო, რომ სინათლე დასცემოდა, დანარჩენმა პატიმრებმაც წინ გადადგეს ნაბიჯი.

– გასივებულია, ქალბატონო, მაგრამ ის არის! – წარმოთქვა სუნთქვაშეკრულმა სკაბიორმა, – ახლოდან რომ შეხედავთ, ნაიარევს დაინახავთ. გოგო ნახეთ. ის მუქსისხლიანია, პოტერთან ერთად რომ დადის, ქალბატონო. დარწმუნებული ვარ, ისაა. ჯოხიც ჩვენ გვაქვს! აი, ნახეთ...

ჰარიმ გასივებული ქუთუთოებიდან დაინახა, რომ ნარცისა მალფოი სახეზე აკვირდებოდა. სკაბიორმა კვრინჩხის ჯოხი გაუწოდა. ნარცისამ წარბები აზიდა.

– შემოიყვანეთ!

ჰარი და დანარჩენები ხელის კვრით აიყვანეს ქვის ფართო კიბეზე და პორტრეტებჩარიგებულ დერეფანში შერეკეს.

– მომყევით! – თქვა ნარცისამ და დერეფანში გაუძღვა, – ჩემს შვილს, დრაკოს, არდადეგები აქვს და შინ არის. ეს თუ ნამდვილად ჰარი პოტერია, იცნობს.

სიბნელის შემდეგ ჰარი სასტუმრო ოთახის შუქმა დააბრმავა; ლამის თვალდახუჭულმაც კი დაინახა, რომ უშველებელი ოთახი იყო. ჭერზე ბროლის ჭაღი ეკიდა, მუქი იისფერი კედლები პორტრეტებით იყო დაფარული. როცა ტაციებმა ტუსაღები ოთახში შეყარეს, მარმარილოთი მოპირკეთებული ბუხრის წინ მდგარი სავარძლებიდან ორი ფიგურა წამოდგა.

Scanned by CamScanner

– რა ხდება?

ჰარის ლუციუს მალფოის საშინლად ნაცნობი, განელილი ლაპარაკი ჩაესმა. ახლა კი ნამდვილად დაფეთდა. გამოსავალს ვერ ხედავდა. შეშინებულმა უფრო კარგად მოახერხა ვოლდემორის ფიქრების დახშობა, თუმცა, ნაიარევი მაინც ეწვოდა.

– ამბობენ, პოტერი დავიჭირეთო, – გაისმა ნარცისას ცივი ხმა, – დრაკო, მოდი აქ.

ჰარიმ დრაკოსკენ გააპარა თვალი. სავარძლიდან მასზე ოდნავ მაღალი ფიგურა წამოდგა. ჰარი მის მოთეთრო ქერა თმასა და ფერმკრთალ, წანვეტებულ სახეს ლაქად ხედავდა.

გრეიბექმა ტუსაღები ისე მიაბრუნა, რომ ჰარი პირდაპირ ჭაღქვეშ მოხვდა.

– აბა, თავი ასწიე, ბიჭო! – წაიღრინა მაქციამ.

ჰარი ბუხრის ზემოთ დაკიდებულ, მდიდრულად მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმულ მოოქრულ სარკეს აჰყურებდა. გრიმოს მოედნიდან წამოსვლის შემდეგ თავის გამოსახულებას პირველად ხედავდა: უშველებელი სახე ვარდისფრად ულაპლაპებდა; ჰერმიონის ჯადოს ყველა ნაკვთი დაემახინჯებინა. შავი თმა მხრებამდე ჩამოზრდოდა, ყბა ჩამუქებოდა. რომ არ სცოდნოდა, რომ თვითონ იყო, გაუკვირდებოდა, ჩემი სათვალე ვის უკეთიაო. გადაწყვიტა, სიტყვაც არ დასცდენოდა, რომ ხმას არ გაეცა. მოახლოებულ დრაკოს თვალს არიდებდა.

– აბა, რას იტყვი, დრაკო? – ხარბად თქვა ლუციუს მალფოიმ, – ეგ არის? ჰარი პოტერია?

– რა ვიცი... ვერ გეტყვი, – თქვა დრაკომ. გრეიბექისგან შორს ეჭირა თავი და ეტყობოდა, ისევე უფრთხოდა ჰარის მზერას, როგორც ჰარი – მისას.

– კარგად შეხედე, კარგად! ახლოს მოდი!

ჰარის ლუციუს მალფოის ასეთი აღელვებული ხმა არასოდეს სმენოდა.

– დრაკო, თუ ბნელ ბატონს ჩვენ გადავცემთ პოტერს, ყველაფერი მოგვეტევება...

– აბა, აბა, ხომ არ გავიწყდებათ, სინამდვილეში პოტერი ვინ დაიჭირა, ბატონო მალფოი? – მუქარით თქვა გრეიბექმა.

– რას ამბობ, რა თქმა უნდა, არა! – გამოერკვა ლუციუსი და ჰარის მიუახლოვდა. ჰარიმ შეშუპებული თვალებითაც კი მკაფიოდ დაინახა მისი უფერული სახე. თვითონ კი ცხვირ-პირი ისე გასივებოდა, რომ ეგონა, გალიის გისოსებიდან ვიყურებიო.

– რა უქენით? – მიუბრუნდა ლუციუსი გრეიბექს, – ამ დღეში როგორ ჩავარდა?

Scanned by CamScanner

– ჩვენ არ გვიქნია.

– დანესტვრის ჯადო მგონია, – ჩაილაპარაკა ლუციუსმა და ნაცრისფერი თვალები ჰარის შუბლზე მოატარა.

– მართლა რაღაც აჩნია, – წაიჩურჩულა, – შეძლება ნაიარევი იყოს, განელილი... დრაკო, მოდი, კარგად შეხედე. რას იტყვი?

ჰარიმ დრაკოს სახე დაინახა იქვე, მამამისის სახის გვერდით. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ოღონდ თუ მამა აღელვებული იყო და არ იცოდა, რა ექნა, დრაკოს სახეზე ზიზღი და თითქოს შიშიც კი ეწერა.

– არ ვიცი, – გაიმეორა დრაკომ და ბუხართან მივიდა.

– ჯობია, დანამდვილებით ვიცოდეთ, ლუციუს, – მიმართა ქმარს ნარცისამ ხავისი ცივი, მკაფიო ხმით, – სანამ ბნელ ბატონს მოვუხმობთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომ მართლა პოტერია... ამბობენ, ეს ჯოხი ამისიაო... – ახლოს მიიტანა კვრინჩხის ჯოხი და დააცქერდა, – მაგრამ ოლივანდერის აღწერილობას არ ემთხვევა... თუ შეგვეშალა და ბნელი ბატონი ტყუილად მოვიყვანეთ... გახსოვს, რა უყო როულისა და დოლოხოვს?

– მუქსისხლიანზე რაღას იტყვით? – დაიღრინა გრეიბექმა. ტაციებმა ტუსაღები მკვეთრად მოატრიალეს და ჰარი კინაღამ წააქციეს. სინათლე ახლა ჰერმიონს დაეცა.

– მოიცადეთ, – მკვახედ თქვა ნარცისამ, – დიახ, დიახ, ეს ახლდა პოტერს მადამ მალკინთან! „მისანშიც“ მინახავს მაგისი სურათი! შეხედე, დრაკო, გრეინჯერის გოგო არ არის?

– მე... შეიძლება... ჰო.

– მაშ, ეს უისლების ბიჭი ყოფილა! – იყვირა ლუციუს მალფოიმ, ტუსაღებს შემოუარა და რონს მიადგა, – კი, ესენი არიან პოტერის მეგობრები... დრაკო, შეხედე, ეს არ არის არტურ უისლის შვილი? რა ჰქვია?..

– ჰო, – ისევ თქვა ტუსაღებისგან ზურგშექცევით მდგარმა დრაკომ, – შეიძლება.

ჰარის უკან სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და ქალის ლაპარაკი მოისმა. ახალშემოსული ჰარის მარჯვნივ შეჩერდა და მძიმე-ქუთუთოებიანი თვალებით ჰერმიონს მიაშტერდა.

– ამას რას ვხედავ, – თქვა წყნარად, – ის მუქსისხლიანი გოგოა? გრეინჯერი?

– დიახ, დიახ, გრეინჯერი! – შეჰყვირა ლუციუსმა, – მის გვერდით კი ნამდვილად პოტერი დგას! შეხედე, ბელატრისა, პოტერი და მისი მეგობრები! როგორც იქნა, დავიჭირეთ!

– პოტერი? – იკივლა ბელატრისამ და უკან დაიხია, რათა ჰარი

Scanned by CamScanner

უკეთესად შეეთვალიერებინა, – მართლა ის არის? მაშ, ბნელ ბატონს უნდა ვაცნობოთ!

ბელატრისამ მარცხენა სახელო აიკაპიწა და ჰარიმ მკლავზე ამოშანთული შავი ნიშანი დაუნახა. მიხვდა, ქალი საყვარელი ბატონის მოსახმობად ემზადებოდა...

– მე უნდა მოვიხმო, – ლუციუსმა ბელატრისას მაჯა დაუჭირა და შავ ნიშანზე შეხების საშუალება არ მისცა, – მე გამოვიძახებ, ბელა. პოტერი ჩემს სახლში დაიჭირეს, ამიტომ უფლება მაქვს...

– უფლებაო? – დასცინა ბელატრისამ და სცადა, მაჯა წაერთმია, – უფლება ჯოხთან ერთად ჩამოგერთვა, ლუციუს. როგორ მიბედავ! ხელი გამიშვი!

– შენ რა შუაში ხარ, ბიჭი შენ ხომ არ დაგიჭერია...

– ბოდიშს ვიხდი, ბატონო მალფოი, – ჩაერია გრეიბექი, – მაგრამ პოტერი ჩვენ დავიჭირეთ და ოქროსაც ჩვენ მოვითხოვთ...

– ოქროს? – ისევ გაეცინა ბელატრისას, თან ცდილობდა, სიძისთვის ხელი წაეგლიჯა, თავისუფალ ხელს კი ჯიბეში იფათურებდა და ჯოხის ამოღებას ცდილობდა, – მთელი ოქრო შენი იყოს, შე ბინძურო მემძორიავ, ოქრო რა ჯანდაბად მინდა? მე მხოლოდ მისი პატივისცემა...

უცებ ჯაჯგური შეწყვიტა და შავი თვალები რაღაცას გაუშტერა. ჰარი ვერ ხედავდა, რამ მიიპყრო ბელატრისას ყურადღება. მოწინააღმდეგის დამორჩილებით გახარებულმა ლუციუსმა კი დრო იხელთა და სახელო სწრაფად შემოიხია...

– შეჩერდი! – იკივლა ბელატრისამ, – არ მიეკარო, ბნელი ბატონი რომ მოვიდეს, ყველანი დავიღუპებით!

შავ ნიშანზე თითდამიზნებული ლუციუსი გაშეშდა. ბელატრისა ჰარის ვიწრო მხედველობის არიდან გავიდა.

– ეს რა არის? – მოისმა მისი მკაცრი ხმა.

– ხმალი, – წაიბუზღუნა რომელიღაც ტაციამ.

– მომეცით.

– თქვენი ხომ არ არის, ქალბატონო, ჩემია. მე ვიპოვე.

გაისმა დარტყმის ხმა და წითელმა შუქმა გაიელვა; ჰარი მიხვდა, რომ ტაცია გათიშეს. მისი ამხანაგები ბრაზით აბღავლდნენ. სკაბიორმა ჯოხი მოიმარჯვა.

– ეს რა თამაში წამოიწყე, ქალო?

– გაშეშდი! – იკივლა ბელატრისამ, – გაშეშდი!

ოთხნი კი იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრებოდა: ჰარიმ იცოდა, რა ძლიერი და უსინდისო ჯადოქარი იყო ბელატრისა. ყველანი იქვე დაცვივდნენ, სადაც იდგნენ, გარდა გრეიბექისა, რომელიც

Scanned by CamScanner

მუხლებზე დავარდა და ხელები გაწვდილი დარჩა. ჰარიმ თვალის კუთხით დაინახა, რომ გრიფინდორის ხმალჩაბლუჯული, სახეგაქვავებული ბელატრისა მაქციისკენ დაიხარა.

– ეს ხმალი სად იშოვე? – წაუსისინა გრეიბექს და მოდუნებული ხელიდან ჯოხი გამოაცალა.

– როგორ ბედავ? – დაიღმუვლა გრეიბექმა. პირის მოძრაობაღა შეეძლო. ბელატრისას მძულვარედ ახედა და წვეტიანი კბილები დაკრიჭა:

– გამიშვი, ქალო!

– ხმალი სად იშოვე-მეთქი? – გაიმეორა ბელატრისამ და ხმალი ცხვირნინ გაუქნია, – ეს ხმალი სნეიპმა გრინგოტსში, ჩემს აკლდამაში შეინახა!

– კარავში ჰქონდათ, – დაიღრჭიალა გრეიბექმა, – გამიშვი-მეთქი!

ბელატრისამ ჯოხი გაიქნია და მაქცია შექანდა, მაგრამ ისე ულონოდ იყო, ფეხზეც ვერ წამოდგა. საკარძლის უკან გაცოცდა და ბინძური, მოკაუჭებული ფრჩხილები საზურგეს ჩასჭიდა.

– დრაკო, ეს არარაობები გარეთ გაათრიე, – უგონო მამაკაცებზე მიუთითა ბელატრისამ, – და თუ შენ ვერ გაბედავ დახოცვას, ეზოში დაყარე და მე მივხედავ.

– როგორ ბედავ დრაკოსთან ასე ლაპარაკს, – შეეპასუხა ნარცისა, მაგრამ ბელატრისამ იკივლა:

– ჩუმად იყავი! ვერ წარმოიდგენ, რა შავ დღეში ვართ, სისი.სერიოზული პრობლემა გვაქვს!

ბელატრისა ქოშინით გასწორდა წელში, ხმალს დახედა და ვადა მოსინჯა. მერე მიტრიალდა და მდუმარე ტუსაღებს შეხედა:

– თუ მართლა პოტერია, არაფერი არ უნდა დაუშავდეს, – ჩაიდუდუნა უფრო თავისთვის, ვიდრე სხვების გასაგონად, – ბნელ ბატონს თვითონვე სურს მისი თავიდან მოშორება... მაგრამ თუ გაიგო... მე უნდა... უნდა ვიცოდე...

და ისევ დას მიუბრუნდა:

– პატიმრები სარდაფში უნდა ჩავიყვანოთ, სანამ მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცეთ.

– ეს ჩემი სახლია, ბელა, და ჩემს სახლში შენ ნუ მბრძანებლობ...

– მაშ, შენ თვითონ ბრძანე! წარმოდგენა არა გაქვს, რა საფრთხეში ვართ! – იკივლა ბელატრისამ. საშიში სანახავი იყო, გიჟს ჰგავდა, მისი ჯოხიდან ცეცხლის წვრილი ნაკადი გამოიჭრა და ხალიჩა ამოწვა.

ნარცისა წამით შეყოყმანდა, მერე მაქციას მიუბრუნდა:

– ტუსაღები სარდაფში ჩაიყვანე, გრეიბექ.

Scanned by CamScanner

– მოიცა, – მკვახედ თქვა ბელატრისამ, – ყველანი, გარდა... გარდა მუქსისხლიანისა.

გრეიბექმა სიამოვნებით დაილმუვლა.

– არა! – იყვირა რონმა, – მე დამტოვეთ! რაც გინდა, მიყავით!

ბელატრისამ სახეში გაარტყა. დარტყმის ექო მთელ ოთახში გაისმა.

– თუ დაკითხვისას შემომაკვდა, შემდეგი შენ იქნები, – მიმართა რონს, – სისხლის მოღალატე ჩემს სიაში მუქსისხლიანის შემდეგ წერია. ჩაიყვანე, გრეიბექ, არ გაგექცნენ, მაგრამ მეტი არაფერი დაუშავო... ჯერ.

ბელატრისამ გრეიბექს ჯოხი გადაუგდო, მერე მანტიიდან მოკლე ვერცხლის დანა ამოიღო, ჰერმიონს თოკი გადაუჭრა, სხვა ტუსაღებს მოაშორა და შუა ოთახში თმით გაათრია. გრეიბექმა დანარჩენები გარეკა და მეორე ოთახის გავლით ბნელ დერეფანში გაიყვანა. მათკენ დამიზნებული ჯოხით უხილავ, მოუგერიებელ ძალას გამოსცემდა.

– ალბათ, მაკბენინებს იმ გოგოსთვის, როცა დაკითხვას მორჩება, არა? – პირი გაანკლაპუნა გრეიბექმა, თან ტუსაღებს დერეფანში მიერეკებოდა, – ერთი-ორჯერ სიამოვნებით ვუკბენდი. შენ, თავნითელავ?

ჰარი გრძნობდა, როგორ ცახცახებდა რონი. ზურგშექცევით გადაბმულები ახლა დაქანებულ კიბეზე ჩაჰყავდათ. შეიძლებოდა, ყოველ წუთს ფეხი დასცდენოდათ და კისერი მოეტეხათ. კიბის ძირში მძიმე კარი იყო. გრეიბექმა ჯოხით დააკაკუნა და გააღო, მერე ნესტიან, აშმორებულ, უკუნი სიბნელით მოცულ ოთახში შეყარა. სარდაფის კარის ჯახუნის ექო არ მიმწყდარიყო, რომ პირდაპირ მათ ზემოთ საშინელი, გაბმული კივილი გაისმა.

– ჰერმიონ! – შეჰყვირა რონმა და ისე დაიკლაკნა და გაიბრძოლა თოკებისაგან გასათავისუფლებლად, რომ ჰარი წაბორძიკდა, – ჰერმიონ!

– ჩუმად, – უთხრა ჰარიმ, – გაჩუმდი, რონ. რამე უნდა მოვიფიქროთ...

– ჰერმიონ! ჰერმიონ!

– რამე მოვიფიქროთ, ნუ ღრიალებ... ჯერ ეს თოკები მოვიშოროთ...

– ჰარი! – მოისმა ჩურჩული ბნელში, – რონ! თქვენა ხართ?

რონმა ყვირილი შეწყვიტა. მათ ახლოს რაღაც ამოძრავდა და მერე ჰარიმ მოახლოებული ლანდი დაინახა.

– ჰარი, რონ!

– ლუნა?

Scanned by CamScanner

– ჰო, მე ვარ. ოჰ, როგორ ვნატრობდი, ნეტავ ვერ დაიჭირონ-მეთქი.

– ლუნა, შეგიძლია, ეს თოკები მოგვხსნა? – ჰკითხა ჰარიმ.

– ჰო, ალბათ... აქ ერთი ძველი ლურსმანია და თუ რამის გატეხა გვინდა, იმას ვიყენებთ... მოიცა...

ზემოდან ისევ მოისმა ჰერმიონის კივილი, ბელატრისაც კიოდა, მაგრამ რას – ვეღარ გაარჩიეს, რადგან რონი ისევ აბღავლდა:

– ჰერმიონ! ჰერმიონ!

– ბატონო ოლივანდერ, – მოესმა ჰარის ლუნას ხმა, – ლურსმანი თქვენ გაქვთ? თუ ცოტათი ჩაჩოჩდებით... მე მგონი, დოქის გვერდით იყო.

ლუნა ორიოდე წამში დაბრუნდა:

– წყნარად იდექით.

ჰარი გრძნობდა, როგორ ჩაასო ლუნამ ლურსმანი მაგარ თოკში და კვანძების გახსნა სცადა. ზემოდან ბელატრისას ხმა მოესმათ:

– ერთხელ კიდევ გეკითხები! სად აიღე ეს ხმალი? სად?

– ვიპოვეთ... ვიპოვეთ... გეხვეწებით! – ისევ იკივლა ჰერმიონმა. რონმა წელანდელზე ღონივრად გაიბრძოლა და ჟანგიანი ლურსმანი ჰარის მაჯაში შეერჭო.

– რონ, გეხვეწები, წყნარად იდექი! – წაიჩურჩულა ლუნამ, – ვერ ვხედავ, რას ვაკეთებ...

– ჯიბეში საქრობელა მაქვს და, შიგ რამდენიც გინდა, იმდენი შუქია! – უთხრა რონმა.

რამდენიმე წამში ჩხაკუნი გაისმა და ის მანათობელი სფეროები, რომლებიც საქრობელამ კარავში ლამპებისაგან შეისრუტა, სარდაფში გამოფრინდა; ერთმანეთს ვერ შეუერთდნენ, ცალ-ცალკე, მზეებივით დაეკიდნენ ჰაერში და მიწისქვეშა ოთახი გაანათეს. ჰარიმ ლუნა დაინახა: სახეზე ფერი საერთოდ აღარ ედო, ცარიელი თვალებიღა დარჩენილიყო; კუთხეში, იატაკზე, ჯოხების ოსტატი ოლივანდერი მოკრუნჩხულიყო. მერე იქაურობა მოათვალიერა და მათთან ერთად დატყვევებული დინი და გობლინი გრიპჰუკი დაინახა. გრიპჰუკი თითქმის უგონოდ იყო, ადამიანებთან მიჯაჭვულს თოკებიღა აკავებდა ფეხზე.

– ასე უფრო ადვილია, გმადლობ, რონ, – ლუნა ისევ თოკებს დაუტრიალდა, – გამარჯობა, დინ!

ზემოთ ისევ ბელატრისას ხმა გაისმა:

– ცრუობ, ბინძურო მუქსისხლიანო, ვიცი, რომ ცრუობ! ჩემს საცავში იყავით, გრინგოტსში! მართალი მითხარი, მართალი!

ისევ საზარელი კივილი...

Scanned by CamScanner

– ვაიმე, ჰერმიონ! – ისევ დაიგმინა რონმა.

– სხვა რა აიღეთ? კიდევ რა გაქვთ? მართალი მითხარი, თორემ, გეფიცები, ამ დანით გაგფატრავ!..

– როგორც იქნა! – თქვა ლუნამ.

თოკები დაცვივდა და ჰარი მაჯების სრესით მოტრიალდა. რონი უკვე სირბილით უვლიდა სარდაფს, დაბალ ჭერს აჰყურებდა და ჩამოსაშვებ კიბეს ეძებდა. სახეჩალურჯებულმა, დასისხლიანებულმა და აკანკალებულმა დინმა ლუნას მადლობა გადაუხადა და კედელთან ჩაცუცქდა, გრიპჰუკი მთვრალივით დაბარბაცდა და იატაკზე ჩაიკეცა. სახეზე ცემის კვალი აჩნდა.

რონი უჯოხოდ ცდილობდა აპარაციას.

– არაფერი არ გამოვა, რონ, – უთხრა მისი უნაყოფო ცდის შემხედვარე ლუნამ, – სარდაფი მოჯადოებულია, გაქცევას ვერანაირი ხერხით ვერ შეძლებ. თავიდან მეც ვცდილობდი. ბატონი ოლივანდერიც დიდი ხანია, აქ არის, ყველაფერი სცადა.

ჰერმიონი ისევ კიოდა. მისი კივილი საკუთარი ტკივილივით ტანჯავდა ჰარის. ნაიარევის სასტიკ ჩხვლეტას ველარც კი ამჩნევდა. თვითონაც შეუდგა სარდაფის თვალიერებას, თან კედლებს სინჯავდა, ოღონდ, არ იცოდა, რისთვის, რადგან ხვდებოდა, რომ უნაყოფოდ ირჯებოდა.

– სხვა რა აიღეთ, რა? მიპასუხე! კრუციო!

ჰერმიონის კივილმა ექოდ ჩამოაღწია. აქვითინებული რონი კედლებს მუშტებს უბრაგუნებდა. სასონარკვეთილმა ჰარიმ ყელიდან ჰაგრიდის ქისა მოიხსნა და მოჩხრიკა: ჯერ დამბლდორის სნიჩი ამოიღო და შეანჯღრია, თვითონაც არ იცოდა, რისი იმედით... არაფერი არ მომხდარა... მერე ფენიქსისბუმბულიანი ჯოხის გატეხილი ნახევრები გაიქნია, მაგრამ ჯოხი უსიცოცხლო იყო... სირიუსის სარკის ნამტვრევი იატაკზე დავარდა, გაიბრწყინა და უცებ იქიდან კაშკაშა ცისფერმა ელვამ შემოანათა...

სარკიდან დამბლდორის თვალი უყურებდა.

– გვიშველეთ! – უყვირა თვალს უიმედობისგან გაგიჟებულმა ჰარიმ, – მალფოების მამულის სარდაფში ვართ, გვიშველეთ!

თვალი ახამხამდა და გაქრა.

ჰარი ზუსტად ვერც კი იტყოდა, მართლა დაინახა თვალი თუ არა. სარკის ნამსხვრევი ხან აქეთ შეატრიალა, ხან – იქით, მაგრამ შიგ სარდაფის კედლებისა და ჭერის გარდა, აღარაფერი ირეკლებოდა. ზემოთ ჰერმიონი წინანდელზე უარესად აკივლდა, ჰარის გვერდით კი რონი ბღაოდა:

– ჰერმიონ! ჰერმიონ!

Scanned by CamScanner

– ჩემს აკლდამაში როგორ შეხვედით? – მოესმათ ბელატრისას კივილი, – ის ბინძური გობლინი დაგეხმარათ, სარდაფში რომ ზის?

– იმას წუხელ შევხვდით! – ქვითინებდა ჰერმიონი, – თქვენს აკლდამაში ფეხიც არ დაგვიდგამს... ეს ნამდვილი ხმალი არ არის! ასლია, ასლი!

– ასლიო? – დაიხრიალა ბელატრისამ, – როგორ არა!

– მაგას იოლად გავიგებთ! – გაისმა ლუციუსის ხმა, – დრაკო, გობლინი მოიყვანე და გვეტყვის, ნამდვილია ეს ხმალი თუ არა!

ჰარი სარდაფის იმ კუთხისკენ გაექანა, სადაც გრიპჰუკი მოკრუნჩხულიყო.

– გრიპჰუკ, – ნვეტიან ყურში ჩასჩურჩულა გობლინს, – გეხვეწები, უთხარი, ეს ხმალი ყალბია-თქო. არ უნდა იცოდნენ, რომ ნამდვილია. გრიპჰუკ, გთხოვ...

სარდაფის კიბეზე ვიღაც ჩამორბოდა. წამიც და, კარის უკნიდან დრაკოს აკანკალებული ხმა გაისმა:

– კარს მოშორდით. უკანა კედელთან ჩამწკრივდით. შენინააღმდეგება არ გაბედოთ, თორემ დაგხოცავთ!

როგორც უბრძანა, ისე მოიქცნენ; ბოქლომში გასაღების გადატრიალების ხმა მოისმა თუ არა, რონმა საქრობელა დააჩხაკუნა, სინათლე ჯიბეში ჩაუსრიალდა და სარდაფი ისევ სიბნელემ მოიცვა. კარი გაიღო და შიგნით ჯოხმომარჯვებული დრაკო მალფოი შემოვიდა. ფერწასულმა მაგრად წაავლო ხელი პატარა გობლინს, უკან-უკან წავიდა და გრიჰპუკიც წაათრია. კარი გაჯახუნდა და სარდაფში იმწამსვე რონის საქრობელას ხმამაღალი ტკაცანი გაისმა. სინათლის სამი სფერო ჯიბიდან ისევ ჰაერში აფრინდა და მის შუქზე უეცრად შინაური ელფი, დობი გამოჩნდა, რომელმაც, ის იყო, შუა სარდაფში მოახდინა აპარაცია.

– დობი!.. – იღრიალა რონმა.

ჰარიმ გასაჩუმებლად მუჯლუგუნი წაჰკრა. რონს თვითონვე შეეშინდა თავისი შეცდომისა. ჭერიდან ნაბიჯების ხმა გაისმა: დრაკოს გრიპჰუკი ბელატრისასთან მიჰყავდა.

დობის უშველებელი, ჩოგბურთის ბურთისოდენა თვალები კიდევ უფრო გაფართოებოდა: ყურის წვეტებიდან ფეხებამდე ცახცახებდა. ყოფილი ბატონების სახლში დაბრუნების გამო, ძალიან შეშინებული ჩანდა.

– ჰარი პოტერ, – დაიწრიპინა უწვრილესი ხმით, – დობი საშველად მოვიდა.

– როგორ გაიგე?..

ჰარის სიტყვები საზარელმა კივილმა ჩაახშო. ჰერმიონს ისევ

Scanned by CamScanner

ანამებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ მთავარ საქმეს მიუბრუნდა:

– ამ სარდაფიდან აპარაცია შეგიძლია? – ჰკითხა შინაურ ელფს. დობიმ თავი დაუქნია და ყურები ააპარტყუნა.

– შეგიძლია, ადამიანებიც წაიყოლო?

დობიმ ისევ დაუქნია თავი.

– კარგი, დობი. მინდა, ლუნა, დინი და ბატონი ოლივანდერი წაიყვანო და... და...

– ბილთან და ფლერთან წაიყვანო, – შეეშველა რონი, – იმათ სახლს „ნიჟარა" ჰქვია, ტინვორთის განაპირას დგას!

ელფმა მესამედ დაუქნია თავი.

– და ისევ აქ რომ მობრუნდე, – განაგრძო ჰარიმ, – შეგიძლია, დობი?

– როგორ არა, ჰარი პოტერ, – წაიჩურჩულა პატარა ელფმა. სწრაფად მივიდა თითქმის გონწასულ ოლივანდერთან, ჯოხების ოსტატს ხელში ხელი ჩასჭიდა, მერე მეორე ხელი ლუნასა და დინს გაუწოდა, მაგრამ არც ერთი არ დაძრულა.

– ჰარი, ჩვენ გვინდა, დაგეხმაროთ, – წაიჩურჩულა ლუნამ.

– აქ ვერ დაგტოვებთ, – თქვა დინმა.

– ორივე წადით. ბილთან და ფლერთან შევხვდებით.

ლაპარაკში ჰარის ნაიარევი წინანდელზე მეტად აეწვა და რამდენიმე წამით ჯოხების ოსტატი კი არა, სხვა ბერიკაცი დაინახა, თითქმის ოლივანდერივით მოხუცი და გამხდარი, ოღონდ ის ზიზღით იცინოდა:

– მაშ, მომკალი, ვოლდემორ, კიდევაც გამიხარდება! ოღონდ, ჩემი სიკვდილი იმას ვერ მოგიტანს, რასაც დაეძებ... შენ ბევრი რამ არ იცი...

ჰარიმ იგრძნო ვოლდემორის მძვინვარება, მაგრამ ამ დროს ჰერმიონმა ისევ იკივლა, ამიტომ ხილვას თავი გაანება და ისევ სარდაფსა და თავის თავს დაუბრუნდა.

– წადით! – შეევედრა ლუნასა და დინს, – წადით. ჩვენც ნამოგყვებით. ჯერ თქვენ წადით.

დინი და ლუნა გაფარჩხულ თითებში ჩაეჭიდნენ ელფს. გაისმა კიდევ ერთი ხმამაღალი ტკაცანი და დობი, ლუნა, დინი და ოლივანდერი გაქრნენ.

– რა ხმა იყო? – მათ თავებს ზემოთ იყვირა ლუციუს მალფოიმ, – გაიგონეთ? რაღაც ხმაურია სარდაფში.

ჰარი და რონი ერთმანეთს მიაშტერდნენ.

– დრაკო... არა, გრძელკუდას დაუძახეთ! წავიდეს და ნახოს!

გაისმა ნაბიჯების ხმა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარიმ იცოდა,

Scanned by CamScanner

აწამებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ მთავარ საქმეს მიუბრუნდა:

– ამ სარდაფიდან აპარაცია შეგიძლია? – ჰკითხა შინაურ ელფს. დობიმ თავი დაუქნია და ყურები ააპარტყუნა.

– შეგიძლია, ადამიანებიც წაიყოლო?

დობიმ ისევ დაუქნია თავი.

– კარგი, დობი. მინდა, ლუნა, დინი და ბატონი ოლივანდერი წაიყვანო და... და...

– ბილთან და ფლერთან წაიყვანო, – შეეშველა რონი, – იმათ სახლს „ნიჟარა" ჰქვია, ტინვორთის განაპირას დგას!

ელფმა მესამედ დაუქნია თავი.

– და ისევ აქ რომ მობრუნდე, – განაგრძო ჰარიმ, – შეგიძლია, დობი?

– როგორ არა, ჰარი პოტერ, – წაიჩურჩულა პატარა ელფმა. სწრაფად მივიდა თითქმის გონწასულ ოლივანდერთან, ჯოხების ოსტატს ხელში ხელი ჩასჭიდა, მერე მეორე ხელი ლუნასა და დინს გაუწოდა, მაგრამ არც ერთი არ დაძრულა.

– ჰარი, ჩვენ გვინდა, დაგეხმაროთ, – წაიჩურჩულა ლუნამ.

– აქ ვერ დაგტოვებთ, – თქვა დინმა.

– ორივე წადით. ბილთან და ფლერთან შევხვდებით.

ლაპარაკში ჰარის ნაიარევი წინანდელზე მეტად აეწვა და რამდენიმე წამით ჯოხების ოსტატი კი არა, სხვა ბერიკაცი დაინახა, თითქმის ოლივანდერივით მოხუცი და გამხდარი, ოღონდ ის ზიზღით იცინოდა:

– მაშ, მომკალი, ვოლდემორ, კიდევაც გამიხარდება! ოღონდ, ჩემი სიკვდილი იმას ვერ მოგიტანს, რასაც დაეძებ... შენ ბევრი რამ არ იცი...

ჰარიმ იგრძნო ვოლდემორის მძვინვარება, მაგრამ ამ დროს ჰერმიონმა ისევ იკივლა, ამიტომ ხილვას თავი გაანება და ისევ სარდაფსა და თავის თავს დაუბრუნდა.

– წადით! – შეევედრა ლუნასა და დინს, – წადით. ჩვენც წამოგყვებით. ჯერ თქვენ წადით.

დინი და ლუნა გაფარჩხულ თითებში ჩაეჭიდნენ ელფს. გაისმა კიდევ ერთი ხმამაღალი ტკაცანი და დობი, ლუნა, დინი და ოლივანდერი გაქრნენ.

– რა ხმა იყო? – მათ თავებს ზემოთ იყვირა ლუციუს მალფოიმ, – გაიგონეთ? რაღაც ხმაურია სარდაფში.

ჰარი და რონი ერთმანეთს მიაშტერდნენ.

– დრაკო... არა, გრძელკუდას დაუძახეთ! წავიდეს და ნახოს!

გაისმა ნაბიჯების ხმა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარიმ იცოდა,

Scanned by CamScanner

რომ სასტუმრო ოთახში სარდაფიდან ამომავალ ხმაურს აყურადებდნენ.

– უნდა ვცადოთ და დავიჭიროთ, – წასჩურჩულა რონს. სხვა გზა არ ჰქონდათ: როგორც კი ოთახში ვინმე შევიდოდა და სამი ტუსაღის არყოფნას შეამჩნევდა, დაილუპებოდნენ.

– შუქი ანთებული დატოვე, – დაამატა ჰარიმ, როცა მოესმა, რომ ვილაც კიბეზე დაეშვა. ჰარი და რონი კარის აქეთ-იქით კედელს აეკრნენ.

– უკან დაიწიეთ, – გაისმა გრძელკუდას ხმა, – კარს მოშორდით. შემოვდივარ.

კარი გაიღო. ჰაერში მოლივლივე სამი მინიატურული მზით დაბრმავებულმა გრძელკუდამ ცარიელ სარდაფს თვალი შეავლო თუ არა, ჰარი და რონიც ეცნენ. რონმა ჯოხიან ხელში სტაცა ხელი და ზემოთ აღმართა, ჰარიმ კი პირზე ხელი ააფარა. ჩუმად იბრძოდნენ. გრძელკუდას ჯოხი ნაპერწკლებს ისროდა; მისი ვერცხლის ხელი ჰარის ყელზე შემოეჭდო.

– რა ამბავია, გრძელკუდავ? – ჩამოსძახა ლუციუსმა.

– არაფერი! – რონი შეეცადა, გრძელკუდასნაირი ჩახრინწული ხმით ეპასუხა, – ყველაფერი რიგზეა.

ჰარი ძლივსღა სუნთქავდა, ცდილობდა, ლითონის თითები მოეშორებინა:

– უნდა მომკლა? მას შემდეგ, რაც მე სიცოცხლე გაჩუქე? ჩემი ვალი გაქვს, გრძელკუდავ!

ვერცხლის თითები უეცრად მოდუნდა. ჰარი ამას არ ელოდა: განცვიფრებული მოშორდა გრძელკუდას, ოღონდ ხელს ისევ პირზე აფარებდა. ვირთხისებურ კაცუნას პატარა, წყალწყალა თვალები შიშითა და გაკვირვებით გაუფართოვდა: თვითონვე გააოგნა თავისი ხელის მოქმედებამ, რომელმაც სულ ერთადერთი ლმობიერი იმპულსით უღალატა. ახლა ცდილობდა, უფრო ღონივრად ებრძოლა, თითქოს იმ წამიერი სისუსტის გამოსწორება უნდაო.

– ესეც ვიშოვეთ, – წაჩურჩულა რონმა და გრძელკუდას მეორე ხელიდან ჯოხი გამოსტაცა.

უჯოხო, უძლური პიტერ პეტიგრიუ ციებიანივით აცახცახდა. მზერა ჰარის მოაშორა და რაღაც სხვაზე გადაიტანა. მისივე საკუთარმა ვერცხლის თითებმა შეუბრალებლად გაიწია მისივე ყელისკენ...

– არა...

ჰარი დაუფიქრებლად შეეცადა, ვერცხლის ხელი უკან გამოექაჩა, მაგრამ ხელს ვეღარაფერი შეაჩერებდა. ვოლდემორისაგან ყველაზე

Scanned by CamScanner

ლაჩარი მსახურისთვის ნაბოძები ვერცხლის იარაღი ჯოხწართმეულ და გამოუსადეგარ პატრონს დაატყდა თავს; პეტიგრიუ ყოყმანისა და სინდისის წამიერი ქენჯნის საზღაურს იმკიდა და ჰარისა და რონის თვალწინ იხრჩობოდა.

– არა!

რონიც გრძელკუდას ეცა და ჰარისთან ერთად შეეცადა, გრძელკუდას ყელიდან ლითონის ღონიერი თითები მოეშორებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პეტიგრიუ თანდათან გალურჯდა.

– რელაშიო! – ჯოხი ვერცხლის ხელს დაუმიზნა რონმა, მაგრამ არაფერი მომხდარა: პეტიგრიუ მუხლებზე დაეცა. იმავე წამს ზემოთ ჰერმიონმა საზარლად იკივლა. გრძელკუდამ თვალები აატრიალა, ერთიც დაიკრუნჩხა და გაშეშდა.

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს შეხედეს, მერე გრძელკუდას გვამი იქვე დატოვეს, კიბე აირბინეს და სასტუმრო ოთახისკენ მიმავალ ჩაბნელებულ დერეფანს გაუყვნენ. ფრთხილად მიიპარებოდნენ. მალე სასტუმრო ოთახის შეღებულ კარს მიადგნენ. ახლა ცხადად ხედავდნენ ბელატრისას, რომელიც გრიპჰუკს დაჰყურებდა. გობლინს გრძელთითება ხელებში გრიფინდორის ხმალი ეჭირა. ჰერმიონი უძრავად ეგდო ბელატრისას ფერხთით.

– აბა, რას იტყვი? – ჰკითხა ბელატრისამ გრიპჰუკს, – ნამდვილი ხმალია?

ჰარი სუნთქვაშეკრული ელოდა გობლინის პასუხს და ცდილობდა, ნაიარევის ჩხვლეტას გასძალიანებოდა.

– არა, ყალბია, – თქვა გრიპჰუკმა.

– დარწმუნებული ხარ? – ამოისუნთქა ბელატრისამ, – არ გეშლება?

– დარწმუნებული ვარ, – მიუგო გობლინმა.

ბელატრისას გულზე მოეშვა, სახე დაუწყნარდა.

– კარგი, – თქვა და ჯოხის მსუბუქი დარტყმით გობლინს სახეზე კიდევ ერთი ღრმა ჭრილობა მიაყენა. გობლინი ყვირილით ჩაიკეცა. ბელატრისამ ფეხი გაჰკრა და გვერდზე გადააგორა, – ახლა კი, – თქვა აღტაცებისგან ათრთოლებული ხმით, – ბნელ ბატონს ვუხმოთ! – სახელო გადაიწია და საჩვენებელი თითით შავ ნიშანს შეეხო.

ჰარის მაშინვე ისე ასტკივდა ნაიარევი, თითქოს თავი გაუსკდაო. რეალური გარემო გაქრა: ახლა ვოლდემორი იყო, რომელსაც გაძვალტყავებული ჯადოქარი უკბილო პირით დასცინოდა; გამოძახებამ გააცოფა – ხომ გააფრთხილა, პოტერზე ნაკლებ საქმეზე არ მომიხმოთო. თუ შეეშალათ...

– მაშ, მომკალი! – მოსთხოვა ბერიკაცმა, – ვერ გაიმარჯვებ, ვერა! ეგ ჯოხი არასოდეს არ გახდება შენი...

Scanned by CamScanner

ვოლდემორის მრისხანებამ იფეთქა: ციხის საკანი მწვანე შუქის გაელვებამ აავსო, დაუძლურებულმა ბერიკაცმა საწოლიდან აიწია და უსულოდ დაეცა; ვოლდემორი ფანჯრისკენ შებრუნდა, მრისხანებას ძლივს ერეოდა. თუ მოსახმობად საკმარისი მიზეზი არ ჰქონდათ, ნახავენ, როგორ დასჯის ყველას...

– მე მგონი, შეგვიძლია მუქსისხლიანსაც გავუსწორდეთ. გრეიბექ, წაიყვანე, თუ გინდა, – გაისმა ბელატრისას ხმა.

– არაااااااااااა!

აბღავლებული რონი სასტუმრო ოთახში შევარდა; ელდანაცემმა ბელატრისამ მიიხედ-მოიხედა და ჯოხი რონს სახეში დაუმიზნა...

– ექსპელიარმუს! – იღრიალა რონმა და გრძელკუდას ჯოხი ბელატრისას მიუშვირა; ბელატრისას ჯოხი ჰაერში აფრინდა და რონის ფეხდაფეხ შემოვარდნილმა ჰარიმ დაიჭირა. ლუციუსი, ნარცისა, დრაკო და გრეიბექი მოტრიალდნენ; ჰარიმ იყვირა:

– გაშეშდი!

ლუციუს მალფოი ბუხართან ჩაიკეცა. დრაკოს, ნარცისას და გრეიბექის ჯოხებიდან სინათლის ნაკადი გამოიჭრა; ასარიდებლად ჰარი იატაკზე დაეცა და დივნის უკან გადაგორდა.

– გაჩერდი, თორემ მოვკლავ!

აქოშინებულმა ჰარიმ დივნის კუთხიდან გამოიხედა. ბელატრისას გულწასული ჰერმიონი ეჭირა და ყელზე ვერცხლის ხანჯალს აბჯენდა.

– დაყარეთ ჯოხები, – წაიჩურჩულა ბელატრისამ, – დაყარეთ, თორემ გაჩვენებთ, რა ბინძური სისხლიცა აქვს!

რონი გაშეშებული იდგა და გრძელკუდას ჯოხს ხელს მაგრად უჭერდა. ჰარი გასწორდა, ბელატრისას ჯოხი ჯერაც ხელში ეკავა.

– ჯოხები დაყარეთ-მეთქი! – დაიწივლა ბელატრისამ და ხანჯლის პირი ჰერმიონს ყელში დააჭირა: ჰარიმ სისხლის წვეთები დაინახა.

– შეჩერდი! – დაიყვირა ჰარიმ და ბელატრისას ჯოხი იატაკზე დააგდო; რონმაც ხელი უშვა გრძელკუდას ჯოხს. ორივემ მხრების სიმაღლეზე ასწია ხელები.

– მშვენიერია! – ავად თქვა ბელატრისამ, – დრაკო, აკრიფე ჯოხები! ბნელი ბატონი მოდის, ჰარი პოტერ! ახლოვდება შენი სიკვდილი!

ეს ჰარიმაც იცოდა. ნაიარევი აუტანლად ეწვოდა; გრძნობდა, როგორ მოფრინავდა ვოლდემორი შორიდან შავ, ქარიშხლიან ცაში; მალე ისე მოახლოვდებოდა, რომ აპარაცია შეეძლებოდა. გამოსავალი არ ჩანდა.

– ესეც ასე, – მშვიდად თქვა ბელატრისამ, როცა დრაკომ ორივე ჯოხი იატაკიდან წამოკრიფა, – სისი, მგონი, ეს პატარა გმირები ისევ

Scanned by CamScanner

უნდა შევკრათ, გრეიბექი კი მუქსისხლიან ქალიშვილს მიხედავს. დარწმუნებული ვარ, ბნელი ბატონი შენთვის მაგ გოგოს არ დაინანებს იმის გამო, რაც ამაღამ გააკეთე.

ბელატრისამ ბოლო სიტყვა წარმოთქვა თუ არა, ზემოდან საშინელი ზრიალი გაისმა. ყველამ ერთდროულად აიხედა. უზარმაზარი ბროლის ჭაღი შეირხა და ჭახანით მოსწყდა ჭერს. მის ქვეშ მდგარმა ბელატრისამ ჰერმიონს ხელი გაუშვა და კივილით გახტა განზე. ჭაღი ბროლისა და ჯაჭვების ჩხარუნით დაენარცხა იატაკზე და პირდაპირ ჰერმიონსა და გრიფინდორის ხმალჩაბღუჯულ გობლინს დაეცა. ბროლის ციმციმა ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა. დრაკო მოიკუნტა და გასისხლიანებულ სახეზე ხელები აიფარა.

რონი ჰერმიონს ეცა, ჰარი კი სავარძელს გადაახტა, დრაკოს ჯოხები ხელიდან გამოჰგლიჯა, გრეიბექს მიუშვირა სამივე და იღრიალა:

– გაშეშდი!

სამმაგმა შელოცვამ მაქცია ფეხზე წამოაგდო, ჭერამდე ააფრინა და იატაკზე დაახეთქა.

სანამ ნარცისა დრაკოს მიათრევდა, კიდევ არაფერი დაუშავდესო, თმაგაწეწილი ბელატრისა ფეხზე წამოხტა და ხანჯალი მოიმარჯვა.

– დობი! – უცებ ისე იკივლა ნარცისამ, რომ ბელატრისაც კი გაშეშდა, – შენ ჩამოაგდე ჭაღი?..

პანანინა ელფი ოთახში შემობარბაცდა, აკანკალებული თითი თავისი ძველი ქალბატონისკენ გაიშვირა და დაიწრიპინა:

– ჰარი პოტერს არაფერი დაუშავო!

– მოკალი, სისი! – დაიწივლა ბელატრისამ, მაგრამ გაისმა კიდევ ერთი ხმამაღალი ტკაცანი, ნარცისას ჯოხი ჰაერში აფრინდა და ოთახის მეორე ბოლოში დაეცა.

– შე ბინძურო, ჯუჯა მაიმუნო! – დაიყეფა ბელატრისამ, – როგორ ბედავ ჯადოქრის ჯოხის აღებას? შენს ბატონებს როგორ ეურჩები?

– დობის ბატონი არა ჰყავს! – დაიწრიპინა ელფმა, – დობი თავისუფალი ელფია და ჰარი პოტერისა და მისი მეგობრების გადასარჩენად მოვიდა!

ჰარი ნაიარევის ტკივილს ლამის დაებრმავებინა. ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ვოლდემორის მოსვლამდე წამებიღა რჩებოდათ.

– რონ, გამომართვი და წავედით! – იღრიალა ჰარიმ და ერთი ჯოხი გადაუგდო, მერე დაიხარა და ჭაღის ქვემოდან ძვლებდამსხვრეული გრიპჰუკი გამოათრია. ძლივს ასწია აკვნესებული გობლინი, რომელიც ჯერაც ხმალს ებღაუჭებოდა, დობის ხელში სტაცა ხელი და აპარაციის გამოსაყენებლად მასთან ერთად ადგილზე დატრიალდა.

სანამ სიბნელეში დაინთქმებოდა, ჰარიმ უკანასკნელად მოჰკრა

Scanned by CamScanner

თვალი სასტუმრო ოთახში დარჩენილ ნარცისასა და დრაკოს ფერწასულ, გაშეშებულ ფიგურებს, წითელ ზოლს, სავარაუდოდ რონის თმასა და ბელატრისას მიერ მათკენ ნასროლი ხანჯლის ვერცხლისფერ გაელვებას...

ბილთან და ფლერთან... „ნიჟარაში"... ბილთან და ფლერთან...

ჰარი დანიშნულების ადგილის სახელსღა იმეორებდა იმ იმედით, რომ მართლა იქ დაეშვებოდა. შუბლის ტკივილი აწამებდა, გობლინის სიმძიმე დაბლა ექაჩებოდა; ზურგზე გრიფინდორის ხმლის პირი ურტყამდა. დობის ხელი ხელზე ებღაუჭებოდა; ფიქრობდა, ნეტავ ელფს მართლა „ნიჟარაში" მივყავართ თუ არაო, და ცდილობდა, ხელი ხელზე მაგრად მოეჭირა და ამით ენიშნებინა, კარგად ვართო...

მერე შინაზე დაეხეთქნენ და მლაშე ჰაერი შეისუნთქეს. ჰარი მუხლებზე დაეცა, დობის ხელი უშვა და სცადა, გრიპჰუკი ნელა დაეწვინა მიწაზე.

– კარგად ხარ? – ჰკითხა, როცა გობლინი შეირხა, მაგრამ გრიპჰუკმა მხოლოდ ამოიკვნესა.

ჰარიმ სიბნელეში მიიხედ-მოიხედა. ვარკვლავიანი ცის ქვეშ, შორიახლოს, სახლი იდგა, სახლთან თითქოს რაღაც მოძრაობა შეამჩნია.

– დობი, „ნიჟარაა"? – წაიჩურჩულა და მალფოებისგან წამოღებული ჯოხები ჩაბღუჯა. მზად იყო, თუ საჭირო იქნებოდა, ებრძოლა, – სწორად მოვედით? დობი!

მიიხედ-მოიხედა. შინაური ელფი ერთი მეტრის დაშორებით იდგა.

– დობი!

ელფი ოდნავ ირხეოდა, მის დიდ თვალებში ვარსკვლავები ირეკლებოდა. მან და ჰარიმ ერთად დახედეს ელფის ათრთოლებულ მკერდში გარჭობილი ხანჯლის ვერცხლის ტარს.

– დობი... არა... გვიშველეთ! – სახლისკენ, იქ მოძრავი ხალხის მიმართულებით დაიღრიალა ჰარიმ.

არ იცოდა და არც ადარდებდა, ჯადოქრები იქნებოდნენ თუ მაგლები, მეგობრები თუ მტრები; მხოლოდ დობის გულმკერდზე მზარდი მუქი ლაქა აშფოთებდა... დობიმ მისკენ მუდარით გაიწოდა ხელები. ჰარიმ საბრალო ელფი აიყვანა და გრილ ბალახზე დააწვინა.

– დობი, გეხვეწები, არ მოკვდე, არ მოკვდე...

ელფმა თვალებში შეხედა ჰარის და ტუჩებათრთოლებულმა ძლივს ამოთქვა:

– ჰარი... პოტერ...

მერე ერთი შეცახცახდა და გაშეშდა. მისი უსიცოცხლო, მინის ბურთულების მსგავსი თვალები იმ ვარსკვლავების ციმციმა შუქს ირეკლავდა, რომლებსაც ის უკვე ველარ ხედავდა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეოთხე

ჭოხების ოსტატი

ჰარის თითქოს ნაცნობი კოშმარი ისევ დაესიზმრა; წამით მოეჩვენა, რომ ჰოგვორტსის ყველაზე მაღალი კოშკის ძირას დამბლდორის სხეულთან იყო ჩაჩოქილი, მაგრამ სინამდვილეში ბელატრისას ვერცხლის ხანჯალგარჭობილ, ბალახზე მოკრუნჩხულ პაწაწინა სხეულს დაჰყურებდა. უაზროდ იმეორებდა დობის სახელს, მაგრამ იცოდა, ელფი იქ წავიდა, საიდანაც ვეღარ მოაბრუნებდა.

ერთი წუთის შემდეგ მიხვდა, რომ დანიშნულების ადგილზე მოსულიყვნენ, რადგან ელფთან დაჩოქილს ბილი, ფლერი, დინი და ლუნა შემოეხვივნენ.

– ჰერმიონი სად არის? – გაახსენდა უცებ ჰარის.

– რონმა სახლში შეიყვანა, – უთხრა ბილმა, – კარგად იქნება.

ჰარიმ ისევ დობის დახედა, ხელი გაიწოდა, მკერდიდან ბასრი ხანჯალი ამოაძრო, მერე ქურთუკი გაიხადა და ელფის გაყინულ სხეულს საბანივით შემოახვია.

სადღაც ახლოს კლდეს ზღვა ეხლებოდა; ჰარი ამ ხმას უსმენდა, სანამ სხვები მისთვის უინტერესო რაღაცეებზე ლაპარაკობდნენ და რაღაც გადაწყვეტილებებს იღებდნენ. დინმა დაშავებული გრიპჰუკი სახლში შეიყვანა, ფლერიც მას წაჰყვა; ბილმა ჰარისთან გარდაცვლილ ელფზე დალაპარაკება სცადა, მაგრამ ჰარი ყურს არ უგდებდა, შინაური ელფის უმოძრაო სხეულს დაჰყურებდა უსიტყვოდ. ნაიარევმა ისევ მოწიწკნა. გონებით თითქოს გრძელ ტელესკოპში ჩაიხედა და დაინახა, როგორ სჯიდა ვოლდემორი მალფოების მამულში დარჩენილებს. მისი რისხვა საზარელი იყო, თუმცა, ეტყობა, დობიზე დარდს ჰარის გულში მეტი ადგილი ეკავა, რადგან ვოლდემორის ბრაზი ცოტა ხანში შორეულ ქარიშხლად იქცა, რომელიც თითქოს უზარმაზარი მდუმარე ოკეანის გაღმიდან აღწევდა ჰარიმდე.

Scanned by CamScanner

– ჩვეულებრივ უნდა დავმარხოთ, – ეს პირველი სიტყვები იყო, რომელიც ჰარიმ გაცნობიერებულად თქვა, – ჯადოქრობა არ გვინდა. ნიჩაბი გაქვთ? – და ცოტა ხანში საქმეს შეუდგა. მარტო თხრიდა საფლავს ბილის მიერ მითითებულ ადგილას – ბაღის ბოლოს, ბუჩქებში. რაღაცნაირი ჟინით იღებდა მიწას, სიამოვნებდა ხელით შრომა, უხაროდა, ჯადოქრობას რომ არ იყენებდა, რადგან ოფლის ყოველ წვეთსა და ხელზე გაჩენილ ყოველ ბებერას თითქოს დობის უძღვნიდა – ელფს, რომელმაც ყველანი სიკვდილს გადაარჩინა.

ნაიარევი ეწვოდა, მაგრამ ტკივილი ვერ ჯაბნიდა; თითქოს ვერც კი გრძნობდა. როგორც იქნა, ისწავლა მართვა! ისწავლა, როგორ დაეხშო გონება და ვოლდემორი არ შემოეშვა, სწორედ ისე, როგორც დამბლდორს უნდოდა, რომ სნეიპს ესწავლებინა. როგორც სირიუსზე დარდით მოცულს ვერ დაეუფლა ვოლდემორი, ისე ახლაც, დობიზე დადარდიანებულს ვერ შემოეჭრა მისი ფიქრები. როგორც ჩანს, დიდი ნაღველი აძევებდა ვოლდემორს... თუმცა, დამბლდორი, ალბათ, იტყოდა, დარდი კი არა, სიყვარულიო.

ჰარი გაუჩერებლად თხრიდა ცივ, მაგარ მიწას, დარდს ოფლად ღვრიდა და ნაიარევის ტკივილს არაფრად აგდებდა. სიბნელეში თავისივე სუნთქვისა და ზღვის ხმაურის გარდა, არაფერი ესმოდა... მალფოებთან მომხდარი და გაგონილი გაახსენდა და უცებ გააცნობიერა, რაც თავს გადახდათ...

საჩუქრები... ჰორკრუქსები... საჩუქრები... ჰორკრუქსები... – ეს ორი სიტყვა ამოუტივტივდა თავში. თუმცა, მათ მიმართ იმ გაუგონარი, ყოვლისმომცველი ნდომით აღარ იწვოდა. დანაკარგმა და შიშმა თითქოს მათი მოპოვების სურვილი გაუნელა. თითქოს სილა გააწნესო, ჰარი უცებ მოეგო გონს.

საფლავის ორმო უფრო და უფრო ღრმავდებოდა... ჰარი ზუსტად ხვდებოდა, სადაც იყო ამ ღამით ვოლდემორი და ვინ და რატომ მოკლა ნურმენგარდის ყველაზე ზედა საკანში... ფიქრობდა გრძელკუდაზეც, რომელიც სინდისის ქენჯნის ერთადერთმა უნებურმა იმპულსმა იმსხვერპლა... დამბლდორმა ესეც გაითვალისწინა... ნეტავ კიდევ რამდენი რამ იცოდა?

ჰარის დროის შეგრძნება დაეკარგა. როცა რონმა და დინმა მოაკითხეს, მაშინღა შეამჩნია, რომ წყვდიადი ოდნავ გაფერმკრთალებულიყო.

– ჰერმიონი როგორ არის? – ჰკითხა რონს.

– უკეთესად, – უპასუხა რონმა, – ფლერი უვლის.

ჰარი ელოდა, რომ ჰკითხავდნენ, რატომ ჯადოსნური ჯოხს არ იყენებო და პასუხიც მზად ჰქონდა, მაგრამ არაფრის თქმა არ დას-

Scanned by CamScanner

ჭირვეებია. დინი და რონი ნიჩბებიანად ჩახტნენ ჰარის გათხრილ ორმოში და ჩუმად მუშაობდნენ, სანამ ღრმა საფლავი არ გათხარეს.

ჰარიმ დობი მოხერხებულად გაახვია თავის ქურთუკში. რონი საფლავის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა და ელფს შიშველ ფეხებზე ჩააცვა. დინმა ნაქსოვი ქუდი გაუწოდა, ჰარიმ გამოართვა, ფრთხილად დაახურა ელფს თავზე და ღამურასავით ყურები დაუფარა.

– თვალები უნდა დავუხუჭოთ.

ჰარის არ შეუმჩნევია, როდის მოგროვდა ხალხი. გვერდით სამგზავრო მოსასხამმოხურული ბილი ამოუდგა, ფლერიც იქვე იყო – დიდი, თეთრი წინსაფარი აეფარებინა, რომლის ჯიბიდან ბოთლი მოჩანდა; ჰარიმ ძვლისსაზრდელა იცნო. ვიღაცის მანტიაში გახვეული ფერწასული ჰერმიონი ფეხზე ძლივს იდგა და წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა, რონს ეყრდნობოდა, რონს კი მის წელზე შემოეხვია ხელი. ფლერის მოსასხამმოხურული ლუნა დაიხარა და ელფს თითები ნაზად დაადო ქუთოთოებზე, ფრთხილად დაუხუჭა თვალები და გაქვავებული მზერა დაუფარა.

– აი, ახლა დაიძინებს, – თქვა ნაზად.

ჰარიმ ელფი საფლავში ჩაასვენა და პაწაწინა ხელ-ფეხი გაუსწორა, მერე ორმოდან ამოძვრა და მეგობრის სხეულს უკანასკნელად შეხედა. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ ატირებულიყო. დამბლდორის დაკრძალვა და ოქროსფერი სკამების რიგები გაახსენდა; თვალწინ დაუდგა მაგიის მინისტრი, დამბლდორის მიღწევათა ჩამონათვალი, თეთრი მარმარილოს დიდებული საფლავის ქვა... გრძნობდა, რომ დობიც ასეთ გამორჩეულ დაკრძალვას იმსახურებდა, მაგრამ შინაური ელფი აქ, ბუჩქებში, ტლანქად ამოთხრილ ორმოში იწვა.

– მე მგონი, რამე უნდა ვთქვათ, – მოიფიქრა ლუნამ, – მე პირველი ვიტყვი, კარგი?

ყველამ მას შეხედა. ლუნამ მიცვალებულ ელფს საფლავში ჩასძახა:

– მადლობელი ვარ, დობი, რომ იმ სარდაფიდან გამომიყვანე. დიდი უსამართლობაა ასეთი კარგი და მამაცი ელფის სიკვდილი. მუდამ მეხსომება, რაც ჩვენთვის გააკეთე. იმედი მაქვს, ახლა ბედნიერი ხარ.

ლუნა შემობრუნდა და რონს შეხედა. რონმა ჩაახველა და ხრინწიანი ხმით თქვა:

– ჰოო... გმადლობ, დობი.

– გმადლობ, – ჩაიბუტბუტა დინმაც.

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა:

– ნახვამდის, დობი, – ამის მეტი ვერაფერი მოახერხა, ლუნამ უკვე თქვა მისი სათქმელი. ბილმა ჯოხი აღმართა, საფლავის გვერდით

Scanned by CamScanner

ნაყარი მინა ჰაერში აინია, მსუბუქად ჩაეშვა საფლავში და პატარა, მოწითალო ბორცვად აღიმართა.

– ცოტა ხანს დავრჩები... – უთხრა ჰარიმ დანარჩენებს.

რაღაც ჩაიბუტბუტეს გაურკვევლად, ვილაცამ ზურგზე ხელი მოუთათუნა, მერე ყველანი სახლისკენ წავიდნენ და ჰარი ელფთან მარტო დატოვეს.

ჰარიმ მიიხედ-მოიხედა. ყვავილების კვლებს დიდი, თეთრი, ზღვის ტალღებისგან გაცვეთილი, მომრგვალებული ქვები შემოვლებოდა. ჰარიმ ყველაზე დიდი ქვა ამოარჩია და ბორცვზე ბალიშივით დადო იქ, სადაც ახლა დობის თავი უნდა ყოფილიყო. მერე ჯოხის ამოსაღებად ხელი ჯიბეში ჩაიყო. ორი ჯოხი ამოჰყვა. აღარც ახსოვდა, ორი რომ ჰქონდა. არც ის ახსოვდა, ვისი ჯოხები იყო. ხელში მოკლე ჯოხი მოირგო და ქვას დაუმიზნა. თან რაღაც წაიბუტბუტა.

ქვის ზედაპირზე ნელ-ნელა ღრმად ამოიჭრა ჰარის ნათქვამი სიტყვები. ჰერმიონს, ალბათ, უკეთესად და იქნებ, უფრო სწრაფადაც გამოსვლოდა, მაგრამ ჰარის უნდოდა, წარწერაც თვითონ გაეკეთებინა. როცა ნამოდგა, ქვაზე წარწერა გაჩენილიყო:

„აქ განისვენებს დობი, თავისუფალი ელფი"

ჰარი განზე გადგა და რამდენიმე წამს უყურა თავის ნამუშევარს. ნაიარევი ცოტათი ისევ წინკნიდა. თავში ისევ ის ფიქრები უტრიალებდა, საფლავის თხრისას რომ არ ასვენებდა: მომაჯადოებელი და შემზარავი ფიქრები.

როცა ჰარი სახლში შევიდა, ყველანი სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ბილს უსმენდნენ. ღია ფერის ლამაზი ოთახის ბუხარში ზღვის გამორიყული შეშა იწვოდა. ჰარის არ უნდოდა, ხალიჩა დაესვარა, ამიტომ ზღურბლთან გაჩერდა და ყური მიუგდო.

– კიდევ კარგი, ჯინის არდადეგები აქვს. ჰოგვორტსში რომ ყოფილიყო, მიგვასწრებდნენ და წაიყვანდნენ. ახლა ის მაინც ვიცით, რომ უხიფათოდაა, – ბილმა ჰარი ახლაღა შეამჩნია და მას მიუბრუნდა, – „ბუნაგიდან" ყველანი გამოვიყვანე და მიურიელთან დავაბინავე. სიკვდილის მხვრელებმა უკვე იციან, რომ რონი შენთანაა და ახლა ჩვენს ოჯახს ამოიღებენ მიზანში... თავს ნუ დაიდანაშაულებ, – დაუმატა ჰარის გამომეტყველების დანახვაზე, – მამა რამდენიმე თვეა, ამბობდა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაიგებენო. ჩვენზე დიდი სისხლის შემარცხვენელი ოჯახი არ არსებობს.

– რით არიან დაცულები? – ჰკითხა ჰარიმ.

– ფიდელიუსის შელოცვით. მესაიდუმლე მამაა. ამ სახლსაც ეს შელოცვა მოვუვლინეთ; აქ მე ვარ მესაიდუმლე. სამსახურში ვერც

Scanned by CamScanner

ერთი ვერ დავდივართ, მაგრამ ეს ახლა ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია. როგორც კი ოლივანდერი და გრიპჰუკი მოღონიერდებიან, მათაც მიურიელთან გადავიყვანთ. აქ ვიწროდ ვართ, იქ კი დიდი სახლია. გრიპჰუკს ფეხებს ვუმთელებთ. ფლერმა ძვლისსაზრდელა დაალევინა. ალბათ, ასე, ერთ საათში წავიყვანთ.

– არა, – მკაცრად წამოიძახა ჰარიმ და ბილი შეკრთა, – ორივე აქ მჭირდება. უნდა ველაპარაკო. მნიშვნელოვანია, – მის ხმაში მტკიცე მიზანი იგრძნობოდა, რომელიც დობის საფლავის თხრისას დაისახა. ყველამ გაოცებით შეხედა – ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა.

– ხელ-პირს დავიბან, – უთხრა ბილს ჯერაც ტალახითა და დობის სისხლით ხელებმოსვრილმა ჰარიმ, – მერე კი გობლინი და ოლივანდერი უნდა ვნახო.

ჰარი პატარა სამზარეულოში შევიდა და ზღვისკენ გამავალი ფანჯრის ქვეშ მდგარ წყლის ნიჟარას მიუახლოვდა. ჰორიზონტი ვარდისფრად და ოქროსფრად შეფერილიყო. ჰარიმ ხელ-პირი დაიბანა და ისევ წეღანდელ ფიქრებში ჩაიძირა...

რა სამწუხაროა, რომ დობი ველარ ეტყვის, ვინ გაგზავნა სარდაფში, თუმცა, ჰარის კარგად ახსოვდა, რაც მოხდა: სარკის ნატეხიდან ცისფერმა თვალებმა შემოხედა თუ არა, დამხმარეც მოვიდა. „... ჰოგვორტსში ყველას დაეხმარებიან, ვინც შველას ითხოვს...“ – კიდევ ერთხელ გაახსენდა დამბლდორის სიტყვები.

ჰარიმ ხელები შეიმშრალა. ის ვერც ფანჯრიდან დანახულ სილამაზეს აღიქვამდა, არც სასტუმრო ოთახში მყოფთა ლაპარაკი ესმოდა. ოკეანეს გახედა და იგრძნო, რომ ამ დილით გაცილებით ახლოს იყო საიდუმლოს ამოხსნასთან, ვიდრე ოდესმე.

ნაიარევი ისევ სწიწკნიდა. ჰარიმ იცოდა, ვოლდემორი საითაც იჩქაროდა. ჰარი თითქოს რაღაცას ხვდებოდა და ვერც ხვდებოდა. ალღო ერთს ეუბნეოდა, გონება კი – მეორეს. გონებაში დამბლდორი უღიმოდა და თითქოს სალოცავად შეტყუპებული ხელების ზემოდან უყურებდა.

„რონს საქრობელა მიეცი... შენ მისი გესმოდა და... უკან დასაბრუნებელი გზა უჩვენე...

გრძელკუდასიც გესმოდა... იცოდი, რომ როცა იქნებოდა, ინანებდა...

და თუ მათი ასე კარგად გესმოდა... ჩემზე რაღა იცოდი, დამბლდორ?

ნუთუ უნდა ვიცოდე საჩუქრების არსებობა, მაგრამ არ უნდა ვეძებო? იცოდი, როგორ გამიჭირდებოდა? ამიტომ გააძნელე ეს ამბავი, რომ მოფიქრების დრო მქონოდა?“

Scanned by CamScanner

ჰარი გაუნძრევლად იდგა, დაბინდული თვალები ჰორიზონტზე მოვარვარე მზის კაშკაშა, ოქროსფერი სხივების მიღმა გაშტერებოდა. უცებ შეამჩნია, რომ პირსახოცი ისევ ხელში ეჭირა და გაუკვირდა. პირსახოცი დადო და ჰოლში დაბრუნდა. მოულოდნელად იგრძნო, რომ ნაიარევი ბრაზით აუთრთოლდა და იმავე წამს თვალწინ წყალზე არეკლილი ჭრიჭინას ჩრდილივით უსწრაფესად გაუელვა თვალწინ კარგად ნაცნობი შენობის კონტურებმა: ვოლდემორი ჰოგვორტსს შორიდან შესცქეროდა.

ბილი და ფლერი კიბის ძირში იდგნენ.

– გრიპჰუკსა და ოლივანდერს უნდა ველაპარაკო, – უთხრა ჰარიმ.

– ველა, – მიუგო ფლერმა, – ჟელ ველა, ზალიან დაღლილები აღიან.

– დიდ ბოდიში, ფლერ, – წყნარად უთხრა ჰარიმ, – მაგრამ ვერ მოვიცდი. ახლავე უნდა ველაპარაკო. მარტო... და ცალ-ცალკე. აუცილებელია.

– გამაგებინე, ჰარი, რა ხდება?– ჰკითხა ბილმა, – მოდიხარ, მკვდარი შინაური ელფი და ნახევრად უგონო გობლინი მოგყავს, ჰერმიონი ნაწამებს ჰგავს, რონი კი სიტყვას არ მეუბნება...

– ვერაფერს ვერ გეტყვით, – გადაჭრით მიუგო ჰარიმ, – შენ ხომ ორდენში ხარ, ბილ. ჰოდა, ხომ იცი, რომ დამბლდორმა რაღაც საქმე დაგვიტოვა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

ფლერი მოუთმელობისგან აცმუკდა, მაგრამ ბილს ხმა არ ამოუღია. ჰარის რამდენიმე წამს დაჟინებით უყურებდა. მის ღრმა ნაჭრილობევებით დასერილ სახეზე ძნელი იყო რამის ამოკითხვა. ბოლოს უთხრა:

– კარგი. ჯერ რომელს დაელაპარაკები?

ჰარი შეყოყმანდა. იცოდა, მის გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. დრო აღარ რჩებოდა; ახლავე უნდა გადაეწყვიტა: ჰორკრუქსები თუ საჩუქრები?

– გრიპჰუკს, – გადაწყვიტა უცებ. გული ისე უცემდა, თითქოს ეს-ესაა, უზარმაზარი დაბრკოლება სირბილით გადალახაო.

– აქეთ, – გაუძღვა ბილი.

ჰარიმ რამდენიმე საფეხური აიარა, მერე შეჩერდა და დაბლა ჩაიხედა.

– თქვენც მჭირდებით, – ჩასძახა სასტუმრო ოთახში მყოფ რონსა და ჰერმიონს. ისინიც მაშინვე კიბეს აუყვნენ.

– როგორა ხარ? – მიუბრუნდა ჰარი ჰერმიონს, – საოცრად იქცეოდი... გაწამებდა და მაინც როგორ გამოიგონე ხმლის ამბავი...

რონმა ჰერმიონს ხელი მოუჭირა. ჰერმიონმა სუსტად გაიღიმა.

– ახლა რას ვაპირებთ, ჰარი? – ჰკითხა რონმა.

Scanned by CamScanner

– ნახავთ. წავედით.

სამივე ბილს აჰყვა კიბეზე. პატარა ბაქანზე სამი კარი იყო.

– აქეთ, – ბილმა თავისი და ფლერის ოთახის კარი გააღო; ეს ოთახიც ზღვას გადაჰყურებდა. ზღვაზე უკვე ოქროსფერი ათინათები ციმციმებდა. ჰარიმ შთამბეჭდავ ხედს ზურგი შეაქცია და ფანჯრის რაფას გულხელდაკრეფილი მიეყრდნო. ნაიარევი გაუჩერებლად წიწკნიდა. ჰერმიონი ტუალეტის მაგიდასთან სავარძელში ჩაეშვა; რონი სახელურზე ჩამოუჯდა.

ბილი ისევ გამოჩნდა, გობლინი შემოიყვანა და ფრთხილად დაანვინა სანოლზე. გრიპჰუკმა მადლობის სიტყვები ჩაიბუტბუტა. ბილი გავიდა და კარი გაიხურა.

– უკაცრავად, ლოგინიდან რომ აგაყენეთ, – მიმართა ჰარიმ, – ფეხები როგორ გაქვთ?

– მტკივა, – მიუგო გობლინმა, – მაგრამ მირჩება.

გობლინს ჯერაც ჩაბღუჯული ჰქონდა გრიფინდორის ხმალი; უცნაური იერი ედო: თან – სასტიკი და თან – ცნობისმოყვარე. მიწისფერი სახე, გრძელი, თხელი თითები და შავი თვალები ჰქონდა. ფლერს მისთვის ფეხსაცმელები გაეხადა და გრძელი ჭუჭყიანი ტერფები მოუჩანდა. შინაურ ელფზე სულ ცოტათი დიდი იქნებოდა, მაგრამ გუმბათის მსგავსი თავი ადამიანის თავზე გაცილებით დიდი ჰქონდა.

– ალბათ, არ გეხსომებათ... – დაიწყო ჰარიმ.

– რომ ის გობლინი ვარ, რომელმაც გრინგოტსში პირველად მოსულს თქვენი საცავი გაჩვენათ? – სიტყვა ჩამოართვა გრიპჰუკმა, – რა თქმა უნდა, მახსოვს, ჰარი პოტერ. გობლინთა შორისაც კი სახელგანთქმული ხართ.

ჰარიმ და გობლინმა ერთმანეთი თვალით გაზომეს. ჰარის ისევ ჩხვლეტდა ნაიარევი. უნდოდა, მალე მორჩენილიყო გრიპჰუკთან საუბარს, თანაც შიშობდა, არაფერი შემეშალოსო. სანამ სათქმელს აწონ-დაწონიდა, გობლინმა თვითონ დაარღვია სიჩუმე.

– ელფი დამარხეთ, – უცნაურად მტრული ხმა ჰქონდა გრიპჰუკს, – მეორე ოთახის ფანჯრიდან გიყურებდით.

– ჰო, – მიუგო ჰარიმ.

გრიპჰუკმა ელამი თვალებით ცერად გახედა ჰარის.

– საკვირველი ჯადოქარი ხართ, ჰარი პოტერ.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ჰარიმ და დაბნეულად მოისრისა ნაიარევი.

– თქვენ საფლავი გათხარეთ.

– მერე რა?

გრიპჰუკმა პასუხი არ გასცა. ჰარიმ იფიქრა, ეტყობა, დამცინის,

Scanned by CamScanner

მაგლივით რომ მოვიქეციო, მაგრამ სულ არ ანაღვლებდა, მოეწონა თუ არა გრიპჰუკს მისი საქციელი.

– გრიპჰუკ, მინდა...

– და გობლინიც გადაარჩინეთ.

– რა?

– მეც წამომიყვანეთ. გადამარჩინეთ.

– ამით ხომ არაფერი დამიშავებია? – ჰკითხა ჰარიმ ცოტა მოუთმენლად.

– არა, ჰარი პოტერ, – ნიკაპზე ამოსული თხელი, შავი წვერი თითზე დაიხვია გობლინმა, – მაგრამ მართლაც საკვირველი ჯადოქარი ხართ.

– კარგი, – უთხრა ჰარიმ, – შველა მჭირდება, გრიპჰუკ, და შენ შეგიძლია დამეხმარო.

გობლინს არაფერი უთქვამს. ისევ ისე უბღვერდა, თითქოს ჰარის მსგავსი არაფერი ენახოს.

– გრინგოტსის ერთ-ერთ აკლდამაში მინდა შევიდე.

ჰარი ასე მიხლას არ აპირებდა, სიტყვები ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევის მწვავე ტკივილმა ამოასროლინა. შორს ისევ დაინახა ჰოგვორტსის სილუეტი, მაგრამ გონება სასწრაფოდ დაიხშო, ახლა გრიპჰუკთან მოლაპარაკება უფრო საჩქარო იყო. რონი და ჰერმიონი ჰარის ისე მიაშტერდნენ, როგორც გიჟს.

– ჰარი, – დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ გრიპჰუკმა გააწყვეტინა:

– გრინგოტსის აკლდამაში? – გაიმეორა, საწოლზე შესწორდა და ამ მცირე მოძრაობისგან გამოწვეული ტკივილით შეკრთა, – ეს შეუძლებელია.

– არ არის შეუძლებელი, – შეეპასუხა რონი, – წინათაც მომხდარა.

– ჰო, – თქვა ჰარიმ, – სწორედ იმ დღეს, როცა პირველად გნახე, გრიპჰუკ. ჩემი დაბადების დღეს, შვიდი წლის წინ.

– ის აკლდამა მაშინ ცარიელი იყო და თითქმის არ იცავდნენ, – წაიბუზღუნა გობლინმა და ჰარი მიხვდა, რომ თუმცა გრიპჰუკი გრინგოტსიდან წამოვიდა, მაინც ითაკილა, რომ შეიძლება ბანკის დაცვა გატეხილიყო.

– ის აკლდამა, სადაც ჩვენ გვჭირდება შესვლა, ცარიელი არ არის და, როგორც ვხვდები, საგულდაგულოდაც იქნება დაცული, – განაგრძო ჰარიმ, – ლესტრეინჯების აკლდამას ვგულისხმობ.

დაინახა, რომ ჰერმიონმა და რონმა განცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ ახსნას იმის მერეც მოასწრებდა, როცა გრიპჰუკი პასუხს გასცემდა.

– არაფერი არ გამოგივათ, – გადაჭრით უთხრა გრიპჰუკმა, –

Scanned by CamScanner

„თუკი მის წიაღში დაეძებ განძს, რაც შენი არ არის და ართმევ სხვას...

– მპარავი ყოფილხარ...“ დიახ, ვიცი, მახსოვს, – უთხრა ჰარიმ, – მაგრამ განძის მითვისებას არ ვაპირებ; ჩემთვის არაფრის აღება არ მინდა. შეგიძლია, დამიჯერო?

გობლინმა ცერად ახედა. ჰარის ნაიარევმა ისევ უჩხვლიტა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

– თუ რომელიმე ჯადოქარს დაეჯერება, რომ თავისთვის არ სურს რაიმე, ისევ თქვენ, პოტერ. გობლინები და ელფები მიჩვეულები არ არიან ისეთ თანაგრძნობასა და პატივისცემას, როგორიც გასულ ღამეს თქვენ გამოავლინეთ. ჯადოსნური ჯოხის მპყრობელები ასე არ იქცევიან, – თქვა ბოლოს გრიპჰუკმა.

– ჯოხის მპყრობელები, – გაიმეორა ჰარიმ.

ეს ფრაზა უცნაურად მოხვდა ყურში. ამ დრო ნაიარევის ჩხვლეტა ისევ იგრძნო და კიდევ უფრო მოეძალა გვერდით ოთახში მყოფი ოლივანდერის ნახვის სურვილი.

– ჯადოქრები და გობლინები ოდითგანვე ჯოხის პყრობის უფლებაზე დავობდნენ, – წყნარად თქვა გობლინმა.

– გობლინებს ხომ უჯოხოდაც შეუძლიათ ჯადოქრობა, – შენიშნა რონმა.

– ეს უსამართლობაა! ჯადოქრები უარს ამბობენ, სხვა ჯადოსნურ არსებებს გაუზიარონ ჯოხის დამზადების ოსტატობა, ძალის გამოვლენის საშუალებას გვისპობენ!

– არც გობლინები ამხელენ თავიანთ მაგიას, – შეეპასუხა რონი, – თქვენც ხომ არ გვაგებინებთ, როგორ აკეთებთ ხმლებსა და აბჯრებს? გობლინებმა ლითონის ისეთი დამუშავება იციან, როგორიც ჯადოქრებს არასოდეს...

– ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – შეანყვეტინა ჰარიმ, რადგან დაინახა, რომ გობლინი აილენა, – ჩვენ ახლა ჯადოქრებისა და გობლინების თუ სხვა ჯადოსნური არსებების დავაზე არ ვლაპარაკობთ...

გრიპჰუკმა ავად ჩაიცინა.

– მაშ, სხვა რაზე უნდა ვილაპარაკოთ? როცა ბნელ ბატონს ძლევამოსილება მოემატება, თქვენი ხალხი უფრო მეტად გაბატონდება ჩემსაზე! გრინგოტსი ჯადოქართა მმართველობას დაემორჩილება, შინაურ ელფებს ამოწყვეტენ. რომელი ჯოხის მპყრობელი დაგვიცავს?

– ჩვენ! – ჰერმიონი გასწორდა და თვალები გაუბრწყინდა, – ჩვენც სწორედ ამას ვეწინააღმდეგებით! მე გობლინებსა და ელფებზე არანაკლებ მდევნიან, გრიპჰუკ. მე ხომ მუქსისხლიანი ვარ!

Scanned by CamScanner

– ამ სიტყვას ნუ ამბობ, – წაიდუდუნა რონმა.

– რატომაც არა? – თქვა ჰერმიონმა, – მუქსისხლიანი ვარ და მეამაყება! მე ახალი კანონის მიხედვით შენზე მაღალი მდგომარეობა როდი მიკავია, გრიპჰუკ. მალფოებთან სწორედ მე ამირჩიეს საწამებლად!

ჰერმიონმა საყელო გადაიწია და ბელატრისასგან ყელზე მიყენებული ალისფერი ნაჭრილობევი გამოაჩინა.

– იცოდი, რომ დობი სწორედ ჰარი პოტერმა გაათავისუფლა მონობიდან? – ჰკითხა გრიპჰუკს, – იცოდი, რომ რამდენიმე წელია, ელფების გათავისუფლება გვინდა? – (რონი უხერხულად აწრიალდა ჰერმიონის სავარძლის სახელურზე), – ჩვენ-რომ-ვიცით, იმის დამარცხება კი ჩვენზე მეტად ვერ გენდომება, გრიპჰუკ!

გობლინი ისეთივე ინტერესით მიაცქერდა ჰერმიონს, როგორც ჰარის.

– რას ეძებთ ლესტრეინჯების აკლდამაში? – იკითხა მოულოდნელად, – იქ ყალბი ხმალი დევს. ნამდვილი ესაა, – გრიპჰუკი ხან ერთს უყურებდა და ხან – მეორეს, – თუმცა, ალბათ, ისედაც იცით. სარდაფში ხომ მთხოვეთ, თქვენი გულისთვის მეცრუა.

– ჰო, მაგრამ იმ აკლდამაში მხოლოდ ყალბი ხმალი ხომ არ დევს? – გულისფანცქალით ჰკითხა ჰარიმ და თავს ძალა დაატანა, რომ ნაიარევის ფეთქვას არ აჰყოლოდა, – იქნებ სხვა ნივთებიც გინახავთ?

გობლინმა ისევ დაიხვია თითზე წვერი.

– გრინგოტსის საიდუმლოზე საუბარი ჩვენს კოდექსს ეწინააღმდეგება. ჩვენ საარაკო სიმდიდრის მცველები ვართ და პასუხს ვაგებთ ჩვენთვის მონდობილ ნივთებზე, რომელთაგან ბევრი ჩვენივე ნახელავია.

გობლინმა ხმალს ხელი გადაუსვა და თვალები ააფახურა.

– ძალიან ახალგაზრდები ხართ, – თქვა ბოლოს, – იმდენ მცველს ვერ შეებრძოლებით.

– დაგვეხმარები? – ჰკითხა ჰარიმ, – გობლინის დაუხმარებლად შესვლის არანაირი იმედი არ გვაქვს.

– მე... ვიფიქრებ, – თქვა გობლინმა გამაღიზიანებლად.

– მაგრამ... – ბრაზით დაიწყო რონმა, მაგრამ ჰერმიონმა იდაყვი წაჰკრა და გააჩუმა.

– გმადლობ, – უთხრა ჰარიმ.

გობლინმა დიდი, გუმბათივით თავი ზრდილობიანად დაუკრა და მოკლე ფეხები მოხარა.

– მე მგონი, ძვლისსაზრდელამ უკვე იმოქმედა, – თქვა და მოხ-

Scanned by CamScanner

ერხებულად მოკალათდა ბილისა და ფლერის საწოლზე, – ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, დავიძინებ. მაპატიეთ...

– დიახ, რა თქმა უნდა, – მიუგო ჰარიმ. ოთახიდან გასვლამდე გობლინის გვერდით დასვენებული გრიფინდორის ხმალი აიღო. გრიპჰუკს ხმა არ ამოუღია, თუმცა, ჰარის აღშფოთებული მზერა გააყოლა, სანამ ის კარს გაიხურავდა.

– ეგ გაწრიპული არამზადა, – ნაიჩურჩულა რონმა, – ჩვენი წვალება სიამოვნებს.

– ჰარი, – ჰერმიონმაც ჩურჩული დაიწყო, კარს ორივე მოაშორა და ჯერაც ბნელი ბაქნის შუაში გაიყვანა, – გგონია, რომ მორიგი ჰორკრუქსი ლესტრეინჯების აკლდამაშია?

– ჰო, – უთხრა ჰარიმ, – ბელატრისას ელეთმელეთი მოუვიდა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა აკლდამაში ვყოფილიყავით. კინაღამ გაგიჟდა. რატომ? რა შეიძლებოდა, რომ გვენახა? სხვა რა უნდა აგვეღო? რაღაც ისეთი, რის დაკარგვაც, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას გააცოფებდა.

– ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ იმ ადგილებს ვეძებდით, სადაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის ყოფილა და რაღაც მნიშვნელოვანი გაუკეთებია? – იკითხა გაოგნებულმა რონმა, – ნუთუ ლესტრეინჯების აკლდამაში ნამყოფია?

– არ ვიცი, გრინგოტსში საერთოდ ყოფილა თუ არა, – უთხრა ჰარიმ, – ახალგაზრდობაში ოქრო არ ჰქონია, არც არავის არაფერი დაუტოვებია მისთვის. თუმცა, გარედან კი ნახავდა, როცა პირველად მივიდოდა მრუდე ქუჩაზე.

ნაიარევმა ფეთქვა დაუწყო, მაგრამ ყურადღება ისევ არ მიაქცია; უნდოდა, ოლივანდერთან დალაპარაკებამდე რონისა და ჰერმიონისთვის გრინგოტსის ამბავი გაეგებინებინა.

– ალბათ, ყველასი შურდა, ვისაც გრინგოტსის აკლდამის გასაღები ჰქონდა. ალბათ, გასაღები ეგონა ჯადოქრულ სამყაროსთან კავშირის ნამდვილი სიმბოლო. და არც ის დაგავიწყდეთ, რომ ბელატრისასა და მის ქმარს ყოველთვის ენდობოდა. დაცემამდე ერთგულად ემსახურებოდნენ, გაქრობის შემდეგ კი ძებნა დაუწყეს. ეს იმ ღამით თქვა, როცა აღდგა.

ჰარიმ ნაიარევი მოისრისა.

– თუმცა, არა მგონია, ბელატრისასთვის ეთქვას, რომ მის აკლდამაში ჰორკრუქსის შენახვა სურდა. ლუციუს მალფოისთვისაც არ გაუმხელია დღიურის ამბავი. უბრალოდ, ეტყოდა, უძვირფასესი ნივთია და შენს აკლდამაში საგულდაგულოდ შემინახეო. ჰაგრიდი ამბობდა, თუ რამის შენახვა გინდა, გრინგოტსზე საიმედო ადგილს ვერ იპოვი... ჰოგვორტსის გარდაო.

Scanned by CamScanner

როცა ჰარიმ ლაპარაკი დაამთავრა, რონმა თავი გაიქნია:

– ნამდვილად გესმის მისი.

– ცოტ-ცოტა, – მიუგო ჰარიმ, – ნეტავ, დამბლდორსაც მაგდენს ვუგებდე. წავედით. ახლა ოლივანდერს უნდა ველაპარაკოთ.

რონი და ჰერმიონი გაოგნებულები გაჰყვნენ. პატარა ბაქანი გაიარეს და ბილისა და ფლერის ოთახის მოპირდაპირე კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით, – მოესმათ სუსტი ხმა.

ჯოხების ოსტატი ფანჯრიდან მოშორებით, ორსაწოლიან ლოგინში იწვა. წელიწადზე მეტხანს სარდაფში ჰყავდათ დამწყვდეული და, რამდენადაც ჰარიმ იცოდა, სულ ცოტა, ერთხელ მაინც სასტიკად ანამეს. მოხუცი გამოფიტული იყო, მოყვითალო სახის კანქვეშ ძვლები მოუჩანდა. ჩაცვენილი ვერცხლისფერი თვალები თითქოს გასდიდებოდა. ჩონჩხად ქცეული ხელები საბანზე დაეწყო. ჰარი, რონი და ჰერმიონი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ საწოლის კიდეზე. ამ ოთახიდან ამომავალი მზე არ ჩანდა. ფანჯარა ფრიალო კლდისკენ გაშენებულ ბაღს და დობის საფლავს გადაჰყურებდა.

– ბატონო ოლივანდერ, უკაცრავად, რომ გაწუხებთ, – დაიწყო ჰარიმ.

– ჩემო ბიჭო, – წამოიწრიპინა ოლივანდერმა მისუსტებული ხმით, – ჩვენი მხსნელი ხარ. მეგონა, იქ ამომხდებოდა სული. რით გადაგიხადო მადლობა... არც კი ვიცი.

– ძალიან გვიხარია, რომ დაგეხმარეთ.

ნაიარევმა სწრაფად დაუწყო ფეთქვა. ჰარიმ უკვე იცოდა, ვოლდემორს ველარც მიზანთან მიასწრებდა და ველარც ხელს შეუშლიდა. ამ აზრმა შეაძრწუნა... არადა, პირველს მაინც გრიპჰუკს ელაპარაკა. ჰარიმ ვითომ მშვიდად მოჩხრიკა კისერზე ჩამოკიდებული ქისა და გატეხილი ჯოხის ნახევრები ამოიღო.

– ბატონო ოლივანდერ, თქვენი დახმარება მჭირდება.

– კი, ბატონო, თუკი შევძლებ, – თავი წამოსწია ჯოხების ოსტატმა.

– შეგიძლიათ შეაკეთოთ? შესაძლებელია?

ოლივანდერმა აცახცახებული ხელი გამოუწოდა და ჰარიმ წკიპზე შეერთებული ნახევრები ხელისგულზე დაუდო.

– ბაძგი და ფენიქსის ბუმბული, – წაიბუტბუტა ოლივანდერმა, – თერთმეტი დუიმი. მშვენიერი და მოქნილი.

– დიახ, – უთხრა ჰარიმ, – შეგიძლიათ?

– ვერა, – წაიჩურჩულა ოლივანდერმა, – ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამგვარად დაზიანებული ჯოხი ჩემთვის ცნობილი ვერანაირი ხერხით ვერ აღდგება.

Scanned by CamScanner

ჰარი მზად იყო ამის მოსასმენად, მაგრამ მაინც ელდა ეცა. ჯოხის ნახევრები გამოართვა და ქისაში ჩააბრუნა. ოლივანდერმა თვალი გააყოლა და მანამ უყურებდა იმ ადგილს, სადაც გატეხილი ჯოხი გაქრა, სანამ ჰარიმ ჯიბიდან მალფოებისაგან წამოღებული ორი ჯოხი არ ამოიღო.

– შეგიძლიათ, მიხვდეთ, რომელი ვისია? – ახლა ეს ჯოხები გაუწოდა მოხუცს.

ჯოხების ოსტატმა ერთი აიღო და თვალებთან მიიტანა, სახსრებამობურცული თითებით დაატრიალა და ოდნავ მოხარა.

– კაკალი და დრაკონის გულის ძარღვი, – თქვა, – თორმეტი და სამი მეოთხედი დუიმი. უდრეკი. ბელატრისა ლესტრეინჯს ეკუთვნოდა.

– ეს?

ოლივანდერმა ისიც ისევე შეამოწმა:

– კუნელი და ცალრქიანი ცხენის ძუა. ზუსტად ათი დუიმი. ზომიერად მოქნილი. ეს დრაკო მალფოის ჯოხი იყო.

– იყო? – გაიმეორა ჰარიმ, – რა, არ არის?

– ეგებ, აღარც. თუკი წაართვით...

– დიახ, წავართვი...

– მაშინ, შესაძლოა, თქვენი იყოს. რასაკვირველია, იმასაც აქვს მნიშვნელობა, როგორ წაართვით. ჯოხზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუმცა, როგორც წესი, თუ ჯოხი მოიპოვეთ, შეიძლება დაგემორჩილოთ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ზღვის შორეული ხმაური ისმოდა.

– ჯოხზე ისე საუბრობთ, თითქოს რამეს გრძნობდეს, – ჩაეძია ჰარი, – და ფიქრი შეეძლოს.

– ჯოხი ირჩევს ჯადოქარს, – თქვა ოლივანდერმა, – ეს ყოველთვის ცხადი იყო მათთვის, ვისაც ჯადოსნური ჯოხის მეცნიერება შეუსწავლია.

– თუმცა, ხომ მაინც შესაძლებელია ისეთი ჯოხის გამოყენება, რომელსაც შენ არ აურჩევიხარ? – ჰკითხა ჰარიმ.

– რასაკვირველია. თუ ჯადოქარი ხარ, შენს მაგიას თითქმის ყველა იარაღში გაატარებ. თუმცა, საუკეთესო შედეგს მხოლოდ მაშინ უნდა ველოდოთ, როცა ჯადოქარსა და ჯოხს შორის უდიდესი სიახლოვეა. ეს კავშირი დიდად ჩახლართული რამ გახლავთ. პირველია ურთიერთმიზიდულობა, მეორე – გამოცდილების ერთობლივი შეძენა: ჯოხი ჯადოქრისგან სწავლობს, ჯადოქარი – ჯოხისგან.

– ეს ჯოხი დრაკო მალფოის წავართვი, – განაგრძო ჰარიმ, – შემიძლია, უხიფათოდ გამოვიყენო?

Scanned by CamScanner

– მე მგონი, კი. ჯოხის მფლობელობას უხილავი კანონები განაგებს, მაგრამ დამარცხებულის ჯოხი, როგორც წესი, ახალ ბატონს დაემორჩილება.

– მაშ, მეც შემიძლია, ეს გამოვიყენო? – რონმა ჯიბიდან გრძელკუდას ჯოხი ამოიღო და ოლივანდერს გაუწოდა.

– წაბლის ხე და დრაკონის გულის ძარღვი. ცხრა და ერთი მეოთხედი დუიმი. მყიფეა. მოტაცებიდან ცოტა ხანში დამამზადებინეს პიტერ პეტიგრიუსათვის. დიახ, თუ წაართვით, ალბათ, თქვენს ბრძანებას დაემორჩილება და სხვა ჯოხზე უკეთესად იმოქმედებს.

– ეს ყველა ჯოხზე ვრცელდება? – ჰკითხა ჰარიმ.

– მგონი, კი, – მიუგო ოლივანდერმა და ჰარის განცვიფრებით შეხედა, – საზრიან შეკითხვებს სვამთ, მისტერ პოტერ. ჯოხების მეცნიერება მაგიის რთული და იდუმალებით მოცული დარგია.

– მაშ, აუცილებელი არ არის, წინა მფლობელი მოკლა, რომ ჯოხს დაეპატრონო? – მოუთმენლად ჰკითხა ჰარიმ.

ოლივანდერმა ნერწყვი გადაყლაპა.

– აუცილებელი? არა, ვიტყოდი, რომ სულაც არ არის აუცილებელი.

– თუმცა, არსებობს ლეგენდები, – გული აუჩქარდა ჰარის, ნაიარევი კი უფრო ასტკივდა; დარწმუნებული იყო, ვოლდემორმა სამიზნეს უკვე მიაღწია, – ჯოხის... ან ჯოხების შესახებ... რომლებიც მხოლოდ მკვლელობით გადადიოდა ხელიდან ხელში.

ოლივანდერი გაფითრდა, ქათქათა ბალიშზე მისი სახე ძლივსღა გაირჩეოდა, თვალები უსაშველოდ გაუფართოვდა, გაუწითლდა და თითქოს შიშით აევსო.

– მე მგონი, მხოლოდ ერთი ჯოხი იყო, – წაიჩურჩულა ძლივს.

– და იმ ჯოხს ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაეძებს? – ჰკითხა ჰარიმ.

– რანაირად გაიგეთ? – ამოიხავლა ოლივანდერმა და მუდარით მიაშტერდა რონსა და ჰერმიონს, – საიდან იცით?

– მას უნდოდა, გესწავლებინათ, როგორ შეიძლებოდა გადაელახა კავშირი ჩემსა და მის ჯოხებს შორის, არა? – განაგრძო ჰარიმ.

ოლივანდერი მთლად გაოგნდა და აკანკალდა:

– მაწამებდა, გამიგეთ! კრუციატუსის წყევლით... სხვა გზა არ მქონდა, ვუთხარი, რაც ვიცოდი, რასაც მივხვდი!

– მესმის, – დაამშვიდა ჰარიმ, – ტყუპი ჯოხების ამბავი უთხარით? ურჩიეთ, სხვა ჯადოქრის ჯოხი გამოიყენეთო?

ოლივანდერი შეძრული ჩანდა იმ ფაქტით, რომ ჰარიმ ამდენი რამ იცოდა. თავი ნელა დაუქნია.

– მაგრამ ამან არ გაჭრა, – განაგრძო ჰარიმ, – ჩემმა ჯოხმა მაინც სძლია ნათხოვარს. შეგიძლიათ ამიხსნათ, რატომ?

Scanned by CamScanner

ოლივანდერმა წელანდელივით ნელა გააქნია თავი.

– მე... ასეთი არაფერი მსმენია. ტყუპი ჯოხების კავშირი ძალიან იშვიათია, თუმცა ასეთი რამ მაინც არსებობს. მაგრამ თქვენმა ჯოხმა იმ ღამით არნახული რამ ჩაიდინა – ნათხოვარ ჯოხს სძლია. ამას ვერაფრით ავხსნი, არ ვიცი...

– ახლა სხვა ჯოხი მაინტერესებს. ის ჯოხი, რომელიც მკვლელობით გადადის ხელიდან ხელში. როცა ჩვენ-რომ-ვიცით, ის მიხვდა, რომ ჩემმა ჯოხმა მის ნათხოვარ ჯოხს სძლია, დაბრუნდა და იმ ჯოხის ამბავი გკითხათ, არა?

– ეგ საიდანღა იცით?

ჰარიმ პასუხი არ გასცა.

– დიახ, მკითხა, – წაიჩურჩულა ხმაჩამწყდარმა ოლივანდერმა, – უნდოდა, ყველაფერი შეეტყო, რაც კი ვიცოდი ან მსმენოდა ჯოხზე, რომელიც სიკვდილის ჯოხის, უძლეველი ჯოხის ან დიდგულას ჯოხის სახელითაა ცნობილი.

ჰარიმ ჰერმიონს გადახედა. გოგონას განცვიფრებისგან პირი დაეღო.

– ბნელი ბატონი ყოველთვის კმაყოფილი იყო ჩემი ნახელავი ფენიქსისბუმბულიანი ურთხლის ცამეტ-ნახევარი დუიმის ჯოხით, სანამ ტყუპი ჯოხების კავშირი არ აღმოაჩინა, – თქვა ოლივანდერმა შეშინებული ხმით, – ახლა კი სხვა, უფრო მძლავრ ჯოხს დაეძებს. ჰგონია, რომ მხოლოდ იმით შეძლებს თქვენი ჯოხის დამარცხებას.

– მაგრამ თუ ჯერ არ გაუგია, მალე გაიგებს, რომ ჩემი გატყდა და შეკეთებაც ვერ ხერხდება, – წყნარად შენიშნა ჰარიმ.

– რას ამბობ! – წამოიძახა შეშინებულმა ჰერმიონმა, – მაგას როგორ გაიგებს, როგორ...

– ძალიან მარტივად, – მიუგო ჰარიმ, – შენი და კვრინჩხის ჯოხი ხომ მალფოებთან დარჩა, ჰერმიონ. თუ კარგად გასინჯავენ და ბოლოდროინდელ შელოცვებს აღადგენინებენ, მიხვდებიან, რომ შენმა ჩემი გატეხა. ნახავენ, რომ ჩემი ჯოხის გამთელებაც სცადე და არ გამოგივიდა, მიხვდებიან, რატომაც მეჭირა კვრინჩხის ჯოხი.

ჰერმიონს რაც ჩამოსვლის შემდეგ ფერი მოუვიდა, ახლა ისევ დაეკარგა. რონმა წყენით შეხედა ჰარის:

– მოდი, მაგაზე მერე ვიმსჯელოთ...

მაგრამ ბატონმა ოლივანდერმა შეაწყვეტინა:

– ბნელი ბატონი მხოლოდ თქვენს გასანადგურებლად როდი დაეძებს დიდგულას ჯოხს, მისტერ პოტერ. მისი დაპატრონება კიდევ იმიტომ გადაწყვიტა, რომ სჯერა, ის ჯოხი ჭეშმარიტად უძლეველს გახდის.

Scanned by CamScanner

– მართლა ასე იქნება?

– დიდგულას ჯოხის პატრონი ყოველთვის უნდა უფრთხოდეს თავდასხმას, იმიტომ, რომ როგორც ისტორიიდან ჩანს, ეს მას კარგს არაფერს მოუტანს, მაგრამ დიდგულას ჯოხს დაპატრონებული ბნელი ბატონი, უნდა ვაღიარო, რომ... საშინელება იქნება, – თქვა ოლივანდერმა.

ჰარის უცებ გაახსენდა, რომ პირველი შეხვედრისთანავე რატომღაც არ მოეწონა ჯოხების ოსტატი. ახლაც კი, ვოლდემორისაგან ნაწამებსა და დატუსაღებულს, ბნელი ბატონისაგან უძლეველი ჯოხის დაპატრონების აზრი, ეტყობა, იმდენად ზიზღს არ ჰგვრიდა, რამდენადაც ხიბლავდა.

– თქვენი აზრით, ეს ჯოხი მართლაც არსებობს, ბატონო ოლივანდერ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– რასაკვირველია, – მიუგო ოლივანდერმა, – ამ ჯოხის კვალს თავისუფლად შეიძლება მივადევნოთ თვალი ისტორიაში. მართალია, არის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები, სადაც ის მხედველობის არიდან ქრებოდა, დროებით იკარგებოდა ან მალავდნენ, მაგრამ აქა-იქ მუდამ ამოტივტივდებოდა ხოლმე. მას ჯოხის მეცნიერებაში განსწავლულები რამდენიმე განსაკუთრებული მახასიათებლის მიხედვით ცნობენ. არსებობს წერილობითი ცნობები, თუმცა, ზოგიერთი – ძალზე ბუნდოვანი, რომლებიც მე და ჯოხების სხვა ოსტატებმა საგანგებოდ შევისწავლეთ. მათ ჭეშმარიტების ბეჭედი აზით.

– მაშ, თქვენ... თქვენი აზრით, არც ზღაპარია და არც მითი? – ჰკითხა იმედდაკარგულმა ჰერმიონმა.

– არა, – მიუგო ოლივანდერმა, – ოღონდ, ის კი არ ვიცი, მართლა მფლობელის მკვლელობით უნდა გადავიდეს ხელიდან ხელში თუ არა. მისი ისტორია სისხლიანია, მაგრამ იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ჯადოქრისთვის სასურველი ნივთია: საოცრად მძლავრი, სახიფათო და სანუკვარი ყველა მათგანისათვის, ვინც ჯოხების ძალას სწავლობს.

– ბატონო ოლივანდერ, – ჩაერთო ჰარი, – თქვენ უთხარით ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, რომ დიდგულას ჯოხი გრეგოროვიჩს ჰქონდა?

ისედაც გაფითრებული ოლივანდერი უარესად გადაფითრდა. მოჩვენებას დაემსგავსა.

– კი, მაგრამ... როგორ გაიგეთ?

– რა მნიშვნელობა აქვს, – ჰარიმ თვალები დახუჭა, რადგან ნაიარევი აეწვა და ორიოდე წამით დაინახა ჰოგსმიდის მთავარი ქუჩა. იქ ჯერაც ისევ ბნელოდა, რადგან უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა, – მიპასუხეთ, თქვენ უთხარით ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, რომ ჯოხი გრეგოროვიჩს ჰქონდა?

Scanned by CamScanner

– მრავალი წლის წინ, როცა თქვენ დაბადებულიც არ იყავით, ასეთი ჭორები დადიოდა, – ნაიჩურჩულა ოლივანდერმა, – მე მგონი, გრეგოროვიჩმა თვითონვე დააგდო ხმა. ხომ ხედებით, როგორ ნაადგებოდა ეს ჭორები მის ბიზნესს. შემკვეთები იფიქრებდნენ, რომ დიდგულას ჯოხის თვისებები შეისწავლა და მსგავსის დამზადება შეეძლო.

– გასაგებია, – ჰარი ნამოდგა, – ბატონო ოლივანდერ, ერთი შეკითხვაც და დაგასვენებთ. რა იცით სიკვდილის საჩუქრებზე?

– რაზე? – განცვიფრდა ჯოხების ოსტატი.

– სიკვდილის საჩუქრებზე.

– ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობთ. ეგეც ჯოხებს ეხება?

ჰარიმ ლოყებჩაცვენილ სახეში ჩახედა მოხუცს და დაიჯერა, რომ ოლივანდერი არ ცრუობდა. საჩუქრების შესახებ არაფერი იცოდა.

– გმადლობთ, – უთხრა ჰარიმ, – დიდი მადლობა. ახლა ჩვენ ნავალთ, თქვენ კი დაისვენეთ.

ოლივანდერმა საცოდავად შეხედა:

– მანამებდა! კრუციატუსის წყევლით მანამებდა... ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რა საშინელება...

– წარმოვიდგენ, ბატონო ოლივანდერ, – უთხრა ჰარიმ, – შესანიშნავად მესმის თქვენი, არ გადანაშაულებთ. გთხოვთ, ცოტა დაისვენეთ. გმადლობთ ყველაფრისთვის.

ჰარი რონსა და ჰერმიონს კიბეზე ჩაუძღვა. სამზარეულოში მაგიდასთან ბილი, ფლერი, ლუნა და დინი ისხდნენ, წინ ჩაის ფინჯნები ედგათ. ჰარის დანახვაზე ცოტა შეკრთნენ, მაგრამ ჰარიმ მხოლოდ თავი დაუკრა და პირდაპირ ბაღისკენ გაემართა. რონი და ჰერმიონიც მას მიჰყვნენ. ჰარი დობის საფლავთან მივიდა. შუბლის ტკივილმა უმატა. ახლა უკვე დიდ ძალისხმევად უჯდებოდა ხილვების უკუგდება, მაგრამ იცოდა, რომ ცოტაც უნდა გაეძლო და რონისა და ჰერმიონისთვის აეხსნა, რაში იყო საქმე. მერე კი დანებდებოდა, რათა დარწმუნებულიყო, სწორი იყო თუ არა მისი ვარაუდი.

– გრეგოროვიჩს დიდი ხნის წინ მართლა ჰქონდა დიდგულას ჯოხი, – მიმართა მეგობრებს, – დავინახე, როგორ ეძებდა ჩვენ-რომ-ვიცით, ის გრეგოროვიჩს. როცა მიაგნო, მისგან შეიტყო, რომ ჯოხი ვილაცამ, კერძოდ კი, გრინდელვალდმა მოიპარა. არ ვიცი, საიდან გაიგო გრინდელვალდმა, რომ ჯოხი გრეგოროვიჩს ჰქონდა, მაგრამ თუ გრეგოროვიჩს ჭკუა არ ეყო და ხმები თვითონ დაყარა, მაშინ ყველაფერი ნათელია.

...ვოლდემორი უკვე ჰოგვორტსის ჭიშკართან იდგა; ჰარი აისის ბინდბუნდში ხედავდა მას, მისკენ მომავალ ვილაც კაცს და ნელა მოქანავე ლამპას.

Scanned by CamScanner

– გრინდელვალდმა დიდგულას ჯოხი ძალაუფლების მოსახვეჭად გამოიყენა. ბოლოს, როცა ძალაუფლების მწვერვალზე ავიდა, დამბლდორი მიხვდა, რომ გრინდელვალდს მის გარდა ვერავინ შეაჩერებდა, დუელში გამოიწვია, დაამარცხა და დიდგულას ჯოხს დაეპატრონა.

– დიდგულას ჯოხი დამბლდორს ჰქონდა? – გაოცდა რონი, – მერე?ახლა სადღაა?

– ჰოგვორტსში, – ჰარი მთელი ძალით შეეცადა, გონებით კლდეებთან გაშენებულ ბაღში, რონთან და ჰერმიონთან დარჩენილიყო.

– მაშ, წავიდეთ! – მგზნებარედ თქვა რონმა, – ახლავე წავიდეთ და ავიღოთ, სანამ მიგვასწრებს!

– უკვე გვიანია, – ჰარი თავს ველარ იკავებდა. ხელები შუბლზე წაივლო და ცდილობდა, ასე გასძალიანებოდა ტკივილს, – იმანაც იცის, რომ იქ არის. უკვე მივიდა.

– რაო? – გაცეცხლდა რონი, – რამდენი ხანია, რაც ეგ იცი?.. დროს რატომ ვკარგავდით? გრიპჰუკი სად გარბოდა? ჯერ იქ უნდა წავსულიყავით...

– არა, – ტკივილისგან ამოიგმინა ჰარიმ და ბალახში ჩაიჩოქა, – ჰერმიონი მართალია. დამბლდორს არ უნდოდა, რომ ის ჯოხი მე მქონოდა. მას უნდოდა, ჰორკრუქსები მეპოვა.

– ჰო, მაგრამ ის ხომ უძლეველი ჯოხია, ჰარი! – დაიკვნესა რონმა.

– მე... მე ჰორკრუქსები უნდა ვიპოვო...

უცებ ყველაფერი გაცივდა და დაბნელდა. მზე ჰორიზონტზე ამოიწვერა; სნეიპის მხარდამხარ ტბის მიმართულებით მისრიალებდა.

– ციხე-კოშკში მალე დავბრუნდები, – წარმოთქვა მაღალი, ცივი ხმით, – ახლა კი დამტოვე.

სნეიპმა თავი დაუკრა და შავი მოსასხამის ფრიალით გატრიალდა. ჰარი ნელა მიდიოდა, ელოდა, როდის გაქრებოდა სნეიპის ფიგურა. არც მან უნდა ნახოს, რას აპირებს და არც – სხვა ვინმემ. მიუხედავად იმისა, რომ ციხე-კოშკის ფანჯრებში სინათლე არ ჩანს, მაინც უნდა დაიმალოს. თვითდეილუზიონირების შელოცვა წარმოთქვა და თავისივე თავისთვისაც კი უჩინარი გახდა.

გზა განაგრძო, ტბას შემოუარა, საყვარელი ციხე-კოშკის კონტურებს ახედა – თავის პირველ სამეფოს, თავის საკუთრებას...

აი, თეთრი მარმარილოს საფლავის ქვაც ტბის პირას – ნაცნობი პეიზაჟის ზედმეტი ლაქა. აქამდე შეკავებული აღტაცება ისევ მოეძალა. თავისი ძველი, ურთხლის ჯოხი აღმართა: რა ნიშანდობლივია, რომ ეს იქნება მისი ბოლო დიადი საქმე.

Scanned by CamScanner

საფლავი ორად გაიპო. შესუდრული ფიგურა ისეთივე გრძელი და თხელი იყო, როგორიც სიცოცხლეში.

ჯოხი ისევ ასწია. ცხედარს სუდარა მოსცილდა. გრძელი, თეთრი წვერით დაფარული სახე ფერმკრთალი, ლოყებჩაცვენილი და მაინც თითქმის დაუზიანებელი იყო. რა სასაცილოა! კეხიან ცხვირზე სათვალე დაეტოვებინათ: ხელები გულზე დაეკრიბათ... ჯოხიც იქვე იყო – დამბლდორის ხელებში ჩაბლუჯული, მასთან ერთად დამარხული.

ნუთუ ამ ბებერ სულელს ეგონა, რომ ჯოხს მარმარილო ან თუნდაც სიკვდილი დაიცავდა? ნუთუ ეგონა, რომ ბნელი ბატონი საფლავის ხელყოფას შეუშინდებოდა? ხელი ობობასავით გასრიალდა და დამბლდორს ჯოხი წაჰგლიჯა. ჯოხმა წვერიდან ნაპერწკლები გადმოაფრქვია, ბოლო პატრონის გვამს დააყარა და ახალი ბატონის სამსახურში ჩადგა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეხუთე

„ნიჟარა“

ბილისა და ფლერის სახლი განმარტოებით იდგა კლდეზე და ზღვას გადაჰყურებდა. თეთრად შეღებილი კედლები ნიჟარებით იყო მორთული. მყუდრო და ლამაზი ადგილი იყო. პატარა სახლსა თუ ბაღში, ყველგან ზღვის გამუდმებული ხმაური ისმოდა, თითქოს რომელიღაც დიდი სულიერი ფშვინავსო. ჰარიმ მომდევნო რამდენიმე დღე თითქმის სულ განმარტოებით გაატარა. ხალხმრავალ სახლს გაურბოდა, კლდის წვეროდან ღია ცასა და უკიდეგანო ზღვას უცქერდა და ფიქრობდა.

ჯერაც შიშობდა, ვაითუ არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, ვოლდემორს რომ არ დავედევნე და არ ვცადე, ჯოხთან მიმესწროო. არ ახსოვდა, ოდესმე უმოქმედობა აერჩიოს. ჰარი თავს ებრძოდა, ეჭვი ღრღნიდა; ეჭვი, რომელსაც რონი, როცა კი ერთად იყვნენ, თავშეუკავებლად გამოთქვამდა:

– ვთქვათ და, დამბლდორს უნდოდა, დროზევე ამოგვეხსნა ის სიმბოლო და ჯოხი ჩვენ აგვეღო? იქნებ ის სიმბოლო იმას ნიშნავს, რომ საჩუქრების მიღების „ღირსი“ ხარ? თუ მართლა დამბლდორს ჰქონდა დიდგულას ჯოხი, ახლა რაღა ჯანდაბით უნდა ვაჯობოთ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას?

ჰარის პასუხი არ ჰქონდა. თანდათან უფრო ხშირად ფიქრობდა, რომ ნამდვილად შეცდა, ვოლდემორს ხელი რომ არ შეუშალა. ისიც კი ვერ აეხსნა, რატომ მოიქცა ასე. რამდენჯერაც კი გულში იმ არგუმენტების ჩამოყალიბებას შეეცადა, რომლებმაც ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, იმდენჯერ უფრო და უფრო სუსტი ეჩვენა ისინი.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ჰერმიონიც მხარს უჭერდა. მართალია, გოგონა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ უძლეველი ჯოხი რეალურად არსებობდა, მაგრამ მაინც დაეჩემებინა, ბოროტი

Scanned by CamScanner

ნივთია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საშინელ ხერხზე, რომლითაც ამ ჯოხს ვოლდემორი დაეპატრონაო.

– შენ ხომ მაგას ვერ იზამდი, ჰარი, – უმეორებდა გაუთავებლად, – დამბლდორის საფლავს ხომ ვერ გახსნიდი?!

თუმცა, ჰარის დამბლდორის ცხედარზე ფიქრი გაცილებით ნაკლებად აღელვებდა, ვიდრე შიში იმის თაობაზე, რომ შეიძლება ცოცხალ დამბლდორს ჩანაფიქრი არასწორად გაუგო. გრძნობდა, რომ ჯერაც დაბორიალებდა; გზა კი აირჩია, მაგრამ ისევ უკან-უკან იხედებოდა და აინტერესებდა, შეცდომით ხომ არ მივდივარო. იქნებ მეორე გზას უნდა დასდგომოდა? დროდადრო დამბლდორზე ისევ ბრაზდებოდა და ეს ბრაზი ისევე ძლიერი იყო, როგორც „ნიჟარის“ ქვემოთ, კლდეზე მიხეთქებული ტალღები. დამბლდორმა რატომ არ აუხსნა ყველაფერი?

– მაგრამ არის კი მკვდარი? – იკითხა რონმა „ნიჟარაში“ ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ. ჰარი ბაღის ღობიდან გაჰყურებდა ზღვას, როცა რონი და ჰერმიონი მიუახლოვდნენ; გაიფიქრა, ნეტავი ვერ მოეგნოთო. კამათში ჩაბმა არაფრად ეპიტნავებოდა.

– მკვდარია, რონ, გეხვეწები, ნულარ დაიწყებ! – შეევედრა ჰერმიონი.

– ფაქტები ნახე! – რონმა ჰორიზონტზე თვალგაშტერებული ჰარის თავს ზემოთ გადახედა ჰერმიონს, – ვერცხლისფერი ფურირემი, ხმალი, ჰარის სარკეში გამოჩენილი თვალი...

– ჰარი ამბობს, შეიძლება მომელანდაო. არა, ჰარი?

– შეიძლება, – უპასუხა ჰარიმ ისე, რომ არც შეუხედავს.

– ჰო, მაგრამ ხომ არ მოგლანდებია? – ჰკითხა რონმა.

– არა, – მიუგო ჰარიმ.

– აი, ხედავ? – სწრაფად ჩაურთო რონმა, სანამ ჰერმიონი ჰარის კიდევ რამეს ჰკითხავდა, – დამბლდორს რომ არ ეთქვა, დობი საიდან მიხვდებოდა, რომ სარდაფში ვიყავით?

– არ ვიცი... მაგრამ ამიხსენით, როგორ გამოგვიგზავნიდა დობის დამბლდორი, თუ ჰოგვორტსში, საფლავში წევს?

– არ ვიცი. იქნებ მოჩვენებად მოელანდა?

– დამბლოდორი მოჩვენებად არ დაბრუნდებოდა, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ. შეიძლება დამბლდორზე ბევრი რამ არ იცოდა, მაგრამ ამაში ნამდვილად დარწმუნებული იყო, – დამბლდორი გზას განაგრძობდა.

– რა გზას? – გაუკვირდა რონს, მაგრამ სანამ ჰარი კიდევ რაიმეს იტყოდა, ფლერის ხმა მოისმა:

– აღი!

Scanned by CamScanner

ფლერი სახლიდან გამოსულიყო, გრძელი, მოვერცხლისფრო თმა ქარში უფრიალებდა.

– გლიპჰუკს შენტან ლაპაღაკი უნდა. კველაზე პატალა სადზინებელშია. ამბობს, აღ მინდა, ვინმემ მოგვისმინოსო.

ფლერი ისეთი უკმაყოფილო სახით შებრუნდა სახლში, აშკარად ეტყობოდა, არ ესიამოვნა, გობლინმა რომ გამოგზავნა შიკრიკად.

გრიპჰუკი, როგორც ფლერმა უთხრა, სამი საძინებლიდან ყველაზე ციცქნაში ელოდა, იმაში, რომელშიც ჰერმიონი და ლუნა იყვნენ დაბინავებულები. კაშკაშა, ალაგ-ალაგ ღრუბლიან ცას ოთახში ჩამოშვებული წითელი ტილოს ფარდები ფარავდა და ოთახი, დანარჩენი ჰაეროვანი, მსუბუქი სახლისგან განსხვავებით, ცეცხლივით ელვარებდა.

– გადაწყვეტილება მივიღე, ჰარი პოტერ, – აცნობა გობლინმა; ფეხი-ფეხზე გადადებული იჯდა დაბალ სკამზე და სახელურებზე გრძელ და წვრილ თითებს აკაკუნებდა, – მართალია, გრინგოტსის გობლინები ამ საქციელს სულმდაბალ ღალატად ჩამითვლიან, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, დაგეხმაროთ...

– რა კარგია! – ჰარიმ შვება იგრძნო, – გრიპჰუკ, გმადლობთ, დიდი მადლობა...

– ოღონდ, გარკვეულ საფასურად, – შეაწყვეტინა გობლინმა.

ჰარი შეყოყმანდა.

– რამდენი გინდა? ოქრო მაქვს.

– ოქრო არ მინდა, – უთხრა გრიპჰუკმა და შავი თვალები აუელვარდა, – ოქრო მეც მაქვს. ხმალი მინდა, გოდრიკ გრიფინდორის ხმალი.

ჰარის გუნება წაუხდა.

– უკაცრავად, მაგას ვერ დაგითმობთ, – უთხრა გობლინს.

– მაშინ, გაგვიჭირდება შეთანხმება, – არხეინად თქვა გრიპჰუკმა.

– იქნებ სხვა რამე აგელო? – ჩაერთო რონი, – ეჭვი არ მეპარება, ლესტრეინჯებს ათასი რამ ექნებათ და როცა აკლდამაში შევალთ, რაც გინდა, ის აიღე.

ამის თქმით რონმა დიდი შეცდომა დაუშვა – გობლინი ბრაზით აილეწა:

– ქურდი კი არა ვარ, ბიჭო! იმ განძის მითვისებას არ ვაპირებ, რომელზეც უფლება არა მაქვს!

– ხმალი ჩვენია...

– არ არის, – თქვა გობლინმა.

– ჩვენ გრიფინდორელები ვართ, ეს ხმალი კი გოდრიკ გრიფინდორისა იყო...

– გრიფინდორამდე ვიღასი იყო? – იკითხა გობლინმა და წელში გაიმართა.

Scanned by CamScanner

– არავისი, – თქვა რონმა, – თავიდანვე ხომ გრინფინდორს გამოუ-ჭედეს?

– არა! – შეჰყვირა გობლინმა, გაბრაზებული წამოხტა და გრძელი თითი რონს მიაშვირა: – ისევ ჯადოქართა ამპარტავნება! ეს ხმალი რაგნუკ პირველისა იყო და გოდრიკ გრიფინდორმა მოჰპარა! ეს... გობ-ლინთა ხელოვნების ნიმუშია! გობლინებს ეკუთვნით. ამ ხმლის ფასად შეგიძლიათ დამიქირაოთ. გინდ მიიღეთ ჩემი წინადადება, გინდ – არა!

გრიპჰუკი სამივეს ყურადღებით მისჩერებოდა. ჰარიმ რონსა და ჰერმიონს გადახედა, მერე კი გობლინს მიუბრუნდა:

– უნდა მოვილაპარაკოთ, გრიპჰუკ. რამდენიმე წუთს მოგვიცდი?

გობლინმა უკმაყოფილოდ დაუქნია თავი.

ცარიელ სასტუმრო ოთახში ჩავიდნენ. ჰარი ბუხართან მივიდა. შუბლშეჭმუხნილი ცდილობდა მოეფიქრებინა, რა ელონა. რონმა პირველმა იყვირა:

– დაგვცინის! ხმალი როგორ უნდა მივცეთ!

– მართალია? – მიუბრუნდა ჰარი ჰერმიონს, – ხმალი მართლა მოიპარა გრიფინდორმა?

– არ ვიცი. ჯადოქართა ისტორია ხშირად უვლის გვერდს იმას, რაც ჯადოქრებმა სხვა მაგიურ მოდგმას დაუშავეს... არსად შემხვედრია, რომ გრიფინდორმა ხმალი მოიპარა, – ჩამქრალი ხმით მიუგო ჰერ-მიონმა.

– გობლინების გამონაგონია, – დაასკვნა რონმა, – დაუჟინიათ, ჯადოქრები გობლინებს ჩაგრავენო. ალბათ, უნდა გაგვიხარდეს, რომ რომელიმეს ჯოხი არ გვთხოვა.

– გობლინებს მართლაც დიდი მიზეზი აქვთ, რომ ჯადოქრები სძულდეთ. ჯადოქრები მართლა სასტიკად ექცეოდნენ, – თქვა ჰერ-მიონმა.

– არც გობლინები არიან უცოდველები! – ჩაიბუზღუნა რონმა, – რამდენი ჯადოქარი გაჟლიტეს? ისინიც ბინძურად იბრძოდნენ.

– მაგრამ თუ გრიპჰუკს იმაზე დავუწყებთ დავას, ვისი მოდგმა უფრო ვერაგი და მოძალადეა, ჩვენი დახმარება მაინცდამაინც აღარ მოუნდება. ასე არ არის?

სიჩუმე ჩამოვარდა. ცდილობდნენ, გამოსავალი ეპოვათ. ჰარიმ ფანჯრიდან დობის საფლავს გახედა. ლუნა საფლავთან ჩაცუცქუ-ლიყო და ჯემის ქილაში მლაშეცოცხას რგავდა.

– მაშინ, იცი, რა ვქნათ? – რონი ჰარისკენ მიბრუნდა, – გრიპჰუკს ვუთხრათ, სანამ აკლდამაში შევალთ, ხმალი დაგვჭირდება, მერე კი მოგცემთ-თქო. იქ ხომ ყალბი ხმალი დევს? ჰოდა, შევცვალოთ და ყალბი მივცეთ.

Scanned by CamScanner

– კარგი, რა, რონ, ხმლებს ჩვენზე უკეთესად არჩევს! – შეუტია ჰერმიონმა, – მაგის გარდა ვერავინ მიხვდა, რომ ხმლები შეცვლილი იყო.

– ჰო, მაგრამ სანამ მიხვდება, გამოვიქცეთ...

ჰერმიონმა ისეთი თვალებით შეხედა, რომ რონს გული გადაუტრიალდა.

– საზიზღრობაა, – თქვა გოგონამ წყნარად, – ჯერ შველა ვთხოვოთ და მერე მოვატყუოთ? კიდევ გიკვირს, რატომ არ უყვართ გობლინებს ჯადოქრები?

რონს ყურები გაუწითლდა.

– კარგი, კარგი. მაგის გარდა არაფერი მომაფიქრდა! შენ რა გადაწყვიტე?

– რამე სხვა უნდა შევთავაზოთ, ასევე ძვირფასი.

– მშვენიერია, ახლავე წავალ, ჩვენი ბარგიდან გობლინების ნაჭედ რომელიმე ძველისძველ ხმალს ავიღებ და აჩუქე.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი დარწმუნებული იყო, გობლინი ხმლის გარდა გასამრჯელოდ არაფერს აიღებდა, თუნდაც ასეთივე ძვირფასი ნივთი ჰქონოდათ და შეეთავაზებინათ. არადა, ხმალი ერთადერთი იარაღი იყო ჰორკრუქსების წინააღმდეგ.

ორიოდე წამით ჰარიმ თვალები დახუჭა და ზღვის ხმაურს მიუგდო ყური. გონებაში სულ ის უტრიალებდა, რომ გრიფინდორმა შეიძლება ხმალი მოიპარა. ეს ამბავი ძალიან აწუხებდა. ყოველთვის ამაყობდა, რომ გრიფინდორელია; გრიფინდორი მაგლური წარმოშობის ჯადოქართა დამცველი იყო, ერთადერთი ჯადოქარი, ვინც წმინდასისხლიანთა მოყვარე სლიზერინს წინ აღუდგა...

– იქნებ გრიპჰუკი ტყუის, – ჰარიმ თვალები გაახილა, – და გრიფინდორს ის ხმალი არ მოუპარავს? რა ვიცით, რომ მაინცდამაინც გობლინების მონაყოლია მართალი?

– რა მნიშვნელობა აქვს? – კითხვა შეუბრუნა ჰერმიონმა.

– ჩემი განწყობისთვის აქვს, – მიუგო ჰარიმ და ღრმად ამოიოხრა: – მოდი, ვუთხრათ, რომ ხმალს მას შემდეგ მივცემთ, რაც აკლდამაში შეგვიყვანს... მაგრამ შეგვიძლია ვიფრთხილოთ და არ დავაზუსტოთ, როდის მივცემთ.

რონს სახეზე ღიმილი გადაეფინა. ჰერმიონი კი შეშფოთდა:

– ჰარი, აბა, როგორ შეიძლება...

– მიცემით ნამდვილად მივცემთ, – განაგრძო ჰარიმ, – ოღონდ, მას შემდეგ, რაც ყველა ჰორკრუქსს გავანადგურებთ. მერე აუცილებლად მიიღებს. სიტყვას არ გავტეხ.

– ჰო, მაგრამ მაგას რომ წლები დასჭირდეს? – იკითხა ჰერმიონმა.

Scanned by CamScanner

– ვიცი, მაგრამ გრიპჰუკმა ხომ არ იცის! ამიტომ მოტყუება არ გამოგვივა...

ჰარიმ ჰერმიონს გამომწვევად და თან დარცხვენით შეხედა. რატომღაც ნურმენგარდის ჭიშკარზე ამოკვეთილი სიტყვები გაახსენდა – „დიდი სიკეთისათვის". ეს აზრი თავიდან მოიშორა. სხვა რა გზა აქვს?

– არ მომწონს ეს იდეა, – თქვა ჰერმიონმა.

– მაინცდამაინც არც მე, – აღიარა ჰარიმ.

– მე კი გენიალური მგონია, – წამოდგა რონი, – მივიდეთ და ვუთხრათ.

საძინებელში დაბრუნებულმა ჰარიმ სცადა, ისე დაელაგებინა წინადადება, რომ ხმლის გადაცემის დრო არ დაეზუსტებინა. ჰერმიონი მოღუშული ჩაშტერებოდა იატაკს; ჰარის შეეშინდა, ვაითუ რაიმე წამოსცდესო. თუმცა, გრიპჰუკი ჰარის გარდა არავის უყურებდა.

– მაშ, სიტყვას მაძლევთ, ჰარი პოტერ, რომ თუ დაგეხმარებით, გრიფინდორის ხმალს მომცემთ?

– დიახ, – უთხრა ჰარიმ.

– მომეცით ხელი, – გობლინმა ხელი გაუწოდა.

ჰარიმ ჩამოართვა. გაიფიქრა, ამ შავმა თვალებმა ნეტავ ჩემს თვალებში რაიმე ხომ არ წაიკითხესო. ამასობაში გრიპჰუკმა ხელი გაუშვა და ტაში შემოჰკრა:

– კარგი. მაშ, დავიწყოთ.

მუშაობას ყველაზე პატარა, გრიპჰუკის გემოვნებისამებრ ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელში შეუდგნენ.

– ლესტრეინჯების აკლდამაში ერთადერთხელ ვიყავი, როცა ყალბი ხმალი შემანახვინეს, – თქვა გრიპჰუკმა, – ძველთაძველი დარბაზია. ჯადოქართა უძველესი ოჯახები საგანძურს ყველაზე ქვედა სართულზე, ყველაზე დიდ და ყველაზე კარგად დაცულ აკლდამებში ინახავენ...

ჰარი, ჰერმიონი, რონი და გრიპჰუკი საათობით იკეტებოდნენ კარადასავით პაწაწინა ოთახში. დღეები კვირებად გაიწელა. პრობლემა პრობლემას დაემატა, მათ შორის ისიც, რომ მრავალწვნიანი სასმელი შემოაკლდათ.

– მარტო ერთს ეყოფა, – ჰერმიონმა ტალახივით სქელ სასმელს ლამპის შუქზე შეავლო თვალი.

– არა უშავს, – მიუგო გრიპჰუკის მიერ დახატული ყველაზე ბნელი დერეფნების რუკის თვალიერებით გართულმა ჰარიმ.

„ნიუარის" სხვა ბინადრები, რასაკვირველია, ამჩნევდნენ, რომ რაღაც ხდებოდა, ჰარი, რონი და ჰერმიონი მხოლოდ ჭამის დროს

Scanned by CamScanner

გამოჩნდებოდნენ ხოლმე. არავინ არავის არაფერს ეკითხებოდა, თუმცა ჰარი სუფრასთან ხშირად გრძნობდა ბილის შეფიქრიანებულ, შეწუხებულ მზერას.

რაც უფრო მეტ დროს ატარებდნენ ერთად, ჰარი მით უფრო ცხადად აცნობიერებდა, რომ გობლინი თვალში არ მოსდიოდა. გრიპჰუკი სისხლისმსმელი აღმოჩნდა: ამა თუ იმ არსებისათვის ტკივილის მიყენების შესაძლებლობა ამხიარულებდა და ისიც უხაროდა, რომ ლესტრეინჯების აკლდამამდე მისასვლელად შეიძლება სხვა ჯადოქრების დაშავება დასჭირვებოდათ. გრძნობდა, რომ გობლინი არც რონსა და ჰერმიონს ეხატათ გულზე, მაგრამ ამაზე არც ერთი არ იღებდა ხმას. მათ გრიპჰუკი სჭირდებოდათ!

გობლინი უხალისოდ სადილობდა ხოლმე დანარჩენებთან ერთად. ფეხები გაუმთელდა, მაგრამ ისევ საჭმლის ოთახში მიტანას მოითხოვდა. ასეც იქცეოდნენ, სანამ ბილი (ფლერის აჯანყების შემდეგ) ზემოთ არ ავიდა და არ უთხრა, თუ, შეიძლება, ნება იბოძე და ქვემოთ ჩამობრძანდიო. ამის შემდეგ გრიპჰუკი გადაჭედილ სუფრასთან შეუერთდა დანარჩენებს, თუმცა, მათ საკვებს პირს არ აკარებდა და უმ ხორცს, ფესვებსა და ნაირ-ნაირ სოკოს მოითხოვდა.

ჰარი თავს უხერხულად გრძნობდა. ბოლოს და ბოლოს მან დაიჟინა, გობლინი „ნიჟარაში" დარჩესო. ისიც მისი ბრალი იყო, რომ უისლების მთელი ოჯახი იმალებოდა; ბილი, ფრედი, ჯორჯი და ბატონი უისლი კი ვეღარ მუშაობდნენ.

აპრილის ერთ ქარიშხლიან საღამოს, როცა ჰარი ფლერს სადილის კეთებაში ეხმარებოდა, მოუბოდიშა:

– ფლერ, სულაც არ მინდოდა, ამ საქმეში გამერიეთ.

ფლერმა დანას ბიფშტექსის დაჭრა უბრძანა გრიპჰუკისა და ბილისთვის, რომელიც გრეიბექის თავდასხმის შემდეგ სისხლიანი ხორცის ჭამას ამჯობინებდა. თვითონ კი ჰარის მიუბრუნდა და თბილად გაუღიმა:

– აღი, შენ ჰომ გაბღიელი გადამიღჩინე. არ დამვიცკნია.

კაცმა რომ თქვას, ეს მთლად მართალი არ იყო, მაგრამ ჰარიმ გადაწყვიტა, არ გაეხსენებინა, რომ მაშინ – სამი ჯადოქრის ტურნირის დროს, – გაბრიელს ნამდვილი საფრთხე არ ემუქრებოდა.

– ასეა ტუ ისე, – განაგრძო ფლერმა და ჯოხი ღუმელზე შემოდგმულ საწებლიან ქვაბს მიუშვირა, რომელიც მაშინვე ათუხთუდა, – დგეს მუსიე ოლივანდეღი მიუღიელთან გადადის და საკმე გამიადვილდება. გობლინს, – და მის ხსენებაზე ფლერს სახე მოეღუშა, – შეედზლება დაბლა ჩამოვიდეს. შენ, ღონი და დინი იმ ოთახში გადადით.

Scanned by CamScanner

– სასტუმრო ოთახშიც არაფერი გვიშავს, – მიუგო ჰარიმ, რადგან იცოდა, რომ გრიპჰუკი დივანზე ძილს იუკადრისებდა, არადა, მათი გეგმისთვის აუცილებელი იყო, გობლინი კმაყოფილი ჰყოლოდათ, – მაგაზე ნუ დარდობ, – და როცა ფლერმა შეპასუხება დააპირა, განაგრძო, – მე, რონი და ჰერმიონი მალე მოგასვენებთ. აქ დიდხანს აღარ დავრჩებით.

– ღას ამბობ? – შეშფოთდა ფლერი, თან ჯოხით ჰაერში აჩერებდა კერძით სავსე ქვაბს, – სად უნდა წახვიდე, აქ უსაპტხოდ ხაღ!

ამ დროს ფლერი ისე დაემსგავსა ქალბატონ უისლის, რომ ჰარის ძალიან ეამა კარის გაღება და ლუნასა და დინის შემოსვლა. ახალშემოსულებს თმა წვიმაში გალუმპოდათ, ორივე ხელი შეშით ჰქონდათ დატვირთული.

– ...ერთი ბენო ყურები აქვს, – ამბობდა ლუნა, – მამა ამბობს, ცოტათი ბეჰემოთის ყურებს უგავს, ოღონდ იისფერი და ბალნიანიაო. თუ დაუძახებ, სიმღერით უნდა დაუძახო, თანაც ვალსი ურჩევნია; სწრაფი მუსიკა არ უყვარს...

დინმა ჰარის შეხედა, უხერხულად აიჩეჩა მხრები და ლუნას შეჰყვა სასტუმრო ოთახში, რომელიც სასადილოს ფუნქციასაც ასრულებდა. იქ რონი და ჰერმიონი სადილისთვის სუფრას შლიდნენ. ჰარიმ დრო იხელთა, ფლერის შეკითხვებს თავი აარიდა, გოგრის წვენით სავსე ორი ტოლჩა აიღო და დინსა და ლუნას უკან მიჰყვა.

– თუ ოდესმე ჩვენს სახლში მოხვალ, რქაგრეხილი ციკლოპის რქას გაჩვენებ. მამამ მომწერა, ვიყიდეო, მაგრამ ჯერ არ მინახავს, იმიტომ, რომ სიკვდილის მხვრელებმა პირდაპირ ჰოგვორტსის ექსპრესიდან წამიყვანეს და საშობაოდ შინ არ მივსულვარ, – ქაქანებდა ლუნა. ის და დინი ცეცხლს აჩაღებდნენ.

– ლუნა, ხომ გითხარით, რომ რქა აფეთქდა. რქაგრეხილი ციკლოპისა კი არა, ფეთქნადირისა იყო... – გამოსძახა ჰერმიონმა.

– არა, ნამდვილად ციკლოპისა იყო, – მშვიდად თქვა ლუნამ, – მამამ მითხრა. აქამდე, ალბათ, გამთელდებოდა. თვითონ მთელდება.

ჰერმიონმა ხელი ჩაიქნია და ჩანგლების დალაგება განაგრძო. ამ დროს ბილმა ოლივანდერი ჩამოიყვანა კიბეზე. ჯოხების ოსტატი ჯერაც მისუსტებული ჩანდა, ბილს მკლავზე ებღაუჭებოდა, ის კი ეხმარებოდა და თან მისი დიდი ჩემოდანი მოჰქონდა.

– მომენატრებით, ბატონო ოლივანდერ, – ბერიკაცს მიუახლოვდა ლუნა.

– მეც, ჩემო კარგო, – ოლივანდერი მხარზე მოეფერა ლუნას, – ენით ვერ ავწერ, როგორ მამხნევებდი იმ საშინელ ადგილას.

– Au revoir, მუსიე ოლივანდეღ, – ფლერმა ორივე ლოყაზე აკოცა

Scanned by CamScanner

მოხუცს, – ერთი ტხოვნა მაქვს ტქვენტან. შეიზლება, ბილის პაპიდა მიულიელტან ღალაც გაგატანოტ? კოღცილში ღომ დიადემა მატხოვა, აკამდე აღ დამიბღუნებია.

– დიდი სიამოვნებით, – თავი დაუკრა ოლივანდერმა, – ეს უმცირესი სამსახურია, რითაც შემიძლია მადლობა გადაგიხადოთ გულუხვი მასპინძლობისათვის.

ფლერმა ხავერდის გაქუცული კოლოფი გამოიღო, გახსნა და ჯოხების ოსტატს აჩვენა. დიადემა ლამპის შუქზე აციმციმდა და აკიაფდა.

– მთვარის ქვები და ბრილიანტები, – დაიწრიპინა გრიპჰუკმა, ოთახში ყველასგან შეუმჩნევლად შემოპარულიყო, – გობლინების ნახელავია, არა?

– და ჯადოქრების ნაყიდი, – წყნარად თქვა ბილმა; გობლინმა ეშმაკური და გამომწვევი მზერა ესროლა.

ბილი და ოლივანდერი ღამეში გაუჩინარდნენ, დანარჩენები კი მაგიდასთან მიიკუნჭნენ და სივიწროვისგან ლამის გაშეშებულებმა დაიწყეს ჭამა. ბუხარში ცეცხლი ტკაცუნებდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ფლერი თითქმის არ ჭამდა და წარამარა ფანჯარაში იხედებოდა; ეტყობა, ღელავდა. თუმცა, ბილი მანამ დაბრუნდა, სანამ პირველ კერძს დაამთავრებდნენ.

– ყველაფერი მშვენივრადაა, ოლივანდერი დავაბინავე, დედა და მამა მოკითხვას გითვლიან. ჯინიმ დამაბარა, ყველანი მიყვარხართო. მიურიელი ფრედმა და ჯორჯმა სულ გააგიჟეს: მისი უკანა ოთახიდან ბუს ფოსტით კლიენტებს შეკვეთებს უგზავნიან. დიადემამ ცოტა გაახალისა. მითხრა, მეგონა მომპარეთო.

– აჰ, ღოგოღი ლაპაღაკი იცის პაპიდაშენმა, – ბრაზით შენიშნა ფლერმა, ჯოხი გაიქნია და თეფშები ჰაერში სვეტივით ააკოკოლავა. მერე აიტაცა მთელი სვეტი და ოთახიდან დემონსტრაციულად თავაწეული გავიდა.

– დიადემა მამაჩემმაც გააკეთა, – დაიჟღურტულა ლუნამ, – უფრო სწორად, გვირგვინი.

რონმა ჩაიცინა და ჰარის გახედა; ჰარი მიხვდა, რომ რონს ქსენოფილიუსთან სტუმრობისას ნანახი სასაცილო თავსაბურავი გაახსენდა.

– ჰო, ცდილობს, რეივენქლოს დაკარგული დიადემა აღადგინოს. მთავარი ელემენტები უკვე ამოიცნო. ბუზჟუვილას ფრთებიც დაუმატა და ახლა სულ სხვაა...

უცებ შემოსასვლელ კარზე დააბრახუნეს. ყველამ მიიხედა. შეშინებული ფლერი სირბილით გამოიჭრა სამზარეულოდან; ბილი წამოხტა და ჯოხი კარს დაუმიზნა; ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმაც მას მიჰბაძეს. გრიპჰუკი ჩუმად ჩასრიალდა მაგიდის ქვეშ.

Scanned by CamScanner

– ვინ არის? – დაიძახა ბილმა.

– მე ვარ, რემუს ჯონ ლუპინი, – გაისმა ქარის ღრიალში. ჰარი შიშმა აიტანა, ნეტავ რა მოხდაო. – მაქცია, ნიმფადორა ტონ-ქსის ქმარი. შენ, „ნიჟარის" მესაიდუმლემ მითხარი მისამართი და შემომთავაზე, როცა დაგჭირდეს, მოდიო!

– ლუპინ, – წაიბუტბუტა ბილმა, კარისკენ გაიქცა და სწრაფად გამოაღო. ლუპინმა თავი ვერ შეიმაგრა და ჰოლში შემოვარდა. გაფითრებული იყო. სამგზავრო მოსასხამში გახვეულს შეჭაღარავებული თმა გასწენოდა. მაშინვე წელში გასწორდა, ოთახს თვალი მოავლო, რათა დარწმუნებულიყო, რომ უცხო არავინ იყო და მთელი ხმით იყვირა:

– ბიჭია! ტედი დავარქვით, დორას მამის სახელი!

ჰერმიონმა შეჰკივლა:

– ტონქსს შვილი ეყოლა?

– ჰო! – ისევ იყვირა ლუპინმა. სუფრაზე აღტაცებული ჟივილ-ხივილი ატყდა. ჰერმიონმა და ფლერმა ტაში შემოჰკრეს: – მოგვილო-ცავს! რონმა კი ისეთი სახით წამოიძახა, ვა, ბიჭიაო, თითქოს ასეთი საკვირველება თავის დღეში არ სმენოდა.

– ჰო... ჰო... ბიჭი, – გაიმეორა საკუთარი ბედნიერებით გაოგ-ნებულმა და დაბნეულმა ლუპინმა, მერე მაგიდას შემოუარა და ჰარის გადაეხვია.

– მონათლავ? – ჰკითხა ჰარის, როცა ხელი გაუშვა.

– მმ... მეე? – ენა დაება ჰარის.

– ჰო, შენ, მაშ, როგორ!.. დორაც თანახმაა... შენზე უკეთესი...

– მე... ჰო... უჰ...

ჰარი გაოგნებული, განცვიფრებული და უზომოდ გახარებული იყო. ბილი ღვინის მოსატანად გაიქცა, ფლერმა კი ლუპინს დაუწყო ხვეწნა, დარჩი, აღვნიშნოთო.

– დიდხანს ვერ დავრჩები, უნდა დავბრუნდე, – ლუპინმა ყველას გაბრწყინებულმა შეხედა. ასეთი გახარებული ჰარის არასოდეს ენახა. თითქოს გაახალგაზრდავებულიყო, – გმადლობ, გმადლობ, ბილ!

ბილმა ყველას ჭიქები შეუვსო, წამოდგნენ და ასწიეს:

– ტედ რემუს ლუპინს გაუმარჯოს, – თქვა ლუპინმა, – მომავალ დიდ ჯადოქარს!

– ვის ჰგავს? – დაინტერესდა ფლერი.

– მე მგონი, დორას. დორა კი მე მამსგავსებს. ორი ღერი თმა აქვს. როცა დაიბადა, თითქოს შავი ჰქონდა, მაგრამ გეფიცებით, ერთ საათში გაუწითლდა. როცა დავბრუნდები, ალბათ, ქერა დამხვდება. ანდრომედა ამბობს, ტონქსის თმამ დაბადების დღიდანვე დაიწყო

Scanned by CamScanner

ფერის ცვლაო, – ლუპინმა ჭიქა გამოცალა, – ჰო, კარგი, ერთიც, – დაუმატა ღიმილით, როცა ბილმა ისევ შეუვსო.

ქარი პატარა სახლს ეხლებოდა, ცეცხლი თამაშობდა და ტკაცუნობდა. ბილმა მალე მეორე ბოთლი გახსნა. ლუპინის ახალმა ამბავმა თითქოს ყველას დაავიწყა საფიქრალი და ცოტა ხნით დაძაბული მდგომარეობიდან გამოიყვანა. მხოლოდ გობლინს არ შეჰხებია უცაბედი საზეიმო ატმოსფერო და ცოტა ხანში ისევ თავის საძინებელ ოთახში აიპარა. ჰარის ეგონა, ჩემს მეტს ეს არავის შეუმჩნევიაო, მაგრამ დაინახა, რომ ბილი კიბეზე ამავალ გობლინს თვალით მიაცილებდა.

– არა... არა... ახლა მართლა ჩემი წასვლის დროა, – ლუპინმა მორიგ ჭიქაზე ამჯერად უარი თქვა. ადგა და სამგზავრო მოსასხამი შემოიხვია.

– კარგად იყავით. ვეცდები, ერთ-ორ დღეში სურათები მოგიტანოთ. ძალიან გაუხარდებათ, რომ გნახეთ...

ლუპინმა მოსასხამი შეიკრა, ყველას დაემშვიდობა, ქალებს გადაეხვია, კაცებს ხელი ჩამოართვა, მერე კი, სახეგაბრწყინებული შებრუნდა და ქარიშხლიან ღამეში გაქრა.

– ნათლია ხარ, ჰარი, – მიუბრუნდა ბილი ჰარის, როცა ფლერს სუფრის ალაგებაში ეხმარებოდნენ, – რა დაფასებაა. გილოცავ!

ჰარიმ ოთახიდან შემოტანილი ცარიელი ჭიქები სამზარეულოს მაგიდაზე დააწყო და უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ბილმა კარი მიხურა და ოთახიდან შემომავალი ხმაური დაახშო.

– ცალკე მინდოდა დაგლაპარაკებოდი, ჰარი. აქ იმდენი ხალხია, კაცი იოლად ვერ მოგიგდებს ხელში.

ბილი ყოყმანობდა.

– ვხვდები, რომ რაღაცას გეგმავთ გრიპჰუკთან ერთად.

ეს მტკიცება იყო და არა შეკითხვა. ჰარიმაც აღარ იუარა. უბრალოდ, უყურებდა ბილს და ელოდა, კიდევ რას ეტყოდა.

– გობლინებს კარგად ვიცნობ, – განაგრძო ბილმა, – რაც ჰოგვორტსი დავამთავრე, სულ გობლინებთან ვმუშაობ და რამდენადაც ჯადოქრებისა და გობლინების მეგობრობა შეიძლება, გობლინი მეგობრებიც მყავს... ყოველ შემთხვევაში, ისეთი გობლინები, რომლებსაც კარგად ვიცნობ და მომწონს, – ბილი ისევ შეყოყმანდა, – მითხარი, ჰარი, რა გინდა გრიპჰუკისგან და სამაგიეროდ რას შეჰპირდი?

– ვერ გეტყვი, – უთხრა ჰარიმ, – მაპატიე, ბილ.

მათ უკან სამზარეულოს კარი გაიღო და ფლერი გამოჩნდა.

– დაიცადე, ფლერ, – გასძახა ბილმა, – ერთი წუთით.

ფლერი გავიდა და ბილმა ისევ მიხურა კარი.

– აი, რას გეტყვი, – ისევ განაგრძო ბილმა, – თუ გრიპჰუკთან რაიმე გარიგება დადე და, მით უმეტეს, თუ ეს გარიგება რაიმე განძს

Scanned by CamScanner

ეხება, დიდი სიფრთხილე გმართებს. გობლინებს ჩვენსავით როდი ესმით საკუთრება და საფასურის ანაზღაურება.

ჰარის შეაჟრიალა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა.

– იმას, რომ სხვადასხვა მოდგმა ვართ, – თქვა ბილმა, – ჯადოქრებსა და გობლინებს უთვალავი გარიგება დაუდიათ საუკუნეების განმავლობაში... მაგიის ისტორიიდანაც გეცოდინება. შეცდომები ორივე მხარემ დაუშვა. ჯადოქრები უცოდველები კი არ არიან! თუმცა, ზოგ გობლინს, ყველაზე მეტად კი გრინგოტსის გობლინებს, სწამთ, რომ როცა საქმე განძს ეხება, ჯადოქრების ნდობა არ შეიძლება და რომ ჯადოქრები არანაირ პატივს არ სცემენ გობლინთა საკუთრებას.

– მე პატივს ვცემ... – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ ბილმა თავი გააქნია.

– შენ არ გესმის, ჰარი. ვერც ვერავინ გაიგებს, თუ გობლინებთან არ უცხოვრია. გობლინისთვის ნივთის კანონიერი და ნამდვილი პატრონი მისი გამკეთებელია და არა მყიდველი. გობლინების აზრით, გობლინთა ნაკეთები ყველა ნივთი კანონიერად მათ ეკუთვნით.

– მაგრამ თუ გაყიდეს...

– ასეთ შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ ფულის გადამხდელმა ნივთი იქირავა და მისი სიკვდილის შემდეგ ეს ნივთი გამკეთებელს უნდა დაუბრუნდეს. ამიტომაც უჭირთ იმის გაგება, თუ რატომ უნდა გადაეცეს გობლინის ნაკეთები ნივთი ჯადოქრიდან ჯადოქარს. ხომ დაინახე გრიპჰუკის სახე, როცა მის თვალწინ დიადემა ხელიდან ხელში გადავიდა. ეს ამბავი არ მოეწონა. გობლინთა ნაკეთები ნივთის შენარჩუნებას, ფასის ხელახლა გადახდის გარეშე ერთი ჯადოქრიდან მეორის საკუთრებაში გადასვლას, ლამის ქურდობად თვლიან.

ჰარის გუნება გაუფუჭდა; იფიქრა, ნეტავი ბილი იმაზე მეტს ხომ არ მიხვდა, ვიდრე ამბობსო.

– მე მარტო იმას გეუბნები, – ბილმა სასტუმრო ოთახში შემავალ კარს ხელი მიადო, – რომ სიფრთხილე გმართებს, როცა გობლინებს რამეს ჰპირდები, ჰარი. გრინგოტსის გასაძარცვად შესვლა ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე გობლინისთვის მიცემული პირობის გატეხა.

– გასაგებია, – უთხრა ჰარიმ და ბილმაც კარი გააღო, – გმადლობ. გავითვალისწინებ.

ჰარი და ბილი სასტუმრო ოთახში გავიდნენ, სადაც დანარჩენები ლუპინის წასვლის შემდეგაც განაგრძობდნენ ქეიფსა და მხიარულებას. ჰარის ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები მოეძალა, რაც ღვინის ბრალი სულაც არ იყო. თავში იმანაც გაუელვა, ალბათ, ისეთივე ქარაფშუტა ნათლია ვიქნები ტედ ლუპინისთვის, როგორიც სირიუსი იყო ჩემთვისო.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეექვსე

გრინგოტსი

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გრიპჰუკთან ერთად გეგმა დააწყვეს და მზადებაც დაასრულეს; ყველაზე პატარა საძინებელში, ბუხრის თავზე, მინის პატარა ფიალაში ერთადერთი გრძელი, უხეში, ხვეული შავი თმის ღერი იდო. თმა იმ სვიტერიდან ამოაძვრეს, რომელიც ჰერმიონს მალფოების მამულში ეცვა.

– და მისი ნამდვილი ჯოხიც შენ გექნება, – ჰარიმ კაკლის ხის ჯოხზე ანიშნა, – მე მგონი, ძალიან დამაჯერებლად გამოგვივა.

ჰერმიონმა შიშით მიიხედა ჯოხისკენ, თითქოს რომ აიღოს, უკბენსო.

– მეჯავრება, – თქვა დაბალი ხმით, – მძულს. ცუდად მიჭირავს, კარგად ვერ ვიმორჩილებ... თითქოს მისი ნაწილიაო.

ჰარის ძალაუნებურად გაახსენდა, როგორ არაფრად აგდებდა ჰერმიონი მის ზიზღს კვრინჩხის ჯოხისადმი. როცა ჰარი ამბობდა, ჯოხი ისე კარგად ვერ მოქმედებს, როგორც ჩემი საკუთარიო, აჩემებული ჰქონდა, იგონებო და ურჩევდა, ივარჯიშე და გამოგივაო. თუმცა, ახლა ჰარიმ გადაწყვიტა, ჰერმიონის რჩევა მისთვისვე არ დაებრუნებინა, რადგან გრინგოტსში შეჭრის წინადღეს ჰერმიონის გამწარება არ ღირდა.

– იქნებ უფრო კარგად დაემსგავსო, თუკი გაიხსენებ, რაც მაგ ჯოხმა ჩაიდინა, – უთხრა რონმა.

– საქმეც ეგ არის, – ამოიოხრა ჰერმიონმა, – ეს ის ჯოხია, რომელმაც ნევილის დედ-მამა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხალხი აწამა... სირიუსი მოკლა!

ჰარის ამაზე არ უფიქრია: ჯოხს დახედა და მხეცურმა სურვილმა მოუარა, იქვე, კედელზე მიყუდებული გრიფინდორის ხმლით დაეჩეხა.

– ჩემი ჯოხი მენატრება, – დაიწუწუნა ჰერმიონმა, – ნეტავ ბატონ ოლივანდერს ჩემთვისაც გაეკეთებინა ახალი.

Scanned by CamScanner

ბატონმა ოლივანდერმა იმ დილით ლუნას ახალი ჯოხი გამოუგზავნა. ახლა ლუნა სახლის უკან, საღამოს მზით განათებულ მდელოზე ჯოხის შესაძლებლობებს ცდიდა. დინი, რომლისთვისაც ტაციებს წაერთმიათ ჯოხი, გვერდზე იდგა და მოწყენილი უყურებდა.

ჰარიმ დრაკო მალფოის კუთვნილ კუნელის ჯოხს დახედა და მალე გაკვირვებით, მაგრამ სიამოვნებით აღმოაჩინა, რომ ამ ჯოხს, თუ უკეთესად არა, ისევე კარგად მაინც იყენებდა, როგორც ჰერმიონისას. გაახსენდა, რაც ოლივანდერმა უთხრა ჯოხების იდუმალ მოქმედებაზე და მიხვდა, რა გასაჭირიც ადგა ჰერმიონს: კაკლის ხის ჯოხი პირადად ბელატრისასთვის არ წაურთმევია და ამიტომაც არ ემორჩილებოდა.

საძინებელი ოთახის კარი გაიღო და გრიპჰუკი შემოვიდა. ჰარი უნებურად წასწვდა ხმლის ვადას და თავისკენ მისწია, მაგრამ მაშინვე ინანა, რადგან შეამჩნია, რომ გობლინი უხერხულად შეიშმუშნა. ჰარიმ ამ უსიამოვნო მომენტის გასამართლებლად უთხრა:

– ყველაფერს საბოლოოდ ვამოწმებდით, გრიპჰუკ. ბილსა და ფლერს ვუთხარით, რომ ხვალ მივდივართ და ვთხოვე, გასაცილებლად ნუ ადგებით-მეთქი.

ჰერმიონს წასვლამდე ბელატრისას გარეგნობა უნდა მიეღო და ამიტომაც გადაწყვიტეს, წასვლისას არავის დანახვებოდნენ. რაც ნაკლებს გაიგებდნენ ბილი და ფლერი, მით უკეთესი. ისიც უთხრეს, აღარ დავბრუნდებითო. რაკი იმ ღამეს, როცა ტაციებმა დაიჭირეს, ძველი კარავი დაკარგეს, ბილმა სხვა კარავი ათხოვა. ის ახლა მძივებიან ჩანთაში იყო დაბინავებული. თურმე ჰერმიონმა ჩანთა ტაციებისგან იმით დაიცვა, რომ მოხერხებულად ჩაიტენა წინდაში, რამაც ჰარიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მართალია, ბილი, ფლერი, ლუნა და დინი მოენატრებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ კომფორტზე, რომელიც ბოლო კვირეების განმავლობაში არ მოჰკლებიათ, მაგრამ ჰარის უკვე ერთი სული ჰქონდა, „ნიჟარას“ დამშვიდობებოდა. მობეზრდა ამდენი სიფრთხილე, ჩვენი ლაპარაკი არავინ გაიგონოსო, მობეზრდა პატარა, ბნელ საძინებელში გამოკეტვაც, ყველაზე მეტად კი გრიპჰუკთან დაშორება უნდოდა. თუმცა, როგორ და როდის დაშორდებოდნენ გობლინს გრიფინდორის ხმლის მიცემის გარეშე, ჯერაც ვერ მოილაპარაკეს. ვერა და ვერ გადაწყვიტეს, როგორ მოეხერხებინათ ეს, რადგან გობლინი ხუთ წუთზე მეტხანს იშვიათად ტოვებდა სამივეს მარტოებს.

– დედაჩემს ჯიბეში ჩაისვამს, – ბუზღუნებდა რონი.

ბილის გაფრთხილების შემდეგ ჰარი სულ ეჭვობდა, რომ გრიპჰუკი მათ მოტყუებას აპირებდა. ჰერმიონი ისე სულითა და

Scanned by CamScanner

გულით იწუნებდა გობლინის გაცურების გეგმას, რომ ჰარი აღარც ცდილობდა მასთან მოლაპარაკებას. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა გრიპჰუკის გარეშე რჩებოდნენ, რონი მხოლოდ იმას იმეორებდა, გავიტაცოთ ხმალი და გავიქცეთო, – ამაზე უკეთესი ვერაფერი მოესაზრებინა.

გამგზავრების წინაღამით ჰარის ცუდად ეძინა. მაგიის სამინისტროში შეპარვისთვის მზადება და მაშინდელი სიმტკიცე და თითქმის სასიამოვნო მღელვარება გაახსენდა. ახლა კი უსიამოვნო გრძნობა აწუხებდა და გულის გამაწვრილებელი ეჭვები არ ასვენებდა: სულ ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა. თავს იმხნევებდა, კარგი გეგმა გვაქვს, გრიპჰუკმა იცის, რაც გველის და სავარაუდო სიძნელეებისთვისაც კარგად მოვემზადეთო, მაგრამ მაინც ვერ მშვიდდებოდა. ერთი-ორჯერ რონი შეიშმუშნა. ჰარი დარწმუნებული იყო, მასაც არ ეძინა, მაგრამ სასტუმრო ოთახში დინთან ერთად იწვნენ, ამიტომ არ დალაპარაკებია.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა ექვსი საათი გახდა. ის და რონი საძილე ტომრებიდან გამოძვრნენ, უხმაუროდ ჩაიცვეს და ბაღში გაიპარნენ, სადაც ჰერმიონსა და გრიპჰუკს უნდა შეხვედროდნენ. მაისის ცივი განთიადი იყო, მაგრამ ქარი ჩამდგარიყო. ჰარიმ ბნელ ცაში ჯერაც მბჟუტავ ვარსკვლავებს ახედა და ზღვის ხმაურს მიუგდო ყური. იცოდა, რომ ეს ხმა მოენატრებოდა.

დობის საფლავზე მწვანე ყლორტები ამოწვერილიყო; ერთ წელიწადში ბორცვი ყვავილებით დაიფარებოდა. თეთრი ქვა, რომელზეც ელფის სახელი ეწერა, უკვე გამოფიტულს დამსგავსებოდა. ჰარი უცებ მიხვდა, რომ დობის დასაკრძალავად ამაზე ლამაზ ადგილს ძნელად თუ იპოვიდნენ. მაინც სევდა შემოაწვა, რომ ელფი აქ უნდა დაეტოვებინათ. საფლავს დახედა და კიდევ გაიფიქრა, ნეტავი როგორ მიხვდა დობი, სად უნდა მოსულიყო ჩვენს გადასარჩენადო. თითები დაბნეულად შეავლო კისერზე ჩამოკიდებულ პატარა ქისას და სარკის უსწორმასწორო ნატეხი მოსინჯა, რომელშიც, დარწმუნებული იყო, დამბლდორის თვალი დაინახა. ამ დროს კარის გაღების ხმა გაიგონა და მიიხედა.

მდელოზე ბელატრისა ლესტრეინჯი მოაბიჯებდა, ტანზე გრიმოს მოედნიდან წამოღებული ძველი მანტია შემოეხვია.გვერდით გრიპჰუკი მოჰყვებოდა. მართალია, ჰარიმ მშვენივრად იცოდა, რომ ჰერმიონი იყო, მაგრამ მაინც ზიზღით გააჟრჟოლა. ქალი ჰარიზე მაღალი იყო; გრძელი, შავი თმა ზურგზე ჩამოშლოდა. მძიმექუთუთოებიანი თვალებით სიძულვილს ასხივებდა.

– საშინელი გემო ჰქონდა, გურდის ფესვზე უარესი! – ჰერმი-

Scanned by CamScanner

ონმა ზიზღით ტუშები მოპრუწა და თან მძივებიანი ჩანთა მანტიაში შემალა, – აბა, რონ, მოდი...

– ისა... წვერს ძალიან ნუ ჩამომიგრძელებ...

– კარგი, რა, სილამაზისთვის ხომ არ გიკეთებ!

– ჰო, მაგრამ ხელს შემიშლის! სამაგიეროდ, ცხვირი უფრო მოკლე მირჩევნია.

ჰერმიონმა ამოიოხრა და საქმეს შეუდგა: ბუტბუტებდა და რონს თანდათან გარეგნობას უცვლიდა. სრულიად არარსებული ადამიანისთვის უნდა დაემსგავსებინა. ჰარი და გრიპჰუკი კი უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ უნდა დამალულიყვნენ.

– მორჩა, – თქვა ჰერმიონმა, – როგორია, ჰარი?

რონი ისე შეიცვალა, საკუთარი დედაც კი ვერ იცნობდა: გრძელი და დატალღული თმა ჰქონდა, სქელი, წაბლისფერი წვერ-ულვაში, ჭორფლი არ ეყარა, მოკლე, ფართო ცხვირი და სქელი ნარბები ამშვენებდა.

– ჩემი გემოვნებისა არ არის, მაგრამ გამოდგება, – უპასუხა ჰარიმ, – ნავიდეთ?

გაფერმკრთალებული ვარსკვლავების შუქზე „ნიჟარის“ ბნელ სილუეტს გახედეს, მერე მიტრიალდნენ და კედლის გადაღმა, იმ ადგილისკენ გაეშურნენ, სადაც ფიდელიუსის შელოცვა აღარ მოქმედებდა და აპარაციის გამოყენებას მოახერხებდნენ. როგორც კი ჭიშკარს გასცდნენ, გრიპჰუკმა თქვა:

– ჰარი პოტერ, ზურგზე ამიკიდებთ, ხომ?

ჰარი დაიხარა და გობლინი ზურგზე ააცოცდა, ხელები შემოხვია და ყელთან ერთმანეთს გადააჭდო. მძიმე არ იყო, მაგრამ ჰარის არ სიამოვნებდა მისი შეხება. თანაც, გრიპჰუკი გასაკვირი ძალით ებღაუჭებოდა, გეგონებოდა, მოხრჩობას უპირებსო. ჰერმიონმა მძივებიანი ჩანთიდან უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო და ორივეს გადააფარა.

– მშვენიერია, – ჰერმიონი დაიხარა და ჰარის ფეხები შეამოწმა, – არაფერიც არ ჩანს. წავედით.

ზურგზე გრიპჰუკმოკიდებული ჰარი ადგილზე დატრიალდა და მთელი ძალით დაიწყო ფიქრი მრუდე ქუჩის შესასვლელში მდგარ სასტუმროზე, „გახვრეტილ კარდალაზე“. სულის შემხუთავ სიბნელეში გობლინი კიდევ უფრო მაგრად მოეჭიდა. რამდენიმე წამში ჰარიმ ფეხებით ქვაფენილი შეიგრძნო და ჩარინგ-კროს-როუდზე გაახილა თვალი. ამ დილაადრიან მაგლები აქეთ-იქით მიიჩქაროდნენ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ იქვე პატარა სასტუმრო იდგა.

„გახვრეტილი კარდალას“ ბარი თითქმის ცარიელი იყო. სასტუმ-

Scanned by CamScanner

როს პატრონი, წელში მოხრილი და უკბილო ტომი, დახლის უკან ჭიქებს წმენდდა; შორეულ კუთხეში მოჩურჩულე ორმა კუდიანმა ჰერმიონს გამოხედა და მაშინვე ჩრდილში შეიყუჟა.

– დილა მშვიდობისა, მადამ ლესტრეინჯ, – ჩაიბუტბუტა ტომმა და როცა ჰერმიონი შეჩერდა, თავი მლიქვნელურად დაუკრა.

– დილა მშვიდობისა, – მიუგო ჰერმიონმა. მოსასხამქვეშ კვლავაც გრიპჰუკმოკიდებულმა ჰარიმ შეამჩნია, რომ ტომმა გაკვირვებულმა შეხედა ჰერმიონს.

– ზრდილობიანად გამოგივიდა, – სასტუმროდან უკანა ეზოში გასვლისას ყურში ჩასჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს, – ყველას ისე უნდა ელაპარაკო, როგორც არარაობას!

– კარგი, გავიგე.

ჰერმიონმა ბელატრისას ჯოხი ამოიღო და მათ წინ აღმართულ უსახურ კედელს მიუკაკუნა. აგურები მაშინვე ამოძრავდა, გაიწ-გამოიწია და შუაგულში ხვრელი გაჩნდა, თანდათან გაფართოვდა და თაღოვან გასასვლელად გადაიქცა. თაღი ვიწრო, მოკირწყლულ მრუდე ქუჩაზე გადიოდა.

ქუჩაზე სიწყნარე სუფევდა, მაღაზიებს ის-ის იყო, აღებდნენ და მყიდველებიც ჯერჯერობით არ ჩანდნენ. მიხვეულ-მოხვეული, მოკირწყლული ქუჩა ძალიან შეცვლილიყო მას მერე, რაც ჰარი პირველად იყო აქ ჰოგვორტსში სწავლის დაწყებამდე. უფრო მეტი მაღაზია აეჭედათ, სამაგიეროდ, ჰარის ბოლო ვიზიტის შემდეგ შავი მაგიისადმი მიძღვნილი რამდენიმე ახალი დაწესებულება გაეხსნათ. ვიტრინებზე მიკრული პლაკატებიდან ჰარის თავისი სახე უყურებდა. ყველას ეწერა: „არასასურველი პიროვნება №1“.

მაღაზიების შესასვლელებთან დაკონკილი ადამიანები ისხდნენ და გამვლელებს ოქროს სთხოვდნენ, თან არწმუნებდნენ, ნამდვილად ჯადოქრები ვართო. ერთ კაცს თვალზე სისხლიანი სახვევი ედო.

ქუჩას რომ გაუყვნენ, მათხოვრებმა ჰერმიონს მოჰკრეს თვალი და თითქოს მის წინ აორთქლდნენ – კაპიუშონები სახეზე ჩამოიფხატეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიქცნენ. ჰერმიონი ინტერესით ადევნებდა თვალს, მაგრამ ამ დროს გასისხლიანებულსახვევიანმა კაცმა ბარბაცით გადაუჭრა გზა.

– ჩემი შვილები, – ხელი ჰერმიონისკენ გაიშვირა და მაღალი, გაბზარული ხმით გონზე გადასულივით იღრიალა, – სად არიან ჩემი შვილები? რა უქნა ჩემს შვილებს? შენ ხომ იცი, იცი!

– მე... მე... – ენა დაება ჰერმიონს.

კაცი ყელში სწვდა. გაისმა ბრაგუნი, იფეთქა წითელმა შუქმა და კაცი უგონოდ დავარდა მიწაზე – რონმა გათიშა. ჯოხი ჯერაც

Scanned by CamScanner

განწდილი ეჭირა და შეშფოთებული სახე ჰქონდა. მოპირდაპირე მაღაზიის ვიტრინებიდან ვიღაცეებმა გამოიხედეს. ქუჩაში მიმავალმა ჯადოქრებმა მანტიები შემოიხვიეს და ცუხცუხით გაიფანტნენ.

მრუდე ქუჩაზე ამაზე უფრო თვალშისაცემად ვერ შევიდოდნენ. ჰარიმ წამით ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ჯობია, გავბრუნდეთ და სხვა გეგმა მოვიფიქროთო. თუმცა, სანამ ერთმანეთს მოეთათბირებოდნენ, უკნიდან შემოესმათ:

– მადამ ლესტრეინჯ!

ჰარი შეტრიალდა და გრიპჰუკმა უფრო მაგრად შემოაჭდო ხელები. მათკენ მაღალი, გამხდარი, გრძელი და წვეტიანი ცხვირის მქონე ჯადოქარი მოაბიჯებდა, სქელი, ჭაღარა თმა გვირგვინივით ედგა თავზე.

– ტრავერსია, – ყურში ჩასსისინა გობლინმა ჰარის, მაგრამ ჰარი უცებ ვერ მიხვდა, ვინ იყო ტრავერსი. ჰერმიონი გაიმართა და რაც შეეძლო ზიზღით მიმართა:

– რა გინდა?

ტრავერსს შეეტყო, რომ ეწყინა.

– ესეც სიკვდილის მხვრელია, – უთხრა გრიპჰუკმა; ჰარი ჰერმიონთან მიიპარა და გობლინის ნათქვამი ყურში ჩასჩურჩულა.

– მოგესალმე, სხვა არაფერი, – ცივად უთხრა ტრავერსმა, – მაგრამ თუ ჩემი აქ ყოფნა არ გსიამოვნებს...

ჰარის ახლა კი ეცნო მისი ხმა. ტრავერსი ერთ-ერთი იყო იმ ორი სიკვდილის მხვრელიდან, რომლებიც ქსენოფილიუსის სახლში გამოგზავნეს.

– არა, არა, რას ამბობ, ტრავერს, – სწრაფად სცადა შეცდომის გამოსწორება ჰერმიონმა, – როგორა ხარ?

– მართალი გითხრა, გამიკვირდა, ქუჩაში რომ გნახე, ბელატრისა.

– მართლა? რატომ?

– რატომ და... – ტრავერსმა ჩაახველა, – ყური მოვკარი, მალფოების მამულის ბინადრები შინაპატიმრობაში არიანო... მმ.... გაქცევის შემდეგ.

ჰარი მღელვარებამ შეიპყრო. თუ ეს ამბავი მართალი იყო, ბელატრისა ხალხში არ უნდა ენახათ...

– ბნელი ბატონი მუდამ მიუტევებს მათ, ვინც წარსულში ერთგულად ემსახურებოდა, – ჰერმიონმა ჩინებულად მიჰბაძა ბელატრისას ამპარტავნულ ტონს, – ალბათ, შენ ჩემსავით არ გაფასებს, ტრავერს.

სიკვდილის მხვრელმა ისეთი სახე მიიღო, ეტყობა დაიჯერა. მერე იმ კაცს დახედა, რომელიც რონმა, ის იყო, გათიშა.

– რა უნდოდა?

Scanned by CamScanner

– რა მნიშვნელობა აქვს. ამის შემდეგ ველარაფერს გაბედავს, – ცივად თქვა ჰერმიონმა.

– ეს უჯოხოები ზოგჯერ ხელს გვიშლიან, – აღნიშნა ტრავერსმა, – სანამ არაფერს აკეთებენ და მათხოვრობენ, კიდევ არაფერი, მაგრამ წინაკვირას ერთმა სასამართლოში შუამდგომლობა მთხოვა. „ჯადოქარი ვარ, ბატონო, ჯადოქარი, ნება მომეცით, დაგიმტკიცოთ," – მიჰბაძა წრიპინით, – და თუ ჯოხს მივცემდი... ჰო, მართლა, ახლა ვისი ჯოხი გაქვს, ბელატრისა? – ჰკითხა ინტერესით, – მითხრეს, რომ შენი ჯოხი...

– ჩემი ჯოხი მაქვს, – ცივად გააწყვეტინა ჰერმიონმა და ხელში ბელატრისას ჯოხი შეათამაშა, – არ ვიცი, რა ჭორები გაიგე, ტრავერს, მაგრამ ვილაცას მწარედ მოუტყუებიხარ.

ტრავერსი ცოტა შეცბა და, დაბნეულობა რომ დაეფარა, რონზე ჰკითხა:

– შენი მეგობარი ვინ არის? ვერ ვიცანი.

– დრაგომირ დესპარდია, – წარუდგინა ჰერმიონმა არარსებული უცხოელი, – ბნელი ბატონის იდეებს იზიარებს. ტრანსილვანიიდან ჩამოვიდა და ინგლისურად კარგად ვერ ლაპარაკობს.

– მართლა? გამარჯობა, დრაგომირ.

– გამარჯობა, – ხელი გაუწოდა რონმა.

ტრავერსმა ორი თითით ჩამოართვა ხელი, თითქოს ეშინია, არ დაისვაროსო და მერე ისევ ჰერმიონს მიუბრუნდა:

– ამ დილაადრიან შენ და შენი... მხარდამჭერი მეგობარი მრუდე ქუჩაზე რამ მოგიყვანათ?

– გრინგოტსში ვარ მისასვლელი, – უპასუხა ჰერმიონმა.

– ეჰ, მეც, – თქვა ტრავერსმა, – ოჰ, ეს ბინძური ოქრო! უმაგისოდ არაფერი გამოდის. ამიტომ იძულებული ვხდები, ჩვენს გრძელთითება მეგობრებს ხშირად შევხვდე. რა საშინელებაა!

ჰარიმ იგრძნო, რომ გრიპჰუკმა ყელზე უფრო მაგრად მოუჭირა ხელები.

– შევიდეთ? – ტრავერსმა ჰერმიონს ხელით ანიშნა და წინ გაუშვა.

ჰერმიონს სხვა გზა არ ჰქონდა, ფეხი აუწყო და დაკლაკნილ, მოკირწყლულ ქუჩას გაუყვა. პატარ-პატარა მაღაზიების რიგის ბოლოს გრინგოტსის ქათქათა შენობა აღმართულიყო. ჰერმიონისა და ტრავერსის უკან რონი მიჩანჩალებდა, ჰარი და გრიპჰუკი კი უკან მისდევდნენ.

სიკვდილის მხვრელზე უარესს ვერავის გადაეყრებოდნენ. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ რადგან ტრავერსი „ბელატრისას" დაუწყვილდა, ჰარის ჰერმიონთან ან რონთან დალაპარაკების აღარა-

Scanned by CamScanner

ნაირი საშუალება აღარ ჰქონდა. ორიოდე წუთში ბრინჯაოს დიდი კარისკენ ამავალ მარმარილოს კიბეს მიადგნენ. გრიპჰუკს სამივე გაფრთხილებული ჰყავდა, რომ შესასვლელის მცველი ლივრეიანი გობლინები ორი ჯადოქრით იყო შეცვლილი. ორივეს გრძელი, ნვრილი და დრეკადი ოქროს წკეპლა ეჭირა.

– მოუსყიდავი იარაღები, – თეატრალურად ამოიოხრა ტრავერსმა, – სასტიკი... მაგრამ ეფექტური!

ტრავერსი კიბეზე ავიდა და მარჯვნივ და მარცხნივ მდგარ ჯადოქრებს თავი დაუკრა, მათ კი ოქროს წკეპლები ასნიეს და სხეულზე აუტარ-ჩაუტარეს. ეს იარაღი, როგორც ჰარი მიხვდა, შენიღბვის ჯადოსა და გადამალულ მაგიურ ნივთებს ავლენდა. მიხვდა, რომ სულ ორიოდე წამი ჰქონდა სამოქმედოდ: დრაკოს ჯოხი მცველებს სათითაოდ მიუშვირა და ორჯერ წაიბუტბუტა:

– კონფუნდო!

ტრავერსი უკვე დარბაზში შედიოდა და არ შეუმჩნევია, როგორ შეკრთნენ მცველები, როცა შელოცვა მოხვდათ.

ჰერმიონი გრძელი, შავი თმის ფრიალით ავიდა კიბეზე.

– ერთი წუთით, მადამ, – მიმართა დარაჯმა და წკეპლა ასნია.

– ახლა არ შემამონმეთ? – შეიცხადა ჰერმიონმა ბელატრისას მბრძანებლური, ქედმაღლური ხმით. ტრავერსმა მოიხედა და წარბები ასწია. მცველი დაიბნა. ჯერ თავის ოქროს წკეპლას დააცქერდა, მერე კი ამხანაგს შეხედა, რომელმაც ოდნავ დაეჭვებული ხმით უთხრა:

– ჰო, ეს წუთია, შეამონმე, მარიუს.

ჰერმიონი წინ წავიდა. გვერდით რონი გაჰყვა, უჩინარი ჰარი და გრიპჰუკი ბოლოები შევიდნენ. ჰარიმ ზღურბლიდან უკან მიიხედა. ორივე ჯადოქარი დაფიქრებული იქექავდა კეფას.

შიდა, ვერცხლის კართან, რომელზე ამოტვიფრული ლექსიც ქურდობის მოსურნეებს საშინელ სასჯელს უქადდა, ორი გობლინი იდგა. ჰარიმ კარს ახედა და უცებ საოცრად ცხადად წარმოუდგა თვალწინ, როგორ იდგა სწორედ ამ ადგილას თავის დაუვინყარ, მეთერთმეტე დაბადების დღეს, გვერდით კი ჰაგრიდი ედგა და ამბობდა: გიჟი უნდა იყო, გრინგოტსის გაქურდვა რომ სცადოო. ჯადოქრების ბანკი იმ დღეს საოცარ ადგილად, ჯადოსნურ საცავად ეჩვენებოდა, სადაც მისი საგანძური ინახებოდა, რომელიც არც იცოდა, თუ ჰქონდა... რას იფიქრებდა, თუ აქ საქურდლად შემოსვლას გაბედავდა... მაგრამ ორიოდე წამიც და, უკვე დიდ, მარმარილოს დარბაზში იდგნენ.

გრძელი დახლის უკან მაღალ სკამებზე გობლინები ისხდნენ და კლიენტებს ემსახურებოდნენ. ჰერმიონი, რონი და ტრავერსი მოხუცი გობლინისკენ გაემართნენ, რომელიც ლუპით ოქროს სქელ მონეტას

Scanned by CamScanner

სინჯავდა. ჰერმიონმა ტრავერსი წინ გაუშვა, თვითონ კი რონს ვითომ რაღაცას უხსნიდა.

გობლინმა მონეტა მოისროლა და წაილაპარაკა:

– ლეპრეკონია, – მერე კი ტრავერსს მიესალმა. ტრავერსმა ოქროს პაწაწინა გასაღები გაუწოდა. გობლინმა გასაღები შეამოწა და დაუბრუნა.

ჰერმიონმა ნაბიჯი წადგა.

– მადამ ლესტრეინჯ! – შეკრთა გობლინი, – ღმერთო ჩემო! რ... რით შემიძლია გემსახუროთ?

– ჩემს აკლდამაში შესვლა მინდა, – თქვა ჰერმიონმა.

მოხუცი გობლინი თითქოს უკან გახტა. ჰარიმ მიიხედ-მოიხედა. ტრავერსი უკან მობრუნდა და ჰერმიონს მიაშტერდა, რამდენიმე სხვა გობლინმაც მოაშორა სამუშაოს თვალი.

– გაქვთ... გაქვთ ამომცნობი ნიშანი?

– ამომცნობიო? მე... ჩემთვის აქამდე ამომცნობი ნიშანი არავის უთხოვია! – წარბი არ შეუხრია ჰერმიონს.

– იციან! – წასჩურჩულა ჰარის გრიპჰუკმა, – ეტყობა, გააფრთხილეს, შეიძლება თვითმარქვია შემოვიდესო!

– თქვენი ჯოხიც იკმარებს, მადამ, – გობლინმა ოდნავ აცახცახებული ხელი გაიწოდა და ჰარიმ უცებ საზარელი ფაქტი გააცნობიერა: გრინგოტსის გობლინებმა იცოდნენ, რომ ბელატრისას ჯოხი მოჰპარეს.

– სწრაფად, სწრაფად, – წასჩურჩულა გრიპჰუკმა ჰარის, – იმპერიუსის წყევლა!

ჰარიმ მოსასხამის შიგნით კუნელის ჯოხი აღმართა, მოხუც გობლინს მიუშვირა და თავის სიცოცხლეში პირველად წაილუღლუღა:

– იმპერიო!

მკლავში უცნაური შეგრძნება ჩაეღვარა – თითქოს მისი გონებიდან მჩხვლეტავი სითბო წამოვიდა, ვენებს სისხლივით ჩამოჰყვა და ჯოხთან და იმწუთას წარმოთქმულ წყევლასთან დააკავშირა. გობლინმა ბელატრისას ჯოხს დახედა, ყურადღებით გასინჯა და თქვა:

– ახალი ჯოხი დაამზადებინეთ, მადამ ლესტრეინჯ?

– რაო? – გაიკვირვა ჰერმიონმა, – არა, არა, ეს ჩემია...

– ახალი ჯოხი? – ტრავერსი ისევ მოუახლოვდა დახლს; გარშემო მყოფი გობლინები თვალს არ აშორებდნენ, – კი მაგრამ, რომელ ოსტატს გააკეთებინე?

ჰარი არც დაფიქრებულა, ჯოხი ახლა ტრავერსს დაუმიზნა და ერთხელაც წაიბუტბუტა:

– იმპერიო!

Scanned by CamScanner

– აა, მესმის, – ტრავერსმა ბელატრისას ჯოხს დახედა, – მშვენიერი ჯოხია. კარგად მუშაობს? მე მგონი, ჯოხს მაინც შეჩვევა უნდა, არა?

ჰერმიონი გაოგნდა, მაგრამ ჰარის გასახარად, ხმა არ ამოუღია.

დახლს უკან მოხუცმა გობლინმა ტაში შემოჰკრა და შედარებით ახალგაზრდა გობლინი იხმო.

– ჟღრიალა დამჭირდება, – მიმართა მოხუცმა ახალგაზრდას. ისიც მაშინვე გაქანდა, იმწამსვე ტყავის ჩანთით დაბრუნდა და მოჟღრიალე ლითონით სავსე ჩანთა თავის უფროსს გადასცა.

– ძალიან კარგი! მაშ, წამომყევით, მადამ ლესტრეინჯ, – მიმართა მოხუცმა გობლინმა, სკამიდან ჩამოხტა და დახლს უკან ჩაიკარგა, – თქვენს აკლდამაში წაგიყვანთ.

გობლინმა დახლს შემოუარა და ხალისიანად გამოცუნცულდა. თან ტყავის ჩანთის შიგთავსს მიაჟღრიალებდა. პირდაღებული ტრავერსი ჩუმად იდგა, ამ უცნაური მოვლენით გაოგნებული რონი კი ტრავერსს მიშტერებოდა.

უეცრად დახლს უკნიდან მეორე გობლინი გამოძვრა და მოხუც გობლინს დაუძახა:

– ბოგროდ, მოიცადე. მითითებები უნდა შევასრულოთ, – მერე ჰერმიონს მიუბრუნდა და თავის დაკვრით მოახსენა: – მაპატიეთ, მადამ, მაგრამ ლესტრეინჯების აკლდამის თაობაზე საგანგებო ბრძანება გვაქვს მიღებული.

გობლინი ცდილობდა, ბოგროდისთვის ჩურჩულით აეხსნა რაღაც, მაგრამ იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ მყოფმა მოხუცმა გობლინმა მალე შეაწყვეტინა:

– კარგად ვიცნობ მაგ მითითებებს. მადამ ლესტრეინჯს თავისი საცავის მონახულება სურს... ძალიან ძველი ოჯახია... ძველი კლიენტები... აქეთ მობრძანდით, გთხოვთ... – და ჟღრიალ-ჟღრიალით გაუძღვა დარბაზიდან გამავალი უამრავი კარიდან ერთ-ერთისკენ. ჰარიმ ჯერაც ცოცხალმკვდარივით ადგილზე მიჯაჭვულ ტრავერსს გახედა და გადაწყვეტილება მიიღო: ჯოხის მკვეთრი მოძრაობით სიკვდილის მხვრელი თავისთან მოიხმო და ისიც წყნარად, მთვარეულივით გამოჰყვა; კართან მივიდნენ და ჩირაღდნებით განათებულ ქვის დერეფანში აღმოჩნდნენ.

– ცუდადაა საქმე, რაღაცას ეჭვობენ, – თქვა ჰარიმ, როცა მათ უკან კარი მიჯახუნდა და უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო. გრიპჰუკი მისი მხრებიდან ჩამოხტა. ტრავერსსა და ბოგროდს ოდნავადაც არ გაჰკვირვებიათ ჰარი პოტერის უცაბედი გამოჩენა, – იმპერიუსის წყევლა მოვუვლინე, – აუხსნა განცვიფრებულ რონსა და ჰერმიონს, – რა ვიცი, მგონი არც ისე კარგად გამომივიდა...

Scanned by CamScanner

და უცებ მეორე მოგონებამ გაუელვა – როგორ უკიოდა ნამდვილი ბელატრისა ლესტრეინჯი, როცა პირველად სცადა მიუტევებელი წყევლის გამოყენება: „გულით უნდა გინდოდეს ტკივილის მიყენება, პოტერ!"

– რა ვქნათ? – იკითხა რონმა, – გავიდეთ, სანამ დროა?

– თუ შევძლებთ, კი, – ჰერმიონმა მთავარ დარბაზში შემავალ კარს მიხედა, რომლის მიღმაც, ვინ იცის, რა ხდებოდა.

– რაკი აქამდე მოვედით, გზა უნდა განვაგრძოთ, – გადაჭრით თქვა ჰარიმ.

– კარგი, – დაეთანხმა გრიპჰუკი, – ვაგონეტის სატარებლად ბოგროდი გვჭირდება – მე უფლება არა მაქვს. ოღონდ, ეს ჯადოქარი ველარ ჩაეტევა.

ჰარიმ ჯოხი კიდევ ერთხელ მიუშვირა ტრავერსს:

– იმპერიო!

ტრავერსი შეტრიალდა და ფაცხაფუცხით გაუყვა ჩაბნელებულ ლიანდაგს.

– სად მიდის?

– ვუბრძანე, რომ დაიმალოს, – თქვა ჰარიმ და ახლა ჯოხი ბოგროდს მიუშვირა. გობლინმა სტვენით მოუხმო პატარა ვაგონეტს და ისიც უმალვე სიბნელიდან ამოსრიალდა ლიანდაგზე. ჩასხდნენ. ბოგროდი გრიპჰუკის წინ დაჯდა, ჰარი, რონი და ჰერმიონი კი მათ უკან გაჭირვებით მოთავსდნენ.

ვაგონეტი ბიძგით დაიძრა და სიჩქარეს უმატა. ჯერ ტრავერსს ჩაუქროლა, რომელიც კლდის ნაპრალში შემალვას ცდილობდა, მერე ლაბირინთში მიხვევ-მოხვევა დაიწყო. სულ ქვემოთ-ქვემოთ ეშვებოდა. ვაგონეტის რახრახში არაფერი ისმოდა; ჰარი მაინც უკან-უკან იყურებოდა. რაც მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო დიდ სისულელედ ეჩვენებოდა ჰერმიონის ბელატრისად გადაქცევა და ბელატრისას ჯოხის წამოღება მაშინ, როცა სიკვდილის მხვრელებმა იცოდნენ, ვინც წაართვა ბელატრისას ჯოხი...

იმაზე ღრმად ჩავიდნენ, ვიდრე ჰარი ოდესმე ყოფილა; სიჩქარის შეუნელებლად მკვეთრად მოუხვიეს თუ არა, ზუსტად მათ წინ ლიანდაგზე ჩანჩქერი დაეშვა. ჰარიმ გრიპჰუკის ღრიალი გაიგონა, შეჩერდიო, მაგრამ ვაგონეტი არ დამუხრუჭებულა და ჩანჩქერში გაიქროლა. ჰარის თვალები და პირი წყლით აევსო, ველარც ვერაფერს ხედავდა და ველარც სუნთქავდა. ვაგონეტი ამოტრიალდა, მგზავრები ლიანდაგზე დაცვივდნენ, გაქანებული ვაგონეტი კი გვირაბის კედელს შეასკდა. ჰერმიონმა შეჰკივლა. ყველანი წონადაკარგულებივით ჩასრიალდნენ და უმტკივნეულოდ დაეშვნენ კლდოვანი დერეფნის იატაკზე.

Scanned by CamScanner

– დარტყმასაწინააღმდეგო შელოცვა მოქმედებს, – წაილუღლუღა ჰერმიონმა, როცა ის რონმა ფეხზე წამოაყენა. მათ დანახვაზე ჰარის თავზარი დაეცა: ბელატრისა გამქრალიყო და მის ნაცვლად ხალვათ, გალუმპულ მანტიაში გამოწყობილი ჰერმიონი იდგა. რონიც ისევ თმანითელა და უწვერულვაშო გამხდარიყო. რონმა და ჰერმიონმა გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

– ქურდის აღმომჩენი შელოცვა იყო! – გრიპჰუკი ფეხზე ძლივს წამოდგა და ჩანჩქერს გახედა, – ყველანაირ ჯადოსა და მაგიურ შენიღბვას ჩამორეცხავს. იციან, რომ გრინგოტსში თვითმარქვიები შემოვიდნენ და ჩვენ წინააღმდეგ დაცვა აამოქმედეს.

ჰერმიონმა მაშინვე შეამოწმა, ისევ თან ჰქონდა თუ არა მძივებიანი ჩანთა და ჰარიმაც სწრაფად შეიყო ხელი ქურთუკში, რათა უჩინმაჩინის მოსასხამი ადგილზე დაეგულებინა. მერე მიტრიალდა და დაინახა, რომ ბოგროდს განცვიფრებისგან პირი დაეღო: ეტყობა, ქურდის აღმომჩენმა დაცვამ იმპერიუსის წყევლა მოუხსნა.

– ბოგროდი გვჭირდება, – თქვა გრიპჰუკმა, – აკლდამაში მხოლოდ გრინგოტსის გობლინი შეგვიყვანს. ჟღრიალაც გვჭირდება!

– იმპერიო! – კიდევ ერთხელ წარმოთქვა ჰარიმ; ხმის ექო ქვის დერეფანს გაჰყვა და ისევ იგრძნო, როგორ გასრიალდა თავისი სურვილის ტალღა ტვინიდან ხელში და ხელიდან – ჯოხისაკენ. ბოგროდი ისევ დაემორჩილა ჰარის ნებას და გაოგნება კვლავ ზრდილი გულგრილობით შეეცვალა. რონმა სწრაფად დაავლო ხელი ლითონისიარაღებიან ტყავის ჩანთას.

– ჰარი, მგონი, ვილაცეები მოდიან! – ჰერმიონმა ბელატრისას ჯოხი ჩანჩქერს დაუმიზნა და იყვირა: – პროტეგო!

ფარის შელოცვამ მოჯადოებული ჩანჩქერის ნაკადი გაარღვია და წყალმა დერეფანი დატბორა.

– ყოჩაღ, – თქვა ჰარიმ, – გაგვიძეხი, გრიპჰუკ!

– ზემოთ როგორღა ავბრუნდებით? – იკითხა რონმა. ამჯერად ფეხით მიჰყვებოდნენ სიბნელეში მიმავალ ბებერი ძაღლივით აქოშინებულ ბოგროდს.

– ეგ მერე ვიდარდოთ, – უპასუხა ჰარიმ და შეეცადა, ყური მიეგდო: თითქოს იქვე ისმოდა ფეხის ხმა და რაღაც ჩხარუნი, – გრიპჰუკ, შორია?

– აღარ, ჰარი პოტერ, აღარ...

კუთხეში შეუხვიეს და ისეთი რამ დაინახეს, რამაც ყველანი ადგილზე გააშეშა:

მათ წინ, მიწაზე მიჯაჭვული გიგანტური დრაკონი ოთხ-ხუთ მახლობელ აკლდამასთან მისასვლელ გზას კეტავდა. მიწის ქვეშ

Scanned by CamScanner

ხანგრძლივი პატიმრობით მხეცს ქერცლი გაუფერულებოდა და აქა-იქ აჰქერცვლოდა; ორივე უკანა ფეხზე მძიმე ბორკილი ედო, რომლებიც ჯაჭვებით კლდოვან ნიადაგში ღრმად ჩასობილ ვეებერთელა პალოებზე იყო მიბმული. დრაკონს უშველებელი, წვეტიანი ფრთები შეეკეცა. რომ გაეშალა, ალბათ, მთელ დარბაზს გადააწვდენდა. მახინჯი თავი ახალმოსულებისკენ მიაბრუნა და ისე იღრიალა, რომ კლდე შეაზანზარა; მერე ფართოდ გაღებული პირიდან ცეცხლის ნაკადი გამოტყორცნა.

– ნახევრად ბრმაა, – ამოიქოშინა გრიპჰუკმა, – და ამის გამო უფრო გაავებულია. თუმცა მისი დამორჩილება ერთი ხერხით შეგვიძლია. ისეა გაწვრთნილი, რომ იცის, რაც უნდა ქნას ჟღრიალის გაგონებაზე. მომეცით.

რონმა გრიპჰუკს ჩანთა მიაწოდა. გობლინმა ლითონის რამდენიმე პატარა ხელსაწყო ამოიღო, რომლებიც შერხევისას ისეთ ხმას გამოსცემდა, როგორც მინიატურული ჩაქუჩები – გრდემლზე დარტყმისას. გრიპჰუკმა ხელსაწყოები ყველას ჩამოურიგა.

– იცით, როგორც უნდა მოიქცეთ, – მიუბრუნდა გრიპჰუკი ჰარის, რონსა და ჰერმიონს, – დრაკონი მიჩვეულია, რომ ამ ხმაურს ტკივილი მოჰყვება და ამიტომ უკან დაიხევს. ბოგროდმა ამ დროს ხელისგული უნდა მიადოს აკლდამის კარს.

დრაკონისკენ წავიდნენ და თან ჟღრიალები ააჟღარუნეს; ხმაური კლდოვანმა კედლებმა ისეთ ძლიერ ექოდ დააბრუნა, რომ ჰარის თავმა გუგუნი დაუწყო. დრაკონმა ხრინწიანი ღრიალი ამოუშვა და კანკალით დაიხია უკან. როცა მიუახლოვდნენ, ჰარიმ მის სახეზე საშინელი დარტყმებით მიყენებული ნაიარევები შეამჩნია და მიხვდა, რომ დრაკონს ასწავლეს, ჟღრიალის გაგონებაზე გავარვარებული ხმლების შიში ჰქონოდა.

– ხელი კარზე მიაჭიროს! – ჩააცივდა გრიპჰუკი და ჰარიმ ერთხელაც დაუმიზნა ჯოხი ბოგროდს. მოხუცი გობლინი დაემორჩილა და ხელისგული ხის კარს მიადო. აკლდამის კარი ჰაერში გალღვა და მღვიმის მსგავსი ხვრელი გაჩნდა, რომლის ბოლოშიც ჭერამდე დაზვინული ოქროს მონეტები და თასები, ვერცხლის აბჯრები, უცნობ არსებათა ეკლიანი და ფრთებჩამოყრილი ტყავები, ალბათ, საწამლავით სავსე თვალ-მარგალიტით მოჭედილი მათარები და გვირგვინოსანი თავის ქალა მოჩანდა.

– სწრაფად ეძებეთ! – დაიძახა ჰარიმ, როცა აკლდამაში შეცვივდნენ. რონისა და ჰერმიონისთვის ჰაფლეპაფის თასი აღწერილი ჰქონდა, მაგრამ თუ ამ აკლდამაში სხვა უცნობი ჰორკრუქსიც იყო, როგორი იქნებოდა, ჰარიმ თვითონაც არ იცოდა. მიხედვ-მოხედვა

Scanned by CamScanner

ძლივს მოასწრეს, რომ მათ უკან ყრუ ჩხარუნი გაისმა: კარი ისევ გაჩნდა და აკლდამაში მყოფები კუნაპეტ სიბნელეში გამოკეტა.

– არა უშავს, ბოგროდი გაგვიყვანს! – რონის შეშფოთებული შეძახილის საპასუხოდ თქვა გრიპჰუკმა, – ჯოხები აანთეთ, ხომ შეგიძლიათ? იჩქარეთ, ძალიან ცოტა დრო გვაქვს!

– ლუმოს!

ჰარიმ ანთებული ჯოხი აკლდამას მოატარა: სინათლეზე ძვირფასი ქვები აკიაფდა; ზედა თაროზე, ოქრის ჯაჭვების გროვაში, ჰარიმ გრიფინდორის ყალბი ხმალი დაინახა. რონმა და ჰერმიონმაც აანთეს ჯოხები და გარშემო აკოკოლავებულ ნივთებს ათვალიერებდნენ.

– ჰარი, ეს ხომ არაა?... ააჰ!

ჰერმიონმა ტკივილისაგან შეჰკივლა, ჰარიმ ჯოხი მისკენ მიაბრუნა და დაინახა, როგორ გაუვარდა ხელიდან თვლებით მოოჭვილი თასი, რომელიც იატაკზე დავარდა თუ არა, გაიპო და თასების წვიმად იქცა. ატყდა დიდი წკრიალი და წამში უამრავი ერთნაირი თასი ყოველ მხარეს გაგორდა. ორიგინალის გამორჩევა შეუძლებელი იყო.

– დამწვა! – კვნესოდა ჰერმიონი და დაფუფქულ თითებზე სულს იბერავდა.

– გამრავლებისა და დადაგვის წყევლა დაუმატებიათ! – თქვა გრიპჰუკმა, – რასაც მიეკარები, ყველაფერი გავარვარდება და გამრავლდება! თუ ყველაფერს ხელს მოჰკიდებთ, ბოლოს იმდენი ოქრო გაჩნდება, რომ სიმძიმით გაგვსრესს!

– ხელი არაფერს ახლოთ! – სასოწარკვეთით თქვა ჰარიმ, მაგრამ ჯერ წინადადება არ დაემთავრებინა, რომ რონმა შემთხვევით ფეხი წაჰკრა ძირს დაგდებულ თასს და სანამ ტკივილისაგან ადგილზე ხტოდა (ცხელმა ლითონმა ფეხსაცმელი გამოუწვა), იქვე ოცი სხვა თასი გადმოიფრქვა.

– გაჩერდი, არ გაინძრე! – ჰერმიონმა რონს ხელი ჩასჭიდა.

– მიიხედ-მოიხედეთ! – თქვა ჰარიმ, – გახსოვდეთ, თასი პატარაა, ოქროსი, ზედ მაჩვია ამოტვიფრული, ორი სახელური აქვს... თუ ის ვერ დაინახეთ, სხვა რამე ეძებეთ, იქნებ სადმე რეივენქლოსსიმბოლოიანი – არწივისნიშნიანი რამე დაინახოთ...

ჯოხები ყოველ კუთხე-კუნჭულს მიუშვირეს, თან ფრთხილად ტრიალებდნენ ადგილზე. შეუძლებელი იყო, რამეს არ შეეხებოდნენ: ჰარიმ ყალბი გალეონების წვიმა გადმოუშვა იატაკზე. გალეონები თასებს მიემატა და ახლა ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ ჰქონდათ. ოქრო ვარვარებდა და აკლდამაში ღუმელივით ცხელოდა. ჰარის ჯოხმა ჭერამდე აზიდულ თაროებზე დალაგებული ფარები და გობ-

Scanned by CamScanner

ლინთა ნაკეთები მუზარადები გაანათა; უფრო და უფრო მაღლა ასწია სხივი და უცებ გული შეუხტა და ხელი აუთრთოლდა:

– იქ არის, იქ, ზემოთ!

რონმა და ჰერმიონმაც იქით მიმართეს ჯოხები და სამი მხრიდან დაცემულ სხივებში ჰელგა ჰაფლეპაფის კუთვნილი, ჰეპზიბა სმიტის მფლობელობაში გადასული და ტომ რიდლისგან მოპარული ოქროს პატარა თასი აციაგდა.

– იქამდე რაღა ჯანდაბით მივიდეთ ისე, რომ არაფერს მივეკარ-ოთ? – იკითხა რონმა.

– აკციო თასი! – იყვირა ჰერმიონმა. სასოწარკვეთილს სულ დაავი-წყდა, რასაც გრიპჰკუკი თათბირზე ეუბნებოდა.

– არ გამრვა-მეთქი, ათასჯერ გითხარით! – დაიღრინა გობლინმა.

– მაშ, რა ვქნათ? – გობლინს მიაშტერდა ჰარი, – თუ ხმალი გინდა, უფრო მეტად უნდა დაგვეხმარო... მოიცა, რა მოხდება, ამ რაღაცეებს ხმლით რომ შევეხო? ჰერმიონ, მომეცი!

ჰერმიონმა მანტიის შიგნით ხელი მოიფათურა, მძივებიანი ჩანთა ამოიღო, ორიოდე წამს ჩხრიკა და მოელვარე ხმალი ამოაძრო. ჰარიმ ლალებიან ვადაში ჩაავლო ხელი და ნვერით მახლობელ ტოლჩას შეეხო. ტოლჩა არ გამრავლებულა.

– ხმალი რომ სახელურში გამოვდო... მაგრამ იქამდე როგორ მივიდე?

თაროს, რომელზეც თასი ესვენა, ვერც ერთი ვერ მისწვდებოდა, მათ შორის – ყველაზე მაღალი რონიც კი. მოჯადოებული განძეული მხურვალებას აფრქვევდა; ჰარის ოფლი სდიოდა, გამწარებული ცდილობდა მოეფიქრებინა, როგორ მიეღწია თასამდე. ამ დროს აკლ-დამის კარს მიღმა დრაკონის ღრიალიც მოისმა და ჟღრიალმაც იმატა.

ახლა ნამდვილად ხაფანგში იყვნენ. გარეთ გასვლა მხოლოდ კარით შეიძლებოდა. კართან კი, როგორც ჩანდა, გობლინების ურდო ახლოვდებოდა. ჰარიმ რონისა და ჰერმიონის სახეებზე შეძრწუნება დაინახა.

– ჰერმიონ, – მოახლოებული ჟღრიალის ხმა გადაფარა ჰარიმ, – აუცილებლად უნდა ავიდე, უნდა ავიღოთ...

ჰერმიონმა ჯოხი აწია, დაუმიზნა და წაიჩურჩულა:

– ლევიკორპუს!

ჰაერში კოჭით დაკიდებული ჰარი აბჯარს დაეჯახა; აბჯრის გავარვარებულმა ასლმა იფეთქა და ისედაც ვიწრო სივრცე სულ აბჯრებით ამოავსო. ტკივილით აყვირებული რონი, ჰერმიონი და ორი გობლინი სხვა ნივთებს მიეჯახნენ, რომლებმაც ასევე გამრავ-ლება იწყო. წითლად გავარვარებული საგანძურის ზღვაში ნახევრად

Scanned by CamScanner

ჩაფლულები იბრძოდნენ და ღრიალებდნენ. ამასობაში ჰარიმ ჰაფ-ლეპაფის თასს სახელურში ხმალი გაუყარა და წვერზე წამოაგო.

– იმპერვიუს! – იწივლა ჰერმიონმა, რათა თავისი თავი, რონი და გობლინები მწველი ლითონისაგან დაეცვა.

უარესი ღრიალი გაისმა. ჰარიმ ძირს დაიხედა: რონი და ჰერმიონი წელამდე ჩაფლულიყვნენ განძში, ხელები ბოგროდისთვის ჩაევლოთ; გრიპჰუკი კი ისე ჩაძირულიყო, გრძელი თითების წვერებიღა მოუ-ჩანდა.

ჰარიმ გრიპჰუკს თითებში სტაცა ხელი და ამოსნია. დაფუფქული გობლინი საცოდავად წკმუოდა.

– ლიბერაკორპუს! – იღრიალა ჰარიმ. ის და გრიპჰუკი განძზე დაენარცხნენ, ჰარის ხმალი ხელიდან გაუფრინდა.

– ხმალი! – იყვირა ჰარიმ და ცხელი ლითონისგან დამწვარი კანის ტკივილს შეებრძოლა, გრიპჰუკი ისევ მხრებზე ააცოცდა და მოვარვარე ნივთების მზარდ მასას მოერიდა, – ხმალი სად არის? ზედ თასი იყო!

კარს მიღმა უკვე გამაყრუებელი ჟღრიალი ისმოდა. საშველი არსაიდან ჩანდა...

– აი! – დაიწრიპინა გრიპჰუკმა, ხმალი დაინახა და ეძგერა.

ჰარი მიხვდა, რომ გობლინი მათგან სიტყვის შესრულებას არ ელოდა. ის ცალი ხელით ჰარის თმას ჩაფრენოდა, რათა მდუღა-რე ოქროს მღელვარე ზღვაში არ ჩაძირულიყო, მეორით კი ხმლის ვადა მოიგდო ხელში. ხმლის პირზე წამოცმული ოქროს თასი ჰაერში აფრინდა. კისერზე გობლინგადამჯდარმა ჰარიმ თასი დაიჭირა და, მიუხედავად იმისა, რომ კანს ძალიან სწვავდა, ნადავლს ხელი მაინც არ გაუშვა მაშინაც კი, როცა მისი მუჭიდან ჰაფლეპაფის უთვალავმა თასმა იფეთქა და ზედ დააწვიმა. აკლდამის კარი ისევ გაიღო და ცეცხლოვანი ოქრო-ვერცხლის ზვავმა ჰარი, რონი და ჰერმიონი გარეთ გაასრიალა.

ჰარის მთელი სხეული ისე დაფუფქვოდა, თითქმის ველარც კი გრძნობდა დამწვრობებით გამოწვეულ ტკივილს. როგორც იქნა, თასი ჯიბეში ჩაიდო და ხელი ხმლის მოსაძებნად ასწია, მაგრამ გრიპჰუკი მხარზე აღარ ეჯდა. თურმე გობლინი, როგორც კი საშუალება მიეცა, მაშინვე ჩამოცურდა ჰარის ბეჭებიდან და ახლა გარშემოკრებილ გობლინებს შერეოდა, თან ხმალს იქნევდა და ყვიროდა:

– ქურდები! ქურდები! გვიშველეთ! ქურდები!

გრიპჰუკი შეტევაზე გადმოსულ ბრბოში ჩაიკარგა. ხანჯლებით შეიარაღებულმა გობლინებმა თანამოძმე ულაპარაკოდ მიიღეს.

ჰარის ცხელ ლითონზე ფეხი უცურავდა, მაგრამ როგორღაც

Scanned by CamScanner

მაინც მოახერხა დადგომა და მიხვდა, რომ გზას მხოლოდ ბრძოლით თუ გაიკვლევდნენ.

– გაშეშდი! – იღრიალა მთელი ხმით და რონი და ჰერმიონიც აჰყვნენ. წითელი სხივები გობლინთა ბრბოსკენ გაფრინდა და ზოგიერთი ძირს დასცა, თუმცა სხვები ისევ მოიწევდნენ მათკენ. ჰარიმ რამდენიმე ჯადოქარიც შეამჩნია.

დაბმულმა დრაკონმა დაიღრიალა და გობლინებს ცეცხლის ალი შეაფრქვია; ჯადოქრები მოიკუნტნენ და უკან გაცვივდნენ. უცებ ჰარის გიჟურმა აზრმა გაუელვა თავში, ჯოხი იმ უზარმაზარ ბორკილებს დაუმიზნა, რომლითაც მხეცი იატაკზე იყო მიჯაჭვული და იყვირა:

– რელაშიო!

ბორკილები ხმამაღალი ჩხარუნით დაიმსხვრა.

– აქეთ! – ანიშნა მეგობრებს ჰარიმ, შეტევაზე გადმოსულ გობლინებს გაშეშების შელოცვა ზედიზედ დაუშინა და ბრმა დრაკონისკენ გაიქცა.

– ჰარი... ჰარი... რას აკეთებ? – ყვიროდა ჰერმიონი.

– ადით, აძვერით, მალე...

დრაკონს ჯერ ვერ გაეცნობიერებინა, რომ თავისუფალი იყო. ჰარიმ ფეხით იპოვა მისი უკანა ფეხის სახსარი და ზურგზე ააცოცდა. დრაკონმა ვერც კი იგრძნო, ფოლადივით მაგარ ქერცლზე ვინმე თუ ეჭიდებოდა. ჰარიმ ჰერმიონს გაუწოდა ხელი და ასვლაში მიეხმარა; როგორც იქნა, რონიც აძვრა. სამივე მოთავსდა თუ არა, დრაკონი მიხვდა, რომ აშვებული იყო და ღრიალით წამოდგა. ჰარი მუხლებით მაგრად ჩაეჭიდა დრაკონის ხორკლიან ქერცლს. მხეცმა ფრთები გაშალა, აკივლებული გობლინები გვერდზე მიყარ-მოყარა და ჰაერში აიჭრა. დრაკონის ზურგზე გაწოლილი ჰარი, რონი და ჰერმიონი დერეფნის ჭერს ეხახუნებოდნენ. დადევნებული გობლინები ხანჯლებს ესროდნენ დრაკონს, მაგრამ მისი ქერცლი ყველაფერს ისხლეტდა.

– ვერ გაეტევა, ძალიან დიდია! – იკივლა ჰერმიონმა, მაგრამ დრაკონმა პირი დააღო, ცეცხლი გამოაფრქვია და გვირაბის ჭერი და კედლები ჩამოანგრია. სიცხისა და მტვრისგან დასაცავად ჰარის თვალები დახუჭული ჰქონდა. კლდის ნგრევისა და დრაკონის ღრიალით დაყრუებული ძლივს იმაგრებდა თავს, რომ ძირს არ გადმოვარდნილიყო. ისევ მოესმა ჰერმიონის კივილი:

– დეფოდიო!

ჰერმიონი დრაკონს გასავლელის გაფართოებაში ეხმარებოდა და ჭერს ანგრევდა. დრაკონი ზემოთ, სუფთა ჰაერისკენ მიიწევ-

Scanned by CamScanner

და და გობლინების ყაყანსა და იარაღების ჟღრიალს შორდებოდა. ჰარი და რონიც მიეხმარნენ ჰერმიონს და ამოტეხის შელოცვით ჭერი ააფეთქეს. მიწისქვეშა ტბაც გაიარეს და უზარმაზარმა, აღრიალებულმა მხეცმა თავისუფლება და სივრცე შეიგრძნო. დრაკონის მოტყლაშუნე, დაკბილული კუდის უკან კლდის დიდი ნატეხებითა და დამსხვრეული სტალაქტიდებით სავსე დერეფანიღა მოჩანდა. გობლინების ზრიალი თითქოს მიჩუმდა, წინ მხოლოდ დრაკონის ცეცხლი ბრიალებდა...

ბოლოს, შელოცვებისა და დრაკონის არანორმალური ძალის წყალობით, მარმარილოს დერეფანში გაიჭრნენ. გობლინები და ჯადოქრები თავზარდაცემულები აყვირდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ; დრაკონმა რქიანი თავი მთავარი კარისკენ მიაბრუნა და გრილი ჰაერი შეისუნთქა, მერე ადგილს მოსწყდა და ჯერ კიდევ ზურგზე ჩაჭიდებული ჰარის, რონისა და ჰერმიონის თანხლებით რკინის კარებს ეცა, გაღუნა, ანჯამებიდან ამოაგდო, როგორც იქნა, მრუდე ქუჩაზე გავარდა და ცაში აიჭრა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეშვიდე

საბოლოო სამალავი

დრაკონი ვერ ხედავდა, საით მიფრინავდა; მისი მგზავრები დიდ გასაჭირში იყვნენ: თუ დრაკონი უცებ გეზს შეიცვლიდა ან ჰაერში ამოტრიალდებოდა, მის ზურგზე თავს ველარ შეიმაგრებდნენ, თუმცა, ჰარი მაინც ძალიან ემადლიერებოდა სასწაულებრივად გადარჩენისთვის.

რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, ქვეშ რუხ-მწვანე რუკასავით ეშლებოდათ ლონდონი. ჰარი მხეცის კისერზე გაერთხა და მის ლითონისებურ ქერცლს ჩაებღაუჭა. გრილი ქარი ბებერებით დაფარულ სახეზე ელამუნებოდა. დრაკონი ფრთებს ქარის წისქვილის ფრთებივით იქნევდა და მაღლა და მაღლა მიიწევდა. ჰარის უკნიდან რონის აღტაცებული თუ შიშნარევი ლანძღვა ესმოდა, ჰერმიონი კი სლუკუნებდა.

დაახლოებით ხუთ წუთში ჰარის გაუარა იმის შიშმა, რომ დრაკონი მათ ძირს ჩამოყრიდა. მხეცი, ეტყობა, მხოლოდ იმას აპირებდა, რაც შეიძლება შორს გასცლოდა მიწისქვეშა სატუსაღოს; თუმცა, ის კითხვა, თუ როგორ და როდის უნდა ჩამომხტარიყვნენ დრაკონის ზურგიდან, ჰარის ძალიან აშინებდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენ ხანს შეძლებდა მხეცი მიწაზე დაუშვებლად ფრენას ან როგორ მიხვდებოდა, სად უნდა დაშვებულიყო. ჰარის მოეჩვენა, რომ ნაიარევმა წიწკნა დაუწყო.

ნეტავ, რამდენ ხანში გაიგებს ვოლდემორი, რომ ლესტრეინჯების საცავში შეიჭრნენ და ოქროს თასი დაიკარგა? რამდენ ხანში შეატყობინებენ ამ ამბავს გრინგოტსის გობლინები ბელატრისას? აი, ამჯერად კი ვოლდემორი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, რომ ჰორკრუქსებზე ნადირობენ.

დრაკონს, ეტყობა, სიგრილე და სუფთა ჰაერი ისე ენატრებოდა, მაღლა-მაღლა ადიოდა, სანამ ცივი ღრუბლების გარემოცვაში არ

Scanned by CamScanner

ამოყვეს თავი. ჰარი უკვე ველარ არჩევდა ლონდონის გზებზე მოძრავ ფერად-ფერად ნერტილებს. გაუჩერებლად მიფრინავდნენ; დასახლებული პუნქტები მწვანე-ყავისფერ ლაქებად მოჩანდა, გზები – ბუნდოვან, მდინარეები კი მოლაპლაპე ლენტებს დაემსგავსა.

– სად ჯანდაბაში მიფრინავს? რა უნდა, რას ეძებს? – დაიყვირა რონმა, როცა დრაკონმა ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი.

– აბა, რა ვიცი, – გასძახა ჰარიმ. თითები სიცივით გაშეშებოდა, მაგრამ ხელის მოდუნებას ვერ ბედავდა. ახლა იმაზე დაიწყო თავის მტვრევა, რა გვეშველება, თუ დრაკონი ზღვისკენ დაეშვებაო. ჰარის ძალიან სციოდა, ამას შიმშილი და წყურვილიც ემატებოდა. შიშით გაიფიქრა, ნეტავ მხეცმა ბოლოს როდის ჭამაო. ალბათ, დრაკონს ცოტა ხანში მოშივდებოდა და ვაითუ, უცებ მიმხვდარიყო, რომ ზურგზე სამი საკბილო ეჯდა?

მზე გადაიწვერა, ცა განაცრისფრდა, დრაკონი კი ისევ მიფრინავდა. ქვემოთ დიდ-პატარა ქალაქები მიქროდა. დრაკონის უშველებელი ჩრდილი ავდრის უზარმაზარი ღრუბელივით მისრიალებდა მინაზე. ჰარი მთელი შერჩენილი ძალით ცდილობდა, როგორმე არ ჩასრიალებულიყო და ისე იყო დაძაბული, მთელი სხეული სტკიოდა.

– მეჩვენება თუ მართლა დაბლა ეშვება? – დაიძახა რონმა გაჭიანურებული სიჩუმის შემდეგ.

ჰარიმ დაიხედა და მუქმწვანე მთები და დაისში სპილენძისფრად დაფერილი ტბები შეამჩნია. პეიზაჟი თითქოს უფრო მოახლოვდა და უფრო მკაფიო გახდა. ივარაუდა, რომ დრაკონი მიწის სიახლოვეს წყალზე არეკლილი ათინათით მიხვდა.

დრაკონი დიდ წრეებს ურტყამდა, დაბლა-დაბლა ეშვებოდა და როგორც ეტყობოდა, ერთ-ერთ ყველაზე პატარა ტბას უმიზნებდა.

– დაეშვება თუ არა, გადავხტეთ, – გასძახა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, – პირდაპირ წყალში გადავეშვათ, სანამ დაგვინახავს.

მაშინვე დაეთანხმნენ. ჰარიმ უკვე დაინახა, როგორ შეეხო წყლის ზედაპირს დრაკონის ფართო, მოყვითალო მუცელი.

– ვხტებით!

ჰარი დრაკონის ფერდზე ჩამოცურდა და ფეხებით დაეშვა ტბისკენ; ვარდნა იმაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. მძიმედ, ქვასავით ჩაეშვა ყინულოვან, მწვანე ლელით დაფარულ წყალში და ქშენა-ქშენით ამოყვინთა. იმ ადგილებზე, სადაც რონი და ჰერმიონი ჩაცვივდნენ, დიდი წრეები იშლებოდა. დრაკონი, ეტყობა, ვერაფერს მიხვდა; უკვე ოციოდე მეტრით მოშორებოდა მათ და წყლის ზედაპირზე თითქმის მიცურავდა. რონმა და ჰერმიონმა აფართხალებულ-აქოშინებულებმა ამოყვინთეს სილრმიდან, დრაკონმა

Scanned by CamScanner

კი ფრთების ტყლაშუნი შეანელა, მოშორებულ ნაპირზე დაეშვა და დასახიჩრებული სახე წყალში ჩაყო.

სამივემ მეორე ნაპირისკენ გაცურა. ტბა ღრმა არ ჩანდა და მალე ცურვაც აღარ სჭირდებოდათ – ჭყაპაჭყუპით მიიკვლევდნენ გზას ატალახებულ ლელიანში. ბოლოს გალუმპულებმა, აქოშინებულებმა და დაქანცულებმა ბალახით დაფარულ ნაპირს მიაღწიეს.

ჰერმიონი ხველა-კანკალით ჩაიკეცა. მართალია, ჰარის დაწოლასა და დაძინებას არაფერი ერჩია, მაგრამ ბარბაცით წამოდგა, ჯოხი ამოიღო და ჩვეულებრივი დამცავი შელოცვების წარმოთქმა დაიწყო.

როცა შელოცვა დაამთავრა, მეგობრებს მიუახლოვდა და საცავიდან თავის დაღწევის შემდეგ პირველად შეხედა მათ რიგიანად. სახე და მკლავები ორივეს დაფუფქული ჰქონდა, ტანსაცმელიც ალაგ-ალაგ ამოსწვოდათ. იარებზე იფნურას ესენციას იწვეთებდნენ და იჭმუხნებოდნენ. ჰერმიონმა ბოთლი ჰარის მიაწოდა, თვითონ კი მძივებიანი ჩანთიდან „ნიჟარიდან“ წამოღებული სამი ბოთლი გოგრის წვენი და სამი მშრალი, სუფთა მანტია ამოიღო. სველი ტანსაცმელი სასწრაფოდ გამოიცვალეს და წვენი მოიყუდეს.

– ჰორკრუქსი რომ გვაქვს, ეს კარგია, – თქვა ბოლოს რონმა, თან უყურებდა, როგორ ეკვრებოდა ხელებზე ახალი კანი, – ხოლო ცუდია, რომ...

– ხმალი აღარ გვაქვს, – კბილებში სიმწრით გამოსცრა ჰარიმ, რადგან ამ დროს ჯინსის ამომწვარ ნახვრეტში, დაფუფქულ კანზე იფნურა დაიწვეთა.

– აღარ გვაქვს, – გაიმეორა რონმა, – ოჰ, ეგ ცრუპენტელა გარეწარი...

ჰარიმ ცოტა ხნის წინ გახდილი სველი ქურთუკის ჯიბიდან ჰორკრუქსი ამოიღო და ბალახზე დადო. თასი მზეზე აელვარდა და ბოთლებმოყუდებულ რონსა და ჰერმონს თვალი მოსტაცა.

– ამას გულზე ვერ დავიკიდებთ და ვერ ვივლით. ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოჩნდება, – რონმა პირი ხელის ზურგით შეიწმინდა.

ჰერმიონმა ტბის მეორე ნაპირს გახედა. დრაკონი წყალს დასწაფებოდა.

– ნეტავი რას იზამს? – იკითხა, – არაფერი დაუშავდება?

– რა ჰაგრიდივით ლაპარაკობ, – გადაირია რონი, – ეგ ხომ დრაკონია, ჰერმიონ, როგორმე თავს მიხედავს. ჩვენ ჩვენი სადარდებელიც გვეყოფა.

– რა სადარდებელი?

– არ ვიცი, როგორ მიგახვედრო, – ჩაფიქრებული კაცის იერით

Scanned by CamScanner

თქვა რონმა, – მაგრამ რატომღაც მგონია, უკვე გაიგებდნენ, გრინ-გოტსში რომ შევიჭერით.

ამ სიტყვებზე სამივეს გულიანი სიცილი აუტყდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰარის ფერდები სტკიოდა და შიმშილით თავბრუ ესხმოდა, მაინც გულაღმა გაიშხლართა ბალახზე და იმდენი იცინა, სანამ ყელი არ გაუშრა.

– მართლა, რა უნდა ვქნათ? – დასერიოზულდა ბოლოს ჰერმიონი, – ჩვენ-რომ-ვიცით, ის ხომ გაიგებს, რომ მისი ჰორკრუქსების ამბავი ვიცით!

– იქნებ შიშით ვერ გაუმხილონ? – იმედიანად თქვა რონმა.

უცებ ცა, ტბა და რონის ხმა სადღაც გაქრა. ჰარის ტკივილმა თითქოს თავი გაუპო. იმწამსვე დაბინდულ ოთახში, ნახევარწრეულ ჩამწკრივებული სიკვდილის მხვრელების წინ აღმოჩნდა, იატაკზე კი, მის ფერხთით, პატარა, აკანკალებული ფიგურა ჩაჩოქილიყო.

– რა თქვი? – მაღალი და ცივი ხმით დაილაპარაკა. მრისხანება და შიში ერთდროულად მოაწვა. ეს ერთადერთია, რასაც უფრთხოდა. არა! სიმართლე ვერ იქნება, შეუძლებელია!..

გობლინი ცახცახებდა და თავის აწევას ვერ ბედავდა, რომ წითელ თვალებს არ წასწყდომოდა.

– გაიმეორე! – წაიჩურჩულა ვოლდემორმა, – გაიმეორე-მეთქი!

– მი...მილორდ, – ენა დაება გობლინს და შავი თვალები შიშით გაუფართოვდა, – მი...მილორდ... შე...შევეცადეთ, მაგრამ ვერ შე... შევაჩერეთ თთთ...თვითმარქვიები, მილორდ... ლესტრეინჯების სა.... საცავში შეიჭრნენ...

– თვითმარქვიები? რომელი თვითმარქვიები? მე მეგონა, გრინ-გოტსში თვითმარქვიების ამოცნობა არ უჭირდათ. ვინ იყვნენ?

– ვინ და... ვინ და... ის ბიჭი, პო...პოტერი და ორი თა... თანამზრახველი...

– და რა წაიღეს? – ხმას აუმაღლა ვოლდემორმა და და ჰარიმ იგრ-ძნო, გული შიშით როგორ აუფართხალდა, – მითხარი! რა წაიღეს?

– პა... პატარა ოქროს თა...თასი, მილორდ...

ყურისწამღები, განრისხებული ღრიალი აღმოხდა. ვოლდემორი გაგიჟდა, გაცოფდა. ტყუილი იქნება! შეუძლებელია! ამის შესახებ არავინ იცოდა და ის ბიჭი როგორღა მიხვდებოდა?

დიდგულას ჯოხმა ჰაერში გაინუილა და ოთახი მწვანე შუქით აივსო; ჩაჩოქილი გობლინი იატაკზე კუნძივით გადაგორდა; ჯადო-ქრები შიშით გაიფანტნენ. ბელატრისამ და ლუციუსმა კართან სხვებს მიასწრეს. ჭკუიდან გადასული ვოლდემორი ჯოხს ანგარიშმიუცემ-

Scanned by CamScanner

ლად იქნევდა და ვინც ვერ გაასწრო, უმოწყალოდ ხოცავდა ცუდი ამბის მოტანის გამო...

გვამებს შორის ბოლთას სცემდა და თვალწინ თავისი საუნჯეები ედგა, თავისი მცველი, თავისი უკვდავების იმედი. დღიური განადგურდა, თასი მოიპარეს. იქნებ იმ ბიჭმა სხვების ამბავიც იცის? იქნებ მათ მოსაძებნად უკვე რაიმე იღონა და კიდეც მიაგნო რომელიმეს? იქნებ ამაში დამბლდორის ხელი ურევია? დამბლდორისა, რომელიც მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა მას? დამბლდორისა, რომელიც მისი განკარგულებით მოკლეს? დამბლდორისა, ვისი ჯოხიც თვითონ აქვს... მაგრამ დამბლდორი სამარიდანაც კი მოსწვდა ბიჭის ხელით...

ბიჭს რომ რომელიმე ჰორკრუქსი გაენადგურებინა, ლორდი ვოლდემორი ხომ იგრძნობდა ამას? იგი ხომ უდიდესი და უძლიერესი ჯადოქარია – დამბლდორისა და კიდევ რამდენი უფასური, უსახელო ადამიანის მკვლელი. როგორ ვერ მიხვდებოდა ლორდი ვოლდემორი, თუკი მის საუნჯეს – უმნიშვნელოვანესსა და უძვირფასესს, – შეუტევდნენ და დააზიანებდნენ?

მართალია, დღიურის განადგურება ვერ იგრძნო, მაგრამ მაშინ ხომ სხეული არ ჰქონდა, მოჩვენებაზე ნაკლები იყო?.. ამიტომაც ვერ იგრძნო... არა! დანარჩენს ნამდვილად არავინ მიჰკარებია... სხვა ჰორკრუქსები ხელუხლებელია...

თუმცა, ამაში უნდა დარწმუნდეს... ოთახი გადაჭრა, გზად გობლინის გვამს ფეხი წაჰკრა და მის ადუღებულ გონებაში ბუნდოვნად გამოისახა სურათები: ტბა, ქოხი და ჰოგვორტსი...

მრისხანება ოდნავ დაუცხრა. საიდან ეცოდინება იმ ბიჭს, რომ ბეჭედი გონტების ქოხში დამალა? ვინ იცოდა, რომ გონტების შთამომავალია? ეს კავშირი კარგად დამალა და არც გონტების მკვლელობები დაუბრალებიათ მისთვის. ბეჭედი, უეჭველია, უსაფრთხოდაა.

ან გამოქვაბულის ამბავს როგორღა გაიგებდა გინდ ბიჭი და გინდ სხვა ვინმე? ან შიგ როგორ შეაღწევდნენ? სისულელეა! ესე იგი, ვერც მედალიონს მოიპარავდნენ...

სკოლა? მხოლოდ თვითონ იცის, სად დამალა ჰორკრუქსი, რადგან მხოლოდ თვითონ აღმოაჩინა იქაურობის ყველაზე დაფარული საიდუმლოებები...

ნაგინიც ახლა სულ გვერდით უნდა ჰყავდეს, აღარაფერი დაავალოს, არსად გაგზავნოს, მუდამ მფარველობის ქვეშ ჰყავდეს...

მაგრამ მშვიდად რომ იყოს, ყველა სამალავი უნდა მოინახულოს და ყოველი ჰორკრუქსის დაცვა გააორმაგოს... თანაც, ეს საქმე, დიდგულას ჯოხის ძიებისა არ იყოს, მარტომ უნდა გააკეთოს...

Scanned by CamScanner

ჯერ სად წავიდეს? რომელი ჰორკრუქსია ყველაზე დიდ საფრთხეში? უცებ ისევ აფორიაქდა – დამბლდორმა მისი მეორე სახელი იცოდა... შეეძლო, გონტებთან დაეკავშირებინა... სავარაუდოდ, გონტების მიტოვებული სახლი ყველაზე ნაკლებ უხიფათო სამალავია. ამიტომ პირველად იქ წავა.

ტბის ამბავს ნამდვილად ვერავინ მიხვდებოდა. თუმცა, არის მცირე შესაძლებლობა, რომ დამბლდორს ობოლთა თავშესაფარში გაეგო მისი ძველი დანაშაულის ამბავი.

ჰოგვორტსში კი ჰორკრუქსი ნამდვილად უსაფრთხოდაა; პოტერი სკოლაში კი არა, ჰოგსმიდშიც ვერ შევა ისე, რომ არ აღმოაჩინონ. მაგრამ მაინც საჭიროა, სნეიპი გააფრთხილოს, რომ შეიძლება ბიჭმა ციხე-კოშკში შესვლა სცადოს... რასაკვირველია, სისულელე იქნება სნეიპისთვის იმის თქმა, რისთვის შეიძლება დაბრუნდეს ბიჭი; ისიც დიდი შეცდომა იყო, ბელატრისასა და მალფოის რომ ენდო. განა თავისი სისულელითა და უყურადღებობით არ დაამტკიცეს, რა უგუნურება იყო მათი ნდობა?

მაშ, ჯერ გონტების ქოხში წავა და ნაგინისაც წაიყვანს. გველს აღარ მოიშორებს... ამ ფიქრებით გავიდა ოთახიდან, ჰოლი გაიარა და ბნელ ბაღში გავიდა, სადაც შადრევანი ჩუხჩუხებდა; გველს პარსულად მოუხმო. ნაგინი ჩრდილივით გამოცურდა ბალახზე და ეახლა...

ჰარიმ ხილვას თავი დააღწია და თვალები სწრაფად გაახილა. ჩამავალი მზით განათებული ტბის პირას იწვა, ზემოდან რონი და ჰერმიონი დაჰყურებდნენ. მათი შეწუხებული სახეების დანახვისთანავე მიხვდა, რომ ვოლდემორის გონებაში მისი უეცარი შესვლა შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. აკანკალებულმა ასადგომად წამოიწია და ბუნდოვნად გაუკვირდა კიდეც, სადღაც უცხო ადგილას რომ იყო. თასი იქვე ეგდო, წინ კი, მუქლურჯ ტბაზე, ჩამავალი მზის სხივი ელავდა.

– იცის, – ვოლდემორის ღრიალის შემდეგ თავისი ხმა უცხო და დაბალი ეჩვენა ჰარის, – იცის და დანარჩენების შემოწმებას აპირებს. ბოლო ჰორკრუქსი ჰოგვორტსშია. ასეც ვიცოდი, თავიდანვე ვიცოდი.

– რა?

რონი თვალებდაჭყეტილი უყურებდა. ჰერმიონი შეწუხებული წამოჯდა.

– რა ნახე? საიდან იცი?

– ვნახე, როგორ შეატყობინეს თასის ამბავი, მის გონებაში ვიყავი, – ჰარის მკვლელობები გაახსენდა, – გაცეცხლებულია... და შეშინებულიც... ვერ გაუგია, როგორ ამოვიცანით მისი საიდუმლო და აპირებს შეამოწმოს, ადგილზეა სხვები თუ არა. ჯერ ბეჭედს ნახავს.

Scanned by CamScanner

ჰოგვორტსის ჰორკრუქსი ყველაზე საიმედოდ დამალული ჰგონია, იმიტომ, რომ იქ სნეიპია; თანაც, ძნელია, იქ შესულები არ დაგვინახონ... მაგ ადგილს, ალბათ, ბოლოს შეამოწმებს, მაგრამ შეიძლება მაინც რამდენიმე საათში მივიდეს...

– დაინახე, ჰოგვორტსში სად დევს? – რონმაც დააპირა წამოდგომა.

– არა, მხოლოდ სნეიპის გაფრთხილებაზე ფიქრობდა. იმაზე არ უფიქრია, სად დევს...

– მოიცადეთ! – დაიძახა ჰერმიონმა, როცა რონმა ჰორკრუქსს სტაცა ხელი, ჰარიმ კი ისევ ამოიღო უჩინმაჩინის მოსასხამი, – ასე ვერ წავალთ, გეგმა არა გვაქვს, უნდა მოვიფიქროთ...

– არა, ჰერმიონ, მაგის დრო არა გვაქვს, ახლავე უნდა წავიდეთ, – გადაჭრით თქვა ჰარიმ. არადა, რამდენიმე წუთის წინ იმედი ჰქონდა, გამოიძინებდა; კარავში შესვლას არაფერი ერჩივნა, მაგრამ ახლა დასვენება შეუძლებელი იყო, – ხვდები, რას იზამს, როცა სამალავებში აღარც ბეჭედი დახვდება და აღარც მედალიონი?

– მერე, ჰოგვორტსში როგორ შევალთ?

– ჰოგსმიდში წავიდეთ, – უთხრა ჰარიმ, – ვნახოთ, რა დაცვა მოქმედებს სკოლის გარშემო და იქნებ რამე მოვიფიქროთ. გადაიფარე მოსასხამი, ჰერმიონ, მინდა ახლა მაინც ვიყოთ ერთად.

– ვერ გადაგვწვდება.

– არა უშავს, ბნელა, ფეხებს ვინ შეამჩნევს.

შავ წყალზე უშველებელი ფრთების ფართხუნის ექო გაისმა. დრაკონმა წყურვილი მოიკლა და აფრინდა. სამეულმა მზადება ცოტა ხანს შეაჩერა და უყურა, როგორ ადიოდა დრაკონი მაღლა-მაღლა, ერთხანს ბინდმორეული ცის ფონზე შავ ლაქად ჩანდა, ბოლოს კი მახლობელი მთის მიღმა გაუჩინარდა. ჰერმიონი ბიჭებს შორის ჩადგა, ჰარიმ მოსასხამი გადაიფარა. მეგობრებმა ხელი ჩაჰკიდეს, ადგილზე დატრიალდნენ და მხუთავ სიბნელეს შეერივნენ.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამერვე

გამქოლი სარკე

ჰარიმ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო თუ არა, მაშინვე ჰოგსმიდის კარგად ნაცნობი მთავარი ქუჩა გაარჩია. მაღაზიების ჩაბნელებული ფასადების, სოფლის იქით შავი მთების დანისლული ზოლის, ჰოგვორტ-სისკენ მიმავალი გზის მოსახვევისა და „სამი ცოცხის" ფანჯრებიდან გამოსული შუქის დანახვაზე გული შეეკუმშა და საოცარი სიზუსტით გაახსენდა, როგორ დაეშვა აქ თითქმის ერთი წლის წინ მის მხარზე დაყრდნობილ, მისავათებულ დამბლდორთან ერთად. ეს მტკივნეული მოგონება მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, როცა რონისა და ჰერმიონ-ისთვის ხელი ჯერ გაშვებულიც არ ჰქონდა. მერე კი ჰაერი საშინელმა კივილმა გაკვეთა, ისეთმა, როგორიც ვოლდემორმა ამოუშვა, როცა თასის მოპარვის ამბავი გაიგო. ჰარის სხეულის ყოველი ნერვი აუცახ-ცახდა. მიხვდა, რომ ეს კივილი მათმა გამოჩენამ გამოიწვია.

როგორც კი მოსასხამის ქვეშ მყოფმა მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს, „სამი ცოცხის" კარი ბრახუნით გაიღო და ქუჩაში ათიოდე მოსასხამიან-კაპიუშონიანი და ჯოხებმომარჯვებული სიკვდილის მხვრელი გამოვარდა.

რონმა ჯოხი აღმართა, მაგრამ ჰარიმ მაჯა დაუჭირა. ამდენ მოწი-ნააღმდეგეს ვერაფერს მოუხერხებდნენ, ცდადაც კი არ ღირდა, მაშინვე თავიანთ ადგილსამყოფელს გასცემდნენ. ერთმა სიკვდილის მხვრელმა ჯოხი აღმართა და კივილი შეწყდა, თუმცა, მისი ექო ჯერაც ისმოდა შორეულ მთებში.

– აკციო მოსასხამი! – იღრიალა რომელიღაც სიკვდილის მხვრელმა.

ჰარიმ მოსასხამის კალთებს სტაცა ხელი, მაგრამ მოსასხამს ადგილიდან დაძვრა არც უფიქრია. მოხმობის შელოცვა მასზე არ მოქმედებდა.

– მაშ, დღეს შალითის გარეშე ბრძანდები, პოტერ? – იყვირა

Scanned by CamScanner

სიკვდილის მხვრელმა და თავისიანებს მიუბრუნდა, – გაიშალეთ და მოძებნეთ! აქ არის.

მათკენ ექვსი სიკვდილის მხვრელი გამოქანდა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა, რაც შეეძლოთ, სწრაფად დაიხიეს უახლოესი შესახვევისკენ და რამდენიმე სანტიმეტრით ასცდნენ თავდამსხმელებს. სიბნელეში ერთმანეთს მიეკვრნენ და თვალს ადევნებდნენ აქეთ-იქით მორბენალ სიკვდილის მხვრელებსა და მათი ჯოხების ციალს.

– წავიდეთ! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – აპარაცია გამოვიყენოთ!

– კარგი აზრია! – აიტაცა რონმა, მაგრამ სანამ ჰარი რამეს იტყოდა, რომელიღაც სიკვდილის მხვრელმა იყვირა:

– ვიცით, რომ აქა ხარ, პოტერ და ველარ წაგვიხვალ! გიპოვით!

– გველოდნენ, – წაიჩურჩულა ჰარიმ, – აქაურობას ისეთი ჯადო დაადეს, რომ ჩვენი მოსვლა მაშინვე გაეგოთ. ალბათ, ისეთი ზომებიც ექნებათ მიღებული, რომ აქედან ველარ გავიდეთ! მოგვიმწყვდიეს...

– დემენტორებზე რას იტყვით? – დაიძახა მეორე სიკვდილის მხვრელმა, – გამოვუშვათ და მალევე იპოვიან!

– ბნელ ბატონს უნდა, სხვამ კი არა, თვითონ მოკლას პოტერი...

– მერე, დემენტორები ხომ არ მოკლავენ? ბნელ ბატონს პოტერის სიცოცხლე უნდა და არა სული. დემენტორის კოცნის შემდეგ უფრო ადვილი მოსაკლავი არ იქნება?!

დანარჩენი სიკვდილის მხვრელები ჩოჩქოლით დაეთანხმნენ. ჰარი შიშმა მოიცვა: დემენტორების მოსაგერიებლად პატრონუსების გაშვება მოუნევთ და მაშინვე გასცემენ თავს.

– მაინც უნდა ვცადოთ აპარაცია, ჰარი! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

ამის თქმა იყო და, ჰარიმ იგრძნო, როგორ მოედო ქუჩას უჩვეულო სიცივე. სინათლე თითქოს სადღაც აორთქლდა. ვარსკვლავები გაქრა. კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა. ჰარიმ იგრძნო, როგორ ჩაეჭიდა მკლავში ჰერმიონი და ადგილზე დატრიალდნენ.

ჰაერი თითქოს გამყარდა; აპარაცია ვერ მოახერხეს; სიკვდილის მხვრელებს კარგად მოეჯადოებინათ იქაურობა. სიცივე უფრო და უფრო მატულობდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ქუჩას გაუყვნენ, კედელ-კედელ მიიპარებოდნენ და ცდილობდნენ, ჩქამიც არ გაეღოთ. ამ დროს კუთხეში უხმოდ შემოსრიალდა ათი თუ მეტი დემენტორი. ამ სიბნელეშიც კი ჩანდა მათი შავი მოსასხამები და აქერცლილი, თითქოს დამპალი ხელები. ალბათ, მახლობლად შიში იყნოსეს და უფრო სწრაფად წამოვიდნენ. მათი ხრიალი, რომელიც ჰარის ასე სძულდა, ნელ-ნელა ახლოვდებოდა, დემენტორები ჰაერში მათ სასოწარკვეთას ყნოსავდნენ...

Scanned by CamScanner

ჰარიმ ჯოხი ასწია: რაც გინდა მომხდარიყო, დემენტორის კოცნას ვერ აიტანდა. რონსა და ჰერმიონზე დაიწყო ფიქრი და წაიჩურჩულა:

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხიდან ვერცხლისფერი ხარირემი გამოიჭრა და დემენტორებს შეუტია. დემენტორები გაიფანტნენ და მოშორებით გამარჯვებული ღრიალი გაისმა:

– ეგ არის! იქით, იქით, პატრონუსი დავინახე, ირემი იყო!

დემენტორებმა უკან დაიხიეს, ვარსკვლავები კვლავ გამოჩნდა და სიკვდილის მხვრელების ნაბიჯების ხმა მოახლოვდა, მაგრამ სანამ დაფეთებული ჰარი მოიფიქრებდა, რა ექნა, იქვე ანჯამების ჭრიალი გაისმა, ვიწრო ქუჩის მარცხენა მხარეს კარი გაიღო და იქიდან უხეშმა ხმამ დაიჩურჩულა:

– პოტერ, შემოდი, ჩქარა!

ჰარი უყოყმანოდ დაემორჩილა და რონთან და ჰერმიონთან ერთად ღია კარში შესხლტა.

– ზემოთ ადი, მოსასხამი არ მოიხსნა და ხმა არ ამოიღო! – ჩაიდუდუნა მაღალმა ფიგურამ, ქუჩაში გავიდა და კარი გაიჯახუნა.

თავიდან ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყვნენ, მაგრამ მერე ერთადერთი სანთლის მოცახცახე შუქზე „ღორის თავის“ ბინძური, ნახერხით მოფენილი ბარი დაინახა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა დახლს შემოურბინეს, მეორე გასასვლელით მორყეულ ხის კიბესთან მივიდნენ და სწრაფად აირბინეს. კიბიდან სასტუმრო ოთახში მოხვდნენ. ოთახის იატაკზე გაცრეცილი ხალიჩა ეფინა, პატარა ბუხრის თავზე ზეთის საღებავებით შესრულებული, დაბნეული გამომეტყველების საყვარელი ქერა გოგონას დიდი პორტრეტი ეკიდა.

ქვემოთ, ქუჩიდან, ყვირილი მოისმა. ჯერაც უჩინმაჩინის მოსასხამმოხურული სამეული ბინძურ ფანჯარას მივარდა. ერთადერთი უკაპიუშონო ფიგურა მათი მხსნელი იყო, რომელშიც ჰარიმ „ღორის თავის“ ბარმენი შეიცნო.

– მერე, რა? – კაპიუშონჩამოფარებულ სახეში შეჰყვიროდა ერთ-ერთ სიკვდილის მხვრელს, – მერე რა? ქუჩაზე დემენტორები გამომიგზავნეთ, პატრონუსი გამოვუშვი და უკან დავახევინე! თავი დამანებეთ! გეუბნები, დამანებეთ-მეთქი!

– ეგ შენი პატრონუსი არ იყო, – შეეპასუხა ერთი სიკვდილის მხვრელი, – ირემი იყო. პოტერის პატრონუსი!

– ირემიო? – გადაიხარხარა ბარმენმა და ჯოხი მოიმარჯვა, – შეხედე, შე ბრიყვო: ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხიდან უზარმაზარი რქოსანი ცხოველი გამოიჭრა, მთავარ ქუჩაზე გასრიალდა და გაქრა.

Scanned by CamScanner

– ეგ არ იყო, – თქვა სიკვდილის მხვრელმა, თუმცა ხმაში ნაკლები თავდაჯერება ეტყობოდა.

– კომენდანტის საათი დაირღვა. დავიჯერო, ხმაური არ გაგიგონია? – ახლა სხვა მიუბრუნდა ბარმენს, – ვიღაცამ წესი დაარღვია და ქუჩაში გამოვიდა...

– თუ კატის გარეთ გაგდება მინდა, გავაგდებ კიდევაც! ამოხვედით ყელში თქვენცა და თქვენი კომენდანტის საათიც!..

– ესე იგი, შენ გამო ჩაირთო კივილის შელოცვა?

– მერე, რა? აზკაბანში გამამწესებთ? ქუჩაში ცხვირის გამოყოფისთვის მომკლავთ? კი, ბატონო, თქვენი ნებაა! მაგრამ ალბათ, მაგ თქვენს შავ ნიშნებს მაინც არ დააწვებით და იმას არ გამოიძახებთ! რას იტყვით, ესიამოვნება, ჩემთვის და ჩემი ბებერი კატისთვის თუ შეაწუხებთ?

– ჩვენზე ნუ დარდობ, – უთხრა ერთმა სიკვდილის მხვრელმა, – შენს თავზე იდარდე, კომენდანტის საათის დამრღვევო!

– თუ ჩემი ბარი დაიხურა, შხამ-წამლებს სადღა გაყიდით? შემოსავალი რომ დაგეკარგებათ?

– კიდევაც გვემუქრები?

– პირში წყალი რომ მაქვს ჩაგუბებული, მაგიტომაც ეტანებით აქაურობას, ეგრე არ არის?

– ჰო, მაგრამ ის პატრონუსი ირემი იყო-მეთქი! – ისევ იყვირა პირველმა სიკვდილის მხვრელმა.

– თხა იყო, თხა, შე იდიოტო!

– კარგი, კარგი, შეგვშლია და ეგ არის, – წამოიძახა მეორე სიკვდილის მხვრელმა, – ოღონდ, წესს კიდევ ერთხელ თუ დაარღვევ, სეირს გაჩვენებთ!

სიკვდილის მხვრელები მთავარი ქუჩისკენ გატრიალდნენ. ჰერმიონმა შვებით ამოისუნთქა, მოსასხამის ქვეშიდან გამოძვრა და ფეხმორყეულ სკამზე ჩამოჯდა. ჰარიმ ფარდები ჩამოაფარა და მოსასხამი მოიხსნა. რონიც გამოჩნდა. გაიგონეს, როგორ ჩარაზა ბარმენმა კარი ურდულით და როგორ ამოუყვა კიბეს.

ჰარის ბუხრის თავზე მიყუდებულმა ნივთმა მოსტაცა თვალი: გოგონას პორტრეტის ქვეშ მომცრო, ოთხკუთხა სარკე იდო.

ბარმენი შემოვიდა.

– ოჰ, თქვე გამოთაყვანებულებო, – შესძახა მკვახედ და სამივენი შეათვალიერა, – რას ფიქრობდით, აქ რომ მოდიოდით?

– გმადლობთ, სიკვდილს გადაგვარჩინეთ! – უთხრა ჰარიმ, – ამ სიკეთეს, ალბათ, ვერასოდეს გადაგიხდით.

ბარმენმა რაღაც წაიბურტყუნა. ჰარი მიუახლოვდა და სახეში

Scanned by CamScanner

შეხედა, შეეცადა, მის გრძელ, თხელ ქაღარა თმა-წვერში სახე გაერ-ჩია. უცნობს სათვალის ჭუჭყიანი მინების უკან მოციმციმე, კაშკაშა ცისფერი თვალები მოუჩანდა.

– სარკეში თქვენს თვალს ვხედავდი ხოლმე.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარიმ და ბარმენმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

– თქვენ გამოგვიგზავნეთ დობი.

ბარმენმა თავი დაუქნია და თვალით ელფი მოძებნა.

– მეგონა, წამოიყვანდით. სად დატოვეთ?

– მოკვდა, – უთხრა ჰარიმ, – ბელატრისა ლესტრეინჯმა მოკლა.

ბარმენს სახეზე არაფერი დასტყობია. რამდენიმე წამის შემდეგ კი დანანებით თქვა:

– აფსუს, მომწონდა ეგ ელფი.

მერე შებრუნდა და ჯოხით ლამპები აანთო. სამეულს ზედაც არ უყურებდა.

– აბერფორტი ხართ, – უთხრა ჰარიმ კაცის ზურგს.

კაცი არც დაემოწმა და არც იუარა, ბუხრის ასანთებად დაიხარა.

– ეს საიდან გაქვთ? – ჰარიმ ბუხრის თავზე მიყუდებულ სარკეზე მიუთითა. იმ სარკის ტყუპისცალი იყო, რომელიც თითქმის ორი წლის წინ გაუტყდა.

– ერთი წელი იქნება, რაც მანდანგუსისგან ვიყიდე, – უპასუხა აბერფორტმა, – ალბუსმა მითხრა, რაც არის. ვცდილობდი, შენზე თვალი მჭეროდა.

რონმა პირი დააღო:

– ვერცხლისფერი ფურირემი! – წამოიძახა მღელვარებით, – ეგეც თქვენი იყო?

– რაზე მეუბნები? – ჰკითხა აბერფორტმა.

– ვილაცამ ფურირემი პატრონუსი გამოგვიგზავნა!

– რაღა შენ და რაღა სიკვდილის მხვრელები, შვილო! ამ წუთში არ გაჩვენეთ, რომ ჩემი პატრონუსი თხაა?

– აა, – შეცბა რონი, – ჰო, მართლა... იცით, მშია! – დაამატა მუცლის უეცარი ყურყურის გასამართლებლად.

– ახლავე გაჭმევთ რამეს, – აბერფორტი ოთახიდან გავიდა და ორიოდე წუთში დიდი მრგვალი პური, ყველი და თაფლუჭით სავსე კალის ტოლჩა შემოიტანა და ბუხრის პირას, პატარა მაგიდაზე დაალაგა.

სამივე ხარბად ეძგერა საჭმელ-სასმელს და ცოტა ხანს ღეჭვისა და ყლაპვის მეტი არაფერი ისმოდა.

– ახლა კი, – თქვა აბერფორტმა, როცა დანაყრებული ჰარი და

Scanned by CamScanner

რონი მთქნარებით გადანვნენ სკამებზე, – მოვიფიქროთ, აქედან როგორ გაგიყვანოთ. ღამით არაფერი გამოვა. ხომ გაიგონეთ, რაც ხდება, როცა ვინმე სიბნელეში გარეთ გადის: კივილის შელოცვა ჩაირთვება და ისე მოგესევიან, როგორც ტყისკაცუნები ნამისჭიებ-ის კვერცხებს. პატრონუს ირემს თხად მეორედ ველარ გავასალებ. ალიონამდე მოიცადეთ. როცა კომენდანტის საათი დამთავრდება, მოსასხამი გადაიფარეთ და ფეხით წადით. ჰოგსმიდიდან გააღწევთ, მთებში ახვალთ და იქ აპარაციას გამოიყენებთ. იქნებ ჰაგრიდიც ნახოთ. მას შემდეგ, რაც დაჭერა დაუპირეს, გრაუპთან ერთად გამო-ქვაბულში იმალება.

– აქედან არ მივდივართ, – თქვა ჰარიმ, – ჰოგვორტსში უნდა შევიდეთ.

– ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო? – გაოცდა აბერფორტი.

– აუცილებლად უნდა შევიდეთ, – გაიმეორა ჰარიმ.

– ახლა თქვენ ცხრა მთას იქით უნდა წახვიდეთ! – აბერფორტმა თვალებში ჩახედა ჰარის.

– ვერ გაგვიგეთ. დრო აღარ გვრჩება. ციხე-კოშკში უნდა შევიდეთ. დამბლდორს... უფრო სწორად, თქვენს ძმას, უნდოდა, რომ ჩვენ...

ბუხრის ალზე აბერფორტის სათვალის ჭუჭყიანი მინები უეცრად დაიბურა, თეთრად გამოანათა და ჰარის გოლიათი ობობას, არაგოგის თვალები გაახსენა.

– ჩემს ძმას, ალბუსს, ათასი რამე უნდოდა, – თქვა აბერფორტმა, – არადა, სანამ ის თავის უდიდეს გეგმებს ასხამდა ხორცს, დანარჩენ-ებს ხან რა უშავდებოდათ, ხან – რა. მოშორდი ამ სკოლას, პოტერ, და თუ შეგიძლია, ამ ქვეყანასაც. დაივიწყე ჩემი ძმაც და მისი ჭკვიანური გეგმებიც. ის იქ ნავიდა, სადაც აღარაფერი დაუშავდება, შენ კი მისი არაფერი გმართებს.

– თქვენ ვერ გაიგეთ, – გაუმეორა ჰარიმ.

– ვითომ? – წყნარად ჰკითხა აბერფორტმა, – მაშ, ჩემი ძმისა არ მესმის? გგონია, ალბუსს ჩემზე კარგად იცნობდი?

– ეგ არ მიგულისხმია, – ჰარი გრძნობდა, როგორ უნელებდა ფიქრს დაღლილობა და სავსე კუჭი, – მან... საქმე დამიტოვა.

– მართლა? – ხმაში ირონია შეეპარა აბერფორტს, – ალბათ, სასია-მოვნო საქმეა, არა? იოლი? ისეთი, რომ დამწყებ ჯადოქარსაც არ გაუჭირდება?

რონს მწარედ გაეცინა. ჰერმიონი დაიძაბა.

– არა... ადვილი არ არის, – უთხრა ჰარიმ, – მაგრამ აუცილებლად უნდა გავაკეთო...

– ვითომ, რატომ? – უხეშად იკითხა აბერფორტმა, – ალბუსი

Scanned by CamScanner

მოკვდა, ბიჭო! ჰოდა, მისი დანაბარების შესრულებას მოეშვი, სანამ შენც უკან მიჰყოლიხარ! თავს უშველე!

– არ შემიძლია.

– რატომ?

– მე... – ჰარი გაოგნებული იყო; აბერფორტს ვერაფერს აუხსნიდა, ამიტომ შეუტია, – თქვენც ხომ იბრძვით, ფენიქსის ორდენში ხართ...

– ვიყავი, – თქვა აბერფორტმა, – ფენიქსის ორდენი დაიშალა. ჩვენ-რომ-ვიცით, იმან გაიმარჯვა, მორჩა! ვისაც სხვანაირად ჰგონია, თავს იტყუებს. ის ისე გამალებით დაგეძებს, აქ ვერ გაჩერდები, პოტერ. უცხოეთში წადი, დაიმალე, თავს უშველე. ესენიც თან წაიყვანე, – რონსა და ჰერმიონზე ცერით ანიშნა, – მთელი სიცოცხლე არ მოასვენებენ იმის გამო, რომ შენთან ერთად მუშაობდნენ.

– ვერ წავალ, – უთხრა ჰარიმ, – საქმე მაქვს...

– სხვას გადააბარე!

– ვერა. ჩემი გასაკეთებელია. დამბლდორმა ყველაფერი ამიხსნა...

– მართლა? მაშ, ყველაფერი აგიხსნა? ბოლომდე გულახდილი იყო შენთან?

ჰარის სულითა და გულით უნდოდა ეთქვა, დიახო, მაგრამ ეს უბრალო სიტყვა ვერა და ვერ ამოთქვა. აბერფორტი, ეტყობა, მიუხვდა.

– მე ვიცნობდი ჩემს ძმას, პოტერ. დედის რძესთან ერთად შეითვისა ჩუმჩუმელაობა. ბავშვობიდანვე საიდუმლოებებითა და სიცრუით ვიყავით მოცულები. მერე, ალბუსს საიდუმლოებები როგორ ეხერხებოდა!

ბერიკაცმა ბუხრის თავზე დაკიდებულ გოგონას პორტრეტზე გადაიტანა მზერა. ჰარი ახლაღა დააკვირდა ოთახში არსებულ ერთადერთ სურათს. აქ არც ალბუს დამბლდორის ფოტოსურათი იყო და არც სხვა ვინმესი.

– ბატონო დამბლდორ, ეს თქვენი დაა? არიანა? – მღრიდებით იკითხა ჰერმიონმა.

– დიახ, – მოკლედ მოუჭრა აბერფორტმა, – რიტა სკიტერის წიგნი წაიკითხე, გოგონი?

ცეცხლის ალისფერ შუქზეც კი გამოჩნდა, როგორ აილეწა ჰერმიონი.

– ელფიას დოჯმა ახსენა, – გამოესარჩლა ჰარი.

– ეგ ბებერი ბრიყვი, ეგა, – წაიდუდუნა აბერფორტმა და თაფლუჭის დიდი ყლუპი გადაჰკრა, – ეგონა, ჩემი ძმა სისპეტაკისა და პატიოსნების განსახიერება იყო. თუმცა, ასე სხვა ბევრსაც ეგონა და, როგორც გატყობთ, თქვენც.

ჰარი ჩუმად იყო. არ უნდოდა, გამოემჟღავნებინა თავისი ეჭვე-

Scanned by CamScanner

ბი, რაც რამდენიმე თვეა, აწვალებდა. საბოლოო არჩევანი დობის საფლავის თხრისას გააკეთა. გადაწყვიტა, ალბუს დამბლდორის მითითებულ დაკლაკნილ, სახიფათო გზას გაჰყოლოდა, გული არ მოსვლოდა იმაზე, რომ რისი გაგებაც უნდოდა, ბოლომდე არ უთხრეს და უბრალოდ მინდობოდა დამბლდორს. ახლა არ უნდოდა, ისევ ეჭვს აჰყოლოდა; არ უნდოდა, ისეთი რამ გაეგო, რაც მიზნიდან გადაახვევინებდა. თვალი გაუსწორა აბერფორტის თვალებს, რომლებიც ზუსტად ძმის მსგავსად მიშტერებოდა ჰარის: გეგონება, რენტგენის სურათს უღებსო. ჰარის გაუელვა, აბერფორტმა იცის, რასაც ვფიქრობო, და უცებ ამის გამო მის მიმართ ზიზღი იგრძნო.

– პროფესორ დამბლდორს ძალიან უყვარდა ჰარი, – ხმადაბლა თქვა ჰერმიონმა.

– მართლა? – გაიმეორა აბერფორტმა, – რა სასაცილოა, რომ ბევრი, ვინც ჩემს ძმას უყვარდა, იმაზე უარეს დღეში ჩაცვივდა, ვიდრე მაშინ იქნებოდა, მათთვის თავი საერთოდ რომ დაენებებინა.

– რას გულისხმობთ? – სუნთქვა შეეკრა ჰერმიონს.

– რა მნიშვნელობა აქვს, – თქვა აბერფორტმა.

– ჰო, მაგრამ ეგ ხომ სახუმარო არ არის! – არ მოეშვა ჰერმიონი, – თქვენს... თქვენს დას გულისხმობთ?

აბერფორტმა ჰერმიონს შეხედა და ტუჩები მაგრად მოკუმა, თითქოს პირზე მომდგარი სიტყვების უკან ჩაბრუნება უნდოდა. მაგრამ მერე ერთბაშად ალაპარაკდა:

– ჩემი და ექვსი წლისა იყო, როცა სამი მაგლი ბიჭი დაესხა თავს. უკანა ბაღის ღობიდან დაინახეს, როგორ ჯადოქრობდა: პატარა იყო და, როგორც მაგ ხნის ყველა ჯადოქარი, თავს ვერ აკონტროლებდა. ამის დანახვაზე მაგლები, ალბათ, დაფრთხნენ, თან დაინტერესდნენ. ღობეზე გადაძვრნენ და როცა არიანამ „ფოკუსი" ვეღარ უჩვენა, მეტ-ისმეტად ეცადნენ, რომ იმ „პატარა გიჟს" ამნაირი რამე აღარ ჩაედინა.

ჰერმიონის გაფართოებული თვალები უზარმაზარი ჩანდა ცეცხლის შუქზე; რონს ავადმყოფივით დაჰკარგვოდა ფერი. უეცრად გაბრაზებული აბერფორტი წამოდგა. ალბუსივით მაღალი იყო.

– ამ ამბავმა ბოლო მოუღო და ვეღარც გამოკეთდა. ვეღარ ჯადოქრობდა, თუმცა ეს ძალა ბოლომდეც ვერ მოიშორა; შიგნით ჩაუბრუნდა და გააგიჟა. როცა თავს ვერ ერეოდა, ამ ძალას გამოაფრქვევდა ხოლმე და უცნაური და საშიში ხდებოდა. სხვა დროს კი საყვარელი, დამფრთხალი და უწყინარი გოგონა იყო. მამაჩემი იმ გარენრებს დაედევნა და დასაჯა. ამის გამო აზკაბანში გამოამწყვდიეს. მას არ უთქვამს, რატომ მოიქცა ასე, იმიტომ, რომ თუ სამინიტროში შეიტყობდნენ, რა დაემართა არიანას, სამუდამოდ წმინდა

Scanned by CamScanner

მუნგოს კლინიკაში გამოკეტავდნენ. იფიქრებდნენ, რომ გოგონა საფრთხეს უქმნიდა საიდუმლოების საერთაშორისო კანონის დაცვას, რადგან როცა გაუნონასნორებელ ძალას ველარ ერეოდა, ელვასავით აფრქვევდა. არიანას კი სიმშვიდე და უსაფრთხოება სჭირდებოდა. ამიტომაც საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალეთ და ხმა დავაგდეთ, თითქოს არიანა ავად იყო. მას დედაჩემი უვლიდა, ცდილობდა, მშვიდი გარემო შეექმნა და არაფრით გაეღიზიანებინა.

აბერფორტმა ნერწყვი გადაყლაპა და ამოიოხრა.

– მე ძალიან ვუყვარდი, – თქვა რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ და წამიერად, ნაოჭებისა და აბურდული წვერის მიუხედავად, ფეთხუმ მოწაფეს დაემგვანა, – ალბუსი კი – არა. შინ ყოფნისას ალბუსი სულ თავის ოთახში იჯდა, კითხულობდა, პრიზებს ითვლიდა და „დღევანდელობის ყველაზე განთქმულ ჯადოქრებთან" მიმოწერას უნდებოდა. დის პრობლემებით თავის შეწუხება არ ნებავდა. ამიტომაც არიანასაც მე უფრო ვუყვარდი. იმდენად, რომ, როცა დედაჩვენის ხვეწნა-მუდარაც კი არ ჭრიდა, მე შემეძლო მისთვის მეჭმია და აფორიაქებული დამეწყნარებინა, ხოლო როცა მშვიდად იყო, თხების დაპურებაში მეხმარებოდა... ერთხელ, როცა არიანა თოთხმეტი წლისა იყო... მე მაშინ იქ არ ვიყავი... იქ რომ ვყოფილიყავი, დავანყნარებდი. ვიცოდი, როგორც უნდა დამემშვიდებინა... ჰოდა, ეტყობა, უცებ მრისხანებამ წამოუარა. დედაჩემი ახალგაზრდა აღარ იყო... არიანა ხომ ძალას ვერ ზომავდა და... შემთხვევით დედაჩემი შემოაკვდა.

ჰარიმ საშინელი, ზიზღნარევი სიბრალული იგრძნო; აღარაფრის გაგონება არ უნდოდა, მაგრამ აბერფორტი მოყოლას განაგრძობდა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ რამდენი ხანია, ამაზე არ ულაპარაკია; ან საერთოდაც, როდისმე ულაპარაკია თუ არაო.

– ალბუსსა და პატარა დოჯს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა ჩაეშალათ. ორივენი ჩამოვიდნენ დედაჩემის დაკრძალვაზე, მერე დოჯი მარტო გაემგზავრა, ალბუსი კი შინ დაფუძნდა, როგორც ოჯახის უფროსი. ჰა, ჰა, ჰა!

აბერფორტმა ცეცხლში ჩააფურთხა.

– ვუთხარი, მე მივხედავ, სკოლა არ მედარდება, შინ დავრჩები და მოვუვლი-მეთქი. ალბუსმა კი მომახსენა, შენ სკოლა უნდა დაამთავრო, დედას კი მე შევცვლიო. მისმა ბრწყინვალებამ დაბლა დაშვება იკადრა: ნახევრად გიჟი დის მოვლაში პრიზებს არავინ იძლევა; არც იმაში, რომ ყოველ ცისმარე დღეს იმას ცდილობ, შენმა დამ როგორმე სახლი არ გადაწვას. ისე კი, გულწრფელად რომ ვთქვა, რამდენიმე კვირას მართლაც რიგიანად უვლიდა... სანამ ის არ ჩამოვიდა.

აბერფორტს სახეზე საშიშმა იერმა გადაჰკრა.

Scanned by CamScanner

– გრინდელვალდი. ჩემს ძმას ეშველა და მეზობლად თავისი ტოლი და სწორი გაიჩინა – მასავით ნიჭიერი და ჭკვიანი. რაღა დროს არიანას მოვლა იყო, როცა ახალ „ჯადოქართა ორდენის“ შექმნას გეგმავდნენ და რაღაც „საჩუქრებს“ ეძებდნენ. ჩემს ძვირფას ძმას სხვა ასე რა დააინტერესებდა! ჯადოქართა მოდგმის კეთილდღეობის გეგმებს აწყობდნენ და დიდი ამბავი, თუ ერთ პატარა გოგოზე აღარ იფიქრებდნენ: ალბუსი ხომ „დიდი სიკეთისთვის“ იღვწოდა! მაგრამ ეს ყველაფერი რამდენიმე კვირაში ყელში ამომივიდა. ჰოგვორტსში ჩემი წასვლის დრო ახლოვდებოდა და ორივეს პირში მივახალე, აი ისე, როგორც თქვენ გეუბნებით, – ჰარიმ აბერფორტს შეხედა და იოლად წარმოიდგინა, როგორ აექოჩრა ბრაზიანი ყმაწვილი უფროს ძმას, – სადმე წასვლას თუ აპირებ, არიანას თავი დაანებე, ვერსად ვერ წაიყვან-მეთქი; ხომ ხედავ, არ შეუძლია! ვერ წამოვა, ძალიანაც რომ მოინდომო, ეგ შენი ჭკვიანური სიტყვები იძახო და თავი შეიგულიანომეთქი. ჩემი ნათქვამი ალბუსს დიდად არ ეპიტნავა, გრინდელვალდი ხომ საერთოდ გააცეცხლა. მითხრა, შენ სულელი ლაწირაკი ხარ, ცდილობ, მე და შენს ბრწყინვალე ძმას წინ გადაგვიდგე და არ გესმის, რომ შენს საწყალ დას დამალვა აღარ დასჭირდება მას მერე, რაც სამყაროს შევცვლით და ჯადოქრებს სამალავიდან გამოვიყვანთ, მაგლებს კი თავიანთ ადგილს მივუჩენთო?

აბერფორტს სათვალის მინებზე აციალებულმა ცეცხლის შუქმა თვალები ცოტა ხნით დაუხუჭა, მინები ისევ გათეთრდა და დაიბინდა.

– შევკამათდით... მე ჯოხი ამოვიღე, გრინდელვალდმაც. და ჩემი ძმის საუკეთესო მეგობარმა კრუციატუსის წყევლა მომივლინა... ალბუსი მის შეჩერებს შეეცადა და შედეგად სამივენი ბრძოლაში ჩავებით. შუქის გაელვებამ და ჭექა-ქუხილმა არიანა ააღელვა, ვერ აიტანა...

აბერფორტს ფერი წაუვიდა, თითქოს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენესო.

– მგონი, შველას აპირებდა, მაგრამ სინამდვილეში ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა. არ ვიცი, რომელმა ჩაიდინა ეს... ჩვენ სამიდან ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო... არიანა მოკვდა.

ბოლო სიტყვაზე აბერფორტს ხმა ჩაუწყდა და უახლოეს სავარძელში მოწყვეტით ჩაეხეთქა. ჰერმიონს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, რონს ლამის აბერფორტივით წასვლოდა ფერი. ჰარის გულისრევის შეგრძნება ჰქონდა და ნატრობდა, ნეტავ ეს ამბავი გონებიდან ამომარეცხვინაო.

– რა... რა სამწუხაროა, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– წავიდა, – ამოიხრიალა აბერფორტმა, – სამუდამოდ წავიდა, – მერე ცხვირი სახელოზე გაისვა და ჩაახველა:

Scanned by CamScanner

– ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გრინდელვალდმა მოუსვა. თავის ქვეყანაში ისედაც არაერთი სისაძაგლე ჰქონდა ჩადენილი და არ უნდოდა, არიანას სიკვდილიც დამატებოდა. სამაგიეროდ, ალბუსი გათავისუფლდა: არიანა ტვირთად აღარ ანვა და ხელს აღარ უშლიდა, რომ უდიდესი ჯადოქარი გამხდარიყო...

– არ გათავისუფლებულა, – შეაწყვეტინა უცებ ჰარიმ.

– რა ბრძანე? – ჰკითხა აბერფორტმა.

– არასოდეს, – განაგრძო ჰარიმ, – იმ ღამით, სანამ თქვენი ძმა მოკვდებოდა, შხამი დალია და ჭკუაზე გადასული ვიღაცას ყვირილით ემუდარებოდა, მათ არაფერი დაუშავო, გთხოვ, ჩემი ბრალია, ჩემზე იყარე ჯავრიო.

რონი და ჰერმიონი ჰარის მიაშტერდნენ. ჰარის არასოდეს მოუყოლია დაწვრილებით, რა მოხდა ტბის შუაგულში მდებარე კუნძულზე. ჰოგვორტსში მისი და დამბლდორის დაბრუნების შემდეგ დატრიალებულმა მოვლენებმა ტბის ამბავი სრულიად დაჩრდილა.

– ეგონა, ისევ თქვენთან და გრინდელვალდთან იყო, – ჰარის გაახსენდა, როგორ ქვითინებდა და იხვეწებოდა დამბლდორი, – ეგონა, უყურებდა, როგორ გაწამებდათ გრინდელვალდი თქვენ და არიანას... იტანჯებოდა. რომ გენახათ, ველარ იტყოდით, გათავისუფლდაო.

აბერფორტი დაკვირვებით დასცქეროდა თავის დაძარღვულ ხელებს. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ წაიჩურჩულა:

– რატომ ხარ დარწმუნებული, პოტერ, რომ ჩემს ძმას თავისი „დიდი სიკეთე" უფრო არ აინტერესებდა, ვიდრე – შენ? საიდან იცი, რომ არიანასავით უმნიშვნელო არ იყავი მისთვის?

ჰარის თითქოს ყინულის ნატეხი ჩაერჭო გულში.

– არა მჯერა. დამბლდორს ჰარი უყვარდა, – თქვა ჰერმიონმა.

– მაშ, რატომ არ ურჩია, დაიმალეო? – შეეპასუხა აბერფორტი, – რატომ არ უთხრა, თავს მიხედე, ასე და ასე მოიქეცი და გადარჩებიო?

– იმიტომ, რომ, – ჰერმიონს დაასწრო პასუხი ჰარიმ, – ზოგჯერ თავის გადარჩენაზე კი არა, სხვა რამეზე უნდა იფიქრო! სწორედ რომ დიდ სიკეთეზე უნდა იფიქრო! ეს ომია!

– შენ კი ჩვიდმეტისა ხარ, ბიჭო!

– უკვე სრულწლოვანი ვარ და მაინც ვიბრძოლებ, თუნდაც თქვენ იარაღი დაყაროთ!

– ვინ ამბობს, რომ იარაღი დავყარე?

– „ფენიქსის ორდენი დაიშალა", – გამოაჯავრა ჰარიმ, – „ჩვენ-რომ-ვიცით, იმან გაიმარჯვა, მორჩა! ვისაც სხვანაირად ჰგონია, თავს იტყუებს".

– იმას როდი ვამბობ, მომწონს-მეთქი, მაგრამ ეს მართლაც ასეა.

Scanned by CamScanner

– არ არის, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – თქვენმა ძმამ იცოდა, როგორ უნდა მოელოს ბოლო ჩვენ-რომ-ვიცით, იმას და ეს მეც მასწავლა. მანამ უნდა ვიბრძოლო, სანამ არ გავიმარჯვებ ან არ მოვკვდები. არ გეგონოთ, არ ვიცოდე, როგორ შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი. უკვე დიდი ხანია, ვიცი.

ჰარი ელოდა, რომ აბერფორტი დასცინებდა ან შეეკამათებოდა, მაგრამ მოხუცს არაფერი უთქვამს, უბრალოდ სავარძელში შეტოკდა.

– ჰოგვორტსში უნდა შევაღწიოთ, – ისევ თქვა ჰარიმ, – თუ ვერ დაგვეხმარებით, ალიონამდე მოვიცდით, მერე კი აქედან წავალთ და ვეცდებით, ჩვენ თვითონ ვიპოვოთ გზა. ხოლო, თუ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ... მაშინ, გვითხარით.

გაშეშებული აბერფორტი რამდენიმე წამს ხმის ამოუღებლად იჯდა. ბოლოს ჩაახველა, წამოდგა, პატარა მაგიდას შემოუარა და არიანას პორტრეტთან მივიდა.

– ხომ იცი, რაც უნდა ქნა? – უთხრა პორტრეტს.

არიანას გაეღიმა და წავიდა, ოლონდ, ჩარჩოს ცალი მხრიდან კი არა, როგორც ჩვეულებრივ, პორტრეტებიდან გადიან ხოლმე, არამედ თავის უკან დახატულ გრძელ გვირაბს გაუყვა. უყურებდნენ, როგორ მიდიოდა მისი თხელი ფიგურა, სანამ ბოლოს სიბნელემ არ შთანთქა.

– ეე... ეს რა არის? – დაიწყო რონმა.

– შესვლა ერთადერთი გზით შეიძლება, – თქვა აბერფოტრმა, – ჰოგვორტსში შესასვლელი ძველი საიდუმლო გზები ორივე მხრიდან დალუქეს, გალავნის გასწვრივ დემენტორები დააყენეს, სკოლაში კი რეგულარული პატრულირებაა, ჩემი ინფორმატორებისგან ვიცი. იქაურობა ასე დაცული თავის დღეში არ ყოფილა. მაგრამ მაინც რომ შეძლო შესვლა, არ ვიცი, რას მოახერხებ – იქაურობა სნეიპს აბარია და მოადგილეებად კეროუები ჰყავს... თუმცა, რადგან ამბობ, მზად ვარ, მოვკვდეო...

– ჰო, მაგრამ... – თქვა ჰერმიონმა და შუბლშეჭმუხნილმა გახედა არიანას პორტრეტს.

ნახატი გვირაბის ბოლოში პაწაწინა თეთრი წერტილი გამოჩნდა. მათკენ მომავალი არიანას ფიგურა თანდათან იზრდებოდა. უკან ვიღაც მაღალი კაცი მოსდევდა. უცნობი დაქანცული და აღელვებული ჩანდა. ფიგურები იზრდებოდა და იზრდებოდა, სანამ მათმა თავებმა და მხრებმა მთელი პორტრეტი არ აავსო.

მერე პორტრეტი პატარა კარივით გასრიალდა კედელზე და ნამდვილ გვირაბში შესასვლელი გამოჩნდა. გვირაბიდან თმააბურდული, სახედაკაწრული, მანტიადაგლეჯილი ნევილ ლონგბოტომი გადმობობღდა და სიხარულით შეჰყვირა:

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი! ვიცოდი, ჰარი!

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეცხრე

დაკარგული დიადემა

– ნევილ... რა ხდება?.. აქ საიდან გაჩნდი?..

მაგრამ ამ დროს ნევილმა რონი და ჰერმიონი შეამჩნია და მონატრებულ მეგობრებს სიხარულის ყიჟინით გადაეხვია. ჰარი ნევილს კარგად დააკვირდა და გულს შემოეყარა: ცალი თვალი ლურჯ-ყვითლად გასივებოდა, სახეზე ნაჭრილობევები აჩნდა, ისეთი მოუვლელი იყო, რომ მაშინვე მიხვდებოდი, რამდენი რამ გადაეტანა, თუმცა, ნაცემ-ნაბეგვი სახე ბედნიერებით უბრწყინავდა. ნევილმა ჰერმიონს ხელი გაუშვა და გაიმეორა:

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდით! სიმუსს სულ ვეუბნებოდი, როცა იქნება, მოვლენ-მეთქი!

– ნევილ, რა დაგემართა?

– რა? ეს? – ნევილმა უდარდელად გაიქნია თავი, – ეს რა არის, სიმუსი უარესადაა. ნახავთ. წავედით? ჰო, მართლა, – აბერფორტს მიუბრუნდა, – აბ, ერთი-ორი კაციც მოვა.

– ერთი-ორიო? მთელ სოფელში კომენდანტის საათია და კივილის ჯადო მოქმედებს!

– ვიცი, მაგიტომაც პირდაპირ ბარში მოახდენენ აპარაციას, – თქვა ნევილმა, – როცა მოვლენ, მაშინვე გამოგზავნე, კარგი? დიდი მადლობა.

ნევილმა ჰერმიონს ხელი გაუწოდა, ბუხრის თავზე აიყვანა და გვირაბში შეუშვა; გოგონას რონი და თვითონ ნევილიც მიჰყვნენ. ჰარი აბერფორტს მიუბრუნდა:

– არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. ორჯერ გადაგვარჩინეთ სიკვდილს.

– ჰოდა, თავს მიხედეთ, – პირქუშად უთხრა აბერფორტმა, – მესამედ რომ ვეღარ გადაგარჩინოთ?!

Scanned by CamScanner

ჰარი ბუხრის თავზე ავიდა და არიანას პორტრეტის უკან გვირაბში შეძვრა. გვირაბს ქვის გლუვი საფეხურები მიუყვებოდა. შესასვლელი კარგა ძველი ჩანდა. კედლებზე ბრინჯაოს ლამპები ეკიდა, მინური იატაკი გატკეპნილი იყო; მიმავალთა ჩრდილები კედელზე მარაოსავით იშლებოდა.

– რამდენი ხანია, რაც ეს შესასვლელი არსებობს? – იკითხა რონმა გზაში, – ონავართა რუკაზე აღნიშნული არ არის, არა, ჰარი? მე მეგონა, სკოლაში შვიდ შესასვლელზე მეტი არ იყო.

– შვიდივე სნაელის დაწყებამდე დახურეს, – აცნობა ნევილმა, – ცხვირს ველარ შეყოფ, შესასვლელებს ჯადო დაადეს, გამოსასვლელებში კი სიკვდილის მხვრელები და დემენტორები პატრულირებენ, – ნევილი მათკენ მოტრიალდა და უკან-უკან სიარულით გააგრძელა გზა, – ეგ არაფერი... მომიყევით, რა, მართლა შეხვედით გრინგოტსში? მართლა დრაკონით გამოიქეცით? ყველა მაგაზე ლაპარაკობს, ტერი ბუტი დიდ დარბაზში სადილობისას გაჰყვიროდა თქვენს ამბავს და კეროუმ სცემა.

– ჰო, მართალია, – უთხრა ჰარიმ.

ნევილს აღტაცებული სიცილი აუტყდა.

– დრაკონს რაღა უყავით?

– გავუშვით, – უთხრა რონმა, – თუმცა, ჰერმიონი იძახდა, დავიტოვოთო!

– ნუ ამეტებ, რონ...

– და იქ რა გინდოდათ? ამბობენ, რომ იქ დამალვას აპირებდით, მაგრამ არ დავიჯერე. ჩემი აზრით, რაღაცას ეძებდით.

– მართალი ხარ, – მიუგო ჰარიმ, – მაგრამ ჯერ ჰოგვორტსის ამბები გვითხარი, ნევილ. არაფერი არ ვიცით.

– აბა, რა გითხრათ... ჰოგვორტსი ჰოგვორტსს აღარ ჰგავს, – სახეზე ღიმილი ჩაუქრა ნევილს, – კეროუები გაგიგონიათ?

– იმ სიკვდილის მხვრელებზე ამბობ, აქ რომ ასწავლიან?

– ასწავლიან და მეტიც, – უთხრა ნევილმა, – დისციპლინა სულ მაგათ აბარია. კეროუებს დასჯა უყვართ.

– ამბრიჯიკით?

– ამბრიჯი მაგათთან რას მოვა! სხვა მასწავლებლებს ნაბრძანები აქვთ, თუ რამეს დავაშავებთ, დასასჯელად კეროუებთან გაგვგზავნონ, მაგრამ, თუ შესაძლებლობა აქვთ, ცდილობენ, მათ სასჯელს აგვარიდონ. მგონი, იმათაც ჩვენსავით ეჯავრებათ. ის ტიპი, ამიკუსი, ვითომ ბნელი ძალებისგან თავდაცვას გვასწავლის, ოღონდ ახლა ნამდვილად „ბნელი ძალებია“. თუ ვინმეა დასასჯელი, იმათზე ვვარჯიშობთ კრუციატუსის წყევლაში...

Scanned by CamScanner

– რაო?

ჰარის, რონისა და ჰერმიონის აღშფოთებული შეძახილი გვირაბის თავ-ბოლოდან ექოდ გაისმა.

– ჰო, – თქვა ნევილმა, – სულ მაგ წყევლის ბრალია, – და ლოყაზე ყველაზე ღრმა ნაჭრილობევზე მიუთითა, – იმიტომ მაქვს, რომ ვუთხარი, არ გავაკეთებ-მეთქი. ისე, ზოგიერთებს ძალიანაც მოსწონთ. კრაბი და გოილი ამის დიდი მოყვარულები არიან. მგონი, პირველად ხდება, რომ რაღაც საგანში თავი გამოიჩინეს... ალექტო, ამიკუსის და, მაგლთმცოდნეობას გვასწავლის. ეს საგანი ახლა ყველასთვის სავალდებულოა. ყველამ უნდა იცოდეს, რა პირუტყვები, ბრიყვები და ბინძურები არიან მაგლები; რა ცუდად ექცეოდნენ ჯადოქრებს; როგორ აიძულეს, დამალულიყვნენ და როგორ ხდება ახლა სამართლიანობის აღდგენა. ეს კი, – მეორე ნაჭრილობევზე მიუთითა ნევილმა, – მაშინდელია, როცა ვკითხე, თქვენ და თქვენს ძმას რამდენი მაგლური სისხლი გირევიათ-მეთქი.

– კარგი რა, ნევილ, შენც გიპოვია ხუმრობის ადგილი! – უთხრა რონმა.

– აბა, მოგესმინა, – შეეპასუხა ნევილი, – ვერც შენ აიტანდი. მთავარი ისაა, რომ, როცა ვინმე შეწინააღმდეგებას გაბედავს, სხვებსაც იმედი ეძლევათ. ეს მაშინ შევამჩნიეთ, როცა შენ ეწინააღმდეგებოდი, ჰარი.

– ჰო, მაგრამ ეს მეტისმეტია! – ამოიოხრა რონმა, როცა ლამპას ჩაუარეს და ნევილის ნაიარევები უფრო მკვეთრად გამოჩნდა.

ნევილმა მხრები აიჩეჩა.

– ეგ არაფერი. მაინცდამაინც ბევრი წმინდა სისხლის დაღვრა არ უნდათ, ამიტომ ცოტ-ცოტას გვაწამებენ ხოლმე. უფრო მაშინ, როცა ზედმეტს ვლაპარაკობთ. სინამდვილეში, მოკვლას არ გვიპირებენ.

ჰარიმ არ იცოდა, რა უფრო უარესი იყო: ის, რასაც ნევილი ჰყვებოდა, თუ ის უდარდელი ტონი, რომლითაც ჰყვებოდა.

– ნამდვილ გასაჭირში ისინი არიან, ვისი ნათესავ-მეგობრებიც ამათ ხელს უშლიან. ასეთები მძევლებად აჰყავთ. ქსენო ლავგუდი „ქარაგმებში“, ცოტა არ იყოს, გულახდილ სტატიებს აქვეყნებდა, ამის გამო საშობაო არდადეგებზე მიმავალი ლუნა მატარებლიდან გაიტაცეს.

– ნევილ, ლუნა კარგად არის, ვნახეთ...

– ჰო, ვიცი, შემატყობინა.

ნევილმა ჯიბიდან ოქროს მონეტა ამოიღო. ის ყალბი გალეონი აღმოჩნდა. ასეთებს „დამბლდორის არმია“ ერთმანეთისთვის ხმის მისაწვდენად იყენებდა.

Scanned by CamScanner

– რა მაგარი რამე გამოდგა, – შეჰღიმა ნევილმა ჰერმიონს, – კეროუები ვერაფრით ვერ მიხვდნენ, როგორ ვუკავშირდებოდით ერთმანეთს, კინაღამ გაგიჟდნენ. ღამღამობით გამოვიპარებოდით ხოლმე და კედლებზე ვწერდით: „დამბლდორის არმია მოხალისეებს იწვევს“. სულ ასე ვიქცეოდით. სნეიპი ლამის გაცოფდა.

– იპარებოდით? – ჰარიმ ყურადღება მიაქცია, რომ ნევილი წარსულ დროში ლაპარაკობდა.

– ჰო, თანდათან გაძნელდა, – თქვა ნევილმა, – შობას ლუნა დავკარგეთ, აღდგომის მერე ჯინი შინიდან აღარ დაბრუნებულა. არადა, მოთავეები ჩვენ სამნი ვიყავით. კეროუები ხვდებოდნენ, რომ ამ საქმის უკან მეც ვიდექი და ძალიან შემავიწროეს. მერე მაიკლ კორნერი დაიჭირეს, როცა მიჯაჭვული პირველკურსელების გათავისუფლებას ცდილობდა და მაგრად აწამეს. ჰოდა, სტუდენტები დაფრთხნენ.

– აბა, რა იქნებოდა!.. – წაიბუტბუტა რონმა. გვირაბში აღმართი დაიწყო.

– ჰო. დანარჩენებსაც მაიკლის დღეში ხომ არ ჩავყრიდი? ამიტომ ამ ფოკუსებს თავი დავანებეთ. ბრძოლა განვაგრძეთ, მაგრამ ახლა იატაკქვეშ. ასე გრძელდებოდა, სანამ ორი კვირის წინ არ მიხვდნენ, რომ ერთი რამით თუ შემაჩერებდნენ და ბებიაჩემს მიადგნენ.

– რაო? – ერთად შესძახეს ჰარიმ, ჰერმიონმა და რონმა.

– ჰო, – მიუგო ნევილმა ქოშინით, რადგან უკვე ციცაბო აღმართზე ადიოდნენ, – ხომ გესმით, რაც აქვთ გუნებაში. კარგადაც გამოსდით: ბავშვებს იტაცებენ და შეშინებული ნათესავები წესიერად იქცევიან. ცოტაც და, ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდებოდა, – ნევილი ისევ შემობრუნდა და ჰარი მისი ღიმილის დანახვამ გააოცა, – მაგრამ ბებიაჩემი ყელში გაეჩხირათ. იფიქრეს, საწყალი დედაბერია, მარტო ცხოვრობს და მნიშვნელოვანი ჯადოქრის გაგზავნა რაში გვჭირდებაო... – ნევილს გაეცინა, – შედეგად ის უბედური დოულიში ახლაც წმინდა მუნგოს კლინიკაში ნევს, ბებია კი გაქცეულია. წერილი გამომიგზავნა, – მანტიის გულისჯიბეზე დაიკრა ხელი, – მწერს, შენით ვამაყობ, შენი მშობლების ღირსეული შვილი ხარ და ასე გააგრძელეო.

– მაგარია, – თქვა რონმა.

– ჰო, – მხიარულად მიუგო ნევილმა, – ოღონდ, მიხვდნენ, რომ ვერაფერს მომიხერხებდნენ და ეტყობა დაასკვნეს, ჰოგვორტსი უამისოდაც გაძლებსო. არ ვიცი, მოკვლას მიპირებდნენ თუ აზკაბანში გაგზავნას, მაგრამ ვიფიქრე, გაქრობის დროა-მეთქი.

– ჰო, მაგრამ, – მთლად დაიბნა რონი, – ჩვენ ახლა ჰოგვორტსში არ მივდივართ?

Scanned by CamScanner

– რა თქმა უნდა, – მიუგო ნევილმა, – ახლავე დარნმ-უსცებით უკვე მოვედით.

შეუხვიეს და მათ წინ გვირაბის ბოლოც გამოჩნდა. ერთი მოკლე კიბე ზუსტად ისეთ კართან ადიოდა, როგორიც არიანას პორტრეტში იყო დამალული. ნევილმა კარი გამოაღო და ააბიჯა. მას ჰარი მიჰყვა და გაიგონა, როგორ დაუძახა ნევილმა ვიღაცეებს:

– ნახეთ, ვინ მოვიდა! ხომ გეუბნებოდით!

ჰარი გვირაბის უკან მდებარე ოთახში შევიდა თუ არა, რამდენიმე ადამიანის კივილი და ღრიალი გაისმა:

– ჰარი!

– პოტერია, პოტერი!

– რონ!

– ჰერმიონ!

ფერად-ფერადმა ფარდებმა, ლამპებმა და სახეებმა ახალმოსულებს თვალი აუჭრელა. წამიც და, ოციოდე კაცი ერთდროულად ეხვეოდა სამივეს, ბეჭებზე ხელს უტყაპუნებდა, თმას უჩეჩავდა და ხელს ართმევდა. გეგონება, ეს წუთია, ქვიდიჩის თასი მოიგესო.

– კარგი, კარგი, დაწყნარდით! – დაიძახა ნევილმა და როცა ყველამ უკან დაიხია, ჰარიმ მოახერხა და იქაურობა მოათვალიერა.

ეს ოთახი საერთოდ არ ეცნო. უშველებელი ოთახი ხის ტოტებში ჩადგმულ, ოღონდ, ფუფუნებით მორთულ სახლს ან გიგანტური გემის კაიუტას ჰგავდა. ჭერზე და მუქი ხით მოპირკეთებულ, უფანჯრო კედლებზე შემოვლებულ აივანზე ჭრელაჭრელა ჰამაკები დაეკიდათ, კედლებს კაშკაშა ფერის გობელენები ფარავდა. ჰარიმ მეწამულ ფონზე მოელვარე გრიფინდორის ოქროს ლომი, ყვითელ ფონზე გამოსახული ჰაფლეპაფის შავი მაჩვი და ლურჯ ფონზე მბრწყინავი რეივენქლოს ბრინჯაოსფერი არწივი დაინახა. მხოლოდ სლიზერინის ვერცხლისფერი და მწვანე არ ჩანდა. მუცელგამობერილი წიგნის კარადები, კედლებზე მიყუდებული რამდენიმე ცოცხი და კუთხეში მიდგმული ვეებერთელა, ხისკორპუსიანი რადიოც შეამჩნია.

– სადა ვართ?

– „მიშველე-ოთახში“! – გაიღიმა ნევილმა, – ხედავ, როგორ მოიგიჟიანა თავი? კეროუები მომდევდნენ და ვიცოდი, სხვაგან თავს ვერ შევაფარებდი. შემოსულს ეს არ დამიხვდა?! არა, მარტო ჩემთვის ამხელა არ იყო: მხოლოდ ერთი ჰამაკი და გრიფინდორის დროშა ეკიდა. მაგრამ მერე და მერე, რაც **DA**-ს წევრები შემოგვემატნენ, აქაურობაც გაიზარდა.

– კეროუები ვერ შემოდიან? – ჰარიმ მიიხედ-მოიხედა, კარი სად არისო.

Scanned by CamScanner

– ვერა, – უპასუხა სახედალურჯებულ-დასივებულმა სიმუს ფინიგანმა. რომ არ დაელაპარაკა, ჰარი ვერც კი იცნობდა, – საიმედო სამალავია. თუ შიგ ერთი ჩვენიანი მაინც იქნება, ვერ მოგვაგნებენ, კარი არ გაიღება. სულ ნევილის ნახელავია. ამ ოთახის ავანჩავანი კარგად გაიგო. ზუსტად უნდა სთხოვო, რაც გჭირდება, მაგალითად: „არ მინდა, რომ კეროუების მომხრეები შემოვიდნენ!“ და შეგისრულებს. შემოსაძრომიც კი არ უნდა დაუტოვო. ნევილი მაგარია!

– თავისთავად მომაფიქრდა, – დაიმორცხვა ნევილმა, – დღენახევარი აქ ვიყავი და შიმშილით ვკვდებოდი. ვინატრე, ნეტავ, რამე საჭმელი მაშოვნინა-მეთქი და „ღორის თავში“ მიმავალი გვირაბი არ გაჩნდა?! გავედი და იქ აბერფორტი დამიხვდა. საჭმლით ის გვამარაგებს, იმიტომ, რომ „მიშველე-ოთახს“, რაღაც მიზეზით, ეგ არ შეუძლია.

– ჰო, გამფის ძირითადი ტრანსფიგურაციის კანონში საკვები პირველია ხუთი გამონაკლისიდან... – ყველას გასაოცრად თქვა რონმა.

– მოკლედ, ლამის ორი კვირაა, აქ ვიმალებით, – განაგრძო სიმუსმა, – და როგორც კი ახალი ჰამაკი დაგვჭირდება, მაშინვე ჩნდება. მშვენიერი სააბაზანოც კი გაჩნდა მას მერე, რაც გოგოებიც შემოგვემატნენ და...

– და ბანაობა ვინატრეთ, – მიეშველა ლევენდერ ბრაუნი. აქამდე არც ლევენდერი შეუმჩნევია ჰარის. დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა და ბევრი იცნო: დები პეტილები, ტერი ბუტი, ერნი მაკმილანი, ენტონი გოლდშტეინი და მაიკლ კორნერი.

– თქვენც მოგვიყევით თქვენი ამბავი, – სთხოვა ერნიმ, – იცით, რამდენი ჭორი დადის? ვცდილობდით, „პოტერმზირით“ გაგვეგო თქვენი ამბავი, – რადიოზე ანიშნა, – გრინგოტსში არ შეჭრილხართ, ხომ?

– როგორ არა, – უთხრა ნევილმა, – და დრაკონის ამბავიც მართალია!

ზოგიერთებმა ამის გაგონებაზე ტაშისცემა ატეხეს, ზოგმაც გაკვირვებით შეჰყვირა. რონმა თავი დაუკრა.

– იქ რა გინდოდათ? – მოუთმენლად იკითხა სიმუსმა.

სანამ რომელიმე მოიფიქრებდა, რა ეპასუხა, ჰარიმ ელვასავით გაკლაკნილ ნაიარევში საშინელი, მწველი ტკივილი იგრძნო. სწრაფად შეაქცია ზურგი ცნობისმოყვარე და გახარებულ სახეებს და „მიშველე-ოთახიც“ მაშინვე გაქრა. დანგრეულ ქვის ქოხში იდგა, მის ფერხთით დამსკდარი იატაკის ფილები გაწეულ-გამოწეული იყო და ორმოს პირას თავახდილი ეგდო ცარიელი ოქროს კოლოფი. ვოლდემორის მრისხანე კივილი ჰარის თავში აზრიალდა.

Scanned by CamScanner

ჰარი ძლივძლივობით გამოეხსნა ვოლდემორის გონებას და ისევ იქ დაბრუნდა, სადაც იდგა. „მიშველე-ოთახი" ტორტმანებდა, ჰარის სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, რონს ხელები ჩაეჭიდა მისთვის და აკავებდა.

– რა მოხდა, ჰარი? – აღელვებული იყო ნევილი, – გინდა, დაჯდე? ალბათ, დაიღალე...

– არა, – სწრაფად უთხრა ჰარიმ, რონსა და ჰერმიონს შეხედა და შეეცადა, უსიტყვოდ ეთქვა, რომ ვოლდემორმა ეს წუთია, კიდევ ერთი ჰორკრუქსის დაკარგვა გაიგო. დრო სწრაფად გადიოდა: თუ ვოლდემორი ჯერ ჰოგვორტში წამოსვლას გადაწყვეტდა, ველარაფერს მოახერხებდნენ.

– უნდა წავიდეთ, – უთხრა რონსა და ჰერმიონს. მათი გამომეტყველებით მიხვდა, რომ გაუგეს.

– რას ვაპირებთ, ჰარი? – ჰკითხა სიმუსმა, – რა გეგმა გვაქვს?

– გეგმა? – გაიმეორა ჰარიმ. მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, ისევ ვოლდემორის მრისხანებას არ აჰყოლოდა, ნაიარევი ჯერაც ეწვოდა, – რა და, ჩვენ – მე, რონსა და ჰერმიონს – აუცილებელი საქმე გვაქვს, მერე კი აქედან უნდა წავიდეთ.

სიცილი და შეძახილები შეწყდა. ნევილი შეცბუნდა.

– როგორ თუ, უნდა წახვიდეთ?

– დასარჩენად არ მოვსულვართ, – ჰარიმ ტკივილის დასაამებლად ნაიარევი მოისრისა, – რაღაც აუცილებელი საქმე გვაქვს.

– რა?

– ვერ გეტყვით.

ოთახს დუდუნმა გადაუარა, ნევილმა წარბი შეიკრა.

– რატომ ვერ გვეტყვით? ჩვენ-რომ-ვიცით, იმასთან ბრძოლას ეხება, არა?

– ჰო, ეგრეა.

– მაშინ, მოგეხმარებით.

და-ს სხვა წევრები თავს უქნევდნენ, ზოგი – მოწადინებით, ზოგი – დინჯად. ერთი-ორი სკამიდანაც ადგა იმის ნიშნად, რომ მზად იყვნენ, მაშინვე შესდგომოდნენ საქმეს.

– ვერ გაიგეთ, – ბოლო საათების განმავლობაში უკვე მერამდენედ თქვა ჰარიმ, – ჩვენ... ვერ გეტყვით. ჩვენ თვითონ... უნდა გავაკეთოთ.

– რატომ? – ჰკითხა ნევილმა.

– იმიტომ... – ჰარის ისე ძლიერ უნდოდა დარჩენილი ჰორკრუქსის ძებნის დაწყება ან რონსა და ჰერმიონთან ცალკე დალაპარაკება მაინც, რომ ფიქრების თავმოყრას ველარ ახერხებდა. ნაიარევი ისევ საშინლად ეწვოდა, – დამბლდორმა მარტო ჩვენ სამს დაგვი-

Scanned by CamScanner

ტოვა ეს საქმე, – თქვა ფრთხილად, – უნდოდა, მხოლოდ ჩვენ სამს შეგვესრულებინა.

– ჩვენ მისი არმია ვართ, – თქვა ნევილმა, – „დამბლდორის არმია". ამ საქმეში ერთად ვიყავით და არ გავჩერებულვართ, სანამ თქვენ სამნი ცალკე წახვიდოდით...

– ექსკურსიაზე კი არ ვყოფილვართ, ძმაო, – უთხრა რონმა.

– ეგ არც მითქვამს, მაგრამ არ მესმის, რატომ არ გვენდობით. ვინც ამ ოთახში ვართ, ყველანი ბოლომდე ვიბრძოდით და აქაც იმიტომ მოვხვდით, რომ კეროუები დაგვდევდნენ. ყველამ დავამტკიცეთ, რომ დამბლდორის ერთგულები ვართ... და თქვენი ერთგულებიც.

– მისმინე, – დაიწყო ჰარიმ, ოღონდ, არ იცოდა, რა უნდა ეთქვა, მაგრამ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მის უკან გვირაბის კარი გაიღო.

– შენი ნერილი მივიღეთ, ნევილ! სამივეს სალამი! ვიცოდით, რომ აქ დაგვხვდებოდით!

ლუნა და დინი იყვნენ. სიმუსმა სიხარულით შეჰყვირა და საუკეთესო მეგობარს გადაეხვია.

– გამარჯობა! – სიხარულით თქვა ლუნამ, – რა კარგია დაბრუნება!

– ლუნა! – დაიბნა ჰარი, – აქ რამ მოგიყვანა?

– მე შევატყობინე, – ნევილმა ისევ ყალბი გალეონი დაანახვა, – ლუნას და ჯინის დავპირდი, თუ გამოჩნდებოდი, გამეგებინებინა. ყველას გვეგონა, თუ დაბრუნდა, რევოლუცია მოხდება და სნეიპს თავისი კეროუებიანად კუდით ქვას ვასროლინებთო.

– ეგრე იქნება, აბა, რა! – სახე გაუბრწყინდა ლუნას, – ხომ, ჰარი? ხომ გავაძევებთ ჰოგვორტსიდან?

– მისმინეთ, – ხმაში შიში შეეპარა ჰარის, – დიდი ბოდიში, მაგრამ მაგისთვის არ მოვსულვართ. აქ რაღაც საქმე გვაქვს გასაკეთებელი და მერე...

– და მერე ამ არეულ-დარეულობაში უნდა დაგვტოვოთ? – ჰკითხა მაიკლ კორნერმა.

– არა! – თქვა რონმა, – რასაც ვიზამთ, საბოლოოდ ყველას სიკეთეს მოუტანს. ეს ყველაფერი სულ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მოსაშორებლად ხდება...

– ჰოდა, ჩვენც მოგეხმარებით! – გაბრაზდა ნევილი, – ჩვენც გვინდა მონაწილეობის მიღება!

უკან ისევ ხმაური გაისმა. ჰარი შებრუნდა და გული შეუხტა: კედლის ხვრელში ჯინი ამოდიოდა, უკან კი ფრედი, ჯორჯი და ლი ჯორდანი მოჰყვებოდნენ. ჯინიმ სახეგაბრწყინებულმა გაულიმა. ჰარის დავიწყებოდა, აქამდე ვერც ხვდებოდა, რა ლამაზი იყო ჯინი,

Scanned by CamScanner

მაგრამ ახლა მისი დანახვა რატომღაც მაინცდამაინც არ ესიამოვნა.

– აბერფორტი ცოტა გაგვიბრაზდა, – ფრედმა ვიღაც-ვიღაცეების სალამზე ხელის აწევით უპასუხა, – თქვენი გადამკიდე, თვალი ვერ მომიტყუებია, ბარში ვარ თუ ვაგზალშიო.

ჰარიმ გაოცებისგან პირი დააღო: ლი ჯორდანს მისი ძკელი შეყვარებული, ჩო ჩენგი გადმოჰყვა და გაულიმა.

– მეც მივიღე შეტყობინება, – ყალბი გალეონი ასწია ჩომ და მაიკლ კორნერს მიუჯდა გვერდით.

– რა გეგმა გვაქვს, ჰარი? – იკითხა ჯორჯმა.

– არანაირი, – მიუგო ამ ხალხის უცაბედი გამოჩენით დაბნეულმა ჰარიმ. ნაიარევი ჯერაც ისე უვარვარებდა, ვერაფრის აღქმას ვერ ახერხებდა.

– გზადაგზა მოვიფიქრებთ, არა? მეც ეგრე მირჩევნია, – გაუხარდა ფრედს.

– გეყოფა! – მიუბრუნდა ჰარი ნევილს, – რატომ გამოიძახე? რა სიგიჟეა...

– ხომ უნდა ვიბრძოლოთ? – დინმაც ამოიღო თავისი ყალბი გალეონი, – აქ წერია, ჰარი დაბრუნდა და უნდა ვიბრძოლოთო! ოღონდ, ჯერ ჯოხი უნდა ვიშოვო...

– ჯოხი არა გაქვს? – ჰკითხა სიმუსმა დინს.

უცებ რონი ჰარის მიუბრუნდა:

– რა მოხდა, ჰარი, მოგვეხმარონ.

– რაა?

– მოგვეხმარონ, – ხმას ისე დაუწია რონმა, რომ მათ შორის მდგარი ჰერმიონის გარდა, ნათქვამი არავის გაეგონა, – ჩვენ ხომ არ ვიცით, სად არის ჰორკრუქსი. არადა, სწრაფად უნდა ვიპოვოთ. ნურავის ვეტყვით, რა არის, უბრალოდ მოძებნაში დაგვეხმარონ.

ჰარიმ ჰერმიონს გადახედა. მანაც ჩაიბუტბუტა:

– მე მგონი, რონი მართალს ამბობს. ისიც კი არ ვიცით, რას ვეძებთ. ყველა გვჭირდება, – და ჰარის ყოყმანის პასუხად დაამატა: – რა აუცილებელია, რომ ყველაფერი მარტომ გააკეთო.

ჰარი გამალებული ფიქრობდა. ნაიარევი ისევ წიწკნიდა, თავი ლამის გასკდომოდა. დამბლდორმა გააფრთხილა, ჰორკრუქსები რონისა და ჰერმიონის გარდა, არავისთან ახსენოო. „ბავშვობიდანვე საიდუმლოებებითა და სიცრუით ვიყავით მოცულები. მერე, ალბუსს საიდუმლოებები როგორ ეხერხებოდა!..“ თვითონაც დამბლდორად ხომ არ უნდა იქცეს, საიდუმლოებები გულში ჩაიმარხოს და არავის ენდოს? მაგრამ დამბლდორს რაღა მოუტანა სნეიპის ნდობამ? – ყველაზე მაღალი კოშკის თავზე სიკვდილი...

Scanned by CamScanner

– კარგი, – წყნარად უთხრა ორივეს, – კარგი, – დაიძახა მთელი ოთახის გასაგონად და ხმაური შეწყდა. ფრედი და ჯორჯი, რომლებიც ახლო მდგომებს ემასხრებოდნენ, გაჩუმდნენ და ყველა დაძაბული, აღელვებული მიაშტერდა ჰარის.

– ჩვენ რაღაცას ვეძებთ, რაც აუცილებლად უნდა ვიპოვოთ, – თქვა ჰარიმ, – სწორედ ის დაგვეხმარება ჩვენ-რომ-ვიცით, იმის დამარცხებაში. ეს ნივთი აქ არის – ჰოგვორტსში, მაგრამ სად – არ ვიცით. სავარაუდოდ, რეივენქლოს საკუთრება იყო. იქნებ გაგიგიათ? იცით რაიმე ნივთი, მაგალითად, ისეთი, რასაც მისი ნიშანი, არწივი აზის?

ჰარიმ იმედიანად გახედა რეივენქლოელთა პატარა ჯგუფს – პადმას, მაიკლს, ტერისა და ჩოს, მაგრამ პასუხი ჯინის სავარძლის სახელურზე შემოსკუპებულმა ლუნამ წამოიძახა:

– დიადემა! რეივენქლოს დიადემას აზის არწივი. გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ჰარი? მამა ცდილობდა, ასლი გაკეთებინა.

– კარგი რა, ეგ ხომ დაკარგული დიადემაა, – თვალები აატრიალა მაიკლ კორნერმა, – დაკარგულია, ლუნა. მთავარი ეგ არის.

– როდის დაიკარგა? – იკითხა ჰარიმ.

– რამდენიმე საუკუნის წინ, – უპასუხა ჩომ და ჰარის გული ჩასწყდა, – პროფესორ ფლიტვიკის თქმით, დიადემა რეივენქლოს სიცოცხლეშივე დაიკარგა. ეძებდნენ, მაგრამ... – ჩო რეივენქლოელებს მიუბრუნდა, – კვალიც ვერ იპოვეს, ხომ?

ყველამ თავი დაუქნია.

– უკაცრავად, მაგრამ როგორია დიადემა? – იკითხა რონმა.

– გვირგვინს ჰგავდა, – მიუგო ტერი ბუტმა, – რეივენქლოს დიადემას ჯადოსნური თვისებები ჰქონდა და ამბობენ, ვინც მას დაიდგამდა, სიბრძნე ემატებოდაო.

– ჰო, მამაჩემის ფანტიები და ბუზჟუვილას პროპელერი...

ჰარიმ ლუნას შეაწყვეტინა:

– მერე აქ მსგავსი არაფერი გინახავთ?

ყველამ ისევ გაიქნია თავი. ჰარიმ რონსა და ჰერმიონს გადახედა და მათ სახეებზეც იმედგაცრუება ამოიკითხა. ამდენი ხნის წინ დაკარგული ნივთი, თანაც, კვალიც რომ არსად დარჩენილა, ციხეკოშკში დამალულ ჰორკრუქსობას ვერ გასწევდა... სანამ ახალ შეკითხვას მოაბამდა თავს, ისევ ჩო ალაპარაკდა.

-- ჰარი, თუ გაინტერესებს, დაახლოებით როგორი იქნებოდა დიადემა, ჩვენს საერთო ოთახში წაგიყვან და გაჩვენებ. რეივენქლოს ქანდაკებას ადგას.

ჰარის ისევ აეწვა ნაიარევი: წამით „მიშველე-ოთახი" ისევ გაქრა

Scanned by CamScanner

და ჰარიმ ფერხთით შავი მიწა იგრძნო. მხრებზე დიდ გველშემოგრაგნული ვოლდემორი ისევ მიფრინავდა. ამჯერად ან – მიწისქვეშა ტბისკენ, ან სულაც – ჰოგვორტსისაკენ. სულერთია, დრო მაინც ცოტა რჩებოდა.

– გზაშია, – ჩუმად უთხრა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, მერე ჩოს გახედა და ისევ მობრუნდა, – შეიძლება ბევრი ვერაფერი გვითხრას, მაგრამ მაინც წავალ და შევხედავ იმ ქანდაკებას. იმას მაინც გავიგებ, როგორია ის დიადემა. აქ დამიცადეთ და ფრთხილად იყავით.

ჩო წამოდგა, მაგრამ ჯინიმ ცივად თქვა:

– შენ დაჯექი, ჩო, ლუნა წაიყვანს. კარგი, ლუნა?

– რა თქმა უნდა, როგორ არა, – ხალისიანად წამოხტა ლუნა, იმედგაცრუებული ჩო კი ისევ დაჯდა.

– გასვლა საიდან შეიძლება? – ჰკითხა ჰარიმ ნევილს.

– აქედან, – ნევილმა ჰარი და ლუნა იმ კუთხეში მიიყვანა, სადაც პატარა ბუფეტი დამრეც კიბეზე გადიოდა, – კარი ყოველდღე სხვადასხვა ადგილას გამოდის, ოღონდ, ზუსტად არასოდეს არ იცი, სად გახვალ. ფრთხილად, ჰარი, ღამით დერეფნებს წარამარა ამოწმებენ.

– ეგ არაფერი, – უთხრა ჰარიმ, – მალე გნახავთ.

თვითონ და ლუნა სწრაფად ავიდნენ კიბეზე. გრძელი, ჩირაღდნებით განათებული კიბე მოულოდნელად უხვევდა მარჯვნივ და მარცხნივ. ბოლოს ერთი შეხედვით გლუვ კედელს მიადგნენ.

– ახლოს მოდი, – უჩურჩულა ჰარიმ ლუნას და უჩინმაჩინის მოსასხამი ამოაძვრინა. ორივემ გადაიფარა, მერე კი ჰარი კედელს მსუბუქად მიაწვა.

მიკარებისთანავე კედელი თითქოს გალღვა. გარეთ გავიდნენ თუ არა, ჰარიმ უკან მიიხედა და დაინახა, რომ კედელი მაშინვე დაიგმანა. ბნელ დერეფანში იდგნენ. ჰარიმ ყელზე დაკიდებული ქისა მოიჩხრიკა და ონავრების რუკა ამოიღო, ცხვირი შიგ ჩარგო, კარგა ხანს ეძება და, როგორც იქნა, თავის და ლუნას წერტილებს მიაგნო.

– მეხუთე სართულზე ვართ, – წაიჩურჩულა ჰარიმ. დაინახა, როგორ შორდებოდათ ერთი დერეფნის იქით მყოფი ფილჩი, – აქეთ წავიდეთ.

ფეხაკრეფით დაიძრნენ. ჰარის ღამღამობით წინათაც უვლია ციხე-კოშკში, მაგრამ გული ასე არასოდეს აფართხალებია, არასოდეს ყოფილა ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭირო ადგილას უხიფათოდ მისვლა. უჩუმრად უვლიდნენ გვერდს საჭურველს, რომელთა მუზარადები მათი ფრთხილი ნაბიჯების ხმაზეც კი ზრიალებდა, და კუთხეებში უხვევდნენ, სადაც ვინ იცის, რა იყო ჩასაფრებული. სადაც შუქი ჰყოფნიდათ, რუკას უყურებდნენ. ორჯერ შეჩერდნენ და

Scanned by CamScanner

მოჩვენება გაატარეს, რათა მათი იქ ყოფნა არ შეემჩნია. ჰარი ყოველ წუთს ელოდა დაბრკოლებას. ყველაზე მეტად პივსს უფრთხოდა და ყოველ ნაბიჯს ყურდაცქვეტილი დგამდა, რათა პოლტერგეისტის მოახლოების მაუწყებელი პირველი ნიშნები არ გამოჰპარვოდა.

– აქეთ, ჰარი, – სული მოითქვა ლუნამ, სახელოზე მოქაჩა და კიბისკენ წაიყვანა.

კიბე ვიწრო და თავბრუდამხვევად ხვეული იყო; ჰარი აქ არასოდეს ყოფილა. როგორც იქნა, საფეხურები აათავეს და უსახელურო კარს მიაღწიეს, რომელსაც გასაღების ჭუჭრუტანაც კი არ ჰქონდა. მათ წინ მხოლოდ გლუვი, დაობებული ხის ზედაპირი და ბრინჯაოს არწივისებური ჩაქუჩი იყო.

ლუნამ მოსასხამიდან უფერული ხელი გამოყო. სიბნელეში მოჩვენებასავით უმკლავო და უსხეულო ჩანდა. ხელი ფრთხილად გასრიალდა ჰაერში და ერთხელ დააკაკუნა. სიჩუმეში ეს კაკუნი ზარბაზნის ქუხილად მოესმა ჰარის. არწივმა ნისკარტი მაშინვე გააღო, მაგრამ ფრინველის ყივილის ნაცვლად ნაზი, მუსიკალური ხმა გაისმა:

– ჯერ რა გაჩნდა, ფენიქსი თუ ცეცხლი?

– მმმ... რას იტყვი, ჰარი? – დაფიქრდა ლუნა.

– თქვენ რა, პაროლი არა გაქვთ?

– არა, შეკითხვას უნდა უპასუხო, – მიუგო ლუნამ.

– და თუ შეცდომით უპასუხე?

– მაშინ მანამ უნდა იდგე, სანამ ვინმე სწორად არ უპასუხებს, – უთხრა ლუნამ, – ასე გამჭრიახობა გემატება, გაიგე?!

– მაგრამ ჩვენ ხომ ვერავის დავუცდით?

– ჰო, ვიცი, – სერიზულად თქვა ლუნამ, – პასუხი, ალბათ, ისაა, რომ წრეს დასაწყისი არა აქვს.

– მშვენიერი პასუხია, – გაისმა ხმა და კარი გაიღო.

რეივენქლოს ცარიელი, ჰოგვორტსის ყველა სხვა ოთახზე დიდი საერთო ოთახი ფართო და მრგვალი იყო, კედლებში ახლო-ახლო ჩაესვათ მოხდენილად მორკალული ფანჯრები. კედლებზე ლურჯ-ბრინჯაოსფერი აბრეშუმი იყო გაკრული. დღისით რეივენქლოელებს თვალწინ, ალბათ, მთების მშვენიერი ხედი ეშლებოდათ. გუმბათოვანი ჭერი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მუქლურჯ ხალიჩაზეც ვარსკვლავები გაბნეულიყო. ოთახში მაგიდები, სკამები და წიგნის კარადები მოჩანდა, ხოლო კარის პირდაპირ, ნიშაში, თეთრი მარმარილოს ქანდაკება იდგა.

ჰარიმ ლუნას სახლში ნანახი ბიუსტით იცნო როენა რეივენქლო. ქანდაკება იმ კარის გვერდით იდგა, რომელიც, ალბათ, ზემოთ,

Scanned by CamScanner

საძინებლებში ადიოდა. ჰარი მარმარილოს ქალისკენ გაემართა და მოეჩვენა, თითქოს მანაც შემოხედა; ლამაზ, მაგრამ შიშის მომგვრელ სახეზე მხიარული ღიმილი აღბეჭდვოდა. თავზე მარმარილოსავე ნაზი დიადემა ედგა. იმ დიადემას ჰგავდა, ფლერს რომ ქორნილში ეკეთა. ზედ პაწაწინა სიტყვები ამოეკვეთათ. ჰარიმ მოსასხამიდან გამოაბიჯა და წარწერის წასაკითხად ქანდაკების კვარცხლბეკზე შედგა.

„კაცის ქონება – ჭკუა-გონება."

– ესე იგი, ცარიელ-ტარიელი მობრძანებულხარ, ბრიყვო, – დაიკრიახა უცებ ვილაცამ.

ჰარი მიტრიალდა, კვარცხლბეკზე ფეხი დაუცდა, იატაკზე გაიშხლართა და სანამ ჯოხს ასწევდა, მის წინ მდგარმა წელში მოხრილმა ალექტო კეროუმ კოტიტა საჩვენებელი თითი ხელზე ამოშანთულ თავის ქალასა და გველს დააჭირა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეათე

სევერუს სნეიპის გაქცევა

როგორც კი თითი შავ ნიშანს შეეხო, ჰარის სასტიკად ასტკივდა ნაიარევი და ვარსკვლავებიანი ოთახი გაქრა. კლდის შვერილის ქვეშ იდგა, გარშემო ზღვა გაშლილიყო. გულში ზეიმობდა: ბიჭი დაიჭირეს.

ხმამაღალმა ბრაგვანმა რეივენქლოს საერთო ოთახში დააბრუნა. დაბნეულმა ჰარიმ ისევ აღმართა ჯოხი, მაგრამ ალექტო უკვე იატაკზე გაშხლართული დაინახა – ქალი ისე დაენარცხა, წიგნის კარადების მინები აზრიალდა.

– **და**-ს გაკვეთილების გარდა არასოდეს არავინ გამითიშავს, – თქვა ცოტათი დაინტერესებულმა ლუნამ, – არ მეგონა, ასეთი ხმაურიანი თუ იქნებოდა.

მართლაც, ჭერი აზანზარდა. საძინებლებისკენ მიმავალი კარის უკნიდან უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა სწრაფი ნაბიჯების ხმა. ეტყობა, ლუნას შელოცვამ ზემოთ მძინარი რეივენქლოელები გააღვიძა.

– ლუნა, სადა ხარ? ჩქარა, მოსასხამში უნდა შევიმალოთ!

არსაიდან ლუნას ტერფები გამოჩნდა; ჰარი მისკენ გაიქცა და ლუნამ ძლივს მოასწრო მოსასხამის გადმოფარება, რომ კარი გაიღო და პიჟამასამარა რეივენქლოელები საერთო ოთახში შემოცვივდნენ. უგონოდ დაგდებული ალექტოს დანახვაზე გაკვირვების შეძახილები აღმოხდათ. სტუდენტები გარს ფრთხილად შემოერტყნენ ამ სასტიკ მხეცს, რომელსაც შეიძლება ყოველ წუთს გაჰღვიძებოდა და თავს დასხმოდა მათ. მერე ერთმა გამბედავმა პირველკურსელმა ფერდში ფეხის წვერი წაჰკრა.

– მგონი, მკვდარია! – წამოიძახა გახარებულმა.

– შეხედე, გაუხარდათ! – სიხარულით წასჩურჩულა ლუნამ ჰარის, როცა რეივენქლოელები ალექტოს შემოეხვივნენ.

Scanned by CamScanner

– ჰო... კარგია...

ჰარიმ თვალები დახუჭა და რადგან ნაიარევმა ფეთქვა ისევ დაუწყო, ვოლდემორის გონებაში ჩაძირვა ამჯობინა... მთავარი გამოქვაბულისკენ მიმავალ გვირაბს მიჰყვებოდა... გადაწყვიტა, ჯერ დარწმუნებულიყო, რომ მედალიონი ადგილზეა და მერე წასულიყო... მაგრამ ამას დიდი ხანი არ დასჭირდებოდა...

უცებ საერთო ოთახის კარზე ბრახუნი ატყდა. რეივენქლოელები გაშეშდნენ. მეორე მხრიდან არწივ-ჩაქუჩის ნაზი, მუსიკალური ხმა გაისმა:

– სად მიდის დაკარგული ნივთები?

– მე რა ვიცი, შე ოხერო, შენა! მოკეტე! – გაისმა ტლანქი ღმუილი და ჰარიმ ალექტოს ძმის, ამიკუსის ხმა იცნო, – ალექტო! ალექტო! მანდა ხარ? დაიჭირე? გააღე კარი!

შეშენებულმა რეივენქლოელებმა ერთმანეთში ჩურჩული გააბეს. მერე კარზე ისეთი ბრაგაბრუგი ატყდა, გეგონებოდა, ვინმე თოფს ისვრისო.

– ალექტო! თუ მოვა და პოტერს არ დავახვედრებთ... გინდა, მალფოების დღეში ჩავარდე? ხმა გამეცი! – ღრიალებდა ამიკუსი და კარს მთელი ძალით აჯანჯღარებდა, მაგრამ კარი არ იღებოდა. რეივენქლოელებმა უკან დაიხიეს, ყველაზე შეშინებულები კი კიბეზე აცვივდნენ და საწოლებში ჩაიმალნენ. ის იყო, ჰარიმ გაიფიქრა, კარი ხომ არ ავაფეთქო და სანამ ამიკუსი რამეს მოახერხებს, გავაშეშოო, რომ კარს მიღმა მეორე, ნაცნობზე ნაცნობი ხმა გაისმა.

– უკაცრავად, აქ რას აკეთებთ, პროფესორო კეროუ?

– ვცდილობ... ეს... ოხერი... კარი გავაღო! – იყვირა ამიკუსმა, – წადი და ფლიტვიკი მომიყვანე! მომიყვანე, რომ გააღოს, მალე!

– კი, მაგრამ თქვენი და ხომ შიგნით არის, – ჰკითხა პროფესორმა მაკგონაგელმა, – განა ამ საღამოს თქვენი დაჟინებული მოთხოვნით არ შეუშვა შიგნით პროფესორმა ფლიტვიკმა? იქნებ მან გაგიღოთ კარი? ნახევარი ციხე-კოშკის გაღვიძება აღარ დაგჭირდებოდათ.

– ხმას არ მცემს, შე ძველო ცოცხო! შენ თვითონ გააღე! ჩქარა-მეთქი!

– რასაკვირველია, თუკი გნებავთ, – გაყინული ხმით თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა. გაისმა ჩაქუჩის ნაზი დარტყმა და მუსიკალურმა ხმამ ისევ იკითხა:

– სად მიდის დაკარგული ნივთები?

– არყოფნაში, რაც, შეიძლება ითქვას, ყველაფერია, – მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მშვენიერი ნათქვამია, – თქვა არწივ-ჩაქუჩმა და კარი გაიღო.

Scanned by CamScanner

ამიკუსი ჯოხის ქნევით შემოქანდა თუ არა, რამდენიმე დარჩენილმა რეივენქლოელმა კიბეზე აირბინა. დასავით კუზიანმა, უფერულმა და სახეგაფითრებულმა ამიკუსმა პატარა თვალები მაშინვე იატაკზე გაუნძრევლად გაშხლართულ ალექტოს დაასო და მძვინვარებისა და შიშისგან იღრიალა:

– რა ჩაიდინეს ამ ძაღლის ლეკვებმა? მანამ ვაწამებ, სანამ არ ვათქმევინებ, ვინ გაბედა... ბნელი ბატონი რას იტყვის? – დას თავზე დაადგა და შუბლზე მუშტი დაირტყა, – ვერ დავიჭირეთ. გაგვექცნენ და ალექტო მოკლეს!

– მხოლოდ და მხოლოდ გათიშულია, – მოუთმენლად უთხრა ალექტოს გასასინჯად დახრილმა პროფესორმა მაკგონაგელმა, – მშვენივრად იქნება.

– როგორღა იქნება, ოხერი! – იღრიალა ამიკუსმა, – ბნელი ბატონი რომ ჩაგვავლებს, კარგად იქნება, როგორ არა! ადგა და გამოიძახა, ნიშნის ნვით მივხვდი. ახლა იმას ჰგონია, პოტერი დავიჭირეთ!

– პოტერი? – მკვახედ ჰკითხა პროფესორმა მაკგონაგელმა, – რას ნიშნავს „პოტერი დავიჭირეთ"?

– ბნელმა ბატონმა გაგვაფრთხილა, პოტერმა შეიძლება რეივენქლოს კოშკში შესვლა სცადოს და თუ დაიჭერთ, მომიხმეთო!

– რეივენქლოს კოშკში შესვლა რატომ უნდა ეცადა? პოტერი ჩემს კლუბშია!

მინერვა მაკგონაგელის უნდობლობითა და ბრაზით სავსე ხმაში ჰარის სიამაყის ტონიც მოესმა და გულში სითბო ჩაეღვარა.

– ვერ გაიგე? ეგრე გვითხრეს, შეიძლება შემოვიდესო! – თქვა კეროუმ, – მე რა ჯანდაბა ვიცი, რატომ!

პროფესორი მაკგონაგელი გასწორდა და მოელვარე თვალები ოთახს მოავლო. ორჯერ ზუსტად იმ ადგილს გადაატარა, სადაც ჰარი და ლუნა იდგნენ.

– ბავშვებს რომ გადავაბრალოთ? – ამიკუსს ღორის სახეზე ეშმაკური გამომეტყველება შეეპარა, – რა თქმა უნდა, ეგრე ვიზამთ. ვიტყვით, რომ ვითომ აი, ის ბავშვები, მაღლა რომ არიან, ალექტოს ჩაუსაფრდნენ, – ამიკუსმა ვარსკვლავებიან ჭერში, საძინებლებისაკენ აიხედა, – ვეტყვით, რომ ნიშანზე ხელი ძალით დააჭერინეს და ცრუ განგაში ატეხეს... თუ უნდა, დასაჯოს. რა განსხვავებაა, ორი ბავშვით მეტი იქნება თუ ნაკლები?

– განსხვავება მხოლოდ სიმართლესა და სიცრუეში, სიმამაცესა და ლაჩრობაშია, – გაფითრდა პროფესორი მაკგონაგელი, – განსხვავება, რომელიც, ეტყობა, თქვენ და თქვენს დას არ გესმით. მაგრამ

Scanned by CamScanner

ერთი რამ უნდა გაგაგებინოთ: თქვენს მუდმივ უუნარობას ჰოგვორტ-სის სტუდენტებს ვერ გადააბრალებთ. ამას არ დავუშვებ.

– რაო-რაო?

ამიკუსი მუქარანარევი გამომეტყველებით მიუახლოვდა პროფესორ მაკგონაგელს და სახე ლამის სახეზე მიადო. მაკგონაგელმა უკან არ დაიხია და ისე დაჰყურებდა კეროუს, როგორც უნიტაზზე მიკრულ სიბინძურეს.

– შენ ველარაფერსაც ვერ დაუშვებ, მინერვა მაკგონაგელ! შენი დრო წავიდა. აქაურობა ჩვენ ხელშია და ან ჩემკენ იქნები, ან არადა, ყოფა გეტირება.

და სახეში შეაფურთხა.

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო, ჯოხი აღმართა და დაიყვირა:

– ეგ არ უნდა გექნა!

ამიკუსმა შემობრუნება ვერ მოასწრო, რომ ჰარიმ იღრიალა:

– კრუციო!

სიკვდილის მხვრელი იატაკს მოსწყდა და ჰაერში ისე დაიკრუნჩხა, თითქოს იხრჩობაო, ტკივილისაგან იკლაკნებოდა და გაჰკიოდა, მერე წიგნის კარადას მიენარცხა და მინის ზრიალ-მსხვრევაში ძირს უგონოდ დაენარცხა.

– აი, თურმე რას გულისხმობდა ბელატრისა, – ჰარის სისხლი საფეთქლებში მიაწვა, – მართლა გულით უნდა გინდოდეს!

– პოტერ! – წაიჩურჩულა პროფესორმა მაკგონაგელმა და გულზე ხელი მიიდო, – პოტერ... აქ ხარ? რა... როგორ... – ცდილობდა, თავს მორეოდა, – პოტერ, რა სულელურად მოიქეცი!

– მოგაფურთხათ! – თქვა ჰარიმ.

– პოტერ, მე... ძალიან... ვაჟკაცურად მოიქეცი, მაგრამ ვერ ხვდები?..

– ვხვდები, – დაარწმუნა ჰარიმ. მაკგონაგელის შიშმა რაღაცნაირად დაამშვიდა, – პროფესორო მაკგონაგელ, ვოლდემორი მოდის.

– უი, უკვე შეგვიძლია სახელის თქმა? – დაინტერესდა ლუნა და მოსასხამის ქვეშიდან გამოძვრა. პროფესორმა მაკგონაგელმა მეორე ლტოლვილის დანახვას ველარ გაუძლო, წაბარბაცდა, იქვე მდგარ სავარძელში ჩაენარცხა და ძველი, კუბოკრული ხალათის საყელოზე იტაცა ხელი.

– მე მგონი, სულერთია რას დავუძახებთ, – მიუბრუნდა ჰარი ლუნას, – ისედაც იცის, სადა ვარ.

ტვინის იმ უბნით, რომელიც ლამის აალებულ ნაიარევს უკავშირდებოდა, ჰარი ხედავდა, რომ ვოლდემორი მწვანე, ლანდივით

Scanned by CamScanner

ნავში იჯდა და ბნელ ტბაზე მისრიალებდა... უკვე თითქმის მიაღწია იმ კუნძულს, სადაც ქვის თასი იდგა...

– უნდა გაიქცე, – წაიჩურჩულა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ახლავე, პოტერ, ამ წუთში!

– არ შემიძლია, – უთხრა ჰარიმ, – რაღაც საქმე მაქვს. პროფესორო, იცით, სად არის რეივენქლოს დიადემა?

– რრრ-რეივენქლოს დიადემა? საიდან მეცოდინება... რამდენიმე საუკუნის წინ არ დაიკარგა? – მაკგონაგელი გასწორდა, – პოტერ, ციხე-კოშკში შენი შემოსვლა ნამდვილი სიგიჟეა...

– აუცილებლად უნდა შემოვსულიყავი, – უთხრა ჰარიმ, – პროფესორო, აქ რაღაცაა დამალული და უნდა ვიპოვო. შეიძლება ეს დიადემა იყოს... პროფესორ ფლიტვიკს რომ დავლაპარაკებოდი...

ვიღაც შეინძრა და მინის წკრიალი გაისმა – ამიკუსი მოდიოდა გონს. სანამ ჰარი ან ლუნა რამეს მოახერხებდნენ, პროფესორი მაკგონაგელი ადგა, ჯოხი ჯერ კიდევ თითქმის უგონო სიკვდილის მხვრელს დაუმიზნა და წარმოთქვა:

– იმპერიო.

ამიკუსი წამოდგა, დასთან მივიდა და მისი ჯოხი აიღო, მერე მორჩილად წაფრატუნდა პროფესორ მაკგონაგელისაკენ, თავის ჯოხთან ერთად დის ჯოხიც გადასცა და თვითონ ალექტოს მიუწვა გვერდით. პროფესორმა მაკგონაგელმა ჯოხი ისევ გაიქნია, ჰაერში მოელვარე თოკი გაჩნდა, კეროუებს შემოეხვია და ერთად გაკოჭა.

– პოტერ, – მიუბრუნდა ჰარის კეროუებისადმი სრულიად გულგრილი პროფესორი მაკგონაგელი, – თუ მან, ვისი სახელიც არ ითქმის, მართლა იცის, რომ აქა ხარ...

როგორც კი მაკგონაგელმა ეს თქვა, ჰარის ფიზიკური ტკივილივით ეძგერა ვოლდემორის რისხვა და ნაიარევზე ცეცხლი წაუკიდა. წამით კვარცხლბეკზე მდგარ ქვის ჯამს დახედა, რომლის შხამი გამჭვირვალე გამხდარიყო, ხოლო ფსკერზე ოქროს მედალიონი არ ეგდო...

– პოტერ, რა გემართება? – მოესმა ხმა და ისევ ოთახში მობრუნდა. თავის შესამაგრებლად ლუნას ჩასჭიდებოდა მხარში.

– დრო ცოტაა, ვოლდემორი ახლოვდება, პროფესორო. მე დამბლდორის ბრძანებით ვმოქმედებ, ის უნდა ვიპოვო, რის პოვნაც დამავალა! მაგრამ სანამ ციხე-კოშკს გავჩხრეკ, სტუდენტები უნდა გადამალოთ... ვოლდემორი მე მეძებს, მაგრამ არც იმას იდარდებს, თუ გზად ვინმეს მოკლავს. მით უმეტეს... მით უმეტეს, როცა იცის, რომ ჰორკრუქსებს ვანადგურებ, – დაამთავრა გუნებაში.

– დამბლდორის ბრძანებით მოქმედებ? – გაიმეორა განცვიფრე-

Scanned by CamScanner

ბულმა მაკგონაგელმა და წელში გაიმართა, – მაშინ, სანამ შენ მაგ... ნივთს მოძებნი, ჩვენ სკოლას დავიცავთ იმის შემოჭრისგან, ვისი სახელიც არ ითქმის.

– ეს შესაძლებელია?

– მე მგონი, კი, – მშრალად თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, – მასწავლებლებს ჯადოქრობა არ გვიჭირს. დარწმუნებული ვარ, თუ ყველანი მოვინდომებთ, ერთხანს შევაკავებთ. ოღონდ, რასაკვირველია, პროფესორ სნეიპს რამე უნდა მოვუხერხოთ...

– შეიძლება, მე...

– და თუ ჰოგვორტსი ბნელი ბატონის ალყაში უნდა აღმოჩნდეს, აჯობებს, რაც შეიძლება მეტი უდანაშაულო ხალხი გავარიდოთ. მაგრამ ბუხრების ქსელს აკონტროლებენ, აპარაცია კი ამ ტერიტორიაზე შეუძლებელია...

– ერთი გზა არსებობს, – სწრაფად თქვა ჰარიმ და „ღორის თავში" გამავალ გვირაბზე მოუყვა.

– პოტერ, ჩვენ ასობით სტუდენტზე ვლაპარაკობთ.

– ვიცი, პროფესორო, მაგრამ თუ ვოლდემორსა და სიკვდილის მხვრელებს სკოლაზე ექნებათ გეზი აღებული, „ღორის თავიდან" აპარაცია რაში დააინტერესებთ?

– ურიგო აზრი არ არის, – დაეთანხმა მაკგონაგელი, მერე ჯოხი კეროუებს დაუმიზნა და შებოჭილ და-ძმას ვერცხლისფერი ბადე გადაეფინა, გარს შემოებურა და ჰაერში ასწია. და-ძმა ორი დიდი, მახინჯი ზღვის ბინადარივით აქანავდა ლურჯ-ოქროსფერ ჭერში, – წამოდით, დანარჩენი კლუბების ხელმძღვანელები უნდა გავაფრთხილოთ. ეგ მოსასხამი, ჯობია, ისევ მოიხუროთ.

მაკგონაგელი კარისკენ წავიდა და ჯოხი აღმართა. ჯოხის წვერიდან სამი ვერცხლისფერი კატა გამოიჭრა, თვალების გარშემო სათვალესავით ჰქონდათ ლაქები. პატრონუსები წინ წანაჯრნარდნენ და ხვეული კიბე ვერცხლისფერი შუქით აავსეს, პროფესორი მაკგონაგელი, ჰარი და ლუნაც სწრაფად დაეშვნენ დაბლა.

დერეფნებში პატრონუსები სათითაოდ გაეცალნენ. მაკგონაგელი იატაკზე კუბოკრული ხალათის შარიშურით მირბოდა, მოსასხამგადახურული ჰარი და ლუნა უკან მისდევდნენ.

ორი სართულის ჩავლის შემდეგ მათ ნაბიჯებს ვილაცის ჩუმი ფეხის ხმა დაემატა. ნაიარევის ტკივილით გატანჯულმა ჰარიმ პირველმა გაიგონა ეს ხმა და მაშინვე ონავართა რუკის ამოსაღებად ყელზე დაკიდებულ ქისას შეავლო ხელი, მაგრამ სანამ რუკას ამოიღებდა, ეტყობა, მაკგონაგელიც მიხვდა, რომ ვილაც მიჰყვებოდათ. გაჩერდა, ჯოხი საბრძოლველად შემართა და დაიძახა:

Scanned by CamScanner

– ვინ არის აქ?

– მე ვარ, – გაისმა დაბალი ხმა.

აბჯრის უკნიდან სევერუს სნეიპმა გამოაბიჯა.

მის დანახვაზე ჰარის სიძულვილი აუდუღდა გულში. სნეიპის დანაშაულობათა სიდიდის გამო მისი გარეგნობის დეტალებიც კი აღარ ახსოვდა. დავიწყებოდა, როგორ უფარავდა სახეს ცხიმით გასიპული თმა, რა უსიცოცხლო, ცივი მზერა ჰქონდა მის თვალებს. სნეიპი საღამური ტანსაცმლით არ იყო, შავი მოსასხამი მოესხა და ჯოხი საბრძოლველად შეემართა.

– კეროუები სად არიან? – იკითხა წყნარად.

– ალბათ, იქ, სადაც გაამწესეთ, სევერუს, – ცივად მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა.

სნეიპი მიუახლოვდა და პროფესორ მაკგონაგელის უკან, ჰაერში მოავლო თვალი, თითქოს იცის, რომ ჰარი იქ არისო. ჰარიმაც შეტევისთვის მოამზადა ჯოხი.

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ალექტომ დაუპატიჟებელი სტუმარი დააკავა, – თქვა სნეიპმა.

– მართლა? – ჰკითხა პროფესორმა მაკგონაგელმა, – რამ შეგიქმნათ ასეთი შთაბეჭდილება?

სნეიპმა ოდნავ შეარხია მარცხენა ხელი, სადაც შავი ნიშანი ჰქონდა ამოშანთული.

– ჰო, ცხადია, – თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, – სულ დამავიწყდა, რომ სიკვდილის მხვრელებს კომუნიკაციის საკუთარი საშუალებები გაქვთ.

სნეიპმა ყური მოიყრუა. თვალით ისევ მაკგონაგელის გარშემო ჰაერს სინჯავდა და უჩინარ ჰარისა და ლუნას თანდათან, თითქოს უნებურად, უახლოვდებოდა.

– არ ვიცოდი, დერეფნებში ამაღამ თქვენ თუ უნდა გედარაჯათ, მინერვა.

– წინააღმდეგი ხართ?

– ასე გვიან რამ აგაყენათ?

– მგონი, სადღაც უწესრიგობაა, – უპასუხა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მართლა? ჩემი აზრით, ყველგან სიწყნარეა.

სნეიპმა თვალებში ჩახედა მაკგონაგელს.

– ჰარი პოტერი არ გინახავთ, მინერვა? იმიტომ, რომ თუ ნახეთ, აუცილებლად...

პროფესორმა მაკგონაგელმა დაუჯერებლად სწრაფი მოძრაობა გააკეთა, ჯოხით ჰაერი გაკვეთა და წამით ჰარიმ იფიქრა, სნეიპი

Scanned by CamScanner

ჰარიმ შიშის კანკალით გაარჩია ღამურასებური ფიგურა, რომელიც სიბნელეში ციხე-კოშკის გალავნის მილმა მიფრინავდა.

მათ უკან მძიმე ნაბიჯების ხმა და ხმამაღალი ქოშინი გაისმა. სლაგჰორნი ძლივს შემოგორდა.

– ჰარი! – ზურმუხტისფერი აბრეშუმის პიჟამის ქვეშ ვეება გულმკერდის სრესით წამოიძახა სლაგჰორნმა, – ჩემო ბიჭუნა... რა სიურპრიზია... მინერვა, თუ ღმერთი გწამს, ამიხსენი, სეევერუსს რა დაემართა...

– ჩვენს დირექტორს მოკლე შვებულება აქვს, – უპასუხა პროფესორმა მაკგონაგელმა და ფანჯარაში სნეიპის ფორმის ხვრელზე მიუთითა.

– პროფესორო! სკოლა უნდა გავამაგროთ, უკვე მოდის! – შეჰყვირა ჰარიმ და ხელი შუბლზე მიიჭირა. ფერხთით ინფერიუსებით სავსე ტბამ გაუელვა. დაინახა, როგორ მიეჯახა მიწისქვეშა ნაპირს მწვანე, ლანდივით ნავი და ვოლდემორი გადმოხტა...

– ძალიან კარგი. ის, ვისი სახელიც არ ითქმის, მოდის, – აცნობა მაკგონაგელმა დანარჩენ მასწავლებლებს. სპრაუტმა და ფლიტვიკმა პირი დააღეს. სლაგჰორნმა ამოიკვნესა, – დამბლდორის ბრძანებით, პოტერს ციხე-კოშკში რაღაც საქმე აქვს გასაკეთებელი. სანამ პოტერი თავის დავალებას შეასრულებს, აქაურობა ყველანაირად უნდა დავიცვათ.

– რასაკვირველია, ხვდებით, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას უსასრულოდ ვერ შევაჩერებთ, – დაიწრიპინა ფლიტვიკმა.

– დროებით შევაჩეროთ, – თქვა პროფესორმა სპრაუტმა.

– გმადლობ, პომონა, – უთხრა პროფესორმა მაკგონაგელმა და ორმა ჯადოქარმა ქალმა თანხმობის ნიშნად გადახედა ერთმანეთს, – ჩემი აზრით, აქაურობა ძირითადი დაცვით უნდა გავამაგროთ, მერე კი ჩვენი სტუდენტები შევკრიბოთ და დიდ დარბაზში შევხვდეთ ერთმანეთს. უმეტესობის ევაკუაცია იქნება საჭირო, თუმცა, რომელი სრულწლოვანიც ბრძოლის სურვილს გამოთქვამს, ალბათ, დარჩენის საშუალება უნდა მივცეთ.

– შევთანხმდით, – კარისკენ გაეშურა პროფესორი სპრაუტი, – ოც წუთში ჩემს კლუბთან ერთად დიდ დარბაზში შეგხვდებით, – და სანამ თვალს მიეფარებოდა, მისი გამალებული ბუტბუტი მოესმათ: – საცეცები, ეშმაკის ხაფანგი და ღრენია კუნძები... დიახ, ვნახოთ, როგორ გაუმკლავდებიან სიკვდილის მხვრელები.

– მე აქედან ვიმოქმედებ, – გადაწყვიტა ფლიტვიკმა და, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარას ძლივს სწვდებოდა, ჯოხი ჩამტვრეულ ადგილს დაუმიზნა და უაღრესად რთული ფორმულის წარმოთქმას

Scanned by CamScanner

შეუდგა. ჰარის უცნაური შიშინა ხმა მოესმა, თითქოს ფლიტვიკმა სკოლის ტერიტორიაზე ქარიშხალი გაუშვაო.

– პროფესორო, – მიუახლოვდა ჰარი შელოცვების ციცქნა მასწავლებელს, – პროფესორო, უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმისთვის გაწუხებთ. ხომ არ იცით, სად შეიძლება იყოს რეივენქლოს დიადემა?

– პროტეგო ჰორიბილის... რეივენქლოს დიადემა? – დაიწრიპინა ფლიტვიკმა, – ზედმეტი სიბრძნე არავის აწყენდა, პოტერ, მაგრამ ამ ვითარებაში, არა მგონია, რამე გვარგოს!

– არა, მე მარტო ის მაინტერესებს... იცით, სად არის? გინახავთ?

– მინახავს? არც ერთ ცოცხალ ადამიანს არ უნახავს. რა ხანია, დაიკარგა!

ჰარის საშინელი სასოწარკვეთილება და პანიკა დაეუფლა. მაშ, რაღაა ჰორკრუქსი?

– თქვენ და თქვენს რეივენქლოელებს დიდ დარბაზში შეგხვდებით, ფილიუს! – უთხრა ფლიტვიკს პროფესორმა მაკგონაგელმა და ჰარისა და ლუნას ხელი დაუქნია, გამომყევითო.

ის იყო, კართან მივიდნენ, რომ სლაგჰორნის ქუხილი გაისმა.

– ღმერთმანი, – ამოიქშუტუნა ფერწასულმა, გაოფლილმა და ლომვეშაპის ულავაშაცახცახებულმა სლაგჰორნმა, – რა ამბავია! არა მგონია, ჭკვიანური იყოს, მინერვა. ხომ იცი, მაინც იპოვის შემოსასვლელს და ვინც ეცდება, შეაკავოს, სავალალო დღეში ჩააგდებს.

– ოც წუთში თქვენც და სლიზერინელებსაც დიდ დარბაზში გელოდებით. თუ თქვენს სტუდენტებთან ერთად წასვლას მოინდომებთ, არ გაგაჩერებთ, მაგრამ თუ ჩვენი წინააღმდეგობისთვის საბოტაჟის გაწევას დააპირებთ ან ამ სასახლეში ჩვენ წინააღმდეგ იარაღს ასწევთ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეგებრძოლებით, ჰორაციუს!

– რას ბრძანებთ, მინერვა! – გაოგნდა სლაგჰორნი.

– დადგა დრო, სლიზერინის კლუბმა გადაწყვიტოს, ვის მხარესაა, – შეაწყვეტინა პროფესორმა მაკგონაგელმა, – წადით და თქვენი სტუდენტები გააღვიძეთ, ჰორაციუს.

ჰარის სლაგჰორნის დაბნეული ლუღლუღისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ლუნასთან ერთად პროფესორ მაკგონაგელს მიჰყვა. პროფესორი შუა დერეფანში დადგა და ჯოხი აღმართა:

– პიერტოტუმ... ოჰ, კარგი, რა, ფილჩ, რა დროს ეგ არის...

მოხუცი დარაჯი კოჭლობით მოდიოდა და ყვიროდა:

– სტუდენტები ფეხზე არიან! სტუდენტები დერეფნებში დადიან!

Scanned by CamScanner

– უნდა იყვნენ კიდეც! – შეუყვირა პროფესორმა მაკგონაგელმა, – წადი და რამე სასიკეთო გააკეთე! პივსი მიპოვე!

– პი... პი... პივსი? – ენა დაება ფილჩს, თითქოს ეს სახელი აქამდე არ სმენიაო.

– ჰო, პივსი, შე ბრიყვო, პივსი! ოცდახუთი წელია, მაგის სახელს გაიძახი! წადი და ახლავე მომიყვანე!

ფილჩს ყბა ისე მოენგრა, ეტყობა, იფიქრა, პროფესორი მაკგონაგელი ჭკუიდან გადავიდაო, მაგრამ სიტყვა არ შეუბრუნებია, გაურკვეველი ბუზღუნით წაჩლახუნდა.

– პიერტოტუმ ლოკომოტორ! – იყვირა პროფესორმა მაკგონაგელმა. დერეფანში ჩამწკრივებული ყველა ქანდაკება და აბჯარი კვარცხლბეკებიდან ახტა. ზედა და ქვედა სართულებიდან მომავალმა ბრახუნმა ცხადი გახადა, რომ მთელ ციხე-კოშკში იგივე ხდებოდა.

– ჰოგვორტსი საფრთხეშია! – შეჰყვირა პროფესორმა მაკგონაგელმა, – დაიკავეთ საზღვრები, დაგვიცავით, სკოლის წინაშე ვალი მოიხადეთ!

ქანდაკებების ურდო ჩხარუნითა და ზრიალით დაიძრა. ზოგი პატარა იყო, ზოგი – ადამიანზე დიდი ზომისა. ცხოველების ქანდაკებებიც მიქროდნენ, მოჟღრიალე აბჯრები კი ხმლებსა და ჯაჭვებზე გამობმულ წვეტებიან ბურთებს მიიქნევდნენ.

– აბა, პოტერ, – მიუბრუნდა მაკგონაგელი, – შენ და მის ლავგუდი, ჯობია, თქვენს მეგობრებთან დაბრუნდეთ და დიდ დარბაზში მოიყვანოთ... მე დანარჩენ გრიფინდორელებს გავაღვიძებ.

კიბის თავში ერთმანეთს დაშორდნენ, ჰარი და ლუნა უკან, „მიშველე-ოთახის“ დამალული შესასვლელისკენ გაბრუნდნენ. გაქცეულებს გზადაგზა, მეტწილად პიჟამებზე სამგზავრო მოსასხამებმოსხმული სტუდენტები ხვდებოდათ, რომლებიც მასწავლებლებსა და პრეფექტებს დიდი დარბაზისკენ მიჰყვებოდნენ.

– პოტერია!

– ჰარი პოტერი!

– ის იყო, გეფიცებით, დავინახე! – ყვიროდნენ სტუდენტები, მაგრამ ჰარის არავისთვის შეუხედავს.

როგორც იქნა, ჰარიმ და ლუნამ „მიშველე-ოთახის“ შესასვლელს მიაღწიეს. ჰარი მოჯადოებულ კედელს მიეყრდნო, კედელი გაიღო, შეუშვა და ორივე მაშინვე სირბილით დაეშვა დამრეც კიბეზე.

– აქ რა ამბავია?

ჰარი ელდანაცემი იყურებოდა ოთახში: იქაურობა იმაზე უფრო გადაჭედილი დახვდა, ვიდრე მაშინ, აქედან რომ გავიდნენ. იქ იყვნენ კინგსლი და ლუპინი, ოლივერ ვუდი, ქეითი ბელი, ანჯელინა ჯონსო-

Scanned by CamScanner

ნი, ალისია სპინეტი, ბილი, ფლერი, ბატონი და ქალბატონი უისლები.

– ჰარი, რა ხდება? – კიბის ძირას დახვდა ლუპინი.

– ვოლდემორი მოდის, სკოლას ვამაგრებთ... სნეიპი გაიქცა... თქვენ რაღამ მოგიყვანათ? რა იცოდით?

– დამბლდორის მთელ არმიას შევატყობინეთ, – აუხსნა ფრედმა, – ამ მხიარულებას ვინ გამორჩებოდა, ჰარი. **და**-მ კი ფენიქსის ორდენს გააგებინა და ხალხი წვიმასავით წამოვიდა!..

– რით დავიწყოთ, ჰარი? – დაუძახა ჯორჯმა, – რა ხდება?

– არასრულწლოვანები ციხე-კოშკიდან გაჰყავთ. ყველანი დიდ დარბაზში იკრიბებიან მოსამზადებლად, – მიუგო ჰარიმ, – ბრძოლა იწყება.

ატყდა ერთი ღრიანცელი, კიბისკენ ტალღა დაიძრა და კედელზე მიჭეჭყილ ჰარის ერთად ჩაუქროლეს ერთმანეთში არეულმა ჯოხ-ებმომარჯვებულმა ფენიქსის ორდენის წევრებმა, „დამბლდორის არმიამ" და ქვიდიჩის გუნდმა. ყველანი მთავარი დარბაზისკენ მიიჩ-ქაროდნენ.

– ლუნა, წამოდი, – გვერდით ჩავლისას დინმა თავისუფალი ხელი გაუწოდა ლუნას, მანაც ჩაჰკიდა ხელი და კიბეზე აჰყვა.

ხალხი შეთხელდა. „მიშველე-ოთახში" პატარა ჯგუფილა დარჩა და ჰარიც მათ შეუერთდა. ქალბატონი უისლი ჯინის ეჩხუბებოდა. გარშემო ლუპინი, ფრედი, ჯორჯი, ბილი და ფლერი იდგნენ.

– შენ არასრულწლოვანი ხარ! – უყვიროდა ქალბატონი უისლი ქალიშვილს, როცა ჰარი მიუახლოვდათ, – ნებას არ დაგრთავ! ბიჭები კიდევ – ჰო, მაგრამ შენ შინ უნდა წახვიდე!

– არ წავალ!

ჯინიმ დედას ხელი გამოჰგლიჯა და სახიდან თმა გადაიყარა.

– მე „დამბლდორის არმიაში" ვარ...

– ლაწირაკების ბანდაში!

– ეგ ლაწირაკების ბანდა, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მაშინაც არ ეპუე-ბოდა, როცა სხვა ვერაფერს ბედავდა! – გამოესარჩლა დას ფრედი.

– ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლისაა! – ახლა ფრედს დაუყვირა ქალბატონმა უისლიმ, – ჯერ პატარაა! ან თქვენ რას ფიქრობდით, აქ რომ მოგყავდათ...

ფრედმა და ჯორჯმა ცოტა დაირცხვინეს.

– დედა მართალია, ჯინი, – წყნარად უთხრა ბილმა, – შენ ვერ დარჩები. არასრულწლოვანები უნდა წავიდნენ. ასე ჯობია.

– შინ რა წამიყვანს! – იყვირა ჯინიმ და სიბრაზისგან თვალებში ცრემლი აუციმციმდა, – ყველანი აქ ხართ. ვერ ავიტან, რომ მარტო გელოდოთ და არ ვიცოდე, რა ხდება...

Scanned by CamScanner

ჯინიმ პირველად გაუსწორა ჰარის თვალი. მუდარით შეხედა, მაგრამ ჰარიმ უარის ნიშნად თავი გააქნია და ჯინიც იმედგაცრუებული მიტრიალდა.

უცებ ხმაური და ბრაგვანი გაისმა, „ლორის თავისკენ" მიმავალი გვირაბიდან კიდევ ვილაც გამობარბაცდა და წონასწორობადაკარგული დაეცა. მერე უახლოეს სკამთან მიფორთხდა, დაჯდა, მოღრეცილი რქისჩარჩოიანი სათვალიდან გამოიხედა და წაილუღლუღა:

– დამაგვიანდა? დაიწყო? ამ წუთში გავიგე და... მე...

პერსი აწრიალდა. ეტყობა, არ ელოდა, რომ თითქმის მთელი ოჯახი აქ დახვდებოდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ფლერი თავგანწირულად შეეცადა დაძაბულობის გამუხტვას – ლუპინს მიუბრუნდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იყვირა:

– და... პატალა ტედი ღოგოლ აღის?

ლუპინი განცვიფრებული შედგა. უისლებს შორის ჩამოვარდნილი ცივი დუმილი ყინულად იქცა.

– ისა... კარგადაა! – ხმამაღლა მიუგო ფლერს ლუპინმა, – ჰო, ტონქსთანაა... ტონქსის დედასთან არიან...

პერსი და დანარჩენი უისლები ისევ გაშეშებულები უყურებდნენ ერთმანეთს.

– აი, სურათიც მაქვს, – ისევ იყვირა ლუპინმა, ქურთუკის ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო და ფლერსა და ჰარის დაანახვა: კაშკაშა, ზურმუხტისფერქოჩრიანი ჩვილი ფუმფულა მუშტებს იქნევდა.

– ბრიყვი ვიყავი! – ისე იღრიალა პერსიმ, რომ ლუპინს კინაღამ ხელიდან სურათი გაუვარდა, – ტუტუცი, გაბღენძილი იდიოტი და...

– სამინისტროს მოყვარე, ოჯახის მოღალატე, ძალაუფლებას დახარბებული რეგვენი, – სიტყვა შეაშველა ფრედმა.

პერსიმ ნერწყვი გადაყლაპა.

– ჰო, ეგეც.

– მაგაზე ალალად ველარ იტყოდი, – ხელი გაუწოდა ფრედმა.

– მაპატიე, მამა, – თქვა პერსიმ.

ბატონმა უისლიმ თვალები ააფახურა, პერსისკენ გაემართა და გადაეხვია.

– ჭკუაზე რამ მოგიყვანა, პერსი? – ჩაეკითხა ჯორჯი.

– ბოლო დროს სულ ვფიქრობდი დაბრუნებას, – პერსიმ სათვალის ქვეშ თვალები სამგზავრო მოსასხამის კუთხით მოიწმინდა, – მაგრამ გამოსავალი როგორღაც უნდა მეპოვა, სამინისტროში კი ეს ძნელია. მოღალატეებს ნამდაუწუმ აპატიმრებენ. ბოლოს, როგორც იქნა, აბერფორტთან დაკავშირება მოვახერხე. ათი წუთის წინ გამაფრთხილა, ჰოგვორტსი საბრძოლველად ემზადებაო და... მოვედი.

Scanned by CamScanner

– იმედია, ასეთ დროს ჩვენი პრეფექტები ხელმძღვანელობას იკისრებენ, – ზუსტად მიჰბაძა ჯორჯმა პერსის გატყლარჭულ ლაპარაკს, – ახლა დროზე ავიდეთ და ვიომოთ, თორემ ნარჩევ სიკვდილის მხვრელებს სულ სხვები დაიტაცებენ.

– მაშ, ჩემი რძალი ხარ? – ფლერს მიუბრუნდა პერსი, ხელი ჩამოართვა და ბილთან, ფრედთან და ჯორჯთან ერთად კიბისკენ გაეშურა.

– ჯინი, ისევ აქა ხარ? – დაიღრიალა ქალბატონმა უისლიმ.

ჯინი ცდილობდა, შერიგებით ესარგებლა და თვითონაც ზემოთ აპარულიყო.

– მოლი, რას იტყვი, რომ ჯინი ამ ოთახში დარჩეს? – შესთავაზა ლუპინმა, – ახლოს მაინც იქნება და ეცოდინება, რა ხდება, თან, არც ბრძოლის შუაგულში მოხვდება.

– მე...

– კარგი აზრია, – მტკიცედ თქვა ბატონმა უისლიმ, – ჯინი, ამ ოთახში დარჩი და აქედან ფეხი არ მოიცვალო, გასაგებია?

ჯინის დიდად არ ეპიტნავა, მაგრამ მამა ისე უჩვეულოდ მკაცრად უყურებდა, რომ თავი დაუქნია. უისლები და ლუპინი კიბისკენ წავიდნენ.

– რონი სადღაა? – იკითხა ჰარიმ, – ჰერმიონი?

– დიდ დარბაზში წავიდოდნენ, – გადმოსძახა ბატონმა უისლიმ.

– გზაში არ შემხვედრიან, – თქვა ჰარიმ.

– შენი წასვლიდან ცოტა ხანში ტუალეტი ახსენეს, – უთხრა ჯინიმ.

– ტუალეტი?

ჰარი „მიშველე-ოთახიდან" ტუალეტში გამავალ ღია კართან მივიდა და შიგ შეიხედა. ცარიელი იყო.

– ნამდვილად ტუალეტი ახსენეს?

მაგრამ ამ დროს ჰარის ნაიარევი აეწვა და „მიშველე-ოთახი" გაქრა. მაღალ, ნაჭედ რკინის ჭიშკართან იდგა, რომლის აქეთ-იქით აღმართულ სვეტებზე ფრთოსანი ტახები ისხდნენ. გაჩახჩახებულ ციხე-კოშკს მიაცქერდა. ნაგინი მხრებზე შემოჰხვეოდა. მიზნისკენ სწრაფვის ცივ, სასტიკ შეგრძნებას შეეპყრო. ასეთი გრძნობა მნიშვნელოვანი მკვლელობის წინ ეუფლებოდა ხოლმე.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეთერთმეტე

პოგვორტსის ბრძოლა

დიდი დარბაზის მოჯადოებული ჭერი ვარსკვლავებით მოჭედილიყო, მის ქვემოთ კლუბების ოთხ გრძელ მაგიდას თმააბურძგნილი სტუდენტები მისხდომოდნენ, ზოგი სამგზავრო მოსასხამით იყო მოსული, ზოგი კი – პიჟამისამარა. აქა-იქ სკოლის მოჩვენებების მარგალიტისფერი ფიგურები გაიელვებდნენ ხოლმე. ყველას თვალი – ცოცხლისა თუ მიცვალებულისა, – დარბაზის ტრიბუნიდან მოლაპარაკე პროფესორ მაკგონაგელს მიშტერებოდა. მის უკან დანარჩენი მასწავლებლები, მათ შორის – თეთრფაფრიანი კენტავრი ფლორენცია და საბრძოლველად ჩამოსული ფენიქსის ორდენის წევრები იდგნენ.

– ევაკუაციას მისტერ ფილჩი და მადამ პომფრი უხელმძღვანელებენ. პრეფექტებო, როცა გეტყვით, თქვენ-თქვენს კლუბებს დაანყობთ და რიგრიგობით მიიყვანთ საევაკუაციო პუნქტთან.

ბევრი სტუდენტი შეშინებული ჩანდა. თუმცა, იმ დროს, როცა ჰარი კედელ-კედელ წავიდა და რონისა და ჰერმიონის საპოვნელად გრიფინდორის მაგიდა მოათვალიერა, ჰაფლეპაფის მაგიდიდან ერნი მაკმილანი წამოდგა და იყვირა:

– ვისაც დარჩენა და ბრძოლა გვინდა?

აქა-იქ ვიღაცამ ტაში შემოჰკრა.

– თუ სრულწლოვანები ხართ, შეგიძლიათ დარჩეთ, – უპასუხა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– ჩვენს ნივთებს რა ვუყოთ? – დაიძახა გოგონამ რეივენქლოს მაგიდიდან, – ჩვენს ჩემოდნებს? ბუებს?

– მაგის შეგროვების დრო არა გვაქვს, – მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა, – მთავარია, აქედან მშვიდობიანად გაგიყვანოთ.

– პროფესორი სნეიპი სად არის? – იყვირა ერთმა სლიზერინელმა გოგონამ.

– უხეშად რომ ვთქვათ, გაიქცა, – მიუგო პროფესორმა მაკგ-

Scanned by CamScanner

ონაგელმა. გრიფინდორის, ჰაფლეპაფისა და რეივენქლოს მაგიდებთან დიდი ჟრიამული ატყდა.

– ციხე-კოშკს გარშემო დაცვა შემოვავლეთ, – განაგრძობდა პროფესორი მაკგონაგელი, – მაგრამ თუ არ გავაძლიერეთ, დიდხანს ვერ შევინარჩუნებთ. ამიტომ უნდა გთხოვოთ, პრეფექტებს დაემორჩილოთ და სწრაფად და მშვიდად წახვიდეთ...

უცებ ბოლო სიტყვები სხვა – მაღალმა, ცივმა და მკაფიო ხმამ ჩაახშო, რომელიც მთელ დარბაზს მოედო. ვერ გაიგებდი, საიდან მოდიოდა. თითქოს კედლები გამოსცემდა. გეგონებოდა, მასაც საუკუნეების განმავლობაში ეძინა იმ მონსტრივით, რომელიც ოდესღაც ამ ხმის პატრონმა გამოაღვიძა.

– ვიცი, რომ საბრძოლველად ემზადებით, – ამ სიტყვებზე სტუდენტებს შორის კივილი გაისმა, ზოგიერთები ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ და შიშით მიიხედ-მოიხედეს, ხმა საიდან მოდისო, – თქვენი ცდა ამაოა. მე ვერ შემებრძოლებით. თქვენი დახოცვა არ მინდა – ჰოგვორტსის მასწავლებლებსაც დიდ პატივს ვცემ და არც წმინდა სისხლის დაღვრა მსურს.

დარბაზში სიჩუმე ჩამონვა. ისეთი სიჩუმე, რომელიც ყურში დაფის აპკებს აწვება და კედლებიც კი ვერ უძლებს.

– გადმომეცით ჰარი პოტერი, – განაგრძო ვოლდემორის ხმამ, – და არავის არაფერი დაუშავდება. გადმომეცით ჰარი პოტერი და სკოლას ხელს არ ვახლებ. გადმომეცით ჰარი პოტერი და ჯილდოს მიიღებთ. დროს შუაღამემდე გაძლევთ.

სიჩუმემ მოიცვა ყველა და ყველაფერი. დარბაზში მსხდომებმა თავი მიაბრუნეს და ყველამ ჰარის შეხედა. მერე სლიზერინის მაგიდიდან ვიღაც წამოდგა. ჰარიმ პენსი პარკინსონი იცნო. პენსიმ აცახცახებული ხელი გაიშვირა და იკივლა:

– აქ ყოფილა! აგერ, პოტერი! ვინმემ ხელი სტაცეთ!

სანამ ჰარი ხმას ამოიღებდა, ყველა ერთბაშად ამოძრავდა. მის წინ მდგომი გრიფინდორელები ადგნენ, ოღონდ ჰარისკენ კი არა, სლიზერინელებისკენ მიბრუნდნენ. მათ შემდეგ ჰაფლეპაფელები და – თითქმის იმწამსვე, – რეივენქლოელებიც წამოდგნენ. ჰარისგან ზურგშექცევით მდგარი სტუდენტები პენსის დაჟინებით მიაჩერდნენ და განცვიფრებულმა ჰარიმ შეამჩნია, როგორ გამოძვრა მათი მოსასხამების ქვეშიდან ან სახელოებიდან ჯოხები.

– გმადლობთ, მის პარკინსონ, – თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა მონოტონური ხმით, – თქვენ პირველი გახვალთ დარბაზიდან ბატონ ფილჩთან ერთად. თქვენი კლუბის დანარჩენ წევრებსაც შეუძლიათ გამოგყვნენ.

Scanned by CamScanner

ონაგელმა. გრიფინდორის, ჰაფლეპაფისა და რეივენქლოს მაგიდებთან დიდი ჟრიამული ატყდა.

– ციხე-კოშკს გარშემო დაცვა შემოვავლეთ, – განაგრძობდა პროფესორი მაკგონაგელი, – მაგრამ თუ არ გავაძლიერეთ, დიდხანს ვერ შევინარჩუნებთ. ამიტომ უნდა გთხოვოთ, პრეფექტებს დაემორჩილოთ და სწრაფად და მშვიდად წახვიდეთ...

უცებ ბოლო სიტყვები სხვა – მაღალმა, ცივმა და მკაფიო ხმამ ჩაახშო, რომელიც მთელ დარბაზს მოედო. ვერ გაიგებდი, საიდან მოდიოდა. თითქოს კედლები გამოსცემდა. გეგონებოდა, მასაც საუკუნეების განმავლობაში ეძინა იმ მონსტრივით, რომელიც ოდესღაც ამ ხმის პატრონმა გამოაღვიძა.

– ვიცი, რომ საბრძოლველად ემზადებით, – ამ სიტყვებზე სტუდენტებს შორის კივილი გაისმა, ზოგიერთები ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ და შიშით მიიხედ-მოიხედეს, ხმა საიდან მოდისო, – თქვენი ცდა ამაოა. მე ვერ შემებრძოლებით. თქვენი დახოცვა არ მინდა – ჰოგვორტსის მასწავლებლებსაც დიდ პატივს ვცემ და არც წმინდა სისხლის დაღვრა მსურს.

დარბაზში სიჩუმე ჩამონვა. ისეთი სიჩუმე, რომელიც ყურში დაფის აპკებს აწვება და კედლებიც კი ვერ უძლებს.

– გადმომეცით ჰარი პოტერი, – განაგრძო ვოლდემორის ხმამ, – და არავის არაფერი დაუშავდება. გადმომეცით ჰარი პოტერი და სკოლას ხელს არ ვახლებ. გადმომეცით ჰარი პოტერი და ჯილდოს მიიღებთ. დროს შუაღამემდე გაძლევთ.

სიჩუმემ მოიცვა ყველა და ყველაფერი. დარბაზში მსხდომებმა თავი მიაბრუნეს და ყველამ ჰარის შეხედა. მერე სლიზერინის მაგიდიდან ვიღაც წამოდგა. ჰარიმ პენსი პარკინსონი იცნო. პენსიმ აცახცახებული ხელი გაიშვირა და იკივლა:

– აქ ყოფილა! აგერ, პოტერი! ვინმემ ხელი სტაცეთ!

სანამ ჰარი ხმას ამოიღებდა, ყველა ერთბაშად ამოძრავდა. მის წინ მდგომი გრიფინდორელები ადგნენ, ოღონდ ჰარისკენ კი არა, სლიზერინელებისკენ მიბრუნდნენ. მათ შემდეგ ჰაფლეპაფელები და – თითქმის იმწამსვე, – რეივენქლოელებიც წამოდგნენ. ჰარისგან ზურგშექცევით მდგარი სტუდენტები პენსის დაჟინებით მიაჩერდნენ და განცვიფრებულმა ჰარიმ შეამჩნია, როგორ გამოძვრა მათი მოსასხამების ქვეშიდან ან სახელოებიდან ჯოხები.

– გმადლობთ, მის პარკინსონ, – თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა მონოტონური ხმით, – თქვენ პირველი გახვალთ დარბაზიდან ბატონ ფილჩთან ერთად. თქვენი კლუბის დანარჩენ წევრებსაც შეუძლიათ გამოგყვნენ.

Scanned by CamScanner

მოისმა სკამების გაჩოჩების, მერე კი – დარბაზის მეორე მხარეს ერთად მიმავალი სლიზერინელების ფეხის ხმა.

– რეივენქლოელებო, გაჰყევით! – ბრძანა პროფესორმა მაკგონაგელმა.

ოთხივე მაგიდა ნელ-ნელა დაიცალა. სლიზერინელების მაგიდასთან აღარავინ დარჩენილა. რამდენიმე უფროსკურსელი რეივენქლოელი და უფრო მეტი ჰაფლეპაფელი თავიანთ მაგიდებთან დარჩნენ, ნახევარ გრიფინდორს კი ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია. პროფესორი მაკგონაგელი იძულებული გახდა, მასწავლებლების ტრიბუნიდან ჩამოსულიყო და უმცროსკურსელებისთვის დაეცაცხანებინა:

– არავითარ შემთხვევაში, ქრივ, აბა, მოუსვი! შენც, პიკს!

ჰარი გრიფინდორის მაგიდასთან ერთად მსხდარ უისლებს მიუახლოვდა.

– რონი და ჰერმიონი სად არიან?

– ვერ ვიპოვე... – დაიწყო შეწუხებულმა ბატონმა უისლიმ, მაგრამ იმწამსვე გაჩუმდა, რადგან ტრიბუნაზე კინგსლი გამოვიდა და დარჩენილებს მიმართა:

– შუაღამემდე ნახევარი საათი დაგვრჩა. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ჰოგვორტსის მასწავლებლებმა და ფენიქსის ორდენმა ბრძოლის გეგმა უკვე შეათანხმეს. პროფესორები – ფლიტვიკი, სპრაუტი და მაკგონაგელი მებრძოლთა ჯგუფებს სამ უმაღლეს კოშკზე – რეივენქლოს, ასტრონომიისა და გრიფინდორის კოშკებზე აიყვანენ, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანს და შელოცვების სატყორცნად მშვენიერი ადგილია. ამასობაში რემუსი, – ლუპინზე მიუთითა, – არტური, – გრიფინდორის მაგიდასთან მჯდომი უისლისკენ გაიშვირა ხელი, – და მე ჯგუფებს ქვემოთ ჩავიყვანთ. ვინმე გვჭირდება, ვინც სკოლის შემოსასვლელებს ან საიდუმლო დერეფნებს დაიცავს...

– ეგ საჩვენო საქმე ჩანს, – დაიძახა ფრედმა და თავის თავსა და ჯორჯზე ანიშნა. კინგსლიმ თავი დაუქნია.

– კარგი. მეთაურებო, მომიახლოვდით, მებრძოლები გავიყოთ!

სანამ საბრძოლველად დარჩენილი სტუდენტები სათითაოდ ადიოდნენ ტრიბუნაზე და მითითებებს იღებდნენ, ჰარისკენ პროფესორი მაკგონაგელი გამოემართა.

– პოტერ, შენ ხომ რაღაცას უნდა ეძებდე?

– ბატონო? – დაიბნა ჰარი, – აა, დიახ, დიახ!

ჰარის თითქმის დავიწყებოდა, რომ ბრძოლას იმისათვის მართავდნენ, რათა ჰორკრუქსი მოეძებნა. რონისა და ჰერმიონის მოულოდნელმა გაქრობამ ყველა სხვა ფიქრი გამოუდევნა გონებიდან.

– ჰოდა, წადი, პოტერ, წადი!

Scanned by CamScanner

– დიახ, ახლავე.

ჰარიმ იგრძნო, როგორ გამოაყოლეს თვალი, როცა დიდი დარბაზიდან გავიდა და წამსვლელი სტუდენტებით ჯერაც სავსე ჰოლში ჩაიკარგა. მარმარილოს კიბე აათავა და მალე ცარიელ დერეფანს მარტო გაუყვა. ძრწოლა ფიქრს უბინდავდა. სცადა, დაწყნარებულიყო, გულისყური მოეკრიბა და ჰორკრუქსის პოვნა ყველანაირად ეცადა, მაგრამ ფიქრები აქეთ-იქით უქროდა და რონისა და ჰერმიონის დაუხმარებლად აზრებს ვერ ალაგებდა. დერეფნის შუამდე მისულმა ნაბიჯი შეანელა, ქანდაკების ცარიელ კვარცხლბეკზე ჩამოჯდა და კისერზე ჩამოკიდებული ქისიდან ონავრების რუკა ამოიღო. ჰარიმ რონისა და ჰერმიონის სახელებს ვერსად მოჰკრა თვალი, თუმცა, შეიძლება „მიშველე-ოთახისკენ“ მიმავალ ხალხში არც ჩანდნენ. რუკა შეინახა, სახე ხელებში ჩარგო, თვალები დახუჭა და სცადა, დაფიქრებულიყო.

„ვოლდემორი ვარაუდობდა, რომ რეივენქლოს კოშკში ავიდოდი, – გაიფიქრა ჰარიმ, – ეს მნიშვნელოვანი ფაქტია და ფიქრიც აქედან უნდა დავიწყო. ვოლდემორმა ალექტო კეროუ რეივენქლოს საერთო ოთახში გაამწესა. ამას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ვოლდემორს ჰგონია, უკვე ვიცი, რომ მისი ჰორკრუქსი ამ კლუბს უკავშირდება“.

„მაგრამ რეივენქლოსთან დაკავშირებული ერთადერთი ნივთი, რაც ვიცი, დაკარგული დიადემაა... დიადემა ჰორკრუქსი როგორ იქნება? როგორ იპოვიდა სლიზერინელი ვოლდემორი დიადემას, რომელიც რეივენქლოელთა თაობებმა ვერ მოიხელთეს? ვინ ეტყოდა, სად უნდა ეძებნა, როცა არც ერთ ცოცხალ ადამიანს ის არ უნახავს?“

„ცოცხალ ადამიანს...“

უცებ სახეზე ხელებაფარებულმა ჰარიმ თვალები გაახილა, კვარცხლბეკიდან წამოხტა და ისევ იქით გაექანა, საიდანაც მოვიდა. უკანასკნელ იმედს ებღაუჭებოდა. მარმარილოს კიბესთან დაბრუნებულს უფრო და უფრო ხმამაღლა ესმოდა „მიშველე-ოთახისკენ“ მიმავალი ასობით ადამიანის ხმა. პრეფექტები მითითებებს გაჰყვიროდნენ და ცდილობდნენ, თავიანთი კლუბის სტუდენტებისთვის მიეხედათ. იყო ერთი ხელისკვრა და ყვირილი; ჰარიმ დაინახა, როგორ მიყარ-მოყარა პირველკურსელები ზაქარია სმიტმა, რათა რიგში პირველი ჩამდგარიყო. აქა-იქ უმცროსი სტუდენტები ტიროდნენ, უფროსები კი სასოწარკვეთით ეძახდნენ მეგობრებსა თუ და-ძმებს.

ჰარიმ ჰოლში მოლივლივე მარგალიტისფერ ფიგურას მოჰკრა თვალი და ყაყანის გადასაფარად მთელი ძალ-ღონით იღრიალა:

– ნიკ! ნიკ! უნდა დაგელაპარაკო!

მერე სტუდენტთა ტალღაში გზა გაიკვლია და, როგორც იქნა,

Scanned by CamScanner

კიბის ძირას ჩავიდა. იქ გრიფინდორის კოშკის მოჩვენება, თითქმის უთავო ნიკი ელოდა.

– ჰარი, ჩემო ბიჭუნა!

ნიკმა ორივე ხელში მოიქცია ჰარის ხელები და ჰარის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ხელი ყინულოვან წყალში ჩაეყოს.

– ნიკ, უნდა დამეხმარო. ვინ არის რეივენქლოს კოშკის მოჩვენება?

თითქმის უთავო ნიკს სახეზე გაკვირვება და, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი გამომეტყველება აღებეჭდა.

– რუხი ქალბატონი, მაგრამ თუ მოჩვენების დახმარება გჭირდება, მე...

– ამ შემთხვევაში მხოლოდ ის თუ დამეხმარება... იცი, სად არის?

– მოიცადე...

ნიკმა ფუშფუშა საყელოზე დადგმული თავის ყანყალით მიიხედ-მოიხედა და სტუდენტების ტალღას გადაავლო თვალი.

– აი, იქ არის, გრძელთმიანი ახალგაზრდა ქალი.

ჰარიმ თვალი გააყოლა ნიკის გამჭვირვალე თითს და მაღალი მოჩვენება დაინახა, რომელმაც ჰარის მზერა დაიჭირა თუ არა, წარბები აწკიპა და კედელში გაიარა.

ჰარი დაედევნა. როგორც კი იმ დერეფნის კარში შევიდა, რომელშიც მოჩვენება გაქრა, უკვე დერეფნის ბოლოში მოჰკრა თვალი, ნარნარად მილივლივებდა.

– მოიცადეთ... დაბრუნდით!

მოჩვენება შეჩერდა და იატაკიდან რამდენიმე სანტიმეტრზე ატივტივდა ჰაერში. ლამაზი ქალი იყო. თმა წელზე სცემდა, მოსასხამი იატაკზე დასთრევდა. თუმცა, ქედმაღალი და ამაყიც ჩანდა. როცა მიუახლოვდა, ჰარიმ იცნო – რამდენჯერმე შეხვედროდა დერეფნებში, მაგრამ არასდროს არ დალაპარაკებოდა.

– რუხი ქალბატონი ბრძანდებით?

მოჩვენებამ თავი დაუქნია, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

– რეივენქლოს კოშკის მოჩვენება?

– დიახ.

– თქვენი დახმარება მჭირდება. თუ შეიძლება, მითხარით, რა იცით რეივენქლოს დაკარგული დიადემის შესახებ.

მოჩვენებას ტუჩებზე ცივი ღიმილი გადაეკრა.

– სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, – შებრუნდა და ნასვლა დაპირა.

– ერთი წუთით!

ჰარი ყვირილს არ აპირებდა, მაგრამ ბრაზსა და შიშს ვერ მოერია. საათს დახედა: შუაღამეს თხუთმეტი წუთი აკლდა.

Scanned by CamScanner

– სასწრაფო საქმეა, – წამოიძახა აღელვებულმა, – თუ დიადემა ჰოგვორტსშია, უნდა ვიპოვო. აუცილებლად!

– შენ პირველი სტუდენტი როდი ხარ, ვისაც დიადემის ხელში ჩაგდება სურს, – აიმრიზა მოჩვენება, – სტუდენტთა თაობები მიწყალებდნენ გულს...

– კარგი ნიშნების მისაღებად კი არ მინდა! – უყვირა ჰარიმ, – ვოლდემორის... ვოლდემორის დასამხობად მჭირდება! დავიჯერო, არ გენაღვლებათ?

მოჩვენება ვერ განითლდებოდა, ამიტომ გამჭვირვალე ლოყები ჩაუმუქდა და ცხარედ მიუგო:

– როგორ არა... რამ გაფიქრებინათ...

– მაშინ, დამეხმარეთ!

მოჩვენებას მღელვარება დაეტყო.

– ეს... ეს ისეთი საკითხია... – ენა დაება, – დედაჩემის დიადემა...

– დედათქვენის?

მოჩვენება, ეტყობა, თავის თავზე გაბრაზდა.

– სიცოცხლეში ჰელენა რეივენქლო ვიყავი, – უთხრა მშრალად.

– მისი ქალიშვილი ხართ? მაშ, გეცოდინებათ, რა იქნა დიადემა.

– მართალია, დიადემა სიბრძნეს ჰმატებს, – რუხმა ქალბატონმა მთელი ძალ-ღონით სცადა, თავი დაეჭირა, – მაგრამ მეეჭვება, იმ ჯადოქრის დამარცხებაში მოგეხმაროთ, რომელიც თავის თავს ლორდ...

– ხომ გითხარით, თავზე დასადგმელად არ მინდა-მეთქი! – გამწარდა ჰარი, – ახსნის დრო არ მაქვს... მაგრამ თუ ჰოგვორტსზე გული შეგტკივათ, თუ ვოლდემორის დაცემა გინდათ, ყველაფერი უნდა მითხრათ, რაც იმ დიადემაზე იცით!

მოჩვენება ჩუმად ლივლივებდა ჰაერში და ჰარის ზემოდან დაჰყურებდა. ჰარი უიმედობამ შეიპყრო. მოჩვენებას რამე რომ სცოდნოდა, ალბათ, ფლიტვიკს ან დამბლდორს ადრევე ეტყოდა. ამ შეკითხვას ხომ ისინიც უსათუოდ დაუსვამდნენ. ჰარიმ თავი გაიქნია და ის იყო, წასვლა დააპირა, რომ მოჩვენებამ ხმადაბლა თქვა:

– დედაჩემს მე მოვპარე დიადემა.

– თქვენ... რა ჩაიდინეთ?

– დიადემა მოვპარე, – ჩურჩულით მიუგო ჰელენა რეივენქლომ, – მინდოდა, დედაზე ჭკვიანი და სახელგანთქმული ყოფილიყავი. მოვპარე და გავიქეცი.

ჰარი ვერ მიხვდა, როგორ მოიპოვა მისი ნდობა. არც არაფერი უკითხავს – მხოლოდ სულგანაბული უსმენდა.

– დედაჩემმა დიადემის გაქრობის ამბავი არ გაამხილა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ისევ ჰქონდა. ჰოგვორტსის დანარჩენ დამფუძნე-

Scanned by CamScanner

ბლებსაც კი დაუმალა თავისი დანაკარგი და ჩემი საშინელი ღალატი. მერე დედა უკურნებელი სენით დაავადდა და ჩემი ნახვა მოისურვა. ჩემს მოსაძებნად ის კაცი გამოგზავნა, ვისაც დიდი ხანი იყო, ვუყვარდი, მე კი ყოველთვის ზიზღით უარვყოფდი. დედაჩემმა იცოდა, რომ ის კაცი ვერ მოისვენებდა, მანამ არ მიპოვიდა.

ჰარი ელოდა. მოჩვენებამ ღრმად ამოიოხრა და განაგრძო:

– კაცმა იმ ტყეში მომაკვლია, სადაც ვიმალებოდი. როცა დედასთან გაყოლაზე უარი ვტკიცე, სცადა, ძალით წავეყვანე. ბარონი ფიცხი კაცი იყო. უარით გაცეცხლებულს ჩემი თავისუფლებაც შეშურდა და დანა დამარტყა.

– ბარონმა? აქაურ ბარონს...

– დიახ, სისხლიან ბარონს ვგულისხმობ, – უთხრა რუხმა ქალბატონმა და მოსასხამი გადაიწია – მკერდზე მუქი ნაჭრილობევი აჩნდა, – როცა ნახა, რაც ჩაიდინა, სინდისის ქენჯნა იგრძნო. ის იარაღი აილო, რომლითაც სიცოცხლე მომისწრაფა და თავი მოიკლა. მას მერე საუკუნეებია, მონანიების ნიშნად, ჯაჭვებასხმულია... ასეც უნდა იყოს, – დაამატა მწარედ.

– და... დიადემა?

– იქ დარჩა, იმ ტყეში. როცა მომესმა, ტყე-ტყე გზას როგორ მოიკვლევდა ჩემკენ მომავალი ბარონი, ხის ფულუროში ჩავმალე.

– ფულუროში? – გაიმეორა ჰარიმ, – რომელ ფულუროში? სად?

– ალბანეთის ტყეში. მიყრუებულ ადგილას, სადაც მეგონა, დედაჩემი ვერ მომაგნებდა.

– ალბანეთში, – გაიმეორა ჰარიმ. უცებ დაბნეულობა სასწაულებრივად გაეფანტა და მიხვდა, რატომ გაუმხილა მას მოჩვენებამ ის, რაც დამბლდორსა და ფლიტვიკს დაუმალა, – ეს ამბავი უკვე ვიღაცისთვის გაქვთ მოყოლილი, არა? სხვა სტუდენტისთვის?

მოჩვენებამ თვალები დახუჭა და თავი დაუქნია.

– მე... რა ვიცოდი... ისეთი ზრდილობიანი იყო... ისე კარგად ესმოდა ჩემი... თანამიგრძნობდა...

„რა თქმა უნდა," – გაიფიქრა ჰარიმ, – ტომ რიდლი მართლაც კარგად გაიგებდა ჰელენა რეივენქლოს სურვილს – დაპატრონებოდა ლეგენდარულ ნივთს, რომლის დასაკუთრების არანაირი უფლება არ ჰქონდა.

– სამწუხაროდ, თქვენ არ ხართ პირველი, ვისაც რიდლმა რაღაც-რაღაცეები დასტყუა, – წაიბუტბუტა ჰარიმ, – როცა მოინდომებდა, ნამდვილად მომხიბლავი იყო...

მაშ, ვოლდემორმა რუხ ქალბატონს დაკარგული დიადემის ადგილსამყოფელი გამოსტყუა, ალბანეთის ტყეში წავიდა და დიადემა

Scanned by CamScanner

სამალავიდან წამოიღო. ეს შეიძლება ჰოგვორტსის დამთავრებისთანავე, ან „ბორჯინ ენდ ბერკსში" მუშაობის დაწყებამდე მოხდა... განა ალბანეთის შორეული ტყეები ჩინებული თავშესაფარი არ იქნებოდა მერეც, მოგვიანებით, როცა ვოლდემორი ისე უნდა დამალულიყო, რომ ათ გრძელ წელიწადს არავის შეენუხებინა?.. მაგრამ მას შემდეგ, რაც დიადემა მის ძვირფას ჰორკრუქსად იქცა, იმ არასაიმედო სამალავში აღარ დატოვებდა... არა – დიადემა ვოლდემორის ხელით საიდუმლოდ დაბრუნდა თავის ნამდვილ სახლში...

– ...იმ ღამეს, როცა სამსახური ითხოვა! – ფიქრი ხმამაღლა დაამთავრა ჰარიმ.

– რა თქვით?

– დიადემა ციხე-კოშკში თან ჰქონდა იმ ღამით, როცა დამბლდორს მასწავლებლის ადგილი სთხოვა! – როცა ჰარიმ ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, აზრსაც ჩასწვდა, – რა თქმა უნდა! და დიადემას დამბლდორის კაბინეტისკენ მიმავალი ან იქიდან მომავალი დამალავდა! თუმცა, სამსახურის თხოვნა მაინც ულირდა: თუ მიიღებდნენ, გრიფინდორის ხმალსაც მისწვდებოდა... გმადლობთ, გმადლობთ!

ჰარიმ მოლივლივე რუხი ქალბატონი მთლად გაოგნებული მიატოვა, ჰოლისკენ მიმავალ შესახვევში შევარდა და საათს დახედა. შუალამეს ხუთი წუთი აკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე იცოდა, რაც იყო ჰორკრუქსი, მის ადგილსამყოფელს მაინც ვერ ხედებოდა...

დიადემას სტუდენტთა თაობებმა ვერ მიაგნეს; იქნებ რეივენქლოს კოშკში არც არის... მაგრამ აბა, სად უნდა იყოს? ისეთი რა სამალავი იპოვა ტომ რიდლმა ჰოგვორტსის ციხე-კოშკში, რომ ეგონა, სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩებოდა?

სასონარკვეთილ ფიქრებში ჩაფლულმა ჰარიმ კუთხეში შეუხვია, მაგრამ ახალ დერეფანში რამდენიმე ნაბიჯი არ გადაედგა, რომ მარცხნივ საშინელი ჭახანით შემოიმსხვრა ფანჯარა, ჰარი გვერდზე გახტა. ფანჯრიდან გოლიათი სხეული შემოფრინდა და მეორე კედელს მთელი ძალით მიენარცხა.

რალაც დიდი და ბანჯგვლიანი ხელებით მოსწყდა იმ სხეულს და ჰარის ეძგერა.

– ჰაგრიდ! – იყვირა ჰარიმ და სანამ ვეება ნეროსანი ფეხზე წამოდგებოდა, შეეცადა ფენგი მოეშორებინა, – რა ამბავია?

– ჰარი, აქა ხარ? მოხვედი?

ჰაგრიდი დაიხარა და ჰარის ისე ლონიერად მოეხვია, კინალამ ნეკნები ჩაუმტვრია. მერე ისევ ჩალენილი ფანჯრისკენ გაქანდა:

– ყოჩაღ, გრაუპ! – გასძახა ნახვრეტიდან, – ამწუთში მოვალ, აქ ერთი საქმე მაქვს!

Scanned by CamScanner

ჰაგრიდის უკან, ბნელ ღამეში ჰარიმ აქა-იქ შორს ამოფრქვეული სინათლე დაინახა და საზარელი, გამყინავი კივილი გაიგონა. საათს დახედა: შუაღამე დამდგარიყო. ალბათ, ბრძოლა დაიწყო.

– ვაიმე, ჰარი, – ამოიქოშინა ჰაგრიდმა, – მორჩა, არა? დადგა ბრძოლის დრო?

– ჰაგრიდ, საიდან მოხვედი?

– გამოქვაბულში გავიგონეთ ჩვენ-რომ-ვიცით, იმისი ხმა, – პირქუშად უთხრა ჰაგრიდმა, – რას არ გავიგონებდით! შუაღამემდე დაგაცდით პოტერის გადმოცემასო. მივხვდი, აქ იქნებოდი, იმასაც მივხვდი, ბრძოლა იქნება-მეთქი. მომეშვი, ფენგ!.. ჰოდა, მოვედით: მე, გრაუპი და ფენგი. საზღვარზე ტყე-ტყე გადმოვედით, ორივენი, მეცა და ფენგიც გრაუპს მოვყავდით. ვუთხარი, ციხე-კოშკში მიგვიყვანე-მეთქი და ფანჯარაში არ შემომაგდო?! უყურე მაგას! არა, მთლად ეგრეც არ მინდოდა, მაგრამ... რონი და ჰერმიონი სადღა არიან?

– ეგ მეც ძალიან მაინტერესებს. წამოდი, – უთხრა ჰარიმ.

ჰარი და ჰაგრიდი ერთად გაუყვნენ დერეფანს, ფენგიც მათ კვალდაკვალ გაძუნძულდა. დერეფნები ხმაურს აევსო. ვილაცეები დარბოდნენ და ყვიროდნენ; ფანჯრებიდან ჩანდა, რომ სიბნელეში აფეთქებები გახშირდა.

– საით მივდივართ? – ამოიქოშინა ჰარის უკან მიმავალმა ჰაგრიდ-მა და იატაკის ფიცრებს ზანზარი აუყენა.

– ზუსტად არ ვიცი, – ალალბედზე შეუხვია ჰარიმ, – მაგრამ რონი და ჰერმიონი სადღაც აქ უნდა იყვნენ...

წინ ბრძოლის პირველი მსხვერპლი შემოხვდათ – სამას-წავლებლოს შესასვლელთან მდგარი ქვის ორი ურჩხული დამსხვრეუ-ლი ეყარა ძირს. ეტყობა, ჩამტვრეულ ფანჯარაში შემოფრენილმა წყევლამ დაფშვნა. როცა ჰარიმ ერთ უსხეულო თავს გადაალაჯა, თავმა სუსტად ამოიკვნესა:

– ყურადღებას ნუ მომაქცევთ... ვეგდები და დავიფშვნები...

ქვის ამ უშნო სახემ ჰარის უცებ ქსენოფილიუსის სახლში ნანახი როენა რეივენქლოს უცნაურთავსაბურავიანი ბიუსტი, მერე კი – რეივენქლოს კოშკში მდგარი ქანდაკება გაახსენდა, რომელსაც თეთრ კულულებზე ქვის დიადემა ედგა...

დერეფნის ბოლოში მისულ ჰარის ქვის მესამე ფიგურა, „მიშ-ველე-ოთახში“ მდგარი უშნო, ბებერი ჯადოქრის გვერდჩამოტეხილი ბიუსტი გაახსენდა, რომელსაც თავზე თვითონ ჩამოაცვა პარიკი და გაქუცული, დამტვერილი დიადემა, რათა მოგვიანებით ათას ხარახ-ურას შორის მდგარ განჯინაში დამალული ნახევარპრინცისეული წიგნის პოვნა არ გასჭირვებოდა. ელდა ცეცხლოვანი ვისკივით ეცა და მღელვარებისგან კინაღამ ფეხი დაუცდა.

Scanned by CamScanner

როგორც იქნა, მიხვდა, სად იყო ჰორკრუქსი...

ტომ რიდლი არავის ენდობოდა და მარტო მოქმედებდა; ისეთი ქედმაღალი იყო, რომ ეგონა, მხოლოდ თვითონ ჩასწვდა ჰოგვორტსის ციხე-კოშკის ყველაზე ღრმად დაფარულ საიდუმლოებებს. რასაკვირველია, დამბლდორი და ფლიტვიკი – სანიმუშო მოწაფეები, ამ ადგილას ფეხს თავის დღეში არ დაადგამდნენ, მაგრამ რაკი სკოლაში სწავლისას ჰარი თვითონაც ხშირად უხვევდა გატკეპნილი ბილიკიდან, ვოლდემორის მსგავსად, მშვენივრად იცოდა ის საიდუმლო ადგილი, რომელსაც დამბლდორი ვერასოდეს იპოვიდა...

ჰარი ბრაგაბრუგმა გამოაფხიზლა: პროფესორმა სპრაუტმა ჩაიქროლა, უკან ნევილი და ხუთიოდე სხვა სტუდენტი მისდევდა, ყველას ყურსაცვამები ეკეთა და ქოთნის მცენარეები მიჰქონდა.

– მანდრაგორებია! – გამოსძახა ნევილმა ჰარის, – კოშკიდან უნდა გადავყაროთ... ალბათ, არ მოეწონებათ!

ახლა ჰარიმ დანამდვილებით იცოდა, სადაც უნდა წასულიყო და ფეხს აუჩქარა. ჰაგრიდი და ფენგი დაედევნენ. პორტრეტების გვერდით ჩავლისას, ნახატები – ფუშფუშასაყელოიანი და ბრიჯებიანი, შეჭურვილი და მოსასხამმოსხმული ჯადოქრები და კუდიანები მათთან ერთად მირბოდნენ, ერთმანეთის ტილოებში გროვდებოდნენ და ციხე-კოშკის სხვადასხვა ადგილიდან მოტანილ ამბებს გაჰყვიროდნენ. დერეფნის ბოლოს რომ მიაღწიეს, მთელი ციხე-კოშკი შეირყა და როცა ვეებერთელა ლარნაკი სადგარიდან გადმოვარდა და დაიმსხვრა, ჰარი მიხვდა, რომ ციხე-კოშკი იმაზე საშინელი ჯადოქრობის მარწუხებში იყო მოქცეული, ვიდრე მასწავლებლები და ორდენის წევრები წარმოიდგენდნენ.

– ნუ გეშინია, ფენგ... ნუ გეშინია! – იყვირა ჰაგრიდმა. ჰაერში ფაიფურის ნატეხები ყუმბარის ნამსხვრევებივით გაიფანტა თუ არა, უშველებელი ძაღლი გაიქცა. ჰაგრიდიც ძუნძულით დაედევნა და ჰარი მარტო მიატოვა.

ჰარი ნელა, ჯოხმომარჯვებული გაუყვა აზანზარებულ დერეფნებს. ერთ დერეფანში ტანმორჩილი, ნახატი რაინდი, სერ კადოგანი, რომელსაც ჩასუქებული პონი ჩორთით მისდევდა უკან, აბჯრის ჩხარაჩხურით სურათ-სურათ დაედევნა ჰარის, თან ამხნევებდა:

– ეგ ტრაბახები და ავაზაკები! ეგ ძაღლები და მამაძაღლები, გააძევე აქედან, ჰარი პოტერ, კუდით ქვა ასროლინე!

ჰარი კუთხეში შევარდა და ფრედსა და სტუდენტთა პატარა ჯგუფს წააწყდა. ლი ჯორდანი და ჰანა ებოტიც იქ იყვნენ. ყველა იმ ცარიელ კვარცხლბეკთან იდგა, რომლის ქანდაკება წინათ საიდ-

Scanned by CamScanner

უმლო გასასვლელს ფარავდა. ჯოხები მოემარჯვებინათ და ხვრელს აყურადებდნენ.

– მაგარი ღამეა! – დაიძახა ფრედმა, როცა ციხე-კოშკი ერთხელაც შეზანზარდა. ჰარიმ შიშნარევი სიხარულით ჩაუქროლა მოდარაჯეებს. მომდევნო დერეფანი ბუებს აევსოთ. მისის ნორისი კნაოდა და ცდილობდა, ბუები თათებში მოეგდო, ალბათ, თავ-თავიანთ ადგილზე დაბრუნების მიზნით...

უეცრად ჰარის წინ ჯოხშემრთული აბერფორტ დამბლდორი გადაეღობა.

– ბარში ასობით ბავშვი შემომიცვივდა, პოტერ!

– ჰო, ევაკუაციაა, – უთხრა ჰარიმ, – ვოლდემორი...

– გვიტქვს, იმიტომ, რომ შენი თავი არ გადასცეს. ვიცი, ბატონო, – შეაწყვეტინა აბერფორტმა, – ყრუ კი არა ვარ, მთელ ჰოგსმიდს ესმოდა. ისე, აზრად არ მოგსვლიათ, რომ მძევლად ერთი-ორი სლიზერინელი მაინც დაგეტოვებინათ? სიკვდილის მხვრელების შვილებიც გაუშვით. ჭკუასთან ახლოს არ იქნებოდა, აქ რომ გყოლოდათ?

– ეგ ვოლდემორს ვერ შეაჩერებდა, – უთხრა ჰარიმ, – და არც თქვენი ძმა მოიწონებდა.

აბერფორტმა რაღაც წაიდუდღუნა და მეორე მხარეს გავარდა.

„არც თქვენი ძმა მოიწონებდა...“ გულში გაიმეორა ჰარიმ და ისევ გაიქცა. სრული სიმართლე იყო ის, რომ დამბლდორი, რომელიც ამდენ ხანს იცავდა სნეიპს, სტუდენტებს თავის დღეში არ აქცევდა მძევლებად...

ჰარიმ ბოლო დერეფანთან დაამუხრუჭა და შვება-რისხვის ყვირილი აღმოხდა: მისკენ მომავალ რონსა და ჰერმიონს იღლიაში დიდი, მოხრილი, ბინძური, ყვითელი ნივთები ამოეჩარათ. რონს ცოცხიც თან ჰქონდა.

– სად ჯანდაბაში იყავით? – იყვირა ჰარიმ.

– საიდუმლო ოთახში, – მიუგო რონმა.

– საიდუმლო... სად?

– რონმა მოიფიქრა, რონმა! – წამოიძახა სუნთქვაშეკრულმა ჰერმიონმა, – გენიალური იდეა დაებადა! „მიშველე-ოთახში“ ყოფნისას რონს ვუთხარი, ჰორკრუქსი რომც ვიპოვოთ, როგორ გავანადგურებთ, როცა ჯერ თასიც გასანადგურებელია-მეთქი? და ამ დროს არ მოაფიქრდა?! ბასილისკო!

– რაო?

– ეშვები, რა... ჰორკრუქსების გასანდგურებლად, – უბრალოდ თქვა რონმა.

ჰარიმ რონისა და ჰერმიონის ხელებში დახვავებულ ნივთებს –

Scanned by CamScanner

დიდ, მოხრილ ეშვებს დახედა. ახლაღა მიხვდა, რომ ეშვებს მკვდარ ბასილისკოს მოატეხდნენ.

– იქ როგორღა ჩახვედით? – ეშვებიდან რონზე გადაიტანა მზერა ჰარიმ, – შენ რა, პარსულად ლაპარაკობ?

– დაილაპარაკა! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – აჩვენე, რონ!

რონმა საშინელი მახრჩობელა სისინი ამოუშვა.

– შენც ეგრე თქვი, როცა მედალიონი გახსენი, – თითქოს მოუბოდიშა ჰარის, – რამდენჯერმე ვცადე და ბოლოს გამომივიდა, – მორიდებით აიჩეჩა მხრები.

– საოცარი იყო! – თქვა ჰერმიონმა, – საოცარი!

– მერე... – ჰარი ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

– მერე ერთ ჰორკრუქსსაც მოვუღეთ ბოლო, – რონმა ქურთუკიდან ჰაფლეპაფის თასის დასახიჩრებული ნახევრები ამოიღო, – ჰერმიონმა გახვრიტა. იფიქრა, რომ მისი ჯერი იყო – აქამდე ხომ ეგ სიამოვნება არ რგებია.

– გენიალურია! – იყვირა ჰარიმ.

– დიდი არაფერი, – თქვა რონმა, თუმცა, თავისი თავით კმაყოფილი ჩანდა, – შენთან რაა ახალი?

ამის თქმა იყო, და ზემოდან აფეთქების ხმა გაისმა: სამივემ აიხედა; ჭერიდან მტვერი ცვიოდა და შორეული კივილი ისმოდა.

– ვიცი, როგორიცაა დიადემა და ისიც ვიცი, სადაა, – სხაპასხუპით მიაყარა ჰარიმ, – ზუსტად იქ დამალა, სადაც მე – ძველი შხამწამლების წიგნი; სადაც, რამდენი საუკუნეა, ყველა ათას რამეს მალავს. ალბათ, რიდლი დარწმუნებული იყო, რომ მარტო თვითონ იცოდა ეს ადგილი. წავედით.

კედლები ისევ შეირყა. ჰარი რონსა და ჰერმიონს გაუძღვა, დამალული შესასვლელი გაიარეს და კიბით „მიშველე-ოთახში" ჩავიდნენ. შიგ მხოლოდ სამი ქალი დაუხვდათ: ჯინი, ტონქსი და ჩრჩილნაჭამ შლაპადაკოსებული ხნიერი ქალი, რომელიც ჰარიმ მაშინვე იცნო: ნევილის ბებია.

– აბა, პოტერ, – მიმართა ნევილის ბებიამ მკვირცხლად, – გვითხარი, რა ხდება.

– ყველანი კარგად არიან? – ერთად ჰკითხეს ჯინიმ და ტონქსმა.

– რამდენადაც ვიცი, კი, – მიუგო ჰარიმ, – „ღორის თავისკენ" მიმავალ გვირაბში კიდევ არის ვინმე?

ჰარიმ იცოდა, რომ ოთახი მანამ ვერ გადასხვაფერდებოდა, სანამ შიგ ერთი მომხმარებელი მაინც დარჩებოდა.

– ბოლოს მე გამოვედი და დავლუქე, – თქვა ქალბატონმა ლონგბოტომმა, – ვიფიქრე, რაკი აბერფორტი ლუდხანაში არ არის, ღიად

Scanned by CamScanner

დატოვება არ ღირს-მეთქი. ჩემი შვილიშვილი ხომ არ გინახავს?

– იბრძვის, – უთხრა ჰარიმ.

– რასაკვირველია, – ამაყად თქვა მოხუცმა ქალბატონმა, – მაპატიეთ, უნდა წავიდე და მივეხმარო.

და საოცარი სისწრაფით გაექანა ქვის კიბისკენ.

ჰარიმ ტონქსს შეხედა.

– მე მეგონა, დედაშენთან და ტედთან დარჩი.

– არავის ამბავი არ ვიცოდი და ვერ გავძელი, – დატანჯული გამომეტყველებით მიუგო ტონქსმა, – ბავშვს დედა მიხედავს... რემუსი სად არის, ხომ არ იცი?

– გარეთ უპირებდა ხალხს გაძღოლას...

ტონქსი ჩუმად ყვის უთქმელად გაიქცა.

– ჯინი, მაპატიე, მაგრამ შენც უნდა გახვიდე. ცოტა ხნით. მერე შეგიძლია დაბრუნდე, – უთხრა ჰარიმ.

ჯინი სახეგაბრწყინებული გავარდა თავშესაფრიდან.

– მერე შეგიძლია მობრუნდე! – ხელმეორედ მიაძახა ჰარიმ ტონქსს დადევნებულ ჯინის, – უნდა დაბრუნდე!

– ერთი წუთით! – წამოიძახა რონმა, – ვიღაც დაგვავიწყდა!

– ვინ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– შინაური ელფები. ხომ სამზარეულოში იქნებიან?

– გინდა, რომ ეგენიც ბრძოლაში ჩავრთოთ? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, – სერიოზულად მიუგო რონმა, – ვუთხრათ, რომ წავიდნენ. დობისნაირი მეტი მსხვერპლი რა საჭიროა? ჩვენთვის დაიხოცეთო, ხომ ვერ ვუბრძანებთ...

ჰერმიონს ჩხრიალით დაუცვივდა ბასილისკოს ეშვები, რონს ყელზე მოეხვია და მაგრად აკოცა. რონმაც გადაყარა ეშვები და ცოცხი და აღფრთოვანებულმა ჰერმიონი ჰაერში აიტაცა.

– ახლა მაგისი დროა? – უღონოდ იკითხა ჰარიმ და როცა არაფერი მოხდა იმის გარდა, რომ რონი და ჰერმიონი უფრო მაგრად ჩაეხვევნენ ერთმანეთს, ხმას აუწია:

– ჰეი! აქ ომია!

რონი და ჰერმიონი შეჩერდნენ, ოღონდ ერთმანეთისთვის ხელი არ გაუშვიათ.

– ვიცი, ძმაო, – რონს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კეფაში ბლაჯერი მოხვდაო, – ჰოდა, ან ახლა, ან – არასოდეს, ეგრე არ არის?

– კარგი, ოღონდ, ჰორკრუქსს რა ვუყოთ? – იყვირა ჰარიმ, – არ შეგიძლიათ, ცოტა... ცოტა ხანს თავი შეიკავოთ, სანამ დიადემას არ ვიპოვით?

Scanned by CamScanner

– ჰო... მართალია... ბოდიში... – ლოყებანითლებულმა რონმა და ჰერმიონმა ეშვების შეგროვება დაიწყეს.

როცა სამივე ზედა დერეფანში ავიდა, ცხადი გახდა, რომ იმ ათი წუთის განმავლობაში, რაც „მიშველე-ოთახში" გაატარეს, ციხე-კოშკში ვითარება მკვეთრად გაუარესებულიყო: კედლები და ჭერი წელანდელზე მეტად ირყეოდა; ჰაერი მტვრით იყო სავსე და უახლოესი ფანჯრიდან ნითელი და მწვანე შუქის გაელვება ისე ახლოს მოჩანდა, რომ ჰარი მიხვდა, სიკვდილის მხვრელების ციხე-კოშკში შემოჭრას აღარაფერი უკლდა. ფანჯრიდან გადაიხედეს და დაინახეს, როგორ დადიოდა გოლიათი გრაუპი, როგორ იქნევდა რაღაც, სავარაუდოდ, სახურავიდან მოწყვეტილ ქვის ურჩხულს და ბრაზისაგან ღრიალებდა.

– იმედია, რამდენიმეს მაინც მოახვედრა! – განწირული ყვირილის გაგონებაზე შენიშნა რონმა.

– და ჩვენები არ იყვნენ! – გაისმა ხმა. ჰარი მიბრუნდა და ჯინი და ტონქსი დაინახა. ორივენი ჯოხებმომარჯვებულები იდგნენ მახლობელ, მინებჩამსხვრეულ ფანჯარასთან. ჰარის იქ ყოფნაში ჯინიმ ქვემოთ მებრძოლებს შელოცვა დაუმიზნა და ესროლა.

– ყოჩაღ! – დაიღრიალა მათკენ მომავალმა, მტვერში გახვეულმა ფიგურამ. ისევ აბერფორტი იყო, ჭაღარა თმის ფრიალით მიუძღოდა სტუდენტების პატარა ჯგუფს, – ჩანს, ჩრდილოეთის კედლის შემონგრევას აპირებენ, თავიანთი გოლიათებიც მოჰყავთ.

– რემუსი ხომ არ გინახავს? – სულმოუთქმელად ჰკითხა ტონქსმა.

– დოლოხოვს ებრძოდა, – დაიყვირა აბერფორტმა, – იმის მერე არ მინახავს!

– ტონქს, – იყვირა ჯინიმ, – ტონქს, კარგად იქნება...

მაგრამ ტონქსი უკვე მტვრის კორიანტელში გახვეულ აბერფორტს მისდევდა.

ჯინი დაბნეული მოუბრუნდა ჰარის, რონსა და ჰერმიონს.

– არაფერი მოუვათ, – ჯინის დამშვიდება სცადა ჰარიმ, თუმცა იცოდა, რომ ცარიელი სიტყვები იყო, – ჯინი, ახლავე დავბრუნდებით, შენ სადმე შეეფარე, თავს მიხედე... წავედით! – მიუბრუნდა რონსა და ჰერმიონს. სამივემ აუარ-ჩაუარა ცარიელ კედელს, რომლის მილმაც „მიშველე-ოთახი" მომდევნო შემსვლელის ბრძანებას ელოდებოდა.

„ის ადგილი მჭირდება, სადაც ყველაფერია დამალული", გულში იხვეწებოდა ჰარი. მესამე ჩავლაზე კარი გაჩნდა.

როგორც კი ზღურბლს გადააბიჯეს და კარი მიხურეს, ბრძოლის ხმაური მიწყდა. საკათედრო ტაძრისოდენა ოთახი ქალაქს ჰგავდა, რომლის კედლებიც დიდი ხნის წინ გარდაცვლილ სტუდენტთა დამალული ნივთებით იყო აგებული.

Scanned by CamScanner

– ნუთუ ვერ მიხვდა, რომ შეიძლებოდა აქ ვინმე შემოსულიყო? – თქვა რონმა და სიჩუმეში მისი ხმის ექო გაისმა.

– ეგონა, მას ერთადერთს შეეძლო, – მიუგო ჰარიმ, – მაგრამ მაგის საუბედუროდ, მეც დავმალე აქ რაღაც...

ჰარიმ ჩაუარა ტროლის ქანდაკებასა და გაუჩინარების კარადას, რომლის შეკეთებაც შარშან რაღაც სასწაულით მოახერხა დრაკო მალფოიმ. კარადის ძირში მიმოფანტულ ხარახურას თვალი მოავლო. არ იცოდა, საით გაეგრძელებინა გზა.

– აკციო დიადემა! – დაუფიქრებლად დაიძახა ჰერმიონმა, მაგრამ მათკენ არაფერი გამოფრენილა. გრინგოტსის მსგავსად, ამ ოთახში შენახული ნივთების პოვნაც არ იყო ადვილი.

– მოდ, ცალ-ცალკე ვეძებოთ, – შესთავაზა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, – ეძებეთ ბუფეტზე მდგარი მოხუცი ჯადოქრის ბიუსტი, რომელსაც პარიკი და დიადემა ახურავს. სადღაც აქვე უნდა იყოს.

სამივემ ხარახურის სხვადასხვა გროვას მიაშურა. ჭერამდე აკოკოლავებული ძველმანების, ბოთლების, ქუდების, ყუთების, სკამების, წიგნების, იარაღის, ცოცხებისა და ათასი სხვა გამოუსადეგარი ნივთის მიღმა ნაბიჯების ხმა ექოდ ისმოდა.

– სადღაც აქვე იქნება, – ჩაიბუტბუტა თავისთვის ჰარიმ, – აქვე...

ჰარი უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ლაბირინთში და იმ ნივთებს ეძებდა, რომლებიც ოთახში პირველი მოგზაურობის შემდეგ ასე თუ ისე ეცნობოდა. თავისივე სუნთქვა ხმამაღლა ჩაესმოდა ყურში. უცებ გული აუჩქარდა: იქვე, მის პირდაპირ ძველი, მუცელგამობერილი განჯინა იდგა. სწორედ ამ განჯინაში დამალა შარშან შხამ-წამლების ძველი წიგნი და მიგნება რომ არ გასჭირვებოდა, ზემოდან ვიღაც ჯადოქრის გვერდჩამოტეხილი ბიუსტი დაადგა, თავზე კი ძველი, გაქუცული პარიკი ჩამოამხო და ფერგადასული, დამტვერილი დიადემა დაახურა. აგერ, ისიც!

ჰარიმ ხელი გაიწოდა და ის იყო, დიადემა უნდა აეღო, რომ უკნიდან ხმა მოესმა:

– შეჩერდი, პოტერ!

ჰარი შედგა და სწრაფად მიტრიალდა. მის უკან გვერდიგვერდ მდგარი კრაბი და გოილი ჯოხებს უმიზნებდნენ. მათ გაღრეჭილ სახეებს შორის დარჩენილ ღრიჭოში დრაკო მალფოის სახე მოჩანდა.

– ჩემი ჯოხი გიჭირავს, პოტერ? – მალფოიმ კრაბსა და გოილს შუა ჯოხი გამოყო.

– შენი აღარ არის, – კუნელის ჯოხს ხელი მაგრად მოუჭირა ჰარიმ, – ვინც ხელში ჩაიგდო, იმისია. ეგ ჯოხი ვინ გათხოვა?

– დედაჩემმა, – უთხრა დრაკომ.

Scanned by CamScanner

ჰარის გაეცინა, თუმცა, ამ ვითარებაში სასაცილო ბევრი არაფერი იყო. რონისა და ჰერმიონის ხმა აღარ ესმოდა. ეტყობა, დიადემის ძებნაში ხმის მისაწვდომ მანძილს გასცდნენ.

– როგორ მოხდა, რომ ვოლდემორთან არ ხართ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ჯილდო გვინდა, – თქვა კრაბმა. ამ ზომის ადამიანის პირობაზე გასაოცრად ნაზი ხმა ჰქონდა, ჰარის მგონი, პირველად ესმოდა მისი ხმა. პატარა ბავშვივით ლაპარაკობდა, რომელსაც კანფეტებით სავსე დიდ პარკს დაჰპირდნენ, – გადავწყვიტეთ, დავრჩენილიყავით და ბნელი ბატონისთვის შენი თავი მიგვერთმია, პოტერ.

– კარგი გეგმაა, – თქვა ჰარიმ დამცინავი აღტაცებით. არ სჯეროდა, რომ, როცა ასე მიუახლოვდა მიზანს, სწორედ მაშინ ეშლებოდა ხელი მალფოის, კრაბისა და გოილის წყალობით. შეეცადა, უკან-უკან წასულიყო და ბიუსტიდან ჰორკრუქსი აეღო. მთავარია, მანამ მოჰკიდოს ხელი, სანამ ბრძოლა გაჩაღდება...

– აქ როგორ შემოხვედით? – იკითხა მათი ყურადღების გასაფანტად.

– შარშან მთელი წელი აქ არ ვცხოვრობდი?! – თქვა მალფოიმ ჩაწყვეტილი ხმით, – ვიცი, როგორც უნდა შემოვიდე.

– გარეთ, დერეფანში ვიმალებოდით, – დაიღრუტუნა გოილმა, – უკვე ვიცით დეილუზიონირების შელოცვა! უცებ, – სახეზე ბრიყვული ღიმილი გადაეფინა გოილს, – პირდაპირ ჩვენ წინ გაჩნდი და თქვი, დია-დამას ვეძებო. დია-დამა რაღაა?

უცებ ჰარის მარჯვნივ, კედლის უკნიდან რონის ხმა გაისმა:

– ჰარი, ვინმეს ელაპარაკები?

კრაბმა ჯოხი შოლტისებური მოძრაობით დაუმიზნა ძველი ავეჯის, დამტვრეული ჩემოდნების, ძველი წიგნების, მანტიებისა და სხვა გაურკვეველი ნივთების დაახლოებით თხუთმეტმეტრიან მთას და იყვირა:

– დესენდო!

კედელი შეყანყალდა და მისი ზედა მესამედი იმ მხარეს ჩაიქცა, სადაც რონი იდგა.

– რონ! – ილრიალა ჰარიმ, როცა ჰერმიონის კივილი მოესმა, თან წამის უსწრაფესად კედელს ჯოხი მიუშვირა და შელოცვა ესროლა, – ფინიტე!

კედელი მაშინვე გამაგრდა.

– არა! – იყვირა მალფოიმ და კრაბს ხელი დაუჭირა. კრაბი შელოცვის გამეორებას აპირებდა, – თუ ოთახს დააქცევ, შეიძლება ის რაღაც დიადემაც ჩაიმარხოს!

– მერე, რა? – კრაბმა ხელი გამოჰგლიჯა მალფოის, – ბნელ ბატონს პოტერი უნდა. დია-დამა ვის რაში სჭირდება?

Scanned by CamScanner

– პოტერი აქ მაგის ასაღებად მოვიდა, – გონებაჩლუნგ მეგობრებზე გაღიზიანდა მალფოი, – ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს...

– უნდა ნიშნავდეს? – კრაბი დაუფარავი გამძვინვარებით მოუბრუნდა მალფოის, – ვის რაში აინტერესებს, შენ რას ფიქრობ? ბრძანებებს აღარ შეგისრულებ, დრაკო. შენი და მამაშენის საქმე წასულია.

– ჰარი! – ისევ დაიძახა რონმა ხარახურის ზვინის იქიდან, – რა ხდება?

– ჰარი, რა ხდება! – გააჯავრა კრაბმა და ჯოხი აიქნია, – კრუციო!

ჰარიმ ზუსტად იმ წამს დიადემისკენ გაიწია, ამიტომ წყევლა მას კი ასცდა, მაგრამ ქვის ბიუსტს მოხვდა და ჰაერში ააგდო. დიადემამ ერთი გაიბრწყინა, მერე ჩამოვარდა და ნივთების უსასრულო მასაში გაქრა.

– გაჩერდი! – დაუყვირა მალფოიმ კრაბს და მისი ხმა უშველებელ ოთახს მოედო, – ბნელ ბატონს ცოცხალი სჭირდება...

– მერე, ხო არა ვკლავ, არა? – იბღავლა კრაბმა და მალფოი ხელის კვრით მოიშორა, – მაგრამ თუ მოვახერხე, მოვკლავ კიდეც. ბნელ ბატონს მაინც მაგისი სიკვდილი უნდა, ჰოდა, რა განსხვა...

იისფერი სინათლის სხივი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა ჰარის: მის უკან, კუთხეში მდგარმა ჰერმიონმა კრაბს პირდაპირ თავში ესროლა გაშეშების შელოცვა, მაგრამ მალფოიმ დამქაში დროულად გაათრია გვერდზე.

– ეს ხომ ის მუქსისხლიანია, პოტერის მეგობარი! ავადა კედავრა!

ჰარიმ დაინახა, როგორ გახტა ჰერმიონი გვერდზე. იმის გააზრებამ, რომ კრაბი გოგონას სასიკვდილოდ ასე იოლად იმეტებდა, ისე გააცოფა, გონებიდან სხვა ყველაფერი ამოურეცხა და კრაბს გაშეშების შელოცვა სტყორცნა. კრაბმა შელოცვის აცდენა სცადა, გვერდზე გაბარბაცდა და მალფოის ხელიდან ჯოხი გააგდებინა; ჯოხი დამტვრეული ავეჯისა და ძვლების გროვის ქვეშ შეგორდა.

– არ მოკლათ! არ მოკლათ! – უყვირა მალფოიმ ჯოხებმომარჯვებულ კრაბსა და გოილს. წამით ორივე შეყოყმანდა. ჰარისაც ეს უნდოდა:

– ექსპელიარმუს!

გოილს ჯოხი ხელიდან გაუვარდა და ისიც ნივთების გროვის ქვეშ გაუჩინარდა; მალფოი ჰერმიონის მეორე შელოცვას დაუსხლტა, გასასვლელის ბოლოში უცაბედად გამოჩენილმა რონმა კი კრაბს სხეულის შემკვრელი შელოცვა ესროლა, მაგრამ ააცდინა.

კრაბი შებრუნდა და ისევ იყვირა:

– ავადა კედავრა!

რონი გადახტა და მწვანე შუქის ნაკადს დაემალა. ჰერმიონმა ჯერ სამფეხა გარდერობის უკან მიკუნჭულ უჯოხო მალფოის შეუტია და მერე გოილს ესროლა გაშეშების შელოცვა.

Scanned by CamScanner

– სადღაც აქ უნდა იყოს! – დაუძახა ჰარიმ ჰერმიონს და ხარახურის გროვაზე მიუთითა, სადაც ძველი დიადემა ჩავარდა, – მონახე, სანამ მე ნავალ და რონს...

– ფრთხილად! – იკივლა ჰერმიონმა.

უკნიდან ნამოსულო ზვავის ხმაზე ჰარიმ მიიხედა და რონი და კრაბი დაინახა: თავპირისმტვრევით მორბოდნენ გასასვლელისკენ.

– გცხელა, არა, შე ჯღანო? – ბღაოდა კრაბი.

თუმცა, ეტყობოდა, თავისივე ჯადოს ვეღარაფერს უხერხებდა. ცეცხლის უშველებელი ენები ორივეს ფეხდაფეხ მოსდევდა, გზად ხარახურის ზვინების კიდეებს ლოკავდა და წამში ანადგურებდა.

– აგუამენტი! – იღრიალა ჰარიმ, მაგრამ მისი ჯოხის წვერიდან გადმოფრქვეული წყლის ნაკადი ჰაერშივე აორთქლდა.

– გავიქცეთ!

მალფოიმ გაშეშებულ გოილს დაავლო ხელი და წაათრია; შეფუცხუნებულმა კრაბმა ყველას გაუსწრო; ჰარი, რონი და ჰერმიონი ფეხდაფეხ მისდევდნენ, ცეცხლიც კვალში ედგა მათ. ეს ჩვეულებრივი ცეცხლი არ იყო; კრაბმა ისეთი წყევლა გამოიყენა, რომელზეც ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა. როცა კუთხეში შეუხვიეს, ალიც ცოცხალივით დაედევნა, თითქოს გონიერი იყო და ამათი დახოცვა ეწადა. მერე ალი გარდაისახა და გიგანტური ცეცხლოვანი მხეცების გროვად გადაიქცა: აალებული გველები, ქიმერები და დრაკონები ხან ზემოთ იყალყებოდნენ, ხანაც ეშვებოდნენ, მერე ისევ აიყალყებოდნენ და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ნივთებს ჰაერში ისროდნენ, ეშვებიან ხახაში იყრიდნენ, ბრჭყალებიანი ფეხებით ათამაშებდნენ და ნთქავდნენ.

მალფოი, კრაბი და გოილი აღარ ჩანდნენ. ჰარი, რონი და ჰერმიონი მონყვეტით შეჩერდნენ, რადგან ცეცხლოვანმა ურჩხულებმა ალყაში მოაქციეს და ბრჭყალებითა და რქებით შეუტიეს. აუტანელი სიცხე იდგა.

– რა ვქნათ? – იკივლა ჰერმიონმა ცეცხლის ურჩხულების გამაყრუებელი ღრიალის გადასაფარად.

ჰარიმ ხარახურის უახლოესი გროვიდან ორ მძიმე ცოცხს სტაცა ხელი და ერთი რონს გადაუგდო. რონმა უკან ჰერმიონი შემოისვა, ჰარი კი მეორე ცოცხზე ამხედრდა. მაშინვე იატაკს ფეხი დაჰკრეს და აფრინდნენ. ერთ-ერთი ცეცხლოვანი მტაცებელი უკან გამოედევნა და რქიანი ნისკარტი გაუკაპუნა, მაგრამ ოციოდე სანტიმეტრით ასცდა. კვამლი და სიცხე გაუსაძლისი ხდებოდა: მათ ქვემოთ მოჯადოებული ცეცხლი ნთქავდა მდევარს თავდაღწეული სტუდენტების თაობათა კონტრაბანდას, ათასობით აკრძალული ექსპერიმენტის დანაშაულებრივ შედეგს და უთვალავი სულის საიდუმლოს,

Scanned by CamScanner

რომლებმაც ამ ოთახში იპოვეს თავშესაფარი. ჰარი მალფოის, კრაბისა და გოილის კვალს ვერ ხედავდა. მათ საპოვნელად, რამდენადაც გაბედა, დაბლა დაეშვა, მაგრამ ცეცხლის გარდა არაფერი იყო... არადა, ასეთი საშინელი სიკვდილისთვის ისინიც კი არ ემეტებოდა...

– ჰარი, გავიდეთ! – იღრიალა რონმა, თუმცა იმ შავ კვამლში კარს ვინ დაინახავდა!

უცბად ჰარის ამ ქაოსსა და ყოვლისშთამნთქმელი ალის ღრიალში ადამიანის წვრილი, შესაბრალისი კვნესა მოესმა.

– რას შვრები... სახიფათოა! – ულრიალა რონმა ჰარის, როცა ის ჰაერში ამოტრიალდა და ცეცხლისკენ დაიხარა, რათა სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალისათვის, ჯერ კიდევ დაუნახშირებელი კიდურის ან სახისათვის მოეკრა თვალი...

დაინახა კიდეც: მალფოი დანახშირებული მაგიდების მყიფე კოშკზე იდგა და უგონო გოილისთვის შემოეხვია ხელები. ჰარიმ ცეცხლში ჩაყვინთა. მალფოიმ მის დანახვაზე ცალი ხელი ასწია. ჰარიმ ხელი ჩაჰკიდა, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ ორივეს ერთად ვერ ასწევდა – გოილი ტყვიასავით მძიმე იყო...

– მაგათი გულისთვის რომ დავიხოცოთ, ჩემი ხელით მოგკლავ, ჰარი! – იღრიალა რონმა და როცა დიდი, აალებული ქიმერა ეძგერა, ჰერმიონთან ერთად გოილი თავის ცოცხზე აათრია და ისევ ზემოთ აიჭრა. მალფოი ჰარის უკან აცოცდა.

– კარისკენ წადი, კარისკენ! – ყურში ჩაჰკივლა მალფოიმ ჰარის და სუნთქვაშეკრული ჰარიც შავი კვამლის ზვავში ზევით აიჭრა. მათ გარშემო ცეცხლს გადარჩენილი რამდენიმე ნივთი ტრიალებდა, რომლებიც, ალბათ, წყეული ცეცხლის ურჩხულმა აისროლა ზეიმით: თასები, ფარები, მოციმციმე ყელსაბამი და ძველი, ფერგადასული დიადემა...

– რას შვრები, რას შვრები! კარი იქითაა! – იკივლა მალფოიმ, მაგრამ ჰარის ყურადღება არ მიუქცევია, მან მკვეთრად შეატრიალა ცოცხი და ცეცხლში კიდევ ერთხელ ჩაყვინთა. დიადემა ნელ-ნელა, ტრიალითა და ციალით ეშვებოდა ძირს და ცეცხლის გველის დაფჩენილ ხახას უახლოვდებოდა. ჰარიმ წკიპზე მიუსწრო, ხელი გაიქნია და დიადემაში მაჯა გაუყარა...

გველმა მისკენ გაიწია, ჰარიმ გვერდი აუქცია, ზევით აიჭრა და იქით გაფრინდა, საითაც კარი ეგულებოდა, თან ლოცულობდა, ნეტავი ღია დამიხვდესო; რონი, ჰერმიონი და გოილი გამქრალიყვნენ; მალფოი კიოდა და ზურგზე მთელი ძალით ებღაუჭებოდა. როგორც იქნა, კვამლისგან ნახევრად დაბრმავებულმა ჰარიმ კედელზე ოთხკუთხა ღიობი შეამჩნია და ცოცხი იქით მიმართა.

Scanned by CamScanner

რამდენიმე წამში ფილტვები სუფთა ჰაერმა აუვსო და დერეფნის კედელს მიასკდა.

მალფოი ცოცხიდან გადმოვარდა და პირქვე დაეცა. სუნთქვა ეკვროდა, ახველებდა და გული ერეოდა. ჰარი წამოჯდა. „მიშველე-ოთახის" კარი გამქრალიყო, რონი და ჰერმიონი ჯერაც უგონო გოილის გვერდით ისხდნენ იატაკზე და ქოშინებდნენ.

–კრაბი, – ამოიზმუვლა მალფოიმ, როგორც კი ხმის ამოღება შეძლო, – კკ...კრაბი...

– მოკვდა, – მკვახედ უთხრა რონმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ქოშინი და ხველაღა ისმოდა. მერე ციხე-კოშკი რამდენიმე დიდმა დარტყმამ შეაზანზარა და მახლობლად გამჭვირვალე მხედრების დიდმა ესკადრონმა ჩაიქროლა. მხედრების იღლიებში ამოჩრილი მოკვეთილი თავები მრისხანედ ყიოდნენ. როცა უთავო მონადირეები თვალს მიეფარნენ, ჰარი ბორძიკით წამოდგა და მიიხედ-მოიხედა: გარშემო ჯერაც გაცხარებული ბრძოლა იყო. ჰარი ძრწოლამ აიტანა.

– ჯინი სად არის? – იკითხა უცებ, – აქ იყო. „მიშველე-ოთახში" უნდა დაბრუნებულიყო.

– ვითომ ცეცხლის მერე ეს ოთახი კიდევ ივარგებს? – იკითხა რონმა და ძლივს წამოდგა, მკერდი მოისრისა და მიიხედ-მოიხედა, – დავიყოთ და მოვძებნოთ...

– არა, – ჰერმიონიც წამოდგა და უჯოხო მალფოისა და გოილს დახედა. ორივე უმწეოდ ეგდო დერეფნის იატაკზე, არც ერთს ჯადოს-ნური ჯოხი აღარ ჰქონდა, – ერთად უნდა ვიყოთ. ვთქვათ და... ჰარი, ხელზე რა გაქვს?

– რაა? აა, ჰო...

ჰარიმ დიადემა მაჯიდან მოიხსნა და ჰერმიონს გაუწოდა. ჰორკრუქსი ჯერაც ცხელი და გამჭვარტლული იყო, მაგრამ კარგად დათვალიერებისას მაინც გაარჩიეს ზედ ამოტვიფრული სიტყვები: „კაცის ქონება – ჭკუა-გონება".

დიადემიდან თითქოს სისხლივით მოწვეთავდა რაღაც შავი და ბლანტი. უცებ ჰარიმ იგრძნო, რომ ნივთი აცახცახდა, მერე კი ხელში ჩაატყდა და სუსტი, შორეული, ტკივილით სავსე ღრიალი მოისმა, ოღონდ, გარედან ან ციხე-კოშკიდან კი არა, არამედ ნივთიდან – თითებში ჩამსხვრეული დიადემიდან.

– ალბათ, გეენა იყო! – თქვა ჰერმიონმა, თან დამტვრეულ დია-დემას უყურებდა.

– რა?

– გეენა, ჯოჯოხეთის ცეცხლი. მასაც შეუძლია ჰორკრუქსების

Scanned by CamScanner

განადგურება, მაგრამ მაგის გამოყენებას ყერასოდეს გავბედავდი ძალიან სახიფათოა... ნეტავ, კრაბმა საიდან იცოდა?..

– კეროუებისგან ისწავლიდა, – პირქუშად უთხრა ჰარიმ.

– სირცხვილი მაგას, რომ ჩაქრობის წესს აღარ მოუსმინა, – თქვა ჰერმიონივით თმაშეტრუსულმა და სახეგამჭვარტლულმა რონმა, – ჩვენი დახოცვა რომ არ ნდომოდა, შემეცოდებოდა.

– იმას თუ ხედებით, რომ ახლა გველიღა დაგვრჩა? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

ჰერმიონს ჩურჩული დერეფანში შემოჭრილმა ყვირილ-ღრიალმა შეაწყვეტინა. ჰარიმ მიიხედა და გული ჩასწყდა: სიკვდილის მხვრელები ჰოგვორტსში შემოჭრილიყვნენ. ამ დროს კაპიუშონიან ნიღბოსნებთან ბრძოლაში ჩართული ფრედი და პერსი გამოჩნდნენ.

ჰარი, რონი და ჰერმიონი მათ საშველად გაქანდნენ; სინათლის სხივები ყოველ მხარეს დაფრინავდა. პერსისთან მებრძოლმა კაცმა უკან დაიხია. უცებ კაპიუშონი გადაუსრიალდა და დიდი შუბლი და ოფლისგან შეწებებული თმა გამოუჩნდა.

– ოჰ, მინისტრს გაუმარჯოს! – ცინიკურად დაიღრიალა პერსიმ და ერთი წყევლაც სტყორცნა თიკნესს. მაგიის მინისტრმა ჯოხი დააგდო და დარცხვენილმა აიფარა მანტია, – უკვე გაგაფრთხილეთ, სამსახურს თავს ვანებებ-მეთქი?

– ხუმრობ, პერსი?! – იყვირა ფრედმა და მასთან მებრძოლი სიკვდილის მხვრელი ერთდროულად ნასროლმა სამმა შელოცვამ გააშეშა. თიკნესიც იატაკზე დაეცა, მთელ სხეულზე პაწაწინა ეკლები გამოსდიოდა, თითქოს ზღვის ზღარბის ნაირსახეობად უნდა გადაიქცესო. ფრედმა სახეგაბრწყინებულმა შეხედა პერსის.

– მართლა ხუმრობ, პერსი... შენი ხუმრობა არ გამიგონია, რაც...

უცბად აფეთქების ხმა გაისმა და ყველაფერი ერთმანეთში აირია: ჰარი, რონი, ჰერმიონი, ფრედი და პერსი და მათ ფერხთით მწოლიარე სიკვდილის მხვრელები; და იმ წამს, როცა საფრთხემ, თითქოს უკან დაიხია, სამყარო ნამსხვრევებად იქცა. ჰარიმ იგრძნო, როგორ აფრინდა უსასრულობაში და ისღა მოახერხა, რომ როგორმე თავის ერთადერთ იარაღს, კუნელის წვრილ ჯოხს ჩაბღაუჭებოდა და თავზე ხელები წაეფარებინა: მეგობრების კივილი და ბღავილი ესმოდა, ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეემთხვათ...

მერე ნახევრად ბნელი სამყარო ისევ გამთელდა და ჰარიმ გააცნობიერა, რომ საშინელი აფეთქებით ჩამოქცეული დერეფნის ნანგრევებში იწვა. ციხე-კოშკის ცალი მხარე დანგრეულიყო. თვითონ თავი გასტეხოდა და ლოყაზე სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. უცებ ისეთი საზარელი ყვირილი გაიგონა, გულ-მუცელი ამოუტრიალ-

Scanned by CamScanner

და; ასეთ სისხლისგამყინავ, სასოწარკვეთილ ყვირილს ვერანაირი ცეცხლი ან წყევლა ვერ გამოიწვევდა. შეშინებული ჰარი ბარბაცით ნამოდგა...

ჰერმიონი ძლივს ამოძვრა ნანგრევებიდან. იმ ადგილას, სადაც კედელი ჩაიქცა, სამი თავწითელა შეჯგუფულიყო. ჰარიმ ჰერმიონს ხელი სტაცა და ორივენი ქვებისა და ხის ნატეხებზე გადაბობღდნენ.

– არა... არა... არა! – ყვიროდა პერსი და ძმას ანჯღრევდა, – არა! ფრედ! არა!

რონიც იქვე ჩაჩოქილიყო. ფრედს სახეზე უკანასკნელი ღიმილი შეჰყინვოდა და უჩინო თვალებით იყურებოდა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეთორმეტე

უძლეველი ჭოხი

სამყარო დაიქცა! ცხოვრება დამთავრდა! მაშ, ბრძოლა რატომ არ შეწყდა? რატომ არ მიჩუმდა შიშით მოცული ციხე-კოშკი? ყველა მებრძოლმა რატომ არ დაყარა იარაღი? ჰარის გონება სადღაც იყო გამოკიდებული. შეუძლებელია, ფრედ უისლი მკვდარი იყოს! ეტყობა, ყველა გრძნობა ატყუებს.

ამ დროს ვიღაცის სხეული სკოლის კედელში გაჩენილ ხვრელში გამოვარდა და სიბნელიდან წამოსული წყევლის ნიაღვარი უკანა კედელს მიასკდა.

– დაწექით! – იყვირა ჰარიმ. მან და რონმა ჰერმიონს ხელი სტაცეს და იატაკზე დააგდეს, ჰერსი კი ფრედის გვამს გადაეფარა, თითქოს ახალი ზიანისგან უნდოდა მისი დაცვა და როცა ჰარიმ დაუყვირა, პერსი, ჩქარა, აქაურობას უნდა გავეცალოთო, უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ჰარიმ დაინახა, როგორ ჩამოსდიოდა რონს ცრემლები გამჭვარტ-ლულ სახეზე, როცა უფროს ძმას მხარში ჩაავლო ხელი და მოქაჩა, მაგრამ პერსი არ განძრეულა:

– პერსი, რაღას უშველი! უნდა წავიდეთ...

უცბად ჰერმიონმა იკივლა, ჰარი მიტრიალდა და დაინახა, არა-გოგის ერთ-ერთი შთამომავალი, საზარელი, მანქანისოდენა ობობა როგორ ცდილობდა, კედელში გაჩენილ უშველებელ ხვრელში შემოტეულიყო.

რონმა და ჰარიმ ერთხმად იყვირეს; მათი შელოცვები შეერთდა, საზარლად ფეხებაფართხალებული ურჩხული უკან გადავარდა და ბნელში გაქრა.

– თავისიანებიც მოუყვანია! – გასძახა ჰარიმ დანარჩენებს და წყევლით აფეთქებულ კედელში გაჩენილი ხვრელიდან ციხე-კოშკის

Scanned by CamScanner

საზღვარს იქით გაიხედა. შენობისკენ აკრძალული ტყიდან გამოშვებული გიგანტური ობობები მოიწევდნენ. ეტყობა, ტყეში სიკვდილის მხვრელებმა შეაღწიეს. ჰარიმ ობობებს გაშეშების შელოცვები დაუშინა. მათი მეთაური გაშეშდა და ისე მიაწყდა დანარჩენებს, რომ ყველანი დაგორდნენ და მხედველობის არიდან გაქრნენ. ჰარის კიდევ გადაუფრინა თავზე რამდენიმე წყევლამ, თანაც ისე ახლოს, რომ მათმა ძალამ თმა გაუწეწა.

– წავედით! ჩქარა! – იყვირა მთელი ხმით, ჰერმიონს ხელი ჰკრა და რონთან ერთად წინ გაიგდო, თვითონ კი დაიხარა, ფრედს იღლიაში ხელი ამოსდო და მოქაჩა. პერსი მიხვდა, რასაც აპირებდა ჰარი, ფრედს მოშორდა და მიეხმარა. გარედან გამოტყორცნილი წყევლის ასარიდებლად ორივე მოიხარა და ფრედი ისე წაათრია.

– აქეთ, – ანიშნა ჰარიმ ერთ-ერთი ნიშისაკენ, სადაც მანამდე საჭურველი იდგა. ფრედი ნიშაში დაასვენეს და როგორც კი დარწმუნდნენ, რომ გვამი კარგად დამალეს, რონისა და ჰერმიონისკენ გაექანნენ. მალფოი და გოილი გამქრალიყვნენ. მტვრითა და ქვაღორღით სავსე დერეფნის ბოლოში, სადაც ფანჯრებს მინა არ შერჩენოდა, უამრავი ხალხი დარბოდა. ვერ გაიგებდი, ვინ მტერი იყო და ვინ – მოყვარე. კუთხეში რომ შეუხვიეს, პერსიმ დაჭრილი ხარივით იბღავლა:

– რუკვუდ! – და ორ სტუდენტს დადევნებული მაღალი კაცისკენ ისკუპა.

– ჰარი, აქეთ! – იკივლა ჰერმიონმა. რონი გობელენის უკან გაეთრია და ეჯაჯგურებოდა. ერთ გიჟურ ნამს ჰარიმ ისიც კი გაიფიქრა, ისევ ერთმანეთს ხომ არ ეხვევიანო; მაგრამ მერე მიხვდა, რომ რონი ცდილობდა, პერსის გაპკიდებოდა, ჰერმიონი კი არ უშვებდა.

– მისმინე... მისმინე, რონ!

– უნდა მივეშველო! სიკვდილის მხვრელები უნდა დაჭოცო!

რონს მტვრითა და ჭვარტლით დაფარული სახე დამანჭოდა და რისხვისგან კანკალებდა.

– რონ, ამ ყველაფერს ჩვენ გარდა ვერავინ შეაჩერებს! გეხვენები, რონ, გველი გვჭირდება, გველი უნდა მოვკლათ! – უყვიროდა ჰერმიონი.

მაგრამ ჰარიმ იცოდა, რასაც გრძნობდა რონი – კიდევ ერთი ჰორკრუქსის დევნა შურისძიების ნყურვილს ვერ დაუკმაყოფილებდა; თვითონაც უნდა ებრძოლა, ფრედის მკვლელები დაესაჯა, დანარჩენი უისლებიც ეპოვა... ყველაზე მეტად კი იმის გაგება სურდა, რომ ჯინი... მაგრამ ეს აზრი სწრაფად მოიშორა.

– ვიბრძოლებთ! – თქვა ჰერმიონმა, – ოღონდ, გველამდე უნდა

Scanned by CamScanner

მივაღწიოთ! არ უნდა დაგვავიწყდეს, რა გვაქვს გასაკეთებელი! უჩვენოდ ეს ამბავი არ დამთავრდება!

ჰერმიონი თვითონაც ტიროდა და დამწვარი სახელოთი იწმენდდა ცრემლებს, თან დასაწყნარებლად ღრმად სუნთქავდა და რონს ხელს არ უშვებდა. მერე ჰარის მიუბრუნდა:

– უნდა გაიგო, სად არის ვოლდემორი. გველიც ხომ თან ეყოლება? მიდი, ჰარი... გაიგე, რას ფიქრობს!

ნეტავ, რატომ გაუადვილდა ასე? იქნებ იმიტომ, რომ ნაიარევი უკვე რამდენი საათია, ეწვის და ცდილობს, ვოლდემორის ფიქრები აჩვენოს? ჰარიმ ჰერმიონის ბრძანებაზე თვალები დახუჭა თუ არა, ყვირილი, ბრახუნი და ბრძოლის აურზაური იმწამსვე მიწყნარდა. თვითონ ამ-ხმაურისგან ძალიან შორს იყო...

მიტოვებულ, ოღონდ ძალიან ნაცნობ ოთახში იდგა, კედლებზე შპალერი ჩამოხეულიყო, ერთის გარდა, ყველა ფანჯარა აეჭედათ და ერთადერთი დაუგმანავი ფანჯრიდან შორეული აფეთქებები მოჩანდა. ციხე-კოშკზე შეტევის ხმები ყრუდ ისმოდა. ოთახში ბნელოდა, ერთადერთი ლამპა საცოდავად ბჟუტავდა.

ჯოხს თითებში ატრიალებდა და დასცქეროდა. ფიქრით ციხე-კოშკის ერთ-ერთ ოთახს დასტრიალებდა, იდუმალ ოთახში, რომელიც მხოლოდ თვითონ აღმოაჩინა. ოთახი, რომელსაც, საიდუმლო ოთახისა არ იყოს, ვერაფრით მიაგნებდი, თუ ჭკვიანი, ეშმაკი და ცნობისმოყვარე არ იყავი... დარწმუნებულია, ის ბიჭი დიადემას ვერ იპოვის... თუმცა დამბლდორის ტიკინა იმაზე შორს წავიდა, ვიდრე მოელოდა, ძალიან შორს...

– მილორდ, – გაისმა სასოწარკვეთილი და გაბზარული ხმა. მოიხედა: ყველაზე ბნელ კუთხეში განანამები ლუციუს მალფოი იჯდა, ჯერაც აჩნდა სასჯელის კვალი, რომელიც ბიჭის უკანასკნელი გაქცევის შემდეგ დაატყდა. ცალი თვალი შეშუპებოდა და ვერ ახელდა, – მილორდ... გთხოვთ... ჩემი შვილი...

– თუ შენი შვილი მკვდარია, ლუციუს, მე რა შუაში ვარ. რატომ დანარჩენი სლიზერინელებივით არ მოვიდა? იქნებ ჰარი პოტერთან დამეგობრება გადაწყვიტა?

– არა... არასოდეს, – წაიჩურჩულა მალფოიმ.

– იმედია, არ ცდები.

– არ... არ შიშობთ, მილორდ, რომ პოტერი შეიძლება თქვენი კი არა, სხვისი ხელით მოკვდეს? – ჰკითხა მალფოიმ ხმის კანკალით, – ხომ არ... მაპატიეთ... უფრო ჭკვიანური ხომ არ იქნებოდა, ბრძოლა შეგეწყვიტათ, ციხე-კოშკში შებრძანებულიყავით და თთ...თქვენ თვითონ მოგეძებნათ?

Scanned by CamScanner

– თავს ნუ იკატუნებ, ლუციუს! ბრძოლის შეწყვეტა იმიტომ გინდა, რომ გაიგო, შენს ვაჟს რა მოუვიდა. მე პოტერის მოძებნა არ მჭირდება. პოტერი გათენებამდე თავისი ფეხით მოვა ჩემთან.

ვოლდემორმა ისევ დახედა თითებში მოქცეულ ჯოხს და შუბლშეჭმუხნილმა კიდევ ერთხელ დათვალიერა. ჯოხის ამბავი ძალიან აწუხებს... ხოლო რაც ლორდ ვოლდემორს აწუხებს, უნდა გამოსწორდეს... ბოლოს, როგორც იქნა, ჯოხს თვალი მოსწყვიტა და მალფოის უბრძანა:

– წადი და სნეიპი მომგვარე.

– სნეიპი, მილორდ?

– დიახ, სნეიპი. ახლავე მჭირდება. ერთი... ერთი სამსახური უნდა გამიწიოს. წადი.

შეშინებული ლუციუსი ბორძიკით გავიდა ოთახიდან. ვოლდემორი ისევ ისე იდგა და ჯოხს თითებში ატრიალებდა.

– სხვა გზა არ არის, ნაგინი, – წასჩურჩულა დიდ, სქელ გველს. ნაგინი მოხდენილად იგრიხებოდა ჰაერში; გარს თავისი ბატონის მიერ შექმნილი მოჯადოებული, დაცული არე ერტყა – მოელვარე, გამჭვირვალე სფერო, ციმციმა გალიის მსგავსი.

სუნთქვაშეკრული ჰარი ვოლდემორის გონებიდან გამოვიდა და როგორც კი თვალი გაახილა, იმწამს ეძგერა წივილი და ღრიალი, ბრძოლისეული ნგრევისა და მსხვრევის ხმა.

– ქოთქოთა ქოხშია. გველიც თან ჰყავს, გარშემო რაღაც ჯადოსნური დაცვა შემოუვლია. ეს წუთია, ლუციუს მალფოი სნეიპის მოსაძებნად გაგზავნა.

– ვოლდემორი ქოთქოთა ქოხში ზის? – აღშფოთდა ჰერმიონი, – არც... არც კი იბრძვის?

– ფიქრობს, რომ ბრძოლა არ სჭირდება, – მიუგო ჰარიმ, – ჰგონია, ჩემი ფეხით ვეახლები.

– კი მაგრამ, რატომ?

– იცის, რომ ჰორკრუქსებზე ვნადირობ. ნაგინი გვერდით ჰყავს და მართლაც მომიწევს მისვლა, რომ გველს მივწვდე...

– სწორია, – თქვა რონმა და მხრებში გაიმართა, – ისიც მაგას ელოდება! თუმცა, შენ არსადაც არ უნდა წახვიდე. შენ აქ დარჩი და ჰერმიონს მიხედე, მე კი წავალ და...

ჰარიმ შეაწყვეტინა:

– არა, რას ამბობ! თქვენ ორივე აქ დარჩით, მე კი მოსასხამს მოვისხამ და მაშინვე დავბრუნდები, როგორც კი...

– არა, – წამოიძახა ჰერმიონმა, – ყველაზე გონივრული იქნება, მოსასხამი მე ავიღო და...

Scanned by CamScanner

– მაგაზე არც იფიქრო, – შეუღრინა რონმა.

– რონ, მეც თქვენსავით შემიძლია... – დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ ამ დროს იმ კიბის თავზე, სადაც იდგნენ, გობელენი გაიხა.

– პოტერ!

სანამ ორი ნიღბოსანი სიკვდილის მხვრელი ჯოხებს აღმართავდა, ჰერმიონმა იყვირა:

– გლისეო!

მათ უკან კიბე წამში გაბრტყელდა და ციცაბო დაღმართად იქცა. სამივენი ამ დაღმართზე დაეშვნენ კისრისტეხით, ქვემოთ საფარ-გობელენის ქვეშ გაძვრნენ, იატაკზე გაგორდნენ და მოპირდაპირე კედელს მიენარცხნენ.

– დურო! – იყვირა ჰერმიონმა და ჯოხი გობელენს დაუმიზნა. გობელენი გაქვავდა და დადევნებული სიკვდილის მხვრელები საზარელი ბრაგვანით შეასკდნენ ზედ.

– უკან! – იყვირა რონმა და სამივემ კარს უკან ისკუპა. დერეფანში ჩორთით ჩაიგრუხუნა მერხების გროვამ, რომლებსაც სირბილით მოჰყვებოდა ჯოხშემართული, თმაგაწეწილი პროფესორი მაკგონაგელი. ლოყაზე ღრმა ჭრილობა აჩნდა. პროფესორი კუთხეს მოეფარა თუ არა, მისი კივილი გაიგონეს:

– შეტევაზე!

– ჰარი, მოსასხამი მოისხი, – უთხრა ჰერმიონმა, – ჩვენ არა გვიშავს...

მაგრამ ჰარიმ მათაც გადააფარა მოსასხამი. ბოლომდე ვერ დაიფარნენ, მაგრამ წარმოუდგენელი იყო, იმ მტვერში, ქვა-ღორღის ცვენასა და შელოცვების ელვარებაში ვინმეს მათი უსხეულო ფეხები დაენახა. კიბეზე დაეშვნენ და მებრძოლებით სავსე დერეფანში ამოყვეს თავი. აქეთ-იქით, კედლებზე ჩარიგებულ პორტრეტებში შეხორხლილი ფიგურები რჩევებს გაჰყვიროდნენ და მებრძოლებს ამხნევებდნენ. ნიღბოსანი თუ უნიღბო სიკვდილის მხვრელები სტუდენტებსა და მასწავლებლებს ებრძოდნენ. დინს ჯოხი ეშოვა და პარვატისთან ერთად დოლოხოვისა და ტრავერსის პირისპირ იდგა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა მაშინვე მოიმარჯვეს ჯოხები. შელოცვის სატყორცნად მზად იყვნენ, მაგრამ მებრძოლები იმდენს ცქმუტავდნენ და დახტოდნენ, რომ საშიში იყო, შელოცვა თავისიანისთვის არ მოეხვედრებინათ. სანამ დაძაბულები იდგნენ და მოქმედების საშუალებას ელოდნენ, ხმამაღალი წივილი გაისმა და ჰარიმ დაინახა, როგორ შემოზუზუნდა პივსი და სიკვდილის მხვრელებს კბენია კუნძები დაუშინა. სიკვდილის მხვრელების თავები წამში მწვანე, სქელი ჭიაყელებივით მოფუთფუთე ბოლქვებში ჩაიკარგა.

Scanned by CamScanner

– ვაი!

ერთი მუჭა ბოლქვები მოსასხამქვეშ შეფარებულ რონს დააცვივდა და როცა რონმა მოსაშორებლად თავი გაიქნია, ნესტიანი მწვანე ფესვები ჰაერში აიბნა.

– იქ ვიღაც უჩინარია! – იყვირა ნიღბოსანმა სიკვდილის მხვრელმა და ხელი გაიშვირა.

დინმა სიკვდილის მხვრელის წამიერი უყურადღებობით ისარგებლა და გაშეშების შელოცვა სტყორცნა; დოლოხოვმა პასუხის გაცემა დაპირა, მაგრამ პარვატიმ სხეულის შემკვრელი ჯადო ესროლა.

– წავედით! – იღრიალა ჰარიმ. მოსასხამქვეშ სამივე ერთმანეთს მიეკრა, თავდახრილები აჩქარებით გაძვრნენ მებრძოლებს შორის და მარმარილოს კიბისკენ გაემართნენ.

– დრაკო მალფოი ვარ! თქვენს მხარეს ვარ! – ზემო ბაქანზე რომელიღაც სიკვდილის მხვრელს ემუდარებოდა დრაკო მალფოი. ჰარიმ სიკვდილის მხვრელი გააშეშა. ის იყო სახეგაბრნყინებულმა მალფოიმ თავისი მხსნელის დანახვის მიზნით მიიხედ-მოიხედა, რომ რონმა მოსასხამქვეშიდან მუშტი სთხლიშა. გაოგნებული მალფოი სიკვდილის მხვრელს დაეცა ზედ და გახეთქილი ტუჩიდან სისხლი წასკდა.

– დღეს მეორედ გადაგარჩინეთ, შე ორპირო ნაძირალავ, შენა! – ულრიალა რონმა.

კიბეზეცა და ჰოლშიც ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჰარიმ მიიხედ-მოიხედა: სიკვდილის მხვრელები ყველგან იყვნენ: სადარბაზო კართან იაქსლი ფლიტვიკს ებრძოდა, მათ გვერდით ნიღბოსანი სიკვდილის მხვრელი კინგსლის შებმოდა. სტუდენტები მირბი-მორბოდნენ; ზოგიერთი დაშავებულ მეგობარს მიათრევდა. ჰარიმ ნიღბოსან სიკვდილის მხვრელს გაშეშების შელოცვა სტყორცნა, მაგრამ ააცდინა და კინაღამ ნევილს მოარტყა, რომელიც ამ დროს თითქოს არსაიდან გაჩნდა და შხამიანი ტენტაკულის მარცვლები მიმოაბნია. მარცვლები უახლოეს სიკვდილის მხვრელს დაესივნენ.

ჰარი, რონი და ჰერმიონი მარმარილოს კიბეზე დაეშვნენ. მარცხნივ მინა აზრიალდა – სლიზერინის ქვიშის საათი, რომელშიც კლუბის ქულები გროვდებოდა, დაიმსხვრა და ყველგან ზურმუხტები გაიფანტა. მებრძოლებს ზედ ფეხი უსხლტებოდათ და ბორძიკებდნენ. ამ დროს აივნიდან ორი სხეული გადმოვარდა და როცა ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ქვევით ჩაირბინეს, რუხმა ცხოველის მსგავსმა არსებამ ჰოლი გაირბინა და ერთ-ერთი ჩამოვარდნილის სხეულს კბილები ჩაასო.

– არა! – იწივლა ჰერმიონმა და მისი ჯოხიდან გამოტყორცნილმა გამაყრუებელმა ელვამ ფენრირ გრეიბექი ლევენდერ ბრაუნის სუს-

Scanned by CamScanner

ტად მფეთქავი სხეულიდან გადაისროლა. გრეიბექი მარმარილოს მოაჯირს მიასკდა და სცადა, წამომდგარიყო, მაგრამ თავზე ბრახუნით დაეცა თეთრად მოელვარე ბროლის კრისტალი. გრეიბექი ძირს დაენარცხა და აღარ განძრეულა.

– კიდევ მაქვს! – ინივლა პროფესორმა ტრელოუნიმ მოაჯირის მიღმა, – ვისაც გნებავთ, ყველას მოგართმევთ! აი... – ჩანთიდან ჩოგბურთელივით ამოიღო მეორე ვეებერთელა ბროლის სფერო, ჯოხი ჰაერში გაიქნია, ბურთი დარბაზში გააქანა და ფანჯარაში გაისროლა. ამ დროს ხის მძიმე მთავარი კარი შემოიგლიჯა და ჰოლში გიგანტური ობობები შემოიჭრნენ.

იქაურობა შიშის ყვირილმა აავსო. მებრძოლები – სიკვდილის მხვრელებიცა და ჰოგვორტსელებიც – გაიფანტნენ და შეტევაზე გადმოსულ მონსტრებს წითელი და მწვანე სხივები დაუშინეს. ობობები შეცახცახდნენ და ყალყზე შედგნენ.

– როგორ გავიდეთ? – როგორღაც გააგონა რონმა ჰარისა და ჰერმიონს, მაგრამ სანამ უპასუხებდნენ, სამივე რაღაცამ გვერდზე მიაგდო: ჰაგრიდი ყვავილებით მოხატული ვარდისფერი ქოლგის ქნევით ჩამოგრიალდა კიბეზე.

– თავი დაანებეთ, თავი დაანებეთ! – ღრიალებდა ყურისწამღებად.

– ჰაგრიდ! არა!

ჰარის ყველაფერი დაავიწყდა: მოსასხამიდან გამოხტა და მთელ დარბაზში მოელვარე წყევლა-შელოცვები რომ აეცდინა, ორად მოხრილი გაიქცა.

– ჰაგრიდ! დაბრუნდი!

მაგრამ ჰარი ნახევარ გზაზეც არ მიახლოებოდა, როცა დაინახა, როგორ მოაქციეს ჰაგრიდი ობობებმა შუაში. წყევლის ქარცეცხლში ობობებმა სწრაფად, საზიზღარი ფუთფუთით დაიხიეს უკან, ჰაგრიდი კი იმათ შუაგულში ჩაიკარგა.

– ჰაგრიდ!

ჰარიმ იმდენად უძლურად იგრძნო თავი, კინაღამ გაგიჟდა; გარეთა კიბე ჩაირბინა და ბნელ ეზოში გავარდა. ობობები თავიანთ მსხვერპლთან ერთად მიფუთფუთებდნენ. ჰაგრიდი საერთოდ არ ჩანდა.

– ჰაგრიდ!

ობობების გროვიდან თითქოს უშველებელი მკლავი ამოძვრა, მაგრამ ჰარის გზა მთასავით ფეხმა გადაუღობა, რომელმაც სიბნელიდან გამოალაჯა და ისე დაასკდა მიწას, რომ იქაურობა შეაზანზარა. ჰარიმ აიხედა: მის წინ შვიდმეტრიანი გოლიათი იდგა, თავი იმსიმაღლეზე ჰქონდა, ქვემოდან არც კი ჩანდა, ციხე-კოშკის კარიდან გამოსულ შუქზე კი მხოლოდ ხის ტანისოდენა, ბანჯგვლიანი კანჭები

Scanned by CamScanner

გაირჩეოდა. გოლიათმა ვეება მუშტი მთელი ძალით გაიქნია და ზედა ფანჯარა შელეწა. ჰარის მინის ნამსხვრევები დააცვივდა და იძულებული გახდა, ისევ შენობაში შევარნდილიყო.

– ეს რა არის! – იკივლა ჰარმიონმა. ის და რონი ჰარის დასწეოდნენ და შეშინებულები აჰყურებდნენ გოლიათს, რომელიც ფანჯრიდან ხალხის გამოთრევას ცდილობდა.

– არა! – იბღავლა რონმა, ჰერმიონს ხელი სტაცა და ჯოხი დააშვებინა, – გააშეშებ და ნახევარ ციხე-კოშკს დააქცევს...

ამ დროს ციხე-კოშკის კუთხიდან გრაუპი გამობარბაცდა და დაიღმუვლა:

– ჰაგერ!

ჰარი ახლაღა მიხვდა, რომ გრაუპი მართლაც ტანმორჩილი გოლიათი იყო. უზარმაზარი ურჩხული, რომელიც ზედა სართულებზე ხალხის გაჭყლეტას ცდილობდა, მოტრიალდა, ღრიალი ამოუშვა და ისეთი ძალით გაალაჯა უმცროსი თანამოძმისკენ, რომ კიბე შეაყანყალა. გრაუპმა მოღრეცილი პირი დააღო, ყვითელი, აგურისოდენა კბილები გამოაჩინა და მძვინვარედ გაექანა მოწინააღმდეგისაკენ.

– გავიქცეთ! – იღრიალა ჰარიმ; სიბნელე ერთმანეთს შებმული გოლიათების საზარელმა ბღავილმა და გრგვინვამ აავსო. ჰარიმ ჰერმიონს სტაცა ხელი, კიბეზე ჩაათრია და ეზოში გააქანა, უკან რონი მიჰყვებოდა. ჰარი იმედს არ კარგავდა, რომ ჰაგრიდს იპოვიდა და გადაარჩენდა; ისე სწრაფად მირბოდნენ, რომ როცა შედგნენ, ტყემდე ნახევარი გზაღაღა დარჩენოდათ.

უცებ იქაურობას აუტანელი სიცივე მოედო: ჰარის სუნთქვა შეეკრა და ჰაერი მკერდში ჩაეყინა. სიბნელიდან კაპიუშონჩამოფარებული ფიგურები გამოცურდნენ – შავ მორევად შედედებულები ციხე-კოშკისკენ მილივლივებდნენ და სტვენით ისრუტავდნენ ჰაერს... რონი და ჰერმიონი ჰარის მიეკვრნენ. ბრძოლის ხმაური უცებ მიჩუმდა, რადგან ის აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მხოლოდ დემენტორებს ახლდა.

– მიდი, ჰარი! – სადღაც შორიდან მოესმა ჰერმიონის ხმა, – პატრონუსები, ჰარი, ჩქარა!

ჰარიმ ჯოხი აღმართა, მაგრამ უიმედობით მოცულმა შელოცვა ვერც კი წარმოთქვა: ნეტავ, კიდევ რამდენი ვინმე დაიღუპა და ჯერ არ იცის? ფრედი მოკვდა, ჰაგრიდიც უთუოდ კვდება ან უკვე მკვდარია... სული თითქოს ნახევრად ამოუვიდა სხეულიდან...

– ჰარი, მიდი! – იკივლა ჰარმიონმა.

ასობით დემენტორი მოსრიალებდა, ჰაერს ისრუტავდა და სასოწარკვეთას უფრო და უფრო ამძაფრებდა... მათ ნადიმი ელოდათ...

Scanned by CamScanner

ჰარიმ დაინახა, რომ რონის ვერცხლისფერი ტერიერი ჰაერში გამოიჭრა, ოდნავ აციმციმდა და გაქრა; დაინახა, როგორ დაიკლაკნა ჰერმიონის წავი და ჩაინავლა, ხოლო თვითონ ხელში ჯოხი უცახცახ-ებდა და შელოცვის წარმოთქმასაც ვერ ახერხებდა. ისეთ დღეში იყო, ლამის უხაროდა კიდეც მოახლოებული ბურანი, იმის იმედი, რომ აღარაფერს იგრძნობდა...

უცებ თავზე ვერცხლისფერმა კურდღელმა, ტახმა და მელამ გადაუქროლა; დემენტორებმა უკან დაიხიეს. ჰარიმ მიიხედა და სიბნელიდან გამოვარდნილი სამი ადამიანი, ლუნა, ერნი და სიმუსი დაინახა. ჯოხებმომარჯვებულები ჰარის, რონსა და ჰერმიონს უახ-ლოვდებოდნენ და ისევ და ისევ ქმნიდნენ პატრონუსებს.

– კარგია, – გამამახნევებლად თქვა ლუნამ, თითქოს ისევ „მიშ-ველე-ოთახში" **DA**-ს მეცადინეობაზე იყვნენ, – მშვენიერია. ჰარი... მიდი, რამე კარგზე იფიქრე...

– კარგზე? – ჰკითხა ჰარიმ და ხმა გაებზარა.

– ისევ აქ ვართ, – წაიჩურჩულა ლუნამ, – ისევ ვიბრძვით. მიდი, ახლავე!

ჯერ ვერცხლისფერმა ნაპერწკალმა გაიელვა, მერე შუქი აციმ-ციმდა და მერე – ასე არასოდეს გასჭირვებია – ჰარის ჯოხიდან ვერ-ცხლისფერი ხარირემი გამოიჭრა და წინ გავარდა. დემენტორები გაიფანტნენ, მაშინვე დათბა და ყური ისევ მოსჭრა ხელჩართული ბრძოლის ხმაურმა.

– გმადლობთ, – ხმის კანკალით მიუბრუნდა რონი ლუნას, ერნისა და სიმუსს, – გადაგვარჩინეთ...

მაგრამ მადლობის სათქმელი დრო სად იყო?! ტყიდან ღრიალით გამობარბაცდა კიდევ ერთი გოლიათი. მოდიოდა და ადამიანზე დიდ კომბალს მოიქნევდა.

– გავიქცეთ! – იყვირა ჰარიმ, მაგრამ დანარჩენებს თქმა აღარ სჭირდებოდათ; ყველანი გაიფანტნენ და სწორედ რომ ბენვზე გაას-წრეს, რადგან მეორე წამს გოლიათმა ვეება ფეხი ზუსტად იქ დაადგა, სადაც წამის წინ ისინი იდგნენ. ჰარიმ უკან მიიხედა: რონი და ჰერ-მიონი მას მოჰყვებოდნენ, დანარჩენები კი ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნებულიყვნენ.

– მოვშორდეთ აქედან! – იყვირა რონმა, როცა გოლიათმა ისევ მოიქნია კომბალი და მისი ბღავილი წითელი და მწვანე სხივებით სავსე სკოლის ეზოს გადასწვდა.

– ჩქარა, მტარვალი ტირიფისკენ! – იყვირა ჰარიმ. როგორღაც ყველაფერი გონებაში ჩაკეტა და ერთ კუნჭულში მიყარა: ფრედსა და ჰაგრიდზე ფიქრი და შიში; შფოთვა ყველა იმათზე, ვინც უყვარს, ვინც

Scanned by CamScanner

ციხე-კოშკსა და მის შემოგარენშია გაფანტული. ახლა გონების იმ კუნჭულში ვერ ჩაიხედავს! ამ ყველაფერმა უნდა მოიცადოს! თვითონ კი უნდა გაიქცნენ და გველსა და ვოლდემორს მოუღონ ბოლო, რადგან ეს ამბავი მხოლოდ ასე თუ დასრულდება...

ჰარი გაიქცა. თან არც სჯეროდა, რომ სიკვდილს ისევ დაუძვრა კლანჭებიდან. ყურადღებას არ აქცევდა გარშემო, სიბნელეში მოელვარე ფერად სხივებს, ზღვასავით მღელვარე ტბის ხმასა და აკრძალული ტყის ხეების უცნაურ ჭრიალს; მირბოდა თითქოსდა აჯანყებულ ბუნებაში, მირბოდა ისე სწრაფად, როგორც თავის დღეში არ ურბენია და პირველმა სწორედ მან დაინახა დიდი ტირიფი, რომელიც ფესვებში საიდუმლოს ინახავდა და მათრახებივით იქნევდა ტოტებს.

აქოშინებულმა ჰარიმ ნაბიჯი შეანელა და ტირიფს შემოუარა. სიბნელეში ბებერი ხის სქელ ტანს დააკვირდა და შეეცადა, ის ერთადერთი კოჟრი მოეძებნა, რომელიც ხის მოტყლაშუნე ტოტებს გააშეშებდა. ამასობაში რონი და ჰერმიონიც მოცვივდნენ. ჰერმიონს დაღლილობისგან სუნთქვა ეკვროდა და ხმას ვერ იღებდა.

– როგორ... როგორ უნდა შევიდეთ? – ამოიქოშინა რონმა, – ვერ... ვერ ვხედავ იმ ადგილს... ბო... რომ მოგვცა...

– ბო? – ძლივს ამოთქვა ჰერმიონმა, ორად მოიკეცა და გულზე ხელი მიიჭირა, – ბოლოს და ბოლოს, ჯადოქარი ხარ თუ რა ხარ?

– უი... მართლა... ჰო...

რონმა მიიხედ-მოიხედა და მერე ჯოხი მიწაზე დაგდებულ ტოტს დაუმიზნა:

– ვინგარდიუმ ლევიოსა!

ტოტი მიწიდან აფრინდა, ჰაერში დატრიალდა, თითქოს ქარის ქროლას გაჰყვაო, მერე კი პირდაპირ ტირიფი ამოიღო მიზანში, გაქანდა, ავად მოქანავე ტოტებს შორის გაძვრა და სადღაც ფესვებთან კოჟრს დასცხო. ხე იმწამსვე გაჩერდა.

– ყოჩაღ! – ამოისუნთქა ჰერმიონმა.

– მოიცათ.

ერთი წამით, სანამ ჰაერში ბრძოლის გუგუნ-გრიალი ისმოდა, ჰარი შეყოყმანდა. ვოლდემორს უნდა, რომ სწორედ ასე მოიქცეს; უნდა, რომ ეახლოს... ხაფანგში ხომ არ შეჰყავს რონი და ჰერმიონი? მაგრამ სასტიკი და უბრალო რეალობა მაშინვე გააცნობიერა: ერთადერთი გზა გველის მოკვლაა, გველი იქაა, სადაც ვოლდემორია, ვოლდემორი კი ამ გვირაბის ბოლოშია.

– ჰარი, შედი და მოგყვებით! – ხელი წაჰკრა რონმა.

ჰარი ხის ფესვებში ჩამალულ ვიწრო გასასვლელში შეძვრა. გატევა ახლა უფრო გაუჭირდა, ვიდრე წინა შესვლისას. გვირაბი დაბალი

Scanned by CamScanner

იყო: თითქმის ოთხი წლის წინ ორად მოკაკულებმა გაიარეს, ახლა კი ხოხვით თუ გააღწევდნენ. ჯოხანთებული ჰარი პირველი მიხოხავდა და დაბრკოლებას ყოველ წამს ელოდა, მაგრამ არაფერი ჩანდა. ჩუმად მიიწევდნენ წინ. ჰარი თვალს არ აშორებდა მუჭში მომწყვდეული ჯოხის მოხტუნავე შუქს. ბოლოს გვირაბი ცოტა მაღლა წავიდა და ჰარიმ წინ სინათლის ზოლი დაინახა. ჰერმიონმა კოჭზე მოქაჩა და წასჩურჩულა:

– მოსასხამი გადაიფარე!

ჰარიმ ზურგს უკან ხელი გაიწოდა და ჰერმიონმა თავისუფალ ხელში სრიალა, დაგორგლილი ქსოვილი ჩაუდო. ჰარიმ ძლივძლიობით გადაიხურა და ჩაიბუტბუტა:

– ნოქს!

ჯოხის სინათლე ჩაქრა და ოთხზე მდგარმა ჰარიმ შეძლებისდაგვარად უჩუმრად გააგრძელა გზა. ძალიან დაძაბული იყო, ყოველწამს ელოდა, რომ ცივ, მკაფიო ხმას გაიგონებდა და მწვანე შუქის გაელვებას დაინახავდა.

მერე ზუსტად ცხვირწინ ოთახიდან მომავალი ხმები მოესმა, რომლებსაც მხოლოდ ოდნავ ახშობდა გვირაბის გასასვლელში მიყუდებული ძველი ყუთი. სუნთქვაშეკრული ჰარი გასასვლელს მიუახლოვდა და ყუთსა და კედელს შორის დარჩენილ ციცქნა ღრიჭოში გაიხედა.

ოთახში ბნელოდა, მაგრამ მოჯადოებულ, ჰაერში მოტივტივე ბზინვარე სფეროში ჩასმული ნაგინი მაინც გაირჩეოდა. მოჩანდა მაგიდის კიდე და გრძელთეთრთითებიანი ხელიც, რომელიც ჯოხს ათამაშებდა.

ამ დროს სნეიპმა დაილაპარაკა და ჰარის გული შეუხტა: სნეიპი იმ ადგილიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით იდგა, სადაც ჰარი მოკრუნჩხულიყო.

– მილორდ, იმათი წინააღმდეგობა სუსტდება...

– ოღონდ, უშენოდ, – წარმოთქვა ვოლდემორმა მაღალი, მკაფიო ხმით, – გაწაფული ჯადოქარი კი ხარ, სევერუს, მაგრამ არა მგონია, უშენობამ რამე დაგვაკლოს. თითქმის გავიმარჯვეთ... თითქმის.

– გამიშვით, იმ ბიჭს ვიპოვი და მოგიყვანთ. ვიცი, რომ ვიპოვი, მილორდ. გთხოვთ.

სნეიპმა ღრიჭოს ჩაუარა და ჰარიმ ცოტა უკან დაიწია. ნაგინის თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა, ნეტავ ისეთი შელოცვა თუ არსებობს, იმ დამცავ სფეროში რომ შეაღწიოსო, მაგრამ ასეთი ვერაფერი გაიხსენა. ერთი უიღბლო ცდა და, თავის სამალავს გასცემდა...

ვოლდემორი წამოდგა. ჰარი ახლა უკვე კარგად ხედავდა წითელ

Scanned by CamScanner

თვალებსა და გაბრტყელებულ, გველისებურ სახეს, რომელიც ისეთი უფერული იყო, რომ ბინდბუნდში ოდნავ ანათებდა კიდეც.

– ახლა ბიჭი სულ არ მანაღვლებს, სხვა პრობლემა მაქვს, სევერუს, – რბილად თქვა ვოლდემორმა.

– გისმენთ, – თქვა სნეიპმა.

ვოლდემორმა დიდგულას ჯოხი ასწია და დირიჟორივით მოხდენილად დაიჭირა.

– რატომ არ მემორჩილება, სევერუს?

სიჩუმეში ჰარის ასხმარტალებული გველის სისინი მოესმა. იქნებ ვოლდემორის მსტვენავმა ოხვრამ შეარხია ჰაერი?

– რა ბრძანეთ, მილორდ? – ჰკითხა გაოცებულმა სნეიპმა, – არ მესმის. მაგ... მაგ ჯოხით საოცარი ჯადოქრობა ჩაიდინეთ.

– არა, – თქვა ვოლდემორმა, – ამ ჯოხით ჩემი ჩვეულებრივი ჯადოქრობები ჩავიდინე. საოცარი ჯადოქარი მე ვარ, ეს ჯოხი კი არა. ეს ჯოხი ვერ ავლენს იმ სასწაულებს, რისი იმედიც მქონდა. ვერანაირ განსხვავებას ვერ ვგრძნობ ამასა და იმ ჯოხს შორის, რომელიც მრავალი წლის წინ შევიძინე ოლივანდერთან.

ვოლდემორი მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ჰარის ნაიარევმა ფეთქვა დაუწყო, შუბლის ტკივილმა უმატა და იგრძნო, როგორ იკავებდა ვოლდემორი მრისხანებას, რომელიც თანდათან ემატებოდა.

– არანარი განსხვავება არ არის, – გაიმეორა ვოლდემორმა.

სნეიპს ხმა არ ამოუღია. ჰარი მის სახეს ვერ ხედავდა. იაზრა: ალბათ, საფრთხეს გრძნობს და ცდილობს, სწორი სიტყვები მოძებნოს ბატონის დასამშვიდებლადო.

ვოლდემორმა ოთახში სიარული დაიწყო და ჰარის წამით მხედველობის არიდან დაეკარგა. ბნელი ბატონი ფეხაკრეფით დადიოდა და ისეთივე გამოზომილი ხმით ლაპარაკობდა, ხოლო ჰარის ტკივილი და რისხვა ემატებოდა.

– დიდხანს და გულმოდგინედ ვფიქრობდი, სევერუს... იცი, რატომ გამოგიხმე ბრძოლის ველიდან?

ჰარიმ წამით სნეიპის პროფილი დაინახა. ის მოჯადოებულ ბუდეში მოძრავ გველს არ აშორებდა თვალს.

– არა, მილორდ, მაგრამ გევედრებით, გამიშვით. გამიშვით, პოტერს ვიპოვი.

– ლუციუსივით ლაპარაკობ. ჩემსავით არც ერთს არ გესმით პოტერისა. ძებნა რად უნდა?! პოტერი თვითონ მოვა ჩემთან! ვიცი მისი სისუსტე, მისი უდიდესი ნაკლი – ვერ აიტანს იმის დანახვას, როგორ იხოცებიან მის გარშემო სხვები, თანაც – მისი გულისთვის.

Scanned by CamScanner

მოუნდება, რადაც უნდა დაუჯდეს, შეწყვიტოს ეს ყველაფერი. ამიტომ მოვა.

– მაგრამ, მილორდ, ხომ შეიძლება, შემთხვევით სხვამ მოკლას...

– სიკვდილის მხვრელებს გასაგები მითითებები მივეცი: პოტერი დაიჭირონ, მეგობრები დაუხოცონ – რაც მეტს დაუხოცავენ, მით უკეთესი... თვითონ ბიჭი კი არ მოკლან. მაგრამ მაგაზე როდი მსურდა შენთან ლაპარაკი, სევერუს. არა... შენ ბევრ რამეში გამომადექი.

– მილორდმა იცის, რომ მხოლოდ მისი სამსახური მწყურია. გამიშვით, ბიჭს ვიპოვი, მილორდ. მოგიყვანთ. ვიცი, ვიპოვი...

– ხომ გითხარი, არა-მეთქი! – ვოლდემორი შემობრუნდა. ჰარიმ მის თვალებში წითელი ნაპერწკალი დაინახა და ცეცხლმოდებული ნაიარევით მისი მოუთმელობა ირძნო, – ამჟამად მე ის მადარდებს, სევერუს, რა მოხდება, როცა ბოლოს და ბოლოს, იმ ბიჭს შევხვდები!

– მილორდ, ეს რა საკითხავია, უთუოდ...

– საკითხავია, სევერუს. სწორედაც რომ საკითხავია.

ვოლდემორი შეჩერდა, დიდგულას ჯოხი თითებში შეათამაშა და სნეიპს მიაშტერდა.

– რატომ მიმტყუნა ორივე ჯოხმა, როცა ჰარი პოტერს დავუმიზნე?

– ვერ... ვერ გეტყვით, მილორდ.

– ვერა?

ჰარის ეკალივით ჩაერჭო თავში ვოლდემორის რისხვა და პირში მუშტი ჩაიჩარა, რომ ტკივილისგან არ ეყვირა. თვალები დახუჭა და სნეიპის უფერული სახე ახლა ვოლდემორის თვალებით დაინახა.

– ურთხელის ჯოხმა ყველაფერი შემისრულა, რაც ვთხოვე, სევერუს, გარდა ჰარი პოტერის მოკვლისა. ორჯერ მიმტყუნა. ოლივანდერი რომ ვანამე, ტყუპი ჯოხების ამბავი მითხრა და სხვა ჯოხის ხმარება მირჩია. დავუჯერე, მაგრამ ვერც ლუციუსის ჯოხმა გაუძლო პოტერის ჯოხს და დაიმსხვრა.

– ვერ... ვერ ამიხსნია, მილორდ.

სნეიპი ვოლდემორს აღარ უყურებდა, შავი თვალები დამცავ სფეროში მოლივლივე გველისთვის მიებჯინა.

– ახლა მესამე ჯოხი ვიშოვე, დიდგულას ჯოხი, უძლეველი ჯოხი, სიკვდილის ჯოხი. წინა პატრონს წავართვი – ალბუს დამბლდორის საფლავიდან ამოვიღე.

სნეიპმა მზერა ისევ ვოლდემორზე გადაიტანა. მარმარილოსავით თეთრი სახე მიცვალებულის ნიღაბს უგავდა და ისე გაჰქვავებოდა, რომ ჰარი შეკრთა, როცა ხმა ამოიღო; შემაძრწუნებელი იყო იმის დანახვა, რომ ამ მზერადაკარგული თვალების პატრონი ცოცხალი იყო.

– მილორდ... გამიშვით ბიჭის მოსაძებნად...

Scanned by CamScanner

– მთელი ამ გრძელი ღამის განმავლობაში, როცა გამარჯვება კარზეა მომდგარი, ვზივარ და ვფიქრობ, – თითქმის ჩურჩულებდა ვოლდემორი, – ვფიქრობ, რატომ უაროობს დიდგულას ჯოხი, იყოს ის, რაც უნდა იყოს; რატომ არ აკეთებს იმას, რაც, ლეგენდის მიხედვით, კანონიერი პატრონისთვის უნდა გააკეთოს... და ამდენი ფიქრის შემდეგ, მგონი, პასუხი ვიპოვე.

სნეიპმა კრინტი არ დაძრა.

– იქნებ ხვდები? ჭკვიანი კაცი ხარ, სევერუს. ყოველთვის ჩემი ერთგული მსახური იყავი და განვიცდი იმას, რაც უნდა მოხდეს.

– მილორდ...

– სევერუს, დიდგულას ჯოხი იმიტომ არ მემსახურება რიგიანად, რომ ნამდვილი პატრონი არა ვარ. ალბუს დამბლდორი შენ მოკალი და სანამ ცოცხალი ხარ, დიდგულას ჯოხი ბოლომდე ჩემი ვერ იქნება.

– მილორდ! – სნეიპს სახეზე შეშფოთება დაეტყო.

– სხვა გზა არა მაქვს, ეს ჯოხი უნდა დავიმორჩილო, სევერუს. ეს ჯოხიც და, ბოლოს და ბოლოს, პოტერიც, – თქვა ვოლდემორმა.

მერე ვოლდემორმა დიდგულას ჯოხით გაკვეთა ჰაერი. სნეიპს არაფერი დაშავებია და წამით, ეტყობა, იფიქრა, შემიწყალაო, მაგრამ ამ დროს ვოლდემორის განზრახვა ცხადი გახდა: ჰაერში გველის გამჭვირვალე სფერო მოცურავდა, სნეიპმა დაყვირებაც ვერ მოასწრო – ნაგინი მაშინვე თავსა და მხრებზე შემოეხვია და ვოლდემორმა პარსულად უბრძანა:

– მოკალი.

გაისმა საშინელი ღრიალი. ჰარიმ დაინახა, როგორ გადაფითრდა სნეიპი, როგორ გაუფართოვდა შავი თვალები, როგორ ჩაესო გველის კბილები ყელში და როგორ სცადა მოჯადოებული სფეროს მოშორება; მერე მუხლი მოეკვეთა და იატაკზე დავარდა.

– ძალიან ვწუხვარ, – ცივად თქვა ვოლდემორმა და შებრუნდა. თუმცა, არც სევდა აწუხებდა და არც სინდისის ქენჯნა. დროა, ამ ქოხიდან იმ ჯოხით გავიდეს, რომელიც ახლა ყველა ბრძანებას შეუსრულებს. ჯოხი გველის მოელვარე სფეროს მიუშვირა. გალია სნეიპს მოსწყდა და აფრინდა, სნეიპი გვერდზე გადაგორდა და მის ყელზე გაჩენილი ჭრილობებიდან სისხლმა იფეთქა. ვოლდემორი ისე გავიდა ოთახიდან, უკან არ მოუხედავს. დამცავ სფეროში მოქცეული დიდი გველი ლივლივით მიჰყვა უკან.

ჰარიმ გვირაბშიცა და გონებაშიც თვალი გაახილა; ყვირილის შესაკავებლად თითები ისე დაეკბინა, სისხლი სდიოდა. აკანკალებულმა ყუთსა და კედელს შორის დარჩენილ პაწაწინა ღრიჭოში გაიხედა და დაინახა, როგორ ცახცახებდა შავფეხსაცმლიანი ფეხი.

Scanned by CamScanner

– ჰარი! – ამოთქვა ჰერმიონმა, მაგრამ ჰარი უკვე ჯოხს უმიზნებდა თვალწინ აფარებულ ყუთს. ყუთმა ორი სანტიმეტრით აიწია ჰაერში და უჩუმრად გაცურდა გვერდზე. ჰარი, რაც შეეძლო, ჩუმად აძვრა ოთახში. ვერ ხვდებოდა, ამას რატომ აკეთებდა. რატომ უახლოვდებოდა მომაკვდავს. არც ის იცოდა, რა იგრძნო, როცა სნეიპის გათეთრებული სახე და ჭრილობაზე მიჭერილი თითები დაინახა. უჩინმაჩინის მოსასხამი მოიხადა და დახედა კაცს, რომელიც ასე სძულდა. სნეიპი გაფართოებული შავი თვალებით ჰარის თვალებს მიაჩერდა და ხმის ამოღება სცადა. ჰარი მისკენ დაიხარა. სნეიპმა მანტიაში სტაცა ხელი, მიიახლოვა და ყელიდან საშინელი ღრჭიალა, ბუყბუყა ხმა ამოუშვა:

– შეაგროვე... შეაგროვე...

სნეიპს სისხლის გარდა, კიდევ რაღაც სდიოდა – მისი პირიდან, ყურებიდან და თვალებიდან მოვერცხლისფრო-მოცისფრო ნივთიერება მოედინებოდა, ეს არც აირი იყო და არც სითხეს ჰგავდა. ჰარი მიხვდა, სნეიპი მოგონებებს უტოვებდა, მაგრამ არ იცოდა, რაში შეეგროვებინა. ჰერმიონმა აკანკალებულ ხელში ჯადოქრობით გაჩენილი ბოთლი ჩაუდო და ჰარიმ შიგ ჯოხით ჩადენა მოგონებები. ბოთლი ბოლომდე აივსო. ამასობაში სნეიპი თითქოს სისხლისგან მთლად დაიცალა, ძალა უკანასკნელად მოიკრიბა, ჰარის მანტია კიდევ ერთხელ დაქაჩა და წაიჩურჩულა:

– მი...ყუ...რე...

მწვანე თვალებმა ჩახედა შავ თვალებს, მაგრამ იმავე წამს შავ თვალებს სიღრმეში სხივი გაუქრა და გაშტერებულ-გამოცარიელებული შეეყინა ჰარის თვალებს; მანტიაზე ჩაბღაუჭებული ხელი იატაკზე დავარდა და სნეიპი აღარ განძრეულა.

Scanned by CamScanner

თავი მეცხრამეტე

პრინცის ნაამბობი

ჰარი ისევ სნეიპის გვერდით იყო დაჩოქილი და მის გვამს დაჰყურებდა, როცა მაღალი, ცივი ხმა ისე ახლოს ჩაესმა, რომ შეშინებული წამოხტა: ეგონა, ვოლდემორი ქოხში დაბრუნდაო.

ხმა კედლებიდან და იატაკიდან ისმოდა და ჰარი მიხვდა, რომ ვოლდემორი ჰოგვორტსსა და მთელ მის შემოგარენს ელაპარაკებოდა. ალბათ, ჰოგსმიდის მცხოვრებლები და ყველა, ვინც ჯერაც იბრძოდა ციხე-კოშკში, ისე ცხადად გაიგონებდნენ ამ ხმას, თითქოს ვოლდემორი გვერდით ედგათ.

– ვაჟკაცურად იბრძოდით, – ამბობდა ბნელი ბატონი, – ლორდმა ვოლდემორმა კი იცის ვაჟკაცობის დაფასება. დიდი დანაკარგი განიცადეთ და თუ მაინც განაგრძობთ წინააღმდეგობას, ყველანი სათითაოდ დაიხოცებით. არ მინდა, ასე მოხდეს. ჯადოქრული სისხლის ყოველი დაღვრილი წვეთი დიდი დანაკარგია. ლორდი ვოლდემორი მოწყალეა. მე ვუბრძანებ ჩემს ჯარს, ახლავე უკან დაიხიოს. ერთი საათი გაქვთ. დახოცილებს პატივი მიაგეთ და დაჭრილებსაც მიხედეთ. ახლა კი შენ მოგმართავ, ჰარი პოტერ. შენ მეგობრები გაიმეტე, ისინი აიძულე, შენთვის დახოცილიყვნენ, იმის მაგივრად, რომ თავად შემბრძოლებოდი. ერთ საათს აკრძალულ ტყეში დაგელოდები... თუ ამ საათის მიწურულს არ მოხვალ და არ ჩამბარდები, ბრძოლა განახლდება. ამჯერად ბრძოლაში მეც ჩავებმები და გიპოვი. სათითაოდ დავსჯი ყველა კაცს, ქალსა და ბავშვს, ვინც შეეცდება, დაგმალოს.

რონმა და ჰერმიონმა ცხარედ გაიქნიეს თავი და ჰარის შეხედეს.

– ყურს ნუ უგდებ, – უთხრა რონმა.

– ყველაფერი კარგად გამოვა, – მგზნებარედ თქვა ჰერმიონმა, – მოდი... მოდი, ციხე-კოშკში დავბრუნდეთ. თუ ტყეშია, ახალი გეგმა უნდა მოვიფიქროთ...

Scanned by CamScanner

გოგონამ სნეიპის გვამს დახედა და გვირაბის შესასვლელისკენ შეტრიალდა. რონიც მიჰყვა. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი აიკეცა და სნეიპს დააცქერდა. არ იცოდა, რა გრძნობა უნდა ჰქონოდა; ერთი ეგაა – ელდანაცემი იყო იმით, თუ როგორ და რატომ მოკლეს სნეიპი...

ხოხვით ისე გაიარეს გვირაბი, კრინტი არ დაუძრავთ. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ რონსა და ჰერმიონსაც ჩემსავით უდგათ ყურებში ვოლდემორის ხმა თუ არაო. თვითონ სულ ეს სიტყვები ჩაესმოდა ყურებში:

„შენ მეგობრები გაიმეტე, იმის მაგივრად, რომ თავად შემბრძოლებოდი... ერთ საათს აკრძალულ ტყეში დაგელოდები... თუ ამ საათის მინურულს არ მოხვალ და არ ჩამბარდები, ბრძოლა განახლდება...“

ციხე-კოშკის წინ, მდელოზე, ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. ჰარი, რონი და ჰერმიონი ქვის კიბეზე ავიდნენ. მათ წინ უპატრონოდ იწვა დიდი, მომცრო ნავისოდენა ძაღლი.

ციხე-კოშკში არაბუნებრივი სიჩუმე იდგა. არც სხივები ელავდა, აღარც ბრაგვანი და წივილ-კივილი ისმოდა. უკაცრიელი ჰოლის ფილებს სისხლის ლაქები აჩნდა. ზურმუხტები ჯერაც მთელ იატაკზე იყო მიმობნეული და მარმარილოს ნამსხვრევებსა და ნაფოტებში არეულიყო. მოაჯირის ნაწილი გადატეხილიყო.

– სად არიან? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

რონი დიდი დარბაზისკენ გაემართა. ჰარი ზღურბლზე შეჩერდა.

კლუბების მაგიდები არსად ჩანდა, ოთახი ხალხით იყო სავსე. გადარჩენილები ჯგუფ-ჯგუფად, ხელიხელგადახვეულები იდგნენ. ტრიბუნაზე აყვანილ დაჭრილებს მადამ პომფრი უვლიდა, მას კიდევ რამდენიმე კაცი ეხმარებოდა. კენტავრი ფლორენციაც დაჭრილი იყო, ფერდიდან სისხლი სდიოდა, ფეხზე ვერ დგებოდა და კანკალებდა.

დახოცილები შუა დარბაზში დაესვენებინათ. ჰარიმ ფრედის გვამი ვერ დაინახა: გარს ოჯახი შემორტყმოდა. ჯორჯი ძმის თავთით ჩაჩოქილიყო; ქალბატონი უისლი შვილის მკერდზე დამხობილიყო და ცახცახებდა. ბატონი უისლი მეუღლეს თმაზე უსვამდა ხელს და ლოყებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.

რონი და ჰერმიონი ჰარისთვის სიტყვის უთქმელად წავიდნენ წინ. ჰერმიონი ტირილისგან დაოსებულ ჯინისთან მივიდა და მოეხვია. რონი ბილს, ფლერსა და პერსის მიუახლოვდა, პერსიმ მხარზე ხელი მოჰხვია. როცა ჯინი და ჰერმიონი დანარჩენ ოჯახს მიუახლოვდნენ, ჰარიმ ფრედის გვერდით დასვენებული სხვა გვამებიც დაინახა: ფერწასულ რემუსსა და ტონქსს ისეთი წყნარი, უშფოთველი სახეები ჰქონდათ, თითქოს ბნელ, მოჯადოებულ ჭერქვეშ ჩასძინებიათო.

დიდი დარბაზი თითქოს სადღაც გაფრინდა, ჰაერი შეიკუმშა...

Scanned by CamScanner

ჰარი ბარბაცით გავიდა უკან. სულს ვერ ითქვამდა. ველარ დახედავს სხვა გვამებს, ვერ დაინახავს, კიდევ ვინ მოკვდა მისი გულისთვის. ვერც უისლებს გაუსწორებს თვალს, რადგან მაშინვე რომ დანებებულიყო, ფრედი იქნებ არც მომკვდარიყო...

შებრუნდა და მარმარილოს კიბე აირბინა. ლუპინი, ტონქსი... ნეტავი არაფერს გრძნობდეს... ნეტავი იმ ყველაფრის ამოგლეჯა შეეძლოს, რაც მასში კივის...

ციხე-კოშკში არავინ ჭაჭანებდა; ეტყობა, მოჩვენებებიც კი დიდ დარბაზში საერთო გლოვას შეერთებოდნენ. სნეიპის უკანასკნელი ფიქრებით სავსე ბროლის ბოთლჩაბღუჯული ჰარი გაუჩერებლად მირბოდა. ნაბიჯი არ შეუნელებია, სანამ დირექტორის კაბინეტის დარაჯ ქვის ურჩხულს არ მიადგა.

– პაროლი?

– დამბლდორი! – დაუფიქრებლად თქვა ჰარიმ, რადგან სწორედ მის ნახვას ნატრობდა. მისდა გასაკვირად, ურჩხული გვერდით გასრიალდა და ხვეული კიბე გამოაჩინა.

როცა ჰარი მრგვალ კაბინეტში შევარდა, იქაურობა შეცვლილი დაუხვდა: კედლებზე შემორიგებული პორტრეტები ცარიელი იყო. ერთი დირექტორიც კი არ ჩანდა. ეტყობა, ყველანი ციხე-კოშკში ჩარიგებულ სურათებს დაუყვნენ, რათა კარგად ენახათ, რა ხდებოდა.

ჰარიმ უიმედოდ ახედა დირექტორის სავარძლის უკან დაკიდებულ დამბლდორის ცარიელ ჩარჩოს და ზურგი შეაქცია. კარადიდან ქვის საფიქრელა გამოიღო, საწერ მაგიდაზე დადგა და შიგ სნეიპის მოგონება ჩაღვარა. სხვის გონებაში თავის შეფარება ახლა ჰარის შვებას მოჰგვრიდა... სნეიპის დანატოვარი თავის განცდებზე უარესი ხომ არ იქნებოდა. მოგონება დაიკლაკნა, თეთრ-მოვერცხლისფრო, უცნაური ტალღებად აიქოჩრა და ჰარიმ უყოყმანოდ, დაუფიქრებლად ჩაყვინთა საფიქრელაში.

ჰარი სწრაფად ჩაეშვა მზის სინათლით მოცულ მოგონებაში და ფეხებით თბილი მიწა შეიგრძნო. როცა გასწორდა, მიიხედ-მოიხედა: თითქმის უკაცრიელ საბავშვო მოედანზე იდგა. ჰორიზონტზე ერთადერთი ვეებერთელა საკვამლე მილი მოჩანდა. საქანელაზე ორი გოგონა ქანაობდა, რომლებსაც ბუჩქებიდან გაძვალტყავებული ბიჭი უთვალვალებდა. ბიჭს შავი, გრძელი თმა ჰქონდა, ისეთი შეუფერებელი ტანსაცმელი ეცვა, თითქოს საგანგებოდ აუჩეჩიათო: მოკლე ჯინსი, ნახმარი, უშველებელი, ალბათ, ზრდასრული კაცის ქურთუკი და უცნაური, ქალის კოფთის მსგავსი პერანგი.

ჰარი ბიჭს მიუახლოვდა და სნეიპი იცნო. ცხრა-ათი წლისაზე მეტს არ ჰგავდა. სახეზე მიწისფერი ედო, პატარა ტანის, გამხდარი

Scanned by CamScanner

ბიჭი იყო. დაუფარავი სიხარბით შესცქეროდა უმცროს გოგონას, რომელიც დაზე უფრო მაგრად ქანაობდა.

– ლილი, გეყოფა! – იყვირა უფროსმა.

მაგრამ ლილიმ საქანელა ბოლომდე გააქანა, ზედა წერტილიდან ჰაერში ისკუპა, სიცილით წავიდა ზემოთ და მოედნის ასფალტზე დანარცხების ნაცვლად, ტანმოვარჯიშესავით გალივლივდა ჰაერში, ერთხანს ილივლივა და ბუმბულივით მსუბუქად დაეშვა მიწაზე.

– დედამ ხომ გითხრა, ასე არ მოიქცეო!

პეტუნიამ მიწაზე სანდლების ქუსლები გაახახუნა, ჭრიალით გაა-ჩერა საქანელა, წამოხტა და დოინჯი შემოირტყა.

– დედამ ხომ გითხრა, არ გაბედოო, ლილი!

– რა დაშიშავდა? – ჩაიხითხითა ლილიმ, – ტუნი, შეხედე, ნახე, რა შემიძლია.

ლილიმ შემჭკნარი ყვავილი მოწყვიტა იმ ბუჩქზე, რომლის უკანაც სნეიპი იმალებოდა. პეტუნიამ მიიხედ-მოიხედა. სათამაშო მოედანზე მხოლოდ თვითონ იყვნენ და ჩასაფრებულ სნეიპს ვერ ხედავდნენ. მერე დას მიუახლოვდა. ეტყობოდა, დის ოინი თან აინტერესებდა და თანაც აშინებდა. ლილიმ მოიცადა, სანამ პეტუნია ისე არ მიუახ-ლოვდა, რომ კარგად დაენახა, მერე კი ხელისგული გაუშვირა. ზედ ყვავილი ედო, რომელიც უცნაური, მრავალტუჩა ხამანწკასავით აღებდა და ხურავდა ფურცლებს.

– გაჩერდი! – ინივლა პეტუნიამ.

– შენ რას გიშავებს! – შეეპასუხა ლილი, თუმცა ხელი მაინც მომუ-ჭა და ყვავილი მიწაზე დააგდო.

– ასე არ შეიძლება, – თქვა პეტუნიამ, მაგრამ ყვავილს თვალი გააყოლა და მიწაზე დავარდნილსაც დააცქერდა, – ამას როგორ აკეთებ? – დაუმატა და ხმაში ფარული აღტაცება შეეპარა.

– რა კითხვა უნდა! – თავი ვეღარ შეიკავა სნეიპმა და ბუჩქებიდან გამოხტა. პეტუნიამ იკივლა და ისევ საქანელებისკენ გაიქცა, ლილის კი მართალია შეეშინდა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. სნეიპს ეტყობო-და, ნანობდა, რომ გამოჩნდა. ლილის შეხედა და ჩაცვენილი ლოყები ოდნავ შეეფაკლა.

– რას არ უნდა კითხვა? – ჰკითხა ლილიმ.

სნეიპი აფორიაქებული ჩანდა. წამით საქანელებთან მოწრიალე პეტუნიას გახედა, მერე ხმას დაუწია და თქვა:

– ვიცი, ვინც ხარ.

– რას გულისხმობ?

– რას და... ჯადოქარი ხარ, – წაიჩურჩულა სნეიპმა.

ლილის ეწყინა.

Scanned by CamScanner

– ეგ სისულელე საიდან მოიტანე?

ცხვირი აიბზუა, შებრუნდა და დისკენ წავიდა.

– მოიცადე! – დაუძახა ახლა უკვე ალენილმა სნეიპმა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავი რატომ არ იხდის თავის სასაცილოდ დიდ ქურთუკსო; მაგრამ იქვე დაასკვნა, ალბათ იმიტომ, რომ ქალის პერანგი არ გამოუჩნდესო. ბიჭი გოგონებს გაედევნა, ბავშვობაშიც ღამურას წააგავდა, როგორც მერე, დიდობისას.

დებმა ამრეზით შეხედეს სნეიპს. ორივე ისე ჩასჭიდებოდა საქანელას ჭოკს, თითქოს მარტო მასთან გრძნობდნენ თავს დაცულად.

– მართლა, – უთხრა სნეიპმა ლილის, – მართლა ჯადოქარი ხარ. კარგა ხანია, გაკვირდები. მერე რა, დედაჩემიც ჯადოქარია. მეც.

პეტუნიამ გულიანად გადაიკისკისა და სნეიპს სახე ისე შეეცვალა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო.

– ჯადოქარი! – დასცინა ბიჭს. სნეიპის მოულოდნელი გამოჩენით მოგვრილმა შიშმა გადაუარა და გამბედაობა დაუბრუნდა, – გიცნობ, ვინცა ხარ. სნეიპების ბიჭი! მდინარესთან, ობობას ჩიხში ცხოვრობენ, – ისე უთხრა ლილის, რომ ცხადი იყო, მისთვის ამ მისამართზე ცხოვრება დიდი ნაკლი იყო, – რას გვითვალთვალებდი?

– არ გითვალთვალებდით, – უხერხულად შეიშმუშნა სნეიპი, თაკარა მზეში ერთიანად აჭარხლებული და ცხიმისგან თმაგასიპული, – შენი თვალთვალი არც მჭირდება, შენ ხომ მაგლი ხარ.

პეტუნიამ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, მაგრამ იმას მშვენივრად მიხვდა, რა ტონითაც ითქვა.

– ლილი, წამოდი, მივდივართ! – თქვა მკვახედ. ლილი მაშინვე დაემორჩილა. წასვლისას სნეიპს გამოხედა. სნეიპი იდგა და უყურებდა, როგორ გავიდნენ დები სათამაშო მოედნის ჭიშკარში. ჰარიმ, რომელიც ახლა მარტო დარჩენილ სნეიპს უყურებდა, მისი მწარე იმედგაცრუება იგრძნო და მიხვდა, რომ სნეიპი კარგა ხანია, გეგმავდა ამ წამს და მაინც ყველაფერი ჩაუფლავდა...

სურათი თანდათან გაქრა და სანამ ჰარი გონს მოვიდოდა, ახალი გამოჩნდა. მოქმედება ახლა პატარა ჭალაში ხდებოდა. ხეებშუა მზით გაკაშკაშებული მდინარე ციმციმებდა. ხეების ჩრდილში გრილ, ამწვანებულ მიწაზე, ერთმანეთის პირისპირ ფეხმორთხმული იჯდა ორი ბავშვი. სნეიპს ქურთუკი გაეხადა. ჩრდილში მისი უცნაური მაისური ნაკლებ თვალშისაცემი იყო...

– ...და თუ სკოლის გარეთ იჯადოქრებ, სამინისტროს შეუძლია დაგსაჯოს. გამაფრთხილებელ წერილს მიიღებ.

– ჰო, მაგრამ უკვე რამდენჯერ ვიჯადოქრე და მსგავსი არაფერი მომხდარა.

Scanned by CamScanner

– იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ ჯოხები არა გვაქვს. იმათ პატარები არ აინტერესებთ. მაგრამ როცა თერთმეტისა გახდები, – თავმომწონედ დააქნია თავი სნეიპმა, – და სწავლას დაიწყებ, უკვე სიფრთხილე გმართებს.

ცოტა ხანს სიჩუმე იდგა. ლილიმ ჩამოვარდნილი რტო აიღო და ჰაერში დაატრიალა. ჰარი მიხვდა, რომ გოგონამ წარმოიდგინა, ჯოხიდან როგორ გამოიფრქვეოდა ნაპერწკლები. მერე რტო დააგდო, ბიჭისკენ გადაიხარა და უთხრა:

– ხომ მართალს ამბობ? ხომ არ მეხუმრები? პეტუნია მეუბნება, გატყუებსო. ამბობს, არანაირი ჰოგვორტსი არ არსებობსო. ხომ მართლა არსებობს?

– ჩვენთვის – კი, – უთხრა სნეიპმა, – მისთვის – არა. ჩვენ წერილებს მივიღებთ, შენცა და მეც.

– მართლა? – ნაიჩურჩულა ლილიმ.

– მართლა, – თქვა სნეიპმა. ოკრობოკროდ შეჭრილი თმისა და უცნაური ტანისამოსის მიუხედავად, ლილის ის მაინც შთამბეჭდავი, თავისი ხვედრის რწმენით აღსავსე ეჩვენებოდა.

– და მართლა ბუ მოიტანს? – ისევ წაიჩურჩულა ლილიმ.

– საერთოდ, კი, ბუს მოაქვს ხოლმე, მაგრამ შენ მაგლური წარმოშობისა ხარ, ამიტომ სკოლიდან ვინმე მოვა და შენს მშობლებს ყველაფერს აუხსნის, – უთხრა სნეიპმა.

– მაგლურ წარმოშობას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

სნეიპი შეყოყმანდა, შავი თვალები ლილის ფერმკრთალ სახესა და მუქნითურ თმას შეავლო.

– არა, არანაირი.

– კარგია, – შვებით ამოისუნთქა ლილიმ.

– დიდი ჯადოქრული ძალა გაქვს! – უთხრა სნეიპმა, – არ მინახავს, თუ რა! სულ შენ გიყურებდი...

სნეიპს ხმა ჩაუწყდა; ლილი არ უსმენდა, მიწაზე გაწვა და ფოთლების ფარდას მიაჩერდა. სნეიპი ახლაც ისე ხარბად უყურებდა მას, როგორც საბავშვო მოედანზე.

– შინ როგორ ხართ? – ჰკითხა უცებ ლილიმ.

სნეიპი ოდნავ შეიჭმუხნა:

– კარგად.

– აღარ ჩხუბობენ?

– როგორ არა, – სნეიპმა ხელით ბალახს დაუწყო გლეჯა, ეტყობა დაძაბულობის დაფარვას ცდილობდა, – მაგრამ რაღა დარჩა, ცოტაც და, წავალ.

– მამაშენს ჯადოქრობა არ მოსწონს?

– იმას არაფერი არ მოსწონს, – ჩაიბურტყუნა სნეიპმა.

Scanned by CamScanner

– სევერუს.

თავისი სახელის გაგონებაზე სნეიპს გაეღიმა.

– რა იყო?

– კიდევ მომიყევი რა, რამე დემენტორებზე.

– მაგათი ამბავი რაში გაინტერესებს?

– თუ სკოლის გარეთ ვიჯადოქრებ...

– მაგისთვის დემენტორებს არავინ გადაგცემს! დემენტორები ისეთი ხალხისთვისაა, ვინც მართლა ცუდ საქმეებს ჩადის. ჯადოქართა ციხის, აზკაბანის მცველები არიან. შენ აზკაბანში რა გინდა, შენ ხომ...

სნეიპი გაწითლდა და ისევ ბალახის გლეჯა დაიწყო. უეცარმა ტკაცუნის ხმამ უკან მიახედა: ხის უკან დამალულ პეტუნიას ფეხი დაუცდა.

– ტუნი! – გაკვირვებით, მაგრამ ხალისიანად შესძახა ლილიმ, გაბრაზებული სნეიპი კი ფეხზე წამოხტა.

– აბა, ახლა ვინ გვითვალთვალებს? – იყვირა ნიშნის მოგებით, – რა გინდა?

გამოჭერილ პეტუნიას სუნთქვა შეეკრა და აღელდა. ჰარი ხედავდა, როგორ ცდილობდა, სნეიპისთვის რაიმეთი ეწყენინებინა.

– ეგ რა გაცვია? – სნეიპისკენ გაიშვირა ხელი, – დედიკოს მაისური?

გაისმა ჭახანი და ლილის შეკივლება. პეტუნიას თავზემოთ ტოტი ჩამოტყდა და გოგონას მხარში მოხვდა. პეტუნიამ ბორძიკით დაიხია უკან და ატირდა.

– ტუნი!– დაუძახა ლილიმ, მაგრამ პეტუნია შეტრიალდა და გაიქცა. ლილი ახლა სნეიპს ეცა, – ეგ შენ ჰქენი?

– არა, – მიუგო სნეიპმა გამომწვევად, თუმცა, შეშინებული ჩანდა.

– კი, შენ ჩამოტეხე ტოტი! – ზურგი შეაქცია ბიჭს, – შენ! შენ ატკინე!

– არა, მე არ მიქნია!

მაგრამ ამ ტყუილმა ლილი ვერ დააჯერა. სნეიპს ბრაჯით გაუყარა თვალი თვალში და დას დაედევნა. შესაბრალისი და დაბნეული სნეიპი ადგილს მიეყინა...

სურათი ისევ შეიცვალა. ჰარიმ მიიხედ-მოიხედა. 9 3/4 ბაქანზე იყო, ცოტა მოშორებით ოდნავ მხრებაწურული სნეიპი იდგა გამხდარ, მიწისფერსახა, პირქუშ ქალთან ერთად. ეტყობოდა დედამისი იყო, ძალიან ჰგავდა. ბიჭი ვიღაცეებს უყურებდა. ჰარიმაც იქით გაიხედა და ორი გოგონა და მათი მშობლები დაინახა. ლილი დას ელაპარაკებოდა:

– ძალიან მწყინს, ტუნი, ძალიან! მისმინე... – დას ხელი ჩაჰკიდა და მოუჭირა, თუმცა, პეტუნია გვერდზე გაწევას ცდილობდა, – იქნებ, როცა ჩავალ... არა, მისმინე, ტუნი! იქნებ, როცა ჩავალ, პროფესორ დამბლდორთან მივიდე და დავიყოლიო, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს.

Scanned by CamScanner

– მე არ მინდა წამოსვლა! – დას ხელი გამოსტაცა პეტუნიამ, – გგონია, სადღაც სულელურ ციხე-კოშკში წამოსვლა და იქ სწავლა მეხალისება? ე...ე...

პეტუნიამ უფერული თვალები ბაქანს მოატარა: კატები კნაოდნენ, გალიებში ბუები ფრთებს აფართხუნებდნენ და კიოდნენ, ზოგ სტუდენტს უკვე გრძელი, შავი მანტია ეცვა და ჩემოდნებს წითელი მატარებლისკენ მიათრევდა, ზოგი კი ამდენი ხნის უნახავ მეგობრებს სახეგაბრწყინებული ესალმებოდა.

– ...შენი აზრით, მინდა, არანორმალური გავხდე?

ლილის თვალები ცრემლებით აევსო.

– მე არანორმალური არა ვარ, რა საშინელებას მეუბნები.

– ამათთან ერთად მიდიხარ, – ნიშნის მოგებით უთხრა პეტუნიამ, – სწორედაც, რომ არანორმალურების სკოლაა. შენ და სნეიპების ბიჭი... უჯიშოები და არანორმალურები ხართ. რა კარგია, რომ ნორმალურ ხალხს მოგაშორებენ. იმიტომაც მიჰყავხართ, რომ არაფერი დაგვიშავოთ!

ლილიმ მშობლებს გახედა. ისინი გულწრფელი ხალისით ათვალიერებდნენ ბაქანს და უჩვეულო სანახაობით ტკბებოდნენ. მერე ისევ დას მოხედა და ხმადაბლა, გამწარებით უთხრა:

– მაშინ ხომ არ გეგონა არანორმალურების სკოლა, როცა დირექტორს მისწერე და შეეხვეწე, მიმიღეო?

პეტუნია აილეწა.

– მე შევეხვეწე? არაფერიც!

– ვიცი, რომ პასუხი მოგწერა. რა ყურადღებიანი კაცია.

– რატომ წაიკითხე... – წაიჩურჩულა პეტუნიამ, – ეგ საიდუმლო იყო... როგორ...

ლილის იქვე მდგომი სნეიპისკენ გაექცა თვალი და თავი გასცა. პეტუნიას სუნთქვა შეეკრა:

– იმ ბიჭმა იპოვა! შენ და ის ბიჭი ჩემს ოთახში შეიპარეთ!

– არა... არ შევპარულვართ... – თავის დაცვა სცადა ლილიმ, – სევერუსმა კონვერტი დაინახა და გაუკვირდა, როგორ მოხვდა მაგლის წერილი ჰოგვორტსშიო, ეს იყო და ეს! ამბობს, ეტყობა, ფოსტაში ფარულად მუშაობენ ჯადოქრები და ასეთ წერილებს...

– ჰო, აბა რა, ჯადოქრებმა ხომ ყველაფერში ცხვირი უნდა ჩაყონ! – ხმის კანკალით თქვა პეტუნიამ, – გადაგვარებულო! – მიახალა დას და მშობლებისკენ გაქანდა.

სურათი ისევ შეიცვალა. სნეიპი ჰოგვორტსის ექსპრესის დერეფანში მიდიოდა. უკვე სასკოლო მანტია ჩაეცვა. ალბათ, წამიც არ დაახანა, რომ საშინელი მაგლური ტანსაცმელი გაეხადა. ბოლოს ერთ

Scanned by CamScanner

კუპესთან გაჩერდა. კუპეში რამდენიმე ბიჭი ხმაურობდა. კუთხეში, ფანჯარასთან, ლილი მიკუნჭულიყო და სახე მინაზე მიეჭყლიტა.

სნეიპი ღია კარში შესხლტა და ლილის პირისპირ ჩამოჯდა. ლილიმ მოხედა და მერე ისევ ფანჯრისკენ მიბრუნდა. ნამტირალევი სახე ჰქონდა.

– არ მინდა შენთან ლაპარაკი, – უთხრა სნეიპს დაძაბულად.

– რატომ?

– ტუნის ვეჯავრები, იმიტომ, რომ დამბლდორის წერილი წავიკითხეთ.

– მერე, რა?

ლილიმ ზიზღით შეხედა:

– ის ხომ ჩემი დაა!

– ჰო, მაგრამ... – სნეიპმა დროულად შეიკავა თავი; ლილი ცდილობდა, ყველასთვის შეუმჩნევლად მოეწმინდა თვალები და არაფერი გაუგონია, – მთავარია, რომ მივდივართ! – ხმაში სიხარული შეეპარა სნეიპს, – როგორც იქნა, ჰოგვორტსში მივდივართ!

ლილიმ თვალების სრესით თავი დაუქნია და უნებურად გაეღიმა.

– იმედია, ორივე სლიზერინში მოვხვდებით, – უთხრა მისი ღიმილით გულმოცემულმა სნეიპმა.

– სლიზერინში?

ერთ-ერთმა ბიჭმა, რომელიც მანამდე ზედაც არ უყურებდა ლილისა და სნეიპს, ახლა ორივეს დაკვირვებით შეხედა. ჰარიმ მამა იცნო: სნეიპივით გამხდარი და შავთმიანი იყო. თუმცა, რაღაცით იგრძნობოდა, რომ, სნეიპისგან განსხვავებით, ამ ბავშვზე ზრუნავდნენ, ის უყვარდათ და თავს ევლებოდნენ...

– ნეტავ ვის უნდა სლიზერინში მოხვედრა? იქ რომ მოვხვდე, მაშინვე სკოლიდან წავალ. შენ? – ჰკითხა ჯეიმსმა მის პირდაპირ მჯდარ ბიჭს. ჰარი შეკრთა: სირიუსი იცნო.

– მთელი ჩემი ოჯახი სლიზერინში სწავლობდა, – არ გაჰღიმებია სირიუსს.

– ეგ რა მითხარი! – თქვა ჯეიმსმა, – მე წესიერი ადამიანი მეგონე!

სირიუსს ჩაეცინა:

– იქნებ მე დავარღვიო ტრადიცია. შენ სად წახვიდოდი, არჩევა რომ შეგეძლოს?

ჯეიმსმა ვითომ ხმალი ასწია:

– „გრიფინდორშია შენი ადგილი, თუ ხარ მამაცი, კეთილშობილი!“ მამაჩემივით.

სნეიპმა ჩუმად, აგდებით ჩაიფრუტუნა. ჯეიმსი მისკენ მიბრუნდა.

– რამე საწინააღმდეგო გაქვს?

Scanned by CamScanner

– არა, – უთხრა სნეიპმა, თუმცა, მისი ირონიული ღიმილი სხვა რამეს ამბობდა, – თუ ჭკვიანი კი არა, კუნთიანი ხარ...

– აბა, შენ სად წახვალ, როცა არც ერთი ხარ და არც მეორე? – ჩაერია სირიუსი.

ჯეიმსი ახარხარდა. ალეწილი ლილი გასწორდა და ამრეზით გადახედა ონავარ ბიჭებს.

– წავიდეთ, სევერუს, სხვა კუპე მოვნახოთ.

– ოჰოოოო...

ჯეიმსმა და სირიუსმა ლილის ქედმაღლურ ტონს მიჰბაძეს; ჯეიმსმა სცადა, სნეიპისთვის ფეხი დაედო.

– კიდევ შევხვდებით, სრუტუნუს! – მოისმა კუპედან კარის მიხურვის დრო...

სურათი ერთხელაც შეიცვალა...

ჰარი ახლა სნეიპის უკან იდგა: აღტაცებული პირველკურსელები სანთლებით განათებული მაგიდების წინ ჩამწკრივებულიყვნენ. მერე პროფესორმა მაკგონაგელმა დაიძახა:

– ევანსი ლილი!

ჰარი უყურებდა, როგორ გადაიარა აკანკალებული ფეხებით დედამისმა დარბაზი და როგორ დაჯდა მორყეულ სკამზე. პროფესორმა მაკგონაგელმა გამანაწილებელი ქუდი ჩამოაფხატა. როგორც კი ლილის მუქნითურ თმას შეეხო, ქუდმა იყვირა:

– გრიფინდორი!

ჰარის მოესმა, როგორ დაიგმინა სნეიპმა. ალეწილმა ლილიმ ქუდი მოიხადა, პროფესორ მაკგონაგელს დაუბრუნა და სწრაფად წავიდა გრიფინდორელებისკენ. თანაგუნდელები ტაშით შეეგებნენ ახალ წევრს. ლილიმ სნეიპს ჩუმად გამოხედა და სევდიანად გაუღიმა. სირიუსმა ჩაიჩოჩა და გოგონას ადგილი დაუთმო. ლილიმ ერთი შეხედა, იცნო მატარებელში ნანახი ბიჭი და ზურგი შეაქცია.

გამოძახება გრძელდებოდა. გრიფინდორის მაგიდასთან მსხდომ ლილისა და სირიუსს მალე ლუპინი, პეტიგრიუ და ჯეიმსი შეუერთდნენ. ბოლოს, როცა ათიოდე სტუდენტიღა დარჩა გასანაწილებელი, პროფესორმა მაკგონაგელმა სნეიპი გამოიძახა.

ჰარი მასთან ერთად მივიდა ტაბურეტთან და შეხედა, როგორ დაიხურა სნეიპმა თავზე ქუდი.

– სლიზერინი! – დაიძახა გამანაწილებელმა ქუდმა.

სევერუს სნეიპი დარბაზის მეორე მხარეს წავიდა, ლილისგან შორს. სლიზერინელებიც ტაშით შეხვდნენ ახალ წევრს და როცა სნეიპი პრეფექტისემბლემიან ლუციუს მალფოის მიუჯდა გვერდით, იმან მხარზე მოუთათუნა ხელი...

Scanned by CamScanner

სურათი კვლავ შეიცვალა...

ლილი და სნეიპი ციხე-კოშკის ეზოში დადიოდნენ და რაღაცაზე ცხარედ დავობდნენ. ჰარიმ ფეხს აუჩქარა. როცა დაეწია, მიხვდა, გამაღლებულიყვნენ. ეტყობა, განაწილების შემდეგ რამდენიმე წელი გასულიყო.

– ...მეგონა, მეგობრები ვიყავით, – ამბობდა სნეიპი.

– ვართ კიდევაც, სევ, მაგრამ ის ხალხი არ მომწონს, ვისაც შენ დაუახლოვდი! მაპატიე, მაგრამ მეჯავრება ეივერი და მულციბერი! გამაგებინე, რა საერთო გაქვს მულციბერთან? ის ხომ ნაძირალაა! იცი, იმ დღეს რას უპირებდა მერი მაკდონალდსს?

ლილი სვეტს მიეყრდნო და სნეიპს გამხდარ, გაფითრებულ სახეში შეხედა.

– მერე რა მოხდა, – მიუგო სნეიპმა, – უბრალოდ, იხუმრა...

– ეგ შავი მაგია იყო და თუ შენ ხუმრობად გეჩვენება...

– იმაზე რაღას იტყვი, რასაც პოტერი და მისი ძმაკაცები აკეთებენ? – კითხვა შეუბრუნა სნეიპმა. სახე ოდნავ შეეფაკლა და შეეტყო, რომ წყენას ვერ მალავდა.

– პოტერი რა შუაშია? – ჰკითხა ლილიმ.

– ღამღამობით სადღაც დაეხეტებიან. ლუპინს რაღაც სჭირს. სად დადის ხოლმე?

– ავადმყოფობს, – თქვა ლილიმ, – ამბობენ, ავადააო...

– ყოველთვე? თანაც მხოლოდ სავსე მთვარეზე? – გამომცდელად ჰკითხა სნეიპმა.

– ვიცი შენი თეორია, – ცივად უთხრა ლილიმ, – რატომ აიჩემე ის ხალხი? რაში გაინტერესებს, სად დადიან ღამღამობით?

– უბრალოდ ვცდილობ დაგანახვო, რომ არც ისეთი გასაგიჟებლები არიან, როგორც ყველას ჰგონია.

სნეიპის დაჟინებულმა მზერამ ლილი გააწითლა.

– ყოველ შემთხვევაში, შავ მაგიას არ იყენებენ, – დაუწია ხმას, – შენ კი მართლა უმადური ხარ. გავიგე, რაც იმ ღამეს მომხდარა. მტარვალი ტირიფის გვირაბში სათვალთვალოდ შესულხარ და ჯეიმს პოტერს გადაურჩენიხარ, როცა ქვემოთ...

სნეიპს სახე დაეღრიჯა და სულმოუთქმელად მიაყარა:

– გადავურჩენივარ? გგონია, გმირობანას თამაშობდა? ეს ყველაფერი თავისი და თავისი ძმაკაცების ტყავის გადასარჩენად გააკეთა! შენ მაგას აღარ... ნებას არ მოგცემ...

– ნებას არ მომცემ? მე?

ლილის კაშკაშა მწვანე თვალები დაუვიწროვდა. სნეიპმა მაშინვე უკან დაიხია.

Scanned by CamScanner

– მაგის თქმა კი არ მინდოდა... უბრალოდ, არ მინდა, გაგასულელონ. მოსწონხარ. ჯეიმს პოტერს მოსწონხარ! – ეს სიტყვები უნებურად წამოისროლა, – ყველას ჰგონია... ქვიდიჩის დიდი გმირია... არადა... – სნეიპს ისე ახრჩობდა ბოღმა და სიძულვილი, სიტყვებს ერთმანეთს ვერ აბამდა, ლილის კი უფრო და უფრო ზემოთ ასდიოდა წარბები.

– მეც ვიცი, რომ ჯეიმს პოტერი უტვინო და ყეყეჩია, – შეაწყვეტინა სნეიპს, – შენი თქმა რად მინდა! მაგრამ მულციბერი და ეივერი მართლა ბოროტად ხუმრობენ, სევ. არ მესმის, მაგათთან რატომ მეგობრობ!

ჰარის ეჭვი შეეპარა, რომ სნეიპმა მულციბერისა და ეივერის შესახებ ნათქვამი ბოლო სიტყვები ვერ გაიგონა – იმ წამს, როცა ლილიმ ჯეიმს პოტერი გალანძღა, სნეიპი მთელი სხეულით მოეშვა და როცა გზა განაგრძეს, უკვე ხალისიანად მიაბიჯებდა...

ეს სურათიც გაქრა...

ჰარიმ დაინახა, როგორ გავიდა სნეიპი დიდი დარბაზიდან ბნელი ძალებისაგან თავდაცვაში **ბუა**-ს გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ციხეკოშკის ეზო გადაიარა და დაბნეული მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც არყის ხის ძირას ჯეიმსი, სირიუსი, ლუპინი და პეტიგრიუ ისხდნენ. ჰარი არ მიუახლოვდა, უკვე იცოდა, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც ჯეიმსმა სევერუსი ჰაერში ფეხით დაკიდა და დასცინოდა; იცოდა, რა უთხრა მაშინ ლილიმ ჯეიმსს და ამის მეორედ მოსმენა აღარ სურდა... მაინც შორიდან უყურა, როგორ მიუახლოვდა ოთხეულს ლილი და როგორ აპირებდა სნეიპის დაცვას. მოესმა, როგორ უყვირა დამცირებულ-განრისხებულმა სნეიპმა ლილის უპატიებელი სიტყვა: მუქსისხლიანი.

სურათი შეიცვალა...

– მაპატიე...

– გამანებე თავი!

– მაპატიე...

– თავს ნუ იწუხებ!

შუაღამე იყო. ხალათმოცმული ლილი გულხელდაკრეფილი იდგა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტის წინ, გრიფინდორის საერთო ოთახის შესასვლელთან.

– მარტო იმიტომ გამოვედი, რომ მერიმ მითხრა, იმუქრება, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

– არც მოვიცვლიდი. დამიჯერე, არ მინდოდა, მუქსისხლიანი მეწოდებინა, უბრალოდ...

– წამოგცდა? – ლილის ხმაში სიბრალული არ იგრძნობოდა, – გვიანია. რამდენი წელია, ნამუსს გწმენდ. არც ერთ ჩემს მეგობარს არ ესმის, შენთან რა მაკავშირებს. შენ და შენი ძმაკაცი სიკვდილის მხვრელები... ხედავ, არც უარყოფ! არც კი უარყოფ, რომ შენც სწორედ

Scanned by CamScanner

მაგას აპირებ! ერთი სული გაქვს, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მიემხრო, არა?

სნეიპმა პირი გააღო, მაგრამ სიტყვის უთქმელად დამუნა.

– თავს ველარ მოვიკატუნებ. შენ შენი გზა გაქვს არჩეული, მე – ჩემი, – განაგრძო ლილიმ.

– არა... მისმინე, არ მინდოდა...

– ჰო, მაგრამ ვინც ჩემნაირი წარმოშობისაა, ყველას მუქსისხ-ლიანს უნოდებ და რაღა მე უნდა ვიყო გამონაკლისი?

სნეიპმა ხმის ამოღება სცადა, მაგრამ ლილი ზიზღით შეტრიალდა და პორტრეტის ხვრელში შეძვრა...

დერეფანი მიინავლა და მომდევნო სურათის აღდგენას ცოტა მეტი ხანი დასჭირდა: ჰარი თითქოს მოძრავი ფორმებისა და ფერების თავზე მიფრინავდა, სანამ მის გარშემო ისევ ყველაფერი არ გამყარდა და ცივი, უკაცრიელი გორაკის თავზე არ აღმოჩნდა. ბნელოდა, ფოთ-ლებშემოძარცვული ორიოდე ხის ტოტებში ქარი უსტვენდა. ზრდას-რული სნეიპი ცმუტავდა, ხელში ჯოხს აწვალებდა და რაღაცას თუ ვიღაცას ელოდა... მისი შიში ჰარისაც კი გადაედო, თუმცა იცოდა, რომ მას არაფერი დაუშავდებოდა. უკან გაიხედა, აინტერესებდა, რას ელოდა სნეიპი ასეთი ძრწოლით...

ჰაერში თეთრი შუქის დამაბრმავებელმა, უსწორმასწორო კონამ გაიფრინა. ჰარიმ იფიქრა, ელვაარ, მაგრამ ამ დროს სნეიპი მუხლებზე დაეცა და ჯოხი ხელიდან გაუფრინდა.

– არ მომკლა!

– არც ვაპირებ.

აპარაციის ტკაცუნი ტოტებში მოზუზუნე ქარის ხმამ ჩაახშო. დამბლდორი სნეიპის წინ იდგა, მანტია ტანზე ეხვეოდა და თავისი ჯოხის მიერ გამოცემული სინათლე სახეს ქვემოდან უნათებდა.

– აბა, სევერუს? რას მითვლის ლორდი ვოლდემორი?

– არა... არაფერს... მე ჩემი ნებით მოვედი!

სნეიპი ხელებს იმტვრევდა. შავი თმა უფრიალებდა. გიჟს ჰგავდა.

– მე... მე უნდა გაგაფრთხილით... არა, გთხოვოთ... შეგემუდაროთ...

დამბლდორმა ჯოხი გაიქნია. ღამის ჰაერში ფოთლები კვლავ ფრიალებდა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც დამბლდორი და სნეიპი იდგნენ, სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა თხოვნა უნდა ჰქონდეს სიკვდილის მხვრელს ჩემთან?

– წინასწარმეტყველება... გაფრთხილება... ტრელოუნი...

– დიახ, – თქვა დამბლდორმა, – რა გადაეცი ლორდ ვოლდემორს?

– ყველაფერი... ყველაფერი, რაც გავიგონე! – თქვა სნეიპმა და სახეზე ხელები აიფარა, – ამიტომ... ამ მიზეზით... ჰგონია, რომ ლილი ევანსზეა ლაპარაკი!

Scanned by CamScanner

– წინასწარმეტყველება ქალს არ ეხებოდა, – მშვიდად მიუგო დამბლდორმა, – ივლისის ბოლოს დაბადებულ ბიჭზე იყო ლაპარაკი...

– ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ! ჰგონია, რომ წინასწარმეტყველება ლილის შვილს ეხება. აპირებს, წავიდეს მათთან და... ყველანი დახოცოს...

– თუ ლილი ასე ძვირფასია შენთვის, ლორდი ვოლდემორი უსათუოდ დაინდობს, – უთხრა დამბლდორმა, – ხომ შეგიძლია, სთხოვო, შვილი მოკლას და დედა შეიწყალოს?

– უკვე... უკვე ვთხოვე...

– გულს მირევ, – თქვა დამბლდორმა, ჰარის არასოდეს შეუმჩნევია ამდენი ზიზღი მის ხმაში. სნეიპმა ცოტა უკან დაიხია, – მაშ, ლილის ქმარ-შვილის სიკვდილი არ გადარდებს, ხომ? გინდაც დაიხოცონ, ოღონდ შენ შენი გაინაღდო?

სნეიპმა არაფერი თქვა, ისევ თვალმოუშორებლად მიშტერებოდა.

– მაშ, ყველანი გადამალეთ, – ამოიჩხავლა რამდენიმე წამის შემდეგ, – უშველეთ მასაც და სხვებსაც. გევედრებით, გემუდარებით...

– სამაგიეროდ რას მივიღებ, სევერუს?

– სა... სამაგიეროდ? – სნეიპი გაოცებული უყურებდა დამბლდორს და ჰარიმ იფიქრა, შეეწინააღმდეგებაო, მაგრამ მცირე დუმილის შემდეგ თქვა: – ყველაფერს, რაც გნებავთ...

გორაკის თავი გაქრა. ჰარი ახლა დამბლდორის კაბინეტში იდგა. საშინელი, დაჭრილი ცხოველის გმინვის მსგავსი ხმა ისმოდა. სნეიპი სკამზე მოკრუნჩხულიყო, დამბლდორი თავზე ადგა და პირქუშად დაჰყურებდა. ერთი-ორი წამის შემდეგ სნეიპმა ამოიხედა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უკაცრიელი გორაკიდან წასვლის შემდეგ ასი წელი ტანჯვაში გაატარა.

– მე მეგონა... უშველიდით...

– ლილი და ჯეიმსი ისეთ კაცს ენდნენ, ვისაც არ უნდა ნდობოდნენ. შენსავით შეცდნენ, სევერუს. ხომ გქონდა იმედი, ლორდი ვოლდემორი ლილის შეიწყალებსო? – უთხრა დამბლდორმა.

სნეიპს სული ეხუთებოდა.

– ლილის ბიჭი გადარჩა, – უთხრა დამბლდორმა.

სნეიპმა ოდნავ აიქნია თავი, თითქოს აბეზარი ბუზი მოიშორაო.

– ლილის შვილი ცოცხალია. ზუსტად ლილის თვალები აქვს. დარწმუნებული ვარ, გახსოვს ლილი ევანსის თვალები.

– გაჩუმდით! – იბღავლა სნეიპმა, – ის წავიდა... მოკვდა...

– სინდისი გქენჯნის, სევერუს?

– ნეტავ... ნეტავ... მე მოვმკვდარიყავი...

– მერე, ეგ ვის რას არგებდა? – ცივად თქვა დამბლდორმა, – თუ

Scanned by CamScanner

ლილი ევანსი გიყვარდა, თუ მართლა გიყვარდა, ამიერიდან შენი მისია გასაგებია.

სნეიპი ტკივილით ისე იყო გაბრუებული, დამბლდორის სიტყვების აზრს მალევე ვერ მიხვდა.

– რას... რას გულისმობთ?

– ხომ იცი, როგორ და რატომაც მოკვდა ლილი. გინდა, რომ მისი სიკვდილი ამაო იყოს? ლილის შვილის დაცვაში დამეხმარე.

– დაცვა რად უნდა. ბნელი ბატონი გაქრა...

– ბნელი ბატონი დაბრუნდება და როცა ეს მოხდება, ჰარი პოტერი საშინელ საფრთხეში აღმოჩნდება.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. სნეიპი ნელ-ნელა თავს მოერია და სუნთქვაც დაუწყნარდა. ბოლოს თქვა:

– ძალიან კარგი. ძალიან კარგი. მაგრამ არასოდეს... არასოდეს არაფერი უთხრათ, დამბლდორ! ეს ჩვენ შორის იყოს! დაიფიცეთ! ვერ ავიტან... მით უმეტეს, პოტერის ვაჟია.. სიტყვა მომეცით!

– იმის სიტყვა, რომ შენს სიკეთეს არ გავამჟღავნებ? – ამოიოხრა დამბლდორმა და სნეიპის სასტიკ, მაგრამ გატანჯულ სახეს შეხედა, – კარგი, როგორც გინდა...

დირექტორის კაბინეტი გაქრა, მაგრამ იმწამსვე ისევ გაჩნდა. სნეიპი დამბლდორის წინ ბოლთას სცემდა:

– არაფრით გამორჩეული, მამამისივით ქედმაღალი, წესების დამრღვევი, პოპულარობით გაყოყლოჩინებული, ყურადღების მოყვარული, თავხედი...

– შენ იმას ხედავ, რაც გინდა, რომ დაინახო, სევერუს, – თავაუღებლად მიუგო დამბლდორმა. წინ ჟურნალი „ტრანსფიგურაცია დღეს“ ედო და ინტერესით ჩაერგო შიგ ცხვირი, – სხვა მასწავლებლები კი ამბობენ, მორიდებული, მომხიბლავი და საკმაოდ ნიჭიერი ბიჭიაო. მე თუ მკითხავ, საყვარელი ბავშვია.

მერე ჟურნალი გადაფურცლა და ისევ თავაუღებლად თქვა:

– ქვირელზე თვალი გეჭიროს, კარგი?..

ჰარი ფერების კორიანტელში ჩაიძირა და ყველაფერი გაფერმკრთალდა. სნეიპი და დამბლდორი ჰოლში, ერთმანეთისგან მოშორებით იდგნენ. გვერდით საშობაო მეჯლისზე გვიანობამდე შერჩენილმა, დასაძინებლად მიმავალმა სტუდენტებმა ჩაუარეს.

– აბა, რას მეტყვი? – ჩუმად იკითხა დამბლდორმა.

– კარკაროვსაც უმუქდება ნიშანი. ელეთმელეთი მოსდის, შურისძიებისა ეშინია; ხომ გახსოვთ, როგორ ეხმარებოდა სამინისტროს ბნელი ბატონის დაცემის შემდეგ, – სნეიპმა ცერად გახედა დამბლდორის კეხიან პროფილს, – თუ ნიშნის წვას იგრძნობს, გაიქცევა.

Scanned by CamScanner

– ჰოო? – რბილად თქვა დამბლდორმა. მათ გვერდით ხითხითით გაიარეს ფლერ დელაკურმა და როჯერ დევისმა, – შენც წასასვლელად ხომ არ მიგიწევს გული?

– არა, – სნეიპმა შავი თვალები ჩავლილ ფლერსა და როჯერს გააყოლა, – მე კარკაროვისნაირი ლაჩარი არა ვარ.

– მართლაც, – დაეთანხმა დამბლდორი, – შენ იგორ კარკაროვზე ბევრად მამაცი კაცი ხარ. იცი, ხანდახან ვფიქრობ, ხომ არ ცდება გამანაწილებელი ქუდი ფაკულტეტებზე სტუდენტების განაწილებისას-მეთქი...

ეს სიტყვები თქვა თუ არა, დამბლდორი წავიდა და სნეიპი გაოგნებული დატოვა...

ჰარი კვლავ დირექტორის კაბინეტში იდგა. ღამე იყო. დამბლდორი ნახევრად გულწასული მისვენებულიყო საწერი მაგიდის უკან მდგარ სავარძელში. დამწვარ-გაშავებული მარჯვენა უსიცოცხლოდ ეკიდა. სნეიპი შელოცვებს ბუტბუტებდა და ჯოხს დამბლდორის მაჯას უმიზნებდა, მარცხენა ხელით კი რაღაც ოქროსფერ სითხეს ასხამდა პირში. ორიოდე წამში დამბლდორს ქუთუთოები შეუთრთოლდა და თვალი გაახილა.

– ასე რატომ მოიქეცით? – მიახალა სნეიპმა, – ის ბეჭედი რამ გაგაკეთებინათ? დარწმუნებული ვარ, იცოდით, რომ დაწყევლილი იყო. რაღატომ მიეკარეთ?

მერვოლო გონტის გატეხილი ბეჭედი დამბლდორის წინ საწერ მაგიდაზე ეგდო. გვერდით გრიფინდორის ხმალი იდო.

დამბლდორი შეიჭმუხნა:

– სისულელე... ვქენი. ცდუნებას ვერ გავუძელი...

– რა ცდუნებას?

დამბლდორმა პასუხი არ გასცა.

– სასწაულია, რომ აქ დაბრუნება მოახერხეთ! – სნეიპი გაცეცხლებული იყო, – იმ ბეჭედში ისეთი ძალის წყევლაა, რომ ვერაფერი შეაჩერებს. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ერთ მონაკვეთში შემოვზღუდოთ. ჯერჯერობით ცალ ხელში მოვამწყვდიე...

დამბლდორმა გაშავებული, გამოუსადეგარი ხელი ასწია და ისეთი გამომეტყველებით დააკვირდა, თითქოს საინტერესო ანტიკვარულ ნივთს ათვალიერებსო.

– ძალიან იყოჩაღე, სევერუს. რამდენი ხანი დამრჩა?

დამბლდორი ისე გულმშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს ამინდის პროგნოზს ეკითხებაო. სნეიპი შეყოყმანდა, მერე კი თქვა:

– ვერ გეტყვით. შეიძლება, ერთი წელი. ასეთ წყევლას სამუდამოდ ვერ შეაჩერებ, დროთა განმავლობაში ძალა მოემატება და ბოლოს მაინც გაიშლება.

Scanned by CamScanner

დამბლდორს გაეღიმა. ის ამბავი, რომ წელიწადზე ნაკლები სიცოცხლე დარჩენოდა, ეტყობა, დიდად ან საერთოდაც არ ადარდებდა.

– ბედმა გამიღიმა, ძალიან გამიღიმა, შენ რომ მყავხარ, სევერუს.

– ნეტავი ცოტა ადრე მოგეხმეთ, მეტს შეეძლებდი, მეტი დრო გექნებოდათ! – გამწარებით თქვა სნეიპმა და გატეხილ ბეჭედსა და ხმალს დახედა, – გეგონათ, ბეჭედს გატეხდით და ასე ჯადოც მოშორდებოდა?

– ჰო, რაღაც მაგდაგვარი... ალბათ, მართლა ვერ ვიყავი კარგად... – დამბლდორი ძლივს შესწორდა სავარძელში, – ისე კი, ეს ყველაფერს ამარტივებს.

სნეიპი სულ დაიბნა. დამბლდორს გაეღიმა.

– იმ გეგმაზე გეუბნები, ლორდი ვოლდემორი ჩემ წინააღმდეგ რომ ხლართავს; იმ საწყალ მალფოის ბიჭს რომ დაავალა ჩემი მოკვლა...

სნეიპი დამბლდორის საწერი მაგიდის მეორე მხარეს იმ სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც ასე ხშირად მჯდარა ჰარი. ეტყობოდა, რომ უნდოდა, დამბლდორის დაწყევლილ ხელზე კიდევ ელაპარაკა, მაგრამ თანამოსაუბრემ ზრდილობიანად მიანიშნა, რომ ამ საკითხის განსჯა აღარ სურდა.

სნეიპი მოიღრუბლა და ჩაილაპარაკა:

– ბნელ ბატონს დრაკოს იმედი არცა აქვს, მხოლოდ ლუციუსს სჯის ბოლოდროინდელი მარცხისთვის. ნელ-ნელა აწამებს დრაკოს მშობლებს: აყურებინებს, როგორ დამარცხდება მათი ვაჟი და ამ მარცხის გამო როგორ მიეზღვება მას სამაგიერო.

– მოკლედ, ბიჭს ჩემსავით გადაუდეს სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, – თქვა დამბლდორმა, – დრაკოს მარცხის შემდეგ ამ საქმეს, ბუნებრივია, შენ გააგრძელებ, არა?

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა.

– დიახ, მე მგონი, ბნელ ბატონს ასეთი ჩანაფიქრი აქვს.

– ლორდი ვოლდემორი ფიქრობს, რომ ცოტა ხანში ჰოგვორტსში ჯაშუში აღარ დასჭირდება?

– დიახ, მიაჩნია, რომ მალე სკოლას ხელში ჩაიგდებს.

– და თუ ასე მოხდა, – ისე თქვა დამბლდორმა, თითქოს ეს ამბავი მას სულაც არ ეხებოდა, – მპირდები, რომ ყოველ ღონეს იხმარ ჰოგვორტსში სტუდენტების დასაცავად?

სნეიპმა მძიმედ დაუქნია თავი.

– კარგი. მაშ, პირველ რიგში უნდა გაიგო, რას აპირებს დრაკო. შეშინებული მოზარდი სხვებისთვისაც სახიფათოა და საკუთარი თავისთვისაც. დახმარება და ხელმძღვანელობა შესთავაზე. წესით, არ უნდა იუაროს: შენ ხომ მოსწონხარ...

Scanned by CamScanner

– რაც მამამისი ბნელი ბატონის ფავორიტი აღარ არის, მაინცდამაინც – არა. ყველაფერს მე მაბრალებს, ჰგონია, მე დავიკავე ლუციუსის ადგილი.

– მაინც სცადე. იმდენად ჩემი თავი არ მედარდება, რამდენადაც იმ გეგმების შემთხვევითი მსხვერპლი. ვინ იცის, რა შეიძლება მოუვიდეს თავში იმ ბიჭს. ისე კი, თუ გვინდა, დრაკო ლორდი ვოლდემორის რისხვას გადავარჩინოთ, რასაკვირველია, ერთადერთი გზა დაგვრჩენია...

სნეიპმა წარბები ასწია და დამცინავად ჰკითხა:

– ისე იზამთ, რომ დრაკომ მოგკლათ?

– ცხადია, არა. შენ უნდა მომკლა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ უცნაური წკაპუნი არღვევდა. ფენიქსი ფოუკსი მელანთევზას ჯავშანს ნისკარტს უკაკუნებდა.

– ახლავე გნებავთ? – ჰკითხა სნეიპმა ირონიულად, – თუ ცოტა გაცალოთ, სანამ ეპიტაფიას შეთხზავთ?

– არა, ჯერ არა, – გაუღიმა დამბლოდრმა, – ეგ წუთი, ალბათ, თავის დროზე დადგება. დღევანდელის გათვალისწინებით, – და გამხმარ ხელზე მიუთითა, – შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ეს ერთი წლის განმავლობაში მოხდება.

– თუ სიკვდილის წინააღმდეგი არ ხართ, ბარემ დრაკომ მოგკლათ, – მკვახედ უთხრა სნეიპმა.

– იმ ბიჭის სული ჯერაც არ დაზიანებულა, – თქვა დამბლდორმა, – რაღა ჩემი გულისთვის გაიხლიჩოს.

– და ჩემი სული, დამბლდორ, ჩემი?

– მხოლოდ შენ იცი, ავნებს თუ არა შენს სულს ბერიკაცისთვის ტკივილის შემსუბუქება და დამცირების არიდება, – უთხრა დამბლდორმა, – ამ დიდ სამსახურს იმიტომ გთხოვ, სევერუს, რომ ჩემი სიკვდილი ისევე გარდაუვალია, როგორც ის, რომ „ჩადლი ქენონზი" ამ სეზონს ლიგის უკანასკნელ ადგილზე დაასრულებს. გამოგიტყდები, სწრაფი სიკვდილი მირჩევნია იმ გაჭიანურებულ და აუტანელ ტკივილს, რომელიც უთუოდ მომელის, თუ საქმეში, მაგალითად, გრეიბექი ჩაერევა... ყური მოვკარი, ვოლდემორს დაუქირავებია... ან ჩვენი ძვირფასი ბელატრისა, რომელიც ჯერ გაეთამაშება ხოლმე ნანადირევს და მერე მიირთმევს.

დირექტორი ხალისიანად ლაპარაკობდა, მაგრამ ცისფერი თვალებით ისე მიშტერებოდა სნეიპს, როგორც ჰარის უყურებდა ხოლმე – გამგმირავად, სულში ჩამწვდომად. ბოლოს სნეიპმა ისევ მოწყვეტით დაუქნია თავი.

დამბლდორი კმაყოფილი ჩანდა.

Scanned by CamScanner

– გმადლობ, სევერუს...

კაბინეტი გაქრა, სნეიპი და დამბლდორი ბინდბუნდში ერთად სეირნობდნენ ციხე-კოშკის დაცარიელებულ ეზოში.

– საღამოობით რომ იკეტებით ხოლმე თქვენ და პოტერი, რას აკეთებთ? – მოულოდნელად ჰკითხა სნეიპმა.

დამბლდორი დაქანცული ჩანდა.

– რა იყო? კიდევ დასჯას ხომ არ უპირებ, სევერუს? ის ბიჭი მალე სასჯელის მოხდაში მეტ დროს გაატარებს, ვიდრე გარეთ.

– ალი-კვალი მამაა...

– გარეგნულად შეიძლება ასეა, ბუნებით კი დედას უფრო ჰგავს. ჰარის იმიტომ ვიბარებ ხოლმე, რომ რაღაცაზე ვმსჯელობთ, სანამ ცოცხალი ვარ, რაღაც ინფორმაცია მაქვს გადასაცემი.

– ინფორმაცია, – გაიმეორა სნეიპმა, – მას ენდობით... მე კი – არა.

– აქ მთავარი ნდობა არ არის. მე და შენ ვიცით, რომ ცოტა დრო მაქვს. ბიჭს აუცილებლად უნდა შევატყობინო ყველაფერი, რაც აუცილებელია იმ საქმისათვის, რომელიც მისი გასაკეთებელია.

– და მე რატომ არ უნდა ვიცოდე?

– მირჩევნია, ყველა საიდუმლო ერთ კალათში არ ჩავდო, განსაკუთრებით კი – იმ კალათში, რომელიც ასე ხშირად ქანაობს ლორდი ვოლდემორის მკლავზე.

– ასე ხომ თქვენი ბრძანებით ვიქცევი!

– და მშვენივრადაც ასრულებ. ხომ არ გგონია, არ მესმის, რა ხიფათში იგდებ თავს, სევერუს? ვოლდემორისთვის ვითომდა ფასეული ინფორმაციის მიწოდება და ამ დროს არსებითის დამალვა ისეთი საქმეა, რასაც შენ გარდა ვერავის ვანდობდი.

– ჰო, მაგრამ ჩემზე მეტს მაინც იმ ბიჭს უმხელთ, ვინც ოკლუმენცია არ იცის, საშუალო დონის ჯადოქარია და პირდაპირი კავშირი აქვს ბნელი ბატონის გონებასთან!

– ვოლდემორს ეშინია ამ კავშირისა, – უთხრა დამბლდორმა, – მან ცოტა ხნის წინ იგემა, რასაც ნიშნავს მისთვის ჰარის გონებაში შესვლა. ასეთი ტკივილი თავის დღეში არ განუცდია. დარწმუნებული ვარ, ჰარის დაუფლებას აღარ ეცდება. ამ ხერხით – აღარ.

– არ მესმის.

– ლორდი ვოლდემორის დასახიჩრებული სული ისევე ვერ იტანს ჰარის სულთან მჭიდრო კავშირს, როგორც ენა – გაყინულ ფოლადს, როგორც ცოცხალი სხეული – ცეცხლს.

– სული? ჩვენ ხომ გონებაზე ვსაუბრობთ!

– ჰარისა და ლორდი ვოლდემორის შემთხვევაში გინდ ერთზე გვისაუბრია და გინდ – მეორეზე.

Scanned by CamScanner

დამბლდორმა მიიხედ-მოიხედა, რათა დარწმუნებუიყო, რომ მარტონი იყვნენ. აკრძალული ტყის პირას იდგნენ, ახლომახლო არავინ ჩანდა.

– მას მერე, რაც მომკლავ, სევერუს...

– ყველაფერს არ მიმხელთ, ჩემგან სამსახურს კი მაინც მოელით! – დაიღრინა სნეიპმა და გამხდარ სახეზე ბრაზი მოაწვა, – ბევრ რამეში ხართ დარწმუნებული, დამბლდორ! შეიძლება გადავიფიქრო კიდეც!

– შენ უკვე დამპირდი, სევერუს! სხვათა შორის, ისიც მახსოვს, რომ დამთანხმდი, ჩვენს პატარა სლიზერინელ მეგობარზე თვალს დავიჭერო.

გულმოსულმა სნეიპმა გამომწვევად შეხედა. დამბლდორმა ამოიოხრა:

– ამაღამ, თერთმეტზე ჩემს კაბინეტში მოდი და აღარ დამემდურები, არ მენდობითო...

ისევ დამბლდორის კაბინეტში იყვნენ. გარეთ ბნელოდა, სნეიპი გაუნძრევლად იჯდა, დამბლდორი კი გარშემო უვლიდა და ლაპარაკობდა:

– ჰარიმ ეს არ უნდა გაიგოს, სანამ ბოლო წუთი არ დადგება, სანამ ამის აუცილებელობა არ იქნება; თორემ ველარ იპოვის იმ საქმის გასაკეთებლად საჭირო ძალას, რის გაკეთებაც მე დავავალე.

– ჰო, მაგრამ რა უნდა გააკეთოს?

– ეგ ჩემი და ჰარის საქმეა. ახლა ყურადღებით მისმინე, სევერუს: მოვა დრო... ჩემი სიკვდილის შემდეგ... ნუ მედავები, ნუ მაწყვეტინებ! მოვა დრო, როცა ლორდ ვოლდემორს შიში შეიპყრობს, გველი არავინ მომიკლასო.

– ნაგინი? – სნეიპმა გაოცებისგან პირი დააღო.

– დიახ, ნაგინი. თუ დადგება დრო, როცა ლორდი ვოლდემორი შეწყვეტს გველისთვის დავალებების მიცემას და ჯადოსნობით დაცულს გვერდიდან არ მოიშორებს, მაშინ უკვე შეიძლება უთხრა ჰარის.

– რა ვუთხრა?

დამბლდორმა ღრმად ამოისუნთქა და თვალები დახუჭა.

– უთხრა, რომ იმ ღამეს, როცა ლორდმა ვოლდემორმა მისი მოკვლა სცადა, როცა ლილიმ ფარივით გადააფარა თავისი სიცოცხლე და მომაკვდინებელი წყევლა ლორდ ვოლდემორს უკან დაუბრუნდა, ვოლდემორს სულის ნაწილი მოსნყდა და იმ დაქცეულ შენობაში ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ ადამიანში ჩაიბუდა. ხვდები, სევერუს? ლორდი ვოლდემორის ნაწილი დღემდე ჰარიში ცოცხლობს და მას პარსულად ლაპარაკისა და ლორდი ვოლდემორის გონებასთან

Scanned by CamScanner

კავშირის უნარს ანიჭებს. ოღონდ ამას ვოლდემორი ვერ ხვდება. და სანამ სულის ის ნაწილი ბნელი ბატონისგან შეუცნობლად რჩება ჰარიში და ჰარი ამ ნაწილს უნებურად იცავს, ლორდი ვოლდემორი ვერ მოკვდება.

ჰარი თითქოს გრძელი გვირაბის ბოლოდან უყურებდა ორ კაცს. ისე შორს იყვნენ, რომ მათი ხმები უცნაურად, ექოსავით ჩაესმოდა ყურში.

– მაშ, ბიჭი... ბიჭი უნდა მოკვდეს? – ნყნარად ჰკითხა სნეიპმა.

– დიახ, და თანაც, ვოლდემორის ხელით, სევერუს. ეს მნიშვნელოვანია.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამონვა. ბოლოს სნეიპმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

– მე მეგონა... მთელი ეს ნლები... მისთვის ვიცავდით... ლილისთვის.

– ჩვენ მას ვიცავდით, რათა გვესწავლებინა და აღგვეზარდა, – დამბლდორს თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული, – ამასობაში კი ვოლდემორსა და ჰარის შორის კავშირი ძლიერდება, პარაზიტივით იზრდება. ზოგჯერ მგონია, ჰარი ამას თვითონაც ეჭვობს-მეთქი. რამდენადაც ჰარის ვიცნობ, როცა სასიკვდილოდ წავა, ყველაფერი ისე ექნება მოგვარებული, მათი შეხვედრა მართლაც ლორდი ვოლდემორის დასასრული აღმოჩნდება.

დამბლდორმა თვალები გაახილა. სნეიპი შეძრწუნებული ჩანდა.

– იმიტომ აცოცხლეთ, რომ როცა დრო იქნებოდა, მაშინ მომკვდარიყო?

– რატომ აღშფოთდი, სევერუს? ცოტა ადამიანის სიკვდილი გინახავს?

– ბოლო დროს მხოლოდ იმათი, ვისი გადარჩენაც ვერ შევძელი, – მიუგო სნეიპმა და ადგა, – კარგად გამომიყენეთ!

– მაგას რატომ ამბობ?

– თქვენთვის ვჯაშუშობდი და ვცრუობდი, სასიკვდილო საფრთხეში თქვენ გამო ვიგდებდი თავს. ყველაფერს ლილი პოტერის შვილის გადასარჩენად ვაკეთებდი. ახლა კი მეუბნებით, დასაკლავი ღორივით ვზრდიდიო...

– რა გულის ამაჩუყებელია, სევერუს, – სერიოზულად თქვა დამბლდორმა, – დავიჯერო, ბოლოს და ბოლოს, შეგიყვარდა?

– ვინ? ჰარი პოტერი? – იყვირა სნეიპმა, – ექსპექტო პატრონუმ!

მისი ჯოხის წვერიდან ვერცხლისფერი ფურირემი გამოხტა, კაბინეტის იატაკზე დაეშვა, გაკუნტრუშდა და ფანჯრიდან გადაეშვა. დამბლდორმა თვალი გააყოლა ფურირემს და როცა პატრონუსის ვერცხლისფერი ნათება მიინავლა, ისევ სნეიპს მოუბრუნდა; თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე:

Scanned by CamScanner

– ლილი ახლაც გიყვარს...

– ყოველთვის მიყვარდა, – მიუგო სნეიპმა.

სურათი შეიცვალა. ჰარიმ სანერი მაგიდის უკან დაკიდებულ დამბლდორის პორტრეტთან მოლაპარაკე სნეიპი დაინახა.

– ვოლდემორს ზუსტად უნდა აცნობო, როდის წავა ჰარი დეიდისა და ბიძის სახლიდან, – არიგებდა დამბლდორი, – ასე რომ არ მოიქცე, დააეჭვებ. არადა, მას ჰგონია, ყველაზე კარგად ინფორმირებული შენ ხარ. ოღონდ, იმავდროულად ორდენსაც უნდა დაეხმარო და სატყუარების იდეა მიაწოდო. მე მგონი, ჰარის ასე თუ გადავარჩენთ. სცადე, მანდანგუს ფლეტჩერს კონფუნდუსი შეულოცო და ორდენს მისი საშუალებით დაუკავშირდე. თუ დევნაში მონაწილეობას დაგაძალებენ, შენი როლი დამაჯერებლად უნდა შეასრულო... იმედი მაქვს, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნებ კარგ სახელს ლორდ ვოლდემორის თვალში, თორემ ჰოგვორტსი კეროუების გულმოწყალების ამარა დარჩება...

ახლა ხნეიპი უცნობ დუქანში რაღაცას ეჩურჩულებოდა მანდანგუსს. მანდანგუსი უცნაურად გამოთაყვანებული ჩანდა, სნეიპი დაძაბული იჭმუხნებოდა:

– ფენიქსის ორდენს სატყუარების გამოყენებას შესთავაზებ, – ჩასჩიჩინებდა თვალებდაცარიელებულ ფლეტჩერს, – მრავალწვნიანი სასმელი. შვიდი ერთნაირი პოტერი. ეგ თუ უშველის. დაივიწყე, რომ ეს მე გირჩიე. ამ იდეას შენად გაასაღებ. გაიგე?

– გავიგე...

მომდევნო მოგონებაში ჰარი უღრუბლო, ბნელ ღამეში ცოცხზე ამხედრებული სნეიპის გვერდით მიფრინავდა. სხვა კაპიუშონიანი სიკვდილის მხვრელებიც იქ იყვნენ. წინ ლუპინი და ჰარი მიქროდნენ, ჰარი სინამდვილეში ჯორჯი იყო... რომელიღაც სიკვდილის მხვრელმა სნეიპს გაუსწრო, ჯოხი ასნია და პირდაპირ ლუპინს დაუმიზნა ბეჭებში.

– სეკტუმსემპრა! – იყვირა სნეიპმა, მაგრამ სიკვდილის მხვრელის ჯოხიანი ხელისთვის განკუთვნილი შელოცვა ჯორჯს მოხვდა...

...სნეიპი სირიუსის საძინებელში ჩაჩოქილიყო, ლილის ძველ წერილს კითხულობდა და მოკაუჭებული ცხვირის წვერზე ცრემლები ჩამოსდიოდა. წერილის მეორე გვერდზე სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

„...ოდესმე გელოდება ბრისდელვალდიან ემეგობრის. მე მგონი, ბალიდა სიბერისგან გამოჩერჩეტდა და რაღაცეების იგონებს.

დიდი სიყვარულით,
ლილი.“

Scanned by CamScanner

სნეიპმა ის ფურცელი აიღო, რომელზეც ლილის სახელი და „დიდი სიყვარულით" ეწერა და მანტიაში შეინახა. მერე ის ფოტოსურათიც ორად გახია, რომელიც წერილთან ერთად ეჭირა ხელში და ის ნაწილი დაიტოვა, სადაც მოცინარი ლილის სახე მოჩანდა, ხოლო ჯეიმსისა და პატარა ჰარის გამოსახულებიანი ნაწილი იატაკზე, გარდერობის ქვეშ მოისროლა...

სნეიპი ისევ დირექტორის კაბინეტში იდგა. ფინეას ნაიჯელუსი თავის პორტრეტში შემოქანდა.

– ბატონო დირექტორო! ფორესტ-ოფ-დინთან ახლოს, ტყეში არიან! მუქსისხლიანმა...

– მაგ სიტყვას ნუ ამბობ!

– კი, ბატონო, გრეინჯერის გოგომ მაშინ ახსენა, ჩანთას რომ ხსნიდა!

– კარგი, ძალიან კარგი! – დაიძახა დამბლდორის პორტრეტმა დირექტორის სავარძლის უკან, – აბა, სევერუს, აიღე ხმალი! არ დაგავიწყდეს, რომ კრიტიკულ ვითარებაში ვაჟკაცობით უნდა მოიპოვოს... ოლონდ არ უნდა იცოდეს, რომ შენ აძლევ! ვოლდემორი რომ ჰარის გონებაში შევიდეს და დაინახოს, რომ მის მტერს ეხმარები...

– გასაგებია, – მოკლედ თქვა სნეიპმა. დამბლდორის პორტრეტს მიუახლოვდა, გვერდიდან გამოსწია და მის უკან ფარული ხვრელიდან გრიფინდორის ხმალი გამოიღო.

– და მაინც არ მეუბნებით, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი პოტერისთვის ამ ხმლის მიცემა? – ჰკითხა სნეიპმა და მანტიაზე სამგზავრო მოსასხამი მოიხურა.

– არა, არა, – თქვა დამბლდორის პორტრეტმა, – თვითონ მიხვდება, რაშიც უნდა გამოიყენოს. ფრთხილად იყავი, სევერუს, შეიძლება კარგად არ შეგხვდნენ მას მერე, რაც ჯორჯ უისლის ის ამბავი შეემთხვა...

სნეიპი კარისკენ შებრუნდა.

– მაგაზე ნუ იღელვებთ, დამბლდორ, – უთხრა ცივად, – ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, – და ოთახიდან გავიდა...

ჰარი საფიქრელადან ამოვიდა და რამდენიმე წამს ხალიჩადაგებულ იატაკზე იწვა სწორედ იმ ოთახში, რომლის კარიც, შეიძლება, სულ ცოტა ხნის წინ გაიხურა სევერუს სნეიპმა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეთოთხმეტე

ისევ ტყეში

ბოლოს და ბოლოს, სიმართლე გაიგო. იმ კაბინეტის მტვრიან ხალიჩაზე პირქვე დამხობილმა ჰარიმ, სადაც ეგონა, გამარჯვების საიდუმლოს ვსწავლობო, გაიგო, რომ თურმე გადარჩენა არ უწერია. ისღა ევალება, მშვიდად ჩაუვარდეს სიკვდილს გაშლილ მკლავებში. გზად ვოლდემორის დარჩენილი სასიცოცხლო ძაფები უნდა გადაჭრას, იმიტომ რომ, როცა პირისპირ დაუდგება და თავის დასაცავად ჯოხს არ აღმართავს, სწრაფად უნდა დასრულდეს ყველაფერი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ის საქმე, რაც გოდრიკ ჰოლოუში უნდა გაკეთებულიყო. ვერც ერთი ვერ იცოცხლებს, არც ერთი არ გადარჩება!

გული გამეტებით უცემდა. რა უცნაურია, რომ სიკვდილის შიშით გული უფრო ღონივრად ფეთქავს და თავს არ იზოგავს, ოღონდ აცოცხლოს. მაგრამ გულს გაჩერება მოუწევს, თანაც – მალე. მისი წუთები დათვლილია. რამდენი ხანი დასჭირდება, სანამ ადგება და უკანასკნელად გავა ციხე-კოშკიდან ჯერ ეზოში, მერე კი – ტყეში?

იატაკზე გაწოლილი ჰარი ძრწოლამ აიტანა და გული სამგლოვიარო დოლივით უბრაგუნებდა მკერდში. ნეტა, მტკივნეული იქნება სიკვდილი? რამდენჯერ ჰგონებია, ახლა კი ნამდვილად მოვკვდებიო და გადარჩენილა, მაგრამ თავად სიკვდილზე არასოდეს უფიქრია. სიკვდილის შიშს მუდამ სიცოცხლის სურვილი სჭარბობდა. თუმცა, ახლა აზრად არ მოსდის, სცადოს, იქნებ გადარჩეს, ვოლდემორს დაუძვრეს; იმიტომ, რომ იცის, ყველაფერი დამთავრდა და სიკვდილიღა დარჩენია.

იმ ზაფხულის ღამეს მაინც მომკვდარიყო, როცა საბოლოოდ წამოვიდა პრივიტ დრაივის ოთხი ნომრიდან და კეთილშობილი ფენიქსისბუმბულიანმა ჯოხმა უშველა! ჰედვიგივით მაინც მომკვდარიყო,

Scanned by CamScanner

სწრაფად, რომ ვერც მიმხვდარიყო, რა მოუვიდა! ან საყვარელი ადამიანის გადასარჩენად მაინც გადასდგომოდა წინ დამიზნებულ ჯოხს... ახლა მშობლების სიკვდილისაც შურდა. სიკვდილთან შესახვედრად აუღელვებლად წასვლას სხვანაირი ვაჟკაცობა დასჭირდება. ჰარიმ იგრძნო, რომ თითები ოდნავ უკანკალებდა და სცადა, თავს მორეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვერავინ ხედავდა; კედლებზე ჩარიგებული პორტრეტებიც კი ცარიელი იყო.

ჰარი ნელა, ძალიან ნელა წამოდგა და ცხოვრებაში პირველად ცხადად შეიგრძნო, რომ ცოცხალია და სხეული აქვს. რატომ არასოდეს არ აფასებდა ცოცხალ ტვინს, კუნთებსა და მომუშავე გულს? მალე ყველაფერი გაქრება... ყოველ შემთხვევაში, თვითონ მოშორდება ყოველივე ამას. ნელა და ღრმად სუნთქავდა, პირი და ყელი გამოუშრა. თუმცა, თვალებიც მშრალი ჰქონდა.

დამბლდორის ღალატი არაფრად ეჩვენებოდა. რასაკვირველია, მას უფრო დიდი გეგმა ჰქონდა: ჰარი კი ისეთი სულელი იყო, რომ ამ დრომდე ვერაფერს მიხვდა. არასოდეს დაეჭვებულა, რომ დამბლდორს მისი გადარჩენა უნდოდა. ახლა კი ხედავს, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას მუდამ ის განსაზღვრავდა, რამდენი დრო დასჭირდებოდა ყველა ჰორკრუქსის მოსპობას. დამბლდორმა მას გადააბარა ჰორკრუქსების განადგურება და ჰარიც მორჩილად ჭრიდა იმ ძაფებს, რომლებიც არა მხოლოდ ვოლდემორს, არამედ მასაც აკავშირებდა სიცოცხლესთან! რა კარგად მოფიქრებული, რა მშვენიერი გეგმაა: აღარავინ გაიწიროს; სახიფათოზ დავალება მისცეს ბიჭს, ვისაც უკვე აზის სასიკვდილო დაღი და ვისი სიკვდილიც კატასტროფა კი არა, ვოლდემორისთვის მიყენებული მორიგი დარტყმა იქნება.

თანაც, დამბლდორმა ჰარი კარგად გაიცნო და მიხვდა, რომ ბიჭი უკან არ დაიხევდა, ბოლომდე მივიდოდა, თუნდაც ეს მისი ბოლოც ყოფილიყო. დამბლდორმა კარგად იცოდა და ვოლდემორმაც იცის, რომ ჰარი აღარავის სიკვდილს არ დაუშვებს, რაკი გაიგო, რომ თვითონ შეუძლია შეაჩეროს ეს სასაკლაო. თვალწინ დიდ დარბაზში დასვენებული ფრედის, ლუპინისა და ტონქსის სახეები დაუდგა და წამით სუნთქვა შეეკრა. სიკვდილი აღარ ითმენდა...

მაგრამ დამბლდორმა ზედმეტად შეაფასა ჰარის ძალა. გველი გადარჩა და ვოლდემორს ამ სამყაროსთან ერთი ჰორკრუქსი მაინც დააკავშირებს მას მერე, რაც ჰარის მოკლავს. თუმცა, ვილაცას, ალბათ, საქმე გაუადვილდება. ნეტავ, ვინ იქნება?.. რასაკვირველია, რონი და ჰერმიონი მიხვდებიან, როგორც უნდა მოიქცნენ... აი, რატომ უნდოდა დამბლდორს, რომ ჰარი იმ ორს გამოსტყდომოდა... იმიტომ,

Scanned by CamScanner

რომ, თუ ჰარი საქმის დასრულებამდე შეხვდებოდა თავის ნამდვილ ხვედრს, მისი საქმე მათ გაეგრძელებინათ...

ეს ფიქრები მხოლოდ გარდაუვალ სიმართლეს აფიქსირებდა კიდევ ერთხელ. სიმართლე კი ის იყო, რომ ჰარი უნდა მომკვდარიყო. „უნდა მოვკვდე! ყველაფერი უნდა დამთავრდეს!" – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა.

რონი და ჰერმიონი თითქოს შორს, გადაკარგულ ქვეყანაში იყვნენ; თითქოს დიდი ხანია, რაც მათ დაშორდა. არანაირი დამშვიდობება და ახსნა-განმარტება! ჰარი ვოლდემორთან მათ გარეშე უნდა წავიდეს. მეგობრები მის შეჩერებას ეცდებიან და ძვირფასი დრო დაიკარგება. ჰარიმ მეჩვიდმეტე დაბადების დღეზე ნაჩუქარ ძველ ოქროს საათს დახედა. თითქმის ნახევარი საათი გასულიყო იმ ერთი საათიდან, რაც ვოლდემორმა დასანებებლად გამოუყო.

წამოდგა. გული დამფრთხალი ჩიტივით უფართხალებდა. იქნებ ხვდება, რომ ცოტაღა დარჩა? იქნებ გადაწყვეტილი აქვს, მთელი სიცოცხლისთვის განკუთვნილი დარტყმები გაჩერებამდე მოასწროს?

ჰარიმ ისე გაიხურა კაბინეტის კარი, უკან არ მიუხედავს.

ციხე-კოშკი ცარიელი იყო. თავის თავს ისე აღიქვამდა, როგორც მოჩვენებას, თითქოს უკვე მკვდარიაო. ჩარჩოებში ერთი პორტრეტიც არ ჩანდა. იქაურობა ავის მომასწავებლად მიჩუმებულიყო, თითქოს მთელი სასიცოცხლო ძალა მიცვალებულებითა და ჭირისუფლებით სავსე დიდ დარბაზში გადაესროლა.

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიხურა, სართულები ჩაიარა და ჰოლისკენ ჩამავალ მარმარილოს კიბეს დაუყვა. ვინ იცის, შეიძლება გულში იმედის ნაპერწკალიც უფეთქავდა, იქნებ ჩემი აქ ყოფნა იგრძნონ და გამაჩერონო, მაგრამ მოსასხამი ძველებურად უზადო და შეუღწევადი იყო და შემოსასვლელ კართან შეუფერხებლად მივიდა.

ამ დროს კინაღამ ნევილი დაეტაკა. ვიღაცასთან ერთად ეზოდან ცხედარი შემოჰქონდა. ჰარიმ გარდაცვლილს დახედა და მუცელში კიდევ ერთი ყრუ დარტყმა იგრძნო – კოლინ ქრივიც მომკვდარიყო. არასრულწლოვანი კი იყო, მაგრამ ეტყობა, მალფოი-კრაბი-გოილივით უკან შემოიპარა. მკვდარი კიდევ უფრო პატარა ჩანდა.

– მარტოც მოვერევი, ნევილ, – უთხრა ოლივერ ვუდმა, კოლინი მეხანძრესავით მოხერხებულად გადაიკიდა მხარზე და დიდი დარბაზისკენ წაიღო.

ნევილი წამით კარის ჩარჩოს მიეყრდნო და შუბლი ხელის ზურგით მოიწმინდა, მრავალჭირნახულ ბერიკაცს ჰგავდა. ამ რამდენიმე საათში თითქოს მართლა დაბერებულიყო. მერე ისევ დაუყვა კიბეს და ჩაბნელებულ ეზოში სხვა გარდაცვლილების საძებნელად გავიდა.

Scanned by CamScanner

ჰარიმ ერთხელაც მიხედა დიდი დარბაზის შესასვლელს. უამრავი ხალხი ირეოდა, ცდილობდნენ, ერთმანეთი ენუგეშებინათ, სვამდნენ, მიცვალებულებთან იჩოქებდნენ. თუმცა, ყველაზე მეტად ვინც უყვარდა, იმათგან არავინ დაუნახავს: არც ჰერმიონი ჩანდა, არც რონი, არც ჯინი, არც რომელიმე სხვა უისლი და არც ლუნა. თავში გაუელვა, რაც დრო დამრჩენია, სულ მათ ცქერაში გავლევდიო, მაგრამ ეყოფოდა კი იმის ძალა, რომ თვალი მოეწყვიტა?

კიბეს დაუყვა და ეზოში გავიდა. დილის ოთხი საათი იქნებოდა. ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, თითქოს იქაურობაც სუნთქვაშეკრული ელოდებოდა, შეძლებდა თუ არა ჰარი დაკისრებული მისიის შესრულებას.

ჰარი კიდევ ერთ ცხედართან დახრილ ნევილს მიუახლოვდა.

– ნევილ.

– უჰ, ჰარი, როგორ შემაშინე!

ჰარიმ მოსასხამი გადაიძრო.

– მარტო სად მიდიხარ? – ეჭვით ჰკითხა ნევილმა.

– რაღაც გეგმა გვაქვს, – უთხრა ჰარიმ, – ერთი რამე უნდა გავაკეთო. მისმინე, ნევილ...

– ჰარი! – უცებ შეშინდა ნევილი, – ჰარი, დანებება ხომ არ გადაგიწყვეტია?

– არა, – იოლად იცრუა ჰარიმ, – რას ამბობ... სხვა რამეა. ოღონდ, შეიძლება ცოტა დრო დამჭირდეს. ვოლდემორის გველი ხომ იცი, ნევილ? უზარმაზარი გველი ჰყავს... ნაგინის ეძახის...

– ჰო, გამიგია... მერე?

– ის გველი აუცილებლად უნდა მოკვდეს. რონმა და ჰერმიონმა ეს იციან, მაგრამ თუ, ვთქვათ და...

ამ ალბათობის საშინელებამ წამით სუნთქვა შეუკრა და წამით ხმა ვერ ამოიღო, მაგრამ ისევ მოთოკა თავი: აუცილებელია დამბლდორივით გულგრილად მოიქცეს, უნდა დარწმუნდეს, რომ რონისა და ჰერმიონის გარდა, სხვა შემცვლელიც ეყოლება. როცა დამბლდორი კვდებოდა, იცოდა, რომ ჰორკრუქსების ამბავი სამ კაცს ეცოდინებოდა; ახლა ნევილი დაიჭერს ჰარის ადგილს და ისევ სამს ეცოდინება საიდუმლო.

– ვთქვათ, და... არ ეცალოთ... შენ კი მოახერხო...

– გველი მოვკლა?

– ჰო, გველი მოკალი! – გაიმეორა ჰარიმ.

– კარგი, ჰარი. შენ ხომ კარგად ხარ?

– კარგად ვარ. გმადლობ, ნევილ.

მაგრამ წასვლა რომ დააპირა, ნევილმა მაჯაში სტაცა ხელი:

Scanned by CamScanner

–ę ისევ ბრძოლას ვაპირებთ, ჰარი, ხომ იცი?

– ჰო. მე...

ჰარის სუნთქვა ისე შეეკრა, კინაღამ დაიხრჩო და წინადადება ველარ დაასრულა. ნევილს არ გაჰკვირვებია. მხარზე ხელი მოუთათუნა, გამოემშვიდობა და ისევ რომელიღაც დაღუპულთან ჩაიჩოქა.

ჰარიმ ისევ გადაიფარა მოსასხამი და გზა განაგრძო. გვერდით ვიღაცამ ჩაუარა და მიწაზე გაშხლართული ადამიანისკენ გაემართა. ჯინი იყო. ჰარი მოწყვეტით შეჩერდა. ჯინი ვიღაც გოგონასთან ჩაიცუცქა. გოგონა ჩურჩულით უხმობდა დედას.

– ნუ გეშინია, – ამშვიდებდა ჯინი, – ახლავე შიგნით შეგიყვანთ.

– შინ მინდა, – წაიჩურჩულა გოგონამ, – აღარ მინდა ბრძოლა!

– ვიცი, – უთხრა ხმაგაბზარულმა ჯინიმ, – ყველაფერი კარგად იქნება.

ჰარის ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. მოუნდა, დაეყვირა, მოუნდა, ჯინის გაეგო, რომ ჰარი იქ იყო; სცოდნოდა, სადაც მიდიოდა. უნდოდა შეეჩერებინათ, უკან წაეთრიათ, შინ გაეგზავნათ...

მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ ისედაც შინ იყო. ჰოგვორტსია მისი პირველი და საუკეთესო სახლი. სამივე მიტოვებულმა ბიჭმა – ჰარიმ, ვოლდემორმა და სნეიპმა – ნამდვილი სახლი აქ იპოვა...

ჯინი დაშავებულ გოგონას ხელზე ეფერებოდა. ჰარიმ ძლივს მოახერხა გზის გაგრძელება. ორი ნაბიჯი რომ გადადგა, ჯინიმ თითქოს მოიხედა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავი ხომ არ იგრძნო, გვერდით რომ ვიღაცამ ჩაუარაო, მაგრამ ჯინის ხმა არ ამოუღია და უკან აღარც თვითონ მიიხედა.

სიბნელეში ბუნდოვნად გამოჩნდა ჰაგრიდის ქოხი. არც შუქი ჩანდა და არც ფენგის ფხაჭუნი თუ მისასალმებელი ყეფა ისმოდა. ჰარის გაახსენდა ჰაგრიდთან სტუმრობა, ცეცხლზე მდგარი სპილენძის ჩაიდნის თუხთუხი, ქვასავით მაგარი ნამცხვრები და ჰაგრიდის დიდი, წვერგაბარდული სახე; თითქოს მისი უშველებელი ტორების ბრაგუნიც კი იგრძნო ბეჭებზე...

გზა განაგრძო, ტყის პირს მიაღწია და შეჩერდა.

ხეებშუა დემენტორები დასრიალებდნენ; ჰარიმ მათეული სიცივე იგრძნო და გაიფიქრა, ალბათ, მშვიდობიანად ვერ ჩავუვლიო. პატრონუსის შესაქმნელად საჭირო ძალა აღარ შერჩენოდა, კანკალს ველარ იკავებდა. ბოლოს და ბოლოს, სიკვდილი ხომ არც ისე იოლია. ძვირფასია ყოველი წამი, სანამ ბალახის სურნელს ისუნთქავს, გრილი ჰაერი სახეზე ელამუნება. სხვებს წინ წლები, უამრავი დრო აქვთ, რომელიც ტაატით გადის, თვითონ კი ყოველ წამს ებღაუჭება. ჰგონია, გზას ველარ განაგრძობს, არადა, იცის, რომ უნდა გააგრძელოს.

Scanned by CamScanner

ხანგრძლივი თამაში დამთავრდა, სნიჩი დაჭერილია. ახლა დროა, მიწაზე დაეშვას...

სნიჩი!.. ჰარიმ ნერვიულად მოსინჯა კისერზე დაკიდებული ქისა და სნიჩი ამოიღო.

„მე მიჯნაზე გავიხსნები".

სუნთქვა აუჩქარდა. სნიჩს დახედა. ახლა, როცა უნდოდა, რომ დრო რაც შეიძლება ნელა გასულიყო, თვითონ თითქოს სიჩქარე მოემატა – ისე სწრაფად მიხვდა, რომ გაფიქრებაც კი ვერ მოაწრო: აი, ეს არის მიჯნა, ეს არის საჭირო წამი.

ოქროს ბურთი ტუჩებთან მიიტანა და წაიჩურჩულა:

– მე მალე მოვკვდები.

ლითონის გარსი გაიხსნა. ჰარიმ აკანკალებული ხელი დაუშვა, მოსასხამქვეშ დრაკოს ჯოხი ასწია და წაიდუდუნა:

– ლუმოს.

სნიჩის ორ ნახევარში გაბზარული შავი ქვა იდო. სიცოცხლის ქვა სწორედ უძლეველი ჯოხის გამომხატველ ვერტიკალურ ხაზზე გაბზარულიყო, მოსასხამისა და ქვის აღმნიშვნელი სამკუთხედი და წრე ჯერაც გაირჩეოდა.

და ჰარი ისევ დაუფიქრებლად მიხვდა, რაც უნდა ექნა... თუმცა ახლა საყვარელი ადამიანების სააქაოში დაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან თვითონაც სულ მალე მათთან უნდა წასულიყო. თვითონ კი არ იხმობდა, ახლა ისინი იხმობდნენ.

თვალები დახუჭა და ქვა სამჯერ შეატრიალა ხელში.

მიხვდა, რომ ქვამ თავისი საქმე აღასრულა, რადგან გარშემო მსუბუქი მოძრაობა შეიგრძნო, თითქოს ტყის პირას, წიწვებით მოფენილ მიწაზე, ვიღაც მჩატედ დააბიჯებდა. ჰარიმ თვალი გაახილა და მიიხედ-მოიხედა.

გარშემო ადამიანები იდგნენ, არც მოჩვენებები იყვნენ და არც ხორციელები. დიდი ხნის წინ დღიურიდან ამოსულ რიდლს ჰგავდნენ – უსხეულო მოგონებას. მისკენ მოდიოდნენ და ყველანი ერთნაირად, სიყვარულით უღიმოდნენ. ცოცხალ ადამიანებზე ნაკლებ, მაგრამ მოჩვენებებზე ბევრად მეტ ძალას ასხივებდნენ.

ჯეიმსი ზუსტად ჰარის სიმაღლისა იყო. ის ტანსაცმელი ეცვა, რომლითაც მოკვდა, თმა აჩეჩილი ჰქონდა, სათვალე ბატონი უისლივით ოდნავ გვერდზე მოჰქცეოდა.

სირიუსი მაღალი და მოხდენილი იყო, იმაზე ბევრად ახალგაზრდა, ვიდრე სიცოცხლეში ენახა. ლაღი ნაბიჯით მოდიოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა.

ლუპინიც უფრო ახალგაზრდა და ნაკლებ გატანჯული ჩანდა,

Scanned by CamScanner

თმაც შედარებით სქელი და მუქი ჰქონდა. ეტყობა, ბედნიერი იყო, ნაცნობ ადგილას რომ დაბრუნდა, სადაც ალბათ უამრავჯერ ეხეტიალა.

ლილი ყველაზე ფართოდ იღიმებოდა. როცა შვილს მიუახლოვდა, გრძელი თმა უკან გადაიყარა და ჰარივით მწვანე თვალებით ისე ხარბად მოუთვალიერა სახე, გეგონება ცქერით ვერ გაძღებაო.

– ნამდვილი ვაჟკაცი ხარ.

ჰარიმ ხმა ვერ ამოიღო. ლილის ყურებით ტკბებოდა და ფიქრობდა, სხვა არაფერი მინდა, ვიდგები და ვუყურებო.

– თითქმის მიზანთან ხარ, – თქვა ჯეიმსმა, – ყველას გვეამაყება.

– მეტკინება?

ეს ბავშვური კითხვა მანამ მოსწყდა ჰარის ტუჩებს, სანამ თავს შეიკავებდა.

– სიკვდილი? რას ამბობ! – უთხრა სირიუსმა, – დაძინებაზე სწრაფი და იოლია.

– თანაც, მოინდომებს, რომ ყველაფერი უცბად მოხდეს, მალე დამთავრდეს, – უთხრა ლუპინმა.

– თქვენი სიკვდილი არ მინდოდა, არავისი. მაპატიეთ... – უნებურად თქვა ჰარიმ. გული ყელში ებჯინებოდა და სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, – ...თანაც, ზუსტად მას მერე... რაც შვილი გეყოლა... რემუს, ძალიან ვდარდობ...

– მეც ვდარდობ, – უთხრა ლუპინმა, – ვერ გავიცნობ... მაგრამ მას ხომ ეცოდინება, რატომაც მოვკვდი და, ალბათ, გამიგებს. ვცდილობდი, ისეთი სამყარო შემექმნა, სადაც ბედნიერად იცხოვრებდა.

ტყის გულიდან მომავალმა გრილმა ნიავმა ჰარის შუბლზე თმა აუწეწა. მიხვდა, არავინ ეტყოდა, წადიო. თვითონ უნდა გადაეწყვიტა, როდის გადაედგა ნაბიჯი.

– ჩემთან დარჩებით?

– ბოლომდე, – უთხრა ჯეიმსმა.

– ისინი ვერ დაგინახავენ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ჩვენ შენი ნაწილი ვართ, სხვებისთვის უჩინარი, – მიუგო სირიუსმა.

ჰარიმ დედას შეხედა.

– ახლოს იყავი, – სთხოვა ჩუმად.

და წავიდა. დემენტორების სიცივე ვეღარაფერს აკლებდა; თანამგზავრები პატრონუსებივით იცავდნენ; ერთად გაიარეს ახლოახლოს მდგარი ბებერი, ტოტებგადახლართული, ფესვებდაღრეცილი ხეები. სიბნელეში ჰარიმ მჭიდროდ შემოიხვია მოსასხამი და სულ უფრო ღრმად შევიდა ტყეში. წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო

Scanned by CamScanner

ვოლდემორი, მაგრამ იცოდა, რომ მიაგნებდა. გვერდით უჩუმრად მიჰყვებოდნენ ჯეიმსი, სირიუსი, ლუპინი და ლილი და მათი იქ ყოფნა ამხნევებდა, ფეხის აწევისა და ნაბიჯის გადადგმის ღონეს აძლევდა.

ჰარის სხეული და გონება უცნაურად დაშორიშორებულიყო, კიდურები უნებურად უმოძრავებდა, თითქოს მგზავრი იყო და არა მძღოლი იმ სხეულისა, რომელიც, ცოტაც და, უნდა დაეტოვებინა. ახლა ტყე-ტყე, მის გვერდით მიმავალი მიცვალებულები უფრო რეალური ეჩვენებოდა, ვიდრე ციხე-კოშკში დარჩენილი ცოცხალი ადამიანები; რონს, ჰერმიონს, ჯინისა და სხვებს თითქოს უკვე მოჩვენებებად აღიქვამდა და ბორძიკით მიდიოდა საკუთარი სიცოცხლის დასასრულისკენ, ვოლდემორისკენ...

უეცრად ყრუ ბრაგუნი და ჩურჩული გაისმა. სულ ახლოს რაღაც სულიერი შეირხა. მოსასხამმოხურული ჰარი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და მიაყურადა. დედა, მამა, ლუპინი და სირიუსიც გაჩერდნენ.

– აქ ვიღაცაა, – გაისმა უხეში ხმა, – უჩინმაჩინის მოსასხამი ახურავს. იქნებ...

მახლობელი ხის უკნიდან ორი ჯოხანთებული ფიგურა გამოჩნდა. იაქსლი და დოლოხოვი იყვნენ. სიბნელეში ზუსტად იმ ადგილისკენ იყურებოდნენ, სადაც ჰარი, მისი მშობლები, სირიუსი და ლუპინი იდგნენ. თუმცა, ვერაფერს ხედავდნენ.

– ნამდვილად რაღაც მომესმა, – თქვა იაქსლიმ, – ცხოველი ხომ არ იქნებოდა?

– იმ ნაგიჟარ ჰაგრიდს ათასი ოხრობა ჰყავს აქ, – უკან გაიხედა დოლოხოვმა.

იაქსლიმ საათს დახედა:

– რაღა დარჩა. პოტერისთვის მიცემული ერთი საათი უკვე გადის.

– წავიდეთ, – თქვა იაქსლიმ, – გაივიგოთ, რამე ახალი გეგმა ხომ არა გვაქვს.

ორივენი მიბრუნდნენ და უფრო ღრმად შევიდნენ ტყეში. ჰარი მათ მიჰყვა. იცოდა, ზუსტად იქ მიიყვანდნენ, სადაც თვითონ მიდიოდა. გაიხედ-გამოიხედა. დედამ გაუღიმა, მამამ გამამხნევებლად დაუქნია თავი.

ორიოდე წუთს იარეს და ჰარის წინ სინათლე გამჭოჩნდა. იაქსლი და დოლოხოვი იმ განაკაფში შევიდნენ, სადაც წინათ საზარელი არაგოგი ცხოვრობდა. უზარმაზარი ქსელის ნაკუწებს სუსტი სიო აფრიალებდა. არაგოგის შთამომავალთა ურდო სიკვდილის მხვრელებს თავიანთი საქმისთვის საბრძოლველად გაეშვათ.

შუა განაკაფში კოცონი ენთო და მისი ალი სიკვდილის მხვრელების ჯგუფს ანათებდა. ზოგი მათგანი ჯერაც ნიღბებითა და კაპიუ-

Scanned by CamScanner

შონებით იყო, ზოგს სახე გამოეჩინა. მოშორებით ორი გოლიათი იჯდა და იქაურობას ვეება ჩრდილებს ჰფენდა, სასტიკი სახეები კლდისგან ნაჩორკნს მიუგავდათ. ჰარიმ მიმალული ფენრირ გრეიბექიც დაინახა – გრძელ ფრჩხილებს იკვნეტდა; ზორბა, ქერა როულის გასისხლიანებულ ტუჩზე მიედო ხელი. ლუციუს მალფოიც იქვე იყო – დაშინებული და დაბეჩავებული. თვალებჩაცვენილი და ფერდაკარგული ნარცისა გვერდით ეჯდა.

ყველა ვოლდემორს მიშტერებოდა. ვოლდემორი თავდახრილი იდგა და თეთრი ხელები დიდგულას ჯოხზე ეწყო. გეგონებოდა ლოცულობს ან გუნებაში წამებს ითვლისო. განაკაფის პირას გაჩერებულმა ჰარიმ სულელურად გაიფიქრა, ბავშვივით დამალობანას თამაშობს და თვალდახუჭული ითვლისო. ვოლდემორის თავს ზემოთ გველი ნაგინი დალივლივებდა და თავისი მოციმციმე, მოჯადოებული სფეროთი ბნელი ბატონის საზარელ შარავანდედს ჰგავდა.

როცა დოლოხოვი და იაქსლი წრეს შეუერთდნენ, ვოლდემორმა აიხედა.

– არ ჩანს, მილორდ, – თქვა დოლოხოვმა.

ვოლდემორს არაფერი დასტყობია. მისი წითელი თვალები ნაკვერჩხლებს წააგავდა. ნელა მოიმარჯვა დიდგულას ჯოხი.

– მილორდ... – რაღაცის თქმა დააპირა ვოლდემორთან ყველაზე ახლოს მჯდარმა განენილმა, სახეზე სისხლმოცხებულმა ბელატრისამ.

ვოლდემორმა ხელის აწევით გააჩუმა და ბელატრისაც მხოლოდ თაყვანისცემითა და მოწიწებით მიაშტერდა.

– მეგონა, მოვიდოდა, – თქვა ვოლდმეორმა მაღალი, მკაფიო ხმით და ცეცხლის ალს დააცქერდა, – ველოდი, რომ მოვიდოდა.

ხმა არავის ამოუღია. ყველანი ჰარიზე არანაკლებ აეტანა შიშს. ჰარის კი გული ისე უბაგუნებდა, თითქოს ნეკნების გაგლეჯას და სხეულიდან ამოვარდნას ლამობდა. მერე ჰარიმ ძალა მოიკრიბა, გაოფლიანებული ხელებით გადაიხსნა უჩინმაჩინის მოსასხამი და ჯოხთან ერთად ჩაკუჭა მანტიაში. არ უნდოდა, ბრძოლის ცდუნებას აჰყოლოდა.

– ეტყობა... შევცდი... – განაგრძო ვოლდემორმა.

– არ შემცდარხართ!

ეს სიტყვები, რაც შეეძლო, ხმამაღლა წარმოთქვა, თითქმის მთელი ძალ-ღონე შიგ ჩაატანა. არ უნდოდა, შეშინებულის ხმა ჰქონოდა. სიცოცხლის ქვა გაშეშებული თითებიდან გაუცურდა და როცა ნაბიჯი გადადგა და ცეცხლის შუქში შევიდა, თვალის კუთხით შეამჩნია, რომ დედ-მამა, სირუსი და ლუპინი გაქრნენ. იმწამსვე

Scanned by CamScanner

მიხვდა, რომ ვოლდემორის გარდა, მნიშვნელობა აღარავის ჰქონდა. ორნიღა იყვნენ.

ოღონდ, ეს ილუზია ისევე მალე გაქრა, როგორც გაჩნდა. გოლიათებმა დაიღრიალეს, სიკვდილის მხვრელები ერთად წამოხტნენ, ატყდა ყვირილი, ოხვრა და სიცილიც კი. ვოლდემორი უძრავად იდგა. წითელი თვალებით ჰარის მიშტერებოდა.

უცებ ვიღაცის ღრიალი გაისმა:

– ჰარი! არა!

ჰარი შებრუნდა: მაგრად შეკოჭილი ჰაგრიდი მახლობელ ხეზე მიებათ. ვეებერთელა სხეულით ხეს ტოტებიანად არხევდა და თავგანწირვით ცდილობდა თავის გათავისუფლებას.

– არა! არა! რას შვრები, ჰარი!

– ხმა ჩაიწყვიტე! – უყვირა როულიმ, ჯოხი გაიქნია და ჰაგრიდი გაჩუმდა.

ფეხზე წამომხტარი ბელატრისა ანთებული თვალებით უყურებდა ხან ვოლდემორს და ხან – ჰარის, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა. ყველა და ყველაფერი გაშეშებულიყო. მხოლოდ ცეცხლის ალი და ვოლდემორის თავს ზემოთ, მოელვარე სფეროში ჩასმული გველი იგრიხებოდა.

ჰარი მკერდთან ჯოხს გრძნობდა, მაგრამ ამოღება არ უცდია. იცოდა, გველი კარგად იყო დაცული და სანამ ის ჯოხს დაუმიზნებდა, იმავე წამს ორმოცდაათი წყევლა თვითონ მას ეძგერებოდა. ის და ვოლდემორი კვლავ ერთმანეთს უყურებდნენ. ვოლდემორმა თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, მის წინ მდგარ ბიჭს დააკვირდა და უცნაურმა, უსიხარულო ღიმილმა დაუბრიცა თხელი ტუჩები.

– ჰარი პოტერი, – თქვა რბილად. მისი ხმა ცეცხლის ტკაცუნს შეუერთდა, – ბიჭი, რომელიც გადარჩა.

არც ერთი სიკვდილის მხვრელი არ განძრეულა. ჰაგრიდი უხმოდ იბრძოდა, ბელატრისა ქოშინებდა... ჰარის რატომღაც ჯინი, მისი გაბრწყინებული თვალები და მისი ტუჩების გემო გაახსენდა...

ვოლდემორმა ჯოხი აღმართა. თავი ცნობისმოყვარე ბავშვივით ჯერაც გვერდზე ჰქონდა გადახრილი, თითქოს აინტერესებდა, მერე რაღა იქნებოდა. ჰარიმ წითელ თვალებში შეხედა. უნდოდა, ეს ახლავე მომხდარიყო – სანამ დგომა შეეძლო, სანამ თავს იკავებდა, სანამ შიშს დანებდებოდა...

მერე დაინახა, როგორ ამოძრავდა პირი, იფეთქა მწვანე შუქმა და ყველაფერი გაქრა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეთხუთმეტე

კინგს ქროსი

ჰარი პირქვე ინვა და სიჩუმეს აყურადებდა. მარტოდმარტო იყო. გარშემო სულიერი არ ჭაჭანებდა. ზუსტად ისიც კი არ იცოდა, თვითონ იყო თუ არა იქ.

კარგა ხნის შემდეგ ან იქნებ მაშინვე, გაიფიქრა, ალბათ, ცოცხალი ვარო, რადგან ცხადად გრძნობდა, რომ რაღაც მაგარ ზედაპირზე ინვა. თუკი შეხებას გრძნობდა, ესე იგი, ისიც არსებობდა, რაზეც ინვა.

როგორც კი ეს დაასკვნა, თითქმის მაშინვე მიხვდა, რომ შიშველი იყო. რადგან ახლომახლო არავინ იყო, სიშიშვლეს არ შეუნუხებია, თუმცა, ოდნავ დაინტერესდა. გაიფიქრა, რაკი შევიგრძნობ, იქნებ ვხედავ კიდეცო, თვალები გაახილა და მიხვდა, რომ თვალებიც ჰქონია.

კაშკაშა ნისლში ინვა, თუმცა, ამნაირ ნისლში არასოდეს ყოფილა. ნისლი იმას კი არ მალავდა, რაც მის გარშემო იყო, არამედ ღრუბლის მსგავსი ორთქლი თანდათან გარემოდ ყალიბდებოდა. იატაკი, რომელზეც ინვა, თითქოს თეთრი იყო – არც თბილი, არც ცივი: უბრალოდ, ბრტყელი და ერთიანი ზედაპირი.

ჰარი ნამოჯდა. სხეულზე არაფერი სჭირდა. სახეზე შეივლო ხელი. სათვალე აღარ ეკეთა.

მერე გარშემო მოლივლივე ჩამოუყალიბებელი არაფრიდან რაღაც მცირე, სუსტი დარტყმების ხმამ გამოაღწია. რაღაც ბორგავდა, აქეთიქით ეხეთქებოდა და იბრძოდა. შესაბრალისი, ოღონდ, ცოტა უხამსი ხმა იყო. ჰარის არ ესიამოვნა: თითქოს რაღაც მალულს, სამარცხკინოს აყურადებდა.

ამ დროს პირველად გაიფიქრა, ნეტავ, ტანზე რამე მაინც მეცვასო.

გაფიქრება ვერ მოასწრო, რომ იქვე ტანსაცმელი გაჩნდა. ჰარიმ აიღო და ჩაიცვა. ტანსაცმელი რბილი, სუფთა და თბილი იყო. საკვირველია, საიდან გაჩნდა იმწამსვე, როგორც კი მოუნდა...

Scanned by CamScanner

ჰარი ადგა და მიიხედ-მოიხედა. იქნებ სადმე, მისთვის უცნობ უშველებელ „მიშველე-ოთახშია"? რაც მეტხანს იყურებოდა აქეთ-იქით, მით მეტ რამეს ხედავდა: ზემოთ მზის სხივებით აელვარებული მინის ვეებერთელა, გუმბათოვანი სახურავი დაინახა. იქნებ სასახლეა? სიმშვიდეს და სიწყნარეს მხოლოდ ის უცნაური, დარტყმებისა და ხვნეშის ხმა არღვევდა, რომელიც სადღაც მახლობლად, ნისლში ისმოდა...

ჰარი ნელა შემოტრიალდა. იქაურობა თვალდათვალ იძენდა ფორმას. ვრცელი შენობა იყო, კაშკაშა და სუფთა, ჰოგვორტსის დარბაზზე დიდი დარბაზი და მინის ნათელი, გუმბათოვანი ჭერი გამოიკვეთა. ისევ სიცარიელე იყო. ჰარი მარტოდმარტო იყო აქ, გარდა...

ჰარი მოულოდნელად უკან გახტა. უცებ გაარჩია, რომ ის, რაც იმ უცნაურ ხმებს გამოსცემდა, იატაკზე მოკუნტული შიშველი ჩვილის მსგავსი არსება იყო: უხეში, ხორკლიანი, აქერცლილი კანი თითქოს ასტყავებოდა, სკამის ქვეშ იწვა და კანკალებდა. ეტყობა ვიღაცამ მიაგდო, უსარგებლო ნივთივით მოიშორა თავიდან, ჩვილი კი ყოველი ამოსუნთქვისთვის თავგანწირვით იბრძოდა.

ჰარის შეეშინდა. მართალია, ის რაღაც პატარა, უსუსური და თითქოს დაჭრილ-დაჩეხილი იყო, მაგრამ მასთან მიახლოებას ვერ ბედავდა. ბოლოს მაინც ნელა წაიწია წინ, თან მზად იყო, ყოველ ნამს უკან გადამხტარიყო. მალე ისე მიუახლოვდა, რომ შეეძლო შეეხებოდა კიდეც, მაგრამ ხელი ვერ დაიმორჩილა. გაიფიქრა, ლაჩარი ვარო. ამ არსებას ნუგეში სჭირდებოდა, მაგრამ ჰარი თავს ვერ ერეოდა, ვერაფრით ვერ დაეძლია ზიზღის შეგრძნება.

– ვერაფერს უშველი.

ჰარი სწრაფად მიტრიალდა. მისკენ მსუბუქად, ღამისფერი მანტიის ფრიალით მიაბიჯებდა ალბუს დამბლდორი.

– ჰარი, – მკლავები ფართოდ გაშალა დამბლდორმა. ორივე ხელი მთელი ჰქონდა – თეთრი და საღი, – საკვირველი ბიჭი ხარ. ვაუკაცი, ნამდვილი ვაუკაცი. მოდი, დავილაპარაკოთ.

დამბლდორი იმ ადგილს მოსცილდა, სადაც გატყავებული ბავშვი კრუსუნებდა და გაოგნებული ჰარიც გაჰყვა. დამბლდორი ორი სავარძლისკენ გაემართა, რომლებიც ჰარის აქამდე არ შეუმჩნევია. სავარძლები ცოტა მოშორებით, მაღალი, ციმციმა გუმბათის ქვეშ იდგა. ერთში დამბლდორი ჩაჯდა, მეორეში – ჰარი და მოხუც დირექტორს სახეზე მიაშტერდა. გრძელი, ვერცხლისფერი თმა-წვერი, ნახევარმთვარისებური სათვალე, მოციმციმე, დაკვირვებული ცისფერი თვალები – ყველაფერი ისე იყო, როგორც ახსოვდა. მაგრამ...

– თქვენ ხომ მკვდარი ხართ, – პირდაპირ უთხრა ჰარიმ.

Scanned by CamScanner

– რა თქმა უნდა, – უდარდელად მიუგო დამბლდორმა.

– ესე იგი... მეც მკვდარი ვარ?

– ოო, – ფართოდ გაიღიმა დამბლდორმა, – საკითხავი აი, ეს არის, ხომ? არა მგონია, ჩემო კარგო, არა მგონია.

ერთმანეთს შეხედეს. ბერიკაცი ძველებურად გაბრწყინებული ილიმებოდა.

– არა? – გაუკვირდა ჰარის.

– არა.

– მაგრამ... – ჰარიმ ინსტინქტურად ასწია ხელი და ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევისკენ წაიღო. ნაიარევი, თითქოს, აღარ ჰქონდა, – მაგრამ ხომ უნდა მოვმკვდარიყავი... თავი არ დამიცავს! მე მინდოდა, რომ მოვეკალი!

– აი, საქმეც ეგ არის, რომ ამან ყველაფერი შეცვალა, – სიხარულს ასხივებდა დამბლდორი. ჰარის არასოდეს არავინ უნახავს ასე ბოლომდე, ასე ცხადად კმაყოფილი.

– ამიხსენით, – სთხოვა ჰარიმ.

– შენ ეგ ისედაც იცი, – ხელის მტევნები ერთმანეთს მიატყუპა დამბლდორმა.

– საშუალება მივეცი, რომ მოვეკალი, ხომ ასეა? – თქვა ჰარიმ.

– ასეა. განაგრძე! – თავი დაუქნია დამბლდორმა.

– და მისი სულის ის ნაწილი, რომელიც ჩემში იყო...

დამბლდორმა მხურვალედ დაუქნია თავი და ღიმილით შეაგულიანა.

– ...მოკვდა?

– რა თქმა უნდა! – დაუდასტურა დამბლდორმა, – თვითონვე გაანადგურა. შენი სული კი მთელია და მთლიანად შენ გეკუთვნის, ჰარი.

– კი, მაგრამ...

ჰარიმ შიშით გაიხედა იქით, სადაც ის პატარა, დასახიჩრებული არსება სკამის ქვეშ კანკალებდა.

– ეს რაღაა, პროფესორო?

– ის, რასაც ვერც ერთი ვერ ვუშველით, – უპასუხა დამბლდორმა.

– ჰო, მაგრამ თუ ვოლდემორმა მომაკვდინებელი წყევლა მომივლინა და არავინ გადამფარებია, ჩემ მაგიერ არავინ მომკვდარა... ცოცხალი როგორღა ვარ? – იკითხა ჰარიმ.

– მე მგონი, ესეც იცი. აბა, დაფიქრდი. გაიხსენე, რა ჩაადენინა უგუნურებამ, სიხარბემ და სისასტიკემ!

ჰარი დაფიქრდა. იქაურობა მოათვალიერა. თუ მართლა სასახლეში სხედან, უცნაური სასახლეა, სკამები პატარ-პატარა რიგებად

Scanned by CamScanner

დგას, აქა-იქ მოაჯირებია, მაგრამ კაციშვილი არ ჭაჭანებს, თვითონ, დამბლდორი და სკამქვეშ დაგდებული ის უდღეური სულიერი მარტონი არიან. მერე პასუხი იოლად და დაუძაბავად მოადგა ენაზე:

– ჩემი სისხლი ნაიღო.

– სწორედ! – დაუდასტურა დამბლდორმა, – მან შენი სისხლით აღიდგინა ფიზიკური სხეული! მას შენი სისხლი უდგას ძარღვებში და ამრიგად, ორივეს გაქვთ ლილის დატოვებული დაცვა! მან სიცოცხლე მოგისაჯა მანამ, სანამ თვითონ იცოცხლებს!

– მანამ ვიცოცხლებ... სანამ ისაა ცოცხალი? მე კი პირიქით მეგონა! მეგონა, ორივე უნდა მოვმკვდარიყავით! თუ ეს ერთი და იგივეა?

ჰარის ყურადღება აგონიაში ჩავარდნილი სულიერის კრუსუნმა და ბორგვამ მიიქცია და ისევ გახედა მას.

– ნამდვილად იცით, რომ ვერ დავეხმარებით?

– არაფერი არ ეშველება.

– მაშ, კიდევ.... ამიხსენით, – ჰარის ამ სიტყვებზე დამბლდორს გაეღიმა.

– შენ მეშვიდე ჰორკრუქსი იყავი, ჰარი, ჰორკრუქსი, რომელიც უნებურად შექმნა. მაშინ, როცა გაუგონარი ბოროტება ჩაიდინა – დაგიხოცა მშობლები და შენი მოკვლაც სცადა – მისი დანაწევრებული, მყიფე სული კიდევ ერთხელ გაიხლიჩა და იმაზე ნაკლები დარჩა, ვიდრე ეგონა. მან სხეულზე მეტი რამ დაკარგა – თავისი ნაწილი დატოვა შენში – მსხვერპლში, რომელიც გადაურჩა. ხომ იცი, რომ დიდი ცოდნით ვერ დაიტრაბახებდა. რაც ვოლდემორისთვის არ ფასობდა, იმის გასაგებად თავს არასოდეს იწუხებდა. შინაური ელფებისა და საბავშვო ზღაპრებისა, სიყვარულის, ერთგულებისა და უცოდველობისა ვოლდემორს არაფერი გაეგებოდა. ვერასოდეს ვერ მიხვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ამაში დიდი ძალაა, ძალა, რომელსაც ვერანაირი ჯადოქრობა ვერ აჯობებს. ვოლდემორმა სხეულის აღდგენისას შენი სისხლი იმიტომ აიღო, რომ ეგონა, გაძლიერდებოდა. ამგვარად, მის სხეულში ჩაიღვარა სისხლი, რომელიც დედაშენის თავგანწირვით მინიჭებული დაცვის მცირე ნაწილს შეიცავდა. ვოლდემორის სხეული ცოცხლად ინახავს დედაშენის თავგანწირვის ძალას და სანამ ის დაცვა ცოცხლობს, შენც ცოცხლობ და ვოლდემორის უკანასკნელი იმედიც – თავისივე თავი.

დამბლდორმა ჰარის ისევ გაუღიმა. ჰარი მიაშტერდა:

– და ეს იცოდით? ყოველთვის იცოდით?

– უბრალოდ, ვხვდებოდი. მაგრამ ხომ იცი, როგორც წესი, სწორად ვხვდები ხოლმე, – სიხარულით თქვა დამბლდორმა. კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ, მათ უკან კი ის სულიერი ხვნეშოდა და კანკალებდა.

Scanned by CamScanner

– და ერთი რამეც მაინტერესებს. ჩემმა ჯოხმა ნათხოვარი ჯოხი რატომ გაუტეხა? – იკითხა ჰარიმ.

– ეგ კი ზუსტად არ ვიცი.

– იქნებ მიხვდეთ? – ისე ალალად სთხოვა ჰარიმ, დამბლდორს გაეცინა.

– უნდა გესმოდეს, ჰარი, რომ შენ და ვოლდემორი მაგიის აქამდე უცნობ და შეუსწავლელ სფეროში შეიჭერით. რაც მოხდა, აქამდე არასოდეს მომხდარა და, ჩემი აზრით, ამას ჯოხების ვერც ერთი ოსტატი ვერც იწინასწარმეტყველებდა და ვერც ახსნიდა. უკვე იცი, რომ როცა ვოლდემორი ადამიანის სახით დაბრუნდა, თქვენ შორის კავშირი უნებურად გააორმაგა. მისი სულის ნაწილი უკვე შენში იყო და თავის გასაძლიერებლად უნებურად დედაშენის თავგანწირვის ნაწილიც აიღო შენგან. მას სულ მცირე წარმოდგენა მაინც რომ ჰქონოდა იმ თავგანწირვის ნამდვილი და ყოვლისმომცველი ძალის შესახებ, ალბათ, ვერ გაბედავდა და შენს სისხლს ვერ მიეკარებოდა... თუმცა, ამის გაგება რომ შესძლებოდა, აღარც ლორდი ვოლდემორი იქნებოდა და აღარც არავის დახოცავდა. ერთი სიტყვით, თქვენ უკვე ორმაგი კავშირით – შენი სისხლით და ვოლდემორის სულის ნაწილით – ხართ დაკავშირებულები და თქვენი ბედი იმაზე უფრო მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე რომელიმე ორი ჯადოქრის ბედი გადაჯაჭვულა. როცა ვოლდემორმა ფენიქსის ბუმბულისგულიანი ჯოხით შემოგიტია, მაშინ, როგორც გახსოვს, ყოვლად უცნაური რამ მოხდა. ჯოხებმა ისეთი რამ ჩაიდინეს, რასაც ლორდი ვოლდემორი, რომელმაც არ იცოდა, რომ შენი ჯოხი მისი ჯოხის ტყუპისცალი იყო, ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა. იმ ღამით ის შენზე მეტად შეშინდა, ჰარი. შენ სიკვდილის შესაძლებლობა დაუშვი და შეეგუე კიდეც. ეს ისეთი რამ არის, რაც ლორდმა ვოლდემორმა ვერასოდეს ვერ შეძლო. შენმა სიმამაცემ მისას აჯობა, შენმა ჯოხმა კი – მის ჯოხს. რაც ამ დროს თქვენს ჯოხებს შორის მოხდა, ალბათ, პატრონების ურთიერთობის გამოძახილი იყო. ჩემი აზრით, ვოლდემორის აღდგომის ღამეს შენმა ჯოხმა მისი ჯოხის გარკვეული ძალა და თვისებები, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად ვოლდემორის მცირე ნაწილიც შეისრუტა. ამიტომ იყო, რომ როცა გასულ ზაფხულს ვოლდემორი მოგდევდა, შენმა ჯოხმა იცნო კაცი, რომელიც ერთდროულად მისი ნათესავიც იყო და მოსისხლე მტერიც და თავისივე ჯადოქრობა უკან მიახალა. ეს იმაზე ძლიერი ჯადოქრობა იყო, რაც ოდესმე ლუციუსის ჯოხს ჩაუდენია. შენს ჯოხში უკვე შენი დიდი ვაჟკაცობაცა და ვოლდემორის უმონყალო ოსტატობაც იდო და აბა, როგორ გაუძლებდა ამხელა ძალას ლუციუს მალფოის საწყალი ნაფოტი?!

Scanned by CamScanner

– თუ ჩემი ჯოხი ასეთი ძლიერი იყო, ჰერმიონმა როგორღა გატეხა? – ჰკითხა ჰარიმ.

– ჩემო კარგო, მისი საოცარი მოქმედება მხოლოდ ვოლდემორის წინააღმდეგ იყო მიმართული, იმ ჯადოქრის წინააღმდეგ, რომელიც ასე დაუფიქრებლად ჩაერია მაგიის უძლიერეს კანონებში. ის ჯოხი მხოლოდ მის წინააღმდეგ იჩენდა იმხელა ძალას, სხვა შემთხვევაში კი ჩვეულებრივი ჯოხი იყო... თუმცა, დარწმუნებული ვარ – ჩინებული, – ღიმილით დაასრულა დამბლდორმა.

ჰარი კარგა ხანს ან შეიძლება სულ რამდენიმე წამს ფიქრობდა. ამ ადგილას დროის მსვლელობას ვერავინ იგრძნობდა.

– მან თქვენი ჯოხით მომკლა.

– ჩემი ჯოხით ვერ მოგკლა, – შეუსწორა დამბლდორმა, – უნდა შევთანხმდეთ, რომ მკვდარი არა ხარ... თუმცა, რასაკვირველია, – დაუმატა მაშინვე, თითქოს შეეშინდა, უდარდელად არ გამომივიდესო, – შენს ტანჯვას არ ვაკნინებ. დარწმუნებული ვარ, სასტიკად ეწამე.

– ახლა არაფერი მიჭირს, – სუფთა, კრიალა ხელებზე დაიხედა ჰარიმ, – სადა ვართ?

– მეც ეგ უნდა მეკითხა, – მიიხედ-მოიხედა დამბლდორმა, – შენი აზრით, სად ვიქნებით?

სანამ დამბლდორმა არ ჰკითხა, ჰარიმ არ იცოდა, სად იმყოფებოდნენ, მაგრამ შეკითხვისთანავე მიხვდა, რომ პასუხი მზად ჰქონდა.

– სად, და... კინგს ქროსის სადგურს ჰგავს, ოღონდ, უფრო სუფთაა და ცარიელი; და არც მატარებლები ჩანს.

– კინგს ქროსის სადგური! – გულიანად გადაიხარხარა დამბლდორმა, – ღმერთო დიდებულო, მართლა?

– მაშ, თქვენი აზრით, სად ვართ? – ცოტა არ იყოს, წყენით ჰკითხა ჰარიმ.

– წარმოდგენა არა მაქვს, ჩემო კარგო. აქ, როგორც იტყვიან, შენი ტერიტორიაა.

ჰარი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა დამბლდორი. მოხუცი თითქოს აწვალებდა. ჰარი უხმოდ მიაშტერდა, მერე კი უფრო მნიშვნელოვანი რამ გაახსენდა და წამოიძახა:

– სიკვდილის საჩუქრები.

– დიხ, დიახ, – მიუგო დირექტორმა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ცოტა შეშფოთდა.

– რას მეტყვით?

პირველად მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ჰარი დამბლდორს იცნობდა, პროფესორი დიდებულ ბერიკაცს არ ჰგავდა. მან

Scanned by CamScanner

შემკრთალმა შეხედა ჰარის, გეგონება პატარა ბიჭია და დანაშაულზე წაასწრესო.

– მაპატიებ? – ჰკითხა ბოლოს, – მაპატიებ, რომ არ გენდობოდი? რომ არ გითხარი? ჰარი, მე მხოლოდ იმისი მეშინოდა, რომ შეიძლება ჩემსავით მარცხი გეგემა, ჩემი შეცდომები გაგემეორებინა. ბოდიშს გიხდი, ჰარი. უკვე კარგა ხანია, რაც მივხვდი, რომ შენ ჩემზე უკეთესი ადამიანი ხარ.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა დამბლდორის ხმითა და მის თვალებში მოწოლილი ცრემლებით შემკრთალმა ჰარიმ.

– საჩუქრებს, – წაილუღლუღა დამბლდორმა, – უგუნური კაცის ოცნებას!

– კი, მაგრამ საჩუქრები ხომ ნამდვილია?

– დიახ, ნამდვილია – სახიფათო და სულელების სატყუარა, – თქვა დამბლდორმა, – რა სისულელე ჩავიდინე, თუმცა, შენც ხომ იცი. შენგან დამალული არაფერი აღარ მაქვს.

– მე ვიცი? რა?

დამბლდორი მთელი სხეულით მიტრიალდა ჰარისკენ, მოციმციმე ცისფერ თვალებში ისევ ცრემლი უბრწყინავდა.

– სიკვდილის მბრძანებელი, ჰარი, სიკვდილის მბრძანებელი! ბოლოს და ბოლოს, რით ვჯობდი ვოლდემორს?

– როგორ თუ რით, – გაიოცა ჰარიმ, – ყველაფრით... მაგას როგორ მეკითხებით? თქვენ ხომ არავინ მოგიკლავთ, თუკი შეიძლებოდა, რომ არ მოგეკლათ!

– სწორია, სწორი, – ისე გაიხარა დამბლდორმა, თითქოს გამხნევება სჭირდებაო, – მაგრამ მეც ხომ ვეძებდი სიკვდილზე გამარჯვების გზებს, ჰარი.

– ოღონდ, მისნაირად არა, – თქვა ჰარიმ. უცნაური იყო, რომ ჰარი, რომელიც დამბლდორზე ბრაზობდა, ახლა ამ მაღალი, თაღოვანი ჭერის ქვეშ დამჯდარიყო და დამბლდორს დამბლდორისგანვე იცავდა, – თქვენ საჩუქრების საშუალებით ეძებდით და არა – ჰორკრუქსებით.

– საჩუქრებით და არა – ჰორკრუქსებით, – წაიდუდუნა დამბლდორმა, – სწორედაც.

სიჩუმე ჩამოვარდა. მათ უკან ის სულიერი ისევ ხვნეშოდა, მაგრამ ჰარი მას ყურადღებას აღარ აქცევდა.

– გრინდელვალდიც საჩუქრებს ეძებდა? – იკითხა ჰარიმ.

დამბლდორმა წამით თვალები დახუჭა და თავი დაუქნია.

– ყველაზე მეტად სწორედ მაგან დაგვაახლოვა, – თქვა წყნარად, – ორივენი ჭკვიანი, ამპარტავანი, ერთი და იმავე აზრით გატაცებული

Scanned by CamScanner

ბიჭები ვიყავით. დარწმუნებული ვარ, მიხვდი, რომ გოდრიკ ჰოლოუში იგნოტუს პერეველის საფლავისთვის მოინდომა ჩამოსვლა. უნდოდა, ის ადგილი გამოეკვლია, სადაც მესამე ძმა მოკვდა.

– ესე იგი, ყველაფერი მართალია? ძმები პერეველები...

– იმ ზღაპრის გმირები იყვნენ, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – ჰო, ასე მგონია. უკაცრიელ გზაზე სიკვდილთან შეხვედრისა კი რა გითხრა... მე უფრო მგონია, რომ ძმები პერეველები უაღრესად ნიჭიერი, საშიში ჯადოქრები იყვნენ და ის ძლევამოსილი ნივთები თავად შექმნეს, ხოლო სიკვდილისგან საჩუქრების მიღება, ალბათ, ლეგენდაა, რომელიც ამ ნივთების გარშემო გაჩნდა. მოსასხამი, როგორც უკვე იცი, საუკუნეობით გადადიოდა მამიდან ვაჟზე, დედიდან – ქალიშვილზე და იგნოტუსის უკანასკნელ ცოცხალ შთამომავლამდე მოაღწია, რომელიც, იგნოტუსის მსგავსად, გოდრიკ ჰოლოუში დაიბადა.

დამბლდორმა ჰარის გაუღიმა.

– მე?

– შენ. ხომ მიხვდი, რატომ იყო მოსასხამი ჩემთან იმ ღამეს, როცა შენი მშობლები დაიხოცნენ? ჯეიმსმა რამდენიმე დღით ადრე მაჩვენა ის. აი, თურმე როგორ ახერხებდა სკოლაში უჩუმრად ცელქობას! თვალს არ ვუჯერებდი. ვითხოვე, მინდოდა შემემოწმებინა. ამ სამი ნივთის გაერთიანებაზე უკვე აღარ ვოცნებობდი, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი, მინდოდა, კარგად დამეთვალიერებინა... ამნაირი მოსასხამი არ მენახა: უძველესი და ყოველმხრივ სრულყოფილი იყო... მამაშენის სიკვდილის შემდეგ, როგორც იქნა, ორი საჩუქრის მფლობელი გავხდი!

დამბლდორს ხმაში აუტანელი სიმწარე შეერია.

– მოსასხამი, ალბათ, მაინც ვერ უშველიდა, – სწრაფად თქვა ჰარიმ, – ვოლდემორმა იცოდა, სადაც იყო ჩემი დედ-მამა. მოსასხამი წყევლისგან ხომ ვერ დაიცავდა.

– მართალია, – ამოიოხრა დამბლდორმა, – მართალია.

ჰარიმ შეიცადა, მაგრამ დამბლდორი ჩუმად იჯდა და თვითონ შეაშველა სიტყვა:

– მაშ, როცა მოსასხამი ნახეთ, საჩუქრებს უკვე აღარ ეძებდით?

– არა, რა თქმა უნდა, – ძლივს გასაგონად თქვა დამბლდორმა. ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, რომ ჰარისთვის თვალი გაესწორებინა, – ხომ იცი, რაც მოხდა. შენ იმაზე მეტად ვერ შემიძულებ, ვიდრე მე მეზიზღება ჩემი თავი.

– სულაც არ მეზიზღებით...

– უნდა გეზიზღებოდე, – დამბლდორმა ღრმად ჩაისუნთქა, – ხომ

Scanned by CamScanner

იცი ჩემი დის ავადმყოფობის საიდუმლო; იცი, რაც იმ მაგლების გამო დაემართა. იცი, როგორ იძია შური საწყალმა მამაჩემმა და როგორ ზღო – აზკაბანში დალია სული. იცი, როგორ გადადო დედაჩემმა თავი არიანას მოსავლელად... ეს ამბავი მამწარებდა, მინდოდა, შინიდან გავქცეულიყავი, ჰარი, – უხეშად და ცივად თქვა დამბლდორმა, – ნიჭიერი, არაჩვეულებრივი ახალგაზრდა ვიყავი. დიდება მწყუროდა, გთხოვ, სწორად გამიგე, – დამბლდორს სახეზე ტკივილმა გადაუარა და კვლავ ბერიკაცს დაემსგავსა, – ყველა მიყვარდა, მშობლებიც და და-ძმაც, მაგრამ ეგოისტი ვიყავი, ჰარი, შენზე ბევრად ეგოისტი. შენ ხომ წარმოუდგენლად უანგარო ხარ... ჰოდა, როცა დედაჩემი მოკვდა, საპატრონოდ მე მერგო სნეული და და თავნება ძმა. გაცეხლებული ჩავედი სოფელში. ვფიქრობდი, მორჩა, ჩემი ამბავი დასრულდა-მეთქი! მერე კი, მოგეხსენება, ისიც ჩამოვიდა...

დამბლდორმა ჰარის ისევ გაუსწორა თვალი.

– გრინდელვალდი ჩამოვიდა. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიტაცა და ამანთო მისმა იდეებმა, ჰარი: დამორჩილებული მაგლები, მათზე გაბატონებული ჯადოქრები. მე და გრინდელვალდი – ჯადოქრული რევოლუციის ბრწყინვალე, ჭაბუკი ბელადები. ცოტას ვყოყმანობდი, მაგრამ სინდისს ცარიელი სიტყვებით ვიმშვიდებდი: ყველაფერი დიდი სიკეთისთვის ხდება და თუკი რამეს დავაშავებთ, მერე და მერე ეს ასმაგ კეთილდღეობას მოუტანს ჯადოქრებს-მეთქი. ნუთუ ვერ ვხვდებოდი, ვინც იყო გრინდელვალდი? ალბათ, ვხვდებოდი, მაგრამ თვალს ვხუჭავდი. თუ ჩვენი გეგმები ხორცს შეისხამდა, ჩემი ოცნებაც აღსრულდებოდა. ის გეგმები სულ სიკვდილის საჩუქრებზე იყო აგებული და ორივეს გვხიბლავდა! უძლეველი ჯოხი ძალაუფლებას მოგვიტანდა, სიცოცხლის ქვა მისთვის (თავს ვიკატუნებდი, თითქოს ვერ ვხვდებოდი) ინფერიუსების არმიას ნიშნავდა, ჩემთვის კი, გამოგიტყდები – ჩემი მშობლების გაცოცხლებასა და მხრებიდან ტვირთის მოხსნას. ხოლო მოსასხამი... მოსასხამზე, რატომღაც ბევრს არ ვლაპარაკობდით, ჰარი. ორივეს უმოსასხამოდაც მშვენივრად შეგვეძლო დამალვა, თუმცა, მოსასხამის ნამდვილი ძალა, რასაკვირველია, ის არის, რომ შეუძლია, პატრონიც დაიცვას და სხვებიც. ვფიქრობდი, თუ ვიპოვით, არიანას დასამალად გამომადგება-მეთქი, მაგრამ მოსასხამი, ძირითადად, იმიტომ გვაინტერესებდა, რომ ის სამეულს შეკრავდა, რადგან ლეგენდაში ნათქვამია, ვინც სამივე ნივთს გააერთიანებს, სიკვდილის ჭეშმარიტი მბრძანებელი სწორედ ის გახდებაო. ეს, ჩვენი აზრით, უძლეველობას ნიშნავდა. გრინდელვალდი და დამბლდორი – სიკვდილის უძლეველი მბრძანებლები! ჩემს ცხოვრებაში ეს სიგიჟის, სასტიკი ოცნებისა და ჩემი ოჯახის ორად

Scanned by CamScanner

ორი დარჩენილი წევრის უყურადღებოდ მიგდების ორი თვე იყო. მერე... ხომ იცი, რაც მოხდა. რეალობა ჩემი გაუთლელი, უწიგნური და ჩემზე ათასჯერ უკეთესი ძმის სახით დამიბრუნდა. ის სიმართლეს მიყვიროდა, მე კი გაგონებაც არ მინდოდა. გაგონებაც არ მინდოდა იმისი, რომ სუსტი და გაუწონაწორებელი და მებარა და მის გამო სიკვდილის საჩუქრების საძებნელად ვერ უნდა წავსულიყავი. კამათს ჩხუბი მოჰყვა. გრინდელვალდმა თავი ველარ შეიკავა და სასტიკი ძალა, რასაც მუდამ ვატყობდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ახლა მთელი საშინელებით დაგვატეხა თავს. არიანა... რაც დედაჩემი იმას უვლიდა და უფრთხილდებოდა... იატაკზე მკვდარი ეგდო.

დამბლდორს სუნთქვა შეეკრა და აქვითინდა. ჰარიმ ხელი გაინოდა და გაუხარდა, რომ შეეძლო შეეხებოდა. მკლავზე მაგრად მოუჭირა თითები. დამბლდორი თანდათან დაწყნარდა.

– გრინდელვალდი გაიქცა. ჩემ გარდა, ამას ყველა წინასწარ მიხვდებოდა. ის გაქრა და წაიღო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და მაგლების წამების გეგმები, სიკვდილის საჩუქრებზე ოცნება: ოცნება, რომელშიც მე ვუწყობდი ხელს და ვეხმარებოდი. ამ დროს მე დას ვმარხავდი და ვსწავლობდი, როგორ მეცხოვრა ჩემი სირცხვილის საზღაურით – დანაშაულის გრძნობითა და საშინელი დარდით. გავიდა წლები. გრინდელვალდზე ათასი ჭორი დადიოდა. ამბობდნენ, უძლეველი ჯოხი იშოვაო. მე, ამასობაში, მაგიის მინისტრის პოსტი შემომთავაზეს, თანაც, რამდენჯერმე. ბუნებრივია, ვიუარე. უკვე ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა მე ძალაუფლება მქონოდა.

– ჰო, მაგრამ ფაჯსა და სკრიმჯერს ხომ ათასჯერ აჯობებდით! – წამოისროლა ჰარიმ.

– ვითომ? – მძიმედ ჰკითხა დამბლდორმა, – მე ამაში დარწმუნებული არა ვარ. სიყმაწვილეშივე აღმოჩნდა, რომ ძალაუფლება ჩემი სისუსტე და ცდუნებაა. უცნაურია, ჰარი, მაგრამ ძალაუფლება, ალბათ, იმას უფრო შეეფერება, ვინც არასოდეს ისწრაფვის მისკენ. იმას, ვინც ხელმძღვანელობას შენსავით მხოლოდ იმიტომ კისრულობს, რომ უბრალოდ წილად ხვდა და ვალდებულია, თან თვითონვე უკვირს, რომ კარგად გამოსდის... რაც შემეხება მე, უკეთესი იყო, ჰოგვორტსში დავრჩენილიყავი. მე მგონი, კარგი მასწავლებელი ვიყავი...

– ყველაზე კარგი...

– მადლობელი ვარ, ჰარი. სანამ მე ახალგაზრდა ჯადოქრებს ვწვრთნიდი, გრინდელვალდი თავის არმიას ქმნიდა. ამბობენ, რომ ჩემი ეშინოდა. შეიძლება მართლა ეშინოდა კიდეც, მაგრამ ალბათ, იმაზე ნაკლებად, ვიდრე მე – მისი.

Scanned by CamScanner

ჰარის ხმა არ ამოუღია.

– არა, სიკვდილისა როდი მეშინოდა, – ისე განაგრძო დამბლდორმა, თითქოს ჰარის უსიტყვო შეკითხვას პასუხობსო, – იმისა არა, რასაც ჯადოქრობით მავნებდა. ვიცოდი, რომ ერთმანეთის სწორები ვიყავით; შეიძლება – მე მასზე ოდნავ უფრო დახელოვნებულიც კი. სიმართლისა მეშინოდა. ნამდვილად არ ვიცოდი, იმ საზარელ ბრძოლაში რომელმა ვტყორცნეთ ის შელოცვა, რომელმაც და მომიკლა. თუ გინდა, ლაჩარი დამიძახე, მართალი იქნები, ჰარი. ყველაზე მეტად იმისი მეშინოდა, არ გამეგო, რომ თურმე ჩემი დის სიკვდილის მიზეზი არა მხოლოდ ჩემი ქედმაღლობა და სისულელე იყო, არამედ საბოლოო სასიკვდილო დარტყმაც მე მიმიყენებია. მე მგონი, გრინდელვალდმა იცოდა, რისაც მეშინოდა. იმდენ ხანს ვაყოვნებდი მასთან შეხვედრას, სანამ ჩემი უმოქმედობა სამარცხვინო არ გახდა. ხალხი იხოცებოდა, გრინდელვალდს ვერავინ აჩერებდა და თუ რამე შემეძლო, უნდა გამეკეთებინა. მერე, ხომ იცი, რაც მოხდა: დუელში გავიმარჯვე და ჯოხი მე დამრჩა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარის დამბლდორისთვის არ უკითხავს, გაიგო თუ არა საბოლოოდ, ვინ მიაყენა არიანას სასიკვდილო დარტყმა. არ უნდოდა ამის ცოდნა; კიდევ უფრო ნაკლებად კი ის უნდოდა, დამბლდორისთვის ძალით ეთქმევინებინა. ახლა კი მიხვდა, რასაც დაინახავდა სილივრუს სარკეში ჩახედვისას დამბლდორი და რატომ მიხვდა მაშინ ასე კარგად, რით ხიბლავდა ის სარკე ჰარის.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. ჰარის იმ სულიერის კვნესა თითქმის აღარ ანუხებდა.

ბოლოს დამბლდორს უთხრა:

– გრინდელვალდმა ვოლდემორის შეჩერება სცადა. მოატყუა, ჯოხი არ მქონიაო.

დამბლდორმა თავი დაუქნია. ისევ იატაკს დაჰყურებდა და კეხიან ცხვირზე ჯერაც უბზინავდა ცრემლები:

– ამბობენ, ბოლო წლებში, ნურმენგარდის საკანში მარტო მჯდარს, სინდისის ქენჯნა აწუხებდაო. იმედი მაქვს, მართალია. მინდა ვიფიქრო, რომ გრძნობდა, რამდენი საშინელება ჩაიდინა და რცხვენოდა. იქნებ ვოლდემორს იმიტომ მოატყუა, რომ ცდილობდა, დანაშაული გამოესწორებინა... სცადა, ვოლდემორს საჩუქრები როგორმე ხელში არ ჩაეგდო.

– და თქვენი საფლავი არ წაებილწა? – ივარაუდა ჰარიმ. დამბლდორმა თვალები დახარა.

მოკლე პაუზის შემდეგ ჰარიმ თქვა:

– სიცოცხლის ქვის გამოყენება სცადეთ, არა?

Scanned by CamScanner

დამბლდორმა თავი დაუქნია:

– როცა იმდენი წლის შემდეგ გონტების მიტოვებულ სახლში ჩამარხული ის საჩუქარი ვიპოვე, რომელიც ყველაზე მეტად მსურდა – თუმცა, ახალგაზრდობაში სულ სხვა მიზნით ვესწრაფოდი... ჭკუა დავკარგე, ჰარი. დამავიწყდა, რომ უკვე ჰორკრუქსი იყო და ბეჭედი უსათუოდ დაწყევლილი იქნებოდა. ავიღე, გავიკეთე და წამით წარმოვიდგინე, რომ ცოტაც და არიანას, დედაჩემსა და მამაჩემს ვნახავდი და ვეტყოდი, როგორ ვდარდობდი მათ გამო... რა სისულელე ჩავიდინე, ჰარი! წლების მანძილზე ვერაფერიც ვერ ვისწავლე. სიკვდილის საჩუქრების გაერთიანების ღირსი რომ არ ვიყავი, წინათაც ვხვდებოდი, მაშინ კი საბოლოოდ დავრწმუნდი.

– რატომ? – ჰკითხა ჰარიმ, – ბუნებრივია, გინდოდათ, ისევ გენახათ ისინი. მაგაში ცუდი რა არის?

– ალბათ, მილიონში ერთ კაცს შეეძლო სამივე საჩუქრის გაერთიანება, ჰარი. მე ყველაზე შესაბრალისი და ყველაზე ნაკლებად უჩვეულო ნივთის ღირსი აღმოვჩნდი: მხოლოდ იმისთვის გამოვდექი, რომ დიდგულას ჯოხი მქონოდა და ის არც სატრაბახოდ და არც ვინმეს მოსაკლავად გამომეყენებინა. მისი მოთვინიერებისა და გამოყენების ნება იმიტომ მომეცა, რომ ჩემს სახეიროდ კი არ ავიღე, არამედ სხვების გადასარჩენად. მოსასხამი კი ფუჭმა ცნობისმოყვარეობამ წამომაღებინა. მე ვერასოდეს გამომადგებოდა ისე, როგორც თქვენ, ნამდვილ პატრონებს. ქვას კი იმისათვის თუ გამოვიყენებდი, რომ ძალით მომებრუნებინა ისინი, ვინც იქ მშვიდად არიან და არა იმისათვის, რომ შენსავით თავი გამეწირა. შენ საჩუქრების ღირსეული მფლობელი ხარ, ჰარი.

დამბლდორი ხელზე მოეფერა. ჰარიმ ბერიკაცს შეხედა, თავი ვერ შეიკავა და სიყვარულით გაუღიმა. უკვე აღარ შეეძლო, მასზე გაბრაზებული ყოფილიყო.

– ყველაფერი ასე რატომ გაართულეთ?

დამბლდორმა მორიდებით გაუღიმა.

– ჰერმიონის იმედად ვიყავი, ცოტას შეაყოვნებს-მეთქი. მეშინოდა, რომ შენს კეთილ გულს მოუთმენლობა გადაწონიდა. ვშიშობდი, რომ თუ პირდაპირ გეტყოდი იმ მაცდური ნივთების ამბავს, შეიძლება ჩემსავით უდროო დროს, მცდარი მიზეზით გეტაცა ხელი საჩუქრებისთვის. მინდოდა, უხიფათოდ დასაკუთრებოდი. შენ ხარ სიკვდილის ნამდვილი მბრძანებელი, რადგან ნამდვილი მბრძანებელი არ ცდილობს, სიკვდილს გაექცეს, არამედ აღიარებს, რომ უნდა მოკვდეს და ხვდება, რომ ცოცხალთა სამყაროში ბევრი რამ არის სიკვდილზე უარესი.

Scanned by CamScanner

– ვოლდემორმა საჩუქრების ამბავი არ იცოდა?

– არა მგონია: მან სიცოცხლის ქვა ვერ იცნო და ჰორკრუქსად აქცია. მაგრამ რომც სცოდნოდა, ვეჭვობ, პირველი საჩუქრის გარდა, რომელიმეს დაეინტერესებინა. არ იფიქრებდა, რომ მოსასხამიც საჭიროა, ხოლო ქვა... ვისი დაბრუნება მოუნდებოდა? მას ხომ მიცვალებულებისა ეშინია. არავინ არ უყვარს.

– მაგრამ ხომ მოელოდით, რომ ჯოხის ძებნას დაიწყებდა?

– ამაში დარწმუნებული ვიყავი მას მერე, რაც ლიტლ-ჰენგლტონის სასაფლაოზე შენმა ჯოხმა მისას სძლია. ჯერ დაფრთხა, შეეშინდა, ჩემზე მეტი ოსტატობა ხომ არ აქვს და ამიტომ ხომ არ მაჯობაო. მერე, როცა ოლივანდერი მოიტაცა, ტყუპი ჯოხების ამბავი გაიგო და იფიქრა, რომ ეს იყო ნამდვილი მიზეზი. თუმცა, შენი ჯოხის წინააღმდეგ არც ნათხოვარი ჯოხი გამოადგა! ჰოდა, ვოლდემორი, იმის ნაცვლად, რომ თავისი თავისთვის ეკითხა, ისეთი რა თვისება აქვს იმ ბიჭს, რაც მე არ გამაჩნიაო, ადგა და დაუმარცხებელი ჯოხის საძებნელად გაუდგა გზას. უძლეველი ჯოხი ისევე აიკვიატა, როგორც – შენ. სწამდა, რომ დიდგულას ჯოხი უკანასკნელ სისუსტეს მოაშორებდა და ჭეშმარიტად უძლეველს გახდიდა. საბრალო სევერუსი...

– თუ ეს გეგმა სნეიპთან ერთად დააწყვეთ, მაშ, გდომებიათ, რომ დიდგულას ჯოხი მას რგებოდა, არა?

– გამოგიტყდები, სწორედ ეგ მქონდა გუნებაში, – თქვა დამბლდორმა, – მაგრამ როგორც ჩავიფიქრე, ისე არ გამოვიდა...

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი, – მთლად ისე არ გამოვიდა.

მათ უკან ის რაღაც არსება ისევ იკრუნჩხებოდა და კვნესოდა, ხოლო ჰარი და დამბლდორი დიდხანს ისხდნენ ჩუმად და ჰარი ნელ-ნელა იმის შეგნებით აივსო, რაც ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

– უნდა დავბრუნდე, არა?

– შენი ნებაა.

– არჩევანი მაქვს?

– როგორ არა, – გაუღიმა დამბლდორმა, – ხომ ამბობ, კინგს ქროსზე ვართო? მე მგონი, თუ გადაწყვეტ, არ დაბრუნდე, შეგეძლება, მაგალითად, მატარებელს გაჰყვე.

– კი, მაგრამ სად წამიყვანს?

– წინ, – უბრალოდ უთხრა დამბლდორმა.

სიჩუმე ჩამოწვა.

– ვოლდემორს დიდგულას ჯოხი აქვს.

– მართალია. ვოლდემორს დიდგულას ჯოხი აქვს.

– და თქვენ მაინც გინდათ, რომ დავბრუნდე?

– მე მგონი, თუ დაბრუნებას გადაწყვეტ, არის შესაძლებლობა,

Scanned by CamScanner

რომ ვოლდემორს სამუდამოდ მოულო ბოლო. ამას დაბეჯითებით ვერ დაგპირდები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ აქ მობრუნება შენთვის ნაკლებად საშიში იქნება, ვიდრე მისთვის, – უთხრა დამბლდორმა.

ჰარიმ ისევ გახედა იმ საცოდავ არსებას, რომელიც მოშორებით მდგარი სკამის ქვეშ კანკალებდა და იხრჩობოდა.

– მკვდრები ნუ გეცოდება, ჰარი. ცოცხლები შეიცოდე, ყველაზე მეტად კი ისინი, ვინც უსიყვარულოდ ცხოვრობს. დაბრუნებით იმას იზამ, რომ ნაკლები სული დასახიჩრდება, უფრო ცოტა ოჯახი გაიხლიჩება. თუ ეს ღირსეულ მიზნად გეჩვენება, მაშინ დროა, ერთმანეთს დავემშვიდობოთ.

ჰარიმ თავი დაუქნია და ამოიოხრა. აქედან წასვლა ტყეში სიკვდილთან შესახვედრად შესვლაზე ძნელი არ იყო, მაგრამ აქ სითბო, სინათლე და სიმშვიდე სუფევდა, წინ კი ტკივილი და ახალი დანაკარგი ელოდა. ჰარი წამოდგა. დამბლდორიც ადგა და დიდხანს უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს.

– ერთი რამეც მითხარით, ეს სინამდვილეა თუ ჩემს გონებაში ხდება? – სთხოვა ჰარიმ.

დამბლდორმა გაბრწყინებულმა გაუღიმა და მიუხედავად იმ კაშკაშა ნისლისა, რომელიც ისევ ეშვებოდა და დამბლდორს ბურავდა, ჰარის მისი ხმა ზარის რეკვასავით ჩაესმა:

– რა თქმა უნდა, შენს გონებაში, ჰარი, მაგრამ ვინ გითხრა, რომ ამიტომ ეს სინამდვილე არაა?!..

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეთექვსმეტე

გეგმაში გაპარული შეცდომა

ჰარი ისევ პირქვე იწვა მიწაზე. ცხვირში ტყის სუნი ეცა. ლოყით ცივ, მაგარ მიწას ეკვროდა; სათვალის კაუჭი, რომელიც დაცემისას გვერდზე მოჰყვა, საფეთქელში ერჭობოდა. სხეულის ყოველი გოჯი სტკიოდა, ხოლო ის ადგილი, სადაც მომაკვდინებელი წყევლა ეძგერა, ისე გაბუუებოდა, თითქოს რკინის მუშტი მოხვდაო. ჰარი არ განძრეულა, იქვე ეგდო, სადაც დავარდა, მარცხენა ხელი უხერხულად ჰქონდა მოხრილი, პირი კი – დაღებული.

მისი სიკვდილით გახარებული სიკვდილის მხვრელების გამარჯვების შეძახილებისა და სიცილის გაგონებას ელოდა, მაგრამ ამის ნაცვლად აჩქარებული ნაბიჯების ხმა, ჩურჩული და მზრუნველობით სავსე დუდუნი მოესმა.

– მილორდ... მილორდ...

ბელატრისას ისეთი ხმა ჰქონდა, გეგონებოდათ, სატრფოს ელაპარაკებაო. ჰარიმ თვალის გახელა ვერ გაბედა, სამაგიეროდ, დანარჩენი გრძნობებით შეეცადა, თავისი სავალალო მდგომარეობა გაერკვია. იცოდა, რომ ჯოხი ჯერაც მანტიაში ედო, რადგან მკერდით ზედ აწვებოდა. მუცელი რაღაც რბილზე ედო, ესე იგი, უჩინმაჩინის მოსასხამიც ისევ უბეში ჰქონია.

– მილორდ...

– საკმარისია, – დაისისინა ვოლდემორმა, რასაც ნაბიჯების ტყაპატყუპის ხმა მოჰყვა. რამდენიმე კაცი ერთი და იმავე ადგილიდან უკან წავიდა. ჰარის ისე უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა და რატომ, რომ სულ ოდნავ გაახილა თვალები.

ვოლდემორი, ეტყობა, ფეხზე დგებოდა. სიკვდილის მხვრელები აჩქარებით მოშორდნენ მას და განაკაფის პირას ჩამწკრივებულებს შეუერთდნენ. ვოლდემორთან მხოლოდ გვერდით ჩაჩოქილი ბელატრისა დარჩა.

Scanned by CamScanner

ჰარიმ ისევ დახუჭა თვალები და ნანახზე დაფიქრდა. ვოლდემორი, ეტყობა, ძირს დაეცა და სიკვდილის მხვრელებიც ამიტომ შემოეხვივნენ გარს. როცა ჰარის მომაკვდინებელი წყევლა სტყორცნა, ნამდვილად რაღაც მოხდა. ვოლდემორმაც გონება დაკარგა? ალბათ. ცოტა ხნით ორივენი უგონოდ იყვნენ და ახლაღა მოსულიერდნენ...

– მილორდ, გთხოვთ...

– დახმარება არ მჭირდება, – ცივად თქვა ვოლდემორმა და, მიუხედავად იმისა, რომ ჰარი ვერ ხედავდა, მშვენივრად წარმოიდგინა, როგორ გამოსნია ბელატრისამ დასახმარებლად განვდილი ხელი, – ბიჭი... მოკვდა?

განაკაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარის არავინ მიახლოებია, მაგრამ იგრძნო, რომ თვალებით ჭამდნენ და ამან თითქოს უფრო მიაკრა მიწაზე. ეშინოდა, თითი არ გაეტოკებინა ან თვალი არ დაეხამხამებინა.

– შენ, – თქვა ვოლდემორმა, გაისმა დარტყმის ხმა და ვიღაცამ ტკივილისგან ხმადაბლა შეჰყვირა, – ნახე და მითხარი, მკვდარია თუ არა.

ჰარიმ არ იცოდა, ვინ გამოგზავნეს შესამოწმებლად. გული გამცემლურად უბაგუნებდა, გაუნძრევლად იწვა და ელოდა, როდის გასინჯავდნენ. მარტო ის ანუგეშებდა – თუმცა, რა ნუგეში ეს იყო, – რომ ვოლდემორი მასთან მიახლოებას უფრთხოდა; რომ ვოლდემორი ეჭვობდა, მოხდა თუ არა ყველაფერი გეგმის მიხედვით...

ჰარიმ აჩქარებული სუნთქვა სულ ახლოს გაიგონა, მერე ვიღაცის ნაზი ხელები სახეზე შეეხო და გულისცემა შეუმოწმა.

– დრაკო ცოცხალია? ციხე-კოშკშია? – ძლივს გაისმა ნარცისას ჩურჩული, მისი სახე ორიოდე სანტიმეტრზე დაშორებოდა ჰარისას და ისე დახრილიყო, რომ მისი გრძელი თმა ჰარის სახეს მაყურებლებისაგან იფარავდა.

– ჰო, – წასჩურჩულა პასუხად.

ქალმა ჰარის მკერდზე ისე მაგრად მოუჭირა თითები, რომ ფრჩხილები ჩაასო. მერე ხელი ფრთხილად მოაშორა და წამოჯდა.

– მკვდარია! – გასძახა ნარცისა მალფოიმ მაყურებლებს.

ახლა კი გამარჯვებულები აყვირდნენ, აღრიალდნენ და ფეხების ბრაგუნი ატეხეს. ჰარიმ წამწამებშუა დაინახა, როგორ აიჭრა ჰაერში საზეიმო წითელი და ვერცხლისფერი შუქი.

მკვდარივით გაშოტილი ჰარი უცებ მიხვდა, რომ ნარცისამ იცოდა, მხოლოდ დამპყრობ არმიასთან ერთად თუ მოახერხებდა ჰოგვორტსში შესვლასა და შვილის პოვნას. ვოლდემორის გამარჯვება სულ არ ადარდებდა.

Scanned by CamScanner

– ხედავთ? – დაიხრიალა ვოლდემორმა და ხმაური გადაფარა, – ჰარი პოტერი ჩემი ხელით მოკვდა და ახლა ვერც ერთი სულიერი ველარ დამემუქრება! უყურეთ! კრუციო!

ჰარი ამას ელოდა: დარწმუნებული იყო, მის გვამს ხელუხლებლად არ დატოვებდნენ ტყეში; ვოლდემორს თავისი გამარჯვების დასამტკიცებლად უნდა დაემცირებინა. ჰაერში აიწია და მთელი ძალ-ღონით შეეცადა, მოდუნებულიყო, თუმცა ტკივილი არც უგრძნია. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ააგდეს ჰაერში. სათვალე სადღაც გადაუფრინდა და იგრძნო, როგორ ჩაუცურდა ჯოხი მანტიის ქვეშ, მაგრამ მაინც დუნედ და უსიცოცხლოდ ეჭირა თავი. ბოლოს, როცა მოწყვეტით დავარდა მიწაზე, განაკაფი სიცილ-ხარხარმა შეაზანზარა.

– აბა, – ღაიძახა ვოლდემორმა, – ახლა ციხე-კოშკში წავალთ და ყველას ვაჩვენებთ, რა ბედი ეწია მათ გმირს. გვამს ვინ წამოათრევს? არა... მოიცა...

ისევ სიცილმა იფეთქა და ორიოდე წამში ჰარიმ მიწის ზანზარი იგრძნო.

– შენ წამოიღე, – ბრძანა ვოლდემორმა, – შენს ხელში უფრო კარგად გამოჩნდება. აიყვანე შენი პატარა მეგობარი, ჰაგრიდ. სათვალეც გაუკეთეთ... იოლად უნდა იცნონ...

ვიღაცამ ჰარის მთელი ძალით ჩააჭირა სათვალე, სამაგიეროდ, ვეებერთელა ხელებმა ფრთხილად და ნაზად ასწია. ჰარი გრძნობდა, ქვითინისგან როგორ უკანკალებდა ხელები ჰაგრიდს და როცა ჰარი ჩვილივით მიიხუტა გულზე, მისი უშველებელი ცრემლებიც დაეცა მკერდზე. ჰარიმ ვერ გაბედა, რომ მოძრაობით ან ჩურჩულით გაეგებინებინა ჰაგრიდისთვის, რომ ჯერაც ცოცხალი იყო.

– იარე, – ისევ ბრძანა ვოლდემორმა და ჰაგრიდი ბორძიკით წავიდა წინ. ახლო-ახლო მდგარ ხეებში გზას მიიკვლევდა და ღრმად შედიოდა ტყეში. ჰარის თმასა და მანტიაზე ტოტები ეხლებოდა, მაგრამ მაინც არ განძრეულა, პირდაღებული და თვალებდახუჭული იყო. სიბნელეში, სანამ გარს სიკვდილის მხვრელები ეხვეოდნენ, ხოლო ჰაგრიდი გულამომჯდარი ქვითინებდა, არავის მოფიქრებია მის შიშველ კისერზე დახედვა, რათა ენახა, უფეთქავდა თუ არა ძარღვი ჰარი პოტერს...

სიკვდილის მხვრელების უკან ორი გოლიათი მიბრაგუნებდა; ჰარის ესმოდა მათ მიერ გზად ნაქცეული ხეების ლაწალუწი; ამ აურზაურზე ჩიტები ისეთი ჭყივილით აფრინდნენ ჰაერში, რომ სიკვდილის მხვრელების შეძახილები და ღრიალიც კი დაფარეს. გამარჯვებულთა პროცესია გაშლილ ადგილზე გავიდა. მალე ჰარის დახუჭულ ქუთუთოებზე სიბნელე ცოტა გაფერმკრთალდა და მიხვდა, რომ ხეები შეთხელდა.

Scanned by CamScanner

– ბეინ!

ჰაგრიდის მოულოდნელ ბღავილზე ჰარიმ კინაღამ თვალები ჭყიტა:

– გიხარიათ, არა, თქვენ გარეშე რომ დამთავრდა ყველაფერი, თქვე მშიშარა ჯორებო? გიხარიათ, არა, ჰარი პოტერი რომ მო... მო... კვდა...?

ჰაგრიდს ხმა ჩაუწყდა და ისევ ცრემლად დაიღვარა. ჰარი დაინტერესდა, ნეტავი რამდენი კენტავრი გვიყურებსო, მაგრამ თვალის გახელა ვერ გაბედა. ზოგიერთმა სიკვდილის მხვრელმა სალანძღავი სიტყვები მიაძახა კენტავრებს და პროცესიამ გზა განაგრძო. ცოტა ხანში ჰარიმ გრილი ნიავი შეიგრძნო და მიხვდა, ტყიდან გადიოდნენ.

– შეჩერდი!

ჰარიმ იფიქრა, ალბათ, ჰაგრიდი აიძულეს შეჩერებულიყოო, რადგან ტყის მცველი ცოტათი შებარბაცდა. იქ, სადაც იდგნენ, სიცივე ჩამოწვა და ჰარიმ ხეებში მოდარაჯე დემენტორების ხრიალა სუნთქვა იგრძნო, ოღონდ ახლა ვერაფერს აკლებდნენ. ჰარის ისე აძლიერებდა თავისივე გადარჩენა, რომ დემენტორების საწინააღმდეგო თილისმასავით მოქმედებდა, თითქოს გულში მამის ხარირემი ჰყავდა მცველად.

ვიღაცამ ახლოს ჩაუარა და ჰარი მიხვდა, რომ თავად ვოლდემორი იყო. წამიც და, ბნელი ბატონი ალაპარაკდა. ჯადოქრობით გაძლიერებული მისი ხმა მთელ მიდამოს გადასწვდა და ჰარის კინაღამ ყურის აპკები დაუხეთქა.

– გაიგოს ყველამ: ჰარი პოტერი მოკვდა! მე ის მოვკალი, როცა გამირბოდა და თავის გადარჩენას ცდილობდა იმ დროს, როცა თქვენ მისთვის სიცოცხლეს სწირავდით. მისი ცხედარი თან წამოვიღეთ იმის დასამტკიცებლად, რომ თქვენი გმირი ნამდვილად მკვდარია. ბრძოლა მოვიგეთ. თქვენ მებრძოლების ნახევარი დაკარგეთ. ჩემი სიკვდილის მხვრელები თქვენზე მეტნი არიან, ხოლო ბიჭი, რომელიც ერთ დროს გადარჩა, უკვე აღარ არის. ნუღარ ვიომებთ. ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს, ქალი იქნება, კაცი თუ ბავშვი, მოვკლავთ და მთელ მის ოჯახს ზედ მივაყოლებთ. ამიტომაც მოგიწოდებთ, გამოდით ციხე-კოშკიდან, დამიჩოქეთ და დაგინდობთ. თქვენი მშობლები და შვილები, დები და ძმები იცოცხლებენ და შეწყალებას მიიღებენ, თქვენ კი ჩემთან ერთად შემოხვალთ იმ ახალ სამყაროში, რომელსაც ერთად ავაშენებთ.

ეზოში სიჩუმე ჩამოწვა. ციხე-კოშკიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვოლდემორი ისე ახლოს ედგა, რომ ჰარი თვალის გახელას ვერ ბედავდა.

Scanned by CamScanner

– წამოდი! – ბრძანა ვოლდემორმა და ჰაგრიდი აიძულა, მიჰყოლოდა. ჰარიმ ოდნავ გაახილა თვალები და დაინახა, რომ ვოლდემორი მის წინ მიაბიჯებდა. ნაგინი მოჯადოებული სფეროდან გამოეყვანა და მხრებზე მოეგდო. თუმცა, ჰარი მანტიის ქვეშ ჩამალულ ჯოხს ისე ვერ ამოიღებდა, რომ აქეთ-იქიდან ამომდგარ სიკვდილის მხვრელებს ნელ-ნელა გაფერმკრთალებულ სიბნელეში არ შეემჩნიათ...

– ჰარი, – ქვითინებდა ჰაგრიდი, – ვაიმე, ჰარი... ჰარი...

ჰარიმ ისევ მაგრად დახუჭა თვალები. მიხვდა, ციხე-კოშკს უახლოვდებოდნენ და ყური ცქვიტა, რათა სიკვდილის მხვრელების მოზეიმე ჟრიამულსა და ფეხების ბრაგაბრუგში გაეგონა, შიგნით ცოცხლები იყვნენ თუ არა.

– გაჩერდით.

სიკვდილის მხვრელები შედგნენ და სკოლის ღია ჭიშკრის წინ ჩამწკრივდნენ. ჰარიმ თვალდახუჭულმაც დაინახა უცაბედი გაელვება, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოსულებს ჰოლიდან სინათლე დაეცათ. ჰარი სულგანაბული ელოდა მომენტს, როცა ხალხი, ვისთვისაც მან სიცოცხლის გაწირვა სცადა, წუთი წუთზე დაინახავდა ჰაგრიდის მკლავებში დასვენებულ მკვდარ ჰარის.

– არა! – გაისმა საშინელი კივილი. ჰარი თავის დღეში ვერ იფიქრებდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პროფესორ მაკგონაგელს ასეთი კივილი შეეძლო. მახლობლად მდგარმა ბელატრისამ ისე მხიარულად გადაიხარხარა, ჰარი მიხვდა, რომ ალქაჯი მაკგონაგელის სასოწარკვეთით ხარობდა. წამით ისევ გააპარა თვალი და დაინახა, რომ ღია შესასვლელი ხალხით იყო სავსე. ბრძოლას გადარჩენილები კიბეზე გამოსულიყვნენ, რათა გამარჯვებულებისთვის თავი არ აერიდებინათ და საკუთარი თვალით ენახათ, მართლა მოკვდა თუ არა ჰარი. ვოლდემორი ოდნავ წინ იდგა და თეთრი თითით ნაგინის თავზე ეფერებოდა. ჰარიმ ისევ დახუჭა თვალები.

– არა!

– არა!

– ჰარი! ჰარი! – გაისმა საშინელი ნივილ-კივილი.

რონის, ჰერმიონისა და ჯინის ხმები მაგკონაგელის ხმაზე უარესი მოსასმენი იყო; ჰარის ერთი სული ჰქონდა, ხმა გაეცა მათთვის, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ხმა არ გაუღია. მათ ყვირილს დანარჩენებიც აჰყვნენ. ღრიალებდნენ და სიკვდილის მხვრელებს ლანძღავდნენ, სანამ ვოლდემორმა არ იყვირა:

– სიჩუმე! – გაისმა ბრაგუნი და იქვე ახლოს, სადაც ჰარი იწვა, კაშკაშა შუქმა გაიელვა. ყველას ენა ჩაუვარდა, – მორჩა! ფეხებთან დამიდე, ჰაგრიდ, მაგის ადგილი მანდ არის!

Scanned by CamScanner

ჰარიმ იგრძნო, რომ ბალახზე დაუშვეს.

– ხედავთ? – დაიძახა ვოლდემორმა და ჰარის გვერდით ბოლთის ცემას მოჰყვა, – ჰარი პოტერი მკვდარია! გესმით, გაბრიყვებულო ხალხო? ის არარაობა იყო: ბიჭი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მისთვის სხვები გასწირავდნენ თავს!

– ჰარიმ რამდენჯერ გაჯობა! – იბღავლა რონმა და ჯადო აიხსნა. ჰოგვორტსის დამცველებმა ისევ წივილ-კივილი ატეხეს, მაგრამ ერთ წამში უფრო ძლიერმა ბრაგუნმა ჩაუწყვიტათ ხმა.

– მე ის მაშინ მოვკალი, როცა აქედან გაპარვას ცდილობდა, – ვოლდემორს ხმაზე შეეტყო, რომ ეს სიცრუე სიამოვნებდა, – მაშინ მოკვდა, როცა თავის დაღწევას ლამობდა...

მაგრამ ვოლდემორს სიტყვა გააწყვეტინეს. ჰარიმ ჯერ შეხლა-შემოხლის ხმა, მერე ისევ ბრაგუნი და ტკივილით სავსე გმინვა გაიგონა; შუქმა ისევ გაიელვა. ჰარიმ სულ ცოტათი გაახილა თვალები – ხალხიდან ვიღაც გამოვარდნილიყო და ვოლდემორისკენ გამოქანებულიყო. ის ვიღაც განიარაღებული დავარდა და ვოლდემორმა სიცილით მოისროლა თავდამსხმელის ჯოხი.

– ეს ვინღაა? – იკითხა ჩუმი, გველისებური სისინით, – ვინ მოისურვა გიჩვენოთ, რა მოუვა მას, ვინც წაგებულ ბრძოლას გააგრძელებს?

ბელატრისამ მხიარულად გადაიხარხარა:

– ეს ნევილ ლონგბოტომია, მილორდ! ის ბიჭი, მოსვენებას რომ არ აძლევდა კეროუებს! აურორების ვაჟი, გახსოვთ?

– დიახ, მახსოვს, – ვოლდემორმა ნევილს დახედა. უიარაღო და დაუცველი ნევილი გადარჩენილებსა და სიკვდილის მხვრელებს შორის არსებულ ტერიტორიაზე წაქცეულიყო და ახლა ფეხზე წამოდგომას ცდილობდა, – მაგრამ შენ ხომ წმინდასისხლიანი ხარ, ვაჟკაცო?

– ვთქვათ, ვარ. მერე რა? – თქვა ნევილმა ხმამაღლა და ცარიელი ხელები მომუშტა.

– ჩანს, ძლიერი სულის პატრონი და უშიშარი ხარ, თანაც – კეთილშობილი წარმოშობისა. შენგან დიდებული სიკვდილის მხვრელი დადგება. შენნაირი ხალხი გვჭირდება, ნევილ ლონგბოტომ!

– ელოდე, სანამ შემოგიერთდები, – უთხრა ნევილმა და იყვირა, – სადა ხარ, „დამბლდორის არმიავ"! – ხალხიდან შეძახილებით გამოეპასუხნენ ისინი, ვინც, ეტყობა, ვოლდემორის ხმის დამხშობმა შელოცვამ ვერ გააჩუმა.

– ძალიან კარგი, – წყნარად თქვა ვოლდემორმა და ჰარიმ მისი ხმის სილბოში უფრო მეტი ხიფათი იგრძნო, ვიდრე ყველაზე ძლიერ

Scanned by CamScanner

წყევლაში, – თუ ასე გადაწყვიტე, ლონგბოტომ, თავდაპირველ გეგმას გავყვებით. ამას შენს თავზე იწვნევ.

ჰარი ისევ წამწამებშუა იყურებოდა და დაინახა, რომ ვოლდემორმა ჯოხი გაიქნია. წამიც და ციხე-კოშკის ჩატეხილი ფანჯრიდან ბინდბუნდში უფორმო, ჩიტისმაგვარი რაღაც გამოფრინდა და ვოლდემორს ხელზე დაეცა. ვოლდემორმა წვეტიანი ბოლოთი დაიქნია სიძველისგან ფორმადაკარგული ნივთი – ცარიელი და დაგლეჯილი, საკერებლებდადებული გამანაწილებელი ქუდი.

– ჰოგვორტსის სკოლაში აღარც განაწილება იქნება და აღარც კლუბები! – დაიძახა ვოლდემორმა, – ჩემი კეთილშობილი წინაპრის, სალაზარ სლიზერინის ემბლემა, გერბი და ფერებიც საკმარისია. არ მეთანხმები, ნევილ ლონგბოტომ?

ვოლდემორმა ჯოხი ჯიუტად გაჩუმებულ ნევილს დაუმიზნა, მერე კი ქუდი ისე ჩამოაფხატა თავზე, რომ თვალები დაუფარა. ციხე-კოშკის წინ მდგარი ხალხი ამოძრავდა, მაგრამ სიკვდილის მხვრელებმა იმწამსვე აღმართეს ჯოხები და ჰოგვორტსის დამცველებს სხვა რა გზა დარჩენოდათ – გაჩერდნენ.

– ახლა ნევილი გვიჩვენებს, რა მოუვათ იმ სულელებს, ვინც წინ გადამიდგებიან, – თქვა ვოლდემორმა და ჯოხის გაქნევით გამანაწილებელი ქუდი ცეცხლის ალში გაახვია.

იქაურობა კივილმა აავსო. ალმოდებული ნევილი ადგილზე იყო მიჯაჭვული და ვერ იძვროდა. მის წინ გათავისუფლებული ნაგინი ყელყელაობდა და ბიჭს თვალს არ აშორებდა. ჰარის გული შეეკუმშა, ამას ველარ მოითმენდა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა...

და ამ დროს ბევრი რამ ერთდროულად მოხდა:

სკოლის შორეული საზღვრიდან გუგუნი მოისმა, თითქოს ასობით ადამიანი კედლებზე გადმოდიოდა და საომარი შეძახილებით სკოლისკენ მოექანებოდა. იმწამსვე ციხე-კოშკის კუთხიდან გრაუპი გამობრაგუნდა და იბღავლა:

– ჰაგერ!

მის ღრიალს ვოლდემორის გოლიათების ღრიალი გაეპასუხა. გოლიათები მებრძოლი სპილოებივით გაექანნენ გრაუპისკენ და მიწას ზანზარი დააწყებინეს. მერე ფლოქვების თქარათქური და მშვილდების დაჭიმვის ხმა გაისმა. ამ მოულოდნელობებით გაკვირვებულ სიკვდილის მხვრელებს ისრების წვიმა დაატყდათ თავს, ისინი ისე დაიბნენ, ჯოხები საით დაემიზნებინათ, ველარ იგებდნენ. ჰარიმ მათი არეულობით ისარგებლა, მანტიის ქვეშიდან უჩინმაჩინის მოსასხამი გამოაძვრინა, გადაიფარა და წამოხტა. ნევილიც ამოძრავდა და ერთი სწრაფი მოძრაობით გაითავისუფლა თავი სხეულის

Scanned by CamScanner

შემკვრელი ჯადოსგან. უეცრად ალმოდებული ქუდი გადასძვრა და ნევილმა ქუდის სიღრმიდან რაღაც ვერცხლისფერი, მოელვარე, ლალებით შემკულვადიანი ნივთი ამოაძრო...

წინ გამოქანებული ხალხის ღრიალში, გოლიათების ბრაგაბრუგსა და კენტავრების თქარათქურში ვერცხლისფერი ხმლის წივილს ვინ გაიგონებდა, მაგრამ მაინც ყველამ მას გააყოლა თვალი: ნევილმა გველს ერთი დარტყმით წააცალა თავი; თავი ტრიალით აიჭრა ჰაერში და ჰოლიდან გამომავალ სინათლეში გაიბრწყინა. ვოლდემორმა ცოფიანივით იღრიალა, მაგრამ არავის გაუგონია. გველის სხეული მის ფერხთით დაენარცხა. უჩინმაჩინის მოსასხამქვეშ დამალულმა ჰარიმ ნევილსა და ვოლდემორს შორის დამცავი ფარი აღმართა და სანამ ვოლდემორი ნევილს მებრძოლ გოლიათებს მიუსევდა, ჰაგრიდის ბღავილმა ყველას ხმა გადაფარა:

– ჰარი! ჰარი რა იქნა?

ირგვლივ ქაოსი მეფობდა. კენტავრები წინ მიიწევდნენ და სიკვდილის მხვრელებს ფანტავდნენ. ყველა მხრიდან გოლიათების ბრაგაბრუგი ისმოდა. ჯადოქრებისკენ მოექანებოდა და მოგრიალებდა საიდანღაც მოსული დამხმარე ძალა; ჰარიმ დაინახა, როგორ დასტრიალებდნენ თავს ვოლდემორის გოლიათებს ვეება ფრთოსანი თესტრალები და ჰიპოგრიფი ბაკბიკი და როგორ უკორტნიდნენ თვალებს. გრაუპი მთელი ძალ-ღონით იქნევდა უზარმაზარ მუშტებს. ჯადოქრები – ჰოგვორტსის დამცველებიცა და სიკვდილის მხვრელებიც – იძულებულები გახდნენ, ციხე-კოშკისკენ დაეხიათ. ჰარი ჯადოსა და წყევლას ესროდა ყოველ სიკვდილის მხვრელს, რომელსაც დაინახავდა. ისინიც აიბნენ, არ იცოდნენ, ვინ ან რა უტევდათ და შეშინებულები უკან იხევდნენ. ჯერაც უჩინმაჩინის მოსასხამქვეშ დამალულმა ჰარიმ ხალხის ნაკადის გარღვევა შეძლო და ჰოლში შევარდა: ვოლდემორს ეძებდა. დაინახა კიდეც – მოშორებით, დიდი დარბაზისკენ იხევდა, ჯოხიდან აქეთ-იქით ტყორცნიდა შელოცვებს და თავის მიმდევრებს მითითებებს უყვიროდა. ჰარიმ ისევ დამცავი ფარები აღმართა და სიმუს ფინიგანი და ჰანა ებოტი სასიკვდილო წყევლისაგან იხსნა. ვოლდემორს გადარჩენილებმა ჰარის ჩაუქროლეს, დიდ დარბაზში შეცვივდნენ და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

კიბეზე სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ამოდიოდა. ჰარიმ დაინახა, როგორ გამოუსწრო ჩარლი უისლიმ ისევ ზურმუხტისფერ პიჟამაში გამოწყობილ ჰორაციუს სლაგჰორნს. როგორც ეტყობოდა, ორივენი საბრძოლველად დარჩენილი ჰოგვორტსელი სტუდენტების ოჯახებსა და მეგობრებს მოუძღოდნენ. მათ ჰოგსმიდის მაღაზიებისა

Scanned by CamScanner

და სასტუმროების პატრონები მოჰყვებოდნენ. დარბაზში ფლოქვების თქარათქურით შემოიჭრნენ კენტავრები: ბეინი, რონანი და მაგორიანი, იმავე წამს ჰარის უკან სამზარეულოში ჩამავალი კარიც შემოიგლიჯა და ჰოგვორტსის შინაური ელფები კივილითა და ხორცის საჭრელი დანების ტრიალით შემოიჭრნენ ჰოლში. მათ რეგულუს ბლექის მედალიონით მკერდდამშვენებული კრეჩერი მოუძღოდა და თავისი გომბეშოს ყიყინისმაგვარი ხმით ამ გუგუნ-გრიალსაც კი ფარავდა:

– წინ! ჩემი ბატონის, შინაური ელფების დამცველისთვის! მამაცი რეგულუსის სახელით ეომეთ ბნელ ბატონს! წინ!

შინაური ელფები სიკვდილის მხვრელებს კოჭებსა და წვივებს დანებით უსერავდნენ, პაწაწინა სახეები ბრაზით ჰქონდათ ავარვარებული. ჰარი ხედავდა, რომ სიკვდილის მხვრელები უკან იხევდნენ, რადგან ამდენ მოწინააღმდეგეს ველარ უმკლავდებოდნენ – შელოცვებს ველარ იცილებდნენ, ფეხები ელფებისგან ჰქონდათ დასერილი, ჭრილობებიდან ისრებს იძრობდნენ ანდა, უბრალოდ, თავის დაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ბრბოში იჭყლიტებოდნენ.

თუმცა, ეს ჯერ დასასრული არ იყო: ჰარიმ ამ ზედახორაში როგორღაც გზა მონახა და დიდ დარბაზში შევარდა.

ვოლდემორი ბრძოლის შუაგულში იყო და ვისაც მისწვდებოდა, ყველას წყევლას უშენდა. ჰარის შელოცვის ზუსტად ტყორცნის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ გზა გაიკვლია და ჯერაც უჩინარი მიუახლოვდა ვოლდემორს. დიდ დარბაზში ხალხი მატულობდა და მატულობდა, რადგან ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, ყველა შიგნით მოიკვლევდა გზას.

ჰარიმ დაინახა, როგორ დააგდეს იატაკზე ჯორჯმა და ლი ჯორდანმა იაქსლი, რა ღრიალით დასცა დოლოხოვი ფლიტვიკმა, როგორ გადაისროლა ჰაგრიდმა უოლდენ მაკნერი, რომელიც ქვის კედელს მიეხეთქა და უგონოდ ჩაცურდა იატაკზე; დაინახა, როგორ გააკრეს მიწას რონმა და ნევილმა ფენრირ გრეიბექი. აბერფორტმა რუკვუდი გააშეშა, არტური და პერსი თიკნესს მისდევდნენ, ხოლო ლუციუს და ნარცისა მალფოები ბრძოლას არც კი ცდილობდნენ: დარბოდნენ და ბვილს ეძებდნენ.

ვოლდემორი ახლა ერთდროულად მაკგონაგელს, სლაგჰორნსა და კინგსლის ებრძოდა. სახეზე ცივი სიძულვილი ეწერა. მოწინააღმდეგეები მის წინ დაქროდნენ და წყევლას მარჯვედ იცილებდნენ, მაგრამ ბოლოსაც ვერ უღებდნენ...

ვოლდემორისაგან ოცდაოდე მეტრის დაშორებით მდგარი ბელატრისაც თავისი ბატონივით სამს ერთად უმკლავდებოდა: ჰერმიონს,

Scanned by CamScanner

ჯინისა და ლუნას. სამივენი თავგამოდებით ებრძოდნენ, მაგრამ ვერ სჯობნიდნენ. ჰარისაც მთელი გულისყური იქით გაექცა, რადგან ჯინის ისე ახლოს ჩაუარა მომაკვდინებელმა წყევლამ, რომ ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

ჰარიმ გეზი შეიცვალა და ბელატრისასკენ გაიქცა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი არ გადაედგა, რომ ვიღაცამ გვერდზე გადააგდო:

– ჩემს ქალიშვილს არაფერი დაუშავო, შე ქოფაკო, შენა!

ბელატრისასკენ ქალბატონი უისლი გარბოდა. გზადაგზა მოსასხამი მოისროლა და ხელები გაითავისუფლა. ბელატრისა ადგილზე შემობზრიალდა და ახალი მოწინააღმდეგის დანახვაზე ხარხარი აუვარდა.

– მომეცალეთ! – დაუყვირა ქალბატონმა უისლიმ სამივე გოგონას, ჯოხი ღონივრად გაიქნია და ორთაბრძოლა დაიწყო. ჰარი შიშითა და აღტაცებით უყურებდა, როგორ ნუოდა და ბზრიალებდა მოლი უისლის ჯოხი. ბელატრისა ლესტრეინჯს ღიმილი ჩაუქრა და ღრენა დაიწყო. ორივე ჯოხიდან გამოფრქვეულმა სინათლის კონებმა გარშემო იატაკი ამოწვა და დაბზარა; ქალები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ.

– გაიწიეთ! – დაუყვირა ქალბატონმა უისლიმ საშველად გამოქცეულ რამდენიმე სტუდენტს, – უკან დაიხიეთ! ამას მე უნდა მოვუღო ბოლო!

ასობით ადამიანი კედელზე აკრული უყურებდა ორ ბრძოლას: ვოლდემორისა და მისი სამი მოწინააღმდეგისას და ბელატრისასა და მოლისას. ჰარი უჩინრად იდგა, აღარ იცოდა, რა ექნა, ვოლდემორზე თავდასხმაც უნდოდა და ქალბატონი უისლის დაცვაც, მაგრამ ეშინოდა, შელოცვა რომელიმე თავისიანისთვის არ მოეხვედრებინა.

– რა ეშველებათ შენს შვილებს, როცა მოგკლავ? – დასცინა ქალბატონ უისლის თავისი ბატონივით გააფთრებულმა ბელატრისამ, თან მისკენ ელვის სისწრაფით მქროლავი წყევლის ასარიდებლად აქეთ-იქით დახტოდა, – როცა დედიკო თავის ფრედს გაჰყვება?

– ჩვენს შვილებს ხელს ვეღარ ახლებ! – იკივლა ქალბატონმა უისლიმ.

ბელატრისამ ისე უდარდელად გაიცინა, როგორც თავის დროზე მისმა დეიდაშვილმა სირიუსმა, სანამ ფარდის უკან გადავარდებოდა და ჰარიმ იმწამსვე გააცნობიერა, რაც მოხდებოდა მერე: მოლის წყევლა მკლავქვეშ გაუძვრა ბელატრისას და პირდაპირ მკერდში ეძგერა.

ბელატრისას უდარდელი ღიმილი სახეზე შეეყინა და თვალები თითქოს გამოებურცა. წამის მეასედში მიხვდა, რაც მოხდა, მერე კი

Scanned by CamScanner

უსულოდ დაეცა. მაყურებლებმა იღრიალეს, ვოლდემორმა შეჰკივლა.

ჰარი თითქოს შენელებულ კადრს უყურებდა: მაკგონაგელი, კინგსლი და სლაგჰორნი ტრიალ-ტრიალით გადაცვივდნენ უკან, რადგან ვოლდემორმა ბომბივით ააფეთქა თავისი უკანასკნელი, საუკეთესო თანაშემწის დაცემით მოგვრილი მრისხანება. მერე ჯოხი ასწია და მოლი უისლის დაუმიზნა.

– პროტეგო! – მთელი ხმით იყვირა ჰარიმ და დარბაზის შუაგულში დამცავი ფარი აღმართა. ვოლდემორმა მიიხედ-მოიხედა და ჰარიმ, როგორც იქნა, უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო.

გაისმა განცვიფრებული და აღტაცებული წივილ-კივილი, ვაშა და შეძახილები: „ჰარი!“ „ცოცხალია!“ მაგრამ ხმაური იმწამსვე მიწყდა. ხალხი უცებ შეშინდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ვოლდემორმა და ჰარიმ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და მაშინვე წრეზე დაიწყეს სიარული.

– არავინ არ მომეშველოს, – ხმამაღლა თქვა ჰარიმ და იმ სამარისებურ სიჩუმეში მისი ხმა საყვირის ჟღერასავით გაისმა, – ასე უნდა მოხდეს. ეს ჩემი გასაკეთებელია!

– პოტერი ხუმრობს, – დაისისინა ვოლდემორმა და წითელი თვალები გაუფართოვდა, – ეგ როდი სჩვევია! დღეს ვის აიფარებ ფარად, პოტერ?

– არავის, – უბრალოდ მიუგო ჰარიმ, – ჰორკრუქსები აღარ არსებობს. მე და შენღა დავრჩით. ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე. ცოტა ხანში რომელიმე სამუდამოდ წავა აქედან...

– რომელიმე? – დასცინა ვოლდემორმა. მთელი სხეული დაეჭიმა და წითელი თვალებით ისე მიაშტერდა, თითქოს გველი თავდასხმისთვის ემზადებოდა, – მაშ, გგონია, შენ მაჯობებ? ბიჭი, რომელიც შემთხვევით, დამბლდორის ჩუმჩუმელაობით გადარჩა?

– ისიც შემთხვევით იყო, რომ დედაჩემი ჩემ გადასარჩენად მოკვდა? – ჰკითხა ჰარიმ. ისევ შორიშორს უვლიდნენ ერთმანეთს და ისეთ სრულყოფილ წრეზე მოძრაობდნენ, რომ მათ შორის დისტანცია ერთხელაც არ შეცვლილა. ჰარისთვის ახლა არც ერთი სახე არ არსებობდა, გარდა ვოლდემორის სახისა, – შემთხვევით იყო, რომ იმ სასაფლაოზე ბრძოლა გადავწყვიტე? შემთხვევით იყო, რომ რამდენიმე წუთის წინ ტყეში შენ წინაშე თავი არ დავიცავი, მაინც გადაერჩი და საბრძოლველად დავბრუნდი?

– დიახ, შემთხვევით! – შეჰკივლა ვოლდემორმა, თუმცა შეტევას მაინც არ ჩქარობდა. მაყურებლები გაშეშების შელოცვამოვლენილებივით გაყინულიყვნენ. გეგონებოდა, დარ-

Scanned by CamScanner

ბაზში მყოფი ასეულობით ადამიანიდან ამ ორის გარდა არავინ სუნთქავდა, – შენ გადაგარჩინა შემთხვევამ, ბედმა და კიდევ იმან, რომ მინაზე ხოხავდი, ნუნუნებდი, უფროსების კალთას ეფარებოდი და შენ მაგივრად მათ მახოცვინებდი!

– ამაღამ ვეღარავის მოკლავ, – მტკიცედ უთხრა ჰარიმ და თავისი მწვანე თვალები მის წითელ თვალებს გაუშტერა, – ვერც ამაღამ და ვერც ვეღარასოდეს. ვერ ხვდები? მე თავი იმიტომ გადავდე სასიკვდილოდ, რომ ამ ხალხისთვის ვეღარაფერი გევნო...

– ჰო, მაგრამ ხომ არ მოკვდი!

– მთავარია, რომ მინდოდა. დედაჩემივით მოვიქეცი. ახლა ვეღარავის ვერაფერს დაუშავებ. ვერ შეამჩნიე, რომ არც ერთ შენს შელოცვას ძალა აღარ აქვს? ვეღარავის მიეკარები, ვეღარავის ანამებ, ვეღარავის მოკლავ... შეცდომებზეც კი ვერ სწავლობ, რიდლ!

– როგორ ბედავ...

– ვბედავ, – იყვირა ჰარიმ, – მე ის ვიცი, რაც შენ არა, ტომ რიდლ! ათასი მნიშვნელოვანი რამ, რისაც შენ არაფერი გაგეგება. გინდა, ცოტა რამ მაინც გაგიმხილო, სანამ ერთ დიდ შეცდომასაც დაუშვებ?

ვოლდემორმა პასუხი არ გასცა, ისევ წრეს უვლიდა. ჰარი მიხვდა, რომ მოახერხა და ვოლდემორს დროებით ჰიპნოზი გაუკეთა, გააჩერა და აფიქრებინა, რომ შეიძლება ჰარიმ მართლაც იცოდა საბოლოო საიდუმლო...

– ისევ სიყვარული? – გველისებური სახე სიცილმა დაუღმიჭა ვოლდემორს, – ეს დამბლდორის საყვარელი განმარტებაა – სიყვარული, რომელიც ვითომ სიკვდილს ამარცხებს, თუმცა, ამან თავად მასაც კი ვერ უშველა – კოშკიდან გადავარდა და ცვილის ფიგურასავით დაიმტვრა! სიყვარულმა ხელი ვერ შემიშალა და შენი მუქსისხლიანი დედა ტარაკანივით გავსრისე, პოტერ... აბა, ვის უყვარხარ ისე, რომ გამოიქცეს და ჩემი წყევლა მიიღოს? რა დაგიფარავს სიკვდილისგან?

– ერთი რამ!

– თუ დღეს სიყვარული ვერ გადაგარჩენს, – განაგრძო ვოლდემორმა, – მაშინ ეტყობა, დარწმუნებული ხარ, რომ ისეთი ჯადოქრობა შეგიძლია, როგორიც მე – არა, ან ჩემზე მძლავრი იარაღი გაქვს...

– ერთიცა და მეორეც, – მიუგო ჰარიმ და შეამჩნია, როგორ გადაუარა ელდამ გველისებურ სახეს, მაგრამ წამსვე გაიფანტა; ვოლდემორმა სიცილი ატეხა. ეს ხმა უფრო შიშის მომგვრელი იყო, ვიდრე მისი კივილი; უსიხარულო და გიჟურმა სიცილმა მდუმარე დარბაზი შემოირბინა.

– მაშ, გგონია, შენ უფრო მეტი ჯადოქრობა შეგიძლია, ვიდრე მე?

Scanned by CamScanner

მე, ლორდ ვოლდემორს, ვისაც ისეთი ჯადოქრობა ჩაუდენია, რაზეც თვით დამბლდორიც კი ვერ იოცნებებდა?

– როგორ არ იოცნებებდა, მაგრამ მან შენზე მეტი იცოდა. იმდენი, რომ ის არ იკადრა, რაც შენ იკადრე, – უთხრა ჰარიმ.

– მაშ, სუსტი ყოფილა! – იყვირა ვოლდემორმა, ვერ გაბედა, რომ აელო ის, რაც შეიძლება მისი ყოფილიყო, რაც ჩემი აუცილებლად იქნება!

– არა, ის შენზე ჭკვიანი იყო, შენზე უკეთესი ჯადოქარი და უკეთესი ადამიანი, – თქვა ჰარიმ.

– ალბუს დამბლდორი მე მოვაკვლევინე!

– ეგრე გეგონა, მაგრამ ცდებოდი.

– ვცდებოდი? დამბლდორი მკვდარია! – მიახალა ვოლდემორმა, – ამ ციხე-კოშკის ეზოში, მარმარილოს საფლავში წევს. მისი ცხედარი ჩემი თვალით ვნახე, პოტერ.

– ჰო, დამბლდორი მკვდარია, – წყნარად მიუგო ჰარიმ, – მაგრამ ის შენ არ მოგიკლავს. თვითონვე აირჩია, როგორც უნდა მომკვდარიყო. ეს ყველაფერი სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაგეგმა იმ კაცთან ერთად, ვინც შენ ყოველთვის შენი მსახური გეგონა.

– ეგ რაღა ბავშვური ტიტინია? – წითელ თვალებს არ აშორებდა ვოლდემორი, შეტევას კი ჯერ არ აპირებდა.

– სევერუს სნეიპი დამბლდორის კაცი იყო, – უპასუხა ჰარიმ, – დამბლდორისა იყო იმ წამიდან მოყოლებული, რაც დედაჩემზე ნადირობა დაიწყე. მაგრამ ამას რას მიხვდებოდი, შენ ხომ მთავარი რამ არ გესმის! გინახავს სნეიპის პატრონუსი, რიდლ?

ვოლდემორმა პასუხი არ გასცა. მგლებივით უვლიდნენ ერთმანეთს გარშემო, გეგონება, წამიც და – ერთმანეთს დაგლეჯენო.

– სნეიპის პატრონუსი ფურირემი იყო, – განაგრძო ჰარიმ, – ისევე, როგორც დედაჩემისა, იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე თავდავიწყებით უყვარდა. ისე, კი უნდა მიმხვდარიყავი, – ჰარიმ დაინახა, როგორ აუთრთოლდა ვოლდემორს ნესტოები, – ხომ გთხოვა, დაინდეო?

– ეგ ქალი, უბრალოდ, სურდა, მეტი არაფერი, – დაისისინა ვოლდემორმა, – რომ მოვკალი, დამეთანხმა კიდეც, რომ სხვა ქალებიც არსებობდნენ – უფრო წმინდა სისხლისა და მისი შესაფერისი...

– რა თქმა უნდა, მაგას გეტყოდა, – დაუდასტურა ჰარიმ, – მაგრამ იმ წამიდან, რაც ჩემი მშობლები ამოიღე მიზანში, სნეიპი დამბლდორის ჯაშუში იყო და შენ წინააღმდეგ მოქმედებდა! დამბლდორს ისედაც ცოტა სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, როცა სნეიპმა ბოლო მოუღო!

– ეგ სულერთია! – ცივი ხმით იყვირა ვოლდემორმა. მიუხედავად

Scanned by CamScanner

იმისა, რომ ყოველ სიტყვას დაძაბული უსმენდა, გიჟური ხარხარი ატეხა, – რა მნიშვნელობა აქვს, ჩემი იყო სნეიპი თუ დამბლდორისა, ან იმას, თუ რა წვრილ-წვრილ დაბრკოლებებს მახვედრებდნენ გზაზე! ისინიც ისე გავსრისე, როგორც დედაშენი, სნეიპის ვითომდა დიდი სიყვარული! ეს ამბები მართლაც ნიშნავს რაღაცას, მაგრამ იმას არა, რაც შენ გგონია! დამბლდორი ცდილობდა, უძლეველი ჯოხი მე არ მრგებოდა! მას უნდოდა, სნეიპი ყოფილიყო ჯოხის ნამდვილი პატრონი, მაგრამ დაგასნარი, პატარა ბიჭო... ჯოხი მანამ დავისაკუთრე, სანამ შენ ნაავლებდი ხელს, შენზე ადრე მივხვდი სიმართლეს. სამი საათია, რაც სევერუს სნეიპი მოვკალი და დიდგულას ჯოხი, სიკვდილის ჯოხი, უძლეველი ჯოხი ახლა ჩემია! დამბლდორის ბოლო გეგმა ჩაიშალა, ჰარი პოტერ!

– დიახ, მართალი ხარ. მაგრამ სანამ მოკვლას დამიპირებ, გირჩევ, დაფიქრდე, რაც ჩაიდინე... იფიქრე და იქნებ სინდისმა ცოტათი მაინც შეგაწუხოს, რიდლ... – უთხრა ჰარიმ.

– რაო?

ვოლდემორს აქამდე ისე ელდასავით არაფერი სცემია, როგორც უკანასკნელი სიტყვები. ვოლდემორს გუგები ღრიჭოებივით დაუვიწროვდა და თვალების გარშემო კანი გაუთეთრდა.

– ეგლა დაგრჩენია, – განაგრძო ჰარიმ, – სხვა გზა არა გაქვს... ვნახე, რაც მოგივა, თუ ამას არ იზამ... ამიტომაც გაფრთხილებ... ეცადე, მოინანიო...

– როგორ ბედავ? – ისევ გაიმეორა ვოლდემორმა.

– ვბედავ, – უთხრა ჰარიმ, – იმიტომ, რომ დამბლდორის ბოლო გეგმის ჩავარდნა მე კი არა, შენ მოგიბრუნდა ავად.

ვოლდემორს დიდგულას ჯოხი ხელში უცახცახებდა. ჰარიმ დრაკოს ჯოხი ჩაბღუჯა. იცოდა, მოსახდენს რამდენიმე წამიღა აშორებდა.

– უძლეველი ჯოხი წესისამებრ იმიტომ არ გემორჩილება, რომ სულ სხვა კაცი მოკალი. სევერუს სნეიპი ჯოხის ნამდვილი პატრონი არ ყოფილა, დამბლდორი მას არ დაუმარცხებია.

– მან მოკლა...

– არ გესმის? სნეიპს დამბლდორი არ დაუმარცხებია! დამბლდორმა და სნეიპმა ერთად დაგეგმეს ეს სიკვდილი! ასე რომ, დამბლდორი თავისი ნებით მოკვდა – დაუმარცხებელი, ჯოხის ნამდვილი, უკანასკნელი პატრონი! ყველაფერი რომ გეგმის მიხედვით წარმართულიყო, ჯოხის ძალაც დამბლდორთან ერთად მოკვდებოდა. თუმცა, ასე არ მოხდა, მას ჯოხი წაართვეს!

– ჰო, რა თქმა უნდა, პოტერ, ჯოხი დამბლდორს სწორედაც რომ წავართვი! – ვოლდემორს ავი სიხარულით აუთრთოლდა ხმა, – მე

Scanned by CamScanner

ის უკანასკნელი პატრონის საფლავიდან ამოვიღე! ბოლო პატრონის სურვილის წინააღმდეგ! ამ ჯოხის ძალა ჩემია!

– მაინც ვერაფერს მიხვდი, რიდლ. ჯოხის ქონა არ კმარა! მარტო ხელში ჭერითა და ხმარებით შენი არ გახდება! ოლივანდერს მაინც არ უგდებდი ყურს? ჯოხი ირჩევს ჯადოქარს... დიდგულას ჯოხმა დამბლდორის სიკვდილამდე ცნო ახალი პატრონი, ის, ვისაც ხელიც არ უხლია მისთვის. ახალმა პატრონმა დამბლდორს ჯოხი წაართვა, მაგრამ ისე, რომ ვერც იმას მიხვდა, რა ჩაიდინა და ვერც მით უმეტეს იმას, რომ მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ჯოხმა გამოუცხადა მორჩილება...

ვოლდემორს მკერდი სწრაფად ებერებოდა. ჰარი გრძნობდა, რომ სადაცაა მის ტუჩებს წყევლა მოსწყდებოდა და ჰარისთვის დამიზნებული უძლეველი ჯოხიდან გამოიტყორცნებოდა.

– უძლეველი ჯოხის ნამდვილი პატრონი დრაკო მალფოი იყო.

ვოლდემორს თვალებში ერთბაშად გაუკრთა შიში, მაგრამ მაშინვე გაუქრა.

– მერე, რა? – თქვა წყნარად, – მართალიც რომ იყო, პოტერ, ჩემთვისაც და შენთვისაც მაინც სულერთია. აღარც შენ გაქვს ფენიქსის ჯოხი. ოსტატობით თუღა შევეჯიბრებით ერთმანეთს... ხოლო როცა მოგკლავ, დრაკო მალფოის მივაკითხავ...

– დაგაგვიანდა, – უთხრა ჰარიმ, – შანსი ხელიდან გაუშვი. მე დაგასწარი. უკვე რა ხანია, რაც დრაკო დავამარცხე და ჯოხი წავართვი.

ჰარიმ დრაკოს კუნელის ჯოხი შეათამაშა და იგრძნო, რომ დარბაზში ყველა თვალი ჯოხს მიაშტერდა.

– მოკლედ, აი, საქმე რა არის, – წაიჩურჩულა ჰარიმ, – იცის თუ არა ჯოხმა, რომ ბოლო პატრონი განუიარაღეს? თუ იცის... მაშინ უძლეველი ჯოხის ნამდვილი პატრონი მე ვყოფილვარ.

უცებ მათ თავზე, მთავარი დარბაზის მოჯადოებული ციდან ჩითელმა აისმა იფეთქა და უახლოესი ფანჯრის რაფის თავზე დამაბრმავებელი მზის კიდე გამოჩნდა. შუქი ორივეს ერთდროულად ეცა სახეში და ვოლდემორს სახე ალმოდებულ ლაქად ექცა. ჰარის ბამყივანი ყვირილი მოესმა, თვითონაც თავისი იმედი ზეცას შესძახა და დრაკოს ჯოხი აღმართა:

– ავადა კედავრა!

– ექსპელიარმუს!

დარტყმა ზარბაზნის ბათქივით გაისმა და წრის ცენტრში აფეთქებულმა ოქროსფერმა ალმა ის წერტილი აღნიშნა, სადაც შელოცვები ერთმანეთს შეეჯახა. ვოლდემორის მწვანე სხივი ჰარის შელოცვას

Scanned by CamScanner

მიასკდა, დიდგულას ჯოხი შავ ლაქად აფრინდა ჰაერში, ნაგინის თავივით ბზრიალით გადაიქროლა მოჯადოებული ჭერი და ნამდვილი პატრონისაკენ გაექანა – პატრონისკენ, ვისი მოკვლაც არ მოისურვა და ვინც, როგორც იქნა, მის დასაუფლებლად მოსულიყო. ჰარიმ სიკერის შეუცდომელი ოსტატობით თავისუფალი ხელით დაიჭირა ჯოხი, ხელებგაშლილი ვოლდემორი კი გულაღმა დაენარცხა და ალისფერი თვალების ვიწრო გუგები აატრიალა. ტომ რიდლმა ამქვეყნიური აღსასრული ჰპოვა და ახლა უსუსური და მოკრუნჩხული ეგდო იატაკზე. თეთრი ხელები ცარიელი ჰქონდა, გველივით სახე – უსიცოცხლო და უაზრო. ვოლდემორი თავისივე ასხლეტილი წყევლით იყო მკვდარი, ჰარი კი იდგა, ხელში ორი ჯოხი ეჭირა და მტრის გვამს დასცქეროდა.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოწვა და მერე ჰარის გარშემო დიდი ორომტრიალი ატყდა: ახალამოსული, ცხელი მზე დამაბრმავებლად შემოიჭრა ფანჯრებში და ჰაერი მაყურებელთა კივილმა, ღრიალმა და ვაშამ გაკვეთა. ყველანი ჰარის მისცვივდნენ. პირველები რონი და ჰერმიონი მოეხვივნენ, მოქანდნენ ჯინი, ნევილი და ლუნა, უისლები და ჰაგრიდი, კინგსლი და მაკგონაგელი, ფლიტვიკი და სპრაუტი... ჰარის ერთი სიტყვაც არ ესმოდა, რას უყვიროდნენ, ვერ არჩევდა, ვისი ხელები ეჭიდებოდა, ექაჩებოდა და ცდილობდა სადმე მაინც მოხვეოდა. ყველას უნდოდა, ხელით შეეხებოდა ბიჭს, რომელიც გადარჩა, რომლის წყალობითაც, როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა...

ჰოგვორტსს თავზე მზე დაადგა, დიდ დარბაზში სინათლე და სიცოცხლე დუღდა. ყველას ჰარისთან ერთად უნდოდა ლხენა და გლოვა, სევდა და ზეიმი. უნდოდათ, მათთან ყოფილიყო მათი წინამძღოლი და სიმბოლო, მათი მხსნელი და გზამკვლევი, და ეტყობა, არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ჰარი დაქანცული იყო და სულ ორიოდე კაცთან ერთად ერჩივნა ყოფნა. უნდოდა, გამოლაპარაკებოდა ჭირისუფლებს, ხელი ჩამოერთმია, მიესამძიმრებინა, ენახა მათი ცრემლი, მიეღო მადლობა, გაეგო ახალი ამბები, რომლებიც იმ დილით საიდან აღარ მოდიოდა: მთელ ქვეყანაში იმპერიუსით დაწყევლილები გონს მოვიდნენ, სიკვდილის მხვრელები გაიქცნენ ან დაიჭირეს, აზკაბანში უდანაშაულოდ ჩამწყვდეულები იმწამსვე გაათავისუფლეს და კინგსლი შეკლბოლტი მაგიის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს.

ვოლდემორის გვამი რომელიღაც ოთახში გადაიტანეს და მოაშორეს ფრედის, ტონქსის, ლუპინის, კოლინ ქრივისა და ორმოცდაათი სხვა გარდაცვლილის ცხედრებს. მაკგონაგელმა კლუბების მაგიდები

Scanned by CamScanner

დააბრუნა, თუმცა, კლუბების მიხედვით არავინ დამჯდარა: ერთმანეთში არეულიყვნენ მასწავლებლები და მოსწავლეები, მოჩვენებები და მშობლები, კენტავრები და შინაური ელფები. კუთხეში ფლორენცია გონს მოდიოდა, ჩამსხვრეული ფანჯრიდან გრაუპმა შემოიხედა და ხალხი მას სიხარულით დაღრეჭილ პირში ტკბილეულს უყრიდა. ცოტა ხანში გასავათებული ჰარი გრძელ სკამზე ლუნას გვერდით აღმოჩნდა.

– შენ ადგილას სიწყნარე და სიჩუმე მომინდებოდა, – ჩასძახა ლუნამ.

– მინდა რომელია! – მიუგო ჰარიმ.

– მე ხალხს მივახედებ, – შესთავაზა ლუნამ, – შენ კი მოსასხამი მოისხი.

და სანამ ჰარი ხმას ამოიღებდა, დაიძახა:

– უიიიი! შეხედეთ, ფქვია ენამასწარა! – და ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი. ვინც გაიგონა, ყველამ იქით მიიხედა. ჰარიმ მოსასხამი გადაიფარა და წამოდგა.

ახლა კი შეეძლო, დაუბრკოლებლად გაევლო დარბაზში. ორი მაგიდის იქით დედის მხარზე თავმიყრდნობილი ჯინი დაინახა; მერე ექნება ჯინისთან ლაპარაკის დრო – საათობით, დღეობით, იქნებ – წლობითაც. ნევილიც გაარჩია: გემრიელად მიირთმევდა, გრიფინდორის ხმალი თეფშის გვერდით ედო და გარს მგზნებარე თაყვანისმცემლები ეხვია. მაგიდებს შორის გასასვლელში რომ გაძვრა, ჰარიმ სამივე მალფოის მოჰკრა თვალი – ერთად შეჯგუფულიყვნენ, თითქოს არ იცოდნენ, ეკუთვნოდათ აქ ყოფნა თუ არა. სადაც გაიხედავდა, ყველგან შერიგებულ ოჯახებს ხედავდა, ბოლოს კი ის ორიც გამოჩნდა, ვისთან ყოფნაც ჰარის ყველაზე მეტად ენატრებოდა.

– მე ვარ, – რონისა და ჰერმიონისკენ დაიხარა და წასჩურჩულა ჰარიმ, – წამომყვებით?

რონი და ჰერმიონი მაშინვე ადგნენ და სამივენი დიდი დარბაზიდან გავიდნენ. მარმარილოს კიბე ალაგ-ალაგ ჩანგრეულიყო, მოაჯირის ნაწილიც აკლდა; გზადაგზა, თითქმის ყოველ საფეხურზე ნამსხვრევები და სისხლის ლაქები ხვდებოდათ.

მოშორებით პივსის ხმა მოესმათ, დერეფნებში დაზუზუნებდა და ფილის შეთხზულ გამარჯვების სიმღერას მღეროდა:

ვაშა, ვაშა, ვიცინოთ,
მივიშირეთ ლოირდი,
მაგარია ჰიწერი,
გააგონა ვოლდი!

Scanned by CamScanner

– როგორ გაგრძნობინებს ამ ამბის ტრაგიზმსა და მასშტაბებს, არა? – აღნიშნა რონმა, კარი შეაღო და ჰარი და ჰერმიონი შეუშვა.

ჰარიმ გაიფიქრა, სიხარულს, ალბათ, მეც უნდა ვგრძნობდეო, მაგრამ ჯერჯერობით სიხარულს დაქანცულობა ჯაბნიდა, ხოლო ფრედის, ლუპინისა და ტონქსის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ყოველ წუთს ახალ ჭრილობასავით ახსენებდა თავს. ახლა ერთი გულიანი გამოძინება ყველაფერს ერჩია, მაგრამ ჯერ რონისა და ჰერმიონისთვის უნდა აეხსნა, რა და როგორ მოხდა. ისინი ხომ ამდენ ხანს მასთან ერთად იყვნენ და სიმართლის გაგებას იმსახურებდნენ. ჰარიმ დაწვრილებით უამბო მეგობრებს, რა ნახა საფიქრელაში და რა მოხდა ტყეში. რონმა და ჰერმიონმა შეშინება და გაოცებაც კი ვერ მოასწრეს, რომ უკვე დირექტორის კაბინეტთან აღმოჩნდნენ.

კაბინეტის მცველი ურჩხული გვერდზე გადაქანებულიყო და კედელს ეყუდებოდა, პუნშით იყო მთვრალი. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავი პაროლს თუ იცნობსო?

– შეიძლება ავიდეთ? – ჰკითხა.

– მიბრძანდით, არ მოგერიდოთ, – ამოხვნეშა მთვრალმა ქანდაკებამ.

ზღურბლს გადააბიჯეს და ქვის ხვეულ კიბეზე დადგნენ, რომელმაც ესკალატორივით ნელა აიყვანა ისინი მაღლა. ჰარიმ კარი შეაღო და მაშინვე საფიქრელა მოხვდა თვალში – ისევ იქ იდგა, სადაც დატოვა – საწერ მაგიდაზე. ამ დროს ატეხილმა გამაყრუებელმა ხმაურმა კინაღამ გული გაუხეთქა. იფიქრა, ვიღაცის ნატყორცნი წყევლაა, ეტყობა ვოლდემორი აღდგა და სიკვდილის მხვრელები საბრძოლველად დაბრუნდნენო...

თუმცა, ეს მხოლოდ ოვაცია იყო. კედლებზე ჩამწკრივებული ჰოგვორტსის დირექტორები ფეხზე წამომდგარიყვნენ და ტაშს უკრავდნენ ჰარის, ჩარჩოებიდან იწევდნენ და ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, ქუდებს იქნევდნენ; ისინი კი, ვინც უქუდოდ დაეხატათ, პარიკებს აფრიალებდნენ; დაილის დერვენტი ხმამაღლა ქვითინებდა; დექსტერ ფორტესკიუ სასმენ მილს იქნევდა, ხოლო ფინეას ნაიჯელუსი თავისი წვრილი, სუსტი ხმით გაჰყვიროდა:

– ისიც აღსანიშნავია, რომ არც სლიზერინის კლუბი ჩამორჩა სხვებს! არც ჩვენი ღვაწლი დაგავიწყდეთ!

მაგრამ ჰარი პირდაპირ დირექტორის სავარძლის უკან ჩამოკიდებულ, ყველაზე დიდ პორტრეტში მდგარ ერთადერთ კაცს უყურებდა: დამბლდორს ნახევარმთვარისებური სათვალის ქვემოთ ცრემლები ჩამოსდიოდა, გრძელ, ვერცხლისფერ წვერზე ეცემოდა და ისეთ სიამაყესა და მადლიერებას ასხივებდა, რომ ჰარი საოცარი ნეტარებით აივსო.

Scanned by CamScanner

ბოლოს ჰარიმ ხელები ასწია. პორტრეტები მაშინვე გაჩუმდნენ, სახეგაბრწყინებულებმა ცრემლი მოიწმინდეს და დაძაბულად დაელოდნენ, როდის ამოიღებდა ხმას მათი გმირი. თუმცა, ჰარიმ მხოლოდ დამბლდორს მიმართა. დიდი სიფრთხილით არჩევდა სიტყვებს. მართალია, ქანცგაწყვეტისაგან თვალთ უბნელდებოდა, მაგრამ ერთიც უნდა ეცადა და ბოლო რჩევა ეკითხა.

– ის, რაც სნიჩში იყო ჩამალული, ტყეში დამივარდა, ზუსტად არც ვიცი, სად, მაგრამ მოძებნას არ ვაპირებ. მეთანხმებით?

– რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, – მიუგო დამბლდორმა. დანარჩენი პორტრეტები დაიბნენ და დაინტერესდნენ, – ბრძნული და ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა, შენგან ამაზე ნაკლებს არც მოველოდი. ვინმემ იცის, სად დაგივარდა?

– არა, – უპასუხა ჰარიმ და დამბლდორმა კმაყოფილებით დაუქნია თავი.

– ოღონდ, იგნოტუსის საჩუქარი მინდა დავიტოვო, – განაგრძო ჰარიმ. დამბლდორს სახე გაუბრწყინდა.

– რა სათქმელია, ჰარი! ის სამუდამოდ შენია, სანამ მემკვიდრეს არ გადასცემ!

– ეს კი... – ჰარიმ დიდგულას ჯოხი ასწია და რონმა და ჰერმიონმა ისეთი მოწიწებით შეხედეს, რომ ასე გათანგულსა და უძილოსაც კი არ ესიამოვნა, – არ მჭირდება.

– რაო? – წამოიყვირა რონმა, – გაგიჟდი?

– ვიცი, რომ უძლეველია, – თქვა დაღლილმა ჰარიმ, – მაგრამ ჩემი მირჩევნია. ამიტომ...

ჰარიმ კისერზე დაკიდებული ქისა მოჩხრიკა და ფენიქსის ბუმბულის უნვრილესი ძაფით შეერთებული ბაძგის ორად გადატეხილი ჯოხი ამოიღო. მართალია, ჰერმიონი ამბობდა, ისე დაზიანდა, ველარ გამთელდებაო, მაგრამ ახლა იმედიანად გაიფიქრა, თუ ესეც არ გაამთელებს, ესე იგი, მართლა აღარაფერი ეშველებაო.

თავისი გატეხილი ჯოხი დირექტორის მაგიდაზე დადო, დიდგულას ჯოხის წვერი შეახო და თქვა:

– რეპარო.

ჰარის ჯოხი გამთელდა და წვეროდან წითელი ნაპერწკლები გამოყარა. ჰარი მიხვდა, რომ გამოუვიდა, ბაძგისა და ფენიქსის ბუმბულის ჯოხი აიღო და თითებში ისეთი სითბო ჩაეღვარა, თითქოს ჯოხი და ხელი ერთმანეთთან შეხვედრით ხარობდნენ.

– დიდგულას ჯოხს ისევ იქ დავაბრუნებ, სადაც იდო, – მიუბრუნდა ჰარი დამბლდორს, რომელიც უზომო სიყვარულითა და აღტაცებით უყურებდა მას, – იქ იყოს. თუ იგნოტუსივით სიბერით

Scanned by CamScanner

მოვკვდი, მისი ძალა საბოლოოდ დაიკარგება... და მისი ამბავიც დამთავრდება.

დამბლდორმა თავი დაუქნია და ერთმანეთს გაუღიმეს.

– დარწმუნებული ხარ? – რონმა უძლეველ ჯოხს შეხედა და ხმაში ოდნავი სურვილი შეეტყო.

– მე მგონი, ჰარი მართალია, – წყნარად უთხრა ჰერმიონმა.

– ეს ჯოხი არ ღირს ამდენ დავიდარაბად. თანაც, უკვე იმდენი დავიდარაბა გამოვიარე, მთელი სიცოცხლე მეყოფა, – პორტრეტებს ზურგი შეაქცია ჰარიმ. ახლა მხოლოდ გრიფინდორის კოშკში გაშლილ ჩარდახიან საწოლზე ფიქრობდა და კიდევ იმაზე, ნეტავ კრეჩერი ჩემთვის ბუტერბროდის მოტანას თუ მოახერხებსო.

Scanned by CamScanner

ეპილოგი

ცხრამეტი წლის შემდეგ

ამ წელიწადს შემოდგომა თითქოს მოულოდნელად დადგა. პირველი სექტემბრის დილა საამურად გრილი იყო და მანქანების გამონაბოლქვი და გამვლელების ამონასუნთქი ცივ ჰაერში აბლაბუდებივით ციმციმებდა. პატარა ოჯახმა აჩქარებით გადაჭრა დიდი, გაჭვარტლული ვაგზლისკენ მიმავალი ხმაურიანი ქუჩა. მშობლები დატვირთულ ურიკებს მიაგორებდნენ, ზედ ორი დიდი გალია ქოთქოთებდა – შიგ მსხდარი ბუები აღშფოთებით კიოდნენ. მამას ჩაბღაუჭებული ნითელთმიანი გოგონა დამფრთხალი მიფრატუნებდა ძმების უკან.

– რაღა დარჩა, ცოტაც და, შენც წახვალ, – უთხრა გოგონას ჰარიმ.

– ორი წელი, – წაისლუკუნა ლილიმ, – მე ახლავე მინდა!

ოჯახი მეცხრე და მეათე პლატფორმების გამყოფი ბარიერისაკენ მიიკვლევდა გზას. უცხო მგზავრები ინტერესით მიშტერებოდნენ ბუებს. ხალხის გუგუნში ჰარის ალბუსისა და ჯეიმსის ხმა მოესმა; მისი ბიჭები მანქანაში დაწყებულ კამათს აგრძელებდნენ.

– არ მინდა სლიზერინში მოხვედრა! – ნუწუნებდა ალბუსი.

– ჯეიმს, გეყოფა! – გაუჯავრდა ჯინი უფროსს.

– მე მარტო იმას ვეუბნები, შეიძლება სლიზერინში მოხვდე-მეთქი, – უმცროს ძმას გაუღიმა ჯეიმსმა, – მერე რა მოხდა.

მაგრამ ამ დროს ჯეიმსმა დედის მზერა დაიჭირა და გაჩუმდა. იუთი პოტერი ბარიერს მიუახლოვდა. ჯეიმსმა თავდაჯერებულად [illegible]ხედა უმცროს ძმას, მერე დედას ურიკა ჩამოართვა და გაიქცა. [illegible] და, კედელში გაქრა.

– ხომ მომწერთ? – იმწამსვე ისარგებლა ალბუსმა ძმის წამიერი არყოფნით.

– თუ გინდა, ყოველდღე, – მიუგო ჯინიმ.

– ყოველდღე არა, – სწრაფად თქვა ალბუსმა, – ჯეიმსი ამბობს,

Scanned by CamScanner

მშობლებისგან დაახლოებით თვეში ერთხელ იღებენ წერილებსო.

– შარშან ჯეიმსს კვირაში სამჯერ ვწერდით, – თქვა ჯინიმ.

– ყველაფერს ნუკი დაიჯერებ, რასაც ჯეიმსი ჰოგვორტსზე გიყვებ, – ჩაურთო ჰარიმ, – ხომ იცი, რა ხუმარაა.

მეორე ურიკა ერთად გააგორეს და თანდათან აჩქარდნენ. როცა ბარიერამდე მივიდნენ, ალბუსი შეკრთა, მაგრამ არაფერს დასჯახებიან. ოჯახი ჰოგვორტსის ალისფერი ექსპრესის გამონაბოლქვ თეთრ, სქელ კვამლში გახვეულ პლატფორმა 9 და 3/4-ზე გავიდა. ნისლში, სადაც ჯეიმსი უკვე გამქრალიყო, გაურკვეველი ფიგურები ფუთფუთებდნენ.

– სად არიან? – მღელვარედ იკითხა ალბუსმა, თან, სანამ ბაქანზე გზას მიიკვლევდნენ, ბუნდოვან ფიგურებს უყურებდა.

– ვიპოვით, – გაამხნევა ჯინიმ.

სქელ კვამლში სახეები ძნელად გაირჩეოდა. ხმები არაბუნებრივად ხმამაღლა ისმოდა; ჰარის პერსის ხმა მოესმა: ხმამაღლა მსჯელობდა ცოცხებით ფრენის წესების თაობაზე და იფიქრა, კიდევ კარგი, ამ ნისლში ვერ დამინახავს და გაჩერება და გამოლაპარაკება არ მომინევსო...

– მგონი, დავინახე, ალ, – წამოიძახა ჯინიმ.

ნისლში ოთხი კაცი გამოჩნდა, ბოლო ვაგონთან იდგნენ. როცა ჰარი, ჯინი, ლილი და ალბუსი ძალიან მიუახლოვდნენ, სახეები მერეღა გამოიკვეთა.

– გამარჯობა, – თქვა ალბუსმა და შეეტყო, რომ გულზე მოეშვა.

ჰოგვორტსის ახალთახალ მანტიაში გამონყობილ როუზის სახე გაუბრწყინდა.

– მანქანა სადმე დააყენე? – ჰკითხა რონმა ჰარის, – მეც მოვახერხე. იცი, ჰერმიონს არ სჯერა, რომ მაგლებთან მანქანის მართვის გამოცდა ჩავაბარე. ჰგონია, გამომცდელს კონფუნდუსი შევულოცე.

– რას ამბობ, – თქვა ჰერმიონმა, – როგორ არ მჯერა.

– ისე, მართლა შევულოცე, – ონავარი ბიჭის სახით წასჩურჩულა რონმა ჰარის, როცა ალბუსის ჩემოდანი და ბუ მატარებელში აიტანეს, – გვერდითა სარკეში ჩახედვა დამავიწყდა, დიდი ამბავი! ზემგრძნობელობის შელოცვას გამოვიყენებ და ეგ იქნება.

ბაქანზე ჩამობრუნებულმა ჰარიმ და რონმა დაინახეს, რომ ლილი და როუზის უმცროსი ძმა, ჰუგო ცხარედ კამათობდნენ იმის შესახებ, თუ როცა ჰოგვორტსში წასვლა ეღირსებოდათ, რომელ კლუბში მოხვდებოდნენ.

– თუ გრიფინდორში არ მოხვდი, ანდერძიდან ამოგშლით, – უთხრა შვილს რონმა, – თუმცა, თქვენი ნებაა...

Scanned by CamScanner

– რონ!

ლილისა და ჰუგოს გაეცინათ, ალბუსი და როუზი კი სერიოზული სახეებით იდგნენ.

– ხუმრობს, – ერთხმად წამოიძახეს ჰერმიონმა და ჯინიმ, მაგრამ რონი მათ ყურადღებას აღარ აქცევდა. ჰარის მზერა დაიჭირა და ფარულად გაახედა ოციოდე მეტრის იქით. იმ წამს ორთქლი შეთხელდა და მოძრავ ნისლში მკაფიოდ გამოიკვეთა სამი ადამიანი.

– შეხედე, ვინ არიან.

ცოლთან და ვაჟთან ერთად იდგა თმაშეთხელებული და ნიკაპ-ნაწვეტებული დრაკო მალფოი, მუქი პალტო ყელამდე შეეკრა. პატარა ბიჭუნა ისევე ჰგავდა დრაკოს, როგორც ალბუსი – ჰარის. დრაკომ ჰარის, რონის, ჰერმონისა და ჯინის მზერა იგრძნო, ზრდილობიანად დაუკრა თავი და ისევ შებრუნდა.

– ესეც პატარა სკორპიუსი, – ხმადაბლა თქვა რონმა, – იცოდე, ყველა გამოცდაზე უნდა აჯობო, როუზი. კიდევ კარგი, დედაშენის ჭკუა გამოგყვა.

– რონ, თუ ღმერთი გწამს, – უთხრა ჰერმიონმა ბრაზნარევი მხიარულებით, – ჯერ სკოლაში არ მისულან და უკვე ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებ!

– მართალი ხარ, უკაცრავად, – თქვა რონმა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და დაუმატა, – ოღონდ, მაინცდამაინც ნუ დაუძმაკაცდები, როუზი. პაპა არტური თავის დღეში არ გაპატიებს, ცოლად წმინდა-სისხლიანს რომ გაჰყვე.

– ჰეი! – გამოჩნდა ჯეიმსი; ჩემოდანი, ბუ და ურიკა უკვე მატარებელში ჩაებარგებინა და ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, ახალი ამბავი ეთქვა.

– იქით ტედია, – ამოიქაქანა და უკან, ორთქლის ღრუბლებისაკენ გაიშვირა ხელი, – ამ წუთში ვნახე! გამოიცანით, რას შვრება? ვიქტორიას ჩახუტებია და კოცნის!

ჯეიმსმა უფროსებს ახედა და იმედი გაუცრუვდა, რატომ არ აჩოჩქოლდნენო.

– ჩვენი ტედი, ტედ ლუპინი. ვიქტორიას კოცნის! ჩვენს ბიძაშვილს! ვკითხე, ტედ, რას აკეთებ-მეთქი...

– ხელი შეუშალე? – წარბები აწკიპა ჯინიმ, – რაღა შენ და რაღა [illegible]..

– ვაცილებო! მერე მითხრა, აქედან მოუსვიო. კოცნის, ვა! – ისე დაუმატა ჯეიმსმა, ეტყობოდა, წუხდა, კარგად ვერ გავაგებინეო.

– იქნებ დაქორწინდნენ კიდევაც! – ოცნებით წაიჩურჩულა პატარა ლილიმ, – და ტედი სულ ჩვენი ოჯახის წევრი გახდება!

Scanned by CamScanner

– კვირაში ოთხჯერ ისედაც ჩვენთან სადილობს. ბარემ, საცხოვრებლადაც გადმოვიყვანოთ და ეგ იქნება, – თქვა ჰარიმ.

– ჰო! – აიტაცა ჯეიმსმა, – თუ გინდა, მე ალთან გადავალ და ტედმა ჩემს ოთახში იცხოვროს!

– არა, – გადაჭრით იუარა ჰარიმ, – შენ და ალბუსს ერთ ოთახში მაშინ გაგამწესებთ, როცა სახლის დანგრევა მენდომება, – დ ოდესღაც ფაბიან პრევეტის კუთვნილ ძველისძველ ოქროს საათ დახედა.

– თერთმეტი ხდება, ასვლის დროა.

– არ დაგავიწყდეს, ნევილს დიდი სიყვარულით აკოცე და მოგვიკითხე! – უთხრა ჯინიმ ჯეიმსს და გადაეხვია.

– დე, პროფესორს როგორ ვაკოცო და მოვიკითხო?

– კი, მაგრამ ნევილს ხომ იცნობ...

ჯეიმსმა თვალები აატრიალა:

– გარეთ – ჰო, მაგრამ სკოლაში პროფესორი ლონგბოტომია! რა, ჰერბოლოგიაზე შევიდე, ვაკოცო და ვუთხრა, დიდი სიყვარულით მოგიკითხეს-მეთქი?

მერე დედის სულელურ ნათქვამზე თავი გააქნია და ალბუსს მიუბრუნდა:

– აბა, დროებით, ალ, თესტრალებს უფრთხილდი.

– მე მეგონა, უჩინარები იყვნენ. ხომ მითხარი, უჩინარები არიანო!

მაგრამ ჯეიმსს მხოლოდ გაეცინა, დედას ლოყა მიუშვირა, მამას სწრაფად მოეხვია და თითქმის სავსე მატარებელში ახტა.

– თესტრალებზე არ იდარდო, – დაამშვიდა ჰარიმ ალბუსი, – უწყინარები არიან, არ შეგეშინდეს. თანაც, სკოლაში ეტლებით კი არა, ნავებით მიხვალთ.

ჯინიმ ალბუსს აკოცა.

– აბა, შობამდე.

– კარგად იყავით, – დაემშვიდობა ჰარიც და შვილს მოეხვია, – არ დაგავიწყდეს, მომავალ პარასკევს ჰაგრიდთან ჩაიზე ხარ მიპატიჟებული. პივსს არ ეხუმრო. სანამ არ გასწავლიან, დუელი არავისთან არ გამართო. და არც ჯეიმსს აჰყვე.

– სლიზერინში რომ მოვხვდე?

ალბუსმა მხოლოდ მამის გასაგონად დაიჩურჩულა და ჰარი მიხვდა, რომ ბავშვმა გამგზავრების წამსლა გაბედა თავისი დიდი და გულწრფელი შიშის გამოთქმა.

ჰარი დაიხარა და შვილს სახეში შეაცქერდა. მისი სამი შვილიდან მხოლოდ ალბუსს გამოჰყოლოდა ლილის თვალები.

– ალბუს სეევერუს, – წყნარად დაიწყო ჰარიმ, ისე რომ ჯინის

Scanned by CamScanner

გარდა, არავის გაეგონა. ჯინიმ თავი მოაჩვენა, ვითომ მთელი ყურადღება მატარებელში ასულ როუზიზე ჰქონდა გადატანილი, – შენ ჰოგვორტსის ორი დირექტორის სახელი გქვია. ერთი მათგანი სლიზერინელი იყო და მე იმაზე მამაცი კაცი არც არასდროს შემხვედრია.

– მაგრამ, მაინც რომ...

– მაშინ სლიზერინის კლუბს ბრწყინვალე სტუდენტი შეემატება. ჩვენთვის სულერთია, ალ! მაგრამ თუ შენთვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, შეგიძლია გრიფინდორი აირჩიო. გამანაწილებელი ქუდი შენს არჩევანსაც გაითვალისწინებს.

– მართლა?

– ჩემი გაითვალისწინა, – უთხრა ჰარიმ.

ეს ბავშვებისთვის აქამდე არ ეთქვა და დაინახა, როგორ გაოგნდა ალბუსი. როგორც კი ალისფერი მატარებლის კარების დახურვა დაიწყეს, ალბუსი ვაგონში ახტა და ჯინიმ კარი მიუხურა. ფანჯრებიდან სტუდენტებს გადმოეყოთ თავი. ჰარის მატარებლიდანაც უამრავი ხალხი უყურებდა და ბაქნიდანაც.

– რას მოგშტერებიან? – ჩამოსძახა ფანჯრიდან გადმოყუდებულმა ალბუსმა და მან და როუზიმ კისერწაგრძელებულებმა მოათვალიერეს სხვა სტუდენტები.

– არაფერია, მე მიყურებენ. ხომ იცით, რა სახელგანთქმული ვარ, – თქვა რონმა.

ალბუსს, როუზის, ჰუგოსა და ლილის გაეცინათ. მატარებელი დაიძრა. ჰარი მიჰყვებოდა და შვილის მღელვარებით ავარდისფრებულ, გამხდარ სახეს უყურებდა, უღიმოდა და ხელს უქნევდა.

შემოდგომის ჰაერში ორთქლის კვალი მალე გაქრა. მატარებელმა შეუხვია და თვალს მიეფარა. ჰარის კი ხელი ისევ აწეული ჰქონდა.

– კარგად იქნება, – წასჩურჩულა ჯინიმ.

ჰარიმ ჯინის შეხედა, ხელი დაუშვა და უნებურად ელვასავით გაკლაკნილ ნაიარევზე მოისვა.

– ვიცი.

ცხრამეტი წელია, ნაიარევის ტკივილს აღარ შეუწუხებია. ყველაფერი კარგად იყო.

Scanned by CamScanner